

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის
ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2004

ქრესტომათიაში შესულია საქართველოს დიპლომატიის ისტორიის შესახებ არსებული ქართული თუ უცხოენოვანი დოკუმენტები. მასში შეტანილია როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის, ასევე დიპლომატიური მოლაპარაკებების, ხელშეკრულებების, დიპლომატიური ეტიკეტის მასალა. ქრესტომატიის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან, ვიდრე XXI საუკუნის დასაწყისამდე. ქრესტომატიისათვის მასალები მოამზადეს: დოც. ერეკლე ასტახიშვილმა (ძველადმოსავლური მასალები); პროფ. გრანი ქავთარიამ (ძველი წელთაღრიცხვის V – ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეების ქართული, ძველი ბერძნული და რომაული ნარატიული წყაროები); დოც. დიმიტრი ლეთაიანიამ (V-VII საუკუნეების ქართული და უცხოურენოვანი მასალები); დოც. შანშე დარჩიაშვილმა (V-XVIII საუკუნეების სომხური წერილობითი ძეგლები); პროფ. ზურაბ პაპასჭირაძემ (VIII-XI საუკუნეების ქართული მასალები); დოც. ბუბა კუდავამ (VIII-XI საუკუნეების აღმოსავლური წყაროები); პროფ. გოჩა ჯაფარიძემ (VII-XI საუკუნეების არაბული წყაროები); დოც. ჯაბა სამუშიამ (VIII-XI საუკუნეების ბიზანტიური საისტორიო თხზულებები); აკად. როინ მეტრეველმა (XII საუკუნის ქართული და უცხოურენოვანი მასალა); პროფ. დავით ნინიძემ (XIII-XV საუკუნეების ქართული და უცხოურენოვანი წყაროები); დოც. გოჩა საითიძემ (XVI-XVIII საუკუნეების ქართული და უცხოურენოვანი ძეგლები); დოც. დევი კაჭარავამ (XVIII საუკუნის ქართული და უცხოურენოვანი ნარატიული მასალა); პროფ. ნოდარ შენგელაძემ (XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური წყაროები); დოც. ბონდო კუპატაძემ (XIX-XX საუკუნეების ქართული მასალა); დოც. ირინე თევდორაშვილმა (XIX-XX საუკუნეების რუსული და დასავლეთევროპული მასალა).

წიგნი განკუთვნილია უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის, ასპირანტებისა და საქართველოს დიპლომატიის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

ქრესტომათია გამოსაცემად მოამზადეს, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ბონდო კუპატაძემ, გოჩა საითიძემ, ჯაბა სამუშიამ.

რედაქტორი აკად. როინ მეტრეველი

რედაქციური კომიტეტი: ნიკოლოზ ჯავახიშვილი
გრიგოლ ჯოხაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

ISBN 99940-20-46-3

თ ა ზ ი |

ქართული პოლიტიკური სამყარო საქართველოს არენაზე უკველესი დროიდან ახ. წ. III საუკუნის ჩათვლით

ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-ის
„წარწერა პრიზმაზე“ დაიანის ქვეყანაში
ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. 1112 წ.)¹¹

„იმ დროს, ღვთაება ასურის,¹ ჩემი მეუფის, ღიადი ძალით, მამაცი ღვთაება შამაშის ერთგული წყალობით, ღიად ღვთაებათა შემწეობით (მე, ტიგლათფილესერი),² რომელიც სამყაროს ოთხივე მხარეზე სამართლიანად ვმბრძანებლობ, რომელსაც არ მყავს მძლეველი ომში. (და) ტოლი ბრძოლაში, შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის³ ნაპირას (ცხოვრობენ) (და) რომელთაც არ იცოდნენ (თუ რა არის) მორჩილება, ღვთაება ასურმა, მეუფემ, გამგზავნა. გავემართე გაუვალი გზებითა და მძიმე გადასასვლელით... თუმეს, თუნუბეს, თუალის, ქინდარის, უზულას, უნზამუნის, ანდიბეს, ფილაქინის, ათურგინის, ქულბარზინის, შინიბირნის, ხიმუას, ფაითურის, უირამის, შურურიას, აბაენის, ადაენის, ქირინის, ალბაიას, უგინას, ნაზაბიას, აბარსიუნის, დაიენის ქვეყნების მეფეებმა, სულ ნაირის ქვეყნების⁴ 23 მეფემ, შეკრიბეს თავიანთ ქვეყნებში თავისი ეტლები და ჯარები და ბრძოლისა და ომისათვის გამოემართნენ... ღვთაება ადადის ნიაღვრის მსგავსად აღვასრულე მათი მრავალრიცხოვანი ჯარების განადგურება... ნაირის ყველა მეფე ჩემმა ხელმა ცოცხლად დაატყვევა. ეს მეფეები შევიწყალე. მე მათ სიცოცხლე შევუნარჩუნე. ისინი, დატყვევებულნი და შებოჭილნი, შამაშ ღვთაების, ჩემი მეუფის, წინაშე გაავათვისუფლე და ფიცის მსახურებისა ჩემს ღიად ღვთაებათადმი

¹ ასური – ასურეთის სახელმწიფოს მთავარი ღვთაება.

² ტიგლათფილესერი I – ასურეთის მეფე ძვ. წ. 1114-1076 წწ.

³ იგულისხმება შავი ზღვა.

⁴ „ნაირის ქვეყნები“ – ასურეთის ჩრდილოეთით, ეანისა და ურმიის ტბის გარშემო მდებარე ტერიტორია.

დავადებინე მომავლის დღეთათვის და სამარადისოდ. (მათი) ძენი, მათი სამეფო ნაშიერნი, მძევლებად გამოვართვი. 1200 ცხენი, 2000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ხარკად დავადე და თავიანთ ქვეყნებში გავუშვი მე ისინი. სიენი, მეფე დაიანის ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, ჩემს მეუფეს, დატყვევებული და შებოჭილი ჩემს ქალაქ ასურში¹ წავიყვანე (და იქ) შევიწყალე იგი. ჩემს ქალაქ ასურიდან დიად ღვთაებათა მორჩილი გავუშვი მე იგი მორჩილებისა და სიცოცხლისათვის. ნაირის ვრცელ ქვეყნებს მთლიანად დავეუფლე და მათი ყველა მეფე ჩემს ფეხთ წინაშე დავამხე².

ურარტუს მეფე მინუას წარწერა დიარსში ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. IX-VIII სს. მიჯნა) ^[2]

„ღვთაება ხალდი² გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით (?) დიაუეხის ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა (სალაშქროდ) მენუა იშფუინის ძე;³ წინ უძღოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავანგრე)?). მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუა(მდე). ქალაქი უტუსხაი... მენუა ამბობს: უტუფურში, მეფე დიაუეხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე (მას) მოწყალედ მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით. მომცა მან ოქრო (და) ვერცხლი, მომცა ხარკი. ის ტყვეები (?), (რომლებიც) დაბრუნდნენ (მასთან), დამიბრუნა მან მთლიანად. მენუა ამბობს: ... 2 მეფე მე იქიდან მოვაცილე: ბალთულხის ქვეყნის (მეფე) (და) ქალაქ ხალდირიულხის ქვეყნის (მეფე). გამაგრებული ციტადელები, (რომლებიც კი იყო იმ) ქვეყანაში, მე იქიდან მოვგლიჯე.

¹ ქ. ასური - ასურეთის სახელმწიფოს დედაქალაქი. მდებარეობდა მდინარე ტიგროსის ნაპირას.

² ხალდი - ურარტუს სახელმწიფოს პანთეონის მთავარი ღვთაება, წარმოდგენილი იყო ლომზე ამხედრებული მეომრის სახით.

³ მენუა - ურარტუს მეფე ძვ. წ. 810-786 წწ.

მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: „მე გავაკეთე (ყველაფერი ეს)“, დაე მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყველა) ღმერთმა იგი მზის ქვეშ“...

ურარტუს მეფე არგიშთი I-ის წარწერა
დიოხში ლაშქრობის შესახებ
(ძვ. წ. VIII ს. I ნახ.)¹

„ ... მიველი (?) ბიას ქვეყნამდე... ხუშანის ქვეყნა(მდე). გავემართე მე (სალაშქროდ) დიდის ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქ ზუას წინააღმდეგ; ქალაქი ზუა, დიაუხის (ქვეყნის) სამეფო ქალაქი, მე გადავწვი. წარწერა დავდგი ქალაქ ზუაში. წაველი მე ქვეყნის კარით (?) აშკალაშის ქვეყნის წინააღმდეგ. 105 ციხე-სიმაგრე მე დავანგრიე, 453 ქალაქი (კი) დავწვი. სამი ქვეყანა მე იქიდან მოვგლიჯე, (მათი) მოსახლეობა ჩემს ქვეყანას მივუმატე: ქვეყანა კადა, ქვეყანა აშკალაში, ქალაქ შაშილუს ქვეყანა. 15 (?) ათას 181 ყრმა, 2734 მამაკაცი, 10 (?) ათას 604 დედაკაცი, 4426 ცხენი, 10 (?) ათას 478 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 73.770 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (მე წავიყვანე). 4 მეფე მე დავასატურისე (?) – შაშქის, არდარაქიხის, ბალთულხის (და) კაბილუხის მეფეები; (ჩემი) ოლქის მმართველები მე ადგილზე (=იქ) დავსვი. დიაუხის მეფე მე დავიმორჩილე, შევიწყალე (იგი) ხარკის (გადახდის) პირობით. (აი) რანაირი ხარკი მისცა არგიშთის¹ დიაუხიელმა: 41 მინა სუფთა (?) ოქრო, 37 მინა ვერცხლი... ათი ათასი მინა სპილენძი, 1000 საჯდომი ცხენი, 300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ათი ათასი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. (აი) როგორი ხარკი... დიაუხიზე მე დავდე, რათა მას (ეს ხარკი) ეძლია ყოველწლიურად... მინა სუფთა (?) ოქრო, 10.000 მინა სპილენძი... ხარები, 100 ძროხა, 500 ცხვარი, 300 საჯდომი ცხენი...

ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ), თავისი იარაღით (?)

¹ არგიშთი I – ურარტუს მეფე ძვ. წ. 786-764 წწ. მეფე მუნას ძე.

სძლია მან ეთიუნის ქვეყანას, დაამხო (იგი) არგიშთის წინაშე. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) ძლიერია. ღვთაება ხალდის სიძლიერით გაემართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე. წინ უძლოდა (?) (მას) ღვთაება ხალდი. არგიშთი ამბობს: ის მეფენი, (რომელნიც) დიაუხიელ (მეფის) საშველად მოვიდნენ – მე (მათი) განადგურება აღვასრულე. (ამ) წელს დავიპყარი მე ლუშას ქვეყანა, ქათარზას ქვეყანა, ერიახის ქვეყანა, გულუთახის ქვეყანა, დავიპყარი უიტერუხის ქვეყანა. მივედი (?) აფუნის ქვეყანამდე. ლუშას ქვეყნის მეფე მე დავასაჭურისე (?), (ხოლო) იგას ქვეყნის (მეფე) – დავიმორჩილე, დავტოვე თავის ადგილზე, ხარკი (მეფე) არგიშთის მან მისცა... “

„ღვთაება ხალდი გაემართა (სალაშქროდ) თავისი იარაღით (?). სძლია მან უტუფურშის, დიაუხის ქვეყნის (მეფეს), სძლია მან აბნულუანის ქვეყანას, დაამხო ისინი არგიშთის წინაშე, ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი (?) – ძლიერია.

ღვთაება ხალდის სიდიადით გაემართა (სალაშქროდ) არგიშთი მენუას ძე. არგიშთი ამბობს: დიაუხის (ქვეყანა) კვლავ (?) აჯანყდა; მეომრები მე შეეკრიბე (და) გავემართე დიაუხის წინააღმდეგ, გამოცხადდა (?) ჩემს წინაშე ომით...

არგიშთი ამბობს: შევედრე (?) მე ღვთაება ხალდის, მეუფეს, ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის, ბიანინლის ქვეყნის (ყველა) ღმერთს (იმის შესახებ, რაც მე მსურდა (?) მომემოქმედა) მეუფის სიდიადით... “

ურარტუს მეფე სარდურნი II-ის წარწერა
კოლხაში ლაშქრობის შესახებ
(ძვ. წ. VIII ს. 50-იანი წლები) ^[3]

„ ... გავემართე (სალაშქროდ) კულხას¹ ქვეყნის წინააღმდეგ, ღვთაება ხალდის სიდიადით ხახანი, ხუშალხის ქვეყნის მეფე (მისი) ხალხი(თურთ) მე იქიდან წამოვიყვანე ტყვედ, გამოვრეკე (და) დავასახლე ჩემს ქვეყანაში.“

¹ კულხა – კოლხეთი.

„ ... სარდური¹ ამბობს: გავემართე მე (სალაშქროდ) კულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ქვეყანა მე..., ქალაქი ილდამუშა, სამეფო ქალაქი..., კულხახალის ქვეყნის მეფისა, გამაგრებული, ბრძოლაში მე დაეიპყარი. (მისი) მოსახლეობა დაეწვი, მეფის ნაცვალი კულხას ქვეყნისა, რომელიც იყო იქ, მე მოვაკვლევეინე. რკინის ბეჭედი მოვაშადა, წარწერა დაედგი ქალაქ ილდამუშაში; ციხე-სიმაგრეები, ქალაქები დაეწვი (და) დავანგრეე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები (და) ქალები გავრეკე.“

**ბერკენი ისტორიკოსი კეროდოტი კოლხეთისა
და აქემენიდური ირანის ურთიერთობის
შესახებ (ძვ. წ. V ს.).¹⁴**

„კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის² მმართველობა, ხოლო კავკასიიდან ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა), ამათ საჩუქრად დაიწესეს და ეს გრძელდება ჩვენს დრომდე, რომ ყოველ მეხუთე წელს გადაიხადონ 100 ყრმა და 100 ქალწული“.

**ბერკენი ისტორიკოსი ძენოფონტი მოსინიკებსა
და ბერკენებს შორის დიპლომატიური
მოლაპარაკების შესახებ (ძვ. წ. V ს.).¹⁵**

„კერასუნტიდან ზღვით გაემართნენ ისინი, ვინც ადრეც (ზღვით მიდიოდა), ხოლო დანარჩენებმა ხმელეთით განაგრძეს გზა. როდესაც მიუახლოვდნენ მოსინიკების³ საზღვარს, გავზავნეს მათთან ტრაპეზუნტელი ტიმესითეოსი, რომელიც მოსინიკების პროქსენი იყო. იგი

¹ სარდური II – ურარტუს მეფე ძვ. წ. VIII ს-ის 60-30-იან წწ., მეფე არგიშთი I-ის ძე.

² სპარსეთი – იეჟლისხმება აქემენიდური ირანის სახელმწიფო (არსებობდა ძვ. წ. 558-330 წწ.).

³ მოსინიკები – ქართველური ტომი სამხრეთ კოლხეთში, ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტისა და კერასუნტის დასავლეთით.

შეეკითხა (მოსინიკებს), როგორ გაიარონ (ელინებმა) მათი მიწა-წყალი, როგორც მტრული თუ (როგორც) მეგობრული ქვეყანა. (მოსინიკებმა) უპასუხეს, რომ არ გაატარებენ (ელინებს). მათ იმედი ჰქონდათ თავისი სიმაგრეებისა. მაშინ ტიმესითოსმა უთხრა (ელინებს), რომ ამ მოსინიკების მტრები პირიქითელი (მოსინიკები) არიან. გადაწყდა, მოეწვიათ ისინი (და გაეგოთ), ხომ არ სურთ მათ (ელინებთან) სამხედრო კავშირის დადება. ტიმესითოსი წავიდა და მოიყვანათან (პირიქითელი მოსინიკების) მეთაურები. მივიდნენ თუ არა მოსინიკების მეთაურები, შეიკრიბნენ ელინების სტრატეგოსებთან¹ ერთად. ქსენოფონტმა განაცხადა – თარგმნიდა ტიმესითოსი – „მოსინიკებო, ჩვენ გვინდა მშვიდობით მივალწიოთ ელადას ქვეითად, რადგან ხომალდები არ გაგვაჩნია. მაგრამ ჩვენ წინ გადაგველობნენ ისინი, ვინც როგორც გაგონილი გვაქვს, თქვენი მტრები არიან. და თუ ნამდვილად გსურთ, თქვენ შეგიძლიათ გახდეთ ჩვენი მოკავშირეები, სამაგიერო უზღოთ ყველაფრისათვის, რაც ოდესმე მათ თქვენთვის ცუდი გაუკეთებიათ და მომავალში დაიმორჩილოთ ისინი. ხოლო ჩვენ თუ უარს გვეტყვიოთ, თვითონ განსაჯეთ, საიდან შეიძლება მოგველინოთ კიდევ მოკავშირედ ასეთი სამხედრო ძალა. ამაზე მოსინიკების მეთაურმა უპასუხა, რომ ისინი თანახმანი არიან და სამხედრო კავშირი მათთვის მისაღებია. „მაშ, გვითხარით – განაცხადა ქსენოფონტმა – რით შეიძლება გემსახუროთ, როცა თქვენი მოკავშირეები გავხდებით და თქვენ რით დაგვეხმარებით (ამ ქვეყანაზე) გავლის დროს. მათ უპასუხეს: „ჩვენ შეგვიძლია, რომ შევიჭრათ საწინააღმდეგო მხრიდან ქვეყანაში, რომელიც თქვენთვისაც მტრულია და ჩვენთვისაც. აქ კი თქვენ გამოგიგზავნოთ ნაუბი და ხალხი, რომელნიც თქვენთან ერთად იბრძოლებენ და გზას მიგიითებენ“.

ამის შემდეგ მათ მისცეს (ერთი მეორეს) ერთგულების ფიცი და (პირიქითელი მოსინიკები) წავიდნენ.“

¹ სტრატეგოსი – მხედართმთავარი.

ბერკენი ისტორიკოსი ქსენოფონტე მაკრონებსა
და ბერკენებს შორის დიპლომატიური
მოლაპარაკების შესახებ (ძვ. წ. V ს.)^[5]

„აქედან ელინებმა მაკრონების (ქვეყანაზე)¹ სამ გადასასვლელად 10 ფარასანგი გაიარეს. პირველივე დღეს მივიდნენ მდინარესთან, რომელიც მაკრონების (ქვეყანას) სკვითინების (ქვეყნისაგან)² საზღვრავდა. მათგან მარჯვნივ და ზემოთ ძალიან მიუვალი ადგილი იყო, ხოლო მარცხნივ – მეორე მდინარე, რომელსაც სასაზღვრო ერთვოდა და რომელიც უნდა გადაელახათ. (მდინარის ნაპირი) მოდებული იყო არც თუ ისე მსხვილი, მაგრამ გაბარდნილი ხეებით. ელინებმა იქ მისვლისთანავე დაიწყეს (ხეების) ჩეხვა. (ისინი) ჩქარობდნენ, რომ რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ ამ მიდამოს, მაკრონები კი ბეწვის ქიტონებში, ხელში ფარებით და შუბებით (მდინარის) ფონის მოპირდაპირე მხარეს საბრძოლოდ დარაზმულიყვნენ, ერთიმეორეს ამხნეებდნენ და ისროდნენ ქვებს მდინარეში. მაგრამ (ქვები ელინებს) ვერ სწვდებოდა და ზიანსაც არავის არ აყენებდა.

ამ დროს ქსენოფონტეს მიუახლოვდა ერთ-ერთი პელტასტთაგანი,³ რომელიც ერთ დროს, როგორც თვითონ თქვა, ათენში მონად იყო ნამყოფი და უთხრა, რომ ამ ხალხის ენა მას ესმის. „მე ვფიქრობ, დასძინა მან, რომ ეს ჩემი სამშობლოა და, თუ საწინააღმდეგო არ არის რა, მე მსურს დაველაპარაკო მათ“. „არაფერია საწინააღმდეგო – უპასუხა (ქსენოფონტმა) – პირიქით, დაელაპარაკე და, უპირველეს ყოვლისა, გაიგე, ვინ არიან ისინი“. შეკითხვლებმა უპასუხეს, რომ მაკრონები არიან. „ჰკითხე ისევ – უთხრა (ქსენოფონტმა) – რად დარაზმულან საბრძოლოდ და რატომ სურთ, რომ ჩვენი მტრები იყვნენ“. მათ უპასუხეს: „იმის გამო, რომ თქვენ ჩვენს ქვეყანაზე ლაშქრობთ“. სტრატეგოსებმა უბრძანეს (პელტასტს), ეთქვა მაკრო-

¹ მაკრონები – ძველი ქართული ტომი, ბინადრობდა სამხრეთ კოლხეთში, ცხოვრობდნენ ტრაპიზონის რაიონში და მის აღმოსავლეთით.

² სკვითინები – ძველი ქართული ტომი, ბინადრობდნენ მდ. ჭოროხის დასავლეთით, ტრაპიზონის რაიონამდე.

³ პელტასტი – ქვეითი ჯარის მეომარი ძველ საბერძნეთში. პელტასტები შეიარაღებულნი იყვნენ მახვილებით, ტილოს ჯავშნებითა და მსუბუქი ტყავის ფარებით (პელტები).

ნებისათვის, რომ ისინი ცუდს არაფერს გააკეთებენ, რომ მათ მეფესთან იომეს, (ახლა) ელადაში ბრუნდებიან და ზღვისკენ¹ გასვლა სურთ.

ისინი შეეკითხნენ (ელინებს), მისცემენ თუ არა მათ (პირიანობის) საწინდარს. (ელინებმა) უპასუხეს, რომ მიცემაც სურთ (საწინდარისა) და მიღებაც. მაშინ მაკრონებმა ელინებს მისცეს ბარბაროსული შუბი, ზოლო ელინებმა მათ – ელინური. ეს, მათი სიტყვით, პირიანობის ნიშანი იყო. ამასთანავე, მოწმედ ღმერთებს უხმობდნენ.“

ლემონტი მროველი ფარნავაზის დიკლომატიური კონტაქტების შესახებ (ძვ. წ. IV-III სს. მიჯნა) ^[6]

„მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თვისი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს² მცხეთოსის³ ძისა, და ძმისწული სამარა მამასახლისისა, და არს ჩემთანა ხუასტაგი⁴ დიდძალი. აწ ინებო, რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენ თანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიკმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე. გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერისთავსა, და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“.

მაშინ განიხარა ქუჯი სიხარულითა დიდითა და რქუა: „აღდეგ და მოვედ ჩემ თანა, და ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, და ხუასტაგითა შენითა განგიძრავლნე სპანი შენნი, ვიდრე გამოუჩნდეთ მტერად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა აწყუედილთა მისგან და მიწყუდეულთა, და ვგონებ, რომელ ჰრომთა მათგანნიცა გამოგუერთნენ, რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნიცა აზონისაგან“.

მაშინ ფარნავაზ ფარულად წარვიდა სიხარულითა, და რომელი შესაძლებელ იყო განძისა მისგან, წარიტანა თანა, და დედაცა და დანი მისნი მის თანა, და მივიდა ქუჯის თანა და რქუა მას ქუჯი: „შენ ხარ შვილი თავთა მათ ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი. აწ ნუ შურობ ხუასტაგსა შენსა, რათა განვამრავლნეთ

¹ იგულისხმება შავი ზღვა.

² უფლოსი – ქართველთა ეთნარქი.

³ მცხეთოსი – ქართველთა ეთნარქი.

⁴ ხუასტაგი – საქონელი, ქონება (ძვ. ქართ.)

სპანი. და უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“.

მაშინ შეიერთნეს და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა, ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნდა ხარკისა მიცემა აზონისა. და გამოჰყვეს ოვსნი და ლეკნი, და განიმრავლნეს სპანი, ეგრისით შეკრბეს ურიცხუნი სპანი და მომართეს აზონს. ხოლო აზონმან მოუწოდა სპათა თუსთა და შემოკრიბნა.

მაშინ ათასი მხედარი რჩეული ჰრომთა მათგანი, რომელთა ბოროტი წაჰკიდებოდა აზონისაგან, განუდგეს აზონს და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა...

ამან ფარნავაზ წარავლინნა მოციქულნი წინაშე მეფისა ანტიოქოს ასურასტანისა,¹ და წარსცა ძლეუნი დიდძალი, და აღუთქუა მას მსახურება, და ითხოვა მისგან შეწევნა ბერძენთა ზედა. ხოლო ანტიოქოს შეიწყნარა ძლეუნი მისი, და უწოდა შეილად თუსად, და წარმოსცა გვრგვნი, და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდინ ფარნავაზს“.

ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი ქართლის სამეფოს სოციალური შენიების შესახებ (ძვ. წ. I ს.) ^[7]

„ამ ქვეყანაში ცხოვრობს 4 გვარის (ჯგუფის) ხალხი. ერთი გვარი ყველაზე მთავარია — მათგან ირჩევენ მეფეებს, ნათესაობითა და ასაკით უფროსებს. მნიშვნელობით მომდევნო პიროვნებაა უმაღლესი მოსამართლე და სარდალი. მეორე გვარი — ქურუმები, განაგებენ დანარჩენთა გარდა მეზობლებთან სადავო საკითხებს. მესამე გვარი შედგება მეომრებისა და მიწათმოქმედებისაგან. ბოლოს, მეოთხე — უბრალო ხალხი. ესენია სამეფო მონები...“

¹ აქ უნდა იგულისხმებოდეს სელევკიდების სახელმწიფოს დამაარსებელი სელევკოს I (ძვ. წ. 312-280 წწ.).

რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიოსი
კომპაუსის ქართლის სამეფოში ლაშქრობის
შესახებ (ძვ. წ. 65 წ.)¹⁸

„ასე მოქმედებდა მაშინ იგი, ხოლო მომდევნო წელს, ლუციუს კოტას და ლუციუს ტორკვატუსის კონსულობაში, მას ომი მოუხდა იბერებთანაც. მათთან ყოველგვარი მოლოდინის გარეშე უფრო ადრე მოუხდა შებმა. მათ მეფე არტოკეს¹ (ცხოვრობენ ისინი კირნოსის² ორივე ნაპირზე და ემეზობლებიან ერთი მხრით ალბანელებს³ და მეორე მხრით არმენიელებს) ემინოდა, რომ (პომპეუსი)⁴ მათ წინააღმდეგ წავიდოდა. ამიტომ მან გაუგზავნა ელჩები მეგობრობის (წინადადებით, თვითონ-კი) ემზადებოდა, რათა (მშვიდობაში) დარწმუნებულს მოულოდნელად თავს დასხმოდა. მაგრამ პომპეუსმა გაიგო ამის შესახებ და პირველი შეიჭრა მის ქვეყანაში... შეშინებულ არტოკეს სრულიად არ ჰქონდა დრო მომზადებულიყო ბრძოლისათვის. იგი გავიდა მდინარეზე და დასწვა ხიდი. ხოლო სიმაგრის დამცველები, მისი გაქცევისა და ბრძოლაში დამარცხების გამო, დანებდნენ. პომპეუსმა ამგვარად იგდო ხელთ ვიწრობები, ჩააყენა შიგ დარაჯები, დაიძრა იქიდან და დაიპყრო მდინარის გამოღმა მდებარე მთელი მხარე.

„როდესაც (პომპეუსი) უკვე კირნოსზე გადასვლას აპირებდა, არტოკემ გაგზავნა მასთან (ელჩები) ზავის თხოვნით და დაპირდა ნებაყოფლობით ხიდის (აშენებას) და სურსათის მიწოდებას. მან შეასრულა ორივე, რადგან სურდა დამორჩილებოდა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ პომპეუსი მდინარეზე გადმოვიდა, შეშინებული გაიქცა მდინარე პელორისაკენ,⁵ რომელიც აგრეთვე მის სამეფოში მოედინებოდა. ვისთვისაც შეეძლო გადმოსვლაში ხელი შეეშალა, იმას თვითვე შეუწყო ხელი და გაიქცა. როდესაც პომპეუსმა ეს

¹ არტოკე — იგულისხმება ქართლის მეფე არტაგი (ძვ. წ. I ს-ის 60-იანი წწ.).

² კირნოსი — მდ. მტკვარი.

³ ალბანელები — ალბანელები კავკასიისა, დასავლეთ კასპისპირეთის ბინადარი უძველესი ტომი, ალბანეთის სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობა.

⁴ პომპეუსი გნუს მაგნუს (ძვ. წ. 106-48 წწ.) — დიდი რომელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.

⁵ პელორი — მდ. არაგვი.

დანიხა, გაეკიდა მას, დაეწია და დაამარცხა: ვიდრე მისი მშვილ-
დოსნები თავის მოხერხებას გამოიყენებდნენ, (პომპეუსი) ეცა მათ და
უმაღლვე უკუაქცია. ამის მერე არტოკე გადავიდა პელორზე, დასწვა
ხიდი და გაიქცა, ხოლო მის მეომართაგან ზოგი ბრძოლაში დაიღუ-
პა, ზოგი მდინარეზე გადასვლისას. მაგრამ მრავალნი გაიფანტნენ
ტყეებში და რამდენიმე დღეს თავს იცავდნენ, ისრებს ისროდნენ რა
ხეებიდან, რომლებიც (იქ) ძალიან მაღალია. მაგრამ შემდეგ, როდესაც
ხეები გაკაფულ იქნა, ისინიც დაიღუპნენ. მაშინ არტოკემ კვლავ
მოლაპარაკება დაიწყო პომპეუსთან და ძღვენიც გამოგზავნა. პომპეუ-
სმა მიიღო ძღვენი, რათა ის (არტოკე) ზავზე დაიმედებული არ
წასულიყო სადმე უფრო შორს, მაგრამ დაზავებაზე უარს ეუბნებო-
და, სანამ ის წინასწარ არ გამოუგზავნიდა თავის შვილებს მძევლად.
(არტოკე) გარკვეულ ხანს აყოვნებდა, სანამ რომაელებმა არ ისარგე-
ბლეს იმით, რომ პელორი ზაფხულის გამო ამ ადგილას გადასასვ-
ლელი გახდა და ადვილად გადავიდნენ მასზე, მით უფრო, რომ
არავინ არ უშლიდა ხელს. აქ კი მან (არტოკემ) გამოუგზავნა
თავისი შვილები და ამის მერე დასდეს ზავი.“

რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი ქართლის მეფის ფარსმან I-ის მოღვაწეობის შესახებ (ახ. წ. I ს.)^[9]

„ახლა ვინაიდან აღმოსავლეთის ძალები დაქსაქსული იყო და ბუნ-
დოვანი ჩანდა, რომელი მხარე გაიმარჯვებდა, მითრიდატს¹ ხელსაყრე-
ლი შემთხვევა მიეცა არმენიის დასაპყრობად – რომაელთა სამხედრო
ძალით ხელთ იგდო მთის ციხე-სიმაგრეები, ხოლო იბერიელთა ჯარი
კი ბარად დათარეშობდა... ცოტაოდენი შეფერხება გამოიწვია მცირე
არმენიის მეფე კოტისმა, რომელსაც ზოგიერთი წარჩინებული მიუდგა.
მერმე ისიც დაემორჩილა კეისრის წერილს და მთელი (არმენია)
მითრიდატის ხელთ გადავიდა, რომელიც უფრო სასტიკად იქცეოდა,
ვიდრე ეს მის ახალ ხელისუფლებას შეშვენოდა...“

¹ მითრიდატე – ახ. წ. I ს-ის ქართველი უფლისწული, ქართლის მეფის ფარსმან I-ის ძმა.

„ამავე წელს არმენიელებსა და იბერებს შორის ამტყდარი ომი პართებს¹ და რომაელებს შორის სასტიკი განხეთქილების მიზეზიც გახდა... იბერებზე ფარსმანი² მეფობდა ძველთაგანვე, არმენიელები მის ძმას მითრიდატს ეყრა ჩვენი შეწვენიით. ფარსმანს ჰყავდა ძე, სახელად რადამისტი... იგი ისე გაცხარებით და ხშირად ლაპარაკობდა, მამის მოხუცებულობის წყალობით იბერია უმნიშვნელო სახელმწიფოდ რჩებაო, რომ გულის წადილის დაფარვას ვერ ახერხებდა. ამიტომ უკვე თავისი ხანშიშესულობით შეფიქრიანებულმა ფარსმანმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურნე და ხალხის მხარდაჭერით შეგულიანებულ ჭაბუკს სხვა იმედი შთააგონა და არმენიისაკენ მიუთითა, გაიხსენა რა, პართების გაძევების შემდგომ თვით მანვე რომ მისცა იგი მითრიდატეს. ოღონდ (შვილს ურჩია), ძალის ხმარებისაგან თავი შევიკავოთ, უფრო მზაკვრობა გამოვიყენოთ, რათა უდარდელად მყოფი (მითრიდატი) ანაზდეული (თავდასხმით) დავამარცხოთო. ამგვარად რადამისტი, რომელსაც ვითომდა მამასთან უთანხმოება მოუვიდა, რადგან დედინაცვლის სიძულვილს ველარ გაუძლო, ბიძას მიაშურებს. მითრიდატმა დიდი ალერსით მიიღო იგი, როგორც საკუთარი შვილი, ამან კი არმენიელთა წარჩინებულებს დაუწყო შეგულიანება სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად ისე, რომ მითრიდატმა არათუ ვერაფერი შეატყო, არამედ კიდევ უფრო მეტი პატივითაც ეპყრობოდა.

ვითომდა შერიგება მიანდო, რადამისტი მამასთან დაბრუნდა და აცნობა, რაც მზაკვრობით შეიძლებოდა გაკეთებულიყო, გაკეთებულია, დანარჩენი იარაღით უნდა აღსრულდესო. ამასობაში ფარსმანმა ომის საბაბიც მოიგონა – ალბანთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში რომაელებს დასახმარებლად რომ მოვუწოდებდი, ძმამ წინააღმდეგობა გამიწია და ამ წყენინებისათვის ვილაშქრებ მის დასარბევადო და, ამასთან ერთად, ვაჟიშვილს დიდი ლაშქარი მისცა. მისი ანაზდეული თავდასხმით შეშინებულმა და დაბლობიდან გაძევებულმა მითრიდატმა ციხე-სიმაგრე გორნეაში³ შეასწრო, ადგილმდებარეობით უშიშარ-

¹ პართია – სახელმწიფო ახლანდელი ირანის ტერიტორიაზე. არსებობდა ძვ. წ. 250-ახ. წ. 224 წწ.

² ფარსმანი – ქართლის მეფე ფარსმან I, მეფობდა ახ. წ. I ს-ის 40-60-იან წლებში.

³ გარნი (გორნეა) – ციხე-ქალაქი ძველ სომხეთში (ერევნის მახლობლად). სადაც მდებარეობდა სომხეთის მეფეების საზაფხულო რეზიდენცია.

სა და მეციხოვნე ჯარით დაცულში, რომელსაც პრეფექტი¹ ცელიუს პოლიონი და ცენტურიონი² კასპერიუსი სარდლობდნენ. ისე უბირნი არაფერში არიან ბარბაროსები, როგორც მანქანების საქმესა და ციხე-სიმაგრეთა ალების ოსტატობაში, ამიტომ რადამისტი ფუჭად და ზარალიანად ციხე-სიმაგრის ალების ცდის შემდგომ, ალყას შეუდგა და რაკი ძალით ვერა გააწყო რა, ანგარ პრეფექტს მოისყიდის, რომელსაც კასპერიუსი ეხვეწებოდა, ნურც მოკავშირე მეფეს და ნურც მისთვის რომაელი ხალხისაგან მინიჭებულ არმენიას ბოროტ-მოქმედებით ფულის გულისათვის ნუ დაღუპავო. დაბოლოს, ვინაიდან პოლიონი მტრის მრავალრიცხოვნებას, ხოლო რადამისტი კი მამის ბრძანებას იმიზეზებდნენ, კასპერიუსმა ზავი დადო, რათა თუ ფარს-მანი ომს ვერ გადაათქმევენებდა, სირიის გამგებელის უმიდიუს კვადრატუსისათვის მაინც შეეტყობინებინა, რა მდგომარეობაში იყო არმენია.

ცენტურიონის წასვლით თითქმის დარაჯისაგან გათავისუფლებულმა პრეფექტმა მითრიდატს დარწმუნება დაუწყო, ზავი დადეთ. თან მოაგონებდა მათ ძმურ ნათესაობას, ფარსმანის ხნით უფროსობას და სხვა ნათესაურ კავშირებს, მისი ასული რომ ცოლად ჰყავდა, აგრეთვე თვითონაც რომ რადამისტის სიმაძრი იყო. იბერებიც უარს არ ამბობენ ზავზე, თუმცა ამჟამად ისინი უფრო ძლიერები არიანო... განა უსისხლოდ საქმის გარიგება არ გირჩევნია იარაღის ძალით საქმის გადაწყვეტის საეჭვო ცდასაო? მითრიდატი ამაზე ყოყმანობდა და ეჭვით უყურებდა პრეფექტის რჩევას... ამასობაში კი კასპერიუსმა ფარსმანამდე მიადწია და მოსთხოვა, იბერიელებს ალყა მოეხსნათ. ფარსმანი საჯაროდ ბუნდოვნად და, უფრო ხშირად, ალერსიანად უპასუხებს, საიდუმლო შიკრიკებით კი რადამისტს აქეზებს, ყოველის ღონისძიებით დააჩქარე შეტევაო. სამარცხვინო საქმის საზღაური დიდდება და პოლიონი საიდუმლოდ მოისყიდის რა ჯარისკაცებს, აგულიანებს, რათა ზავი მოითხოვონ და დაემუქრონ, ციხე-სიმაგრის დაცვაზე ხელს ავილებთო. ამ (უკიდურესი) გასაჭირით (იძულებუ-

¹ პრეფექტი - ძველ რომში უმაღლესი თანამდებობის პირი არმიასა და სამოქალაქო სამსახურში.

² ცენტურიონი - ცენტურიის (ასულის) მეთაური.

ლი) მითრიდატი ხელშეკრულების დადების დღესა და ადგილს და-
თანხმდა და ციხე-სიმაგრედან გამოვიდა.

პირველად რადამისტი, ვითომდა პატივისცემით, გულმხურვალედ
მოეხვია მას – სიმაგრისა და მშობელს უწოდებდა. თან ეფიცებოდა,
არც მახვილს, არც შხამის ძალას არ გამოვიყენებ შენს წინააღმდეგო.
ამასთანავე იქვე ახლოს კორომში შეიტყუებს – ეუბნება, აქ შესაწირავი
მსხვერპლია გამზადებული, რათა ღმერთების წინაშე დავამტკიცოთ
ზავიო. მეფეთა ჩვეულება გახლავთ ხელშეკრულების დადების დროს
ყოველთვის მარჯვენა ხელები და მათი ცერები ერთმანეთს მიაღონ და
მაგრად შეჰკრან კვანძით, მერმე როცა სისხლი ფრჩხილებში მოაწვე-
ბათ, მსუბუქი ჩხვლეტით სისხლს დაიდენენ და ერთმანეთს აულოკავენ.
ასეთ კავშირს იღუმალი თვისება აქვს, თითქოს საერთო სისხლით
არის განმტკიცებული. მაგრამ მაშინ კაცი, რომელიც უკრავდათ (ხე-
ლებს), ვითომდა წაიქცა, მითრიდატს ფეხებზე მოეხვია და ისიც ძირს
დასცა. მაშინვე მოსცივდა კიდევ ბევრი ხალხი და ბორკილები დაადეს
მას. მერმე იგი ფეხებზე დადებული ჯაჭვით წაათრიეს, რაც დიდ
სირცხვილად ითვლებოდა ბარბაროსებში... უკან პატარა შვილებით
(გარშემორტყმული) მისი მეუღლე მისდევდა და იქაურობას ტირილით
იკლებდა. ისინი ცალ-ცალკე დახურულ ურმებში ჩასვეს, ვიდრე ფარს-
მანის ბრძანებას შეიტყობდნენ. ფარსმანს სამეფოს ხელში ჩაგდების
სურვილმა ძმა და ქალიშვილი (დაათმობინა) და გულში უკვე მზად
იყო ბოროტების (ჩადენისათვის). ის კი ივარაუდა, რომ ეს საქმე მის
თვალწინ არ მომხდარიყო და ისინი მის წინაშე არ დაეხოცათ. რად-
ამისტმაც, აქაოდა (დადებული) ფიცი მახსოვსო, (მართლაც) არც
მახვილი და არც შხამი არ იხმარა დისა და ბიძის წინააღმდეგ,
არამედ მიწაზე დააწვენინა ისინი და ზემოდან მრავალი მძიმე სამოსის
დაყრით მოაშთობინა. დახოცეს მითრიდატეს შვილებიც, რომლებიც
მშობლების დალუპვას ხმამაღლა ტიროდნენ.

ხოლო კვარატუსმა რომ შეიტყო, მითრიდატეს უღალატეს და
სამეფო ხელთ იგდეს მკვლელებმაო, საბჭო მოიწვია, მოახსენა მომხ-
დარი ამბები და რჩევა ჰკითხა, შური ვიძიოთ და დავსაჯოთ ისინი
თუ არაო. სახელმწიფოს სახელი და პატივი ცოტას აწუხებდა,
უმეტესობა მშვიდობის სასარგებლოდ მსჯელობდა: უცხოთა ყოველ

ბოროტმოქმედებას სიხარულით უნდა შევევებოთ. სიძულვილის თესლიც კი უნდა დავთესოთ, როგორც ხშირად რომის ხელმწიფენი იმავე არმენიას უხვი წყალობის სახით ბარბაროსთა შორის შუღლის ჩამოსაგდებად გადასცემდნენ ხოლმე. დაე, რადამისტი შეძლებული, სახელგატეხილი ფლობდეს ბოროტად მოპოვებულ ხვედრს. ვინაიდან ეს უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ვიდრე ის, რომ მას სახელიანად და დიდებით ჰქონდეს მიღებული (ძალაუფლება). ეს აზრი კიდევ მიიღეს. ოლონდ, რათა ამ ბოროტმოქმედების მოდასტურედ არ მიეჩნიათ ისინი, თანაც (იმ შემთხვევისათვის), თუ კეისარი სხვაგვარად გადაწყვეტდა (ამ საქმეს), ფარსმანს მოციქულები გაუგზავნეს, რომ იგი სომხეთიდან გასულიყო და შვილიც თან წაეყვანა.

ვინაიდან ვოლოგეზმა¹ მიიჩნია, რომ დადგა ხელსაყრელი შემთხვევა არმენიის დასაპყრობად, რომელიც მის წინაპრებს ეკუთვნოდა, ახლა კი უპატიოსნოდ ჩაეგდო ხელთ უცხო მეფეს, ამიტომ მან შეკრიბა ჯარი და ემზადებოდა ტახტზე თავისი ძმის, ტირიდატის დასასმელად, რათა მისი სახლის არც ერთი წევრი არ დარჩენილიყო სამეფოს გარეშე. პართების შემოჭრის შემდგომ იბერები უბრძოლველად იქნენ განდევნილი და სომხეთის ქალაქები არტაქსატი² და ტიგრანაკერტი³ დამორჩილდნენ. სასტიკმა ზამთარმა, სურსათის ნაკლებობამ და ორივე ამ მიზეზის გამო მოდებულმა სენმა ვოლოგეზი იძულებული გახდა თავი დაენებებინა ახლა ამ საქმისათვის. დაცარიელებული არმენია კი კვლავ რადამისტმა დაიპყრო, კიდევ უფრო გამძვინვარებულმა (არმენიელებზე), როგორც განდგომილებზე, რომელთაც თუ (ხელსაყრელი) დრო დაუდგებოდათ, კვლავ აჯანყდებოდნენ.

მართლაც, არმენიელებს, თუმცა მონობას ძალიან ნაჩვევთ, მოთმინების ფიალა აეესოთ და იარაღით შემოერტყნენ გარს მეფის სასახლეს.

რადამისტს ცხენების სისწრაფის გარდა სხვა არაფერი უშველიდა და ცოლითურთ კიდევ გაიქცა...

¹ ვოლოგეზი - პართიის მეფე ვალარშ I, რომელიც მეფობდა ახ. წ-ის I ს-ის შუახანებში.

² არტაქსატი - ქალაქი სომხეთში. დააარსა ძვ. წ. II ს-ის I ნახევარში მეფე არტაშეს I-მა იყო „დიდი არმენიის“ დედაქალაქი.

³ ტიგრანაკერტი - ძველი სომხეთის ქალაქი. დააარსა ძვ. წ. I ს-ში „დიდი არმენიის“ მეფემ ტიგრან II-ემ.

ფარასმანემ ხომ მოკლა ძეი რადამისტი, გამცემი ვითომ, რათა ამით დაედასტურებინა ჩვენდამი ერთგულება...“

იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა რომისა და ქართლის ურთიერთობის შესახებ
(ახ. წ. 75 წ.)^[10]

„თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე¹ სებასტოსმა, დიდმა ქურუმთმთავარმა, შვიდჯერ ტრიბუნის² ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ თვითმპყრობელად (არჩეულმა), ექვსჯერ უპატოსმა, მეშვიდეჯერ გამოცხადებულმა, სამშობლოს მამამ, ცენზორმა³ და თვითმპყრობელმა ტიტე კეისარმა,⁴ სებასტოსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ უპატოსმა, მეხუთედ გამოცხადებულმა, ცენზორმა და დომიციანე კეისარმა,⁵ სებასტოსის ძემ, სამჯერ უპატოსმა, მეოთხედ გამოცხადებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანისა და ამაზასპუჰის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს ეს კედლები გაუმაგრეს“.

რომაელი ისტორიკოსი დიონე კასიოსი ფარსმან II ძველის რომში ვიზიტის შესახებ
(II ს. I ნახ.)^[8]

„როცა ფარასმანე⁶ იბერიელი მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, (ანტონინე პიუსმა)⁷ გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო

¹ ვესპასიანე – რომის იმპერატორი ახ. წ. 69-79 წლებში.

² ტრიბუნი – თანამდებობის პირი ძველ რომში, რომელსაც ჰქონდა მაგისტრატებისა და სენატის გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლება.

³ ცენზორი – ძველ რომში ერთერთი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა. ცენზორს ევალებოდა ცენზის ჩატარება, ზნე-ჩვეულებათა ზედამხედველობა, სენატორებისა და მხედრების სიათა შედგენა და სახელმწიფო ფინანსების გაკონტროლება.

⁴ ტიტუსი – რომის იმპერატორი ახ. წ. 79-81 წლებში.

⁵ დომიციანე – რომის იმპერატორი ახ. წ. 81-96 წლებში.

⁶ ფარსმანი – ქართლის მეფე ფარსმან II ქველი, მეფობდა II ს-ის I ნახევარში.

⁷ ანტონინე პიუსი – რომის იმპერატორი 138-161 წლებში.

კაპიტოლიუმში¹ მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენილიონზე² დაადგმევინა და უყურებდა (ფარასმანეს), მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას“.

ლონტი მროველი მირიანის ქართლში გამეფების შესახებ (III ს. II ნახ.)¹⁶¹

„ამას ასფაგურს³ არა ესუა ძე, არამედ ასული ერთი. მაშინ შეკრბეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი მცხეთას ქალაქსა სპასპეტისა⁴ თანა, რომელსა ერქუა მაეჟან. ზრახვა ყვეს ერთბამად სავსეთა მწუხარებითა და თქუეს: „არა ვაუფლოთ გულთა ჩუენთა მწუხარება, რათა არა მიგუელოს გონიერება, გარნა ვიძიოთ ღონე ჭირთა და განსაცდელთა ჩუენთათვის“. მაშინ თქუა მაეჟან სპასპეტმან: „უკუეთუმცა იყო ჩუენ თანა ძალი ეზომი, ჩუენმცა მესამედთა სპარსთა შევესწორებოდეთ, დამცავსხენით თავნი ჩუენნი სიკვდილად და წინააღმდეგით მათ და თუმცა დარჩომილ იყო მკუდრი მეფისა ჩუენისა ანუ ნათესავი მეფეთა ჩუენთა, რომელიმცა ღირს იყო მეფობასა, დავდეგითმცა ციხე-ქალაქთა შინა, დავსხენითმცა თავნი ჩუენნი სიკუდილად და ვჭამეთმცა ხორცი კაცისა, ვითარცა პირველ მამათა ჩუენთა, არამედ მოწვენადსა ჟამსა ესრეთ მოუვლენია, რამეთუ მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხითისა, წაღებულ არს სომხითი, რომელსა ეკიდა სამეფო ჩუენი, და აღულია პირი მისი სპარსთა მეფესა შთანთქმად ყოვლისა ქუეყნისა. არავინ არს ჩუენ თანა წინააღმდეგომი მისი და დარჩომილ ვართ ჩუენ ობლად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა მივაგოთ წინა მეფესა სპარსთასა მორჩილება და ვითხოვოთ მისგან წყალობა და ვითხოვოთ მისგან ძე მისი მეფედ ჩუენდა, და ვევედრნეთ, რათა

¹ კაპიტოლიუმი — იუპიტერის ტაძარი ძველ რომში. მდებარეობდა კაპიტოლიუმის ბორცვზე (ერთ-ერთი იმ შვიდ ბორცვთაგანი, სადაც გაშენდა ძველი რომი).

² ენილიონი — მარსის (ომის ღვთაება) ტაძარი ძველ რომში.

³ ასფაგური — ქართლის მეფე III ს-ის შუახანებში.

⁴ სპასპეტი — უმაღლესი თანამდებობის პირი (მეფის შემდეგ) ქართლის სამეფოში. განაგებდა შიდა ქართლის ადმინისტრაციულ ერთეულს („სპასპეტოს“).

შერთოს ძესა მისსა ასული მეფისა ჩუენისა ასფაგურისი. ვაუწყოთ ქალისა მის ნათესაობა ქართლოსიანთა და ნებროთიანთა და დიდებულთა არშაკუნიანთა და მეფეთა ჩუენთა ფარნავაზიანთა, და ვითხოვოთ მისგან დამჭირვა სჯულისა ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვოთ ჩუენ თანა არა აღრევა სპარსთა და წარჩინებულად ჰყრობა ჩუენი. ნუ უკუე შეიწყნაროს ვედრება ესე ჩუენი, და ყოს ესე ყოველი ჩუენ ზედა და უკუე სჯულსა მამათა ჩუენთასა მიგვიღებდეს, და ჩუენ ზედა სპარსთა წარჩინებულ ჰყოფდეს, და ნათესავსა მეფეთა ჩუენთასა მოსწყუედდეს, მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თავთა ჩუენთათჳს, ვიდრე მონახვასა ესევეითარისასა. დავსხნეთ თავნი ჩუენნი ციხეთა და ქალაქთა შინა და მოვსწყუედთ ყოველნი“.

მაშინ დაემოწმნეს ყოველნი ერისთავნი ზრახვასა მაეჟან სპასპეტისასა, და წარგზავნეს მოციქული წინაშე სპარსთა მეფისა, და მოახსენეს ესე ყოველი, რომელი განეზრახა.

ხოლო გამოიკითხა სპარსთა მეფემან პირველად ქალაქისა მცხეთისა, და უთხრეს სივრცე და სიმაგრე მისი და მახლობელობა ზაზართა და ოვსთა. და კუალად გამოიკითხა გუარნათესაობა ასფაგურის ასულისა, და უთხრეს ნათესაობა ნებროთიანთა და არშაკუნიანთა და ფარნავაზიანთა. კეთილად სთნდა სპარსთა მეფესა, და შეიწყნარა ვედრება ქართველთა. რამეთუ თვითცა უკეთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა¹ და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობელად ჩრდილოთა მტერთა, რათა ჰბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა. აღუსრულა ყოველი იგი სათხოველი ქართველთა, და მისცა ყოველსა ზედა ფიცი და აღთქმა. და მოვიდა მცხეთას და მიეგება მაეჟან სპასპეტი და ყოველნი ერისთავნი ქართლისანი. მაშინ მოიყვანეს ასული ასფაგურ მეფისა სამშვილდით,² რომელსა ერქუა აბეშურა, და შერთო იგი სპარსთა მეფემან ძესა თჳსსა, რომელი მუნ თანა ჰყვა

¹ რანი — ამიერკავკასიის ძველი პროვინციის სახელწოდება. მოიცავდა თანამედროვე აზერბაიჯანის და საქართველოს ნაწილს.

² სამშვილდე — ძველი ქალაქი ქვემო ქართლში. წარმოადგენდა სამშვილდის საერისთავოს ცენტრს.

შუღისა წლისა, ნაშობი მკეველისა, რომელსა ერქუა სპარსულად მიჰრან, ხოლო ქართულად მირიან. ესე მირიან იგი არს, რომელმან ჟამსა სიბერისა მისისა იცნა ღმერთი დამბადებელი, და შეიწყნარა სახარება მოციქულთა წმიდისა ნინოს მიერ. და იქმნა აღმსარებელ წმიდისა სამებისა და თაყუანისმცემელ ჯუარისა პატიოსნისა...

ხოლო იქმნა რა მირიან თხუთმეტისა წლისა, მოუკუდა ცოლი, ასული ქართველთა მეფისა, და ამას ზედა დაესრულა ქართლსა შინა მეფობა და დედოფლობა ფარნავაზიანთა მეფეთა. მაშინ შეწუხდეს ყოველნი ქართველნი სიკედელსა ზედა დედოფლისა მათისასა, არამედ დაადგრეს ერთგულებასა ზედა მირიანისსა, რამეთუ არღარა ვინ იყო ყოვლადვე ნათესავი ფარნავაზიანთა, რომელიმცა ღირს იყო მეფობასა ქართველთასა. და ესრეთ შეიტკბეს ამის მიზეზისათჳს მეფობა მირიანისი.

ხოლო მირიან მეფემან ჰმატა კეთილსა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლილოტოსისი, სახელით ნანა“.

თ ა ზ ი I I

ქართლისა და ეგრისის სამეფოების საბარეო პოლიტიკა და დიპლომატია ახ. წ-ის IV-V საუკუნეებში

ლეონტი მროველი ქართლის გაქრისტიანებისა
და რომის იმპერატორ კონსტანტინე I-თან
დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ
(IV ს. I ნახ.)¹⁾

„დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა იელისსა ოცსა, დღესა შაბათსა, განვიდა მეფე ნადირობად მუხნართ-კერძო, და მოუქდა უჩინო იგი მტერი, ეშმაკი, და შთაუგდო გულსა სიყუარული კერპთა და ცეცხლისა; და იგონებდა ყოველსა მსახურებასა მათსა და მახვლითა მოწყუედასა ყოველთა ქრისტიანეთასა. და რქუა მეფემან ოთხთა თანამზრახველთა მისთა: „ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტის ყოფასა, რამეთუ უდებ ვიქმნენით მსახურებასა მათსა და მიუშუთ ჩუენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად სჯულსა მათსა ქუეყანისა ჩუენსა: რამეთუ გრძნებითა ჰყოფენ საკვრველებათა მათ. აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რათა ბოროტად მოვსრნეთ ყოველნი მოსაენი ჯუარცმულისანი და უმეტეს შეუდგეთ მსახურებასა ღმერთთა მათ მპყრობელთა ქართლისათა; ვამზილოთ ნანას, ცოლსა ჩემსა, შენანება და დატეობა სჯულსა ჯუარცმულისასა, და თუ არა მერჩდეს, დავივიწყო სიყუარული მისი და სხუათავე თანა წარეწყმიდო იგიცა“. და დაუმტკიცეს განზრახვა მისი თანამზრახველთა მათ, რამეთუ მკურვალედ იყვნეს იგინი საქმესა ამას, და ნებვიდა პირველთგან და ვერ იკადრებდეს განცხადებად.

ხოლო მეფემან მოვლო ყოველი სანახები მუხნარისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა¹ მაღალსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლისციხედ. განვიდა თხემსა მთისასა. შუა-სამხრისა ოდენ დაბნელდა მზე მთასა ზედა და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი, უკუნი, და

¹ თხოთის მთა — მთა შიდა ქართლში, მცხეთის მახლობლად.

დაიპყრნა ბნელმან არენი და ადგილნი. და განიბნივნეს ურთიერთს ჭირისაგან და ურვისა.

და დაშთა მეფე მარტო, და იარებოდა მათა და მალნართა შემინებული და შეძრწუნებული. დადგა ერთსა ადგილსა და წარეწირა სასოება ცხოვრებისა მისისა. და ვითარცა მოეგო თავსა თვსსა ცნობასა, და განიზრახვიდა ესრეთ გულსა თვსსა: „აჰა ესერა, ვხადე ღმერთთა ჩემთა და არა ვპოვე ჩემ ზედა ღზინება. აწ, რომელსა-იგი ქადაგებს ნინო ჯუარსა და ჯუარცმულსა და ჰყოფს კურნებასა, მისითა მოსავობითა, არამცა ძალ ედგაა ქსნა ჩემი ამის ჭირისაგან? რამეთუ ვარ მე ცოცხლივ ჯოჯობხეთსა შინა და არა უწყვი, თუ ყოვლისა ქუეყანისათვს იქმნა დაქცევა ესე, ანუ თუ ჩემთვის ოდენ იქმნა. აწ, თუ ოდენ ჩემთვის არს ჭირი ესე, ღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და მიჩუენე საყოფელი ჩემი; და აღვიარო სახელი შენი, და აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყუანის-ვცე მას და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა, და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა“.

ესე ყოველი რა წართქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე. და გარდაქდა მეფე ცხენისაგან, დადგა მასვე ადგილსა, განიპყრნა კელნი აღმოსავლით ცად მიმართ და თქუა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვს; და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან, ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიქსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. აჰა ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა ქსნა ჩემი, ღზინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო. ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯუარისა, რომლითა იდიდებოდის სახელი შენი და იქსენებოდის საქმე ესე სასწაული უკუნისამდე“. და დაისწავა ადგილი იგი და წარმოემართა. იხილეს ნათელი და მოერთო ერი განბნეული. ხოლო მეფე ღაღადებდა: „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დიდება, რამეთუ იგი არს საუკუნითგან ღმერთი და მას მხოლოსა შუენის დიდება უკუნისამდე“.

ხოლო ნანა დედოფალი და ყოველი ერი განვიდა მიგებებად მეფისა. რამეთუ ესმა პირველ წარწყმედა და კუალად მოსლვა მშუ-

დობით, და მიეგებოდეს ქინძარას და ღართას.¹ ხოლო ნეტარი ნინო დადგომილ იყო ლოცვასა მწუხრისასა მაყულოვანსა² მას შინა, ჩუეულებისაებრ მისისა, ჟამსა თვისსა, და ჩუენ მის თანა ორმოცდაათი სული. და ვითარცა მოვიდა მეფე, იძრვოდა ქალაქი, და კმითა მალლითა დაღადებდა მეფე: „სადა არს დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედა ჩემი და ღმერთი მისი მქსნელი ჩემი“. და ვითარცა რქუეს, თუ: „აქა მაყულოვანსა არს და ილოცავს“, მოვიდა თუთ მეფე და ყოველი იგი ლაშქარი, გარდაჲდა მეფე ცხენისაგან და ეტყოდა ნინოს: „აწ ღირს ვარ სახელის-დებად სახელსა ღმრთისა შენისასა და მქსნელისა ჩემისასა“. ხოლო წმიდა ნინო ასწავებდა და ეტყოდა მსწრაფლ თაყუანისცემად აღმოსავალით და აღსარებად ქრისტეს ძისა ღმრთისა.

მაშინ იყო გრგუნვა და ტირილი ყოვლისა კაცისა, ოდეს ზეღვიდეს მეფესა და დედოფალსა ცრემლოვანთა. და ზეალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კოსტანტინე ბერძენთ მეფისა³ და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა⁴ წინაშე. და აუწყეს ესე ყოველი სასწაული ქრისტეს-მიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა მირიან მეფესა ზედა, და ითხოვნეს მოსწრაფებით მღდელნი ნათლისღებისათუს. ხოლო წმიდა ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა მას ზედა დღე და ღამე დაუცხრომელად, და უჩუენებდეს გზასა ჭეშმარიტსა სასუფეველისასა...

და ვითარცა მიიწივნეს მოციქულნი მირიან მეფისანი კოსტანტინე ბერძენთა მეფესა წინაშე, და მიუთხრეს ყოველი, რაცა იქმნა. მაშინ აღივსო სიხარულითა მეფე და დედა მისი ელენე დედოფალი: პირველად ამისთუს, რამეთუ მადლი ღმრთისა მიეფინებოდა ყოველთა ადგილთა და ქელსა ქუეშე მათსა ნათელს იღებდა ყოველი ქართლი. შემდგომად ამისთუს განმზიარულდეს, რამეთუ დაიდასტურეს მირიან მეფისაგან სრულიად მოწყუედა სპარსთა და მტკიცედ მიღება

¹ ქინძარა და ღართა – ადგილები „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე.

² მაყულოვანი, მაყულოვანი – ადგილი ძველ მცხეთაში (თანამედროვე სამთავროს დედათა მონასტრის ტერიტორიაზე).

³ კოსტანტინე I დიდი – რომის იმპერატორი 306-337 წლებში. მის სახელთანაა დაკავშირებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება რომის იმპერიაში.

⁴ ელენე დედოფალი – რომის იმპერიის დედოფალი, კოსტანტინე I დიდის დედა.

სიყუარულისა მათისა. და აღიდებდეს და კმადლობდეს ღმერთსა. და წარმოგზავნა მღდელი ჭეშმარიტი იოვანე ეპისკოპოსად,¹ და მის თანა მღდელნი ორნი და დიაკონნი სამნი. და მოუწერა მირიანს კოსტანტინე მეფემან წიგნი ლოცვისა და კურთხევისა ღმრთისა მადლობისა. და წარმოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვრისა, და მის თანა ნიჭი დიდი. და ელენე დედოფალმან მოუწერა წიგნი ქებისა და ნუგეშინისცემისა.

მოიწია იოვანე ეპისკოპოსი და მის თანა მღდელნი და დიაკონნი და მოციქულნი მცხეთად, და აღივსნეს სიხარულითა მეფე და დედოფალი და ყოველი ერი მათი, რამეთუ სურვიელ იყვნეს ყოველნივე ნათლისღებისათჳს. მაშინ მსწრაფლ გაგზავნა ბრძანება მირიან მეფემან ყოველთა თანა ერისთავთა, სპასალართ² და ყოველთა პირთა სამეფოსათა მოწოდებად წინაშე მისსა; და მსწრაფლ მოიწივნეს ყოველნი ქალაქად.

მაშინ ნათელ-ილო მეფემან კელსა ქუეშე წმიდისა ნინოსსა, და შემდგომად დედოფალმან და შვილთა მათთა კელსა ქუეშე მათ მღდელთა და დიაკონთასა. და შემდგომად ამისსა აკურთხეს მდინარე მტკუარი, და ეპისკოპოსმან შემზადა ადგილი ერთი, მიწურვით კიდისა კარსა მოგუეთისასა, სადა ყოფილ იყო სახლი ელიოზ მღდელისა, და მუნ ნათელს-ცემდა წარჩინებულთა თუთოსა. და ეწოდა ადგილსა მას მთავართა სანათლო. ხოლო ქუემოთ მისსა, მდინარისავე პირსა, ორგან, ორნი იგი მღდელნი და დიაკონნი ნათელს-ცემდეს ერსა. და მიატყდებოდა ერი იგი ურთიერთს მოსწრაფებით და ევედრებოდეს მღდელთა, რათა პირველად მას ვისმე ნათელს-ცეს. და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლისღებისათჳს, რამეთუ ესმინა ქადაგება წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყუნ: „ყოველმან რომელმან არა ნათელ-ილოს, არა პოვოს მან ნათელი საუკუნო“. და ამისთჳს მოსწრაფე იყვნეს ნათლისღებად ყოველნი იგი. და ესრეთ სახედ ნათელ-ილეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისამან, თუნიერ ხოლო არა ნათელ-ილეს მთიულთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე. და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ-ილეს, გარნა ბარბიანთა ნათელ-

¹ იოვანე — ქართლის პირველი მთავარეპისკოპოსი (IV ს. I ნახ.).

² სპასალარი — სამხედრო უწყების მოხელე ძველ საქართველოში.

იღეს ორმოცდაათმან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ. ამისთვისცა დიდ იქმნეს იგინი წინაშე მეფისა; და მიუბოძა მათ დაბა, რომელსა ჰქვან ციხე-დიდი.¹ არამედ არა ნათელ-ილო ფეროზ, სიძემან მირიან მეფისამან, რომელსა ჰქონდა რანი ბარდავამდინ² მიცემულად მირიან მეფისაგან; არცა ერმან მისმან ნათელ-ილო, არამედ კორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფესა.

მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოვანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კოსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა,³ რომელი მას ოდენ ჟამსა გამოეჩინა ღმრთისმოყუარესა ელენე დედოფალსა. და ითხოვნა მღვდელნი მრავალნი, რათა განავლინნეს ყოველთა ქალაქთა და ადგილთა და ნათელს-ცემდენ ერსა, რათა მსწრაფლ ნათელ-ილოს ყოველმან სულმან ქართლისამან. და ითხოვნა ქვით-ხურონი აღშენებისათჳს ეკლესიათა.

ვითარ მიიწივნეს წინაშე კოსტანტინე კეისრისა, სიხარულით მონიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერკნი დამსჭუალულ იყვნეს უფლისანი და სამსჭუალნი ქელთანი. და წარმოგზავნა მღვდელნი და ხურონი ფრად მრავალნი: რამეთუ კოსტანტინე მეფემან მეფობასა შინა მისსა აღაშენა წმიდა ეკლესია, ტაძარი ღმრთისა ხუთასი. და მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადაცა ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა, აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა; და ნიჭნი ესე დაამკვდრენ ქალაქთა ქართლისათა“.

და წარმოვიდა ეპისკოპოსი და მის თანა მოციქული. და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქვან ერუშეთი,⁴ და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა: დაუტევნა განძი და სამსჭუალნი უფლისანი და წარმოვიდა. და დაუტევნა წუნდას⁵ ხურონი და განძი და, რაჟამს

¹ ციხე-დიდი – ისტორიული ციხე-სიმაგრე ძველ საქართველოში (ახლანდელი სოფელი ძეგვისა და მარტაზისხევს შორის).

² ბარდავი – ძველი ქალაქი ამიერკავკასიაში, მღებარეობდა თანამედროვე ყარაბაღის ტერიტორიაზე (აზერბაიჯანი).

³ ძელი ცხოვრებისა, ძელიცხოველი – ნაწილი იმ ჯერისა, რომელზეც აწამეს იესო ქრისტე.

⁴ ერუშეთი – პროინცია სამხრეთ საქართველოში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე).

⁵ წუნდა – ძველი ქალაქი ჯავახეთში, წუნდის საერისთავოს ცენტრი.

ეწყო ოდენ ეკლესიასა, წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს, და იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი.

მაშინ შეწუხნა მირიან მეფე ამისთჳს, რამეთუ პირველ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხუათა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევენს ნაწილნი. ხოლო მოვიდა წმიდანინო წინაშე მეფისა და რქუა: „ნუ სწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს: სადაცა მოვიდოდინ, დასთესვიდენ სახელსა ღმრთისასა. ხოლო არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი დიდებული უფლისა.

მაშინ მოიყვანა მეფემან აბიათარ მღვდელი და მის თანა ჰურიანი მრავალნი, და გამოიკითხა მათგან კუართისა მისთჳს. ხოლო მათ მიუთხრეს ყოველი, რომელი ზემო წერილ არს. მაშინ აღიპყრნა კელნი მირიან მეფემან და თქუა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო; რამეთუ პირველითგანვე გინდა ესნა ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა. ამისთჳს სამოსელი იგი შენი წმიდა წარმოეც წმიდით ქალაქით იერუსალემით ებრაელთა მათ, ღმრთეებისა შენისაგან უცხო-ქმნილთა, და მომეც ჩუენ უცხოთა ნათესავთაგან“.

და წარემართა მეფე და ყოველი ქალაქი მტკიცედ ქრისტიანობასა. იწყეს ხუროთა შენებად ეკლესიისა გარეგნივ ზღუდესა, მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსსა, სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო. მაშინ თქუა წმიდამან ნინო: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი იესო ქრისტე და მამა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, რომელმან მოავლინა სიტყუა მისი წმიდა ზეცითგან მაღალთათ, თუთ ძლიერისაგან საყდრისა გარდამოსრული ქუეყანად მდაბლად, შობილი უეჭუელად თესლისაგან დავეითისა, დედაკაცისაგან მარტოდ შობილისა, წმიდისა და უბიწოსა; რომელი სათნო ეყო მას მიზეზითა, მიზეზი ცხოვრებისა ჩუენისა, რომელმან ცასა ქუეშე ყოველივე განანათლა და მორწმუნენი აცხოვნნა; რომელი იშვა ვითარცა კაცი, ნათელი ყოველთა, ხატი ღმრთისა მამისა, და ვითარცა მსახურმან ვინმე სჯულისამან ნათელ-ილო წყლისაგან და სულისა, ჯუარს ეცუა, დაეფლა და აღდგა მესამესა დღესა, და აღჲდა სიმაღლესა მამისა თანა, და კუალად მოვალს დიდებით; რომელსა შუენის ყოველივე დიდება, პატივი და თაყუანისცემა თანა მამით და სულით წმიდით“.

ლეონტი მროველი ქართლის სამეფოსა და
სასანიდურ ირანს შორის ურთიერთობის
შესახებ (IV ს. II ნახ.)¹⁶

„ესე ვარაზ-ბაქარ¹ მეფე იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულილისა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა. და ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა; არა სადა აღაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა, და ყოველითავე იქცეოდა უსჯულოდ.

ამის-ზე გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა. და წარჩინებულნი თუსნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთასა. არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თუსთა. რამეთუ იყო იგი ჩუკენი და მოშიში: უკუჯდა იგი ქევსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე კიდარს, და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი.

და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოკრეს სომხითი, და შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად. მაშინ ვარაზ-ბაქარ ეზრახა შვერდომით და ითხოვა მშუდობა. ხოლო ერისთავმან სპარსთამან რქუა მას: „პირველად მომეც რანი და მოვაკანი,² რამეთუ საზღვართა სპარსეთისაგანთა არს, და მათი არს, რომელნი სრულიად შვილნი არიან სპარსთა მეფეთანი და სხენან საყდართა მამათა მათთასა; და თქუენდა კმა არს ქართლი, რომელნი ნაშობნი ხართ მკეველისანი. გაქუნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუასროვანთა“.

¹ ვარაზ-ბაქარი, ვარაზ-ბაკური — ქართლის მეფე IV-ის II ნახევარში.

² მოვაკანი — პროინცია ამიერკავკასიაში, აღბანეთის სამეფოში (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე).

მაშინ ვარაზ-ბაქარ ვერღარა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი, და განუკუეთა ხარკი, ხოლო ერისთავ-მან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წარვიდა. და მიერი-თ-გან იქმნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი.“

გუანდუმი ვახტანგ ბორგასლის გამეფებისა და სასანიდურ ირანთან ქართლის სამეფოს ურთიერთობის შესახებ (V ს. I ნახ.)^[1]

„მაშინ საგდუხტ დედოფალმან, შეწუხებულმან მამისა მისისა ბარზაბოდისაგან

„ნუ უკუე შური იგოს მამამან ჩემმან ნაქმრისათუხ მამამთილისა და ქმრისა ჩემისა, რომელ ეგეოდენნი ბოროტნი მოეწივნეს მის ზედა, და ნუ უკუე შური იგოს ჩემ ზედა დატოვებისათუხ სჯულისა, და წარწყმიდოს შვილი ჩემი, განრყუნას ქართლი და სჯული ქრისტესი წარწყმიდოს“ – ესე ყოველი მოიგონა და შთავარდა მწუხარებასა შინა დიდსა. ევედრებოდა ღმერთსა და განიზრახა წარსვლა წინაშე მამისა მისისა და შევრდომა მისი. მოიყვანნა ყოველნი ერისთავნი სპასპეტისა თანა, და ცრემლითა სიმწრისათა შევედრა ძე მისი სპას-პეტსა და ყოველთა ერისთავთა.

და წარვიდა ბარდავს მამისა თვისისა თანა. განილო თავი, და უყარნა მუკლნი, და აღმოყარნა ძუძუნი მისნი, დავარდა პირსა ზედა და დადვა პირი თუსი ფერქთა მისთა ზედა, დაალტობდა ფერქთა მამისა თუსისათა ცრემლითა და ითხოვდა მისგან შეწყალებასა და არა კსენებასა საქმართა მამამთილისა და ქმრისა მისისათა, და შენდობასა დატევებისათუხ სჯულისა. და ევედრებოდა, რათა არ აიძულოს დატევება ქრისტეს სჯულისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი. და ევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა, და მოურავ ექმნეს იგი სპარსთა მეფესა წინაშე.

მაშინ ბარზაბოდ, განმზადებულმან ბოროტის ყოფად ქართველთათუხ, შეიწყალა ასული თუსი: არა აიძულა დატევება სჯულისა, და აღასრულა ყოველი თხოვა მისი. ხოლო სჯულისათუხ ესრეთ რქუა: „იძულებით არცა-ვის ქართველსა სხუასა დაგაგდებინებ სჯულსა

ქრისტესსა, არამედ მივგზავნენ ცეცხლის-მსახურნი ქალაქსა თქუენსა და იყვნენ მუნა ეპისკოპოსნი მათ ზედა სჯულისა ჩუენისანი. და ვინცა ქართველი ნებითა თჳსითა აღირჩევდეს სჯულსა ჩუენსა, ნუ აყენებთ“.მაშინ საგდუხტ ერჩდა მამასა თჳსსა შიშისაგან დიდისა, და აღუთქუა მინდობითა ღმრთისათა, და წარმოვიდა ქართლად. მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას. და საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თჳსისათა. და მოკულა ბარზაბოდ, მამა სადუხტისა, და მის წილ დაადგინა სპარსთა მეფემან ძევე მისი ვარაზ-ბაკურ, ძმა საგდუხტ დედოფლისა, და მოკულა საურმაგ სპასპეტი, მამამძუქე¹ ვახტანგისი.

მაშინ მეფემან დაადგინა სხვა სპასპეტი, რომელსა ერქუა ჯუანშერ. ხოლო ბინქარან, ეპისკოპოსი ცეცხლის-მსახურთა, ასწავებდა ქართველთა სჯულსა თჳსსა, არამედ არავინ ერჩდა წარჩინებულთაგანი, გარნა წურილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლისმსახურება.“

სომეხი ისტორიკოსი ლაზარე შარკაცი ირანის შაჰის კარზე ამიერკავკასიელი დიდებულების პიზიტის შესახებ (449 წ.)^[12]

„ამათ წერილი მისწერეს შაჰს, რომელშიც უარს აცხადებდნენ მიელოთ ცეცხლთაყვანისმცემლობა. შაჰმა მოიწვია სპარსეთის დიდებულები და განიხილა სომეხთა წერილი.

როდესაც მეფე იაზკერტმა² მოისმინა ყოველივე ეს მოგვებისა³ და (თავისი) კარის ავაგებისაგან, რისხვით აღივსო და ბრძანა მაშინვე მიეწერათ წერილი სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ქვეყნებში. ბრძანა დაეწერათ სამივე წერილში, რომ სამივე ქვეყნის ყველა ტანუტერი⁴ და უხუცესი სეპუჰი⁵ საჩქაროდ და დაუბრკოლედ

¹ მამამძუქე - უფლისწულის აღმზრდელი ძველ საქართველოში.

² იაზკერტი - სასანიდური ირანის შაჰი იეზდიგერდ II (438-457 წწ.).

³ მოგვი - ზორაოსტრული (მაზდეანური) რელიგიის კულტის მსახური.

⁴ ტანუტერი - თანამდებობის პირი ფეოდალურ სომხეთში.

⁵ სეპუჰი - თანამდებობის პირი ძველ სომხეთში.

ბლივ მისულიყო (მის) კარზე... ეს წერილები მივიდა სამივე ქვეყანაში, სომხეთსა, ქართლსა და ალბანეთში. როდესაც იქ წაიკითხეს და ესმათ, რომ ასე იძულებით მოუწოდებდა ყველას თავისთან, მაშინვე მიხვდნენ ამ საქმის მიზეზს: რომ არა მშვიდობიანობით, არამედ სულთა დასაღუპავად იყო ეს ძალდატანებითი მიწვევა. ისინი მიეცნენ ჭმუნვასა და ღელვას, ღმრთის იმედილა დარჩათ და მიენდვნენ მას.

ამის შემდეგ სამივე ქვეყანამ ერთმანეთს მოციქულები გაუგზავნა, ალექსანდროს და სხვების მრავალი ფიცით განამტკიცა. ისინი ასე მსჯელობდნენ, რომ არ წავიდეთ, აჯანყებად ჩაგვითვლიანო, მაგრამ წასვლასაც ყოყმანობდნენ შემოფოთებულნი. მაინც უმჯობესად მიანდნათ წასვლა და ამ საქმიდან გამოსავლის შემწედ ღმერთს მოუწოდებდნენ...

ასე ალექსანდროს და ფიცით გაერთიანებული სამივე ქვეყანა, სომხეთი, ქართლი და ალბანეთი, წავიდა სამეფო კარზე.

აი ისინი, ვინც სომეხ დიდ-დიდ ავაგათაგან მაშინ გზას დაადგნენ და გაემგზავრნენ: სივნიელთა გვარიდან სივნიელთა უფალი ვასაკი, რომელიც იმ დროს სომხეთის მარზპანი იყო, არწრუნთა გვარიდან ნერშაპუკი, რმტუნთა გვარიდან არტაკი, ხორხორუნთა გვარიდან გაღიშო, მამიკონიანთა გვარიდან ვარდანი, სომეხთა სპარაპეტი და მამიკონიანთა უფალი, მოკთა გვარიდან არტაკი, აპაქუნთა გვარიდან მანეჭი, ამატუნთა გვარიდან ვაპანი, ვაპეკუნთა გვარიდან გიუტი, ანბეველთა გვარიდან შმაკონი; ხოლო ქართველთა ქვეყნიდან ბღეშხი აშუმა¹ და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები.

როდესაც ყველა ესენი კარზე მივიდნენ, ჯერ წარუდგნენ სამეფო კარის დიდებულებს, შემდეგ კი მეფე იაზკერტს. სპარსთა მეფე იაზკერტმა ბრძანა, რომ მეორე ღღეს სამეფო კარის ყველა ავაგი გამოჩინილ მოგებთან ერთად მის წინაშე ყოფილიყო კარავში. მეორე ღღეს მათ აასრულეს მეფის თქმული.

შემდეგ მან ბრძანა მის წინაშე მიეყვანათ სომხეთიდან, ქართლიდან და ალბანეთიდან ერთად მისულნი...

როდესაც სამივე ქვეყნის, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის... აზატებმა... იხილეს მეფის სასტიკი გულისწყრომა, მიუგეს და უთხრეს:

¹ არშუმა - ქუმი ქართლის პიტახში V ს-ის I ნახევარში, ვარსკენ პიტახში მამა.

„მოგვიტეოს მეფემ რამდენიმე დღე, რათა მოვეთათბიროთ ერთმანეთს და გიპასუხოთ მტკიცედ და შეთანხმებულად. რადგანაც ჩვენი ეს პასუხი შეეხება სულთა არჩევის ძიებას და მასში იქნება სულთა საუკუნო მოპოვება, ან წარწყმედა. და საჭირო არაა ასეთ დიდ საკითხზე თქვენს წინაშე სიტყვის გება აჩქარებითა და განხილვის გარეშე, რადგანაც ჩვენგან მოითხოვთ ჩვენი უძველესისა და შერყეული მშობლიური აღსარების დანგრევას და ძალას გვატანთ თავს ვიდვათ რჯული, რომელიც არც ჩვენ და არც ჩვენ მამებს მიგვიღია და გვეყარებია“. მეფემ და ყველა ავაგმა დაიჯერეს, დაეთანხმნენ ამ სიტყვას, მიანიჭეს მათ ნათხოვნი დრო და დაითხოვეს ეს კრებული.

მაშინ სამივე ქვეყნის, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის, ყველა ნახარარი¹ ერთ ადგილას შეიკრიბა, ყოყმანობდა და ბჭობდა, თუ რა საშუალებით და მოფიქრებით მოეძებნათ გამოსავალი ამ საქმიდან. მცირე დღეთა განმავლობაში ბევრი იფიქრეს და იმსჯელეს და დროებით იმ აზრზე შეთანხმდნენ და განმტკიცდნენ, რომ „გადარჩენის არავითარი სხვა ღონე არ გაგვანჩია იმ მახისაგან, რომელიც დაგვიგო ბოროტმა მონადირე სატანამ და რომელშიც გაგვება, გარდა იმისა, რომ დროებით, გარეგნულად თავს ვიდვათ მათი ბრძანება. შემდეგ წავიდეთ ჩვენ-ჩვენ ქვეყანაში და იმიერიდან ან ვიცხოვროთ ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოების მსახურებით... ან მივატოვოთ ჩვენი ქვეყანა და წავიდეთ ყოველი ჩვენთაგანი ცოლითა და შვილებით, მინდობილნი და განმტკიცებულნი ცხოველყოფელ სიტყვაზე... ხოლო, თუ კი მხოლოდ ჩვენ სულთა ხსნაზე ვიფიქრებთ და წინააღმდეგობას გავუწევთ ამ მბრძანებლის უსამართლო ბრძანებებს, საუკუნო დაღუპვის მიზეზად შევიქნებით უამრავ კაცთა და ქალთა, მოხუცთა და ყრმათა, რომელთაც აქ გადმოასახლებენ და სრულიად დაუმონებენ ურჯულოებათა მსახურებას ნათესავითი ნათესავამდე“...

მათ სთხოვეს მოკთა იშხანს არტაკს, რომელსაც ვარდანი დიდს პატივს სცემდა, გავლენა მოეხდინა ამ უკანასკნელზე.

ყველას დაბეჯითებით და დაუცხრომლად აჩქარებდა ამავე აზრზე დადგომას ქართლის ბღეშხი აშუშა, რომელიც იყო ჭკვიანი და

¹ ნახარარი — ფეოდალის აღმნიშვნელი ტერმინი ძველ სომხეთში.

გამომრჩეველი კაცი. მისი ცოლი იყო არწრუნთა¹ გვარიდან, ცოლის-
და მამიკონიანთა დიდი სეპუჰისა, ვარდანის ძმისა. ზემოთ მოხსენიე-
ბული აშუშა უმეტესად არწმუნებდა სომეხ ნახარართა მთელ სიმ-
რაველესა და მოკთა უფალ არტაკს დაუყოვნებლივ ეთქვათ ყოველივე
ეს სომეხთა ზორავარ² ვარდანისათვის. არც თვითონ იხვედა უკან
მასთან ამაზე საუბრისაგან...

ყველა ასეთნაირად შეთქმულმა იკისრა მოტყუებით აესრულებინა
მეფის ბრძანება. ისინი მივიდნენ ცეცხლის სახლში, სადაც ზოგი
მათგანი, და არა ყველა, აჩვენებდა გარეგნულად, და არა ნამდ-
ვილად, თავის მოხრას ამო მსახურების წინაშე. ხოლო ზოგიერთებ-
მა, თუმცა კი იცოდნენ, რომ ახლა ისე ეცემოდნენ, რომ ველარ
ადგებოდნენ, მაინც ამქვეყნიურ დიდებათა წადილის გამო, გაცვალებს
ღმრთის უხრწნელი დიდება ხრწნადსა და წარმავალ ამქვეყნიურ
ცხოვრებაზე.

როდესაც სპარსთა მეფემ და მისი კარის ყველა დიდებულმა და
მოგვმა ეს იხილეს, მრავალი სხვადასხვა შესაწირავი მიართვეს
დიდი სიხარულით თავიანთ ღმერთებს. დიდი მზიარულებით იღხენდ-
ნენ იმ დღეს, რადგანაც იგი მიაჩნდათ თავიანთი სამეფოს ურყევი
სიმტკიცისა და იმიერიდან ყველა მტრისაგან უშიშარი და მშვიდობი-
ანი ცხოვრების დღედ. სამივე ქვეყნის, — სომხეთის, ქართლისა და
ალბანეთის, — ტანუტერებსა და სეპუჰებს ჩააცვეს სამეფო სამოსელი
და შეამკვეს. ყველანი აავსეს სხვა მრავალი და სხვადასხვანაირი
საჩუქრებითა და პატივით, სოფლებითა და აგარაკებით თითოეული
მათგანის საჭიროებისამებრ. შემდეგ ისინი დაითხოვეს და აჩქარებდ-
ნენ, რათა წასულიყვნენ თავ-თავის ქვეყანაში. თან გააყოლეს მრავა-
ლი ცრუ მოძღვარი, რომლებსაც მოგვებს უწოდებენ, და შთააგონებ-
დენ მათ ესწავლებინათ სასაცილო მოძღვრება სუნთქვისა და ცხ-
ვირქვემ ბურტყუნის სიტყვები, მსახვრალთა და მუცლით მეზღაპრე-
თა მსგავსად. უბრძანეს მოეწყით სამივე ქვეყანაში სიცრუის სკოლე-
ბი და ესწავლებინათ მოგვთა მოძღვრება საერთოდ ყველასათვის,
კაცებისა და ქალებისათვის.

¹ არწრუნი — ფეოდალური საგვარეულო ძველ სომხეთში.

² ზორავარი — თანამდებობის პირი ძველ სომხეთში.

მათც იკისრეს, იგულმოდგინეს თან წაეყვანათ მოგვთა სიმრავლე. შემდეგ წავიდნენ, დაეთხოვნენ მეფე იაზკერტსა და კარის დიდდიდ ავაგებს... წაიყვანეს თან მოგვთა ხალხმრავალი დასები და დაბრუნდნენ თავ-თავის ქვეყნებში. გზაში მათ მრავალგზის განამტკიცეს წმინდა სახარების აღთქმის იგივე ფიცი. შემდეგ ისინი ერთმანეთსაც გამოეთხოვნენ და წავიდნენ თავ-თავის ქვეყნებში. ისინი შეთანხმდნენ, რომ ღმერთის ბრძანებისამებრ დროზე შეატყობინებდნენ იმ საქმის საჭიროებათა შესახებ, რომლის ასრულებაც განეზრახათ. მაგრამ სპარსთა მეფე იაზკერტმა არ გაუშვა ქართლის ბღემსნი აშუშა და სივნიეთის¹ იშხანის ვასაკის ორი ვაჟი, ბაბიკი და ამირნერსკი, სხვა სომეხ ნახარარებთან ერთად, რადგან მომავალში ხედავდა საქმეთა გაურკვევლობას, ეჭვობდა და ფრთხილობდა...

სომხეთში დაბრუნებულ ნახარარებს მიჰყვნენ მოგვებიც, რომლებმაც დაიწყეს ეკლესიების ზოროასტრულ ტაძრებად გადაკეთება და ცეცხლის საგზებლების აგება. ვარდან მამიკონიანმა² ვერ აიტანა ეს და გადაწყვიტა მთელი თავისი ოჯახით გაქცეულიყო ბერძნებთან.“

ბიზანტიელი ისტორიკოსი პრისკე პანიონელი კონსტანტინოპოლში ებრისის მივინს გუბაზ I-ის ვიზიტის შესახებ (465 წ.)¹³¹

„მის შემდეგ, როდესაც რომაელები მივიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარისკაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას; ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის, არმენიის, გზით დაეწყოთ ომი და წინდაწინ პართელების მეფე მიემხროთ. ზღვით, მათი აზრით, შეუძლებელი იყო ცურვა ძნელსავალი ადგილების გასწვრივ, რადგან კოლხიდა უნავსადგურო იყო. გობაზმა³ ელჩები გაგზავნა პართელებთანაც და რომაელთა მეფესთანაც. მაგრამ პართელების მეფეს ომი ჰქონდა

¹ სივნიეთი - პროვინცია ძველ სომხეთში.

² ვარდან მამიკონიანი - V ს-ის სომეხი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.

³ გობაზი - ებრისის მეფე გუბაზ I (V ს. II ნახ.).

კიდარიტებად წოდებულ ჰუნებთან¹ და ამიტომ უარი უთხრა მასთან მოსულ ლაზებს.

გობაზმა ელჩები გაგზავნა რომაელებთან. რომაელებმა უპასუხეს გობაზის მოციქულებს, რომ შეწყვეტდნენ ომს, თუ ან თვითონ გობაზი გადადგებოდა ტახტიდან, ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან: ძველი კანონის თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთ; ასე რომ, ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე, ან გუბაზი ან მისი შვილი, და მაშინ შევწყვეტთ ომსო — ურჩევდა ეფემიოსი, რომელსაც მაგისტროსის² თანამდებობა ეჭირა. ეფემიოსი სახელგანთქმული იყო ჭკუოთაც და სიტყვა-პასუხითაც და მარკიანე მეფის³ დროს ეზოსმოდვარი იყო. მეტწილ საქმეებში მარკიანე მისი რჩევა-დარიგებით ხელმძღვანელობდა; იმან ისტორიკოსი პრისკეც მიიწვია სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი არჩევანი რომ მისცეს გობაზს, იმან არჩია გადამდგარიყო სამეფო ტახტიდან შვილის სასარგებლოდ და თავისი სამეფო ნიშნები გაიძრო და მან რომაელთა მპყრობელს მოციქულები გაუგზავნა თხოვნით, — უკვე ერთი კოლხი მეფობს და ნულარ ჯავრობ, იარაღი დაჰყარეო. რომაელთა მეფემ წინადადება მისცა მას გადმოსულიყო რომაელთა ქვეყანაში და მოეხსენებინა თავისი განზრახვების შესახებ. გობაზმა არ თქვა უარი გამგზავრებაზე, ხოლო წინათ თვით გობაზთან მომხდარ უთანხმოებათა გამო კოლხიდაში გამოგზავნილ დიონისეს მოსთხოვა სიტყვა მოეცა, რომ მას, გობაზს, უსიამოვნება არაფერი შეემთხვეოდა. ამიტომ იქმნა დიონისე გაგზავნილი კოლხიდაში. და სადავო საკითხებშიც შეთანხმდნენ...

ხანძრის შემდეგ, რომელიც გაჩნდა ქალაქში ლეონტის⁴ დროს, კონსტანტინოპოლში ჩამოვიდნენ გობაზი და დიონისე. გობაზს სპარსული ტანსაცმელი ეცვა და, მიდიური წესისადა მიხედვით, მეშუბენი ახლდნენ. კარისკაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაჰკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად

¹ ჰუნები — ცენტრალური აზიის ტრამალებიდან გამოსული თათართა მოდგმის ტომები. V ს-ში მოსახლეობდნენ იმერკავკასიასა და კასპიისპირეთში.

² მაგისტროსი — ბიზანტიის იმპერიის მაღალი საკარისკაცი ტიტული.

³ მარკიანე — ბიზანტიის იმპერატორი 450-457 წლებში.

⁴ ლეონტი — ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I (457-474 წწ.).

მოქყრნენ და ისე გამოისტუმრეს უკან. გობაზმა მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით.“

სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარაქცი
სასანიდური ირანის წინააღმდეგ პასტანბ
ბორბასლის აჯანყების შესახებ (482-484 წ.წ.)¹²¹

ა) ბრძოლა გარდაბნის ველზე

„ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბღემში ვაზგენი მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს. ეს გაიგო სომხეთის ქვეყნის ხალხმა, რომლისგანაც მრავალი იმ წელს ალბანეთში იყო აჯანყებული მეციხოვნეებთან საბრძოლველად. ყველასი მათი სარდალი იყო ზარმიპრ ჰაზარავუხტი, ხოლო სომხეთის ქვეყნის მარზპანი¹ – ატრეშნასპ იოზმანდიანი... როდესაც მათ გაიგეს ქართლის მეფის აჯანყების შესახებ, მხიარული გულით გაიხარეს, რადგანაც მათ ამბავი მიუვიდათ, ქართლის მეფე ამბობს: „მე ბრძოლას არავის დავანახებ, იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენ“. ქრისტეს მოყვარულნი გამხნეულენ ამ ამბისაგან და მოელოდნენ თავისთვისაც სარგებლისა და კეთილმოწყალების პოვნას (ცად) ამალღებულისაგან, მაგრამ ეშინოდათ, ვაი თუ სპარსთა მხედართმთავრებმა სომეხთა ჯარი წაიყვანონ და (სამეფო) კარზე მოუყარონ თავიო.

მაგრამ ქრისტემ იხსნა ისინი ასეთი აზრისაგან და ისინი მოვიდნენ სომხეთში... აქ ერთმანეთში მოითათბირა ზოგიერთმა სომეხმა ნახარარმა... ისინი ამბობდნენ: „ეს დრო ფრიად ხელსაყრელია... რათა თავი დავაღწიოთ მუდმივ ეჭვიანობასა და დაუსრულებელ გვემას, რომელთაც ვემსახურებით დამამზობელი შურის იძულებით. ეგ ქართველთა მეფე ვახტანგი მამაცია, ვინ იცის, იქნებ მრავალმოწყალე ღმერთი გადმოხედავს ჩვენს გაჭირვებას, დაგვეხმარება და, ეგების ქართველებთან ერთად შეექმლოთ ცოტათი მაინც მივაყენოთ შრომა სპარსთა“-ო. ასე მოითათბირეს მცირედმა სომეხმა ნახარარებმა, და ეს განზრახვა

¹ მარზპანი – პროვინციის მმართველის თანამდებობა სასანიდურ ირანში.

სხვებსაც გააგებინეს. ვინც კი გაიგო იგი, ყველა ნებითა და მონ-
ლომებით შეუერთდა მას, როგორც ღმრთის წინამძღოლობით (მიღე-
ბულს)...

სასწრაფოდ გაგზავნეს დესპანი ქართლის მეფე ვახტანგთან, რათა
თავისი დაპირებისამებრ მიეცა მათთვის ჰონები. ის კი დროის
გასაყვანი სიტყვებით აჭიანურებდა თავისი ნათქვამის [ასრულებას].
შემდეგ საიდანღაც შეკრიბა სამასი ჰონი და გამოგზავნა სომხეთში.
მაგრამ ჯერ კიდევ ზამთრის ერთი თვეც არ გასულიყო, რომ სასწრაფო
მომიზეზებით ისევ თავისთან გაიხმო...

შემდეგ [სომხები] მოვიდნენ, მოაწიეს წალკოტს. მათ უნდოდათ
ცოტახნით დაესვენათ ერთ თბილ ადგილას, რომელსაც ჰქვია ვარშა-
კი. [ამ დროს აქ] მოვიდა, მოაწია დესპანმა ქართლის მეფე ვახტანგ-
ისაგან. „ქართლის ქვეყანაში დიდი ჯარი მოვიდა. მე დავინახე, რომ
ვერ აღვუდგები წინ და გავეცალე სომხეთის მთებში, ქართლის
საზღვრებთან, და თქვენ გელოდებით“-ო. [დესპანს] წერილიც ჰქონდა
მოტყუებით [მიწერილი] ვახტანგისაგან: „ჰონთა ჯარს ვუბრძანე მო-
სულიყო, მაგრამ ჯერ არ მოსულა. მაგრამ სანამ თქვენ მოხვალთ,
ისინიც მოაწიევენ და იმიერიდან თქვენ, ჩვენ და ჰონები დავლუპავთ
მათ. თუმცა მე მგონია, რომ როდესაც ჰონები მოვლენ, ჩვენ სრულებით
აღარაფერი მოგვიწევს გასაკეთებლად, ისინი თვითონ მოაგვარებენ ამ
საქმეს, რადგან უზომო სიმრავლეს ვუბრძანე მოსვლა“-ო.

სომეხთა ზორავარი ვაჰან მამიკონიანი და სომეხთა ყველა უხუ-
ცესი ტანუტერი და სეპუჰი სასწრაფოდ აღდგნენ, რადგანაც
შეფიცულნი იყვნენ სახარებითა და ჯერით ქართლის მეფე ვახტანგ-
თან. სომეხთა მთელი ჯარი დაუყოვნებლივ მივიდა ქართლის მეფესთან
და ცოტა ხნით დაიბანაკა კანგარქის გავარში. იქ ქართლის მეფე
ვახტანგი მომაცოთნებელი სიტყვებით ატყუებდა და იყოლიებდა სომეხთა
ზორავარ ვაჰან მამიკონიანსა და სხვა უხუცეს სომეხ ტანუტერებს.
ხან ამბობდა: „მიპრანმა, თქვენი მოსვლა რომ გაიგო, ქართლის
საზღვრებს გაეცალა და ალბანეთში გაიქცა შიშისაგან“-ო, ხანაც
„ორი დღეცა და ჰონთა ჯარები მოაწიევენ“-ო. ხოლო, როდესაც
გავიდა ამ ცრუ პაემნის ორი დღე, მაშინ იგი მესამე და მეოთხე
დღეზე გადაიტანა, შემდეგ კი მეექვსე და მეშვიდე დღეზეც. მერმე

მზვერავები გააგზავნინა ქართველთა და სომეხთა ჯარიდან. როდესაც ისინი ჩავიდნენ ერთ-ერთ ველზე, მან დაანახვა მათ მრავალი ცეცხლის სინათლე და ხის კუნძები ადამიანის მაგვარად შეიარაღებული, ალექსანდრე მაკედონელის ეშმაკობის მსგავსად. იგი ისევ ამბობდა: „ჰონთა ჯარი არ ამოდის ჩვენთან მთებში. ისინი ამბობენ, აქ, ამ ველზე ჩამოიყვანე და გვაჩვენე სომხები და ყოველივე შენს სიტყვას ვერწმუნებით, რაც ჩვენთვის გითქვამს და შემოგიფიცავს. მაშინ რის გაკეთებასაც გვიბრძანებ, ყველაფერს შევასრულებთ. თუ არა და, არა გვჯერა, რომ სომხები შენთან ერთად არიან. მაგრამ თუ ნამდვილად დავინახავთ ამას, მაშინ სპარსელები ჩვენ დაგვანებეთ და თავს ნუ შეიწუხებთო. ახლა, თუ თქვენ ამ ველზე არ ჩახვალთ, ხოლო ჰონთა ჯარი მე არ დამიჯერებს და იმ ქვეყნიდან არსაითკენ არ დაიძვრება, მიჰრანი კი მიბრუნდება და ქართლს ააოხრებს, რა სარგებლობა ექნება ჩემთვის თქვენს აქ მოსვლას?“...

სომეხთა ჯარი ჩავიდა ქართლში და დაიბანაკა ზემოხსენებულ ადგილას. არ გასულიყო სამი თუ ოთხი დღე, რომ მიჰრანი მოვიდა, მოაწია და დაიბანაკა სომეხთა ბანაკის პირდაპირ, მის ახლოს, ოღონდ მდინარის გაღმა, რომელსაც კურს ეძახიან. [მაშინ] სომეხთა ბანაკი სპარსთა ბანაკისგან უფრო შორეულ, სხვა ადგილას გადავიდა და ის დაიდო თავის ღამის გასათევ ადგილად. იმ ღამეს სომეხთა ჯარიდან მრავალმა დაივიწყა ღმრთის აღთქმის შიში და ფეხქვეშ გათელა სახარების საშინელი ფიცი. მათ შიკრიკებით საიდუმლოდ შეუთვალეს თავ-თავიანთ მახლობლებს სპარსთა ჯარში: „ამ საქმეს ჩვენ სომეხთა ზორავარის ვაჰანის იძულებით დავდგომივართ და არა ჩვენი ნებით. ასეთნი ბევრი ვართ, მაგრამ ჩვენი გონება და ზრახვა თქვენთანაა. ჩვენ კი ვიცით, რომ თქვენი მსახურებიდან ვერ გამოვალთ, მაგრამ ცუდმა ადამიანებმა მოგვინადირეს და აღმოაცენეს დანაშაული ჩვენში აქამდის. თუ არასოდეს გაიხსენებთ ამ ჩვენს ამბებს და მოგვიტყვებთ, თქვენი ნებაა. ჩვენ კი ხვალ, როდესაც ბრძოლის ველზე გამოვალთ, ჩვენ თვითონაც გავიქცევით და სხვა მრავალსაც თან გავიყოლებთ ჩვენი ჯარიდან“-ო. როდესაც სპარსელებმა ამ აღთქმის ფიცი მიიღეს, ეს ამბავი დაიჯერეს.

როდესაც მეორე დღეს ბრძოლის ველზე გავიდნენ, მაშინაც ელა-

პარაკებოდა და ეუბნებოდა ქართლის მეფე სომეხთა ზორავარ ვაჰანსა და სხვა სომეხ უხუცეს ტანუტერებსა და სეკუპებს: „ჩვენთვის უმჯობესი იყო დღეს შევბრძოლებოდით სპარსთა ჯარს, რადგან ჩვენც ვეყოფით მათ და წინ ვერ დაგვიდგებიან. მაგრამ, თუ დღესაც დავიზარებდით, ჰონები მოვიდოდნენ და გამარჯვების სახელსა და ნადავლს ისინი წაიღებდნენ“. იგი აქამდისაც კი განაგრძობდა მოტყუებას ცრუ სიტყვებით.

მაშინ სომეხთა ზორავარს ვაჰან მამიკონიანს გული მოუვიდა ქართლის მეფის ცრუ და უხამს სიტყვებზე, რადგან მან იცოდა სომეხთა ჯარის სისუსტე, ხედავდა, რომ მას დაჰკარგოდა მხნეობა, დაუძღურებულყო და სრულებით არ ჰგავდა სხვა დროის გულმოდგინებასა და მონღომებას. მაგრამ ვაჰან მამიკონიანმა მაინც გააწყყო ჯარი საბრძოლო წყობის წესისამებრ. მარჯვენა მხარე მან ჩააბარა ბარშილ ვაჰეუნიასა და სატონ გაბელიანს, მარცხენა მხარე მისცა ქართლის მეფე ვახტანგს, ხოლო შუა ნაწილს კი თვითონ ადგენდა ნეტარი არშავირის სამივე ვაჟისა და გუნთა ნეტარ უფალთან ერთად...

სომხებმა და სპარსელებმა შეუტიეს ერთმანეთს. სომეხთა ზორავარმა ვაჰანმა და სამმა ძმამ კამსარაკანმა დაარტყეს თავის წინ მდგომ მტრის ფრთას, გაფანტეს და გააქციეს იგი, ისე რომ მრავალი სპარსთა ჯარიდან მდინარე კურის გადაღმა გადაიყვანეს, ხოლო მრავალი გამოჩენილ კაცთაგან იმავე სპარსთა ჯარისა მხნედ დახოცეს...

ვიდრე სომეხთა ზორავარი ვაჰან მამიკონიანი თავის ნეტარ ძმასთან ვასაკთან და არშავირ კამსარაკანის ორივე შვილთან ერთად ასე იბრძოდა, უეცრად გაიქცა და განშორდა (ბრძოლის ველს) მთელი ჯარი სომხებისა და ქართველებისა, რომელთაგან მრავალი მოღალატე დაუცხრომლად უყვიროდა ერთმანეთს: „სომხები გაიქცნენ, თავს უშველეთ“-ო. ამიტომ სომეხთა მხნე ზორავარმა ვაჰან მამიკონიანმა და მასთან მყოფმა სხვა აღთქმის შემნახველმა მეგობრებმა, რომლებსაც წადიერებით სწყუროდათ მარტვილობის ფიალის შესმა, მაგრამ არ აღმოჩნდნენ მის ღირსად, გააბრუნეს თავისი ცხენები და ისინიც უკან გაჰყვნენ გაქცეულ სომხებს.

ხოლო სომეხთა მთელი ჯარი და მასთან ერთად ქართველთა

გამოუსადეგარი ჯარი თავის მეფე ვახტანგთან ერთად დაიშალა და დაიფანტა. მათ კვალდაკვალ მიჰყვნენ სპარსელთა რაზმები. მრავალი დახოცეს, მრავალმაც სხვადასხვა ადგილას დააღწია თავი და გადა-
რჩა.“

ბ) აჯანყების ჩახშობა ჰაზარაუხტის მიერ

[„ჰაზარაუხტი – პეროზის მიერ აჯანყების ჩასახშობად გამოგ-
ზავნილი სარდალი] მივიდა ოქალში, გადავიდა ბასენის გავარში და
დაიბანაკა... მასთან მოვიდა კარიდან დესპანი წიგნით. მასში პეროზ
მეფე იწერებოდა, აცნობებდა მათ, რომ იგი არიელთა მთელი ძალით
მიემართებოდა ჰეფთალებზე, ხოლო მას უბრძანებდა წასულიყო ქართლში
და ქართლის მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ
ქვეყნიდან გაეძევებინა, სომხეთის ქვეყანაში კი მარზპანად დაეტოვე-
ბინა ჯარითურთ შაპუჰი მიჰრანის გვარიდან.

როგორც კი ჰაზარაუხტმა მიიღო ეს წიგნი და გაიგო მეფის
ბრძანება... სასწრაფოდ წავიდა ქართლში. როდესაც იგი იქ მივიდა,
თავისთან შეკრიბა აღთქმის გამტეხთა დასი, რომელთაც ელაღატნათ
მეფე ვახტანგისათვის და ეცრუვნათ სახარების ფიცისათვის. ჰაზ-
არაუხტთან მივიდნენ, შეიკრიბნენ ისინიც, ვინც მეფეთა მეფის ერთ-
გულნი იყვნენ [თავიდანვე]. იგი ერთს მეფობას ჰპირდებოდა, მეორეს
– ტახტს, პატივსა და მრავალ საჩუქარს, ხოლო მრავალ სხვას –
ვისაც რა სჭირდებოდა. მრავალი დაიყოლია ქართლის ქვეყნიდან და
რაზმი შეადგინა. როდესაც ვახტანგ მეფემ დაინახა, რომ თავისიან-
ებმა იგი მოატყუეს, მიატოვეს და ჰაზარაუხტთან მივიდნენ, ხოლო
სომხები კი თვითონაც ჯერ კიდევ უმწეონი იყვნენ და გაჭირვე-
ბულნი, გაეცალა ქართლის ქვეყანას და ცოტა ხნით მივიდა ეგრისის
ქვეყნის მხარეებში...

როდესაც ჰაზარაუხტმა ქართლის ქვეყანაში გაიგო პეროზის
მოკვლისა და უამრავი სპარსელის ამოწყვეტის შესახებ, შეძრწუნდა,
შეეშინდა თავისი თავის გამოც და გადაწყვიტა საჩქაროდ წასვლა
სპარსთა ქვეყანაში.“

**ქართლისა და ებრისის საბარეო-პოლიტიკური
მდგომარეობა და დიპლომატია VI-VII ს-ის I
ნახევარში**

ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი
სასანიდური ირანის წინააღმდეგ ქართლის
მეფე გურგენის აჯანყების შესახებ (523 წ.)^[14]

„ისინი (იბერები) ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველთაგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან. მაშინ კავადს¹ უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავისი სარწმუნოების წესებზე, და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ყველა მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო. ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის² მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც მას დიდის სიამოვნებით მისცა ეს დაპირება და ბოსპორში გაგზავნა დიდძალი ფულით პრობე, გარდაცვალებული ანასტასის³ ძმისწული, პატრიკიოსი,⁴ რათა ჰუნების ჯარი ფულის საშუალებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა... რადგან პრობე იქიდან უშედეგოდ დაბრუნდა, მეფემ ჰეტრე სტრატეგოსი გაგზავნა ლაზიკეში რამდენიმე ჰუნითურთ, რომ ის დახმარებოდა გურგენს, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ამავე დროს კავადმაც დიდძალი ჯარი გაგზავნა გურგენისა და იბერების წინააღმდეგ და სარდალი ვინმე სპარსელი, უარიზის პატივის მქონე, სახელად

¹ კავადი - სასანიდური ირანის შაჰი 488-531 წლებში.

² იუსტინე - ბიზანტიის იმპერატორი 518-527 წლებში.

³ ანასტასი - ბიზანტიის იმპერატორი 491-518 წლებში.

⁴ პატრიკიოსი - სამოხელეო წოდება ბიზანტიაში. რანგთა ტაბელის მიხედვით განეკუთვნება ტიტულთა პირველ კლასს.

ვოი. გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების მიერ გამოგზავნილი დამხმარე ძალები საკმაო არ იყო, ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულებითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები, რომლებიც ლაზიკის საზღვრებში რომ მივიდნენ, აქ გაჩერდნენ და, ძნელგასავლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მათ, მაგრამ მაინც და მაინც ვერაფერი დააკლეს, რადგან საქმეს აფერხებდა ძნელგასავლელი ადგილები. შემდეგ იბერები ბიზანტიონში¹ ჩამოვიდნენ.“

**ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი
სასანიდურ ირანსა და ბიზანტიას შორის
დადებული „უვალო ზავის შესახებ“ (532 წ.)** ^[14]

„ცოტა ხნის შემდეგ იგივე რუფინე და ერმოგენე კვლავ იქნენ გამოგზავნილი ზოსროსთან;² ახლა კი შეთანხმდნენ ერთმანეთთან საზავო პირობებში, სახელდობრ, რომ ორივე მხარე დააბრუნებდა იმ ადგილებს, რომლებიც ამ ომში მათ ერთმანეთს წაართვეს, და ჯარის არცერთი სარდალი აღარ იქნებოდა დარაში; იბერებს-კი ნება მიეცათ მოქცეულიყვნენ როგორც უნდოდათ: ან დარჩენილიყვნენ იქვე, ბიზანტიონში, ან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში. ბევრი იყო, რომელიც დარჩა, ბევრი კიდევ დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაში. ამგვარად, დადვეს ეგრეთწოდებული უვალო ზავი, მეექვსე წელს იუსტინიანეს³ მეფობისა. რომაელებმა მისცეს სპარსელებს ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე, და თან ფულიც, ხოლო სპარსელებმა რომაელებს ლაზიკის სიმაგრეები.“

¹ იგულისხმება ქ. კონსტანტინოპოლი.

² ზოსრო - სასანიდური ირანის შაჰი ზოსრო I ანუშირვანი (531-579 წწ.)

³ იუსტინიანე - ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I დიდი (527-565 წწ.)

ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი
ეპრიისის სამეფოს ურთიერთობის შესახებ
ბიზანტიასა და სასანიდურ ირანთან
(532-542 წწ.) [14]

„ამ დროს ხოსრომ კოლხიდის წინააღმდეგ წაიყვანა ჯარი. ლაზებმა მოიხმეს იგი შემდეგი მიზეზის გამო: ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნნები, მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გამოვლით რომაელთა მიწაწყალში არ შემოჭრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე, რომ არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს, და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად, — რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს — და მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მარილი ჰქონდათ, არც ხორბალი, არც სხვა რამე სიკეთე; ისინი მხოლოდ აწვდიდნენ ტყავსაფარებს, ტყავებს და მონებს და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდნენ. როდესაც მოხდა გურგენ იბერთა მეფის წყალობით შემთხვეული ამბავი, როგორც ეს ზემოთ იყო ჩემ მიერ მოხსენიებული, ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელთა ჯარისკაცებმა, რომლებითაც ეს ბარბაროსები შეწუხებული იყვნენ, და პირველ ყოვლისა შეწუხებული იყვნენ პეტრე სტრატეგოსით, რომელიც ადვილად ექცეოდა ხოლმე მათ უდიერად... ის ვერცხლისმოყვარეობაში ჩავარდა — როგორც არც ერთი სხვა — და მეტად უდიერად ეპყრობოდა ყველას. ხოლო შემდეგ იუსტინიანემ სხვა მთავრები გაგზავნა ლაზიკეში. მათ შორის იოანნეც, რომელსაც ციბეს უწოდებდნენ, კაცი არაწარჩინებულთა და არასახელოვანთა შთამომავალი, რომელმაც სტრატეგოსობამდე მიაღწია სხვა არაფრით, გარდა იმისა, რომ ყველაზე უფრო საზიზღარი იყო და ყველაზე უფრო მოხერხებული ფულის

საშოვნელად უსამართლო საშუალებათა გამოგონებაში. ის იყო, რომ რომაელთა და ლაზთა ყველა საქმეები გაამრუდა და არიდარია. მანვე დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აემენებინა, სახელად პეტრა¹. იქ იჯდა ის, ვითარცა აკროპოლისში,² და სძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რამე ეყიდინებინათ, არამედ მან (ე. ი. იოანნემ) შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლი და თვით გარდაიქცა მეწვრიმალედ და მთელი ამ საგნებით ვაჭრობის ზედამდგომელად: ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო. გარდა ამისა, ბარბაროსები იმითაც იყვნენ უკმაყოფილონი, რომ მათ რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია. რადგან ამის ატანა აღარ შეეძლოთ, განიზრახეს მიმხრობოდნენ სპარსელებს და ხოსროს; მაშინვე რომაელების ჩუმად ელჩებიც გაგზავნეს მათთან ამის მოსაგვარებლად. მათ დააბარეს, რათა ხოსრო, მის შემდეგ რაც მიიღებდნენ მისგან იმის პირობას, რომ არ მისცემდა ლაზებს – მათი ნების წინააღმდეგ – რომაელების ხელში, მოსულიყო მათს ქვეყანაში სპარსელთა ჯარითურთ.

როგორც კი ელჩები მივიდნენ სპარსთა ქვეყანაში და ფარულად წარუდგნენ ხოსროს, მიმართეს მას შემდეგი სიტყვით: „თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში შეგზვედრია ისეთები, რომელნიც რალაცნაირად თავისიანთაგან გადამდგარან და სრულიად უცხო ხალხს მიჰკედლებიან – რასაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა. – და კეთილად შეტრიალებულ ბედს ისინი კვლავ თავისიანებისთვის დაუბრუნებია უფრო მეტად დაკმაყოფილებულნი, – ირწმუნე დიდებულო მეფე, რომ ასეთები ლაზებიც არიან. კოლხები ხომ ძველითაგანვე სპარსელების მოკავშირეები იყვნენ და ბევრი სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც განიცადეს მათგან: ამის წერილობითი საბუთები მრავალი გვაქვს ჩვენ და შენს სამეფო საგანძურებში ახლაც აქის დაცული, ხოლო შემდეგ ხანებ-

¹ პეტრა – ბიზანტიური ციხე-სიმაგრე თანამედროვე სოფ. ციხისძირის ტერიტორიაზე.

² აკროპოლისი – ქალაქის შიდა-ციხე, „ღელა-ციხე“.

ში ჩვენს წინაპრებს მოუხდათ რომაელებთან კავშირის შეკვრა - მოხდა კი ეს ან თქვენი უზრუნველობით იმათზე ან სხვა მიზეზის გამო (ჩვენ ამის შესახებ დანამდვილებით არაფერი ვიცით). ახლა-კი ჩვენ და ლაზიკის მეფე გაძლევთ სპარსელებს უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ გსურთ. ხოლო გთხოვთ თქვენ განსაჯოთ ჩვენ შესახებ შემდეგნაირად: თუ ჩვენ რომაელებისგან არავითარი უბედურება არ განგვიცდია, არამედ უვიცობით შეპყრობილნი გადმოვდივართ თქვენკენ, უმაღლვე უკუავდეთ ჩვენი თხოვნა თქვენ, რომელნიც იფიქრებთ, რომ კოლხები არც თქვენი ერთგული იქნებიან ოდესმე (ვინაიდან დარღვეული მეგობრობის მაგალითი ამის შემდეგ სხვებთან დადგენილი მეგობრობის საზომად შეიქმნება). ხოლო თუ ჩვენ რომაელების მეგობრები ვიყავით სიტყვით, საქმით კი — ერთგული მონები, და ჩვენი მიმძლავრელებისაგან უწმინდური საქმეები განვიცადეთ, მიგვიღეთ ჩვენ, წინანდელი მოკავშირეები: გაიჩინეთ მონებად ისინი, ვინც თქვენ მეგობრებად გყავდათ; შეიზიზღეთ მწარე მიმძლავრება, თქვენ მეზობლად რომ აღმართულა ჩვენზე, და თქვენ იქმთ სამართლიანობის ღირსეულ საქმეს, რომელზე ზრუნვაც მუდამ მამაპაპეული წესი იყო სპარსელებში. უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის. საჭიროა ითქვას ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს ჩვენ წინააღმდეგ წყევლმა რომაელებმა. ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს: მეფეც მოსამსახურის ბედში იმყოფება და განმკარგულებელი სტრატეგოსის ეშინია. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავეძვყვდიეთ ჩვენ როგორც სადილეგოში და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდნენ, იმ აზრით, რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი მეფეც, რანაირ დასკვნამდე მივიდნენ: რაც-კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ, ხოლო, რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი

ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თითოეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისდა მიხედვით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვმძლავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრიძალე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის. აი, ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა. იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ახლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევე, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუშვათ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწაწყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა. მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ვფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული“. აი ეს თქვეს ელჩებმა.

ამ სიტყვებით ნასიამოვნებმა ხოსრომ აღუთქვა ლაზებს დახმარება და შეეკითხა ელჩებს, შესაძლებელი იქნება თუ არაო, რომ ის დიდი ჯარით მივიდეს კოლხიდის ქვეყანაში. ბერს უთქვამს, – განაცხადა მან, – და წინათაც მსმენია, რომ ეს ქვეყანა საკმაოდ ძნელგასავლელია მსუბუქად ჩაცმული კაცისათვისაც კი, რადგან ის ზომაზე მეტად დაქანებულია და ხშირად უზარმაზარი ტყეების შემცველი დიდ მანძილზე. ხოლო ისინი დაჟინებით უმტკიცებდნენ, რომ სპარსელთა მთელი ჯარისთვის ის გზა ადვილი გასავლელი შეიქმნებოდა, როდესაც ისინი ხეებს მოჭრიდნენ და მათ დაქანებულ ადგილთა ძნელგასავლებში ჩაყრიდნენ. აღუთქვეს, რომ გზისა და ამ საქმის წინამძღოლებად თვით ისინი (ლაზები) ეყოლებოდათ სპარსელებს. ამ

საწინდრით წაქეზებულმა ხოსრომ შეკრიბა დიდძალი ჯარი და მოემზადა ლაშქრობისათვის, მაგრამ არ გაუმხილა თავისი განზრახვა სპარსელებს გარდა იმ პირებისა, რომელთაც მხოლოდ ჩვეულებრივ გაანდობდა ხოლმე საიდუმლოებას: ელჩებსაც განუცხადა, რათა არავისთვის გაემჟღავნებინათ ეს საქმე; თქმით-კი ის მიემზავრებოდა იბერიაში, ვითომც იქაური საქმეების მოსაწესრიგებლად: მიზეზად ასახელებდა, ვითომც იქ სადღაც ჰუნნების ტომი თავს დასხმოდეს სპარსელთა ძალებს.

როდესაც ხოსრომ და მიდთა ჯარმა იბერიის გავლის შემდეგ ლაზიკის საზღვრებში მიაღწიეს... მოვიდა გუბაზი, ლაზთა მეფე,¹ ეთაყვანა ხოსროს კავადის ძეს, ვითარცა ბატონს, და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას.“

ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე

ქამთაღმფრეული ქართლის მეფის ძამანარქის
კონსტანტინოპოლში ვიზიტის შესახებ (535წ.)^[15]

„იბერიელთა მეფე ძამანარქე (535 წ.)² მოვიდა კონსტანტინეპოლში კეთილსათნო იუსტინიანე მეფესთან თავისი მეუღლითა და დარბაისლებითურთ; მან სთხოვა იუსტინიანეს, მიეღო იგი რომაელების მოკავშირედ და ჭეშმარიტ მეგობრად. მეფემაც შეიწყნარა ეს თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც და მის დარბაისლებსაც. ამგვარადვე, დედოფალმაც აჩუქა მის მეუღლეს მრავალნაირი სამკაული, მარგალიტებით მოჭედილი და იუსტინიანემ გაისტუმრა ისინი მშვიდობით მათ საკუთარ სახელმწიფოში.“

¹ გუბაზი - ვერისის მეფე გუბაზ II (გარდ. 554 წ.)

² ძამანარქე - ქართლის მეფე VI ს-ის I ნახევარში (იხსენიება ბიზანტიურ წყაროებში. ქართული საისტორიო ტრადიცია აღნიშნული სახელის მეფეს არ იცნობს).

ბიზანტიელი ისტორიკოსი აბათია
სქოლასტიკოსი ბიზანტიელი სარდლუბის მიერ
ეპრიისის მემის გუბაჟ II-ის მკვლელობის
შესახებ (554 წ.) ^[16]

„როდესაც ხოსროს აცნობეს მერმეროე¹ გარდაცვალო, ის როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დააღონა ამ უბედურმა შემთხვევამ და დაამწუხრა; რათა ლაზიკეში მყოფი ჯარი მოკლებული არ ყოფილიყო წინამძღოლს, მან მაშინვე დანიშნა სარდლად ნახორაგანი, კაცი ფრიად წარჩინებული და სახელოვანი. ის უკვე მომზადებული იყო სამგზავროდ და მიდიოდა კიდეც. ნახორაგანი რომ ამ სამზადისში იყო, კოლხიდის ქვეყანაში რაღაც უცნაური და შეუფერებელი მოხდა. როდესაც რომაელები, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, სამარცხვინოდ გაიქცნენ და თავიანთი ბარგის ერთი ნაწილიც მტერს მიუტოვეს, ლაზთა მეფე გუბაჟმა, რომელსაც ასეთი სასირცხო საქმე შეუფერებლად მიაჩნდა და რომელსაც ეშინოდა ვაი თუ ამის მეტი კიდევ რამე შეუფერებელი მოხდესო, მაშინვე აცნობა იუსტინიანეს ყველაფერი, ბრალს სდებდა სტრატეგოსებს და ყველაფერს რაც მოხდა, მათ უგუნურებას მიაწერდა, განსაკუთრებით ამტყუნებდა ბესას. მის შემდეგ მარტინესა და რუსტიკეს... როდესაც გუბაჟის შემოთვლილი გაიგო, (იუსტინიანემ) მაშინვე ირწმუნა; ამიტომ მან ბესა გადააყენა თანამდებობიდან, გარდა ამისა ჩამოართვა მას მთელი ქონება და აბაზგიაში გაგზავნა, რომ იქ ღარჩენილიყო, სანამ მისთვის სხვა რაიმეს მოიფიქრებდა. რაც შეეხება მარტინეს, თუმცა იმაზეც ძალიან გაჯავრებული იყო, მაგრამ პირველი სარდლის თანამდებობა მაინც დაუტოვა; სტრატეგოსთა შორის ის იყო უპირველესი, იუსტინე იყო მეორე, ხოლო ბესა ამის მომდევნო და ასე შემდეგ დანარჩენებიც. მართალია, წინათაც მუდამ ისე იყო, რომ გუბაჟს მარტინესთან და რუსტიკესთან მტრობა ქონდა, მძიმე და საშინელი, მაგრამ ის ჯერ კიდევ დაფარული იყო... თითოეულ გუბაჟის ჩადენილ საქმეს ისინი უყურებდნენ დაჭრილი გულით და სრულიად მტრულად, აღვივებდ-

¹ მერმეროე – სასანიდური ირანის ცნობილი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე VI ს-ის I ნახევარში.

ნენ და აძლიერებდნენ ბოლმას. როდესაც გუბაზმა შენიშნა მისადმი მათი სიძულვილი, რასაკვირველია სამაგიეროს მიზღვევის საფუძველი მიეცა. და ის მათ ზშირად აძაგებდა, როგორც ლაჩრებსა და გაიძვერებს, რომ მათ ხელიდან არაფერი საქმე არ გამოდის; ნადიმებზე და კრებებზე მუდამ ზიზლით ეპყრობოდა, და როდესაც შემთხვევით მეზობელი ტომების ელჩები მოვიდოდნენ, მაშინაც კი არ ცხრებოდა და არ ეშვებოდა. ისინი ამას ვერ ითმენდნენ, და განსაკუთრებით მათ აბრაზებდა მეფესთან გუბაზის მიერ დაბეზღება და რადგან იცოდნენ, რომ ის კვლავაც გააგზავნიდა საჩივარს, თუ ისინი კიდევ რამეში შესცდებოდნენ, ამიტომ განიზრახეს თავიდან მოეშორებინათ გუბაზი.

ბევრი ითათბირეს იმათ ერთმანეთში და ბოლოს იმ აზრს დაადგინეს, რომ სანამ არ ცდიდნენ მეფესთან ამ საქმის მოგვარებას, ხელი არ ეხლოთ მისთვის. ამიტომ ბიზანტიაში გაგზავნეს იოანე – რუსტიკუს ძმა, რათა მას მიეტანა ამბავი; თითქოს გუბაზი სპარსელების მომხრეობას იჩენდეს. და აი, როდესაც იოანე ფარულად მივიდა მეფესთან სალაპარაკოდ, დააბეზლა გუბაზი: გადაგვიდგა და სპარსელებს მოუძღვება და საცაა მთელ ქვეყანას მათ გადასცემს, თუ სასწრაფოდ რაიმე ზომას არ მივიღებთ მის შესაკავებლად. მეფე გაშტერებული დარჩა ამ დაუჯერებელი ამბით, საბოლოოდ არც დაიჯერა, მაგრამ რაღაც საშუალო აზრს დაადგა და უთხრა: მაშ მიიღეთ ზომები, რომ ის აქ მოვიდეს.

იოანეს შეეშინდა, ვაი თუ, ის აქ მოვიდეს, ჩვენი სივერაგე გამოძვლავნდესო და მოახსენა: – როგორ მოვიქცეთ ბატონო, რომ თავისი ნებით არ ირჩიოს აქ გამოცხადება? – ძალა დაატანეთ, უპასუხა მეფემ, ქვეშევრდომია, ყოველი ღონე იხმარეთ და გამოიძვანეთ.

იოანემ მაშინვე ჩამოართვა სიტყვა: – ძალას დაეატანთ, მაგრამ წინააღმდეგობა რომ გაგვიწიოს, რა ვუყოთ? – სხვა რა უნდა უყოთ, უთხრა მეფემ; ტირანული საქციელი უნდა დაისაჯოს, სასტიკად უნდა მოისრას. – მაშ, თქვა იოანემ, არავითარი შიში არ უნდა ჰქონდეს იმას, ვინც მას მოკლავს? – რასაკვირველია არა, უთხრა მეფემ, თუ ის წინააღმდეგობას გასწევს და ურჩობას დაიწყებს, უნდა მოისპოს როგორც მტერი.

ასე რომ უპასუხა მეფემ და დაახლოებით იგივე აღნიშნა სტრატეგოსებისადმი მიწერილ წერილში, იოანე მეტს აღარაფერს შეეკითხა. მისი აზრით, მან დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო იმაზე, რასაც ეძიებდა, და უკან გასწია კოლხეთისაკენ, თან ეს წერილიც წაიღო. მარტინემ და რუსტიკემ რომ წაიკითხეს წერილი, დაასკვნეს, რომ საქმე საუცხოოდ იყო მოგვარებული და მაშინვე შეუდგნენ თადარიგს. მათ მოიხმეს იუსტინე და ბესა, განზრახული დაუმაღეს, ხოლო უთხრეს: საჭიროა სასწრაფოდ გუბაზთან წასვლა და მასთან მოთათბირება იმის შესახებ, ონგურისში მყოფ სპარსელებს როგორ დავესხათ თავს ერთადო. ამათაც დაუჯერეს და გაემართნენ: თან წაიყვანეს მცირეოდენი რაზმი. გუბაზმა რომ შეიტყო, რომ მასთან მალე მოვიდოდნენ სტრატეგოსები, და სამტროს მათგან არაფერს ელოდა, წავიდა ხობის წყალთან. აქ შეეგება ის უბედური მათ, უმცველებოდ და გაბედულად, მხოლოდ მცირეოდენი ახლდნენ მისი ამალიდან, ისიც უიარაღონი და საბრძოლველად მოუმზადებულნი...

ასე, ყველანი ცხენებზე ისხდნენ და ისე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. მაშინ რუსტიკემ უთხრა: „აბა, გუბაზ, სპარსელების წინააღმდეგ მივდივართ, რომლებიც ონგურისში ჩამჯდარან; გამოგყევი და ჩვენთან ერთად მიიღე მონაწილეობა ამ ლაშქრობაში“... „ეს ლაშქრობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო თქვენ გეხებათ – მიუგო გუბაზმა, – რადგან მხოლოდ თქვენ მიგიძღვით ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენს წინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ქუდმოგლეჯილი გაიქცეოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან. ეხლა კი ძვირფასნო, თუ თქვენ ამბობთ, რომ დიდება გიყვართ და სარდლის ღირსების სიმაღლეზე ღგეხართ, თქვენი შეცდომა უნდა გამოასწოროთ. რაც შემეხება მე, არ გამოგყვებით და არც ომში ჩაგებმები, სანამ თქვენ მიერ ჩადენილ ყველა შეცდომას არ უწამლებთ“. როგორც კი ეს ითქვა, მაშინვე, თითქოს გუბაზის პასუხი საკმაოდ ამტკიცებდა მის მედიზმსა და ტირანობასო, იმ იოანემ, რომელიც იმ ვერაგთა შიკრიკი იყო, იშიშვლა ჩუმად ხანჯალი და მკერდში ჩასცა გუბაზს, მაგრამ არა სასიკვდილოდ. გუბაზს

თურმე ცხენის კისერზე ჰქონდა ფეხები შემოკეცილი და ის ერთბაშად დაეცა ძირს, მე ვფიქრობ, არა იმდენად ხელის დარტყმისაგან, რამდენადაც იმის გამო, რომ ასე მოულოდნელად დაატყდა თავს ეს ამბავი. გუბაზმა ფოფხვა დაიწყო და ცდილობდა ამდგარიყო, ამ დროს ზედ წაადგა რუსტიკეს მეშუბე, რომელსაც ეს დავალებული ჰქონდა, მახვილით გაუჩენა თავი და ბოლო მოუღო მის სიცოცხლეს. აი, ასეთ პირობებში მოკლეს გუბაზი, როგორც ამბობენ სარწმუნო კაცები, რომელთაც ზედმიწევნით იცოდნენ ეს ამბავი... ლაზთა მთელი ლაშქარი აღელდა ამ ამბის გამო და ისეთმა უკმაყოფილებამ შეიპყრო ისინი, რომ გადაწყვიტეს ამიერიდან აღარ შერეოდნენ რომაელებს, და არც მათთან ერთად ელაშქრათ. როდესაც გუბაზის გვამი, თანახმად მათი წესისა, დაკრძალეს, ბრძოლაში მონაწილეობა აღარ მიიღეს, როგორც უადრესად შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა.“

**ბიზანტიელი ისტორიკოსი აბათია
სქოლასტიკოსი ებრისის მემფის ბუბაზ II-ის
მკვლელობის შემდეგ შემხინილი პოლიტიკური
მდგომარეობის შესახებ. ებრისელთა საიდუმლო
თათბირი. აიეტიხსა და ფარტაზის სიტყვები.
ეპრისელთა ელჩობა ბიზანტიის იმპერატორ
იუსტინიანე I-თან (554 წ.) ^[16]**

„კოლხების მდგომარეობა მეტად უნუგეშოდ იყო შერყეული. ქვეყნის მმართველები ყველანი დამაფიქრებელ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდნენ რა ექნათ, რისთვის მიემართათ. და დასვეს საკითხი — სპარსელების მხარეზე დავრჩეთ, თუ ისევ რომაელებთან დავრჩეთო. მაშინვე მრავალმა წარმოთქვა სიტყვა... მაშინ დიდებულებმა მოუწოდეს ხალხს სიწყნარე დაეცვათ, ყოველი მსურველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, წყნარად გამოსულიყო და ეთქვა თავისი წინადადება, როგორც შეეძლო. იყო წარჩინებულთა შორის ერთი, სახელად აიეტი, ის ყველაზე უფრო მძიმედ გრძნობდა მომხდარ ამბებს და სწუხდა; სხვათა შორის, რომაელთა მოძულე იყო და მუდამ სპარსელების

მომხრე. მაშინ მან ისარგებლა ამ ხელსაყრელი მიზეზით, შეეცადა გამოეყენებინა მომხდარი ამბავი და გადააჭარბა კიდევ. აწინდელი მდგომარეობა საკამათო არ არისო – თქვა მან, ეხლავე საბოლოოდ უნდა გადავიდეთ სპარსელების მხარეზეო. როდესაც სხვებმა უპასუხეს, არ გვმართებს ეგრე უცბად ცხოვრების გეზი შევცვალოთ, სანამ ზედმიწევნით არ მოვითათბირებთ, თუ არ იქნება უფრო უმჯობესი, აიეტი აღელვებული წამოდგა, შუაში გავიდა და ილაპარაკა ისე, როგორც სახალხო საბჭოში ლაპარაკობენ. ის მშვენივრად ლაპარაკობდა, უფრო უკეთ, ვიდრე ბარბაროსებს სჩვევიათ; მის აზრებს შევლოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც. მან შემდეგი თქვა:

აიეტის სიტყვა

„რომაელები რომ სიტყვებითა და გეგმებით გვეპყრობოდნენ უსამართლოდ, ჩვენც კარგს ვიზამდით, რომ მუდამ ამგვარივე საშუალებებით დაგვეცვა თავი; მაგრამ ეხლა ნუთუ მისაღებია, რომ, იმ დროს როდესაც ისინი ყველაფერში საშინლად გვექცევიან, სამაგიეროს გადახდის შემთხვევას ვკარგავთ იმაზე, რომ ვყოყმანობთ და ვთათბირობთ? ხომ არავის შეუძლია იმის მტკიცება, თითქოს მტერი ბოროტ ქცევაში ჯერ არ იყოს შემჩნეული, და თითქოს მხოლოდ ეჭვები არსებობდეს, რომ ის ამგვარ აზრებსა და ზრახვებს ატარებს; არც საბუთების მოგონებაა საჭირო მისი, ვითომც დაფარული, ვერაგობის დასამტკიცებლად; საკმარისია გაიხსენოთ სახელოვანი გუბაზი, რომელიც ასე საცოდავთ იქნა მოსპობილი, თითქოს ის ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყოს. გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ველარ ველირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ: ისიც უნდა ვიკმაროთ, თუ მივალწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ იმათ, ვინც წინათ ჩვენი ქვეშევრდომი იყო, ნუთუ უკიდურეს უგნურებას არ წარმოადგენს ის, რომ იმათ შესახებ, ვინც ეს ჩაიდინა, ჩვენ ვსხედვართ და ვმსჯელობთ, მტრებად ჩავთვალოთ ისინი თუ მეგობრებად? უნდა ვიცოდეთ, რომ მათი თავხედობა ამაზე არ შეჩერდება: თუ ჩვენ ამ ბოროტმოქმედებას უყურადღებოდ დავტოვებთ, ისინი არ მოგვეშვებიან და, გულხელდაკრეფილნი რომ ვისხდებით,

უფრო შეუპოვრად აგვხდინა ნამუსს. იმათ, ვინც ემორჩილება, ისინი, რა თქმა უნდა, უფრო თავხედურად ეპყრობიან და, ჩვეულებრივ ქედმაღლურად უყურებენ მოსამსახურეებს. მეფეც გაიძვერა ჰყავთ, რომელსაც ყოველთვის უხარია ცხოვრების პირობების არეულობა: და ეს ბოროტმოქმედება რომ ასე ერთბაშად იქნა სისრულეში მოყვანილი, ცხადია, იმის წყალობით, რომ მეფე მხურვალედ მოუწოდებდა ამას, ხოლო სხვებმა ეს გულმოდგინედ შეასრულეს. მარტო ის კი არ არის, რომ მათ გაგვანადგურეს, თუმცა ჩვენ არც უსამართლობა ჩაგვიდენია და არც რაიმე მტრობა ყოფილა ჩვენ შორის, არამედ, რა ჩვეულებაც წინათ ჰქონდათ, იმასვე მისდევენ, თითქოს ერთბაშად შეეპყრას ისინი სიგიჟეს, სიძულვილს და ყველა სხვა ამგვარ მოვლენას. სპარსელები კი ასეთი ხასიათისანი არ არიან; ისინი შორს არიან ამისგან. თუ ვინმე გაიხადეს თავში მეგობრად, ისინი ცდილობენ უთუოდ დაიცვან სიყვარული; ხოლო მტრის მიმართ რისხვას განაგრძობენ მანამ, სანამ ის მტრად რჩება. მე ვინატრიდი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირობოდეს უცხო და გარეშე დახმარება და რომ ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის დროს, მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს. მაგრამ, როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით ისეთს უძღურებაში ჩავარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ, უმჯობესია იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილის მსურველია, ვინც ურყევად იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ. ამრიგად, ჩვენ გავიმარჯვებთ ჩვენს ნამდვილ მტრებზე, თუ არავითარ შემთხვევაში არ დავტოვებთ დაუსჯელად იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მივიღებთ საჭირო ზომებს, რომ უზრუნველი გავხადოთ ჩვენი მომავალი ცხოვრება. ზედმეტი და უშედეგო იქნება ის გაიძვერობა და ფლიღობა, რომელთაც ისინი მზაკვრული პირფერობითა და ხელოვნური მოპყრობით იყენებენ იმათ მიმართ, ვინც მათ დაენდო, და რომელთა საშუალებით ისინი უსამართლო საქციელს სჩადიან, და ისინი ველარ გამოიყენებენ იმათ ჩვენ წინააღმდეგ, თუ მტერთან საერთო აღარაფერი გვექნება და აშკარად გამოვეთიშებით მას. თუ ისინი სცდიან ჩვენთან შეომებას,

მათ მოუხდებათ ბრძოლა ერთსა და იმავე დროს ლაზებთან და სპარსელებთან, ისიც მტრის მიწაწყალზე, ესე იგი აქ, და ცხადია მათ შემოტევას ვერ გაუძლებენ. აი, ეხლახან არ იყო, რომ მიდიელთა მცირეოდენ ჯარს შეებნენ მთელი თავისი ჯარით და მაშინვე სასირცხოდ გაიქცნენ ისე, რომ დღემდისაც კი არ მოუთქვამთ სული იმ რბენისაგან? ისინი, ასე ვთქვათ, ყველაფერში დამარცხდნენ, მხოლოდ სისწრაფით აჯობეს დამდევნებლებს.

ამის ცხად და აშკარა მიზეზად შეგვეძლო ჩაგვეთვალა მათი სილაჩრე და ის, რომ შეუფერებელ გეგმებს ადგენენ. ეს ცუდი თვისებები ხომ ახასიათებს მათ, როგორც ჭეშმარიტად მათი კუთვნილი და თითქოს თანდაყოლილი. გარდა ამისა, ამ, ბუნებით თანდაყოლილ, ცუდ თვისებებს ემატება თავისი ნებით ჩადენილი ბოროტმოქმედება და უსამართლოდ სისხლის დაღვრის გამო უზენაეს მფარველობას მოკლებულებს უორკეცდებათ უბედურება. გამარჯვებას იარაღი კი არ განამტკიცებს ხოლმე, არამედ სათნოიანობა; მაგრამ არა მგონია ბოროტმოქმედი და სისხლში გასვრილი ადამიანები ოდესმე ეზიარონ ამ კეთილ საწყისს. ამრიგად, თუ ჩვენ გონიერად ვიმსჯელებთ, არ უნდა მივემხროთ იმათ, რომელთაც კარგად აზროვნების უნარი არ გააჩნიათ და რომელთაც ურისხდებათ ის, ვინც ყველაფრის გამგებელია. მაშასადამე, რომ სპარსელების მხარეზე გადასვლა ჩვენთვის ადვილი და სასარგებლოა და უზენაესსაც ესიამოვნება, ეს მტკიცდება საქმით და არა სიტყვით. ეს არ იქნება ჩვენი მხრით არც უსამართლო საქციელი, არც იმის მაჩვენებელი თითქოს ჩვენ ვერაგნი გამოვდგეთ. წინათაც ბევრჯერ მოუყენებიათ შეურაცხყოფა რომაელებს, მაგრამ ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით ძველ მდგომარეობაში დარჩენას. შეუფერებლად მიგვაჩნდა იოლი გადადგომა იმ სხვადასხვა მიზეზთა გამო, რომელნიც, თუმცა საშინელნი იყვნენ, მაგრამ მაინც მოსათმენნი და არც თუ ძალიან აუტანელნი. მაგრამ ჩემის აზრით, არ შეეფერება გონიერ ადამიანებს, რომ ჩვენ სრულის მოდრეკით ავიტანოთ უდიდესი ვნებანი და აუნაზღაურებელი ზარალი, რომელთაც ჩვენ გვაყენებენ, და არაფრით არ შევებრძოლოთ ამ უწმინდურ და შეუფერებელ საქმეებს: ეს უფრო შეეფერება მხდალ და ლაჩარ ადამიანებს, რომლებიც თავისი უქნარობით სახელმწიფო

საქმეებისადმი დაუდევრობას ამტკიცებენ. რაც შეეხება ამ უკანასკნელ მკვლელობას, არა მგონია სხვაგან სადმე მომხდარიყოს მაგაზე უფრო დიდი უბედურება, ან რომ მომხდარიყო, ასე იოლად ჩაეელო. ამიტომ არც ჩვენ უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ ეს საქმე: სასირცხო იქნება, თუ ჩვენ მეფეს დავივიწყებთ და მის მკვლელებს პირფერობას დაუვწყებთ. ის რომ ეხლა აქ იყოს, საყვედურით აგვავესება და დაგვძრახავდა ჩვენი დაუდევრობის გამო, რომ ეს ბოროტმოქმედნი, იმის მაგიერ, რომ დიდი ხნის წინათ ყოფილიყვნენ გაძევებულნი, ჯერ კიდევ დაიარებიან ამ მიწაწყალზე. მაგრამ ვინაიდან ამიერიდან ის ვეღარ გამოჩნდება ჩვენს შორის და ვერც სიტყვით მოგვმართავს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ ეს კაცი. დე, ის წარმოუდგეს თქვენს გონებას, თითქოს ამ კრებაზე იყოს და მიგითითებდეთ თქვენ თავის ჭრილობაზე, მკერდზე და კისერზე, და თვისტომთ სთხოვდეს ეხლა მაინც გადაუხადონ მტერს სამაგიერო. მერმე, რომელი თქვენგანი დაუჭერს მხარს იმათ, რომელნიც ყოყმანობენ და კიდევ მსჯელობენ იმის შესახებ, სამართლიანია თუ არა კოლხების მხრით გუბაზის გლოვა? თუ ჩვენ შეუფერებლად მივიჩნევთ რომაელებისგან განდგომას და შევეშინდებით, სიფრთხილე გვმართებს, რომ ამ ბოროტმოქმედების მონაწილეებად არ ჩაგვთვალონ, ვინაიდან დაუდევრობას ვიჩნთ და მიცვალებულის სისხლის აღებას ვაყოვნებთ; რომ მხოლოდ სიცოცხლეში ვეპყრობოდით მას სიყვარულით და სიკვდილის შემდეგ აღარც კი გვახსოვს, ამით უფრო მტკიცდება ჩვენი ორგულობა. თუ საქმეები კარგად მიდის, დიდი უგნურება იქნება ძველ ნაცად წესებს ვუღალატოთ; ხოლო პირიქითა ვფიქრობ, უაზრობა იქნება, თუ ჩვენ, რაც შეიძლება მალე, არ შევევუებით ახლად შექმნილ მდგომარეობას. სიმტკიცე გონიერების თვალსაზრისით უნდა განვსაჯოთ: არსებული მდგომარეობის მოთმენა ყოველთვის კი არ არის საქები, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გონიერი მოსაზრებები ახლავს თან. მაგრამ როდესაც ისე ხდება, რომ უგულვებელყოფენ იმას, რაც უნდა ახსოვდეთ, ხოლო აკეთებენ იმას, რაც შეუფერებელია, მაშინ უფრო გასაკიცხავია ის, ვინც ძველ ვითარებას მისდევს, ვიდრე ის, ვინც ახალს ემხრობა. და აი, ამას რომ შეიტყობენ ჩვენგან სპარსელები და გაიგებენ, ჯეროვანი სიყვარუ-

ლით მოგვეყვრობიან და ჩვენთვის იბრძოლებენ, ვინაიდან ისინი კაცთ-
მოყვარენი და გულკეთილნი არიან, და მეზობელთა ზრახვებსაც
კარგად მიუხვდებიან ზოლმე; გარდა ამისა, ჩვენი ნებაყოფლობითი
მიმხრობით ისინი მოკავშირედ იძენენ უაღრესად გამოსაღებ ქვეყანას
და მნიშვნელოვან ჯარს, რაც მათ ფულსა და ქონებას ურჩევნიათ.
მაშ, სხვა ფიქრი რაღა საჭიროა, სასწრაფოდ შეუდექით საქმეს და
გამოამჟღავნეთ თქვენი გულის ნადები: რომ გავაკეთებთ იმას, რაც
სწორი და სამართლიანია და რაც სარგებლობას მოგვიტანს, – ამით
ჩვენ უდიდეს სახელს მოვიხვეჭთ.“

ასე ილაპარაკა აიეტმა და მთელი ხალხი აღფრთოვანდა და
მამინვე სიხარულის ყვირილი მორთო; იმ დღესვე აპირებდნენ სპარსელებ-
ის მხარეზე გადასვლას.

ფართაზის სიტყვა

ჩვეულებრივი ამბავი დაგემართათ კოლხებო, რომ მეტად მოხ-
ერხებულად და წარმტაცად თქმულმა სიტყვებმა გონება შეგირყიეს.
უძლეველი რაღაც არის მჭერმეტყველება და ის თითქმის ყველას
ამარცხებს, განსაკუთრებით კი იმათ, ვისაც წინათ მისი ძალა არ
გამოუცდიათ; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მას ვერ
დაუპირისპირებთ გონიერ მოსაზრებას, რომელიც საქმის ნამდვილ
ვითარებას ემყარება. ნათქვამი იმიტომ კი არ უნდა მოიწონოთ თქვენ,
რომ ის თავისი მოულოდნელობით და უჩვეულობით მიგაჩნიათ დამ-
არწმუნებლად, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ ის მიზანშეწონილია და
სასარგებლო. კარგად უნდა შეიგნოთ, რომ რაგინდ სასიამოვნო არ
უნდა იყოს ნათქვამი, უნდა ამოიღრჩიოთ იქიდან ის, რაც უმჯობესია:
იმის აშკარა საბუთად, რომ თქვენ მოტყუვდით, ის გამოდგება, რომ
თქვენ ასე ადვილად დაარწმუნებინეთ თავი აიეტს, ვინც ყალბ რჩევა-
დარიგებას იძლევა, მას ესაჭიროება სიტყვების მეტი მოკაზმულობა
და სიჭრელე. რაც უფრო მეტ წარმტაც სიტყვებს იხმარს ის, მით
უფრო სწრაფად მიიზიდავს გულუბრყვილო მსმენელს. ასე დაგემარ-
თათ თქვენც: აიეტი რომ მაცდურსა და შემპარავ სიტყვებს მოგახ-
სენებდათ, ვერც კი შეამჩნიეთ, როგორ მოსტყუვდით. სხვა თუ არაფერი,

ის კი მაინც ნათლად უნდა შეგემჩნიათ, რომ იმთავითვე წამოაყენა სულ სხვა საკითხი, სრულიად განსხვავებული იმ საკითხთან, რომელთა გამო ჩვენ აქ მოვსულვართ, მისი სიტყვებით ისე გამოდის, თითქოს თქვენ ყველანი ამტკიცებდეთ, რომ მომხდარი ამბავი არ იყოს საშინელება, რომ ამ საზიზღარ მკვლელობას არ ჰკიცხავდეთ და მხოლოდ იმის შესახებ მსჯელობდეთ, დამნაშავენი არიან თუ არა გუბაზის მკვლელები; თვითონ კი მკვლელობის დანაშაულს არ ეხება და უამრავ სიტყვას ხარჯავს იმაზე, რაც ცნობილია. მე კი ვამბობ, რომ წყეული და შეჩვენებული არიან ისინი და რომ მე უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი მათ საშინელ სასჯელს, ვუყურებდი არა მარტო მათ დაღუპვას, რომელთაც განგმირეს გუბაზი და საკუთარი ხელებით ჩაიდინეს ეს მკვლელობა, არამედ ყველა იმათსაც, რომელთაც შეეძლოთ შეეფერხებინათ ეს მკვლელობა და არ შეაფერხეს და აგრეთვე იმათსაც, რომელთაც ეს მკვლელობა გაეხარდათ და არც თუ ისე აღშფოთდნენ. თუმცა მე ამას ვფიქრობ, მაგრამ სპარსელების მხარეზე გადასვლა მაინც არ იქნება სასარგებლო: არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თითქოს თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს და იმ ვერაგებს კი არ გამოუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ ამგვარივე სახელი. ეხლა აღარ არის საჭირო იმაზე ფიქრი, რაც მოხდა და დასრულდა და უკვე აღარ შეიძლება დაბრუნებულ იქნას (თითქოს არ მომხდარიყოს); ნუ ავეყვებით მსჯელობის დროს მოწოლილ ბოდმას და გულისტკივილს, რომ არ დაეკარგოთ მოსაზრების უნარი და არ დავაბუნდოვნოთ ჩვენი მსჯავრი. შევინარჩუნოთ უნარი უკეთესის არჩევისა. გამოვიჩინოთ ჩვენი მწუხარება, რამდენადაც ეს საჭიროა იმის დასამტკიცებლად, რომ დაუდევრობას არ ვიჩენთ, და მოვისაზროთ მომავლისათვის, თუ როგორ მოვაგვაროთ საქმეები უფრო უკეთ. უგნური ადამიანები სულ მუდამ დასტირიან განვლილ უბედურებას, ხოლო გონიერნი შეიცნობენ ხოლმე ბედის უკუღმართ ტრიალს და მათ არ აშფოთებს ცვლილებები, და, როდესაც წინანდელ მდგომარეობას ჰკარგავენ, არ ისპობენ მომავლის იმედებს.

მაგრამ ეს მრჩეველი (აიეტი), რომელიც დიდი ხანია მიდიელების

მომხრეობას იჩენს და მოწადინებულია ჩვენ გადაგვიყვანოს მათ მხარეზე, ცდილობს შეგვაშინოს – თითქოს ბავშვები ვიყოთ – და გვიმტკიცებს, რომაელები არ იკმარებენ იმას, რაც გაბედეს, კიდევ მეტი უბედურება მოგველისო. ამბობს იმასაც, მათ დიდი გაიძვერა მეფე ჰყავთო, რომელიც თვითონ არის მკვლელობის სულის ჩამდგმელი; დიდი ხანია ეს მკვლელობა მომზადებული და მოფიქრებული იყო. ამას ამბობს ის და აქებს და ადიდებს სპარსელებს. ის ფიქრობს, რომ ამ გზით დაგვარწმუნებს ჩვენ და ჩვენც ეხლავე ჩვენი საკუთარი ფეხით ვეახლებით აშკარა მტრებს და ხვეწნას დაუწყებთ. ამ მიზნისათვის ხმარობს ის ყოველგვარ საშუალებას. იმთავითვე იღწვის და ცდილობს იმისათვის, რომ განახორციელოს ის, რაც მას განზრახული აქვს; მოუფიქრებლად გვიდგენს გეგმებს, არღვევს და ანგრევს კრების წესრიგს და ამ კრებას მიზანს უკარგავს. კრება ხომ ჩვეულებრივ წინასწარ იხილავს მუდამ და მსჯელობს, რომ კარგად გასინჯოს ის, რაც არ არის ნათელი; ხოლო როგორც კი მიაგნებს იმას, რისი გაკეთებაც არის საჭირო, მაშინ გემართებს გამოვიჩინოთ სურვილი და შევასრულოთ დადგენილება. ამან კი ბოლო თავში გადაიტანა და, ვიდრე ჩვენ საბოლოოდ რასმე გადავწყვეტდეთ, ის უკვე შეუდგა შესრულებას. რაღა აზრი აქვს კრებას, თუ ჯერ დადგენილება იქნება და მერე კრება? თქვენ კი კოლხებო, არასდროს არ უნდა დაუკავშიროთ თქვენი აზრები გარეშე მოსაზრებებს, უნდა უყუროთ ერთს რომელსამე წინდასახულ მიზანს და ისე წარმართოთ თქვენი მსჯელობა. განა შესაძლებელია ვითარების შეტრიალება ძალით და მისი ისე მოქცევა, როგორც გვესიამოვნება? თქვენ, პირიქით, სხვა წესს უნდა მისდით: წმინდა და დამოუკიდებელი მსჯელობა იხმაროთ ისე, რომ ზედმიწევნით გაარჩიოთ საქმე და დაადგეთ იმ გზას, რომელიც სასარგებლო იქნება. თუ ჩვენ ასე ვიმსჯელებთ, მაშინვე ცხადი გახდება, რომ არც რომაულ რაზმებს, არც სტრატეგოსებს, საერთოდ აღებულს, მითუმეტეს არც მათ მეფეს არ მოუწყვიათ შეთქმულება გუბაზის წინააღმდეგ. ხომ თვით მათ შორისვე გავრცელებული ხმები და ერთხმად აღიარებული, რომ რუსტიკე და მარტინე, რომელთაც შურდათ მისი წარმატება, აპყვნენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს და დანარჩენი სარდლები არა

თუ მათ არ ეხმარებოდნენ, არამედ აშკარად სწუხდნენ. უმართებულო იქნებოდა, ჩემი აზრით, და ამასთანავე ერთად მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვიღია ჩვენ თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელსაც მშვენივრად შევეგუეთ, იმათ მიმართ კი, რომლებიც ამ ქვეყანას სდარაჯობენ და მრავალნაირ ხიფათში ვარდებიან იმის გულისათვის, რომ ჩვენ უდარდელი ცხოვრება მოგვანიჭონ, გამცემლები გამოვსულიყავით; ყველაზე უფრო უწმინდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით ჩვენ შევბღალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლობას. აბა, სხვას რას დაემსგავსება ჩვენი საქციელი, თუ მივემხრობით უზენაესი არსების სასტიკ მტრებს? თუ ისინი აგვიკრძალავენ ჩვენი საღმრთო წესების შესრულებას და თავიანთ წესებზე გადავიყვანენ, ამაზე უფრო სამძიმო რა უნდა განვიცადოთ ჩვენ, რომლებიც ცოცხლები ვიქნებით და ამავე დროს მკვდრებიც? რას მოვიგებთ იმით, რომ „ვთქვათ, მთელი სპარსეთი შევიერთოთ და სულები კი წავიწყმიდოთ? რომ კიდევაც ნება დაგვართონ და ჩვენ ნებაზე მიგვიშვან, სულ ერთია – მაინც არ ექნებათ ჩვენ მიმართ კეთილი განწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენდამი ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტოოდენ სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული. ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი, კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასდროს არის მტკიცე. ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობაა. თუ ვინიცობაა ეს ერთიანობა არ არსებობს, მათი დაახლოვება და მეგობრობა ცარიელი სიტყვაა: საქმით ისინი ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან. ჰო და, აბა, რის გულისათვის უნდა გადავიდეთ, კოლხებო სპარსელების მხარეზე, თუ კი ისინი მაინც ჩვენ მტრებად დარჩებიან და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ისღა გვექნება, რომ ისინი უფრო ადვილად მოგვაყენებენ ვნებას, ვინაიდან ფარული მტრისაგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე აშკარისაგან? მაგრამ ვთქვათ, თუ გნებავთ, რომ ეს საქციელი არც უსამართლო იქნება და

არც არასაკადრისი, და დაუშვათ, რომ სპარსელები თავისი ხასიათით მტკიცენი და სანდონი არიან და ჩვენთან დადებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ. ესეც რომ მივიღოთ, და მაშასადამე, აღარავითარი დაბრკოლება აღარ გველოებოდეს, მაინც ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებთ ჩვენ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგოსების ხელმძღვანელობით? როგორღა შევძლებთ საშინელი სასჯელის თავიდან აცდენას, როდესაც ისინი, რომლებმაც უნდა აღმოგვიჩინონ დახმარება, ჯერ კიდევ შორს, იბერიაში, აყოვნებენ და ზღაზვნით მოიწევენ წინ, ხოლო ისინი კი, რომელთაგანაც სასჯელს უნდა ველოდეთ, მთელ ამ ქვეყანას ფლობენ და ჩვენს ქალაქებში ცხოვრობენ?

მართალია, ეს სახელოვანი კაცი გვიმტკიცებს, რომაელები ჩვენს იერიშს ვერ გაუძლებენო, და საბუთად მოჰყავს ამას წინათ მომხდარი შემთხვევა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ბრძოლის შედეგები უთუოდ განსაზღვრულ პირობებს არ ექვემდებარება და რომ, ვინც ეხლა შემთხვევით დამარცხება განიცადა, მუდამ იმნაირივე უბედურების ლუკმა არ იქნება? პირიქით, ხშირად გამარჯვება ბედის უკუღმართობას გამოასწორებს ხოლმე და დამარცხებულებს ხვდება წილად. ამიტომ ჩვენ იმ იმედით, რომ რომაელები ამიერიდანაც ყოველთვის დამარცხებულნი აღმოჩნდებიან ბრძოლაშიო, არ გვმართებს ზომაზე მეტად ვიყოთ დამშვიდებულნი. რომ ისინი დამარცხდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ კარგად არ მოიფიქრეს ის, რაც საჭირო იყო, ჩვენ ეს უნდა გამოგვადგეს კარგ მაგალითად და წინასწარი ზომები მივიღოთ, რათა მოუფიქრებლობის გამო ხიფათი არ შევეშთხვეს; და, რასაკვირველია, აქედან ჩვენ ის დასკვნა არ უნდა გამოვიტანოთ, რომ ადვილად ვაჯობებთ მათ. ხომ საფიქრებელია, რომ, რახან წინათ შეცდომები დაუშვეს, გამოცდილებით ისწავლიდნენ, თუ რას უნდა ერიდონ, და ამიერიდან იზრუნავენ, რომ შეცდომა გამოასწორონ. ხოლო თუ მათ ღვთაება უწყყრება ამ საზიზღარი მკვლელობის ჩადენისათვის და ამით აიხსნება მათი უბედურება,

რალა საჭიროა ჩვენც არ მივეშველოთ ღვთაებას, თითქოს მსჯავრის დასადებად მას თავისი ძალა არ ჰყოფნიდეს და ჩვენს დახმარებას საჭიროებდეს? რა საქციელის ჩადენის შესაძლებლობა დარჩება სხვებს, თუ ჩვენ გადადგომით ეუპასუხებით რომაელთა ამ წყალობას, რომელიც გვიცავს ჩვენ, როგორც საჭიროა, და რომლის მეოხებით ჩვენ მშვიდათ ვცხოვრობთ? ამიტომ ნურავინ ნუ ცდილობს წარმოგვიდგინოს აქ მიცვალებული გუბაზი, სრულიად არა ვაჟკაცურად მოტირალი, რომელიც თითქოს თავის ჭრილობას უჩვენებს თვისტომთ და ევედრება მათ შეიბრალონ იგი. იქნებ ეს შეეფერებოდეს საცოდავ და სუსტ არსებათ, მაგრამ ეს არ შეეფერება მეფეს, ისიც ლაზთა მეფეს, მით უმეტეს გუბაზს, ის რომ აქ იყოს, უეჭველია ის, როგორც ღვთისნიერი და გონიერი ადამიანი, გაგვიცხავდა ჩვენ ამგვარი ზრახვისათვის; მოგვიწოდებდა არ მივცემოდით სასოწარკვეთილებასა და გულაჩუყებას. და მონების მსგავსად კი არ გავქცეულიყავით, არამედ აღვჭურვილიყავით კოლხის თავისუფალი შეგნებით, ვაჟკაცურად აგვეტანა უბედურება და არაფერი სასირცხო და მამა-პაპური წესების შემბილწველი არ ჩაგვედინა. არსებულ მდგომარეობაში დავრჩენილიყავით და იმედი გვექონოდა, რომ უზენაესის თვალი არ მოაკლდება ერს. ნუთუ რამენაირად დასაჯერებელია, რომ გუბაზი, რომელსაც ძალადობამ მოუსპო სიცოცხლე, ყველაფერ ამას შესაწყნარებლად თვლის, ხოლო ჩვენ, რომლებიც მას სიყვარულით ვეპყრობით, წინააღმდეგს ვფიქრობთ? მაგრამ მე მეშინია, ვაითუ მხოლოდ იმის გამოც, რომ ასეთი რამ გავიფიქრეთ და განვიზრახეთ, უდიდესი სასჯელი მოგვეზღოს. თუ ჩვენ შეუდგებით გადადგომას ისეთი იმედებით, რომლებიც ბუნდოვანია და ჰგულისხმობენ საქმის წარმართვისას სასწორის ან აქეთ ან იქით გადახრას, მაშინ ხომ საშინელება იქნებოდა ასეთ გადამწყვეტ წუთებში მხოლოდ ბედზე ყოფილიყავით დამოკიდებული; ან და იქნებ იმათ, ვინც ეს გზა აირჩია, უფრო გაბედულად შესძლონ ამ სამარცხვინო საქმის შესრულება. ხოლო, თუ ეს ბოროტება წინასწარ უკვე ყოველმხრივ ნათელია, ნუთუ ზიზღის ღირსნი არ არიან ისინი, ვინც ეს გაფიქრებინათ? თუ როგორ განვთავისუფლდეთ ამათგან, მე უკვე საკმაოდ ვილაპარაკე. მე იმ აზრისა ვარ, რომ საჭიროა რომაელთა მეფეს

ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის ამას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება რომაელებთან: კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. თუკი ის უარყოფს ჩვენს თხოვნას, მაშინ უნდა მოვიტათ ბიროთ, მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ...“

ეს რომ თქვა ფარტაზმა, კოლხებმა, როგორც იტყვიან, სხვანაირად დაიწყეს მღერა, და აზრი გამოიცვალეს. განსაკუთრებით იმით იმოქმედა მათზე, რომ შიში აღუძრა, ვაითუ, რომ გადავდგეთ, უზენაესის წყალობას მოვწყდეთო. რადგან ფარტაზის აზრმა გაიმარჯვა, ერის წარჩინებულმა და კეთილშობილმა კაცებმა აცნობეს იუსტინიანე მეფეს ის, რაც გუბაზის გარშემო მოხდა, გაუმჟღავნეს მას მთელი იმ მოტყუების ამბავი, — სახელდობრ, რომ გუბაზი არასდროს არ ყოფილა სპარსელების მომხრე, არც სხვა რამ რომაელების სამტრო განუზრახავს, და რომ მარტინეს და რუსტიკეს მომხრეებმა, რადგან გუბაზი მათ ხშირად მიუთითებდა დაუდევრობით ჩადენილ შეცდომებზე და სრულიად სამართლიანად უჯავრდებოდა მათ, შეხანხლეს მათ მის წინააღმდეგ ბრალდებები და დააბეზლეს ის და კიდევაც მოკლეს სრულიად უდანაშაულო კაცი. ლაზთა წარმომადგენლები სთხოვდნენ იუსტინიანეს მიცვალებულის სულისათვის შემდეგი წყალობა ებოძებინა: სხვა არაფერი გვინდაო — უთხრეს მათ, — მხოლოდ დაუსჯელს ნუ დატოვებ ამ ბოროტმოქმედებას და მეფედ ვინმე უცხოელს, არათვისტომს კი ნუ დაგვიყენებ, არამედ წათე გამოგვიგზავნე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიონში ცხოვრობს, რათა დაცული იქნეს მამა-პაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურყენელი დარჩესო. იუსტინიანემაც სასწრაფოდ შეასრულა ეს თხოვნა (ვინაიდან სრულიად სამართლიანად თვლიდა მას) და გაგზავნა ლაზეთში ათანასი, ერთი პირველი კაცთაგანი დარბაზის შესაკრებლისა, რომელსაც დაავალა ზედმიწევნით გამოეკვლია მომხდარი ამბავი და რომაული კანონების მიხედვით გაერჩია საქმე. ათანასიმაც, როგორც კი ჩავიდა ლაზეთში, მაშინვე ქალაქ აფსარ-ნუტში¹ გაგზავნა რუსტიკე და იქაურ სატუსალოში დაამწყვდევინა;

¹ აფსარნუტი (აფსაროსი) — ციხე-სიმაგრე ეგრისში, თანამედროვე გონიო.

იოანე კი, რომელმაც მეფე მოატყუა და რომელმაც საკუთარი ხელით ჩაიდინა ის მკვლელობა ჩუმად გაქცეულიყო მაშინ და ცდილობდა გაქცევით გადაერჩინა თავი; და აი, ამ იოანეს, რომელიც ამ მიზნით სადღაც მიდიოდა, მოხდა ისე, რომ მეტრიანე წააწყდა გზაში (ეს მეტრიანე ერთი იმ სამეფო მეშუბეთაგანი იყო, რომელთაც სკრიბონებს ეძახიან; ის იმ მიზნით იყო გაგზავნილი, რომ მომსახურებოდა ათანასის და შეესრულებინა ყველაფერი, რასაც ის უბრძანებდა). მეტრიანემ შეიპყრო იოანე და მსაჯულს მიჰკვარა. მსაჯულმა ისიც აფსარნუტში გაგზავნა, რომ ბორკილებ გაყრილი დაემწყვდიათ სატუსალოში, ვიდრე დაწყებული გამოძიება დამთავრდებოდა...

წათუც დაბრუნდა ბიზანტიონიდან სტრატეგოს სოტერიქესთან ერთად; რომელთა მეფისგან მიეღო მას, როგორც ეს ძველთაგანვე დაწესებული იყო, მამა-პაპის სახელო და საამისო (სამეფო) ნიშნები. ეს ნიშნებია: ოქროს გვირგვინი, თვალმარგალიტით შემკული; კოჭუბამდე გრძელი ქიტონი ოქრომკედლით მოქარგული; მიტრა, აგრეთვე ოქროთი და თვლებით შემკული, და წითელი წაღები. ძოწეული ქლამიდის ტარების ნება კი არ ჰქონდათ ლაზთა მეფეებს, მხოლოდ თეთრისა შეეძლოთ; არც სრულიად საყოველთაოა ის და ჩვეულებრივი, შუაში ორივე მხრით ოქროს ქსოვილით არის ალაპლაპებული. მეფურია ქლამინდის აბზინდიც თავის აკინძული თვლებით და სხვა მორთულობით. და როდესაც წათემ, სამეფო სამოსელში გამოწყობილმა, ფეხი შემოდგა თავის ქვეყანაში, მას მიესალმნენ სტრატეგოსები და რომაელთა მთელი ჯარი და სათანადო პატივით წინ წამოუძღვნენ, საუკეთესოდ შეიარაღებულნი და მეტწილად ცხენებზე მჯდომარენი. ლაზები კი გახარებულნი იმით, რომ როგორც იქნა გადარჩნენ უბედურებას, მიაცილებდნენ მას ჩამწკრივებულნი: ყოველგნით საყვირების ხმა ისმოდა და დროშები იყო მაღლა აფრიალებული. ზეიმი იყო მეტად ბრწყინვალე და აღზევებული და უფრო მეტად გაზვიადებული, ვიდრე ეს ლაზთა სამეფოს შეეფერებოდა. ამრიგად, წათე ჩაუდგა სამეფოს სათავეში, შეუდგა ამიერიდან საქმეების მოწესრიგებას და უკვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მას მამა-პაპური წესი უკარნახებდა.“

ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე სასანიდურ
ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული ზავის
შესახებ ძ. დარაში. სვანეთის საკითხი
ირან-ბიზანტიის საზავო მოლაპარაკებაზე
(VI ს. 60-იანი წწ.)¹¹⁷

„აღმოსავლეთითა და არმენიაში, მგონი, საბოლოო ზავი იყო შეკრული რომაელებსა და სპარსელებს შორის. ხოლო ლაზიკეში დროებითი ზავი. რადგან თითქოს ნახევრად იყო დასრულებული ზავის საქმე, ხოლო როგორც რომაელთა, ისე სპარსელთა მეფეებს საჭიროდ მიაჩნდათ სრული სიმშვიდის დამყარება, ამიტომ იუსტინიანე გზავნის პეტრეს, რომელიც სამეფო კარის რაზმებს უფროსობდა, რომ მოელაპარაკოს ზოსროს საზოგადო ზავის შესახებ და, აი, როდესაც იმან მიაღწია დარას საზღვრებს და აცნობა აღმოსავლეთის ბარბაროზთა მეფეს, მოვედი იმის გამოსაცხადებლად, რომ ყველგან იარაღი დავეაროთო, იქ გაიგზავნა სპარსელთა ელჩიც, რომელსაც ჰქონდა ზიქის პატივი – ეს უდიდესი პატივია სპარსელებში – ხოლო სახელი მისი იყო იესლეგუსნაფ. ის იყო თავისი მეფის საწოლთუხუცესი. ამრიგად, აქ რომ მივიდნენ ელჩები და ადგილობრივი მმართველებიც შეკრიბეს, დაიწყეს მოლაპარაკება... მის შემდეგ, რაც ამის შესახებ დიდი დავა ატყდა და ცოტა სიტყვები არ დაიხარჯა, ბოლოს გადაწყვიტეს შეეკრათ ზავი ორმოცდაათი წლით და რომაელებს მისცემოდა ლაზიკე: ხელშეკრულება უნდა ყოფილიყო მტკიცე და ურყევი და მას ძალა უნდა ჰქონოდა ყველგან, როგორც აღმოსავლეთით, ისე არმენიაში და რასაკვირველია თვით ლაზიკეშიც... შემდეგ კვლავ ისაუბრეს საქმეების შესახებ, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ყველა საეჭვო საკითხი იქმნა მოწესრიგებული. ხოლო საკითხი სვანეთის შესახებ ჯერ კიდევ ჰაერში ეკიდა და მხოლოდ ის დარჩენოდათ მათ გაურკვეველი... ბევრი სხვაც უთხრეს ერთმანეთს რომაელებმა და სპარსელებმა სვანეთის შესახებ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ამიტომ იმათ გადაწყვიტეს სპარსელთა მეფეს განეხილა ეს საკითხი და ზიქმა ფიცი დადვა – როგორც სპარსელებშია მიღებული დაფიცება – რომ ის დაეხმარებოდა პეტრეს, როდესაც ის

ზოსროსთან მივიდოდა სვანეთის შესახებ... მის შემდეგ, რაც ამაზე და სხვაზე იდავეს, დასწერეს ორმოცდაათწლიანი ზავის შესახებ სპარსულად და ბერძნულად: ბერძნული სპარსულ ენაზე იქმნა გადათარგმნილი და სპარსული — ბერძნულად. ხელშეკრულება დაამტკიცეს რომაელების მხრივ პეტრემ, სამეფო რაზმების სარდალმა, და ევსევიმ და სხვებმა, ხოლო სპარსელების მხრით ზიქმა ე. ი. იეზდეგუსნაფმა, სურენამ და სხვებმა. როცა თითოეული მხარის დებულებები დაწერილ იქმნა, ისინი ერთმანეთს შეადარეს აზრებისა და სიტყვების ერთიდაიგივეობის მიზნით. ხოლო, თუ რას აღნიშნავდა ეს საბუთი, ვიტყვი ეხლავე. პირველ დებულებად დაწერილი იყო, რომ სპარსელები ნებას არ აძლევენ არც ჰუნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს ეგრეთ წოდებული ჩორისა და კასპიის კარების შესავალი ვიწრობებით გადავიდნენ რომაელთა სამფლობელოს წინააღმდეგ, და რასაკვირველია არც რომაელები გზავნიან ჯარს სპარსელების წინააღმდეგ არც ამ ადგილს და არც მიდიელთა სხვა საზღვრებზე...

როდესაც პეტრე მივიდა სპარსელთა მეფესთან ეგრეთ წოდებულ ბითარმაისში, რომ მოლაპარაკებოდა მას სვანეთის შესახებ, ის წარდგა სასახლეში და თქვა შემდეგი: ჩვენ მოვედით შენტან, მეფე, ბედნიერი იმით, რომ გვაქვს მტკიცე ზავი, და დაიმედებულნი იმით, რომ გვიან მაინც მივალწევთ შენგან სამართლიან მოთხოვნას... მის შემდეგ, რაც ჩვენ ჩავაქრეთ ომის აღი და თითქოს თავისუფლად ამოვისუნთქეთ, მხოლოდ ერთი ნაპერწკალი-ლა დარჩა: ბოროტებათა ნაპერწკლად მე ვგულისხმობ სვანეთს, რომელიც გვემუქრება ჩვენ, რომ უდიდესი უთანხმოების ცეცხლად გადაიქცევა; შეაჩერე უბედურება და წინდაწინვე გაგვათავისუფლე მოსალოდნელ ბოროტებათაგან, გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან ჩვენ ვამყარებთ შენზე, რომელმაც მოიხელოვნე საჭირო საქმეები, ერთი-ლა დარჩა უკანასკნელი დასკვნა ომისა, სახელდობრ, რომ თუ ჩვენ უკვე ლაზიკის უფალნი გავხდით, სვანეთიც მოგვემატოს. ვინაიდან, ვინც განმგებელს ჰფლობს, ნუთუ მისი არ უნდა იყოს იმის ხელქვეითიც. არც ლაზები და არც თვით სვანები არ მიიჩნევენ სადავოდ, თითქოს სვანეთი წინათ ლაზთა ქვეშევრდომი არ ყოფილიყოს, არც იმას, რომ სვანეთის მმართველს ლაზთა მეფის გადაწყვეტილებით ენიჭებოდა ძალაუ-

ფლებს. ეს თქვა პეტრემ და საბუთებით დაუმტკიცა ხოსროს, რომ ლაზთა მეფეები უფრო ძველი იყვნენ და რომ სვანთა განმგებლები ერთი-მეორეზე ინიშნებოდნენ მათგან. შემდეგ იმან კვლავ უთხრა: „თვით სამართლიანობა გვანიჭებს ჩვენ, მეფე, სვანეთსაც და ნუთუ შენ მიღწევად არ ჩათვლი, რომ ორი რამ გექნება: რომ შენ არავის უსამართლოდ არ ეპყრობი და რომ ყველას ანიჭებ, რაც ეკუთვნის. არც ჩვენი მეფე იფიქრებდა, რომ მას უსამართლოდ ეპყრობიან, თუ ის თავის კუთვნილს, ვითარცა საჩუქარს, მიიღებდა თქვენგან, რადგან ის ფიქრობს, რომ ლაზიკეც სხვანაირად არ მიუღია. ვინაიდან, როდესაც ჩვენ გიმტკიცებდით და ცხადად გიჩვენებდით, რომ ის (ე. ი. ლაზიკე), დიდი ხანია, რომაელთა კუთვნილებას წარმოადგენს, შენ თვითონ გვიპასუხე, რომ ომის ძალით მიითვისე ლაზიკე, მაგრამ მაინც მოისურვე, რომ სამართლიანობა შეუბღალველი ყოფილიყო, და უფრო სასარგებლოდ დასახე საღი გონიერება, ვიდრე მძლავრი ხელი. ამრიგად, შენ აუცილებლად მიიჩნიე არა აუცილებელი და კეთილშობილების გამო დაადგინე შენი თავისავე საწინააღმდეგო და გამარჯვებულმა აღიარე თავი პატიოსნების მიერ დამარცხებულად და პირდაპირ დაგვიბრუნე ჩვენ ლაზიკე, გადმოგვეცი ის, როგორც საკუთარი სამფლობელო და ძალაუფლებაც მასზე მოგვანიჭე ჩვენ. ასევე გთხოვთ სვანეთის შესახებაც, რომ უსასყიდლოდ მივიღოთ ჩვენი საკუთრება; და ჩვენ მადლობას გადაგიხდით თქვენ, რომ ჩვენთვის დაკარგული არ იქნება ჩვენი საკუთრება, და თქვენც მადლობელი იქნებით უზენაესი ძალის, რომ იმდენად ძლიერნი ხართ, რომ თითქოს გაასაჩუქრეთ ის, რაც თქვენი არ არის. მეფემ ასე უპასუხა... რომაელთა ელჩო, რომელიც ასეთ სიბრძნეში განიწვრთნე და ისწავლე სიტყვების საშუალებით გამარჯვება, მე არ უნდა ვიქნე განქიქებული იმისათვის, რომ არავისაგან მისწავლია, რომ დაგარწმუნო შენ. მაინც, რამდენადაც შესაძლებელია, თუმცა არა ბრწყინვალე სიტყვების საშუალებით, არამედ გონების კარნახით სააშკარაოზე გამოვიტან სიმართლეს. დავუშვათ, რომ შენ სვანეთის შესახებ სწორად ილაპარაკე, რომ ეს სრულ სიმართლეს შეიცავს. ლაზიკე მე დავიპყარი, ხოლო სვანებს არც კი დავცემივარ; მხოლოდ გაგვეგონა, მერმეროე რომ გვითითებდა ჩვენ, რომ ეს უმნიშვნელო ქვეყანაა და არ არის

დავის ღირსი, არც სამეფო ლაშქრობის საქმეაო; ეს ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობსო, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიანო. გარდაიცვალა მერმეროე, შემდეგ ნახორგანმა მიიღო სარდლობა და ისიც გვწერდა ჩვენ იმათ შესახებ ისეთნაირადვე, რომ ისინი კავკასიის მწვერვალზე ცხოვრობენ და რომ ისინი მართლა ქურდები და მძარცველები და საშინელი არაწმინდა საქმეების ჩამდენნი არიან. მე მოვიხლომე მათ წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა, ხოლო ისინი შეშინებულნი სვანებისგან სპარსელეზად იქცნენ. აქედან ცხადად ჩანს, რომ ეს ქვეყანა მე მეკუთვნის, და მე არ უარვყოფ, რომ ის მიჭირავს. ჩვენ რომ სიამოვნებით გვემორჩილებიან, ისინი ამას იმიტაც ნათულჰყოფენ, რომ ჩვენი მონებით ხელიწიფებიან. და აი, როდესაც ზიქმა წერილობით გვაცნობა, რომაელები სვანეთის მიღებას ითხოვენო, თქვენი მოთხოვნა იმდენად დაშორებულად მეჩვენა სამართლიანობას, რომ მე არ ვუჯერებდი ამ უგუნურ ამბავს. მაგრამ მე დავემორჩილები აუცილებლობას, თუმცა მე ვფიქრობდი, რომ გავიმარჯვებდი იმაში, რომ არ ვმსჯელობდი სხვანაირად, ვიდრე თქვენი მეფე“. აი, ასეთი აზრები გადმოაღაგა სპარსთა მეფემ, და ამით მოკლე ხნით შეწყდა ლაპარაკი სვანეთის შესახებ...

და კვლავ იდავეს სვანეთის შესახებ. მეფემ თქვა: „როდესაც მე დავიჭირე სკანდები, სარაპა და ლაზიკე, თქვენ არ ვითქვამთ, რომ მაშინ სვანეთი თქვენ ქვეშევრდომთა რიცხვში გყავდათ. აქედან ცხადია, რომ ისინი ლაზების ქვეშევრდომნი არ ყოფილან; ვინაიდან ისინიც მათი მფლობელებითურთ ჩვენ შემოგვიერთდებოდნენ“. პეტრემ საპასუხოდ უთხრა: ეს არ მოხდა, რადგან სვანი არ გადამდგარა მსგავსად ლაზისა, რომლის მონა-მორჩილი ის იყო. მე ვამბობ, რომ ჩვენი მონის მონა არასდროს არ გადამდგარა ჩვენგან. „ღლეს, თქვა მეფემ – ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მე სვანეთი დავიპყარი; ელჩები ხშირად მიგვიღია და კიდევაც გაგვიგზავნია რომაელებთან; და რატომ მას აქეთ არცერთი სიტყვა არ დასძარით სვანეთისათვის.“ – „რადგან მაშინ – თქვა პეტრემ – შენ ლაზიკის ბატონი იყავი. და რომ მეთქვა, რომ საჭირო იყო ჩემთვის სვანეთი გადმოგეცა, შენ შემეკითხებოდი „რის გულისთვის““-ო. და რომ მე კვლავ მეთქვა „რადგან ის ლაზიკის ქვეშევრ-

დომი არის“¹ -ო, შენ მიპასუხებდი: „შენ ლაზიკეზე რა ხელი გაქვსო“, და ჩვენ უკვე აღარაფერი გვექნებოდა, რომ კიდევ გვეთქვა საპასუხოდ“. „შენ სთქვი, უთხრა მეფემ, რომ სვანეთი ლაზების ხელქვეითი იყო. თუ შენ შეგიძლია საბუთებით დაამტკიცო ეს, შენ არ დაჰკარგავ მას, რაც სამართლიანია“. პეტრემ კი უპასუხა: „მე სრულიადაც არ დავაყოვნებ და ავიხსნი ნამდვილ ვითარებას. ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიაში, და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ხოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროს ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმპყრობელს მომხდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სვანთა მთავრობის ნიშნები, ვისთვისაც უნდოდა, მხოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის¹ დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა² და ჩვენი მეფის ლეონის³ დრომდე“. შემდეგ პეტრემ ქლამიდიდან გამოიღო წინ ერთი წიგნაკი, სადაც ერთი-მეორეზე ცალ-ცალკე ნაჩვენები იყვნენ ლაზთა მეფეები, რომლებსაც გაუხელისუფლებიათ სვანთა სარდლები. ამ საბუთის ძალა ასეთი იყო, თუმცა გამოთქმები იქ ასეთი არ იყო: „ესენი არიან ლაზთა მეფეები, რომლებმაც სვანებს დაუყენეს ბატონიშვილები, იმ დროიდან, როდესაც რომაელთა ძალაუფლება ეპყრა თეოდოსის და სპარსელთა ურანს ვიდრე თვითმპყრობელ ლეონამდე და პეროზამდე. წაკითხვის შემდეგ პეტრემ თქვა: „აქამდე ვიცნობთ ჩვენ წერილობით ლაზთა მეფეებს და მათ, ვინც ლაზთა მიერ სვანთა მთავრებად იქმნენ დადგენილი“. ხოლო მეფემ უთხრა: „თუ შენ დაგეთანხმებით, რომ შენ მიერ წარმოდგენილი საბუთი, რომელიც შენ სახელმწიფოს სასარგებლოდ არის შედგენილი, ნდობის ღირსია, ნუთუ სამართლიანი არ იქნება, რომ ჩვენს საბუთებსაც ნდობა ჰქონდეს“. — „მე ვფიქრობ, რომ იქნება“. — „ამიტომ, თქვა მეფემ, როგორც შენ სთქვი, სარწმუნოა, რომ ეს მეფეები

¹ თეოდოსი — ბიზანტიის იმპერატორი თეოდოსიუს II (408-450 წწ.).

² პეროზი — სასანიდური ირანის შაჰი 459-484 წლებში.

³ ლეონი — ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I (457-474 წწ.).

ზოგი ასე, ზოგი კიდევ სხვანაირად იყვნენ დადგენილნი. ხოლო, რადგან ეხლა ლაპარაკი გვაქვს ორი მხრისთვის სადავო მონის შესახებ, თუ შენ ნათლად შესძლებ დაამტკიცო, რომ ის შენი იყო, შენ მას მიიღებ; თუკი შენ ამაში დარწმუნება არ შეგიძლია და სვანს მაინც სურს რომაელთა ძალაუფლებას დაემორჩილოს, მე არავითარ შემთხვევაში წინააღმდეგი არ ვიქნები. ამის მეტი მე არაფერი შემიძლია“. ხოლო პეტრემ უპასუხა: „ხომ არ შეეკითხები, ბატონო, სვანს, ვისი სურს იყოს. ხომ მის ხელთ არის, რაც მის ბედს შეეხება“. „იცოდე – უთხრა მეფემ – რომ მე არ მინდა სვანეთის ქვეყნის შესახებ შევეკითხო სვანებს, რადგან შეუფერებელია და უსამართლოც ამ ქვეყნის შესახებ, რომ იგი მონის აზრის გამო საფრთხეში იმყოფებოდეს. აი, ასეთი სიტყვები იყო წარმოთქმული ორივე მხრით...

პეტრემ ვერაფერს მიაღწია. სვანეთის შესახებ, და უშედეგოდ გამობრუნდა მიდიელთა საზღვრებიდან. მაგრამ მან მაინც შეკრა ზავი სპარსელებთან და ორივე სახელმწიფომ შესწყვიტა ომი და მიდიელნი შინ გაბრუნდნენ კოლხთა ქვეყნიდან; ბიზანტიონში რომ მოვიდა პეტრე, ღიდი ხანი არ გასულა და გარდაიცვალა.

იმ დროს იუსტინემ¹, იუსტინიანეს ბიძაშვილმა, იოანე კომენტოლი გაგზავნა სპარსელთა ქვეყანაში ელჩად. იმან მიანდო მას განეცხადებინა, მოსაჩვენებლად, მისი ასვლის შესახებ ტახტზე, როგორც ეს მიღებულია რომაელებში და სპარსელებში, ხოლო ამავე დროს, თუ შემთხვევა მოეცემოდა, სვანეთის შესახებაც ჩამოეგლო სიტყვა. ეს ხომ ხოსრომ არ დაუბრუნა რომაელებს, თუმცა დაუთმო ლაზიკე, რომლის ქვეშევრდომი იყო სვანეთი. მართალია, ორმოცდაათწლიანი ზავი არსებობდა, რომელიც დადვა პეტრემ, სამეფო რაზმების სარდალმა, მაგრამ სვანეთის საკითხი გამოურკვეველი იყო. იუსტინე მეფემ მიანდო იოანეს, რომ თუ სპარსელები მოისურვებდნენ სასყიდლით გადაეცათ ეს ქვეყანა, ეთქვა, რომ ის თანახმა არის, ვინაიდან სვანეთი, მართალია, ღირსშესანიშნავი არ იყო, მაგრამ ის მაინც, თავისი მოხერხებული მდებარეობით მეტად სასარგებლო იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის, რათა ამ გზით მოზღვაებულ სპარსელებს კოლხეთის საზღვრები არ აეოხრებინათ...

¹ იუსტინე – ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე II (465-478 წწ.).

როდესაც იოანემ დრო იხელთა – და მისი აზრით ეს უხერხული არ იყო -, მან სვანეთის შესახებ ჩამოაგდო ლაპარაკი, საჭიროა ის რომაელების ხელქვეითი იყოს, თუკი იმათ სრულიად კანონიერად მიიღეს ლაზიკეო. ხოლო სპარსელთა მეფემ მოსმენით კი მოისმინა ეს სიტყვები სვანეთის შესახებ, მაგრამ უთხრა, რომ საჭიროა იგი ამის შესახებ მიდიელთა დიდებულებს მოელაპარაკოს. ამის შემდეგ იოანემ მოლაპარაკება გამართა ზიქთან, იეზდგესნაფად რომ იწოდებოდა, და სპარსელთა ზოგიერთ სხვა სარდლებთან. იმათ უთხრეს, რომ მზად არიან დაუთმონ სვანეთი რომაელებს, ხოლო იმ პირობით, თუ მიიღებენ ფულს და სასყიდელს ამ დათმობისათვის. გარდა ამისა, უთხრეს მათ, რომ უნდა დადებულყო ზოგი სხვა ხელშეკრულებაც, რომელიც სამარცხენო და შეუფერებელი იყო რომაელთა ხელისუფლებისათვის და არავითარ შემთხვევაში არ ადასტურებდა იუსტიწე მეფის შესახებ დამკვიდრებულ აზრს, რომ იგი არის მეტად მტკიცე და საქმიანი კაცი. როდესაც იოანემ ეს მოისმინა, იგი ისე, რომ თვითმპყრობლის აზრს მან მთლად ვერ აუღო ალღო, სრულიად უგუნურად მოიქცა: მან კაცები გააგზავნა სვანებთან, რომ მათი მეფისათვის სალაში გადაეცათ. ასეთი უმსგავსოების ჩადენაში ჩაითრია ის თვითონ ხოსრომ. ამან ეს ეშმაკურად მოაწყო, რათა მას ერთგვარ გამამართლებელ საბუთად ჰქონოდა: თვითონ სვანები შეუძლებლად თვლიან რომაელების ქვეშევრდომობას, თუმცა რომაელები მათ წინასწარ თავისკენ იბირებდნენო, ვინაიდან იმან იცოდა, თუ რას მიადწიეს იოანეს მიერ გაგზავნილებმა. ამის შემდეგ ხოსრომ განაცხადა, რომ ის რომაელთა მეფესთან ელჩს გზავნის, რომელმაც ყველა ეს საკითხები სათანადოდ უნდა მოაგვაროს; და იოანეც გამობრუნდა ბიზანტიონში.

როდესაც იუსტიწე მეფემ გაიგო, რომ იოანემ სვანეთში გაგზავნა კაცები და რომ სვანები არ მოემზრნენ რომაელებს, რასაკვირველია, გაჯავრდა და იოანეს ბრალი დასდეს ცუდი ელჩობისათვის, როგორც ისეთს, რომელმაც სახელმწიფოს სასარგებლოდ არ იმოქმედა. იუსტიწემ თქვა, რომ მას (ე. ი. იოანეს) არ უნდა გაეგზავნა კაცები სვანებთან, რადგან ეს მეფეს არ უბრძანებია; ამით მან საბუთი მისცა სპარსელებს უსამართლობა დაეჩრდილათ. და წამოესროლათ სიტყვე-

ბი, თითქოს თვითონ სვანები უარყოფდნენ რომაელთა ძალაუფლებას; რომ იოანეს უფლება არ ჰქონდა თავის თავზე აეღო დავალება, რომ ან სვანებისათვის აეძულებინა რომაელთა ქვეშევრდომობა, ან ამის გამო ელჩი წამოსულიყო ბიზანტიონში; ის ფიქრობდა, არც ერთი ამ ორი მოვლენიდან სახელმწიფოს საკადრისი არ იყო: ამრიგად, თვით-მპყრობელმა შეიზიზღა იოანე და სახელმწიფო საქმეებისათვის გამოუსადეგრად მიიჩნია, ხოლო თვითონ ფიქრობდა, თუ როგორ გამოესწორებინა შეცდომები.“

ჯუანშმარი ქართლში მრისმთავრობის დაწმინების შესახებ (VI ს-ის 70-იანი წწ.) ^[11]

„მაშინ მეფემან სპარსთამან ურმიზდ¹ მისცა ძესა თუსსა რანი და მოვაკანი, რომელსა ერქუა ქასრე ამბარვეზი.² მოვიდა და დაჯდა ბარდავს, და უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილთამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თუს-თუსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა.

და შვილნი ბაკურისანი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა; და ნათესავნი მირდატისანი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, ივინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხუა ყოველი ქართლი, სომხითი³ და ასფურაგანი⁴ დაიპყრეს სპარსთა და ჰბრძოდეს ბერძენთა.

შემდგომად ამისსა მცირელთა წელთა იქმნეს შფოთნი დიდნი სპარსეთს შინა, რამეთუ შევიდა თურქთა მეფე სპარსეთს შინა; მოვიდეს ბერძენნი, ეწყუნეს სპარსთა შუამდინარესა, აოტნეს და შევიდეს სპარსეთს, და იწყეს ტყუენვად სპარსეთისა. მაშინ ქასრე ამბარვეზმან დაუტევა რანი და ქართლი, და წარივიდა შეველად მამისა თუსისა.

¹ ურმიზდი — სასანიდური ირანის შაჰი ქორმიზდ IV (579-590 წწ.).

² ქასრე ამბარვეზი — სასანიდური ირანის შაჰი ხოსრო II ფარვიზი (591-628 წწ.).

³ სომხითი — ქვემო ქართლის ძველი სახელწოდება.

⁴ ასფურაგანი (ვასპურაკანი) — სომხეთის ძველი პროვინციის სახელწოდება (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე).

ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნენ ერისთავნი იგი თუს-თუსსა საერისთოსა შეუცკალეებლად.

მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვა მათი, და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ,¹ რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს...

ამას გუარამს მოსცა კეისარმან კურაპალატობა² და წარმოგზავნა მცხეთას.

და შეიღნი ბაკურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისანი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, იგინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი³ და ჰერეთი იორითგან, და დასხდეს უჯარმოს, და იყვნეს მორჩილებასა გუარამ კურაპალატისასა.

მაშინ კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამ კურაპალატისათანა, და უბრძანანა, რათა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოს ლაშქარნი, და შეერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნეს სპარსეთს. ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი, ღურძუქნი⁴ და დიდონი,⁵ და წარუძღუნნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარბადაგანს,⁶ დაუწყეს ტყუენვად. და ესევეითარნი ჭირნი და უცალოებანი მოიწივნეს სპარსთა ზედა.“

¹ გუარამი - გუარამ კურაპალატი, ქართლის პირველი ერისმთავარი. სუმბატ დავითოს ძის მიხედვით, ეკუთვნოდა ბაგრატიონთა საგვარეულოს.

² კურაპალატი - ბიზანტიის იმპერიის მაღალი საკარისკაცო ტიტული. იგი მაღლა იდგა მაგისტროსზე.

³ კუხეთი - ისტორიული პროვინცია აღმოსავლეთ საქართველოში, მოიცავდა მდ. არაგვისა და მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჟინვალიდან გარეჯის უღბნომდე. ცენტრი ქრუსთავი.

⁴ ღურძუქები - თანამედროვე ვეინახთა (ჩეჩნები და ინგუშები) წინაპრების საერთო სახელწოდება შუა საუკუნეების წყაროთა მიხედვით.

⁵ დიდოელები - დაღესტანში მცხოვრები ხალხის სახელწოდება შუა საუკუნეების წყაროთა მიხედვით.

⁶ ადარბადაგანი - აზერბაიჯანის ერთ-ერთი ისტორიული სახელწოდება. გვხვდება ქართულ წყაროებში. მოიცავდა თანამედროვე ირანის ჩრდილოეთ პროვინციებს..

სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ქართლისა და
სომხეთის ეკლესიებს შორის მომხდარი
ბანხეთქილების შესახებ (605-608 წწ.)^[18]

„რომაელებზე მაერიკეს¹ მეფობის დროს, მეფეთა-მეფის აპრუეზ-
ხოსროს² სპარსელთა მპყრობელობის მეჩვიდმეტე წელს და დიდ
სომხეთში უფალ სმბატ ერკანის მარზპანის ბატონობისას, სომეხთა
პატრიარქის საყდარი დაიკავა აბრაამმა,³ რმტუნთა გავარიდან, რომელიც
წმინდა გრიგოლიდან⁴ ოცდამეექვსე იყო. მან ოცდასამ წელს იცხ-
ოვრა. მის დროს მოხდა ქართველთა გამოყოფა სომეხებთან ერთობის-
გან კირონ ქართველთა წინამძღვრის⁵ მიერ. (ქართველებმა) მოინ-
დომეს, რომ ქალკედონის⁶ ბოროტი წვალების მოზიარენი ყოფილ-
იყვნენ, შეცვალეს წმინდა მამათა სჯულნი და დაივიწყეს ღვთაებრივი
აღთქმა. კირონს ხელდასხმა მიღებული ჰქონდა მოსე კათალიკოსის-
გან, რომლის სიკვდილის შემდეგ საყდარი იმ აბრაამმა დაიკავა,
რომლის შესახებაც ზემოთ ვთქვიით... კირონი.. იყო ქვეყნით და ნათე-
სავით ქართველთაგან, ჯავახეთის გავარიდან;⁷ სოფლიდან, რომელ-
საც სკუტრი ეწოდება, და ქართველთა და სომეხთა მწიგნობრობა
იცოდა. რომაელთა ქვეყანაში რომ მივიდა, ცხოვრობდა იქ თხუთმეტ
წელს გავარში, რომელსაც კოლონია ეწოდება, დიდ დაბა-ქალაქ
ნიკოპოლისში, მდინარის პირზე, რომელსაც გაილი ჰქვია. გაიწაფა
და ისწავლა მათი მწიგნობრობა და სხვაც ბოროტი მეცნიერება,
რომლითაც ჩვენ გაგვემიჯნა... იპყრა ქართველთა სახლის საკათლი-
კოსო საყდარი კირონმა, რომელიც საველეს მსგავსად ორ წელს
ემორჩილებოდა ჭეშმარიტებას, ხოლო ამის შემდეგ იწყო უღმრთოება

¹ მაერიკე - ბიზანტიის იმპერატორი 582-602 წლებში.

² აპრუეზ ხოსრო - სასანიდური ირანის შაჰი ხოსრო II ფარუხი (591-628 წწ.).

³ აბრაამი - სომხეთის კათალიკოსი აბრაამ ალბათანელი (607-615 წწ.).

⁴ წმინდა გრიგოლი - გრიგოლ პარიული (დაახლ. 239-326 წწ.). სომხეთის განმანათლე-
ბელი.

⁵ კირონი - ქართლის კათალიკოსი კირონი I (დაახლ. 595-610 წწ.).

⁶ იგულისხმება მსოფლიოს IV საეკლესიო კრება, რომელიც გაიმართა ქ. ქალკედონში
451 წელს. ამ კრებაზე ქრისტიანობა დაიყო 2 ძირითად მიმდინარეობად - დიოფიზიტობად
და მონოფიზიტობად. კრებამ მხარი დაუჭირა დიოფიზიტობას, მონოფიზიტობა კი მწვალე-
ბლობად გამოცხადდა.

⁷ გავარი - პროვინციის აღმნიშვნელი ტერმინი ძველ სომხეთში.

და ჭეშმარიტების მოტყუება: ხელი დაასხა ზუჟიკს თავისი მამამთავრობის მესამე წელს. ეს შეიტყო იმ მოსე ეპისკოპოსმა, რომელიც ცურტავში¹ იყო, ახლა რომ გაჩიანი ეწოდება. მასაც ხელდასხმა კირონისაგან მიეღო მისი მამამთავრობის პირველ წელს, როცა ჯერ მართლმადიდებელი იყო. ამ გარემოებას კირონი თავის პირველ წერილში თვითონ იხსენიებს. ცურტავის ეპისკოპოსმა აცნობა სიტყვიერად და წერილის საშუალებით მამამთავარ მოსეს კირონისგან ქმნილი: ზუჟიკი ეპისკოპოსის შესახებ და რაც სხვა მსგავსი საქმეები ჩაიდინა, რომელთა ნახვითა და გაგებით შეიტყო ჭეშმარიტად, რომ ქალკედონის სარწმუნოება ჰქონდა (და) სიყალბით ფარავდა, როგორც თვითონვე გვაუწყებს თავის წერილებში. ხოლო ეს ნეტარი ეპისკოპოსი, რომლის შესახებაც ვთქვით, ჭეშმარიტებისმოყვარე და მართლმადიდებელი, თავის ორივე მხარეს შორის – სომეხთა და ქართველთა – მშვიდობის შუამავლად, მშვიდობისა და სარწმუნოების სიმტკიცის შუამავლად თვლიდა, როგორც მოგვითხრობს „ეპისტოლეუა წიგნი.“

**„ეპისტოლეუა წიგნი“ ქართლისა და სომხეთის
კათალიკოსების მიმოწერის შესახებ
(605-608 წწ.)¹⁹¹**

ა) სომეხთა კათალიკოსის უფალ აბრაამის პირველი ეპისტოლე კირონ ქართლის კათალიკოსს

სიწმინდისმოყვარე უფალს, კირონ ქართლის კათალიკოსს და შენს სხვა ეპისკოპოსებს, აბრაამ სომეხთა კათალიკოსისაგან და სხვა ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსებისაგან უფლით მოკითხვა.

წინათ ჩვენმა ნეტარმა მამამთავარმა მოსემ მოგწერა თქვენ ბრალდება თქვენი ზიარების გამო მათთან, რომლებთანაც არა ჯერ იყო. თქვენც წერილით და მცნებით იკისრეთ, რომ არ განშორდებოდით ზიარებას ჩვენი ქვეყნის საერთო სარწმუნოებასთან. ახლა კი უბოროტესმა და უმძიმესმა (ამბავმა) მოაწია და ვისმინეთ ჩვენ. სარწმუნოების ერთობას და ორთავე ჩვენი ქვეყნის მასპინძლობას ცურტავის ეკლესია

¹ ცურტავი – საეპისკოპოსო ცენტრი ქვემო ქართლში.

ურყევი შუამავლობით იცავდა, სადაც სიყვარული, ხორციელი მოყვრობა და სულიერი ზიარება სრულდებოდა შვებით აღსავსე სიხარულით. აქედან მცხეთაში ჯვარს მიდიოდნენ და მანდედან წმინდა კათოლიკეს (მოდიოდნენ). ამჟამად ცურტავეის ეპისკოპოსი დევნილია (იმის გამო), თუ რად ბრძანებო მართლმადიდებლური სარწმუნოების აღსარებას, და სომხური მსახურება, წმინდა შუმანიკისაგან დადგენილი, მესმის, რომ შეგიცვლიათ. ჩვენ სიკვდილზე უფრო უბოროტესად მივიჩნით ეგ საქმე. თუმცა-ღა მეფეთა-მეფის კავატის¹ წლებში კვლევა-ძიება იქმნა ჩვენ ქვეყანასა და რომაელთა შორის, რომელთაც ქალკედონის კრება და ლეონის ტომარი შეიწყნარეს, ჩვენი და თქვენი ქვეყნის მოძღვარნი და მთავარნი განეშორნენ მათთან ზიარებას, (რაც) ერთობით წიგნითაც არის დაცული ჩვენს შორის ვიდრე აქამომდე. ეხლა არა ჯერ არს, რომ თქვენმა სიწმინდემ უცხოობა ჩამოაგდოს ორ ქვეყანას შორის და განაშოროს სიყვარული, ხორციელი მოყვრობა და სულიერი ზიარება, რომ არავინ მოვიდეს მანდ სალოცავად მაგ წმინდა ჯვარს და მანდედან წმინდა კათოლიკეს. მხედართაგანი ვინმე რომ ყოფილიყო ასეთი განხეთქილებისა და ბოროტი შფოთის მიზეზი, თქვენი სიწმინდე მოვალე იყო ეზრუნა და მშვიდობის მიზეზი გამხდარიყო. ხოლო, უკეთუ თქვენ იქნებით მიზეზი ერთმანეთის უცხოდ მიჩნევისა, რომელმა სიტყვამ დაიტოოს ასეთი უბედურება?

გვსურდა თქვენ სიწმინდესთან გამოგვეგზავნა ეპისკოპოსები და წმინდა წერილთა მცოდნენი, რომ გაეცნოთ თქვენთვის ქალკედონის კრებისა და ლეონის ტომარის ვნება, ბილწი სჯული და უწმინდური ქცევა, რაც ამიერიდან შემოვიდა ამ ქვეყანაში, რისთვისაც სიწმინდის-მოყვარე ეპისკოპოსი დევნილია. მაგრამ შესაფერისად ვცანით ჯერ პატიოსან აზნაურთა ხელით წერილით მიგველო პასუხი თქვენგან, რადგან არის რაღაც, რომელიც დაუჯერებლად გვეჩვენა: უცხო სამეფოსთან რომ შექმნა მეფეთა-მეფის მონათაგანმა სიყვარულის ერთობა და ბუნებით თანამოზიარეს გაშორდე, მართლაც რომ ძლიერ მძიმეა. სიმართლით იქენით დაცული ჩვენი ქრისტე ღმერთით და ჩვენი წერილის პასუხი და თქვენი მოკითხვა ღმერთის სათნოებისაებრ იყოს ჩვენდა სასმენად, რაც საბაბი (იქნება) ერთობისა და მშვიდობის.

¹ კავატი - იხ. შენიშვნა №1, გვ. 41

ბ) კირონ I-ის პასუხი

სიწმინდისმოყვარე და პატიოსან უფალს, აბრაამ სომეხთა კათალიკოსს და ყველა შენ თანამოსაყდრე ეპისკოპოსს, კირონ ქართლის კათალიკოსისა და ჩემი თანამოსაყდრე ყველა ეპისკოპოსისაგან ამ წმინდა ჯვრის კურთხევით მოკითხვა.

წერილი რომ მოგიწერიათ, ვნახე და რაც ეწერა, შევიტყვე-
თქვენი, უფლის, ღირსად მყოფობის, ნეტარი გრიგოლის წმინდა
საყდრის დამკვიდრებისა და თქვენი სიმართლის გამო ფრიად გავიხ-
არე და ღმერთს მადლი შეეწირე. რომ ეწერა, წინათ ჩვენმა ნეტარმა
მამამთავარმა მოსემ მოგწერათ თქვენ ბრალდება თქვენი ზიარები-
სათვის მათთან, რომლებთანაც არ იყო წესიო, უკეთუ ხუჯიკთა
შესახებ ამბობთ, ჩვენ მაშინ ჩემი თანამოსაყდრე ეპისკოპოსებითა და
წარჩინებულებით ქვეყანასთან ერთად ვიზრახეთ, რომ, როგორც სჯული
გვიბრძანებს, არა თუ გაგვეგდო, არამედ შეგვეწყნარებინა (ისინი),
რომლებიც მოიქცევიან უკეთურებიდან ანდა წვალებიდან სინანულად.
იგი მართლაც შევიწყნარეთ. მაგრამ, როცა შევიტყვეთ, რომ მათ
აღსარება სიცრუით ქმნეს და იქვე მათი უკეთურების წუმპეს მიიქც-
ნენ – დავამხეთ, დავწყველეთ ისინი და გავაძევეთ კათოლიკე ეკ-
ლესიიდან და ჩვენგან, ქრისტიანეთაგან. ახლა ვერავინ იკადრებს მათ
მოკითხვას.

და რომ ეწერა, ცურტავის ეკლესია დამტკიცებულ იქნა ჩვენ ორ
ქვეყანას შორის სულიერი ზიარებისა და ხორციელი სიყვარული-
სათვის და ეხლა ცურტავის ეპისკოპოსი მართლმადიდებლობის გამო
დევნილია და სომხური მსახურება შეცვლილიო, ჩვენ მსახურება არ
შეგვიცვლია. ვინც ეპისკოპოსი გახდა, ქართული მოძღვრებაც იცის
და სომხურიც აგრეთვე, მსახურება ორივე მწიგნობრობით სრულდე-
ბა. ხოლო ცურტავის ეპისკოპოსის დევნის შესახებ მისი საქმეები
გვამცნობენ წრფელი რწმენისათვის არის წასული, თუ სხვა რამ
საქმეთა გამო. რადგან, როგორც წერია, „რამეთუ რომელი იქმნ
ბოროტსა, სძულნ ნათელი და რომელი ჰყოფნ ჭეშმარიტებასა, მოვ-
იდეს ნათელსა“. მე ის არ მიდევნია, არამედ იყო რაღაც, რაც
შევიტყვე მის უღირს საქმეთა შესახებ, მოუწოდე ჩემთან, მინდოდა
დამერიგებინა და მესწავლებინა, როგორც ჯერ არს მოწაფისათვის.

ხოლო იგი ჩემს მოწოდებაზე არ მოვიდა, არამედ ეკლესია მიატოვა და ღამე მალულად წავიდა.

(ეხლა) ის, რაც სარწმუნოების, კრებისა და ტომარის შესახებ ეწერა, და ისიც ეწერა, რომ მეფეთა-მეფის მონათაგან უცხო მეფის მონებთან საერთო სარწმუნოების ქონება და მკვიდრი თანამოაზრის უარყოფა ფრიად წარმოუდგენლად მიმაჩნიაო. ჩვენიცა და თქვენი მამებიც მეფის მონები იყვნენ და იერუსალემის სარწმუნოება ჰქონდათ. ჩვენც და თქვენც, აგრეთვე, თუმცაღა მეფეთა-მეფის მონები ვართ, სარწმუნოება იერუსალემისა გვაქვს და გვექნება. თუმცა აქამდე... იყვნენ უფალნი, ეხლა რაოდენ უფრო ნეტარნი ვართ, რომლებიც მეფეთა-მეფეს სამსახურს ვეწიეთ. რადგან, რაც ცა და დედამიწა არსებობს, არ ყოფილა არც ერთი უფალი, რომელსაც ყოველი ტომისათვის თავისი კანონები მიენდოს, როგორც ამ უფალმა მიანდო, მეტადრე ჩვენი, ქრისტიანეთა სარწმუნოება; ხოლო ჩვენ თავისუფალ ქვეყანას უფრო მეტად (მიანდო), ვიდრე ყველა (სხვა) ქვეყანას და ჩემ კეთილ თავს უმეტესად, ვიდრე ყველა ჩემ მოყვასთ. მეფეთა-მეფე ისევე უფალია რომაელთა, როგორც არიელთა ქვეყნის და ასე არ არის როგორც თქვენ მოიწერეთ, რომ სხვადასხვა არიან სამეფონიო.

რომ მწერდით, გვსურდა ეპისკოპოსები გამოგვეგზავნა, რათა მოსულიყვნენ და ესწავლებინათო, თუ გსურთ, გამოაგზავნეთ. დაე მოვიდნენ, რომ გვასწავლონ და ისწავლონ. მაგრამ მე უნდა მოსულიყავი და მელოცა მაგ წმინდა ეკლესიაში და თქვენგან მიმელოკურთხევა ან გამომეგზავნა ჩემი მოწაფეები, რომ თქვენი სიწმინდის მოკითხვა ჩვენთან მოეტანათ, მაგრამ უკეთურმა დრომ და ქვეყნის საჭიროებამ შეგვაფერხა... მრთულად იყავით დაცულნი ჩვენი ქრისტე ღმრთით და ამ წერილის პასუხი ღმრთის სურვილისაებრ გვესმას თქვენგან.

გ) უფალ აბრაამ სომეხთა კათალიკოსის საყოველთაო ეპისტოლე

საპატიოა და სიტყვის ტარების ნიჭზე უფრო მეტია მადლი, რომელიც მისცა სიტყვა-ღმერთმა ღირსეულ კაცთა და მათ მომდევნოთა, რომ ჰქონოდათ ზეციური და მოციქულებრივი საყდარი,

რომ მეც უღირსი აბრაამ ვიწოდე დიდი მოციქულის თადეოსის მემკვიდრის ნეტარი გრიგოლის საყდარს. ყველა ამ სამწყსო-ხელმწიფების ქვეშ მყოფ ეკლესიათა წინამძღვარს, მონასტერთა ზუცესებს და მღვდლებს. დიაკვნებს და ეკლესიის სრულიად ძმობას, მეუღაბნოეთა და განდევნილთ, აზნაურთა და გლეხებს, საზოგადოდ ერისკაცთ, მამათა და დედათ, ჩვენი ღმრთის ქრისტეს მოკითხვით და მშვიდობით გეწიოს თქვენ წარმატება წესიერ ცხოვრებათა და ნამდვილ ხარისხზე მოწოდება... ქართლსა და ალბანეთს ვიტყვი, რომელთაც მყრალი თესლი ზემოთქმულთა დიდებით შეიწყნარეს თვის შორის (და) დაამტკიცეს, ერთი ღმრთის მსახურების მხოლოდ ხატი უჩვენეს გულუბრყვილობებს და რომელთაც ჩვეულება ჰქონდათ მათ შეერთებოდნენ, ძალით, თავის მსგავსად, მათაც განაშორებენ. ამისთვის ვალად მივიჩნევი, რომ მიმეწერა (ჩემზე უწინარეს კათალიკოსობის ხარისხზე მყოფებმა (მისწერეს) ალბანეთს, ხოლო ჩვენ — ქართლს) კირონისთვის, რომელიც კათალიკოსად იწოდება და მისი თანამოსაყდრეებისთვის, რადგან ცურტავის ეკლესიის ეპისკოპოსი, რომელიც შუამავლობდა ორ ქვეყანას შორის, მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის დევნა და წმინდა შუშანიკისგან დადგენილი სომხური მსახურება, ჩვენს საწინააღმდეგოდ რომ ამხედრდა, შეცვალა, ამისათვის მივწერეთ, რომ მოქცეულიყო ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და მტკიცედ მდგარიყო მოციქულთა გარდაამოცემაზე, რომელიც მოგვეცა ჩვენი მოძღვრებისაგან. ისინი წინაღვიდგნენ და ორგზის საწინააღმდეგო მოგვეწერეს, რადგან იმავე ცრუსახელამ, ქართველთა ეკლესიის თავად რომ დადგა ორმაზდ მეფის¹ ძის ხოსროს² დროს, შეიწყნარა ნესტორიანული³ მოძღვრების ვილაც ეპისკოპოსი და იმავე მაგინებელ მოძღვრებას... თვითონაც მიეცა, წინ ჰქონდა რა ქალკედონის სენი. შემდეგ თუმცადა ის კაცი განიშორეს, ცოდვათა დვრიტა დაიცვეს. კიდევ უფრო მეტად მათი უღმრთოება მესამე ეპისტოლეთი შევიტყეთ. სიქადულით გაამაყებულებმა არ დატოვეს წვალება, არამედ ჩვენც თავის უკან

¹ ორმაზდ — იხ. შენიშენა 1, გვ. 71.

² ხოსრო — იხ. შენიშენა 2, გვ. 71.

³ ნესტორიანელობა — ქრისტიანული სექტა, რომელიც დააფუძნა ნესტორი კონსტანტინეპოლელმა.

მიგვდრიკეს და უფსკრულის სწავლება გაბედეს. რისთვისაც უწინარესი საზღვარი ჩვენი მოძღვრებისა, რომელიც რომაელთა მიმართ დაადგინეს, დარჩეს აღსასრულამდე. რადგან არ მოიქცნენ ჭეშმარიტებაზე, ჩვენც იგივე ვბრძანეთ ქართველთა შესახებ: სრულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში, არც დედამძუძეობაში, არც სალოცავად წასვლით ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ჩვენს ეკლესიაში მიიღებთ მათ, არამედ მათთან ქორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიჰყიდეთ ვითარცა ურიებს! იგივე ბრძანება უცვლელად დარჩეს აღბანელთათვისაც, რათა შერცხვით და მოიქცნენ მრუდე გზიდან.

თავი IV

ქართული პოლიტიკური საზღვარო საერთაშორისო ურთიერთობებში VII ს-ის II ნახევრიდან X ს-ის II ნახევრამდე

ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული „დაცვის
სიგელი“ თბილისის მოსახლეობისადმი
(654 წ.)^[20]

„ჰაბიბ იბნ მასლამასგან¹ თბილისის მოსახლეობისადმი, მშვიდობა
თქვენდა. ჭეშმარიტად ვადიდებ ალლაჰს, რომლის გარდა არა არს
სხვა ღმერთი. შებდეგ აი რა: ჭეშმარიტად, მოციქული თქვენი თაფლი
წარმოგვიდგა მე და ჩემთან მყოფ მორწმუნეებს და მოგვახსენა თქვენი
სახელით, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც აგვადორძინა ალლაჰმა
და განგვადიდა. ასე მოგვექცა ჩვენ, უმეცრებს, ალლაჰი, შემდგომად
სიბუნებისა, სიმცირისა და უეციობისა. დიდება ალლაჰს, სამყაროთა
მეფუეს, მოწყალესა, მწყალობელსა და მშვიდობა მოციქულს მისას
და კურთხევა მას ისე, როგორც მან წაგვმართა ჩვენ სწორი გზით.

მოგვახსენა თქვენი სახელით თაფლიმ, რომ ჩაუნერგა ალლაჰმა
ჩვენს მტრებს გულში შიში – არა გვაქვს ძალი და შეძლება თუ არა
ალლაჰის მეოხებით, – და მოგვახსენა, რომ თქვენ გსურთ ზავი
ჩვენთან, რასაც არ ვეწინააღმდეგებით არც მე და არც ჩემთან მყოფი
მორწმუნენი. ეს თქვენი საქმეა.

მომართვა თაფლიმ თქვენი ძღვენი, რომელიც შევაფასეთ მე და
ჩემთან მყოფმა მორწმუნეებმა, საქონელი და ფული – 100 დინარ-
ად,² რომელიც არაა დადგენილი თქვენთვის. არამედ დადგენილია
ყოველ კომლზე ჯიზია³ – სრული დინარი და არა გამოოსასყიდი.

¹ ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრი (გარდ. 662 წ.) – ცნობილი არაბი სარდალი, მონაწილე
და ხელმძღვანელი არაბთა დაპყრობითი ომისა სირიაში, ჩრდ. მესოპოტამიასა და ამიერკავკასიაში.

² დინარი – სასანური და არაბული ოქროს ფული. არაბული დინარი 4.25 გრამს
იწონიდა. ორი დინარი ერთი დრაჰმანი იყო.

³ ჯიზია – სულადი გადასახდი, რომელსაც არაბთა სახალიფოში იხდიდნენ არამუსულ-
მანი ქვეშევრდომები.

და დაგიწერეთ თქვენ წინაშე მორწმუნეთა საზოგადოებისა წიგნი პირობისა და ამანისა¹ და გამოგიგზავნეთ თქვენ იგი აბღ არ-რაჰმან იბნ ჯაზ, ას-სულამის ხელით, რომელიც არის ჩვენი მეცნიერი, ბრძენთაგანი, მცოდნე ალლაჰის საქმისა და მისი წიგნისა. თუ დათანხმდებით (იმ პირობებს) რაც არის მასში, მოგცემთ მას თქვენ და თუ უარს იტყვით, გამოგიცხადებთ ომი ალლაჰის, მისი მოციქულის და მორწმუნეთა სახელით განურჩევლად. ჭეშმარიტად, ალლაჰს არ უყვარს მოღალატენი. მშვიდობა მას, ვინც მისდევს სწორ გზას.

* * *

„სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა მწყალობელისა.

ეს არის წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასი ალ-ჰირმინის მიწის თბილისის (ტაფლის) მოსახლეობისადმი თქვენი პიროვნების, შთამომავლობის, ოჯახების, ქონების, სენაკების, ეკლესიების, სარწმუნოებისა და სამლოცველოების შეუკალობის შესახებ იმ პირობით, რომ აღიარებთ დამცირებას ჯიზიას გადახდით ყოველ კომლზე თითო სრული დინარი. თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ გააერთიანოთ განაყოფი კომლები თქვენი ჯიზიას შესამცირებლად და არც ჩვენ, რომ დავყოთ ერთიანი კომლები ჩვენთვის ჯიზიას გასადიდებლად. ჩვენ გვექნება თქვენი კეთილი რჩევა და შეწევნა ალლაჰის, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტრების წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენ შეგეძლებათ; გამასპინძლება ღამით კეთილად გზად მიმავალი მუსლიმისა წიგნის ხალხთათვის ნებადართული საჭმელითა და სასმელით და წაყვანა მისი სწორი გზით ისე, რომ არ მოგადგეთ თქვენ ზიანი. და თუ ჩამორჩება ვინმე მორწმუნეთაგანი თქვენთან, მაშინ თქვენზეა მისი მიყვანა მართლმორწმუნეთა და მუსლიმთა უახლოეს რაზმამდე, თუ იმათთან მისასვლელი გზა არის. და თუ თქვენ მოინანიებთ, დაადგებით ლოცვას და გადაიხდით ზაქათს, მაშინ იქნებით ჩვენი თანამომხმეები სარწმუნოებაში. ხოლო ვინც განუდგება რწმენას, ისლამსა და ჯიზიას, ის არის მტერი ალლაჰისა, მისი მოციქულისა და მორწმუნეებისა. ალლაჰია ის, ვისაც თხოვენ შეწევნას! და თუ შეემთხვათ მუსლიმებს რაიმე საქმე, ვერ მოიცალეს თქვენთვის

¹ ამანი - უსაფრთხოება, უშიშროება, შეუკაობა.

და დაემორჩილათ თქვენ მტერმა თქვენმა, ამის გამო თქვენ არ დაისჯებით და არ იქნება ეს დარღვევა თქვენი პირობისა, მას შემდეგ, რაც ისევ დაუბრუნდებით მორწმუნეებს და მუსლიმებს. ესაა თქვენი მოვალეობები და ესაა თქვენი უფლებები. მოწმეა ალლაჰი და ანგელოზნი მისნი, მოციქული მისი და მორწმუნენი, საკმარისია ალლაჰი მოწმედ“

ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა
აბაზგიაში (აფხაზეთში) ბიზანტიის
სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ
(VII ს. II ნახ.)^[21]

„იუსტინიანემ¹ მოაქცია ისინი (აბაზგები) და შეუცვალა (ურწმუნობა) ჭეშმარიტი ღვთის რწმენით, გაგზავნა მათში წმინდა კაცები, რომელთა მიერ მათ (ე. ი. აბაზგებმა) იცნეს ღმერთი. ამის შემდეგ აბაზგიის საღვთო ჭალაში აშენდა ღვთისმშობლის ტაძარი, დადგენილ იქნენ მღვდელთ-მსახურნი და, ამგვარად, უაღრესად ბარბაროსული² ტომი იქცა ქრისტიანულ ტომად.

ამიერიდან აბაზგების არც ერთი მმართველი ადგილობრივად არ ინიშნებოდა, იქ რომაელთა მეფეები გზავნიდნენ არქონტებს³ და უკანასკნელნიც მეფეთა კარნახით მართავდნენ (სახელმწიფო) საქმეებს. თუკი (რომელიმე) გაგზავნილთაგანი უსამართლოდ მოიქცეოდა, და ზალხს ტირანულად მოეპყრობოდა, (მაშინ აბაზგები) შეშინდებოდნენ, არ დაემორჩილებოდნენ და გადაუდგებოდნენ რომაელებს და არც ერთ არქონტს რომაელებისას არ ისურვებდნენ.

ამიტომ აბაზგების დასასჯელად ცხვირმოჭრილმა იუსტინიანემ⁴ აბაზგიის მეზობლად მცხოვრებ ალანების შესაიარაღებლად დიდძალი ფულით გაგზავნა სპათარი⁵ ლეონი; აბაზგიაში ლეონმა მრავალი წელი დაჰყო.“

¹ იუსტინიანე – ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე I დიდი (527-565 წწ.).

² ბარბაროსი – ბიზანტიელები ბარბაროსებს არაბერძნული წარმოშობის ხალხს უწოდებდნენ.

³ არქონტი – პროვინციის მმართველი ბიზანტიელი.

⁴ ცხვირმოჭრილი იუსტინიანე – ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე II (685-695 წწ.).

⁵ სპათარი – საკარისკაცი ტიტული ბიზანტიის იმპერიაში.

ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე
ჟამთააღმწერელი ეგრიისის არაბთა
გზარველობაში შესვლის შესახებ (697 წ.) ^[15]

„ამავე წელს (697 წ.) აღიღმა ილაშქრა რომანიაზე;¹ მან მრავალი ტყვე იგდო ხელთ და უკან გაბრუნდა. (ამ წელს) აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოსი² სერგი ბარნუკის ძე. და ეს ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარა.“

დოკუმენტი არაბი სარდლის ჯარაჰის მიერ
654 წ. „დაცვის სიგელის“ განაცხადის შესახებ
(729/30 წწ.) ^[22]

„სახელითა ალლაჰისა მოწყალისა და მწყალობლისა! ესაა ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰის წიგნი ქართლის ოლქის მანგლისის თემის თბილისის მოსახლეობისადმი მასზედ, რომ მომიტანეს ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ მათთვის ბოძებული შეუვალობის წიგნი ჯიზიით დამცირების აღიარებისა და იმის შესახებ, რომ იგი დაუზავდათ მიწებზე, ვენახებზე და წისქვილებზე, რომლებსაც ეწოდებოდა ავარი და საბინა მანგლისის თემში, ტა, ამი და ლიდუნა კუპუეიტის თემში, ქართლის ოლქში იმ პირობით, რომ ამ წისქვილებზე და ვენახებზე ყოველწლიურად გადაიხდიდნენ 100 დირჰემს³ ერთდროულად. მე ძალაში დავტოვე მათი უშიშროებისა და ზავის შეთანხმება და ებრძანე: „არც მათ და არც სხვას, ვისაც ჩემი წიგნი წაეკითხება, ამაზე მეტი არ გადაახდევინონ, თუნდაც ალლაჰმაც რომ ინებოს. დაწერა ალ-ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰაქამიმ.“

¹ რომანია - იგულისხმება 8 ბიზანტიის იმპერია. ბიზანტიელები ასე უწოდებდნენ თავის სახელმწიფოს.

² ლაზიკის პატრიკიოსი - ბიზანტიელთა მიერ დასავლეთ საქართველოში დანიშნული მმართველი. ატარებდა პატრიკიოსის კატივს.

³ დირჰემი - ძველი არაბული ვერცხლის მონეტა. ტერმინი მომდინარეობს ბერძნულიდან („დრაჰმა“). დირჰემი იჭრებოდა არაბთა სახალიფოს ყველა ზარაფხანაში.

ჯუანშერი ქართლის ერისმთავრების და
აზხაზეთის ერისთავის მიერ
კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მისიის
გაბეჭადვის შესახებ (VIII ს-ის I ნახ.)⁽¹⁾

„წარავლინეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა მირ და არჩილ და ლეონ, ერისთავმან აფხაზეთისანმა,¹ და აუწყეს ესე ყოველი, რაცა იქმნა ღმრთისა მიერ ხელითა მათითა. ხოლო მან წარმოსცა ორი გვრგვნი და გუჯარი მირსა და არჩილს,² და მოსწერა მათ თანა, ვითარმედ: „თქუენი იყო მეფობა, სიმკნე და სიბრძნე ქართლსა შინა. აწ დაღაცათუ იდევენებით ჩუენთანა მსახურებისათუხ ჯუარსა, მოქცევასა ჩუენსა, ვითარცა აღმითქუა ჩუენ ღმერთმან ჩუენთანვე იდიდნეთ. არამედ დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა, ვიდრემდის წარკდეს წელიწადნი მათნი სამასნი; რამეთუ ორასმეურგასესა წელსა განივლთოს მეფობა მათი და განსრულებასა შესამისასა წლისასა მოეცეს ძალი მეფობასა ჩუენსა, და შეემუსრნეთ აგარიანი,³ და ყოველნი მათნი ამალღებულნი დამდაბლდენ, და ჩუეგ თანა მადიდებელნი ამალღდენ“.

და მოუწერა ლეონს ესრესახედ: „ყოვლადღვე საზღვართა ქართლისათა ჩუენგან ქმნილ არს ვნება და მეფეთა მათთაგან მომართ თანადადგომა და რგება. აწ ესე მესამე მსახურება გარიგება დადევს ჩვენ თანა საყდარსა ამას სამეუფოსა: პირველად ნათელი მიიღეს კელსა ქუეშე ჩუენსა; კუალად შემუსვრისაგან გაარჩინეს დიდი ქალაქი პონტოსა, და შორის ჩუენსა და შუორის სპარსთა ყვეს მშვიდობა. რამეთუ იგივე ვახტანგ მეფე შუამდგომელ იქმნა, და კრმლითა მისითა უკმოულო სამეფოსა ამასა პალესტინე და ორი ნაწილი ჯაზირეთისა. აწ თუმცა ღმერთსა არა მაგათ მიერ დაებრკოლა ბოროტი ეგე მტერი, შემო-მცა-სრულ იყო ვიდრე კონსტანტინეპოლამდე. და შვილთა შორის ნებროთისთა წარჩინებულყვნა ღმერთმან ეგენი, რამეთუ არა მოაკლდეს ნათესავსა მაგათსა ბრძენი გულისხმის მყოფელი და მებრძოლი, ვითარცა ესე მოგუთხრობს ჩუენ აღწერილი გუჯარო რომელსა შინა

¹ ლეონი – აფხაზეთის ერისთავი ლეონ I (VIII ს. I ნახ.).

² მირი და არჩილი – ქართლის ერისმთავრები VIII ს-ის I ნახ-ში.

³ აგარიანი – მუსლიმთა აღმნიშვნელი ტერმინი შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში.

აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით. ხოლო შენდა მიბრძანებიეს ერისთავობა აფხაზეთისა შენ და შვილთა შენთა და მომავალთა შენთა მიუკუნისამდე. არამედ კეთილად პატივ-სცემდი მეფეთა და ერთა მაგათ ქართლისათა, და ამიერითგან ნულარამცა კელმწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათთა ეგრი-სათა, ვიდრემდის იყვნენ მუნ და უნუ განვიდნენ მანდით...

ხოლო არჩილ მოუწოდა ლეონს და რქუა: „კურთხეულ იყავნ შენ უფლისა მიერ, რამეთუ კეთილად იღუაწე სტუმრობა ჩუენი, და დამიცვენ ჩუენ ადგილთა შენთა მშულობით: გარნა აწ უწყიეს შენება ადგილთა ჩუენთა კლისურიტგან აღმართ. აწ ითხოვე თავისა შენი-სათუს რა გნებავს ჩემგან ნაცვლად კეთილისა მსახურებისა შენისა.“

ხოლო ლეონ რქუა: „მომცა მე კეისარმან ქუეყანა ესე მკვდრობით კეთილად სიმკნითა თქუენითა. ხოლო ამიერიტგან არს ესე მამულობით სამკვდრებელ ჩემდა კლისურიტგან ვიდრე მდინარედმდე დიდად ხაზარეთად, სადა დასწუდების წუერი კაკკასიისა ამის. შემრთუ მეცა მონათა შენთა თანა, რომელნი – ესე დღეს ღირს ყვენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“.

მაშინ მისცა ლეონს ცოლად ძმისწული მისი გუარანდუხტ და გვრგვინი იგი, რომელი ბერძენთა მეფესა წარმოგცა მირისთუს. და ყვეს აღთქმა და ფიცი საშინელი, ვითარმედ არ იყოს მტერობა შორის მათსა, არამედ ერჩდეს ლეონ არჩილს ყოველთა დღეთა მისთა“.

«მატიანე ქართლისად»

საზართა საკანის მიერ ქართლში ელჩების
გამოგზავნისა და საზართა მიერ ქართლის
დალაშქრის შესახებ (VIII ს. შუა ხანები) [23]

„შემდგომად ამისსა, რაჟამს აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დაშთეს მისნი შვილნი იოვანე და ჯუანშერ.¹ წარვიდა იოვანე ეგრიისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თუსნი. ხოლო ჯუანშერ და

¹ ჯუანშერი – ქართლის ერისმთავარი VIII ს-ის შუახანებში.

ორნი დანი მისნი დაშტეს ქვეყანასა ქართლისასა და კახეთისასა. არამედ უმრწამესი დაჲ მის იყო სახითა შუენიერ. და მიესმა სიშუენიერე მის ხაზართა მეფესა ხაკანს; მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად, და უქადა შეუელად სარკინოზთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუძმნო ჯუანშერ ძმასა თჳსსა და დედასა, ხოლო მათ არა ინებეს და უთხრეს: „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად მივმართოთ ქრისტიანეთა ვიდრეღა რა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“. და შუშანცა აგინა ხაზართა მეფესა...

და შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმა სპასალარი თჳსი ბლუჩან; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ციხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარილო და ტყუე ყვნა იგნი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუნა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა... წარვიდა ბლუჩან ხაკანისა, მიჰგურა ჯუანშერ და მიუთხრა სიკვდილი ღისა მისისა შუშანისი. ხოლო იგი განუწყრა არმიტანებისათჳს გუამისა მისისა რომლისა წადიერ იყო ხილვად... და ვითარ დაჰყო ჯუანშერ წელიწადი შჳდი, განუტყვა ნიჭითა ღიღითა ხაკანმა და წარმოგზავნა ქუეყანად თჳსად.“

იოვანე საბანისძე ნერსე ქართლის
ერისმთავრის დიპლომატიურ-
სახელმწიფომებრივი მოღვაწეობის შესახებ
(VIII ს. II ნახ.)¹²⁴

ა) ნერსე ერისმთავარი ხალიფას კარზე

„რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ სახელით ნერსე, ძეჲ ადარნესე კურაპალატისა და ერისმთავრისაჲ, მოწოდებულ იქმნა ქვეყანად ბაბილოენისა¹ მფლობელისა მისგან მის ჟამისა სარკინოზთაჲსა ამირა მუშნისა აბდილაჲსგან,² რომელი იყო ქალაქსა მას ღიღსა ბაღდადს, რომელიცა იგი მან აღაშენა.

¹ იგულისხმება არაბთა სახალიფო.

² ამირა მუშნი აბდილა – იგულისხმება აბასიანთა სახალიფოს ხალიფა ალ-მანსური (754-

ხოლო შესემნითა ბოროტთა კაცთაჲთა საპყრობილესა შეაგდო მან ნერსე, ერისთავი ქვეყანისა ამის ქართლისაჲ. და პყრობილ იყო იგი მუნ ჟამადმდე სამისა წლისა, ვიდრემდის ბრძანებითა ღმრთისაჲთა მოკვდა აბდილა ამირა მუმნი და დაჯდა მის წილ ძემ მისი მაჰდი.¹ ხოლო ქველისმოქმედმან ღმერთმან არწმუნა გულსა მაჰდი ამირა მუმნისასა განტევებაჲ ნერსეჲსი და გამოიყვანა იგი მწარისა მისგან საპყრობილისა და განუტევა იგი კვალად ერისმთავრობით აქა, ქვეყანადვე თვისა“.

ბ) ერისმთავარ ნერსეს ვიზიტი ხაზარეთში

„და იყო დღეთა მათ შინა კვალად განრისხებაჲ ხელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ ნერსე ერისთავსა ზედა. და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი. და უფალმან დაიცვა იგი ხელთაგან მათთა და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქმის. და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტესი ჰაბო.

ხოლო ნერსე, ვლტოლვილი ქვეყანით თვისით, შევიდა ქვეყანასა მას ჩრდილოჲსასა, სადა-იგი არს სადგური და საბანაკეთ ძეთა მაგოგისთაჲ, რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლის მჭამელ, რომელთა შჯული არა აქვს, გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან. და რაჟამს მივიდა ნერსე ერისთავი მეფისა მის ხაზართაჲსა, შეიწყნარა იგი უცხოებისათვის და ვლტოლვილებისათვის მტერთა მისთაჲსა და სცა მას და ყოველსა ერსა მისსა საზრდელი და სამოსელი“.

გ) ნერსე ერისმთავრის წამოსვლა ხაზარეთიდან აფხაზეთს

... „მაშინ, შემდგომად რავედნისაჲმე ჟამისა, ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილოჲსასა, რაჲთა განუტეოს იგი მიერ ქვეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს დედაჲ და ცოლი და შეილნი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო

¹ მაჰდი — აბასიანთა სახალიფოს ხალიფა 775-786 წლებში.

ქვეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთაჲსა.¹ ხოლო ღმერთმან მოამშვი-
და პირი მეფისა მის ჩრდილოჲსაჲ და განუტევა ნერსე მრავლითა
ნიჭითა. და წარმოემართნეს იგინი სიხარულითა და მადლობითა ღმ-
რთისაჲთა და განვლეს ქვეყანაჲ იგი წარმართთაჲ, რომელთა ყოვ-
ლადვე არა იციან ღმერთი და უშიშად ვილოდეს ღმრთე და ღამე სამისა
თვისა გზასა ...და ვითარცა მიიწინეს იგინი ქვეყანად აფხაზეთისა,
მთავარმან მის ქვეყანისამან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერთთ მის-
იურთ.“

„მატიანე ძართლისა“ აფხაზეთის სამეფოში
მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ
(IX ს. II ნახ.)^[23]

„მას ჟამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე,² ძმა თეოდოსესი
და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთა-
ვად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა
მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომე-
ლი იცნობების ექსორიაქმნილობით.³ და ცოლმან გიორგი მეფისამან
მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა.⁴ და ეცრუა იგი ივანე
მთავარსა შაელიანსა,⁵ და შთაგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთ-
მან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კონსტანტინეპოლედ. და
მოჰგუარა მეფემან იოვანე ძესა თჳსსა ადარნასეს ცოლი, ასული
გუარამ ამოტის ძისა.⁶ და მოკუდა იოვანე, მეფე აფხაზთა, და
მეფობდა მის წილ ძე მისი ადარნასე...“

¹ სარკინოზი – მუსლიმთა აღმნიშვნელი ტერმინი შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში.

² გიორგი აფხაზთა მეფე – აფხაზთა სამეფოს მეფე გიორგი I (861-868 წწ.)

³ ექსორია – სახელმწიფოდან განდევნა, გადახვეწა (უმთავრესად პოლიტიკური მიზნების გამო). ფეოდალურ საქართველოში ტერმინი „ექსორია“ იხმარებოდა გაძევების აღსანიშნავად.

⁴ ერისთავი ჩიხისა – IX ს-ში აფხაზთა მეფე გიორგი I-მა (იხ. შენიშვნა 2, გვ. 88.) ჩიხაში (სოფელი ახლანდელ საჩხერის რაიონში) მიუჩინა რეზიდენცია ერისთავს, რომელსაც ქართლის გამგებლობა ევალებოდა.

⁵ შაელიანები – სამეფო დინასტია „აფხაზთა სამეფოში“ დაახლოებით 868-887 წლებში.

⁶ გუარამ ამოტის ძე – იგულისხმება ტაო-კლარჯეთის სამთავროს ფუძემდებლის – ამოტ I დიდის (გარდ. 826 წელს) ვაჟი გუარამ მამფალი – IX ს-ის ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

ხოლო ბაგრატ, ძე აფხაზთა მეფისა დემეტრესი, შესრულ იყო საბერძნეთად, კონსტანტინეპოლედ, მოსცა ბერძენთა მეფემან ლაშქარი, და მოგზავნა ზღუთ და ნავითა შემოვიდა აფხაზეთად, და მოკლა ადარნასე, ძე იოვანესი, და დაიპყრა აფხაზეთი და შეირთო ცოლი მისი ცოლად, ასული გუარამისი; და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნასრა¹ ცოლისძმა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქარი მისი... მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლიენეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვისი, და ერისთავი აფხაზთა.“

სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტიმლი
ადარნასე კურაპალატის მიმართ „ქართველთა
მეფის“ ტიტულის მიღების შესახებ (888 წ.)^[2]

„ხოლო ქართველთა დიდი კუროპალატი ადარნასე² სუმბატ მეფესთან ყველაფერში ერთობის, სიყვარულისა და მშვიდობის ურყევსა და მტკიცე პირობას იცავდა. იგი მთელი თავისი შეგნებითა და ძლიერებით, დიდი მოკრძალებით, როგორც მამას, ანდა ამაზე უფრო მეტადაც, ემორჩილებოდა მას. როგორც მონამ თავისი უფლისაგან ნებით იტვირთა შიშის საზღვარი ზომიერი წადილით და თვალს არ აშორებდა მეფეს და მიაპყრობდა დიდი სიფრთხილით და საკუთარი თავიც მას მიანდო. ამის გამო სუმბატ მეფე მეტად კმაყოფილი იყო (ადარნასეთი) და მოსწონდა იგი. მან დიდი მზრუნველობით (ადარნასე) თავისთან მიიყვანა და გაამხნევა. შემდეგ დიდი პატივითა და დიდებით გვირგვინი დაადგა მას, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურველით შეამკო მეფეთა წესის თანახმად, ქართველთა ქვეყნის მეფედ დაადგინა და თავისი სამფლობელოს მეორე პირად (მეფის შემდეგ) დაამტკიცა იგი. შემდეგ (ადარნასემ) მიიღო სამეფო პატივი (და მიაღწია) წარმატებებს, მაგრამ არა თუ გამედიდებულა, არამედ მულამ აკმდებლად

¹ ნასრა – IX ს-ის II ნახევრის ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, გუარამ მამფლის ძე.

² კუროპალატი ადარნასე – „ქართველთა სამეფოს“ მეფე ადარნასე II (888-923 წწ.), ძე დავით I კურაპალატისა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი.

ექცეოდა (სუმბატს). მეფე სუმბატიც წყნარი გონებით იმავე პირობაზე იღა და ანიჭებდა მას სიკეთეს წინანდელ წესთა მიხედვით.“

«მატიანე ქართლისაჲ»

აბულ კასიმის კახეთში ლაშქრობისა და
კვირიკე ქორეპისკოპოსის დიპლომატიური
მისიის შესახებ (914 წ.) [23]

„და მოვიდა აბუ საჯის ძე¹ ტფილისს, და მას ჟამსა ამირა იყო ჯაფარ,² ძე ალისი.³ მოვიდა და მოადგა უჯარმოს.... აღიღეს ბოჭორმა⁴ და დაიჭირეს ციხედვე, და უჯარმოსა ზღუდენი დაარღვივნეს...

ხოლო კურიკე⁵ ქორეპისკოპოსმან⁶ ვითარ იხილა, რომელ არა იყო ღონე მისი, მიენდო ფიცითა, მივიდა და ნახა; და ჰკითხა მან: „ვინ გაწუა აქა მოსვლა?“ და უთხრა: „მაწუა დედამან ჩემმან.“ და თქუა: „არა ვატიკინო გული ერთისა შემხედვარსა“. და შეუყუარდა სიკეთისა მისისათუს და განუტევა, გარნა ბოჭორმა თუთ დაიჭირა.“

„მატიანე ქართლისა“ ჰერეთის მემფისთან
კახეთის ქორეპისკოპოსისა და აფხაზთა მემფის
დიპლომატიური მოლაპარაკების შესახებ
(X ს. დასაწყ.) [23]

„შემდგომად ამისა, ვითარ გარდაკდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა, მაშინ უკმო კურიკე ქორეპისკოპოსმან კონსტანტი

¹ აბუ საჯის ძე - იგულისხმება აბულ-კასიმი (გარდ. 927 წ.), სამხრეთ აზერბაიჯანის არაბი ამირა, საჯიდების დინასტიისა. 914 წელს დალაშქრა საქართველო.

² ჯაფარი, ჯაფარ იბნ ალი - თბილისის ჯაფარიანი ამირა X ს-ის დასაწყისში.

³ ჯაფარიანები - თბილისის მამადიან ამირათა საგვარეულო IX ს-ის 80-იანი წლებიდან XI ს-ის 80-იან წლებამდე, გვარსახელი მოდის სახლის ერთ-ერთი პირველი ამირას ჯაფარის სახელიდან.

⁴ ბოჭორმა - სოფელი თიანეთის რაიონში, ისტორიული კახეთის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი. X ს-ში იყო კახეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი.

⁵ კურიკე - კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 892-918 წლებში.

⁶ ქორეპისკოპოსი - კახეთის მთავართა ტიტულატურა.

აფხაზთა მეფესა;¹ ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა.² აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ კერძო, და კურიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი³ მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში,⁴ გავაზნი,⁵ და კურიკეს ორჭობი. ვითარ დიზავნეს და შემოიქცეს. მოვიდა კონსტანტი აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა. ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივ-სცა კურიკე ქორეპისკოპოსმან, და წარვიდა ქუეყანად თუსად.“

„მატიანე ქართლისა“ აფხაზთა მეფის გიორგი II-სა და კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკე II-ის დიკლომატიური ურთიერთობების შესახებ (X ს. I ნახ.)^[23]

„გარდაიცვალა ფაღლა ქორეპისკოპოსი,⁶ და დაჯდა კურიკე ქორეპისკოპოსად.⁷ ამისა შემდგომად გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა.⁸ გამოილაშქრა გიორგი მეფემან, ჩავიდა კახეთად, მოსწუა და ასწყვდა, და წარვიდა თუსადვე ქვეყანად. კუალად დადგა ატენს. და ძე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა;⁹ და აწუა ყოველი ლაშქარი კუალად შთასვლად კახ-

¹ კონსტანტი აფხაზთა მეფე – „აფხაზთა სამეფოს“ მეფე კონსტანტინე III (დაახლოებით 893-922 წწ.), ბაგრატ I-ის ძე.

² ვეჟინის ციხე. ვეჯინის ციხე – X-XI სს-ის ციხესიმაგრე კახეთში, სოფელ ვეჯინში (ახლანდ. გურჯაანის რაიონში).

³ ადარნასე პატრიკი – პერეთის მეფე დაახლოებით 915-944 წლებში.

⁴ არიში, არეში – სტრატეგიული პუნქტი ძველ პერეთში (ახლანდ. სოფ. მთისძირი, ყვარლის რაიონი). სავაჭრო გზაზე, რომლითაც ადრე შუასაუკუნეებში ქართლი და კახეთი ალბანეთის შიდა რაიონებს უკავშირდებოდა.

⁵ გავაზნი, გავაზი – ისტორიული სოფელი კახეთში; მდებარეობდა თანამედროვე ახალ-სოფლის (ყვარლის რაიონი) ტერიტორიაზე. ქართულ წერილობით წყაროებში პირველად იხსენიება IX ს-ში.

⁶ ფაღლა ქორეპისკოპოსი – კახეთის მთავარი 918-929 წლებში.

⁷ კვირიკე ქორეპისკოპოსი – კახეთის მთავარი კვირიკე II (929-976 წწ.).

⁸ გიორგი – „აფხაზთა სამეფოს“ მეფე გიორგი II (922-957 წწ.).

⁹ ლეონი – „აფხაზთა სამეფოს“ მეფე ლეონ III (957-967 წწ.). გამეფებამდე დანიშნული იყო შიდა ქართლის ერისთავად.

ეთად. ვითარ ცნა კურიკე, რამეთუ ვერ დაუდგებოდა, მოვიდა მათ წინაშე. და კუალად ენება გაპარვა ზაკუთ, შეიპყრა კელთა და წარვიდა კახეთად, რათამცა დედაწული მისი აკრიბა კელთა. გარდაეხუენწეს, რამეთუ აცნობეს აზნაურთა ქართველთა.

მოერთო შურტა, ძმა კურიკე ქორეპისკოპოსისა, გიორგი მეფესა, და მოუტანა თანა ციხე მისი უჯარმო; და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა თუნიერ სამთა ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთ¹ ...ციხე ნახჭევანისა ჰქონდა ფადლას, ძესა კურიკესსა. იგიცა გამაგრდა შიგან. ვითარ იხილა კურიკე ქორეპისკოპოსმან, რამეთუ არღარა იყო ღონე მისი ითხოვა სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა, და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა: ზოლო ლეონ, ძე მეფისა, არა ლამობდა განტევებას კურიკესსა, რამეთუ არცა პირველ შეპყრობასა იყო ნება მისი, გარნა არა უსმინა მამამან მისმან. და კურიკე ესე პირი ითხოვა, რათა მას ზამთარსა არა აღიღონ ციხე ბოჭორმა, და შემდგომად აღვსებისა წარვიდეს და ნებასცეს. ამისთვის აღიღეს ციხე ნახჭევანისა და შეილი ერთი უმრწემესი, დავით, მძევლად, და განუტევეს დღესა ლამპრობასა.

წარვიდა მეფე აფხაზეთად, შევიდა კურიკე ბოჭორმას; ეკაზმოდა და ლამობდა შემდგომად აღვსებისა წარსვლასა. მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხულოსელი, ხარა და გრიგოლ ძმანი ფხუენელი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კურიკეს. დუწყეს ბრძოლად ციხეთა, და მცირეთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი; დაარღვენეს შურისციხე² და ლოწობანთა, და კუალად ეუფლა კურიკე მამულსა თუსსა...

მოვიდეს და უთხრეს გიორგი მეფესა წაღება კახეთისა. დაუმძიმდა დიდად, დააბრალა ყოველთა ვინცა-ვინ აწუა გაშუება კურიკე ქორეპისკოპოსისა. და ვითარ ამას შინა გარდაქდა ზამთარი, კუალად გაგზავნა ლაშქარი თუსი, და ძე მისი ლეონ უჩინა წინამძღურად. და მივიდა და მოწუა კახეთი, და მასვე ლაშქრობასა შინა მოართუეს

¹ ლოწობანი - ისტორიული ციხესიმაგრე აღმ. საქართველოში (ახლანდ. ახალგორის რაიონში). ავთო X ს-ში კახეთის ქორეპისკოპოსმა ფადლა II-ემ.

² შურისციხე - თბილისის ციხის (იგივე ნარიყალა) გვიანი პერიოდის სახელი.

ამბავი: მიცვალება დიდისა და ღმრთის მოყუარისა გიორგი მეფისა. მაშინ მოუწოდა ლეონ კურიკე ქორეპისკოპოსსა; და შეკრბეს ბაზა-
ლეთს, ტბისა პირსა, თუთო ცხენოსნითა, და იუბნეს დღე ერთი,
ვიდრემდის განუცხადა მიცვალება მამისა თვისისა. და აჰკიდა სიყუარული,
და უქადა ძისა მისისა სიძობა. და ვითარცა ესმა ესე კურიკეს,
გარდაჲდა ცხენისაგან, და თაყუანის-ცემითა მისცა მადლი, და განიხარა
ზავი და სიყუარული, და უფროს პირი მზახობისა.“

კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ
მისტიკოსის ფერილი აფხაზეთის მემისადმი
(Xს. I ნახ.) ^[26]

„უზეშთაესსა და ჩვენს საყვარელ შვილს, აბაზგიის ბრწყინვალე
მთავარს

შენი უნეტარესი მამის გარდაცვალების გამო; ჩემო შვილო, როგორც
მოსალოდნელი იყო, დამწუხრებული ვართ და თანავუგრძნობთ შენს
დამწუხრებულ გულს, და ყველა იმათგან, რომლებსაც კი აქვთ უნარი
უყვარდეთ ადამიანი, ვაჟკაცობითა და სიკეთით შემკული, განსაკუთრე-
ბული იყო მამაშენი, ყველას მიერ ქებული და განცვიფრების ღირსად
აღიარებული. ჩვენ მაინც გვაქვს ამ მწუხარების შემამსუბუქებელი
საბუთი, რადგან ღვთის განგებამ განსაჯა, რომ მისი ძალაუფლების
მემკვიდრე იყო შენ, მისი ღვიძლი ნაშობი, ნაყოფი მისი თესლისა, და
მის საკუთარს ერს მისცა შესაძლებლობა გხედავდეს შენ, როგორც
იმის ხატს, ვინც ამ ფუჭ ცხოვრებას გამოესალმა. აი, ეს გვიმსუბუ-
ქებს ჩვენ მწუხარებას და ღვთის წყალობას გვადიდებინებს. მადლობა
შევწირეთ და მადლობას ვწირავთ, და ვევედრებით ღვთიურ სიკეთეს,
რომ არაფერში მოგაკლდეს მამისეული წარმატებები, არამედ კიდევ
უფრო გადააჭარბო, და ისეთი მამა და მთავარი იყო ხელქვეითთათვის,
რომ ღვთის არჩევანი საქმით გაამართლო და შენი მამა, ეგოდენ
უნეტარესი, გამოაჩინო შენი ზნით და ვაჟკაცობით, მოიხვეჭო ამ
წუთისოფელში მუდამ სახსოვარი დიდება, ხოლო სამომავლოდ უკვ-
დავი სახელი, პატივი და ნეტარება.

წყალობის ნიშნად გიგზავნით წამოსასხამს; ალანიის არქიეპისკო-

პოსის შესახებ მოსაწერი არაფერი მაქვს. შენ საკმაოდ შეგნებული და გონიერი ხარ და მამაშენის საქმიანობასაც იცნობ, რომ ადამიანთა ხსნისათვის ღვთის დიადი სახელის დიდებისათვის, საზოგადოდ და ჩვენი წერილის გარეშეც, შენი მოღვაწეობით გვერდში ამოუდგე მას (ე. ი. მამას) და მონაწილეობა მიიღო მის შრომაში რათა ღვთის მეგობრებს მიანიჭო კუთვნილი საზღაო. და თუ მას ამ ტომში, უცხო ქვეყანაში მყოფს, რამე უჭირს ცხოვრების პირობების შესამსუბუქებლად, აღმოუჩინე დახმარება გულისხმიერად, რადგან ღმერთმა შენ ამის ძალა მოგანიჭა; დე, იყოს ასე და დაეხმარო დამაშვრალებს შენ, რომელსაც უხვად გაქვს ეს ძალა.“

ბიზანტიელი უცნობი ავტორი (თეოფანეს
გამგრაქელეპელი) „იზმრთა კურაპალატის“
კონსტანტინოპოლში ვიზიტის შესახებ
(X ს. I ნახ.)^[27]

„თებერვლის თვის ოცში, მეათე ინდიქტიონში,¹ გარდაიცვალა რომანოზის² მეუღლე თეოდორა.³ და მისი ნეშტი დასვენებულ იქმნა თვით რომანოზ მეფის სახლში, რომელიც მის მიერ მონასტრად იქმნა გადაკეთებული. იმავე თვეში გვირგვინი დაიდგა სოფიომ, მეფე ქრისტეფორეს მეუღლემ. იმ ხანებში ქალაქში (ე. ი. კონსტანტინეპოლში) იყო იბერიელი კუროპალატი,⁴ და მან რომ გაიარა შუა მოედანზე, ბრწყინვალედ მორთულზე, დიდის პატივითა და დიდებით შეხვდნენ მას: იგი წმ. სოფიოს ტაძარშიც შეიყვანეს, რომ ეხილა თავისი თვალით მისი სილამაზე, სიდიადე და ძვირფასი მორთულობა. ეს ტაძარი ბრწყინვალედ მორთეს, ოქროქსოვილი ფარჩებით და ყოველგვარი მორთულობით მოფინეს და ისე შეიყვანეს შიგ კუროპალატი.⁵

¹ აღნიშნულ კონტექსტში მეათე ინდიქტიონი უნდა შესაბამებოდეს 922 ან 936 წელს. თეოფანეს გამგრაქელეპელთან საუბარია 922 წელზე, ვინაიდან ამ დროს მიიყვალა დედოფალი თეოდორა.

² რომანოზი – ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ I ლაკაპენოსი (920-944 წწ.).

³ თეოდორა – ბიზანტიის დედოფალი, გარდაიცვალა 922 წელს.

⁴ იბერიის კურაპალატი – უნდა იგულისხმებოდეს ადარნასე კურაპალატი.

⁵ კურაპალატი – მაღალი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული. იგი მაღლა იდგა მაგისტროსზე.

ამან კი, ტაძრის საკვირველი სანახაობით და მისი სიდიდით განცვიფრებულმა და მისი ძვირფასი მორთულობით ზომაზე მეტად გაკვირვებულმა თქვა: ჭეშმარიტად ღვთის ბინა ყოფილა ეს წმინდა ადგილიო და კვლავ თავის ქვეყანაში გაემგზავრა“.

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე
პორფიროგენეტი ძართველ ეფემ-მთავრებისადმი
ბიზანტიის დიპლომატიური ეტიკეტით
ბათვალისწინებული მიმართვის შესახებ
(X ს. I ნახ.)^[28]

„იბერიის კუროპალატს. ოქროს ბულები¹ ორი სოლიდისა.² „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან უდიდებულეს კუროპალატს“. კუროპალატს თავისადმი დაქვემდებარებული ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო. ვერიასახის ერისთავს, იბერიაში; კარნატაის ერისთავს, იბერიაში; ყუელის ერისთავს, იბერიაში; აჭარის ერისთავს, იბერიაში: „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავანს“...

აბაზგიის მთავარს. ოქროს ბულები ორი სოლიდისა. „მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან ბრწყინვალე მთავარს აბაზგიისას“.

¹ ბულა — შუა საუკუნეებში ეწოდებოდა ბეჭედს, რომლითაც მოწმდებოდა სახელმწიფო და საეკლესიო ხასიათის სიგელები, აქტები და სხვ. საბუთები. შემდეგ ეს სახელი გავრცელდა თვით ამ საბუთებზეც. ბულა, ჩვეულებრივ, ეწოდებოდა რომის პაპის განსაკუთრებული მნიშვნელობის ეპისტოლეებს.

² სოლიდი — ძირითადი სამონეტო და სანაგარიშო ფულადი ერთეული ბიზანტიაში.

ერთიანი ქართული სასულხოფიოს წარმოქმნა და მისი აღბილი საქრთაშორისო არენაზე. ქართული დიპლომატიი XI-XII სს-ში

„მატიანე ქართლისა“ ივანე მარუშის ქის დიპლომატიური ინიციატივისა და ბაგრატ უფლისწულის ქართლის მმართველად გამოცხადების შესახებ (975 წ.) [23]

„მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა. და იყო მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა ივანე მარუშის ძე,¹ კაცი ძლიერი და ერმრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატი-სა;² აწუა, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი: ანუ დაიმჭიროს თუთ, ანუ უბოძოს ბაგრატს,³ ძესა გურგენისსა,⁴ ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისსა;⁵ რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი. ესევე ივანე მარუშის ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ. და ვითარცა მოისმინა დავით კურაპალატმან სიტყუა ივანე მარუშის ძისა, წარმოემართა ძალითა თუსითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად. და რაჟამს ცნეს მოსვლა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი.

მოვიდა დავით კურაპალატი, ჩამოდგა ქუაქურელთა;⁶ მოეგება წინა ქართლის ერისთავი ივანე მარუშის ძე, აღიღო მისგან უფლის-ციხე, და მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს, რამეთუ არა ესუა შვილი დავით კურაპალატსა, და ბაგრატ, ძე გურგენისი, გაეზარდა შვილად თუსად....

¹ ივანე მარუშისძე - აფხაზთა სამეფოს დიდებული, ქართლის საერისთავოს გამგებელი X ს-ის II ნახ-ში.

² დავით კურაპალატი - იმიერტაოს მეფე დავით III ღიღი (გარდ. 1001 წ.).

³ ბაგრატ III - ერთიანი საქართველოს პირველი მეფე 978-1014 წწ.

⁴ გურგენი - ბაგრატ III-ის მამა, იმიერტაოს მეფე 994-1008 წწ.

⁵ გიორგი - „აფხაზთა სამეფოს“ მეფე გიორგი II (922-957 წწ.)

⁶ ქუაქურელი (ქვახურელი) - სოფელი შიდა ქართლში, უფლისციხის მახლობლად (ახლანდ. გორის რაიონში)

და ვითარ შეიქცა მუნით გარე, დაუტევნა უფლისციხეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ. მას ჟამსა იყო ბაგრატ ჯერეთ ასაკითა უსრულ, ამისათჳს თანაგამგებლად დაუტევა მამამისი გურგენ. შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: „ესე არს მკედრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“. და დაყენა დღენი მცირენი და წარვიდა ტაოს.“

**„მატიანე ქართლისა“ დავით III კურაპალატისა
და კახეთის სამთავროს დიპლომატიური
ურთიერთობების შესახებ (975 წ.) ^[23]**

„ვითარ წარკდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩუეულება ქართლისა აზნაურთა: შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა, და მოიყვანნეს ლაშქარნი კახეთით; და გასცეს უფლისციხე, და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ,¹ წარიყვანეს კახეთად.

რაჟამს ცნა ესე დავით კურაპალატმან, დაუმძიმდა ფრიად, გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა, მოვიდა თრიალეთს შთასვლად კახეთად. და რაჟამს ცნეს კახთა, მოუგზავნეს მოციქული და მოუპყრეს პირი ზავისა: განუტევენეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, და შეუქციეს ქართლი და უფლისციხე, ხოლო წირქუალისციხე² და გრუი თჳთ დაიჭირეს. მას ჟამსა ეპყრა უფლისციხე და ქართლი გუარანდუხტ დედოფალსა. ესე გუარანდუხტ დედოფალი ასული იყო გიორგი აფხაზთა მეფისა და დედა ბაგრატიისი“.

¹ გუარანდუხტ დედოფალი - ბაგრატ III-ის დედა, გიორგი II აფხაზთა მეფის ასული, აფხაზთა მეფე თეოდოსი III-ის (975-978 წწ.) და.

² წირქუალი (წირქოლი) - სოფელი შიდა ქართლში (ახლანდ. ახალგორის რაიონში).

„მატიანე ქართლისა“ ივანე მარუშის ძის
ახალი ინიციატივისა და ბაგრატ
უფლისწულის „აფხაზთა სამეფოში“ გამეფების
შესახებ (978 წ.).^[23]

„ამანვე ივანე მარუშის ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა. და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისგან. ხოლო მან დიდითა იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი; ვითარცა ვთქუე, უშვილო იყო დავით კურაპალატი, და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოსა ტაოსა. გარნა რაჟამს უმკვდრო ქმნილ იყო ქვეყანა ქართლისა და აფხაზეთისა, მოსცა მათ სიმტკიცითა და მძევლითა.

შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ და დაემორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა.“

გიორგი მთაწმინდელის „იოვანესა და ეფთვიმეს
ცხოვრება“ თორნიკე პრისტავისა და დავით III
კურაპალატის ბიზანტიის ხელისუფლებასთან
დიპლომატიური კონტაქტების შესახებ
(976-979 წწ.)^[29]

„და მას ჟამსა იქმნა განდგომილებაჲ სკლიაროსისაჲ¹ და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა. და მეფენი და დედოფალი შეწყვედულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა. და ამას რაჲ შინა იყვნეს, განიზრახეს, ვითარმედ:

– ჩვენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს. და ვინაჲთგან გზანი ყოველნი სკლიაროსსა დაეპყრნეს, კაცისა წაველენაჲ არა ეგებოდა და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს, რამეთუ არცა

¹ ბარდა სკლიაროსი – ცნობილი ბიზანტიელი სარდალი, მცირე აზიის პროვინციული სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელი, რომელიც 976-979 წლებში აჯანყდა და ბიზანტიის საიმპერატორო ტახტის ხელში ჩაგდება განიზრახა.

ვინ იყო ეგვიპტის კაცი, რომელმანცა სრულყო ნება გულისა მათისაჲ.

და ესრეთ რაჲ იურვოდეს ამის პირისათვის, ესჲა იოვანესთვის¹ და თორნიკისთვის² და ცნეს, რამეთუ ლავრასა დიდისა ათანასესსა³ არიან. და მეყსეულად სევასტოფორი, კაცი წარჩინებული მათ ჟამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათ, წიგნებით სამეუფოთა ლავრას წარმოავლინეს. და ვითარცა მოვიდა, მისცა წიგნები თვითოეულად, ვითარცა აქენდა ბრძანებაჲ – ერთი ათანასის და ერთი თორნიკს და ერთი იოვანეს. და ესე პირი მოეწერა, ვითა:

„უღმრთოჲ სკლიაროსი გაგვადგა და ხმელით კერძი ყოველი დაიპყრა. აწ ვევედრებით სიწმიდესა თქვენსა, რაჲთა თვინიერ ყოვლისა მიზეზისა იოვანე-თორნიკ მოვიდეს მეფობისა ჩვენისა“.

და სხვანი მრავალნი ვედრებანი და ქნებანი ეწერნეს სამეუფოთა მათ წიგნთა შინა.

ესე რაჲ ესრეთ იქმნა, ფრიადსა უღონობასა შთავარდეს ათანასე და იოვანე და, უნდა თუ არა, შეუვრდეს თორნიკს და იწყეს ვედრებად მისსა, რაჲთა აღვიდეს მეფეთა წინაშე. ხოლო მას რაჲ ესჲა ვედრებაჲ მათი, ფრიად შეწუხნა და ეტყოდა, ვითარმედ:

– წმიდანო მამანო, მე ცოდვათა ჩემთათვის მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვაჲ, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათვის მიხმობენ. და ვინაჲთგან ღმერთმან ღირს მყო და სახე მონაზონებისაჲ შევიმოსე, მე ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხვასა ვის ქვეყანასა ზედა. აწ ვევედრები სიწმიდესა თქვენსა, ღმრთისა სიყვარულისათვის შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათვის, რამეთუ, უკეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგდებენ.

და იგინი ევედრებოდეს, ვითარმედ:

¹ იოანე მთაწმინდელი (920-1005 წწ.) – ქართველი სასულიერო მოღვაწე, სამცხის დიდებული (ერისკაცობის სახელი ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი), ათონის ივერთა მონასტრის აღმშენებელი და პირველი წინამძღვარი.

² თორნიკე ერისთავი (გარდ. 985 წ.) – ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, დავით III დიდის სახელგანთქმული სარდალი; ბერად აღკვეცის შემდეგ მოღვაწეობდა ათონის მთაზე; იყო ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

³ ათანასეს ლავრა – მონასტერი ათონის მთაზე.

– უკეთუ ამას ჟამსა ურჩ ვეჭმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩვენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა.

და ამას ცილობასა ზედა გარდახდა შვიდეული ერთი. ხოლო უკანასკნელ, უნდა თუ არა, ყოველი ბრალი მამამან ათანასი და მამამან იოვანე მიიღვეს და ძლით დაარწმუნეს წარსლვად.

ხოლო ბასილი¹ და კოსტანტი² მას ჟამსა წუთლა ყრმა იყვნეს და ყოველი გასაგებელი დედოფალსა³ ეპყრა პარაკიმენონსა.⁴ და ვითარცა აღვიდა თორნიკ სამეუფოდ, მეყსეულად შეიყვანა იგი პარაკიმენოსმან მეფეთა წინაშე. და მეფენი და დედოფალი ზე აღუდგეს და პატივით მოიკითხეს და გვერდით დაისევს. და უბრძანა დედოფალმან ბასილის და კოსტანტს და ფერხთა შეუკრდეს. და დედოფალმან მიუგო, ვითარმედ:

– წმიდო მამო, რაჲცა ამათ ობოლთა თანა ჰქმნა, ღმერთმან მოაგოს სულსა შენსა!

და ესე ვითარი რაჲ ჟამი დახვდა იოვანეს, შინაგამოდებით მრავალფერთა საქმეთათვის ამხილა დედოფალსა. და მან ყოველი სიმდაბლით შეიწყნარა და აღუთქვა, ვითა:

– წმიდო მამო, რაჲცა მიბრძანოს მამობამან თქვენმა, თქვენსა ბრძანებასა არა გარდავკზნდე ოდენ, ღმერთმან დაგარწმუნოს, შრომაჲ თავს იდევ და რომლითაცა სახითა გნებავს, წარვედ კურაპალატისა წინაშე და ყოველი ჭირი ჩვენი აუწყე. და ვესავ ღმერთსა, რომელ იოტოთ იგი უღმრთოჲ სკლიაროსი და ჩვენ ჭირისაგან განგვარიინეთ.

ფრიად ევედრა დედოფალსა, რაჲთამცა განათავისუფლა. და ვითარ იხილა მოუდრეკელობაჲ მისი, მიუგო ესრეთ, ვითარმედ:

– მე ჩემთა ცოდვათათვის შევიმოსე სახე ესე და უწყის უფალმან, რომელ სწორად სიკვდილისა მძიმე არს ესე საქმე ჩემ ზედა. გარნა რაჲ ვყო, არა ვიცვი, წმიდასა მეფობასა თქვენსა ურჩ ვერ ვეჭმნები.

და კვალად დედოფალმან პარაკიმენოსმან ჰრქვეს, ვითარმედ:

¹ ბასილი – ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II ბულგართმმუსერელი (976-1025 წწ.).

² კოსტანტი – ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII (1025-1028 წწ.).

³ იგულისხმება ბიზანტიის დედოფალი თეოფანია, ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის დედა; მათი მცირეწლოვნობის დროს განაგებდა ბიზანტიის იმპერიას (X ს-ის 70-იან წწ.)

⁴ პარაკიმენონი, პარაკიმენონი – თანამდებობა ბიზანტიის იმპერიაში, მესაწოლეუთუხუცესი.

– შენ ოდენ ამათ ობოლთა ხელი აღუპყრა და, რააცა ბრალი იყოს, ღმერთმან ჩვენგან იძიენ!

და ესრეთ წიგნები ვედრებისაჲ დაწერეს კურაპალატსა თანა. და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან რომლითაცა სახითა კურაპალატსა წინაშე მიიწია თორნიკ.

ხოლო იხილა რაჲ იგი კურაპალატმან, ფრიად განიხარა და წიგნები მეფეთაჲ მიითვალა. და ყოველივე საქმე თორნიკ გააცადა, რომლისათვისცა განზრახვად ქმნეს, რაჲთა ლაშქარნი წარმოგზავნენ საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს.

ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაჲ კურაპალატისაჲ აუწყა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი¹ კურაპალატსა, რაჲთა თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ.

ხოლო თორნიკს მოუწერეს:

„ვიციოთ, რომელ ღმერთი შეგეწვევის და ნურარას ორგულობ. და ოდეს ღმერთმან წარგიმართოს, ყოველნი წინააღმდეგომნი ჩვენნი დატყვევენ და ყოველივე ნატყვევანი მათი შენი იყოს“.

რომლისათვისცა მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მხედარი რჩეული თორნიკს. და შეწევნითა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია.

და მერმე შეიქცა და სიტყვისაებრ მეფეთაჲსა დატყვევნა ყოველნი დიდებულნი საბერძნეთისანი და მონაგები მათი იავარყო და რომელიმე ლაშქართა განუყო და რომელიმე თვით დაიმჭირა ნატყვენავი დიდძალი ფრიად: ოქროჲ ვეცხლი და სტავრაჲ² და სხვაჲ ესევეითარი.

და უკუნიქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმაღლა და იჯმნა და მეფეთავე წინაშე მოვიდა. ხოლო იგინი დიდითა პატივითა მიეგებნეს და მოწლედ მოიკითხეს. იჯმნა უკვე მათგანცა და გამოეთხოვა. და კვალად მთაწმიდასვე მოიქცა, ლავრად დიდისა ათანასესა.

ხოლო მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორს უყვეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან კვალად მოაქცია მშვიდობით.“

¹ „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი“ – ივულისხმება არზრუმის და ვანის ტბის მიმდებარე ტერიტორიები.

² სტავრა – ოქრომკელით ნაქსოვი ქსოვილი (ძვ. ქართ.).

არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი ბარდა
ფოკას აჯანყების და დავით III კურაპალატისა
და ბასილი II-ის დიპლომატიური
ურთიერთობების შესახებ (987 წ.)^[30]

„1298 წლის 14 აილულს (987 წლის 14 სექტემბერი)... ბარდა ფოკა¹ აშკარად აჯანყდა და თავი მეფედ გამოაცხადა. იგი დაეუფლა ბიზანტიის ქვეყანას დორილემდე, ზღვის სანაპირომდე და მისმა ჯარმა ზრისოპოლამდე მიადწია. საქმე გართულდა. ბასილი მეფე შეწუხებული იყო ბარდას ლაშქრის ძლიერებითა და გამარჯვებით...

რუსთა ლაშქარი მოვიდა და ბასილ მეფესთან მყოფ ბიზანტიის ჯარს შეუერთდა და ყველანი ერთად ზღვითა და ხმელეთით ზრისუბილისაკენ დაიძრნენ ბარდა ფოკასთან შესაბრძოლებლად. ფოკაზე გაიმარჯვეს, ბასილ მეფემ ზღვისპირა ოლქი დაიკავა და ხელთ იგდო ყველა გემი, რაც ფოკას გააჩნდა.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფოკამ თავისი ლაშქრით კონსტანტინოპოლის მისადგომებთან დაიბანაკა და აღმოსავლეთის ოლქი დაიკავა, ბასილ მეფემ მაგისტროსი² ტარონიტი ზღვით ტრაპიზონს გაგზავნა, რათა ხალხი მოეგროვებინა და ეეფრატის ნაპირისაკენ დაძრულიყო. (ამის გამო) ბარდა ფოკამ თავისი ვაჟი ნიკიფორე კისერმოქცეული ტაოს მფლობელ საქართველოს მეფე დავითთან გაგზავნა ტარონიტის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. დავითმა მას მიაშველა მონა თვისი ათასი მხედრით და, აგრეთვე, ალხალიდის მფლობელი პატრიკიოსები, ბაგრატის ორი ვაჟი, ათასი ცხენოსნით. მათ ტარონიტს შეუტიეს და იგი დაამარცხეს. (მაგრამ) ამ დროს შეიტყვეს, რომ ბასილ მეფეს ზრისუბილთან გამართულ საზღვაო ბრძოლაში ფოკა დაუმარცხებია. (ამიტომ) დავით ქართველის მონა თავისი ხალხით და ბაგრატის ორი ვაჟი თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ და მეფის წინაშე თავი იმით იმართლეს, რომ მათ შეასრულეს ის, რასაც იგი მათგან მოითხოვდა — დაამარცხეს ტარონიტი. ნიკიფორე ფოკას ძის ლაშქარი დაიფანტა...

¹ ბარდა ფოკა (გარდ. 989 წ.) — ბიზანტიის მხედართმთავარი, მცირე აზიელი დიდგვაროვანი.

² მაგისტროსი — ბიზანტიის იმპერიის მაღალი საკარისკაცი ტიტული.

განრისხებული იყო ბასილ მეფე ტაოს პატრონ დავით ქართველთა მეფეზე და ბაგრატიის ორ ვაჟზე იმის გამო, რომ მათ დახმარება გაუწიეს ფოკას, და გაგზავნა ჯარი მათ წინააღმდეგ პატრიკიოს¹ ჯაქრუსის მეთაურობით. მან ბრძოლა გაუმართა ბაგრატის ვაჟებს და უფროსი მოკლა, ხოლო უმცროსი გადაასახლა. დავით ქართველთა მეფემ პატიება და შეწყალება ითხოვა, ბასილის მორჩილება განუცხადა და აღუთქვა, რომ ვინაიდან თვითონ ძლიერ მოხუცი იყო, ხოლო ვაჟი და სხვა მემკვიდრე არ გააჩნდა, — გარდაცვალების შემდეგ თავისი სახელმწიფო მის სახელმწიფოს შეერთებოდა. იგი მეფეს სთხოვდა, ნება დაერთო მისთვის გაეგზავნა დიდებულები სამეფო კარზე, რათა მას შეძლებოდა მიეღო მათგან ფიცი და პირობა იმისა, რომ თავიანთი პატრონის გარდაცვალებისთანავე მის ქვეყანას ჩააბარებდნენ. ბასილ მეფემ მოიწონა მისი მოქმედება და დანიშნა იგი კურაპალატად,² გაუგზავნა მას ძვირფასად მორთული ტანსაცმელი. დავითმა ჩაიცვა იგი და ბრძანა, მის სამეფოში ბასილ მეფეზე ელოცნათ. (შემდეგ კი) ქართველთა კათალიკოსი სახელმწიფოს სხვა მრავალ დიდებულებთან ერთად მეფის კარზე გაგზავნა. მეფემ მათ ტიტულები ჩამოურიგა, მოწყალება უყო და ისინი დავითთან დაბრუნდნენ...

ნ თვე დაჰყო (ბასილ) მეფემ მასისსა და ტარსუსში იმ განზრახვით, რომ კვლავ დაბრუნებულიყო ისლამის ქვეყნებში. მაგრამ შეიტყო, რომ ქალაქ ტაოს ქართველთა მეფე დავით კურაპალატი გარდაცვლილიყო და იგი მაშინვე იქით გაემართა ანტიოქიის მმართველის, მაგისტროსისა და მისი ჯარის თანხლებით. მან ქართველთა ყველა ქვეყანა ჩაიბარა და მათ თავის მხრივ გამგებლად ბიზანტიელები მიუჩინა.“

¹ პატრიკიოსი — სამოხელეო წოდება ბიზანტიაში. რანგთა ტაბელის მიხედვით, განეკუთვნება ტიტულთა პირველ კლასს.

² კურაპალატი — ბიზანტიის იმპერიის მაღალი საკარისკაცი ტიტული. იგი მაღლა იდგა მაგისტროსზე.

„მატიანე ქართლისა“ რატი ბაღვაშის
სამფლობელოების ირგვლივ ატმნილი
ქონფლიქტისა და მისი დიპლომატიური გზით
მოგვარების შესახებ (989 წ.)^[23]

„და ამას შინა გარდაკდეს წელიწადნი რაოდენნიმე. იყო მას ჟამსა ერისთავად კლდეკართ რატი,¹ და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისკევი და სკურეთი;² არა მორჩილობდა კეთილად ბაგრატ მეფესა.

შეკრიბა უცნაურად სპა თუსი ყოველი ბაგრატ მეფემან და გამოვიდა ქართლს: ენება შეპყრობა რატი ერისთავისა. მაშინ უკუე აუწყეს მსწრაფლ დავით კურაპალატსა და უთხრეს ესრესაზედ: „არა სადა წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ არს სიკუდილად შენდა. და შეკაზმულ იყო გურგენ, მამა ბაგრატიისი, მისვლად შვილისა თუსისა თანა. ხოლო დავით კურაპალატი წარმოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თუსსა და უკმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა. და მაშინ ჯერეთ ცოცხალ იყო პაპა ბაგრატიისი, ბაგრატ ქართველთა მეფე;³ იგიცა მოვიდა დავით კურაპალატისა წინაშე, რამეთუ ეშინოდა ძისა თუსისა გურგენისაგან წაღებასა მეფობისსა...“

მას ჟამსა მოსრულ იყო ბაგრატ თრიალეთს; დადგა კარუშეთს. გაგზავნა მოციქული, განახნა ლაშქარნი და იხილა, რომელ ძალითა არა ეგებოდა წინააღდგომა დავით კურაპალატისა. მაშინ დაუტევნა სპანი თუსნი ადგილსა ზედა, და თუთ მარტო მივიდა წინაშე მისსა; ითხოვა შენდობა და აუწყა ვითარმედ: „სხუსა არა რომლისათუს მოვედ, გარნა არა მორჩილებისათუს რატიისა“. ხოლო მან გაგზავნა და უბრძანა ესრეთ: „მითხრეს, რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსრულ იყავ, გარნა აწ ვცან დასტური, რომელ უბრალო ხარ. არამედ მითავისუფლებიხარ რატიის ზედა: დაიმორჩილე ვითაცა სახედ გწადიან“.

¹ რატი ბაღვაში - კლდეკარის ერისთავი რატი I ბაღვაში (გარდ. 1021 წ.), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე.

² სკურეთი, სკორეთი, საკურეთი - მხარე ქვემო ქართლში; X-XI სს-ში შედიოდა ბაღვაშთა სამფლობელოში.

³ ბაგრატ ქართველთა მეფე - „ქართველთა სამეფოს“ (ამიურტაოს) მეფე ბაგრატ II რეგვნი (958-994 წწ.).

მაშინ წარმოვიდა სიხარულითა სავსე და წარვიდა მას ჟამსა აფხაზეთადვე, რათა ვერ უგრძნას რატი და უგრძნეულად მივიდეს ოდენ არა გონებდეს. ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა, მოვიდა ძალითა თუსითა ყოვლითა და მოადგა კლდეკართა. იხილა რა ესე რატი, გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თუსი ბაგრატს, და თუთ დაჯდა მამულსა თუსსა არგუეთს.“¹

სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივირტიცი
დავით III კურაპალატის ეკვლემობისა და
ქართულ-ბიზანტიური დიპლომატიური
კონტაქტების შესახებ (1001 წ.)^[31]

„არ ვიცი რა მიზეზით, დასავლეთის ჯარი, რომელსაც რუზები² ერქვა და აზნაურთა გუნდი ერთმანეთს შეეტაკნენ. იმავე ადგილას აზნაურთაგან ფრიად საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა. ეს მათ ტყუილუბრალოდ არ შემთხვევიათ, რადგანაც მათ დიდ ხუთშაბათს სასიკვდილო წამალი შერიეს სასმელს, შეასვეს მას და მით მოახრჩვეს ნეტარი არსება. ასე განაშორეს (დავითი)³ სიცოცხლეს. მათ მობეზრდათ მისი არსებობა. (ყოველივე ეს გააკეთეს) იმ დაპირებებისათვის, რომელიც მათ მეფემ⁴ აღუთქვა. ამისათვის ღმერთმა სამართლიანად მიუზღო (აზნაურებს) სამაგიერო მათი საქმეების შესაფერისად... იმავე ადგილას მოვიდა აფხაზთა მეფე ბაგრატი და მისი მამა გურგენი, რომლებიც თვითმპყრობელმა მეფემ ფრიად განადიდა. (ბასილმა) ბაგრატს უბოძა კურაპალატობა, მის მამას კი მაგისტროსობა და მშვიდობით გამოისტუმრა (ისინი).“

¹ არგვეთი – ისტორიული პროვინცია დასავლეთ საქართველოში, მოიცავდა ტერიტორიას ლიხის ქედიდან რიონამდე და რაჭის მუხიდან ფერსათის მუხამდე, ე. ი. ახლანდ. ხარაგაულის, ჭიათურის, საჩხერის, ზესტაფონის, თერჯოლის და ბაღდათის რაიონების ტერიტორიებს. IX-XI სს-ში არგვეთში თავისი საფულობელოები ჰქონდათ ბაღვაშებს.

² რუზები-რუსები.

³ იგულისხმება დავით III დიდი (იხ. შენიშენა 2, გვ. 96).

⁴ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II (იხ. შენიშენა 1, გვ. 100).

სუმბატ ღავითის ქმ ბაბრატ III-ისა და
„მეფეთ-მეფე“ გურგენის ბიზანტიის იმპერატორ
ბასილი II-თან დიპლომატიური
მოლაპარაკებების შესახებ (1001 წ.)^[32]

„გარდაიცვალა ღავით დიდი კურაპალატი... , ქრონიკონსა ს-კ-ა¹...და
აოკრდა იმიერ-ტაო; და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისც-
ნეს მას ციხენი აზნაურთა ამა ღავითისთა, და დაიპყრა ბასილი
მეფემან მამული ღავით კურაპალატისა. და მივიდეს მის წინაშე
ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენ. და მოსცა მათ ბასილი
მეფემან პატივი – გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალა-
ტობა, რათამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი
ესე, და ამით ღონით იმმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და
მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკუთა ამით მიზეზითა და
ვერა უძლო ღონისძიებითა“.

ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კელდენე
ქართულ-ბიზანტიური დიპლომატიური
ურთიერთობების შესახებ (1001 წ.)^[33]

„შინაურ ომთა და ზრუნვათაგან რომ განთავისუფლდა მეფე,²
დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ დაესაჯა სამუელი და დანარჩენი
ტოპარქები,³ რომლებმაც ძალიან აიშვეს თავი იმით, რომ მეფის
წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს და რომაელთა სახ-
ელმწიფოს არა მცირედი ზიანი მიაყენეს. ის გაემართა თრაკიისა და
მაკედონიის მხარეებში და ჩავიდა თესალონიკეში, სადაც მრავალი
მადლი შესწირა დიდ მოწამე დემეტრეს, იქ მმართველად დასტოვა
მაგისტროსი გრიგოლ ტარონელი და მისცა მას დიდძალი ჯარი,

¹ ქრონიკონი სკლ (221+780=1001 წ.).

² იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II.

³ ტოპარქი – ამ ტერმინით XI საუკუნის ბიზანტიურ ლიტერატურაში აღინიშნებოდა მმართველები იმ ქვეყნებისა, რომლებიც განლაგებული იყვნენ ბიზანტიის იმპერიის საზღვრებთან.

რათა სამუელის იერიშები შეეკავებინა, თვითონ კი გამობრუნდა და სატახტო ქალაქზე გავლით იბერიაში ავიდა; დავით კურაპალატი გარდაცვლილიყო და თავისი სამფლობელოების მემკვიდრედ მეფე დაეწერა. იბერიაში რომ ჩავიდა, მიცემული მემკვიდრეობა დაიდგინა. ხოლო კურაპალატის (ძმა) გიორგი, შიდა იბერიის მმართველი, დაარწმუნა დაკმაყოფილებულიყო თავისი საკუთარი სამფლობელოთი და სხვისას არ შესეოდა, შეკრა მასთან ზავი, მძევლად მისი ვაჟი მიიღო და ფინიკიაში წავიდა.“

„მატიანე ქართლისა“ ბაბრატ III-სა და
კახეთის მთავარ დავითს შორის გამართული
დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და ბაბრატ
III-ის მიერ კახეთ-ქვერეთის შემოერთების
შესახებ (1008-1010 წწ.)^[2]

„[ბაგრატმა] გამოილაშქრა ყოვლითა სპითა თუსითა, გარდამოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს. მას ჟამსა იყო ქორეპისკოპოსი დავით.¹ ხოლო მან არა ინება მოცემა ციხეთა, არამედ მიუძმცნო ესრეთ: „უკუეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩუენ შორის დამჯერებელ მკლავი და ომი. ხოლო მე წინა მოგეგებო ქსანსა ზედა.“ განუწყრა ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი... წარგზავნა კაცი მოსწრაფედ, აწუა სპათა აფხაზეთისა და ქართლისათა... დადგა თიანეთს, და იწყო შემუსვრად კახეთის. და ვერ წინააღუდგა დავით, რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხუ; იწყო ბრძოლა ციხეთა და მას ჟამსა აღიღო ქვეყანა ჰერეთისა, და განაჩინა მთავრად აბულალ² და წარმოვიდა შინა.

და მათევე ჟამთა, რაჟამს წარმოვიდა ბაგრატ აფხაზთა მეფე, კუალად მიიქცეს კაცნი ჰერეთისანი და მიერთნეს დავითს; აღიღო დავით ჰერეთი. შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა. კუალად გამოვიდა ყოვლითა სპითა თუსითა ბაგრატ, აღიღო მეორედ ჰერეთი.

¹ დავით ქორეპისკოპოსი – კახეთის მთავარი 976-1010 წწ.

² აბულალი – ჰერეთის მთავარი XI ს-ის დასაწყისში. მთავრად დანიშნა ბაგრატ III-ემ.

დაიჭირა დინარ დედოფალი¹ თვსად, იწყო ძებნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწოდებლითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწყულია კურიკე ბოჭორმას, და დაუყენა ციხესა გარეშემო მცველნი წელიწდამდი, წარილო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კურიკე და დაიჭირა თვსსა კარსა ზედა.“

„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ III-ის
განძა-არანში გალაშქრებისა და ამირა
ფადლონთან დადებული ზავის შესახებ
(1010-1014 წწ.)^[23]

„მას ჟამსა განდიდნა ფადლონ,² ამირა განძისა, იწყო კირთბად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი ადგილად. ხოლო იხილა რა დიდმან მეფემან ბაგრატ კადნიერება მისი, დიდად შეძრწუნდა და აღივსო შურიით. განემზადა ყოვლითა სპითა მისითა, წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ³ შაჰანშა სომეხთა მეფისა; აწყა, რათა იძიოს შური ფადლონისგან. ხოლო მან განიხარა სიხარულითა დიდითა, მოსწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თვსთა, წარმოემართა და მოვიდა წინაშე ბაგრატ მეფისა. შეკრბეს ორნივე ძორაკერტს;⁴ მიმართეს ფადლონს, დიდად განლაღებულსა...

ამან დიდმან და ყოვლითურთ ძლევამომოსილმან მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქუყანა რანისა, მზადგა ქალაქსა შანქორსა⁵ ... და მცირედთა დღეთა დაღუწენეს ზღუდენი შანქორისანი. ხვალისა დღე ეგულებოდა შეშუსვრად და წარტყუნვად ქალაქისა მის. მას დამესა მოუვლინა მოციქული ფადლონ, ითხოვა შენდობა; აღუთქუა დღეთა შინა სიც-

¹ დინარ დედოფალი - ჰერეთის დედოფალი. ჰერეთის მეფის იმხანიკის დედა.

² ფადლონი. ფადლო (ფადლო იბნ მუსაჰადი) - განძის ამირა ფადლონ პირველი (985-1031 წწ.).

³ გაგიკ - ანისის მეფე გაგიკ I (989-1017 წწ.).

⁴ ძორაკერტი. ზორაკერტი, ზურტაკეტი - მხარე ქვემო ქართლში. შედიოდა ტაშირ - ძორაკერტის სამეფოში.

⁵ შანქორი. შამქორი - ისტორიული ქალაქი აზერბაიჯანში.

ოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუწერა თავის-
თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა. მაშინ უბრძანა და შემოკრიბნა
ყოველნი დიდებულნი წინაშე მისსა; უბრძანა პირველად, რათა დაი-
ჭირონ ქალაქი იგი ძალითა მათითა. იხილეს და განიცადეს, და მოაქსენეს,
რომელ ვერვის ძალედვა, და უფროს ამისთვის, რომელ სხუათა ყოველთა
სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქნებოდეს.

კუალად უბრძანა და განიზრახა დაზავება ფადლონისი. და მათ
ყოველთა, სიბრძნითა მათითა, გამოარჩიეს და უმჯობესად აწვეს
ზავი, უბრძანა და გაგზავნა მოციქული, და მისგან აუწყა ზავი
დასტური. მაშინ ფადლონ განიხარა სიხარულითა დიდითა, აღასრუ-
ლა ყოველი იგი, სიტყვით აღთქმული, საქმით: უძღუნა ძღუენი დიდი
და მიუწდომელი, აღაესნა ყოველნი დიდებულნი ნიჭითა მიუწდომელ-
ითა, და წარმოვიდა შინა გამარჯვებული.“

სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივიპრტიცი გიორგი I-ისა და ბასილი II-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1014-1015 წწ.)^[31]

„ჩვენი წელთაღრიცხვის 464 წელს გარდაიცვალა აფხაზთა მეფე
ბაგრატი და გამეფდა მისი ვაჟი გიორგი.¹ თვითმპყრობელმა მეფემ
ბასილმა ასეთი ბრძანება მოსწერა მას: „რაც კი (დავით) კურაპალა-
ტის წილიდან მამაშენს ძღვნად მივეცი, თავი ანებე და მხოლოდ
საკუთარი მამული განაგეო“, ხოლო (გიორგიმ) არ მიიღო (ეს ბრძა-
ნება), არამედ ყრმობის ასაკით გამედიდურებულმა საწინააღმდეგო
პასუხი გასცა (ბასილ მეფეს): „რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამგე-
ბლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივეცემო“. ეს რომ თვითმპყ-
რობელმა შეიტყო, ჯარი გაგზავნა ქვეყნის ძალით დასაპყრობად. მათ
წინააღმდეგ გამოვიდნენ ტაოელი ვაჟკაცები, რომლებმაც დიდ დაბა-
სოფელ უხტიქის მახლობლად უკუაქციეს ჰორომთა² ჯარი, ხოლო
ქალაქსა და სხვა გაშენებულ ადგილებს ზიანი არ მიაყენეს. ასე
მიეცა დასაბამი ტაოს ქვეყნის დაცემას.“

¹ გიორგი – საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027 წწ.).

² ჰორომთა – ბიზანტიელთა.

სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს
ლასტიკერტიცი ანისის სამეფოსთან ბიორგი I-ის
დიკლომატიური ურთიერთობების შესახებ
(1017-1018 წწ.)^[31]

„გაგიკ¹ მეფე დიდხანს განაგებდა თავის სამეფოს, კეთილი მოგონებების ღირსიც შეიქმნა და ღრმა მოხუცებული გარდაიცვალა. ხელისუფლებას კი დაუფლნენ მისი შვილები: სუმბატი,² რომელიც იოანედ იწოდებოდა და აშოტი (სუმბატის) მკვიდრი ძმა. სუმბატი იყო ტანად მოსული და ძლიერ მსუქანი, სიბრძნით (და გონიერებით კი იგი) ბევრს აღემატებოდა, ხოლო აშოტი იყო მოხდენილი ტანადი, გულადი და მამაცი მებრძოლი. ისინი ერთმანეთს შეეტაკნენ ქვეყნის დანაწილებისათვის, საჭირო შეიქნა სასამართლო. მათთან მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. ორი სახელის მქონე სუმბატს (ასაკით) უფროსობის გამო (გიორგიმ) მისცა წილი: ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს — ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა. სუმბატი დათანხმდა და დაბრუნდა თავის ქალაქში. იგი გზაზე შეჩერდა სხეულის მოდუნების გამო და უდარდელად დაიძინა. (მაშინ) აშოტის მხრიდან ერთი მთავარი საჩივრით მივიდა გიორგისთან და უთხრა, რომ „შატიკი ჩემი სამკვიდრო აღგილია, რომელიც ჩემგან უსამართლოდ წაიღო სუმბატმაო“. ეს რომ გიორგიმ მოისმინა, დიდი რისხვითა და სიბრაზით აღენთო და ჯარი დაადევნა (სუმბატს) კვალდაკვალ. ისინი მივიდნენ და მოულოდნელად თავს დააცხრნენ მას ისე, რომ (სუმბატმა) სხეულის დამძიმების გამო ვერც კი შეძლო ცხენზე შეჯდომა. მასთან მყოფი მთაერები სწრაფად გაიქცნენ. უკან დადევნებულმა (გიორგის ჯარებმა) გზაზე (ქალაქ) ანისის კარამდე გვამების გროვა დააყენეს, ხოლო იქიდან დაბრუნებისას გაძარცვეს საკათედრო ტაძრის მოკაზმულობა... სამართლიანმა ღმერთმა ისინი შესაფერის დროს ხელთ მისცა ჰორომებს... შეპყრობილი სუმბატი მათ გიორგისთან მიიყვანეს,

¹ გაგიკ მეფე — იხ. შენიშენა 2, გვ 108

² სუმბატი — ანისის მეფე პოეპანეს სუმბატი (1017-1041 წწ.).

რომელმაც ბრძანა მისი ჩამწყვედვა. შემდეგ წაართვა სამი ციხე-სიმაგრე და გაათავისუფლა (სუმბატი).“

სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივირტიცი
ბიზანტია – საქართველოს ომის, მათ შორის
მიმდინარე დიპლომატიური მოლაპარაკებებისა
და დადებული საზავო ხელშეკრულების
შესახებ (1021-1022 წწ.)^[31]

„470 წელს (1021 წ.) თვითმპყრობელი მეფე¹ კვლავ გამოემართა დიდძალი ჯარით, მოვიდა აღმოსავლეთში და შეჩერდა კარინის ფართო ველზე. მან ელჩი გაუგზავნა ქართველ მთავარს გიორგის, რომ მოსულიყო მასთან მორჩილებით ერთი ქართველი ეპისკოპოსი, რომელიც ქალაქ ველარშაქერტში² იჯდა, შეეგება მეფეს და დაამეღა იგი, რომ როგორც კი ეკედელაცში ან კარინში ამოხვალ, (გიორგი) შენ გეახლებათ. (მეფემ) დაიჯერა (ეპისკოპოსის) სიტყვები და დარჩა (გიორგის) მოსვლის მოლოდინში, ხოლო (გიორგიმ) ვერ გაბედა წასულიყო მეფის დაძახილზე, რადგანაც თავისიანებიდან ბევრი აშინებდა მას: „როცა (მეფე) გნახავს შენ, ან მოგკლავს, ან დაგაპატიმრებს და ვერ მიაღწევ პატივსო“. ხოლო მეფე გადავიდა ბასიანში³ და ორი, (შემდეგ) სამი დესპანი გაუგზავნა, რადგანაც ძალიან უნდოდა მშვიდობიანად დაემთავრებინა თავისი მოგზაურობა და ქვეყანაც აშენებული დარჩენილიყო. მაგრამ როცა ჩაიშალა ელჩობა, მეფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა ცეცხლით, მახვილითა და ტყვეობით გაენადგურებინათ დიდი დაბა-ქალაქი ოკომი და მის გარშემო მდებარე სოფლები... ხოლო გიორგიმ, კპოვა რა შესაფერისი ღრო, მიაღწია ქალაქ უხტიქს და უბრძანა ჯარებს გადაეწვათ ლამაზი ნაგებობები, იავარეყოთ მისი მთელი საქონელი, მაგრამ ხალხისათვის ვნება არ მიეყენებინათ. ეს რომ მეფემ შეიტყო, უფრო განრისხდა,

¹ ივლისხმება ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II.

² ველარშაქერტი, ველაშქერტი – ქალაქი ისტორიულ სომხეთში (ახლანდ. თურქეთი).

³ ბასიანი – პროვინცია ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, მდ. არაქსის სათავეების რაიონში (ახლანდ. თურქეთი). იყოფოდა 2 ნაწილად: ზემო და ქვემო ბასიანად.

მისკენ გამობრუნდა. ჯარები ერთმანეთს შეხვდნენ პალაკაციოს ტბის¹ მახლობლად და საზარელი გრიალით ეკვეთნენ ერთმანეთს.... ხოლო გიორგი თავისი ჯარით წავიდა და გამაგრდა აფხაზთა სიმაგრეებში...

თვითმპყრობელმა (მეფემ) ზამთარი გაატარა პონტოს ხეობაში. გაზაფხულის დადგომისთანავე კი გამოემართა და კვლავ მოვიდა ტაოს, გაიარა ბევრი გადასასვლელი და დაიბანაკა ბასიანის გავარში...

ამის შემდეგ... წარმართული ჯარიდან ცხენოსნები გაგზავნა აჯანყებული ფერსის შესაპყრობად. თვითონ კი დაიძრა და მიადწია ბასიანის საზღვარს, იმ ადგილს, რომელსაც სალქორას უწოდებენ, ღრმა ორმოთი ბანაკს გარს შემოარტყა სანგარი და ერთი თვე და მეტი ხანი დაჰყო იქ.

ხოლო მეფისგან წარგზავნილებმა შეიპყრეს ფერსი და მისი სიძე ანდრონიკე, რომელიც მისი თანამზრახველი იყო... მოიყვანეს ფერსი და ანდრონიკე და თავები მოჰკვეთეს. ეს მათი მეფისაგან იყო ნაბრძანები, რადგანაც (ფერსი და ანდრონიკე) თავიანთი აჯანყების ღრთა აფხაზის² მოკავშირენი იყვნენ და აღუთქვეს მას ამ ადგილამდე (მთელი ტერიტორიის) მიცემა. ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს (ადგილები) დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მშობლიური მემკვიდრეობა, არამედ მას იგი ძღვნად ჰქონდა მიღებული ერთგული მორჩილებისათვის...

ხოლო მეფემ სალქორაში ყოფნის დღეებში გიორგისაგან ითხოვა სამი ციხე თავისი მამულებითურთ, რომელიც გურგენს უსამართლოდ ჰქონდა წაღებული კურაპალატის წილიდან. მან ელჩები გაგზავნა (გიორგისთან) და ტკბილი სიტყვებით მიწერა. რომ „ის, რაც არ არის შენი სამამულო მემკვიდრეობა, დათმე და მშვიდობით იცხოვრე შენ წილში და ნუ გადამელობები გზაზე, რომელიც სპარსეთისაკენ მიდისო“. მან კი თავს არ იღვა (ყოველივე ეს). (მეფემ) შემდეგ გაუგზავნა მას ვლარშაკერტის ეპისკოპოსი ზაქარია... (ზაქარია) წავიდა და მლიქვნელური სიტყვებით შეაცდინა გიორგი, რომელიც

¹ პალაკაციოს (ჩრდილის, ჩილდირის) ტბა – მდებარეობს ახლანდ. თურქეთის ტერიტორიაზე.

² იგულისხმება გიორგი I.

დათანხმდა და მიწერა მეფეს, რომ მისცემდა მას, რასაც ითხოვდა. (ეპისკოპოსმა) აიღო წერილი და დაბრუნდა სიხარულით.

იგი მოვიდა ერთი დღის (საველელ) გზაზე მდებარე ფუნდუკში, სადაც ღამე უნდა გაეთია. აქ მას სწრაფად დაეწიენ მღევრები წერილის სათხოვნელად, რადგანაც (გიორგიმ) ინანა უგზური (საქციელი). (მღევრებმა) აიღეს (წერილი) და უკან დაბრუნდნენ. (ეპისკოპოსი) კი წავიდა, შეხვდა მეფეს და უამბო მას, რაც მოხდა. შემდეგ მეფემ გამოკითხა ჯარებისა და მათი საბრძოლო სამზადისის შესახებ. ზაქარიამ უპასუხა, რომ „ყველაზე მეტი ჯარი (გიორგის) ჰყავს, ძლიერი და საბრძოლველად მომზადებული“. ეს რომ მეფემ მოისმინა, ფრიად განრისხდა და უთხრა (ზაქარიას): „შენ აჯანყებულთაგან მოხვედი და მაშინებ მე“. (მეფემ) ბრძანა (ზაქარიას) გაგზავნა კონსტანტინოპოლში, მას კი უთხრა: „წადი, შეისვენე იქ, ვიდრე მე შენთან გამოვიქცევი“. (მეფემ ზაქარიას) წამყვანებს უბრძანა, რომ მისთვის ენა ამოეგლიჯათ. (ზაქარია) წავიდა და აღარც დაბრუნებულა თავის (სამშობლოში), არამედ დარჩა იქ სიკვდილამდე.

ამის შემდეგ მეფემ დატოვა სალქორის სადგომი და ჯარით წინ წავიდა იმ ადგილისაკენ, რომელსაც შღფა ეწოდება. ეს რომ აფხაზმა გაიგო, ვიდრე ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბანაკებულები და გამაგრებული, ასეთ ეშმაკობას მიმართა: თავის ეპისკოპოსთაგან ერთი უფროსი ელჩად გაგზავნა, თვითონ კი ელჩის უკან ჯარით წავიდა, რომ (ბრძოლისათვის) მოუმზადებლებს თავს დასხმოდნენ და შიშით შეპყრობილნი უკუექციათ... ჰორომთა ჯარებმა დაუყოვნებლივ ადვილად მოიმწყვდიეს ისინი და ამოწყვიტეს ურიცხვი რაოდენობით, ხოლო გადარჩენილები თავიანთ მეფესთან ერთად გაიქცნენ და შევიდნენ აფხაზთა ციხესიმაგრეებში. მას უკან მიჰყვნენ ჯარები და ამოწყვიტეს ისინი მზის ჩასვლამდე... ამის შემდეგ, როცა გიორგიმ ყოველგვარი იმედი გადაიწყვიტა, სთხოვა მეფეს შერიგება. (მეფემ) მოისმინა რა ეს, შეიწყალა იგი და ასეთი წერილი გაუგზავნა: „ნუ ფიქრობ, რომ (რადგან) გძლიე რა შენ, უფრო მეტს ვითხოვ შენგან, ვიდრე ადრე. მომეცი ჩემი სამამულო მიწა, რომელიც კურაპალატმა მიბოძა და შენი ვაჟი მძევლად. მაშინ ჩემსა და შენს შორის მშვიდობა დამყარდება“. (გიორგი) დათანხმდა. მეფემ დააყენა გავარის

(ზედამხედველებად) მთავრები, როპლებმაც დაყვეს იგი მამულებად, სოფლებად და კარმიდამოებად, როგორც ეს წინათ იყო. ბასილ მეფემ მიიღო მძევლები და შეპირდა მათ უკან დაბრუნებას სამი წლის შემდეგ, თვითონ კი წავიდა ჯარით.“

სუმბატ დავითის ამ გიორგი I-სა და ბასილი II-ს შორის მიმდინარე საჯავმო მოლაპარაკებების (1021-1022 წწ.), საქართველო-ბიზანტიის ზავის (1022 წ.), უფლისწულ გაბრატის ბიზანტიაში მკვლად გაგზავნისა და ამ უკანასკნელის საქართველოში გამომგზავრების დიპლომატიური ასკმტების შესახებ (1025 წ.)^[32]

„და წარვიდა (ბასილი II) და დაიზამთრა ხალდიასა,¹ ქალაქსა ტრაპიზონთასა. და ვიდოდეს მოციქულნი ორთავე ამათ მეფეთანი ზავისათუხს ერთმანერთისა წინაშე და მშუდობისა...“

და კუალად შემოიქცა ბასილი მეფე და მოვიდა ბასიანს. და ითხოვდა იგი გიორგი მეფისგან ციხე-ქუეყანათა და აღუთქმიდა ზავსა და მშვიდობასა – ხოლო გიორგი მეფემან განავლინა ზუადი² ლაშქრითა დიდითა უწინარეს თუსსა. და გაილაშქრა ზუადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა, რეცა³ ზამთრის სახედ. ხოლო თუთ გიორგი მეფე უკანა ისრე განვიდა ზავად წადიერი ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა. გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშუდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად და აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა. მაშინ უბრძანა ბასილი მეფემან ჰოროღისა⁴ წუღრითა ამართნა ივინი. მიუპყრა ღმერთსა და თქუა: „იხილე, უფალო წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმან“...

¹ ხალდია, ქალდეა – მხარე სამხრეთ შავიზღვისპირეთში (ახლანდ. თურქეთში).

² ზუადი სასალარი – ქართლის ერისთავი, ცნობილი ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე XI ს-ის I მეოთხედში.

³ რეცა – თითქოს. ვითომ (ბჭ. ქართ.).

⁴ ჰოროღი, ოროღი – ერთგვარი შუბი (ბჭ. ქართ.).

და წარმოიძრა მცირედ ბასილი მეფე და მოუდგა უკანა და კუალად იწყო ზავად და მშულობად პირველისაებრვე, რამეთუ შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა განდგომილებისა. და ყვეს მაშინ მშულობა და დაიზავნეს.

და მისცა გიორგი მეფემან მძეველად ძე თუსი ბაგრატი,¹ სამისა წლისა ყრმა ჩვილი, და მისცა ციხე ათორმეტი, და ქუეყანა დავით კურაპალატისა ნაქონები ტაოს, ბასიანს და ჯავახეთს, შავშეთს. და ესრეთ წარვიდა ბერძენთა მეფე ბასილი, და თანა წარიტანა ბაგრატი ყრმა მცირე, და შემდგომად სამისა წლისა შინავე წარმოგზავნა აღუთქუა გიორგის ბაგრატიისი...

„გარდაკლეს რა სამნი წელნი, მაშინ წარმოგზავნა ბასილი მეფემან ქალაქით კონსტანტინეპოლით ბაგრატი, ძე გიორგისი, ვითარცა იგი აღუთქუა. და მოიწია ბაგრატი ტაოს და შემოვიდა თუსსა მამულსა ბანას თანამოყოლითა მისად კატაბანისა² აღმოსავლისათა ზღვრად-მდე ბაგრატიის მამულისა. ხოლო შე-რა-იქცა კატაბანი იგი, მოემთკენეს მას მანდატურნი წიგნითა ესრეთ წერილითა, ვითარმედ: „მიიცვალა ბასილი მეფე, ძმა ჩემი, და ვიქმენ მე მეფე ყოვლისა საბერძნეთისა.³ და აწ სადაცალა მოწევნულ იყოს საკელმწიფოსა შინა ძე გიორგისი ბაგრატი, გარე-ვე-აქციე იგი სწრაფით და წინაშე ჩუენსა მოგზავნე“. და ვითარცა აღმოიკითხა კატაბანმან, მსწრაფლ მოიქცა და დევნა უყო ბაგრატს, გარნა ვერ ეწია მას, რამეთუ თუსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებული ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვერღარა ეძლო კატაბანსა მას, არამედ გარე-უკუნ-იქცა და წარვიდა.“

¹ ბაგრატი — საქართველოს მეფე ბაგრატი IV (1027-1072 წწ.).

² კატაბანი, კატეპანი — ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულის — საკატეპანოს მმართველი.

³ იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VIII (იხ. შენიშვნა 2, გვ. 100).

ბიზანტიელი ისტორიკოსი ბიორგი კელრენე
ნიკიფორე ქსიფიასის და ნიკიფორე ფოკას
აჯანყების, ბიორგი I-სა და ბასილი II-ის
შორის დადებული ზავის შესახებ
(1021-1022 წწ.)^[33]

„რადგან აბაზგიის მთავარმა გიორგიმ დაარღვია რომაელებთან დადებული ხელშეკრულება და რომაელთა საზღვრებში იჭრებოდა, მეფემ მთელი ჯარით გაილაშქრა მის წინააღმდეგ. ხოლო პატრიკიოსი ნიკიფორე ქსიფიასი და პატრიკიოსი ნიკიფორე, ბარდა ფოკას ძე, შინ დასტოვა, ამათ კი ძალიან ეწყინათ, რომ ისინი ლაშქრობას გამოთიშეს; შეკრიბეს, როგორც იყო, ჯარი კაპადოკიიდან, როდანტიდან და მეზობელი მხარეებიდან და აჯანყება მოაწყვეს.

ეს ამბავი რომ აუწყეს მეფეს, მისი ბანაკი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა: ეშინოდათ, ვაი თუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო (ხმები დადიოდა, ქსიფიას კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აბაზგიის მთავართან).

მეფემ წერილები გაუგზავნა ქსიფიასს და ფოკას და შიკრიკს დაავალა ყველანაირად ცდილიყო, რომ ერთიმეორის ჩუმად გადაეცა წერილები. შიკრიკმაც შეასრულა დავალება და ჩუმად ჩააბარა წერილები; ფოკამ მაშინვე გააცნო ქსიფიასს თავისი წერილი, ამან კი თავისი წერილი არ გამოუჩინა და სრულიად უარყოფდა წერილი არ მიმიღიაო; ერთ დღეს ქსიფიასმა მოსალაპარაკებლად უხმო მას და, რომ მოვიდა, წინასწარ ჩასაფრებულ კაცებს მოაკვლევინა იგი. მეამბოხეთა კავშირი მაშინვე დაიშალა.

მეფეს რომ აცნობეს ფოკას სიკვდილი, მან გაგზავნა დამიანე დალასენოსის შვილი, თეოფილაქტე, რომელმაც დაატყვევა ქსიფიასი და შებორკილი მიჰგვარა სატახტო ქალაქში...

ცოტა ხნის შემდეგ მან მოლაპარაკება გამართა მეფესთან, დაუთმო თავისი ქვეყნის ის ადგილები, რომლებიც მეფეს სურდა, და შეკრა ზავი; თავისი ვაჟი ბაგრატიც მძევლად მისცა. მეფემ მაგისტროსობა უბოძა ბაგრატს და უკან გაისტუმრა.“

არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი
ბიზანტია-საქართველოს, გიორგი I-სა და
ეპიპატის სულთან ალ-ჰაქიმს შორის
დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ
(1018-1022 წწ.)^[30]

„რაც შეეხება იმას, თუ რა შეემთხვა ბასილს ბულგარეთის აღების შემდეგ. როდესაც იგი დაკავებული იყო იქ, ებრძოდა რა მათ (ბულგარელებს) მთელი ძალით, გიორგიმ, აფხაზთა მეფემ, განიზრახა ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოების მეზობელი ოლქებისათვის. დაეუფლა ციხე-სიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დაეით კურაპალატმა დაუთმო ბასილ კეისარს. ბულგარეთში მიზნის მიღწევის, მისი დაპყრობისა და კონსტანტინეპოლში ბასილ კეისრის დაბრუნებისასაც ამ გიორგიმ, აფხაზთა მეფემ, არ სცნო საჭიროდ გამოესწორებინა თავისი შეცდომა, თავი შეეკავებინა მოქმედებისაგან და მამამისისა და ბიძამისივით განეცხადებინა მისთვის ერთგულება. მაგრამ იგი ყოყლოჩინობდა და ჯიუტობდა მიუხედავად თავისი შეცდომისა. მისწერა ალ-ჰაქიმს¹ მასზე, რომ ერთად გამოსულიყვნენ საომრად მის წინააღმდეგ და ყოველი მათგანი გამართულიყო თავისი ქვეყნიდან. ამან მიაღწია ბასილ კეისრამდე და იგი აღივსო მრისხანებით მის მიმართ. გაემართა კონსტანტინეპოლიდან ფილომილს, ისე, რომ არავის შეატყობინა, თუ რა ჰქონდა გუნებაში. აგრეთვე გამოაცხადა მზადება საბრძოლველად სირიის ოლქებში. განაშადა სურსათი, ალაფი და იარაღი ანტიოქიაში (გასაგზავნად) საომრად მზადების ნიშნად. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ იგი გაემგზავრებოდა სირიაში. მაშინ როცა ბასილი კეისარი იმყოფებოდა ფილომილს, უგზო-უკვლოდ დაიკარგა ალ-ჰაქიმი, და იგი გაემართა აფხაზთა წინააღმდეგ სალაშქროდ. ამ (ამბის) გაგებისას აფხაზმა შეკრიბა თავისი ლაშქარი და დასახმარებლად მიიწვია ვინც კი შეეძლო უცხოელები... (კეისარმა) გადაწვა მისი მიწა-წყალი, მიიტაცა სურსათი, დაატყვევა, მოკლა და დააბრმავა 200000 ქვეშევრდომი ადამიანი... (ამასობაში) დადგა ზამთარი და ბასილ კეისარი დაბრუნდა

¹ ალ-ჰაქიმ ბი-ამრ ალლაჰი - ფატიმანთა ეგვიპტის ხალიფა 996-1021 წწ.

ტრაპიზონს, რათა იქ დაებანაკებინა ლაშქარი გამოსაზამთრებლად და (მერე) დაბრუნებოდა ლაშქრობას... ტრაპიზონში ჩამოსვლისავე კეისარმა იწყო (შზადება) ფლოტის გასაგზავნად ზღვით ამ აფხაზის ქვეყანაში. მაშინ მივიდა მასთან წარგზავნილი მათი (აფხაზთა) მეფისა გიორგისა, რომელიც თხოვდა მას შეწყნარებას და პატიებას იმის გამო, რაც მან მოიმოქმედა და (პირობას) იძლეოდა, რომ გადასცემდა მას ციხესიმაგრეებსა და ყველა იმ დასახლებას, რომელნიც ბიძამისის დავით კურაპალატის იყო. აგრეთვე თავის შვილს ბაგრატს მძევლად, არ შეიცვლებოდა და მუდამ დარჩებოდა მისი მონა-მორჩილი და მოკავშირე. ბასილ კეისარი დაეთანხმა თხოვნას და მიიღო მისი (პირობა), გაგზავნა მის წარგზავნილთან ერთად წარჩინებულებისა და ყადიების ჯგუფი. მათ მოთხოვეს გიორგი აფხაზს, კათალიკოსს, ქვეყნის სამღვდელოების მეთაურს, ყველა ეპისკოპოსს, სხვა წარჩინებულებსა და მაღალი მდგომარეობის ქვეშევრდომებს მტკიცე ფიცი დაპირებულისა და მოლაპარაკებულის თაობაზე. (კეისარმა) აიღო მათგან საგარანტიოდ ისეთი ფიცი, როგორსაც იღებენ ხოლმე (სხვადასხვა) რელიგიების მორწმუნეთაგან. (მხოლოდ) მაშინ გაემგზავრა კეისარი, რათა მიეღო ციხე-სიმაგრეები და დასახლებები, რომლებსაც მას დაპირდა აფხაზი, და აეყვანა მისი შვილი (მძევლად). ამ დროს მიიღო ბასილ კეისარმა (ამბავი) იმის შესახებ, რომ ნიკიფორე პატრიკიოსი, ცნობილი (სახელით) ქსიფიასი, ანატოლიკის განმგებელი, დაუკავშირდა ნიკიფორე კისერმორეცილს, ძეს ბარდა ფოკასი, და შეთანხმდნენ აჯანყებულებიყვნენ მის წინააღმდეგ... როდესაც აფხაზმა გაიგო აჯანყების შესახებ ბიზანტიაში, თავი ძლიერად იგრძნო და უარი თქვა დადებულ პირობაზე. ფოკას თავის მიღებისთანავე ბასილ კეისარმა სასწრაფოდ გაუგზავნა იგი გიორგი აფხაზს, რომ გაეგებინებინა მისთვის მისი აზრის სიბილწე. მაშინ ცხადი გახდა კეისრისათვის, რომ აფხაზის ყველა მოქმედება და მასთან მოლაპარაკება იყო მხოლოდ სიცრუე. სახელდობრ, მისმა ვეზირმა, სახელად ზვიადმა, ურჩია (გიორგის), რომ გამოეყენებინა მას ფიცი და ვალდებულება ღვთის სახელით როგორც ისეთი რამ, რომელიც ხაფანგში მოამწყვდედა ბასილ კეისარს. კეისარმა, აფხაზის ფიცით დადებული კეთილი აზრისა და მის ქვეყანაში გამგზავრების შემდეგ დაპირებული ოლქებისა და ციხე-სიმაგრეების მისაღებად, აგრეთვე მისი შვილის ასაყვანად

(მძევლად), მხოლოდ იმიტომ სძლია მას, რომ თან წაიყვანა მამაცი და გულადი მეომრები იმდენი, რამდენიც სცნო საჭიროდ აფხაზის ძალით დამორჩილების შემთხვევაში, თუკი იგი უარს იტყოდა შეთანხმებაზე და არ შეასრულებდა მას. აფხაზმა გაიფიქრა, რომ დადგა დრო (მოქმედებისა) და როცა (კეისარი) მიუახლოვდა მას, თავს დაესხა კეისრის ლაშქარს იმ მიზნით, რომ უკუეგდო და გაენადგურებინა. კეისარი შეებრძოლა, დახოცა აფხაზის მოლაშქრენი და დაატყვევა მრავალი ხალხი. აფხაზი, მისი ვეზირი და მიმდევარი ქვეშევრდომნი გაიქცნენ უკანმოუხედავად. კეისრის ლაშქარმა ხელთ იგდო აფხაზის დიდძალი ქონება, სურსათ-სანოვავის მარაგი და გარდა ამისა მისი ახლობლების ბარგი-ბარხანა... მაშინ დაბრუნდა აფხაზი, დაიმცირა თავი და დაემორჩილა რა კეისარს, იგი ცდილობდა მასთან დაახლოებას იმით, რომ მან აიყვანა მისი შვილი (მძევლად) და მიიღო ზემოთ აღნიშნული ციხესიმაგრეები და მამულები და შეუთანხმდა მას მასზე, რომ დაჰყოფდა მისი შვილი კეისრის დედაქალაქში ორ წელიწადს და (შემდეგ) დაუბრუნებოდა მას.“

**არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი
ბაგრატ IV-ისა და ბიზანტიელთა სარდლის
ნიკოლოზ პარაკიმანოსის დაჯამების შესახებ
(1028 წ.)^[30]**

„ბასილ მეფემ სიკვდილის წინ რამდენიმე ხნით ადრე გაათავისუფლა ბაგრატ აბხაზთა მეფის გიორგის ძე და დააბრუნა მამასთან. როცა მოვიდა, გარდაიცვალა მამამისი კონსტანტინე მეფის დროს და გამეფდა მისი ძე ეს ბაგრატი, რომელიც იმ დროს არასრულწლოვანი იყო და სამეფო საქმეებს განაგებდა დედამისი,¹ ასული სენაქერიმისა (სანახარიბ), რომელმაც ვასპურაქანი გადასცა ბასილ მეფეს. და მიმდევრები აგულიანებდნენ მას, რომ მოეთხოვა მამამისის მიერ ბასილ მეფისათვის გადაცემული ციხეები და დაუფლებოდა მათ. და გაგზავნა მეფე კონსტანტინემ თავისი ლულამი ნიკოლოზ პარაკოი-

¹ იგულისხმება საქართველოს დედოფალი მარიაჰი. გიორგი I-ის მეუღლე, ვასპურაკანის სომხური სამეფოს მეფის სენექერიმ არწრუნის ასული.

მომენი (ნიკულა პარაკიმუნაუს) ლაშქრით აბხაზეთში (თავისი) გამეფების ჟამს და მან მოაოხრა ის, გადაწვა, გაწყვიტა და დაატყვევეა ურიცხვი და სხვებმა თავი შეაფარეს მიუვალ მთებსა და გამაგრებულ ადგილებს, სადაც ჯარმა ვერ შეაღწია. (შემდეგ) მივიდა ჯგუფი მათი (ქართველთა) მთავრებისა, დედოფლის – სენაქერიმის ასულის და მისი ვაჟის ბაგრატის წერილით, რომლითაც თავს იმართლებდნენ და პატიებას ითხოვდნენ მომხდარი ამბის გამო და პირობას დებდნენ მეფე კონსტანტინესადმი ჭეშმარიტ მორჩილებასა და გულწრფელ მეგობრობაზე და იღებდნენ ვალდებულებას, ევლოთ მისაღები გზით და რომ მათი მხრიდან არავინ დაუბრუნდებოდა იმას, რაც არ მოსწონდა მას. და მოგვარდა ვითარება მათ შორის ურთიერთკმაყოფილებით და დაბრუნდა ნიკოლოზ პარაკოიმომენი უკან“.

არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი
მარია დედოფლის დიპლომატიური მისიით
კონსტანტინოპოლში გამგზავრებისა და
ბიზანტიასთან დაჯამების შესახებ
(1029-1030 წწ.)^[30]

„[იმპერატორმა რომანოს არგიროსმა¹ ტახტზე ასვლისთანავე] საჭიროდ მიიჩნია, რომ ბოლომდე მიეყვანა საქმე ბაგრატ აბხაზთა მეფესთან (ისე), როგორც განსაზღვრა ნიკოლოზ პარაკოიმომენმა: „რადგან ისინი (აბხაზები) არიან ქრისტიანები, მტკიცედ დგანან ერთგულებაზე და (ქრისტიანულ) რწმენაზე, ეს მოითხოვს მათთან მეგობრობის აუცილებლობას და ერთმანეთში მტრობის აღმოფხვრას“. და განამტკიცა (რომანოზმა) მდგომარეობა მათთან იმით, რომ მიათხოვა თავისი ძმის ბასილ არგიროსის ასული ბაგრატ აბხაზთა მეფეს და მოვიდნენ ქალაქ კონსტანტინოპოლს დედამისი – სენაქერიმის ასული, კათალიკოსი, ე. ი. ჯასალიკი, რომელიც მათი ქვეყნის სამღვდელოების მეთაურია და ჯგუფი მათი მთავრებისა. დადეს ეს (ხელშეკრულება), წაიყვანეს სარძლო მის მეუღლესთან ბაგრატთან და მოწესრიგდა ვითარება ბიზანტიელებსა და აბხაზებს შორის“.

¹ რომანოს არგიროსი – ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ III (1028-1034 წწ.).

„მატიანე ქართლისა“ მარიამ დედოფლის
კონსტანტინოპოლში დიპლომატიური ვიზიტისა
და ბიზანტიის იმპერიასთან საზავო
ხელშეკრულების გაფორმების შესახებ
(1029-1030 წწ.)^[23]

„შემდგომად ამისსა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატიისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშუდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათჳს თჳსისა, ვითარცა არს ჩუეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისათჳს ძის ცოლისა.

და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათჳს, დაუწერნა ოქრობეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატიისთჳს ელენე დედოფალი. მო-რა-იწია მარიამ დედოფალი მამულსა ძისა თჳსისასა, ქუეყანასა ტაოს, მოართუა პატივი კურაპალატობისა; აღასრულეს ქორწილი, უკურთხეს გზგზნი ბანას...

და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისს შინა, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფისა ასული, დაჲ დორდოლელისა“.

„მატიანე ქართლისა“ გიორგი I-ის ვაჟის –
დემეტრე უფლისწულის მიერ
ბიზანტიელთათჳის ანაკოფიის ციხის
ბადაცემის შესახებ (1032 წ.)^[23]

„და ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას¹ შინა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლსა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე.² ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულს ედვა, და

¹ ანაკოფია – ისტორიული ციხე-ქალაქი ახალი ათონის მახლობლად.

² დემეტრე უფლისწული – გიორგი I-ის ვაჟი მეორე ცოლის – ალდე დედოფლისაგან; მისმა ვაჟმა – დავითმა საფუძველი ჩაუყარა ბაგრატიონთა ოსეთის შტოს.

ვერცალა გამოინდევს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცალა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა. და ვერლარა დაიდგნა და წარვიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია. “

ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე გიორგი I-ის მუხლზე აღდესა და უფლისწულ დემეტრეს მიმრ ბიზანტიელთათვის ანაკოფიის ციხის გადაცემის შესახებ (1032 წ.) ^[33]

მაშინ გიორგი აფხაზის მეუღლე აღდე,¹ ტომით ალანი, მიემხრო მეფეს და გადასცა მას უმტკიცესი ციხე ანაკოფე; მის ვაჟს დემეტრეს მეფემ უბოძა მაგისტროსის პატივი.“

„მატიანე ქართლისა“ სომეხ დიდებულთა დიპლომატიური მისიისა და ბაგრატ IV-ის მიმრ ანისის დაკავების შესახებ (1044 წ.) ^[23]

„და კუალად განძლიერდა და მოირჭუნა ბაგრატ მეფემან თავის მამულსა ზედა. დააგო სუემან ბაგრატისმან ჟამი მოერთო ვესტი² ცხრითა ციხითა ანისისათა, თუნიერ ამბერდისათა.³ და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი – სენექერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“.

¹ აღდე დედოფალი – გიორგი პირველის მეორე ცოლი, ოსთა მეფის ასული. მისი სახელი „აღდე“ მოიხსენიება მხოლოდ ბიზანტიურ წყაროებში.

² ვესტი – იგულისხმება სარგის ჰაიკაზნი XI ს-ის ცნობილი სომეხი პოლიტიკური მოღვაწე.

³ ამბერდი – ციხე-ქალაქი ანისის სამეფოში.

„მატიანე ქართლისა“ „ტფილელ ბერთა“ მიერ
ბაგრატ IV-ის მოწვევისა და მისი თბილისში
შესვლის, კახეთის მეფის კათივსაცემად
მოწყობილი დარბაზობის შესახებ (1045 წ.)^[23]

„იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო; მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი,¹ რამეთუ მის ჟამისა პირველ მომკუდარ იყო ტფილელი ამირა ჯაფარ.² უქადეს ქალაქი და უქმეს სასწრაფოდ. წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარექუაბულელ ჭაჭას ძე ოთალო აფხაზეთისა ლაშქრითა... და მოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს, და მოვიდეს სხუანი მკმობელნი ბერნი ტფილელნი.

წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველსა, და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული უმედულსა, და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს. და იყო ემა ბუკთა და ღუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა ხმითა იძრვოდა ქუეყანა. და იყო სიხარული ორკერძოვე განსაკურვებელი. შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს ღრამასა და ღრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამირაოსა დარბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად...

ისნის ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ³ და ერისთავთერისთავი გოდერძი, და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშუდობისა ძებნად. მაშინ განვიდა ბაგრატ მეფე ველსა ისნისასა, მოიყვანა კახნი და ითაყუნა, მისცა მშუდობა და განუტევნა. და იყო სიხარული და მშუდობა და საურავი დღითი დღე შემატებისა“.

¹ „ტფილელნი ბერნი“, თბილელი ბერები - შუა საუკუნეებში თბილისის საქალაქო თეიმმართველობის წარმომადგენლები.

² ამირა ჯაფარი ალის ძე - თბილისის ამირა XI ს-ის 30-40-იან წლებში, ჯაფარიანთა დინასტიის წარმომადგენელი.

³ კახთა მეფე გაგიკ - კახეთ-ქერეთის მეფე დაახლ. 1039-1058 წწ., კვირიკე III დიდის დისწული და შვილობილი.

„მატიანე ქართლისა“ „პარანეთა“ რაზმის
საქართველოში ყოფნის შესახებ (1046/47 წწ.) [23]

„და მოვიდეს ვარანენი¹ სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს;² გარდამოიგნა თნა შეიდასი კაცი. და მოვიდა ბაგრატ შიდათ ლაშქრითა, და ამით ვარანეთა. მესხნი ვერლარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთისა³ ჭალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი⁴ და სხუანიცა დიდებულნი მის თანა, ვერლარა უძლეს ბრძოლად ვარანეთა; მისცნა ლიპარიტ⁵ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს“.

„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-ის
კონსტანტინოპოლში დიპლომატიური ვიზიტისა
და მისი საქართველოში დაბრუნების შესახებ
(1051-1054 წწ.) [23]

„ამისსა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი⁶ ბაგრატს, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს. მას ჟამსა იყო ბერძენთა მეფე კონსტანტინე მონომახი.⁷ და ლიპარიტის სათნოთა სწრაფით ვერლარა შემოიქცა ბაგრატ თავის მამულსა ზედა; და დაყო მუნ სამი წელიწადი დიდსა დიდებასა და პატივსა შინა.

ვიდრელა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატ-ისი, გიორგი, მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდე-

¹ ვარანენი — იგივე ნორმან-ვარიაგები. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ისინი მოვიდნენ ბიზანტიიდან ლიპარიტ ბაღვაშთან, მეორე ნაწილის მოსაზრებით კი ვარანეთა რაზმი ბაგრატ IV-ეს ემხარებოდა.

² ბაში — ისტორიული სოფელი დასავლეთ საქართველოში (ახლანდ. სამტრედიის რაიონში).

³ სასირეთი — ისტორიული სოფელი შიდა ქართლში (ახლანდ. კასპის რაიონში).

⁴ აბუსერი — XI ს-ის ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, კლარჯეთის ერისთავი.

⁵ ლიპარიტი — კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ IV ბაღვაში, ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე XI ს-ის 20-50-იან წწ.

⁶ გიორგი — საქართველოს მეფე გიორგი II (1072-1089 წწ.).

⁷ კონსტანტინე IX მონომახი — ბიზანტიის იმპერატორი 1042-1055 წწ.

ბულთა მის ქუეყანისათა. და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატიისი გუარანდუხტ დედოფალი, კაცი სრული და უნაცვალო სახითა, სიბრძნითა, სიუხუთა, ღმრთისმსახურებითა და ყოვლითა სიკეთითა...

და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოითხოვა გუარანდუხტ ბაგრატი ბერძენთა მეფისაგან, და გამოგზავნა ბერძენთა მეფემან დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწოდომელითა. მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღუს პირსა ხუფათს.¹ და იყო სიხარული და ღმრთის მადლობა დიდი, ბრძანა და შემოვიდა სახლად თუსად ქუთათისს“.

ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე
ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში
დიპლომატიური ვიზიტისა და ლიპარიტ
ბაღვაშთან დადებული ზავის შესახებ
(1051-1054 წწ.)^[3]

„ცოტა ხნის შემდეგ ბაგრატი მდინარე ფაზისის,² სვანთა და კოლხთა ქვეყნის გზით გაემართა და ჩავიდა ტრაპეზუნტში. და იქიდან მაცნეები გაუგზავნა მეფეს და აუწყებდა, რომ სურს სამეფო ქალაქში ჩასვლა და მასთან შეხვედრა.

როდესაც მან ეს ნებართვა მიიღო, ჩავიდა ბიზანტიონში; მეფეს რომ შეხვდა, ჯერ დიდი საყვედური მოახსენა, მეფე ხარ და არა პატარა ქვეყნის. აბაზგიის მთავართან დადებული გქონდა ხელშეკრულება და ის დაარღვიეო, ხოლო კერძო კაცი, განდგომილი მონა³ დაიახლოვეო. შემდეგ ის თხოვდა ისინი (ბაგრატი და ლიპარიტი) მოერიგებინა.

მართლაც, მეფის მეცადინეობით ასეც მოხდა; იმათ ერთმანეთში ზავი შეკრეს იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნება ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი – ერთი ნაწილის,

¹ ხუფათი – ისტორიული ციხე-ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ახლანდ. თურქეთში).

² მდ. ფაზისი – მდ. რიონი.

³ იგულისხმება ლიპარიტ IV ბაღვაში (იხ. შენიშვნა 5, გვ. 124).

მესხეთის, მთავარი იქნება სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს სცნობს ბატონად და მეფედ. აი, ასე დამთავრდა აბაზგიის საქმეები.“

ბიორგი მცირე (სუცემონაზონი) ბაგრატ IV-ის
ასულის – მართას (მარიამის)
კონსტანტინოპოლში ყოფნის შესახებ
(1055-1056 წწ.)^[34]

„რამეთუ ჟამსა მას, ოდეს – იგი თეოდორა დედოფალს¹ ეპყრა ბერძენთა მეფობაჲ, ითხოვა ბაგრატ აფხაზთა მეფისაგან, რათა მოსცეს ასული მისი მართა² და შვილად თვისად აღზარდოს.

ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თვისი მართა კაცთა თანა საკუთართა თვისთა. ხოლო მათ დღეთა შინა განგებითა საღმრთოათა თეოდორა დედოფალი აღესრულა. და მასვე ჟამსა მარიამ დედოფალი, დედაჲ ბაგრატ მეფისაჲ მუნ იყო. და წმინდაჲცა ესე მამაჲ ჩვენი³ მუნვე იყო მიზეზითა რომელთამე საქმეთამთა.

ხოლო ვითარცა ვთქუთ, მი-რამ-იცვალა თეოდორა დედოფალი, მეყსეულად მართა, ასული ბაგრატიისი, სამეუფოდ შემოიყვანეს. და ვითარცა იხილა წმიდამან ამან მართა, სასმენელად ყოველთა წინაჲსწარმეტყველა და თქვა ვითარმედ:

– უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა.

ხოლო მაშინ დაყო მცირელი ჟამი და კვალად ზევე წარიყვანეს მართა.“

¹ თეოდორა – ბიზანტიის დედოფალი, მართაჲდა ქვეყანას 1055-1056 წწ.

² მართა (ბიზანტ. წყაროების მიხედვით – მარიამ) დედოფალი – ბაგრატ IV-ის ასული, ბიზანტიის იმპერატორების მიხეილ VII დუკას (1071-1078 წწ.) და ნიკიფორე III ბოტანი-ატის (1078-1081 წწ.) მეუღლე. მისი ხელშეწყობით საიმპერატორო ტახტი დაიკავა კო-შენოსთა დინასტიამ (1081 წ.).

³ იგულისხმება გიორგი მთაწმინდელი.

ბიორგი მცირე (ხუცესმონაზონი)
ბიორგი მთაწმინდელის მიერ ანტიოქიის
პატრიარქ თეოდოსი III-ის წინაშე
საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ავტოკეფალიური უფლებების დაცვის შესახებ
(1057 წ.)^[34]

„და ესე რამ ესრეთ ღმრთივბრწყინვალედ აღასრულა და განაგო. და კვალად სხვაჲ საქმე წინა უყო პატრეაქმან¹ ფრიად დიდი და მაღალი. რამეთუ კაცთა ვიეთმე მრავალღონეთა და მანქანათა მოახსენეს და აუწყეს პატრეაქსა, ვითარმედ:

– ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღვდელთმოდვარნი ქართლისანი არა რომლისა პატრეაქისა ხელმწიფებასა ქვეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან და თვით დაისვმენ კათალიკოსთა და ებისკოპოსთა! და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა. და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღმრთისასა და საყდარსა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისსა ხელმწიფებასა ქვეშე იყვნენ. რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყსო მცირე. და ჩვენდა მახლობელად არიან და ჯერ არს, რათა ხელმწიფებასა ქვეშე ანტიოქელის პატრეაქისასა იმწყსებოდინ და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი. და ვიყვნეთ ჩვენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს.

ესე ყოველი განიზრახეს და დაამტკიცეს, რეცა უმეცრებისა ჩვენისათვის, ხოლო წინააღმდეგობი შეეზოხვა. რამეთუ იწყო პატრეაქმან სიტყვად ბერისა, ვითარცა, ესერა, აღგვიწერია. და ეტყოდა რომელსამე ლიქნით და რომელსამე მართლად, ვითარმედ:

შენ, ჰოჲ ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩვენივე სწორი ხარ. ჯერ არს, რომელ ეკლესიანი და მღვდელთმოდვარნი თქვენნი ხელსა ქვეშე სამოციქულოჲსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ. და ჰმართებსცა ესრეთ მიზეზითა მახლობლობისაჲთა. და ესე შენგან შესაძლებელ არს, რამეთუ უწყი, ვითარმედ გისმენს მეფე თქვენი, უკეთუ

¹ იგულისხმება ანტიოქიის პატრიარქი თეოდოსი III (1057-1059 წწ.).

მიუწერო და აუწყო უმჯობესი. ხოლო უკეთუ არა ისმინოს, მიუწერო ოთხთავე პატრეაქთა საყდრის-მოდგამთა ჩვენთა და ვაუწყოთ თვითრწულობაჲ და ქედფიცხელობაჲ ნათესავისა თქვენისაჲ, და ვითარმედ თვინიერ სამოციქულოჲსა კანონისა თვით იმწყისებთან და მოციქულთაგან არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა. და ესრეთ მრავალსა ღვაწლსა შეგთხინე, ვიდრე არა თვით მეფე თქვენი წინაშე ჩვენსა მოვიდეს და ხელმწიფებასა ჩვენსა დაემორჩილოს!

და ესევეთარი რაჲ სიტყვანი წარმოთქვნა პატრეაქმან ბერისა მიმართ. ხოლო ნეტარმან ამან დაწყნარებით და ნელიად პრქვა პატრეაქსა, ვითარმედ:

— ჰოი წმიდაო მეუფეო, რაისათვის-მე ესრეთ ადვილად ხელჰყავ დიდისა ამის და მალლისა საქმისა მოგონებად და აღსრულებად? და ვინ-მე არიან უგუნურნი იგი განმზრახნი შენნი, ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხიეს ნათესავი ქართველთაჲ, წრფელი და უმანკოჲ? აჰა ესერა, ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაჲ, მე მოგცე მათ ყოველთა წილ პასუხი. მოღებად ეც წიგნი „მიმოსლვაჲ ანდრეა მოციქულისაჲ“ და მუნით გეუწყოს საძიებელი თქვენი.

ხოლო პატრეაქმან უბრძანა თეოფილეს, ნათესავით ქართველსა, რომელი-იგი უკანაჲსკნელ ტარსუს მეტროპოლიტ იქმნა, მოღებაჲ წიგნისაჲ მის. და ვითარ მოიღეს, პირველ წარკითხვისა პრქვა ბერმან პატრეაქსა:

— წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზიო. ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებულისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სიმონს ვიტყვი კანანელსა — ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და ყოველთა უარისმყოფელთა და მწვალებელთა შევაჩვენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა

წმიდათ მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ. აწ, უკეთუ ჯერ არს, დაგემორჩილნეთ, - და რეცა განცხრომით ჰრქვა პატრეაქსა: - წმიდაო მეუფეო, შეენის ესრეთ, რათა წოდებულ იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ. - და ესეცა შესძინა, ვითარმედ: - წმიდაო მეუფეო, რომელნი-ეგი ჩვენ უმეტრად და სუბუქად გვხედავთ და თავნი თქვენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან. იყო ჟამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა.¹

ეს ყოველი რაჲ წარმოთქვა ნეტარმან ამან, განკვირდა პატრეაქი ეპისკოპოსთა თვისთა თანა სიმახვილესა გონებისა მისისასა და რამეთუ ვითარცა მდინარე დაუწყვედელად ესრეთ დიოდეს სიტყვანი წმიდათა წერილთანი პირით მისით. განიღიმა პატრეაქმან და ჰრქვა მღვდელთ-მოძღვართა მათ და ერსა:

- ხედავთ ბერსა ამას, ვითარ მარტოჲ ესოდენსა სიმრავლესა გვერევის? ვეკრძალნეთ, ნუუკვე წინააღმდგომი შეგვემთხვიოს და არა ხოლო თუ სიტყვით, არამედ საქმით გვაძხილოს ძლეულებაჲ ჩენი და დაგვიმრწემნეს და დაგვიმრებლნეს!

მიერ ღლითგან ესრეთ შეიყვარა პატრეაქმან და ყოველთა ანტიოქელთა, ვითარცა მამაჲ და მოძღვარი სულიერი. და თვით პატრეაქმან გულისსიტყვათა თვისთა მისა იწყო კითხვად. და რამეთუ პირველ მისა ყოფილი ნეტარი იოანე პატრეაქი მასვე წმიდასა ბერსა ჰკითხვიდა, ვითარცა ზემო ვთქუთ. და ესრეთ მრავლითა პატივითა და ნიჭითა ეპყრა წმიდაჲ იგი ბერი, ვიდრე იყო იგი ქვეყანასა ანტიოქიისასა. და ოდეს აქვენ რამჲე საჭიროჲ გულისსიტყვაჲ, მსწრაფლ წარმოსცემნ სახედარსა და მოიყვანებნ და დიდად სარგებელ იყოფინ ხილვასა მისსა.

აქამომდე არს პატრეაქისა მიმართ სიტყვისგებისა და სიყვარულისა მისისა მისა მიმართ წარმოთქმაჲ.“

¹ სვინაქსარი — წმინდანთა მოკლედ აღწერილი ცხოვრების კრებული. გაწყობილი საეკლესიო კალენდრის მიხედვით წელიწადის დღეების შესაბამისად 1 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

არაბი ისტორიკოსი ალ-ფაკიჰი ბაბრატი IV-ის მიერ თბილისის დაკავების შესახებ (1062 წ.)^[35]

„454 (1062) წელს განძის მბრძანებელ აბულ ასვართან მოვიდა თბილისის საპატიო მოქალაქეთა ჯგუფი და სთხოვეს, ვინმე გამოგვიგზავნე, რომ ქალაქის ციხე ჩავაბაროთ, ქალაქის პატრონი ჯაფარ იბნ ალი მოკვდა და ორი ვაჟიშვილი დარჩა – მანსური და აბულ-ჰეი-ჯა, რომელთა შორის მტრობა ჩამოვარდა ციხეში ბატონობის თაობაზე... მცხოვრებლებმა ორივე განდევნეს ქალაქიდან და თბილისი მთლიანად მოქალაქეთა წარმომადგენლების ხელში გადავიდა. აბულ-ასვარს სურდა ამ წინადადების მიღება, მაგრამ... თავი შეიკავა ამ წინადადებაზე პასუხის გაცემისაგან და დაუბრუნა მათ კლიტენი ციხისა. ისინი (თბილისელები) მობრუნდნენ და ეს კლიტე და ციხე გადასცეს აღსართან გაგიკის ძეს,¹ შაქის მფლობელს, რომელმაც მიიღო იგი, მისცა მათ ძვირფასი საჩუქრები და გაუშვა ისინი. შემდეგ მან მიყიდა ის (თბილისი) დიდი თანხის ფასად რუმის² მფლობელს და რუმის მეფემ დაუყოვნებლივ გაგზავნა იქ შიჰნა³ და მოამარაგა ის ლაშქრით, იარაღით და სურსათ-სანოვავით. მან გასცა ბრძანება, გაეფართოებინათ გზები მთებში, რათა გაადვილებოდათ ურწმუნოებს იქიდან გადასვლა ისლამის ქვეყნებში“.

გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) ბიზანტიაში უფლისწულ მარიაშის (მართა) გათხოვებასთან დაკავშირებით გაგზავნილი დიპლომატიური მიხიის შესახებ (XI ს. 60-იანი წწ.)^[34]

„მერმე სამეუფოთა წიგნთა მიერ და მანდატურთა წინაშე ღმრთისმსახურისა კოსტანტინე დუკიწისა⁴ წინაშე წარგზავნა მრავლითა ნიჭითა და საფასითა თვით მეფემან და ყოველთა მთავართა თვისთა

¹ აღსართან გაგიკის ძე – კახეთ-ჰერეთის მეფე აღსართან I (დაახლ. 1058-1084 წწ.).

² იგულისხმება საქართველო.

³ შიჰნა (არაბ) – ნაცვალი.

⁴ კოსტანტინე დუკიწი – ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე X დუკა (1059-1067 წწ.).

და ეპისკოპოსთა. და აღივსო ყოველი სამეფო მისი მწუხარებითა და ურვითა, ვითარცა ერთი შვილი დაკლებასა მამისა თვისისასა. რამეთუ კნინლა და უმრავლესნი მოწაფენი იყვნეს მისნი, ვითარცა პირველ გვითქვამს.

ხოლო წარმოვემართენით მას ჟამსა, ოდეს მართა უფლისწული სძლად თვისად კოსტანტინე დუკიწმან მოიყვანა დედოფლად სამეფოსა ამას ქალაქსა, ვითარცა დაგვიწერია პირველვე წინადასწარ მეტყველებისათვის ბერისა. რამეთუ წარმორაა-ჰყვანდა პირველ ჩვენსა, ჰრქვა მარიამ ბაგრატიის დედამან ბერსა, ვითარმედ:

– აჰა მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველებაა შენი მართას ზედა!

და ესრეთ წარმოიყვანეს დიდითა დიდებითა სამეფოდ. ხოლო მეფისა მიერ წარმოვლინებულ იყო არონი, ხოლო თვისისა მამისა მიერ ჰყვეს ნეტარი ბერი პეტრე, პატრიკი, პეტრიკ ყოფილი, და იოანე ბედიელი მთავარეპისკოპოსი და სვინგელოზი და სხვაა ერი ფრიადი, რომელნი-იგი პირველ ჩვენსა მისრულ იყვნეს.“

**„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-სა და
სულტან ალფ-არსლანს შორის წარმოებულ
მოლაპარაკებების, თურქ-სელჩუკთა მიერ
ანისის დაპყრობის შესახებ (1064 წ.) [23]**

„და მოუვლინა ახალქალაქით მოციქული სულტანმან¹ ბაგრატ მეფესა; აჰკიდა მზახობა და სთხოვა დისწული ცოლად. და მიიქცა სულტანი ანისად... და ანისი წარულო ბერძენთა და მისცა მანუჩას, ქესა აბულასვარისსა.“

¹ იგულისხმება თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს სულთანი ალფ-არსლანი (1063-1072 წწ.).

„მატიანე ქართლისა“ ბაბრატ IV-სა და
ტაშირ-მორაკეტის მეფე კვირიკეს შორის
ბამართული მოლაპარაკებების, ბაბრატ IV-ის
მიერ ლორე-ტაშირის დამორჩილების შესახებ
(XI ს. 60-იანი წწ.) [23]

„ხოლო დისწული ბაგრატისი, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კურიკესი.¹ სთხოვა ბაგრატ და არა მოსცა სომეხთა მეფემან. მიგზავნა ბაგრატ მოციქულად დიდძალად ერისთავი ვარაზ-ბაკურ გამრეკელი. იბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა, და სამშულდეს შემომავალი სომეხთა მეფე კურიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჭალასა, და აცნობეს ბაგრატს. და წარვიდა ქვაკურელთათ მსწრაფლ, და მოგუარნეს პყრობილნი კლდეკართა ქუეშე. სთხოვა სამშულდე და არა მოსცეს, რამეთუ ერთი ძმა ადარნასე შესრულ იყო სამშულდეს. ხოლო მიიყვანეს სამშულდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კურიკე სამ დღე; ითხოვეს მშვიდობა და მოსცეს სამშულდე. ხოლო მოსრულ იყვნეს ორნი ერისთავნი სომეხთა მეფისანი: ლუკიის ერისთავი და კაქეაქარისა. აძლევდა და მოსცემდა სამთა ციხეთა სუმბატ, ძმა კურიკესი: ოფრეთს და კოშკსა და ვარზაქარსა. ხოლო შეეწყაღნეს ბაგრატ მეფესა: მისცა და უთავისუფლნა ყოველნი ციხენი თუნიერ სამშულდისა; და არცა სხუანი ციხეთა უფალნი, კაცნი დიდებულნი, შემოუშვნა, არამედ სამშულდე ოდენ იურვა სახლად თუსად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი“.

„მატიანე ქართლისა“ ბაბრატ IV-ის მიერ
ბანაძის დალაშქვრის, საქართველოს სამეფო
პარზე ოსთა მეფის დორდოლელის ოფიციალური
ვიზიტის შესახებ (XI ს. 60-იანი წწ.) [23]

„და გამოიყვანა დორდოლელი, ოსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა, და წარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოკრა განძა, და აღილო ტყუე და ნატყუენავი ირიცხუ, და გაგზა-

¹ სომეხთა მეფე კურიკე – ტაშირ-მორაკეტის მეფე XI ს-ის II ნახევარში.

ენა თავის სამეფოდ. ამისა შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორღოლელმან დისიძისა მათისა ბაგრატიისა სევასტოსისათჳს,¹ და ითხოვა დარბაზობა ბაგრატიისგან. ხოლო ბაგრატი ნება სცა და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთათისს. და ნახა დაჲ მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპალატისა; რამეთუ გიორგი კურაპალატი გებულ იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს, და მეფე დგა ტინისკიდის ჭალასა, ნადარბაზევს,² და მოეგება წინა დიდითა ზეიმითა და პატივითა.

შეკრბეს ერთგან კეხუთა ზედა. და იყო სიხარული და კმა ბუკთა და დუმბულთა საშინელი და მიუწლომელი. და დაყვეს ერთგან დღე თორმეტი, და განისუენეს ყოვლითა განსუენებითა და სიხარულითა. და მიზეზითა ზამთრისათა გაისწრაფეს, და მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხარულით“.

„მატიანე ქართლისა“ ბაგრატი IV-სა და სულტან ალფ-არსლანს შორის დიალომატიური კონტაქტების შესახებ (XI ს. 60-70-იანი წწ. მიჯნა) ^[23]

„და შემდგომად ამისა არებდა სულტანი მოციქულთა, და უკრებდა ძლუნთა ბაგრატი მეფესა, ამოთა ენითა სთხოვდა ხარაჯასა. ხოლო არა დაიდვა ბაგრატი მეფემან ხარაჯა, არამედ ავლენდა იგიცა მოციქულთა, და უკრებდა იგიცა ძლუნსა. და იყო მათ შორის სიტყუთ სიყუარული“.

¹ სევასტოსი — ბიზანტიის იმპერიის მაღალი საკარისკაცო ტიტული.

² ნადარბაზევი — ისტორიული სოფელი შიდა ქართლში (ახლანდ. გორის რაიონში).

დავითის ისტორიკოსი საქართველოს მეფე
გიორგი II-ის ბიზანტიასა და თურქ-
სელჩუკებთან დიპლომატიური ურთიერთობების,
„დიდი თურქობის“, კახეთ-ჰერეთის სამეფოს
შემოერთების უშედეგო მცდელობის შესახებ
(XI ს. 70-80-იანი წწ.)¹

წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თყსსა ტაოს, და მოვიდა ბანას.
ხოლო მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორვარი აღმოსავალისა
გრიგოლ ბაკურიანის ძე,¹ რომელსა ჰქონდეს ოლთისნი, და კარნუ-
ქალაქი,² და კარი,³ და დიდად განიხარეს და განისუენეს. და მოსცა
გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა, და
განიყარნეს. ხოლო მეფემან გიორგი დაუტევნა კარს აზნაურნი შავშ-
ნი და წარმოვიდა შინა. ხოლო განძლიერებასა თურქთასა დაუტევნეს
ბერძენთა ქუეყანანი მათინი, ციხენი და ქალაქნი, რომელ აღმოსავ-
ლეთს ჰქონდეს. და წარვიდეს. რომელნიცა აიხუნეს თურქთა და
დაეკკვდრნეს მას შინა. და ვინათგან მეზობლობით მოეახლნეს საზღ-
ვართა ჩუენთა, განძრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩუენ ზედა.
რამეთუ იწყეს მიერთიგან რბევად, ტყუენვად და მოოქრებად, წუად,
სრკად და ტყუეობად ჩუენ ქრისტიანეთა.

რამეთუ მათ ჟამთა შინა გიორგი მეფესა, ყუელს⁴ გარემდგომსა,
დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი, რომელთა თავადი იყო აჰმად,
ამარა ძლიერი და მაგრიად მოისარი, რომელსა მას ოდენ ჟამსა აელო
კარი. მივიდეს ესენი შინა-განცემითა ქრისტიანეთათა, აოტეს გიორგი
ძეგე და სპა მისი ურიცხუ.

¹ კვიციანი ბაკურიანის ძე (გარდ. 1086 წ.) - XI ს-ის II ნახევრის ცნობილი ქართველი საზღვაო და ძლიერყოლი მღვდელი. წარმომავლობით ეკუთვნოდა იმერტაოს ერთ-ერთ ფეოდალურ საგვარეულოს: მღვდელმთავარ ბაჩანტაის იმერტაოში; ვკავა აღმოსავლეთის სხ-
ლეთს დომბეჯისსა და დსაქელეთის დიდი დომესტიკოსის თანამდებობები; დაარსა
ბერძენთა ქუეყანათა სკანე (ახლანდ. ბულგარეთში).

² კარნუქალაქი - აზნაურთა (თანამდებრივე ვიზირუმა, თურქეთის ტერატორიაზე).
³ კარი ვარსა - ანტიკური ციხე-ქალაქი სომხეთში, კარის (ვანანდის) სამეფოს
ბერძენთა ცენტრს (ახლანდ. თურქეთში).

⁴ ყუელს ველს - ანტიკური ციხე-სასაზღვრე მესხეთში. მდ. ჯაყანწყლის ხეობაში
(ახლანდ. თურქეთში).

ხოლო საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი, ოქროსა და ვეცხლისანი, ბაგრატიულნი სასმურნი და სამწდონი პატიოსანნი, კარავნი სამეფონი და ყოველთა დიდებულთანი აიხუნეს იავარად და წარვიდეს. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად. მათ უკუე ლაშქართა, ესევითართა ალაფითა სავსეთა მიმავალთა, წინა დაემთხვევნეს ამირანი დიდნი, იასი ვინმე და ბუჟღუშ, და მათ თანა სიმრავლე ურიცხვ თურქთა, საბერძნეთს მიმავალთა. რომელთა იხილეს რა ესეოდენი სიმრავლე ოქროსა და სიმდიდრისა, რომელი ჰქონდა, და ცნეს მეოტობა გიორგისი, და ესმაცა მათგან, ვითარმედ: „რად წარხვალთ საბერძნეთად? აჰა ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითართა სიმდიდრითა“. ხოლო მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი.

და დღესა ივანობისასა ასისფორნი¹ და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო² და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქნა ამათ ქუეყანათა მკვდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი.³ და დაყვეს ამათ ქუეყანათა შინა თურქთა ვიდრე მოსლვადმდე თოვლისა, მოჭამეს ქუეყანა და მოსწყყდეს, თუ სადღა ვინ დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ქურელთა ქუეყანისათა. და ესე იყო პირველი და დიდი თურქობა; რამეთუ ქრონიკონი იყო სამასი. ხოლო თუ ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადამე ვინ დაშთა კაცი, ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ეგრეცა მოისრა...

ამათ რათ საქმეთა ესრეთ ხედვიდა მეფე გიორგი და რამეთუ არა-სადათ იყო ღონე ქსნისა და შეწევნისა, არცა რა დამკსნელი ამათ ძურთა, რომელ მოეცვა პირი ყოვლისა ქუეყანისა, რამეთუ ძალი ბერძენთაცა შემცირებულ იყო, და რომელნი ქუეყანანი მათ აღმოსავლეთს ჰქონდეს ზღუასა გარეთ, ყოველი თურქთა დაეპყრა. მაშინ ჰყო

¹ ასისფორი - მხარე სამხრეთ საქართველოში.

² სამოქალაქო - XI-XII სს-ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული დასავლეთ საქართველოში; მოიცავდა ქუთათისსა და ქვემო იმერეთის ტერიტორიებს, წარმოადგენდა სამეფო დომენს.

³ „უდაბნონი კლარჯეთისანი“ - კლარჯეთის მონასტერთა საერთო სახელწოდება.

განზრახვა დიდებულთა თვისთა თანა, და დაამტკიცეს წარსლვა მა-
ლალსა სულტანსა მალიქ-შას¹ წინაშე.

და ესრეთ დადვა სული თვისი და სისხლნი ქრისტეანეთა ქსნი-
სათვის. და მინდობითა ღმრთისათა და წარძღუანებითა ძელისა ცხ-
ოვრებისათა წარვიდა ასპანს,² ნახა სულტანი და შეწყნარებულ
იქმნა მისგან ვითარცა შვილი საყუარელი... ყოველი სათხოველი
აღუსრულა მეფესა გიორგის, უმუტესცა სასოებისა. და სამეფო მისი
განათავისუფლა ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი,
გარნა ხარაჯა ითხოვა სამეფოსა მისისა, რომელსა აიღებდეს ჟამთა
მრავალთა. და ესრე განდიდებითა და მრავლითა დიდებითა გამოგზა-
ვნა თვისად სამეფოდ და წარმოაყოვნა სპანი დიდნი, რათა წარვლონ
გზა მშუდობისა და რათა აართვან კახეთი. და ჟამსა სთულისასა
მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა³ და, ვიდრე ბრძოდეს-
და, მოვიდა თოვლი.

ხოლო მეფესა გიორგის მოეცენა ნადირობა აჯამეთისა,⁴ არ-
ღარას ზრუნვიდეს სხუასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და
კახეთისა, არამედ ლაშქართა თურქთასა, რომელ ჰყვა, მისცა ნიჭად
სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი, რომელი მოოკრდა
მუნ ღღენდელად ღღედმდე. ხოლო თვით გარდავლო მთა ღიხთა და
შთავიდა აფხაზეთად.

მათ ჟამთა კახთა მეფე აღსართან⁵ წარვიდა მალიქ-შას წინაშე,
დაუტევა ქრისტიანობა და შეეძინა სარკინოზთა სჯულსა, და ამით
ღონითა აიღო სულტანისაგან კახეთი. ამათ ესევეთართა ჟამთა არავე
დამშუვნა ქუეყანა, არცა-რა იქმნა ლხინება კაცთა უკეთურებისათვის
მკყდრთა მისთასა, რამეთუ ყოველმან ასაკმან და ყოველმან პატივმან
ყოვლითურთ შესცოდეს ღმერთსა და მიიტყვეს გზათაგან წრფელთა
ყოვლისა მიმართ უკეთურებისა.“

¹ მალიქ-შაჰი, აბუ-ლ ფათჰ ჯალალ-ალ-დინ - თურქ-სელჩუკთა სულთანი (1072-1092 წწ.).

² ასპანი - ისფაჰანი.

³ ვეჟინი, ვეჯინი - ისტორიული სოფელი კახეთში (ახლანდ. გურჯაანის რ-ნში).

⁴ აჯამეთი - ტერიტორია ქუთაისის მახლობლად, რომელიც შუა საუკუნეებში წარმოად-
გენდა მეფეთა სანადირო ადგილს.

⁵ იხ. შენიშვნა 1, გვ. 130.

კინკლოსური ცნობა გიორგი II-ის სულთან
მალქ-შაჰთან ისპაჰანში ჩასვლის შესახებ
(1083 წ.)^[37]

„2083 – აქა გიორგი მეფე სულტანსა წინაშე წარვიდა“

დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის
მიერ თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის კლავის
შეწყვეტის, კახეთ-ჰერეთისა და კლდეკარის
საპარისტავოს შემოერთების შესახებ
(1099-1103/4 წწ.)^[36]

„ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი,¹ აღიღეს იერუსალემი და ანტი-
ოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, გან-
ძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტან-
სა ხარაჯა, და თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს. რამეთუ
ვიდრე აქამომდე ზამთრისა მოწევნასა თანა ფალანგებითა მათითა
ჩამოდვიან ჰავჭალას და დილომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის
პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური.

კახეთს მეფობდა კურიკე,² კაცი მეფობისავე თანა მეფე-ქმნილი
ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე. მოსცა ჟამი ღმერთმან
მეფესა დავითს და წარულო კურიკეს ციხე ზედაზადენი. ქრონიკონი
იყო სამას ოცდასამი (1103 წ.) და წარმატებოდა დიდებითა და
განმარჯუებულობითა. რომელთა თანა ესეცა იქმნა: მოკუდა რატი, ძე
ლიპარიტისი, კაცი ორგული და ნანდულვე ნაშობი იქედნესი. ესრეთ
დასრულდა სახლი ბაღვივაშთა, სახლი განმამწარებელთა, რამეთუ
სუა უკანასკნელი თხლე რისხვისა, სასუმელი ცოდვილთა ქუეყანისა-
თა. და არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა მკუდრი, რამეთუ აღიკ-
სნა უსჯულოება მამათა მათთა წინაშე უფლისა, და მამული მათი
აღილო მეფემან.“

¹ შუა საუკუნეების ქართული წყაროების მიხედვით – ევროპელები, ჯვაროსნები.

² კურიკე – კახეთ-ჰერეთის მეფე კურიკე IV (დაახლ. 1084-1104 წწ.).

დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის
სამხედრო-დიალომატიური მოღვაწეობის
შესახებ 1110-1118 წლებში (ქვემო ქართლის
ციხეების, ტაოს შემოერთება, შირვანთან და
ბიზანტიასთან დინასტიური ქორწინებებით
დაკავშირება) ¹³⁶¹

„ხოლო ვიდრე ამა ჟამდმე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი სამშულდე და აგარანი¹ თურქთა ჰქონდეს. ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონდიდელისა² დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა. რამეთუ რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართ-უხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი³ და ივანე ორბელი.⁴ და სიმარჯვთ მოიპარეს სამშულდე.

მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა. ცნეს რა თურქთა აღება სამშულდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს ივინი. რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოველითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თუთოფერი და საშუებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა არა იყო რიცხუ, და აქუნდა ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლუ-

¹ აგარანი — კოჯორ-ტაბახმელას მიდამოების ძველი სახელწოდება.

² ივლისხმება გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

³ აბულეთი — დავით IV აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის სარდალი, აბულეთისძეთა ფეოდალური საგვარეულოს ფუძემდებელი.

⁴ ივანე ორბელი — XII ს-ის I ნახევრის ქართველი მოღვაწე, ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული პირველი ორბელი.

ლევანება მათ თანა. თუსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყუსთა და ალაფითა საესეთა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატიისათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყართა და ადგილთა ყუავილოვანთა, და ესეოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო“. და არაეისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თვთ სულტანისაგან.

ოდეს სამშულდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი. [1110 წ.] მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯუსთა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს¹ ტაძრეულით.² ცნა რა მიმწუხრი მოსლვა მათი თრიალეთს, ღამე ყოველ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი დახუდეს მას წინაშე. ცისკარს მოვიდეს თურქნი და იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა, და შეწევინთა ღმრთისათა იძლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა მიდრეკეს სიველტოლად ესეოდენ ზარგან ჯიღინი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ კარავთ მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ-სცეს ფერკთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნიენეს თუსთა ქუეყანათა.

ხოლო ესევითარსა საკურველსა სიველტოლასა მათსა თვთ მეფე და სპანი მისნი ესოდენ ურწმუნო იყვნეს, ვიდრემდის არაეინ სდევნა ყოვლად, რამეთუ ხვალისა ომი ეგონა. და წარილო გიორგი ჭყონდიდელმან³ რუსთავიცა, მეფისა მუხნარს⁴ ყოფასა. ქრონიკონი იყო სამას ოცდა თხუთმეტი [1115 წ.], რომლისათუსცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა, ეგებოდის, და უგრძნეუ-

¹ ნაჭარმაგევი - საქართველოს მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია; შუა საუკუნეებში მდებარეობდა შიდა ქართლში (ახლანდ. სოფ. კარალეთი, გორის რაიონი).

² ტაძრული - მეფის, მთავრის მსახურული პირი, მსახურთა ზედა ფენა.

³ გიორგი ჭყონდიდელი (გარდ. 1118 წ.) - XI ს-ის მეორე ნახევრისა და XII ს-ის I მეოთხედის დიდი ქართველი სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე, დავით IV აღმაშენებლის აღმზრდელი, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

⁴ მუხნარი, მუხნანი - ისტორიული სოფელი შიდა ქართლში (ახლანდ. მცხეთის რაიონში).

ლად დაესხის და მოსწყყდნის. და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას.

რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მათა სიმაგრეთა მიენდვენეს. ხოლო მეფემან მოიკელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თუთ ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უეჭუელ ყვნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თუთ შიდითა სპითა ხუფითთ ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მსხდომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად.¹ რამეთუ ქრონიკონი იყო სამას ოცდათუქუსმეტი [1116 წ.].

მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხვ, და აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხოვარი, აქლემები და ყოველი ნაქონები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი ყოვლითა კეთილითა.

და მასვე წელსა ასული თუსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძნეთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თუსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი - ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს - ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მშეებრთა შარავანდედთანი...

და მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასამ და შოთა,² და აღიღო ციხე გიში.³ და გაგზავნა ძე თუსი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნნა ომნი საკურველნი, რომლითა განაკურვნა მხილველნი და მსმენელნი; გამოიღო ციხე ქალადორი⁴ და ძლევა-შემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თუსისა, სავსე ალაფითა და ტყუთა ურიცხვთა.

ხოლო მეორესა წელსა ბზობად წარმოემართა მეფე ღანუკით

¹ კარნიფორი - მხარე ისტორიულ სომხეთში (ახლანდ. თურქეთში).

² ასამ (ასათ) და შოთა გრიგოლისძენი - XII ს-ის I მეოთხედის ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ქერეთის დიდებულები.

³ გიში - ციხე-ქალაქი ისტორიულ ქერეთში (ახლანდ. აზერბაიჯანში).

⁴ ქალადორი, ქელადორი - ციხე-ქალაქი შირვანში (ახლანდ. აზერბაიჯანში).

წარსლვად რაქსის¹ პირსა, და ზატიკი² გარდაიკადა ნაკიდურს.³ მუნ მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა⁴ ჯავახეთს თურქთაგან მოკლვისა. და ამისთჳს უშლიდეს დიდებულნი მას ჟამსა წარსლვად. და არა მოისმინა ყოვლად, არამედ დაესხა თურქთა, რაქსის პირსა მდგომთა, და მოსრა სიმრავლე მათი, და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხჳ.

ამასვე წელსა აღიღო სომხითისა ციხე ლორე. და მასვე წელსა, ივლისსა, აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა, ცისკარს... ქრონიკონი იყო სამას ოცდათურამეტი [1118 წ.].“

დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ (1118 წ.)^[36]

„ამისთჳსცა ამან მეორემან აღექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა⁵ ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმქნე, სისუბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზავებლობა ნებისა თჳსისა. და ამათ თანა უადვილეს იყენეს მოსლვად მახლობელობითაცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარალანის ძისა, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა. ამისთჳსცა წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თჳსსა.

ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან. ამისთჳსცა ბრძანა მეფემან წარსლვა ოვსეთს, და

¹ რაქსი - მდ. არაქსი.

² ზატიკი - აღდგომის დღესასწაული.

³ ნახიდური - სოფელი შიდა ქართლში.

⁴ ბეშქენ II ჯაყელი (გარდ. 1118 წ.) სამხრეთ საქართველოს წარჩინებული ფეოდალი XI ს-ის ბოლოსა და XII ს-ის I მეოთხედში, ჯაყის (სამცხეში) ციხის მფლობელი, ჯავახეთის ერისთავი.

⁵ ყივჩაყები - თურქულენოვანი ტომი შუა საუკუნეებში; XII ს-ის I მეოთხედში მოსახლეობდნენ ჩრდილო კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის სტეპებში.

სიტყუასავე თანა წარემართ და თანაწარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ-უხუცესი თუსი, კაცი სრული ყოვლითა სიკეთითა სულისა და კორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახნი, სუანი და ფრთხილი, თანააღზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგანმკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა.

შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშუღობა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშუღობისა ყივჩაყთათუს და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი; და სიმამრი და ცოლის ძმანი თუსნი არა ცუდად დაშურეს; არცა ცუდ იქმნა გამოყვანა მათი, არამედ მათითა კელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და მათითა თანადგომითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წაღმართ.“

დავითის ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლის წინა კერიოდისა და მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის შემდგომი შემსახმბ (1121 წ.)^[36]

„ნებიერად მოვიდა [დავით აღმაშენებელი] შინა სავსე ალაფითა. თუე იყო ივნისი.

ამათ ესევითართ ჭირთაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა¹ წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა, შეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე კელები, და რომელნიმე სრულიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა აღძრნეს წყალობად თუსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა.

¹ იგულისხმება ერავის სულთანთა სულთანი მაჰმუდ მუჰამედის ძე (1117-1131 წწ.).

მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადა-
ყას ძესა,¹ და მოსცა ძე თუხი მალიქი და ყოველივე ძალი მისი; და
აჩინა სპასალარად ელლაზი, ძე არდუხისი,² კაცი დაჰმანი³ და
მრავალღონე და უბრძანა თურქმანობასა სადალატა ვინ იყო, დამ-
ასკოთ და ჰალაბთივან⁴ ამოღმართ, ყოველსა მკედრობად შემძლებელსა,
ამათ თანა ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხი-
თისა ამირათა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი [1221 წ.].“

დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის
მიერ სულტან მაჰმუდ მუჰამედის ძის
დამარცხების, შირვანისა და ანისის
შემოერთების შესახებ (1123-1124 წწ.)¹³⁶¹

„და მეორესა წელსა⁵ მოვიდა სულტანი⁶ შარვანს, შეიპყრა შარ-
ვანშა, აიღო შამახია⁷ და მოგზავნა მოციქული მეფისა წინაშე, და
მოუწერა წიგნი და მორქუა, ვითარმედ: „შენ ტყვეთა მეფე ხარ და
ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შარვანშა შევიპყარ
ქელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი
გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე“. ხოლო
ესმა რა ესე მეფესა, მსწრაფელ კმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და
ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა
მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა, და ყივჩაყნი ოდენ აღთუ-
ალულ იყვნეს მაშინ, და იყო შემბმელი კაცი ორმოცდაათი ათასი. და
ეუწყა რა სულტანსა ზედა-მისლვა და ძალი და სიმრავლე სპათა

¹ დურბეზ (დუბეის) სადაყასძე (დუბაის იბ სადაკა) — მაზიადელთა არაბული საგვარეუ-
ლოს წარმომადგენელი, ქ. პილის პატრონი, ნაჯმ ად-დინ ილლაზის სიძე.

² ელლაზი ძე არდუხისი (ნაჯმ ად-დინ ილლაზი) — XII ს-ის პოლიტიკური და სამხედრო
მოღვაწე, ბაღდადის გამგებელი, ციხესიმაგრე მარდინისა და ქალაქის (ალეკოს) მფლობელი.

³ დაჰმანი — მოხერხებულის.

⁴ ჰალაბი (ალეპო) — ქალაქი სირიაში.

⁵ ივრლისხმება დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის შემოერთების მომდევნო — 1123
წელი.

⁶ იხ. შენიშვნა 1, გვ 142

⁷ შამახია, შამახა — ქალაქი შირვანში (ახლანდ. აზერბაიჯანში); IX-XVI სს-ში იყო
შირვანის სატახტო ქალაქი და შირვანშაჰების რეზიდენცია.

მისთა, და განკრთა, აიყარა ველთათ, სადა დგა, და მსწრაფლ შევიდა ქალაქად და გარემოიზღუდა ერთ-კერძო სხრტითა და ხანდაკებითა,¹ და სხუთ-კერძო ზღუდითა ქალაქისა შამახისათა. ხოლო ცნა რა ესე მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა ზედა-მისლვა მლტოლვარისა, არამედ დავარდა მიწასა ზედა და მადლობა შეწირა ღმრთისა სახიერისა და კაცთ-მოყუარისა, და ადგილობანსა დადგა.

მაშინ სულტანმან მრავალთა მიერ ვედრებათა და ძლუენთა და მუდარითთა შეთულისობათა, ვითარცა მონამან ჭირვეულმან, არღა ძლუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურილითა მრავალ დღე.

მასვე დღესა სულტანსა წინაშე მიმავალი ათაბაგი რანისა-აღსუნღული, ძალითა მრავლითა, მოსრეს მონათა მეფისათა ვითარ ოთხი ათასი კაცი, და იგი ოდენ მარტო მეოტი ძლით მივიდა სულტანსა წინაშე. იხილა რა ესე სულტანმან, მასვე ღამესა გაიპარა, და სასდუნით² მეოტი სხუთ გზით წარვიდა სოფლად თუსად. და ესრეთ ძლევა-შემოსილი და მმადლობელი ღმრთისა შემოიქცა მეფე. და მცირედთა დღეთა განისუენა ამთენს.

და მეორესა თუესა, ივნისსა, კუალად წარვიდა შარვანს, აღილო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა, სიცხეთა მათ საშინელთა, მოირთო შარვანი და აღავსნა კეთილითა ყოველნი მორჩილნი ბრძანებათა მისთანი. წარმოვიდა ქართლად. ხოლო სთუელთა გადავიდა გეგუთს, ინადირა, განისუენა, განაგო მანდაური ყოველი, და მარტსა გარდამოვიდა ქართლად, და აღილო ქალაქი დმანისი. და აპრილსა დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყყდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა.

და მყის აღისრბოლა ვითარცა არწივმან, და მაისსა აღიხუნა ციხენი სომხითისანი: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი და ტალინჯაქარი. და ივნისსა წარემართა ლაშქრითა, განვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანნი სპერამდის, და

¹ ხანდაკი - თხრილი (ძვ. ქართ.).

² სასდუნი - წვიმის წყლისა და ფეკალური ნარჩენების გასადინარი მილი.

რაცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყუე ყო; ჩამოვლო ბუღთა-ყური, და დაწუნა ოლთისნი, და მოვიდა თრიალეთს დიდითა გამარჯუებითა. და მცირედნი დღენი შუა გამოქდეს და განიყარა ლაშქარი თვს-თვსად.

და ავსტოსსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაქსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა. და მსწრაფლ წიგნები წუევისა წარსცა ყოველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მკედარი წინაშე უღგა. წარემართა და, ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი.

და დაიპყრნა არფასლანიანნი და ამოსწყყნა ივინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყო. იმუქჟა ღმრთის მოყუარებან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიშმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულსა დედუფალსა კატრონიტეს და იქივე ესაფლაავა. მაშინ მივიდა თუთ მეფე დავით და კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და ერთობილი ლაშქარი საფლაავსა ზედა, და ახლად წესი აღუგეს. და თუთ მეფემან სამგზის საფლაავსა ჩასძახა: „გიხაროდენ შენ, წმიდაო დედოფალო, რამეთუ იქსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა კელთაგან“. ამასა ზედან მკუდრისა ძუალთა საფლაავით ქმა გამოსცეს. და ღმერთსა მადლობა მისცა. განუკურდა მეფესა და ერთობილთა ერთა. და წარმოვიდა მუნით მეფე დავით.

და წარმოიყვანა ბულასვარი,¹ რვათა ძეთა მისთა თანა და მქევალთა და სძალთა, და ჩავზაუნა აფხაზეთად; ანისისა მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი, და წარმოვიდა ქართლად. და მცირედთა დღეთა მოუსუენა სპათა თვსთა. და მერმე წარემართა შარვანს, და აღიღო ქალაქი შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი, და დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებელად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართ-უხუცესი თუსი სუმონ, ჭყონდიდელი მთ-

¹ ბულასვარი, აბულ-სავარი, აბულ-ასვარი - ანისის მაჰმადიანი გამგებელი XII ს-ის I მეოთხედში, მანუჩას ძე.

ვარეპისკოპოსი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი, მიმსგავსებული გიორგი დედის ძმისა თუსისა, კაცი ყოვლითურთ სრული და ბრძენი.

და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისა, აღავსნა კეთილითა და საბოძვართა ქურდნი, ლეკნი და თარასნი, მოვიდა ქართლად. და ყივჩაყთა თუსთა უჩინა საზამთროდ სადგური, და საზრდელი, და კაცნი ზედამდგომნი მათნი. და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა. და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნა დიდთა საქმეთა და უფროსთა ლაშქრობათა, ვინათგან არავინ წინააღუდგა მას. რამეთუ თუთ სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა, და არცაღა თუთ ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თუსად ქონებად, არამედ რაოდენცა შორს იყო, ეგრეცა ეოცებოდა მძინარესა შიში და მღუძარესა სიკუდილი.

ამისთუსცა ზედას-ზედა წარმოავლენდის მოციქულთა ძლუნითა დამუზდებად პირსა მისსა. რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძურად საპოვნელნი, და ეძიებნ მშუდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა. ამისთუსცა არა-რას მიხედვიდეს წარსაგებელთა სიმრავლესა, ოდენმცა მუნ თუთ, სადა იყვის, იპოვის მშუდობა და სიცოცხლე თავისა თუსისა. და ვგონებ, ვითარმედ მამათა და პაპათგან წაღებულნი ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალწილად უკუმოიზღუნა ამან მკნემან. დაამშუდა ქუეყანა, აღივსო და გარდაეცა ყოვლითა კეთილითა, განავსო და აღაშენა ყოველი ოკერქმნილი. და გარდაემატა ყოველთა ჟამთა მშუდობითა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი, ნაცვლად გარდასრულთა ოკრებათასა...

რამეთუ სულტანი დასუა მოხარკედ თუსა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლეული თუსი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარბაროზნი, მრწემად მოიყვანნა მეფენი, ხოლო მონად კელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტელნი, მტურერად დასხნა სპარსნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი. და რათა მოკლედ ვთქუა, პირველ ყოფილნი მეფენი, გოლიათნი, გმირნი კაცნი იგი, საუკუნითგან სახელოვანნი, მკნენი და ძლიერნი, და რათაცა საქმეთა ზედა სახელოვანნი, ყოველნივე ესრეთ დასხნა, ვითარცა პირუტყუნი ყოველსა საქმესა შინა.“

იერუსალიმელი მეფისა ლეონის ანსელუსის
წერილი ეპისკოპოს ბალონისადმი დაპით
აღმაშენებლის ნაქონი ჯვრის შემკონისა და
პარიზში ბაბუაჰანის შესახებ (1108 წ.)^[38]

„ანსელის წმინდა საფლავის კანტორისაგან, პარიზის ღვთისმშობლის კრებულს. იერუსალიმითგან.

ანსელუსი, იესო ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორი და ხუცესი, გაღონ ეპისკოპოსს, სტეფანე მთავარდიაკონს და პარიზის ღვთისმშობლის სრულიად კრებულს პატივისცემას და სიყვარულს უცხადებს. მერე დასძენს:

... იმ ნიჭთაგან, ღმერთმა რომ მომცა, ნიჭი ერთი, ფრიადი და შეუდარებელი, ესე იგი ჯვარი, წმინდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, მე, თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენი ქალაქის საპატივოდ, სასახელოდ და ასამაღლებლად, ანსელმს ერთგულსა თქვენსა გავატანე, რომლისაგან თქვენი წიგნი ჩემდამი გამოგზავნილი მივიღე.

როგორც ბერძენთა და ასურთა ნაწერები გვასწავლიან, ქრისტეს ჯვარი ოთხ ძელთაგან ყოფილა შემდგარი. მათში ერთი ის იყო, რომელზედ პილატემ ზედწერილი დაწერა, მეორე – საღ იესო ქრისტეს გაშლილი მკლავნი და ხელები მიმაგრებული იყო; მესამე, რომელს მისი ტანი ეკიდა, და მეოთხე – რომელში თვით ჯვარი გამაგრებული იყო და რომელიც გვერდის და ფერხთა სისხლის დაღვრით გავლილია და კურთხეული.

ხოლო ის ჯვარი, თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, ორი ძელითგან არის გაკეთებული. იქ რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, ჩადებული იმ ძელისა არის, რომელზედ ეკიდა; სადაც ჩართულია იმ ძელისაა, ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს რომ ამაგრებდა; ორივე პატიოსანი, ორივე წმინდა.

ამ ჯვარსა დავით, მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნინდა. ის დავით, რომელს, მისი წინაპრებით, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს – ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს,

ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა მეუღლემ მისმა, უფრო სიწმიდისა, ვიდრე გვარისშვილობისათვის სათაყვანომ, წესი მონაზნობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი იხება და მცირედენ (მხლებელით) იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარის და ბევრი ოქროს თანწამოღებით, და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოღებულ ოქროთგან წმინდა ქალაქის მონასტრებს წილები დაურიგა, აგრეთვე გლახაკთა და მგზავრთათვის მისაცემი გაიღო. შემდგომად ამისა უფალ პატრიარქი გიბელინის ხელქვეით ქართველ დედათა მონასტერში, იერუსალიმს რომ არის, შესულა. მალეც, დათა და პატრიარქის თხოვნით წესი მონაზნობისა მიიღო.

ბოლოს წამოღებული სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისათვის დახარჯა. და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ მისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა, და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არასგზით არ იმოქმედებდა.

ამრიგად ის ძელი, არა ვითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოვიგზავნეთ.

გვედრებით, გქონდეთ პატივი, როგორც გმართებთ, ხოლო რომ სახსოვარი იყოს შემდგომთა და მემკვიდრეთა თქვენთა, საითგან და როგორ გაქვთ, დაიწერეთ თქვენ წიგნთა შინა:

„ანსელუსმა, ხუცესმა ჩვენმა, ჯვარი ესე, წმიდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, ჩვენს ეკლესიას და ჩვენ იერუსალიმით მოგვაწოდა“.

გთხოვთ აგრეთვე მაგიერი გარდამიხადოთ და ჩემი სიკვდილის შემდგომ თქვენს ლოცვებში მომიხსენიოთ, რაიც შეეწევა ესოდენ განძის მომტანს; და მოაღწია თუ თქვენამდე ბედნიერად, თქვენ წერილით შემატყობინეთ.“

კავლე ალექოელი დავით აღმაშენებელსა და
კიევის რუსეთის მთავარ ვლადიმირ მონომახს
შორის არსებული დიპლომატიური
ურთიმართობების შესახებ (XII ს. 10-იან წწ.)^[39]

„საქართველოში არსებულ (ეკლესიებსა და მონასტრებს) შორის ასეთი სიგრძე-სიგანის და სიდიდის ქვით (ნაგები) ქმნილების მსგავსი მონასტერი და ტაძარი არცერთი არ არის. ეს სავანე¹ დავით საქართველოს მეფემ ააგო, როგორც ამას ძველი წიგნები წერენ. როდესაც უწმინდურებმა საქართველოს დაპყრობა მოიწადინეს, მაშინ მეფე დავითი რუსეთში მოვიდა, თყვანისცემით დახმარება ითხოვა და მისცეს რა დიდი ძალა, წაეიდა და უწმინდურნი თავის სამფლობელოდან განდევნა და გაათავისუფლა მისგან.“

იოანე ბატონიშვილი უცხოეთის
სახელმწიფოებთან საქართველოს სამეფო
პარის დიპლომატიური კონტაქტების შესახებ
(1119 წ.)^[40]

„მოვიდა დაფარვით დავრიშის სახით, მელიქშას შვილი ტანლან მელიქ სულთანი გამსტრობად ივერიისა და ხილვად მეფისა დავითისა, და ეგრეთვე ამავე სახედ ბერძენთა მეფე ალექსანდრე, ხოლო ამავე რიცხვსა შინა იყო ბალღვონ იერუსალიმის მეფედ,² რომელმანცა მრავალი ძლევა მიიღო სარიცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალღვონი მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისაებრ სხვათა ისტორიებთა... და ვერა რომელთამე ქართველთა სცნეს ამათი იდუმალ მოსლვაჲ და უკუნიქცნენ მასვე წელსა შინა“.

¹ იგულისხმება გელათის მონასტერი.

² ბალღვონი – იერუსალიმის ჯვაროსნული სახელმწიფოს მეფე ბოლღუნ II (1119-1131 წწ.).

სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰამეცი
დიდგორის ბრძოლის, დავით აღმაშენებლის
მიერ თბილისისა და ანისის შემოერთების
შესახებ (1121-1124 წწ.)^[1]

„მაშინ თურქთა ჯარებიდან გადარჩენილები საშინლად შემფოთდნენ. შემოიფლითეს თავიანთი ტანსაცმელი, თავზე მიწა დაიყარეს, შავადმოსილნი და თავშიშველნი შეჰლაღადებდნენ ქალაქ განძაკში თავიანთ სულთანს მელიქს ტაფარის შვილს, გლოვით იჩივლეს მის წინაშე თავიანთი დანაკარგის გამო. ხოლო სხვებმა მიაღწიეს არაპკელთა მხარეს კარმიანის ქვეყანაში ამირა ხაზიმდე,¹ (რომელიც იყო) არდუხის ძე და საშინელი ტირილით მოუთხრეს მას თავიანთი გაწყვეტის შესახებ.

ხოლო მან თავისი უფლებამოსილებით და სიამაყით ბრძანა შეკრებილიყო მისი დიდი ჯარი ყოველი თურქთა ტომიდან, დაწყებული ბერძენთა ქვეყნიდან, ვიდრე აღმოსავლეთამდე – მთელი კარმიანის (ჩათვლით). მისი ჯარები რიცხვით 150000 გახდა. გაგზავნა მან (ეს ჯარი) სამხრეთის მხარეს ბარბაროსთა ქვეყანაში. შემდეგ იხმო თავისთან არაბთა მეფე, რომელსაც ერქვა საღა ტუჰაისის ძე,² ის წამოვიდა მასთან 10000-ანი (ჯარით).

ეს იყო კაცი მხნე და მეომარი. მან დაატყვევა ქალაქი ბაღდადი და სამი ბრძოლა გადაიხადა სპარსთა სულთან ტაფარინთან, რომელიც სძლია და გაიმარჯვა. (საღა) იყო რავატის ტომიდან, მეტად მაგინებელი მაჰმადისა და მთელი მისი წესებისა. მან დაიბანაკა კარვებით ეთიოპიასა და ინდოეთს შორის. სწორედ ამ ხანებში წავიდა სპარსეთის ამირა ხაზისთან და დაესიდა მას.

ამავე წელს დაიდრა ხაზი მრავალი ჯარითურთ და მიაღწია განძაკის ქვეყანას, (რათა იქიდან) წასულიყო ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ.

ამავე დროს გამოვიდა განძაკის სულთანი მელიქი 400000 მამაცი ცხენოსანით, გაეშურა უდიდესი ლაშქრით და შევიდა ქართველთა

¹ ხაზი არდუხის ძე – იგულისხმება ილაზი (იხ. შენიშვნა 2, გვ. 143).

² საღა ტუჰაისის ძე – იგულისხმება დურბეიზ საღაყას ძე (იხ. შენიშვნა 1, გვ. 143).

ქვეყანაში. თბილისის მხარეს მთის (მიმართულებით), რომელსაც ღეკორი¹ ეწოდება.

როდესაც შეიტყო ამის შესახებ ქართველთა მეფე დავითმა ბაგრატიის ძემ, გიორგის შვილმა, წავიდა საბრძოლველად თურქთა ჯარის წინააღმდეგ 40000 ძლიერი და მამაცი ვაჟკაცით და ომში ნაცადი მომრით. ჰყავდა აგრეთვე სხვა ლაშქარიც, ხაფჩახთა (ყივჩაღთა) მეფისაგან – 15000 მამაცი და რჩეული კაცი, ალანთა ტომისაგან – 500 კაცი, ხოლო ფრანგი² – 100.

ავგისტოს თვის 13-ს, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს მოხდა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის. ლაშქართა საშინელ ყიჟინს მთები ბანს აძლევენ. მაშინ ღვთის წყალობამ უწია ქართველთა ლაშქარს და ბრძოლათა შენივთებისას თურქთა მთელი ლაშქარი სირბილით უკუაქცია.

იმ დღეს მოხდა თურქთა ჯარების სასტიკი და საშინელი ხოცვა-ჟლეტა. მათთა ხეები და მდინარეები გვამებით აივსო და მთების ყოველი ქარაფნი დაფარა. თურქთა ლაშქარში დახოცილთა რიცხვი 400000-ს უდრიდა, ხელთ იგდეს 30000 კაცი, დაცემულთა ცხენებითა და იარაღით კი მთელი მინდვრების პირი დაიფარა.

რვა დღის (განმავლობაში) ხაფჩახთა და ქართველთა ჯარები ქალაქ ანის საზღვრებამდე სდევნიდნენ (მათ). ხოლო სპარსეთის სულთანი მელიქი და ხაზი დიდი სირცხვილით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში გაქცევით ძლივს გადარჩენილნი. (საერთოდ) ათასიდან ასი არ გადარჩენილა.

ამვე წელს აიღო ქართველთა მეფე დავითმა ქ. თბილისი სპარსელებისაგან და სასტიკი ხოცვა-ჟლეტა მოახდინა ქალაქში, ხოლო 500 კაცი წვეტიან სარზე წამოაცვა და წამებით დახოცა...

კვლავ, სომეხთა წელთაღრიცხვის 572 წელს (1123) ქართველთა მეფე დავითმა სპარსთაგან 60000 კაცი მოსპო, რადგანაც მრავალი ჯარით მოვიდა განძაკის სულთანი, მდინარე მტკვარზე ნაევებით ხიდი გასდო და 60000 კაცი გადაიყვანა აფხაზთა ქვეყანაში. როდესაც (ეს ამბავი) ქართველთა მეფემ შეიტყო, გაგზავნა ჯარები, ჩაანგრევ-

¹ ღეკორი – იგულისხმება დიდგორი.

² იგულისხმებიან ჯვაროსნები.

ინა ხიდი და მთელი ჯარი, რომელიც (სულთანმა) გადმოიყვანა, ერთიანად გაჟლიტა. თვითონ სულთანი სპარსეთში გაიქცა და თავის ბიძასთან ქალაქ ავზკანში შევიდა.

ხოლო ეს მეფე დავითი იყო მამაცი და ძლიერი სპარსეთის წინააღმდეგ (მიმართულ) ომებში. მან მრავალჯერ სძლია უცხოელთა ჯარები და დაამხო მთელი მათი ძლიერება. მრავალი და სახელოვანი მხარენი აიღო სპარსთაგან მახვილითა და ძალით. აიღო თბილისი და დმანისი, აიღო შრუანი, შაქი და შამქარი, აიღო აგრეთვე სხვა მრავალი მხარეც.

იყო მეფე დავითი წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთის მოსაუბრით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადა-რჩენილი ლაშქარი. მან ააშენა სომეხთა ქალაქი ქართველთა ქვეყანა-ში, განამტკიცა ეკლესიები და მონასტრები მრავლად, ხოლო ქალაქს სახელად უწოდა გორა.¹ დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი.

ჰყავდა აგრეთვე მეფე დავითს ერთი ღვიძლი შვილი სომხის ქალისაგან, რომელსაც სახელად ერქვა დემეტრე, ხოლო მეფის ძმას უწოდებდნენ თოტორმეს.

კვლავ სომეხთა წელთაღრიცხვის 573 (1124) წელს, ქართველთა მეფე დავითმა მოახდინა სპარსთა ჯარების სასტიკი უღელტა. თითქმის – 20000 (კაცი მოსპო) და აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანი, ხოლო მანუჩეს შვილები გააძევა ანიდან და თბილისს გაგზავნა. (მან) გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში, (აგრეთვე) საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისა – წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად ექციათ. შეკრიბა სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მოწესენი და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდის ზემით.

იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგანაც იხილეს განთავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან.“

¹ გორა – იგულისხმება ქალაქი გორი.

არაბი ისტორიკოსი ალ-ჟარიკი თბილისელ
მუსლიმთა მიმართ ღვაწლით აღმავნებლის
პოლიტიკის შესახებ (1122 წ) ^[42]

„როდესაც განადგურდა ნაჯმ აღ-დინი და უკან გაბრუნდა იმათთან ერთად, ვინც გადარჩა, გაემართა მეფე აბხაზთა ნადავლითა და ტყვეებით, დაბანაკდა თბილისთან და ერთხანს ალყაში ჰყავდა. შემდეგ გაანგრია მისი კედელი დასავლეთის მხრიდან, შევიდა ქალაქში მახვილით, გადაწვა იგი და გაძარცვა. სამი დღის შემდეგ დაეზავა მის მცხოვრებლებს და მოაღბო მათი გულები. აღუთქვა მათ წყალობა და მოუხსნა იმ წლის უშრი, მაუნა, აკსატი და ხარაჯა, დაუღო მუსლიმებს ყველა (პირობა), რაც მათ მოისურვეს იმ პირობათაგან, რომლებიც ძალაშია ახლაც. (ეს პირობებია), რომ არ გამოვიდოდა იმ ქალაქის მუსლიმთა უბანში ღორი, არ დაიკვლებოდა იქ და არც იქნებოდა (გასაყიდად) ბაზარზე; მოუჭრა მათ ღირჰემები, რომლის ერთ მხარეზე იყო სახელები სულტნისა და ხალიფასი, მეორე მხარეზე – სახელი ალაჰისა და სახელი წინასწარმეტყველისა, - მშვიდობა მას. მისი (მეფის) სახელი კი ღირჰემის კიდეზე (იყო ამოტვიფრული). ქალაქში გამოცხადდა, რომ ვინც მუსლიმს რაიმე ვნებას ან ზიანს მიაყენებდა, ნებას რთავდა დაუსჯელად მისი მოკვლისა. პირობა დაუღო, რომ აშკარად შეიძლებოდა აზანისა¹ და სალათის² შესრულება და (ყურანის) კითხვა; რომ წარმოეთქვათ ხუტბა³ პარასკეობით, ელოცათ და მოეხსენებიათ ხალიფა და სულტანი და არ მოეხსენებიათ მინბარიდან მათ გარდა არავინ. დაუღო პირობა, რომ თბილისში, ისმაილის აბანოში არ შევიდოდა არც ქართველი, არც სომეხი და არც იუდეველი. და განსაზღვრა ამ წელს ქართველის სამსახური (ხიდმა) 5 დინარით, იუდეველის – 4 დინარით, მუსლიმის – 3 დინარით.

მეფემ მიაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი. მეცნიერებს, ღვთისმეტყველებს და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონიათ (თვით) მუსლიმებთანაც კი. მე ვნახე ყველა ეს პირობა ძალაში იყო მაშინაც, როცა ჩამოვედი თბილისში 548/1153-54 წელს.“

¹ აზანი – ლოცვისკენ მოწოდება.

² სალათი – მუსლიმთათვის საეკლესიო დღეში ხუთჯერ ლოცვა.

³ ხუტბა – სიტყვა, ქადაგება. რომელსაც წარმოთქვამს ხატიბი, ე. ი. მქადაგებელი საკრებულო მეჩეთში პარასკეის ლოცვის წინ და დღესასწაულების დროს.

არაბი ისტორიკოსი ალ-ჯაუფი თბილისის
მუსლიმი მოსახლეობისადმი დავით
ალმაშენაბლის დამოკიდებულების შესახებ
(XII ს-ის 20-იანი წწ.)^[43]

„მაშინ მოხდა დიდი ომი ილ-ღაზისა და ურწმუნოებს შორის თბილისის გამო.

მოთხრობა მისი მიზეზის შესახებ.

თბილისის მცხოვრებთა ერთ-ერთი გვარი, რომელსაც უწოდებდნენ ბანუ ჯაფარს, ფლობდა (ქალაქს) ორას წელიწადს. შემდეგ ამ გვარის მოხუცები გადაშენდნენ და დარჩნენ (მხოლოდ) ყმაწვილები, რომელთაგან თითოეული (მართავდა თბილისს) ერთ თვეს. ასე დაჰყვეს მათ ორმოც წელს. დავითმა, მეფემ აფხაზთა და ქართველთა, ძლიერ შეავიწროვა ისინი. მათ გაგზავნეს თურულ იბნ მუჰამად შაჰთან, არანის ბატონთან (კაცი). მან გამოგზავნა თავისი შიჰნა, მან კი სარგებლობა არ მოიტანა. მათ მისწერეს ნაჯმ აღ-დინსა და მხარეთა მფლობელებს: შამს აღ-დაულა თულანს,¹ არზანისა და ბაღლისის ბატონს, სულთან თურრილსა² და სხვ. შეხვედრის ადგილი დათქმული იყო თბილისის კართან. შეჩერდა იგი (ნაჯმ აღ-დინ ილღაზი თბილისიდან) უფრო ნაკლებ, ვიდრე ნახევარი დღის (სავალ გზაზე). მხარეების ლაშქართაგან არც ერთი არ მოსულიყო. ჩამოვიდა დავით მეფე მთიდან დიდი ლაშქრით, დაამარცხა ისინი და ხელთ იგდო მათი ქონება და მრავალი ნივთი. ნაჯმ აღ-დინი და ღუბაისი გაიქცნენ. შემდეგ დაეშვა დავითი თბილისს და დაიპყრო იგი მახვილით. მან გადაწვა და გაძარცვა იგი. შემდეგ მოაღბო მცხოვრებთა გული და მათ თხოვეს მას ზოგი რამ. მან მისცა მათ ზოგიერთი პრივილეგია. ისინი აქამდე არსებობენ. იმ (პრივილეგიებში შედიოდა), რომ იგი (დავითი) არ დაკლავდა იქ (თბილისში) ღორს, ამოკვეთდა ღირჰემებსა და დინარებზე ალაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახ-

¹ შამს აღ-დაულა თულანი - იგულისხმება თულან არსლან კუზიანი, თურქი ამირა, ბოთლისისა და არზანის კატრონი.

² სულთანი თურრილი - იგულისხმება თორღულ მუჰამედის ძე, ყაზვინის, ზენჯარის, გილანის, ახანისა და განძის გამგებელი.

ელებს, შეასრულებდნენ (მუსლიმი) მცხოვრებლები პარასკევ დღეს აზანსა და ხუტბას, არ შეეიდოდა (ურწმუნო) აბანოში მუსლიმებთან ერთად და, რომ არ შეავიწროვებდა ურწმუნო მუსლიმს. ყველა ეს (პრივილეგია) დღეს(აც) აქვთ მათ.“

ანტიოქიის სამთავროს კანცლერი გოტიმ დიდგორის ბრძოლის შესახებ (1121 წ.) ^[44]

„... (ალაბით) წამოსულმა (ელლაზიმ) თურქმანთა და აგრეთვე არაბთა ურიცხვი ჯარი შეკრიბა, და ამ შეკრებულთა სიმრავლე რომ ნახა, უაღრეს ამპარტაუნებით გათამამებულმა, დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადაწყვიტა ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად; რათა მისი დაქცევის, ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულიად შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას. ხოლო მას სიამაყით მოლაშქრეს ღვთის რისხვა წინ უდგა: იმავე დღეს, როდესაც სულთანი და თვით ელლაზი ექვსასი ათასი მეომრით მეფის ქვეყანაში საომრად შესულან, ესე მეფე დავით, წმინდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი მიდიელ და ქრისტიანი მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მათთა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო, რომ მტერნი შეტევას უპირებდნენ; დადგა და წარმოთქვა ესრეთ: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ესაა რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღაყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შეუტით“.

ასეთი მეფის, ამ ჭეშმარიტის და სრულის ქრისტიანის, აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა.

არც დაუგვიანდა: მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკრავთა მისაცემად; მყისვე ხეობის მეორე ნაწილში, ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირალებით ჩნდებიან და იმავე დროს, სხვადასხვაგვარ საკრავთა ხმაურობათ მთა და ბარი ბანს აძლევენ. ხოლო მეფე დავით, ამდენ სიმხეტვეს მოთმინებით განიცდის, და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევებს და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ უსჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმინდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით და სწრაფად დაითრგუნება. ამის შემდგომად, დანახეს რა ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი, უაღრესი ყიჟინით თავს დაესხნენ მათ; ხოლო უფლის ძალით, პირველ შეტაკებისთანავე ბრმავდებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან. ღვთის რისხვით, ბოროტნი ქრისტეს მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცევიან; და გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანძილზე, გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ მეფის მახვილითა.

თვით ელლაზი, თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე, ღვთის ნებართვით მცირეოდენ ლტოლვილით, უიარალო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით დაბრუნდა, ნახევრად მკვდარი.“

**სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი
ღემეტრე I-ის მიერ ძ. ანისის მისი კველი
მფლობელისათვის გადაცემის შესახებ
(1125 წ.)^[41]**

„ხოლო სომეხთა წელთაღრიცხვის 574 (1125) წელს გარდაიცვალა ქართველთა ქვეყნის კეთილმსახური და წმინდა მეფე დავითი. მის ტახტზე დასვეს მისი ძე ღემეტრე,¹ კაცი მხნე და ღვთისმოყვარული, მსგავსი თავისი მამა დავითისა ყოველი კეთილი საქმით. მან დააბრუნა მანუჩეს შვილები ქალაქ ანიში და მრავალი ფიცით დაად-

¹ ღემეტრე - საქართველოს მეფე ღემეტრე I (1125-1156 წწ.).

გინა ისინი თავის მორჩილ მსახურებად მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე. მისცა მათ ანი. მრავალი შევიწროვება განიცადა ანიმ სპარსთა ლაშქრისაგან იმ დროს, როდესაც გარდაიცვალა დავითი. ასევე სხვა საზრუნავი ბრძოლათა და მხარეთა თავს დაატყდა ქართველთა მეფე დემეტრეს, რომელიც იყო (შვილი) სომხის ქალისა.“

სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი დემეტრე I-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1125-1130 წწ.)^[45]

„გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა დემეტრემ, რომელმაც არაფერი მოაკლო მამისეულ სამფლობელოებს, არამედ შემოიერთა დმანისი და ქალაქი ხუნანი¹ წაართვა სპარსელებს.

იმ დროს ხორასანში² მყოფმა აბულსუარის ვაჟმა გაიგო რა მამისა და ძმების ამბავი და დავითის სიკვდილი, მოვიდა და ვედრებით სთხოვა აბულეთს³ და ქალაქის უხუცესებს მამისეული ქალაქი ანისი. რადგანაც ქალაქი დიდ საშიშროებაში იყო თურქთაგან, აბულეთმა დაუთმო მას (ანისი), ზრუნავდა რა ქრისტიანებზე და უფრო მეტად თავის შვილ ივანეზე,⁴ რომ არ დაღუპულიყო ხშირი ბრძოლების დროს, თვითონ კი დაბრუნდა თავის სახლში. აბულსუარის ვაჟი ფადლონი დაეპატრონა ქალაქს და მის შემოგარენს, ყოველმხრივ შეეცადა დაემყარებინა მშვიდობა, აიღო ღვინი, განძაკი და გახდა სახელოვანი...

დაახლოებით იმ დროს ივანე აბულეთის ძემ მოისურვა დემეტრესა და მისი ძმის გიორგის⁵ მოკვლა. მამამისი აბულეთი მის წინაშე თუთრ წვერს იგლეჯდა და უკრძალავდა ამას. ისინი დმანისის ციხეში გამოკეტეს ძმათა შორის სიცრუის გამო, რაც გაიგო

¹ ხუნანი - ციხე-ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში. ხუნანის რეგიონის ცენტრი.

² ხორასანი - ისტორიული ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში.

³ აბულეთი - იხ. შენიშვნა 3, გვ. 138

⁴ ივანე აბულეთისძე - XII ს-ის 20-30-იანი წლების პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე.

⁵ ვარდან არეველცი შეცდომით დემეტრე I-ის ძმას გიორგის უწოდებს. უნდა იგულისხმებოდეს ვახტანგ ბატონიშვილი.

დემეტრემ. ივანემ უთხრა: „რატომ დამიჭირე მამა?“ მან გაგულისებულმა უთხრა: „არა მეფევე, მე ხელში ჩაგიგდე შენ შენი ძმა, რომელსაც სურდა მეფობა“. (მეფემ) შეიპყრო ის, თვალები დასთხარა და გაუშვა.“

არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი დემეტრე I-ის მიერ არზრუმის გამგებლის იფზ ად-დინ სალთუკისა და სხვა მუსლიმი მფლობელების შიშვლობისა და დიდძალი გამოსასყიდის ფასად მათი გათავისუფლების შესახებ (1154 წ.)¹²¹

„549/1154 წელზე საოცარი და ამბებით მდიდარი წელი არ მინახავს. მათგან იყო ის, რომ ამირა ფახრ ად-დინ შადდადმა, ანისის მფლობელმა, გაგზავნა (მოციქული) და დანიშნა არზან არრუმის მფლობელის იზ ად-დინ სალთუკის¹ ქალიშვილი. ასე იყო ერთი ხანი. შემდეგ მამამ დააქორწინა ის (ქალიშვილი) არზანის მფლობელზე. (მაშინ) შადდადმა გაუგზავნა (მოციქული) სალთუკს და შეუთვალა: ანისზე ჩემი ძალაუფლება დასუსტდა, მოდი და იყიდე ის ჩემგან. ქართველთა წინააღმდეგ ძალა აღარ მაქვს და არ შემიძლია მათგან მისი დაცვა. მე შენს სამსახურში ვიქნები და ჩაგაბარებ მას. და როდესაც მოვიდა (სალთუკი), გაუგზავნა (მოციქული) აბხაზთა და ქართველთა (-ალქურჯ) მეფეს დემეტრეს, რომელიც იმყოფებოდა ბაზეის მთაზე, ანისიდან ერთი დღის ან უფრო მეტის სავალზე და აცნობა სალთუკის მოსვლა. (დემეტრე) ქართველთა ლაშქრით დილით მივიდა ქალაქ ანისთან, დაეცა (სალთუკის) ჯარს და დახოცა დიდძალი, დაატყვევეს იზ ად-დინ სალთუკი და მასთან ერთად დიდძალი ხალხი. ტყვედ იქნა მუსლიმთაგან ურიცხვი და ეს იყო საშინელი დღე მუსლიმთათვის. შემდეგ დიარ-ბაქრის, დიარ-რაბიას და სირიის მეფეებმა მიწერეს მრავალგზის აბხაზთა მეფეს და განისაზღვრა. იზ ად-დინ სალთუკის საქმე (გამოსასყიდი) 100 ათას დინარად. გაათავისუფლეს ის და დაბრუნდა თავის ქვეყანაში,

¹ სალდუხი (სალთუკი). სალთუკ იბნ ალი იბნ აბულ-კასიმ (გარდ. 1168 წ.) – არზრუმის ამირა XII ს-ის 40-60-იან წლებში.

(ხოლო) მისი ქვეყნიდან გავიდა ურიცხვი ფული მასთან ერთად დატყვევებულთა გასათავისუფლებლად.“

არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი თბილისის
მაჰმადიანი მოსახლეობისადმი დემეტრე I-ის
დამოკიდებულების შესახებ (1153/54 წწ.) ^[42]

„მე ვნახე აბხაზთა მეფე დიმიტრი, რომლის სამსახურშიც ვიმყოფებოდი, (როგორ) ჩამოხდა თბილისში და დარჩა იქ რამდენიმე ხანს. ერთ პარასკევ დღეს იგი მივიდა საკრებულო მერეთში (ჯამი), დაჯდა ქვის საჯდომზე ხატიბის პირდაპირ და ფეხი არ მოუცვლია, ვიდრე არ ჩაათავეს ხუტბა ხატიბმა და ხალხმა. მთელი ხუტბა მოისმინა, შემდეგ გავიდა და შესწირა საკრებულო მერეთს 200 წითელი დინარი. მე ვნახე ალიმები,¹ მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები და მლოცველები, რომელთაც პატივით იღებდა იგი და ასაჩუქრებდა. ისე კეთილად ექცეოდა, რისი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე (იქ) ისეთი პატივისცემა მუსლიმებისა, რაც მათ ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ.“

არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი დემეტრე I-ისა
და დარუბანდის ამირას შორის დიპლომატიური
ურთიერთობების შესახებ (1153/54 წწ.) ^[42]

„მე ვნახე ისინი 549 წელს, სახელდობრ, როდესაც გავემგზავრე ქალაქ თბილისს და დავრჩი იქ ზამთარს. შემდეგ შევედი აბხაზთა მეფის, თბილისის მფლობელის, სამსახურში და მასთან ერთად გავედი (თბილისიდან) მის ლაშქარში მყოფი. მეფემ დაიწყო თავის სამფლობელოს შემოვლა კიდით კიდემდე; ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა. მეც მასთან ვიყავი. ერთ დღეს, როდესაც ჩვენ გავჩერდით დარბანდის ვილაეთში... მეფემ დატოვა ლაშქარი კომპში მთის

¹ ალიმი - მცოდნე, სწავლული, ღვთისმეტყველი, ისლამის ისტორიულ-რელიგიური გადმოცემების და ეთიკურ-სამართლებრივი ნორმების მცოდნე.

ძირას. დარბანდის მეფე, — იგია ამირა აბულ მუზაფფარი, გამოვიდა აბხაზთა მეფის სამსახურად და აახლა მას მსახურნი მისი იქ ყოფნისა და ლხინისათვის (საჭირო ნივთებით და სურსათ-სანოვავით), რადგანაც იგი იყო სიძე აბხაზთა მეფისა — ცოლად ჰყავდა მისი ასული.

აბხაზთა მეფედ მაშინ იყო დიმიტრი, დავითის ძე დავითიანი, რომელიც ჰუსამ აღ-მასიჰად იწოდებოდა. მეფე და მისი ლაშქარი დაბანაკდნენ იმ ველზე და მეც მათთან ერთად ვიყავი.“

კველი რუსული ქრონიკა („იპატის მატინანე“)
კიევის მთავარ იზიასლავ მსტისლავის ძის
დემეტრე I-ის ასულზე დაქორწინების შესახებ
(1154 წ.)^[46]

„წელსა 662-სა იზიასლავმა,¹ რომელმაც წამოიყვანა ობეზთა-გან² ცოლად მეფის ასული, ხელმეორედ გაგზავნა სადედინაცვლოს შესახვედრად თავისი შვილი მსტისლავი. შეეგება რა მას ჭორომებთან, მსტისლავმა მიიყვანა ის კიევში, თვით კი პერეიასლავში წავიდა. ხოლო იზიასლავმა შეირთო იგი ცოლად და გადაიხადა ქორწილი“.

სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი დავით
V-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის, მისი
გვერდობის შესახებ (1155-1156 წწ.)^[45]

ქართველთა მეფე დემეტრე 32 წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. გვირგვინი მიიღო მისმა ვაჟმა, ჭკვიანმა და კეთილმა დავითმა.³ მან ციხიდან გამოიყვანა მამის მიერ შეპყრობილი თირქაში,⁴ დააყენა მხედართმთავრად და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ზოგი ამ-

¹ იზიასლავი — კიევის რუსეთის დიდი მთავარი იზიასლავ მსტისლავის ძე (დაახლ. 1097-1154 წწ.).

² ობეზები — ქართველების აღმნიშვნელი ტერმინი შუა საუკუნეების რუსულ წყაროებში.

³ დავითი — საქართველოს მეფე დავით V (1155-1156 წწ.).

⁴ თირქაში — XII ს-ის 30-50-იანი წლების ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ამირსპასალარი. ივანე აბულეთისძის ვაჟი.

ბობს, რომ (ის მოკლულ იქნა) სუმბატ და ივანე ორბელიანების¹ მზაკერობის შედეგად, რადგან მათ ადგილას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებულნი იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ (ის) დანიშნავდა (მათ) მხედართმთავრად. გიორგიმ² მიიღო სამეფო გვირგვინი 605 (1156) წელს.“

სომეხი ისტორიკოსი მხითარ გოში დავით V-ის
დიპლომატიის, მისი მკვლევრობის შესახებ
(1155-1156 წ.წ.)³

„ხოლო, როდესაც გარდაიცვალა მეფე დემეტრე, მის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი დავითი, კაცი კეთილგონიერი, განსაკუთრებით იმ სომეხი იშხანების³ მიმართ, რომლებიც მის ხელთ იმყოფებოდნენ. მან მეტად განადიდა პატივით ქალაქ ტფილისის სატრაპი⁴-ვასაკი, იშხან ვაჰრამის შვილი და მისი ძმები სახელად ქურდი და სარგისი. იმდენად კეთილგულოვნება გამოიჩინა, რომ გაგზავნა (კაცი) და იხმო მეფე კვირიკე, მეფე დავით ბაგრატიუნის შვილი და დაპირდა მას, რომ დაუბრუნებდა მის სამკვიდრებელს,⁵ რომელიც თავის წინაპრებს ჩამოერთვათ მისთვის. და ამგვარად დასაჩუქრებული გაამგზავრა ის და შეუთანხმდა (მომავალ) შეხვედრის შესახებ. სურდა აგრეთვე შეეკრიბა ხალხი, რათა გაეგო ჭეშმარიტება სარწმუნოების შესახებ და ამრიგად პატივი ეცა მართლმადიდებლობისათვის.

როდესაც ქართველმა დიდებულებმა შეიტყვეს (მისი) ამგვარი სურვილი, დიდმა შურმა მოიცვა ისინი, განსაკუთრებით ორბელიანებად წოდებული გვარი, დაალევინეს სასიკვდილო საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი. მძიმე და ხანგრძლივმა სევდამ მოიცვა ქართველთა და სომეხთა ქვეყნები. გაამეფეს მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი.“

¹ ივანე ორბელი - XII ს-ის 40-70-იანი წლების ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი; მისი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა დავით V-ის ვაჟს - დემეტრე (დემნა) უფლისწულს.

² გიორგი - საქართველოს მეფე გიორგი III (1156-1184 წწ.).

³ იშხანი - (სომხ.) მთავარი, დიდებული.

⁴ ტფილისის სატრაპი - ივულისხმება ქ. თბილისის ამირა.

⁵ ვარდანთან საუბარია ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს ადღენაზე.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“
ბიორგი III-ის სამეფო კარზე ანდრონიკე
კომნენოსის ვიზიტის შესახებ
(XII ს. 60-იანი წწ.)^[48]

„მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნიანოსი¹ ცოლითა სახებრწყინ-
ვალითა და შუენიერთა, თანა შვილებითურთ და დისწულითა, მამის
ძმისწული დიდისა მანოელ კეისრისა² და ყოვლისა დასავლეთისა და
საბერძნეთისა მეფისა. და ვითარ მართებდა, ეგრეთ მმადლობელმან
ღმრთისამან შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყვისი სახლის-შვილო-
ბისა მისისა. და მიმცემელმან ქალაქთა და ციხეთამან კმასაყოფელ-
თამან დაუდგნა საჯდომნი სიახლესა საყდრისა თუსისასა, პირისპირ
მამის დისწულისა მისისა აღსართანისასა, რომელი მეფე იყო შარ-
ვანისა³ და ზღუეს პირისა დარუბანდით ხირხალამდის, რომელი მეფე-
სა უჩნდა ვითარცა შეილ-ყოფად ვითარცა ერთი დიდებულთა მისთა-
განი. ესე შარვანშა შემოეხუეწა ოდესმე დაჭირებული დარუბან-
დელთა ხაზართგან. მაშინ შეიყარა ლაშქარი იმიერთ და ამიერთ,
თუთ ძმა ბერძენთა მეფისა ანდრონიკე წარიყვანა წინაშე და მივიდა
ვიდრე კართამდის დარუბანდისათა. მოაკრა ქუეყანა მუსკურისა და
შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანი, რომლისა კართა თუთ
მჭკრეტელობასა შინა მეფისასა მოსაწონელ იქმნა ანდრონიკე თუთ
მისგან და ყოველთა სპათა მისთაგან. და უბოძა ქალაქი იგი მამის
დისწულსა მისსა შარვანშას, და მუნიდალმან, მომრბეველი ბასიან-
ისა, რომელი-ესე უცხო იყო შესაძლებელად კაცობრივისა ძალისა-
გან, შემოქცეული მუნით და გამარჯუებული იშუებდა და იმოთხვიდა
საყოფელთა მისთა.“

¹ ანდრონიკე კომნენოსი — ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე I (1183-1185 წწ.), იმპერატორ ალექსი I-ის შვილიშვილი, გიორგი III-თან ვიზიტის დროს (1167 წ.) იგი იყო დევნილი ბიზანტიიდან.

² მანუელ კეისარი — ბიზანტიის იმპერატორი მანუელ I კომნენოსი (1143-1180 წწ.).

³ აღსართან შარვანშა — შირვანშაჰი აღსართან (ახსითან) I (1149-1203 წწ.).

სომეხი ისტორიკოსი ვარდან არევილცი
ბიორგი III-ის მიერ ანისის შემოერთების, დამნა
უფლისწულისა და ივანე ორბელის აჯანყების
შესახებ (1174-1178 წწ.) [45]

„623 (1174) წელს გიორგიმ მეორედ აიღო ანისი ამირსპასალარ ივანეს¹ წაქეზებით, რათა თვითონ დამჯდარიყო იქ და ტყვეობიდან გაეთავისუფლებინა ქრისტიანები. მეფემ თავისთან წაიყვანა ამირა შაპან-შაპი, რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა. ეს ყველაფერი ესმათ თურქებს, გაერთიანდნენ, მოიწვიეს სულთანი ალფ-არსლანი, მოვიდნენ ანისში და ააოხრეს შირაკის სახლი. ივანეს უნდოდა მიეცა ქალაქი თურქებისათვის, მაგრამ არ გამოუვიდა ეს საქმე, რადგანაც ქალაქმა გაიგო და გაფრთხილდა. სულთანი და მისი ათაბაგი წავიდნენ სირცხვილით და გარდაიცვალა ორივე ერთი და იმავე წელს. იმ დროს კარის ციხიდან გამოვიდა დიდი მთავარი აპირატი და მოვიდა ანისში. ის იყო ქალაქის ეპისკოპოსის, მეფე ბარსელის ძმა, რომლის თხოვნით ქართველთა მეფემ გამოისყიდა (ქალაქი) ამირასაგან 17000 დრაჰკანად. იმ დროს გამოავლინა ივანემ თავისი ბოროტება. მან გადმოიბირა მეფის ძმისშვილი დემნა და ბევრი აზნაური, გადაწყვიტა მოეკლა მეფე, ვიდრე ის უდარდელად იმყოფებოდა სახატეში. (მეფემ) გაიგო რა ეს ერთი კაცისაგან, გაიქცა თბილისში, რადგან მცირერიცხოვანი ხალხით იყო. იქ ღმერთის ჩაგონებით მასთან შეგროვდა ბევრი, უარყვეს რა (თავიანთ) ბოროტი ზრახვები. როცა გაძლიერდა მეფის მხარე, მოისურვა წასვლა აჯანყებულებზე. ისინი სახატედან გაიქცნენ თავიანთ ციხე-სიმაგრეებში. შემდეგ შევიდნენ ლორეში, ლიპარიტის გარდა, რომელიც თავის ორ ვაჟთან ერთად წავიდა სპარსეთში. მეფემ ხელში ჩაიგდო ორბელიანების მთელი ავლა-დიდება. მეფესთან გამოცხადდნენ და ფეხებში ჩაუვარდნენ მისი ძმისშვილი და მასთან ერთად ყველა სხვანი, თვითონ ივანეც კი, რომელიც დააბრმავებინა. მისი უმცროსი ვაჟი ქავთარი და ლიპარიტის ძე ინე მოაკვლევინა. მოისპო ყველაფერი ბოროტი.“

¹ იხ. შენიშენა 1, გვ. 161

სომეხი ისტორიკოსი დავით ქობარიელი
ბიორგი III-ის წინააღმდეგ დამნა
უფლისწულისა და ამირ-სპასალარ ივანე
ორბელის აჯანყების შესახებ (1177-1178 წწ.)^[49]

„ქართველთა ქვეყნის დიდებულებს დიდი ხანია განზრახული ჰქონდათ მეფისაგან განდგომა და გამოძებნეს კიდეც შესაფერისი დრო თავიანთ ძველ ბოროტზრახვათა განსახორციელებლად. ორბელებმა – ივანე სპასალარმა, მისმა ძმამ ლიპარიტმა, მათმა შვილებმა და ნათესავებმა გადაიბირეს იმავე მეფის ძმისწული, მოიყვანეს აგარაკის სიმაგრეში და გაამეფეს, რათა ვერავის შესძლებოდა მათი საქმისათვის ხელის შეშლა.

თავდაპირველად (აჯანყებულებმა) მიუდგომელი კაიანის¹ და კაიწონის² მხარეთმმართველები და მეციხოვნეები დაითანხმეს მის (მეფის) წინააღმდეგ, რათა მათ მოსახლეობასაც ხელი შეეწყო. და როცა, პირობისამებრ, შაქის, ჰერეთისა და კახეთის მხარეების მთავრები აჯანყდნენ, ესენიც (კაიანის და კაიწონის მმართველები) თავიანთ ადგილებში გამაგრდნენ და მათი მოსაზღვრე მეფის მხარეები აიკლეს. ესენი (გაემართნენ) აქედან და ახალი მეფის (მეთაურობით) აიღეს მეფის (გიორგის) საჯდომი სოფელი, რომელსაც პარაპოვი ეწოდება. აქ შესაკრებად მოუწოდეს ყველა თანამზრახველს იმისათვის, რომ მეფე განედევნათ ან ძალით (შეპყრობილი) მოეყვანათ.

ხოლო იგი (გიორგი III), რადგან ჯერ კიდეც ხელთ ეპყრა თავის საკუთარ სამეფოში ქალაქები და სიმაგრეები და სამეფო კარის განძეულები, სასწრაფოდ გაემართა დიდ სამეფო ქალაქ თბილისისაკენ და მოიწვია სათათბიროდ მისი ერთგულნი. მათთან თათბირის შემდეგ გადასწყვიტა დამსახურების მიხედვით გაუყოს ოქროსა და ვერცხლის განძეული და საპატიო სამოსლები იმ ნარევი ქვეითი მეომრების ბრბოს, დვალეთისა და ქართლის მხარის საზღვრებში რომ არიან. შემდეგ ყველა ესენი ქვეითი მეომრები ერთ ადგილას

¹ კაიანი, კანი – ციხესიმაგრე ჩრდილო სომხეთში. XII-XIII სს-ში შემოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

² კაიწონი – ციხესიმაგრე ჩრდილო სომხეთში. XII-XIII სს-ში შემოდიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

შეაგროვა და მხედართუფროსის მამეულ მხარეში (მამულში) წავი-
და. იავარჰქმნა, მოიალაფა და მათი სასახლეები გადაწვა. თვით
აჯანყებულებისაკენ გაემართა. აჯანყებულებმა შორიდან რომ დაინ-
ახეს, გონება დაკარგულნი გაიქცნენ და, სადაც მოუხერხდათ, იქ
გამაგრდნენ. მხედართუფროსმა ივანემ კი, შვილებით, ცოლითა და
მთელი სახლუულით, თავი შეაფარა მიუდგომელ ლორეს. მისმა ძმამ
ლიპარიტმა, თავისი ხალხით, წაიყვანა მეფის ძე დემეტრე და მიუ-
ვალ კაიანს მიმართა.

მეფის ბრძანებით, მათ დაედევნა კეთილმსახური თბილისის ამირთ-
მთავარი ქურდი, დაეწია მათ ვიწრო გზაზე თავის საკუთარ მხარეში,
რომელსაც მაჰკაბერდი¹ ეწოდება. დასცა მათ ბრძოლის ყიჟინა და
უკანვე გამოაქცია, დაედევნა და წამოიღო იმ ჯარის დავლა და
ალაფი. მხოლოდ ცხენოსნებმა დააღწიეს თავი და ლორეს სიმაგრეში
მოვიდნენ, ყველა აჯანყებული ერთ ადგილას შეჰყარეს (შეიყარნენ).
ეს რომ კაიანში გამაგრებულებმა ნახეს, მეფეს დამორჩილდნენ,
ასევე მოიქცნენ ყველა თანამოსაზღვრეებიც (ციხის ახლო-მახლო
მცხოვრებნი).

მეფემ კი მრავალგზის გაგზავნა მოციქულები (ივანესთან) და
დაყვავებით ეხვეწებოდა დაზავებას. მაგრამ პასუხი საწინააღმდეგო
მიიღო, რომ არასგზით არ შეუძლია იხილოს იგი ცოცხალი იმის
გარეშე, თუ ნახევარ სამეფოს მას არ დაუთმობს ისე, რომ პარაპო-
ვისაგანაც და სხვებისაგანაც ნახევარი შეხვდეს. ამას არ დაეთანხმა
მეფე, თუმცაღა ეჭვობდა ჯარის ერთგულებაში. დესპანების საშუ-
ალებით თავისთან შეკრიბა ყველა მხრიდან ორგულნი საეჭვონი და
ერთგულნი და ალყა შემოარტყა აგარაკის მტკიცე სიმაგრეს. ალყა
ორთვენახევარს გაგრძელდა; აჩქარებდა ზღუდეებისა და შიგნითა
სასახლეების მანქანებით დანგრევას. ციხის შიგნით მყოფნი ბრძოლა-
ში გამოცდილები იყვნენ, მაგრამ რადგან წყლის გზაც მოჭრილი
ჰქონდათ, შეწუხდნენ წყურვილითა და ადამიანებისა და პირუტყვითა
მძორის სუნით. უნებლიედ ჩამოვიდნენ და დაუთმეს სიმაგრე.

ამის შემდეგ მეფემ შეკრიბა ჯარი და მოადგა აჯანყებულებს
ლორეში. შიგნით მოციქულები შეგზავნა, რათა ძმისშვილი მიეცათ

¹ მაჰკაბერდი, მანკაბერდი — ისტორიული მხარე სომხეთში.

და შეწყნარებასაც შეჰპირდა. ასე შეუთვალა მრავალჯერ, მაგრამ არ ერწმუნენ, მხედართუფროსმა ჯერ კიდევ მეფის მოსვლამდე გაგზავნა თავისი ძმა ლიპარიტი სამი შვილით და თავისი უმცროსი შვილიც გააყოლა სპარსთა მხედართმთავარ ხზილთან, რათა ან ჯარით გაემართა ხელი, ანდა თვითონ მოსულიყო, განედევნა მეფე და მისი სამფლობელო დაეპყრო. მართლაც, იგი, თხოვნისამებრ, მრავალრიცხოვანი ჯარით წამოვიდა და მეფის საზღვრებს მოადგა. მაგრამ, როცა თვალთ იხილა ის ლაშქარი, მისი სიმრავლისაგან თავგზაბნეული ჩუმად უკან გაბრუნდა.

ამასობაში მეფის ჯარი თავს დაესხა ძორაგეტის მხარეში გამაგრებულთ, ძალით აიღო მრავალი სიმაგრე და იავარპყო მთელი ქონება, (და ასე იქცეოდა), სანამ ყველანი ძალაუნებურად არ დამორჩილდნენ და არ დათმეს ციხე-სიმაგრეები. როდესაც დანმარების იმედი ყოველი მხრიდან ამოიწურა, რადგან თვისტომნიც გადაუდგნენ (ივანეს) და მეფეს დამორჩილდნენ... შევიწროებულნი და ილაჯგაწყვეტილნი, პატიების ფიცით დაიმედებულნი, გარეთ გამოვიდნენ და თალხად შემოსილნი განრთხმულნი წარუდგნენ მეფეს, - მით უმეტეს, რომ მეფის ძმისწული ფარულად ჩამოვიდა ზღუდეზე გოდრით და მივიდა მეფესთან.“

თამარ მეფის წერილი მგვიპტის სულთან სალაჰ ად-დინისადმი (1185 წ. ახლო ხანებში) ^[50]

„სახელითა მამისა და ძისა და სულის წმიდისა უფლისა ერთადერთისა!

ესაა პირობა, რომელსაც ვდებთ და ესაა ფიცი, რომელსაც ვიდლებით.

მე, რომელიც თამარი ვარ, გიორგის ასული, ვამბობ უფლის არსითა და პიროვნებით, იმ უფლისა, რომელიც სამი სახისაა: მამა, ძე და სული წმიდა:

ვფიცავ იმ საათს, რომელმაც ღვთაებრივი სიტყვა ადამიანობას დაუკავშირა: ვფიცავ იმ თვისებას, რომელიც მარიამმა ტანად იღო; ვფიცავ იმ ტანს, რომელიც (...) თვისების მიმღები გახდა; ვფიცავ მესიას და მის სიტყვას აკვანში; ვფიცავ მარიამს და მის მარხულობას

იმ აღთქმის შედეგად (მიხედვით); ვფიცავ უბიწოებასა და კდემას მარიამისას; ვფიცავ „სახარებას“, „დაბადებასა“ და „ფსალმუნს“, რომელნიც უფლის სიტყვანია მესიაზე, მოსესა და დავითზე (მშვიდობა მათ!) გარდამოსული; ვფიცავ ქრისტიანთა მოციქულთ და რჩეულ კრებულს; ვფიცავ ჯვარცმას და ლეთაებრივისა და ადამიანურის კავშირს, რომ ამ დღიდან და ამ საათიდან, რომელიც არის (დღით) ხუთშაბათი, ამა წლის ჯომადა აღ მოლას თვის თექვსმეტი,¹ მავან მავანის ძესთან კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით ვიქნები, მისი მოყვრის მოყვარე ვიქნები და მტრის მტერი ვიქნები, სანამდის ცოცხალი ვარ. და არასოდეს მავანი ქალაქისა და ვილაამათის და მისი ციხეების (აღებას) არ განვიზრახავ და არ ვინებებ არც აშკარად და არც ფარულად, და თავს ნებას არ მივცემ, დავიმორჩილო მისი ხალხი და ლაშქარი. და თუ იმას გადავედი, რაც ვთქვი, ქრისტიანობა იუდეველთა რჯულზე გამეცვალოს, ქრისტიანთა სარწმუნოება დამეგმოს, მესიის მიმდევართა თემი დამეგდოს და „სახარებაზე“, „დაბადებასა“ და „ფსალმუნზე“, რომელნიც უფლის სიტყვანია, მეთქვას, ზღაპარია და მოჭორილი-მეთქი! თუ ამის საწინააღმდეგო გავაკეთო, ქრისტეს ჯვარი ფეხით გამეთელოს! მალაღმა უფალმამც ინებოს!“

„ისტორიანი და აზმანი შარაკანდქლთანი“
 ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ
 (1184 წ.)^[48]

და ესეცა უცხო მოსაგონებელი: ყუთლუ-არსლან,² ცხოვარმან ჯორის სახელ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება, მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგამდ ველსა ისანისასა³ და სანახებსა სალ-

¹ საუბარია საბუთის გაცემის თვეზე. რიცხვზე და დღეზე (ჯუმადა აღ-ულას 16, ხუთშაბათი). თამარისა და სალა აღ-დინის ზეობის წლებში ჯუმადა აღ-ულას 16, ხუთშაბათი დღე მოდიოდა — 1185 წ. 15 აგვისტოსა და 1190 წლის 21 ივნისზე. მეცნიერები უპირატესობას ანიჭებენ 1185 წ. 15 აგვისტოს.

² ყუთლუ-არსლანი — XII ს-ის 70-80-იანი წლების ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, მეჭურჭლეთუხუცესი.

³ ისანი — ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი, სადაც მდებარეობდა სამეფო სასახლე (დღევანდ. აელაბრის ტერიტორიაზე).

ოდებლისასა¹ და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“.

ესე ვიეთ საწყენელ იყო – დასასრულისა კელმწიფობისა პატრონისასა მიმცემელი – ესრეთ იწყინა, და გაიკურვა, და გაიგონა უკლებელმან გონებითა და საუნჯემან სიბრძნისამან. და მოიღონა კელით გდება თავისა მის მოქმედსა და, თანამზრახველ მყოფელმან ერთგულთა და საკუთართა მისთამან, შეიპყრა ყუთლუ-არსლან, მეჭურჭლეთ-უხუცესი და აწ თავისა თუსისა ამირსპასალარად და სომხითს სომეხთა მეფისა ადგილსა ლორეს დაჯდომად განმზადებული.

და ვითარცა ცნეს ესე ლაშქართა თანაშეფიცულთა და თანაშემწეთა მისისა მის გზად-გამყუელობისა და უკეთურებისათა, შეიყარნეს და უკუადგეს თამარს, დაადგინეს ახალი სიმტკიცე ყუთლუ-არსლანის გაშუებულობისა და, არა მიშუებისა ვნებად მისსა მეტყუელნი, განემზადნეს ისანისაცა შემობმად. გარნა ვინათგან კელი საუფლო და მკლავი მაღალი შემწე და თანამბრძოლ ექმნებოდა მბრძოლთა მათ მისთა, და მის წილ ამღებელი ჭურისა და ფარისა ეკუთებოდა დამკობად წინააღმდეგომთა მისთა, ცუდ სამე იქმნა განზრახვა მათი, ვითარ განზრახვა აბიათარ მღდელისა და იოაბ სპასპეტისა, რომელნი ეთანებოდეს ორნიას, ძმასა სოლომონისსა; და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საპატიოთა დიდოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატიისი,² და ერთი კრავაჲ ჯაყელი, დედა აწ მყოფთა სამძივართა,³ უბრძანა ფიცით მონღობა და სხუსა არავისი ბრალობა. და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისასა და წინაშე მოსრულთა დავრდომით თაყუანის-ცეს, აღიღეს ფიცი პატრონისაგან და მისცეს მათ პირი ერთგულობისა და ნების-მყოფლობისა მათისა.“

¹ სალოდებელი, საგოდებელი – ძველი თბილისის ერთ-ერთ უბანი, რომელიც მდებარეობდა ისნის სამეფო სასახლის გაღავნის გარეთ, ისნის ველზე.

² რატი – ქართლის ერისთავთ-ერისთავი რატი სურამელი, ბეგა I სურამელისა და ხუაშაქ ცოქალის ვაჟი.

³ სამძივარი – ფეოდალური საგვარეულო სამცხეში.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“
თამარ მეფისა და გიორგი რუსის
ქორწინებასთან დაკავშირებული მოვლენების
შესახებ (1185 წ.)^[48]

„გარნა ვინათგან ცუდ საგონებელ იქმნა და აღარ დაებადა ღმერთსა სწორი ამისი, არცა მგონიეს თუ დაბადებად არს, გამოვინმე-ჩნდა მეტყუელი მკვდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთმეფისაგან წყალობა-კელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან,¹ და მეტყუელმან თქუა: „მე ვიცი შვილი კელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა,² რომელსა მონებენ სამასნი მთავარი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორია-ქმნით ღვეწული გარდამოიხუეწა ბიძისა, სავალათად³ სახელწოდებულისაგან. და არს იგი ყოჩაყთა მეფისა სევენჯისა ქალაქსა“.

მაშინ მომსმენართა მისთა უკმეს ერთი მკვდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა მოყმე სახე-კეკლუცი, სრული ანაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად. ამისთა მნახველთა და გამცდელთა — პატრიაქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა — მოაქსენეს თამარს, და მათგან ნება-დაურთავი განმზადეს ქორწილი. რამეთუ თამარ ჭეშმარიტი იყო და მტკიცე სჯულთა ზედა, და ვიეთნიმე დაღონებულობით აწუევედეს ალექსის მოყვანასა ქმრად, რომელი ახლოს სთუსობდა და მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა, — ესე მას ჟამსა აქა მყოფ იყო, — და შიშითა ამისის ქმნისათა ყოვლად უწადინელმან ქორწინებისამან იაჯა ესნა ქმროსნობისაგან. ხოლო არა მშუებელმან დედოფალმან და სპათა აიძულეს ქმნად, და ვითარ იყო ხუედრი და რიგი ულუმპიანობისა და შარავანდედობისა მათისა, ეგრეთ იქმნა ქორწილი სახე-დაუდებელი და იგავ-მიუწლომელი; სიმრავლენი სახეობათანი, ძლუნობანი და ნიჭებანი

¹ აბულასანი — XII ს-ის 70-80-იანი წლების ქართველი პოლიტიკური მოღვაწე-თბილისის ამირა (დაახლ. 1185/86 წლამდე). მეჭურჭლეთუხუცესი (დაახლ. 1185/86-1188 წწ.).

² ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს დიდი მთავარი ანდრია ბოგოლოუბსკი (1155-1174 წწ.).

³ სავალათი — ვლადიმირ-სუზდალის სამთავროს დიდი მთავარი ესევილოდ დიდი ბუდი (1176-1212 წწ.).

თუალთა და მარგალიტთანი, ოქროჭედითა და უჭედელთანი, სიმდი-
დრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი, მსგევსამდი სიხარუ-
ლი, შუება, ძღუნობანი, გაცემანი.

ხოლო მე ესეცა გაუწყო საბრალო და საძნაური საქმე: რამეთუ
მოსრულ იყენეს ოვსთა მეფეთა შვილნი, შუენიერნი და სახე-კეთილნი
მოყმენი, მოჰაჯენი და მთხოველნი, ღირსნი და მონღობილნი ჭაბუკო-
ბისანი, ვითარ: „ღირს რამცა ვიყავით მოწონებად და მიხდომად
ბედსა ამას საზესთოსა!“ და ვინაცა უქმ იქმნა განზრახვა მათი,
წარსრულთა თვსად მამულად ერთსა მათგანსა შეემთხვა მოუთმენე-
ლი სურვილი და სიყუარული თამარისი. რომლისათვის ვერ გამძლე,
მივრდომილი საგებლად ბნედასა შინა, მიიწია აღსასრულად ნიქოზს¹
საყდარსა შინა წმიდისა რაჟდენისსა, რომელი მუნვე დაკრძალეს.“

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“
საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური
კონტაქტების შესახებ (XII ს. 80-იანი წწ.)^[48]

„რამეთუ ამას სძღუნობდეს ყოველნი მეფენი აღმოსავლით დასავ-
ლეთამდი, ამისთვის ხელდებიან ყოველნი მსმენნი ესრეთ სახებრწყინ-
ვალეობისა მისისანი. რამეთუ ბერძენთა მეფისა მანოელისა შვილი
უხუცესი იყო გაჭრითა და გახელებით, არათუმცა ანდრონიკეს, ჟამსა
მის მეფობისასა და მისგან ბერძენთა ამოწყუედისასა, შეეპყრა და
განეპატიჟა იგი მოყმე პოლიკარპოს. მსგავსი – ასურასტანისა და
შუამდინარისა ანტიოქელისა მეფისა შვილი იყო: უკუეთუმცა ჰქონე-
ბოდა გზა მრავალ-გუართა ბარბაროზთა შუაყოფისაგან, წამსაცა
შინა აქა პოვნილ იყო. კუალად სულტნისა ყიზილ-არსლანის² შვილთ-
აგანი ერთი, ამბვისა სმენითა ხელ-ქმნილი, ძალითლა-სამე დაიმჭირა
მამამან სჯულისა დაგდებისა შიშითა.

¹ ნიქოზი – ისტორიული სოფელი შიდა ქართლში (ახლანდ. გორის რაიონში), წარმოადგენდა საეპისკოპოსო ცენტრს.

² ყიზილ-არსლან მუზაფარ ალ-ღინი – ილდეგიზიდების დინასტიის წარმომადგენელი, აზერბაიჯანის (ერაყის სელჩუკთა სახელმწიფოში შემავალი პოლიტიკური ერთეული) ათაბაგი 1186-1191 წლებში.

ხოლო ახლო მყოფთა ესევეთარი აქუნდა ტრფიალი, რომელ არცა უღირსთა უღირსობისა აქუნდა კლემა-რცხუნა, არცადა თჳსთა თჳსობისა გავლენა. ვინაცა სახედ მზისა შარავანდნი ცისაგან იშუქებდეს მიწიერთა საჭურეტლად, ეგრეთვე ქუეყანისაგან თამარის კელმწიფობისა შარავანდთა ნათულთა ბრწყინვალეზანი ეფინებიან იატაკსა ამას ზედა ცისასა.

მცნობელმან ამისმან სალდუხის ძის ძემან, სახელით მუტაფრადინ,¹ აღარ დამხედმან მშობელთა არნეობისამან და დამედებელმან მუჰამედისამან, სჯულისა ტკბილისამან, რომელმან მოზიდვითა კაცთათა უმოდლურა კაცთა საწუთო ესე ნებასა ზედა თჳსსა, სურვილითა და სმენა-სატურფოთა სახეთაგან ძლეული მოვიდა წინაშე თჳთმფლობელისა, ყოველთა მეფეთა უზესთაესისა ამის თამარისა სამფლობელოთ თჳსით დიდითა ლაშქრითა, მრავლითა დიდებულითა, ზოჯაებითა და საჭურისითა, მონებითა და მკეველითა, ბარგითა და სიმდიდრითა, საკელმწიფოთა ძლუნითა კმასაყოფინელითა, თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ლართა თანა ავაზებისა და ტაიჭებისა სიმრავლითა. და წესისაებრ სახლისა საკელმწიფოსა მიეგებნეს დიდებულნი პატივითა და სიყუარულითა, მოიყვანეს სრად სამეფოდ, რომლისა პაპა სალდუხ ეზდინი პაპასა ამათსა დემეტრეს, კელმწიფესა დიდსა და სახელ-განთქმულსა, ჭაბუკსა გორგასლიანსა, ძალითა და ღუაწლთა სიმრავლითა კელთეგდო და მოეყვანა. აწ ამან სიტყჳთა, და ნუ უკუე არცადა სიტყჳსა ღირსებითა, მოიყვანა ვითარცა მონა მოხარკე. ნელიად და წყნარად და მიმყოვრებითრე უღარბაზა, რომელმან ნახვასავე თანა რამინისებრი აჩუნა ცრემლთა ნაკადთმრავლობა. დასუა პატივითა ტახტსა თანა სელითა, და იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლისა დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგუართა სახეობათა, მუტრიბთა და მოთამაშეთა განწყობილობათა, ნიჭთა და საბოძუართა და შემოსათა ვინაცა იქმნა უჰამრავი. ამას ესრეთსა სიყუარულსა, პატივსა და ბოძებასა შინა დაყო ჟამი ზამთრისა სომხითს და ტფილისს მომწონებელმან სანადიროთა ქუეყანათა და მოყმეთამან

¹ მუტაფრადინი - არზრუმელი უფლისწული. ამ პიროვნებას არ იცნობს აღმოსავლური წყაროები.

თუთ თავადის პატრონისამან, რომლისა სიკეთისა მითხრობა კაცთაგან შეუძლებელ არს. და ჟამსა ღანუყობისასა¹ თანაწარმტანელთა აჩუენეს საყოფნი სანადირონი, მინდორნი, მოედანნი და ქუემონი კახეთისანი და რანისანი. და რანისა დიდებულნი მოყმენი და ლაშქარნი, განალამცა მომწონებელნი და მაქებელნი, იშუებდეს და იხარებდეს და აღიდებდეს მომლოდენი ჟამისა მის პატრონისა მათისა უკუდავქმნილისანი.

გარნა ვინათგან თამარ ამაყი და ლალი, უჯგერო შესატყყსობისა, აზეებდა ფრთოვანებასა გონებისა მისისასა, შემოსრულთა ქალაქად სამეფოდ დაამკუეს ქუდმაღლობა ტრფიალისა მისისა, და წინა-უკმო საულისა იზოვა შვილი საღწუკეანი: მან მძებნელმან კარაულებისა² მამისამან პოვა მეფობა, ამან მძებნელმან მეფობისა და ზესთა მეფეთა მეფობისამან პოვა რომელი საულისა დანაკარგთ კამდა.

იყო ვინმე ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა. და ვინაცა მთქმელთა არა უქმ-საგონებლობისათა უფროსლა უქმ-მყოფელთა და დამასკუნელთა ქორწილისათა შერთეს და გარდაიკადეს ქორწილი სახელოანი. შემოსასა თანა მრავალ-მრავალსა უბოძნეს ცხენნი და აკაზბულობანი სხუათა საქონელთა და სიმდიდრეთა თანა და ლართა, და წარგზავნეს თუსად საყოფლად არზრუმად, გარნა თუ ვითარითა ცრემლითა და ვითარითა გლოვითა, გამოუთქმელ არს კაცთა ენისაგან.

ხოლო შემდგომად ამისა რეცა დარბაზობისა სახედ მოვიდა შარვანშა აღსართან,³ რომელი მიქდილ იყო ცნობათა სიყუარულისაგან და, სჯულისაებრ ბუელისა და თუთ დღესა ისლიმთასა, გუარისაგან განვლენილი, თუსისა სჯულისა დაგდებად განმზადებული, მოქენე იქმნა ყოველთა საქმის მოქმედთა, მოძღურისა და კათალიკოსისა, მიწუნდომელისა ქრთამისა მძებნელი. გარნა უქმ სადმე და ცუდ იქმნებოდის ზაკუანი ეშმაკისანი, ვინათგან აქუნდა თამარს სული მყოვარე და შეყუარებული ზენარისა მის ზუედრისა, და გონება, მშობელი სიტყყსა, გონებისა მის დიდისა მიმართ აღემსჭუალა, და

¹ ღანუყობა - გაზაფხული (ძვ. ქართ.).

² კარაული - სახეღარი (ძვ. ქართ.).

³ იხ. შენიშენა 3, გვ. 162

სეფე-გუარ ჰყოფდა ტაძარსა შედწილ განწმედილსა ღმრთისა სიტყვასასა. და ყოველთა მამონისაგან ძლეულთა და ქმნად მაწუეველთა სირცხულეულ ჰყოფდა მომსმენელთა სატანას ზაკუთ. წარმავლინებელმან წესისაებრ პატივითა და სიყუარულითა ნიჭ-მრავლობასა შინა მისცა მცნება: „ჰუალად აღარა შესძინედ ესევითართა თქმად“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“
შამქორის ბრძოლის წინ საქართველოს სამეფო
პარის დიპლომატიური კონტაქტების
(ამირ-მირმანისა და შირვანშაჰ აღსართანის
ვიზიტი საქართველოში), შამქორის ბრძოლისა
და მისი შედეგების შესახებ (1194-1195 წწ.)^[48]

„ამას ესევითარსა მძლეველობასა მტერთა და მკეცთასა, წინააღმდეგომთა და ურჩთა დამკობასა, შინათა და გარეთასა, გაქდა შიში და ზარი, სახელი ოთხ-ბუნებათა და ოთხ-კუთხებათა სულისა ანგელოზებისა, აღმოსავლეთით დასავლეთამდე, ჩრდილოეთით სამხრამდის.

ამას ჟამსა შინა მოიკლა ყიზილ-არსლან ათაბაგი... დარჩეს სამნი შვილნი ფალავანდისნი, მპყრობელად ყოვლისა სპარსეთისა, რომელთა მამისაგან და ბიძისაგან გაჰყოფოდეს ქუეყანანი ესრეთ: უფროსსა, ზუტლუ-ინანჩის, ერაყით ზუარასნამდის და ბაბილოანამდის; და შემდეგსა, ამირ-ბუბაქარს,¹ ადარბადაგანი სომხითამდის; და უმცროსსა, ამირ-მირმანს, არანი გურგანის ზღვთ² გელაქუნის ზღუადმდე.³ ამას შინა, ვითარ არს წესი მრავალმთავრობისა, შეიქმნა შური და კლმა, და სძლია ამირ-ბუბაქარ და აოტა უფროსი ძმა, და დაჯდა ათაბაგად. და უმცროსი ძმა არანიდაღმან, ამირ-მირმან, შეესიძა შარვანშას. და თუთ შარვანშას და მას ბელაყნის კარსა ზედა დაესხა და გააქცივნა, და თუთ დარჩა გადიდებული და გალაღებული ჟამადმდე. ხოლო ვინათგან ულონო იქმნეს შარვანშა და ამირ-მირმან, რამეთუ მას

¹ ამირ-ბუბაქარი, აბუ ბაქრი - ადარბადაგანის (სამხრ. აზერბაიჯანის) ათაბაგი, ყიზილ-არსლან ათაბაგის ძმისწული.

² გურგანის ზღვა - კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება.

³ გელაქუნის ზღვა - სევანის (იგივე გოგჩის) ტბის ძველი სახელწოდება.

ჟამსა შერისხვაცა მოიწია სახლსა ზედა შარვანისასა... შერყევით შუარყივნა და დასცნა ზღუდენი და ციხენი შამახიისანი; უჩინო იქმნეს ყოველნი მას შინა მყოფნი, რომელსა შინა წარწყმდეს შარვანშას ცოლი და შვილნი. და მსმენელთა ამისთა, მტყეებელთა თავისათა, დამსხმელთა თავთა ნაცრისათა, აღიხილნეს თუალნი მათნი, და არავინ იხილეს მქსნელი და მაცხოვარი მათი, გარნა ღმერთი მხოლოი და ღმრთისაგან ღმერთ-ქმნილნი დავით და თამარ. წარმოავლინნეს მოციქულნი შემოსახუეწელად ძღუნითა ურიცხვთა, თუალისა და მარგალიტისა ფასდაუდებელისა წარმოგზავნითა, და მოაჯეთა და მოქენეთაცა ამისთა: „ვინათგან ძალ აქუს ძალსა თქუენსა და ბრძნივ-გამორჩეულებასა და სუესა აღექსანდრიანსა თქუენ თამარისასა, სიმქნესა და სიქველესა თქუენ დავითიანისასა, უებრობასა ლაშქართა თქუენთასა აღებად ყოვლისა სპარსეთისა, – მაშინ დასუთ ასული თქუენი, ნათელი და შესატყყსი ნაყოფი საამო მეცნიერებისა და ბრწყინვალება შარავანდთ-მკრთომელობისა თქუენისა, პატრონად ყოვლისა სპარსეთისა“.

მაშინ არა-მადირსმან სიძობისამან უბრძანეს იმედი შუელისა და კელის-აპყრობისა; და განსცა ბრძანება და წარავლინა შიქრიკნი და მალე-მსბოლნი წუეევად ლაშქრისა იმერით და ამერით...

მაშინ მოვიდეს ამირ-მირმანი ფალავანდის-შვილი და აღსართან შარვანშა, ყოვლისა არანისა დიდებულთა და ჰულამითა. დადგეს კელმწიფენი სუე-სრულნი და ღმრთივ-აღმობრწყინვებულნი ჭალასა აგარათასა და პატივისმცემელთა ნების-მყოფლობისა მათისათა აწუეს და მოიწუეს დიდითა ზარითა და პატივითა დედოფალი რუსუდან...

და შეიყარნეს ზარითა მით გონებისა ზარგან კდილითა, და შეიქმნა დარბაზობა. და დასხდეს ტახტსა ზედა ოქრო-ჭედილსა თუთ თამარ, დავით და ძე მათი გიორგი, მადიდებელნი და მასახელებელნი ყოვლისა ულუმპიანობისა და შარავანდთ-მპყრობელობისა გუარფესუობისანი, და რომელთათუეს მოქალაქობისა მოქმედნი...

პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებნეს წინა ოვსნი და ყიფჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი; შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშკლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და

სუან-მეგრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ, და თუთ კარვის კარსა კელისუფალნი და შინაურნი.

ხოლო ვინათგან შინაური და თუსი იყო შარვანშა, პირველად შემოვიდა იგი და, თაყუანისმცემელი, მოიკითხეს წესისაებრ და დასუეს თუსსა ადგილსა. და შემდგომად ამისსა მოვიდა ამირ-მირმან, მამულად ძმისწული სულტანისა, შვილი ფალაჟანდისი... და მოიყვანეს პატივითა და ზარითა; მომკითხველთა დასუეს პატივითა და შეიტკბეს, ვითარცა შვილი, მოყმე კარგი და შესახედავ-საყუარელი. და მოასხეს დიდებულნი, ზოგნი ელდიგოზისნი, ზოგნი შვილთა მისთანი, ათაყუანნეს და მოიკითხნეს შესატყვისითა პატივითა.

და შეიქმნა სიხარული გულისა მათისა მიუთხრობელი და მათ, განცუფრებულ-ქმნილთა, ფიცითა დაამტკიცეს: „არა ნახულა კაცთა თუალთაგან, არცა წაგუკითხავს ძუელთა წერილთა შინა, გინა ახალთა, სახე თამარისი და მსგავსი ქცევითა ყოფისა მისისა“. და მოეწონა თუთ მეფე დავით და დიდებულნი და მოყმენი მათნი, და თქუეს მხიარულთა და იბედოანთა: „გავიმაგრნეთ გულნი ჩუენნი და აღვიძარცოთ კმაება შეჭირვებისა თუალთაგან ჩუენთა! ჭეშმარიტად ძალ-უც კსნა ჩუენი და კუალად-გება მამულადვე ჩუენდა“.

მაშინ ითხოვეს პური და შემდგომად პურობისა დაიდვეს ნადიმი, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი. იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მოშაითთა. იგინიცა დამოსნა ძურფასითა შესამოსლითა, იგი ორნივე და ლაშქარნი მათნი. დამყოფელთა მსგეფსისა ერთისათა ჰქონდა ყოველთა დღეთა სიხარული: მათგან ძღუნობა, ამათგან ბოძება, ნადირობა და ბურთობა. რომლისათუსცა ისმოდა ქება თუთ ამირ-მირმანისი და დიდებულთა და ჰულამთა მისთა, ვითა: „ერაყსა, ადარბადაგანსა და ერანს ამათებრნი მობურთაღნი არ დარჩომილან“.

უბრძანა მეფემან ამირსპასალარსა მისსა ზაქარიას¹ და მსახურთ-უხუცესსა ივანეს,² ჰერეთისა ერისთავსა გრიგოლს და სხუათა მოყმეთა

¹ ზაქარია მხარგრძელი — XII-XIII სს-ის მოჯნის საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ამირსპასალარი 1195-1212 წწ., მანდატურთუხუცესი 1195-1202/3 წწ.

² ივანე მხარგრძელი — XII ს-ის მიწურულისა და XIII ს-ის I მეოთხედის საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მსახურთუხუცესი 1191-1212 წწ., ათაგ-ამირსპასალარი 1212-1225 წწ.

და ჩავიდეს მოედანს. და მუნით ჩამოვიდა ამირ-მირმან მისითა დიდებულთა და მონითა, და თუთ თამარ საჭურეტელად პირითა მით ბრწყინვალითა და ნათელთა-მფენითა. ისლიმნი, დაჯერებულნი მეცნიერობისანი და მძლე-მბრძოლნი, მსწრაფლ იძლიენეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და მკჷმუნებელნი.

ამა სიხარულსა და შუებასა შინა ეკაზმოდეს და ემზადებოდეს დამსკუნელნი შულღისანი. და მოვიდეს და აცნობეს ათაბაგსა, ნახჭევანიდალმან ყოვლისა სპარსეთისა შეყრითა მყოლსა, არანს მოსულსა, რომლისადა წარმოეგზავნა ხალიფას დროშა მისი და ლაშქარნი, რომლისა თავსა ზედა იყო ოქრო ათასისა ხალიფურისა.

მაშინ შეკრბეს თამარს წინაშე ყოველნი ვაზირნი და სპანი და თუთ შარვანშა. დამასკუნელთა მიმართებისათა უყოვნელ ყვეს დღენი ყოველთავე თუთეულად თუმთა და თუთ შარვანშა და ამირ-მირმან წინაშე ითხოვეს სიტყუა მდაბლისა და გამარჯუებულისა, მძლევისა და წარმართებულისა პირისა მისგან სჯანისა.

და წარემართა დავით, წარმძლუანელი ძელისა ცხოვრებისა და შემყრელი დროშისა სჯანად მოკმარებულისა, ბაგრატიანურისა და უფროსდა გორგასლიანურისა.

წარსრულთა დაიბანაკეს წყალსა ზედა ელეკეცისასა. და მუნით აყრილნი მოვიდეს სიახლესა შანქორისასა, თუესა იენისსა ა(1), დღესა ხუთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარასკევად...

და რაჟამს იხილეს მეფე, დაეცა რისხვა ღმრთისა უხილავი და კრმლები და ჰოროლები მეფისა, რაზმთა მისთა მსრველი. და აჰა, მისლვამდი იოტეს და გააქციეს, დაათრვნეს ისარნი სისხლითა და კრმალნი ჭამდეს კორცთა მტერთა მათთასა. და მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევისა. და მიუწია მღევარმან ერთკერძომან განძის შუალმთამდი, ერთკერძომან მთამდი გელაქუნისა. არა თუ წარმქცეველი ერთი ათასთა და ორი ბევრთა იხილვებოდეს, არამედ შემომქცეველნი ერთი ათასთა და ერთი ბევრთა ტყუე-მქნელად კელმწიფეთა, დიდებულთა და აზნაურთა, გარნა ათაბაგი მხოლოდ განერა ერთითა მონითა. დაიონავრეს ქალაქნი სამნი, ვითა არს წესი სარკინოზთა ლაშქართა შინა-ქონება ქალაქთა და სიმდიდრეთა: ერთი ათაბაგისა, ერთი ათაბაგის ძისა ბეშქენ ქველისა, ერთი სათმაზ უზდინის

ძისა, რომლისა მამისა სიუხვსა სახელი სპარსეთს ასეთი ითქმოდა: „ჰათემ თაიელისა“. და წარუღეს დროშაცა ხალიფასაგან ლაზოდ¹ წარმოგზავნილი. მადლიანითა და ჭეშმარიტითა პირითა კურთხეული ესევეითარი აჩუენეს აწ საქმისა გამარჯუებულება. მიმკედრობითადა სამე ღვენისაგან შემოიქცა მეფე და მიეგება წინა ანტონი ვაზირი² კელგაპყრობით მადიდებელი ღმრთისა და თუთ ავსილი ლარითა და საჭურჭლითა ათაბაგისათა, რომელმან რიდობითა მონაზონობისათა არა იკადა მახული და მისრულმან სამითა ყრმითა შემოაქცია სამასი ჯორი და აქლემი.

მაშინ მოვიდეს მადიდებელნი სპანი და სპასალარნი და სპასპეტნი, თუთ შარვანშა და ამირ-მირმან; პირითა მხიარულითა გარდამოკდეს, თაყუანის-ცეს, დალოცეს და ქება შეასხეს მეფესა და ბუმბერაზთა მისთა. და მას ღამესა დაიბანაკეს სადგომსა მათსა, რომელი გუშინ მნახველთაგან აღარ იცნობებოდა. მადრასათა წილ აღმართნეს ეკლესიანი და მყივანთა წილ ჰკრეს ძელსა, და ნაცვლად მუყრთა იხილვებოდა ღალადება მღღელთა აღონაისადმი: უფალო საბაოთ ძალთასა.

ვითარცა განთენდა, მოვიდეს შანქორელნი და მორათუნეს კლიტენი. და ამღებელმან ქალაქისამან და ყოველთა მისთა მიმდგომთა ქალაქთა და ციხეთამან ითაყუანა ამირ-მირმან და უბოძნა მას. თუთ გაემართა განძას და მივიდა სიახლოესა ქალაქისასა: გამოეგებნეს დიდებულნი და დიდვაჭარნი, ყადი და მულიმნი. დაერდომით მიწაქნით თაყუანისმცემელთა შეასხეს ქება დავით მეფესა და ცრემლით მოქენეთა შეავედრნეს თავნი თუსნი და შვილნი; განახუნეს კარნი ქალაქისანი, და მიუფენდეს სტავარსა კართა-სრამდი სულტნისა, და გარდაასხმიდეს თავსა ოქროსა და ვეცხლსა, დრამასა და დრაჰკანსა. და ვითარცა შევიდა სრად, აღვიდა და დაჯდა ტახტსა სულტნისასა.

შეიქმნა დარბაზობა, და დასხნეს ამირ-მირმან და შარვანშა თუთუული თუსსა ადგილსა. ეგრეთვე ვაზირნი: მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი და შემდგომნი წესისაებრ, რომელიცა აქუნდა წესი

¹ ლაზოდ - გამარჯვების ნიშნად (ძვ. ქართ.).

² ანტონ გლონისთავისძე - XII-XIII სს-ის მოგნის ქართველი საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, მწიგნობართუხუცეს - ჭონდიდელი (1178-1185; 1190-1203/4 წწ.).

ჯდომისა და დგომისა, დასუეს. მაშინდელი ზარი და ზეიმი ვისმანცა ენამან გამოთქუა, ანუშცა ვისი გონება მისწუთა მეფობისა და სულტნობისა ერთად მქნელობასა, ათაბაგის ძისა და შარვანშას ყმად ყოლასა, ყოვლისა მუსულმანობისა ტყუე-ქმნასა შინა და რომელნი დარჩომილ იყვნეს მოსლვასა და სამიწოდ თაყუანებასა შინა? შეიქმნა პურობა და ნადიმობა შესატყვისი ჟამთა და მის დღისა.

მაშინ წარმოგზავნეს მახარობლად მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი.¹ და მოვიდა ტაბაკმელასა და ჰკადრა თამარს საქმე აღსავსე სიხარულითა გამოუთქმელითა. ხოლო აღუზავებელითა და წყნართა ტკბილითა სულითა და ლმობიერითა გულითა შეწირეს ღმრთისა მიმართ მადლი და ქება ჯეროვანი.

და ქალაქს სღვისა გამოძრჩეველნი მივიდეს სრასა. და მოვიდა მეფე და მის წინაშე ლაშქარნი, სავსენი წყალობითა ღმრთისათა, სახელითა მიუწდომელითა და სარგებელითა გამოუთქმელითა. მოიღეს ნიჭი, არმალანი და განძი აურაცხელი: კაცი (ქელმწიფე-აზნაურთა მონამდის) თორმეტი ათასი, ავაზა ორმოცი, ცხენი ოცი ათასი, ჯორი შუდი ათასი, აქლემი თხუთმეტი ათასი. დროშათა სხუათა, სიმრავლეთა საჭურჭლეთა, ოქროთა და ლართა ვინცა უძლო აღრიცხვად? იქმნა თამარისა შეწყალება, რომლისათჳს დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობელისასა, მსგავსად მამის პაპისა მათისა:² მაშინ მას წარეგზავნა მოძრცული ქედისაგან დორბეზე სადაყაის ძისა,³ ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი⁴ ოქროსა, შემკული თუალებითა ძურფასისათა.“

¹ ჭიაბერი — XII ს-ის 70-90-იანი წლების ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მანდატურთუხუცესი 1185-1195 წწ., ამირსპასალარი 1188-1195 წწ.

² იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი.

³ იხ. შენიშენა I, გვ. 142

⁴ მანიაკი — ყელსაბაში.

„ისტორიანი და აზმანი შარაკანდედთანი“
რუმის სულთნის რუმე ად-დინის ელჩის
საქართველოს სამეფო კარზე დიპლომატიური
ვიზიტის შესახებ (1202 წ.)^[48]

„ესე ესმა მაღალსა სულტანსა სელჩუქიანსა, სახელით რუქნადინს,¹ რომელი უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა, რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაბადუკიასა ვიდრე პონტოდ ზღუადმდე. ამან მოუწოდა ყოველსა სიმრავლესა სპასა მისსა და შეკრბა კაცი ორმოცი ბევრი, რომელ არს ოთხასი ათასი. და წარმოავლინა მოციქული მეფეს წინაშე და წარმოსცა წიგნი, რომელსა წერილ იყო სახე ესევეთარი:

„ღმრთისა ოდენ უქუენესისა და ყოველთა კიდეთა მპყრობელისა! ყოველი დიაცი რეგუენია, და შენ გიბრძანებია ქართველთათჳს აღებად კრმალი მუსლუმანთა კოცად. ესე არცა რომელ კრმალი დიდისა მოციქულისა მოჰმედისა, მისისა ერის თავისა, ბოძებულთა. აწ წარმომივლენია ყოველი მკედრობა ჩემი, რათა აღეკოცო ყოველი მამაკაცი მაგ ქვეყნისა, და ცოცხალი იგი ოდენ დარჩეს, რომელი წინამოგებებოს, თაყუანის-ცეს ჩათრსა ჩემსა, სასოება იგი თქუენი ჯუარი წინაშე ჩემსა დალეწოს და მოჰმადი აღიაროს“.

ნაცვალი სიტყუა მეფისა ნუქრადინისადმი

„ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ნუქრადინო, და ვცან სიცრუევენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! შენ ოქროსა მევირეთა სიმრავლისად მინდობილ ხარ, ხოლო მე არცა სიმდიდრესა და არცა ძალსა სპათა ჩემთასა, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და ჯუარისა წმიდისა, რომელი შენ ჰგმე. აწ წარმომივლენია ყოველი მკედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა. იყავნ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!“

¹ რუქნადინი, რუქნ ად-დინ სულეიმან შაჰი - რუმის სულთანი 1196-1204 წწ.

და ვითარ მოვიდა მოციქული და შეიყვანეს მეფეს თანა თამარსა წინაშე, წიგნი მისცა და წარდგა, იწყო არა-საკადრებელთა სიტყუათა თქმად: „უკეთუ მეფემან თქუენმან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად; და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა!“ ვითარ ამპარტავნად იტყოდა სიტყუათა ამათ, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და უხეთქა კელითა პირსა, და ვითარცა მკუდარი დაეცა და იღვა. ვითარ აზიდნეს და ამართეს და ცნობად მოვიდა, რქუა ზაქარია: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმელა თავისა, კადნიერად კადრებისათჳს. აწ არა არს სიტყუა! ესე წიგნი მიართჳ ნუქრადინს და არქჳ: ჩუენ მზა ვართ წყობად და წინამოგებებად, სამართალი ღმრთისა იყავნ!“

მისცა ესევეითარი წიგნი. და მერმე შემოსეს და ნიჭი უბოძეს, წარგზავნეს პასუხითა მწუავითა.“

**ბასილი ეფოსმომღვარი თამარ მეფის მიერ
უცხოეთის ქართულ საკანემიზემ ზრუნვის,
ტრაპიზონის იმპერიის დარსების შემსახემ
(1204 წ.)^[51]**

წარავლენდის სარწმუნოთა თჳსთა და დაავედრის ესრეთ: „იწყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა“, და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათჳს რადლა საკმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა, და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკათჳს ოქროთა აურაცხელთა.

ტყუენი განათავისუფლნის და ხარკი ერისა თჳთ უკუნ სცის, და ყოველი ჭირი დაჭირებული აღიღის მათგან.

კუალად კერძოთა ელადისათა და მთაწმიდას, ეგრეთვე მაკედონიისათა პეტრიწონს, კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისავრიას, კურუსეთს, და ყოველთა მათ სანახებთა შავის მთისათა და კჳპრისათა. ესე

ყოველნი აღავსნა ქველის საქმითა, რომლისათჳს ისმინეთ, თუ ვითარ მოხედვიდა ღმერთი საქმეთა მისთა:

მოიწინეს ოდესმე ჩუეულებისაებრ ქველის-მოქმედებათათჳს ამის-თა მონაზონნი შავისა მთისა, ანტიოქიით და კუპრისა ჭალაკით, ეგრეთვე მთაწმიდით და მრავალთა ადგილთათ. შეიწყნარნა თამარ ჩუეულებისაებრ ვითარ ანგელოზნი, და მრავალ დღე არა გაუშვნა, მერმე მისცნა ყოველთა დიადი, და აღავსნა ყოვლითა საქმრითა. უკანასკნელ მათგან უფრო შორიელთა მისცა დიდძალი ოქრო, თუთ მათთჳს და ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად. წარვიდეს მონა-ზონნი იგი და მიიწინეს რა კოსტანტინეპოლედ, ესმა მეფესა ბერძენთასა ალექსის,¹ ანგარსა, რომელმან ძმასა თუსსა ისაკს² თუაღნი დასწუნა და მეფობა წარუღო. ესე ყოვლითურთ ბოროტი კაცი იყო, და შეუ-ტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათჳს საძაგელ იყო ყოველთა მიერ. იხილა სიდიდე იგი ოქროსა, რომელი მიეცა თამარს და წარუღო მათ მონაზონთა.

ცნა რა ესე თამარ მეფემან, ნაცვლად სხუა უფროსი წარგზავნა მათ წმიდათა მიმართ, და ამით უმეტეს არცხვნა ეშმაკი. ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ღიბთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონისა და პონტოსანნი, და მისცა ნათესავსა თუსსა ალექსის კომნიანოსსა,³ ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თუთ წინაშე თამარ მეფისა შემოხუეწილი.“

¹ ალექსი — ბიზანტიის იმპერატორი ალექსი III ანგელოსი (1195-1203 წწ.).

² ისაკი — ბიზანტიის იმპერატორი ისაკი II ანგელოსი (1185-1195; 1203-1204 წწ.).

³ ალექსი კომნენოსი — ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი (1204-1222 წწ.). დიდი კომნენოსების დინასტიის ფუძემდებელი, ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე I-ის (იხ. შენიშვნა 1, გვ. 162) შთამომავალი.

ბერძენი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი
ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ
(1204 წ.)^[52]

„კირ-ალექსი დიდმა კომენმა,¹ 22 წლისამ, კონსტანტინეპოლიდან გამოსულმან, თვის მამის მხრივ ძალუას თამარის მეცადინეობით და დახმარებით, ივერიითგან გამოლაშქრებულმან, დაიჭირა ტრაპიზონი თვესა აპრილსა (1204).“

სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი თამარ
მეფის, ზაქარია და ივანე მხარბრძელების
მოღვაწეობის შესახებ
(XII ს. მიწურული - XIII ს. დასაწყისი)^[53]

„ამ დროს ცხოვრობდნენ სახელოვანი მთავრები ზაქარია და ივანე... – ქურთთა ტომიდან, (ისინი) ჩავიდნენ ძორაგეტის მეფესთან, რომელიც ბაგრატიუნთა ტომიდანაა, მიიღეს ქრისტიანობა და პატივი. მათ საცხოვრებლად მისცეს ხოშორნი და რადგან უმამაცესნი იყვნენ, დღითი-დღე აღწევდნენ სიმაღლესა და პატივს. ისინი განსაკუთრებით დაწინაურდნენ თამარის დროს და (მან) უბოძა ლორე. მათ თავიანთი მამაცობით მოკლე დროში წაართვეს თურქებს ბევრი ციხე-სიმაგრე და გავარი: 640 (1191) წელს აიღეს შირაკის ქვეყანა, 645 (1196) წელს ანბერდი, 648 (1199) წელს ანისი, 650 (1201) წელს ბიჯნისი, 652 (1203) წელს დვინი, 655 (1206) წელს ყარსის სამეფო, შემდეგ გეტაბაქსი და ჩარექი. მათ სახელი გაითქვეს მთელ ქვეყანაზე. მაგრამ ივანემ, შეცდენილმა თამარ დედოფლის მიერ, შეიცვალა სარწმუნოება და ამას მოჰყვა წარუმატებლობა. იგი ტყვედ ჩავარდა ხლათში და გათავისუფლდა თავისი მამაცი ძმის სახელით, რომელმაც თავისი ასული ცოლად მიათხოვა ხლათის მფლობელ მელიქ აშრაფს.² ხოლო ზაქარია, უფროსი ძმა დარჩა ძველ და

¹ იხ. შენიშვნა 3, გვ 181

² ალ-მელიქ ალ-აშრაფი – ხლათის აიუბიანთა გამგებელი ალ-მალიქ ალ-აშრაფი, ეგვიპტის აიუბიანთა სახელმწიფოს სულთნის ალ-ადილის ვაჟი.

საკუთარ სარწმუნოებაზე... (ზაქარია) იყო დიდებული, ძლევამოსილი და ხარკის მდებელი მთელ მეზობელ ტომებზე.

თამარის მეფობის დროს გაძლიერდნენ ქრისტიანები. მიუხედავად ამისა, (თამარმა) მიატოვა რუსი ქმარი და გაჰყვა ოს სოსლანს,¹ რომელმაც აავსო საქართველო თურქთაგან (წართმეული) ტყვეებით და ალაფით. მისგან ეყოლა ერთადერთი ვაჟი და დაარქვა მას ლაშა. (თამარს) ეპყრა გვირგვინი 23 წელიწადი და აღესრულა. ტახტზე ავიდა ლაშა, რომელსაც ჯარმა გიორგი უწოდა.

659 (1210) წელს... დიდმა ზაქარიამ ააოხრა სპარსეთი ქალაქ არტავილამდე,² შური იძია რა ქრისტიანთა სისხლისათვის. ამის გამო ბრძანა დაეწვათ ხალხით საცხე მათი სამლოცველო, მსხვერპლად შესწირა რა მთავრებს, რომლებიც ნახიჭევანის ეკლესიებში (დაიღუპნენ)... (ზაქარია) დაბრუნდა ამ ხოცვა-ჟლეტიდან, აღსრულდა მართლმადიდებლური რწმენით და დასაფლავებულია წმ. სანაინის მონასტერში³ 661 (1212) წელს.“

¹ დავით სოსლანი (გარდ. დაახლ. 1203 ან 1204 წ.) – XII-XIII სს. მიჯნის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. თამარ მეფის მეორე ქმარი, ოსეთის ბეგრატიონთა შტოს წარმომადგენელი (იხ. შენიშვნა 2, გვ. 121).

² არტავილი, არდებილი – ქალაქი ჩრდ. დასავლეთ ირანში.

³ სანაინი – შუა საუკუნეების მონასტერი სოფ. სანაინში (ახლანდ. ქ. ალავერდი, სომხეთი). შუა საუკუნეებში ჩრდ. სომხეთის ერთ-ერთი უმთავრესი კულტურის ცენტრი.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური
 აღმოჩენა და დიპლომატია XIII-XV სს-ში

ჴრანგი რაინდის დე ბუას წერილი
 ბეზანსონის არქივისკოპოსის ამედე დე
 ტრემლესადგი (1211 წ.)^[53]

ქრისტეს მიერ სასიქადულო მამას და პატრონსა საყვარელსა ა
 (მედეს), ღვთის განგებით ბეზანსონელ არქივისკოპოსს,¹ გ... დე ბუა,
 მდაბალი მხედარი, ამენ. ვიცი ჩემი კეთილდღეობა თქვენთვის სასიხ-
 არულოა, ამისათვის საცნობელ იყოს თქვენდა, რომ, ნებითა ღვთისი-
 თა, მე და მეუღლე ჩემი ჯანმრთელად და უვნებლად ვიმყოფებით.

აღქმის ქვეყნისა და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილთ ამბავთაგან
 შემდეგი განვიზრახე მოკლედ აღმენიშნა – სულ თუ არა, ჴოგიერთი
 რამ მაინც, რაც უფრო საყურადღებოდ ჩანს. პირველად საცნაურ
 იყოს თქვენდა, რომ იერუსალიმის სამეფოს² ჴავი აქვს სარკინო-
 ჴებთან; ანტიოქიის სამთავროსაც,³ რომელმან ურიცხვი დევნა გან-
 იცადა ხან ბაბილონის სულთნისაგან,⁴ ხან სომხეთის მეფისაგან,⁵
 ხანგრძლივი დაზავება აქვს ჴემოთქმულ სულთანთან.

აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად
 მივიღე, და საქმის სიჭეშმარიტე სანდო მოციქულთაგან გავიგეთ,
 რომ ივერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგენებად წოდებულნი,
 ურიცხვი მხედრობითა და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელი
 დახმარებით ძალათა ფრიად აღჭურვილით, ურწმუნო წარმართთა
 წინააღმდეგ სწრაფად აღდგენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9

¹ ბეზანსონის არქივისკოპოსი – იგულისხმება ამედე დე ტრემლეი, რომელიც ბიზან-
 სონელად 1195-1220 წლებში იჯდა.

² იერუსალიმის სამეფო – ჯეაროსანთა მიერ 1099 წ. შექმნილი იერუსალიმის სამეფო.

³ ანტიოქიის სამთავრო – ჯეაროსანთა მიერ 1098 წ. შექმნილი ანტიოქიის სამთავრო.

⁴ იგულისხმება ეგვიპტის სულთანი და სირიის მბრძანებელი მალექ-ალ-ადინი (1200-
 1218).

⁵ იგულისხმება კილიკიის სომეხი მეფე ლეონ II.

დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ერთი ეფვრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა და დიდი, იმ ქალაქის პატრონი ბაბილოვნის სულთნის შვილი იყო; ზემონათქვამ ქრისტიანთაგან ტყვედ ქმნილს, თავი მოეკვეთა, თუმცა უზომო ოქროს განძის მიცემა აღუთქვა.

კერძოდ რაღა მოგახსენოთ? ზემო აღნიშნული წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი¹ წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუნოებით. ჭბუკი ესე დედამისისს დედოფლის უძლიერესის თამარის² ნეშტს თან ატარებს, რომელმაც, სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დასდვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვალებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებიათ. მან კი დედის თხოვნათა ყურადმღებულმა და დედის აღთქმის შესრულების მსურველმა, დააპირა მისი (გვამის) წმიდა ქალაქში წამოღება წარმართთა ნებით თუ უნებლიეთ“.

აკრის ეპისკოპოსის იაკობ დე ვიტრის ცნობა
ძართველების ურთიერთობების შესახებ
მუსლიმებთან და მათ უფლებრივ პრივილეგიებზე
წმინდა მიწაზე (XIII ს. I მემოთხედი) ^[54]

გარდა ამისა, აღმოსავლეთის მხარეში ძალზე მეომარი სხვა ქრისტიანი ხალხიც ცხოვრობს, ბრძოლაში გამობრძმედილი, მამაცი, ძლიერი, უზარმაზარი ლაშქრის პატრონი. სარკინოზებისათვის³ ძალიან საშიშნი არიან, სპარსელების, მიდიელებისა და ასირიელებისთვისაც, რომელთა შორის ცხოვრობენ; ყოველი მხრიდან ურწმუნოებით გარშემორტყმულნი, ძალიან ხშირად სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებ-

¹ საქართველოს მეფე ლაშა-გიორგი (1207/1210/1213-1223 წწ.).

² თმარ მეფე (1184-1207/1210/1213 წწ.).

³ სარკინოზები – მუსლიმთა საერთო სახელწოდება ძველ საქართველოში.

ში ჩაბმულან მათთან. ამ ხალხებს გეორგიანებს უწოდებენ იმიტომ, რომ წმინდა გიორგის, რომელიც მფარველად და დამცველად ჰყავთ ურწმუნო ტომებთან ბრძოლაში (იგი თითქოსდა წინამძღოლობს მათ), სხვა წმინდანებს შორის გამორჩეულად სცემენ პატივს და ეთაყვანებიან. ეს ხალხი საღვთო წიგნებისათვის ბერძნულ სიტყვებს იყენებს, რიტუალებში ბერძნულ წესებს იცავს, მის სამღვდელოებას მრგვალი გვირგვინი აქვს, საერო კი – ოთხკუთხა. როცა უფლის საფლავის მოსანახულებლად მიეშურებიან, არავითარ ბაჟს არ იხდიან, წმინდა ქალაქს გაშლილი დროშებით უახლოვდებიან. სარკინოზებს ვერ წარმოუდგენიათ დააბრკოლონ ისინი, თუ, ვთქვათ, სამშობლოში დაბრუნებისას სხვა მეზობელ სარკინოზებს ბაჟს არ გადაუხდიან. ესენი (ქართველები) აღშფოთებულნი დაემუქრნენ დამასკოს მთავარს კორადინუსს იმიტომ, რომ მათი ნების გარეშე იერუსალიმის კედლის დანგრევა განიზრახეს, როცა ლათინებმა ქალაქი დამიეტს¹ ალყა შემოარტყეს“.

ჰენსან (ჰინსენტი) დე ბოვეს ცნობა
საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობის
შესახებ (XIII ს. პირველი მეოთხედი) ^[55]

ქართველთა საელჩოსგან ჩვენს თანამემამულეებს. დამიეტას აღებამ ისინი აღაფრთოვანა და გააოცა. ამ ქალაქის აღების შესახებ მთელს ქვეყანაში გავარდნილმა ხმამ ქართველებს უბიძგა, ქრისტიანთა ბანაკში გაეგზავნათ წერილი, რომელშიც წერდნენ: ამ მოვლენამ მათი ხალხი აღავსო გულისტკივილით, ან კიდევ უფრო მეტად, სასიკეთო სირცხვილით. როდესაც მათმა მეფემ მოუხმო მთავრებს, ხალხმა გადაწყვიტა და დაიფიცა, ალყა შემოეერთყათ სარკინოზების რომელიმე განთქმული ქალაქისათვის, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ქართველებისათვის სამარცხვინო იყო იმის ხილვა, თუ როგორ გამოლახეს ფრანგებმა საშიშროებით აღსავსე უკიდევანო ზღვა, მოვიდნენ ქვეყნის დასალიერიდან და ხანგრძლივი ალყის შემდეგ აიღეს

¹ დამიეტა – ქალაქი ევპატეში.

ეს ასე კარგად გამაგრებული ქალაქი, როდესაც თვითონ, ვისთვისაც უფრო ადვილი იქნებოდა სპარსელებთან შებრძოლება, იარაღით აღჭურვილნი არ იპყრობდნენ დამასკოს ან რომელიმე სხვა ცნობილ ადგილს. ქართველები მართლაც ქრისტეს თაყვანისმცემელი ხალხია, ბერძნულ წესს¹ იცავენ, სპარსელთა მეზობლად ცხოვრობენ და შორს არიან აღთქმული მიწისაგან; მათი ტერიტორია გადაჭიმულია თითქმის კასპიის მთებამდე. მამაკაცები მებრძოლნი არიან, თავზე ტონზურა² აქვთ, სასულიერო პირებს – მრგვალი, ხოლო საეროებს – ოთხკუთხედი. წარჩინებული ქალები განსწავლულნი არიან საომარ ხელოვნებაში. როცა მამაკაცები საომარ მწყობრში ემზადებიან მტერთან შესაბრძოლებლად, ერთი ყლუპით სცლიან წყალგარეულ ღვინით საესე პატარა მათარას და ამის შემდეგ მაშინვე მამაცურად მიაქვთ იერიში მოწინააღმდეგეზე“.

**აღმოსავლეთის მაკმადიან მბრძანებელთა
მიმართვის ფორმა საქართველოს მიწა
ლაშა-გიორგისადმი ¹⁵⁶**

„მაღალი საკრებულო; აღზევებული მეფე; სახელგანთქმული დიდგვაროვანი; ძლევამოსილი მსაჯული; ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს სიდიადე; ქრისტესმოსავთა შემწე; იესუელთა მფარველი; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელი; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსი: ღვთაების რწმენის შემნახველი; აბხაზის, შაქის და ალანის მეფეთა მეფე; მესიის თანაშემწე ლაშა, ძე მეფის გიორგის ასულისა“.

¹ იგულისხმება მართლმადიდებლობა.

² ტონზურა – საქორეზე მოპარსული ადგილი.

არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი ქართველთა
მიერ ანტიმონღოლური კოალიციის შემქმნის
შესახებ (XIII ს. 20-იანი წწ.)^[57]

„ამ წლის ბოლოს (1221 წ. თებერვალი) ალ-ადილის¹ ძემ ალ-მალიქ ალ-აშრაფ მუსამ² იკტად მისცა ქალაქი ხლათი,³ ყველა მისი ოლქი, სომხეთი, ქალაქი მაიაფარიკინი – დიარ-ბაქრში და (აგრეთვე) ქალაქი ჰანი – თავის ძმას, ალ-ადილის ძეს, შიჰაბ ად-დინ ლაზის, აილო მისგან ქალაქი რუჰა და ქალაქი სარუჯი ალ-ჯაზირაში და გაგზავნა ის ხლათს 618 წლის დასაწყისში (1221 წ. თებერვალი-მარტი) და მიზეზი ამისა იყო შემდეგი: ქართველებმა, როცა თათრებმა⁴ მათ ქვეყანაზე ილაშქრეს და დაამარცხეს ისინი, მოაოხრეს მათი ქვეყანა და მათი მრავალი მცხოვრები გაჟლიტეს, გაუგზავნეს (მოციქული) აზერბაიჯანისა და არანის მფლობელს უზბეგს⁵ და სთხოვეს მას დაზავება და კავშირი თათრების მოსაგერიებლად. ამავე მიზნით მათ გაუგზავნეს (მოციქული) ალ-მალიქ ალ-აშრაფს და შეუთვალეს ყველას; თუ არ შეგვითანხმდებით ამ ხალხის წინააღმდეგ საბრძოლველად და ჩვენი ქვეყნიდან მათ უკუსაგდებად და არ მოხვალთ თქვენ, თქვენი ლაშქრებით ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის, (იცოდეთ) ჩვენ ვითონ შეგუთანხმდებით მათ თქვენს წინააღმდეგ.

ალ-აშრაფთან მათი ელჩები მაშინ მოვიდნენ, როცა ის ფრანკების⁶ გამო ეგვიპტეში გასამგზავრებლად ემზადებოდა. მას ჰქონდა რამდენიმე არგუმენტი. პირველი ის, რომ ფრანკები დაეუფლნენ დამიეტას⁷ და ახლო იყვნენ ეგვიპტის დაპყრობასთან და რომ დაეპყროთ, მაშინ აღარავის დარჩებოდა მეფობა სირიაში და სხვაგან. მეორე – ის, რომ ფრანკები უფრო დაუოკებლები იყვნენ, სურდათ დაპყრობა

¹ ალ-მალიქ ალ-ადილი (1200-1218) – აიუბიანთა სახელმწიფოს სულთანი.

² ალ-მალიქ ალ-აშრაფი – ხლათის აიუბიანთა გამგებელი, ალ-ადილის ვაჟი.

³ ხლათი – ქალაქი ისტორიულ სომხეთში (ახლანდ. თურქეთში), XII-XIII სს-ში იყო ხლათის სასულთნოს პოლიტიკური ცენტრი; წარმოადგენდა ამიერკავკასიისა და წინა აზიის უმნიშვნელოვანეს საეკონომიკურ-სატრანსპორტო პუნქტს.

⁴ იგულისხმებიან მონღოლები.

⁵ უზბეგი – აზერბაიჯანის ათაბაგი უზბეგი (1210/II-1225).

⁶ იგულისხმებიან ჯეკარონები.

⁷ დამიეტა 1219 წ. ნოემბერში აიღეს მეხუთე ჯეკარონული ლაშქრობის მონაწილეებმა.

და თუ ერთ სოფელსაც კი დაიპყრობდნენ, არ დატოვებდნენ მას, ვიდრე შეეძლოთ მისი დაცვა, ერთი დღეც კი. და მესამე – ფრანკებს სურდათ დაუფლებოდნენ ალ-ადილის სახლის სახელმწიფო ტახტს – ეგვიპტეს და თათრებს ჯერ არ მიუღწევიათ მისთვის და არ გადაულახავთ რაიმე (საზღვარი) მისი ქვეყნიდან და არ არიან ისინი, ვისაც სურთ შეეცილონ სამეფოში. მათი მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ძარცვა, ხოცვა, ქვეყნის მოოხრება და ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანაცვლება. და როცა მოვიდნენ ქართველი ელჩები, როგორც მოვიხსენიეთ, მოუბოდიშა, რომ მიემგზავრებოდა ეგვიპტეში, ფრანკებისაგან (მის) დასაცავად და უთხრა მათ; მე ხლათის ოლქი იქტად მივეცი ჩემს ძმას და გავგზავნე იქ, რათა იყოს თქვენს მახლობლად და დავუტოვე მას ჯარები. როცა დაგჭირდებათ მისი დახმარება, (მაშინ) მოვა თათრების მოსაგერიებლად და გაემგზავრა ეგვიპტეს“.

რუსუდან დედოფლის წერილი რომის პაპს კონორიუს III-სადმი (1223) ^[58]

„უწმინდესო პაპო, მამაო და ყველა ქრისტიანის მეუფეო, ნეტარი პეტრეს ტახტის მპყრობელო, საქართველოს თავმდაბალი დედოფალი რუსუდანი,¹ ერთგული მსახური და შენი ასული ფერხთა წინაშე შენთა თავსა ვხრი და მოგესალმები.

უფალი ღმერთის იმედი მაქვს, რამდენადაც შენ დიდი და ამაღლებული ხარ, იმდენად უფალი შენს სურვილს შეასრულებს და შენს თავდადებულებას დაამშვენებს: თუ შენდამი გამოგზავნილი წერილის გამო ტკბილად განეწყე ჩვენს მიმართ და, ალბათ, იკითხავ ჩვენს მდგომარეობას, ვაუწყებთ შენს უწმინდესობას, რომ ძმა ჩემი – ქართველთა მეფე² – გარდაიცვალა და მისი სამეფო მე დამრჩა. ასე რომ, ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენი ქვეშედრომი ქრისტიანისათვის.

¹ რუსუდანი – საქართველოს მეფე 1223-1245 წწ.

² იგულისხმება გიორგი IV ლაშა.

ღამიეტში მყოფი შენი ლეგატისაგან¹ მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დასახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი სურვილიც იყო და წასასვლელადაც ემზადებოდა, მაგრამ, თუ თქვენც გაიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათართა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვსი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა. ჩვენ მათგან საფრთხეს არ ველოდით, რადგან ისინი ქრისტიანები გვეგონა. მაგრამ როგორც კი მივხვდით, რომ ისინი კეთილი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინვე შეერთებული ძალებით შევეუტიეთ მათ, ოცდახუთი ათასი კაცი დაუხოცეთ, ბევრი ხელთ ვიგდეთ, დანარჩენი გავდევნეთ ჩვენი მიწებიდან. ამის გამო დავრჩით და ლეგატის მითითებისამებრ ვერ წამოვედით.

დიდად გავიხარეთ, როდესაც შევიტყვეთ, რომ შენი ბრძანებით იმპერატორს მართებს, წმინდა ადგილების დასახსნელად ახლა სირიაში გადავიდეს. მოგვწერეთ ჩვენ, თუ როდის უნდა წავიდეს იმპერატორი და ჩვენც გავაგზავნით ჩვენს მხედარმთავარს ივანეს² მთელი ჩვენი ჯარით ქრისტიანების დასახმარებლად, წმინდა საფლავის გასათავისუფლებლად. (ჩამოვლენ) იმ ადგილას, სადაც მას უბრძანებთ ჩასვლას.

აგრეთვე გაუწყებთ, რომ ხსენებულმა მხედართმთავარმა და ჩვენი სამეფოს ბევრმა წარჩინებულმა მიიღო ჯვარი და თქვენს გამოხვლას ელოდებიან. ამისთვის ვევედრებით და ვთხოვთ შენს უწმინდესობას, მოგვწეროს წერილი და გვიბოძოს თავისი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანებს.

ამ წერილის მომტანს, ჩვენს საყვარელს დავითს, ანის ეპისკოპოსს, ისე ერწმუნე ყველაფერში, თითქოს ეს სიტყვები ჩვენი პირით გასმენოდეს.

შენს წმინდა ლოცვებში მოგვიხსენიე.“

¹ ლეგატი – რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი.

² ივანე მხარგრძელი – XII ს-ის ბიწურელისა და XIII ს-ის I მეოთხედის საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მსახურთუხუცესი 1191-1212 წწ., ათაბაგ-ამირსპასალარი 1212-1225 წწ.

კაკი კონორიუს III-ის საპასუხო წერილი რუსუდან დედოფალს (1224 წ.)^[58]

„შენი კეთილად ყოფნის ერთგულების სულისკვეთებით აღსავსე წერილი მამობრივი კეთილმოსურნეობით მივიღეთ და ყურადღებით შევისწავლეთ მისი შინაარსი...

შენი ძმის – საქართველოს მეფის, გარდაცვალების გამო, ნათელი ხსოვნა მას, მამობრივი გულისტკივილით ვიზიარებთ შენს მწუხარებას. მაგრამ მაინც გვიხარია ის, რომ მისი სამეფო შენ მშვიდობიანად მიგიღია, როგორც ამას ამავე წერილით გვატყობინებ.

გისურვებთ, რათა ღმერთმა, რომლის ხელშია სამეფოთა სამართალი და მათი მმართველობა, შენ და შენი სამეფო დაიცვას და მის მიმართ ზრდიდეს ყოველგვარ სიკეთეს სარწმუნოებასა და ერთგულებაში.

თუმცა ჩვენ ზორციელად თქვენგან შორს ვიმყოფებით, მაგრამ სულიერად თქვენთან ვართ. შენ და შენი სამეფო სხვა ქრისტიანებს გულითადი თვალით გიყურებთ და გვიყვარხართ რწმენისათვის, რომელიც თქვენ უფალო იესო ქრისტესადმი გაქვთ. მის მიმართ თქვენი რწმენა მით უფრო მისაღებია, რამდენადაც თქვენ ამ რწმენას იცავთ ურჯულო ხალხთა გარემოცვაში. ამ ურჯულო ხალხთა შორის თქვენ ანათებთ, როგორც ლამპარი სიბნელეში და იტანჯებით ისე, როგორც შრომანი ეკლებში, რისთვისაც დაჯილდოებული იქნებით, მიაღწევთ რა სასურველ მიზანს. ეს იქნება თქვენი სულების ხსნა...

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ შენ გსურს შეიტყო ქრისტეს მიერ საყვარელი შვილის, რომაელთა ბრწყინვალე და უავგუსტოესი იმპერატორის, სიცილიის მეფის, ჩვენი ფრიდრიხის¹ სალაშქროდ წასვლის დრო, გვთავაზობ რა შენს დახმარებას და მონაწილეობას წმ. მიწების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვაქვებთ უფლისმიერ შენს მისწრაფებას, ამ წერილით მოგახსენებთ, რომ იმპერატორს განზრახული აქვს მიიღოს მონაწილეობა ურწმუნოთა ხელიდან წმ. მიწების განთავისუფლებაში დიდმშენიერებით და დიდსულოვნებით წმ. იოანე ნათლისმცემლის დღესასწაულიდან ერთი წლის შემდეგ.

¹ ფრიდრიხ II კონშტაუფენი – საღვთო რომის იმპერიის იმპერატორი 1220-1250 წწ.

დიდძალი მორწმუნეებით და მთელი აღჭურვილობით, ქრისტეს შემწეობით, ისე როგორც ეს შეეფერება იმპერატორის დიდებულებას.

შემდეგ, მიუთითებთ შენს უბრწყინვალესობას და მოვეუწოდებთ მას უფლის მიერ, რათა თანახმად შენი საქებარი დაპირებისა, ეცადო და ისე მოამზადო შენი ლაშქარი, რომ შესძლო შენი დიდებულები-სათვის ღირსეული სამსახური გაუწიო უფალ იესო ქრისტეს.

რათა შენ და შენი ქვეშევრდომები უფრო მეტი გულმოდგინებით და უფრო მეტი ღვთისმოსაობით ემზადებოდეთ ესოდენ წმინდა საქმისათვის, რითაც დიდ სამსახურს გაუწევთ უფალს, შენს ერთგულებას ვაუწყებთ, რომ ვინც ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს: ან თვითონ წავა თავის ხარჯზე, ან თუ თვითონ ვერ წავა, მაგრამ შესაძლებლობის მიხედვით, თავის ხარჯზე შემცვლელ ადამიანს გაგზავნის, ასევე ისიც, ვინც სხვის ხარჯზე პირადად მიიღებს მონაწილეობას – ყველა ისინი მიიღებენ მოციქულებრივ შენდობას ყველა ცოდვის მიტევებით, რასაც ისინი ჭეშმარიტად მოინანიებენ აღსარების თქმის დროს.

ასეთივე შენდობას დაიმსახურებენ ლაშქრობის სხვა მონაწილეებიც მათი წვლილისა და მისწრაფების მიხედვით, რომელთაც ისინი გამოიჩინენ, დაეხმარებიან რა წმ. მიწას თავიანთ ქონებით ან ზემოაღნიშნული მოქმედებით. ამ იმდენად დიდ ინდულგენციას,¹ რომელიც დამტკიცებულია წმინდა და მსოფლიოს ეკლესიის კრების მიერ, ჩვენ ვუბოძებთ ყველა ქრისტიანს, ხოლო განსაკუთრებით შენ და შენი სამეფოსა და მმართველობის ქვეშ მყოფ ყველა ქვეშევრდომ ქრისტიანს.

შენ გაეცი განკარგულება, გამოუცხადონ ამ წერილის შინაარსი შენს ქვეშევრდომ ქრისტიანებს, რომლებსაც ჩვენ შენი თხოვნით ვუბოძებთ მოციქულებრივ ლოცვა-კურთხევას. გპირდებით რა შენც და მათაც, ყველა შესაფერის შემთხვევაში, სამოციქულო საყდრის კეთილგანწყობილებას და მოწყალებას.

დაწერილია ლატერანში მაისის დღეებში, ჩვენი პაპობის მერვე წელს.“

¹ ინდულგენცია – ცოდვების მიტევების სიგელი, რომელსაც კათოლიკური ეკლესია რომის პაპის სახელით იძლეოდა განსაკუთრებული დამსახურების ან შესყიდვის ფასად.

არაბი ისტორიკოსი ალ-ბაღდადი ჯალალ
ალ-დინის ელჩის საქართველოში მოსვლისა და
ხვარაზმელთა ლაშქრობის შესახებ
(1225/26 წწ.)¹⁵⁹¹

„როცა მოახლოვდნენ ხვარაზმელები,¹ მათი ელჩი ეახლა დედოფალს² ტკბილი სიტყვით. და როცა მასთან იყო დარბაზობაზე, მოვიდა მაცნე ამბით, რომ ეს ხალხი აოხრებდა ქვეყნის სანაპიროებს. მაშინ დედოფალმა უთხრა ელჩს: „ამგვარად იქცევიან მეფეები? ელჩს ერთ ალაპარაკებენ და თვითონ კი საწინააღმდეგოს აკეთებენ? და ბრძანა მისი გაძევება“.

შამთააღმწერელი გარნისის ბრძოლის შემდეგ,
ჯალალ ალ-დინისა და ავაგ ათაბაგ-
ამირსპასალარის შესვიდრის შესახებ
(1225/26 წ.)¹⁶⁰¹

„მაშინ ცნა სულტანმან ჯალალდინ³ ავაგ ათაბაგისა და ამირსპასალარისა⁴ ბიჯნის(ს)⁵ ყოფა, ინება ნახვა მისი, მოუვლინა მოციქული და რქუა: „შენ ხარ ვაზირთუხუცესი, და ითუალავ საქართველოსა. თუთოთა კაცითა შევკრებთ, რამეთუ მნებაეს სიტყუად შენ თანა“. სთნდა ავაგს და ნება-სცა ხილვად. წარვიდა ჭურვილი ერთითა კაცითა, და იქით სულტანი ხრამსა ზედა ბიჯნისისასა ერთითა მონითა, ჭურვილი იგიცა, და შეკრიბეს მახლობელად ერთიერთისა. მაშინ იწყო სულტანმან სიტყუსა თქუმაღ; „არა მოვედ მე რბევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშვიდობისათუს. გარნა თქუენ მსწრაფლ საომრად აღიჭურნეთ და ფიცხლა შემებენით, და არა

¹ იგულისხმება ჯალალ ალ-დინის ლაშქარი.

² იგულისხმება მეფე რუსუდანი.

³ ჯალალ ალ-დინი, ჯალალდინი (გარდ. 1231) – ხვარაზმში 1220-1231 წწ., ხვარაზმში მუსამედის ვაჟი.

⁴ ავაგ მხარგრძელი (გარდ. 1250) – XIII ს-ის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ათაბაგ-ამირსპასალარი 1225-1250 წწ.

⁵ ბიჯნი, ბიჯნისი – ციხე-ქალაქი სომხეთში, მხარგრძელთა მამული.

იქმნა მშუდობა. აწ ვინათგან წარჩინებულ ხართ ქართველთა შორის და ვაზირი კარსა მეფისასა, ისმინე ჩემი: გასმია გუარი და ნათესავი ჩემი, სიდიდე სამეფოსა ჩემისა და სიმრავლე, რომელ არავის კელმწიფესა ძალებდა სწორება ჩემი. მე ვარ მალლისა და დიდისა კელმწიფისა ხუარაზშმას¹ ძე და ფირმანსა ჩემსა ქუეში იყო ყოველი სპარსეთი ადარბადგნით ვიდრე ჯეონამდე² და ჯეონით ვიდრე ინდოეთამდე, თურანი, ხატაეთი,³ ჩინმაჩინი⁴ და ყოველი აღმოსავლეთი. განგებითა ზენითა გამოჩნდეს ქუეყანასა ჩინეთისასა, ადგილსა შეურაცხსა, ყარაყურუმად⁵ წოდებულსა, კაცნი ვინმე საკურველნი,⁶ უცხონი და უცხოთა ცხოვრებითა მყოფნი, რომელთა ყოველნი აღმოსავლეთი დაიმორჩილნეს და მრავალნი კელმწიფენი მოსრნეს. კელმწიფედ ჰყვის კაცი ვინმე საკურველი, ღრმა და გამგონე, მქნე ბრძოლასა შინა, სახელითა ჩინგიზ ყაენი.⁷ ამან რა კელთ-იგლო ხატაეთი, წარვემართე ლაშქრითა ერანითა, თურანითა, სპარსითა, თურქმანითა, და მრავალგზის ბრძოლა-გყავთ ჯეონს იქით და უკანასკნელ ჯეონს აქათაცა. გარნა იქმნა ქცეულება ბედისა ხუარაზშმას სახლისა და ყოველგან ვიძლიე. და ვითარ განძლიერდეს და ვცან, არღარა იყო ღონე, დაუტყვე სამეფო ჩემი, წარმოვედ საქართველოსა მშუდობისა და ზავისა ყოფად. მესმა სიმაგრე ქუეყანისა და ქართველთა ნათესავისა სიმქნე წყობათა შინა. აწ მნებაეს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა. მესმიეს, რომელ მეფე თქუენი დედაკაცი არს, და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენ ზედა, და ესძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა. უკეთუ არა ჰყოთ, მოოკრდეს

¹ იგულისხმება ხუარაზშმაჰი მუჰამედი (1200-1220 წწ.).

² ჯეონი - მდ. აზუდარია.

³ ხატაეთი - შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით, ჩრდილოეთ ჩინეთის სახელწოდება.

⁴ ჩინმაჩინი - შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით, ცენტრალური და სამხრეთ ჩინეთის სახელწოდება.

⁵ ყარაყურუმი - მონღოლთა სახელმწიფოს დედაქალაქი. იგი 1220 წელს დააარსა ჩინგის-ყაენმა მდ. ორხონის ზემოწელში. მშენებლობა 1235 წელს დაასრულა ჩინგის-ყაენის ვაჟმა და მემკვიდრემ უკელეი ყაენმა.

⁶ იგულისხმებიან მონღოლები.

⁷ ჩინგის-ყაენი, თემუჩინი (დაახლ. 1155-1227 წწ.) ერთიანი მონღოლთა სახელმწიფოს დამაარსებელი. გამოჩენილი მონღოლი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ერთიანი მონღოლთა სახელმწიფოს დამაარსებელი, 1206 წელს ყურულთაიზე აირჩიეს დიდ ყაენად.

სამეფო თქუენი. თუ მე წარვიდე, თათარნი ეგრეცა მოსულ არიან, თქუენ ვერა წინააღუდეგით. წარვლინეთ კაცი მეფესა თქუენსა წინაშე და აუწყეთ თქმული ჩემი, რამე თუ არა მნებავეს ოჯრება საქართველოსა, არამედ დავიცავ მტერისაგან, და თქუენ მიერ მე განვძლიერდე“.

და ესმა სიტყუანი სულტანისანი ავაგს არა პასუხუგო, არამედ თქუა: „ვაუწყებ თქმულსა მაგას მეფესა და ვაზირთა მისთა“. მსწრაფლ წარავლინა კაცი წინაშე მეფისა და აუწყა თქმული.

ვითარ მოიწია თქმული ესე და იხილეს წიგნი, განკურდა მეფე და უცხო-უნდა საქმე ესე. და მოუმცნეს ავაგს არცა თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად განყენებად. ხოლო ავაგ მიუმცნო სულტანსა. მან რა მოისმინა, აიყარა და წარმოემართა ტფილისს, რათა ბრძოლოს ქალაქსა.“

კაკი ბრიგოლ IX-ის წერილი რუსუდან
დედოფალსა და მის შვილს – დავით მეფეს
(1240 წ.) ^[61]

„გვიხარია თქვენს გამო, შვილებო! დიდად ნასიამოვნები და გახარებული ვართ, რომ თქვენი მაღლით ღმერთის სიტყვა გიღიარებიათ და თქვენს სამფლობელოებში, როგორც თქვენ იწერებით, ეკლესიის დაბადების დღიდან სარწმუნოება მტკიცედ და შეურყეველად შევინახეთ.

ორმაგად გვიხარია, რომ ღმერთის ძემ, თავისი ზეციური გულმონყალების მეოხებით თქვენ მიგიყვანათ მისი სახელის აღიარებამდე, რათა მოენიჭებინა თქვენთვის, ყოველგვარი სიკეთით აღსავსეთათვის, მის სიკეთესთან ზიარება...“

ამრიგად, მოგილოცავთ თქვენ ისევე, როგორც თქვენ მოგვილოცეთ ჩვენ და სხვებს, რომლებამდეც ქრისტეს სარწმუნოება აღწევს; თქვენ გახარებული ხართ, რომ ჩვენ მივუხლავთ ღმერთს ღირსეულ პატივს და ჩვენ ვიმსახურებთ მისი რწმენით მარადიულ სიცოცხლეს. ამრიგად, ჩვენ გვაქვს ურთიერთობა თქვენგან ჩვენთან მოსული და ჩვენგან თქვენთან დაბრუნებული წერილების მეშვეობით და, როდესაც ეხედავთ, რომ თქვენში (როგორც ხედავთ, ჩვენშიც) ქრისტიან-

ული სარწმუნოება განდიდებულია, ჩვენ ვხარობთ ურთიერთის ღვთის-
მოსავი სიხარულით.

(არის მძლავრობა თათრებისაგან, რომლებსაც, ბოლოსდაბოლოს,
განდევნიან). თქვენს წერილში მოცემულმა ცნობამ, რომ თათრები,
კათოლიკური ეკლესიის მტრები, თქვენს სამეფოს თავს დაესხნენ და
თქვენ მძიმე ზარალი მოგაყენეს, ჩვენი სიხარული შეამცირა და
დაგვანაღვლიანა.

მაგრამ ჩვენ კვლავ ვპოულობთ აღფრთოვანების საბაბს, რომ
თუმცა თქვენ უკან დაგიხვევიათ ხსენებული მტრის წინაშე, მაგრამ
დამარცხებულებს გამარჯვებულთათვის გამარჯვების დაფნა წაგირთ-
მევიათ და დიდი მარცხი მიგიყენებიათ იმის გამო, რომ მათ გაბედეს
თქვენს წინააღმდეგ იარაღი აღემართათ.

თქვენ ვალად გღვეთ, ჩვენი მწუსარება გაიზიაროთ, ვინაიდან ჩვენ
ახლა სარწმუნოების მრავალრიცხოვანი მტრებისაგან დევნას გან-
ვიცდით და გარდა სარკინოზებისა, რომლებიც კათოლიკური სარწ-
მუნოების წინააღმდეგ ესპანეთსა და სირიაში იბრძვიან, სხვებიც –
ქრისტიანული სარწმუნოებიდან განდევნილნი, მთელი ძალებით უფა-
ლის ეკლესიას თავს ახვევენ ახალ დამღუპველ სექტას, ცდილობენ
აღმოფხვრან ამ ქვეყნად მხსნელი და დამცველი სარწმუნოება...

ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ ქარიშხლის შემდეგ ჩვენი მხსნელი
სიმშვიდეს მოგვცემს და არ დააყოვნებს, სამოციქულო ტახტის
მტრები მის ფერხთა წინაშე დაამხოს.

ამრიგად ჩვენო შვილნო, ნუ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის
მხედრობა არ მოვა ხსენებული თათრების წინააღმდეგ თქვენს დასახ-
მარებლად, ვინაიდან ამის საშუალება არ მოგვცეს ბიწიერმა სარკი-
ნოზებმა, რომლებიც ჩვენს და თქვენს შორის იმყოფებიან და რომელთა
განდევნასაც ვცდილობთ ხსენებული სირიიდან. ამასთანავე, ტერი-
ტორიული სივრცე, რომელიც ჩვენ შორისაა, რომელმაც ჩვენამდე
ძლივს გამოატარა თქვენი ამბები, საშუალებას არ გვაძლევს, თქვენს
დასახმარებლად მოვიდეთ, რამდენადაც მთელი ძალებით ვცდილობთ
დავიცვათ ქრისტიანული სარწმუნოება იტალიასა და ხსენებულ ქვეყ-
ნებში – სირიასა და ესპანეთში.

ამიტომ არ გვაქვს საშუალება, გაგიწიოთ თქვენ სხვა დახმარება.

ჩვენ ვუგზავნით თქვენს ბრწყინვალეობას წერილს, რათა იცოდეთ მაინც ჩვენი მხრიდან დახმარების შეუძლებლობის ამბავი, გაიგოთ ჩვენი წერილიდან ის სიყვარული, რომელიც ჩვენ თქვენს მიმართ გვაქვს.

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ გვთავაზობთ და ითხოვთ – თქვენი სულიერი სახლი შეუერთოთ ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს ღიღებულებას, რადგანაც ეს სურვილი უფრო ძლიერად და სათანადოდ მოემსახურება თქვენს ხსნას და თქვენს მიმართ ჩვენს სიხარულს, რაც არსებობს თქვენი ხსნის ღონისძიებათა სრულყოფისათვის, ვინაიდან კათოლიკური ეკლესია, ქრისტეს ძალა – ერთია, უფალი მოციქულთა მეთაურს ნეტარ პეტრეს, აძლევდა რა უფლებამოსილებას და ხელისუფლებას, მიუთითებდა მის გადაწყვეტილებაზე; „და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნან მას“.

შამთაალმწერელი ავაგ ათაბაგის ბათო
ყანთან ელჩობის შესახებ
(XIII ს. 30-40-იანი წწ. მიჯნა) ^[60]

„ავაგ, რომელი ამირსპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა მეფისა რუსუდანის მიერ, წარავლინა ჩაღატა ნოინმან¹ წინაშე ღიღისა ყანისა ბათოსა,² და ხლათისა სულტანი. წარვიდეს უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა. და ვითარ მიიწინეს წინაშე ბათოსა, რომელი იყო მას ჟამსა უმთავრესი ყანთა და უზეშთაესი და უაღმატებულესი შუენიერებითა, თანაწარეყვანა ათაბაგსა ავაგს ივანე ახალციხელის ძე,³ სახელით დავით, ეჯიბი

¹ ჩაღატა – მონღოლთა ერთერთი ნოინი. რომელიც ხელმძღვანელობდა ირანსა და ამიერკავკასიაში მონღოლთა დაპყრობით ომებს. ჟამთააღმწერლის ცნობით მას სამცხე აუოხრებია. სომეხი ისტორიკოსები მის სახელს უკავშირებენ ქ. ლორეს დაკავებას. ნოინი – მონღოლთა სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის ღუშნის მეთაური.

² ბათო ყანი – XIII ს-ის I ნახევრის ცნობილი მონღოლი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, „ოქროს ურდოს“ დამაარსებელი და ყანი 1227-1255 წწ.

³ ივანე ახალციხელი – XII ს-ის მიწურულისა და XIII ს-ის I მეოთხედის ცნობილი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, შალვა ახალციხელის ძმა.

ავაგისი, რომელმან რქუა ავაგს: „ვინათგან უცხოთა ნათესავთა მობართ მოიწიე და არა უწყი, თუ რა ყოფად არს ჩუენდა, ესრეთ განგაზრახებ, რათა ვიქმნე მე, ვითარცა პატრონი და მთავარ შენდა, და შენ იქმნე მონა. უკეთუ ენებოს მოკუდინება შენი, მე მოვიკლა და არა შენ. არღარა ვგონებ, უკეთუ ბატონი მოიკლას, ყმათაცა დაქოცად“. და ესრეთ მრავლითა ვედრებითა და იბულებითა დაარწმუნეს ავაგ ამისდა ყოფად. ვითარ შევიდეს წინაშე ბათოსა, წინაწარიძღუნა დავით, ვითარცა უმთავრესი. და ესოდენ სათნოება ქმნა დავით, განმწირველმან თავისამან პატრონისათუს სიკუდილად. იხილა ყაენმან ბათო, განიხარა და დიდად პატივ-სცა მრავალთა დღეთა. და ვითარ ცნეს კეთილის-ყოფა ბათოსაგან და უშიშ იქმნეს სიკუდილისა, ერთსა დღესა შეუწოდა ბათო. და ავაგ წინწარუძღუა, რომელი იხილა რა ყაენმან. განკურვებითა შემხედველი ეტყოდა ავაგს: „არა სადამე მეცნიერ ხარა, რომელ პატრონი არს შენი, რომელი უკანის შენსა დგას და წინა წარმოსძღომიხარ?“ ხოლო დავით ღიმილით ეტყოდა: „დიდო, დიდო განმარჯუებულო ხელმწიფეო! ეგე არს პატრონი და მე მონა მისი“. და განკურვებული ყაენი ჰკითხვიდა მიზეზსა მისსა ყოფად, რომლისთუს დავით თქუა: „მის ძალითა ვყავ, დიდო ყაენო, რომელ არს მეცნიერნი ვართ შენნი, და არ უწყოდით, რას შეგუამთხუევდით. უკეთუ გენება მოკუდინება, მემცა მომკუდარ ვიყავ უწინარეს და არა პატრონი ჩემი“, რომლისათუს დიდად განკვირდა და აქო დავით და თქუა: „უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგევითარი არს. ვბრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რომელნი არიან მორჩილებასა ქუეშე მონდოლთა, უმჯობეს და უწარჩინებულეს იყვნეს, და მოდოლთა თანა მკედართა აღრაცხონ, მამული და საქონელი მათთა კელთა შინა იყოს და ყოველსა შინა მისანდოდ იყვენენ“. ამისთუს ბრძანება დააწერინა და წარმოსცა.“

სომეხი ისტორიკოსი ბრიგოლ აკანელი
ქართველთა უფლისწულის დავით ღაშას ძის
სამშობლოში დაბრუნებისა და გამეფების
შესახებ (XIII ს. 40-იანი წლების შუა ხანები) ^[62]

„ხოლო მხნე და სახელოვან ქართველთა ჯარს უკვე კარგა ხანია აღარ ჰყავდა თავისი მეთაური და მეფე. ღაშას ქალი რუსუდანი¹ გარდაიცვალა და ქართველები დარჩნენ უპატრონოდ, როგორც სამწყსო, რომელსაც არ ჰყავს მწყემსი. ამ დროს ღვთის განგებით (ქართველებმა) განიზრახეს (გაემეფებინათ) თავიანთი მეფის ძე დავითი, რომელიც საპყრობილეში იჯდა ჰორომებთან. ქართველთა მთავრებმა შეიპყრეს ჰორომთა ჯარის მთავრები, და მიიყვანეს ბაჩუსთან,² რომელიც იყო თათართა მეთაური, და გამოჰკითხეს წამებით მეფის ძის დავითის შესახებ. როცა შეავიწროეს ისინი გამოკითხვითა და სასტიკი ცემით, როგორც თათრის ჩვეულებაა, მაშინ აღიარეს და თქვეს, რომ (დავითი)³ იმყოფება კესარიაში, შებორკილი ხაროში.

ქართველთა მთავრებმა ფრიად გაიხარეს. მათ, ბაჩუ ნოინისა და თათართა სხვა მეთაურების ბრძანებით, გაგზავნეს ბრძენი მთავარი ვარამი, გაგის უფალი;⁴ გაატანეს თათართა ერთი სხვა მთავარი 100 მხედრით და გაგზავნეს ისინი დიდი სიასათით კესარიას. როდესაც წავიდნენ, ღვთის ნებით პოვეს მეფის წული დავითი დიდსა და ღრმა გვირაბში, ხოლო ღვთის ნებამ დაიცვა ის ცოცხლად ღრმა საპყრობილეში. როცა დაინახეს იგი თათრის ჯარმა და დიდმა მთავარმა ვარამმა, გაოცდნენ დიდად მისი ცოცხლად ყოფნის გამო და აღიღეს ღმერთი...

გამოიყვანეს ის საპყრობილედან, ჩააცვეს მას საპატიო სამოსელი, შესვეს ცხენზე და წაიყვანეს თავის ქვეყანაში. როცა მიაღწიეს დიდ ქალაქ თბილისს, ფრიად განიხარეს ყველა ქართველმა მთავარმა.

¹ მემატიანე შეცდომით მეფე რუსუდანს გიორგი IV ღაშას შვილად მიიჩნევს.

² ბაჩუ — მონღოლთა ერთ-ერთი ნოინი ბიჩო, ბაიჯუ ჩორმაღანის შემდეგ — ნოინთა მთავარი. მის სახელს უკავშირდება კარნუ-ქალაქის აღება, რუმის სულთნისა და კილიკიის სომხური სამეფოს დამორჩილება.

³ დავითი — საქართველოს მეფე დავით VII ულუ (1247-1270 წწ.). გიორგი IV ღაშას უკანონო ვაჟი.

⁴ ვარამ გაგელი (მხარგრძელი) — XIII ს-ის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მსახურთუხუცესი, გაგის ციხის (მდებარეობდა მდ. ღებედის ზემოწელზე) მფლობელი.

მიიღეს ბრძანება ბაჩუ ნოინისაგან და ალთან ხათუნისაგან,¹ რომელიც იყო ცოლი ჩორმალანისა, რადგან ამ დროს გარდაცვლილი იყო ჩორმალანი და მის ცოლს ჰქონდა ღანობა. მისცა ბრძანება და (გააყოლა) მხედრობა დიდ მთავარს ვარამს და გააგზავნა დიდ ღანთან, რომელიც იყო აღმოსავლეთში. ღვთის შემწეობით ისინი წავიდნენ, ნახეს ღანი და მიუთხრეს, რაც გადახდა მეფის ძეს. მიიღეს ბრძანება დიდი ღანისაგან, მოიყვანეს და დასვეს დავითი მისი მამის ტახტზე, თბილისში. ძლიერ გაიხარეს ქართველმა მთავრებმა, უწოდეს მას „ვარამული მეფე“, ე. ი. „ვარამ, დასვი მეფედ“. ახალი მეფის დასმის გამო ერთხანს დაწყნარდა ქართველთა და ალვანთა ქვეყნები.“

კლანო კარაინი მონღოლთა მიერ უცხო სახელმწიფოებთან ზავის დადების შესახებ^[63]

„უნდა ითქვას, რომ ისინი არავესთან არ ჰკრავენ ზავს იმათ გარდა, ვინც მათ ემორჩილება, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩინგიზ-ყანიდან ბრძანება აქვთ, თუ შესაძლებელია, ყველა ერი დაიმორჩილონ. და, აი, რას ითხოვენ ისინი მათგან: როცა მათ მოესურვებათ, მათთან ერთად გაილაშქრონ ყველას წინააღმდეგ და მეთუდი მისცენ როგორც ადამიანებისა, ისე ქონებისაგან. გადათვლიან რა ათას ჭაბუკს, ერთს წაიყვანენ... ხოლო როცა მათზე სრულ ძალაუფლებას მოიპოვებენ, არასოდეს მოცემულ დაპირებას არ ასრულებენ, არამედ ყოველგვარ საშუალებას ეძებენ მის დასარღვევად...“

თათრები ხარკს ღებულობენ აგრეთვე იმ ერებისაგან, რომელნიც მათგან შორს ცხოვრობენ და ისეთ ერებს მეზობლობენ, რომელთაც ისინი რამდენიმედ უფროსიან ან ვერ დაუფლებიან; ისინი მათ უფრო ადამიანურად ეპყრობიან, რათა მათ ჯარები არ გამოგზავნონ თათრების წინააღმდეგ, ან კიდევ რათა სხვებს არ შეეშინდეთ თათრებისადმი დამორჩილება. ასე მოექცნენ ისინი ობეზებს (აბხაზებს) ანუ გეორგიელებს (ქართველებს), რომელთაც, როგორც ვთქვით, 50 თუ

¹ ალთან ხათუნი - ჩორმალან ნოინის ცოლი. ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ ეყრა მისი ხელისუფლება.

40 ათას ჰიპერპერს ან ბიზანტინს ახდევინებენ და სხვა მხრივ ამ მიზეზის გამო აღარ აწუხებენ. ამისდა მიუხედავად, როგორც მათგან გავიგეთ, მათ განზრახული აქვთ ამბოხება მოაწყონ.“

კლანო კარაინი მონღოლთა დიდი ყაენის კარზე ორი დავითის (დავით ულუ და დავით ნარინის) სამეფო ტახტისათვის კამეჩრობის შესახებ^[61]

„თუ იმ ხელმწიფეებს, რომელნიც მათ დამორჩილდნენ, რაიმე სადაო შემთხვევა წარმოეშვათ, ისინი მის გასარჩევად თათრების იმპერატორთან უნდა გაემგზავრონ, როგორც ეს გეორგიის (საქართველოს) მეფის ორ ვაჟს მოუხდა. ერთი მათგანი კანონიერი იყო, სახელად მელიქი;¹ ხოლო მეორე – დავით² – გაჩნდა როგორც მრუშობის ნაყოფი. ამ უკანონო ვაჟს მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა. მეორე, რომელიც უფრო ახალგაზრდა იყო, თავისი დედითურთ წავიდა თათრების იმპერატორთან, სადაც გაემგზავრა აგრეთვე დავითიც. მელიქის დედა, საქართველოს დედოფალი, რომელთანაც შეუღლების ძალით მისი ქმარი³ ამ სამეფოს ფლობდა, ვინაიდან იქ ქალები მფლობელობენ, გზაში გარდაიცვალა. მათ კი, მისვლის შემდეგ, მრავალი საჩუქარი დაარიგეს; განსაკუთრებით ბევრი საბოძვარი გასცა კანონიერმა ვაჟმა, რომელიც ითხოვდა, რომ მისთვის დაებრუნებიათ მამის მიერ დავითისათვის დატოვებული მამული, ვინაიდან, მისი სიტყვით, ის მრუშობის ნაყოფი იყო და არ შეეძლო მისი ფლობა. დავითი კი უპასუხებდა: თუმცა მე ხასისი შვილი ვარ, მაგრამ სამართალს ვთხოულობ თათრების კანონის მიხედვით, რომელიც არავითარ განსხვავებას არ ხედავს კანონიერ ცოლისა და მხვევალის მიერ დაბადებულ ვაჟებს შორისო. ამიტომ ეს საქმე კანონიერი ვაჟის წინააღმდეგ გადაწყდა: ის დავითს დაუმორჩილეს, როგორც უფროსს, რომელსაც უბრძანეს წყნარად და მშვიდობიანად დაუფლე-

¹ კლანო კარაინი დავით VI ნარინს მოიხსენიებს ტიტულით.

² იგულისხმება დავით VII ულუ.

³ იგულისხმება რუსუდან მეფის მეუღლე. არზრუმელი უფლისწული ღიას ად-დინი, რომელსაც გაქრისტიანების შემდეგ საქართველოში დიმიტრი უწოდეს.

ბოდა მამის მიერ დატოვებულ სამკვიდროს. ამრიგად, მელიქმა დარი-
გებული საჩუქრები დაჰკარგა და თავისი ძმის დავითის წინააღმდეგ
წარმოებული საქმე წააგო.“

სიმონ დე სან-კვინტინის ცნობები მონღოლთა
დიკლომატიური მტიკატიის შესახებ
(XIII ს. I ნახ.)^[64]

„ამ წინასწარმეტყველების შემდეგ მონღოლთა წარმომადგენლები
დაბრუნდნენ თავიანთი ბატონის ბანაკში. იქ ცოტა ხანს შეჩერდნენ,
გამოიკვალეს ტანსაცმელი, მივიდნენ ძმებთან და უთხრეს: „თუ გსურთ
ჩვენი ბატონის სახის ნახვა, როგორც ღვთის შვილს, როგორც
მთელი მსოფლიოს მპყრობელს, უნდა სცეთ პატივი და სამჯერ უნდა
მოიყაროთ მუხლი მის წინ. ასე გვიბრძანებს ჩვენ ჩვენი ხანი, ღვთის
შვილი, მთელი მსოფლიოს ბატონი, რომ თაყვანი ვცეთ ყველამ ასევე
ბაიჯუ ნოინს¹ და ბათოს, მათთან მისვლისას. ასე ვაკეთებდით დღემ-
დე და მომავალშიც მტკიცედ დავიცავთ ამ წესს“. ძმები შეყოყმანდ-
ნენ და დაიწყეს ბჭობა ერთმანეთში, როგორ მოქცეულიყვნენ. ბაიჯუ
ნოინისადმი ეს თაყვანისცემა აშკარად კერპთაყვანისმცემლობად ან
რადაც ამგვარად მიაჩნდათ. მაშინ ძმა გვიხარდ კრემონელმა, რომელმაც
იცოდა თათრების წეს-ჩვეულებანი, რაც მან ქართველებისაგან ისწავ-
ლა, რომელთა შორის ქალაქ ტრიაფელისში (თბილისში) ცხოვრობდა,
იგი მათ შორის ტრიალებდა 7 წელი, თქვა: „თქვენ ნუ გაშინებთ
კერპთაყვანისმცემლობა. იგი თქვენგან ამას კი არ მოითხოვს, არამედ
ეს თაყვანისცემა იქნება უფლის, პაპის, მთელი რომის ეკლესიის
მორჩილების ნიშანი“. ძმებმა გადაწყვიტეს, რომ უმჯობესია დაიხოც-
ნონ, ვიდრე მუხლები მოიდრიკონ ბაიჯუ ნოინის წინაშე – რათა ხმა
არ გავრცელებულიყო მთელს აღმოსავლეთში, რომ მათ ქედი მოუხ-
არეს ამ თაყვანისცემით თათრებს და მიზეზი მისცეს მტრებს მედი-
დურობისა და სიხარულისა; რათა ქართველები, სომხები, ბერძნები,
სპარსელები და თურქები არ დაბრკოლებულიყვნენ; რათა მათგან

¹ ბაიჯუ – იგივე ბაჟუ ნოინი (იხ. შენ. 2, გვ. 199).

დატყვევებულსა და დამორჩილებულ ქრისტიანებს არ წართმეოდათ იმედი მომავალში ღვთისაგან ხსნისა და სიმტკიცედაკარგულები, სიკვდილის შიშით ბაიჯუ ნოინს არ დამორჩილებულიყვნენ და ამით სამუდამოდ არ მოსჭროდათ თავი.“

მარკო კოლოს ცნობები საქართველოსა და მისი მეფეების შესახებ (XIII ს. II ნახევარი) ^[65]

„საქართველოში მეფეს ყოველთვის დავით-მელიქს უწოდებდნენ, რაც ნიშნავს „მეფე-დავითს“; იგი თათრებს ემორჩილება. ძველ დროში ყველა მათი მეფე მარჯვენა მხარზე არწივის ნიშნით იბადებოდა. იქ მცხოვრებნი (ქართველები, დ. ნ.) კარგი შესახედაობის არიან და გამოირჩევიან როგორც უბადლო მსროლელები და ყველაზე გაბედული მეომრები. ისინი ბერძნული წესის ქრისტიანები არიან და თმას ჩვეულებრივ, ეკლესიის მსახურთა მსგავსად, მოკლედ ატარებენ.

ეს ის ქვეყანაა, რომლის საზღვრებიც ალექსანდრემ ვერ გადალახა, როდესაც ამ რეგიონში (Pont) შეღწევას ლამობდა, რადგან ხეობა ძალიან ვიწრო და საშიშია; ერთ მხარეს ზღვა აკრავს, ხოლო მეორე მხარეს იმდენად მაღალი მთებია აღმართული, რომ ცხენოსანი გავლას ვერ შეძლებს. სრუტე ოთხ ლიგაზეა გადაჭიმული, ისე რომ, რამდენიმე კაცი მას მთელი დანარჩენი მსოფლიოსაგან დაიცავს. ალექსანდრემ იქ ძლიერი კოშკი ააგო, რათა ხელი შეეშალა უკანა მხრიდან მომხდურთა შემოღწევისათვის, ამ კოშკს რკინის კარი (ჭიშკარი) ეწოდა. ეს ის ადგილია, რომელზეც ალექსანდრეს წიგნი მოგვითხრობს, იქ, სადაც საუბარია მის მიერ თათრების ორ მთას შუა მომწყვდევაზე; თუმცა, ისინი ნამდვილი თათრები არ ყოფილან, რადგან იმ დროს თათრები არ არსებობდნენ. ესენი იყვნენ ყივჩაყები და სხვა ჯურის ხალხები.

ამ პროვინციაში ყველა ტყე ბუხის (box-wood) იყო. იქ ბევრი ქალაქი და სოფელია, დიდი რაოდენობით მზადდება აბრეშუმი. ისინი ასევე ამზადებენ ოქროს ქსოვილებსა და ძალიან ძვირფასი აბრეშუმის ყველა სახის საქონელს. ამ ქვეყანაში მსოფლიოში საუკეთესო შევარდენს (სონლული) (goshawk) (რომელსაც Avigi-ს უწოდებენ)

აშენებენ. აქ მართლაც არაფერი აკლიათ; ხალხი ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევს. ეს მთიანი რეგიონია, სავსე ხეობებითა და ციხე-სიმაგრეებით – თათრებმა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს მისი მთლიანად დამორჩილება.

ამ ქვეყანაში არის წმ. ლეონარდის სახელობის ქალთა მონასტერი, რომლის შესახებაც საინტერესო ამბავს ვიამბობთ. ეკლესიასთან ახლოს, მთის ძირას არის ტბა, რომელშიაც ღიღმარხვამდე არანაირი სახის თევზი, არც ღიღი და არც მცირე არ მოიპოვება. ღიღმარხვის პირველ დღესვე იგი საუკეთესო თევზით ივსება. ასე გრძელდება აღდგომამდე. ამის შემდეგ, ახალი ღიღმარხვის დადგომამდე თევზი კვლავ ქრება. ასე ხდება ყოველ წელს ეს მართლაც რომ სასწაულია!

ზღვა, რომელიც, როგორც აღვნიშნე, ახლოს არის მთებთან, კასპიის (Ghel ან Ghelan) ზღვად იწოდება და 700 მილზეა გადაჭიმული. იგი 12 დღის სავალია მეორე ზღვიდან. მასში ღიღი მდინარე ეფფრატი და სხვა წყლები ჩაედინება, გარშემო კი მთები აკრავს. მოგვიანებით, ამ ზღვაში ნაოსნობა გენუელმა ვაჭრებმა დაიწყეს, რომელთაც აქ თავიანთი გემები ჩამოჰყავდათ და ამ ადგილიდან იღებდნენ გეზს. სწორედ ამ ქვეყნიდან ამ ზღვით გაჰქონდათ აბრეშუმი, რომელსაც გელეს (Ghellé) უწოდებენ. (აღნიშნული ზღვა სავსეა თევზით, განსაკუთრებით ბევრია თართი, მდინარის შესართავთან – ორაგული და სხვა სახის ღიღი თევზები).“

ყვამთააღმწერელი დავით VII ულუსა და ბათო
ყაენის ურთიმართობისა და დიკლომატიური
მტიკმტიდან ზოგიერთი ფმისის შემსახებ
(XIII ს. 50-იანში წყ.)¹⁶⁰

„მაშინ წარმოავლინა ელჩი ღიღმან ყაენმან, რომელსა ეპყრა ყივჩაყეთი და ოვსეთი, ხაზარეთი, რუსეთი და ბორღალეთი, ვიდრე სერბთამდე, დარუბანდამდე და ხატაეთამდე და მოუწოდა მეფესა დავითს. მაშინ წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე დავით,¹ ნიჭითა უზომო-

¹ იგულისხმება დავით VII ულუ.

თა, და დაუტყვევებლად სახლისა სამეფოსა დედოფალი ჯიგდახათუნ¹ და მესტუმრე ჯიქურ.² ... და წარვიდა მეფე წინაშე ბათოსა, ხოლო მან პატივითა შეიწყნარა, და ყოველი სათხოველი აღუსრულა. და იყოფოდა მეფე წინაშე ბათოსა ჟამთა მრავალთა... მაშინ შეიწყალა ყაენმა დავით მეფე, და მოსცა სუქური საჩრდილობელი, რომელი სხუასა არავის აქუნდის, თუნიერ ყაენთა და ნათესავსა მათსა, და მოუმცნო ულოს, რათა თუნიერ ულუსისა ნოინისა კიდე ურდოს შესლვასა მეფის ზედათ არავინ დადგებოდის, რამეთუ ესე იყო წესი თათართა, რომელ ყაენს წინ არავინ დაჯდებოდეს, არცა პურისა ჭამასა შინა. ესრეთ პატივ-სცა მეფესა, და წარმოავლინა სამეფოდ ქართლად.“

შამთააღმწერელი დავით ულუსა და სარგის ჯაყელის კულაგუ ყაენის კარზე ყოფნის შესახებ⁽⁶⁰⁾

„და ესრეთ წარჰყვა მეფე ურდოს ენუქს,³ და მოვეებნეს ყოველნი სამეფოსა მისისანი, და წარემართნეს ურდოს. ხოლო თანაწარჰყვა მეფესა სარგის ციხისჯუარელი ჯაყელი,⁴ დიდად ნამსახური, რომელმან ქმნა ესეცა სათნობა, რამეთუ ტფილისის ყოფასა მეფისასა მოვიდა ელჩი ყაენისა,⁵ ვითარმედ: „მეფეს მოვინდობ, ხოლო პაპა სარგისს არ მივინდობ“. და არა სათნო-უნდა ბრძანება ესე სარგისს, და ეტყოდა მეფე გარე-უკუნქცევად, ხოლო იგი არა ერიდა და ეტყოდა:

¹ საქართველოს დედოფალი, დავით VII ულუს პირველი ცოლი, ეროვნებით მონღოლი.

² ჯიქური – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე XIII ს-ის 40-50-იან წლებში, მესტუმრე (მანდატურთუხუცესის უწყების მოხელე, რომელსაც ვვალეობა ელჩების და სტუმრების დახვედრა-მასპინძლობა).

³ ენუქ არქანი – ილხანთა სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწე XIII ს-ის შუა ხანებში, ქრისტიანი, რომელიც სარგებლობდა კულაგუ ყაენის განსაკუთრებული ნდობით.

⁴ სარგის I ჯაყელი (გარდ. 1285 წ.) – XIII ს-ის II ნახ-ის ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. სამცხის მასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი. 1266 წლიდან სამცხე-საათაბაგო ხასინჯუდ დაუქვემდებარა ილხანთა ყაენს.

⁵ იგულისხმება ილხანთა სახელმწიფოს დამაარსებელი კულაგუ-ყაენი (1256-1265 წწ.), ჩინგის-ყაენის შვილიშვილი.

„ნუ იყოფინ ქმნად ევე ჩემ მიერ, რათა შევიქცე შინა. უკეთუ ცოდვათა ჩემთაგან გვენოს რამე თათართაგან, ყოველნი კაცნი იტყყან, განზრახვითა სარგისისითა განუღვა მეფე თათართა, აწ იგი წარვიდა შინა და მეფე წარავლინა მოკლვად ყაენს წინაშე. ნუ ყოს ესე ღმერთმან, რამეთუ ამით წარკლების გუარი ჩემი, არამედ მო-თუ-მკლან, ნაცვლად თქუენდა ვიყო, და თუ დავრჩე, თქუენ თანა დავრჩე.“ დაიმაღლა ესე მეფემან ეზომ, რომელ ქუაბულიანი თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა შავშეთს სიგლითა სამამულოდ მიუბოძა.

და წარემართნეს ურდოსა და მივიდეს ყაენს ულოს წინაშე ბარდავს, რამეთუ იგი იყო საზამთრო სადგური, და არ უწყოდეს, რა ეგულების ყოფად მათთვის. და მცირედთა დღეთა მოუწოდა ყაენმა ხილვად მეფისა და მთავართა, და იკითხავდა, რომლისა მიზეზისათვის განღვა მეფე. და ყოველნი ჰგონებდეს მეფისა და წარჩინებულთა მისთა სიკუდილისა, და ვეედრებოდეს ღმერთსა და ყოვლად წმიდასა მეტეხთასა და ვედრებისა ღმრთისმშობელს, რომლისა მინდობილ იყვნეს. და შევიდეს ყაენს წინაშე, ხოლო მან მოსცა თვისითა ხელითა ღვნო, რამეთუ ეს იყო წესი ყაენთა, თასითა დიდითა ოქროსითა. და ვითარ ჯდა მეფე მუკლმოყრილი და მის თანა ყოველნი მთავარნი, ჰკითხა ყაენმა, ვითარმედ: „რად ჰქმენ განდგომა ჩემი და ბრძანებისა ჩემსა რად ურჩ ექმენ, და არღუნს შემოები? არა დიდნი კეთილნი ვქმენ შენ ზედა? დაკარგული და სიკუდილად განწირული გუელთაგან აღმოგიყვანე ჯურღმულით და მეფედ დაგადგინე“. მაშინ ვითარ არღარა აქუნდა პასუხი მიგებად მეფესა, მოიხედნა უკანით კერძო სარგის ჯაყელისა, ვითარმცა იგი ქმნულ იყო მიზეზი არღუნის შემობმისა და თათართ მოსრვისა.

და იხილა სარგის ბრდღვინვისა ლომისა მსგავსად, მეფემან მას ზედა მიუტევა საქმე იგი, არა შეშინდა, არამედ უშიშად აღღვა და წარღვა ყაენს წინაშე განმწირველი თავისა თვისისა მეფისათვის, რათა იგი მოიკლას მეფისა წილ, და მუკლმოყრილი ეტყოდა: „მე ვარ, დიდო ყაენო, რომელი შემოვები არღუნ-აღას“. ხოლო მან ჰკითხა: „პაპა სარგის შენ ხარ?“ რამეთუ პაპა სარგისს უწოდდეს თათარნი. და მან რქუა: „იგი ვარ“. რქუა: „რასათვის განაყენე მეფე და არღუნს შემოები?“ ხოლო სარგის არა მეცნიერ იყო ენასა მათსა, წარ-

მოაყენეს სადღუნი¹ თარგმნად, რომელი ფრიად უყვარდა ულოს, და დიდად პატივ-ეცა, რამეთუ იყო კაცი იგი გონიერი და ენაკეთილი, სიტყვთა მარჯუე ყაენს წინაშე მეტყუელებად. მაშინ სარგის მიუგო: „დიდო ყაენო, არა იყო სხუა მიზეზი, რამეთუ მან მიიღო მეფობა დავითისი, ქალაქი და სოფელნი მან დაიჭირნა, ეკლესიანი და ციხენი ყოველნი დაარღვნა. ბედნიერო ყაენო, არღარავენ გაგაგონებდა უსამართლობასა ამას, შეკრა კარი თქუენი ქრთამითა. ამის მიზეზისათჳს მე წარვიყვანე მეფე, რათა ბედნიერმან ყაენმან გაიგონოს და იკითხოს საქმე ესე. ვითარცა აწ კითხვასა ღირს-მყო, ესეც უწყოდი, ყაენო, რომელ სპარსნი ძუელითგან მტერნი არიან ჩუენი ქართველთანი. ამისათჳს არღუნს თანა ვყავ ბრძოლა და ომი, რამეთუ საქმე და უსამართლობა მეფისა მიმართ ზოჯა-აზიზისაგან² ვერღარა დავთმეთ აწ, ყაენო, მეფე უბრალო არს, მე ვარ, რომელმან განვაყენე მეფე კარისაგან თქუენისა“. და განმრავლდა სიტყუა მათ შორის და მრავალგუარად უბნობა, რომელთა არა არს ჟამი თქუმად და წერად. და მეფეცა მრავალსა რასმე იტყოდა, და ენუქ არქუან და დიდი იგი ნოინი სხდეს შუა და სადღუნი კეთილად თარგმნიდა და კაზმვიდა თქმულთა მეფისათა, რამეთუ მეფე ენამძიმე იყო მცირედ, მანკაბერდელი სადღუნი კეთილმეტყუელებდა.

და ყოველნი მოელოდეს ბოროტის-ყოფასა მეფისათჳს და სიკუდილსა სარგისისსა. მაშინ მოუვლინა ღმერთმან წყალობა მოსავთ მისთა, და აწცა დაიცვა, ვითარცა მარადის ფარავს. და ვითარ სიტყუასა უგებდეს ყაენი და მეფე ურთიერთას, მოვიდა კაცი დარუბანდით გზისმცველთა ყაენისთა, რომელთა ყარაულობით უწოდდეს, რამეთუ არღარა განსრულებულ იყო სიტყუა, შევიდა ყაენის კაცი იგი ურდოსა ყაენს წინაშე და მოაქსენა: „არა არს ჟამი მეტყუელებად, რამეთუ შეიძრა ულუსი დიდი დიდისა ყაენის ბათისი, და შვილი მისი, ყაენი დიდი ბერქაი³ მოვალს გზასა დარუბანდისასა უმრავლითა, დიდად დიდითა ლაშქრითა.“

¹ საღუნ მანკაბერდელი (გარდ. 1282 წ.) – XIII ს-ის II ნახევრის საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, ათაბაგ – ამირსპასალარი. დაწინაურდა ილხანთა ყაენის პულაგუს მმართველობის პერიოდში. საქართველოს სამეფო კარზე განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა დემეტრე II-ის მეფობის დროს.

² ზოჯა-აზიზი – ილხანთა სახელმწიფოს მოხელე XIII ს-ის შუახანებში, გადასახადებისა და ზარკის ამკრებთა უზენაესი ხელისუფალი, ეროვნებით სპარსი.

³ ბერქა-ყაენი – ოქროს ურდოს ყაენი 1255-1265 წწ., ბათო ყაენის ვაჟი.

ესმა რა ყაენს, მსწრაფლ აწვია სპა თუსი, და მყის შემოკრიბეს მის წინაშე. მას ჟამსა წარემართნეს წინაგანწყობად, და ვითარ დაეახლნეს ორივენი სპანი ურთიერთს, მაშინ ევედრა მეფე ყაენს, რათა წინამბრძოლად აჩინოს მეფე და სპა მისი, და წესადცა არს ქართველთა წინამბრძოლობა. ისმინა ულო და აჩინა წინამბრძოლად მეფე, მახლობელად მისსა დგომად.“

რომის პაპის ნიკოლოზ IV-ის ფერილი
საქართველოს მიწა დემეტრე II თავდადებულს
(1292 წ.)^[66]

„ ... მუდამ მზრუნველი ქრისტიანების საკეთილდღეოდ, დიდად ვნატრობთ და ვცდილობთ ღვთის შემწეობით წმიდა ადგილების ხელმეორედ დახსნას; ამასვე უნდა ნატრობდენ და ცდილობდენ ყველა კათოლიკე ხელმწიფენი და მთელის ქვეყნის მთავრებიც; ეს საღვთო საქმე, რომელიც შეეხება მთელს ქრისტიანობას, უნდა იყოს მათი პირველი საზრუნველი, და შეწევნითა ღვთისათა, უნდა ხმარობდენ ყოველ საშუალებას მის კეთილად დასაბოლოებლად. ამიტომ იესო ქრისტეს სახელით და მისის პატივისათვის შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელ შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენი სამეფოთი და ქვეშედრომებით და, ესრეთ თქვენის ცდით და ეგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე ღვთის სადიდებლად, ყველა ქრისტიანების სასიქადულოდ და თქვენ საუკუნო გასაბედნიერებლად. იმედი გვაქვს, ამ საქმეში ყველანაირი საშუალება მიიღოთ და გულმოდგინებით ეცადოთ, რათა საუკუნო ბედნიერების ღირსნი შეიქმნეთ; ჩვენც უფლისამიერ მუდამ ვაქებთ თქვენს მოსწრაფებას და მეცადინეობას. წერილის მომტანნი, ჩვენნი საყვარელნი შვილნი გვიღელგო სერიოელი და მათე თიათინელი, მინორიტების¹ წესის მონ-

¹ მინორიტები, ფრანკისკელები — კათოლიკური „მათხოვრული“ ორდენის ბერები. დაარსა იტალიაში ფრანკისკ ასიზელმა 1207-1209 წწ., როგორც მინორიტების ძმობა.

აზონნი, ამ საქმის შესახებ ყოველ ჩვენს აზრს მოახსენებენ თქვენს ხელმწიფებას; ენდეთ მათ, რადგან მაგ ადგილებში სარწმუნოების საქმე მაგათთვის მიგვიწვდია. გაიცა ორვიეტოს მახლობლად პირველ სექტემბერს, მღვდელმთავრობის მეოთხე წელსა (1292)“.

წესი და განგება მეფეთ კურთხევისა (XIII ს.)^[67]

„წესი და განგება მეფეთ კურთხევისა ესრეთ არს:

წინა დღით მწუხრსა, რომელსა დღესა ეგულებოდის კურთხევა, შეიმოსოს მთავარებისკოპოსი. და უკეთუ მთავარებისკოპოსი არ იყოს, დამთხუეულთა ებისკოპოსთაგანი, ვისიცა სათნო უჩნდეს კათალიკოზსა, წარუძღუნენ მგალობელნი, მღვდელნი და დიაკონნი შემოსილნი, საკუმეველითა და კეროვნითა. ხოლო მგალობელნი მგზავრ იტყოდინან ჯუარი ქ-დგაინთა.

და ვითა მიიწინენ პალატსა შინა და დადვან ფეშხუმსა¹ ზედა გვრგვინი, სკიპტრა, პორფირი² და ბისონი,³ დაჰპურონ-წმიდათა და ებისკოპოსმან კელთა მიერ ტურთუთ შეილოს ეკლესიად და დადვას ტრაპეზსა ზედა.

და აღიკადოს შესამოსელი და იწყონ მწუხრისასა. და ღამე იგი უძილად განათიონ ლოცვითა და ვედრებითა ღმრთისა მიმართ, თუთ მეფედ განმზადებულმან და ყოველთა პალატთა შინა და ყოველმან საესებამან ეკლესიისამან.

და ვითარ განთენდეს და ლოცვა აღასრულონ, წარვიდენ ყოველნი სახიდ თუსად და განისუენონ.

და ვითარ მოიწიოს ჟამი წირვისაჲ, სამეჟამ პრეკონ ძელსა და შეკრბენ ეკლესიად.

და შეიმოსნენ კათალიკოზი და ებისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი.

¹ ფეშხუმი — მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბალფეხიანი თეფში, რომელიც იხმარებოდა ლეთისმასხურების დროს ბარძიშთან ერთად. ფეშხუმი ძვირფასი ლითონისაგან მზადდებოდა.

² პორფირი — წამოსასხამი, რომელიც ყელთან იკრება.

³ ბისონი — ძვირფასი ძოწვეულისა და ოქრონქსული ქსოვილისაგან დამზადებული ქართულ მეფეთა სამოსი.

ჯუარის-მტკრთველმან აასუენოს ძელი ცხორებისა და წარიძღუ-
ანნეს წინა მთავარდიაკონნი სანთლებითა და საკუშეველითა.

და ვითარ მიიწინენ პალატად, თავმოდრეკილმან პრქუას მეფესა:
„გუაკურთხენ, წმიდაო და თუთმპყრობელო მეფეო, მრავალმცა არიან
წელნი მეფობისა თქუენისანი“. და მერმე სრულიად ლაშქართა თქუან.

კუალად თავის მომდრეკელმან პრქუას ლაშქართა: „და თქუენცა
გიხაროდენ ძაღლო უძღვევლნო და დამამკობელნო მტერთა სამეფო-
თანო, უამი არს წინამდებარისა საქმისა აღსრულებად“.

და წარმოემართენ ესრეთ სახედ: წინათ ზარი მეფეთა და შემდგომად
დროშა და შუბი, და შემდგომად მთავარდიაკონი და ჯუარის-მტკრთვე-
ლი, მეფე და ლაშქარნი.

ამირსპასალარი, ქმარ-შემორტყმული, მარჯუენით კურძო ჰყვე-
ბოდეს და სამეფო კრძალი ორთავე კელთა ზედა ეტურთოს.

ეგრეთვე ამილახორი და მეაბჯრეთ-უხუცესი, კრძალ-შემორ-
ტყმულივე, ამირსპასალარის კერძო ვილოდენ.

ხოლო ჰყონდიდელი და ათაბაგი მარცხენით მეფისა ვილოდენ და
სხვანი მთავარნი.

ხოლო მანდატურთ-უხუცესი, სამანდატუროსა არგნისა¹ კელითა
მქონებელი, შემდგომად ჯუარის-მტკრთველისა, წინა უვილოდეს მეფესა.

ეხოთ-უხუცესსა, ჩუხჩარესსა, მეაბჯრეთ-უხუცესსა სამეფო ფარი
და ლახტი ჰქონდეს და ქარქაში; უკანა უდგეს მეფესა.

ამით წესითა ვითარცა მიიწინენ კართა ეკლესიისათა, კათალიკოზი
და ეპისკოპოსნი წინა მოეგებნენ; კათალიკოზმან თავმოდრეკილმან
პრქუას მეფესა მალლად: „კურთხეულ არს მოსლვა თქუენი და
დამტკიცება მეფეთ-მეფედ სამეფოსა ამას თქუენსა ზედა, და განმტ-
კიცნეს ღმერთმან შიშსა და სარწმუნოებასა მისსა ზედა, და დაგა-
მორჩილნეს ყოველნი მტერნი და წინაამდგომნი სამეფოსა ამის
თქუენისანი, ქუეშე ფერქთა თქუენსა“. და თქუას ყოველმან ერმან:
„ამინ“.

და თაყუანის-სცეს მეფემან მდაბლად კათალიკოზსა, დაუპყრას
ქელი მარჯუენე კათალიკოზმან; ხოლო უკეთუ აფხაზეთისა კათა-

¹ არგანი - საგანგებო ხელისუფლების ნიშანი. მანდატურთუხუცესს ოქროს არგანი ეძღუოდა.

ლიკოზი არა იყოს, – იშხნელმან ანუ მთავარებისკოპოსმან; და წარიყუანონ და სამეფოსა ადგილსა დააყენონ, და იწყონ აღმოკუეთად სეფესა.

ხოლო აფხაზეთის კათალიკოზმან დაჰბუროს, ანუ მთავარებისკოპოსმან. და ვითარ დაჰბუროს, უწინარეს დაწყებისა, გამოულოს ჯვარის-მტურთველმან ამირსპასალარს სამეფო კრძალი და საკურთხეველსა შინა ძელსა ცხორებისასა მიყრდნობილი დადვას.

და დროშა და შუბი საკურთხეველისა კარს ემჭირნენ იმიერ და ამიერ.

უწინარეს კათალიკოზთა თქმისა და მთავარდიაკონისა გამოსლვისა, რომელსა მღვდელთ-მოდღუარსა დაებუროს, წინაშე წმიდისა საკურთხეველისა მღვდომარეობდეს, აღიროს საკურთხეველისაგან ბისონი. გამოვიდეს და მეფეს თავი მოუდრიკოს, და ორთავე მუკლთა ზედა დაფენით დაუდვას, და წარმოიყუანოს სადა კათალიკოზი მღვდომარე იყოს. თავი მოუდრიკოს მეფემან კათალიკოზსა და ჰრქუას: ‘მაკურთხეო მეუფეო’.

კათალიკოზმან ჯუარი დასწეროს და თქუას: ‘აკურთხეულმცა არს მეფობა თქუენი დასასრულამდე ჟამთა, და განმტკიცენ სარწმუნოებასა მისსა ზედა მიუდრეკელად’. გამოულოს ბისონი და შთააცვას თავის კელითა ჯუარი დასწეროს.

და წარუძღუეს იგივე მღვდელთ-მოდღუარი, რომელსა მიეყვანოს, და დაადგინოს ადგილსავე თუსსა, და ეგრეთ შევიდეს საკურთხეველად.

და გამოვიდეს მთავარდიაკონი და იწყოს კუერექსი თქუმად. და ვითარ სახარება წარიკითხონ, გამოვიდეს აფხაზეთის კათალიკოზი და მთავარებისკოპოსი. და თუ აფხაზეთის კათალიკოზი არ იყოს, – იშხნელი. და იშხნელი და მთავარებისკოპოსი მოეკიდნენ კელსა: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით, წესისაებრ მღვდელთ-მოდღუართასა, და წარადგინონ შუა ეკლესიასა საწარდგომესა ადგილსა, და სამგზის ათაყვანონ წმიდასა საკურთხეველსა. და წარადგინონ საკურთხეველისა კართა. და კუალად მოიყარონ მუკლნი და თაყუანი-სცენ.

და ვითარ შეიყვანონ ერთგზის წმიდასა ტრაპეზსა, თაყუანისცეს

და დაუყარნეს მუკლნი კათალიკოზსა და მოაკრფენ გარემოს ყოველნი ებისკოპოსნი და ყოველთავე ომფორი თავსა ზედა დასდვან.

ჯუარი დასწეროს კათალიკოზმან, და იწყოს თქმად მალლად სასმენლად ყოველთა, „საღმრთო მადლი, რომელი ყოვლადვე უძლურებათა ჩუენთა ჰკურნებს და ნაკლულებასა ჩუენსა აღავსებს და განაჩინებს ღმრთის მოშიშსა სახელით ერსა და სამეფოსა ამას ზედა მეფეთ-მეფედ და გარე შეარტყამს საღმრთოსა ძალსა მისსა, ვილოცოთ ყოველთა, რათა დაიმკუდროს მის თანა მადლმან ყოვლად წმიდისა სულისამან“.

და ვითარ დაესრულოს, კმა-ყოს სავსებამან ეკლესიისამან თანა ერთ-ერთ მალლით კმითა: „კირიელეისონ“! „კირიელეისონ“! „კირიელეისონ“!

იწყოს კათალიკოზმან იგივე: „საღმრთო მადლი, რომელი ყოვლად...“ და ერმან ყოველმან „კირიელეისონი“ 3 გზის; კუალად იგივე „საღმრთო მადლი“ და „კირიელეისონი“ 3 გზის.

და ვითარ დასრულდეს, კათალიკოზმან ჯუარი დასწეროს 3 გზის და ყოველთა მღდელმოდღუართა.

და იწყოს კათალიკოზმან ლოცვა წარკითხვად სასმენლად ყოველთა. და ვითარ სრულ იქმნას წარკითხვად, დასწერონ ჯუარი და აღადგინონ.

აღილოს კათალიკოზმან საკურთხეველით გვრგვნი და დაარქუას თავსა მეფეს და იტყოდეს ავეჯით კმითა: „დაადგ თავსა მისსა გვრგვნი ქვსა მისგან პატიოსნისა, ცხორება გთხოვა შენ, და მიეც მას განგრძობა დღეთა უკუნისი უკუნისამდე“.

მერმე აღილოს პორფირი, ჯუარი დასწეროს და შთააცვას.

ამის შემდგომად აღილოს სკიპ[ტ]რა, ჯუარი დასწეროს და მისცეს მარჯუენესა კელსა მისსა. და ტრაპეზსა მარჯუენით კერძო ორზაო დაუფინონ და ზედა დაადგინონ. მგალობელთა იწყონ, „მრავალ-ჟამეულ ჰყვენ ღმერთო მეფეთ-მეფე ჩუენი სახელით, მრავალ-ჟამეულ ჰყვენ“. ხოლო მეფე დგეს წინაშე წირვისა აღსრულებამდე.

და ვითარ ეზიარნენ მღდელთ-მოდღუარნი, თუთ მეფეცა აზიარონ უწინარეს მღდელთა.

და ვითარ ჩამოვიდენ საკურთხეველით კარით, ამირსპასალარმან

კრმარი შეარტყას და წარმოემართნეს მითვე სახით, რომელი პირველ მოვიქსენე:

მარჯუნე კელი კათალიკოზსა ეჭიროს, ხოლო მარცხენე კელი აფხაზეთისა კათალიკოზსა, ანუ ჭყონდიდელსა, ანუ იშხნელსა, და ეგრეთ შეჰყვენ პალატსა შინა.

და ვითარ ტახტსა მი[ე]ახლნენ, კათალიკოზი და ჭყონდიდელ[ი] თანა შეჰყვენ, ტახტსა ზედა დასვან მეფე და იგინი შთამოვიდენ.

ჯვარის-მტურთველი შემოსილი ძელი ცხორებისა ეტურთოს, მარჯუნით მეფისა ღგეს ტახტსა წინათ, ვიდრე ლაშქართა თაყუანისცემადმდე და ძღუნისა შეწირვამდე.

პირველად დედოფალმან თაყანი-სცეს, მერმე-ლა კათალიკოზმან, ჭყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთ-უხუცესმან, ამირსპასალარმან, მეჭურჭლეთუხუცესმან, მსახურთ-უხუცესმან და შემდგომად კელოსანთა და უკელოთა დარბაზისერთა სრულიადთა.

და ვითარ სრულქმნან ძღნობა, შთამოვიდეს ჯვარის-მტურთველი და შესამოსელი აღიკადოს.

ხოლო ყოველთა ღღეთა სამ ღღემდის მეფე ტახტსა ზედა ჯღეს გვრჯუნითა და პორფირითა.

ხოლო ესე საცნაურ იყავნ, რომელ თუნერ კათალიკოზისა არა ვისგან ჯერ-არს კურთხევა.“

„ქმელი მრისთავთა“ გიორგი V ბრწყინვალის
მიერ მგვიკტეში პიკაჲ ქვენიფხეველის
დიკლომატიური მისიის გაგზავნის შესახებ
(1316/17 წწ.)^[68]

„ამა ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალმისანი სპარსთა დაიპყრესო, და ღიდად შეწუხნა მეფე გიორგი.¹ მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისაჲ,² რომელსა ერქუა პიკაჲ, გზასა ქმელთასა

¹ ივულისხმება საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე (1318-1346 წწ.). 1316/17 წწ. იგი იყო მეფე გიორგი VI მცირე (1311-1318 წწ.) მეურვე და ქვენის ფაქტობრივი მმართველი.

² შალვა ერისთავი – ცხრაზმისხვეის (ცხრაძმისხვეის) ერისთავი შალვა ვირშლის ძე ქვენიფხეველი, მოღვაწეობდა XIII ს-ის მიწურულსა და XIV ს-ის დასაწყისში.

მრავლითა ძღუენითა წინაშე ნისრელისა,¹ და წარჰყვა თანა ბანდასძე დეკანოზი იოვანე და მივიდა პიპაჲ წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულით შეიწყნარა ძღუენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპაჲ ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვა, ჟამი აწირვა, ეზიარა და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღუართ-მოძღუარად. და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა გირშელსა² და ყოველსა ერსა ცხრაზმისკევისასა,³ რომელ მოძღუართ-მოძღუარობაჲ ნუვის კელ-ეწიფების თჳნიერ ამისსა... ხოლო პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და შეკრიბნა ნაწილნი წმიდანი და ხატნი შუენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კმელით და მოვიდა წინაშე მეფისა და მიიღო იერლაცი შეწყალებისაჲ და აღსრულებაჲ ყოვლისა სათხოვლისა მისისაჲ. ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა“.

ჰაპი იოანე XXII-ის წერილი გიორგი V ბრწყინვალისადმი (1322 წ.)¹⁶⁹

„... გიორგის – ქართველთა უბრწყინვალეს მეფეს და მის ღიდებულებს.

ასევე ბარონ პორჩელის, ისაის, ვართბეტს და დავითს; აიაკის შვილებს, გრიგოლ ტოპიუს სოლაგაის სასახლიდან, სარგისს თბილისიდან, იოან მაგდანაკს სულთანნიდან და მანუელს ტრაპეზუნტიდან. ასევე ყველა ხალხებს, რომლებიც თათართა სახელმწიფოს სამეფოებში, მხარეებსა და მიწებზე ცხოვრობენ.

ვიმყოფებით რა სამოციქულო ტახტის სადარაჯო კოშკზე, ჩვენ უდიდეს ტკივილსა და მღელვარებას განვიცდით, რაკი ვხედავთ, რომ ეკლესიის ზოგიერთი ნაწილი მოწყვეტილია მისი მეთაურისაგან; ამასთანავე,

¹ ნისრელი, მისრელი – იგულისხმება ეგვიპტის მამლუქთა სახელმწიფოს სულანი. შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში ეგვიპტეს ნისრეთი (მისრეთი) ეწოდებოდა.

² გირშელ ერისთავი – ცხრაზმისხევის (ცხრაპმისხევის) ერისთავთერისთავი გირშელ (ვირშელ) ქეჩიფინველი, მოღვაწეობდა XIV ს-ის I ნახევარში.

³ ცხრაზმისხევი, ცხრაპმისხევი – შიდა ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ქსნის ხეობის ზემო წელი. საბოლოოდ, ცხრაზმისხევი ქსნის საერისთავოს შეერწყა.

მათგან ზოგი ვერ გრძნობს და არ დასტირის თავის უბედურებას, ვერ ამჩნევს ასეთ მდგომარეობაში თავის უაზრო ყოფას.

როგორც ჩვენ გვგონია, ყველა მართლმადიდებლისათვის ცნობილია, რომ მთელს მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ერთი მეთაური, რომელიც აერთიანებს მებრძოლი ეკლესიის მთელ სხეულს. ამას მოითხოვს თვით ბუნება; ორთავიანი სხეული სიმახინჯედ ითვლება...

... ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალ ქრისტესათვის, რათა თქვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმინდა რომის ეკლესიას და ნაკლებად მნიშვნელოვნად არ ჩათვალოთ ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში უფლის შთაგონებით და ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით ვაკეთებთ. ეს მორჩილი ძმები დაკავებულნი არიან თქვენი და თქვენის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ხალხთა განათლებით, წმინდა საღვთო წერილის ავტორიტეტის დახმარებით, რაც გათვალისწინებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ.

ჩვენ ხომ არაფერს მოვითხოვთ ისეთს, რაც თქვენ გეკუთვნით, გვეწყურია მხოლოდ თქვენის სულის ცხონება იესო ქრისტეს სასარგებლოდ და არ მოვითხოვთ, მივიღოთ რაიმე თქვენი ხელისუფლებიდან ან შევამციროთ თქვენი ღირსება, არამედ მხოლოდ ვესწრაფით სამართლიანად აგამაღლოთ თქვენ და კიდევ უფრო გავაფართოვოთ თქვენი ხელისუფლება.

მნიშვნელოვნად გაიზრდება თქვენი გრძნობა, თუ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს შემწეობით, თქვენ, თქვენი ხალხების მეთაურები და მბრძანებლები, გონივრულობის შემწეობით, რომელიც განგასხვავებთ თქვენ თქვენი ქვეშევრდომებისაგან, მოთმინებით მოისმენთ მშვიდობის მოციქულთა ნათქვამს თქვენდამი, მაშინ კეთილგონივრულად მიმართეთ ეკლესიის ერთიანობას, რათა უჩვენოთ ქრისტესაკენ შემობრუნებულ ხალხს მაგალითი.

თუ თქვენ წამოგვიყენებთ საბაბს, რომ ეს შეუძლებელია საყოველთაო კრების გარეშე, ჩვენ ვიპასუხებთ: კეთილგანწყობით ვუყურებთ ასეთი კრების მოწვევას თქვენთვის და თქვენგან ახალშემენილთათვის; მზად ვართ, თქვენი რწმუნებულები და დესპანები პატივითა და გულადობით მივიღოთ...

ამით ჩვენ მოვუწოდებთ თქვენს შეგნებას და გთავაზობთ თქვენ ყოვლისშემძლე ღმერთისა და მისი შვილის იესო ქრისტესათვის, რომელ-

მაც თავისი სხეულით ჩვენ გვიხსნა, რათა თქვენ კეთილგანწყობით მიიღოთ და ღირსეულად მოექცეთ მინორიტების ორდენის საყვარელ შვილებს, მორჩილ ძმებს, რომლებიც ამ წერილს მოგართმევენ; სახელოვან ადამიანებს, სამღვდლო აღთქმის დიდი ხნის გამოცდილების მქონეთ და საღვთო წერილებში განსწავლულებს, რომლებიც ჩვენ შევარჩიეთ სხვებს შორის, ვინაიდან, გეგონია, რომ ისინი თქვენთვის სასარგებლონი იქნებიან, რამდენადაც ჩვენი მხსნელის თავმდაბლობას ბაძავენ; ვაგზავნით მათ თქვენთან ჩვენი პირადი და უფალის სახელით და მათი საშუალებით თქვენ მოისმენთ ჩვენს წინადადებებს; ასე რომ, მტკიცედ დაუჯერეთ ყოველივეს, რასაც ისინი თქვენ გეტყვიან.

ჩვენ შეგვეძლო, თუ ჩავთვლიდით უფრო სასარგებლოდ და სასიამოვნოდ თქვენთვის, გამოგვეგზავნა საეკლესიო პრელატები ან სხვა დიდებული პირები, მაგრამ საჭიროდ არ ჩავთვალეთ. მათ (მინორიტებს), როგორც ეს ჩვენ გვსურს, წარმატებით მოელაპარაკეთ ყოველივე ზემოაღნიშნულზე, განსაკუთრებით მშვიდობიან ურთიერთობაზე და უზრუნველჰყავით მათი უშიშარი მოგზაურობა იქითაც და აქეთაც ყოველივე აუცილებლით, რაც მოგზაურობისას გზაში დასჭირდებათ, რათა მათ შესძლონ, მიაღწიონ თათრებამდე და მათ იქით მცხოვრები ხალხებისაკენაც განაგრძონ გზა.

შედგენილია ავინიონში¹ ოქტომბრის „იდიბუს“-ში,² ჩვენი პაპობის მეექვსე წელს.“

არაბი ენციკლოპედისტი ალ-შმარი (1301-1349)
გიორგი ბრწყინვალისა და ჩობან-ნონინის
ურთიერთობის შესახებ (XIV ს. I მემოთხედი) ^[70]

„იგი (ჯუბანი/ჩობანი)³ იყო მისთვის ყველაზე საყვარელი რჩეულ-
თა შორის და ყველაზე გულწრფელი გულწრფელ მეგობართა შორის.

¹ ავინიონი — ქალაქი საფრანგეთში. აქ ერთხანს რომის პაპების რეზიდენცია იყო.

² ე. ი. 15 ოქტომბერი.

³ ჩობან-ნონინი (ჯუბანი) — ილხანთა სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე XIV ს-ის I მესამედში, ოლჯაითუ (1304-1317 წწ.) და აბუსაიდ (1317-1335 წწ.) ყაენების დროს ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი.

მოუხმობდა (მეფე) მას (ჩობანს) მნიშვნელოვანი ამბის დროს და სთხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მიიჩნევდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმშორებლად. ბარტილმა,¹ რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, ყველაზე ღიღებუღია ქრისტიან მეფეთა შორის და უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის“.

პაპი იოანე XXII-ის ფერილი სმირნის
საეპისკოპოსო კათედრის თბილისში
გადმოტანის შესახებ (1329 წ) ^[7]

„ შემდგომ ბევრი რჩევისა და გამოძიებისა დავრწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერთ სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია. გავლილ დროებში უფროსთა ნებით წასულმა დომინიკიანებმა,² მოღვაწეობით და დაუცხრომილის შრომით, თუ ამ ქალაქისა და თუ მის გარეშე ადგილების მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მოაქციეს კათოლიკე სარწმუნოებაზე; აწ მათ სწამსთ და აღიარებენ ყოველსავე იმას, რაცა სწამს, აღიარებს და ასწავლის რომის ეკლესია. ამიტომ ღვთის სახელის საქებ-სადიდებლად, სარწმუნოების პატივისათვის და გასავერცელებლად, ჩვენის ხსენებული ძმების რჩევით და ჩვენის სრულის მოციქულებრივის ხელმწიფების ძალით სმირნის³ საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის ტფილისის ქალაქსა. რადგან, უკეთუ სამოციქულო საყდრის მოწყალებით იმ ადგილს დაინიშნა ეპისკოპოსი, რომელმაც უნდა შეუდგინოს და მოუკლებლივ ასწავლოს კათოლიკე მოძღვრება ერსა, დარწმუნებული ვართ და მტკიცედ ვსასობთ, როგორათაც ზემორე მომხსენებულადგანაცა ჩანს, უფლის შემწეობით მორწმუნენი გამტკიცდენ სარწმუნოებაში და ბევ-

¹ ივლისხმება გიორგი V ბრწყინვალე.

² დომინიკელები - კათოლიკური „მათხოველი“ მონაზვნური ორდენი. 1215 წელს ქ. ტულუზაში (საფრანგეთი) დააარსა ესპანელმა მონაზონმა დომინიკუსმა მწვალებლებთან საბრძოლველად.

³ სმირნა - თურქეთის ქალაქ იზმირის ძველბერძნული სახელწოდება.

რი ურწმუნოც ადვილად მოიქცეს ჭეშმარიტების ნათლისაღმი, რომელიც არის ქრისტე. თუ ამისა და თუ სხვა დიდათ სასარგებლო მიზეზების გამო, ჩვენ გადავსწყვიტეთ და ჩვენის ხსენებულის სრულის უფლებით ტფილისი გავხადეთ საეპისკოპოსო ქალაქად და გნებავს შემდეგშიაც დარჩეს ესრედ და ეწოდებოდეს მუდამ ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი: არც მოაკლდეს მას ეს საეკლესიო ღირსება, არამედ იგი უფრო აღმატოს და გავრცელდეს. ეგრეთვე ძმათა რჩევით და ჩვენის სრულის უფლებით დაგვიდგენია, რომ იმავე ქალაქში აღშენდეს საკათედრო ტაძარი, საეპისკოპოსო ეკლესია და ეწოდოს ტფილისის საეპისკოპოსო ეკლესია; ამ კათედრაზე ღვთის შეწევნით ეპისკოპოსად დავნიშნავთ გამოცდილსა და მოღვაწე პირს. აწ უხაროდეს იქაურ მორწმუნე ერთა სიმრავლეს ეს დიდი და უხვი სამოციქულო საყდრის წყალობა და მარადის წარმართონ თვისნი საქმენი უფლის მცნებათა გზასა, ეგრეთვე სიბნელებში შობილ ურწმუნოთ ადახილონ თვალნი, მიიღონ ნებით ქრისტეს სარწმუნოება, ქადაგების შემწეობით აღმოფხვრან თავიანთ გულიდგან შეცთობილება, დაადგენ სიმართლისა და ჭეშმარიტების გზასა და აღიძრნენ ღვთის ნების აღსასრულებლად მარადის, რათა მოიპოვონ საუკუნო ცხოვრება. მაშ ჩვენ მიერ გადატანილი კათედრის გადაწყვეტილებას, მოწყალებისა და ნების წინააღმდეგ არავის შეეძლოს მოქცევა. ავინიონით, 9 აგვისტოს, მღვდელთ მთავრობის მეცამეტე წელიწადს (1329)“.

პაპი იოანე XXII-ის ფერილი თბილისში
კათოლიკეთა სამეპისკოპოსოს შემქმნის შესახებ
(1330 წ.)¹⁶⁹

„...უფლის მიერ საქართველოს გადარჩენის მიზნით თბილისში შეიქმნა საეპისკოპოსო საყდარი და, როგორც თანადროული სიგელიდან ჩანს, საქართველოს ეპისკოპოსად დანიშნულია იოანე, ღომინიკანელთა სკოლის მოწაფე.

იოანე XXII.

საყვარელ შვილს, იოანე ფლორენციელს თბილისში.

ამიერიდან, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების, ღვთაე-

ბრივი კულტის საზღვრების გაფართოებისა და ასევე სხვა გონივრული მოსაზრებით, ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით და ჩვენი სამოციქულო უფლებამოსილებით, საქართველოს სამეფოს დიდებულ ადგილს – თბილისს ჩვენ ავაძალღებთ საეპისკოპოსო ქალაქის რანგამდე, აღვნიშნავთ მას სიტყვებით: „საეპისკოპოსო ქალაქი“ და ვუსურვებთ, რათა მომავალში იგი სამუდამოდ „საეპისკოპოსო ქალაქ თბილისად“ იწოდებოდეს; ზემოაღნიშნული რჩევითა და უფლებამოსილებით ვადგენთ და გადაწყვეტილებას ვღებულობთ, რათა ამ ქალაქში შეიქმნას კათედრალური ეკლესია, რომელიც ამაღლებული იქნება ეპისკოპოსის წოდების ღირსებადღე.

და შემდეგ: მიემართავთ ჩვენი გონების ყურადღებას შენსკენ, რომელიც აღიარებ მორჩილი ძმების – დომინიკანელების წესდებას; რომელიც ასევე მოწოდებული ხარ სამღვდლო ხარისხისაკენ, შეასწავლე წმ. წიგნი, საკუთარი გამოცდილებით იცი ამ ქვეყნის პირობები და ზნე-ჩვეულებები, მორწმუნე მრავალ სულს უფლის დიდება მოუპოვე: ამის სასარგებლოდ ძალიან ბევრი კარგი მონაცემით ხარ დაჯილდოებული: წმ. სარწმუნოებისაკენ მისწრაფება, სუფთა ცხოვრება, ზნეობრივად სერიოზული, მოძწიფებული თავმდაბლობა, სხვა კეთილშობილური თვისებები, როგორც ყოველივე ამას ნდობის ღირსი საბუთები ამტკიცებენ.

განვიხილეთ ყოველივე ეს სათანადო ყურადღებით, ხსენებული მორჩილი ძმების რჩევით, სამოციქულო ხელისუფლების მოწოდებით, გადავწყვიტეთ, შენ ზემოხსენებულ ეკლესიას სათავეში ჩაუდგე.

შეღებნილია ავინიონში 14 ნოემბერს, ჩვენი პაპობის მე-14 წელს (1330).“

ბიორგი V ბრწყინვალის წერილი საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასადმი^[12]

„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა, მათ ამ მტანჯველ ომში მარტოლ.

ამგვარად, გთხოვთ თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმო-

ლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30 ათასი ჯარისკაცით.“

**არაბი ენციკლოპედისტი ალ-უმარი ბიორბი V
ბრწყინვალისადმი მაჰმადიან მბრძანებელთა
მიმართვის ფორმისა და შინაარსის შესახებ^[70]**

„მაღალი ალაჰი ხანგრძლივს ყოფს ბრწყინვალეებას მისი მეფური უდიდებულესობისა, დიდებულისა, გულადისა, მამაცის, ლომისა, მეთაურისა, მრავალგზის თავდამსხმელისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, გვირგვინოსნისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულტნისა, ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძისა, რაინდთა სამეფოს დამცველისა, ტახტ-გვირგვინოსანთა შთამომავლისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმამტკიცებლისა, ქრისტიანობის შემწისა, საქრისტიანოს გმირთ მესიისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმდიდებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულტანთა მეგობრისა“.

**არაბი ენციკლოპედისტი იბნ ნაზირ ალ-ჯაიში
(ალ-მუჰიბი) ქართველ მეფე-მთავრებთან
მგვიპატის სულტნების მიმოწერის წესის
შესახებ^[73]**

ურწმუნოთა მეფეებთან მიმოწერა

„ქართველთა მეფე.

ისინი ორი მეფეა: მეფე დავითი: – თბილისის გამგებელი და მეფე დადიანი – სოხუმის და აბხასის გამგებელი. თითოეულთან მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა: „ალლაჰი დიდებული გაახანგრძლივებს მისი მეფური უდიდებულესობის, დიდებულის, პატივცემულის, სახ-

ელოვნის, მამაციის, წმინდანის, სულიერის, მავანის, ქრისტიანული სარწმუნოების დიდების, ჯვრის რელიგიური კრებულის განძის, ქრისტიანობის სიამაყის, ქართველთა/აბხაზთა, ქურჯთა და ჯურჯანთა მეფის, მეფეთა და სულტანთა მეგობრის, სიცოცხლეს. მისი წოდებაა ქართველთა მეფე.“

სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეფოფელი თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ
(1386-1387 წწ.) [74]

„თემურ-ლენგი¹ დიდძალი ლაშქრით ფაიტაკარანისაკენ, (ანუ) ქალაქ თბილისისაკენ გაემართა. აიღო იგი და უთვალავი და ურიცხვი (ხალხი) დაატყვევა. საფიქრებელია, რომ დაზოცილები ცოცხლად დარჩენილებზე მეტი იყვნენ...“

იგი (ბაგრატი)² დიდძალი ძღვენით მორჩილებით ეახლა ბილწ ხელმწიფეს, ხოლო მან, აღსავესემ სატანის ბოროტებით რჯული დაადებინა მას და წაიყვანა და წავიდა ყარაბაღში, ჩვენი უწინდელი მეფეების საზამთრო სადგომში. მაგრამ ქართველთა მეფე აღივსო წმიდა სულის სიბრძნით, ამიტომ მოატყუა იგი და უთხრა: „მომეცი მრავალრიცხოვანი ლაშქარი რათა წავიდე ქართველთა მხარეში, დავიპყრო ყოველი ქვეყანა და თქვენს რჯულზედ მოვაქციო, რამეთუ ის მოდგმა რვა ენისგან შედგება, ყველას შენს მორჩილებაში და შენს რჯულზე მოვიყვან““. ესენი არიან: დრალი, ოსედი, იმერელი, მეგრელი, აბხაზი, სონი, ქართველი, მესხი. მას გაუხარდა, დიდი პატივით ხალათი უბოძა და დიდძალი ჯარი მისცა. იგი (ბაგრატი) აურაცხელი ჯარით დაიძრა და მივიდა ქართველთა ქვეყანაში.

იმ ბაგრატმა საიდუმლოდ შეუთვალა თავის შვილებს – გიორგის,³ კონსტანტინეს⁴ და დავითს, რომ ფარულად შეეგებებოდნენ მას

¹ თემურ-ლენგი (1336-1405 წწ.) – შუაზიელი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. საფუძველი ჩაუყარა თემურიდების დინასტიას. დაპყრობითი ომების შედეგად ჩამოაყალიბა ვრცელი იმპერია, რომელსაც 1370-1405 წწ. განავრცობდა.

² ბაგრატ V დიდი – საქართველოს მეფე 1360-1393 წწ.

³ გიორგი – საქართველოს მეფე გიორგი VII (1393-1407 წწ.).

⁴ კონსტანტინე – საქართველოს მეფე კონსტანტინე I (1407-1412 წწ.).

და დახმარებოდნენ თავიანთ შშობელს, რათა მას მოეხერხებინა როგორმე ხელიდან გასხლტომოდა (თემურს). ხოლო თავად მან ჩალათს ლაშქარი წაიყვანა და ვიწრო და უგზო ადგილზე მიიყვანა. უფლისწულებმა მათ გზა გადაუჭრეს, მახვილები იშიშველეს და მრავალი მათგანი, როგორც ამბობენ, თორმეტ ათასზე მეტი, ამოწყვიტეს, (შემდეგ) მამა წაიყვანეს და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ.“

ქართველი ისტორიკოსები ბიორგი VII-სა და თემურ-ლენგის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ (XIV-XV სს. მიჯნა)

1) ფარსადან გორგიჯანიძე თემურ-ლენგის მიერ გიორგი VII-სთან ელჩების გაგზავნის შესახებ^[75]

„სულთან აჰმად კელმწიფის შვილი თქვენ შემოგკვეწნიაო, ის ჩვენთან გამოგზავნეთო. რა ელჩი ქუთაისს მოვიდა, მეფემ კელმწიფის შვილის თხოვნა უწყინა და ელჩს ავად დახვდა და თემურ კელმწიფეს ასრე შემოუთვალა: არ არის ჩვენთ ნათესავთ წესიო, რომ შეხვეწილი კაცი ვისმე მივცეთო“.

2) ბერი ეგნატაშვილი თემურ-ლენგისა და გიორგი VII-ის მიმოწერის შესახებ^[76]

„(თემურ-ლენგი) „მოიწია საზღვარსა ქართლისასა, და მიუწერა მეფესა გიორგის წიგნი, და მიუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „მე ვარ მეფე შენი და მოვედ ჩემდა შემომრიგდი, და მოგცემ საბოძვარსა მრავალსა და დიდად პატივს-გცემ; და უკეთუ არა მორჩილ მექმნები, უბრძანებ ლაშქართა ჩემთა და მოვაოკრებ სრულიად ქვეყანასა შენსა“.

და ვითარცა მიიწია მოციქული მეფისა გიორგისა წინაშე, და ესრეთ უპასუხა მეფემან გიორგი მოციქულსა მას, ვითარმედ: „მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ, და არცა ძალ-უც მოოკრება ქვეყნისა ჩემისა და, ვინათგან უთქუამს, უკეთუ არა აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი“.

წარვიდა მოციქული იგი ლანგ-თემურისა და მთართუა ამბავი ესე

და მოაქსენა ქება დიდი მეფისა გიორგისა, სიმკნე და სიკეთე მისი და სპისა მისისა. და რა ესმა სიტყუა ესე ლანგ-თემურს, განძნდა დიდად და აღიყარა და წარვიდა ლაშქრითა ურიცხუთა.“

3) „ახალი ქართლის ცხოვრება“ (მეორე ტექსტი), თემურ-ლენგის ელჩის ისმაილისა და თემურ-ლენგსა და გიორგი VII-ს შორის დაზავების მცდელობის შესახებ^[77]

„და ამას შინა კუალად უფროსად განმძლავრდა ლანგ-თემურ. სცნა ესე მეფემან გიორგი, და დიდად მოურნეობდა საქმის წარმართებასა საქართველოსას, და მაშინდა უმჯობესისა წარმართებისათს ინება მორჩილებად ლანგ-თემურისა, და ჰკითხვიდა დიდებულთა თანაგანმზრახთა თუსთა. და განიგულეს წარგზავნად კაცისა მშუდობის ყოფისათს... წარავლინა (მეფემ) კაცი, და იქმო პირველ მოსრული იგი მოციქული, რომელი წარმოევლინა ლანგ-თემურს მეფისა გიორგის თანა. ხოლო ესე იყო შემეცნებულ და ცნობილ მეფის მიერ, ესე იყო სჯულითა მაჰმადიანი, სახელით ისმაილ, და თანაგანმზრახი ლანგ-თემურისა, და შეუთუალნა სიტყუანი მორჩილებისანი.

ხოლო ვითარცა ესმა ლანგ-თემურს, განიხარა სიხარულითა დიდითა და მართლუკან აქცია იგივე მოციქული, და ესრეთ მიუმცნო მეფესა გიორგის, ვითარმედ: „ფრიად კეთილი საქმე აღგირჩევიეს თავისა შენისათს და სამეფოსა შენათუსცა, და კმა არს დაცადება ესეოდენისა სიბოროტისა. ამიერითგან ვყოთ მშვიდობა და, უკეთუ მოხვალ ჩემდა, არცალა მე მოვიქსენებ გარდასრულთა მათ ჭირთა, რომელნი გიქმნიან ჩუენ ზედა, არამედ ნაცვლად სიმდაბლისა და მორჩილებისა შენისა მეცა მრავალი კეთილი ვყო შენ ზედა, და მიილო ჩემ მიერ საბოძვარი და ძმებრივი პატივი.“

ცნობები თემურ-ლენგთან კონსტანტინე
ბატონიშვილის ელჩობის შესახებ (1401 წ.)

1) ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“ (პირველი ტექსტი)

„და სცნა რა მეფემან გიორგი, წარმოუგზავნა ძმა თუსი და ძღუენი მრავალი და მოუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „სადაცა გუბრძანებთ, გილაშქრებთ და ვიქნებით მორჩილნი თქუენნი. და ამიერითგან დააცხრვე გულისწყრომა შენი ჩუენა ზედა“. და შეეწყალა ლანგთემურს, აღილო ძღუენი მისი და მოუმცნო ესრეთ, ვითარმედ: „მიპატივებია დანაშაუები შენი და ამიერითგან, რომელნიცა არიან მაჰმადიანნი საზღვარსა საქართველოსასა, ნუღარა იკადრებთ რბეევად და წყინებად მათდა და იყოს მშვიდობა ჩუენსა და თქუენსა შუა.“

2) შარაფ-ად-დინ ალი იეზდი თემურ-ლენგისათვის კონსტანტინე ბატონიშვილის მიერ წარდგენილი გიორგი VII-ის სიგელის შინაარსის შესახებ^[78]

„ჩვენი უვიცობის გამო ადრე თუ რაიმე დანაშაული ჩაგვიდენია, ახლა ამას ჩვენცა ვნანობთ და, თუ ამას თემური გვაპატიებს, ამიერიდან ჩვენგან ხელშეკრულებათ პირობების შეუსრულებლობა აღარ მოხდება... ხელმწიფის ხაზინას ხარკს ჩავაბარებთ, ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად გამოვიყვანთ დადგენილი ოდენობის ლაშქარს, და, რაკი გვეცოდინება ხარკი გასტუმრებული გვაქვს და უსაფრთხოებაში ვართ, გალობას თავისუფლად ვიტყვით“.

ბერი ეგნატაშვილი თემურ-ლენგთან თავადი
მსაიას დიპლომატიური მისიის შესახებ
(1403 წ.)^[76]

„და რა გამოჰქდა წელიწადი ერთი, მოივარგა ყოველივე საქმე თუსი ლანგთემურ და განიზრახა გულსა შინა თუსსა და თქუა: „შარშან რომ მეფე გიორგი დამპირდა, ვნახოთ აღმისრულებს იმ

პირობას თუ არაო. და თუ აღმისრულებს, ესცნა ახლა“. წარმოვიდა და დადგა მანგლისს. და იყო თავადი ადგილსა მას, რომელსა ეწოდება მარტიანა, და თავადსა მას ეწოდებოდა სახელად ესაია. და მას პირობა დაედვა ლანგ-თემურისათვის მისვლად მის თანა და არღარა მისულყო. და რა მივიდა ლანგ-თემურ, შეწუხდა თავადი იგი და არღარა ჰქონდა ღონე მისვლის მეტი. და მოიპოვა ღონე ესე და შეეხუეწა ძესა ლანგ-თემურისსა შარუხს და ჩამოუშვა შუამავლად. წარვიდა და წარულო ძღუენად ლარნი მრავალნი და მივიდა ძესა თანა ლანგ-თემურისასა, ხოლო მან მიიყვანა თავადი იგი ლანგ-თემურისა თანა. და რა ნახა ლანგ-თემურ, უთხრა სიტყუანი წყრომისანი, თუ ვითარ იკადრე შენ ჩემი ურჩობაო. მაშინ მოეკმარა ძე მისი და იპატივა და შეაწყალა მამასა თვისსა და უშოვა ხალათი. და ჰყვანდა თავადსა მასს ასული ერთი და გამოართუა ძემან ლანგ-თემურისმან აბუბექირ და შეირთო ცოლად. და იყვნენ მიერიტგან მოყუარენი და მიენდო ლანგ-თემურცა...

... და რა სცნა ესე გიორგი მეფემან, წარმოუგზავნა კაცი იგი, სახელად ესაია, რომელი იყო თავადი სომხითისა, და მოუძცნო ესრეთ, ვითარმედ: „რომელიცა პირობა მოგუცემია, ყველა აღგუსრულებია და ურჩობა არ გუქმნია რა, და რომელსაცა ამიერიტგან გუბრძანებთ, არა ურჩ გექმნებთ. და აწ ისმინეთ აჯა ჩუენი და შეიწყალეთ ქუეყანა ესე ჩუენი, ნუ მოხვალ და ნუცა წაახდენთ ქუეყანასა ამას, რამეთუ მოსავლისა პირი არის, და, თუ ახლა თქვენ მოხვალთ, წაქდება სულად ქუეყანა ესე“. რამეთუ თავადი ესე ესაია იყო ყმა მეფისა გიორგისა, წარგზავნა ესე და ფეშქაშიცა გაატანა მეფემან.

და რა მიართუა ფეშქაში, არა აღილო ლანგ-თემურ, რამეთუ სწყრებოდა ფრიად, და შეუთუალა ესრეთ, ვითარმედ: „უკეთუ გინდა წაუხდენლობა ქვეყნისა ამის, მოდი ჩემ თან და გათათრდი, და თუ გათათრდები, არცა გთხოვ ხარკსა და მოგცემ კელშეუალად ქუეყანასა მაგას და სხუასაცა მრავალსა საბოძვარსა. და უკეთუ არა გათათრდები, დაიდევ ხარკი ჩემი და მოდი ჩემ თანა და მოგცემ ქუეყანასა მაგას. და, როგორც განუტყვევ შვილი კვისრისა, ეგრეთვე შენცა არას გავნებ და განგიტყვევ მშულობით, რამეთუ იგიცა შენის

სჯულისა იყო. და უკეთუ არ მოხვალ, დავასრულებ ჯავრსა ჩემსა შენ ზედა და ქუეყანასა შენსა ზედა, ანუ დავასრულო ცხოვრება შენი და ქუეყანაცა. და უკეთუ მოხვიდე, მიფიცავს თავსა მაჰმადისასა, რამეთუ უკეთესი პატივი მოგცე შენ კეისრისაგან და მშუდობით განგ-იტევო, და უკეთუ არა, მიეცნენ ძენი და ასულნი შენნი ტყუეობად.“

ფარსადან გორგიჯანიკე თემურ-ლენგის ბოლო, მმ-8 შემოსემის წინ, გიორგი VII სამეფო კარის დიპლომატიური ნაბიჯების შესახებ¹⁷³

„კარის კაცთათვის ფეშქაში და სახვეწარი წიგნები მოეწერა, - კელმწიფესთან მამებსმარენითო, ჯაზიასა და ბეგარას დავიდებო, ამ ნაპირის ქვეყნებსზედ ულაშქრებო და კარზედ მოსვლა არ შემი-ძლიაო, კელმწიფისაგან მეშინიანო. ადგნენ ვაზირ ვაქილნი და ლაშქარ-თუხუცესნი, ერთგან შეიყარნეს და სიტყვანი ერთი ქნეს და მეფის გიორგის არზა და ძღვენი კელმწიფეს მიართვეს და კარგად გაასინ-ჯვინეს და ასრე მოახსენეს: ტყეში ერთი მოუხმარებელი ქვეყანა არისო. მიხვალ, გაგექცევისო და როსაც წამოხვალ, ისევე ჩამოვალ და თავის ქვეყანას დაიჭურსო და ქვეყანანი დაიჭირეთო და ამდენს სრულ ქვეყანაზედ არ გარჯილვართო და არც ამდენი ლაშქარი ვინმე დაუკოციაო რომ აქ ამოგვიწყდაო და ლეხს იქით ლაშქრობასო თურქნი დიად შეჯერებულანო. ჩივიან და ასრე მოგახსენებენო: ქვეყ-ანა კიდევ ბევრი დარჩომილა აუღებელიო, ამ ურგებ ტყეში რისთვის ჩაგვბოცს კელმწიფეო. გიორგი მეფე კარაჯას იძლეევისო და კარზედ ამისთვის ვერ მოვაო, რომ ოთხჯერ თავს ლაშქარნი დასხითო და ცოლშვილის მოსარჩენლათ კელი გაიძრაო და მრავალი ლაშქარი ამოსწყდაო. გაღანამც ამის შიშით კარზედან ვერ მოვაო და ამას ვეაჯებით კელმწიფესაო, რომ გიორგი მეფის შენაცოდები ჩვენ გვა-პატიოთო, ჯაზია და ბეგარა დაადვათო და უსარგებლოს ტყეებში ამის უფრო თქვენი ლაშქარნი არ ჩახოცოთო. უწინვე მერჯულენი და შიხ იბრეიმ შირვანის¹ ბატონი მოყენებინათ, ასრე რომ თუ კელმ-

¹ შიხ იბრაჰიმ ღერბენდი - შირვანშაჰი 1382-1417 წწ.

წიფემ იმერეთსზედ გალაშქრება მოინდომოს, იმათ დაუშალონ და შერიგება გამოურჩიონ. ვაზირ ვაქილთ ლაშქართ მაგიერთ კელმწიფეს შეხვეწნით მოახსენეს. ხელმწიფემ შირვანის ბატონი შიხ იბრეიმ მოიხმო და მერჯულეთ ჰკითხა: გიორგი მეფე ჯაზიასა და ბეგარას იძლევებისო, მაგრამეო არც მუსურმანი შეიქმნებისო და არც ჩვენს კარზედ მოვა. სამართალი და რჯული მძმდისა რასა ბძრძანებსო. მერჯულეთ ასრე მოახსენეს: თუ ჯაზიას მოგცემსო და მუსურმანთ არას აწყენინებსო, იესოს რჯული მჭირავთათვისო ფელამბარს ასრე უბრძანებიაო, — რადგან ჯაზია მოგცესო, ნურც მოჰკლავთო და ნურც მათზედ ილაშქრებთო; თუ მუსურმანთ წყენსშიგ იყვენო, მაშინ სიკვდილსა და ტყვეობას ღირსანო. რა ეს მერჯულეთაგან კელმწიფემ გაიგონა, შირვანის მეფეს უბრძანა — თქვენ რას იტყვითო. მან ასრე მოახსენა: გიორგი მეფეს ჩვენთანც სახვეწარი წინგნი მოეწერაო. ღმერთმან ეს გამარჯვება საქართველოს ზედანო რომ თქვენ მოგცაო, არც ალექსანდრე მაკედონელსაო და არც სხვათა კელმწიფეთ არ მისცემიათო და აქნობამდისინ არც ვის შეხვეწნიანო. ამღენი ქვეყანა და ციხეები დაუქციეთო, ჯაზიაც იკისრესო, სახელი იქნების თქვენგან ჩუქებაო. კელმწიფემ დაუჯერა.“

**შარსადან გორგიჯანიძე თემურ-ლენგსა და
საქართველოს სამეფო კარს შორის დადებული
ზავის შესახებ (1403 წ.)** ^[75]

„და თემურს გიორგი მეფეზედ იმერეთს გალაშქრება შიხ იბრეიმ შირვანის ბატონმა დაუშალა და იპატივა. ელჩები დააბრუნა და გიორგი მეფეს წინგნი მისწერა. რა ელჩი და წინგნი მიუვიდნენ მეფეს, ნამეტნავად იამა და გამხიარულდა. ისრევე მალ ელჩნი გამოგზავნა და ფეშქაშათ გამოუგზავნა ათასი ცხენი, ათასი თეთრი თემურის საკელს ზედა მოჭრილი, მრავალი კარგი და უცხო ნაქსოვნი სასახელო ჯაჭვები და იარაღები ბროლისაგან დათლილი ვერცხლისაგან გამოჭედილი ჯამ ჭურჭელი, ბადაშხანის ლალი ერთი საკელად გვრდემლა — კარგ ფერი, კარგად წყლიანი, კარგად გათლილი, სანახავად სამებელი, თვრამეტი მისხალ სამის მარჩილის წონა და ჯუჰარ

მცნეთა მისი ფასი ძვირად ღირებისათვის ვერ დადევს. ესები თემურ კელმწიფეს მოართვეს, კარის კაცებს სხვა ფეშქაში მოართვეს და მეფის ფეშქაში ხელმწიფემ მოიწონა, ნამეტნავად ლალისა ასრე ბრძანა: ასრე კარგ ფერი და კარგად გათლილიო, კარგად წყლიანიო და ლალი ამ სიდიდით არავის უნახავსო. არცა სხვათ კელმწიფეთ ჰქონებიათო და არც მე მინახავსო. იტყვიან, ის ლალიო ახლა ინდოეთის კელმწიფის სახლსში ძესო. თემურ კელმწიფემ გიორგი მეფესაო საკელმწიფო გვირგვინი და ქალათი და კმალი გაუგზავნა, დიდის ქებით საიმედო წინგნი მისწერა და იქილამ აიყარა.“

ვახუშტი ბატონიშვილი ალექსანდრე I დიდის მიერ თემურ-ლენგის ჩამოშავლის, ჩალათაელთა მბრძანებლის – შაჰროჰის კარზე მისი მის-ღიმიტრი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით წარგზავნილი ელჩობის შესახებ (1435 წ.) ^[78]

„... გამოჩნდა კაცი შარუხ¹ და ამან დაიპყრა რომელნიმე სპარსეთისანი. მოვიდა და დაიპყრა ადრიბეჟანიცა და შემოვიდა სომხითს. მაშინ ამისთვის განიზრახა მეფემან ალექსანდრე² შემოკრებულთა დიდებულთა თუსთა თანა რაჟ ჰყონ: ბრძოლა ანუ ზავი. არამედ დაამტკიცეს პირველ ზავი და უკეთუ არა ინებოს, მერმე ვბრძოთ შეწევნითა ლუთისათა. ამისთვის აღიღო მეფემან ძღუენი დიდი და ძე თუსი ღიმიტრი წარავლინა ქ-სა ჩ-ულე, ქართულსა რ-კგ (1435) და მოითხოვა მშუდობა. ხოლო შარუხ სიხარულით შეიწყნარა და პატივ-სცა ძისაებ ღიმიტრის. შემდგომად ანიჭნა ნიჭნი დიდ-დიდნი და წარმოუვლინა მამასვე მშუდობით ზავისა მყოფელმან და თვით შარუხ უკუნ-იქცა და წარვიდა“.

¹ შარუხი – იგულისხმება ჩალათაელთა სახელმწიფოს მბრძანებელი, თემურ-ლენგის ვაჟი შაჰროჰი (1405-1447 წწ.).

² ალექსანდრე – საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდი (1412-1442 წწ.).

სილვესტროს სიროკულონი ბიზანტიის
იმპერატორის ელჩის ანდრონიკე იაგრინის
ელჩობის, შერარა-ფლორენციის კრებაზე
ქართული დელეგაციის შემადგენლობისა და
სამკლესიო კრებაზე მათი მოღვაწეობის
შესახებ (1438-1439 წწ.)^[60]

„როცა მან (ანდრონიკე იაგრინი) ამ მხარეზე (საქართველო და ტრაპიზონი) გაიარა, მცხოვრებლებმა იგი კარგად მიიღეს. მან იბერიიდან წაიყვანა ორი ეპისკოპოსი, ერთი ელჩი და იბერიის მეფეთა განსაკუთრებული სენატორები. ტრაპიზონიდან ერთი მიტროპოლიტი, ტრაპიზონის მეფის გამოგზავნილ სხვა ელჩებთან ერთად...

იბერიის ხალხთა ორი ელჩი კონსტანტინეპოლიდან ჩვენს ამაღლაში მოვიდა. ერთი ეპისკოპოსია, მეორე თავადი – ერისკაცი. ეპისკოპოსმა სინოდის სესიები მიატოვა, რადგან კარგად გაიგო, რომ გაერთიანებას ცუდი ხერხით უწევდნენ პროპაგანდას. პირველად ეპისკოპოსები სათითაოდ ჩვენი კაცების შეცდომას უჩვენებდნენ და წამოუყენეს მათ ანტიოქიის პატრიარქის სიგელი, რომელშიაც მათ უკრძალავდა ლათინებთან შეთანხმებას. მერე, ვისაც შესანახად ფლორინები ჰქონდა, ფარულად გაიქცა, რათა გადაემალა ისინი. მხოლოდ ტანსაცმელი და სანიაღვრო სახმარი რამ (დაიტოვა), (დანარჩენს) ღარიბებს ურიგებდა, თავად კი ხალხის თვალებს ემალებოდა, არც სიტყვის თქმა შეეძლო და არც თავის გამოჩენა უნდოდა. ამასთანავე ცოტა ხნით უბრალო ტუნიკას იცვამდა, ზოგჯერ ტუტუცად ან მაწანწალად მოჰქონდა თავი. სოროში პოულობდა თავშესაფარს და მალულად გამოდიოდა ხოლმე... იგი იტალიის ადგილებსა და ქალაქებში უცნობად დაეხეტებოდა და სრული სამი თვის შემდეგ, ისარგებლა რა ჩვენი თანაგრძნობით, გაქრა უკვალოდ. შემბრალებლობით წაქეზებულმა ტორნოვის ეპისკოპოსმა, გაიხსენა რა ძველი გაჭირვება, იმ კაცის ძებნას შეუდგა, რომელმაც ის ვენეციაში ჩაიყვანა... მან ნახა ქართველი ეპისკოპოსი მოდენაში და წაიყვანა ის კონსტანტინეპოლში.

იბერიის მეორე ელჩი თავადი-ერისკაცი იმავე დღეებში, როცა მოისმინა, რომ გაერთიანებას უკვე ბეჭედი აქვს დასმულიო, რომში

ჩავიდა. ასე, როცა იბერიის ნეიტრალურ ელჩს გაერთიანების ხმის მაძიებთა სია უჩვენეს, ისიც ჩუმად წავიდა.“

სილქვისტროს სიროქულოსი რომის პაპისა და
იპარიის მემის ელჩის („თავადი-მარისკაცი“)
პირადი შეხვედრისა და საუბრის შესახებ
(1438-1439 წწ.)^[80]

„სანამ მოლაპარაკების მსვლელობა უკანასკნელ სტადიას მიაღწევდა, ეს თავადი პაპმა თავისთან დარბაზში მიიწვია და ასეთი საუბარი გაუმართა: გაგებული მაქვს, რომ თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით, კაცი მეტად ნათელი ნიჭით დაჯილდოებული. ქრისტეს ეკლესია გვასწავლის განათლების მიმდევრობას: რომის ეკლესია ეკლესიის დედაა და ვინც მასზე უფროსობს, პეტრეს მემკვიდრეა, დედამიწაზე ქრისტეს მოადგილე, ყველა ქრისტიანის მწყემსი და საყოველთაო მსწავლელი. თქვენ უნდა დაემორჩილოთ დედას. ყველა ვინც ამას დაადასტურებს, თვით მღვდელმთავრებს დაიმორჩილებს, მათ ასწავლის და მწყემსავს... ესა და სხვა მრავალი რამ უთხრა საუბარში პაპმა. იბერმა ამგვარად უპასუხა: ჩვენც თანაბრად, რასაც ღვთის წყალობით ვიღებთ, უკვდავებით ვსარგებლობთ, ქრისტიანები ვართ. ჩვენი ეკლესია მოსაწონია და ჩვენს ღოგმებს ვემორჩილებით. ჩვენი ეკლესია ძალიან მტკიცედ იცავს თითოეულ მცნებას ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, ასევე წმინდა მოციქულთა ტრადიციებსა და სინოდისა ან თქვენში წარმოშობილ იმავე ეკლესიის სახელგანთქმული მასწავლებლების სწავლას მაშინვე გადმოვიღებთ ხოლმე (ჩვენს ენაზე). ამისგან არასდროს არ გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიმატებია, არაფერი მალულად არ წავგიღია, წარმოსადგენი მინიმუმიც კი. რომის ეკლესიამ კი მრავალი რამ დაუმატა და საბოლოოდ წმინდა მამების სწავლების საზღვრები გადალახა. ამის გამო თქვენს ეკლესიას ჩვენ ჩამოეშორდით და ორივე გაყრის გზით წავედით. შენი უწმინდესობის სამწყსო მზრუნველობა რატომ ეყრდნობა ერთადერთს, როცა შენი ბატონები შესულია შენს საკუთარ ფარაში, რომელთაც სწორედ ახლა ესაჭიროებათ ტკბილი სიმშვიდით ფარების წიაღში მშვიდად

დაძინება. სიმშვიდეს გამოიტანდა დამატებითი სიმბოლოს ამოგდება, ამისათვის კი არც ერთ მოლაპარაკებაში არ მიგვიღწევია. თუ კი ლათინთა მთელი გვარი შენს არბიტრობაზე და ბატონობაზე დამოკიდებული, რასაც დააკანონებ, იმაზე დაგიკრავენ ტაშს და თანამოაზრენიც გაგიხდებიან. როცა ყველა პატრი პატივსა გცემს როგორც მემკვიდრეს და შენს დისციპლინას თავდახრილნი თავყვანსა სცემენ, ამისათვის იმ ერთადერთ სიტყვას ობელისკზე ნუ დაგვანახვებ, მაშინ მარტო იბერიის ხალხის გულს როდი მოიგებ, ყველა ქრისტიანი ხალხი შენი პატივისმცემელი იქნება. მაშინ რომის ეკლესია ყველას შეაკავშირებს და გულწრფელად გააერთიანებს, შენს უნივერსალურ იურისდიქციას ყველა გულმოწყალებით შეივრდომებს და დაემორჩილება. ასე, რომ ყველასათვის პაპის საკუთარი სახელი სათაყვანო გახდება, ე.ი. ყველა ქრისტიანი მამისა და შენს წმინდა წინასწარმეტყველებას სრულიად გაიზიარებს. ყველა ქრისტიანი ხალხი ერთ ფარეხში, ერთი მწყემსის მფარველობის ქვეშ თავს მოიყრის.

ამის შემდეგ იბერმა პაპს ურჩია ხელი არ ეხლო ბარბაროსულ ენებზე არსებული დოგმებისათვის, რომელთა ძალით წართმევა და მათ ნაცვლად თავისის დანერგვა სურს. პაპმა პასუხი ფარული სიმწარით მოისმინა და განცვიფრებული გაჩუმდა“.

**ანდრეა დი სანტა კროჩე მართლმადიდებელი
ეკლესიის იმპერატორისა და ფერარა-ფლორენციის
კრებაზე (1438-1439 წწ.) იბერიის (საქართველოს)
მეფის ელჩის საპატიო სტატუსის შესახებ^[81]**

„საუბარი და კამათი ლათინელებსა და ბერძენებს შორის ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. სამოციქულო კონსისტორიის რომის პატრიციასა და ადვოკატს ანდრია დი სანტა კროჩეს საუბარი ლუდოვიკო პონტანოსთან, ჩანაწერი დიალოგის სახით.

ლუდოვიკო: კრების დროს სად იჯდა ბერძენთა იმპერატორი?

ანდრეა: ცენტრიდან მარცხნივ იდგა ტახტი ისეთივე, როგორც რომის იმპერატორის კათედრა იყო. მისგან მარჯვნივ სკამზე იჯდა იმპერატორის ძმა დიმიტრი – მორეის მთავარი.

ლუდოვიკო: განაგრძე საუბარი სასულიერო პირების განლაგების შესახებ.

ანდრეა: პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი. პატრიარქი შეუძლოდ ყოფნის გამო იმ დღეს კრებას ვერ ესწრებოდა. მან გამოგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელიც საჯაროდ წაიკითხეს. ქვემოთ სიტყვასიტყვით მოგახსენებთ ამ მიმართვის შინაარსს.

პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებული იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი (რომელსაც ალექსანდრიის პატრიარქის კანონიერი მანდატი ჰქონდა და მისი ადგილი ეკავა), ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესიის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენუზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი – იბერიის მიტროპოლიტი.

ამის შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნტის, რიზეს, ნიკეის, ლაკედემონიის, ნიკომედიის, ტრივოლიის, ამასიის, მიტილენის, ტოლოზინოს, სტავროპოლის, ტუსტრიცის, გარინის, მელენტენის, აქილის, მულდულიის არქიეპისკოპოსები.

შემდეგ მოდიოდნენ: ექვსი პრესვიტორიანული წოდების მქონე პიროვნება, კონსტანტინოპოლის ეკლესიის მიტროპოლიტები – ჯვაროსნებად წოდებულნი, ვინაიდან მათ თავსამკაულზე ჩვეულებრივი მღვდლებისაგან განსხვავებით ჯვრის ნიშანი ჰქონდათ. მათ შემდეგ განლაგებულნი იყვნენ ღირსშესანიშნავი ბერები, თავიანთი წესის მიხედვით“.

ლუდოვიკოს შემდეგი შეკითხვა ეხება პატრიარქებისა და არქიეპისკოპოსების ჩაცმულობას. ანდრეა აღუწერს მას ამ ჩაცმულობას.

„ლუდოვიკო: იმპერატორს არ ახლდნენ საერო პირები?

ანდრეა: იმპერატორის სავარძლის გვერდით სკამზე იჯდა რამდენიმე საერო პირი. პაპის თანმხლები პირების პირდაპირ ისხდნენ: სერბიის მთავარი, ტრაპეზუნის იმპერატორის მანდატის მქონე, იბერიის მეფის ელჩი (რომელიც ყველასგან განსხვავდებოდა თავისი ჩაცმულობით, მრავალი ძვირფასი ქვით შემკული მრგვალი ოქროქსოვილი ქუდით) და ვალახიის ბატონის ორი წარმომადგენელი“.

სილვესტროს სიროკულოსი შერარა-
ვლორენციის კრებაზე უქმე ღღის საზემიო
ლოცვაზე ქართველი ელჩის რეაქციის შესახებ
(1438-1439 წწ.)^[80]

„სინოდის ყრილობაზე უქმე ღღეს საზემიო ლოცვა მოაწყეს პაპისათვის. სანამ საეკლესიო მსახურების მოვალეობის შემსრულებელი მღვდლები დაესწრობდნენ, კათედრაზე ავიდა კეთილშობილი კაცი, პროტონოტარიუსი იოანე. ნათლად და ძალიან ფართოდ, ლათინურ ენაზე, განმარტავდა ყრილობის მნიშვნელობას. ჩვენც იმ ხანობად ელჩებთან ახლოს ვისხედით. იოანე ხშირად საილუსტრაციოდ არისტოტელეს ახსენებდა. ორჯერ, სამჯერ მოსმენის შემდეგ იბერმა მარცხენა ხელში წამავლო და მომიჭირა. მე თვალი მივაპყარი მას, თავი დაუქნიე, ძლივს მივხვდი, თუ რა უნდოდა მას. მან თქვა: „მართლაც და ის არისტოტელე, არისტოტელე! ოო, მეტად ნათელი არისტოტელე!“. მე ძალიან დავეჭვდი მის დამოწმებაში, თუ რატომ ამბობდა: „ძალიან ნათელი არისტოტელე!“ და ვკითხე, თუ ვის თვლის ის ავტორიტეტად. მიპასუხა იბერმა: „წმ. პეტრე, წმ. პავლე, წმ. ბასილი, გრიგოლ თეოლოგი, ქრიზოსტომოსი. ჩვენთვის რაა არისტოტელე, არისტოტელე?“ მთელი ტანით, სახის გამომეტყველებით, ხმით, თავის ქნევით, ხელითაც, გამოსახვითაც უჩვენებდა გაჯავრებას და ეცოდებოდა ორატორი, ყრილობის წინაშე რომ თავს ისულებდა. „ამ სწავლული დისციპლინისა თუ არა, ჩვენი მაინც შერცხვესო“ – ამბობდა იბერი“.

ეპიკტიოს სულტნის ჯაკმაკის წერილი
ქართველთა მეფისადმი (1440 წ.)^[82]

„სახელითა ალაპისა, მოწყალისა, მწყალობელისა
ალაპი დიდებული გაახანგრძლივებს მისი მეფური უდიდებულე-
სობის, დიდებულის, პატივცემულის, სახელოვანის, მამაცის, გულა-
დის, წმინდანის, სულიერის, ჩვენი ღირსეული მამის, ქრისტეანთა
თემის (უმმა) ბურჯის, ჯვრის რელიგიური თემის განძის, ქრისტეან-

ული რელიგიის დიდების, ქართველთა/ქურჯთა და ჯურჯანთა მეფის,¹ მეფეთა და სულტანთა მეგობრის, სიცოცხლეს, ხანგრძლივს ყოფს მის ჯანმრთელობას, დაიფარავს უბედურებებისაგან, დაიცავს მის სამეფოს მისივე ხელით და შეინარჩუნებს მის მეგობრობას.

ეს წერილი გაეგზავნა მის უდიდებულესობას, რათა გამოეხატოთ მადლობა მისი მეგობრობის გამო და შეეასრულოთ მისი სურვილი და თხოვნა ჩვენი სამეფო ღირსებისადმი. და ის ჩვენი წერილი აცნობებს მას, რომ მისი ეპისტოლე მოვიდა ჩვენს სამეფო კარზე მისი მოციქულების ხელით, რომლებიც უკან ბრუნდებიან ჩვენი სამეფო პასუხით.

(ეს ეპისტოლე იქნა გამოგზავნილი) პასუხად ჩვენს მიერ ადრე გაგზავნილ ჩვენს სამეფო დადგენილებაზე მისადმი, რომელიც მას, (მეფეს) გადასცა ნაჯიბ ად-დინ აზზაჰირიმ, სულტნის მამლუქმა. ჩვენ გავეცანით ამ წერილს და შევიტყვეთ ის, რასაც შეიცავდა ჩვენი სამეფო კარისადმი სამსახურთან დაკავშირებით; რომ ის მეფე დაემორჩილა ჩვენს სამეფო ბრძანებულებებს მიწის რამდენჯერმე მთხვევით და მორჩილების გამოხატვით; რომ მუსლიმებს მის ქვეყანაში ეპყრობიან კარგად ჩვენი სამეფო მართლმსაჯულებისა და მისი უდიდებულესობის ზრუნვის გამო და ნებას აძლევენ (უშიშრად) იცხოვრონ. (მან) გვაცნობა, რომ ისლამი (სარგებლობს თავისუფლებით) მათ საკრებულო მეჩეთებში (ჯავამი), მეჩეთებსა (მასაჯიდ) და სამლოცველოებში (მა, აბიდ) და რომ (მის ქვეყანაში) მოგზაურები გამუდმებით მიდი მოდიან საუკეთესო პირობებში რაიმე ზიანის მიყენების გარეშე და მათზე დაწესებულია მხოლოდ ჩვეულებრივი გადასახადი; რომ მის ქვეყანაში ჩავიდა სპარსეთის ერაცის ქვეყნიდან მისი სამეფო უმაღლესობის შაჰ-რუხის მიმდევართაგან ოთხი ათასზე მეტი მუსლიმი ოჯახი და რომ მისმა უდიდებულესობამ კარგად მიიღო ისინი, ნება მისცა თავის ქვეყანაში დასახლებისა, გული-სყურით მოეპყრო მათ;

გარდა ამისა, მან ითხოვა ჩვენი სამეფო წყალობა ისლამის ქვეყნებში ქრისტიანთა თემის, ქართველთა და მათი ბერების მიმართ

¹ ჯურჯანი - ქართველთა ერთერთი სახელწოდება არაბულ ენაში, გამოიყენებოდა აღ ქურჯის პარალელურად.

მზრუნველობაზე და გამოცემა ჩვენი სამეფო ბრძანებისა, რათა სა-
შუალება მიეცეს მესვეურებს დამასკოს მარიამის ეკლესიისა, რომელიც
დაანგრია ამირა თამრმა, აღადგინონ ის, ისე როგორც ადრე იყო.
ჩვენ შევისწავლეთ ეს (მოთხოვნები) და მივიღეთ ჩვენს მეფურ
მხედველობაში. და გამოიცა ჩვენი სამეფო ბრძანება, რათა კარგად
მოაყრობოდნენ მის მოციქულებს ჩვენს სამეფო კარზე მათი ყოფნის
დროს.

რაც შეეხება ქრისტიანებს, ქართველებს და ბერებს, მათ კარგად
ექცევიან, ისე როგორც ეს შეეფერება ჩვენს სამეფო მართლმსაჯუ-
ლებას (უშიშრად) ცხოვრებასთან და მფარველობასთან დაკავშირე-
ბით, მუდმივად სარგებლობენ ჩვენი სამეფო წყალობებით და გაბულ-
მებით ამუშავენენ მიწის ნაკვეთს, რომელიც (ჩვენ) ვუბოძეთ გოლგო-
თის ეკლესიას. მაგრამ (აი), ჩვენი სამეფო სადგომების წინაშე გამოცხ-
ადა სულტნის მამლუქების ერთი ვაჭარი, სახელად მუჰამმად იბნ
მუსტაფა ალ-კარამანი, რომელმაც შემოგვიჩვენა იმ უსამართლობა-
ზე, რაც ჩაიდინა მის მიმართ მისმა უდიდებულესობამ (ქართველთა
მეფემ), როცა გაიარა მის ქვეყანაზე და რომ მისი უდიდებულესობა
უსამართლოდ მოექცა მას და წაართვა ათასი დინარი უფლების და
აშკარა მიზეზის გარეშე. ჩვენ უაღრესად გავოცდით, იმით რომ მისი
უდიდებულესობა ამგვარად ექცევა ვაჭრებს და მუსლიმ ქვეშერ-
დომებს, თუმცა მან იცის, რომ მის ქრისტიან ქვეშერდომებს მათი
ეკლესიების ბერებს (ჩვენთან) ჩვენი სამეფო წყობილების გამო ეყ-
რობიან კეთილგანწყობით და სამართლიანად.

და გამოიცა ჩვენი სამეფო ბრძანებულება, რომელიც მოითხოვს
მათგან (ვინც პასუხისმგებელია) ქართველთა ეკლესიებზე და გოლგო-
თაზე წმინდა იერუსალიმში (გამოცხადდნენ ჩვენთან), მათზე ათასი
დინარის დასაკისრებლად. მაგრამ როდესაც ისინი გამოცხადდნენ
ჩვენი სამეფო სხდომების წინაშე, მოვექეცით მათ მეფური გონიერე-
ბით და მივეცით ვადა (მანამდე), ვიდრე უკან გამოვგზავნიდით მისი
უდიდებულესობის მოციქულებს და მივწერდით მას ჩვენს დადგე-
ნილებას, რომ მას გადაეგზავნა ვაჭრისათვის ათასი დინარი. თუ ის
აღიარებს (ჩვენი მოთხოვნის) მართებულობას და გაუგზავნის მას
(ფულს), მაშინ ჩვენ შევინარჩუნებთ ჩვენს ჩვეულ ყურადღებას მისი

უდიდებულესობისადმი და გავზრდით ჩვენს სამართლიან და კეთილ-
მოსურნე მოპყრობას ქრისტიანებისა და ბერებისადმი ჩვენს ქვეყანა-
ში. (უფრო მეტიც) შევასრულებთ მის თხოვნას მარიამის ეკლესია-
სთან დაკავშირებით.

თუ მისმა უდიდებულესობამ მიითვისა ათასი ღინარი, არ დააბრუნებს
უკან, იქნება უყურადღებო მის ქვეყანაში მუსლიმებისადმი – სა-
მართლიანობის და კეთილგანწყობის მხრივ, მათ შორის ისლამის
რელიგიის (წესების) საჯაროდ შესრულების (ნებართვის მიცემისას),
მაშინ გამოვცემთ ჩვენს სამეფო ბრძანებულებას შურის საძიებლად
ქრისტიანებზე და ქართველებზე, რომლებიც იმყოფებიან ისლამის
ქვეყნებში – იმის შესაბამისად, რასაც ისინი იმსახურებენ – მარ-
თლმსაჯულების და სამართლიანობის მახვილით; და თუ მისი უდიდე-
ბულესობა დაიწყებს მტკიცებას, რომ ის, რაც მოჰყვა ვაჭარმა ჩვენი
უდიდებულესობის სრულიად არ არის მართალი, და რომ ის არ
მოექცა უსამართლოდ მას და არ წაურთმევია მისთვის ათასი ღი-
ნარი, ან უფრო მცირე თანხა, დაე, და მისმა უდიდებულესობამ
მაშინ შეჰყაროს თავის სასახლეში სამღვდლოება და ბერები და
დაიფიცოს მისი რელიგიის და რწმენის (შესაბამისი) საზეიმო ფიცით,
რომ რაც ვაჭარმა მოჰყვა, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ
არის მართალი და გამოგზავნოს ფიცის ნუსხა მღვდლებისა და
ბერების ხელმოწერით ჩვენს სამეფო კარზე, რათა ჩვენი მეფური
გონება დამშვიდდეს და (შეგვეძლება) გავაუქმოთ მოთხოვნა (ათას
ღინარზე) და შურისძიება ქრისტიანებზე და ბერებზე. დაე, მისმა
უდიდებულესობამ გულდასმით შეისწავლოს ყველაფერი, რაც მიუუ-
თითეთ, არ გადაუხვიოს მის პირობებს, გააერცელოს მართლმსაჯუ-
ლება მუსლიმ ქვეშევრდომებზე და გააიოლოს სავალი გზები მოგზა-
ურებისა და ვაჭრებისათვის. მან უნდა აიღოს მათგან მხოლოდ
ჩვეულებრივი გადასახადი. ამგვარად იქნება შენარჩუნებული ჩვენი
კეთილგანწყობა და მეგობრობა მის მიმართ და ჩვენ კარგად მოვეპყ-
რობით მის ქვეშევრდომებს ისლამის ქვეყნებში.

ჩვენ უკან დავაბრუნეთ მისი მოციქულები მასთან (საკადრისი)
პატივით და გამოვატანეთ ჩვენი სამეფო წყალობის ნიშნად შემდეგი:
ქსოვილის 20 ნაჭერი, ესენია: ოთხი აბრეშუმის (ქამხა) მოსასხამი;

აბრეშუმის ხუთი ნაჭერი; საუკეთესო ვენეციური ტილოს ხუთი თავს-
აბური; ოთხი მანდილი (მუსაბბა); ოთხი ქვედატანი.

მისმა უდიდებულესობამ უნდა ჩაიბაროს ისინი. მიიღოს მიწაზე
მრავალგზის მთხვევით და შეასრულოს ის, რაც მივუთითეთ. მან
სწრაფად, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით უნდა გამოგზავნოს
თავისი პასუხი ჩვენს სამეფო კარზე.

მაღალი ალლაპიმც შეგვეწვევა ჩვენ, თუ ისურვებს მაღალი ალ-
ლაპი ამას.

დაიწერა რაბ II-ის დასაწყისში, 844/30. VIII-8.IX. 1440 წელს,
თანახმად სამეფო ბრძანებისა.

დიდება ალლაპს ერთადერთს და იყოს მისი კურთხევა და მშვი-
დობა ჩვენს ბატონ მუჰამმადზე, მის ოჯახზე და მიმდევრებზე.

საკმარისია ალლაპი ჩვენთვის და ჭეშმარიტად ის მფარველია“.

თოვმა მეფოველი ჯაჰან-შაჰის საქართველოში ლაშქრობის შესახებ (1440 წ.)^[74]

„თავრიზის მეფემ და მტარვალმა განმგებელმა, სახელად ჯაჰან-
შაჰმა,¹ შეჰყარა ჯარი, რაზმებად დააწყო იგი, თან წაიყვანა არღე-
ბილის ბოროტი წინამძღვარი, ყველა ყადი, მუდარისი და გაილაშქრა
ქართველთა ქვეყანაზე. მან ბევრჯერ გაუგზავნა დესპანები (მეფე
ალექსანს),² რომლისგანაც მორჩილებასა და დადგენილი ხარკის
გადახდას (მოითხოვდა), მაგრამ მან ეს არ ისურვა და სასტიკ უარს
უებნებოდა მას.

დიდი აღდგომის დღეს განრისხებული (ჯაჰან-შაჰი) უთვალავი
და აურაცხელი ჯარით მოულოდნელად და უეცრად თავს დაესხა
მას. ვინც ხელში ჩაუვარდათ, ტყვედ აქციეს, ხოლო დიდებულები
ამოწყვიტეს.“

¹ ჯაჰან-შაჰი, ჯეჰან-შაჰი – შავბატკნიანთა (ყარა-ყოიუნლუ) თურქმანული სახელმწიფოს
შაჰი 1435-1468 წწ.

² იგულისხმება საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდი (1412-1442).

ბიორგი სვრანძის საქართველოში ბიორგი
VIII-ის სამეფო კარზე მისი ელჩობის შესახებ
(1449-1451 წწ.)^[83]

„იმავე წლის (1449) ოქტომბრის თვის ოთხ რიცხვში ჩემი ბატონის მეფის¹ მიერ გაგზავნილ ვიქმენ იბერიის ბატონთან გიორგი მეფესთან,² რომელსაც ჩვენში უწოდებენ „რექს“, და ტრაპეზუნტის მეფესთან ბატონ იოანე კომნენოსთან, ბრწყინვალე საჩუქრებით და დიდი ძღვენით: თან მახლდნენ დიდებულები და მხედრები, ბერძონაზონები და მონაზონები, მგალობელ-მომღერალნი და ექიმები, და ზოგიერთები, რომლებიც უკრავდნენ ორღანოზე და სხვა სამუსიკო საკრავებზე. და იბერიაში რომ მოვედით, ყველამ სიხარულით მიგვიღო“...

„...წაკვდი მე იმ მხარეში დამძახებლის მიზნით, თუ იმ ორი ოჯახიდან რომელს უფრო მოვიწონებდი...“

„... მე დავასრულე მამშელობა იბერიაში, რათა ჩემს ბატონს ეთხოვა იქაური მეფის ასული, რადგან მე ვიცოდი, რომ იბერიაში ქორწინება ტრაპეზუნტისას სჯობდა...“

„... ამრიგად, ღვთის შეწევნით, დავაბოლოებთ იბერიის მეფესთან დანათესავების საქმეს.

და შედგა ოქრობეჭედი და ხელი იქნა მოწერილი, რომ იმის ასული ყოფილიყო მისი ცოლი და კონსტანტინეპოლის დედოფალი, ხოლო ეს ყოფილიყო მისი ქმარი, იმ შეთანხმებათა მიხედვით, რომლებიც ჩვენთან დასდო იბერიის მეფემ. და როდესაც ის მიიხმეს, ჩვენთან ერთად გამოგზავნილი მისი მთავარი მეორე ხარისხისა და მეფემ და ჩემმა ბატონმა საკუთარი ხელით მის თანადასწრებით სამი ჯვარი დასხა სინგურით ოქრობეჭდის ზემოთა შუბლზე ნიშნად დამტკიცებისა, როგორც მათი ჩვეულება ამას მოითხოვდა“.

¹ იგულისხმება ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე XI (1449-1453 წწ.).

² გიორგი — ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466 წწ.).
კახეთის მეფე გიორგი I (1466-1476 წწ.).

„პაპ კალიქსტოს პასუხი კეთილშობილ ბატონ გორგონას¹ ქარციხეს ჰერცოგისადმი,² რომელსაც მას აპოსტოლური ნუნციოს³ ლუდოვიკო და ბოლონიას⁴ ხელით წერილები გამოუგზავნა.

შენი წერილი მოგვართვა საყვარელმა შვილმა ლუდოვიკო და ბოლონიამ ნეტარი ფრანჩესკოს ორდენის ძმამ, ობსერვანტიელმა,⁵ ჩვენმა ნუნციომ. დიდი სიამოვნებით დავრწმუნდით შენს ერთგულებაში სამოციქულო ტახტისა და ჩვენს – უფლისა იესო ქრისტეს დედამიწაზე მოადგილისა და წარმომადგენლის – მიმართ. ჩვენმა ნუნციომ ისიც მოგვანხენა, თუ რაოდენი მორჩილებით შეხვდი შენ ჩვენს მითითებებსა და შეგონებებს ქრისტეს მიერ ჩვენს უძვირფასეს შვილთან, საქართველოს მეფესთან⁶ და იმ ადგილების სხვა მმართველებსა და ქრისტიან ერებთან მშვიდობის შესახებ. ამ მშვიდობის საშუალებით თქვენ ადვილად შეძლებთ შეუდგეთ ურწმუნო ბარბაროსთა გაწყვეტას, რომლებიც თქვენთან ახლოს ცხოვრობენ. იმავე ნუნციოს მონათხრობიდან შევიტყვეთ შენი პირობა გააგრძელო ომი ყველა ქრისტიანის მტრის – თურქის წინააღმდეგ, რომელსაც, როგორც ამბობ, ბრძოლის ველზე ყოველთვის ამარცხებდი ხოლმე. შენი ეს პირობა ჩვენთვის ძალზე სასიამოვნოა და თუ შენ შენი დაპირების აღსრულებაში სიმტკიცეს გამოიჩენ, რისი იმედიც ჩვენ გვაქვს, ყოვლისშემძლე ღმერთი მტრებზე უფრო დიდ გამარჯვებასა და ალაფს მოგანიჭებს.

ხოლო რაც შეეხება შენთვის აღმირალობის ანუ მთავარსარდლობის ბოძებას მთელს სამხედრო ძალებზე, რასაც თქვენი ქვეყნების ქრისტიანები ბარბაროსებზე სალაშქროდ მოაგროვებენ, ჩვენ შენ ამისთვის

¹ გორგონა – იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს მთავარი ყვარყვარე II ჯაყელი (1451-1498 წწ.).

² ქარციხე – იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს ცენტრი ქ. ახალციხე.

³ ნუნციო, ნუნციუსი რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენლის სახელწოდება.

⁴ ლუდოვიკო ბოლონიელი – XV ს-ის სასულიერო მოღვაწე და დიპლომატი; მარონიტების ორდენის წევრი და ნუნციუსი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

⁵ ობსერვანტიები – ბერები, რომლებიც განსაკუთრებულად მკაცრად იცავენ აღთქმას და სხვა სასულიერო მოვალეობებსა და წეს-ჩვეულებებს.

⁶ იგულისხმება საქართველოს მეფე გიორგი VIII (იხ. შენიშნა 2, გვ. 238).

სავსებით ღირსეულად გთვლით და შენ შეგიძლია მამაშენის მსგავსად მთავარსარდალი იყო. ასე რომ, ჩვენ ამ წოდებას გიწყალობებთ. ოღონდაც თქვენს შორის, იქაური ქვეყნების ქრისტიანებს შორის მშვიდობა და თანხმობა იყოს, რისთვისაც ჩვენ მოგიწოდებთ უფლის მიერ და ღმრთის ნებით უმოკლეს ხანში თქვენი გაერთიანების დიად ნაყოფს შეუერთდება უფრო დიდი, დასავლეთის ქრისტიანთა ძალების მეშვეობით, რომლებიც გაცხარებულნი დაესხმიან თავს თურქებს მეორე მხრიდან, ვინაიდან დასავლეთის ყველა ხელმწიფესა და ხალხს მოვეუწოდებთ წერილითა რომლის ასლიც ერთვის, რათა შეიკრიბონ ჩვენთან დედასა ქალაქს რომში და უფლის წინამძღოლობით მონაწილეობა მიიღონ დიდ ლაშქრობაში თურქების გასანადგურებლად.“

ყვარყვარე II ათაბაგის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე კეთილისადაჲ (1459 წ.)^[85]

„ყოვლად ბრწყინვალე ბურგუნდიის ლუკას,¹ მე, გორგორა საქართველოს მთავარი, სიყვარულით მოგიკითხავ.

დიდად ვნატრობ თქვენს დამეგობრებას, რადგან შევიტყვე, რომ ძლიერ მორწმუნე ქრისტიანე ხართ და მარადის ნატრობთ ჰქმნათ იმისთანა შესანიშნავი საქმე, რომელიც შეეხება ჩვენის წმინდა სარწმუნოების პატივისა და დიდებას, როგორათაც ესა ჰყვეს თქვენთა წინაპართა. მეც ქრისტიანე ვარ და ამ უწმინდესი სარწმუნოების დასაცველად და მისი დიდებისათვის მზად ვარ თავი დავსდევა; ამიტომ ჩემ წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა. მამიჩემის სიკვდილის შემდეგ ხშირად მომიხნდა მათთან ომი და, ღვთის მადლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი მათი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიანე მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე. ხოლო აწ ბატონი ჩვენი პატრიარქის ლუდოვიკეს² ბრძანებით შევურიგდი ყველა ჩემს მეზობელ ქრისტიანე მთავრებსა და გადავწყვიტე, მთელი ჩემი ღონე და შეძლება

¹ ფილიპე III კეთილი – ბურგუნდიის ჰერცოგი 1419-1467 წწ.

² იგულისხმება ლუდოვიკო ბოლონიელი (იხ. შენიშვნა 4, გვ. 239).

მოვიხმარო ოსმალების წინააღმდეგ, როგორც დაეპირდი ჩვენს ბატონ პატრიარქს. თვით მევე უნდა წავუძღვე ჩემს 20000 ცხენოსანს საომრად ურწმუნოთა წინააღმდეგ. ამის ადვილად აღსრულებნისათვის, არა მარტო შეეკრიგდი, არამედ პირობაც შეეკარი და კავშირი დავადგინე ამ ქვეყნის ყველა ქრისტიანე მთავრებთან, რათა ესეთის ჩვენის შეერთებულის ძალით შევებათ და ვძლიოთ ოსმალთა, რომელთაც დაიპყრეს კონსტანტინეპოლი, ხოლო კავშირი ვყავით: მე, გიორგიმ სპარსეთის მეფემ,¹ დავით ტრაპეზუნტის იმპერატორმა,² ბენდიან სამეგრელოს მეფემან,³ რაბია ანოკასიის⁴ (აფხაზეთის) მთავარმა და ბერდებეგ მცირე სომხეთის ბატონმა. ამით გარდა ჩვენი მოკავშირენი სხვანიც არიან. ის მოკავშირენი, თუმცა ურწმუნონი არიან, მაგრამ ძლიერ მთავრებად ითვლებიან და დიდი მტრები არიან კონსტანტინეპოლელი თურქებისა. ისინი არიან შემდეგნი: ყარამან, ძველი მმართველის ისმაილ-ბეგის შვილი, და ჰასანბეგ, უწინდელი ყარაილუკის შვილი. რადგან ჰასანბეგ აქეთ მხარეს კონსტანტინეპოლელი თურქების საზღვარზედ არის, დაგვიბრდა, რომ გზა მოგვცეს, რათა ანატოლია დავიპყრათ და თვითონაც უნდა მოვიდეს ჩვენთან ყოველი თავის ჯარით ასაღებად ბურსა ქალაქისა, რომლის დაპყრობაც თვითონ უნდა. ესეთი კავშირი მასთან იმ პირობით დავდევი, რომ მუდამ იქმნეს ქრისტიანების დიდი მეგობარი; ეგრეთვე უკეთუ თქვენ ლათინის მთავრები და ერი წამოხვალთ იერუსალიმის წმიდა ადგილების დასაპყრობლად, ის ვალდებულია ყველანაირად შეგეწიოთ თქვენ, რაოდნათაც კი შეუძლია. აგერ 50 წელიწადია, ესეთი მშვიდობა და ერთობა, რომელიც აწ ვყავით, არ გაგონილა ჩვენს ქვეყანაში. ეს ვყავით ჩვენის ბატონის პატრიარქის ბრძანებით და ჩაგონებით ეგრეთვე თანახმად წერილისა ბატონის პაპისა, რომელმაც მოგვწერა და გვაუწყა, რომ მან თავის ქალაქში ყველა ლათინის მთავრები უნდა შეკრიბოს და რჩევა ჰქმნას, რათა მოემზადნონ ურწმუნოებთან საომრად. ხოლო დიდათ ვნატრობთ, რომ თქვენც

¹ იგულისხმება საქართველოს მეფე გიორგი VIII.

² იგულისხმება ტრაპიზონის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი დავით კომნენოსი. 1461 წელს თურქ-ოსმალებმა დაიპყრეს და გააუქმეს ტრაპიზონის იმპერია.

³ იგულისხმება სამეგრელოს მთავარი ბენდია ლიპარიტ დადიანი (1414-1470 წწ.).

⁴ ანოკასია - ანაკოფია.

შემოგვიერთდეთ ამის აღსასრულებლად. ამიტომ ბატონ პატრიარქთან ერთად ვგზავნი ჩვენს ელჩებს, ყველა ლათინის მთავრებთან და უფროს ერთად თქვენთან, რადგან შევიტყვეთ, რომ დიდი ხანია ძლიერ ნატრობთ წმიდა ადგილების დაპყრობას. აწ ჩვენის ელჩებისაგან სცნობთ, თუ ჩვენ ყველანი რაოდნათ მოწადინებულნი ვართ ამ სარწმუნოების საქმეში და თუ მისთვის რა გააკეთეთ ამ დროებში. კვლად დიდათ ვნატრობთ და გევედრებით, ჩვენს ელჩებს ყველაფერი კარგად შეატყობინოთ, თუ მზად ხართ ჯვაროსანთა ომის დასაწყებად, რათა მათაც გვაცნობონ, თუ რა დროს უნდა შევიჭურნეთ საომრად. ამასაც გაირღებით, რომ ერთის ზაფხულის განმავლობაშივე დავიპყროთ მთლად ანატოლია და ყველა ქვეყნები, რომელიც კონსტანტინეპოლელ ოსმალოს ამ მხარეს უჭირავს, ხოლო იმის მეორე კერძო ადგილები, რომელიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს, თქვენ დაგიტოვოთ; მისი ალება ადვილი იქნება, რადგან, როდესაც ოსმალეთი ესე ორ ჯარს შორის მოექცევა, ვეღარ გაუძალდება, მალე დაიძლევა და ამნაირად მის სახელს ქვეყანაზე მოვსპობთ. ამიტომ სხვა ყველა ლათინის მთავრებზე უმეტესად თქვენ გევედრებით, რათა ამისთვის იფიქროთ და იზრუნოთ და ხელიდგან არ გაუშვათ კარგი შემთხვევა, რომელსაც გაძლევთ; არც დამცირებად მიიჩნიოთ ჩვენი მომხრეობა, ვინაიდან ყველაფერი დაგვიტოვებია და სარწმუნოების სასარგებლო საქმეს დავდგომივართ. უკეთუ აწ დაიზარებთ და ყურადღებას არ მოაქცევთ ამას (რაც ღმერთმა ნუ ინებოს), მაშინ სრულებით აღარაფერს ვიქმთ, რადგან იმ პირობით შევერთდით ურწმუნოებთან საომრად, უკეთუ თქვენც, მთავარი ლათინი ჩვენთან შეერთებულ იქმნებით: თვინიერ ამისა ყოველი ჩვენი ხელშეკრულობა უქმია; რადგან ყველა ჩვენი რჩევა და გარდაწყვეტილება დამყარებულია ბატონი პაპის წერილზე, რომელიც ჩვენმა ბატონმა პატრიარქმა მოგვიტანა და რომელიც მის ნამდვილ წერილად მიგვაჩინია. დასასრულს უწყოდეთ კარგად, რომ, თუ ახლა ჩვენთან ერთად არაფერს იმოქმედებთ, შემდეგში, კიდევაც რომ გულით მოინდომოთ, ვერაფერს გაარიგებთ, რადგან უსჯულო ოსმალეთი მუდამ დღე ძლიერდება და ვეღარც შევიძლებთ შემდეგში გულმოდგინედ შეერთებას, როგორც ახლა ვართ. თუმცა ბევრი რამ მინდოდა მომეწერა, მაგრამ

ეს ვიკმარე, ზოგსაც ჩემი ელჩი მოგახსენებს. უსმინეთ. ყველაფერი უეჭველად. ეგრეთვე დაგავედრებ მას. ქრისტეს მიერ ბრძანდებოდა მშვიდობით. დაიწერა ქარეციხეს (ახალციხეს), 1459 წ. ნოემბერს“.

ყვარყვარამ II ათაბაგის ელჩის - ფარსადან
ქარციხელის (ახალციხელის) მიერ ვენეციის
დოჟისადმი წარღვენილი წერილი (1460) ^[86]

„უბრწყინვალეს და უგანათლებულეს ხელმწიფეს პასხალიუს მალიპიეროს, ვენეციის ჰერცოგს და სხვ. მე, ყვარყვარამ, საქართველოში ქარციხეს ჰერცოგმა, ამას წინათ პაპის წერილი მივიღე მისი ელჩის, ძმა ლუდოვიკო ბოლონიელის ხელით, სადაც ნათქვამია, რომ პაპი თქვენთან: ფრანკებთანა და ლათინებთან ერთად ჩავიდა ქალაქ მანტუაში,¹ რათა მოგეთათბიროთ ჩვენი სარწმუნოებისათვის ღირსეულ და სასარგებლო საქმეზე, რომელიც ურწმუნოთ გასანადგურებლად არის მიმართული. ამან მე და ჩემი ბარონები ძალზე გაგვახარა და რათა თქვენთან შევთანხმდე და შევიტყო, თუ რა მოიმოქმედეთ და რაზე შეთანხმდით ამ კრებაზე, მე ვაგზავნი ჩემს მოციქულს თქვენს ბრწყინვალეებასთან და პაპთან რომში.

ამისთვის გთხოვთ, კეთილი ინებოთ და შემატყობინოთ, თუ რა ღონეს ხმარობთ კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად, რათა მე ჩემის მხრივ, ჩემი ვალის მოხდა შევძლო. დაე, ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალეებისათვის, რომ მე შევეურიგდი მეფე გიორგის, განსვენებულ ალექსანდრეს შვილს, ბაგრატს საქართველოში ქუთაისის მეფეს² და ბედიანს, ხანს ლიპარიტს (de la Chan de li Partia), მთელი სამეგრელოს ბატონს – ხსენებული ელჩის, ძმა ლუდოვიკო და ბოლონიას სიტყვით, რომელმაც პაპის მითითება გადმომცა.

დაე, ასევე ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალეებისათვის, რომ ჩვენ აქაურმა მცხოვრებლებმა ყველა ქრისტიანმა ხელშეკრულება დავდეთ ურწმუნოთა წინააღმდეგ მთელი ჩვენი ძალების ერთობლივი

¹ მანტუა – ქალაქი ჩრდ. იტალიაში. 1459-1460 წწ. რომის პაპის-პიუს II-ის ინიციატივით გაიმართა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით მოწყობილი კონგრესი.

² იგულისხმება საქართველოს მეფე ბაგრატ VI (1466-1478 წწ.).

გამოყვანის შესახებ. როდესაც თქვენი ბრწყინვალეობა და პაპი შეგვატყობინებენ დროს, დღესა და საათს გალაშქრებისათვის. ჩვენ მზად ვართ და შეგვიძლია თქვენი ნებისმიერი ბრძანება ავასრულოთ. რასაც თქვენ ელჩების მეშვეობით შეგვატყობინებთ.

დაე, ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალეობისათვის, რომ ჩვენ გთავაზობთ შემდეგს: მე, ყვარყვარე, გამოვიყვან 20000 კაცს მეტწილად ცხენოსანს. მეფე გიორგი პირობას იძლევა 40000 კაცსა გურულებთანა (გუგლიე) და აფხაზებთან (ავოგასტი) ერთად, რომელნიც სამართლიანად ითვლებიან მის ქვეშევრდომებად და ამჯერად კი იკისრეს მასთან ერთად ურწმუნოთა წინააღმდეგ გაელაშქრათ. ბედიანი, სამეგრელოს ბატონი, ქუთაისის მეფე ბაგრატიანს ერთად პირობას დებენ გამოიყვანონ იმდენივე ჯარისკაცი, როგორც მეფე გიორგი, ძე ალექსანდრესი. იმპერატორი ტრაპეზუნდისა, მისი სიძე უზუნ-ჰასანი და ბერდებეკ არმენიელი დამოყვრდნენ და შეგეპირდნენ მოგვცენ გზა ხმელეთსა და ზღვაზე და მთელი თავიანთი ძალებით ჩვენთან ერთად მათი მტრების – ოტომანი თურქების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ასე რომ, ღმერთის წყალობით ვიმედოვნებთ დავიპყროთ ანატოლია, თქვენ ბრწყინვალეობას კი გთხოვთ, კეთილი ინებოთ და მთელი ძალები კონსტანტინეპოლის აღებას მოახმაროთ.

გაახლებთ ჩემს ელჩს, რომელიც მოგითხრობთ იმ საქმეებზე, რომლებიც ჩვენ ზემოხსენებული პაპის ელჩთან ერთად მოვიმოქმედეთ.

ამით ყველაფერი. დაე, გწყალობდეთ უფალი.
დაიწერა ქარციხეს და გამოგეგზავნათ თქვენ.“

ფლორენციის რესპუბლიკის სენიორთა წერილი
„საქართველოში ქარციხის ბატონს“ ყვარყვარე
II ათაბაგს (1460 წ.)^[87]

„ქებათა ქებას გიძღვნით, თქვენო აღმატებულებაჲ. თქვენი ელჩის-
აგან შევიტყვეთ, რომ თქვენ შეუთანხმდით სხვა აღმოსავლეთელ
ქრისტიანებს, რათა გაილაშქროთ ქრისტეს სახელის გადასარჩენად
და სადიდებლად. ასევე უდიდეს მადლობას გწირავთ იგივე ელჩის
მეშვეობით დიდსულოვნად შემოთავაზებული მეგობრობისათვის, რომ-
ლის ღირსადაც გეყოფთ“.

ანტიოსმაღური კოალიციის შესაქმნელად
ევროპაში მოწყობილი ელჩობის მოხსენება პაპ
პიუს II-ისადმი (1460 წ.)^[88]

„თქვენ წარმოგზავნეთ ჩვენდამო მინორიტების წესის ბოლონიელი
ლუდოვიკე, რომელმაც მოგვახსენა, რომ თქვენ წახვედით მანტუის
ქრისტიანებთან კრების მოსახდენად, რათა მუჰამედს, ოსმალების
იმპერატორს,¹ ომი დაუწყოთ და ნატრობთ ჩვენმა მთავრებმაც
აზიაში ომი აუტეხონ, როდესაც ევროპაში შეებმით. ეს ამბავი ძლი-
ერ ესიამოვნათ ჩვენს მთავრებს, რადგან მათ სძულთ ოსმალები და
თქვენ კი უყვარხართ და პატივს გცემენ ისე, როგორც ქრისტეს
ნაცვალსა: მზად არიან თქვენი ბრძანების აღსრულებისათვის. ჩვენს
მთავრებს ერთმანეთში მიჰლევარება და ომი ჰქონდათ, მაგრამ თქვენმა
ნუნციომ რა უბრძანა, მაშინვე შერიგდნენ და აწ მზად არიან დაუ-
წყონ ომი ოსმალებს, როდესაც კი თქვენ უბრძანებთ. 120000 მეო-
მარნი მზად არიან ეომონ მუჰამედ იმპერატორს აზიაში, ვიდრე
ჰელესპონტამდე, თრაკიამდე და ბოსფორამდე, როდესაც თქვენ ინ-
ებებთ და თუ თქვენც დასავლეთელებთან ერთად ეომებით ოსმალებს.
ამიტომ წარმოგვგზავნეს და ეგრეთვე მისთვის, რათა ვემთხვიოთ
თქვენთა ფერხთა, ვითარცა ამ ქვეყანაზე ღვთის ნაცვლისას. ეგრეთვე

¹ მეჰმედ II ფათიჰი (დამპყრობელი) – ოსმალეთის სულთანი 1444 და 1451-1481 წწ.

გაუწყებთ, რომ ჩვენთან შეერთებული არიან ბენდიან აფხაზეთისა და სამეგრელოს მეფე, ბაგრატ მეფე ივერიელებისა, რომლებსაც აწ უწოდებენ გიორგიანებს და მანია (მამია) გურიის მთავარი¹... აწ მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ ლუდოვიკე, რომელმაც აქ მოგვიყვანა, დაადგინოთ პატრიარქად იმათზე, ვინც აღმოსავლეთში რომის წესს მისდევენ და თქვენ საყდართან შეერთებული არიან“.

რომის საღვთო იმპერიის იმპერატორ ფრიდრიხ
III-ის წერილი მეფე გიორგი VIII-სადმი
(1460 წ.)^[89]

„ფრიდრიხი და ა. შ. უგანათლებულეს ხელმწიფეს, გიორგის, ალექსანდრეს ძეს, სპარსეთისა და სხვათა მეფეს, ჩვენს უძვირფასეს მეგობარს სალამსა და განუწყვეტლივ მზარდი სიყვარულის გრძნობას უძღვნის.

უგანათლებულესო ხელმწიფევ, უძვირფასესო მეგობარო!

თქვენი მოციქული, გამოჩენილი ნიკოლოზ თბილელი წრფელი სიხარულით ვიხილეთ და ყურადღებითაც ვუსმინეთ მას, ვინაიდან თქვენი მხრივ დაწესებული მისი ელჩობა ჩვენთან თქვენი საბოძვართურთ, რომელსაც რომის წმინდა ეკლესიასა და მორწმუნე ქრისტიანთა დახმარების ნიშნად უძღვნით მძვინვარე მტრის — თურქის წინააღმდეგ, დამსახურებულად იმედით მოსავს ჩვენს რწმენასა და ქრისტიან ხალხს. მეტად სასიამოვნოა ამდაგვარი ფრიად სასარგებლო შემწეობანი აღმოსავლეთის ერისაგან სამოციქულო სავანისა და საკრებულოსადმი ჩვენი უწმინდესი პაპის ელჩთა, სხვა კათოლიკურ სამეფოთა და წმინდა საგამგებლოს წარმომადგენელთა თანდასწრებით: იგი ხელს შეუწყობს განზრახული საეკლესიო და საერო ლაშქრობის მოწყობას თურქთა წინააღმდეგ. ეჭვიც არ გვეპარება, რომ სხვა ერთგულნი და აღთქმის დამდები ქრისტიანები აღდგებიან ჩვენი რწმენის დასაცავად, მტრის დასამარცხებლად და გასაძევებლად. კონსტანტინოპოლის უბედურების დღიდან მოყოლებული ჩვენ ზრუნვითა

¹ მამია (მანია) გურიელი — გურიის მთავარი XIV ს-ის შუახანებში.

და პატრონობით ერთგულად ვუწყობთ ხელს ძლიერი მხედრობის შექმნას ქრისტიანი ხალხის გასამარჯვებლად. შრომითა და ღვთის შეწევნით სამოციქულო ადგილის, თქვენი და სხვათა დახმარებით მუდამ ვიზრუნებთ იმისათვის, რაც ქრისტიან მეფეთ უნდა შეასრულონ თავისი ძალეებით.

დაე, მფარველობა გაეწიოს თქვენს სანაქებო წარმოწყობას, იზარდოს და აღსრულდეს იგი ჩვენი ქრისტიანობის სანუგეშოდ.“

ქ. ბენტიის ქრონიკის ცნობები ქართველთა ელჩობის შესახებ (1461 წ.)^[90]

„საფრანგეთის მეფესთან¹ მოვიდნენ ყველაზე უფრო საოცარი და საკვირველი შესახედაობის ელჩები, რაც კი ოდესმე უნახავთ. ისინი მოვიდნენ საქრისტიანოს უშორესი და უცხო ქვეყნიბიდან. მათ შორის იყვნენ თურქებიც; ასევე სარკინოზთაგან. აი, ამ ელჩების სახელები:

ანტიოქიის პატრიარქი, სახელად ძმა ლუდოვიკო ბოლონიელი. იგი ფრანცისკანელი იყო, საპატივცემულო პრელატი და მოკრძალებული პიროვნება.

იგი ობსერვანტელ ფრანცისკანელთა სამოსსა და მოკაზმულობას ატარებდა; იგი ლათინურად კარგად ვერ ლაპარაკობდა, უფრო ბერძნულად და ცოტა იტალიურად. იგი თვალსაჩინო მეცნიერი და ელჩობის თავი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად მინჰერ ნიკლესი, სპარსეთის მეფის ელჩი, რომელიც მოხუცი კაცი იყო, ღიდი და ლამაზი, წარმოსადეგი იერისა.

შემდეგ რაინდი, სახელად მინჰერ მიხელი. ტრაპიზონის კეისრის ელჩი, რომელიც მშვენიერი რაინდი იყო, ღიდი კეთილშობილი; ბერძენი და ლამაზი ზნის კაცი. იგი ძალიან კარგადა და გასაგებად ლაპარაკობდა იტალიურად.

შემდეგ რაინდი, სახელად კასტოდენი, საქართველოსა და მესოპოტამიის მეფის ელჩი, რომელიც იშვიათად უცხო მოვლენა იყო. მას

¹ იგულისხმება საფრანგეთის მეფე შარლ VII (1422-1461 წწ.).

უჩვეულო მანერები ჰქონდა, იყო დიდი და სქელი, თავის ტონზურა ორი გვირგვინითა და ორი საყურით ყურებში, წვერი და პირსახე ანთარს მიუგავდა, მაგრამ სათნო შესახედავი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად მონრატი, სომხეთის ელჩი, კეთილშობილი პიროვნება; უკრავდა სხვადასხვა საკრავზე და ლამაზი შესახედავი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად მაჰონი, მცირე თურქების ელჩი, რომელიც დიდი თურქის წარმომადგენელი იყო.

შემდეგ რაინდი, სახელად ჰანზე, იოანე პრესვიტერის ელჩი. იგი იყო ასტრონომიის დიდი მცოდნე, მეცნიერი.

შემდეგ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი ელჩები მოვიდნენ საფრანგეთის მეფის სანახავად, რათა უმაღლეს უქრისტეანეს მეფეთა მეფისათვის მოხსენება გაეკეთებინათ. მათ მოიტანეს კეისრის, მეფეებისა და თურქების წერილები, რომელთაგანაც გამოგზავნილი იყვნენ; თხოვეს მეფეს თავისი და მისი ხალხის ნიშანი გაეგზავნა, რათა დაემარცხებინათ დიდი სულთანი და დაეტყველებინათ იგი, რადგანაც მათი თქმით, ფული საკმაო ჰქონდათ და სხვა არაფერი სურდათ გარდა იმისა, რომ საფრანგეთის მეფე და მისი სახელი დახმარებოდათ, ვინაიდან, მათი თქმით, საფრანგეთის მეფის ნიშანი უფრო მეტ დახმარებას გაუწევდა, ვიდრე 90000 კაცი“.

ქ. გენტის ქრონიკის ცნობები გენტში
ქართველთა ელჩობის ოთხდღიანი სტუმრობის
შესახებ (1461 წ.)^[90]

„შაბათს საღამოს 1461 წ. 4 ივლისს ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი ელჩი გენტში მოვიდა. მათ დაათვალიერებინეს ხელოვნების ნიმუშები, ქალაქის საბჭოს შენობაში გააგნეს გენტის პრივილეგიები, ასევე დაათვალიერებინეს მთელი ქალაქი. მათ საპატივცემულოდ მოაწყვეს ტურნირი წყალზე ხიდებს შორის კორტე-ლეიში. გათამაშდა ქალაქის მიერ დაწესებული ჯილდოები. ზეიმი დიდებული იყო. ელჩები ცხოვრობდნენ იაკობ ვან ვესის ფუნდუკში „ოქროს თავი“ (Gulden Hooft) ბურგშტრასზე; აქ ისინი თავს თავისუფლად გრძნობდნენ.

ვინაიდან ჩვენმა ძლევამოსილმა სენიორმა¹ გამცილებლად თავისი რაინდი გამოაყოლა. ოთხშაბათს, 8 ივლისს გამცილებლებთან ერთად მათ ქალაქი დატოვეს.“

იტალიელი მოგზაური და დიპლომატი
ამბროჯიო კონტარინი მუზე ბაბრატ VI-თან
შესხვედრის შესახებ (1474 წ.)^[91]

„...მეორე დღით მეფემ² მიმიწვია. იგი თავისს სასახლეში იჯდა ძირს თავის დიდებულებითურთ (baroni). მეფემ კითხვა დამიწყო და სხვათა შორის მითხრა:

– რამდენი მეფე არის დედა-მიწაზეო?

– მგონია თორმეტი-მეთქი, – მოვახსენე მოუფიქრებლად.

– შენ მართლს ამბობო, – მიპასუხა მან; – მათ შორის ერთი მე ვარ და შენ რად მოსულხარ ჩემს სახელმწიფოში ისე, რომ შენის ხელმწიფისაგან წერილი არ მოგიტანია?

– მიზეზი ის არის მეთქი, რომ არ ვიცოდი, თუ მომიხდებოდა თქვენს სახელმწიფოზე გამოვლა, თორემ უეჭველია, რომ ჩემი მეფე პაპი, რომელსაც თქვენი ისეთივე პატივისცემა აქვს, როგორც სხვა ხელმწიფეებისა, დიდის სიამოვნებით გამომატანდა თქვენთან წერილს.

– ეს სიტყვები, როგორც შევატყე, მოეწონა. შემდეგ კიდევ უფრო ახირებული კითხვა დამიწყო. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ჩვენმა გაიძვერა მხლებელმა დააჯერა მეფე, ვითომ დიდი სიმდიდრე მქონდა თან. მართლა რომ ძვირფასი რამ მქონოდა, სწორედ თავს ვეღარ დავახწევდი იქიდან. მცირეოდენი რაც მქონდა, ყოველივე ზემოხსენებულმა მწერლებმა ამიწერეს და რაც კი მოეწონათ, ცალკე გადაალაგეს და ძალით მიმაცემინეს მეფისათვის. გამომშვიდობების დროს მეფეს ვთხოვე, მხლებლები მიბოძეთ, თქვენ საზღვრამდინ გამაცილოს-მეთქი. მეფე შემპირდა და თან მიბრძანა, სიგელსაც მოგცემ, რომ მშვიდობით გაიარო ჩემი სამეფოო.“

¹ ივლისხმება ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე III კეთილი (იხ. შენიშვნა 1, გვ. 240).

² ივლისხმება საქართველოს მეფე ბაგრატ VI (იხ. შენიშვნა 2, გვ.243).

მოსულის ვეზირის – გამალ-ელ-დინის ელჩის –
ეპისკოპოსი მაფიანის მისია გიორგი VIII-ის
კარზე (1476 წ.)^[92]

„ამის შემდეგ, მოსულის ვეზირმა გამალ-ელ-დინმა, ალაღმარ-
თაღმა და გულმოწყალე ადამიანმა, რომელმაც არა მარტო სირიისა,
სპარსეთის, არამედ ინდოეთის ქალაქებშიც კი ააგო დავრდომილთა
და მოხუცებისათვის თავშესაფარი სახლები და მოამარაგა ისინი
ყოველივე იმით, რაც მათთვის საჭირო იყო, მოისურვა გაენთავისუ-
ფლებინა ზემოხსენებული არაბები იბერიელების ხელიდან.

1476 წელს გამალ-ელ დინმა ღირსეული და საქმიანი ადამიანი –
ეპისკოპოსი მაფიანი მისივე შერჩეულ სხვა პირებთან ერთად გაგზა-
ვნა საქართველოში როგორც ელჩი. როგორც კი ისინი იბერიის
საზღვრებს მიუახლოვდნენ, გიორგი მეფეს¹ აცნობეს, რომ ასირიიდან
მისკენ ელჩობა მოდის სახელდობრ იმ ქვეყნის არქიეპისკოპოსი, ორი
ეპისკოპოსისა და რამდენიმე არაბის თანხლებით.

ამ ცნობით გაცეხებული გიორგი მეფე თვითონ გაემგზავრა არ-
ქიეპისკოპოსი მაფიანის შესახვედრად და პატივით მიიღო, გამოუყო
ბინა საცხოვრებლად და ეკლესია ღვთისმსახურებისა და ზეიმის-
ათვის, რამდენადაც ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ უფლის მოვ-
ლინების წინააღმდეგ.

შეასრულა რა არქიეპისკოპოს მაფიანის თხოვნა, მეფემ გაათა-
ვისუფლა ბევრი არაბი ტყვე, ხოლო სხვები ოქროთი გამოისყიდეს
მოსულის ვეზირის დესპანებმა. ბოლოს, გიორგი მეფემ მათთან ერ-
თად თავისი ელჩობა გაგზავნა და საჩუქრები გაუგზავნა მოსულის
ვეზირს. ვეზირის ელჩები დიდი სიხარულით დაბრუნდნენ თავიანთ
ქვეყანაში და მოსულში ჩავიდნენ. მოსულისკენ მიმავალ იბერიის
ელჩებს მიჰქონდათ შუბზე წამოგებული ჯვრები ქრისტიანების სანუგ-
ეშოდ.“

¹ მკვლევართა აზრით, უნდა იგულისხმებოდეს გიორგი VIII, რომელიც 1466 წლიდან
კახეთში მეფობდა.

ნიტალიელი მოგზაური და დიალოგატი
იოსაფათ ბარბარო უზუნ-ჰასანის
საქართველოში ლაშქრობის, ბაბრათ VI-თან და
სამცხის ათაბაგ ყვარყვარესთან დადებული
ზავის შესახებ (1477 წ.)¹³¹

„მოგითხრობთ იმის შესახებ, რაც გავაკეთე ბატონ უზუნ ჰასან-თან¹ ერთად. იგი გაემგზავრა თავრიზიდან და ბრძანა ხმის გავრცელება (თითქოს) სურდა ოტომანის² წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა იმ ნიშნების მიხედვით, რასაც ვხედავდი მისი არ მჯეროდა. რამდენადაც შემეძლო განმესაზღვრა (უზუნ ჰასანის ლაშქარი), იქნებოდა 2000-4000-მდე ცხენოსანი, ოთხი ათასიდან ხუთი ათასამდე ქვეითი. აღამიანები, რომლებიც მოდიოდნენ ბანაკის დასახმარებლად, დაახლოებით — ექვსი ათასი. ქალები ბავშვები და მსახურები, სხვა რომ არა ვთქვა, საკმაოზე მეტი. ამგვარად, ვიარეთ შვიდი დღე. შემდეგ შევბრუნდით ხელმარჯვნივ, წინააღმდეგ საქართველოსი, (რომელიც მდებარეობს) შავი ზღვის პირას. საქართველოში შევიჭერით, რადგან მისი გაძარცვის სურვილი ჰქონდა მბრძანებელს. მან, თავისი ჩვეულების თანახმად, წინ გაგზავნა მარბიელნი, 5 ათასამდე ცხენოსანი. ისინი, რადგან გასავლელი გეჰქონდა დიდი მთები და უზარმაზარი ტყეები, წინ ყველაფერს აკეთებდნენ, რაც შეეძლოთ: ჭრიდნენ და წვავენ ტყეებს. ჩვენ შორიდან ვხედავდით ცეცხლს და ვიგებდით, რომელი გზით უნდა წავსულიყავით. ამგვარად, გზა გამზადებული გვხვდებოდა. საქართველოს შიგნით ორი დღის სიარულის შემდეგ, მივედით თბილისში. არა მხოლოდ (თბილისი), არამედ იქიდან მოყოლებული, მთელი ეს მხარე მიტოვებული იყო და წინააღმდეგობის გარეშე დავეუფლეთ. შემდეგ წავედით უფრო ზევით გორისაკენ და სხვა ირგვლივ მდებარე ადგილებისაკენ. ყველა ისინი გაძარცვული იყო. ასევე მოეპყრო (უზუნ ჰასანი) ქვეყნის უდიდეს ნაწილს. ბატონი უზუნ ჰასანი შეუთანხმდა საქართველოს მეფე ბაგრატს³

¹ უზუნ-ჰასანი — თეორბატკნიან (აყ-ყოუნლუ) თურქმანთა სახელმწიფოს შაჰი (1454-1478 წწ.).

² ოტომანთა იმპერია — ოსმალეთის იმპერია.

³ იხ. შენიშვნა 2, გვ. 243.

და ყვარყვარეს,¹ რომელიც ამ მეფეს ესაზღვრება, რომ მისთვის მიეცათ 16000 ღუკატი² და, თბილისის გარდა, მთელ ქვეყანას დაუტოვებდა მათ. მეფე ბაგრატმა და ყვარყვარემ, უნდოდათ რა ამ ფულის გადახდა, გამოგზავნეს ოთხი ბალასი,³ რომლებიც რიგიანები იყო, (მართალია) არც ისე ღიდები და ისე ლამაზები, მაგრამ ისეთი ხარისხიანი, როგორც ისინი, რომლებსაც ვენეციაში, სან მარკოს საკურთხებელზე უჩვენებენ. როცა ბატონ უზუნ ჰასანს მიუტანეს ის ოთხი ბალასი, მან გამომიგზავნა (კაცი), რათა მათ სანახავად (წავსულიყავი) და შემეფასებინა. ვიდრე მე ხსენებულ მბრძანებელთან წავიღოდი, მეფე ბაგრატის და ყვარყვარეს ელჩებმა, რომლებმაც ბალასები ჩამოიტანეს, შემომითვალეს, რომ მე კარგად შემეფასებინა ბალასები, რადგან (ქართველები ჩემსავით) ქრისტიანები იყვნენ. მივედი თუ არა მბრძანებელთან (მან მაშინვე) მომცა ის ბალასები. მე გულდასმით დავათვალიერე ერთი (ბალასი). ბატონმა უზუნ ჰასანმა მკითხა, რამდენი ეღირებაო. მე ვუპასუხე: „ბატონო ეს ღირს 4000 ღუკატი“. მან გაიცინა და თქვა: „შენს ქვეყანაში ძალიან ძვირი ღირებულა. არ მინდა ბალასები, ფული მინდა“.

**ჰასან რუმელუ ყვარყვარე II ათაბაგის მიერ
იაყუბ-ყაენის კარზე ზავის სათხოვნელად
თავისი ვაჟის ელჩად გაგზავნის შესახებ
(1483 წ.)^[94]**

„ყვარყვარემ თავისი შვილი გააგზავნა თხოვნით იაყუბ ფადიშაჰის⁴ კარზე და ამირების მეშვეობით მისი უდიდესობის ნოხის კოცნით გაბედნიერდა, დაალაგა რა ხელმწიფის წინაშე ძღვნად მოტანილი საჩუქრები, მან მოახსენა იაყუბს, თუ ხელმწიფე ინებებს თავის ქვეყანაში დაბრუნებას, დაპირებული გადასახადის გარდა კიდევ შევიტან თქვენს ბედნიერ ხაზინაში ხუთას თუმანს „ნალს ფასადო“. იაყუბ

¹ იხ. შენიშენა I. გვ. 239

² ღუკატი - ფულის ერთეული.

³ ბალასი, ბადახში - ძვირფასი ლალის თვალი.

⁴ იაყუბ-ყაენი - თურბატკინან (აყ-ყოიუნლუ) თურქმანთა სახელმწიფოს შაჰი 1478-1481 წწ.

ფადიშაჰმა მიუაღერსა მას, ძვირფასი ტანისამოსითა და ქარივით სწრაფი ცხენების ბოძებით გააბედნიერა და გაუშვა. იაყუბ ფადიშაჰი თავრიზისაკენ გაბრუნდა“.

კონსტანტინე II-ის სიბეღლი მსკანებითის
დედოფალ ისაბელასადმი ანტიოსმალური
კოალიციის შემქმნის შესახებ (1495 წ.)¹⁹³

„ღვთისა ჩვენისა ქრისტეს ერთგული თვითმპყრობელი მეფე კონსტანტინე პანკრატოვანი, მეფე სრულიად ივერთა ქვეყნისა, ჯიქთა და მეგრელთა, აფხაზთა, იმერთა და სომეხთა, ქართველთა და „ტურბანთა“ სახელოვანსა და უმაღლესსა, უბრწყინვალესსა და მშვიდსა თვითმპყრობელ დედოფალსა და მეფეს ელისაბედს, ესპანეთის ციხე-ქალაქისა და ყოველთა ქრისტიანეთა ზედა ღვთით დამტკიცებულს. მრავალ მოწყალე იგივე ღმერთი მფარველობდეს და იცავდეს შენს წმინდა მეუფების სახელმწიფოს მწუხარებისაგან და სნეულებისაგან, სულით და ხორციით ჯანმრთელად მრავალჟამიერ, ყოველთა ქრისტიანეთა გასამტკიცებლად. რამეთუ თქვენი წყალობით და ღვთის ძლიერებით თქვენი სამეფოს სიმრთელით არსებობა გვესმა და, სადაც კი საბრძოლველად გასულხართ, იქ ყოველგან მტერი შენი დაგიძლევიან, ჩვენ ეს უსაზღვროდ გვიხარია და ყოველად ძლიერ ღმერთს დიდებას აღუკვლენთ... მისავე მადლმა განგამტკიცოს შენ მთელი სამყაროს მპყრობელობაზე და მფარველობაზე, ხოლო სხვა ურჯულო მპყრობელი ღვთის ძალით წარგერტყვევნოს. და თვით უწმინდური იგი სარკინოზი თავისი მრჩეველით შეგიტყვევებინა და მისი დიდნი ციხე-ქალაქნი დაგიპყრნია, არც ერთი ეს გამარჯვება სხვისი დახმარებით არ მოგიპოვებია, ყოველივე მხოლოდ ღმერთმა მოგანიჭა შენ უზუნაესად და გიბოძა შენი ძლევის გვირგვინი უღვთო აგარიანელთა ზედა, როგორც ბრძენსა და ღირსეულ მეფეს, ბრწყინვალეებით და სიბრძნით შემკულს, სამეფოს ღირსეულად მპყრობელს. გვესმა, რომ სხვა მრავალნი მეფენი გაერთიანებულა თქვენი მეფობის ქვეშ, გაგვიხარდა ეს უადრესად და ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ კეთილმოსურნე ქრისტიან

ხელმწიფეებს ერთმანეთში სიყვარული და ერთობა დაგიმკვიდრები-
ათ. ახლა ვფიქრობთ, რომ ამიერიდან დედამიწაზე სხვა ბრწყინვალე
მზეს ვხედავთ აღმოსავლეთიდან მოკიდებული მთელ ქვეყანაზე და
მეორე მოციქულს (ვხედავთ) ღვთის მიერ დაგვირგვინებულს და
დიდ მეფე კონსტანტინეს (ვხედავთ). მან ხომ ელინური უღმერთობა
და კერპთა საცდური დაამხო. ხოლო შენმა ღვთისმოსავმა მეფობამ
კი აგარიანთა უღვთო თესლი დაამხო და წარტყვევნა, ხოლო ჩვენი
ნათესავი მათ მიერ პირველ დატყვევებული, გაათავისუფლა. სად
არის ის დიდება და პატივი, რომელიც ქრისტიანებს ჰქონდათ? სად
არის ქება და იმედი, სად არის წმინდა და დიდებული კონსტან-
ტინეს დიდი ქალაქი? სად არიან იქ მეოფი კეთილმორწმუნე
მთავრები? სად არის სიხარული და მხიარულება მისი? სად არის
წმიდათაწმიდა ღვთის სიბრძნე. რამეთუ იტყოდა სოლომონი: „სი-
ბრძნე და ძალა ღვთისა წინათ სიხარული იყო, ახლა კი ტირილია,
წინათ სიხარული და მხიარულება, ახლა მწუხარება და შევიწროე-
ბა, წინათ დიდება, ახლა უპატიობა, წინათ სინათლე გვქონდა,
ახლა წყვდიადი, წინათ მეტყველება და დიდება მეფისა, ახლა
ტირილი, გოდება და კვნესა ჩვენს შორის“. ჰოი, რაოდენ მადლს
მოკლებულია ჩვენი ნათესავი! სადღა არის ტრაპიზონის სამეფო და
ამორეველთა, იაგისგელთა და ეგრიპოელთა? ან სერბთა ქვეყანა სად
არის? ან სხვა ქვეყნები რა იქნა? ახლა კი გავიგეთ და მტკიცე
იმედიც გვაქვს, რომ ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერ-
თი ჩვენი უღვთო აგარიანელებზე გამარჯვებას მოგვანიჭებს. რომელ
საქმისთვისაც ჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ-მონაზონი კირ-ნილო¹
ეგვიპტის სულთაგან ქაიროში წარვგზავნეთ, რომელმაც იგი დიდი
სიხარულით მიიღო. (იცოდეთ რომ) ჩვენ სხვა მხრივ უწმინდ-
ურებთან საერთო არაფერი გვაქვს. როცა იგი (კირ-ნილო მღვდელ-
მონაზონი) ეგვიპტიდან იერუსალიმში დაბრუნდა, იქ, იერუსალიმ-
ში, თქვენი მეუფების დესპანები იპოვა და ამ თქვენ დესპანებთან
ერთად, ჩვენთან მოვიდა. ამ დესპანებისგან გავიგეთ თქვენი მეუფე-

¹ ნილო, ნილოსი - XV ს-ის II ნახევრის ქართველი სასულიერო მოღვაწე და
დიპლომატი, მღვდელ-მონაზონი, კონსტანტინე II-ის კარის მოძღვარი, მეფის შრეველი და
საეკლესიო დესპანი.

ბის გამარჯვების ამბავი¹ და დიდად გავიხარეთ. მაშინვე საჩქაროდ თქვენს მეუფებასთან დაბეჭდილი წერილებით, მოძღვარი და მესაიდუმლე ჩემი, იგივე მღვდელ-მონაზონი კირ-ნილო გამოვგზავნეთ. წერილების გარდა სხვა სიტყვიერ ჩვენს გულის ნადებსაც გაიგონებთ მისგან, რადგანაც გზაზე მრავალი მტერია. როგორც თქვენმა მეუფე-ბამაც იცის, უღვთო სპარსთაგან მარად ჟამს წამებული ვართ და მათ მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩვენ. სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: ან უზომო დიდი ხარკი გვაძლიეთო, ან ჩვენ გვებრძოლეთო, ანდა ჩვენს სარწმუნოებაზე მოიქეცითო. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინოპოლისა, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანულ ქვეყანათაგან ჩვენ ხომ მარტო დავრჩით, ძალიან მცირენი ვართ. ამჟამად უღვთოთა მთელი სიმრავლე აგარიანთა, თურქთა და არაბთა შეძრწუნებული და შეშინებულია. ახლა დრო დაგვიდგა ღვთის მეოხებით და გთხოვთ შენ კონსტანტინეპოლზე გაემართო. არ დაიზაროთ. აიღე ჯვარი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, როგორც ფარი, ხოლო ღმერთი უფალი დეე შენს სურვილებს აღასრულებდეს. ხოლო მე, ჩემი ვაჟიშვილით და ჩემი ლაშქრით, რამდენიც შემეძლება, როგორც კი თქვენი მეუფების მიერ გამოგზავნილი დესპანი ჩემამდე მოაღწევს, დაუზარებლად ამ საქმეზე თქვენს მოწყალებას თან გამოგყვებით. თქვენი მოწყალების სიყვარულისათვის გამოვიგზავნეთ მცირე მოსაკითხი (ძღვენი) იეზდის ცხრამეტი ოქროს ქსოვილი, ოცდათხუთმეტი მისხალი მსხვილი მარგალიტი და ორი ცხრა ფოცხვერის (ვეფხვი ?) ბეწვეული. ხოლო ჩვენ, ვითარცა ძმანი ქრისტეს მიერ სიყვარულითა, თქვენი დიდებისა და თქვენი მეუფების დიდი მოიმედე გწერთ და ღმერთს ვევედრებით – აღსრულდეს ყოველივე ნებითა ღვთისითა და მეფობდე ქვეყნის გასაახლებლად ყველა ხალხზე, ღმერთმა ინებოს თქვენი და ჩვენი განუყრელობა უკუნითი უკუნისამდე ამინ. მარტის 10-სა დღესა ქრისტეს შობიდან ჩუჟე წელსა (1495)“.

¹ იგულისხმება პირინეის ნახევარკუნძულიდან არაბთა საბოლოო განდევნა (ე. წ. რეკონკისტა). 1492 წელს გრანადის განთავისუფლებით რეკონკისტა დასრულდა.

მსკანეთის მღვთის ფერდინანდისა და დედოფალ
ისაბელას ფერილი კონსტანტინე II-სადმი
(1495 წ.)¹⁹⁶

„ფერდინანდი და ელისაბედი, ღვთის წყალობით მეფე და დედო-
ფალი კასტილიისა... გულწრფელად მიესალმებიან უბრწყინვალეს კონ-
სტანტინე პანკრატიოსს, ქართველთა საუკეთესო და უღირსეულეს
იმპერატორს. მივიღეთ თქვენი წერილები ღირსეული მონაზვნების,
თქვენი ბრწყინვალეების მიერ ჩვენთან გამოგზავნილი ელჩების, ძმების
ნილოსისა და ზაქარიას ხელით; რომელთა შემწევობით ამავე დროს
გავიგეთ ზოგიერთი რამ, რაც მათ თქვენი სახელით გვიაძბეს. ჩვენ
ძლიერ გვახარებს, უწინარეს ყოვლისა, თქვენი რწმენა, რუდუნება
და დაცვა კათოლიკური რელიგიისა; და, საპირისპიროდ ამისა, გან-
ვიცადეთ არც თუ მცირე ტკივილი როცა გვიაძბეს იმ წუხილის,
მღელვარებისა და ხიფათის შესახებ, რომელსაც განიცდის თქვენი
ბრწყინვალეობა ყოველდღიურად. ამისდა მიუხედავად, ყველა შემთხ-
ვევაში უნდა მადლი შევწიროთ უზენაეს ღმერთს და ბევრი ვილო-
ცოთ მის წინაშე იმისათვის, რომ არა მხოლოდ თქვენ, არამედ
მთელი ქრისტიანი ხალხი გაათავისუფლოს ურჯულოთაგან, დაგიც-
ვათ თქვენ და მოგანიჭოთ მტერთა ძლევა. არ გვეჭკვება, რომ მოწ-
ყალე ღმერთი აღასრულებს ამას, თუ თქვენი ბრწყინვალეობა მო-
მავალშიც, ისე როგორც დღეს, მტერთაგან თავდასაცავად იხმარს
ყველა ღონეს და მგზნებარე სულით იღვაწებს კათოლიკური რწმენის
დაცვისა და განდიდებისათვის. და იმისთვის, რომ თქვენ აკეთოთ ეს
და უარი არ თქვათ ამ განზრახვაზე, ჩვენ მიწვივ ვევედრებით თქვენს
ბრწყინვალეობას და მოგიწოდებთ ღვთის სახელით. რაც შეგვეხება
ჩვენ, აქამომდე სწორედ ამგვარად ვიქცეოდით და, თუ უფალი ინ-
ებებს, მომავალშიც ამგვარად ვიმოქმედებთ. მართლაც, ბეტიკაში,
ჩვენს სამფლობელოთაგან ყველაზე წარჩინებულ და ლამაზ პროვინ-
ციაში, ღვთის წყალობით, დავიბრუნეთ გრანადის სამეფო, რომელსაც
ლიბიიდან მოსული არაბი მეფეები რვაასი წლის განმავლობაში
ფლობდნენ, და ვაიძულეთ აგარიანნი გადასულიყვნენ ლიბიის ზღ-
ვაზე, გარდა ამისა, სრულიად განვასხით ჩვენს სამეფოთა და სამ-

ფლობელოთაგან ყველა იუდეველი, რომელნიც დიდ-დიდ გუნდებად დაძრწოდნენ, მიჰქონდათ რა ზიანი ყველა კუთხეში. მაგრამ თუ, როგორც ჩვენ გვსურს და მოველით, ღვთაებრივი უზენაესობა ხელს შეუწყობს ჩვენს მისწრაფებას, არავითარ შემთხვევაში არ განვუდგებით საკუთარ განზრახვას, რამეთუ არაფერი სურს ისე ძლიერ ჩვენს მეფეს ფერდინანდს, ვიდრე გარდასხას ჯარი აფრიკაში და შეუსვენებლივ იბრძოლოს კათოლიკური რწმენისათვის. სხვა მხრივ ჩვენ ძლიერ დავაფასეთ საჩუქრები, რომლებიც მოხსენიებულმა ელჩებმა თქვენი ბრძანების თანახმად ჩვენ მოგვართვეს; დიდ მადლობას ვუძღვნით მათთვის თქვენს დიდბუნებოვნებას. ამის გამო სულიერი მგზნებარებითა დაკმაყოფილებით აღვითქვამთ, მოვიხმართ ჩვენი ძალა, საშუალებანი, უფლებანი, სამეფო და მამულები თქვენი პატივისა და სარგებლობისათვის და ქრისტიანული რწმენის ამაღლებისა და განდიდებისათვის. რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომელთა შესახებ მოხსენიებულმა ელჩებმა გვიაშბეს, ჩვენ მათ ეუპასუხეთ ვრცლად და დაწვრილებით. დაე მათ გიაშბონ თქვენ; დაე, თქვენმა ბრწყინვალეებამ კეთილად ირწმუნოს; და უკვდავი ღმერთი მფარველობდეს და წყალობდეს თქვენს მეფურ პიროვნებას, თქვენს სახელმწიფოს და სამეფოს თავისი მზრუნველობით.“

**რომის პაპის ალექსანდრე VI-ის წერილი
ქართლის მეფე კონსტანტინესადმი (1496 წ.)** ¹⁹⁷¹

„ღვთის მონათა მონა ეპისკოპოსი ალექსანდრე. ქრისტეს მიერ ჩვენს ყოვლად მადლიან შვილს, ქართველთა ბრწყინვალე მეფეს კონსტანტინეს მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა.

შენი მოძღვრისა და ელჩის, საყვარელი შვილის ბერი ნილისაგან მივიღეთ შენი წერილი, რომელშიც გამოხატავ უდიდეს პატივისცემას და ერთგულებას ჩვენადმი და სამოციქულო ტახტისადმი, ასევე მოლოცვას ქრისტიანულ რესპუბლიკისადმი და მადლობას სწირავ ყოვლისშემძლე უფალს იმ გამარჯვებისათვის, რომელიც ჩვენმა ყოვლად მადლიერმა შვილებმა – ესპანეთის ბრწყინვალე მეფემ და დედოფალმა ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოიპოვეს.

სრულიად აღფრთოვანებით შეეხვდით თქვენს შესანიშნავ განზრახვას და გეგმას იესო ქრისტეს სარწმუნოების მიმართ ამოხეხულთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ასეთი ლაშქრობა ყველგან მომზადდება და ის, რომ შენ ამ მხსნელი წამოწყებისათვის გეთავაზობთ ლაშქარს შენი შვილის მეთაურობით, პატივსივლილი საფლავების გაწმენდისა და ქრისტესათვის ჩაგრული ხალხის განთავისუფლების მიზნით, ძნელია გამოითქვას, რამდენად აღგვაფრთოვანა ამ ცნობამ...

განუწყვეტლივ ვფიქრობთ, ვშრომობთ, რათა ქრისტიან მეფეთა შორის მშვიდობიანობა დავამყაროთ, ვუნერგავთ რა მათ იმედს კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და სხვა საპატრიარქო ტახტების დახსნის შესახებ, მაგრამ ერთი რამ უშლის ხელს ჩვენს მისწრაფებას და ყველა კეთილ განზრახვას; ეს არის ჩვენი ძველი მტერი და მოწინააღმდეგე, რომელიც მათ შორის უთანხმოების მარცვალს თესავს. მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, ქრისტეს დახმარებით მათ გავუსწორდეთ და ყველა ძალა გაბედულად მივმართოთ წმინდა სარწმუნოების მტრების წინააღმდეგ და გამარჯვებაში დარწმუნებულებმა მალლა ავწიოთ ჯვარის დროშა.

თუმცა ჩვენ ყოველთვის ვიღწოდით ასეთი სურვილით, მაგრამ ახლა შენი მზადყოფნა და ქრისტეს დიდებისაკენ შენი კეთილსინდისიერი მისწრაფებით დარწმუნება ჩვენ გვაიძულებს, ეს საქმე დავაჩქაროთ.

ამრიგად, ჩვენ რამდენადაც შეგვიძლია, გთხოვთ და უფლის სახელით გლოცავთ, რათა შენ არ შეცვალო შენი ეგ საქმეარი განზრახვა, დაარწმუნო და უბრძანო შენს ქვეშევრდომებს, მიჰყენენ შენს გონებას და ამ წმინდა საქმეში მაგალითიც შენგან აიღონ...

ამასთანავე, რამდენადაც შენ იმავე ნილის, შენი ელჩის, საშუალებით გვთხოვთ – შენს უდიდებულესობას გავუგზავნოთ სარწმუნოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩამოყალიბებულია ფლორენციის კრებაზე, სადაც ჩვენი ბედნიერი წინამორბედის დროს, ღვთაებრივი ხსოვნა პაპს ევგენიუს IV-ს,¹ სამყაროს ეკლესია შეთანხმდა – როგორც ბერძნული, ისე ლათინური, რათა შენ და შენმა ქვეშევრ-

¹ ევგენიო IV – რომის პაპი 1431-1447 წწ.

დომებმა ამავე რწმენით დაიმსახუროთ სამუდამო დიდება და მიაღწი-
ოთ ამ დროულ გამარჯვებას სარწმუნოების მტრებზე, ვინაიდან
ნამდვილი რწმენის გარეშე, მოციქულის მოწმობით, შეუძლებელია
ღმერთს მოეწონო.

ამიტომ ჩვენ ახლა გიგზავნით კრების დადგენილებას, წერილში
ჩადებულს და ჩვენი ბეჭდით დალუქულს, და ვთავაზობთ შენს თავდადე-
ბულობას, უბრძანოთ: გაავრცელონ და მიიღონ იგი შენი ქვეყნის
ყველა პროვინციაში, როგორც ქრისტეზე, უფლის ჭეშმარიტ შვილზე,
მითითებები და დადგენილებები, რომლებიც შექმნეს მისმა ნაცვალმა
და მისმა სხვა მოციქულებმა. მაშინ ჩვენ ყველა ვიქნებით ერთიანი
და ახლობელნი. თუ ჩვენ ასე მოვიქცევით, მაშინ ვერცერთი მტრული
იარაღი ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებს, ვინაიდან მჯერა, რომ
მათზე გაიმარჯვებს მეუფება.

დიდად მადლობელი ვარ შენი საჩუქრებისათვის, რაც ხალისით
მივიღეთ. ჩვენ ვსარგებლობთ ხელსაყრელი შემთხვევით და ამას
დეტალურად გადავცემთ ხსენებულ ნილს. ჩვენ მას ვუპასუხებთ
ზეპირად და გარკვევით ყოველივე იმაზე, რაც მან შენი სახელით
ჩამოგვიყალიბა.“

რომის პაპის ალექსანდრე VI-ის ფირილი -
სამოგზაურო სიგელი თავისი საბრძანებლის
მთავრებსა და მკროპის სხვა ხელისუფალთ,
რომელთა სამფლობელოებზეც უნდა გაეშალა
კონსტანტინე II-ის ელჩს - ნილო მღვდელ-
მონაზონს საქართველოში დაბრუნებისას
(1496) ^[98]

„ალექსანდრე, ეპისკოპოსი, ღვთის მონათა მონა, რომლის თვალი
სწვდება ყველა მხარესა და ქვეყანას, უგზავნის მათ სალამს და
სამოციქულო ლოცვა-კურთხევას. რამდენადაც ქრისტეს მიერ ყოვ-
ლად მადლიერმა შვილმა, ჩვენმა კონსტანტინემ, ქართველთა ბრწყინ-
ვალე მეფემ, როგორც კათოლიკემ და ერთგულმა ქრისტიანმა, რათა
გამოეხატა ჩვენდამი, წმ. სამოციქულო ტახტისადმი, თავისი პა-

ტივისცემა და თავდადებულობა, ჩვენთან ელჩის სახით გამოგზავნა წმინდა ბასილის ორდენის ბერი, საყვარელი შვილი ნილი და ასლა ეს ელჩი ჩვენ გვტოვებს, ბრუნდება რა თავის მეფესთან, ჩვენ გვსურს უზრუნველვყოთ მისთვის ყველგან თავისუფალი გავლა, მოეუწოდებთ თქვენს უფლისმიერ ერთგულებას და ჩვენს ქვეშევრდომებს, ჩვენი ლაშქრის კაპიტნებს და მეთაურებს, ასევე ეპისკოპოსებს, საკათედრო საყდრების კაპიტულებს, ყველა ორდენის მორჩილ ძმებს და ბერებს ვუბრძანებთ: ამ მორჩილ ძმას ნილს თავისი თანამგზავრებით – როგორც ცხენოსნით, ისე ქვეითით, მთელი თავისი ბარგით, ყუთებით, ფუთებით ნება დართოთ გაიაროს, გაჩერდეს და ღამე გაათიოს თავისუფლად და უშიშრად მთელს გზაზე, ნავსადგურებში, ხიდებთან და სხვა ადგილებში, როგორც ჩვენს, ისე არა ჩვენს ადგილებში ყოველგვარი ბაჟის გადახდის ან სიძნელეების გარეშე; მოექცით მას კარგად, უფლის სიყვარულისათვის უზრუნველყავით თავისუფალი და უშიშარი მოგზაურობა, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დე მორჩილმა ძმებმა და ბერებმა თავიანთ მონასტრებში და საგანეებში მოამარაგონ იგი აუცილებელი პროდუქტებით ისე, რომ თქვენ შესძლოთ თქვენი სიმარჯვისათვის ჩვენს წინაშე მადლობა დაიმსახუროთ.

გობრძანებთ თქვენ ყველას ერთად და ცალკ-ცალკე, ჩვენი და წმ. რომის ეკლესიის ქვეშევრდომებს, ყველა ორდენის ბერებს, მორჩილ ძმებს, რომ მიუხედავად ჩვენი აღრინდელი აკრძალვისა და მითითებისა, მიიღოთ და კეთილი სურვილებით მოუაროთ ხსენებულ ბერს ნილს და მის თანამგზავრებს ქალაქებში, ჩვენს მიწებზე და სხვა ადგილებში, მონასტრებსა და სახლებში; რათა თქვენთვის ადვილი იყოს აღმოუჩინოთ მას დახმარება, იმედი გქონდეთ, რომ მოიპოვებთ ამის შემწეობით სიხარულს და ხსნას ყოვლისშემძლე უფლისა და ნეტარი მოციქულების პეტრესა და პავლეს წყალობით, ვეყრდნობით რა მათ ძალას, ვინც მათ (ნილს და მის თანამხლებ პირებს) კეთილგანწყობით მიიღებს და გზაზე დახმარებას აღმოუჩენს, ჩვენ ვაძლევთ ცოდვების პატიებას ოცდაათი წლის განმავლობაში. ეს წერილი ძალაში რჩება ერთი წლის განმავლობაში“.

თავი VII

ქართული სამეფო-სამთავროების საბარეო პოლიტიკა და დიპლომატია XVI-XVIII სს-ში

ვასუშტი ბაგრატიონი კახეთის მეფე ალექსანდრე I-სა და ირანის შაჰ ისმაილ I-ს შორის დიპლომატიური კონტაქტების შესახებ (1500 წ.)¹⁷⁹¹

„ხოლო ჟამსა ალექსანდრესსა¹ გამოჩნდა შაჰ-ისმაილ,² ძე შიხ-ისა, და აღილო შაჰ ისმაილ ადრიბეჯანი და შირვანი ქ-ესა ჩ-ფ, ქარ. რ-პს, თათრულსა ქორონიკონს შ-ზ (1500). ამან ალექსანდრემ წარუვლინა შაჰ ისმაილს შირვანს ძე თუსი დიმიტრი ძღუნითა დიდითა და ტყუთა ქალ-ყრმითა და მიუმცნო მორჩილება. ხოლო შაჰ ისმაილ პატივით შეიწყნარა და წარმოუვლინა დიმიტრი ნიჭითა და ზავითა მშუდობისათა.“

ვენეციელი მოგზაური და დიპლომატი კატერინო ძენო საქართველოს სამეფო სამთავროებსა (კახეთი, ქართლი, სამცხე-საათაბაგო) და შაჰ ისმაილ I-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1503 წ.)¹⁷⁹¹

„მან (ისმაილმა) გაიგო, რომ ადვილი იყო ქალაქ შამახიას³ დაუფლება... რადგან ისმაილს ქალაქი (შამახა) დამცველთა გარეშე დახვდა, უბრძოლველად აიღო, შამახელები ამოწყვიტა და იქაური განძით გამდიდრდა... ამ მეორე ლაშქრობის ბედნიერად დასრულებამ უაღრესად გაზარდა მისი ავტორიტეტი. მეზობელ ქვეყნებთან მეტო

¹ ალექსანდრე – კახეთის მეფე ალექსანდრე I (1476-1511 წწ.).

² შაჰ-ისმაილ I – ირანის შაჰი 1501-1524 წწ.

³ შამახია, შემახა – ქალაქი შირვანში (ახლანდ. აზერბაიჯანში); IX-XVI სს-ში იყო შირვანის სატახტო ქალაქი და შირვანშაჰების რეზიდენცია.

ქეობის გამო სულ უფრო და უფრო ზრდიდა ჯარის რაოდენობას. ალამური¹ ძალიან შიშობდა, რომ თავისი მამის დღე არ დადგომოდა. მან თავის კარზე მოუხმო სპარსეთის ყველა დიდ ბატონს, შეაგროვა ჯარი და დაიძრა ისმაილის წინააღმდეგ. ისმაილი ხედავდა სამხედრო მოქმედების საწარმოებლად თავისი ძალების სისუსტეს და ალამურის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა იმ ქვეყნის მეზობელ ზოგიერთ ქართველ ქრისტიან მბრძანებელს. ესენი იყვნენ ალექსანდრე ბეკი,² გორგორაბეკი³ და მირაბეტი.⁴ მათ ძველი მტრობა ჰქონდათ ალამურთან და სურდათ მისი ძლიერების დამხობა, ისარგებლეს ისმაილის მიერ მიცემული შემთხვევით და გადაწყვიტეს დახმარებონენ მას ალამურის წინააღმდეგ. ამიტომ თითოეულმა მათგანმა გაუგზავნა მას სამი ათასი მხედრისაგან შემდგარი რაზმი; ასე რომ ერთად ცხრა ათასი იყვნენ. (ისინი) ძალიან კარგი მებრძოლნი არიან. ქართველები ისინი არიან, ვინც უძველესი დროიდან იბერებად იწოდებიან და იქიდანვე ქრისტიანები არიან, ისევე, როგორც ამჟამად, გამუდმებით ებრძვიან თურქებს ტრაპიზონის საზღვარზე. ისინი მდიდრულად და მხიარულად მიიღო ისმაილმა, რომელსაც მათი დახმარებით ლაშქრობისათვის ჰყავდა შესანიშნავი ჯარი თექვსმეტი ათასი კაცის შემადგენლობით. ამიტომ გაეშურა იგი ალამურის წინააღმდეგ საბრძოლო განწყობილებით.“

¹ ალამური — იგულისხმება თეთრბატკნიან (აყ-ყოონლუ) თურქმანთა სახელმწიფოს შაჰი ალვენიდი.

² ალექსანდრე ბეკი — იგულისხმება კახეთის მეფე ალექსანდრე I (იხ. გვ. 261, შენიშვნა 1).

³ გორგორა ბეკი — იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს მთავარი შუბუბაუკი (1500-1515 წწ.).

⁴ მირაბეტი — მკელევეართა აზრიო, აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართლის მეფე კონსტანტინე II (1478-1505 წწ.).

ვენეციელი მოგზაური და დიპლომატი კატარინო
კენო მხეჭავაძე ათაბაგის მონაწილეობით
ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ
(1514-1515 წწ.)¹⁹¹

„ისმაილმა მისწერა წერილები და ელჩები გაუგზავნა ეგვიპტის სულთანს, ალადულის¹ და სამცხის ათაბაგს.² ისმაილი განუმარტავდა მათ იმ დიდი საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრებოდათ, თუ ისმაილთან ერთად არ აიღებდნენ ხელში იარაღს სელიმის წინააღმდეგ, რადგან თუ იგი დაასუსტებდა სპარსეთს, მაშინ მათი სახელმწიფოებიც მტრის ნადავლი გახდებოდა. რადგან ეს მბრძანებლები შეპყრობილი იყვნენ სელიმის³ მიერ სეფიანებზე მოპოვებული გამარჯვების⁴ შიშით, ამიტომ სიამოვნებით მოუსმინეს ელჩებს: შეიკრა კავშირი, რომელშიც შევიდნენ ისმაილი, სამცხის ათაბაგი, ეგვიპტის სულთანი და ალადულის მბრძანებელი. ისინი შეთანხმდნენ, რომ როცა საჭირო იქნებოდა, დახმარებოდნენ ერთმანეთს სულთნის წინააღმდეგ, იმ გარკვეული პირობით, რომ ისინი არ მიიღებდნენ სულთნის რომელიმე ელჩს. მაგრამ ეს პირობა არ დაიცვა ეგვიპტის სულთანმა. ხელშეკრულების დადებიდან ცოტა ხნის შემდეგ, როცა სულთანმა ელჩი გაუგზავნა მას, მან მიიღო ელჩი და კოალიციის საწინააღმდეგო კაპიტულაციის მოთხოვნაზე მოუსმინა. ამის გამო შემდეგში თვითონაც დაიღუპა და მამლუქების სიძლიერეც დასცა.“

¹ ალადული – იგულისხმება მარაშის (მდ. ეფრატზე) და ალბისტანის გამგებელი ალა-ად-დოვლე.

² იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს მთავარი შვეჭბუკ ჯაყელი (1500-1515 წწ.).

³ სელიმი – ოსმალეთის სულთანი სელიმ I (1512-1520 წწ.).

⁴ იგულისხმება ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის 1514 წლის 22 აგვისტოს ჩილდირანის ველზე გამართული ბრძოლა, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა.

ვასუშტი ბაბრატიონი ქართლის მეფე
დავით X-სა და შაჰ ისმაილ I-ს შორის
დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ
(1518 წ.)¹⁷⁹

„შემდგომად წელსა ქ-სა ჩ-ფიშ, ქარ. ს-ვ (1518) წარმოემართა შაჰ ისმაილ ყენი დაპყრობად და მოოხრებად ქართლისად...

ამისმან მსმენელმან მეფემან დავით¹ აღილო ძღუენი დიდი და ძე თუსი რამაზ წარავლინა წინაშე ყენისა და აღუთქუა მორჩილება, რათა არა მოაოხროს ქართლი და ქუეყანა... ყენმან შეიწყინარა ძე მეფისა რამაზ პატივითა დიდითა და მისცა ნიჭი დიდი და წარმოგზავნა მშუდობით ზავისა მყოფელმან და დაიხსნა მეფემან დავით ქართლი ოქრება-ტყუეობისაგან. ესე ჰყო ყენმან, რამეთუ ბრძოლად მივიდოდა ხონთქარისა, რათა არა ქართველნი მიერთუნენ მას.“

ბერი ეზნატაშვილი ირანსა და ოსმალეთს
შორის ქ. ამასნიაში დადებული საზავო
ხელშეკრულების პირობების შესახებ (1555 წ.)¹⁷⁶

„მაშინ გაუგზავნა კაცი სულტანსა ოსმალისასა² და მიუწერა ესრეთ: „ყვით მშუდობა ურთიერთას, რამეთუ სჯულთა ვართ მოსაენი მაჰმადისანი“, რამეთუ მაშინ ბრძოლა იყო მათ შორის. უსმინა სულტანმან და შერიგდენ. მაშინ განყვეს ქუეყანანი და დარჩა სულტანს იმერეთი, ოდიში, გურია, ზემო ქართლი საზღვრამდე ქართლისა, და კარი საზღვრამდე აბოცისა და ერევნისა, სომხითი, რომელსა აწ ქურთისტანად სახელსდებენ, ვიდრე ბაღდადამდე. ხოლო შაჰ-თამაზს³ დაუგდო ქართლი, კახეთი, ერევანი და ქურთისტანს აქათი. და მშუდობა ჰყვეს ურთიერთას და მიერიტვან იყო შაჰ-თამაზ მოსუენებით, აღარავინ უძლო მტერობად მისად, და იყო ხანსა რაოდენსამე განსუენებით.“

¹ ქართლის მეფე დავით X (1505-1525 წწ.).

² იგულისხმება ოსმალეთის სულთანი სულეიმან I კანუნი (სჯულმდებელი). რომელიც სახელმწიფოს მართავდა 1520-1566 წწ.

³ შაჰ თამაზ I - ირანის შაჰი 1524-1576 წწ.

ვასუშტი ბაბრათიონი ლევან კახთა მეფისა და
რუსეთის მეფე ივანე IV მრისხანეს შორის
დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ
(XVI ს. 50-60-იან წწ. მიჯნა) ¹⁷⁹

„კუალად ოდეს დაიპყრა რუსთა მეფემან იოანე¹ ყაზანი და
აშტარხანი და თურგი და დასხნა ყაზახნი თურგს და თარღუს
მცველნი თუსნი, ამან ლევან² წარუვლინა და ითხოვა სპა მისი
მცველად ციხეთა კახეთისათა. მან მოუვლინა და დაადგინნა რუსნი.
არამედ განძლიერდა რა შაჰ თამაზ, წარგზავნნა სპანი რუსნი რუსეთადვე
და აუწყა განძლიერება შაჰ თამაზისა, რათა არა მოსწყდენ სპანი
თქუენნი ქუეყანასა ჩემსა.“

ოსმალთა ისტორიკოსი მუხეჯიმ-ბაში მანუჩარ II
ჯაყელისა და ლალა მუსტაფა ფაშას შორის
დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ
(1578 წ.) ⁽¹⁰⁰⁾

„საქართველოს მეფე-ქალმა, დედისიმედად³ წოდებულმა, თავისი
შვილი მანუჩარი⁴ ექვსიათასიანი ქართველთა ჯარით და რამდენიმე
აზნაურით გაგზავნა და უბრძანა – რომელი მხარეც გამარჯვებული
გამოვა, იმ მხარეს დამორჩილდითო. როდესაც მანუჩარმა დაინახა,
რომ ისლამის ჯარია გამარჯვებული,⁵ მივიდა და მათ მორჩილება
მოახსენა. სარდალმა⁶ მას, პატივი სცა, საპატიო ხალათი ჩააცვა,
ყიზილბაშთაგან აღებული დოლი და დროშები უბოძა.“

¹ ივანე IV მრისხანე – რუსეთის დიდი მთავარი 1533-1547 წწ., რუსეთის მეფე 1547-1584 წწ.

² ლევანი – კახეთის მეფე 1518-1574 წწ.

³ დედისიმედი – XVI ს-ის II ნახევრის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე, ყვარყვარე IV-ისა და მანუჩარ II-ის დედა.

⁴ მანუჩარ II ჯაყელი – სამცხე-საათაბაგოს მთავარი 1581-1614 წწ.

⁵ იგულისხმება ირანელებსა და ოსმალებს შორის 1578 წლის 9 აგვისტოს მომხდარი ჩილდირის ბრძოლა, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დასრულდა.

⁶ იგულისხმება ოსმალების ჯარის მხედართმთავარი ლალა-მუსტაფა ფაშა (გარდ. 1580 წ.).

ოსმალთა ისტორიკოსი იბრაჰიმ ფაჩევი კახეთის
მეფე ალექსანდრე II-ის ლალა-მუსტაფა
ვაჟასთან შეხვედრისა და მისი შედეგების
შესახებ (1578 წ.)^[101]

„ლევან მეფის ძის ალექსანდრე მეფის¹ მორჩილება. იმავე (986/1578) წელს ისლამის ლაშქარი ტფილისიდან დაიძრა, გადავიდა მდინარე მტკვარზე და ყაფურწყლის ნაპირას მესამე სადგურზე დაბანაკდა. ამ დროს ზაგემ და გრემად წოდებული ორი დიდი ქალაქისა და საქართველოს რამდენიმე პროვინციის სახელოვან ემირს, საქართველოს მეფეებში სახელგანთქმულ და რჩეულ, ზემოხსენებულ ალექსანდრე მეფესთან ამას წინეთ სარდლისაგან გაგზავნილი რწმუნებულები მივიდნენ და გულის მოსანადირებლად (თან მიიტანეს) წერილები. მოვიდა ამბავი, რომ ალექსანდრე მეფემ ამასთან დაკავშირებით თავისი ქვეყნის წარჩინებულები მოიხმო და სახელოვანი აზნაურებისაგან შეადგინა ამაღა და სამეფო ბანაკში წამოსასვლელად მოემზადაო. თანახმად საფადიშაჰო წესისა, მთელი ისლამის ჯარი თავისი ძლიერებითა და დიდებით შემოეგება მათ. ძლევამოსილი სარდლის ბანაკში რომ მოვიდნენ, თვით მას (ალექსანდრეს) რამდენიმე ხელი საპატიო ტანისამოსი ებოძა და მათი თანამდებობრივი მდგომარეობისდა მიხედვით მის ამაღაში მყოფ პირებსაც პატივი აღმოეჩინათ. შემდეგ მას (ალექსანდრეს) ებოძა უზენაესი სიგელი მასში, რომ ის იღებს თავის თავზე იხადოს წელიწადში ხარაჯა: 30 იუქი აბრეშუმი, 10 ლამაზი ჭაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა ისპირის შავარდენი და 10 ფრთა კიდევ ჰიჯიზის მიმინო და (აგრეთვე მასში), რომ ის იქნება თავისი ქვეყნის მმართველი ბეგლარბეგის სახელწოდებით.“

¹ ალექსანდრე II – კახეთის მეფე 1574-1605 წწ.

ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა სელანიძე
ოსმალეთთან ქართლის მეფე დავით XI-ის
(დაუთხანის) დიპლომატიური ურთიერთობების
შესახებ (1584 წ.)^[102]

„ამ დროს დიდებულ სარდალ ფერჰად-ფაშასაგან¹ წარდგინება მოვიდა, რომ საქართველოს მბრძანებლის, წყეულ სიმონის² ძმამ, ყიზილბაშთა ერთ-ერთმა ხანმა დაუთხანმა,³ რომლის სატახტო ადგილი იყო უხსოვარი დროიდან (ქართველების) საცხოვრებელი, მთელი მსოფლიოს ხელმწიფეთა შურის მომგვრელი, მდინარის პირას გაშენებული თბილისის ციხე, მუსტაფა-ფაშას შემოტევის ძლიერების შიშით დასტოვა (ქალაქი) და ეხლა თავისი ხუთი ბეგისა და მისი ერთი მამაცი შვილის თანხლებით მის აღმატებულება სარდალ ფერჰად-ფაშასთან მოვიდა. აქ მას სთხოვა, რომ მომეცით საშუალება მივალწიო ბედნიერების ზღურბლს (სტამბოლს), რადგანაც საქართველოს გასაღები მე ვარ და მაღალი ღმერთის წყალობით აღება და დაპყრობა ჩემით შეიძლებაო. მართლაც, რადგანაც ძველი წარჩინებული და დიდებული იყო, ყიზილბაშთა შორისაც სრული პატივისცემა ჰქონდა.

ხსენებული დაუთხანი მაღალ დივანს რომ ეახლა, საზეიმო მიღება მოუწყვეს. მის შვილსა და ამაღლას საპატიო ხალათები ებოძათ. თვით (დაუთხანს) მარაშას ბეგლარბეგობა ებოძა.“

კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის
მეფე თევდორე ივანეს კისადვი მიცემული
„ვიცის ვიბნი“ (1587 წ.)^[103]

„Целую крест в. г. ц. и. в. к. Федору Ивановичю- всеа Русии я, Александр начальник князь Иверские земли, и з детьми своими Ираклием и Давитом и Георгием и с своими

¹ ფერჰად, ფერად ფაშა – ოსმალეთის კარის მთავარსარდალი XVI ს-ის 80-იან წლებში.

² სიმონ I – ქართლის მეფე 1556-1569 და 1578-1600 წწ.

³ დაუთხანი – ქართლის მეფე დავით XI (1569-1578 წწ.).

сановными людьми Иасонам и Горжасном, и Шермазаном и Заалом и Давитом и Андерманам и за всю Иверскую землю на том, что посылал есми к в. г-ю, ц-ю в- к-ю Фёдору Ивановичю – всеа Русии бити челом людей своих священника Иакима и Кирила старца и Хуршита, чтобы в. г. ц. и в. к. Фёдор Иванович – всеа Русий меня пожаловал и мою всю Иверскую землю держал под своею царскою рукою в своем царском имяни и оборонять бы меня и мою землю ото всяких моих недругов велел. И великий государь, царь и великий князь Фёдор Иванович – всеа Русии своим великим жалованьем пожаловал меня и мою Иверскую землю, под свою царскую руку взял и быти велел своим воеводам от наших недругов оберегати меня и мою землю велел. И мне, Александру князю, и моим детем и всей моей Иверской земле быти под государя, царя и великого князя Фёдора Ивановича – всеа Русии под его царскою рукою ... и от его детей, которых ему, государю, вперед Бог даст, неотступну, и лиха мне и моим детем и всей земле Иверской великому государю, царю и великому князю Фёдору Ивановичю – всеа Русии и его детем, которых ему, государю, вперед Бог даст, ни которого не хотети, ни мыслити и от великого государя, царя и великого князя Фёдора Ивановича – всеа Русии к иным ни которым государевым недругом не приставати, людей своих к ним на помоч на великого государя, царя и великого князя Фёдора Ивановича – всеа Русии земли и ни на которые места не посылати и государя, царя и великого князя Фёдора Ивановича – всеа Русии другу другом быти, а недругу недругом быти. А хто будет государю, царю и великому князю Фёдору Ивановичю – всеа Русии друг, тот и мне, Александру князю, друг; а хто государю, царю и великому князю Фёдору Ивановичю – всеа Русии недруг, тот и мне недруг. А которые мои люди Иверские земли учнут государю, царю и великому князю и

государевым людем, которые будут в государеве городе на Терке и в Астрахани, лихо мыслити, и мне тех своих людей Иверские земли, сыскивая про их вины, которые учнут, приезжая в государев город на Терку, воровать и какую измену делати, велети мне казнити и отсылати на Терку и в Астрахани ко государским воеводам. И служити мне и моим детем и людем всею Иверскою землею великому государю, царю и великому князю Фёдору Ивановичю – всеа Русии, и от него не оставати ни которыми обычеи, ни которою хитростью, и быти неотступну со всею Иверскою землею и во всем государю мне прямити по сей записи и до своего живота, как в сей записи писано. И поминки мне к великому государю, царю и великому князю Фёдору Ивановичю – всеа Русии посылати по все лета против пятидесят камок кизылшбашских золотных да десяти с золотом и с серебром ковров тем, которые узорчья в моеи земле есть.“

ქართლის მეფის სიმონ I-ის წერილი მსკანეთის მეფეს ფილიპე II-ს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ (1596 წ.)^[104]

„ ... თუ შენი უდიდებულესობა და დიდებული მეფობა ნებას დამრთავს, ვილაპარაკო, როგორც მსახურმა შენს ფერხთა წინაშე, მე სიმეონ გურჯისტანის ხანი, რომელიც ვმბრძანებლობ ჩემს ქვეყანაზე, უწყოდეს შენმა დიდმა სიბრძნემ, რომ აქამდე თურქებისაგან შევიწროებულნი ვიყავით. ახლა ვხედავთ, რომ ქრისტიანთა სამეფო ფეხზე წამოდგა და დაიძრა. დიდი ქება-დიდება უკვდავ მეუფე იესო ქრისტეს, რომელმაც მისცა ძლიერება და შესაძლებლობა შენს დიდ სამეფოს და ხელისუფლებას და შენს საყვარელ მისი უდიდებულესობა კეისარ იმპერატორს,¹ რომელმაც პატივი დაგვდო და გამოგვიგზავნა ეპისტოლე და სიყვარულისა და კავშირის წერილი

¹ ივულისხმება „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორი რუდოლფ II (1576-1612 წწ.).

(იმის შესახებ), რომ ქრისტეს ყველა მორწმუნის მიმართ ეს უცხო თესლი და ქრისტიანული სარწმუნოების მტერი, თურქი ერი, უნდა ამოფხვრილ იქნეს.

მე, სიმეონ, ხანმა გურჯისტანისამ, ალექსანდრე ხანმა¹ ლევანდინოსამ² და შაჰ აბასმა სპარსეთისამ,³ ჩვენ სამმა ვითათბირეთ, ვიბსჯელეთ და შევთანხმდით, რომ ამიერიდან (ჩვენს ძალებს) წინ წავეწევთ და თურქს თავს მოვკვრით, წმ. იერუსალიმს და ქრისტიანებს თურქის ხელიდან გავათავისუფლებთ.

აწ ვთხოვ, გვედრები და გემუდარები, მიშუამდგომლო მისი უდიდებულესობის კეისარ იმპერატორის წინაშე, რათა მან მშვიდობა არ დაამყაროს თურქეთთან, რომ ამან არ შესძლოს შეავიწროოს ჩვენი ერი და ყოველი ქრისტიანი.

მე და ჩემი თავადები ქრისტეს სარწმუნოებისათვის ტანჯვასა და სიკვდილზე თავს ვდებთ, რათა ჩვენს დროში ვიხილოთ წმ. იერუსალიმი და ქრისტეს წმინდა საფლავი ქრისტიან სამეფოთა ხელში.

უკეთუ შენს მონა სიმეონ ხანს შეკითხვის ღირსად გახდი, გიპასუხებ, რომ ღვთის წყალობით მტკიცედ ვდგავარ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, სიკვდილამდე ავიტან ამ ტანჯვას ქრისტეს სიყვარულისათვის, შენი ღიდი მეფობისა და მისი უდიდებულესობის კეისარ იმპერატორისათვის, რომელმაც პირველმა მოგვმართა წერილით და სიტყვიერად და ფეხზე დაგვაყენა ქრისტიანთა საქმისათვის.

შენს ღიდს მეფობას ვთხოვ და ვეხვეწები, რომ არ დამივიწყო შენს სამსახურში და არ მომაკლო ყურადღება წერილობით და სიტყვიერად. ამ წერილის პასუხი ჩემი წერილის მომტანს გამოატანე, რომელიც ჩემთან მოვა და მე გამახარებს ჩემს ქვეყანაში.

აგრეთვე, სპარსეთის შაჰს ურჩივ, რომ ერთმანეთს შორის შეთანხმებულად ვიყოთ და ქრისტიანთა კეთილი საქმეებისათვის ვიზრუნოთ. ნურასოდეს დამივიწყებ, საქმის კურსში მამყოფე სიტყვიერად თუ წერილობით. ჯანმრთულად იყავი უფლის მიერ მეფეთა მეფეო, რომელსაც

¹ იგულისხმება კახეთის მეფე ალექსანდრე II (იხ. შენიშვნა 1, გვ. 266).

² „ლევანდინო“ – „ლევანტი“ (აღმოსავლეთი). კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს დასავლეთკავკასიურ წყაროებში „აღმოსავლეთის მეფეს“ ან „ლევანტოლ“-საც უწოდებდნენ.

³ იგულისხმება ირანის შაჰი აბას I (1587-1629 წწ.).

მიესალმება წმინდა სული. შენი ღიღებისა და ღიღი სიბრძნისათვის ეს საკმარისია.

ეს წერილი დაიწერა გურჯისტანის ქვეყნის სატახტო ქალაქ ტფილისში, სომხური წელთაღრიცხვით 1056 წელს, აგვისტოს თვის 14-ს.“

რომის პაპის კლემენტ VIII-ის წერილი სიმონ I-ისადმი (1598 წ.) ^[105]

„ ... შენმა წერილმა, რომელიც გამოგვიგზავნე საყვარელი შვილის იაკობის ხელით, ალგვაესო ჩვენ არაჩვეულებრივი სიხარულით... ჩვენ ჩვენი მწყემსური ზრუნვით და მოციქულებრივი ხედვით არ შევწყვეტთ თხოვნას ამ სამოციქულო დაცვის კოშკიდან, რომელშიც ჩვენმა ღმერთმა მოგვაქცია, რათა შევაგულიანოთ ქრისტიანი მეფეები და ხელმწიფეები, ჩვენი ქრისტეს მიერ შვილები, გამოვიდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ჩვენ თავად, რამდენადაც საშუალებას მოგვცემს ჩვენი საკუთარი ძალა, თუმცა ჩვენ ჩვენს შესაძლებლობაზე მეტსაც ვცდილობთ, უკუვაქციოთ თურქების შემოტევა და რისხვა, ვაგზავნით რა უკანასკნელ წლებში უნგრეთში დახმარებას და ჯარს.

ეს შენთვის იმის მანიშნებელია, რათა უკან არ დაიხიო არავითარი სიძნელებისა და საშიშროების წინაშე, არამედ გამხნეველ და უძლეველად იბრძოლო სასტიკ ოსმალებთან, მზად იყო, აუცილებლობის შემთხვევაში შენი სისხლიც კი დაღვარო საკურთხევისათვის, თუ საქმე ამას მოითხოვს. ამით შენ სიცოცხლეს გამოიწყვიდი; რისთვისაც დე, დაგლოცოს შენ უზენაესმა ღმერთმა...

სხვა საკითხებზე სიტყვიერად გეტყვის ჩვენი საყვარელი შვილი იაკობი, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ შენთან რამდენადმე დაგვიანებით, ვიდრე ჩვენ ეს გვინდოდა, ნაწილობრივ მისი ცუდი ჯანმრთელობისა, ხოლო ნაწილობრივ ქრისტიანული რესპუბლიკის უძნელესი საქმეების გამო, რომლითაც ჩვენ დაკავებული ვიყავით.

მაგრამ ჩვენ იაკობს ვექცეოდით როგორც შენს ახლობელს და დესპანს და სიამოვნებით ვაძლევედით ჩვენთან შეხვედრისა და საუბრის საშუალებას, რაც შენ თვითონ შეგიძლია მისგან გაიგო.

მადლობა ჩვენს მეუფეს იესო ქრისტეს და (ლოცვა-კურთხევა) შენს ძვირფას ძეს უსაყვარლეს შვილს.

დაწერილია რომში, წმ. პეტრეს საყდარში, თევზის წელს (დასმულია პაპის ბეჭედი თევზის გამოსახულებით), 1598 წლის პირველ აპრილს, ჩვენი მღვდელმთავრობის მეშვიდე წელს.“

**იტალიელი მოგზაური ბართლომე დე სალინიამო
ქართველები და წმინდა მიწაზე მათი
პრივილეგიების შესახებ (XVI ს.)^[106]**

„მართლაც, უფლის საფლავის წმინდა ტაძარში მრავალი ერია, რომელთაგანაც თითოეულს თავისი ცალკე სამლოცველო აქვს და წმინდა მიწასა და მის მოსაზღვრე რაიონებში მრავალ მონასტერს ფლობს, ვინაიდან ისინი ქრისტეს განსხვავებული წესით ემსახურებიან. მეექვსე ამ ეროვნებათაგანი ქართველები არიან. მათი სახელწოდება წმინდა გიორგისაგან მოდის, რადგანაც ისინი მეომარი ხალხია და თავყანს სცემენ მას, როგორც პატრონს. ქართველები აღმოსავლეთში ცხოვრობენ და წირვაში ბერძნულ ენას იყენებენ. სამღვდელოებას მრგვალი ტონზურა აქვს, ხოლო მორწმუნეებს – ოთხკუთხედი. როდესაც სალოცავად მიდიან იერუსალიმს, გადასახადს კი არ უხდიან სულთანს, არამედ მდიდრულად მორთულ ერთ და ორკუზიან აქლემებს და ცხენებზე ამხედრებულნი გაშლილი ბაირალებით შედიან იერუსალიმში. მათი ქალები ისევე კარგად არიან შეიარაღებულნი, როგორც მამაკაცები. თურქების მსგავსად, ერთი წყრთის სიმაღლე ვარცხნილობას ატარებენ. სულთანს და თურქეთის იმპერატორს მათი დიდი შიში აქვთ.“

იტალიელი მოგზაური ნიკოლოზ რაძივილი
წმინდა მიწაზე ქართველთა უფლებრივი
მდგომარეობის შესახებ (XVI ს-ის 80-იანი წწ.) ^[107]

„აქედან ერთ-ნახევარი ლიეს მანძილზე მეტად ძნელსავალი გზით მივალწიეთ გზის მარცხნივ მდებარე წმინდა ჯვრის მონასტერს. ბერძნები მას წმინდა მთავარანგელოზს უწოდებენ; ჯვრის მონასტერი ქართველებს ეკუთვნის და იმ უწყების ნაწილად ითვლება, რომლის ეპისკოპოსიც ბინადრობს აქ. გადმოცემით, ჯვრის მონასტერი იმ ადგილზეა აშენებული, საიდანაც ქრისტეს ჯვრის ზეთისხილის ხე მოგლიჯეს. დიდი სამსხვერპლოს ქვეშ გვიჩვენებენ კლდეში არსებულ ორმოს, საიდანაც იგი ამოძირკვეს. კათოლიკეები და აღმოსავლენი დიდი მოწინააღმდეგეობით გარემოსავენ ამ ადგილს. მას მიეწერება შვიდი და შვიდჯერ ორმოცი წლის ცოდვების შენდობის უნარი. დიდი საკურთხეველის მარჯვნივ კათოლიკების პატარა საკურთხეველია, სადაც წელიწადში ერთხელ მსხვერპლს სწირავენ... მაგრამ, ვინაიდან ქართველები განაგებდნენ გოლგოთის მთას მთლიანად, ვითარცა სამსხვერპლოს, ისე, რომ ტაძარში სალოცავი ადგილი არ ჰქონდათ, და სომხებიც ანალოგიურ მდგომარეობაში იყვნენ, კათოლიკეები შეუთანხმდნენ ქართველებს, გარკვეული ფულადი თანხის საფასურად (ქართველები კი თავის მხრივ კათოლიკებს მოელაპარაკნენ), მათთვის დაეთმოთ გოლგოთის მთის ეს ნახევარი, რომელზედაც ქრისტე ჯვარს აცვეს, ხოლო კათოლიკეები თავის მხრივ ქართველებს დაუშვებდნენ ზედა დერეფნის მესამედში, რომელიც მდებარეობდა აბისინიელთა და სირიელთათვის განკუთვნილი ნაწილის ზემოთ. მართლაც, ამ დერეფანში ქართველებსა და სომხებს აქვთ თავიანთი სამლოცველოები, რომლებშიც ტაძრის გარეთ მდებარე ხის კიბეებით შეიძლება ასვლა. ასეთი გაცვლა ხელსაყრელი იყო კათოლიკეთათვის, ვინაიდან მათ ეკუთვნით გოლგოთის მთის ნახევარი და ზემო დერეფნის ორი მესამედი, რომელიც მეტად ვრცელი და ფართოა და მათთვის მაინცდამაინც აუცილებელი არ არის, მაგრამ სულ ერთია ინახავენ. ეს გაცვლა მაშინ შედგა, როდესაც იერუსალიმი ეგვიპტელთა სულთნის ხელში იყო.“

მოგზაური იოანე კოტოვიჩის ცნობა
ქართველებისა და ჟმინდა მიწაზე მათი
პრივილეგიების შესახებ (1598 წ.)^[108]

„ჯვრის (გოლგოთის მთა) საკურთხეველთან ლათინ მოძღვრებს სრულიად აკრძალული აქვთ წმინდა დღესასწაულების აღნიშვნა, რადგანაც ბერძნული რიტუალის მიმდევარი ამ საკურთხეველის მფლობელი ქართველი ბერები ამის უფლებას არ აძლევენ. ბერძნები ფიქრობენ, რომ მათი ეკლესიები შეიბილწება, თუკი ლათინები იქ აღასრულებენ საიდუმლოებებს... თუ სიარულს მარჯვნივ (წმინდა საფლავიდან) ჩრდილოეთისაკენ გავაგრძელებთ, მივაღვებით ქართველთა ოთახებსა და სამლოცველოებს. ჩრდილოეთისაკენ მიქცეული მხარე ქართველებს ეკუთვნის, ხოლო სამხრეთისაკენ – ფრანცისკელ ბერებს. რადგანაც ქართველებსა და ბერძნებს ერთი და იგივე რიტუალი აქვთ, ისინი გოლგოთის ეკლესიაში წირავენ და ამ სახლისა და გოლგოთის მთის სხვა სამლოცველოს გარდა ამჟამად მთის ნახევარსაც ფლობენ. ქართველები, რომლებსაც სპარსელებთან საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა აქვთ, თურქების მოსისხლე მტრები არიან. როგორც კი ომის საშინელება იფეთქებს თურქებსა და სპარსელებს შორის, ქართველები ყოველთვის სპარსელებს ეხმარებიან, მოედებიან თურქეთის იმპერიას და შეუბრალებლად აოხრებენ მის სოფლებს. ასე გადაურჩნენ ქართველები აქამდე მუსლიმანთა უღელს და თუმცა თურქები ხშირად დასხმიან თავს, ვერასოდეს მოახერხეს მათი დამორჩილება და დამონება. ქართველები მამაცურად იცავდნენ თავიანთ საზღვრებს, თურქების სასტიკი იერიშები შეუპოვარი და უდრეკი ვაჟკაცობით მოიგერიეს; ამიტომაც დღემდე, თუმცა ყოველი მხრიდან ბარბაროსებით არიან გარემოცულნი და მთელი დედამიწის ოთხი უძლიერესი იმპერიის შუა მოქცეულნი (თურქეთი, სპარსეთი, თათრები და მოსკოვი), რომელთაც ერთი სული აქვთ მათი ქვეყნის დაპყრობისა, კვლავ იმავე რელიგიის მეფეს ემორჩილებიან და აღმოსავლეთის ქრისტიანთაგან ერთადერთნი სარგებლობენ თავისუფლებით, რაც მოიპოვეს, როგორც გაუტეხელი მამაცობის უბადლო მოწმობა ამდენი საუკუნის განმავლობაში. ქართველები კი არ უფროსიან თურქებს,

უფრო თურქებს აქვთ მათი შიში. ქაიროს სულთნის საგანგებო ნებართვისა და იმპერიაში მისი მემკვიდრის, თურქეთის იმპერატორის დამოწმებული პრივილეგიის წყალობით ყოველ წელიწადს, როდესაც აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანთა მსგავსად ქართველები იერუსალიმში მიდიან ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად, ქრისტიანთა შორის ერთადერთნი, მრავალრიცხოვანი შემადგენლობით მეომრებით ჯარად მოდიან, სამხედრო აღმებით შედიან ქალაქში, ბაჟის გარეშე და წმინდა ადგილებს აფრიალებული ბაირალებით ნახულობენ... მათ წმინდა ბასილის ორდენის ბევრი ეპისკოპოსი და ბერი ჰყავთ და თუმცა ისე არ სძულთ რომის ეკლესიის დოქტრინა, როგორც ბერძნებს, წმინდა წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში მაინც ბერძენთა ადათებს იცავენ“.

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში შაკ აბას I-თან აღმქსანდრე II-ის ელჩობის შესახებ (1603 წ.)^[109]

„სხვა ამბებიდან, რაც (ერევნის ციხის) გარემოცვის¹ დროს მოხდა, (აღსანიშნავია) კახეთის მეფის, ლევან-ხანის ძის ალექსანდრე-ხანის² მოსვლა, რომელიც ამ (სამეფო) გვარის (ე. ი. სუფიანთა) მოხარკეთა (ბაჯგოზარან) და მორჩილთა და ბრძანების შემსრულებელთა რიცხვს ეკუთვნოდა. ის სამოთხეში განსვენებული შაჰის (თაჰმასბ I)³ ბრძანების თანახმად გამხდარიყო ხსენებული ველაიეთის⁴ (კახეთის) მეფედ თავისი მამის და უფროსი ძმის შემდეგ. იმ ხელმწიფის სიცოცხლის განმავლობაში მუდამ მორჩილების ფართო გზას ადგა მტკიცედ და ყოველ წელს ხარკს (ბაჯ ო ხარაჯ) იხდიდა. სამოთხეში განსხვავებული შაჰის (მაჰ-თაჰმასბის) გარდაცვალების შემდეგ, როცა ტახტზე ავიდა ალექსანდრე (მაკედონე-

¹ ერევნის ციხის გარემოცვა შაკ-აბას I-მა დაიწყო 1603 წელს. ალყა ათი თვე გაგრძელდა. ერევანი ირანელებმა 1604 წ. ზაფხულში დაიკავეს.

² ალექსანდრე ხანი - კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) ლევანის ძე.

³ შაკ თაჰმასბ I - ივლისხმება შაკ-თამაზ I (1574-1576).

⁴ ველაიეთი - ვილაიეთი (ემალითი, ქუყანა ოლქი). თურქ-ოსმალეთის მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული. განაგებდა ბეგლარ-ბეგი, რომელიც ფაშის ტიტულს ატარებდა.

ლის) სადარი (მოჰამედ-ხოდაბენდე)¹... ოსმალებმა ჯარი გამოგზავნეს შირვანის დასაპყრობად. ამ ჯარმა საქართველოზე გამოიარა. ალექსანდრე-ხანმა, რომელიც თავისი სწორი მსჯელობით და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ემშაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო, ქართლის მეფის სიმონის საწინააღმდეგოდ, გადასწყვიტა, რომ მისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ოსმალებისათვის მორჩილების გამოცხადება; ის მომავალ ფაშებსა და სარდლებს მიეგება, ნუზლი² და საური³ მისცა და ემსახურებოდა მათ. როცა შირვანი და აზერბაიჯანი ოსმალებმა დაიპყრეს, მან ხარკის გადახდაც იკისრა და ოსმალეთის ხონთქარს⁴ ერთგულებას უცხადებდა. ალექსანდრეს სადარი შაჰის (მოჰამედ-ხოდაბენდეს) დროს, როცა მასზე ერთხელ ყიზილბაშების ამირებმა გაილაშქრეს, მან თავისი ვაჟიშვილი კონსტანტინე-მირზა⁵ გაგზავნა ყმობის პირობის გასაახლებლად სულთან ჰამზა-მირზას კარზე და ისიც ბავშვობიდან ყიზილბაშთა შორის გაიზარდა და უკეთილშობილეს სამსახურში შაჰის დაახლოებულ პირთა წრეს ეკუთვნოდა.⁶ თუმცა ოსმალებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა, კაცს შაჰის კარზე ისტუმრებდა, ერთგულებას უცხადებდა ხელმწიფეს, ძღვენსა და საჩუქრებს აგზავნიდა და ხელმწიფური წყალობის ღირსი ხდებოდა. ახლა, როცა შაჰმა განიზრახა თავის სამკვიდრო მამულის დაპყრობა და (განდგომილ) ურჩთა დასჯა, მოხდა ლაშქრობა აზერბაიჯანზე. ერევნის ციხის გარემოცვის დროს კონსტანტინე-მირზა დაეთხოვა შაჰს და საქართველოში წავიდა, რათა თავისი მამა შაჰის კარზე მოეყვანა (იმისათვის), რომ წინანდელ დროს (ჩადენილი დანაშაულისათვის) ბოდიში მოეხადა და ამიერიდან ოსმალებს აღარ მიმხრობოდა და, როგორც სამოთხეში განსვენებული შაჰის (შაჰ-თაჰმასისი) დროს

¹ მოჰამედ-ხოდაბენდე - ირანის შაჰი 1578-1587.

² ნუზლი - სურსათ-სანოვაგე.

³ საური - იგივეა რაც „სავერი“. ქართველ მეფეთა საჩუქრები თუ მისართმეველი დამპყრობლისადმი.

⁴ ოსმალეთის ხონთქარი - იგულისხმება თურქეთის სულთანი მურად III (1574-1595).

⁵ კონსტანტინე მირზა - კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ვაჟი.

⁶ კონსტანტინე 7 წლის ასაკიდან იმყოფებოდა ირანში.

იყო, ქვეყნის დამპყრობელი ხელმწიფის (შაჰ-აბასის)¹ ბრძანებისა და ფირმანის მორჩილი გამხდარიყო. მან ტკბილი სიტყვით, დაპირებებითა და მუქარით დაითანხმა მამამისი დამორჩილებოდა ამ სამეფო გვარს (სეფიანებს) და მოსულიყო შაჰის კარზე და ნებით თუ უნებლიეთ ერევანში მოიყვანა. იმ დღეს, როცა ხსენებული (ალექსანდრე) მაღალ ბანაკში მოდიოდა, ხელმწიფის ბრძანების თანახმად ყველა ამირები და სახელმწიფოს დიდებულები მის შესახვედრად წავიდნენ და ის სრული დიდებითა და პატივით მოიყვანეს. გზიდან პირდაპირ მაღალ კარზე მოვიდა და მისი უდიდებულესობის ფერხთა კონცხით იქნა განდიდებული. მან ხელში აიღო თაბახი ოქროს ფულებით, რომელიც თავის ქვეყანაში მოეჭრა შაჰის სახელზე, და თავზე დააფრქვია ხელმწიფეს, როგორც ეს წესჩვეულებად აქვთ საქართველოში, სადაც ხელმწიფეს თავზე აფრქვევენ (ფულს). შაჰი მას უბრალოდ და გულწრფელად სიყვარულით მოეხვია და, როგორც მოხუცებულს, ბევრი პატივი და წყალობა უბოძა.

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში თეიმურაზ I-ის გამეფების შესახებ (1606 წ.)¹¹⁰⁹¹

„ამ წლის დასასრულის ამბებს, რომლებიც ყარაბაღში ლაშქრობის² დროს მოხდა, ეკუთვნის კახეთის გადაცემა ალექსანდრე-ხანის შვილიშვილის თეიმურაზისათვის. ეს ასე მოხდა: როცა შაჰის ბანაკი გურქ-ჩაიზე დადგა, ქართველი დიდებული აზნაურები, რომლებიც კონსტანტინე-ხანს ეწინააღმდეგებოდნენ და მის მოსპობას ცდილობდნენ. შაჰის კარზე მოვიდნენ, მორჩილება განუცხადეს ხელმწიფეს, ითხოვეს თავიანთი დანაშაულის პატიება და შეევედრენ, რომ თეიმურაზი,³ დაუდ-ხანის შვილი და ალექსანდრე-ხანის შვილიშვილი, რომელიც ხელმწიფის სამსახურში იყო, იმ ქვეყნის (ე. ი. კახეთის) მმართველად დაენიშნა. სამაგიეროდ ისინი გულმოდგინედ შეასრულებდ-

¹ შაჰ-აბას I – ირანის შაჰი 1587-1629 წლებში.

² ყარაბაღი შაჰ-აბასმა 1606 წ. გაზაფხულზე აიღო.

³ თეიმურაზ I (1589-1663). კახეთის მეფე 1606-1648 წწ. ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წ.

ნენ ყველა იმ სამსახურს, რომელზედაც დანიშნავდნენ და წრფელი გულით მოემსახურებოდნენ თეიმურაზ-ხანს.

შაჰის წყალობამ მოიცივა ქართველები, მათი თხოვნა მიღებულ იქნა...

მისმა უდიდებულესობამ, ქართველების გულის დასამშვიდებლად, შეარჩია ბედნიერი საათი, იხმო სახელოვანი ამირები და სახელმწიფოს დიდებულები და სამოთხისებურ მეჯლისში მეფური ზეიმი მოაწყო, თეიმურაზს საქართველოს მმართველობაზე ფერხთ ამთხვევინა და ხანის კეთილშობილი წოდების ბოძებით აღამაღლა.

ქართველების წესი და კანონი ისეთია, რომ როცა იმ დინასტიის რომელიმე უფლისწული თავისი სამკვიდრო სამეფოს ტახტზე ადის, ერთ-ერთი მათი ბერი, რომელიც ქრისტიანების კანონის მიხედვით ამ ხალხის მოძღვარია, ქართველების წარჩინებულ და მსცოვან პირებთან ერთად ოქროქსოვილ ხალიჩას გაშლის. მას ამ ხალიჩაზე დასვა-მენ, თითოეული მათგანი ხელში აიღებს ოქროსა და ვერცხლის ფულით (სავსე) თაბახს და როცა მეფისწული ფეხს შედგამს ხალიჩაზე, ისინი თავზე დააფრქვევენ თაბახით ოქროს, მის წინაშე მუხლს მოიდრეკენ და მიაწოდებენ თასს. ისიც ცალცალკე მიაწოდებს მეჯლისში დამსწრეთ თასს. ერთი სიტყვით, ქართველებმა იმ სამეფო გვარის წესისა და კანონის თანახმად გაშალეს მისთვის ხელმწიფობის ხალიჩა და თეიმურაზ-ხანიც ძლევამოსილი და ბედნიერი ხელმწიფის ბრძანებითა და მითითებით შედგა იმ ხალიჩაზე. ქართველებმა ხელში აიღეს თაბახები ფულით და უნდოდათ გადაეფრქვიათ მისთვის თავზე. მისმა უდიდებულესობამ როცა გაიცნო ეს მათი წესი და ზრდილობა, თავისი დიდი მოწყალების გამო ბრძანა, პირველი მე გადავყარო თავზე ფულს. როცა მისმა უდიდებულესობამ ოქრო და ძვირფასი თვლები გადააფრქვია მას თავზე, სახელოვანი ამირები და სამოთხის ბაღის მსგავსი წვეულების დამსწრენი ამის თანახმად მოიქცნენ და თითოეულმა მათგანმა თავისი ხარისხისა და პატივის შესაფერისად თავზე გადაყარის წესი შეასრულა. ქართველთა დიდებულებმაც ოქროსა და ვერცხლის ფული გადააყარეს თავს და დადგენილი კანონის მიხედვით თასი მისცეს და თასი გამოართვეს (თეიმურაზს). იმ დღეს გონების გასამხიარულებლად და აზრის მოს-

აღზენად ლხინის საფენები გაშალეს და იმ ხალხთან (ე. ი. ქართველებთან), რომლის სიმღერა და საუბარი უცხო რამ იყო, ილხენდნენ. იმ ხალხიდან ყველა ხელმწიფის მოკითხვით და დიდებული მეფური ხალათების (ბოძებით) განდიდებული გახდა და (სამშობლოში) წასვლის ნებართვა მიიღეს.“

სკარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუწუში
ირან-ოსმალეთის 1612 წლის ჯაჰის პირობების
შესახებ¹⁰⁹¹

„ბევრი დავისა და ბჭობის შემდეგ გადაწყდა ზავი ისეთსავე პირობებზე, როგორც სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის (თაჰმასპ I) და სულთან სოლეიმანის დროს იყო დადებული“... რადგან ზემოხსენებულ ცხონებულ ხელმწიფეთა შორის ზავის დადების შემდეგ ხანგრძლივი დრო და ჟამი იყო გასული და დროთა ბრუნვისა და ჟამთა ტრიალის გამო ბევრი ცვლილება მოხდა მასში, მათ შორის ის, რომ მესხეთი და ახალციხის ციხე, რომელიც წინანდელი ზავით ამ მხარეში (ირანში) შემოდიოდა, უკანასკნელ დრომდე ოსმალების მფლობელობაში რჩებოდა, ხოლო არაბისტანის ზოგიერთი ციხე და ადგილი და ბალდადი (მაშინ) ოსმალების საზღვრებში შედიოდა, ამჟამად კი ირანის მფლობელობაშია, მათი დაცლა და ორივე მხარისათვის გადაცემა ძნელი იყო. უკეთესია, რომ ის, რაც საზავო ხელშეკრულების დადების დროს თითოეული მხარის დანიშნულ პირთა მფლობელობაში იყო, როგორც იყო, ისე დარჩენილიყო სამუდამოდ და მხარეებს ის ადგილები არ შეევიწროვებინათ. გაგზავნილ პირებს დაავალეს დაეცვათ ეს წესი და საზღვრები და მიჯნები ისე დაედგინათ, რომ სრულებით მოსპობილიყო მტრობისა და ჩხუბის საბაბი და „ნაწილის გამო მთელი არ შეეფერხებინათ“.

¹ იგულისხმება ირანსა და ოსმალეთს შორის დადებული 1555 წ. ზავი.

წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი ამბროჯიო დუშ
ანჟუში ქეთევან დედოფლის შაჰ-აბას I-თან
ელჩობისა და მისი დაპატიმრების შესახებ
(1613 წ.)^[101]

„შაჰ აბასმა... ძლიერ შეავიწროვა საქართველო, მოხარკედ გაიხ-
ადა და ამით რამდენადმე დამშვიდდა. ეს სიმშვიდე ხანმოკლე აღ-
მოჩნდა, ვინაიდან ჩანაფიქრს ვერ აღწევდა. 1613 წ. შაჰ აბასმა
მოისურვა თავისი ძალები მეფე თეიმურაზისთვის დაეპირისპირებინა.
ამ მიზნით მან დიდძალი ჯარი შეკრიბა და სასურველი სამეფოსაკენ
გაეშურა.¹

ეს რომ შეიტყო, მეფე თეიმურაზმა თავისი სამეფოს დიდებულთა
საბჭო მოიწვია და აცნობა, რომ სამეფოს მოახლოებული მრავალ-
რიცხოვანი ჯარისგან განადგურება ემუქრებოდა. ჯარს მეთაურობდა
და პირადად სარდლობდა მუღმივი წარმატებებით გაამაყებული ხე-
ლმწიფე შაჰ აბასი.

თეიმურაზ მეფე საბჭოს დაეკითხა, როგორ ეხსნათ ქვეყანა მოს-
ალოდნელი საფრთხისაგან. ყველაფერი გაითვალისწინეს, ფრთხი-
ლობდნენ. არც საქართველოსა და სპარსეთის ძალთა უთანასწორობა
დავიწყებიათ. ძნელი იყო ასეთი მცირე ძალებით ძლიერი მოწინააღმ-
დეგე უკუეგდოთ. მარცხის, მთელი სამეფოსა და პროვინციების
მოსალოდნელი განადგურების თავიდან ასაცილებლად საბჭომ და
მეფემ გადაწყვიტეს სპარსეთში ელჩობა გაეგზავნათ ისეთი დიდებუ-
ლი, ღირსეული და ყოველმხრივ წინდახედული და თანაგრძნობის
ღირსი ადამიანის სახით, რომელსაც ეცოდინებოდა და შეძლებდა იმ
ვითარების დახატვას, რომელშიც აღმოჩნდა ქვეყანა, შაჰს დაარწმუ-
ნებდა და მშვიდობასა და კეთილგანწყობას მიაღწევდა.

ასეთ პიროვნებად საბჭომ ერთხმად დაასახელა თეიმურაზ მეფის
დედა — ქეთევან დედოფალი.² მას ელჩობისათვის უნდა ეხელმძღვ-

¹ იგულისხმება 1613-1614 წწ. ლაშქრობა ამიერკავკასიაში, რომლის დროს (1614 წ.) შაჰ-
აბასმა კახეთი მოარბია.

² ქეთევან დედოფალი — კახეთის დედოფალი, კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე.
წარმოშობით ქართლის ბაგრატიონთა (მუხრანბატონთა) შტოს ეკუთვნოდა. ქეთევანი იყო
აშოთან მუხრანბატონის ასული.

ანელა. დედოფალს თან გააყოლეს ორი შვილიშვილი,¹ თეიმურაზის ანგელოზივით ლამაზი ვაჟები. დიდსულოვანი და კეთილგონიერი ქალბატონი უყოყმანოდ დათანხმდა ელჩობაზე. სამშობლოს სახსენლად არად ჩააგდო ის რისკი, რომლის წინაშეც შეიძლებოდა აღმოჩენილიყო...

უბრწყინვალესმა დედოფალმა რომ გაიგო შაჰი მისი შვილის სამეფო კარიდან, გრემიდან² სამი დღის სავალზე იმყოფებოდა, თავისი ელჩობის წერილი წაიღო და საფოსტო კარეტით. მცირეოდენი ფუფუნების საგნებითა და ზომიერი ბრწყინვალებით, ორმოცდაათიოდე თანმხლებსა და ორ შვილიშვილთან ერთად შაჰისაკენ გაემურა. შაჰმაც თავაზიანად და სუვერენი დედოფლის შესაფერი პატივით მიიღო იგი. დედოფალმა შაჰს ისე მიმართა, როგორც წესის მიხედვით ეკუთვნოდა ესოდენ ძლიერ ხელმწიფეს. ისე შეაქო, როგორც მის სამეფო კარზე იყო მიღებული, უთხრა: „სპარსელთა უძლიერესო მოწყალეო ხელმწიფევე, ჩემი შვილი თეიმურაზი, მისი ვაჟები, პირადად მე, საქართველოს სამეფოს ყველა დიდებული და წარჩინებული, მისი ყველა ქვეშევრდომი თქვენი უდიდებულესობის უერთგულესი მსახურია. თქვენს დიდებულებასა და სამეფო ძლიერებას ბრწყინვალებას ვუსურვებთ. ჩვენ არასოდეს გვითქვამს უარი თქვენი უდიდებულესობისათვის ხარკის გადახდაზე. ვიზლიდით და კვლავაც გადავიხდით მას. ასევე გვსურდა მონაწილეობა მიგველო თქვენს ომებში თურქებთან. ამიტომაც ძალიან გვიკვირს, რომ თქვენი უდიდებულესობა ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრით აღდგა ჩვენს წინააღმდეგ, სურს გაგვანადგუროს და ბოლო მოგვიღოს. ჩვენ, თქვენს ერთგულ მეგობრებს, არ გვესმის და ვერ წარმოგვიდგენია ასეთი რისხვის მიზეზი, ვინაიდან არავითარი დანაშაული თქვენი უდიდებულესობის წინაშე არ მიგვიძღვის. თქვენს უდიდებულესობას კარგად მოეხსენება, რომ მეფეს არა მხოლოდ ძლიერება, არამედ სამართლიანობა და თანასწორობაც მართებს. თქვენი უდიდებულესობა მუდამ პატივს

¹ თავიდან განჯაში მდგომ შაჰ-აბასს ეწვია ქეთევან დედოფალი და თეიმურაზ I-ის უმცროსი ვაჟი ალექსანდრე. შემდეგ კახეთის მეფე იძულებული გახდა უუროსი ვაჟი ლევანიც გაემზაუნა.

² გრემი - კახეთის მეფეთა რეზიდენცია. მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე.

სცემდა ამ თვისებებს და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი პატივისცემით მოეკიდება. მბრძანებელო! დაიოკეთ თქვენი მეფური დიდებულების მრისხანება. შეანელეთ მძვინვარება ჩვენს მიმართ. შეაჩერეთ და ნულარ გააგრძელებთ ამ ლაშქრობას. საშუალება მოგვეცით მშვიდად და წყნარად ვიცხოვროთ.

თქვენი მსახური, ჩემი ძე თეიმურაზი დაბეჯითებით გთხოვთ ამას ჩემთვის, დედამისისათვის და მისი ორი ვაჟისათვის; მთელი სამეფო გვედრებათ და ეს არის ჩემი ელჩობის ერთადერთი მიზანი. თქვენი უდიდებულესობა არ ისურვებს ჩემი ელჩობის უშედეგოდ დამთავრებას. იმედი მაქვს თქვენი უდიდებულესობა ნებას დამრთავს ჩემს შვილთან, ჩემს ხალხთან დავბრუნდე ყველასათვის ესოდენ სასურველი ზავით, რათა ამ ახალი წყალობით კვლავ დავალებულებმა საუკუნეთა მანძილზე ვადილოთ თქვენი სიკეთე, სამართლიანობა და სიდიადე და მოგიძღვნათ თქვენი შესაფერი ხოტბა“.

ასეთი სიტყვები ნებისმიერ ქვის გულს ააღელვებდა და მისი წიაღიდან ბრილიანტებსაც ამოიღებდა; ნებისმიერ კაცს მოალობდა, თუ მბრძანებელივით უგულო არ იქნებოდა. შაჰმა თეიმურაზის მიმართ ღვარძლი ვერ დამალა და გაშმაგებულმა ჰკითხა დედოფალს: „რად არ მეახლა თვით თეიმურაზი თქვენი ბრწყინვალეების ძე?“ დედოფალმა მიუგო — „არა იმიტომ, რომ თქვენი აღმატებულების რისხვას მოერიდა, არამედ თქვენი მეფური პიროვნებისადმი პატივისცემის ნიშნად თქვენს უდიდებულესობას გამოუგზავნა ის, რაც ყველაფერზე ძვირად უღირს — საკუთარი დედა და ეს ორი უძვირფასესი ნიშანი ერთგულებისა — ამ სიტყვებზე დედოფალმა შაჰს თავისი შვილიშვილები წარუდგინა — რათა თქვენი უდიდებულესობისათვის შეწყნარება, პატიება და ლმობიერება ეთხოვნა როგორც თავისთვის, ისე მთელი სამეფოსთვის.“

დედოფლის პასუხებით შეცბუნებულმა შაჰ აბასმა რამდენიმე საამო, თუმცა შეპარული და ცბიერი სიტყვა უთხრა მას. თავდახრილი და მღუმარე იდგა ერთხანს. მისი ცბიერება ქვემოთ მონათხრობმა ამბავმა დაგვანახვა. შაჰმა დედოფალს, მის შვილიშვილებსა და თანმხლებთ თავიანთ სამეფოში, საქართველოში, გრემის ციხე-ქალაქში დაბრუნების ნება დართო.

როგორც კი დედოფალი გამოემგზავრა, სპარსელებმა გზა გადაუღობეს. დედოფალი, მისი შეილიშვილები და თანმხლები პირნი ყოველგვარი ახსნა განმარტების გარეშე გააჩერეს, დააპატიმრეს და უკან დააბრუნეს. შაჰმა ბრძანება გასცა დედოფალი სპარსეთის სამეფოს დედაქალაქში, შირაზში¹ გაეგზავნათ და დაეპატიმრებინათ.

სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიშვიცი
ქართველ მემუებთან შაჰ-აბას I-ის მიმოწერის
შესახებ (1613 წ.)^[111]

„როდესაც შეიტყვეს ქართველებმა მათ წინააღმდეგ შაჰის გამოლაშქრების ამბავი, საგონებელში ჩავარდნენ ამ მდგომარეობის გამო და განიზრახეს, ერთმანეთთან კავშირი შეეკრა ორივე მეფეს: ლუარსაბს,² რომელიც თბილისისა და ქართლის მფლობელი იყო და თეიმურაზს, რომელიც კახეთისა და გრემის ბატონი იყო, რომ ერთმანეთის დახმარებით შესძლებოდათ სპარსელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამ მიზეზით ლუარსაბმა და მისმა მახლობლებმა გაგზავნეს კაცი კახეთში და მიიწვიეს თეიმურაზი თბილისში კავშირის შესაკრელად. თეიმურაზმა, რომელმაც მრავალჯერ იგება უბედურება (ლუარსაბთან) უთანხმოებისა და განხეთქილების გამო და რომელმაც აგრეთვე იცოდა სპარსელთა ბოროტება და მტრობა, რაც ხშირად გამოუჩენიათ მის მიმართ, მთელი გულით მოიწადინა კავშირი. ამიტომ ადგა და მივიდა თბილისში. მისი მოსვლა ლუარსაბისა და მისიანების აუწყრელი სიხარულის მიზეზი გახდა: შეჰკრეს პირობა და კავშირი, რომ იქნებოდნენ თანამოაზრენი და თანამოსაქმენი, ერთმანეთისთვის თავს დასდებდნენ და შეეწირებოდნენ ქრისტეს სახელს.

იმ დღეებში, როცა თეიმურაზი თბილისში მივიდა, შაჰის მსტოვრებმა, რაც შეიტყვეს და იხილეს, წავიდნენ და ამბავი წაუღეს შაჰს.

შაჰ აბასმა, რომელიც ეშმაკის მსახური იყო, განიზრახა ახალი საშუალებით დაეღუპა და წაებილწა ქრისტიანთა სახელმწიფო. რად-

¹ შირაზი — ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ფარსის პროვინციის მთავარი ქალაქი.

² ლუარსაბ II — ქართლის მეფე 1606-1614.

გან იგი ქალაქ განჯაში იყო თავისი ჯარით დაბანაკებული, ამიტომ აქედანაც დაიწყო განხეთქილებისა და მოტყუების წერილების გზავნა, როგორც ისფაჰანიდან, ესევე აქედანაც, რომლებსაც გარედან სალამი, სიყვარული და მშვიდობა ჰქონდა, ხოლო შიგნით – მზაკვრობა, ცბიერება და ღალატი, რომ სამიდან ერთი მაინც გაება თავის მახეში: ან ლუარსაბი ან მისი დედა ან და; მაგრამ ვერ შესძლო.

ახლად მოგონილი ხერხი კი ის იყო, რომ როდესაც შაჰი მოლაპარაკების წერილებს აშკარად გზავნიდა, მათთან ერთად საიდუმლოდ ფარული ზრახვებისა და ვერაგობის სხვა წერილებსაც სწერდა ლუარსაბსა და თეიმურაზს ერთიმეორისაგან იდუმალად. ლუარსაბს წერდა: „ნუ ენდობი თეიმურაზს, ნუ უერთგულებ მას, ვინაიდან იგი შენი მტერია და სურს მეგობრობის ნიღაბით მოგატყუოს, მოგკლას და დაეპატრონოს შენს ქვეყანას. მან თვითონ გამაცნო ეს განზრახვა სანამ ცოცხალი ხარ შენ თითონ დაასწარი, მოჰკალი იგი და დაეპატრონე შენსა და იმის ქვეყანას. მეც შენ დაგეხმარები, ლაშქარი დაგჭირდება თუ ფული, რადგან მსურს, რომ შენ გაბატონდე მის ქვეყანაზე.“

ამასვე სწერდა შაჰი თეიმურაზს ლუარსაბისგან დაფარულად: „მოკალი ლუარსაბი და დაეუფლე ორივე ქვეყანას“. სამგზის გაუგზავნა მათ ასეთი წერილები აშკარად და ერთიმეორისაგან დაფარულად, მაგრამ ლუარსაბი და მისი დედა არც თვითონ მიუვიდნენ და არც ასული გაგზავნეს.

საიდუმლო წერილები, რომლებიც ერთმანეთის შესახებ მიიღეს თეიმურაზმა და ლუარსაბმა, თავისთან შენახული ჰქონდათ და ჯერ კიდევ ცდილობდნენ გამოერკვიათ სიმართლე და სიცრუე. ღვთის წყალობით ორივე მეფემ ერთმანეთს გაუმხილა ეს ფიქრი. მათ ერთმანეთს უჩვენეს შაჰის გამოგზავნილი წერილებიც. ორივე მეფემ თვალნათლივ დაინახა და ნამდვილად შეიტყო შაჰის მტრობა, რომელიც მათ მიმართ გამოავლინა. მათ მტრობის ნაცვლად ურდვევი სიყვარული და უტეხი მეგობრობა განამტკიცეს ერთმანეთში.“

სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიშვი
ლუარსაბ II-ის შაჰ-აბას I-თან მისვლის
შესახებ (1614 წ.)^[1]

„ვიდრე შაჰი ორი ქვეყნის საზღვარზე იდგა, კვლავ მოიგონა ახალი ხერხი და ერთ-ერთი თავის თანაგამზრახველთაგანი, დიდი მთავარი და სახელგანთქმული დიდებული, რომელსაც სახელად სარუ ხოჯა¹ ერქვა, დანიშნა მშვიდობის ელჩად და სიყვარულის წერილი გაგზავნა ლუარსაბთან. წერილის შინაარსი ასეთი იყო:

„მამაცთა ხელმწიფე შაჰ აბასი დიდი სიყვარულით სალამს უძღვნის ქართველთა მეფეს ლუარსაბს. მრავალჯერ მოგწერეთ სიყვარულით და გაავამჟღავნეთ ჩვენი გულის კეთილგანწყობილება შენს მიმართ, მაგრამ არ უსმინე და არ დაუჯერე ჩვენს სიტყვებს. შეხედე ჩემს ნამოქმედარს და ირწმუნე, რადგან დაინახავ, რომ თეიმურაზის ქვეყანა ავაოხრე, ხოლო შენსას გაშენებულსა და ხელუხლებელს ვინახავ შენთვის და შენს მოსვლას ველოდები. ახლა ნუღარ დაიზარებ მოსვლას, უჭკუო და უგუნურ მრჩეველთ ნუ დაუჯერებ და შენს სამეფოს ნუ დაკარგავ, რადგან გულში არც მტრობა და არც ბოროტება არა მაქვს შენდამი, ისევე როგორც შენ არავითარი ზიანი არ მოგიყენებია ჩემთვის. შენ მოსვლას იმისთვის გთხოვ, რომ როგორც ჩვენი წინაპრების დროს იყო ერთობა ორ ხალხს შორის, მსურს რომ ჩვენს დროშიც ისევე იყოს. ჩრდილოეთის ყველა მხარეს, რომელიც მდინარე არეზის აქეთა ნაპირზე მდებარეობს, შენ მოგანდობ, რომ იყო ზედადგომელი და მბრძანებელი ყველა დიდებულისა, რომ შენ იზრუნო ამ მხარეზე, ხოლო ჩვენ მასზე უღარდელი ვიყოთ და მეორე მხარეზე ვიზრუნოთ. იყავ მშვიდობით“.

ეს წერილი დაწერა შაჰმა და მისცა სარუ ხოჯას. სხვა მრავალი რჩევა და თვალთმაქცური ხერხი, რომელიც გულში ჰქონდა მას დაგროვილი, სიტყვით უბრძანა (და დაარიგა) თუ როგორი საშუალებით დაერწმუნებინა ლუარსაბი მისუღიყო შაჰთან. სარუ ხოჯა წავიდა ბაშიჩუყში,² ეახლა ლუარსაბს და გადასცა სალამი და

¹ სარუ ხოჯა — იგულისხმება ხოჯა მოსამედ-რეზა ფედავი.

² ბაშიჩუყი — იგულისხმება იმერეთი.

წერილი. წერილის წაკითხვისთანავე მიხვდნენ, რომ ყოველი სიტყვა ცრუ და ყალბი იყო და არ დაიჯერეს არც ლუარსაბმა, არც მისმა დედამ და დამ და არც თემურაზმა, თუმცა სარუ ხოჯა ბევრს და სხვადასხვა საშუალებით ეცადა დაერწმუნებინა ლუარსაბი, მაგრამ არ დაუჯერა.

რამდენიმე დღის შემდეგ შაჰის წერილს ასეთი შინაარსის პასუხი გასცეს: „თუ ჭეშმარიტია შენი სიტყვები და მართლა გსურს, რომ ჩვენს შორის მეგობრობა სუფევდეს, შენი სიყვარულისა და მშვიდობის სურვილის ნიშანი ის იყოს, რომ შენ გაშენებულსა და ხელუხლებელს დატოვებ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ნებას დართავ დარჩეს თავის სამშობლოში, შენს ნაცვლად მანდ ერთ-ერთი შენი დიდებულთაგანი დატოვებ, რომ სიყვარული, ერთგულება და კავშირი, რომელიც შენ გწადიან, მისი შუამდგომლობით განვამტკიცოთ შენთან. შენ კი აიყარე და წადი ჩვენი ქვეყნიდან. ჩვენც დაებრუნდებით, დავეპატრონებით ჩვენს ქვეყანას და სიყვარულით და ერთგულებით ვიქნებით შენთან. იყავ მშვიდობით“.

მრავალი ეშმაკური რჩევის შემდეგ, დაინახა სარუ ხოჯამ, რომ არ უჯერებდნენ, ამიტომ წამოიღო ლუარსაბის წერილი, მივიდა შაჰთან და მოახსენა მათი ყოველი სიტყვა და მათი აზრის სიმტკიცე.

ასეთი პასუხის მოსმენის შემდეგ შაჰ აბასი აიყარა მთელი თავისი ჯარით და მივიდა გორის ზემოთ გამავალ გზაზე, რომელიც ბაშიაჩუყში მიემართებოდა, და იმ გზაზე დაბანაკდა. ამ ადგილზე დაბანაკების მიზეზი ის იყო, რომ თუ რომელიმე ქართველი დიდებული ან მღაბიო მოინდომებდა გაქცევას და ბაშიაჩუყში გადახვეწას, ვეღარ შესძლებოდა წასვლა.

იქიდანაც გაგზავნა შაჰმა სარუ ხოჯა ხელმეორედ ლუარსაბთან ბაშიაჩუყში, სიტყვითა და წერილით, იქნებ მოტყუვდეს და მეახლოსო, მაგრამ არ ეახლა.

კიდევ შესამედ გაგზავნა იგივე სარუ ხოჯა ლუარსაბთან, მაგრამ მაინც არ ეახლა...

ვიდრე შაჰი ასეთ საგონებელში იყო და ვერ პოულობდა ვერავითარ გამოსავალს, იმ დღეებში ერთი ვიღაც თბილისელი კაცი, ბოროტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისაგან აღძრული, სა-

ტანის წაქეზებით მოვიდა თბილისიდან, მივიდა ხელმწიფის ბანაკში და უთხრა შაჰს: „თუ შენი უდიდებულესობის მიზანია ლუარსაბის მოყვანა, თუ შენ ნამდვილად ეს გსურს და მას არაფერს ავნებ, მე წავალ და მოვიყვან მას შენთან“.¹ ამ კაცის სიტყვებმა დიდად გააკვირვა შაჰი და ჰკითხა მას: „შენ როგორ შესძლებ იმის მოყვანას?“ კაცმა უპასუხა: „ჩვენ ლუარსაბის ნათესავეები ვართ, რადგანაც იგი მირონცხების მადლით არის ჩემი ნათლული და ჩვენ ურთიერთშორის დიდი ნდობა გვაქვს. ამიტომ მწამს იგი დაუჯერებს ჩემს სიტყვას“.

ამ სიტყვების გაგონებამ აუწერელი სიხარულით აავსო შაჰი, რადგან ის საქმე, რომლის მოგვარებასაც თვითონ სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა და არაფერი გამოსდიოდა და რომელიც მას დიდი ხანია ეწადა, მაგრამ ვერ აღწევდა (საწადელს), ახლა ადვილად აღსრულდებოდა. ამიტომ იმ კაცს აღუთქვა დიდძალი განძი, მრავალი საჩუქარი და დიდი პატივით განდიდება, თუ მოიყვანდა ლუარსაბს.

ის ბედკრული და ავის მომქმედი კაცი, რომელიც გახდა ქრისტიანთა სამეფოს დაღუპვის მიზეზი, წავიდა ბაშიჩუყში ლუარსაბთან და თეიმურაზთან და მრავალი დღის განმავლობაში ელაპარაკებოდა ლუარსაბს სარწმუნო და სიბრალურის აღმძვრელი სიტყვებით, ვიდრე არ შეასუსტა მისი აზრის სიმტკიცე. მაგრამ თეიმურაზი, ლუარსაბის დედა და და არ ენდობოდნენ მის სიტყვებს, არარად ავდებდნენ მათ, რადგან დარწმუნებით იცოდნენ, რომ ყოველივე ეს შაჰის თვალთმაქცური ხერხი იყო.

მაგრამ იმ სატანისკერძმა, როგორც გველმა ევა, ისე დაიყოლია და დაითანხმა ლუარსაბის გონება შაჰთან წასვლაზე. ლუარსაბის დედა, მისი და, თეიმურაზი, დიდებულები და ყველა მათი მეგობარი ცხარე ცრემლით ტიროდნენ, მოსთქვამდნენ და ეუბნებოდნენ: „ნუ ჩაუგდებ შენს თავს მტერს ხელში, რადგან შაჰი შენი მტერია და არა მეგობარი და შენს დაღუპვას ფიქრობს“. თეიმურაზი ეუბნებოდა: „ნუ დაუჯერებ მაგ ორგულს და ვერაგ მხეცს, რადგან იგი ჩვენს დაღუპვას ცდილობს“. მაგრამ ლუარსაბის გონებას უფრო მეტად მოსწონდა იმ კაცის, ბოროტების მსახურის სიტყვა, ვიდრე თავის

¹ „ვიღაც თბილისელ კაცში“ იგულისხმება შადიმან ბარათაშვილი.

კეთილისმყოფელთა რჩევა. ამიტომ იგი პასუხობდა: „შაჰი მოვიდა და გაჩერდა ჩვენი ქვეყნის შუაგულში და მთხვოს მშვიდობის დამყარებას. თუ არ მიუვალ მთელ ქვეყანას იავარყოფს და წაბილწავს, ეკლესიებს დაანგრევს, ქრისტიანებს ამოხოცავს და ტყვედ წაასხავს და ყველაფრის ამის მიზეზი ვიქნები მე. სინდისდამძიმებულ ცხოვრებას ხანმოკლე საწუთროში და ამდენი ხალხის ცოდვის დადებას უმჯობესია ვეახლო შაჰს და ვიხსნა მთელი ქვეყანა, რომ ჩემის მიზეზით ქვეყანა არ აოხრდეს. ღვთის იმედით პირდაპირ წავალ მასთან, ხოლო იქ რაც მომელის, სიკვდილი თუ სიცოცხლე, იყოს ნება კურთხეული უფლისა.“

ამრიგად ასეთი გაბრიყვებული ჭკუით არ დაუჯერა ლუარსაბმა თავის მეგობრებს, ერწმუნა შაჰის სიტყვებსა და ფიცს და წავიდა ბაშიაჩუყიდან, რომ შაჰთან მისულიყო. როდესაც მის მოსვლის ამბავი მიუტანეს შაჰს, აღარ იცოდა როგორ გაეხარებინა თავისი გული.

როცა მივიდა ლუარსაბი და მიუახლოვდა სპარსელთა ბანაკს, თვითონ შაჰი წინ გამოეგება ყველა თავისი დიდებულთა და ჯარით. როდესაც მათ ერთიმეორე დაინახეს სიყვარულით, სიხარულითა და დიდის პატივით სალამი უძღვნეს ერთმანეთს. შაჰი იმიტომ ხარობდა თავის გულში და სულში, რომ ეს დღე მისთვის უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე მისი ცხოვრების ყველა სხვა დღე, რადგან აღსრულდა ბოროტი სურვილი, რომელზეც დიდი ხანია ოცნებობდა.

როგორც ჩვეულებად აქვს ცბიერსა და გველის ბუნების სპარსელთა მოდგმას და განსაკუთრებით ამ შაჰს, დიდად დახელოვნებულ ვე-შაჰს, ჯერ დიდი სიყვარულითა და პატივით მიიღო იგი (ლუარსაბი), ხშირად ცრუ, ფუჭი და თვალთმაქცური სიტყვებით და გულის მომგები სიტყვებით ესაუბრებოდა მას, სანამ ხმა არ გაერცვლდა მთელ საქართველოში, რომ თითქოს შაჰის მიერ ლუარსაბის დაბარებას სიყვარულისა და ერთობის გარდა სხვა არავითარი მიზანი არ ჰქონია.

ამის შემდეგ შაჰი თავის ჯარით აიყარა და წავიდა თბილისში. თან ლუარსაბიც წაიყვანა და თავის სწორად დიდის დიდებით ჰყავდა იგი და ხშირად ესაუბრებოდა სასიამოვნო სიტყვებით მისი გულის მოსაგებად და თავი მის კეთილისმყოფელად მოჰქონდა.“

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ლუარსაბ II-ის სიკვდილის შესახებ (1622 წ.)^[112]

„ლუარსაბი შეიპყრეს, აბასმა მისი მოკვლა ვერ გაბედა, რადგანაც ეშინოდა ამ ამბავს საქართველოში ამბოხება არ გამოეწვია. მან ლუარსაბი მაზანდარანში...¹ გაგზავნა იმის იმედით, რომ ამ მხარის ცუდი ჰავა მომაკვლიებლად იმოქმედებო მასზე; მაგრამ როცა დაინახა, რომ ლუარსაბი იტანდა ამ ჰავას და სიკვდილს არ აპირებდა, იგი შირაზში გადააყვანინა; დაბოლოს, აქ გამოასალმა სიცოცხლეს. ამ შემთხვევის შესახებ საჭიროა ცალკე ითქვას.

ლუარსაბის მომხრე ქართველი დიდებულები დიდი ხნის განმავლობაში დაჟინებით სთხოვდნენ მოსკოვის დიდ მთავარს² აბასთან ლუარსაბისათვის ეშუამდგომლა. მოსკოვის დიდმა მთავარმა სწორედ ამ მიზნით გამოგზავნა დიდი ელჩობა. გასაოცარი ჭკუისა და მოქმედების უნარის მქონე სპარსეთის ხელმწიფემ უბრძანა შირაზის მმართველს,³ რომელიც კასპიის ზღვაზე მდებარეობს და რომელიც უნდა გაეგლო სპარსეთში მიმავალ მოსკოვის ელჩს, გამოერკვია მხოლოდ ლუარსაბის საქმეების მოსაგვარებლად მოდიოდა ეს ელჩი თუ არა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი მართლაც დიდ ინტერესს იჩენდა ამ საქმისადმი, ხომ არ იყო მათთან რაიმე უთანხმოების ჩამოვარდნის საშიშროება. აბასს მოახსენეს, ელჩი მხოლოდ ამისთვის მოდისო. იგი დიდად წარჩინებული პიროვნებაა და რომ მისი ინსტრუქციები მეტად საჩქაროაო. რადგანაც აბასს არავითარი სურვილი არ ჰქონდა ქართველი მთავრისათვის თავისუფლება მიეცა და არც უარი ეთქვა მოსკოვის დიდი მთავრისათვის, მან შირაზის მმართველს მისწერა დატყვევებული ლუარსაბი თავიდან მოეშორებინა ისე, რომ მის სიკვდილს უბრალო შემთხვევითობის ხასიათი მისცემოდა. აბასის ბრძანება შესრულებულ იქნა და მოსკოვის ელჩის ჩამოსვლის ორი დღით ადრე აცნობეს აბასს ამის შესახებ. ხელმწიფემ ბრძანა საჯაროდ შეეტყობინებინათ მისთვის ეს ამბავი და საშინლად გაოცე-

¹ მაზანდარა – პროვინცია ირანის ჩრდილოეთ ნაწილში.

² ივლისხმება რუსეთის მეფე მიხეილ თედორეს ძე.

³ ივლისხმება იმამ ყული ხანი. სეფიანთა ირანის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, წარმოშობით ქართველი. ეკუთვნოდა უნდღლაბეთა საგვარეულოს.

ბული და გაბრაზებული სახე მიიღო. „ოჰ! ღმერთო ჩემო, — თქვა მან, — რა საწყენია; კი მაგრამ როგორ მოკვდა?“ „თქვენო უდიდებულესობავ, — უპასუხა შიკრიკმა, — იგი სათევზაოდ წავიდა და როცა ბადე გადაისროლა, ტბორში ჩავარდა და დაიხრჩო“. „ჩემი სურვილია, — ბრძანა ხელმწიფემ, — ყველა მცველი დახოცონ, რადგანაც მის მიმართ სათანადო მზრუნველობა არ გამოიჩინეს“. მოსკოვის ელჩმა აუდიენცია მიიღო; ნადიმის შემდეგ, როცა კარგად ასვეს ღვინო, ხელმწიფემ ბრძანა მოახლოვებოდა მის უდიდებულესობას და უთხრა: „მაშ ასე, ბატონო ელჩო, რა სურს ჩემს ძმას? რუსეთის მეფეს?“ ელჩმა მოახსენა მისი დავალება. მაგრამ როგორც კი წარმოსთქვა მან ლუარსაბის სახელი, ხელმწიფემ უთხრა: „მე ვფიქრობ, თქვენ იცით რა უბედურება შეემთხვა ამ საცოდავ მთავარს. უსაზღვროდ ვწუხვარ. ღმერთს რომ მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, სულითა და გულით შევასრულებდი თქვენი მბრძანებლის სურვილს“.

**პასუხი ბატონიშვილი თეიმურაზ I-ის
ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ
(XVII ს-ის 10-20 იანვარი 1791)**

„სცნა თეიმურაზ მოსვლა ალი-ყულიხანისა¹ არაგუსა ზედა, შემოიკრიბნა სპანი და დაესხა შუადლე წიწამურს ზეით და ძლიერთა ბრძოლითა ილტვოდნენ ყიზილბაშნი და მოსვრიდნენ კახნი...

ხოლო შააბაზ მოვიდა კახეთს და მუნიდამ ტფილისს...

შემდგომად დაუტევა ფეიქარხან სპითა კახეთს და თვთ წარვიდა და წარიყვანა აყრილნი კახნი ტყუედ... გარნა თეიმურაზის ყოფასა იმერეთს იქმნა სიყმილი დიდი. შემჭირვებულმან თეიმურაზ წარავლინა კაცი წინაშე ხონთქარისა² სტამბოლს და ითხოვა სადგური და შეწევნა მისგან. შემდგომად მცირედ ამისა, ჩავიდა გურიას, ისტუმრა მამია გურიელმან³ და პატივისა უყოფდა. ხოლო მუნ მოუვიდა წარგზავნილი სტამბოლიდამ და აღეთქუა შუელა და მწე-ყოფა ხონთქარ-

¹ ალი-ყულიხანი — ირანის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, დივანბეგ-პაში.

² იგულისხმება — სულთანი ოსმან II (1618-1622).

³ მამია II გურიელი (1600-1625).

სა და მოებოძა გონია და ახალციხის გარემოს რომელნიმე დაბნები.

მამინ გურიულთა შთაგდეს შური მამია გურიელისა თანა, რამეთუ ნებავეს თეიმურაზს გურია, ვინაჲთგან მოსცა ხონთქარმანცა გონია. ამის მცნობი თეიმურაზ წარვიდა ახალციხეს მოცემულთა დაბნებთა შინა და მუნ ისტუმრა ათაბაგმან მანუჩარ¹ კეთილად. შემდგომად განიზრახა წარსვლა სტამბოლს, ვინაჲთგან აღეთქუა ხონთქარს შეწევნა და აუწყა ეს ათაბაგს. ხოლო ათაბაგმან მისცა ოლთისი, მივიდა მუნ თეიმურაზ და დაუტევა დედოფალი ხუარაშან² და დისწულნი კახთა ოლთისს და მოუდგინა ნოდარ სალთხუცესი და თუთ წარვიდა შყდასითა კაცთა აღკაზმულითა ფრიად მდიდრად. ესე ესმა შაჰ აბაზს და ჰკონა მწე-ყოფა სულტნისაგან ბატონის თეიმურაზისა. ამისთვის მოიყვანნა ძენი თეიმურაზისანი ისპაანს და გამოასაჭური-სნა ქ-სა ჩ-ქკ, ქარ. ტ-შ. (აღექსანდრე მოკუდა მით, ხოლო ლევან იქმნა ხელ და ვიდოდა უპატიოდ, შემდგომად მოკუდა იგიცა)...

ხოლო თეიმურაზ, მისრული სტამბოლს, კეთილად შეიწყენარა სულტანმან მუსტაფამ³ შემდგომად სთხოვა შეწევნა, არამედ ხონთქარს აქუნდა ბრძოლა დასავლით, არლარა მოსცა სპანი, არამედ ანიჭნა დიდ-დიდნი და გამოუტევა.“

წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერის ამბროჯიო დუშ ანუშუი უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის წამების მიზეზის შესახებ (1624 წ.) ^[10]

„ამ მოწამებრივი სიკვდილის გამომწვევ მრავალ მიზეზს ასახელებენ. სხვადასხვა მიზეზთა შორის, რომლებსაც უნდა განეპირობებინა შაჰ აბასის გადაწყვეტილება — ეწამებინა უდანაშაულო დედოფალი, ორ ძირითად მიზეზს მიუთითებენ. პირველი ისაა, რომ თუ

¹ მანუჩარ III ათაბაგი (1607-1628).

² ხუარაშან — ხორეშან დედოფალი. თეიმურაზის მეორე მეუღლე. ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის და. თეიმურაზი და ხორეშანი ნათესავებად ერგებოდნენ ერიმანოს, მაგრამ „საქრისტიანოს გასაძლიერებლად“ საეკლესიო კრებამ ნება დართო კახთა მეფეს ცოლად მოეყვანა ქართლის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი.

³ სულთანი მუსტაფა I (1622-1623).

რომელიმე ქრისტიანი ტყვე ქრისტეს სჯულს მიატოვებს და მაჰმადიანთა კანონს მიიღებს, მაჰმადიანები (სპარსელები იქნებიან თუ თურქები) სამშობლოში დაბრუნების ნებას აღარ აძლევენ. აღარ აძლევენ უფლებას დაუბრუნდნენ მშობლებსა და ახლობლებს. ასეთი ნებართვის მიცემა დიდი ცოდვაა და მათი კანონით აკრძალულია. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ დედოფლის ვაჟი, თეიმურაზ მეფე, მას შემდეგ, რაც საძეგო წაართვეს და იქიდან განდევნეს, თურქებთან წავიდა, რამდენიმე წელი მათთან დაყო. შემდეგ თურქეთიდან მოსკოვის მთავარ დიმიტრის მიაშურა; შესაძლოა, იმიტომ, რომ იგი მისი ძველი მეგობარი იყო და პატივს სცემდა მას, ანდა ერჩია თუნდაც სქიზმატიკოსი,¹ მაგრამ ქრისტიანი მეფის ჩრდილქვეშ ეცხოვრა, ვიდრე ქრისტიანთა საერთო მტრის, თურქების მიწაზე დარჩენილიყო. თურქებმა თეიმურაზს დიდი პატივი მიაგეს და საცხოვრებლად არზრუმის მახლობლად გამოუყვეს ადგილი (არზრუმი მნიშვნელოვანი ქალაქია თურქეთის იმპერიის საზღვარზე). ამ ორი ვითარების შესაბამისად, სპარსელები დედოფლის წამებისა და სიკვდილის ორ მიზეზს მიუთითებენ: პირველი ის, რომ ხელმწიფე შაჰ აბასს ეჭვი ეპარებოდა, დედოფალი თავის ძეს, წერილებით ამცნობს ყოველივეს, რაც სპარსეთში ხდებოდა. მეორეც ის, რომ მოსკოვის დიდმა მთავარმა ელჩი გაუგზავნა შაჰს თხოვნით, გაეთავისუფლებინა დედოფალი და ელჩთან ერთად გამოეგზავნა. შაჰმა მოსკოვის ელჩობა თეიმურაზის ეშმაკობად ჩათვალა და არა დიდი მთავრის პირად მოქმედებდა. ამიტომაც მან ელჩს, ზოგადი სასიამოვნო ფრაზებით მიმართა, დედოფლის გათავისუფლებაზე არც უარი უთქვამს და არც დათანხმებულა. ელჩი ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ შიშიც ეგრძნო და არც იმედი დაეკარგა. შაჰმა სამი მეომარი საიდუმლოდ აფრინა შირაზში, უბრძანა ჩასვლისთანავე ენახათ ქეთევან დედოფალი და გამაჰმადიანება შეეთავაზებინათ. უარის შემთხვევაში გახურებული მარწუხებით მოეკლათ.“

¹ სქიზმატიკოსი, სქიზმა – ერთანი ეკლესიიდან რაიმე ნაწილის გამოყოფა. სქიზმატიკოსი, პირონება, რომელიც ამ პროცესის მხარდამჭერია.

ბერი ეგნატაშვილი ქეთევან დედოფლის
წამების შესახებ (1624 წ.)¹⁶¹

„ხოლო დედა ბატონის თეიმურაზისა, ქეთევან, და ორნი ძენი თეიმურაზისნი, ალექსანდრე და ლევან, გაგზავნა შირაზს და მუნ ტყუედ ყვეს...

მაშინ გაუგზავნა კაცი შირაზის ხანსა¹ და იქმ ბატონის თეიმურაზის შვილი ალექსანდრე და ლევან და, რა მოიყვანა, გამოასაჭურისნა ორნივე და ამყოფა თუსთ თანა. და ერთი ძმა შეიშალა, ლევან, და ისრე იარებოდა შეშლილი, და მეორე, ალექსანდრე, მოკუდა. ხოლო ქეთევანისთვის გაგზავნა კაცი და შეუთულა იმამყულიხანს, ვითარმედ: „ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალო“. ხოლო იმამყულიხანს რა ესმა ესე, გამოაბრუნა მოციქული და მოაქსენა ესრეთ, ვითარმედ: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გათათრდებისო, და რას აქნევთ ამის გათათრებასაო, დაექსენითო, თქუენთვის სირცხული არისო ამისი სიკუდილი“. ხოლო შააბაზ იწყინა და გაუგზავნა კაცი, ვითარმედ არ იქნებისო.

მაშინ იმამყულიხან დაუწყო ლაპარაკი ქეთევანს დედოფალს და აუწყა ყანის შემოთვლილი და უთხრა გათათრდიო. ხოლო ქეთევან არ უსმინა. მაშინ შეიპყრეს და დაუჭირეს მხლებლები და წინა გაუთათრეს. და ახლდა თან მღდელი ვინმე იმერელი და იგიცა გაუთათრეს. ხოლო გაუბეს ქელ-ფეკი და გააშიშულეს წმიდა ქეთევან დედოფალი და განკურვებულის გაზებით დაგლიჯეს ძუძუები და გაკურვებული საჯები ნაგლეჯს კორცხედან შემოაწყუეს და დაგლიჯეს. გააკურვეს ლურსმები და დაუყარეს ქუემე და ზედ გაატარეს, დააწვინეს და შიშველაზედ ზედ შემოაყარეს ლურსმანი გაკურვებული. კუალად განკურვებული შამფურები გაავლეს მუცელსა და ძუძუ-მკერდშიგან, განკურვებული ქუაბი დაარქუეს თავსა ზედან. კუალად განკურვებულს ქუაბსა შიგან შიგ ჩასუეს და თავსაცა დაახურეს და შემოაწყუეს გახურებული ბარები შუბლსა ზედა

¹ შირაზის ხანი ამ დროს იყო იმამ ყული ხან უნდილაძე.

და ახეთქა თავის კეფა. და ყვეს მრავალი სატანჯველი, და ესრეთ შევედრა წმიდა სული თუსი უფალსა და შეირაცხა წმიდათა ქალწულთა მოწამეთა კრებულთა თანა. და მოვიდა სამხილებელად ყოველთა და დაადგა ნათელი. ხოლო მუნ დაესწრნენ ფრანგნი და აღიღეს წმინდანი ნაწილნი წმიდისა ქეთევანისნი ფრანგთა და წარიღეს თუსათა თანა ნაწილად, ხოლო კელი და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს.“

ბერი ეპნატაშვილი მარტყოფის აჯანყების შესახებ (1625 წ.)¹⁷⁶

„და აემზადა მოურავი,¹ წარმოვიდა და გამოატანეს მეფე სუმონ² პატარა თანა. და მოვიდენ ქართლსა ლაშქრითა მრავლითა და იღუწიდა მოურავი საქმესა მას, რომელ ჰქონდა უწყებული ყაენისაგან. და ოდეს გამოგზავნა მეფე სუმონ ყაენმა, მაშინ მისცა ყაენმა ასული ყორჩიბაშისა ცოლად და წარმოატანა თანა. და იყო ქალი ყორჩიბაშისა, შვილისშვილი ყაენისა, სახელით ჯანბანუმ.

და ოდეს მოვიდეს საქართველოშია, და შემოეყარნენ ქართველნი, და, რა ნახეს ქართველთა ჯარისა სიმრავლე, მაშინ იფიქრეს და თქუეს: „ეს საქმე მიზეზი რამე არის ამდენის ურიცხვს ჯარისა გამოგზავნა“. ხოლო მოურავმან დაუფარა და შეიჯერა ფიცითა დიდითა, ვითარმედ: „ამა ჯარისა სიმრავლე საქართველოსათჳს არ არის საზიანო, ნურცა რა ფიქრი გაქუსთ, თქვენი საქმე მე დამადევითო. მაშინ დააჯერეს გული ქართველთა, წარვიდენ და დადგნენ მუხრანს.³

ხოლო გაგზავნეს კაცნი და იკმნეს კახნი. და შემოეყარნენ კახნი ღართისკარზედა.⁴ ქმნა მოურავმან ბოროტი დიდი: გამოავლო ყარჩიხან თეჯირი კარავსა თუსსა და დაჰპატიჟა, ვითარმედ: „მოვიდნენ კახნი და ხალათებს მივსცემო“. და მიადგნენ კარსა კახნი, შეიყვანდნენ კახთა და მოსჭრიდნენ თავსა, ხოლო გარეთმდგომთა კახთა ეგონათ

¹ მოურავი — იგულისხმება გიორგი სააკაძე.

² მეფე სიმონი — სვიმონ II ქართლის მეფე 1619-1630 წლებში.

³ მუხრანი — სოფ. შიდა ქართლში, დღევანდელი მცხეთის რ-ნი.

⁴ ღართისკარი — ადგილი მცხეთის ჩრდილოეთით.

ხალათის ძლევა და მუნ დასხდომა მათი. მრავალთა მოსვრისა შემდგომად სცნეს კახთა საქმე ესე და გაიკრეს კრძალს კელი, და თათარნი კი დაერიდნენ. და გამოიქცენ კახნი და კნინლა და მცირედნი განერნენ.

ხოლო შემდგომად ამისა იყვნენ ხანსა რასმე მუხრანსა და იყვნენ შზადებაშია, რამეთუ სწადდათ აყრა ქართლისა. ჰქონდა მოურავს ჩვეულება, წარვიდოდა და მოუტევდა ქორსა. დღესა ერთსა კუალად განვიდა ქორის მოსატევად კევსა ლოჭინისასა¹ და ნახა, რომე ერთი შათირი² მოვიდოდა, და იცნა ყაენის შათირობაზედ. უკმო მოურავმან შათირსა და მას მისვლად მის თანა, ხოლო შათირმან არა უსმინა, და ვინათგან არა მორჩილ ექმნა შათირი იგი, მიეწია ცხენითა და შეიპყრა, იძულებით გაჩხრიკა და უნახა წიგნი. წაიკითხა და ესრეთ ეწერა ყარჩიხა-ხანთანა ყაენისაგან, ვითარმედ: „რაჟამს მოსრათ კახნი, აჰყარეთ ქართლი და წამოასხით, ხოლო მოურავს უღალატე, მოსჭერ თავ და გამომიგზავნე“. და რა წარიკითხა მოურავმან ესე, მაშინ შათირი იგი მოკლა. აღუკდა სიცრუე მისი თხემსა მისა ზედა, შეწუხდა დიდად და ეძებდა ღონესა რასმე. მას ჟამსა იყო ნუგზარ ერისთავი³ მოყუარე და მოყვასი მოურავისა. და ეპყრა ძესა მისსა ზურაბს ერისთობა, და ცოლი ზურაბ ერისთავსა⁴ ისპაანს დარჩომოდა და შვილი პაატა მოურავსა მუნ ისპაანს დარჩომოდა. მაშინ მოურავმან უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდო ქართლს ნუ ამოვსწყუეტო, თორემ სულიც დაგუეკარგვისო და არც ჩვენ დაგუნდობენო; მრავლის ლიქნითა და სიტყუს რჩევითა და მრავლის ცდილობით დასთმო ზურაბ ცოლი თუსი და მოურავმან შვილი თუსი პაატა დასთმო.“

¹ ლოჭინის ხევი — ადგილი კახეთში, მარტყოფის მახლობლად.

² შათირი იგივეა რაც შიკრიკი.

³ ნუგზარ ერისთავი — XVII საუკუნის I ნახ. ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, არაგვის ერისთავი, მისი ასული ცოლად ჰყავდა გიორგი სააკაძეს.

⁴ ზურაბ ერისთავი — XVII საუკუნის I ნახ. ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, არაგვის ერისთავი, ნუგზარ ერისთავის ვაჟი. დასაწყისში გიორგი სააკაძესთან ერთად მოქმედებდა. შემდეგ მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ზურაბ ერისთავმა გიორგისთან ბრძოლაში თეიმურაზის მხარე დაიჭირა.

თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა
მარტყოვის ბრძოლის შესახებ (1625წ) [113]

„...როცა თეიმურაზ სრულწლოვანი გახდა, ხანის წოდებით საქართველოს სატახტო ქალაქ ზაგემში¹ გაგზავნეს. შემდეგ თეიმურაზმა ირანის შაჰს წინააღმდეგობა გაუწია და ვანის ბეგლარ-ბეგ თურქზე ბილმეზ ჰუსეინ ფაშას დახმარება სთხოვა. ჯერ კიდევ დამხმარე ძალების მოსვლამდე საქართველოს ჯარი სასწრაფოდ დაიძრა, ყიზილბაშებს შეეჯახა, ბევრი დახოცა და დიდი ზარალი მიაყენა.

შაჰ აბასმა საქართველოს ერთ-ერთი ბეგი — მოურავი ბეგი² — გაიერთგულა და მისი საშუალებით თეიმურაზ ხანზე შურის საძიებლად საქართველოსაკენ ლაშქარი დაძრა. თეიმურაზი იმერეთში გაიქცა. ირანის შაჰმა საქართველო ააოხრა, ადგილები, სოფლები და განსაკუთრებით, ქართველთა სამეფო ქალაქი ზეგამი დაარბია და გადაწვა. როდესაც ირანელთა ლაშქარი დაბრუნდა, შაჰ აბასმა თავისი ხელქვეითთაგანი, ვინმე ფეიქარ სულთანი,³ საქართველოში ხანად დანიშნა და ქვეყნის აღდგენა და სამართლიანობის დამყარება დაავალა...

ფეიქარ ხანი დიდ სამართლიანობას იჩენდა და ასე გამოაცხადა: შაჰის სურვილია, რომ ყველამ თავისი სახლი გაიკეთოს, ყანა დაამუშაოს და თავის საქმეს შეუდგესო. ვისაც თესლი არა აქვს, ხაზინიდან მიეცეს სესხად და სამი წლით ყველა სახელმწიფო გადასახადისგან განთავისუფლდესო. ამ პირობამ მიიზიდა მთასა და ველში გაბნეული ქართველი გლეხობა და დაიწყო მოშენება. ქვეყანა გაშენდა. ყიზილბაშთა შიშით დამალული და გაქცეული ქართველები გამოჩნდნენ და ზარალის გამოსწორება დაიწყეს. ყველა ფეიქარ სულთნის დაემორჩილა, მაგრამ ფეიქარ სულთანი ქართველების სიმრავლემ საგონებელში

¹ ზეგემი — კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. წყაროებში მოიხსენიება ბაზარის სახელწოდებითაც. მდებარეობდა ალაზნის ველზე. გრემიდან სპარსეთისკენ მიმავალ გზაზე.

² ივულისხმება გიორგი სააკაძე.

³ ფეიქარ სულთანი — იგივე ფეიქარ ხანი, განჯის გამგებელი. შაჰ-აბასმა კახეთის გამგებლობა უბოძა.

ჩააგდო. მან შაჰს აცნობა: ქართველები ისევ მოძრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორი იქნებაო? შაჰმაც ზემოხსენებული კორუჯი-ბაში,¹ ყარჩიხა ხანი² და რამდენიმე ათასი ყიზილბაში მოურავ ბეგის თანხლებით საქართველოში გააგზავნა ვითომდა ჯარების შესამოწმებლად. სხვების დასანახად ყარჩიხა ხანს უბრძანა, რომ მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ დაეწყო, და გააფრთხილა, რომ ელოდოს მისგან საიდუმლო წერილსა და ბრძანებას და იმოქმედოს იმის შესაბამისად. ყარჩიხა ხანი და მოურავ ბეგი საქართველოში ჩამოვიდნენ და გამოსცეს ბრძანება, რომ ფეიქარ სულთნის მორჩილებით შაჰთან კეთილად განწყობილი მოქალაქეები ამა და ამ ადგილს გამოცხადდნენ, რათა ჩატარდეს შემოწმება და გაიცეს საბოძვარიო.

თორმეტი ათასი ქართველი შეგროვდა და დანიშნული ადგილისაკენ გაემართა. საიდუმლო ბარათში შაჰი წერდა: შენ რომ კორუჯი-ბაში ხარ, გმართებს დათვალიერების მიზნით შეგროვილი ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხალი, რაც არ უნდა დაგიჯდეს უნდა მოკლა. წერილი შიკრიკს გაატანა და თან გააფრთხილა, რომ წერილი მოურავისთვის არ ეჩვენებინა და ყარჩიხა ხანისთვის მიეცა. მაგრამ მოხდა გაუგებრობა — შიკრიკმა იმ საიდუმლო შეთანხმებაზე არაფერი იცოდა და შაჰის ბრძანება უკუღმა გაიგო — წერილი მისცა მოურავ ბეგს და არა კორუჯი-ბაშს. როდესაც მოურავმა ეს წერილი წაიკითხა და ვითარებას გაეცნო, დასათვალიერებლად მომზადებულ თორმეტიათას ქართველს ყველაფერი შეატყობინა. ქართველებს ასეთი რამ ვერ წარმოედგინათ და არც დაიჯერეს. მოურავი, როცა დაინახა რომ ქართველებს ვერ დააჯერებდა, გაყურდა, ვნახოთ რა მოხდებაო. მან ჯარი შემოიკრიბა და ყორჩიხა ხანს ზურგს უკან ფრთხილად და ფხიზლად იყო. შემთხვევით ფეიქარ სულთანმაც ქართველები შეკრიბა დასათვალიერებლად. ისინი მთის ხეობიდან ველზე გამოვიდნენ. ყიზილბაშები მზად

¹ კორუჯი-ბაში, კორუჯი — ტყის მცველი, მკველე, ასე უწოდებდნენ ლაშქრობაში დაბერებულ იანიჩრებს. კორუჯი-ბაში ე. ი. კორუჯების მეთაური.

² ყარჩიხა ხანი — შაჰ-აბასის ერთერთი გამოჩენილი მხედართმთავარი, წარმოშობით სომეხი.

იყვნენ. ხეობიდან გამოსული ქართველები ხმლით აკუწეს. ამგვარად დახოცეს ოთხასამდე ქართველი. რამდენიმე ჩამორჩენილი უკან გამოიქცა. ეს ამბავი რომ მოიგებენ, ქართველები მოურავის სიმართლეში დარწმუნდნენ, შეწუხდნენ. თურმე ფეიქარ სულთანნი და ყარჩიხა ხანი შეთქმულან. მაშინ მოურავი საიღუმლოდ ქართველ მეომრებს შეუთანხმდა, რომ დილით ყიზილბაშებს თავს დაესხმოდნენ და ამოხოცავდნენ.

ქართველი მეომრები მოეშადნენ და დილაადრიან მოურავთან შეგროვდნენ. მოურავიც ამხედრდა, აიღო შუბი და მივარდა ყარჩიხა ხანის კარავს. ხანო, რას გაჩერებულხარ, თეიმურაზი მოვიდა, თავს დაგვესხაო. ყარჩიხა ხანი კარავიდან გამოვიდა და, როგორც კი ცხენზე შეჯდა, მოურავმა მას გვერდში შუბი აძგერა და მოკლა. როგორც ეს უკვე ზემოთ ვთქვით, წყეულმა ყარჩიხა ხანმა აქ იზლო სამაგიერო იმისა, რაც მან არღებილის ლაშქრობაში მაჰმადის ჯამაათს უყო.

ამრიგად, ამდენი ხანი და ათასობით ყიზილბაში ამოხოცეს. ამის შემდეგ მოურავმა დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრეტენზია გამოაცხადა. მან ფული მოაჭრევინა თავის სახელზე ასეთი წარწერით: მონა სიწმინდის მეფისა მოურავ შაჰი...

ყიზილბაშის შიშით თეიმურაზი თურმე გაქცეულიყო და ყარსის მიდამოებში დაძრწოდა. ახლა მან მიიღო ცნობა მოურავის მეოხებით ქართველების გამარჯვების შესახებ. მან იცოდა, რომ მოურავი მეფეთა ჩამომავალი არ იყო, ამდენად მეფობა მისთვის არ იყო შესაფერისი. თეიმურაზმა შეკრიბა ხელქვეითები, თავისი სატახტო ქალაქი ზაგემი აღადგინა და სამეფო ტახტზე დაჯდა. ეს რომ ქართველებმა გაიგეს, პატივი სცეს და მას მიემხრნენ, როგორც მეფის მემკვიდრეს. მასთან მივიდნენ ჯგუფ-ჯგუფად. შორსმჭვრეტელმა მოურავმა ყიზილბაშთა ნადავლიდან რამდენიმე ცხენი და ძვირფასი ნივთები თეიმურაზს გაუგზავნა და ძღვნად მიართვა, წერილით მორჩილება გამოუცხადა. ამავე ღროს მან ისიც გაითვალისწინა, რომ თეიმურაზი არ აპატიებდა და მოჩვენებით თეიმურაზ ხანს დაუტკბა. ცოტა ხნის შემდეგ თავისი წარჩინებულებითა და ხელქვეით აზნაურთა ჯგუფით რუმის ქვეყანაში გაიქცა და ოსმალთა სახელმწიფოს შეაფარა თავი.“

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში
ბიორგი სააკაპის მიერ ოსმალეთში ელჩობის
ბაგჰაჰინის შესახებ (1625 წ.)^[109]

„გამორკვა (აგრეთვე), რომ არამზადა მოურავმა, ამ უმსგავსო მოქმედების შემდეგ ერთგულება განუცხადა ოსმალეთის სულთანს და მოკლულების თავები გაუგზავნა ერთი საპატო ქართველის ხელით. დიარბექრში სარდალს ძღვენი და საჩუქარი მიართვა იმ ძვირფასი საქონლიდან, რომელიც ხელში ჩაიგდო დავლად, და საქართველოსა და შირვანში მოსვლაზე შეაგულიანა. (ოსმალეთის) სარდალმა ეს შემთხვევა გამარჯვებისა და ძღვევის დასაწყისად ჩასთვალა და გამოგზავნა სიგელები მოურავის – ქართლში და თეიმურაზის – კახეთში ბატონობაზე. თეიმურაზიც ჩამოვიდა და ისინი ერთმანეთს შეხვდნენ.“

თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი ბიორგი
სააკაპის ელჩობის ოსმალეთის დიდ ვეზირთან
ჩასვლის შესახებ (1625 წ.)^[110]

„ხსენებული მოურავად წოდებული მელიქი დიდი მელიქი იყო, რომელიც სრულიად საქართველოს სახელმწიფოს ქეთხუდად¹ და შაჰ აბბასის მეგობრად იყო ცნობილი. ზოგ საჭიროებათა გამო ზემოხსენებულ მოურავს ორი-სამი ხანისა და მათი ჯარის თანხლებით შაჰი საქართველოში აგზავნის. თურმე საქართველოს მიერ შაჰის საწინააღმდეგოდ (გაწეული) ერთგვარი ურჩობა მოურავსვე მოეწყო ყიზილბაშზე შურის საძიებლად. მოხერხებული შემთხვევა რომ მიეცა, კარჩიკაი² და მასთან მყოფი ხანები დახოცა და ერთი ორიათასი ყიზილბაშის ჯარს თავი მოჰკვეთა. ზემოხსენებული წლის რამაზანის 27-ე დღეს (1625 წ. 3. VII) ოსმალთა ჯარის (ბანაკში) მოვიდნენ (მოურავის კაცები) მისი (მოურავის) შეილითურთ და საქართველოს

¹ ქეთხუდი ნიშნავს მამასახლისს, მოურავს.

² კარჩიკაი – იგულისხმება ყარჩიხა ხანი (იხ. შენ. 2, გვ. 297).

ზოგი მელიქთაგანი კარჩიკას და სხვა ყიზილბაშთა თავებითა და მოუნე ტყვეებით, საყვირებითა და დიდი დაფებით და ორას-სამასი ბაირალით.

მათ (მოურავის ელჩებმა) სიტყვა-სიტყვით ასე მოახსენეს: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა სამეფოს გვარეულობას არ მისცემია და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიიღეთ ზომა და ისწრაფეთ, რომ ისლამის ჯარითურთ ამ ქვეყნისაკენ გაემგზავროთ. უეჭველია, რომ, როგორც კი ყარაბაღს, განჯას... და შირვანს ჩახვალთ, ყველა ეს (ქვეყნები) მაშინვე დაგმორჩილდებიან. არ არის საჭირო ლაპარაკი იმაზე, რომ ესენი ყიზილბაშებთან მწყრალად არიან, (რადგანაც) თვითონ სუნიტ-მუსლიმებს ეკუთვნიან. ამის შემდეგ სულ ადვილია არდებილისა და მეშქედის იოლად აღება და ყიზილბაშის ქვეყნისათვის ცეცხლის წაკიდება. თქვენ სრულებით ნუ გაფიქრებთ აქლემები და ჯორები და სურსათ-სანოვაგისა, ზარბაზნებისა და სხვა საჭურველთა გადატანისათვის საჭირო მზრუნველობა. (რადგანაც ასეთები) რამდენიც მოგესურვებათ აქ მოიპოვება. მაღალი ალაჰის მადლით ისლამის ჯარი იმდენ სიმდიდრესა და ნადავლს ჩაიგდებს ხელში, რომ ქვეყნის დასასრულამდე სალაპარაკო დესტანად¹ გადაიქცესო. როცა ისინი ჰაფიზ-ფაშასთან² ამოვიდნენ, მეც იმასთან ვიჯექი. მოურავის წერილობითი პატაკი მიაწოდეს და მისი შინაარსი ვრცელი ახსნა-განმარტებით მოახსენეს. განსვენებული ჰაფიზ-ფაშა უცნაური ხასიათის ვეზირი იყო. მისგან ბევრი მოწყალება მიმიღია და ურიცხვი კეთილი საქმე მახსოვს, მაგრამ რასაც ვწერ, ესეც სიმართლეა და ბოროტება და ცილისწამება არ არის. მაღალი ალაჰია ამის მოწმე. ამათ არავითარი გადაჭრილი პასუხი არ მისცა. რამდენიმეჯერ მოვიდნენ და წავიდნენ, ხეირიანი პასუხი ითხოვეს, მაგრამ გამგზავრებაზე არც „წავალ“ და არც „არ წავალ“ არ თქვა. მეც ძალიან დაბეჯითებით ვუთხარი (ფაშას), რომ ასეთი მოხერხე-

¹ დესტანი - ეპიკური მოთხრობა, გალექსილი თქმულება გმირებზე, საგმირო საქმეებზე, ხალხებზე.

² ჰაფიზ-ფაშა - XVII ს-ის I ნახევრის ოსმალთა იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე. სხვადასხვა დროს ეკავა სამეფო სასახლის ბაზიერთუხუცესის, დამასკოს ვალის, ბაღდადის ვალის, დიარბექირის ვალის თანამდებობა. 1631 წელს იგი მთორეჯერ დანიშნეს სადრაზამად. მაგრამ მალევე გარდაიცვალა.

ბული შემთხვევა მეორედ ხელში არ ჩაგვივარდება მეთქი. ჩვენმა, ბელნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა¹ ბალდადის დაპყრობა შემოგვიკვეთა და საქართველოსა და შირვანს გამგზავრება ნაბრძანები არა გვაქვსო. ჩვენმა ბელნიერებით მოსილმა ფადიშაჰმა რომ იცოდეს, რომ მოურავი მოგვევლინა და, რომ შესაძლებლობა არის მტრებს შორის ასეთი დიდი განხეთქილება ჩამოვარდეს, მაშინ (ფადიშაჰი) თქვენ, უპირველესად ყოვლისა, იქ გაგზავნიდათ და, შეიძლება, გადაეწყვიტა და თვითონ თავის თავზეც კი აელო ომის წარმოების სიძნელები მეთქი. ჩვენ ამნაირი გამოცდილება გვაქვს: ვიდრე ენგურუსის ბრძოლებში მტრებს შორის ფოჩკაი არ გამოჩნდა, ქაფირები ვერ დავამარცხეთ და მათ ქვეყანაში ერთი ნაბიჯით წინ ვერ წავიწიეთ. თუ ამ შემთხვევას ხელიდან გაუშვებთ, ქვეყნის დასასრულამდე სანანებლად გვექნება მეთქი, ვუთხარი. არაფერი არ გამოვიდა. უკანასკნელი მისი პასუხი ის იყო, რომ თქვენ ჯერ ჩემი ხასიათი არ გცოდნიათ. მე ვიდრე რომელიმე (წამოწყების) წარმატებით შესრულებაში არ დავრწმუნდები, ამ მიმართულებით ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამო. მაშ, დიდებულმა სულთნებმა, გინა პატიოსანმა ვეზირებმა, რომლებმაც ამოღენი საღეთო ომი და დაპყრობა წარმატებით ჩაატარეს, (წინდაწინ) იცოდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ და იმიტომ მიდიოდნენ? ომში გამგზავრებისას სარდლისათვის სიმამაცე და მაღალ ალაჰზე სრული მინდობა არის საჭირო. ან ეხლა ბალდადში რომ ჩახვალთ, ნამდვილად იცით, რომ დაიპყრობთ და გაიმარჯვებთ-მეთქი? – ვუთხარი. მაღალმა ალაჰმა ინებოს, ასეც იქნება, ჩემი მტყიცე რწმენა ასეთია და შეიძლება (ამაში) ეჭვი სრულიადაც არ მეპარებოდესო – მითხრა. მართლაც, საქმე იმაშია, რომ იოლი დაპყრობები მუდამ ისე ხშირად მეორდებოდა, რომ ჩვენც ასეთი რწმენა გვექონდა ჩანერგილი. ამის გამო იყო, რომ მან დაიჩემა (ამ საქმის) გადადება. შემდეგ იანიჩართა ალა – ხუსრევ(-ა)ლასთან შევეცადე და ვუთხარი, რომ, თუ თქვენ თვითონ არ წახვალთ, იზრუნეთ და კარგად მომზადებული და მრავალრიცხოვანი ჯარი მაინც გაგზავნეთმეთქი. ჩვენი სარდლის ხელქვეითები ვართ და რასაც (სარდალი) გვიბრძანებს,

¹ ფადიშაჰი – იგულისხმება ოსმალეთის სულთანი.

იმას შევასრულებთო. ჩემთვის უეჭველი გახდა, რომ მას (ხუსრე-
აღას) ჰაფიზის გამარჯვება (და წარმატება) არ უნდოდა. ამავე
მიზეზით მაღალმა ალლაჰმა თვით მასაც არ გაუმარჯვა.“

ოსმალითის სულთნის მურად IV-ის მიერ ბიორბი
სააკაპისადმი ბაგზაჰნილი წერილი (1624 წ.)^[14]

„ქართლის მპყრობელი მოურავ-ხანისადმი გაცემული უზენაესი
წყალობის წიგნის პირი.

მაღალკეთილშობილ ემირთა წინამძღოლო, სანჯაყის ბეგის მეჰ-
მედისა — ხანგრძლივი იყოს დიდება მისი — და ჩემი სამეფო კარის
ჩაუშთაგანის... ხელით ჩემი ბედნიერების ზღურბლისათვის დაწერილებითი
და ვრცელი წერილები გამოგიგზავნია. მაცნობებ, რომ უბედურ ყიზ-
ილბაშს სწადია მაგ მხარეები დააზარალოს და მაღალმა ალლაჰმა
დაგვიფაროს, გზადაბნეული შაჰის დღისა და ღამის უწმინდურ გან-
ზრახვასა და ფუჭ ოცნებას შეადგენს საქართველოს ქვეყნების დაპყ-
რობა და მაგ მხარეში ჩემი ღვთითდაცული ქვეყანათა საზღვრები-
სათვის ზიანის მიყენება. იწერები აგრეთვე, რომ საჭიროა დროულად
ლონისძიებათ მიღება ურჯულო მტერთა და უკუღმართ გზაზე შემდგარ
რაფიზიებისაგან მოსალოდნელ სიავეთა თავიდან აცილებათ და ითხ-
ოვ აქედან ჯარსა და შველას... როგორც შენ მომახსენებ და მაუწყ-
ყებ, ჩემი უდიდებულესობისათვის ცხადი შეიქნა, რომ სარწმუნოების
მტერთა მიზანს უეჭველად საქართველო შეადგენს და ვინაიდან
ხსენებული საზღვრისათვის დახმარების აღმოჩენა ჩემს რელიგიურ
და სახელმწიფო საქმეებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომ
შენს მეშველად დაინიშნონ ყველა ქვემოსხსენებულნი: აწ ბათუმის
ბეგლარბეგი, წარჩინებული ემირთა ემირი დომერი... მისდამი რწმუ-
ნებული ვილაიეთის ჯარით, ჩალდირის ბეგი მურთაზა, არფალიკის
წესით თავისი სანჯაყის მფლობელი საფარი... ვინაიდან ზემოსხსენებ-
ული დომერი... მაგ საზღვრების კარგი მცოდნე, გამოცდილი და
სახელმოხვეჭილია, ამიტომ ზემოსხსენებული ჯარების მთავარსარდ-
ლად დაინიშნოს იგი. ყველა ესენი დაუყოვნებლივ დაიძრან თავიანთი
ადგილებიდან, გაემართნონ და შენ შეგიერთდნენ და ჩემი უდიდე-

ბულესობისათვის სამსახურის გაწევისა და დაზარალების თავიდან აცილების საქმეში იხმარონ ყოველგვარი ღონე, როგორც კი შესაფერისად იქნება ცნობილი, რაშიაც გაიცა ჩემი მტკიცე და დიდებული ბრძანების შემცველი უზუნაესი ფირმანი ჩემი. ამათ გარდა, ჩემი ბედნიერების საყრდენ ზღურბლიდანაც გამოიყო ჩემი იანიჩართა ნაწილები, რომელნიც ეშაადებიან გემით ჩავიდნენ ტრაპიზონს და იქიდან ზემოხსენებულ მთავარსარდალთან ერთად მოვიდნენ შენტან და შემოგიერთდნენ. შენტვის დახმარების გაწევა ებრძანა აგრეთვე ანატოლიის ვილაიეთების ზადიმებსა და თიმარის პატრონებს და სრულიად არზრუმისა და ტრაპიზონის ვილაიეთში მყოფ იანიჩარებს თავიანთი მეთაურებით.

... ჩემი დიდებული ბრძანებები გაეგზავნა აგრეთვე დალისტინის მმართველებს, რათა მათ სასწრაფოდ გამოიყვანონ ჯარი და გამოაგზავნონ დანიშნულ ადგილას... დიდებული ბრძანებები დაეგზავნა აგრეთვე გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის მეფეებს მასში, რომ ჩემი სამარადისო ტახტისა და შეურყეველი ჩემი დინასტიისადმი მათი ერთგულების და მორჩილების შესაბამისად, თქვენთან ერთსულოვანნი იყვნენ და სამსახურის შესრულების გულმოდგინებითა და ყურადღებით მოეკიდნონ... ახლა შენც, შენს ბუნებაში თანდაყოლილი დიდი თავგამოდების, განუზომელი მამაცობისა და ემირობის შესაბამისად მოიკრიბე რაც ძალი და ღონე უაქვს და შენი მმართველობის ქვეშ მყოფი საქართველოს ჯარის გარდა, შესაძლებლობის ფარგლებში საქართველოს სხვა ბეგები და გულადი წარჩინებულები წაახალისე და საკმარისი ხალხი შეკრიბე და ზემოხსენებულ ბეგლარბეგებს დაუკავშირდი, შეიკრიბენით იმ ადგილას, რომელიც მოხერხებულად იქნეს ცნობილი და მაღალი ჩემი სახელმწიფოსათვის დროის საჭიროებათა მიხედვით, სამჯობინო და მეტად სასარგებლო სამსახურის გასაწევად დიდი მუყაითობა გამოიჩინეთ... როგორც კი შემთხვევა მოგეცემათ, უბედურ ყიზილბაშთა მტაცებლურ კლანჭებში ჩავარდნილ ციხე-სიმაგრეთა და ადგილთა დაპყრობისათვის სულითა და გულით მთელი თქვენი ძალები არ დაზოგოთ და წინანდებურად მაღალი ალლაჰის წყალობით ყიზილბაშს სიცოცხლე არ შეარჩინოთ... როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მოგეცემათ, მთე-

ლი თქვენი ძალ-ღონით ეცადეთ უკან გამოგლიჯოთ მაგ მხარეში ყიზილბაშის ხელში მყოფი საქართველოს ციხე-სიმაგრეები, თუ სხვა ადგილები და ჩემი უდიდებულესობისათვის სრული შეუპოვრობითა და მომეტებული მზრუნველობით მრავალი სასახელო საქმე გამოიჩინეთ... ვინაიდან ჩემი უდიდებულესობა დიდ მზრუნველობას იჩენს საქართველოს ქვეყნისადმი... ჩემს დიდვეზირ მთავარსარდალსაც... ეცნობა და გაიცა მაღალღირსეული ჩემი ფირმანი მასში, რომ ხსენებული (დიდ ვეზირიც) სრული მზრუნველობით მოეკიდოს საქართველოს ვითარებებს... აბა შენ იცი, წელსაც როგორ მამაცობასა და გმირობას გამოიჩენ და სარწმუნოებისა და ჩემი სახელმწიფოს სამსახურის ასპარეზზე მხნეობისა და მამულიშვილობის დრომას როგორ აღმართავ. თუ მაღალმა ალაჰმა ინება, ამიერიდან შენ მიერ გაწეული სამსახური სანაქებოდ ჩაითვლება, ხოლო შენი გულმოდგინეობა — მადლობის ღირსად, რის სანუქფოდაც, როგორცა შენ, ისე შენთან სამსახურში მყოფნი, მრავალი ჩვენი მაღალი სამეფო მოწყალების, ჩვენი შემწყნარებლობისა და დაჯილდოების ღირსნი გახდებით...“

ვახუშტი ბატონიშვილი სტამბოლში მანუჩარ III-ის ელჩობის შესახებ (XVII ს-ის 20-იანი წწ.) [79]

„ნებანი მამისა თქვისა. ამის ჟამს მოვიდა ბატონი თეიმურაზ, დაასადგურა ოლთისს. არამედ გარდაიცვლებოდენ წესნი და ვიეთნი ზოგნი პატივისთვის ნებით, ზოგნი მძლავრობით ოსმალთათა გამაჰმადიანდებოდნენ და იქმნებოდნენ უმორჩილონი ათბაგისანი. ხოლო მანუჩარ მძლავრობდა მათ და არა პატივსა უყოფდა. ამისთვის შეასმინეს ოსმალთა და მათ აზრუმის ფაშასა.

მაშინ აზრუმის ფაშამ წარმოავლინა სპანი ქ-სა ჭ-ქკდ, ქარ. ტ-იბ, ვერ წინააღუდგა მანუჩარ და ჩამოვიდა ახალდაბას. მუნ ესმა ბრძოლად წარსვლა მარაბდას და მივიდა ქართველთა თანა ტ-მხედრითა და ჰყო მუნ რა იგი აღვწერეთ. და შემდგომად ლტოლვისა მოვიდა ახალდაბასვე, ეზრახა ოსმალთა, ზაე-ჰყო მათ თანა, მოვიდა და დაიპყრა სამცხე. არამედ იხილა შემდგომით შემდგომად შფოთნი ესე-ვითარნი და არღარა რაი სხუა ღონე შეწევისა. ამისთვის წარვიდა სტამბოლს

წინაშე ხონთქრისა. ამ ჟამთა მოვიდა მოურავი გიორგი და ასპინძას გაემარჯუა ყიზილბაშთა ზედა, მერმე შეუკლა და აღიღო ციხე ხერთვისი და სხუნიცა, რომელნი ეპყრნეს ყიზილბაშთა, და მისცა ოსმალთა.¹

ხოლო მანუჩარ შეიწყნარა ხონთქარმან, მოსცა ქრისტეანობით ათაბაგობა და წარმოავლინა, არამედ მოგზაურს მომავალსა დახუდა ბიძა თვისი ბექა,² რომელი პირველ წარსული იმყოფებოდა მუნ. ამან ბექამ ისტუმრა და კეთილად შეიტკბო მანუჩარ. გარნა განზრახველმან ოსმალთა მძლავრებისამან და თუნიერ მათსა სხუსა ღონისა არღარა რისამე შემძლებელმან, შეურთო საჭმელსა მანუჩარისასა სამსალა და მოკლა მანუჩარ, და თუთ მივიდა სტამბოლს, იქმნა მაჰმადიან, მოსცა ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარ ფაშა და პატივსცეს ორითა თულითა. მერმე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს, ქ-სა ჩ-ქვე, ქარ. ტ-ივ.“

თეიმურაზ I-ის წერილი მსპანეთის მფჳმ ფილიპე IV-სადმი (1626 წ.)¹¹⁵¹

„ხელმწიფესა მალალსა სპანიის... მეფე თეიმურაზ ქართუელთა ვიკადრებ წინაშე ხელმწიფესა ყოველთა ზესთობათა უპირველესსა ეტლ ძლიერსა და საყდარ ბრწყინვალესა მალალსა და აღმატებულსა ბრძანებისა შარავანდედითა ყოვლისა სოფლისა თუისა მიმართ თუისისა სამონოდ მომყუანელისა ერთსა საკრებულოსა და უგანძლიერესებულად ხმამაღლად ქებულსა... აწ ქრისტეს შუამდგომლობითა შემოგვეწივნენ ხელმწიფებითა ძლიერებისა მაგათისათა რათა ვიყუნეთ ჩუენცა უკანასკნელ სამადლობელისა მომხმელნი სახარებისა იგი თქმულნი ადასრულნეს ვითარცა იტყუუის უკეთუ უნდეს ძმასა

¹ აქ საუბარია 1626 წლის ამბებზე. 1626 წლის ბაზალეთის ომის შემდეგ გიორგი სააკაძემ თავი სამცხეს, აფიეთის ციხეს შეაფარა. ამ პერიოდში წართვა ხერთვისი და ზოგიერთი სხვა ციხე ყიზილბაშებს და ოსმალებს გადასცა.

² ბექა (გ. 1635) – ქაიხოსრო II ათაბაგის ვაჟი. მოღვაწეობდა საფარ-ფაშას სახელით. 1628 წელს იგი სულთანმა დანიშნა ჩილდირის ბეგლარბეგად. ამით საათაბაგოს ათაბაგის მაგიერ სულთნის მოხელე, ჩილდირის ბეგლარბეგი ჩაუდგა სათავეში.

შენგან სესხებად ნუ გარე მიიქცეუი ესრეთ მან ტკბილმან სიმდ-
აბლით იორდანეს შინა იოვანესაგან ნათლისღებითა ძმად გიუწოდო
ყოველთა და მოციქულთა სწავლითა... მოვახსენოთ ჩუენდ უსჯულო
იგი პერსი შაჰაბას ვირკინებით ბრძოლითა სასიკუდინოთა, რომლისა
ღონე და წამალი არა რა არის, თვინიერ მახვილისა აღლესულისა
და ძალითა ქრისტეს ჯუარისათა და მეოხებითა უბიწოდ მშობლისა
მისისათა არა ძალსვცემთ ღზინებად და არცა ვიკადრებთ მონებად,
არამედ მაგთდა მოვსწერეთ, რათა მონად გყუნენ მაგათდა ეგენი
მოეტივნენ სპარსთა და აქათ ჩუენ უყოთ დევნა ძლიერი და აღვზო-
ცოთ იგი პირისაგან ქვეყნისა ყოვლად უღმრთო იგი საძაგელი... ჩუენ
ყოველნი ძმანი ვართ და ერთ არს ღმერთი ჩუენი საქმისა ამას
ცნობითა და სიტყუისა ამის აღმოკითხვითა ვკადრეთ ძმად წოდება
და მონაგებთა სესხება... აწე უკეთუ ჯერ უჩნდეს ხელმწიფებასა
მაგათსა ანუ თავნი ჩუენნი უნდოდენ ეს ჩუენი გულითადი მღრდელ-
მონაზონი ნიკიფორე გუიახლებია და ჩუენი საქმე და გულის პასუხი
ამისის პირით მოგუიხსენებია. ჩუენი სარწმუნო და მისანდო კაცი ეს
არის და წარმოგუივლინოს ერთი მაგთი მისანდო და საყუარელი
კაცი და სახმარი, რათა შეებმა უყოთ მტერთა ქრისტესთა ძლიერად
და მაგათ სათნო ვეყუნეთ მორჩილებად მაგათ და „სჯობსო სახელი
კეთილი მოსახუეჭელსა“ იტყუის წერილი. სახელი შენი ჩუენად
სადიდებელ ყუნეს საფასითა მრავლითა და უკანასკნელ ჩუენცა
შევსძინებთ ათასეულებითა და ბევრეულებითა ღმრთისა მსგავსებით
სახიერება ყონ დიდ არს და მთხოველთ უსუებით მომნიჭებელ.
ეგრეთ ვითარცა ღირს ყო ღმერთმან მეფედ და შემწედ ყოველთა
ქრისტეიანეთა შემოგვაწივნენ და თავნი ჩუენნი დაიმონნე უკუნითი
უკუნისამდე და საუკუნისამდე. ამინ.

დაიწერა ხარტი ესე თუესა ნოემბერსა ოცსა. მეფე თეიმურაზ
ქართუელთა.“

თეიმურაზ მეფის წერილი ურბან VIII-ს
(1626 წ.) ^[116]

„... აღმოსავლეთიდან გწერ შენ რომში, სადაც შენ, როგორც მსოფლიოს ბრწყინვალე მზე და როგორც ქერუბიმი და სერაფიმი ხედავ უბრწყინვალეს სამებას და ასევე გადასცემ იმას, რასაც შეიგრძნობ ღმერთიდან, ანათებ რა მსოფლიოს. შენ ხარ ქრისტეს ღირსება და რწმენის დასაყრდენი...“

ჩვენ საქმე გვაქვს თურქებთან და სპარსელებთან. ხშირად გვიხდება მათთან შეჯახება, მაგრამ ღმერთის დახმარებით არც ერთ მათგანს არ დავემორჩილებით. შენი მორჩილი კი ვიქნებით და შევასრულებთ ყოველივე იმას, რასაც გვიბრძანებ. როგორც ღმერთი არის ყველა არსთა მამა, ასევე შენ ხარ მორწმუნეთა მამა.

ვიმედოვნებ, რომ შენი დახმარებით დავამყარებ კავშირს ესპანეთის მეფესთან,¹ მასაც მივწერეთ წერილი. დაჟინებით გთხოვთ, რათა შენც თხოვო მას იგივე. ამ წერილს სუფთად გადაწერილს, გადმოგცემს შენ მღვდელი ნიკიფორე. აი შეჯამებული ჩვენი სურვილები: მოვექცეთ შენი უწმინდესობის – პირველი საყდრისა და უმაღლესი ხელისუფლების მოწყალების ქვეშ. გვიბრძანე და მაშინვე გაიგებ ჩვენი მორჩილების შესახებ.

ქართლი, 1626 წლის 20 ნოემბერი.“

მეფე თეიმურაზ I-ის წერილი ფინდია
კონბრეზაცია დე პროკაბანდა ფიდეს
კარდინალებს (1629) ^[117]

„ღრმად პატივცემულო ბატონებო, უმაღლესნო, მეუფენო, ქომაგებო წმიდა თავშესაფრისა, სადაც იმყოფება სიყვარულითა და კაცთმოყვარეობით შეკავშირებული მართლმორწმუნეთა საზოგადოება... ღირსეული წმიდა მამები თეატინელები, რომლებიც თქვენმა ღრმად პატივცემულმა მოწყალებამ გამოგზავნა, ჯანმრთელად ჩამ-

¹ იგულისხმება ესპანეთის მეფე ფილიპე IV (1605-1665).

ოვიდნენ ამ ქვეყანაში. მაღლობელი ვართ მოწყალებისა და კაცთმოყვარეობისათვის, რაც ჩვენთან მათ გამოგზავნაში გამოიხატა.

მათი ჩამოსვლა აღინიშნა იმით, რომ მათ ვუბოძეთ ყველაფერი, რაც მათთვის აუცილებელი იყო. რაც შეეხება მათი ჩამოსვლის ძირითად მიზანს, მათ ჩვენ აღმოვუჩინეთ დახმარება და კარგად მივიღეთ. მათმა შრომამაც უკვე ნაყოფი გამოიღო, განსაკუთრებით იმ საკითხებში, რომლებიც აღნიშნულია პაპის სიგელში და რომიდან მიღებულ წერილში. მაგრამ ამის შესახებ თქვენ გაცნობებენ ზემოხსენებული წმინდა მამები თავიანთი წერილებით. თქვენი უწმინდესობა მათგან ასევე მიიღებს სხვა სასიამოვნო ცნობებს. ამასთანავე, წმინდა მამები გამოთქვამენ თავიანთ თხოვნას, რომ მოამარაგონ ისინი ყოველივე იმით, რაც მათთვის აუცილებელია, რათა ისინი ადგილზე მიღებულ იქნენ კარგად.

როცა ღირსეულ მამა დონ ჯაკომო თეატინელს, მათი მაღალი დიდებული მეუფეობის დავალებით აქ გამოგზავნილს, ყველა ამ წმიდა მამის სახელით თქვენ მაღალ დიდებულებასთან გამოგვზავნით, სიტყვიერი დაპირებითა და პატივისცემით ვავეუწყებთ, ავუხსნით და დავუდასტურებთ თქვენს მეუფებრივ უწმინდესობას, თუ როგორაა საქმეები ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენის მხრიდან გპირდებით, რომ ყველა სასულიერო და საერო პირს, განსაკუთრებით კი წმიდა მამებს, რომლებიც აქ, ჩვენს ქვეყანაში და მის პროვინციებში ჩამოვიდნენ, მაღალი და ბრწყინვალე, დიდებული სახელის მქონე ქვეყნიდან, აღმოვუჩინთ ყოველგვარ მოწყალებას და მფარველობას. მათ მიეცემათ ხელსაყრელი ადგილები, სადაც შეეძლება საცხოვრებლად დაბინავდნენ.

სხვათა შორის, რაც ამჟამად აუცილებლად სჭირდება ჩვენს ქვეყანას – ეს არის ექიმი, რომელიც ზედმიწევნით ფლობს თავის პროფესიას, ვინაიდან ჩვენს მხარეში მძვინვარებს საშიში ავადმყოფობანი.

ამიტომ გთხოვთ გამოგზავნოთ ექიმი, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაიზრდება მფარველობა და კაცთმოყვარეობა, რაც ქრისტეს რწმენაში და კანონში ჰპოულობს თავის სრულყოფილ გამოხატულებას, საპასუხო გრძნობას და დასაწყისს.

გულწრფელად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ, მოწყალეზო მეუფეზო, არავითარ შემთხვევაში არ დაივიწყებთ თქვენს მსახურს და მთხოვენელს.

დაბოლოს, გარწმუნებთ, რომ ნებისმიერ სამსახურში და ყველა საქმეში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში თქვენ დაგჭირდებათ, თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ჩვენი იმედი შეგვატყობინეთ რა ამის შესახებ, იგი უფლის წყალობით ზუსტად შესრულდება.

ეს წერილი დაიწერა ჩვენი სურვილის აღსანიშნავად ამ ქვეყანაში ქრისტეს გამოჩენიდან 1629 წლის 5 იანვარს.“

თურქი ისტორიკოსი ქათიბ ჩელიზი ხოსრო-ფაშას მიერ ბიორბი სააკაპის ვერაბულად მოკვლის შესახებ (1629 წ.)^[118]

„ხსენებულმა მოურაემა ადრე ყარჩილა-ხანი დაამარცხა და ამით ოსმალებს დიდი სამსახური გაუწია. შემდეგ ამ სამსახურზე დანდობით სარდალ ხალილ-ფაშასთან¹ მოვიდა და რჯული გამოიცვალა. მაგრამ მმართველობასა და წესრიგში გათვითცნობიერებული არ იყო, ყარამანში ზოგიერთ ავაზაკს დაუკავშირდა და მათ მიერ ჩადენილი ჩაგვრა და უწესრიგობა მას დაბრაალდა. (მოურაევი გააფრთხილეს), ხოსრო-ფაშა² სისხლის მოყვარულიაო. შეწუხდა და სხვაგან გადავიდა. მას საიდუმლოდ თვალყურს ადევნებდნენ. არ იცოდა, რომელი მხარე აერჩია. აწონ-დაწონა და მალათიისაკენ გაემართა. ზორ-ფაშა დაეწია და თავდაპირველად კაცი გაუგზავნა ბრძანებით. (მოურაემა) იცოდა, რომ ამ ბრძანებისათვის წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო იყო და დამორჩილდა. თვითონ ის, მისი შვილი და ქვეშევრდომები შეკრეს, შებოჭეს და საფარის მეთოთხმეტე დღეს (3. X) ალექოში მოიყვანეს. დიდვეზირის კარვის ფარდა აიხსნა. პირველად თვითონ

¹ ხალილ-ფაშა (ჰალილ ფაშა), ოსმალების დიდი ვეზირი. 1627 წელს იგი დაამარცხა არზრუმის ფაშამ, რის გამო გადააყენეს.

² ხოსრო ფაშა – წარმოშობით ბოსნიელი იყო. ჯერ სასახლის კარზე იმყოფებოდა, შემდეგ იანიჩართა კორპუსს მეთაურობდა. 1628-1630 წწ. ოსმალების დიდვეზირი იყო. გარდაიცვალა 1631 წ. 2 აპრილს.

შეუსვამთ ცხენზე თეთრწვერა, საშუალო ტანის, ხელებზე ბორკილ-
დადებული, ყვითელ ხალათში ჩაცმული (შემდეგ კი) მისი შვილი და
ორმოც-ორმოცდაათი მხლებელი. ყველასათვის თავები მოუკვეთიათ.
ხსენებული სარდალი სისხლის მოყვარული და დაუნდობელი იყო.
სისხლისღვრის სურვილის გამო, ცრუ ცნობით საქართველოში
გაქცევაო, მან მოაკლევინა წარსულში ასეთი დამსახურებული გმირი
მოხუცი და ამით ირანის შაჰს შური აძიებინა. ამიერიდან ისტორიაში
გასაგები ენით ჩაიწერა გაფრთხილება: „არავინ არ მიემხროს ოსმა-
ლეთსო“. ირანის შაჰს მათთვის ათასობით ახჩაც რომ მიეცა და
ქვეყნები ჩაებარებინა, ძველი ფადიშაჰები ამ საქმეზე არ დათანხმდე-
ბოდნენ და გონიერად არ ჩათვლიდნენ. ერთმა უვიცმა მოხელემ კი
მხოლოდ სისხლისღვრის წყურვილით (ასეთი) შეცოდება ჩაიდინა.“

კატოლიკე მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი დადიანის და როსტომის დამოყვრების შესახებ (1633 წ.)¹¹⁹⁾

„ამგვარად, ამ ხანმა (როსტომ მეფემ),¹ სურდა რა ცოლის
შერთვა, ყოველი გზა მოსინჯა (შეიძლება სახელმწიფოებრივი მო-
საზრებითაც), რომ დანათესაებოდა ოდიშის მთავარს დადიანს² –
დაქორწინებულიყო მის დაზე... დადიანმა და როსტომ მეფემ გადა-
წყვიტეს ორივე მხრიდან ომი გაუმართონ იმერეთის მეფეს, რათა
მერმე შუაზე გაიყონ ეს მხარე, იმ საბაბით, რომ იმერეთში გადმოხ-
ვეწილ თეიმურაზს იმერეთის მეფემ³ თავშესაფარი მისცა... ამრიგად,
ჩვენ შევიტყვეთ თუ არა, რომ ამ ქორწინების საქმეზე ქართლიდან
მომავალი გორზე გაივლიდა დადიანის ელჩი და მათთან ერთად
მოდოდა აგრეთვე სინიორ ნიკოლო, რომელიც ადრე თეიმურაზის
ელჩად იყო მის უწმინდესობა პაპთან, ვიფიქრეთ, კარგი იქნებოდა

¹ როსტომ მეფე, ხოსრო-შირვა (დაახ. 1565-1658), – დავით XI (დაუდ-ხანის) ძე.
ზრდებოდა ირანში. 1618 წელს დაინიშნა ისფაჰანის ტარულად. ქართლის მეფე 1632-1658.
ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656.

² იგულისხმება ლევან II დადიანი, სამეგრელოს მთავარი 1611-1657.

³ იმერთა მეფე – გიორგი III (1605-1639).

გვეცადა დაგვეარსებინა სხვა ახალი მისიონი ოდიშის ქვეყანაში, მით უმეტეს, რომ სინიორ ნიკოლო¹ უკანვე უნდა დაბრუნებულიყო სამეგრელოში და შეეძლო დიდი დახმარება გაეწია ჩვენთვის, რადგან ძალიან კარგად იყო მიღებული დადიანის კარზე და მის ფაეორიტად ითვლებოდა. ჩვენი მოსაზრება გაუუზიარეთ ელჩსა და სინიორ ნიკოლოს, რომლებსაც ძალიან გაუსარდათ და დაგვაიმედეს, რომ ხელს შეგვიწყობდნენ მთავრის წინაშე, რომელიც მათ კარგის თვალით უყურებდა და მისი რჩეულები იყვნენ. ამრიგად, გახარებულნი მოვემზადეთ და სინიორ ნიკოლოსთან ერთად 26 დღის მგზავრობის შემდეგ წარვსდექით ხსენებული მთავრის წინაშე.“

კათოლიკე მისიონერი დონ არქანჯელო
ლაგაბერტი ლეჰან დადიანის ოსმალეთთან
ურთიერთობის შესახებ (XVII ს-ის 40-იანი წ.)^[120]

„დადიანი საკვირველ პოლიტიკას ადგას თურქეთის მიმართ. იგი კარგად იცნობს თურქეთის მტარვალობას და აგრეთვე იცის, რამდენი სამეფო ჩაუნთქავს მის მტარვალობას, რამდენი მომიჯნავე ქვეყანა დაუპყრია. თურქეთმა რომ მისი სამთავროც არ გასრისოს, დადიანი ცდილობს მეგობრობა დაიმსახუროს თურქეთისა, მაგრამ ისე კი, რომ ამით მთავრის ღირსებას არ მოაკლდეს-რა. ასეთი მეგობრობის დასაცველად დადიანი ყოველ წელიწადს სულთანის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარჯს აძლევს. ამნაირად დადიანი თავის ნებით გახდა თურქეთის მოხარკე. ხოლო მთავრის ღირსებას ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარს ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებს.

რამდენიმე წელიწადია მას აქეთ, სულთან მურადმა,² აწინდელმა ხელმწიფემ თურქეთისამ, როცა იგი ომობდა ირანის შაჰ-სეფის წინააღმდეგ და ერევნის ქალაქს მიადგა ასაღებად, შემოუთვალა დადიანს,

¹ სინიორ ნიკოლო - ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ირუბაქიძე-ირბახი). დაახ. 1585-1658. სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე. დიპლომატი.

² ოსმალთა სულთანი მურად IV (1623-1640).

შენ ჩემი მოხარკე ხარ და რადგანაც ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია მოხვიდე და დამეხმარო. ამაზე დადიანმა უპასუხა, არასოდეს არც მე და არც ჩემს წინაპრებს ვალად არ გველოთქვენი და თქვენის წინაპრების ომში სამსახურიო და ამიტომაც არც ახლა გეახლებითო. ამასთანავე გაიხსენეთ, რომ ხარკს იმიტომ კი არ გაძლევთ, რომ პირდაპირ თქვენი ბატონობა მეცნოსო, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემს საზღვარში ჯარით არ შემოხვიდეთო. და თუ ამას იზამთ, მე მყისვე მოვისპობთ ხარკს და ადვილად შევძლებ ჩემის ჯარით დავიცვა სამთავროო.

სულთანმა არავითარი პასუხი არ გასცა დადიანს არც წერილით და არც საქმით, რადგან დარწმუნებული იყო, ერთის მხრით, რომ ეს პასუხი სამართლიანი იყო, და მეორეს მხრით, რომ დადიანის სამთავროს ისეთი მაგარი საზღვრები ჰქონდა ბუნებით, რომ მისი დაპყრობა შეუძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში სულთანი დარწმუნებული იყო, რომ კიდევ გადაეწყვიტო სამეგრელოს დაპყრობა, ამისთვის იმდენი ჯარი უნდა ვიხმარო და ხარჯი გავსწიო, რომ ამ ხარჯათ დაპყრობილი სამთავრო არ ეღირებაო. სულთანმა ისიც კი იცოდა, რომ მეგრელები არაფრად აგდებდნენ თურქების ძალას, რადგან როცა კი თურქეთის ჯარი ან ზღვით ან ხმელეთით მიადგებოდა სამეგრელოს, მეგრელები ყოველთვის მზად იყვნენ თვითონ დაეწვათ თავიანთი სახლები, აბარებულ იყვნენ თავიანთი საქონლით და ავეჯით და მთებში გახიზნულ იყვნენ. მერე იქიდან ხშირად ჩამოვიდოდნენ და, ადგილობრივი ჩვეულებისამებრ, ჩასაფრებულნი სროლას დაუწყებდნენ თურქების ჯარს, და ამ გზით ჩქარა დაამარცხებდნენ მათ. ამ საქმეში მეგრელებს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მათი ქვეყანა გაუვალაი ტყითა და ჭაობით იყო დაფარული.

მეორე პოლიტიკური ხერხი, რომელსაც ხმარობს დადიანი თურქეთის მიმართ, ის არის, რომ ცდილობს მტკიცედ დაარწმუნოს თურქები, რომ სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა დედამიწაზე მეორე არ მოიძებნება. ამისათვის, როცა თურქეთიდან ელჩები მოვლენ, დადიანი საზღვარზე თავის კაცებს დაახვედრებს, რომელთაც სამუდამოდ ნაბძანები აქვთ, გვერდი აუხვიონ კარგს პირდაპირს გზებს, მშვენიერს და კარგს ადგილებს და სანახავეებს, და გამოათარონ

ციცაბო კლდეებზე, ტალახიან გზებზე, დაბურულ ტყეებით და ცუდი ადგილებით; მდინარეებში გასვლის დროს უნდა ამოერჩიათ უფრო ღრმა ფონი, ღამით უნდა დაებინავებინათ რომლისამე ღარიბი გლეხის სახლში, სადაც ლოგინათ დაეგოთ მხოლოდ თივა და საჭმელად ემოვნათ ყველი და მწვანილი.

ელჩები ფიქრობდნენ, რომ მთავრის სასახლეში როცა მივალთ, მაშინ მაინც კარგათ მოგვასვენებენო. მაგრამ მთავარი აქაც ახირებულად დახვდებოდა: დამჯდარი ხის ქვეშ, ძველს ხალიჩაზედ; ღარიბულად ჩაცმული მიიღებდა ელჩებს. გარშემო მრავალი მხლებელი ჰყავდა, მაგრამ ყველანი ცუდად ჩაცმულნი. აქ რომ მიიღებდა ელჩებს და მოისმენდა სულთნის უსტარს, მიუჩენდა მათ მოსასვენებლად, უფრო ხშირად ერთ დიდ ფიცრულ სახლს, თითქმის უკაროს და უსახურავოს, რომელშიაც კაცი ერთს კუთხესაც ვერ იპოვიდა, რომ წვიმის დროს თავი შეეფარებინა. საჭმელად ყოველ დღეს მძირთმევედნენ თხის ხორცს, რაც შეიძლებოდა უარესს. პური საზოგადოდ ცოტაა ამ ქვეყანაში და ელჩებსაც ისე გამოზოგვით მძირთმევედნენ ხოლმე, რომ იგინი შიშშიღსაც ვერ იკლავდნენ. რაც შეეხება ღვინოს, თუმცა ელჩებს დიდი სურვილი ჰქონდათ თავისი კანონი დაევიწყნათ და წინააღმდეგ ამ კანონისა, დაეღიათ ყურძნის წვენი, მაგრამ ისეთ საძაგელს ღვინოს მძირთმევედნენ ხოლმე, რომ ძალა-უნებურად უნდა მტკიცედ დაეცვათ თავისი კანონი და წყურვილი მარტო წყლით დაეკმაყოფილებინათ.

აგრე შევიწროვებულნი და გაჭირვებულნი იყვნენ დადიანის კარზე ელჩები. ამიტომაც იგინი სწყველიდნენ იმ წამს, როდესაც მოვედით ამ დაწყველილს და ჯოჯოხეთზე უარეს ქვეყანაშიო. ყველა ამ ღონისძიებას ხმარობდა დადიანი.“

**კათოლიკე მისიონერი დონ ჯუჯუაჲე ჯუდიჩე
მილანელი ლეჲან დადიანის ოსმალეთთან
დამოკიდებულების შესახებ (40-50-იანი წწ.)** [119]

„სამეგრელოში მთავარი ინიშნება მემკვიდრეობით. იგი ყოველთვის დადიანად იწოდება, რომელიც ამავე დროს გვარიცაა. ხონთქარს ხარკის სახით ყოველწლიურად უგზავნის ქალ-ვაჟებს, მიმინოებსა

და სხვ. ამას შიშის გამო კი არ სჩადის, არამედ უფრო იმიტომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს და თავის სამთავროს უცვლელი ძველი კანონებით განაგებდეს. ორ-სამ წელიწადში ერთხელ სპარსეთის ხელმწიფის კარზე დიდ ელჩიონს გზავნის ხოლმე საჩუქრებით. ელჩიონი შედგება საპატიო და თანამდებობის პირთაგან. ამგვარად იგი მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაშია მასთან. სამაგიეროდ სპარსული თავაზიანობით საჩუქრებსა და წერილებს ღებულობს.“

ლევან II დადიანის ფერილი რომის კავ ურბან VIII-სადმი (1643 წ.) ^[12]

„დიდად პატივცემულო მამაო, ურბანო VIII! მე თქვენი პატივის მორჩილი. უკვე ათი წელი გავიდა, რაც დონ ჯუზეპე და დონ არქანჯელო¹ ჩვენთან ჩამოვიდნენ და გადმოგვცეს თქვენი საპატივცემულო წერილი. მაშინ გადავწყვიტეთ თქვენთვის გვეპასუხა და წერილი გამოგვეგზავნა შიკრიკის ხელით, მაგრამ სიძნელეებმა, რომელთა შესახებაც დონ ჯუზეპე დაწვრილებით მოგახსენებთ, არ მოგვცა საშუალება მოგვეხადა ჩვენი ვალი; აი, ამიტომ დავაგვიანეთ პასუხი აქამდე. ახლა შედარებით თავისუფლად ვსუნთქავთ. უზენაესი ღმერთის შემწეობით დავიმორჩილეთ ჩვენი მტრები, აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრები. პატრ დონ ჯუზეპეს ხელით გიძღვნით ორ ბავშვს და გთხოვთ მათ კურთხევას. ჩვენ პატივით მივიღეთ მამები, რომლებიც ინებეთ და გამოგვიგზავნეთ. მათ გადაეცით კარგი ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, მსახურები და საკმაო სურსათი. რადგან ესენი კარგი მღვდლები არიან, ჩვენ განსაკუთრებულად მოვალენი ვართ თქვენი ასეთი ადამიანების გამოგზავნისათვის. გავიგეთ რა, რომ თქვენ მართავთ მთელ ქვეყანას, როგორც მემკვიდრე წმინდა პეტრესი და უფლისა ჩვენისა ქრისტესი, გესურს იყოთ ჩვენი მმართველი და მფარველი. აქ, ჩვენს სამთავროში არ არიან შალისა და აბრეშუმის მქსოველები, რომლებიც დაამზადებდნენ ტანსაცმელს ჩვენი ქვეშევრდომებისათვის და ისინი ხშირად იძულებულნი არიან ამ ნივთების

¹ ივლისხმება კათოლიკე მისიონერების სამეგრელოში ჩასვლა 1633 წელს.

საჭიროებისათვის თურქებს მიჰყიდონ თავიანთი ყმები, რაც მიუღებელია და რომელსაც თვით ადამიანის ბუნებაც ეწინააღმდეგება.

ჩვენ გემუდარებით გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ამ ხელობის მასწავლებლები, რადგან მათი დახმარებით გადავრჩებით ამგვარ ტანჯვას. ჩვენ პირობას ვდებთ, ღმერთი იყოს ამის მოწმე, რომ მივიღებთ მათ დიდი პატივითა და ხელგაშლილობით, თავიანთი არჩევანის მიხედვით მივცემთ საცხოვრებლებს, მოსამსახურეებს, კარმიდამოს და ყველაფერს იმას, რაც კი მათ დასჭირდებათ სასურველი და წყნარი ცხოვრებისათვის. კიდევ მეტიც, მოწმედ დავიყენებთ სამებასა და ღმერთის ერთობას, რომ არ ვიქნებით მოძალენი ამ ხელოსნების მიმართ. ჩვენ დავიტოვებთ მხოლოდ იმას, ვინც თავისი ნება-სურვილით დარჩება. ვისაც შინ დაბრუნება მოუნდება, მისთვის გზა ხსნილი იქნება. დაე, ღმერთის წყალობა და მისი უსაზღვრო ღმობიერება იყოს ჩვენთან საყოველთაოდ. დაე, აღსრულდეს ასე.“

კახეთის მეფის თეიმურაზ I ჭერილი რუსეთის
მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი
(1649 წ. 13. 08) ^[122]

„...გეუწყოს ჩემო უბრწყინვალესო მეფეო... ნუ ინებებ ჩემს განწირვას, ვინაიდან ყოველი მხრიდან შემოსეულ უწმინდურ ურჯულო აგარიანთაგან აღივსო ქვეყანა ჩვენი და მათ ქრისტიანულ ქვეყნებზე გაიმარჯვეს. ამიტომ, თუ კი თქვენი უმაღლესი მეუფება ინებებს, ყველაფერი შესაძლებელია თქვენთვის, დიდებული მეფისათვის. თქვენი სამეფოს კუთვნილი თურგის ციხიდან კახეთამდე ერთი კვირის სავალია. ჩერქეზთა ქვეყნიდან იმერეთამდე ამდენივე. ახლა გიგზავნი ელჩს თავად ივანე გრიგოლის ძეს¹ და არქიმანდრიტ პახომის.² გამოვგზავნეთ მთების გზით, ვინაიდან სხვა უკეთესი გზა ვერ გამოვნახეთ. ჩემი შვილიშვილი³ მათთვისვე უნდა გამომეყოლებინა, მა-

¹ ივანე გრიგოლის ძე - XVII საუკუნის ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, 1649 წ. იმყოფებოდა თეიმურაზ I-ის ელჩად რუსეთში.

² არქიმანდრიტი პახომი - XVII საუკუნის სასულიერო მოღვაწე, დიპლომატი, 1649 წ. იმყოფებოდა თეიმურაზ I-ის ელჩად რუსეთში.

³ იგულისხმება ლუარსაბ დავითის ძე.

გრამ ყიზილბაშები შემახის გზით არ უშვებენ და ამიტომ ვერ გამოვაცხავე თქვენთან. უწყებულ იყავ დღევანდელი მეფეო, თავი ჩემი, შვილიშვილი ჩემი და მთელი ჩემი ქვეყანა შენია. კვლავაც გვედრები შენს მეუფებას... ნუ ინებებ შენი მოწყალების მოკლებას, რადგან გარდა უფლისა და შენი, დიდებულო ხელმწიფევი, სხვა ქომაგი არავინ მყავს. დაგვეხმარე მე ამოდენა ეკლესიებს და ამოდენ ქრისტიანებს. ხოლო ჩემი ელჩების დაყოვნებას ნუ ინებებ, უბრძანეთ სწრაფად დააბრუნონ, ხოლო წყალობას, რომელიც ჩვენთვის გიბოძებიათ, ჩვენამდე არ მოუღწევია. ახლაც ღმერთმა ინებოს თქვენი წყალობა, ვინაიდან უწმინდურებისაგან მეტისმეტ შევიწროვებას განვიცდი. ერთი კაციც სპარსეთის აგარიანთა მეფესთან რომ გაგზავნეთ თქვენო მეუფებავ და მიშუამდგომლეთ, მან თქვენს ბრძანებას ყური არ ათხოვა, თქვენი ბრძანება კი გახლდათ მე არ განვედევნე. ის კი წმიდა ეკლესიებში „მეჩეთებს“ მართავს, ხოლო ქრისტიანობის დაქცევა სურს. უბრძანე მეუფეო, რომ ქრისტიანული ეკლესიები არ ააოხროს. თქვენის დიდებულების წინაშე ვინ არის სპარსეთის მეფე, რომ ის თქვენს სიტყვას არაფრად აგდებს. საკმარისია შენ ოციათასი მეომარი გამომიგზავნო, ყველა აქაურ მიწებს დაეპატრონები, ქრისტიანულ ეკლესიებსაც დაიცავ, და შენს არქიერსაც დასვამ. და მთელს ამქვეყნიურ სამყაროში სახელს გაითქვამ, ხოლო მისაგებელს (სამაგიეროს) იმ ქვეყნად ღმერთისგან მიიღებ. მე კი რისი ღირსი ვარ შენი დიდებულების წინაშე, მაგრამ წარმოშობით წინასწარმეტყველი მეფის დავითის შთამომავალი ვარ. აგრეთვე ბრძანე ჩემს შვილიშვილს ლუარსაბს¹ (შენი ქალიშვილი) მიათხოვონ, გამომიგზავნე შენი დროშა, და ეუფლე (ეპატრონე) ქვეყანას. დასვი დაი შენი დედოფლად ამ მხარეში და ეუფლე მას, ისევე, როგორც თერგის მიწებს ფლობ, აქაური მიწების მფლობელიც გახდები და აქედანაც მიიღებ ხარკს. განდევნე აქედან აგარიანნი. და იდიდოს დიდებული მეფის სახელი ამ ადგილებში უკუნითი უკუნისამდე.“

¹ ლუარსაბ ბატონიშვილის მომავალი მეუღლის დასაწინდევად თეიმურაზ I-მა თავის ელჩებს საგანგებოდ სამკაულებიც კი გაატანა.

იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის წერილი
რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის კისადმი
(1649 წ. 13 აგვისტო) ^[122]

„გარდასულ ამბავთა შესახებ კადნიერებით მოვახსენებ თქვენს ხელმწიფურ მეუფებას ალექსანდრე მეფე,¹ ძე გიორგი მეფისა, რომელიც დღესაც მეფე ვარ, ჩვენის მამა-პაპათა შთამომავლობით ჩვენც მართლმადიდებელი ქრისტიანი ვართ წმიდის მოციქულის ანდრიას და წმიდა ნინოს მიერ განსწავლული მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და კურთხეულ მეფეთა რჯულსა, ვართ ზიარებულნი. გვწამს და ვაღიარებთ მამასა, ძესა და წმიდასა სულსა, სამებას ერთარსსა და განუყოფელს, და ქვეყანას ჩვენსას იმერეთი ეწოდება და სატახტო ქალაქი ჩვენი – ქუთათისია. მონასტრები და ტაძრები მრავლად გვაქვს, ძველთაგანვე მეფეთა და მიტროპოლიტთა მიერ აგებული. ეფისკოპოსებიც ბევრნი გვყვანან. სარწმუნოება ჩვენი ჭეშმარიტი და შეურყეველია. ამისთვის ახლა ჩვენც გვედრებით და თქვენს დიდებულ სამეფოს, დიდი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის წინაშე თაყვანისცემით მდაბლად თავს ვიხრით. ჩვენთვის თქვენი დიდებული მეუფება მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი, გავიგეთ რომ ქვეყნად ასეთი მართლმადიდებელი ქრისტიანი მეფე მეორე არ არის, დიდებული მხოლოდ თქვენი მეუფება არის უდიდესი ქრისტიანი მეფე. ამიტომ გვედრებით თქვენს მეუფებას, მდაბლად თავს გიკრავთ და მუსლმოყრით გვედრით წყალობა გვყო და თქვენი მეფური უდიდებულესობის მონები გაგვხადო. მე ალექსანდრე მეფე და ხელმწიფე იმერეთისა, ჩემი თავდები, ყმები ჩემი და მთელი ჩემი ქვეყანა, თქვენი უდიდებულესობის ქვეშევრდომად და მორჩილად მიგვიღო, ყველა თქვენს უდიდეს მეუფებას თაყვანს სცემს. ამიერიდან დიდებულო მეფეო, თქვენი ყმები ვართ, და მომავალშიაც ვიქნებით. ერთმა ღმერთმა და თქვენმა მეუფებამ იცის ეს.

ახლა ჩვენი ამბავი გვინდა მოგახსენოთ, დიღო მეფეო: დადიანი ჩემი მონა-მორჩილი იყო და ხარკსაც მე მიხდიდა. ახლა გადამიღგა და სტამბულის თურქთა სულთანს მიემხრო. ჯარები შეკრიბა და

¹ ალექსანდრე III – იმერეთის მეფე 1639-1660.

ორჯერ-სამჯერ თავს დამესხა. აფხაზებსა და ჯიქებს აგროვებს და ყოველ წელს ჩემს წინააღმდეგ ლაშქრობს, და ხან სამას, ხან ოთხას ქრისტიან ბავშვს თურქეთის სულთანთან ტყვეებად ჰგზავნის, ხოლო იმ ხარკს, რომელსაც მე მიხდიდა ახლა თურქეთის სულთანს უხდის. მე იმისთვის გადამიდგა, რომ ქრისტიანი მეფე ვარ, თურქს კი მიემხრო, მათი რჯული მიიღო და ერთგულება შეჰფიცა. ახლა ამ ჩვენი ქვეყნის თურქეთის სულთნისადმი დამორჩილება უნდა, მართლმადიდებლობის და ქრისტიანული ტაძრების დარბევა სურს.“

რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და ივკლევის
მიღება იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის
მიერ (1651 წ.)^[122]

„ივნისის 24 ალექსანდრე მეფემ თავისი მდივანი ფეშანგი¹ „ამირევი“ გამოგვიგზავნა და გვიბრძანა მას საელჩო საქმეებზე მოსალაპარაკებლად ვხლებოდით. ჩვენ, ელჩებმა, მეფის მდივანს ფეშანგს დავავალეთ მეფისათვის გადაეცა: მეფის (თვალების ხილვის) აუდენციის მოხარული ვიქნებოდით და მოსალაპარაკებლადაც მზად ვიქნებოდით, მხოლოდ იმ დროს, როცა ჩვენ, ელჩები, მეფე ალექსანდრესთან გამოვცხადდებოდით სხვა სახელმწიფოს მოციქული ან ელჩები არ უნდა ყოფილიყვნენ. ალექსანდრე მეფემ იგივე მისი დარბაზის მდივანი ფეშანგი გამოგვიგზავნა საპასუხო ცნობით და ცხენებიც მოგვართვა, როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი ხალხისათვის, ფეშანგი მდივანმა მეფის სიტყვებიც გადმოგვცა, რომ სხვა სახელმწიფოს ელჩები და მოციქულები არ მეყოლებათ, რაკი თქვენი ხელმწიფის ბრძანებულება ასეთი ყოფილა და როგორც ხელმწიფეს უმჯობესად მიუჩნეოდა, მეც ისე მოვიქცევიო.“

ჩვენ ცხენებზე შევეჯექით და ელჩობაზე გავემგზავრეთ, ხოლო ხელმწიფის წყალობა — ალექსანდრე მეფესთან გამოგზავნილი სამურის ბეწვეული, ორმოცეულად დავანაწილეთ და ცალ-ცალკე ჩვენს წინ წარმძღვარება ვუბრძანეთ.

¹ მდივანი ფეშანგი — ალექსანდრე III-ის დროს სამეფო კარის მდივანი.

მოედანთან რომ მივედით, ეს მოედანი სუფთა სწორი ადგილია, აქ ტილოს მრავალი კარები იყო გამართული. კარების წინ შემგებებელნი იდგნენ: მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და წმიდა მთის გოლგოთის მონასტრის იღუმენი ნიკიფორე ბერძენი. მიტროპოლიტმა გვაკურთხა და ჯანმრთელობით მოგვიკითხა: „ღვითთ კარგად იმგზავრეთ თუ არაო“. ჩვენ, ელჩებმა, ვუპასუხეთ: ღვთის წყალობით და დიდი ხელმწიფისა და მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის-ძის მოწყალებით აქამდე, ღმერთმა მოგცეთ, ჯანსაღად ვართ. ჩვენც, ელჩებმა, საპასუხოდ ზაქარია მიტროპოლიტი მოვიკითხეთ: „ზაქარია მიტროპოლიტო, როგორ გწყალობთ და გიფარავს ღმერთი თქვენს წმინდა ლოცვასა და ვედრებაში“. ამის შემდეგ მეფე ალექსანდრესთან გავემართეთ კარავში. როგორც კი მეფესთან წარვსადაექით ჯერ ხატის წინაშე ლოცვა წარმოვთქვი, შემდეგ მე ელჩმა (ტოლოჩანოვმა) სიტყვა დავიწყე: სამპიროვან ღვთის წყალობით დიდმა ხელმწიფემ და მეფემ, დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის-ძემ სრულიად რუსეთისამ (სრული ტიტულაცია) ბრძანა შენ ქედის მოხრით მოგესალმეთ. ალექსანდრე მეფემაც თავის მხრივ სრულიად რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე ჯანსაღობით მოიკითხა.

ნიკიფორემ ამაზე ვუპასუხე: როცა ჩვენ დიდი ხელმწიფისაგან, მის მეფობის უდიდებულესობისაგან, წამოვედით, ღვთის წყალობით თავის დიდ და სახელოვან „სახელმწიფოებში“ ჯანსაღად და კარგად ბრძანდებოდა. ამის შემდეგ ხელმწიფის წერილი მივართვი მეფე ალექსანდრეს და წარმოვსთქვი: დიდმა ხელმწიფემ... ალექსი მიხეილის-ძემ... გამოგიგზავნა შენ ალექსანდრე მეფეს თავისი მეფური უდიდებულესობის წერილი. ალექსანდრე მეფემ წერილი მიიღო, ემთხვია და თავზე დაიდო იგი.

მე ნიკიფორემ განვაგრძე: წყალობითა ღვთისათა დიდმა ხელმწიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მიხეილის ძემ სრულიად რუსეთისამ... ბრძანა მოგახსენოთ შენ ალექსანდრე მეფეს: გასულ 157 წელს (1650 წ.) მის მეფურ უდიდებულესობას გამოუგზავნეთ თქვენ თქვენი ელჩები ბასილ იღუმენი და დავით მორჩილი, წერილით. ჩვენ დიდმა ხელმწიფემ თქვენი ელჩები შევიწყალეთ, ვუბრძანეთ ჩემთან გამოცხადებულებიყვნენ და ჩემი ხელმწიფური თვალეხი ეხი-

ლათ, თქვენი წერილის მიღებაც ვბრძანე და მათ მოწყალებით მო-
ვუსმინე. ხოლო თქვენ წერილში, თქვენ ალექსანდრე მეფეო, ჩვენ,
დიდ ხელმწიფეს, გვწერდით, რომ თქვენ თქვენი მამა-პაპის, მართლ-
მადიდებელ ქრისტიან მეფეების მემკვიდრეობით ხართ მეფედ. ძველი
მეფეების მიერ აგებული მონასტრები და საყდრები გაქვთ, მიტროპ-
ოლიტები და ეპისკოპოსებიც გყოლიათ, სარწმუნოებაც შეურყვნელად
დაგიცავთ დღემდე. გვთხოვთ აგრეთვე, რომ ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ,
შეგიწყალოთ და არ დაგტოვოთ ჩვენი მფარველი ხელის გარეშე.
იმასაც გვწერთ, რომ თქვენ სხვა, ქრისტიანული სარწმუნოების მეფე
არა გყავთ, მფარველი, გარდა ჩვენი მეფური უდიდებულესობისა. და
იმავე თქვენს წერილში გვწერდით, ჩვენ დიდ ხელმწიფეს თქვენ
ალექსანდრე მეფეო, თუ რა შევიწროებას და დევნას განიცდით
მტრებისაგან თქვენ სახელმწიფოში და ჩვენ გვთხოვდით რათა შეგი-
წყალოთ, დახმარება აღმოგიჩინოთ, ურწმუნოებმა არ დაგჩაგრონ და
ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება და ეკლესიები და წმიდა
მონასტრები არ დაიქცეს და გაიძარცვოს. გვთხოვდით აგრეთვე,
რათა ჩვენ, დიდ ხელმწიფეს, თქვენთან ჩვენი ელჩი გამოგვეზავნა
თქვენი ადგილების დასათვალიერებლად.

სიტყვა წარმოთქვა ალექსანდრე მეფემ: ღმერთმა სამაგიერო გადა-
უხადოს დიდ ხელმწიფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს,
სრულიად რუსეთისას, რომ მან, დიდმა ხელმწიფემ, მე მონა თვისი
შემიწყალა, თავისი მეფური მაღალი ხელის ქვეშ მიმიღო და ხელმ-
წიფემ, ჩემთან თავისი ელჩები გამოგზავნა (ამიერიდან) თავისი მამა-
პაპეულის, ე. ი. ჩემი სახელმწიფოს და წმიდა ადგილების დასათვა-
ლიერებლად. მე მოხარული ვარ მთელი ჩემი ქვეყნით თავი დავესდო
ხელმწიფისათვის. თქვა ეს მეფემ და დაჯდა თავის ადგილზე. ამის
შემდეგ ალექსი მდივანმა წარმოსთქვა სიტყვა. მეფე წამოდგა.

და ჩვენ დიდმა ხელმწიფემ, მოვისმინეთ თქვენი და თქვენი სახ-
ელმწიფოს მტრების მიერ შევიწროების შესახებ ცნობა, არა მცირედ
შევწუხდით და თქვენი და მთელი იმერეთის ქვეყნის დაცვა გვსურს
ყოველგვარი ღონისძიებებით და ქრისტეს სიყვარულისათვის და ქრისტეს
სარწმუნოებისათვის, ჩვენი ხელმწიფური მაღალი ხელისაგან არ
მოგიცილებთ და ჩვენს თვალყურის დევნების ქვეშ გვეყოლები, რომ

მართლმადიდებლური სარწმუნოება ურწმონობისაგან შეგინებულ არ იქნეს. და თქვენი ელჩები შევიწყალეთ ჩვენი მეფური წყალობით, და მათთან ერთად გამოვამგზავრეთ, თქვენი წერილისა და თხოვნის თანახმად, ჩვენი ელჩებიც, ნიკიფორე მათეს ძე ტოლოჩანოვი და მღივანი ალექსი იევლევი. ხოლო თუ როგორი წესით და კანონით უნდა იქნეთ თქვენ ჩვენ მოწყალებითი თვალყურის დევნებისა და ბრძანების ქვეშ, ამის შესახებ ჩვენ, დიდმა ხელმწიფემ, ჩვენს ელჩებს დავავალეთ მოგელაპარაკონ და თქვენი სახელმწიფოს მიწაწყლის დათვალიერებაც ვუბრძანეთ. ხოლო თქვენ მათ ენდეთ. მათთან, ჩვენ ელჩებთან ერთად, ჩვენი ხელმწიფური წყალობა გამოვგზავნეთ — სამოცდაცხრამეტი ორმოცეული კარგი (ხარისხის) სიასამურის ბეწვეული. ხოლო თქვენ ამ ხელმწიფურ წყალობას ჩვენი ელჩებისაგან სიხარულით მიიღებდით. ხოლო იხილავთ რა ჩვენს მეფურ უდიდებულესობის თქვენადმი ამ მოწყალებას, თქვენი წესით და კანონით, რაზედაც თქვენ და თქვენი მახლობელი კარისკაცები ელჩების წინაშე პირობას დადებთ, ამაზე მტკიცედ და უცვლელად უნდა იდგეთ სიკვდილამდე. და იყავით ჩვენს მეფურ უდიდებულესობისა და ჩვენი ხელმწიფობის შეილების, რომელთაც ღმერთი მომავალში მოგცემს, მაღალი ხელის ქვეშ მთელი შენი იმერეთის ქვეყნით სამუდამოდ, მოუცილებლად და ჩვენ, დიდ ხელმწიფეს და ჩვენს შეილებს, გვემსახურებოდეთ და იღვწოდეთ ყველაფერზე მის სასიკეთოდ, როგორც პირობა მოგიციათ, ყოველგვარ თვალმაქცობის გარეშე, თქვენი ფიცისამებრ და სხვა არც ერთ ხელმწიფეს არ მიეკედლოთ და ჩვენი მეფური უდიდებულესობის ელჩებს გამოისტუმრებდეთ ჩვენთან დიდ ხელმწიფესთან დაუყოვნებლად. ამის შემდეგ დავიწყეთ ხელმწიფის წყალობის, სიასამურის ბეწვეულის, გადაცემა, ხოლო მას, ალექსანდრე მეფეს, ძალიან გაეხარდა ხელმწიფის წყალობა. და როცა ჩაიბარა ხელმწიფის წყალობა, დაბალი თაყვანისცემით მადლობა თქვა ხელმწიფის წყალობაზე. და ყველას, ეკლესიის წარმომადგენლებს, თავადებს და აზნაურებს, გაუხარდა ხელმწიფის წყალობის მიღება.

როდესაც ალექსანდრე მეფემ ხელმწიფის წყალობა მიიღო და სიტყვები მოისმინა, მოუხმო ელჩებს ხელზე სამთხვევად და წარ-

მოსთქვა: მე მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნით სამუდამო ყმა ვარ მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სრულიად რუსეთის ხელმწიფის, რის შესახებაც მე ელჩები გავგზავნე სათხოვნელად და თაყვანის საცემლად... ხელმწიფის წინაშე და რაც თქვენ დაგავალათ დიდმა ხელმწიფემ და თქვენ წარმოთქმულ სიტყვებში ყველაფერი განმიცხადეთ, ყველაფერზე მე ალექსანდრე მეფე თანახმა ვარ და ხელმწიფის ნებას ვასრულებ. ხელმწიფის წყალობის გადაცემის შემდეგ ელჩებმა ჩვენი მხრით მივართვით საჩუქრები მეფეს.

და როცა ჩვენი, ელჩების, საჩუქრებიც მიიღო ალექსანდრე მეფემ სიტყვა წარმოსთქვა: მადლობა მომიხსენებია თქვენი სიკეთისათვის. რამდენს ითმენდით ამ გაჭირვებით გადმოსასვლელ გზაზე და ახლა კიდევ თავს იზარალებთ. მე უნდა დამესაჩუქრებინეთ და თქვენ კი აქეთ ჩემთან მოგაქვთ (საჩუქრები).

ელჩები ალექსანდრე მეფესთან დღის ცხრა საათზე ვიყავით. მოედანი შემოფარგლული იყო, სადაც კარვები, ტახტრევენები და საჩრდილობლები იყო გამართული. და როცა ჩვენ ამ მოედანთან მივალწიეთ და ცხენებიდან ჩამოვედით, შემოგვეგებნენ სასულიერო ხელისუფალნი, გელათის მიტროპოლიტი ზაქარია, ალექსანდრე მეფის სულიერი მამა, და გოლგოთის წმიდა მთის ილუმენი ნიკიფორე. როცა მეფის წინაშე წარვდექით იგი ხალიჩაზე ფეხმორთხმული იჯდა, მას ხალიჩაზე დაფენილი ჰქონდა ფეხქვეშ გასაშლელი, ხოლო უკან, ზურგის მხარეს, ხავერდზე მოქარგული ბალიში იყო, ბალიშზე ზემოთ თეთრ ფონზე მოქარგული საჩრდილობელი. ალექსანდრე მეფეს თავზე კოშკური კუთხედებიანი გვირგვინი ედგა მარგალიტით და თვლებით გაწყობილი. გვირგვინს შუაზე ოქროს ჯვარი ჰქონდა აღმასებით, იავუნდით და ზურმუხტებით შემკული. ხელში მოოქრული და თვლებით გაწყობილი კვერთხი ეპყრა, ხოლო სფეროზე წმ. სახე იყო ამოჭრილი. ტანთ სიასამურის ქათიბი ეცვა ოქრომკედით ხავერდზე გაწყობილი და ფარჩის კაბა ოქრომკედით მოქარგული, ქათიბს გარშემო ოქროს ბაფთა ჰქონდა შემოვლებული. მეფის ზემოთ ხატები იდგა დასაკეც სახატეში („კუბოში“) ჩამჯდარი. მარჯვენა მხარეს მეფის მახლობლად საუფლო კვერთხის მსგავსი იყო მიყუდებული. კვერთხის ზემოთ წმიდა ნაწილებით პატარა „სიონი“ (კი-

დობანი) იყო, „სიონს“ ზემოთ დიდი ოქროს ჯვარი იყო ძვირფასი თვლებით. მარცხენა მხარეს ისეთივე კვერთხი და „სიონი“ წმ. ნაწილებით, ზემოთ ისეთივე ჯვარი. „სიონის“ გვერდებზე (ფენგებზე) ტახტზე მსხდომი მაცხოვარი, იოანე ნათლისმცემლით და მთავარანგელოზებით იყო გამოსახული, ხოლო მეფის პირდაპირ ბოძთან ისეთივე კვერთხი და „სიონი“ იყო წმ. ნაწილებით, ზემოთ ისეთივე ჯვარი, „სიონზემოთ“ ხატია მინანქრით მოხატული ვერცხლის სახატით, მარჯვენა მხარეს მიტროპოლიტი იჯდა, იგი პატრიარქათ მიაჩნდათ, მათ ენაზე კათალიკოსი ეწოდება. კათალიკოსის შემდეგ მიტროპოლიტი ზაქარია იჯდა, ზაქარიას იქეთ დავით არქიეპისკოპოსი, დავითის შემდეგ არქიეპისკოპოსი სიმონი, სულ ისინი ცხრა კაცი იჯდა აქ. ამ სასულიერო პირების შემდეგ მეფის თავადები, დარბაზის ერნი და ოცდორი აზნაური. მეფის მარცხენა მხრით წმ. მთის გოლგოთის მონასტრის წინამძღვარი (ილუმენი) ნიკიფორე იჯდა, ხოლო ილუმენის მახლობლად ჩვენ ვიჯექით ელჩები, ელჩების შემდეგ მეფის თავადები და დარბაზისერნი და აზნაურები სულ ორმოცდათერთმეტი კაცი. ამათ შემდეგ კი მეთოფურთა მეთაურები – ასეულის მეთაურები და სხვადასხვა ხალხი.

როცა ელჩობის ცერემონიალს მოვრჩით, კარვებიდან გამოვედით, მაგრამ ბინაზე არ გაგვიშვა, ერთ შემადლებულ ადგილზე საჩრდილობელში გაგვეზავნა, გვიბრძანა ცოტა დაგვეცადა იქ და მაშინვე სუფრაზე მიწვევა გვაუწყა. აქედან წაგვიყვანეს ასე ოცი საფენის დაცილებით. აქ მდინარეზე მისი საყდარი დგას, აქვე ქვისგან გაკეთებული მრგვალი მოყვანილობის ფანჩატურია, რომელიც ხის ბოძებზეა დამაგრებული კარავით არის გადახურული, იმ ამალლებულ ადგილს უსწორდება თითქმის. ფანჩატური მთლიანად ნოხებით იყო მოფენილი. აქ ჩვენ საათნახევარი ვიჯექით და ტანსაცმელიც აქვე გამოვიცვალეთ. სუფრაზე მოსაწვევად აზნაურები და სასულიერო პირები გამოგვიგზავნა მეფემ და, როდესაც მეფის წინაშე წარვსდექით, თვით მეფემ მიგვითითა დასაჯდომ ადგილზე. მაგიდის ნაცვლად მერხული იდგა მეორე ასეთივე მერხული დასაჯდომათ იყო დადგმული, რომელზედაც ნარმის ფლასი იყო გადაფარებული. იწყეს სუფრის გამლა და პურის ნაცვლად თხლად გამომცხვარი ლავაშები „ხმიალები“ დააწ-

ყვეს სუფრაზე. ამის შემდეგ ნიკიფორე მთაწმინდელი იღუმენი წამოღა და „მამაო ჩვენო“ წარმოსთქვა, ხოლო მიტროპოლიტმა, პატრიარქის ნაცვლად რომ არის, ჯვრის გარდასახვით აკურთხა სუფრა. როცა იღუმენი „მამაო ჩვენოს“ ამბობდა, ალექსანდრე მეფე უქულოდ იჯდა. როცა საჭმელების გამოტანა და სუფრაზე დალაგება დაიწყო, ალექსანდრე მეფემ გვირგვინი მოიხადა და იქვე მოიტანეს ვერცხლის დაბალფეხებიანი შავი ხავერდით გაწყობილი გვირგვინის დასადგამი, ხავერდს ოქრო ჰქონდა გარს შემოვლებული და ამაზე დადგეს გვირგვინი, იქვე სკიპტრაც დადეს მეფის წინ. ალექსანდრე მეფეს შავი ხავერდის ქული მოუტანეს, რომელიც მარგალიტით და ძვირფასი ქვებით იყო ჯვარედინად გაწყობილი. მეფე იმავე ადგილას იჯდა, სადაც ელჩობის დროს ვნახეთ. ხოლო მეფე ყიზილბაშურად უმაგიდოდ მიირთმევდა. მის წინაშე მერიქიფენი მუხლებზე იდგნენ. საჭმელებს მეფეს, სასულიერო პირებს, ელჩებს და აზნაურებს სუფრაჯები მიართმევდნენ, ეს უკანასკნელი თურქულ ოქროს და ვერცხლის ფერად მოსირმულ ჩოხებში, ხავერდისა და ატლასის ტანსაცმელებში იყვნენ გამოწყობილნი. აზნაურებიც ასეთსავე ტანსაცმელებში გამოწყობილნი ისხდნენ. პირველი სასმისით ალექსანდრე მეფემ, პატრიარქმა, სასულიერო პირებმა და სხვებმა მეფის, ხელმწიფის და დიდი მთავრის, ალექსი მიხეილის ძის სადღეგრძელო დალიეს. თვით ალექსანდრე მეფემ სიტყვაც წარმოსთქვა დიდის მორიდებით და პატივისცემით. ალექსანდრე მეფემ ყველას, სასულიერო პირებს, ჩვენ ელჩებს და აზნაურებს საკუთარი ხელით შემოგვთავაზა სასმისი ხელმწიფის სადღეგრძელოს მისაღებად და შემდეგ ბრძანა დავმჯდარიყავით. ხოლო, როცა ცოტა დრო გავიდა მეორეჯერ შეავსეს თასები, ელჩი ნიკიფორე ტოლჩანოვი და მდივანი ალექსი იეველევი წამოვდექით მივედით ალექსანდრე მეფესთან და მისი სადღეგრძელო შევსვით მეფეს ეს ძალიან სასიამოვნოდ დარჩა. ამის შემდეგ, ალექსანდრე მეფემ, თავის მხრით ელჩებს, საჭმელები გამოგვიგზავნა. ყველას სხვადასხვა კერძებს გვიგზავნიდა. კერძებს ოქროსა და ვერცხლის სინებზე აწყობდნენ, სასმელს კი ოქროსა და ვერცხლის თასებით გვაწოდებდნენ. სასმელი მარნებიდან გამოჰქონდათ და ვერცხლისა და ოქროს მაღალყელიანი ჭურჭლებით. ხოლო, როცა ჭამა

მთავრდებოდა ბერძნების ბერებმა გალობა წამოიწყეს ბერძნულად. ამის შემდეგ ხილულულობა მოიტანეს, ჯერ მეფეს მორთვეს, შემდეგ სასულიერო პირებს, ელჩებს ნიკიფორეს და ალექსის შემდეგ აზნაურებს. ხილი ყოველგვარი იყო კიტრი, სხვადასხვა ჯიშის მსხალი, ქლიავი, კაკალი, ბალის კაკალი დიდი რუსული, სუფრა დამთავრდა ღამის ორ საათზე. და როდესაც აედექით ნიკიფორე ტოლოჩანოვმა და მდივანმა ალექსი იეველევმა მეფეს უმდაბლესად ვთხოვეთ, წყალობა ენებებინა და ბინაზე ჩვენი წასვლა ებრძანებინა, რათა დილით ავმდგარიყავით და ხელმწიფის საქმეს შევდგომოდით. ალექსანდრე მეფემ ჩვენი წასვლა ბრძანა და ცხენების შესახებაც განკარგულება გასცა. და როდესაც ალექსანდრე მეფისგან წავედით ელჩებს ბინამდე სანათურებითა და ჭრაქებით წინ მიგვიძღოდნენ, ხოლო მოგვაცვილებდნენ მეფის მახლობელი პირები. მეფესთანაც რომ ვიყავით დაღამებამდე საათით ადრე, თაფლის დიდი სანთლები ანთეს ვერცხლის შანდლებზე და მეფის წინაშე დადგეს, ასევე ანთებულ სანთლებით შანდლები დადგეს სასულიერო პირების, ელჩებისა და აზნაურების წინაშე, ხოლო იმ მაგიდასთან, რომელზედაც სამზარეულოდან გამოტანილ საჭმელებს აწყობენ, რკინის შანდლებზე ანთეს სანთლები. როდესაც ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მივდიოდით ელჩობაზე, იმ დროს სამასამდე მეციხოვნე იდგა და ისროდა. როდესაც თოფებიდან გაისროლეს შემდეგ ორივე ციხის ზარბაზნებიდან დაიწყეს სროლა, ზედა და ქვედა ქუთაისიდან. ოცდაათი ზარბაზნიდან ისროდნენ, როდესაც ელჩები ალექსანდრესთან მივდიოდით ორივე მხრით ბედაურებზე ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი აზნაურები ბურთით თამაშობდნენ. ასევე, როცა ალექსანდრე სუფრასთან იჯდა მოედანი გაათავისუფლეს და აზნაურები, სანამ სუფრა გრძელდებოდა ბურთებით თამაშობდნენ. სუფრის შემდეგ აზნაურებმა ბინამდე მიგვაცილეს და, როცა მივედით ალექსანდრე მეფეს თავის სუფრიდან კერძები, სასმელი და საჭმელი გამოეგზავნა ჩვენთვის.“

რუსი ელჩების - ტოლოჩანოვისა და ივვლევის
ელჩობა. ალექსანდრე III-ის დაფიცება რუსეთის
მეფის ერთგულებაზე (1651 წ.)^[122]

„ოქტომბრის 8, ჩვენ ალექსანდრე მეფესთან მთარგმნელი ივანე ბოიარჩიკოვი¹ და თარჯიმნები გავგზავნეთ, რათა მას ფიცის წიგნები გაეფორმებინა და ჩვენ ელჩები კიდევ არ გავეჩერებინეთ და მის უდიდებულესობასთან გავესტუმრებინეთ. ალექსანდრე მეფემ ფეშანგი გამოგზავნა და უბრძანა ჩვენთვის ეთქვა, მალე მე მოედანზე ვიქნებიო, ფიცის წიგნსაც გავაფორმებ და ჩემს ელჩებსაც მათ ხელზე ჩავაბარებო, და მათი თანდასწრებით ვუბრძანებ, რაზედაც ჩემმა ელჩებმა დიდ ხელმწიფეს უნდა შეევედრონო.

იმავე რიცხვში, ნაშუადღევს, მეფე ალექსანდრე მოვიდა მოედანზე, მას თან მისი სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი სხვა სამღვდელთა მრავალი მოყვა. ჩვენც, ელჩები, მიგვიწვია ამაღლებულ ადგილთან, მივედით თავი დაუკარიო, მან ჯანმრთელობით მოგვიკითხა. მეფე იდგა ამაღლებულ ადგილთან ახლოს და სიტყვა წარმოთქვა: ელჩებო თქვენ ღვთის წყალობით კარგად გაემგზავრებით ჩემგან მის უდიდებულესობასთან, მე ყველაფერი შევასრულე მისი უდიდებულესობისათვის, მე მას ხელმწიფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას სამუდამოდ ვეყმე, ჩემი შვილით ბაგრატიო, ჩემი ძმით მამუკათი, მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნით და მოხარული ვარ ხელმწიფისათვის თავი დავდო. ჩვენ ხელმწიფეს მიეც უფალო მრავალი წლის სიცოცხლეო. თქვენთან ერთად ჩემს ელჩებსაც ვგზავნიო, ჩემს თავადს და მოლარეთუხუცესს ლომკაც ჯაფარიძეს და არტიმონ არქიმანდრიტსო, ესენი იმერეთში ჩემი ყველაზე უპატიოსნესი ხალხია და თქვენ ისინი მის უდიდებულესობასთან, მეფესთან, მიიყვანეთ ჯანსაღად, გზაზე შეიბრალეთ და გაუფრთხილდით. ფიცის წიგნებს ჩემს ბეჭედს ხვალ დილით დავასვამო, ზემო ქუთაისში საკრებულო ტაძარშიო. დიდხანს ფიცის წიგნს ბეჭედს იმიტომ ვერ ვასვამდი, რომ მე ახალი ბეჭედი გავა-

¹ ივანე ბოიარჩიკოვი - ტოლჩანოვისა და იველიევის ელჩობის წევრი. ბერძნული ენიდან მთარგმნელი.

კეთებინე, მისი უდიდებულესობის ხელმწიფის სახელზეო, ბეჭედზე კი ამოჭრილიაო (ასეთი წარწერა): „მე იმერეთის მეფე ალექსანდრე, ჩემი შვილით ბაგრატით და ჩემი ძმით მამუკათი სამუდამო ყმა ვარ, ხელმწიფის და მეფის, დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის სრულიად რუსეთისა“-ო. მანვე ალექსანდრე მეფემ გვითხრა, რომ ხელმწიფემ და მეფემ, ალექსი მიხეილის ძემ თავის ახალ მამულს, იმერეთის ქვეყანას მოხედოსო, ხოლო მე მისი ყმა, ალექსანდრე მეფე, მტრებისაგან, დადიანის ხანისაგან, გამათავისუფლოსო. ხელმწიფემ თავის მამულში, იმერეთის ქვეყანაში, ზარბაზნების გამოგზავნა ინებოსო. და თუ ხელმწიფე ზარბაზნების გამოგზავნას არ ინებებს, მაშინ იქნებ ზარბაზნების მკეთებელი ოსტატი გამომიგზავნოს თავის ხელსაწყოთიო. ხოლო დონიდან ხელმწიფემ იქნებ შავი ზღვით თავისი ხალხის, კახაკების, გამოგზავნა ინებოს, რითაც მე, მისი ყმის მტრებთან გამკლავება შევიძლო და მის ხელმწიფურ სახელს წარმატება შევიძინო, ხოლო „ხელმწიფის მამული იმერეთის ქვეყანა“, გავაფართოვო და აქ ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოება შეგინებული არ იქნესო. მე ხელმწიფის ყმამ იმისთვის ვირჩიე აღმოსავლეთის, ახალი რომის დიდი ხელმწიფე და მთელი ჩემი იმერეთის ქვეყნის უზენაეს ხელმწიფედ ვაღიარე იგი, რომ ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება გავმართოო. შემდეგ ხელი მოჰკიდა თავის ელჩებს და ჩვენ, ჩაგვაბარა და გვითხრა, თქვენ ელჩებო თუკი ჩემი (ალექსანდრე მეფის) დიდი ხელმწიფისადმი სამუდამო ყმობაში დაქვემდებარება მოახერხეთ, ასევე ჩემი ელჩების დიდი ხელმწიფის წინაშე წარდგენასაც შეძლებთო.

ოქტომბრის 9, შუაღლეს, ალექსანდრე მეფემ ჩვენთან, ელჩებთან, თავისი სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და ფეშანგ მდივანი გამოგზავნა და ხელმწიფის ხალხისათვის და ყველასათვის, ცხენები გამოგზავნა და გვიბრძანა მასთან, ზემოთ, დიდ ქუთაისში საკრებულო ტაძარში მივსულიყავით, ფიცის წიგნებზე ბეჭდის დასასმელად და იმერეთის სასულიერო ხელისუფალთ, თავადებსა და აზნაურებს მეფემ ხელის მოწერა უბრძანა. სულიერმა მოძღვარმა და ფეშანგმა ჩვენ გვითხრა, რომ ვინც არ მოსულან ჯერ და გზაში არიან, ეპისკოპოსი იქნება თუ თავადი ან აზნაური მეფემ ყველას

საგანგებოდ კაცი გაუგზავნა წერილით, რომელშიაც წერდა: როგორც კი თქვენთან ელჩები მოვლენო, მათ წინაშე ფიცის წიგნებს ხელი მოაწერონო. მცირე ხნის შემდეგ, ჩვენ, ელჩები, ალექსანდრე მეფესთან წავედით ზემო ქუთაისში და, როცა ჩვენ ქუთაისში მივედით საკრებულო ტაძარში გაგვგზავნეს. ხოლო სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი და ფეშანგ მდივანი ამ დროს ალექსანდრე მეფესთან წავიდნენ ამბის შესატყობინებლად, რომ ჩვენ იქ ვიყავით და ტაძარში ველოდებოდით მას. (როცა მეფე მობრძანდა) ჩვენ მაშინვე ტაძრიდან გამოვედით, შევეგებეთ და თავი დავეუკარიტ, მეფემ ჯანსალობით მოგვიკითხა და საკრებულო ტაძარში შევიდა, ილოცა და შემდეგ ჩარდახზე ავიდა, ჩვენი ელჩები და მთარგმნელი თან წაგვიყვანა, ცოტა გვერდზე მიდგა და ცალკე გველაპარაკა: ახლაო, გვითხრა, თეიმურაზ მეფე თქვენ მის უდიდებულესობასთან შეილიშვილს არ გატანთო. მე რომ ჩემი შვილი ბაგრატი და ჩემი ძმა მამუკა აქ მყავდეს, ორივეს მის უდიდებულესობასთან გავუშვებდი და რომელსაც თავისთან დატოვებას ინებებდა ეს მისი ნება იქნებოდაო. ხელმწიფე თუ ინებებდა „ვოეოდას“ და თავის (ერისთავს) ქუთაისში გამოგზავნიდა, ესეთს რომელსაც იგი ენდობოდა, და თავის მამულს, ე. ი. იმერეთის ქვეყანას, ჩააბარებდა, მაშინ თვით მე, ალექსანდრე მეფე ვეახლებოდი დიდ ხელმწიფეს, დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს და ვინახულებდით, ჩემს თავს ხელმწიფეს მიუძღვნიდი და მის კალთას ხელს ჩაკვიდებდით. ამის შემდეგ ბეჭედი მოიტანეს და ალექსანდრე მეფემ ორივე ფიცის წიგნზე თავის თვალწინ ბეჭდის დასმა ბრძანა. როცა ბეჭედი დასვეს, აიღო ორივე წიგნი, ემთხვია დასმულ ბეჭედს, თავზე დაიდო და წარმოსთქვა: ღმერთო მიეც ჩვენს მეფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად რუსეთისას, ხანგრძლივი სიცოცხლე მრავალჟამიერ, მე კი ხელმწიფის მოუცილებელი მისი სამუდამო ყმა ვარ, ჩემი შვილით ბაგრატით და ძმით მამუკათი,¹ მთელი იმერეთის ქვეყნით, მონარული ვიქნები ხელმწიფისათვის საკუთარი თავი დავდო, სადაც არ უნდა ინებოს ხელმწიფემ ჩემი გაგზავნაო. ხოლო მე, მისი ყმა და ხელმწიფის მამული, ე. ი. იმერეთის ქვეყანა, მტრისაგან დაგვიცვას,

¹ მამუკა გიორგის ძე, ალექსანდრე III-ის ძმა. 1647წ. ტყვედ ჩაუვარდა ლევან II დადიანს. 1652 წელს ლევან II-ის ბრძანებით თვალები დათხარეს. გარდაიცვალა 1654 წ.

თავისი სახელი და მეფობა აქაურ მხარეში ადიდოს, ხოლო ჭეშმარი-
ტი მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სარწმუნოება თავის მამულში,
იმერეთის ქვეყანაში, განმართოს, რომელიც შელახულიაო. მეფის შემ-
დეგ მისმა სულიერმა მოძღვარმა ზაქარია მიტროპოლიტმა და სხვა
სასულიერო პირებმა, თავადებმა და აზნაურებმა ფიცის წიგნებს ხელი
მოაწერეს. (მეფემ ამის შემდეგ) სთქვა: შემინყალოს ხელმწიფემ თავი-
სი ყმა და ინბოს ჩემთვის შევარდენის გამოგზავნა, ისე როგორც
თეიმურაზ მეფეს უგზავნიდაო. ამის შემდეგ ალექსანდრე მეფემ ნება
მოგვცა ჩვენ მას ხელზედ ვმოხვეოდით და ვემთხვიეთ კიდევ. მეფემ
გზა დაგვილოცა, ბედნიერი გზავრობა გვისურვა, მცირე ქუთაისში
ღამის გათევა და დილით ადრე გამგზავრება გვირჩია.“

1651 წ. თეიმურაზ I-ის ელჩობა ლეკან II
დადიანთან^[122]

„სექტემბრის 2-ს სადადიანოდან ქალაქ ქუთაისში მეფე თეიმუ-
რაზი, მეფე ალექსანდრეს მოძღვარი მიტროპოლიტი ზაქარია და
მისი დარბაზის მდივანი ფეშანგი ჩამოვიდნენ. მეფე თეიმურაზი და
მიტროპოლიტი ზაქარია სადადიანოში შესარიგებლად იყვნენ წასუ-
ლი. მაგრამ თეიმურაზ მეფემ მეფე ალექსანდრე სადადიანოს მთავარს
ვერ შეარიგა, ვინაიდან მთავარს მეფე თეიმურაზისაგან მისი შვილიშ-
ვილი მოუთხოვია (მძევლად), ხოლო მეფე ალექსანდრეს ქვეშევრ-
დომთაგან ოცდაათი რჩეული კაცის მათის მამულებით თავის სამთავროს
საზღვრებში ქვეშევრდომად გადაცემა მოუთხოვია. თუ ამ პირობას
ამისრულებთ მეფე ალექსანდრეს და შენ, თეიმურაზ მეფეს სამუდამ-
ოდ შეგირიგდებითო. მეფე ალექსანდრეს ასეთ პირობაზე უარი გა-
ნუცხადებია და არც რჩეული კაცები და არც მიწები არ მიუცია.
არც თეიმურაზ მეფემ მისცა თითქოს სადადიანოს მთავარს თავისი
შვილიშვილი. უცხოელები კი ლაპარაკობენ რომ თითქოს მეფე თე-
იმურაზს მთავრისათვის თავისი შვილიშვილი კიდევაც შეუძლევია,
მაგრამ მას არ აუყვანია, რადგანაც სადადიანოს მეფეს ლევანს
შეუტყვია, რომ მეფე ალექსანდრეს დიდ ხელმწიფისათვის (რუსეთი-
სათვის) სამუდამო ყმობა და ერთგულება შეუფიცავსო.“

„18 (სექტემბერს), სანოვაგის გამოგზავნის გამო მადლობის გადასახდელად, არსენიმ კათალიკოსი¹ ინახულა. კათალიკოსმა არსენი სადილზე მიიწვია, თავისთან ახლო დასვა მარცხენა მხარეს და მჯდომარე ამბობდა: ჩვენი მეფე (ხანი) თუმცა მაჰმადიანი არის,² მაგრამ ჩვენს მიმართ მოწყალეა, მისგან არავითარი საწყენი არ შეგვხვდენია. თქვენი ხელმწიფე რომ ჩვენს ქვეყანას დაიკაუბდეს ჩვენ ხანს ეს გაუხარდებოდა კიდევ.

იმავე დღეს როსტომ-ხანმა არსენს თარჯიმანი გამოუგზავნა გასაგებად, თუ რისთვის ჩამოვედი (თბილისში), და არსენმა უპასუხა: გავიგე მე, რომ როსტომ-ხანმა სრულიად რუსეთის ხელმწიფეს და მეფეს, დიდმთავარს ალექსი მიხეილის ძეს, თავისი ელჩი გაუგზავნა და ხელმწიფის ბრძანებულებით ყოველგან მას (როსტომ ხანის ელჩს) ქალაქიდან ქალაქამდე საბარგულები, სანოვაგე და მხლებლები რამდენიც დაჭირდება იმდენი ეძლევა, ხოლო მე არაფერს ამის მსგავსს არ ვითხოვ, მხოლოდ ამას ვეაჯები, რომ როსტომ-ხანმა ჩემი თერგამდე გადაყვანა-გაცილება ბრძანოს. იმიტომ რომ შემახიდან რუსებს არ უშვებენ მოსკოვისაკენ. როსტომ-ხანმა არსენის ერთი წერილი გამოუგზავნა და ბრძანა იგი შემახის ხანისათვის მიერთმია, ხოლო მეორე (წერილი) მდივნისათვის გადასაცემად დაეთქვა: თუ გაგატაროს შემახის ხანმა შენც წადი, და თუ არ გაგატაროს, დაბრუნდი ჩემთან და მე შენ მთების გზით გაგისტუმრებო.

19 (სექტემბერს) არსენმა წერილი წამოიღო და წამოვიდა. იმავე დღეს არსენი ელისე თბილელ ეპისკოპოს ეწვია... ეპისკოპოსი ამბობდა: გავიგეთ ჩვენ, რომ ყუმუხები რუსეთის ხალხს ემტერებიან. განა რუსეთის ხელმწიფეს არ შეუძლია ყუმუხებს (სამაგიერო მიუზღოს)? რათ უთმენს ამდენს მათ. ბრძანოს და მათი მურზები დააჭერინოს და ჩამოახრჩობინოს, იმათ ადგილზე თავისი დასვას და ამ გზით ყველა მისი, ხელმწიფის, მორჩილი იქნებიან. არსენმა უთხრა: რას ამბობ,

¹ ივლისხმება აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე II (ურდუბეგისძე-ამილახვარი).

² ივლისხმება მეფე როსტომი. იხ. გვ 310 შენიშვნა I.

ხელმწიფეს ყუმუხებთან გამკლავება არ შეუძლიაო? მარტო ერთ თერგს შეუძლია (გამკლავება), არამც თუ ასტრახანი შევაწუხოთ ყუმუხებისათვის. მაგრამ ჩვენი ხელმწიფე მოწყალეა, სისხლის დაღვრა არ უნდა გამოუძიებლათ. როცა ხელმწიფე მათ დანაშაულს გამოიძიებს, არ აპატივებს მათ. ეპისკოპოსმა კი თქვა: ხელმწიფე რომ როგორმე ყუმუხებს დაიპყრობდეს, მაშინ კახეთიც მისი სახელმწიფოს შეიქმნება. ხოლო როგორც კი კახეთს დაიჭერს თბილისიც მისი, ხელმწიფისავე, გახდება. არსენმა იკითხა: რამდენი კაცი იქნება საჭირო, რომ შაჰს წინ აღუდგეთ და შაჰის ბატონობისაგან გამოგიხსნათ და შემდეგ დაგიცვათ, ოციათასი საკმარისი იქნება თუ არა? ეპისკოპოსმა თქვა – ცოტა იქნებაო, ალებას და კარგად დაუფლებას, ისე რომ ხელმწიფის სახელის ხსენებაზე შიში აძრწოლებდეს, ორმოცდაათი ათასი კაცი დასჭირდებაო. არსენი შეეკითხა: თქვენი რამდენი კაცი იქნება? ეპისკოპოსმა თქვა: როსტომ-ხანს სააღწერო დავთარში შეტანილი ქართველები ოცდაოთხი ათასი ჰყავს, კახეთს გარდა, თეიმურაზს რომ წაერთვა, ხოლო კახეთში თორმეტი ათასი იქნება. ეპისკოპოსმავე თქვა: ჩვენ გვახსოვს რომ, როცა მოსკოვში მეფე ბორისი იყო, მან ელჩები გამოგზავნა ჩვენში და მეფის ვაჟიშვილი ითხოვა, ახლა კი შვილიშვილი და დედამისი თხოვა თეიმურაზს, რათ სჭირდება (რუსეთის) ხელმწიფეს ეს და რა უნდა გამოვიდეს აქედან? ყიზილბაშების შაჰი საგანგებოდ გზავნის (კაცებს) სხვადასხვა ადგილებში ლამაზი ბიჭების ასარჩევად... არსენი ფიცით უმტკიცებდა, რომ სრულიად რუსეთის ხელმწიფეს მეფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის-ძეს ასეთი საქმეები არასოდეს არ აქვს, თუ არ დედათა სქესთან და ისიც მხოლოდ თავის დედოფალთან. ეპისკოპოსს და სხვა მასთან მყოფთ გაუკვირდათ, დიდებული საქმეა თუ ეს ასე არისო, მაგრამ იკითხეს: მაინც რა სარგებლობა აქვს ხელმწიფეს ამ საქმით, (უფლისწულები რომ მიჰყავს)? არსენმა უპასუხა: სრულიად რუსეთის მეფე ხელმწიფეს, დიდ-მთავარს, ალექსი მიხეილის ძეს მრავალ სხვადასხვა ქვეყნის ხელმწიფის შვილები ემსახურებიან, ხოლო თეიმურაზის შესახებ ხელმწიფემ იცის, რომ ის სიღარიბეში და ექსორიაში მყოფია, ამიტომ ხელმწიფემ ერთი (უფლისწულის) წაყვანა ინება.“

ვასუშტი ბატონიშვილი თეიმურაზ I-ის
რუსეთთან ურთიერთობის შესახებ
(XVII ს-ის 50-იანი წწ.)^[79]

„ხოლო იყო მეფე თეიმურაზ იმერეთს წელსა შუდსა და როსტომ უმეტეს განძლიერდებოდა. ამისთვის წარავლინა რუსეთს ძის ძე თუსი ნიკოლაოზ.¹ ამას მისრულსა ჩერქეზს დაეცნენ მეკობრენი, მოსრნეს მისთანანი და წარგუარნეს მკეველნი. ხოლო ყრმა ნიკოლაოზ წარიტაცეს ყმათა მისთა და მიიყვანეს თურგს, მერმე მიიყვანეს მოსკოვს.

ამის შემდგომად იხილა თეიმურაზ, რამეთუ არღარა არს სხუა ღონე, წარვიდა თუთცა რუსეთს ვედრებად რუსთა კელმწიფისად, რათა შეეწიოს ქ-სა ჩ-ქნვ, ქარ. ტ-მდ, და დაუტევა დედოფალი დედაწულით იმერეთს, განვლო თუთ რაჭა, დიგორი,² ჩერქეზი და მივიდა თურგს, მერმე აშტარხანს,³ მუნდამ მოსკოვს, მისრულსა კელმწიფემ ალექსიმ პატივ-სცა მეფებრ და შეიწყნარა ვედრება მისი. შემდგომად უბრძანა მიზეზი, რომელი არა იყო შეწევნისა. ამისი მსმენელი თეიმურაზ გამოეთხოვა, მან მოსცა ნიჭი ღიდი და წარმოვიდა. მოსრულს აშტარხანს უთხრეს სიკუდილი ძის ძისა თუსისა ლუარსაბისა, რომელ იყო შუენიერი, კისკასი და სატრფო, მწუხარედ გლოვისა. შემდგომად დაუტევა ნიკოლაოზ წინაშე ალექსი კელმწიფისა მოსკოვს, თუთ წარმოვიდა და მოვიდა იმერეთს ქ-სა ჩ-ქნთ ქარ. ტ-მზ, და აქაცა დახუდა დედოფალი ხვარაშან მიცულილი. იგლოვა უმეტეს მწუხარედ და იყოფოდა იმერეთს, ვინამთვან ალექსანდრე მეფეცა მომკუდარ იყო.“

¹ ნიკოლოზი - ერეკლე ბატონიშვილი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი. იზრდებოდა რუსეთში. 1653 წლიდან რუსულ წყაროებში იხსენიებოდა ნიკოლოზად. 1660 წ. იგი დედასთან დედოფალ ელენესთან ერთად გამოემგზავრა საქართველოში. 1666 წელს კი იგი კვლავ გაემგზავრა მოსკოვში.

² დიგორი - ადგილი კავკასიონის ქედზე, რომელზეც გადიოდა ამიერიდან იმეირ კავკასიაში გადასავალი გზა.

³ ასტარხანი - ქალაქი რუსეთში, მდ. ვოლგის ნაპირზე.

თუზ-ფშავ ხევისურების „ზიცის წიგნი“ რუსეთის
მეფისადმი (1657 წ.) ^[123]

„ქ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო, დიდო მეფეე და ყოველთ ქრისტიანეთ კელმწიფეე, ალექსი მიხაილი შვილო! ყოვლისა მპყრობელო! შენისა ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონის შვილსა კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დიდის კელმწიფის კელთა ვართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო. აწე... კელმწიფეე, ჩვენი ხელმწიფეეც თქვენა... არის და ჩვენც თუშეთის და კევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავე ქრისტიანთ ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთმანერთისათვინ და ელჩები გამოგვიზავნია. კევის ბერი სოზამე მაქსიმიჩ,¹ და გრიგოლ სიდორიჩ,² და პავლე ივანიჩ,³ და შენი ყმანი შევქნილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბძანება იქნება ჩვენ იმისი მქნელნი ვართ: ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფეე თუიმურაზ. ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაც შევეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართულოს ყენი ებძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი, და სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია: აწე, დიდო კელმწიფეე, ჩვენი კელმწიფეე ყენმა წაახდინა, და ზურგი აღარ სადით გვექონდა, და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბძანება და კაცი მოგსვლიყო: აწე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენის დედოფლის კაციცა, და თქვენი ბძანება გაგვითავებია, და შენ შემოგხვეწნივართ, და შენთვის თავი დაგვიკრავს გვიმსახურე და გვალაშქრე, ამ დღეშიოთ შენი ყმანი შევქმნილვართ.“

¹ სახელები დამახინჯებულია და რუსული ფორმა აქვს მიცემული.

² სახელები დამახინჯებულია და რუსული ფორმა აქვს მიცემული.

³ სახ; ლები დამახინჯებულია და რუსული ფორმა აქვს მიცემული.

ზრანგი მოგზაური ჟან შარდენი ვახტანგ V
შაჰნავაზის მიერ არჩილის იმერეთის ტახტზე
დასმისა და ოსმალეთის პროტესტის გამო მისი
გამოწვევის შესახებ^[12]

„საქართველოში მეფისნაცვალი იყო შაჰნავაზ-ხანი.¹ იგი ამ ქვეყნის უკანასკნელი სუვერენული მეფეების შთამომავალი იყო. მან, მაჰმადიანობა მიიღო, რათა მეფისნაცვალი გამხდარიყო, როგორც სპარსეთის ქვეშევრდომი... მან იმერეთის მეფის გვირგვინი დაადგათავის უფროს ვაჟიშვილს – არჩილს...² ამის შემდეგ შაჰნავაზ-ხანი უკან დაბრუნდა... იმერეთის დიდებულებმა საქართველოს მეფისნაცვლის წასვლის შემდეგ ახალი მბრძანებლის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს... მათ ახალციხის ფაშას მისწერეს (ეს ქვეყანა თურქების ქვეშევრდომია და ესაზღვრება იმერეთს), რომ გაოცებულნი არიან იმ გულგრილობით, რომლითაც იგი საქართველოს მეფისნაცვლის მოქმედებას ეკიდება, რომელმაც დაიპყრო და გაანადგურა თურქების მოხარკე სამეფო... თხოვეს მას ეცნობებინა, ხომ არ მიატოვა სულთანმა ისინი სპარსეთის საამებლად, თუ ეს მათი ძლიერების შიშით გამოწვეული უმოქმედობაა, რომელმაც ხელები შეუკრა მას ისეთ საქმიანობაში, რომელიც თურქეთის სულთნის ინტერესებს და ღირსებას შელახავს. ფაშამ უპასუხა, რომ მან უკვე აცნობა სულთანს საქართველოს მეფისნაცვლის თავდასხმის ამბავი, ყოველ წუთს ელოდება განკარგულებას მისგან და როგორც კი მიიღებს, შემოუთვლის მათ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ. მალე ფაშამ აცნობა დიდებულებს, რომ სულთნის ბრძანება უკვე მოვიდა და როგორც კი ყარსისა და არზრუმის (ეს სომხეთის პროვინციებია) ფაშები თავიანთ ჯარებს, თანახმად სულთნის ბრძანებისა, შეუერთებენ მის ჯარს, იგი მაშინვე წამოვა ქართველთა უღლისაგან მათ გასანთავისუფლებლად. მანამდე კი უნდა შეაგროვონ რაც შეიძლება ბევრი ხალხი და მზად იყვნენ მათ შესაერთებლად...“

¹ ვახტანგ V, შაჰნავაზ ხანი, ქართლის მეფე 1658-1675. ეკუთვნოდა ბაგრატიონთა საგვარეულოს გვერდით შტოს. მუხრან ბატონთა ოჯახს.

² არჩილი, ვახტანგ V შაჰნავაზის ვაჟი. 1664-75 წწ. კახეთის მეფე. 1661-63, 1678-1679, 1690-91, 1695-96 წწ. იმერეთის მეფე. 1699 წ. გაემგზავრა მოსკოვში. გარდაიცვალა 1713 წ.

იმერეთის ყველა დიდებულმა ხელში აიღო იარაღი, დაჩქარდა ახალციხის ფაშის ლაშქრად წამოსვლა, დაიბნა და უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩავარდა მეფე. მან მაშინვე აცნობა თავის მამას, საქართველოს მეფისნაცვალს, ეს მდგომარეობა. ამ უკანასკნელმა სასწრაფოდ გაუგზავნა მას ინსტრუქციები, მრჩევლები და შეჰპირდა, რომ მალე ჩამოვიდოდა ჯარით მის დასახმარებლად. მაგრამ ახალციხის ფაშამ მას ჩამოსწრების დრო არ მისცა, ის ისე სწრაფად შევიდა იმერეთში, რომ ახალგაზრდა მთავარმა ძლივს დააღწია თავი მის მდევრებს და თავს გაქცევით უშველა. არჩილი მამასთან მივიდა, სადაც მისი ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეატყობინეს, რომ ახალციხის ფაშამ გარნიზონი ჩააყენა იმერეთის დედაქალაქში – ქუთაისის ციხეში – და გახდა ქვეყნის სრული მფლობელი. ამან აიძულა საქართველოს მეფისნაცვალი უკან დაბრუნებულიყო, რადგან სპარსეთის ხელმწიფის ბრძანების გარეშე მას არავითარი მოქმედების დაწყება არ შეეძლო თურქების წინააღმდეგ.“

პახტაწვ V-ის ფერილი კოლონეთის მეფისადმი¹²⁵¹

„უმაღლესი და უძლიერესი ხელისუფალი მეფე ქართველთა, ლიხთიმერისა, ლიხთამერისა, ლეკთა, მთიულთა, მოხვეეთა, ხევსურთა, სვანთა, ოსთა, დვალთა, ჩერქეზთა, თუშთა, თიანეთელთა, ფხოველთა, ყალეთისა, – ხალხთა, რომლებიც უმაღლესი მთების იქით და აქეთ არიან და ყველა იმ დასახლებულ ადგილთა, რომლებიც აქაა, სამი დიდი ქვეყნის ხელისუფალი... და ყველა იმ პროვინციების დედაქალაქის, წმიდა ადგილის, მცხეთისა, რომელიც მოწყალე უფალმა სამკვიდროდ მოგვიბოძა, მეფე იბერიისა, მუხრანისა, საბარათიანოსი, თრიალეთისა, ტაშირისა, სომხითისა, შაქისა, შარვანისა და მრავალთა სხვათა სამეფოთა, სრული და მტკიცე მფლობელი და უცილობელი პატრონი მათი; იესიანი, დავითიანი, სოლომონიანი; უფლის წყალობითა და ძლიერებით წარმატებული ყოველგნით, მძლეთა მძლე, უძლეველი, მეფეთა-მეფე, უდიდესი ხელისუფალი შაჰნავაზ-ხანი; თქვენ, იოან კაზიმირ... მოგესალმებით და მთელი სიყვარულით და სასოებით

გისურვებთ სრულ კეთილდღეობას, ხანგრძლივ სიმშვიდეს და მრავალ წარმატებას. უსაზღვრო მადლობას ვწირავთ უფალს, ცისა და მიწის შემოქმედს, რომ შევიტყვეთ თქვენი ჯანმრთელად ყოფნის ამბავი იმ წერილების საშუალებით, რომლებიც უღიადესი და უბრწყინვალესი სენიორის, ლესრნოს გრაფის, თქვენი სამეფოს დიდი კანცლერის, დიდი პოლონეთის გენერალ-ლეიტენანტის იოან ლეზუნსკის სახელით მოგვივიდა.¹ ნიადაგ ვთხოვთ ზენაარ უფალს გვამცნოს დროდადრო თქვენი ჯანმრთელობის სრულყოფილების ამბავი, რომ თქვენ უჭმუნველად ტკბებით ბედნიერი მშვიდობის ნაყოფით და ნეტარებას განიცდით. თქვენი კეთილი მსახური გურჯიბეგ დანბეკი, თქვენი სამეფოს ოფიცერი, ერთგულებითა და კეთილშობილებით ცნობილი დიდებულნი² მოვიდა აქ, ვითარცა მოციქული თქვენ სამეფო უდიდებულესობისა, რათა განეახლებინა მშვიდობა და განემტკიცებინა მეგობრობა და კეთილი ურთიერთობა, რომელიც გაქვთ სვებედნიერ ხელმწიფე სულთან სულეიმანთან, რომლის სიღიადე ცამდეა ატყორცნილი და მთელ დედამიწაზეა დამყარებული; იგი უმაღლესი ხელისუფალი, უდიდესი, სწორუბოვარი, უძლიერესი, შეჩვეული იმას, რომ ყველაზე საშიში მტრებიც კი აიძულოს თავყანი სცენ მას, რომლის წყალობით მთელი სამყარო არანაკლებ სიმდიდრეს იღებს, ვიდრე ზღვიდან, და რომელიც ღირსია უფრო მეტი ქება-დიდებას, ვიდრე ეს ადამიანს ძალუძს, მონარქი სპარსეთისა, პართიისა, მიდიისა, პირკანიისა, სპარსეთის ყურისა და მისი კუნძულებისა, კარამანიისა, არაქოზიისა, მარგიანისა და სხვათა ურიცხვ სამთავროთა და სამფლობელოთა. თქვენმა ზემოხსენებულმა მოციქულმა ისე გაიარა ჩვენი მიწა, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია და არც არავითარი უსიამოვნება არ განუცდია. ახლა იგი, უფლის შეწევნით, თქვენს სამეფო უდიდებულესობასთან ბრუნდება. უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს უდიდებულესობას იმ ურთიერთკეთილგანწყობისა და მეგობრობის საწინდრით, რომელიც ჩვენს შორის სუფევს, რომ ეს კეთილი ქვეშევრდომი და ჩემი მსახური, იყოს ისევე სასურველი სტუმარი თქვენი

¹ იგულისხმება პოლონეთის მეფის დიდი კანცლერი იოანე ლეზუნსკი.

² იგულისხმება ბოგდან გურჯიცი, XVII ს-ის ცნობილი ქართველი დიპლომატი.

უდიდებულესობისა, როგორც ის იყო მის წინამორბედთან. თბილისის სამეფო 26 მარტი, 1671 წ. იესო მაცხოვრის მოვლინებიდან.“

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი
პასტანგ V-სთან აუდიენციის შესახებ (1672 წ.)^[112]

„კაპუცინთა პრეფექტმა ჩემი ჩამოსვლის ამბავი მეფისნაცვალს შეატყობინა... ჩემთვის სასიამოვნო იყო მისი ნახვა და მისთვის სპარსეთის ხელმწიფის ფირმანების წარდგენა, რომლებიც ყველა პროვინციის მმართველისადმი იყო მიმართული და რომლებითაც ხელმწიფე ბრძანებდა კარგად მიველეთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მთავარი ნახავდა თუ არა ამ ბრძანებებს, ძალიან კარგად მიმიღებდა და ჩემი მოგზაურობის გასაგრძელებლად საჭირო მხლებლებსაც მომცემდა. როცა შაჰნავაზ-ხანს ჩემი ვინაობა გაუგია და შეუტყვია, რომ აწ განსვენებული ხელმწიფისგან ვიყავი ევროპაში გაგზავნილი თავის საქმეზე, პრეფექტისათვის უბრძანებია, გადწოცათ ჩემთვის, რომ მე მისთვის ძვირფასი სტუმარი ვარ, იგი მოხარულია ჩემი ჩამოსვლისა, და რომ ღიდად ვასიამოვნებ, თუ რაც შეიძლება მალე ვესტუმრები...“

მან ერთი აზნაური გამომიგზავნა, რომლის საშუალებითაც შემატყობინა, რომ ვინაიდან სადღესასწაულო კვირეული იწყებოდა, რომლის დროსაც ყოველდღე ნადიმი იმართებოდა, სურდა ვწვეოდი მას...

დაახლოებით შუადღე იქნებოდა, როცა სასახლეში წავედით... ჩვენ სადილად გველოდნენ, მთავარი ბრძანდებოდა დარბაზში, რომლის სიგრძე ას ათ ფუტს, ხოლო სიგანე ორმოც ფუტს შეადგენს. იგი გაშენებულია მდინარის პირას და მთლიანად ღიაა ამ მხრიდან. მოზაიკით მორთული ჭერი ეყრდნობა მოოქრულ და მოხატულ სვეტებს, რომელთა სიმაღლე ოცდათხუთმეტეტიდან ორმოცამდე ფუტს შეადგენს; მთელი დარბაზი საუცხოო ხალიჩებითაა დაფარული. მთავარი და დიდებულები სამ პატარა ბუხარს შემოსხდომოდნენ, რომლებიც მრავალ ჩირაღდანთან ერთად ისე ათობდა დარბაზს, რომ სიცივე არ იგრძნობოდა. შაჰნავაზ-ხანი მოითხოვს მასთან პირველად მიახლოე-

ბისას ისეთივე წესით მიესალმონ, როგორც სპარსეთის ხელმწიფეს: მისგან ორი თუ სამი ნაბიჯის დაშორებით მუხლს იღრეკენ და ზედიზედ სამჯერ თავსა ხრიან მიწამდე. ევროპელებს ყოველთვის უჭირდათ ამგვარად მისალმებოდნენ აღმოსავლეთის მთავრებს, რადგან უფრო მდაბალი თაყვანისცემა წარმოუდგენელია, მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის წინაშე შეიძლება მოიდრიკო ამგვარად მუხლი. ზოგჯერ ევროპელებს ასეთი მისალმებისაგან ათავისუფლებენ, რადგანაც ამბობენ, რომ ისინი უცხოელები არიან და არ იციან ამ ქვეყნის ეტიკეტიო. მთავარს მივესალმე სამჯერ თავის დაკვრით, მუხლი კი არ მომიდრეკია. შემდეგ ორმა აზნაურმა ჩემს ადგილამდე მიმაცილა.

ვიდრე თაყვანისცემის ცერემონიალს ვასრულებდი, ერთმა აზნაურმა, რომელმაც დარბაზის კარებში ხელიდან გამომართვა სპარსეთის ხელმწიფის ფირმანები და მთავრისათვის მორთმეული ძღვენი, ისინი დიდ ვერცხლის ხონჩაზე დააწყო და მთავარს ფერხთით დაუღო. მთავარმა აიღო ფირმანი, გახსნა, წამოდგა სავარძლიდან, მიიტანა იგი ტუჩებთან და შუბლთან, შემდეგ კი თავის დიდ ვეზირს გადასცა, რათა შინაარსი მოესმინა. შემდეგ დიდი ცნობისმოყვარეობითა და სიამოვნებით შეათვალიერა საჩუქარი, რომელიც სხვადასხვა ნივთისაგან შედგებოდა. აქ იყო: მთვარის დიდი საათი, ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და მოჩუქურთმებული კოლოფით, მთის ბროლის სარკე, ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული. მომინაქრებული ოქროს ყუთი, რომელშიაც თრიაქის აბები ინახება; სპარსელების უმეტესობა ამ აბებს დღეში რამდენჯერმე იღებს.

ქირურგიული იარაღების ბუდე, მთლიანად მორთული და საუცხოო ხელოვნებით გაკეთებული.

დანები, რომელთა გრეხილი ტარები დიდი ოსტატობით იყო შესრულებული.

დიდმა ვეზირმა წაიკითხა ფირმანი და მთავარს დაბალი ხმით მოახსენა მისი შინაარსი. შემდეგში შევიტყვე, რომ მთავარსა და მის ვაჟიშვილებს უთქვამთ თურმე, არასოდეს გვინახავსო ფირმანი უფრო ნათელი და საპატიო და ამას მხედველობაში მივიღებთო...

როცა მეფისნაცვალს მივესალმე, არაფერი მითქვამს, ისიც მღუ-

მარედ შემხვდა და არც კი განძრეულა. ერთი წუთის შემდეგ, როცა სუფრა გააწყვეს, მან ოქროს თეფშით გამომიგზავნა იმ დიდი პურის ნახევარი, რომელიც მის წინ იყო და სუფრაჯის პირით შემომიძვალა, რომელმაც პური მომაწოდა, რომ „მე ვარ სასურველი სტუმარი“. ცოტა ხნის შემდეგ მეფისნაცვალმა კაცი გამომიგზავნა, რათა ეკითხა ჩემთვის, თუ როგორ მიმდინარეობდა თურქებსა და პოლონელებს შორის ომი. როცა მეორე თავი საჭმელი შემოიტანეს, მან ბრძანა დაგვესხა ღვინო იმ თასიდან, რომლიდანაც თვითონ სვამდა.

ღვინო დიდ მომინანქრებულ ოქროს სურაში ესხა, ლალითა და ფირუზით მორთული თასიც ოქროსი იყო. აზნაურმა, რომელიც ღვინოს გვისხამდა, მთავრის სახელით მოგვმართა: „იმზიარულეთ და მიირთვიეთ“. როცა მესამე თავი საჭმელი შემოიტანეს, მთავარმა უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინა – გამოგვიგზავნა მისთვის განკუთვნილი შემწვარი ხორცეულის ნაწილი, კერძოდ ხოხობი, ორი კაკაბი, ფურ-ირემის მეოთხედი და შემოგვითვალა, „თუმცა ღვინო ნადირის ხორცს ძლიერ უხდება, მე მაინც ვბრძანებ ძალა არ დაგატანონ სმაში“. ყველა ამგვარ პატივს უხმოდ ვიღებდი და მდაბლად ვუკრავდი თავს; კაპუცინებიც ასევე იქცეოდნენ. ასეთი ჩვეულება აქვთ სპარსელებს – ამგვარ პატივისცემას სხვანაირად არ პასუხობენ.

არაფერს ვიტყვი ამ ნადიმის არც თადარიგზე და არც ბარაქიანობაზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ ბევრი ღვინო სვეს; იყო უსაზღვრო სიუხვე სურსათისა. მოჰქონდათ სახსნილოც და სამარხვოც; ეს უკანასკნელი იქ დამსწრე პატრიარქისა და ეპისკოპოსის პატივსაცემად იყო, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავშეკავებულ ცხოვრებას ეწევიან. სუფრიდან სამი საათის შემდეგ ავიშალეთ. ზოგი სტუმარი უკვე წასული იყო, თუმცა შემწვარი ხორცეული ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ალაგებული სუფრიდან. წამოსვლისას მთავარს მოკრძალებით დაუუკარით თავი. მან კიდევ ერთხელ შემომიძვალა „სასიამოვნო სტუმარი ხარო“ და ბრძანა შინ გავეცილებინეთ.“

„ქ. დიდს ხელმწიფებთ, მეფეთ, დიდს კნიაზებს იოვანე ალექსის შვილს,¹ პეტრე ალექსის შვილს,² სულა დიდისა და ცოტას, თეთრის რუსეთის თვითმპყრობელთ, თავს უკრავ, მაგათს მაღალს კელთ ქვეშ მყოფნი, იმერეთისა და ყოვლის ლიხთ-ამერიისა მეფე არჩილი: ღმერთ-მან სამებით დიდებულმა და ერთ-მღვთაებით თაყვანის-ცემულმან; მრავალს წელს თქვენი დიდებული მეფობა წარგიმართოსთ, უფროსად განაძლიეროს თქვენი კელმწიფობა, და ყოველი თქვენი წინააღმდეგი დაგიმორჩილოსთ: თუ ღთის გულისათვის და თქვენის დიდებულის მეფობისა და მოწყალის გულით ჩვენის გარჯილის თავის ამბავი მოიხსენოთ, ეს არის. როსცა რომ დიდმა კელმწიფებმა ჩვენს ქვეყანას გამოგვიშეს და მოვედით, ჩემი ძმა მეფე გიორგი ვახტანგის შვილი,³ ყიზილბაშის ყაენისაგან გარდმოგდებული, იმერეთს, ჩვენს სამეფოში გარდმოსულ იყო და უნდოდათ ძალის საქმით კელთ ჩაეგდოთ ჩვენ რომ მთის ქვეყანას მოვედით, ჩემი შვილები მთაში დავაყენე და მე ჩემს ძმას მოვეშველე და ღთითა და მაგათის წყალობით დავიხსენ და არ დავანებე და მე ჩემს საბატონოს ჭერა დაუწყე: ამაში ზაფხული მოვიდა და აქ, რომ ვინ გინდა ცუდი და მტყუანი ჩვენის გვარის კაცად მოგონილი ალექსანდრე იჯდა მეფედ.⁴ მას თურქმა ლაშქარი მოაშველა და ის ზაფხული ვიბრძოლეთ და მე ჩემის ქვეყნიდან ვერ დამძრეს და იქით, ბატონის შვილმა ნიკოლაოზ დავითის შვილმა⁵ მთაში ჩემს შვილებს ლაშქარი მოუხდუნა, ყაენის შეწევნითა, და ქვეყანამ, რომ ეს დანახა ორი უსჯულო კელმწიფე აგვიმტერა, ბევრმა კაცმა ზურგი შემოგვაქცია. მე შავის ზღვის ნაპირებში ვიყავ ამის მეტი ვეღარა გავაწყე რა, ჩემს შვილებს წიგნი მოვსწერე, თქვენ დიდსა ხელმწიფეებს მიმართეთ და წადით, კელმწიფის ბრძა-

¹ ივანე V (1666-96 წწ.). რუსეთის მეფე 1682 წლიდან.

² პეტრე I დიდი (1672-1725 წწ.). რუსეთის მეფე (1682 წლიდან) და იმპერატორი (1721 წლიდან).

³ ქართლის მეფე გიორგი XI (შაჰნავაზ II) – პირველად 1677-1688, მეორედ 1703-1709 წწ.

⁴ იმერეთის მეფე ალექსანდრე IV (პირველად 1683-1690, მეორედ 1691-1695 წწ.).

⁵ ნიკოლოზ დავითის ძე, თეიმურაზ I შვილიშვილი.

ნება აგრე გვაქვს, რომ მათ მეტი სხვა ხელმწიფე ჩვენ არ ვნახოთ და მე კიდევ აქაურ საქმეს ვეცლები მეთქი: ეგენი, ფებერვალში მანდეთ გამოვისტუმრე და ველარც მე დავდექ დაბაღს ადგილებში და მე ას ოთხ-მოც და ცხრაშეტს წელს, იენის, მთაში მოველ და დიდს კელმწიფეთ თავი დაუკართ და მაგათის შემწეობისა და წყალობისათენ და ბრძანება არ გამოვიდა რა: ამას უკან, რომ სხვა ძალი ველარა შევსძელ, თურქის სულთანს ელჩი გაუგზავნე, და რომელიც რომ ჩვენს ქვეყანას ხარაჯი ემართა ოცის წლის წინათ ხარაჯი შევაძლიე. „ამ ხარაჯას მოგცემ, დაესხენ ამ ჩემს საბატონოს, შენ ნუ მოეხმარებო ამ ალექსანდრეს და მე ჩემს სამეფოს დავიჭერ, მეთქი.“ აილეს თურქთა ამაზე ხელი და აღარ მოეხმარენ და მეორასეს წელს, აგვისტოს, მთილამ ჩამოველ ჩემს სამეფოში და აქ მჯდომი ალექსანდრე, ქართლს ბატონიშვილს ნიკოლა დავითის შვილთან მივიდა: ყენს კაცი გაუგზავნეს და ყენმა ხაზინა გამოუგზავნა და მოსწერა. „მოეხმარეთო.“ ამავე მეორასეს წელს, ოკტომბერს, მათის შემწეობით ჩამოვიდა და ზოგიერთი ჩვენი კნიაზებიც მიუვიდნენ და ამავე წელს, დეკემბერს ოცსა, წმინდის ეგნატე ღმერთ-შემოსილის დღეს, შევიბენით, და ღმერთმან და მაგათმა სიმართლემ გაგვამარჯვა და მრავალი ჩვენი ორგული კაცი მოკვდა და დავიჭირეთ. ის ალექსანდრე გაიქცა და იქავე ბატონის შვილს ნიკოლა დავითის შვილსთან მივიდა: აწ, ღთითა და მაგათის წყალობით, ჩვენი სამეფო გვიჭირავს, მაგრამ თურქნი თუ არ ამდენის ხარჯის მიცემისათენ, ჩვენზე გულს არ გაიმართავენ და ურჯულო ქრისტიანზე გულს ვერ გაიწმენდს: აწ, დიდს ხელმწიფეებს, მეფეებს, დიდს კნიაზებს, სულა დიდისა და ცოტას, თეთრისა რუსეთის თვითმპყრობელთა, ვეხვეწები და თავს უკრავთ, რომ ქრისტეს სიყვარულისათვის და ერთის ქრისტიანობის გულისათვის, ხაზინის წყალობა გვიყონ, რომ ამდენი ქრისტიანი ქვეყანა ურჯულოს კელთაგან დავიხსნათ და მაგათ ღმერთს მისი უხვი წყალობა ასწილად ამ სოფელს მოუვლინოს და მას საუკუნოს ცხოვრება დაუსრულებელი: ჩვენ მაგათ კელ ქვეშე მყოფნი ვართ და ჩვენი თავი მაგათია და ჩვენი სამეფოც მაგათთვის გვინდა და მაგათი არიან: ჩვენი საქმე მაგათთვის არ მოგვიხსენებია არ იქნებოდა თუ ეგ კელმწიფენი ჩვენზე წყალობას

და შემწეობას არ მოავლენენ, ჩვენგან ამ ურჯულოთ კელმწიფეთ დიდხანს ბრძოლა არ გაეწყობა: ღვთის გულისათვის გვიბძანონ ან ჩვენ რა ვქნათ, ან ამ ჩვენმა ქვეყანამ. კიდევ დიდს კელმწიფეს თავს უკრავთ, რომ დედოფალი და ჩვენი შვილები ებრალებოდნენ და სწყალობდნენ: დასაბამითგან შვიდი ათ — ას ორი ასსა, თვესა მარტსა ოც და ათს.“

ტურნეფორის ცნობები საქართველოს შესახებ (1701 წ.) ^[126]

„საქართველოს მეფე, რომელიც მხოლოდ ქვეყნის მმართველის ფუნქციას ასრულებს, სარწმუნოებით აუცილებლად მაჰმადიანი უნდა იყოს, რადგან სპარსეთის ხელმწიფე მმართველად ისე არავის დანიშნავს, თუ იგი არ გამაჰმადიანდა. ჩვენი იქ ყოფნის დროს თბილისის მეფეს ერეკლე ერქვა. იგი ბერძნული სარწმუნოებისა ყოფილა, მაგრამ მისთვის რწმენა შეუცვლევინებიათ. ამბობდნენ, ეს ხელმოცარული მეფე ორივე რელიგიას ერთდროულად აღიარებსო: დადის მეჩეთშიც, ხოლო, როცა კაპუჩინებთან სალოცავად მოდის, მისი უწმინდესობის პაპის სადღეგრძელოს სვამსო.“

სულხან-საბა ორბელიანის მისია ევროპაში (1713-1715 წწ.)

ა) ჟ. რიშარის წერილი მინისტრ ტორსის ^[126]

„მოწყალეო ხელმწიფევ... ერევიდან წაველ საქართველოში, ტფილისს, საცა მფლობელადაა ძმა ვახტანგ მეფისა,¹ რომელიც არის ისპაჰანს; ორი კვირა თავისთან დამიჭირა, შემდგომ რამდენიმე აფიცერი მომცა, რათა გამომყოლოდნენ შავ ზღვამდე. რა გავიარე გორში,

¹ ვახტანგ VI-ის (ჯანიშინი 1704-1714, მეფე 1714-1724) ირანში ყოფნის დროს ქართლს განაგებდა იესე (ალი ყული ხანი), ვახტანგის ძმა.

იქ დაძვდა სულხან-საბა,¹ ბიძა საქართველოს მეფისა. რამდენიმე წელიწადია, რაც მონაზვნობის სამოსელი შეიმოსა წმიდა ბასილის წესით.² მონაზონად შედგომამდე თავის ძმებს დაუტოვა ერთი დიდი პროვინცია, რომელიც მისი საკუთრება იყო. ამიტომ ჰყო, რათა უფრო ადვილად აღეარებინა კათოლიკე სარწმუნოება.

ამ თავადმა აღზარდა ვახტანგი და მისი ოჯახი. ამისთვის ისეთს პატივს სცემენ და ისე უყვარსთ, როგორც საკუთარი მამა. ეგრეთვე მთელ საქართველოსაც მამად მიაჩნია. ისპაჰანიტგან მიიღო თავისი წერილის პასუხი, რომელიც ხელმწიფემ კეთილინება და გამოუგზავნა. რაც მისმა საფრანგეთის მიმართ სიყვარულმა ჩააგონა, ყოველი პატივი მცა. შემდგომ ბევრის აფიცრებით და მოსამსახურეებით შავ ზღვამდე გამოძევა სამეგრელოს გზით. ამ დროს ამან ვახტანგისგან წერილი მიიღო და გამომიცხადა, რომ დიდი ხანია ხელმწიფის (ლუდოვიკოს)³ ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არც მექნებო და ამიტომ მთხოვა, თუ ჩემი სიყვარული გაქვს და რაც ამაგი მისიონებს მივაგე, თუ დაძიფასო, თან წამიყვანეო.

მისმა მხლებლებმა შეიტყეს მისი განზრახვა თუ არა, მაშინვე აცნობეს დედოფალს, რომელმაც სასწრაფოდ ოცდაათზე მეტი შიკრიკი გამოუგზავნა და ეგრეთვე ის ბატონები მამულებისა, სადაც უნდა გაგვევლო.

დედოფლის, ახალგაზრდა ბაქარის,⁴ ვახტანგის პირველი შვილის და ზოგიერთი აფიცრების წერილებმა გული მეტად აუჩვილა ამ თავადს. ისინი უცხადებდნენ, რომ დედოფალმა რა შეიტყო თქვენის წასვლის ამბავი, მეტის ტირილით სიკვდილის პირად არისო. თავადმა ყველა ანუგეშა, მალე დავბრუნდებით და განვაგრძებ ჩვენი მგზავრობა.

სამეგრელოს და სხვა პროვინციების პატრიარქი⁵ შავ ზღვამდე

¹ სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725 წწ.) ცნობილი სასულიერო და სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და მეცნიერი, დიპლომატი.

² ბასილიანელები. იყვნენ უნიატური ორდენის წარმომადგენლები. მისი წევრები ბერძულ-მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებასა და აღმსარებლობასთან ერთად აღიარებდნენ ორ კათოლიკურ დოგმას: რომის პაპის უზენაესობას და „ფილიოკვს (სარწმუნოების სიმბოლოს კათოლიკურ ვარიანტს)“.

³ ლუდოვიკო XIV (ლუი XIV), საფრანგეთის მეფე 1643-1715 წწ.

⁴ ბაქარი, ქართლის მეფე 1717-1719 წწ. ვახტანგ VI-ის ძე.

⁵ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი გრიგოლი (1695-1742 წწ.)

წამოგვეყვა. წინათ ამ პატრიარქმა ბეკრეზის გამოძიებადა კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების სურვილი. მთხოვა გამოემეგზავნა მისიონერები სამი ადგილისათვის, რადგან უნდა დაეყენებინა სამეგრელოსა, იმერეთსა და აფხაზეთში, წარმართების პროვინციაში. ამას აზრად აქვს სარწმუნოება განაგრძელოს ჩერქეზთა შორისაც და ეგრეთვე სხვა მახლობელ პროვინციებში, სადაც სულ წარმართები არიან. ბატონი საბა დაესწრო ყველა ჩვენს საუბარს და შეაგულიანა პატრიარქი, რომ მისთვის გაეყოლებინა თავისი შემწე დავით მონაზონი, რათა შემდგომ წამოჰყოლოდა იმ მისიონერებს, რომლებსაც მე გამოვგზავნიდი. მისივე რჩევით, ერთი კარგი ადვილი გზა ვიპოვეთ ჩვენ ვაჭარ ფრანგებისათვის, რომლებიც ისურვებენ კონსტანტინოპოლიდან შავის ზღვით საქართველოსა და სპარსეთს წასვლას.

მოვედი რა კონსტანტინეპოლს, ბატონი სულხან საბა და ეს მონაზონი მივიყვანე ბატონ დეზალუნ¹ ელჩთან, რომელმაც მეტის მეტი გულკეთილობით მიიღო და საბაც დარწმუნდა, რომ რაც გაეგონა კონსტანტინეპოლში მყოფი საფრანგეთის ელჩის დიდებისა, სულ მართალი ყოფილაო. ყველაფერმა განაკვირვა იგი. მაგრამ ძალიან გაუხარდა, როდესაც ჩვენი საბრალო ტყვე-ფრანგები, რომლებიც ელჩმა ისე კარგად მიიღო. მათმა დახსნამ ძლიერ გააოცა საბა, უფრო იმიტომ, რომ ზემო ქართლში, საუბედუროდ ჩვეულებად აქვთ ერთმანეთი თათრებს მიჰყიდონ ზოლმე. ბატონმა დეზალურმა თავის სასახლეში ბინა მოგვცა და პირველ ხელსაყრელ შემთხვევაშივე გამოგვისტუმრებს... ჟ. რიშარდი, მისიონერი, კონსტანტინეპოლი 17 ნოემბერს 1713 წ.“

ბ) ჟ. რიშარდის წერილი მინისტრ ტორსის (1714 წ.)¹²⁷⁾

„მოწყალეო ხელმწიფე,

მგზავრობამ ეგოდნათ დამალა, რომ იძულებული გავხდი ერთი სხვა საიმედო პირის საშუალებით მომეწერა თქვენის დიდებულებისათვის და მეუწყებინა, რომ იანერის 23-ში მოვედით მარსელს მე და

¹ გრაფი დეზალორი (1643-1725 წწ.), საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში 1709-1716.

წმიდა ბასილის წესის მონაზონი საბა-სულხანი, ბიძა საქართველოს მეფისა. ამას მოაქვს პასუხი იმ წერილებისა, რომელიც კეთილ ინება და მისწერა ხელმწიფემ და თქვენმა დიდებულებამ.

ბატონმა არნუმ¹ კეთილინება და ისეთის პატივით მიიღო, როგორათაც მოითხოვს ამისი ჩამომავლობა და ღირსება. იმანაც იმნაირივე პატივი სცა, როგორც კონსტანტინეპოლში ბატონმა დეზალურმა... იმედი მაქვს, რომ ბატონი არნუ თქვენს დიდებულებას უკვე აცნობებდა აქ ბატონ სულხან-საბას მოსვლას და მის ნატვრას მეფის ნახვისას, რის გამო მარსელში ბევრხანს დარჩენა არ უნდა. გარნა დიდად მაფიქრებს მგზავრობისაგან მისი დაღალვა, მისი ხანში შესულობა, ზამთრის სუსხი და ეგრეთვე მომავალი დიდმარხვა, რომელიც კიდევაც დაწყებული იქნება, ვიდრე თქვენი ბრძანება მოვიდოდეს. გარნა ისე მოვიქცევი, როგორც თვით ინებებს და ჩემის მხრით, რაც შემიძლია, სიფრთხილის ზომებს ვიხმარ, რათა გზაში ავად არ გახდეს.

გვონებ თქვენს დიდებულებას ბატონი დეზალური აუწყებდა, რომ ამ ბატონს სამეგრელოდან წამოჰყვა ერთი მონაზონი, რომელმაც თავისი პატრიარქის ბრძანებისამებრ უნდა წაიყვანოს ფრანგი მისიონერები თავის ქვეყანაში; მათ პატრიარქი მისცემს სამ სახლს – ერთს სამეგრელოში, ერთს აბაშიძეებთან (იმერეთში) და მესამესაც აფხაზეთში, სადაც წარმართები არიან და მეზობლადაც წარმართი ჩერქეზები ჰყავთ.

სამეგრელოში ამ პატრიარქთან 40 დღეს დაერჩი. ძლიერ კაი ხასიათის და გონიერი კაცია. კათოლიკე სარწმუნოების სიყვარულით და ეგრეთვე ჩემის პატივისცემით ბევრჯის მეხვეწა, რათა მისთვის მომეყვანა მისიონერები. მეც მის მრავალჯის განმეორებულ ვედრებას უარი ვეღარ ვუთხარი და ამიტომ ვიკისრე ეს მონდობილობა. მას რა ვაცნობე ეს ჩემი თანხმობა, მომანდო წამომეყვანა ხსენებული მონაზონი, რომელსაც ძალიან ენდობა, და დიდი იმედიცა აქვს, რომ ამან შეისწავლოს ჩვენი ენა და შემდგომ ასწავლოს თავისი ენა იმ მისიონერებს, რომლებიც ამას წაჰყვებიან... უ. რიშარდი. მარსელი. 1 თებერვალი 1714 წ.“

¹ პიერ დარნუ. გალერებისა და ვაქრობის გენერალური ინტენდანტი მარსელში.

გ) ლუი XIV-სათვის გადასაცემი სულხან-საბას მოხსენებითი ბარათი (1714 წ)^[127]

„საქართველოს მეფე ვახტანგი ისპაჰანშია, საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია. თუ დაბრუნდა თავის სამთავროში, ქართველები არა მარტო ქრისტიანედ დარჩებიან, არამედ კიდევ შეუერთდებიან კათოლიკე ეკლესიას თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც საამისოდ მზად არის და რომელმაც აღთქვა, რომ მობრუნდება თავის სამშობლოში თუ არა, კათოლიკობა მიიღოს, რადგან იგი ამ თავის უბედურებას აწერს იმას, რომ აქამდე შეაყენა კათოლიკობის მიღება. მეფე ამას გარდა ფიქრობს ყოველი დახმარება აღმოუჩინოს მისიონერებს, რათა მოაქციონ მთელი ჩერქეზეთი, რომელიც საქართველოს საზღვარზეა და საიდანაც თავისი მეუღლე მოიყვანა.

რადგან ვუწყვი, რომ საფრანგეთის დიდი იმპერატორი იმიტომ უჩინს თავის მფარველობას სარწმუნოებისათვის დევნულ მეფეებს, რათა განჰფინოს მთელ ქვეყანაზე ის სარწმუნოება, რომელსაც თვით ეგოდენის გულმხურვალეებით აღიარებს, ამიტომ მეც ვუჩვენებ მას, თუ რაოდენ ადვილია კათოლიკედ მოქცევა მთელის ოცდაოთხის პროვინციისა, რომლებიც სავსე არიან ერთი და ეგრეთვე ბევრს მეზობელ სამთავროებსაც, რომლებიც წარმართობას მისცემიან.

აი, მხოლოდ ამ ერის ცხოვნების გამოა, რომ მე ვიკისრე ეს დიდი მგზავრობა, მოველ და ვემზობი ეკლესიის პირმშო შვილის ფერხთა წინაშე. იმედი მაქვს, რომ წერილმა წადილსა გეწვიოს და დაავალთ ყვინს, რათა თქვენის ბრძანების აღსასრულებლად ვახტანგი საქართველოში გამოგზავნოს. უკეთუ შეჰპირდებით საჩუქარს სპარსეთის დიდებულთ, მაშინ ამ დაპირების გამო ყვინს დაავალებენ, რომ მალე აღასრულოს.

ამნაირი საშუალებით ვერავინ გაიგებს, თუ რა დახმარების აღმოჩენა ეწადა თქვენს იმპერატორობას; ხოლო ამის ასრულებას მიანდობთ თქვენს მიერ არჩეულ პირს. სპარსეთში ჩვეულებად აქვთ ხოლმე, რომ, რომელსამე საქმის შესასრულებლად, ჯერ შეჰპირდებიან მარტო წერილით და არაფერს მისცემენ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ ასრულებენ. ამიტომ სპარსეთის გავლენიან პირთ ჯერ არაფერი

არ უნდა მიეცეთ, ვიდრე ვახტანგი თავის სამეფოში არ დაბრუნდება უვნებლად.

დავასახელოთ, თუ რა გვარი დახმარება იქმნება საჭირო. საჭიროა 300 000 ეკიუ და კიდევ კმარა. მაგრამ საქართველოს მეფემ რა ჰქმნა ისეთი, რომ ღირსი გახდეს ამ წყალობისა? ეს ერთი ქრისტიანე მეფეა და, იმის საბუთად, რომ ისიც ღირსია დახმარებისა, ასახელებს ბევრს მეფეებს და მთავრებს, რომელთაც სხვა და სხვა უბედურების დროს შეეწია და კვლავაც ეწევა ეგონდის დიდებით მათი უქრისტიანესი ხელმწიფება. გარდა ამისა, ეს მეფე ღიდათ ნატრობს თავის ერის ცხონებისათვის, გულწრფელად მიჰბადოს კეთილ მაგალითს დიდებულ და მეტად გულუხვის ხელმწიფისას, რომელსაც სთხოვს შემწეობას. ხოლო ვერ მიბაძავს, უკეთუ მისი ძლიერი მფარველობა არ ექმნა.

გარდა ამ წყალობისა, რომელსაც ვახტანგისათვის ვთხოვ საფრანგეთის უძლიერეს იმპერატორს, კვალად მინდა მოვახსენო მას ყოველად მდაბალი სათხოვარი სამეგრელოს პატრიარქისა. ამ ეპისკოპოსს მე დიდი ხანია ვიცნობ სათნო კაცად; როცა მის სამშობლოში გამოვიარე, დიდის ვედრებით მევედრა, რათა რვა ან ათი მისიონერი ვთხოვო მათ ხელმწიფებას, რომელიც ცნობილია მთელს აღმოსავლეთში ყველა მისიონერის მფარველად და შემწედ.

ამ პატრიარქის აზრი ეს არის, რომ შეუერთდეს წმიდა საყდარსა და მისიონერებთან ერთად ეცადოს აფხაზების მოქცევის. იმის საბუთად, რომ ყოველსავე ამას გულწრფელად მთხოვდა, თან გამომაყოლა მონაზონი დავით, რომელსაც ის უზომოდ ენდობა, ამან უნდა მიუყვანოს მას მისიონერები, რომელთა გამოგზავნასაც მოელის მათი ხელმწიფობის გულკეთილობისაგან... იმედის და მოწყალების თვალთ გადახედოს ეგოდენ გაჭირვებულ მხარეებს (პროვინციებს). მას ადვილად შეუძლია ამათგან ზოგს გააცნოს ჭეშმარიტი ღმერთი და ზოგიც ეკლესიის მორჩილი გახადოს.

ამ აზრის განსახორციელებლად ყველაზე მეტად ბუნებრივი და, შეგვიძლია ვსთქვათ, ერთად ერთი საშუალება ის არის, ვახტანგი დაბრუნდეს თავის სამეფოში. რადგან მას იჭერენ ისპაჰანში სპარსეთის მოწინავე პირნი, რომელთაც ყვინი თავის ნებაზე დაჰყავთ და

აგონებენ, თუ თავისი სარგებლობა უნდა, არ გაუშვას ვახტანგი საქართველოში. ამიტომ საჭიროა იმ პირთა გულის მოგება, რის ქმნაც შეიძლება საჩუქრებით. ხოლო ამ საჩუქრების მიცემა ვახტანგს არ შეუძლია იმიტომ, რომ ცოტა ხანია, რაც მეფობს და დიდი ხარჯიც მოუვიდა.

თავის გულმოდგინებისა და სახიერების გავლენით თუ აწ ინებებს ყოვლად ქრისტიანე ხელმწიფე და შეეწევა ამ მეფეს, საუკეთესო საშუალება ამისი სისრულეში მოყვანისათვის ის არის, რომ ინებოს და ერთი თავისი საიმედო პირი გაგზავნოს და მასვე გაატანოს ვახტანგისათვის საჭირო ნივთიერი შემწეობა, რათა იმან შეიძლოს სპარსელთ მოწინავე პირთა გულის მოგება. ასევე სპარსეთის მეფეს ერთი წიგნი მისწეროს და სთხოვოს, რომ მან უბრძანოს საქართველოს მმართველებს, რათა ფრანგებს, რომლებიც აქ გაატარებენ თავიანთ საქონელს სპარსეთში წასაღებად, შიში არაფერისა ჰქონდესთ“.

დ) ლუი XIV-სთან მეორე აუდიენციის დროს სულხა-საბას მიერ წარმოთქმული სიტყვა (1714 წ.)^[128]

„პატივი გვაქვს მივართვათ თქვენს ხელმწიფებას წერილი, რომელიც ჩვენმა წმინდა პაპმა კეთილინება და გამოგზავნა საქართველოს მეფის ვახტანგის სასარგებლოდ. მათი უწმიდესობა ამითი ჩვენ ძვირფას შემთხვევას გვაძლევს, რათა მეორე გზის წარვსდგეთ თქვენის მეფობის ტახტის წინაშე, რაის ნებაც კეთილ ინებეთ და გვიბოძეთ. ამ თქვენის მოწყალეების განმეორება საკმაოა ჩვენს დასავალებლად, რათა მარადის გამოუთქმელის სიამოვნებით მოვიგონოთ ეს ჩვენი მოგზაურობა, კიდევ რომ ღვთის ნებით სხვა აღარც ერთი სასარგებლო ნაყოფი მოჰყვეს.

რა დიდი ბედნიერებაა აწ ჩვენთვის განვაცხადოთ, რომ ღირსი გავხდით დავსწრებოდით და გვეხილა ყოველივე ის, რაც სხვებს შორიდან აკვირებს და აოცებს, ვინაიდან ჩვენი თვალით ვიხილეთ თქვენს დიად ხელმწიფებაში არა მარტო სოლომონის სიბრძნე და ბრწყინვალება, არამედ ღვთის სარწმუნოება და სასოებაც.

დიდებულო მეფეო, სწორედ ამ სასოებით არის, რომ თქვენი

ხელმწიფება შეიქმნა მეფეთა შემწე და სარწმუნოების მფარველი თვით იმ დაშორებულ ადგილებშიაც, როგორც არის ჩვენი ქვეყანა“.

ე) რომის პაპის კლიმენტი XI წერილი ვახტანგ VI-სადმი (1714 წ.)^[127]

„...ბრწყინვალე და უძლეველო მეფე, მშვიდობა და ღვთის მადლის ნათელი. არ შეგვიძლია სიტყვით გამოვაცხადოთ, თუ რაოდნად გაგვახარა ამ წარჩინებულ ქალაქში მოსვლით ჩვენმა საყვარელმა შვილმა, საბა-სულხან წმიდა ბასილის მონაზონმა და თქვენმა ნათესავმა. ბევრი რამ გვიამბო ისეთი, რაც მაგ მხარეში კათოლიკე სარწმუნოების წარმატებას ხელს შეუწყობს. რა ესცანით თქვენი დატყვევება სპარსეთის მთავრობისაგან, ძლიერ შევწუხდით, ვინაიდან თქვენი ძლიერი და განუწყვეტელი დახმარება კათოლიკე სარწმუნოებას დიდად შეეწევა. ამიტომ ჩვენც არაფერი დავზოგეთ, ყოველი ღონე ვიღონეთ, რათა თქვენ გელირსოთ მალე განთავისუფლება და თქვენს სამთავროში მობრუნება, ვითარცა ამას ვრცლად მოგახსენებს ეს ხსენებული მონაზონი. აწ უფლისა მიერ მამობრივის სიყვარულით შეგაგულიანებთ, რათა ყოველი შეწუხება და სატანჯველი, რომელიც ხშირად შეგემთხვევა ამ ცრემლის ხევში, მოთმინებითა და მხნეთ იტვირთოთ და ამნაირად მაგ შეწუხებისგან გამოიღებთ ნაყოფს. თუმცა კარგად ვუწყით, რომ თქვენ არ გჭირიათ გამხნეება. რათა მსგავსად თქვენ წინაპართა, კათოლიკე სარწმუნოება, მისი აღმსარებელნი და მისი მოძღვარნი დაიფაროთ და შეეწიოთ მათ. გარნა, რადგან ეს ჩვენთვის მწყემსებრივის ვალდებულების უმთავრესი საზრუნველია, ამიტომ სულ არ დავდუმდებით, არამედ დიდად დაგავედრებთ და ვთხოვთ, რაც თქვენის ნებით ჰყოფთ მათ სასარგებლოდ, ინებეთ მისი ქმნა ჩვენ გამო, რათა უფრო გულმოდგინებით იყოს. ვინაიდან ესცანით, რომ თქვენი ხელმწიფება დიდათ მოწადინებული ყოფილა კათოლიკე ეკლესიასთან შეერთების და აღთქმაც დაუდვია, ამის გამო ჩვენც გირჩევთ, რათა დაუყოვნებლივ აღასრულოთ ეგ თქვენი სასარგებლო და საჭირო სურვილი, რომ მით მიაგოთ ღმერთს, რაც აღუთქვით. უკეთუ ეს აღასრულოთ, თქვენის სულის საუკუნო ცხონება უზრუნველჰყოთ. ეგრეთვე ჩვენც თქვენ-

დამი მამობრივის სიყვარულის გამოცხადება არ შევწყვიტოთ და რითაც კი შეგვიძლია, ყოველთვის შეგეწიოთ. აწ სიმდაბლით ვევედრებით ღმერთსა, რომლის ხელთ არიან გულნი მეფეთანი, რათა სრულჰყოს თქვენში ის საქმე, რომელიც დაიწყო, განმატკიცოს და დიდხანს უნებლად გაცოცხლოთ და მოგანიჭოთ ცხოვრების ყოველგვარი ბედნიერება.

რომით, 17 აგვისტოს 1714, ჩვენი მღვდელმთავრობის მეთოთხმეტე წელსა“.

ვ) სულხან-საბა ორბელიანი მისი რომში ყოფნისა და პაპთან შეხვედრის შესახებ (1714 წ.)^[129]

„ოცდა ცხრა თიბათვე იყო, რომ რომს შევედით. წმიდის პეტრეს დღეობას რომაულის ანგარიშით თერთმეტი დღის წინ გაველო. ოცდა ათს იენისს ჩვენთვის მოვისმინეთ. კარდინალები უწინ არავისთან მივლენ სანახავად, სანამდისინ სხვანი არ ნახავენ.

ერთს მკათათვეს ფრანციცის კარდინალი მოვიდა. კარამდინ არც გამიგება, არც გამიყოლა, ვითომდა ჩემს სანახავად არ მოსულაო. მიალერსა და წაბრძანდა. ორს მკათათვეს წმიდისა ბასილის ბერების პეტი მოვიდა და სხვა ეპისკოპოსები და წინამძღვრები ჩემს სანახავად. შეგვაჭირვეს. მრავალნი მოვიდნენ და გვიალერსებდენ.

სამს მკათათვეს წმიდა პაპას ეტლი ებოძა. „წადით, ჯერ უწინ ჩემი თავი ნახეო და მერმე მე მნახეო.“ წამიყვანეს წმიდის პეტრეს ეკლესიაში. მისავალზე შუკის თავს ერთი მომცრო მინდორია. ოთხ პირად მრგვალად ორმოც-ორმოცი ქვის სვეტია ამართული, თვითო ექვს ადღს უმაღლესა, სამ კამარად შეკრული, მოსწორებული და ზეიდამ სულ წმიდათ სახეები ქვის, გათლილი დგანან...

ხუთს მკათათვეს წმიდა პაპასთან წამიყვანეს. საზაფხულო სახლებში იდგა. რომის შუაგულობას არის. წმიდის პეტრეს ეკლესია რომის თავს არის, უფრო მოდაბლო ადგილია... სასახლის ქება მრავალგან სწერია და თქვენც იცით, რომ პაპის სასახლე უარესი არავისზე იქნება. რაც სახლი შევიარე, სრული წითლის ქამხის ფარდაგები იყო, ოქრომკედლის აშიებით ხშირად დაკერებული. და წინ რიგის რიგისად კარისკაცნი და დარბაისელები დგანან და მერმე

მღვდელნი და ეპისკოპოსნი. მაშინ კარდინალი არავინ იყო, ამისათვის რომ ხალვათ გენახა, გამოჩვენებით არა გენახა.

შემიყუანეს. მომცრო სახლში იჯდა. ერთი კართან გვათაყვანეს, ერთი შუა სახლში და მერმე ფეხს გვაკოცნიეს. თავზე მომეხვია და, ჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა, ფეხზე დამაყენა. მე დაბლა ბოლო ვდგებოდი. გვერდს ახლო მომიყვანა. მომიკითხა. მიალერსა. მე მოვახსენე: წმიდავ მამავ მეთქი, რა შენმა შვილმა, მტკიცე ქრისტიანმა თუსი საქმე შენზე მიაგლო, მაშინვე გულსავსე შევიქენ, ყველა გამირიგდება მეთქი. მაგრამ სიგვიანე ვახტანგ მეფეს არას არგებს. ავს ალაგს არის მეთქი. მიბრძანა: ჩემი სისხლი რომ მთხოვო, ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ იმასაც დასაქცევლად მოგცემო. მაღლი გარდავიხადე და მოვახსენე: მე ვხედავ, ვახტანგის მოუსვლელიობით ქრისტიანობას დააკლდება ჩემს ქვეყანაშია და მოსვლით მართლმადიდებლობას მოემატება მეთქი, თვარა მე სხვა საქმე არა მაქვს რა. მოხუცებულს სიმეონსავით გეხვეწები: აწ განმიტევე მეთქი. გამიცინა და მიბრძანა: მე შენთვის ღ-თს ვეხვეწებიო, დიდი დღე მოგცესო, შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთოო. წამოველ. საკრიპანტი კარდინალი და პაპის ძმისწული კარდინალი ენახე. სამს სახლს გარეთ გამომეგებნენ. საკრიპანტმა წინ დამისვა. იმ სხვამ გვერდს მომისვა. მიალერსეს. საკრიპანტი კიბის თავამდინ მომყვა. ის სხვა ორს სახლს არ გამოსცილდა.“

რომის პაპის წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი (1715 წ.) ^[127]

„ჩვენს საყვარელ შვილს, წმიდა ბასილის წესის მონაზონს, საქართველოს თავად სულხან-საბას, პაპი კლიმენტე XI.

საყვარელო შვილო მონაზონო, მშვიდობა და მოციქულებრივი კურთხევა, თანახმად შენის ნატვრისა და თხოვნისა, გადავწყვიტეთ გამოვაგზავნოთ ამ მოკლე ხანში მოციქულებრივი მისიონერები მაგ მხარეს. თუმცა დიდათ დარწმუნებული ვართ შენს მხურვალებაში, რომლისაც მრავალნაირი და წარჩინებული ნიშნები გვიჩვენე ამ ბრწყინვალე ქალაქში ყოფნის დროს და მზად ხარ შეეწიო, მაინც კი

კვლად და კვლად დიდის თხოვნით, დაგავედრებთ მათ, რათა შენი გულკეთილობის ნაყოფი უჩვენო და შენი ძლიერი მფარველობა არ მოაკლო. უწყოდე, რომ ჩვენთვის მეტად სათნო საყოფელი იქნება და ბევრს გვასიამოვნებ ყველა იმ სამსახურით, რასაც შენის გულკეთილობით და პატიოსნებით მიაგებთ მათ, რომ შეძლონ ყველა თავიანთი მოციქულებრივი სამსახურის აღსრულება. როდესაც შემთხვევა მოგვეცემა, კიდევ გამოვიცხადებთ ჩვენს მადლობას. აწ, დაუცხრომლად ვევედრები მოწყალე ღმერთსა, რათა ნაყოფიერ ჰყოს ამ მისიონის წმიდა მოღვაწეობა და შენც წარგიმატოს ზეციური მადლი და მასთანვე მოგანიჭოს ყოველი ბედნიერება. ჩვენი მამობრივის სიყვარულის ნიშნად განიჭებთ მოციქულებრივ კურთხევას. რომით, 7 მაისისა 1715 წ“.

ვახტანგ VI-ის სიბჟელი პეტრე I-სადმი (1722 წ.)^[124]

„ ... ჩვენ მონდობილნი თქვენნი და მსახური სრისა თქვენისანი დავითიან, სოლომონიანი, მეფე ქართლისა, ვახტანგ,¹ აღვიპყრობთ ხელთა, ვმადლობთ და ვევედრებით შემოქმედსა არსთასა დიდებისა და დღეთა სიმრავლისა თქვენისათვინ, რომელმან მოგცა ძლევა უბძოლველი: ეს მოვახსენოთ მაგათს ამაღლებულს კარსა ზედან, რომე მაგათი საბატიო კაცი ივანე ანდრია შვილი² ებოძათ და რომელიც მაგათი ბედნიერი კელმწიფობისა ბძანება იყო, შევიტყვევით. ჩვენ ამის მოსვლამდინ ჯარი შეეყარეთ და განჯას მოვედით³ და ამის მომლოდინენი ვიყავით, რომე სადაც კელმწიფის ბძანება მოსული იყო, იქი ვხლებოდით: ამაში ეს ივანე ანდრია შვილი მოიწია და რომელიც დავედრებული ამბავი მოგვიტანა ის მოვისმინეთ, იმაზედ გამოვბრუნდით, თუცა, ამ საქმით, ყენიც დაგვემდურა, კახი ბატონიც¹ აგვეშა-

¹ ვახტანგ VI (1675-1737 წწ.). ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-1714 წწ. მეფე 1716-1724 წ.

² 1722 წ. ასტრახანში მყოფმა პეტრე I-მა ვახტანგთან გამოგზავნა პოდპორუჩიკი ივანე ანდრიას ძე ტოლსტოი.

³ ვახტანგი განჯაში 1722 წ. აგვისტოსაკენ გაემგზავრა ქართველთა ჯარით.

ლა და ხონთქარიც წყინობს და იმუქრების. მაგრამ, ჩვენ ჩვენი თავი მაგათ ერთგულობასა და სამსახურზე დაგვიძს, რაც უნდა გარდაგვხდეს, წამებად შეგვირაცხია, ოღონდ ეს იქნას, რომელიც იმედი და წყალობა უბძანებიათ. ვიაჯებით მაგათს მაღალს ხელმწიფობასა, რომე რაც იმედი გვაქვან აღგვისრულონ და შეწუხებული არ დაგვაგლონ: ახლა, რომე ამ კაცის კელით წიგნი ებოძათ, ის წიგნი, ყენის შვილია შა-ზადა, იმას გაუგზავნეთ, რომე ეგების ამ საქმით, ჯერ ხანათ ამის მტერობას მოვრჩეთ: აგრეთვე ხონთქართან კაცი და წიგნი გავგზავნეთ, რომელიც იმათი მუნასიბი და მართებული სიტყვები იყო ეს მოვახსენეთ: გვაქეს იმედი, მაგათის ბედნიერობით ამ გზობის ლაშქრობას მოვრჩეთ და მოვაძლევინოთ: კახი ბატონი არის და ვგონებთ, მაგათის ძალით, არა შევაძლებინოთ რა: ამ ყენის ამბავი და ხსენება არა არის რა. მტრისაგან დიად შეწუხებული არის: ჩვენ კვალად ამასვე ვეაჯით და მაგათს კელმწიფობას შორით თავს დაუკრავთ, რომე, თუ მაგათი მობძანება გვიანობდეს, ერთი რიგი ასეთი ცხენოსანი ჯარი ადრე გამოაჩინონ და მოგვაშველონ, რომე ჩვენ და ამ ქვეყანას ეიმედებოდეს და ზურგად მოებმოდეს: ამის უფრო გრძლად მოხსენება და თავის წყენა ველარ გაებედეთ. სხვას ჩვენს სიტყვას ივანე ანდრია შვილი მოახსენებს. მაგათაც ასე ებძანათ და თვითან აქ შევინახეთ, მაგათ ბძანებამდინ აქ ვამყოფებთ.“

ვახტანგ VI-ის სიბედი კიტრე I-სადმი (1722 წ.) ^[124]

„მეფეთ მეფევ:

ქ. ღვთისაგან სვე-სვიანობით, დიდებით ამაღლებულო და მის მაგიერად ქვეყანაზედ მოსამართლედ დადგინებულო, იალუსალიმის ბურჯო და ხარისხო, ქრისტეს საფლავის კანდელო დაუნელებელო ნათლისაო, ოთხთავე პატრიარქთა გვირგვინო ბრწყინვალეო, ყოველთა ქრისტიანეთა და ჯვარის მოსავთა სიქადულო, ზღვისა და ხმელეთის მჭირაო პატრონო... ჩვენ მონდობილნი თქვენნი და მსახური

¹ ამ დროს კახეთს განაგებს კონსტანტინე II (მამად ყული ხანი). ურკელე I-ის შვილი ნაშობი მხეველისაგან. კახეთის მეფე 1722-1732 წწ.

სრისა თქვენისანი დავითიან, სოლოჲონიან, მეფე ქართველთა, ვახტანგ. აღვიპყრობ ხელთა და ემადლობ შემოქმედსა არსთასა და ვევედრები და დღეთ სიმრავლისა თქვენისათვინ: ამას მოვახსენებ ამალლ კარზედან. ჩვენთინ წამოსვლა და ლეკის მტრობა რომ ებრძანა, წამოვედით და კარგა ხანი არის აქ ყარაბაღში ვლგევართ. ვინცავინ აქათი ლეკნი არიან, შიშით თავის სახლიდამ ვერ დაიდრნენ. ერთი სულთანი არის, ისიც შემორიგებას გვეხვეწება, მაგრამე, კახი ბატონი, რომე ჩვენთან ქიშპი და მტერი არის, ეს ზურგს აბამს, უნდა რომე ჩვენი სამსახური ხელმწიფესთან არ გამოაჩინოს. მაგრამე, გვაქვს იმედი, ღთისა და მაგათის ბედნიერობითა, რომ ამათ არ შევაძლებინოთ რა: ჩვენ აქამდინ შირვანსაც გამოვიდოდით, მაგრამ, მაგათი ბძანება, რომე არ მოგვივიდა, ის გვაგვიანებს: აწ, ჩვენგან რჩევა და მოხსენება არ იკადრების, მაგრამე, ვითამც ამ ალაგების ბელადობა გვეთქმის, იმიტომ მოვახსენებთ. აქათს ქვეყნებს დაგვიანება აღარ უნდა, ამიტომ რომე აქაური საქმეები დიად არეული არის და ერთი ასეთი არ გამოვარდეს რა, რომე აქათური საქმე არ წახდეს. თუ კელმწიფე ჯერ მანდაურის საქმესაგან მოუცლელად ბრძანდებოდეს და აქათ წამობძანება იმიტომ გვიანდებოდეს, ეს მაინც იქნას, ერთი მაგათი ასეთი ჯარი შირვანს მოვიდეს, აქედან ჩვენ ვიქნებით, შევიყრებით და ყოველი საქმე ღთით გარიგდების. ერეენამდინ რაც ალაგია დავიჭერთ და ვეცდებით რომე ერეენიც დავიჭიროთ. თუ ხელმწიფე აღრე გამობძანდების, ჩვენც გვერთ ვეახლებით, თორემ, სადაც ვართ ჩვენი თავი ხელმწიფის სამსახურზე დაგვიძსთ და მაგისნი ვართ: აქაური ამბავი ესე მოვახსენოთ. ყენს მირვეისის შვილმა კიდევ უფრო საქმე გაუჭირა, არც შემსვლელიდა არის არც გამომსვლელი. შვილი ყაზმინსა ჰყავს, ჯარს ცდილობს, მაგრამე, ვერეინ იშოვნა. ჩვენ წიგნსა გვწერს ჯარის მიშველებას გვიკეთოს, მაგრამ, ჩვენ თქვენის ბძანების მაყურებელნი ვართ: წამოვიდა ქრისტეს აქათ ჩღკბ, ოკდომბერს დ:

გვაქვან იმედნი ღთისა მრავალ მოწყალისაგან, რათა აღრე ღირს ვიქმენით მთხვევასა ფერხთა თქვენთასა.“

„... მე, მსახური თვით-მპყრობელობისა მათისა, მეფე ვახტანგ, მოვახსენებ ამას, რომ მაგათი გამობძანება რომ ებძანათ და ჩვენ წინ მოსაგებებლად განჯას ჩამოვედით, კახი ბატონი შურად აგვიდგა. აქეთ ყენს მისწერა. „დიდი კელმწიფე მოყავსო,“ და რადგან ერევნის ხანი შეიქნა, იქით აზრუმის ფაშას ყენმა ერევანი და ყაზახი და შამშადილუ მისცა და ჩემი მტერობა უბძანა. დამიწყო მტერობა, მაგრამ ვერა გვიყო რა: მერმე, აზრუმის ფაშამ ხვანთქარს მოახსენა, იქილამ იმისთვინაც ებძანათ ჩემი მტერობა. მოვიდა აზრუმის ფაშა, ჩვენს სამძღვარზე დადგა, კაცი გამოგზავნა. „გვეყმო“. ჩვენ უარი უთხარიტ. ამან ყენს წიგნი მისწერა. „წახდინეო.“ ყენმა ქართლი კახს ბატონს მისცა, კახი ბატონი ყიზილბაშის ჯარით მოვიდა ალვაბარში. აქეთ ჩვენ ქართველნი მოგვიდგნენ და ყოველთვის ბძოლა გვაქვს: რა ეს ურუმა ნახა, კაცი გამოგზავნა. „თუ არ გვეყმობიო, ჩვენ აქედამ მოვალთო.“ მაგათი გამობძანება ხომ ჯერ გვიან იყო, ჩვენ ხომ ორის კელმწიფის ბძოლა არ შეგვეძლო, ჩვენ ხონთქრის ყმობა შეუთვალეთ, თუ მაგათი გამობძანება გვეღირსება, მანამდის თავს შევინახავთ, მერმე, მაგათი მოსამსახურე ვიქნებით თუ არ მოხდა და თუ გაგვიყვანებენ მაგათთან, გვიმყოფებენ, კიდევ დიდი წყალობა იქნება. თუ არა და მადლი ღმერთსა, რაცა გვეჭირს, ყველა ჩვენის ცოდვით არის: ეგენიმც მრავალ ჟამ სუფევენ.“

„ქ. მსახური... მათისა, მეფე ვახტანგ, მოვახსენებთ მაღალს კარზე ამას, რომ, რომელიც ამას უწინ მოვახსენეთ აქაური საქმე, იმ გვარად მოხდა. ახლა ჩვენის ცოდვისაგან ერთი ანაზდი რისხუა მოგვევლინა, რომ ყოველივე მაგათის დიდებულობის მსახურმა, ივანე ტოლსტოვიმ ანდრია შვილმა¹ და კნიაზ ბორის თურქისტანის შვილმა² იცინა: ჩვენ

¹ იხ. გვ. 352. შენიშ. 2.

² ბორის თურქესტანიშვილი, იგივე ბაადურ თურქესტანიშვილი. XVIII ს-ის I ნახ. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. დიპლომატი. იგი აწარმოებდა ვახტანგ VI და აქტრე I-ს შორის მოლაპარაკებას.

ჩვენის თავის ამ საქმეზედ წახდენა სიხარულად შეგვირაცხია, თუ მაგათის დიდებულობის შარავანდელი, ან აქ გვარგებს, ან მანდ გაგვიყვანს, კარგია. თუ არა და ჩვენი ქვეყანაცა და ჩვენცა საეჭველი არ არის საურჯულოდ გახდება.“

პასტანგ VI-ის სიბედი კმტრე I-სადმი (1724 წ.) ^[124]

„ქ. მდაბალი მონა და მსახური მაღლის... მე, მეფე ვახტანგ, ამას მოვახსენებ კარსა ცათა მობაძავსა. ჩვენი გამოსულა და დიდებული ბძანება ექნათ და წყალობა ჩვენი გამოყვანა და წამოვედით ძლიერი და უძლეველი მაგათი ჯარი მაიორ იანარალის გაბრიელ სვიმონის შვილის გამოეგზავნა. ამათის ძლიერებით და გარჯით უზიანოდ გამოვედით და აქ, ბედნიერს ჯვარის ციხეში მოვედით აგვისტოს (ლა), ვართ აქ მაგათი მლოცველი. მინდოდა მარტო სანამდინ ზღვა წახდებოდა ვხლებოდი და მაგათი ფეხის მთხვევანა გვღირსებოდა, მაიორ იანარალიმაც ხელი მოგვიმართა, მაგრამ, რადგან მაგათი ბძანება აქ არ დაგვხვდა, ვეღარ გაუბედეთ და ვართ აქ, დიდებულის ბძანების მაყურებელი: ჩვენი გაჭირება და ჩვენის ქვეყნის ამბავი ამას უწინ ბევრჯელ დიდებულს კარზედ მოგვიხსენებია, მასუკანდელი წიგნის სიგძისათვის ამ წიგნში ვერ გაუბედეთ, წიგნად ჩემის დის ბატონის შვილის დარეჯანისთვის მოგვიწერია: ჩვენი ზემო-ქართლის სარდალი, კნიაზი ამილახორი ვახტანგ ავთანდილის შვილი და კნიაზ ფრანგისტან დავითის შვილი გვიახლებია და თუ უბრძანებენ, ჩვენს სიტყვას ესენი მოახსენებენ. სხვა ნება მაგათი არის.“

მსანია პასან ჯალალიანცი ქართველთა
ბანჯაზე ლაშქრობის, პასტანგ VI-სა და
კმტრე I-ს შორის ურთიერთობის შესახებ
(1721-1723 წწ.) ^[130]

„ლეკებმა გაილაშქრეს ქალაქ განჯაზე და თორმეტ დღეზე მეტ ხანს გარს ედგნენ (ქალაქს), მაგრამ ვერაფერი გაახერხეს, რადგანაც მოქალაქენი შიგნიდან წინააღმდეგობას უწევდნენ. უფრო კი

იმიტომ, რომ განჯელებმა წინასწარ შეიტყვეს ლეკების გამოლაშქრების შესახებ; ქალაქის დიდებულები და წარჩინებულები წავიდნენ ქალაქ თბილისში ქართლის მეფე ვახტანგთან (და სთხოვეს) მათ დასახმარებლად წამოსულიყო. იმანაც ალუთქვა წამოსვლა. ამათობაში ერთი მეორის მიყოლებით მოვიდნენ შიკრიკები და მაცნენი და ხმა დაარხიეს, რომ მათ ფეხდაფეხ მოჰყვებოდა ვახტანგ მეფე ლეკებზე გასალაშქრებლად. როდესაც იგი შამქორს მივიდა, ლეკებმა დაიწყეს მდინარე მტკვრისაკენ უკან დახევა და ასე ერთი მეორის მიყოლებით სამი დღის განმავლობაში დატოვეს ის ადგილები, გადაიკარგნენ თავიანთ ქვეყანაში და (განჯაში) გაწყდა მათი სახსენებელი.

ხოლო ქართველთა მეფე ვახტანგი მოვიდა მრავალრიცხოვანი ლაშქრით, რომელიც 40 ათასზე მეტ (მეომარს ითვლიდა), და დადგა ქალაქ განძაკის სამხრეთით...

მოქალაქეებმა სიტყვით მიმართეს მას და უთხრეს: „ლეკები ჩვენზე და ჩვენს ქვეყანაზე ვერ გამოილაშქრებდნენ, რომ ჩვენი მეზობელი და მახლობელი ტომები მათი ერთგულები და კეთილმოსურნეები არ იყვნენ. (ლეკები) მათი წაქეზებით მოვიდნენ, რადგანაც ისინი ერთმორწმუნენი, ერთი რჯულისა არიან და სუნიტობას აღიარებენ. თუ შენ დიდი შაჰის ერთგული და მოსურნე ხარ და ჩვენც გვემგობრობ, გევალება მათი დატყვევება, დარბევა და გაძარცვა“... განჯელთა წაქეზებით, რომელთა მმართველი იყო ჯავად-ხანი, ვახტანგმა უბრძანა თავის ჯარს თავს დასხმოდა იმათ, ვიზედაც მიუთითეს...

შემოდგომის დადგომისთანავე, სექტემბრის თვეში ვახტანგი კვლავ დაიძრა განჯისაკენ შემდეგი მიზეზის გამო. სპარსელთა სახელმწიფო ძალზე დასუსტდა და დაქვეითდა... (სამაგიეროდ) უფრო გაძლიერდნენ მისი მტრები, განსაკუთრებით კი დიდი თვითმპყრობელი კეისრები რუსებისა, ე. ი. მოსკოვის ხელმწიფე პეტრე და ურუმებისა, კონსტანტინეპოლის მფლობელი ოსმალოთა (სულთანი). მათ დაიწყეს თავიანთი ჯარების გაგზავნა სპარსელთა ქვეყანაში. რუსებს უნდოდათ დახმარებოდნენ სპარსეთის ხელმწიფეს, ხოლო ურუმელები ისწრაფოდნენ ხელთ ეგდოთ (სპარსეთი) და ამბობდნენ: სხვებს სურთ დაეპატრონონ ამ ქვეყანას, მაგრამ იგი ჩვენ გვეკუთვნისო, რადგანაც ძველთაგანვე ჩვენი იყო ატროპატაკანო. ამ მიზეზით დაიწყო ორივე მხარემ შიკრიკების

გზავნა ქართველთა მეფე ვახტანგთან. ერთი მოთხოვდა მე დაიჭირე მხარი და დამემორჩილეო. მეორე (არწმუნებდა) ერთი რჯულისა ვართ და ამიტომ ვალად გდევს ჩემი დაჯერება და ჩემთან მოსვლაო. რადგანაც ხელმწიფე პეტრეს ვახტანგთან დადებული ჰქონდა პირობა და (ლაშქრობის) დროც დანიშნულდი იყო, ამიტომ ამ შემოდგომაზე ოქტომბრის თვის დასაწყისში, თვითონ ქალაქ შემახას მივიდა, ხოლო მას დაავალა თადარიგი დაეჭირა.

მაშინ სპარსელთა ხელმწიფემ, რომელიც ტახტისა და თავისი სიმაღლიდან ჩამოვარდნის საშიშროების წინ იდგა, სასწრაფოდ გაუგზავნა ვახტანგს ფირმანი: „შენ გაძლევ განჯის ოლქისა და მთელი ატროპატრაკანის მმართველობას და გნიშნავ იმ მხარეთა ყველა მფლობელის უფროსად და მთავარსარდლად, ამიტომ დაუყოვნებლივ შეკყარე ლაშქარი, წამოდი განჯაში და მოუარე და დაიცავი ხსენებული ქვეყნები ჩვენი მტრებისაგან“-ო. როდესაც ვახტანგმა შაჰის ბრძანება მიიღო, იგი ღრმა საგონებელს მიეცა: ორი თვითმპყრობელი მაიძულებს, რომ მათ მივემზრო, მე კი მევალება მესამის ბრძანების შესრულებათ. ურუმელნი სხვა სარწმუნოებისა და უცხონი არიან ჩვენთვის და ამიტომ სურთ ჩვენი ქვეყნის ძალით დაპყრობათ. აქეთა მხარე, ე. ი. სპარსეთის ხელმწიფე, ჩვენი ძველი პატრონია, ხოლო მესამე ჩვენი თანამორწმუნე და ქრისტიანი ხელმწიფეა და ძალზე ძლიერიად. ავდგები და წავალ მათი მოთხოვნის თანახმად და ვისაც გაუმარჯვებს, იმის ბრძანებას შევასრულებო.

დაუყოვნებლივ ბრძანა ჯარი შეეყარათ. სასწრაფოდ შეაგროვეს ქართველებისა და სომხების დიდძალი ლაშქარი და არავინ დარჩა ისეთი, რომ მეფეს თავისთან არ წაეყვანა. მათთან ერთად მეც წამომიყვანა... თბილისიდან [ვახტანგ მეფე] დაიძრა უზარმაზარი ჯარით... მივალწიეთ გატეხილის ხილამდე, რომელსაც ანდქორფუსს უწოდებენ.

იმ ადგილას... ვახტანგმა თავისთან დამიბარა და მიბრძანა, რომ ვიდრე იგი ჩვენი ქვეყნისაკენ, ყარაბაღისაკენ გამოემართებოდა, ჩვენ წავსულიყავით სომეხთა ლაშქარში, რომელიც იქაურ მელიქებს შეეყარათ და რომელსაც ოთხი ახალგაზრდა სახელად ავანი, შრუანი, შაჰნი და სარუხანი სარდლობდა. მათ ასისტავებს და იუზბაშებსაც უწოდებდნენ.

ვანტანგის განჯას პირველად მოსვლისა და უკნ დაბრუნების შემდეგ, სპარსელთა ხელისუფლების შერყევის დროს მათ ყარაბაღის მელიქებთან ერთად შეპყარეს და შემოიკრიბეს აღვანქის გულადი, მამაცი და ძალოვანი ყმაწვილკაცები და ახალგაზრდები. მათთან ერთად შექმნეს მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც 12 ათასზე მეტ მეომარს ითვლიდა და გამაგრდნენ არცახის მიუვალ ადგილებში.

ამჟამად, როდესაც შეიტყო ვანტანგმა მათ შესახებ სასწრაფოდ გაგვეზუნა, რათა ისინი გაწრთვნილ-შეიარაღებული ჯარით მასთან მოგვევანა. ბრძანების თანახმად მივედით და მოვაწესრიგეთ ის ლაშქარი... და დაახლოებით ათი ათასი რჩეული და შეიარაღებული მეომარი მღვდლებ-ის და ღვთისმსახურთა დასთან ერთად დიდი სიხარულითა და ზეიმით წამოვიყვანეთ. გვეგონა რომ კვლავ აღსდგა სომეხთა სახელმწიფო. წავედით და დავდექით განჯის მახლობლად, ჩოლაკის სახელით ცნობილ ადგილას. სამი დღე აქ გავატარეთ. რადგანაც ვანტანგ მეფეც ბანაკად იდგა ქალაქის მოპირდაპირე მხარეს, წყლის ნაპირზე, რომელსაც ლოჩლარის მდინარესა და შავ არხს უწოდებენ, ამიტომ სამი დღის შემდეგ გვიბრძანა მასთან მივსულიყავით. ჩვენც ავდექით და გავემართეთ. როდესაც მიუახლოვდით მის ბანაკს, მაშინვე უბრძანა თავის მეომრებს წინ გამოგვეგებებოდნენ და პატივისცემით მიეღოთ ჩვენი თავი.

ასეთი დიდი სიხარულით შეხვდა ერთმანეთს ორივე მხარის ლაშქარი და მსგავსად ომის წესისა ერთიმეორის პირდაპირ დაირაზმნენ. ჩვენი მამაცი ყმაწვილები წინ მიიწევდნენ და მიფრინავდნენ, სწრაფმავალი რაშებით და მორთულ მოკაზმული ცხენებით როკავდნენ (ვანტანგის ლაშქრის) წინ. ქვემეხების ხმისგან ჭექდა და გრგვინავდა არე-მარე და მტკვერგარეული ბოლი ელვით განათებული ღრუბლების მსგავსად ისე ფარავდა მზის ბრწყინვალებას, რომ მეომრები ძლივსღა არჩევდნენ ერთმანეთს. ასეთი ზეიმით მივედით და ჩამოექვევითდით მათი ბანაკის მახლობლად: როდესაც ვანტანგმა იხილა ჩვენი ლაშქრის ასეთი სვლა, სულით და გულით გაიხარა. მაშინვე გამოგზავნა შიკრიკი და თავისთან მიგვიხმო, სარდლებად განაწესა ყმაწვილები (ოთხი იუზბაში) და მელიქები და გამამხნეველი სიტყვებით დაგვაიმედა, რწმენა ჩაგვიდგა და მოგემართა: „ამიერიდან გამხნევდით და ვაჟკაცურად იყავით, ისე როგორც თქვენს ძლევა მოსილებას შეეფერ-

ება, ნურაფრისა და ნურავისი ნუ შევეშინდებით, რადგანაც აპა უკვე მოაწია ქრისტიანთა ხსნის ეამმა“.

ასეთი სიტყვებით მოგემართავდა და ძალზე მაღლიერი იყო ჩვენი. მეორე დღეს ყველა სარდალი საპატიო ხალათებით დაასაჩუქრა. მასთან დაყვავით ოცდახუთი დღე. იმის მიზეზი, რომ იგი ჩვენ ასეთი სიყვარულით გვეპყრობოდა, უპირველესყოვლისა იყო, ის რომ გუ-ლით უყვარდა სომხები... ამიტომ სწადდა ხსენებული ლაშქარი და პირველ რიგში სომხები თბილისელების მსგავსად უშუალოდ თავისთვის დაექვემდებარებინა. მეორეც მას სჯეროდა და დარწმუნებული იყო რუსეთის დიდი კეისრის პეტრეს მოსვლაში, ამიტომ სურდა სომეხთა და ქართველთა მრავალრიცხოვანი ლაშქრით მთელი ბრწყინვალეობით მიჰგებებოდა მას.

მაგრამ პეტრეს (განჯისკენ) წამოსვლის ცნობის დიდ ცდასა და ლოდინში რომ ვიყავით, ჩვენმა ცოდვებმა უსწრო მის გამოჩენას. (რადგანაც შევიტყუეთ), რომ იგი მიადგა რკინის კარს, ე. ი. დარუბანდს, რომლის მოსახლეობამ თავისი სურვილით ჩააბარა მას ციხე-სიმაგრე. მაგრამ არ ვიცი შემდეგ რა მოხდა: ზოგმა თქვა რომ ავადმყოფობისა და სხვა უბედურებისაგან დიდი ზარალი მოუვიდა რუსთა ხელმწიფის ჯარს და დაეხოცათ ცხენები, რადგანაც ამ ქვეყნის ჰავა მათთვის უჩვეულო იყო, ზოგმა კი გემების ჩაძირვა თქვა, რაც იარაღის, ე. ი. არსენალისა და ჯარის ჯამაგირის დაღუპვას ნიშნავდა; ზოგი სხვა მიზეზებს ასახელებდა. რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო (რუსთა ხელმწიფე) იქიდან უკან გაბრუნდა, მრავალრიცხოვანი ჯარი დატოვა დარუბანდში და დაპირდა, რომ მომავალ წელს კვლავ მოვიდოდა და გაემართა თავისი ქვეყნისაკენ.

ეს რომ ვახტანგმა შეიტყო, იმანაც დაიწყო მზადება თავის ქვეყანაში წასასვლელად. იმავე დროს ვახტანგს ამბავი მოუვიდა სპარსეთის ხელმწიფის კარიდან, რომ ქალაქი ისფაჰანი, შაჰი და მისი ჯარი ალყაშია მოქცეული და სადაც არის (ავღანელები) ხელთ იგდებენო. გარდა ამისა მივიღნენ შიკრიკები და აცნობეს, რომ შენ ძველ მტრებს სურთ დაეპატრონონ შენ ქალაქსო, ამიტომ სასწრაფოდ უკან უნდა დაბრუნდეო. ამის გამო, ვახტანგი საჩქაროდ აიყარა... და თავის ქვეყანაში თბილისში წავიდა.“

„მუხლი მეათე

ირანის ელჩის გამოჩენისა და ჩვენი მაღალი სახელმწიფოს სარდლების გაგზავნის შემდეგ (ორი მხარის მიერ) დაპყრობილი (ტერიტორიებიდან) ჩვენი მაღალი სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩეს: ჰამადანი, ქერმანშაჰანი, არდალანი, ლურისტანი, იეზდიგერდი, სულთანიე, ზენჯანი, აბჰარი, ზემო ტარუმი და აგრეთვე დაბები, სოფლები, სანაჰები, მიწები, მთები, უდაბნოები, გორაკები როგორც დასახლებული, ასევე აოხრებული, რომლებიც მდებარეობენ ტერიტორიაზე იეზდიგერდიდან ვიდრე ზემო ტარუამდე.

თავრიზის მხარეში მდებარე ციხეები და ადგილები;

განჯის, თბილისის და ერევნის მხარეებში დაპყრობილი, (ჩვენს) მფლობელობაში გადმოსული ტერიტორიები მთლიანად: ციხეები, ადგილები, დაბები, სოფლები, სანაჰები, გორაკები, უდაბნოები და მთები როგორც დასახლებული, ასევე აოხრებული, უწინდელივით ჩვენი მაღალი სახელმწიფოს ბატონობის ქვეშ დარჩეს.

მისი უდიდებულესობის, აშრაფ-შაჰის მბრძანებლობაში რჩება (ის) დასახლებული და აოხრებული ციხეები, ადგილები, დაბები, სოფლები, სანაჰები, მიწები, მთები, უდაბნოები და გორაკები რომლებიც აქამდე მის მფლობელობაში იმყოფებოდა.

მას შემდეგ რაც ორი მხარის მიერ საზღვრების დასადგენად გამოყოფილი (პირები), ჩაატარებენ საზღვრების აღწერას, დასვამენ სასაზღვრო ნიშნებს (გარკვეულ მანძილებზე და გამიჯვნას სათანადო სახეს მისცემენ, არც ერთმა (სახელმწიფომ) არ დაუშვას თავის მხრიდან მეორის მფლობელობაში მყოფი, მოპირდაპირე ადგილების დალაშქვრა, რაც ეწინააღმდეგება შედგენილი სასაზღვრო აღწერილობის წიგნის პირობას.

კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის სიგელი
რუსეთის იმპერატრიცა ანა ივანეს ასულისადმი
(1736 წ.) [124]

„ქ. ყოვლად უმოწყალესო და უბრწყინვალესო მპყრობელო, დიდო ხელმწიფეე, ჩვენი მბრძანებელაე ანნა იოან-უმნაჲ,¹ სულ რუსეთისაჲ, ჩვენ მაგათის დიდებულობის ბრწყინვალის მეფობის ხელქვეითნი, მამით და პაპით მაგათის ხელმწიფობის დიდებულობის საფარველს მაღალს ხელქვეშ მყოფნი, კახეთის მეფე თეიმურაზ,² მეფის ნიკოლაზის³ შვილი, ეს მოვასხენოთ მაღალს ხელმწიფეს... რადგან ჩვენი მამა-პაპანი თქვენის ნეტარ-ხსენებულის ხელმწიფეთ მამა-პაპათაგან ეს წყალობა სჭირვებიათ და იმათ საფარველს და იმათ ბედნიერს ხელქვეშ ყოფილან, რადგან ღვთითა და თქვენის ბედნიერობის იმედით მეც ქრისტიანე და ქრისტესწინ თქვენი მლოცავი ვარ, ამისთვის თქვენის თავის წყენა და ჩვენის თავის და ჩვენის ქვეყნის შემობრალეა გავბედეთ. თაყვანისცემით ამას ვეხვეწებით, ბედნიერმან და ქრისტიანობის ნათელმან და ყოვლის ქრისტიანობის პატრონმან ზემთა აღმატებულმან ხელმწიფემ, ჩემს მოხსენებას წყალობით მოხედოს, რომ მაგათის ქრისტეს მსგავსის მოწყალებით ჩემს სახლში და ამ ქვეყანას სარწმუნოება და ქრისტიანობა არ მოიშალოს. ჩემი საჩივარი და მოხსენება ეს არის. ყვენს რომ მტრები მოერივნენ და ქვეყნებში არეულობა შეიქმნა. ურუმისაგან⁴ ჩვენ ქვეყანას ძალი დაემართა, ურუმმა ჩემი ძმა მეფე კონსტანტილე⁵ მოჰკლა, იმასთან მრავალი დარბაისელი და ეფისკოპოზი და გლეხი დახოცეს და ქვეყანას ბევრი ავი უყვეს მტრებმა, დიალ შეგვაწუხეს, მაგრამ, ისე ჩვენის ქრისტიანობით ვიყავით, და მონასტრებს და წმინდათ საფლავებს ვმსახურებდით და მაგათის წყალობის მაყურებელნი და მაგათი

¹ ანა იოანეს ასული - რუსეთის იმპერატრიცა 1730-1740 წწ.

² თეიმურაზ II - კახეთის მეფე 1709-1715 წწ., გამგებელი 1733-1744 წწ., ქართლის მეფე 1744-1762 წწ.

³ იგულისხმება ერეკლე I (რუსული წყაროების მიხედვით - ნიკოლოზ დავითის ძე) - ქართლის მეფე 1688-1703 წწ., კახეთის მეფე 1703-1709 წწ.

⁴ ურუმნი - ოსმალები.

⁵ კონსტანტილე - კახეთის მეფე კონსტანტინე II (1722-1732 წწ.).

მლოცველნი ვიყავით. ამ დროს თამაზ-ხან¹ შამახიას მოვიდა და შამახია დაიჭირა. ჩემთან წიგნი მოუწერა, „რაც შეგეძლოს, შენც ურუმს უმტერეო“. რადგან ჩვენ ეს შევიტყვევით, რომ თამაზ-ხან თქვენს ერთგულობას ამბობდა და თქვენც იმისი მწყალობელი ბრძანდებოდით, რაც შეგეძლო, ჩვენც იმის ერთგულობას და სამსახურს ვეცადეთ: ურუმის ჯარი, ვეზირი და ფაშები რომ თამაზ-ხანის შესაბამელად წავიდნენ, ჩვენ იმათ ღამით თავს დავესხით, ისინი გავაქციეთ, ჯარი დაუფანტეთ და ურუმის ჯარის უფროსის ვეზირის ხმალი თამაზ-ხანს გაუგზავნეთ. იმის სამსახურს დიად ვეცადეთ, ერთს წელიწადს მულამ ჯარით იმის სამსახურზედ ვიყავით, იმის მტერს ვებრძოლეთ და ჯამაგირი არა ვსთხოვეთ. განჯას დამიბარა ჯარითა და ვიახელ. მასუკან, ერევანს დამიბარა, იქაც ვიახელ და რაც შემეძლო ვმსახურეთ. ახლა, რომ ერევნიდამ გამობრუნდა და თბილისს ქალაქს საქართველოში მოვიდა, ათასი კაცი მოლაშქრე მთხოვა და ჯარის საჭმელად პური და ქერი გვიბძანა და ყოველი მივართვით. და მერმე ეს გვიბძანა, „შენი ცოლი და შვილი და ორას ორმოცის დარბაისლის ცოლი ყიზილბაშის ჯარში ჩემთან მოასხიო“. ჩვენ ეს შევიტყვევით, რომ თუ ცოლშვილი იქ მიგვეყვანა, როგორც ამას წინათ შააბას ყვენსა საქართველო აუყრია, გაუთათრებია და ყიზილბაშში ჩაუსხამს, ჩვენც ეს ისე გვიპირობდა. რადგან ეს შევიტყვევით, ცოლ-შვილით ვერ მივენდევით, არზა მივსწერეთ და შევეზვეწეთ, „ცოლ-შვილის მოსვლას ნუ გვიბძანებ და სხვას რასაც გვიბძანებთ, ყველას გამსახურებთო.“ ამისთვის გაგვიწყრა და ლაშქარი გამოგვისია. ჩვენ მთის ალაგს დავიხიზნენით და ქვეყანას დიად ბევრი ავიუყვეს, მონასტრები მოაოხრეს, რაც მოიხელეს, ხუცები და მონოზნები წაასხეს, მრავალი კაცი ცოლ-შვილით აყარეს და დახოცეს და ტყვედ წაასხეს. აწე, მაღალს და ყოველთა ხელმწიფეთა უზესთაეს, ქრისტიანეს ხელმწიფეს თაყვანისცემით ვეზვეწებით, ქრისტეს მსგავსი მოწყალება ჩვენზედ მოიღოს. ერთი კაცი და წიგნი თამაზ-ხანთან გვიბოძოს, ჩვენ და ამ ქვეყანას ავს ნულარ გვიზამს, იმისგან სიკვდილისა და სჯულის დაგდების ფიქრი აღარა გვქონდეს, ჩვენი ქვეყანა კახეთი

¹ იგულისხმება ირანის შაჰი ნადირ-შაჰ ავშარი (1736-1747 წწ.).

საპატონოდ ჩვენვე მოგვცეს, რომ ამავ ჩვენს ქვეყანას ჩვენის რჯულით ვიყოთ და თქვენი ბედნიერი თავი ვილოცოთ. თუ ეს არ იქნებოდეს, ამისი წყალობა გვიყავით, ამ ქვეყანას მტერმა არ წაგვახდინოს და მაგათს საფარველს ქვეშ შეგვიხვეწიონ. ასეთის წიგნისა და კაცის წყალობა გვიყონ, რომ გზაზე მაგათის წყალობით მშვიდობით გამოვიაროთ და მაგათს საფარველს ქვეშ მოვაწიოთ, მაგ ქვეყანას მაგათი მლოცველნი და მადიდებელნი ვიყვნეთ. თუ ამავ ჩვენს ქვეყანას ღვთაებმა იქნებოდეს მაგათის წყალობით, რომ მტრისაგან არ გვეშინოდეს, ის უდიდესი წყალობა იქნების, თუ არა და მან მაგათს საფარველს ქვეშ მოწვევის წყალობა გვიყონ. ერთს ამას გაგებდავთ და მოვახსენებთ, რომელიც მაგათის ნეტარ ხსენებულის დიდის ხელმწიფის პაპათგან ჩვენს მამა-პაპათ ჯამაგირის წყალობა სჭირებოდესთ, მეც ის წყალობა მიყონ, მიბოძონ. თუ ჩემი ამ ქვეყანას ყოფნა იქნებოდეს, ეს ქვეყანა მტრისაგან წამხდარი არის, მე მაგათის წყალობა ჯამაგირით აქ დავრჩე და თუ ჩემი აქ ღვთაებმა არ იქნებოდეს, მაგათის საფარველის მეტი მისამართი არა მაქვს, მაგათს საფარველს ქვეშ უნდა ვიახლოთ და მაგათის წყალობის ჯამაგირით მანდ უნდა დავრჩე, მაგათის ბედნიერის თავის მლოცველი და თაყვანისმცემელი ვიყოთ; ღმერთმან ჩვენი თავი მაგათის ჭირის სანაცვლო ამყოფოს. ჩვენი თავადი როსებ გვიახლებია, ჩვენს სიტყვას ეს მოგახსენებთ.“

ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე
ნადირ-შაჰის კარზე მრეკლე II-ის ყოფნის
შესახებ (1737-1739 წწ.)^[12]

„წელსა 1737 წარვიდა ირაკლი¹ ფებერვალს შაჰ-ნადირთან და ყანდაარს² შთავიდა... ოდეს მოვიდა ირაკლი, მყისვე წინაშე ნადირ-შაჰისა წარადგინეს და შაჰ-ნადირ ლაპარაკი დაუწყო და ჰკითხა ირაკლის ბრძანების გვარად, საშიშარის სახით: „არ გასთათრდებიო“,

¹ იგულისხმება ერეკლე II – კახეთის მეფე 1744-1762 წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წწ.

² ყანდაარი – ქალაქი სამხრეთ ავღანეთში, ყანდაარის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი.

და ვითარცა მოწამემან აღიარა მძლავრისა წინაშე ქრისტე და პასუხ-
აგო წლითა და დღითა ყრმამან, ხოლო გონებითა ბრძენმან: „ჩემი
სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა ვერვის ძალუძსო და არც მე
გავმაჰმადიანდებიო“. შემდგომად უბრძანა ნადირ: „ნუ გეშინინ, მე
აღარ გაიძულებო“. და მეორეს დღეს მეფე თეიმურაზ და ქართველ-
კახნი მიაყვანინა და ყოველნი დაითხოვა და გამოისტუმრა და თვით
ნადირ ინდოეთზედ განიმხედრა და ძე მეფისა თეიმურაზისა ირაკლი
თან წარიყვანა. შთავიდა ინდოეთს და ინდოეთის ხელმწიფე ამად-შაჰ
შემოება 300000 კაცითა, გარნა ნადირ-შაჰს გაემარჯვა და მთელი
ინდოეთის სახელმწიფო დაიპყრა. მუნით დაბრუნდა და სინდეთს¹ შევ-
იდა. და ოდეს სამძღვარს მოადგა, იხილა ქვა ერთი ინდოეთისა და
სინდეთის განმყოფელი, აღმართული ძეგლათ, ამად რომე ვინადგან
ინდოეთისა და სინდეთის ხელმწიფეთ აქენდათ ყოველთვის ბრძოლა
სამზღვარსა ზედა, ამისთვის შეყრილ იყვნენ სახელოვანი მოლანი,
ახუნდი და სხვანი ერთგანიცა მრავალნი ორისავე მხრივ, აღემართათ
მუნ ქუა იგი და ზედა წაეწერად წყვეა დიდი სამტეროდ მას სამზღ-
ვარს გარდამასვლელსათვის იმიერ გინა ამიერ. და ესე რა აღმოიკითხა
ნადირ-შაჰმა, დაუმიძიდა და მოხედა რა, იხილა თვის თანა ირაკლიცა
და რადგან ფრიადი სურვა აქენდა სინდეთისა, ამად ჰრქვა ირაკლის:
შენ რასა იტყვი ქვისა ამისთვის, რომელსაცა ზედა წყვეტა დიდი
სწერია? უკუნქცევა სჯობს თუ ფიცის ამისა გატეხა და სინდეთს
შესვლა. რა მოისმინა ესე ირაკლიმან, მყისად გარდმოხდა ცხენით და
დადგა უშიშრად წინაშე მისსა და მოახსენა: ხელმწიფეო, რად შეი-
ჭირებ საქმისა ამისთვის, თავმან თქვენმან, ვგონებ ქუა ესე არა იყოს
ტვირთი მძიბე; სპილოთა ზედა შეესდვად, ვიდოდეს სპილო იგი ყოველთა
წინ და მას შეუდგებოდეს მხედრობა თქვენი ვიდრეცა გენებოსთ. ამ
სიტყვასა ზედა ფრიად მოხარულ იქმნა ნადირ-შაჰ და ჯილდოდ
უბოძა ირაკლის ოცი ათასი ოქრო. უბრძანა ალაშში მოსვლა, უჩვენა
მარჯვენით კერძო უპირველესი ადგილი ზემოთ ხანებისა და წყალო-
ბაცა მრავალი აღუთქვა, ხოლო მოხსენებასა მას მისსა ზედა უბრძანა

¹ სინდეთი, სინდი - პროვინცია პაკისტანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ადმინისტრაციული ცენტრი ქ. კარაჩი. XVIII ს-ში სინდეთი (სინდი) დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ნადირ-შაჰმა ქვისა მის შედება სპილოსა ზედა და ვერეთ იწინამძღვრა ქუა იგი და შეუდგა მხედრობა უკანით მისსა და შევიდნენ სინდეთს და დაიპყრეს ყოველი სახელმწიფო სინდეთისა მრავლითა ბრძოლითა...

ყოველთა ამათ ბრძოლათა და ომებთა შინა თან-დასწრებულ ჰყვა და ყოველთვის თვალითა თვისითა უწარჩინებულეს მხნედ ჰხედვიდა ძესა მეფის თეიმურაზისა ირაკლის და ამის სიმხნისა და სიკიკასისათვის ფრიად შეიყვარა, მუნით გამობრუნდა და მოვიდა ყანდაარს შაჰ-ნადირ.

წელსა 1739 შაჰ-ნადირ ყანდაარს მოვიდა და ვინადგან მადლიერ იყო მეფის ძის ირაკლისა, რომელმანცა აჩვენა სიმხნე და ერთგულება, ამისთვის უბრძანა: „მეფის ძევ ირაკლი, შენ შენს ქვეყანას ეჭირვები, და ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიმედე იყავო“. ხოლო მან მადლობა მოახსენა და მაისის 28 ყანდაარით წარმოსრულ სეკდემბრის 13 ღამის ოთხს საათს გასულს კახეთს, ალავერდს მობრძანდა.“

ძართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე
ნადირ-შაჰის კარზე თამარ დედოფლის
დიპლომატიური მისიის შესახებ
(1740-1743 წწ.)^[132]

„ნადირ-შაჰი განძვინდა საქართველოსა ზედა და განიგულა აყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთისა ერისა. ჰსცნა რა ესე მეფემან თეიმურაზ, წარავლინა დედოფალი თამარ,¹ ასული მეფის ვახტანგისა,² ვედრებად ყაენისა წინაშე, რათა არა ასწყვიდოს ქართლ-კახეთისა ხალხი და დასცხრესცა მრისხანება მისი ქრისტიანეთა ზედა. ხოლო მოვიდა რა დედოფალი თამარ დაღისტანში ნადირ-შაჰსთანა და ევედრა აუყრელობასა ქართლ-კახეთისასა, და ესრეთვე აცნობა უცოდველობა ქმრისა თვისისა მეფის თეიმურაზისა და ერთგულება ძისა თვისისა ირაკლი მეორისა, რომლისათვის მყის თანად

¹ თამარ (გარდ. 1746 წ.) – თეიმურაზ II-ის მეუღლე (1712 წლიდან), ვახტანგ VI-ის ასული, ერეკლე II-ის დედა.

² იგულისხმება ქართლის მეფე ვახტანგ VI (იხ. შენიშენა).

ლმობიერ იქმნა მძლავრი იგი და პატივ-ჰსცა, ვითარცა დედასა და ყოველი თხოვილი მიანიჭა და გამოუტყვა დიდითა ნიჭითა კახეთს.“

**ქართველი ისტორიკოსი პავუნა ორბელიანი
ნადირ-შაჰის მიერ თეიმურაზ II-ისა და ერეკლე
II-ის ქართლისა და კახეთის მეფეებად
დადგინების შესახებ (1744 წ.)^[133]**

„ქორონიკონს უღბ, თვესა იელისსა მოუვიდა ქართლის ბატონობის ამბავი მეფეს თეიმურაზს, კახეთის ბატონობა ძესა მეფისასა ერეკლესა. იყო სიხარული ქართლსა და კახეთსა, სიხარული უზომო. მოვიდა იბრეიმ-ბეგ, მხლებელი ყმა ხელმწიფისა (ნადირ-შაჰისა) და ხალათები და რაყები¹ მოუტანა მეფეს თეიმურაზს და ძესა მისსა ერეკლეს. ებოძა ამასალად ჯამაგირი ბატონისთვის ორი ათასი თუმანი და ბატონიშვილისათვის ათას ოთხასი თუმანი. მივიდა ეს იბრეიმ-ბეგ ყბარზე, გამოართო ალი-ხანს დროშა და მოხელენი კარისანი, მართავა მეფეს თეიმურაზს და იქმნა მეფედ ქართლისად.“

**თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წერილი
რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ I-სადმი,
საქართველოს მეზობელ მაკმადიან
მფლობელთა კალმომრეობისაგან დასაცავად
დახმარების აღმოჩენის შესახებ
(1752 წ. მაისის 26.)^[134]**

„...ვინათგან აწ მყოფსა ამას ჟამსა არღარავინ არს უსჯულოთა მეფეთაგანი უფალი ჩვენზედა, ესე მოეხსენოს სიწმიდისა ცასა გონებასა შენსა. აწ არს ჟამი გამოხსნისა ჩვენისა და დღე აღდგომისა ჩვენისა. უკეთუ არა სრულიადსა განწირულებასა მიცემულ ვართ ცოდვათ ჩვენთათვის. მოგვხედე ქრისტეებრითა შებრალებისა ნაწლვეითა დას-

¹ რაყები – დოკუმენტის აღწიშნული ტერმინი XVII-XVIII სს-ის საქართველოში. „რაყა“, „რაყაშ“ არაბული სიტყვაა და წერილს, დაწერილობას, ხაზსა და რიცხვით ნიშანს აღნიშნავს.

დევ კელი შენი ძლიერი და მაღალი ჩვენზედა საკურნებელად განწირ-
 ულებისა ჩვენისა, რ~[რამეთუ] ესრეთნი მოუთმენელნი ჭირნი აროდეს
 მოვლენიეს ქვეყანასა ამას, რომელ თვით საესებით უწყის ნათლად
 მჭობელმან გონებამან შენმან რ~[რამეთუ] სამეფონი ჩვენნი მგვრგლივ
 გარეშეცულ არიან უცხო თესლთა წარმართთაგან და დაუცადებლად
 ჰყოფენ ჩვენდა მომართ ზამთარ და ზაფხულ ბრძოლასა, ოკრებასა,
 კლვასა და ტყვეობასა და ფრიად უმრავლეს ჩვენსა არიან ძალით და
 ჰნებავსთ დარღვევად წმიდათა ეკლესიათა და აღჯოცად სახელი ქრისტე-
 ანობისა. და ამასა ჟამსა შინა შვითქუნენ გარემოსნი მტერნი ჩვენნი და
 შეკრბენ ერთად მთავარნი მათნი და განიფიცნენ თვისსა მას შეგინებულ-
 სა წიგნსა ზედა, რათა ერნი საქართველოსანი საშუალთაგან აღმოფხვ-
 რან და ნათესავნი მაჰმადიანთანი დაემკვიდრნენ და გაერთქმავდენ
 ყოველნივე. ეს მწარე ჰამბავი რა მოიწია სასმენელთა ჩვენთა ქრისტიან-
 ეთა გულებსა, მწუხარებისა ცეცხლი აღედვა. ხოლო აწ ჩვენდა სასოე-
 ბა სხვა არა რაჲ არს თვინიერ ცხოველს მყოფლისა ჯგვარისა შეწვენა
 და შენის ყ~დ[ყოვლად] დიდებულისა იმპერატრიცაობისა საღმრთოსა
 პორფირისა საფარველისა კიდუ. ამისთვის მკურვალედ შეგიგრდებთ დედაო
 ყოველთა ქრისტიანეთაო და ყ~დ[ყოვლად] დიდებულო წინამძღვარო
 კეთილმსახურთაო და დიდებულსა თვითმპყრობელობასა შენსა ცრემ-
 ლით ვევედრებით ისმაიტელთა მიერ ჩვენზედა და სამეფოთა ჩვენთა
 ზედა მწარენი ესე ჭირნი და ტყვეობანი თანაწარგვეკადენ და დააცხვრენ
 და ვ~ა[ვითარცა] ენებოს მრავალ მოწყალესა თვითმპყრობელობასა
 შენსა დედობრივ იღვაწე შვილთა შენთათვის და განაგე ჩვენთვის
 უმჯობესი. დაღაცათუ უქმარნი მონანი ვართ დიდებულებისა შენისანი,
 ა~დ[არამედ] ქრისტიანენი ვართ, ხოლო ვინათგან მოვალე ხარ,
 ვ~ა[ვითარცა] დედა ქრისტიანეთათვის მოხედვით. მოხედვა ყავ შვილთა
 შენთათვის ჭირსა შინა მყოფთა და ტკინველთა და დაგვიფარენ ჩვენ
 საფარველითა წმიდისა პორფირისა შენისათა და დაგვიცვენ ჩვენ წარ-
 მართთაგან, ვ~ა[ვითარცა] ენებოს წმიდასა ნებასა შენსა, ხ~[ხოლო]
 ჩვენისა სიმდაბლისა მიერ მოიხსენებოდედ ესეცა: ოდესმე მის დიდე-
 ბულებასა სანატრელისა პაპისა შენისა ალექსი თედორესისა¹ მიერ

¹ აქ თქმუებაჲ II ცდება – იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის ბაბუა იყო არა ალექსი თედორეს ძე, არამედ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძე (1645-1676 წწ.), პეტრე I-ის მამა.

მამასა ჩემსა მეფის შვილსა ნიკოლას დავითისსა მოეღო მრავალ მოწყალებისა მისისა მიერ წიგნი შეწყალებისა ოქრო ბეჭდოვანი, რომლისა გარდაღებული პირიცა მისი გვიწინაშე იეს და რაიცა აღგვეთქვა ჟამსა მას მსახურება ყ-დ[ყოვლად] დიდებულებისა მათისა და თანამდებობისა ჩვენისაებრ მასვე ზედა ვპვიეთ მტკიცედ. დაღაცათუ ცოდვათა ჩვენთაგან საქმენი არა ცხადყოფენ. წარმოივლინა ჩვენისა მიერ სიმდაბლისა მომრთმელად სავედრებელთა ჩვენთა სიტყვათა ყ-დ[ყოვლად] დიდებულისა თვითმპყრობელობისა შენისადა ყ-დ[ყოვლად] სამღვდელო ათანასი მიტროპოლიტი ტფილისისა¹ კნიაზ სიმონით,² რომლისა მიერ მოერთმის შენსა ყ-დ[ყოვლად]. მოწყალებასა ვედრება ჩენი. თქვენი დიდებულობის თაყვანისმცემელი მეფე ქართლისა თეიმურაზ პანკრატოვანი მეფე კახეთისა ირაკლი პანკრატოვანი. ჩღნზ(1752) მაისის კვ (26).“

**დასავლეთ საქართველოს დიდებულების
„პირობის წიგნი“ იმერეთის მეფე
სოლომონ I-სადმი ტყვის სყიდვის აპრკალვის
შესახებ (1759 წ.)¹¹³¹**

„ესე მტკიცე, შეუცვალებელი... ხელით წერილი მოგართვით თქვენ მეფეს სოლომონს³ მე დადიანმა კაცია⁴ მე გურიელმა მამია⁵ ერისთავმან როსტომ⁶ წულუკიძე, ერთობით წერეთელმან, ერთობით მიქელაძემ, ერთობით აბაშიძემ, ერთობით ნიჟარაძემ,... იასშვილმან, ლორთქიფანიძემ... და ერთობის იმერმან დიდმან და მცირემან ოდიშ-არ-ლენჩხუმთა... ერთობით ოდიშარმან, დიდმან და მცირემან... გურიელმან, დიდმან და მცირემან... ასე რომ ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა „ტყვეს თუ არ

¹ ათანას ტფილელი (1711-1774 წწ.) - საეკლესიო მოღვაწე, თბილისის მიტროპოლიტი, დიპლომატი.

² სიმონ მაყაშვილი - XVIII ს-ის შუა წლების ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

³ სოლომონ I დიდი - იმერეთის მეფე 1752-1784 წწ.

⁴ კაცია II დადიანი - სამეგრელოს მთავარი 1758-1788 წწ.

⁵ მამია IV გურიელი - გურიის მთავარი 1726-1756, 1758-1765, 1771-1776 წწ.

⁶ როსტომ ერისთავი - რაჭის ერისთავი დაახლოებით 1750-1769 წწ.

გაყიდით, არ იქნებაო.“ ახლა ამაზედ ასე ერთ-პირობით დაგვიმტკიცებია.... რომ სანამდის სული გვიდგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უუსუსტოთ, კიდევ ერთმანეთს მიუდგეთ, კიდევ მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმსრულებელი ვიქმნეთ და გულის წმინდით ერთმანეთს მივუდგეთ, ამაზედ არას შეწუხებისა და გაჭირვებისათვის ჩუენ ერთმანეთს არ ვუმტყუნოთ და ამ საქმეზე ჩუენი თავი არ დავიშუროთ და ამ საქმეშიდ ჩუენს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არცა ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუენგან იქნეს ასე პირობა და სიტყვა მოგვიერთმე-ვია ღუთისა და კაცისათვის. აწ ვინც და რამანც ძემან კაცისამან ეს შეშალოს ღიდმან ან მცირემან ისემც შეიშლების სჯულისაგან უს-ჯულოსა.“

**ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე
მრეკლე II-ისა და ქარიმ ხანის დიპლომატიური
ურთიერთობების შესახებ (1760 წ.)¹³²**

„კვალად წელსა 1760, ქორონიკონს 448, წარვიდა მეფე თეიმურაზ როსიასა შინა იმპერატრიცა ელისაბედთან თხოვად შეწვევისა.

ამსვე წელსა ზანდი ქარიმ-ხან¹ განძლიერდა, ყაჯარი მაჰმად-ხან დაამარცხა და ომში მოკლა, ავღანი აზატ-ხან² გამოაქცია, თავის ქვეყნისაკენ ვერღარა წარვიდა და აღრიბეჟანისაკენ წარმოვიდა ჯარითა და ბევრი ავი საქმე ჰქმნა ავაზაკებრ.

და მოუწერა ქარიმ-ხანმან მეფეს ირაკლის ძმობით და სიყვარულით წიგნი: „აზატ-ხან აღრიბეჟანის მხრისაკენ წარმოვიდა და ქვეყნებს არბევს და აოხრებს და უკეთუ მაინც გამოჩნდეს სადმე, დაიჭირე და გამომიგზავნე, რომლისათვისცა ერანზედა ღიდი ვაღდე-ბულება გექმნებაო.“ ამ ჟამად აზატ-ხანმა იმ ადგილებში ველარ

¹ ქარიმ-ხანი, ქერიმ-ხანი – ზენდების დინასტიის დამაარსებელი ირანში, ქვეყანას განაგებდა 1760-1779 წწ. იყო ირანის ვაჟილი (რეგენტი).

² აზატ-ხანი (გარდ. დაახლოებით 1762 წ.) – ირანის-შაჰის ნადირის სარდალი, ეროვნებით ავღანელი, სამხრეთ აზერბაიჯანის მფლობელი, ირანის შაჰობის პრეტენდენტი XVIII ს-ის 50-60-იან წლებში.

მოიცადა და დალისტინისაკენ წარმოვიდა. ჰსცნა ესე ირაკლიმ და ყაზახში¹ გარდაასწრო და თავის ჯარებით სრულიად შეიპყრა. აზატხან ქარიმ-ხანს გაუგზავნა და ჯარნი მისნი ყოველნი განათავისუფლნა და თავის ქვეყნებში გაისტუმრა.

ეს საქმე ქარიმ-ხანმან დიდად დაუმაღლა და მრავალი ფეშქაშები წარმოუვლინა და დაუმტკიცა ერევანი და მოუწერა ხანსა ერევნისასა: „შენ რაიცა ხარკი სახელმწიფო გედვას, ყოველსავე მეფეს ირაკლის მისცემდეთ და ჰმორჩილებდეთ, ვითარცა არს წესი მორჩილებისა“ და მოსწერა სხვათაცა ხანთა აღრიბეჟანისათა მორჩილება მეფის ირაკლისა.“

თეიმურაზ II-ის ფერილი რუსეთის იმპერატრიცა
ელისაბედ I-სადმი სამხედრო ძალით
დახმარების აღმოჩენისა და ირანში
ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის შესახებ
(1761 წ.)^[136]

„ქ. ყ-დ[ყოვლად] უგანათლებულესო მყრობელო, დიდო კემ-წიფევე, იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულო, თვითმყრობელო სრულიათ რუსეთისა, კელმწიფევე ყ-დ[ყოვლად] მოწყალევე...“

წინაშე თქუენის იმპერატორობის დიდებულობისა, ყ-დ[ყოვლად] უუმდაბლესის ვედრებით წარმოვდგები: აწინდელი შესწრება განგრძელებულისა სპარსეთისა შინა შფოთიერსა შეყმულებათა და ვინათგან ხონთქრის კარი არ არს საქმეებში არ ერევის, ესეოდენ საქართველოსათვის სარგოიანი რომ მზგავსი შეძლებულობისა ჟამი დიდის ხნითგან არ ყოფილა. ვინათგან ორთაგან არა უძლოურესთაგნ მამადისთაგნ მყრობელთა საქართველოს მყრობელობა აწ მოსვენებასა შინა იმყოფების, ყოვლად მოწყალევე კემწიფეო, მე ჩემის შვილით ირაკლითი ვიცნობები, რომ უმჯობესთა აწინდელთა შესწრებათა შორიელსა სარგოსა ძალის დადების ჩემით განწესებად არ ძალგვიძს, რომელსამე არა მცირედ ლეკნი შლიან თვისითა მტრობივის მოცკვივით საქართველოსა

¹ ყაზახი — ისტორიული მხარე ქვემო ქართლში. მდ. აღსთაფის ქვემო წელზე (ახლანდ. აზერბაიჯანში).

და საკახეთოსა შინა ქუეყანასა, რომელთაგან მარადის გაფრთხილებით და თანაშემზადებით უკანქცევით მათ ტაცებას და გაოხრებას სახმარი რიცხვი სამხედრონი ჯარის ყოლის დამჭირნება მიგვიზიდავს შეძლება ჯამაგირით სამხედროსა მსახურებასა მოსამატათ ქართველთა თანა სომეხთაგან და ყაბართოთაგან შემრავლებას, შემცირება შემოსავლისა ნებას არა გვრთავს და ესრეთ დამხოებით წინაშე ფერხთა თქუენის ყ-დ[ყოვლად] უუგანათლებულობისა იმპერატორობის დიდებულობისა უმდაბლესად და მონებრივ მოვივედრებ უმაღლესს შემწეობასა ჯარითა, გინა ყ-დ[ყოვლად] უუმოწყალების შეწყნარებით მერაოდენისამე წელით გამოჩინებულთ თეთრის ხაზინით, რომელსა უკვე პირველსა ხელისგამართვას ჩემსა დადგინებასა ყ-დ[ყოვლად] უუმდაბლესის მადლობით ხაზინასა შინა თქუენის იმპერატორობის დიდებულობისა მოქცევას ვითანამდებებ. უდიდესო კემწიფეო, ამა მოწყალებრივითა წყალობითა მე თავის უფლებრივ ძალმიძს მამული და მპყრობელობა ჩემი სასურველსა ჩემსა უშიშვრობასა ჩემსა შინა მწარეთაგან მტერთა მოყუანებად დაეფარავ საქართველოსა და კახეთსა საიმედოთი შეიარაღებულის ერითა, მწადის გამორჩეულის დასით სპარსეთში შევიდე, რათა მოყვანებად ერთხმობათ ჩინებულთა სპარსთა შეკრებანი, ვინათგან მით შევიძლო შემოკლება შფოთისა და ვეცადო მოგროვებულის ძალით ყენი კეთილმოსურნე რუსეთის შესამატათ ერანის ტახტზე აღვიყუანო. განზრახვითა ჩემითა გაისინჯვის, რომ არ ვიცი, თუ ვინ სპარსეთის საკემწიფოსი კეთილმსწრაფლად დამკუიდრებას შეიძლებს, გარნა შაჰრუხშა, ვინათგან მისთვის ქვემოთ ჩამომავლობით ორისავე კერძოთი მამით შაჰნადირისაგან და დელით პირველთაგან ყენთა სეფეინის ნათესაობისა ჭეშმარიტი მქონებელი, თუმცა იგი არაბედნიერის შემთხვევითა დაბრმავებულია, მეუღლობიდამ ყმაწვილთ ბატონიშვილთაგან ჰყავს სიყუარული და სიმხურვალება სპარსეთის ერსა მის მიერ. და მის სახლისა ზემო მოხსენებულისა ნათესაობრივისა ღირსებასა უზეშთაეს სეფეინის ნათესაობით სრულიათ არ შემცირებულ არს და არც გაცვივებულა, არამედ ამა ძლიერს წინად აღებულს უუმდალესს ნებას უწინამხედველესსა თქუენის, უდიდებულესო კემწიფეო, მონებრივ დაგემორჩილები...”

თქუენის ყ-დ უუგანათლებულობის იმპერატორობისა დიდებულობისა ყოვლად უმორჩილესი მონა.

საქართველოს მეფე თეიმურაზი.

იმერეთის მეფის სოლომონ I-ის სიბავლი
რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-სადმი
იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების
შესახებ (1768 წ.)¹³⁷

„...შეწყალებისა და მოწყალებისა მთხოველი სამსა სავედრებელ-
სა სიტყვასა განვფენ წინაშე დედობრივისა ყ-დ[ყოვლად] მოწყალებ-
ისა თქვენისა: პ-ლად[პირველად], რათა გამომიქსნა უცხოთესლთა,
ოსმანთა, კელისაგან და ყ-დ[ყოვლად] ძლიერი კელი დასდვა ჩვენ-
ზედა და ქ-ყანასა[ქვეყანასა] და ერსა ჩვენსა ზ-ა[ზედა], და
ს-კნოდ[საუკუნოდ] მონად, მსახურებად და საიმპერიოდ აღგვრაცხ-
ნე; და ესე უმეტეს სხვათასა ტრფიალებით საწადელ არს ჩემდა,
ძლიერო ხელმწიფეო, რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ,
შემართო მონათა შენთა რ-[რამეთუ] მრავლით ყამითგან მსურის,
რ-მცა[რამათმცა] სისხლი ჩემი დაითხიოს ქ-ეს[ქრისტეს] მოცემულისა
სჯულისათვის და თუმცა ყ-დ[ყოვლად] მოწყალე კელმწიფე ინებებს
და დაგვდებს ძლიერსა კელსა თვისსა, მეც ამ აღთქმას მოვახსენებ,
ქ-ეს[ქრისტეს] შეწევნითა, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და
სჯულისათვს ყ-დ[ყოვლად] მოწყალის კელმწიფის სამსახურზე უცხო
თესლთა ოსმალთა შევაკვდე და ვ-ე[ვიდრე] სისხლთა დათხევადმდე
კელმწიფის სამსახურზედ ვიღვაწო. ათორმეტი წელიწადი არის, რომ
ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს. და შვიდჯერ
ჩემს ქ-ყანაში[ქვეყანაში] შემოსულან ამათი სარასკრები და ფაშები,
ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ და, რომ არ მიიძცია, ზამთარ და
ზაფხულ ომი გეჭონებია ძლიერი. ქ-ეს[ქრისტეს] შეწევნითა და
ყ-დ[ყოვლად] მოწყალის კელმწიფის წყალობითა. ყ-ლთვის [ყოვ-
ლთვის] დამარცხებითა და სირცხვილეულნი წარსულან და თვით
კელითა ჩემითაცა მრავალნი მომისრავეს; რ-ლიმე [რომელიმე] ჩემი
ციხეები აიღეს და ისევ დავაგდებინე და გავყარედა ახლა ჩემი
ქვეყანა ერთობით მევე მიჭირავს. და უკეთუ ესე არ ინებოს, მეორედ:
სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის აქავე განგვაშტკიცოს
ყ-დ[ყოვლად] მოწყალე კელმწიფემ საკმართა და შეწევნათ მ-რ[მიერ],
რომ ჯარის მიცემა შევიძლოთ და მით უძლოთ წინააღმდეგომად

ოსმანთა, რ-[რამეთუ] ჩვენ საქმართაგან ფ-დ[ფურიად] ნაკლულევან ვართ. მესამედ: მტერნი ჩვენნი მაჰმადიანნი, ოსმანნი, ფ-დ[ფურიად] უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ ცოდვათა ჩ-ნთათჳს[ჩუენთათჳს], ვერღარა უძლოთ წინააღმდეგომად, ყ-დ[ყოვლად] მოწყალე კელმ-წიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსსა თვისსა, ვ-ა[ვითარცა] შეუწყნარებიან სხვანი მეფენი, რ-ა[რაითა] მართლმადიდებლობით ვმსახურებდეთ მონათა თვისთა თანა. დ-რლიცა[და რომელიცა] ინებოს ყ-დ[ყოვლად] მოწყალის კელმწიფის გონებისა სიწ-დის[სიწმიდის] და შეწყალებისა ცამან, ეგრეთ განავოს. სხვა ჩ-ნი[ჩუენი] გულის სიტყვა და განზრახვა ჩ-ნის[ჩუენის] ქუთათელ მიტროპოლიტისა მაქსიმეს მიერ მოქსენდეს...“

რომის კაპის კლემენტ XIV-ის ფერილი ერეკლე II-სადმი ქართლ-კახეთის სამეფოში მოღვაწე კათოლიკე ბერებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ (1769 წ.)^[138]

„ბრწყინვალეს და უძლიერესს საქართველოს მეფეს ერეკლეს... ძლიერ მოხარული ვართ, რომ ჩვენის მღვდელთ მთავრობის დასაწყისშივე გვეძლევა შემთხვევა მოვსწეროთ თქვენს ხელმწიფე-ბას, რომლის გულუხვობისა და უზომო მხნეობის ქებანი მოგვდის ჩვენთა მოძღვართა წერილებით და რომლის სახელგანთქმულობა და ამბავი განუწყვეტლივ გვეუწყება. პირველად უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ, რომ თქვენის მეტად განთქმულის გულკეთილობით ეწვეით და იფარავთ ყველას, ვინც ჩვენთან სარწმუნოებით შეერთებულნი, ჩვენი ქვეშევრდომნი და მორჩილნი არიან. შემდგომ, გამხნეებულნი იმავე თქვენის გულკეთილობით და დაიმედებულნი, გთხოვთ და გვედრებით, რომ მომავალშიაც ყველა თქვენის ღონისძიებით დაიცვათ და დაიფაროთ მტრის წინააღმდეგ თქვენს სამეფოში მყოფი ყველა კათოლიკე და მეტადრე პატრი კაფუცინები,¹ რომლებიც სარ-

¹ კაპუცინები - კათოლიკურ-მონაზვნური ორდენი; 1525 წელს იტალიაში დააარსა მატეო და ბაშიომ, როგორც ფრანცისკელთა ერთ-ერთი განშტოება. 1619 წლიდან დამოუკიდებელი ორდენი.

წმუნოების გამო მანდეთ არიან წამოსულნი. ესენი სიბოროტეს არავის უყოფენ, არამედ სათნოებას იცვენ და ავრცელებენ ღვთის ბრძანებათა და სჯულსა; ყველას სიყვარულით ეპყრობიან და საზოგადოებისა შშვიდობისა და სიწყნარისათვის შრომობენ. გარნა მტრები არ სცხრებიან, მათ წინააღმდეგ ძალასა და მზაკერობასა ხმარობენ და ხშირად მათ ჰსცემენ კიდეცა. ვერასდროს ველარ შეიძლებდნენ მანდ მობრუნებას, უკეთუ კაცთმოყვარეობით და მფარველობით არ შესწოდით. ამ კაფუცინებს იმედი აქვსთ, თქვენის ძლიერის მფარველობით უშიშრად და უვნებლად შეიძლონ მანდ ყოფნა და არც სცდებიან. რის გამო უმეტესად ვევედრებით თქვენს ხელმწიფებას, რათა კვლავაც დაიფაროთ და შემწეობა არ მოაკლოთ. ესეთი თქვენი მოქმედება თქვენთვის არასდროს შეიქმნება სანანელი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რასაც კი მაგათ მიაგებთ, ისე ჩავსთვალოთ, ვითომც ჩვენთვის გექნასთ. რაის გამო თქვენი მადლიერი და მომხსენებელი ვიქნებით და მას კიდევ გამოგიცხადებთ, როდესაც შემთხვევა მოგვეცემა შემდგომში. ეგრეთვე გარწმუნებთ, რომ თქვენს წარჩინებულს თვისებას აღვიარებთ და ღიდათაც ვაფასებთ; მასთანავე ყოვლის მპყრობელ ღმერთსაც ვევედრებით, დაგიცვასთ უვნებლად, ყოველი სიკეთე მოგანიჭოსთ და ჭეშმარიტი საუკუნო ბედნიერება მოგმადლოსთ. რომი, 23 აგვისტოს 1769, მღვდელ-მთავრობის პირველ წელს.“

ღმ ბრადი ღმ ფუა ერეკლე II-ისა და გენერალ ტოტლებენის შიხვედრის შისახეპ (1769 წ.) ^[139]

„მეფე ერეკლე თვით მოემართებოდა გრაფ ტოტლებენთან¹ შესახვედრად. მას პირადად სურდა გულდაჯერებით გარკვეულიყო, ხომ არ ქმნიდა რაიმე საფრთხეს უცხოელთა ლაშქრის ყოფნა მის ქვეყანაში. მაგრამ იგი დამშვიდდა, როდესაც იხილა ერთი მუჭა ჯარისკაცებისა, რომელთა რაოდენობა ხუთასს არ აღემატებოდა, მაშინ, როდესაც არწმუნებდნენ, რომ იქ 2000 ჯარისკაცი იყო.

¹ ტოტლებენი გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ფონ (1710-1773 წწ.) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ეროვნებით გერმანელი.

მათი შეხვედრა მეტად თავისებური იყო და ღირს ამ ამბის მოთხრობა. როდესაც გრაფმა შეიტყო, რომ ერეკლე მოუახლოვდა, იგი მაშინვე გაემართა მის შესახვედრად სამი თუ ოთხი ოფიცრის თანხლებით, რომელთა შორის იყო რატიევი.¹ მას ეგონა, რომ მაშინვე შევიდოდა მეფის ჩარდახში, მაგრამ მეტად განცვიფრებული დარჩა, როდესაც მას გამოეგება თორმეტამდე ქართველი ღიღებულები ხელში ღიღი თეთრი კვერთხებით. მდბაალი სალაში მისცეს და მისთვის გამზადებულ კარავში შეიპატიჟეს. გრაფმა უპასუხა, რომ სუფთა ჰაერზე ყოფნას არის დაჩვეული. წავიდა და მთის ძირში დაჯდა. მიუტანეს ღვინო, ხილი და სხვა პირის გასასველებელი საჭმელი, რაც მან მიიღო და მისცა 10 მანეთი, ვინც ყველაფერი ეს მოიტანა. შემდეგ ყველაფერი ეს დაანაწილებინა თავისი თანმხლები ოფიცრებისა და ჰუსარებისათვის. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ოთხი ქართველი ღიღებულები, რათა მისალმებოდნენ მას ერეკლეს სახელით, მის მოსვლასთან დაკავშირებით. გრაფი განცვიფრებული იყო. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ პატარა აზიელი ხელმწიფე ესოდენ ძნელი სანახავი იყო. საათზე მეტი იცადა და უკან გაბრუნდებოდა, თავად რატიევს რომ არ შეეკავებინა. ბოლოს მას განუცხადეს, რომ შეეძლო წარსდგომოდა მეფეს. თორმეტი ქართველი თეთრი კვერთხებით ხელში წინ უძღვოდა მას.

ერეკლე სპარსული სახის ლამაზ ჩარდახში იყო. ჩარდახს ბევრი ხალხი ეხვია, მაგრამ ახლოს არავინ მიდიოდა. ოცდაათ ნაბიჯზე თეთრ ხელჯოხიანები თვალყურს ადევნებდნენ, რომ არავინ მოახლოვებულიყო. გრაფი და მისი თანმხლები ოფიცრები შეუშვეს ამ რკალში, მაგრამ ჰუსარები და კაზაკები ერთ ჯგუფად შეაკავეს. როდესაც ტოტლებენმა ჩარდახის წინკარს მიაღწია, მას წარუდგა ერეკლეს ვაჟი. ტოტლებენი გადაეხვია მას, რამაც განაცვიფრა ეს ყმაწვილი კაცი, ვინაიდან ჩვეულება იმისა, რომ მამაკაცები ერთმანეთს გადაეხვიონ, საქართველოში ჯერ მიღებული არ არის. შემდეგ

¹ რატიევი (რატიშვილი) – XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთის სამხედრო მოღვაწე, პოლპოლკოვნიკი, ეროვნებით ქართველი.

კარებში მას დახვდა ერეკლეს ბიძა, საქართველოს პატრიარქი.¹ გრაფმა მოინდომა გადახვეოდა მას, მაგრამ პატრიარქმა უკან დაიხია, პირჯვარი გადასახა მას და პირველი შევიდა ჩარდახში. ტოტლებენი შეჰყვა მას. ერეკლე ნოხებზე იჯდა. იგი წამოდგა, როდესაც დაინახა, რომ გრაფი შემოდით. გვერდით მოისვა. დასხდნენ პატრიარქი და ერეკლეს ვაჟიშვილიც. დასვეს თავადი რატივეიც, ხოლო ჩვენ გარეთ დავრჩით.

„ვეფიქრობ, — უთხრა ერეკლემ ტოტლებენს, — რომ კავკასიონის გადმოსასვლელი საკმაოდ ძნელი გეჩვენათ (უნდა შევნიშნო, რომ თარჯიმნობდა თავადი რატივეი)“. „ბევრად უფრო ძნელი გადასასვლელები მიხილავს — უპასუხა ტოტლებენმა. სამხედრო სამსახურში ვარ ბავშობიდან. მოვლილი მაქვს მთელი ევროპა და დალლას საესეებით კარგად ვიტან.“ შემდეგ ყოველგვარი მოკითხვების გარეშე, მაშინვე საქმეზე გადავიდა. „მე მოვედი, დაურთო მან, ჩემი ხელმწიფის, იმპერატორის სახელით, რათა გთხოვოთ თქვენ სამი რამ: პირველი თხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ გავგატაროთ თქვენ სამფლობელოზე იმერეთში წასასვლელად, რათა შევეურთოდეთ მეფე სოლომონს, რომელიც გველოდება და რომელთანაც ერთად თურქებს უნდა შევებრძოლოთ. მეორე თხოვნაა აგრეთვე, რომ თქვენ ქვეყანაში ხელმისაწვდომ ფასებში ნება დაგვეერთოს შევიძინოთ პური, ხორცი, თივა და, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც საჭიროა ჩვენი რაზმების შესანახად. დაბოლოს მესამე — დავალებული მაქვს შეგეკითხოთ, ხომ არ ისურვებდით შეუკავშირდეთ რუსეთის იმპერატორს და მასთან ერთობლივად შეუტით თქვენს მეზობლად მყოფ თურქებს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მათ იოლად გავდევნით ამ ქვეყნიდან და ყველა გამარჯვება, რომელსაც მოვიხვევტო, თქვენ მოგეკუთვნებათ.“

ერეკლეს პასუხი მეტად ჭკვიანური იყო. „ბატონი ბრძანდებით —, უპასუხა მან, გაიარეთ ჩემს სამფლობელოზე. იგი იმპერატორის მფარველობის ქვეშაა და არაფერი უფლება მაქვს წინ აღვიდგეთ, მაგრამ ვშიშობ, თქვენს ვარაუდში არ მოტყუვდეთ. იმერეთში თქვენ

¹ იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი 1720-1788 წწ.) — 1744-1755; 1764-1788 წწ.

ვერ ნახავთ რაიმე მნიშვნელოვან რესურსებს თქვენი რაზმების გამო-
საკვებად და ასევე თქვენი გეგმების შესრულების შემწეობისათვის.
მაშინ შეგიძლიათ დაბრუნდეთ ჩემთან, როდესაც მოგესურვებათ. მი-
გიღებთ სიამოვნებით, როგორც მოკავშირეს, რომელსაც პატივს ვცემ
უსაზღვროდ. რაც შეეხება საკვებს, რომელიც თქვენ გეჭირვებათ იქ
ყოფნის განმავლობაში, მე მას უფასოდ მოგაწვდით. მე არ დაუშვებ,
რომ თქვენ რაიმე მოგყიდონ. თქვენ მხოლოდ ითხოვეთ და მე მოგ-
ართმევთ ყველაფერს, რასაც მოისურვებთ. თუ თქვენ, ჩემი
წინასწარმეტყველებისამებრ, იძულებული გახდებით დაბრუნდეთ, მა-
შინ მე გავცემ განკარგულებას, რომ ყველაფერი მოგყიდონ ზომიერ
ფასებში და დაეწესებ ფასს, რომელსაც თქვენ თვითონ მიკარნახებთ.

რაც შეეხება თქვენს მესამე წინადადებას, იგი მეტად ფაქიზად
მოსაპყრობ საქმეს ეხება. ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ იმპერა-
ტორის მიერ ხართ უფლებამოსილი, რომ წამომიყენოთ წინადადება,
რომელიც ჩემთვის მხოლოდ ხელსაყრელი შეიძლება იყოს, მაგრამ
ჩვენ ამის შესახებ გარკვეული დროის შემდეგ ვისაუბროთ ხანგრ-
ძლივად. მე თვითონ მიგიძღვებით ჩემს ქვეყანაში და თქვენს დაქან-
ცულ რაზმებს შეეძლება აქ დასვენება“.

ტოტლებენმა უპასუხა, რომ უაღრესად ისწრაფვის იმერეთს გამგ-
ზავრებას; რომ აღჭურვილია იმპერატორის ფიცხელი განკარგულებით,
არაფერი მიიღოს ფულის გარეშე; რომ სთხოვდა მის უდიდებულესო-
ბას, რაც შეიძლება სწრაფად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან
მას სრულებით არ სურს დაჰკარგოს დრო, რომ იგი იმედოვნებს
ლაშქრობის დასასრულამდე წარსტაცოს თურქებს რამდენიმე ქალა-
ქი. „უკვე კარგი დროა გასული, უპასუხა ერეკლემ (მართლაც, უკვე
15 სექტემბერი იყო), ხოლო აზიური წესით სტუმრები ისე უნდა
იქნენ მიღებული, რომ მათ ყველაფერი უსასყიდლოდ მიეცეთ. ყოველ
შემთხვევაში, იმერეთამდე მე ვალდებული ვარ უზრუნველგყოთ ყოველ-
გვარი ხარჯებისაგან“. ამ საუბრის დროს მოჰქონდათ ყავა, ჩაი და
ლიქიორები. ბოლოს ტოტლებენი წამოდგა და ერეკლეს გამოეთხოვა.
„სად მიხვალთ? – უთხრა ამ უკანასკნელმა, ერთად ვივანშმოთ და
ხვალ დაბრუნდებით თქვენს ლაშქარში“. „ეს შეუძლებელია – მოუ-
ჭრა გრაფმა, – გენერალმა მხოლოდ თავის ბანაკში უნდა დაიძინოს.

ჩემი წასვლა აუცილებელია“. ერეკლემ აღარ დაიჟინა, ტოტლებენი წამოვიდა და ერთადერთი, ვინც იგი ჩარდახიდან გამოაცილა, იყო ერეკლეს უფროსი ვაჟი, ბატონიშვილი გიორგი.¹

გრაფი მეტად უკმაყოფილო დაბრუნდა. მას ეგონა, რომ საქმე ექნებოდა მასავით აჩქარებულ კაცთან, რომელიც მიიღებდა მის წინადადებას და მის განხორციელებასაც უმაღლვე შეუდგებოდა. ერეკლე კი ფიქრობდა და არ სურდა ეტვირთა რაიმე, ვიდრე პირადად არ ვიზილავდით, რომ სოლომონი დაიძრა თავისი ქვეყნიდან ჩვენს მხარეში ამოსადგომად.“

ერეკლე II-ის ფერილი ვიცე-კანცლერ
ა. გოლიცინისადმი ტოტლებენის მიერ
აფხურიდან უმიჯნოდ დაბრუნებისა და
ერეკლეს მიერ ასპინძასთან თურქ-ლექთა
ჯარების დამარცხების შესახებ
(1770 წ. 10 მაისი) ^[140]

„უბრწყინუალებსა თავადს ალექსანდრ მიხაილოვიჩს, ჩემს მწყალობელს მეგობარს!

ვინაძღვან წყალობითა ზეგარდამოძთა ყ-თა[ყოველთა] საქართუშლოთა, დიდთა და მცირეთა, სურვილისამებრ ჩუშნისა, კეთილი დრო გუშწნია და მისის დიდებულებისაგან მოწყალებით საზოგადოდ აქეთა მყოფთა ქ-ეანეთა[ქრისტიანეთა] ყ-ა[ყოველსა] დროსა მფარველობით, სასოება აღთქმით, უმაღლესსა ყ-დ[ყოველად] მოწყალებსა აღვისტასა ებძანა, უკეთუ ჩ-ნ[ჩუენ] მისსა დიდებულებასა ქ-ეანეთა მტერთა, ოსმანთა, ზედა მტერობა ვაჩვენოთ, და აწ ამა უმაღლესისა ბრძანებისა ყ-დ[ყოველად] დამორჩილებულთა სიხარულით მივიღეთ ბრძანება ესე და იარანალ მაიორს² ორგზის და სამგზის კაცნი წარვეუგზავნეთ და დიდის ვედრებით – ან მუხრანს ან ჩვენს ქალაქს მოვიდეს, ტფილისს, და ან გორის ქალაქის სოფლების მახლობელად

¹ ბატონიშვილი გიორგი – იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII (1798-1800 წწ.).

² იგულისხმება გენერალი ტოტლებენი.

ჩვენ იმასთან მივიღეთ, და მტერზედ მისვლა როგორ სათანადო იქმნებოდა, კვალადცა სურსათი რა ერთი მოუნდებოდა და ან რ-ლი[რომელი] გზა უმჯობესი იყო — ეს გამოგვეჩინა, მაგრამ არ ინება: არც ჩვენთანა მოვიდა და არც ჩვენ მიგვიწოდა, და უხმარნი მიზეზნი დასდუნა, და პ-ლ[პირველ] ვიდრე ამისა და შემდგომად-ცა ითხოვდა ჩემგან, რათამცა მიმეცა სამასი ანუ ხუთასი კაცი, რ-ლისა [რომელისა] მეცნიერმან ვიცოდი, მცირედითა ჯარითა მტერს ვნებას ვერას მისცემდა და უფრორე მტრის სარგებელი იქნებოდა და მე თავით ჩემით, აღვუთქვი მისვლა და შეერთება თუსთანა, რ-ლი[რომელი] კიდევ აღვასრულე, რაოდენ შეძლება ჩვენი იყო, ყოვლითურთ ტოტლებენს სურამს ლაგირსა თუსსა შევეყარენით მარტის იზ და იქილამ იმერეთის მეფეს სოლომონთან კაცის გაგზავნით ანუ თუ წიგნის მიწერით ჩვენთან მტერზედ სამტეროდ შემოსაერთებლად; რ-ლისაც[რომლისაც] გვარითაც ვეცადენით, უიჭვო არს, ვ-ა[ვითარცა] თანამდებობა აქუს ნადვორნი სოვეტნიკს კნიაზ ანტონი მოურავოვს,¹ რ-ა[რამათა] უმაღლესსა კარსა მოახსენოს.

და როდესაც ჩვენ და იარანალ-მაიორი სურამილამ ქვიშხეთს ავედით და ზეგარდამოებრი წყალობა მისის დიდებულებისაგან ბოძებული წმიდის მოციქულისა ანდრია პირველწოდებულისა ორდენი მივიღეთ ღვარდიის ოფიცრისაგან, რ-ლისაც[რომლისაც] მაღლობა უმაღლესსა კარსა ურცევლესად მოხსენდება; როდესაც ქვიშხეთილამ მტერზედ განვემზადენით, რაც სურსათი მთხოვა ღრაფმა, პური და ქერი ვუშოვნეთ, ასე რომ, სურამშიაც მრავალი დააგდო, და საკლავ-იც ვუშოვეთი, ამაების ზოგის ფასი არც კი მიუცია. რადგან ჩვენი ჯარი დიდი ხნის გამოსული იყო თავის ადგილითგან, ვისაც პური და ქერი შემოაკლდა, იმის მესურსათისაგან იყიდეს; თვითან მე, რავდენისამე ჩვენის ჯარის კაცისთვის მეც ვიყიდე პური და ქერი, რაც რომ მთის კაცნი შორიელნი გვახლდენ, იმ ჯარისათვის, რადგანაც მალე გუშგ-ონა მტერზედ მისვლა და დავგვიანდით, ეს იყო მიზეზი ჩვენი ჯარის სურსათის სყიდვისა; და სადღეხვალიოდ აგდებდა მტერზედ მისვლასა და მიზეზობდა მიზეზთა უძლურთა, რადგანაც გონებაში

¹ ანტონ მოურავოვი (თარხან-მოურავი) — XVIII ს-ის II ნახევრის რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ეროვნებით ქართველი.

ეს ედვა და თვითონაც რაც მოუნდის, ურმის ხარებიდამ გლეხკაცს ართმევდა, უკოცდა და ნახევარს ფასს არ აძლევდა; მაგრა ესოდნის მისის დიდებულების სამსახურის სურვილი აქუსთ აქაურთ დიდთა და მცირეთა, რ-ლნიც[რომელნიც] გონების მქონებულნი არ-ნ[არიან]. თუ მისის დიდებულების გონების განზრახვის წარსამართლებელი იქნება, როგორც თავისი სისხლი, ახლა, ამ დროს, არ დაზოგავს და ეგრეთუშ უზესთაესსა საქმესა არა პრიდებენ.

ვინაფთვან მძებნელ იყო მიზეზისა, რათამცა ეპოვნეს მიზეზი მტერთა ზ-ა[ზედა] მიუსვლელობისა, ამისთჳს განაგრძელებდა დროთა, მაგრა, რაოდენ შემძლებელ ვიყავით, აღმასრულებელ ვიქმნებით მიზეზებთა მათ მისთა, და სადგერს ციხეს მისვლასა, იქილამ მტრის ციხე და სოფელ-ქალაქი, რ-ლი[რომელი] იყო აწყური; ამას ჰქონდა გზა მისასულელი ორი, ერთკერძოჲსა გზისა სიგრძე იყო ვერსი ორმოცი, რ-ლსა[რომელსა] ზედა არტილერია გაივლიდა, და მეორისა კერძოჲსა გზისა სიგრძე იყო ვერსი ოცდა ოთხი, რ-ლსა[რომელსა] ზედა თავისის რიგით არტილერია დაუშლელად არ გაიტარებოდა. უგრძესსა გზასა რვა ზარბაზანი ჩვენ მოგვიყარა თავისის გაწყობილობით და უგრძესსა გზასა ზ-ა[ზედა] ჩვენ გამოგვირჩია წარსვლა და გვარწმუნა ჩვენ ერთისა ზარბაზნის დაგდება სადგერის ციხეში სამოცის კაცით; და მე რომ პირობა მომცა და გამოგვიცილა, იმავე ღამეს იქავ სადგერს დადგა და მეორეს დღეს ექვსი ზარბაზანი თავისის გაწყობილობით და ოთხასზე მეტი ჯარისკაცი ბარგითა და, რაც კარავი ჰქონდა, იქ, სადგერს, დაეგდო და თვითან უმოკლესს გზაზედ მსუბუქის ჯარით წამოსულიყო, რომელსაც მტერის ციხეს საკირე ჰქვიან, და უწინარესვე ჩვენი ასი კაცი დაგვეყენებინა, იქ შემოგვეყარა და ქვიშხეთილამ აყრაში ათასხუთასი კაცი გამოგვართვა თავისი არტილერიისათჳს, თავისი ბარგიც იმათ აზიდენინა, რ-სათვისაც [რომლისათვისაც] არც ერთი კოპიკი გასვლია და მე თვით თავისა ჩემისა გარჯასა მისის დიდებულების სამსახურისათჳს ჩემდა ბედნიერობად ვრაცხდი.

თთუშსა აპრილსა 17, შუადღისას, მივსულვართ აწყურს და იქ ჩუშნმა ჯარმა და ღრაფის კამანდს ქუშშ განწესებულმა ჯარმა პირუტყვი მრავალი იშოვეს, პური და ქერი, აგრეთვე მეორეს დღეს,

მაგრა აწყურის ციხის შემოდგომა ჩემი ნება არ იყო, ამისთვის რომ, რადგან მტრის მამულში ვიყავით, უმჯობესად ეს აღმიჩნდა: მათნი ქონებულნი, რ-ლნიც[რომელნიც] სოფლებში სურსათი აქუნდათ, სულ ჩუშნ მოგვეგროებინა და შ-დ[შემდგომად] მისსა, უკეთუ უმჯობეს იქმნებოდა, მივსულიყავით ახალციხეზედ, და თუ არა, ან მასვე აწყურსა და ან სხუათა რ-ლთამე[რომელთამე] ციხეთა და ქალაქთა მტერთასა შემოვდგომოდით. მაგრამ ესე არ ჰყო ღრაფ ტოტლებენ-მან, და ესე ვითარი პირობა დაჰსდუა ჯარში, რომ მტერს დღესვე ციხეს წავართმევო, და ეს ვერ შევიტყეთ – ვერ შეიძლო, თუ არ ინება და ჩუშნდა მომართ მიზეზებთა წინადასდებდა; მეორე დღესაც კიდევ იგივე პირობა დასდუა, მაგრა მისნი საქმენი სიმართლით და სისწორით ვეროდეს ვნახეთ. ამასვე თვესა 18 რაოდენიმე კაცი და რამდენიმე ჯორი თხოვით გამომართვა, რაც ზარბაზანი და ფოფხანი დაეგდო იმაების მოსატანათ ვათხოეთ, და მას რაც თავისი მცირე რამ ბარგი თან ჰქონდა, ის იმ ჯორებისათვის იმ ღამეს მალვით უკან გაედევნებინა, და რ-ლნიმე[რომელნიმე] ჯარისკაცნიც; ამასვე დღეს ლეკნი და ოსმანნი მოეშველნენ აწყურს, 19 აპრილს, რ-ლთამე [რომელთამე] ლეკთა ჩუშნი შემორიგება მოინდომეს, მძევლებიც გვაძლივეს, მაგრამ ზოგთ ლეკთა და ოსმანთ არ გამოუშვეს შესარიგებლად. ამასვე დღეს აიყარა ტოტლებენი და ჩვენთვის მიზეზი ეს შემოეთვალა: მტერსა და მტრის ციხეს სხვას მკრით ზარბაზანს ვესვრიო. შევიტყვეით, რომ უკან დაბრუნებას აპირებდა და მსწრაფლად თუთ მე გამოუდევ და მიველ ღრაფთან, ვნახე გზაზედ მიმავალი: ჯარი წინ გაესტუმრებინა და თითონ რაოდენითამე ზარბაზნით და მცირედის კაცით უკან მივიდოდა. გზაზედ, რ-ლსაც[რომელსაც] იმის კაცს მივეწიე და კვითხავდი, თუ რა ამბავი არის ესე, იგინი მოჩივარნი იყუნენ ამ გუარის საქმისა ურიგოსა, ტოტლებენისაგან ქმნილისა. მე მიველ და ღრაფს დიდად ვევედრე და ჩემი თავი, ვითა ერთი მისისა კამანდისა ოფიცარი ეგრეთ კამანდში ვაძლივე და მრავალს ვევედრე გამობრუნებას მტერზედ. ამ საქმისათვის ღვარდიის ოფიცარი და სხვანი მრავალნი ჯარისკაცი რუსნი და ქართუშლნი დამსწრებ არიან და მოწამე. იმ ჩემს ვედრებაზედ ორი ზარბაზანი გამოაბრუნა და ერთს მაღალს გორაზედ აიტანა, რ-ლიც[რომელიც]

დიდად შორეედა მტერზედ, მუნითგან ოთხი-ხუთი ზარბაზანი ესრო-
ლა და გაბრუნდა და აღმითქვა, რომ აქავ ახლო ერთს ბალახიანს
ადგილს ჩამოვქდებო, და ამ სახით გამოიპარა. ეს გამოპარვა იარ-
ანლისა ჩვენმა ჯარმა რა ჰსცნა, დიდსა და გამოუთქმელსა მწუხარე-
ბასა მიეცნეს და მტერთა რა იხილეს და სცნეს, დიდად განიხარეს
და სიმკნე მიიღეს. ამას ყოველსა ამისი ბრწყინვალეობა კნიაზ ანტონი
რომანიჩი მოურავოვი, ვითა თუთმხილველი, უმაღლესსა კარსა კეთი-
ლად მოახსენებს იქ ჩვენს მტრისა მ-რთ[მიმართ] ომსა, და ან
ვ-რ[ვითარ] შევრეკეთ ციხესა და სოფელში.

ჩუშნ წარმოვედით ახალციხის მხრისაკენ და აწყურის ციხეს
ორს ვერსზედ დავუდევით. მაშინვე ღრაფ ტოტლებენს კაცი გაუგ-
ზავნეთ და ჩვენთან მოვიწვიეთ; კიდევ მას დღეს და მეორეს დღეს
დიდხანს მუნ ველოდით. ტოტლებენი აღარ მოვიდა, მაშინვე ქართლ-
ში — სურამისაკენ — წარსრულიყო. ჩვენი იქ დგომა პ-დ[პირველად]
ტოტლებენის მოცდა იყო და მეორედ — ამისი შიში, რომ კელმწიფის
ჯარს მტერთ ჯარი არ გამოსდგომოდა უკან ვიწროსა და ავს
გზებზედ, რომელზედაც არტილერია შეუძლებელ იყო მოხმარებად,
და თუ ჩვენ იქ არ დაგვეყოვნა იმ დღეს, ჩვენ მიერ ჰყოლილნი
ახალციხელნი ტყვენი ჰსწამებენ, რომ ღრაფის უკან დევნა ჰსწადე-
ბიათ, და თუ ასე იქმნებოდა, უეჭველად დიდს განსაცდელს მიეცე-
მოდნენ. ჩუშნ მუნითცა ავიყარენით, და რაოდენ შეიძლებოდა, მტერთ
სოფლების წაკდენას ვეცადენით, და რ-ლიც[რომელიც]? მტკვარს
გამოღმა სოფლები იყო, იმას მივმართეთ, რომ იქითგან, რაც მტრის
მტერობა შეგვეძლო, გვემოქმედებინა. იქ რა ვიყვნით, ახალციხის
ფაშას რაც ჯარი ჰყოლოდა ოსმანისა თუ ლეკისა, სულ აწყურს
გამოეგზავნა და იქიდგან ჩვენზედ წამოსულიყვნენ, რაც ახალქალაქს
და ხერთვისს ათას ხუთასი ლევანდი უდგათ, ისიც დაებარებინათ,
ამ ჯარს უნდა შემოჰყროდათ; ღ-ის[ღმრთის] მოწყალებით და მისის
იმპერატორების დიდბულების ბედნიერობით, მოვხუდით და გაგვე-
მარჯვა იმ ლევანდებზედ. ასეთს ძლეულებას მიეცნენ, რომ ნახევარი
მათი არ გასულა, — ზოგნი მტკუარში მოიშთუნენ გაქცეულნი და
ზოგნი ხლმით მოისრნენ. ასე მცირეს ხანს, რომ ჯერ მტრის დევნი-
აგან არ გამოვბრუნებულ ვიყავით, აწყურითგან ოთხი ათასი კაცი,

ოსმანი და ლეკი, ფაშისგან გამოგზავნილნი, მოვიდნენ ჩვენზედ, რადგან, ღ-ის[ღმრთის] მოწყალეობით, სასოება გვაქუნდა მათზე ძლევისა, ხიდი უწინვე წაუხდინეთ, ომი მოგვიკადა ურთიერთთა მიმართ ძლიერი და ფიცხელი; მცირეს დროს ისინიც იძლივნენ და მიისწრაფეს მსასოებელთა ხიდისათა ხიდისა მიმართ, და ხიდი წამხდარი დახვდათ, და ვსდევნიდით რა, მიისწრაფეს მდინარეთ, რ-ლ[რომელ] არს მტკვარი, და ესრეთ ამოსწყდენ, კრძლით და მოიშთუნენ წყლითა, რომელ თვით თვალითა ჩვენითა ვხედვიდით ოცნი, გინა ოცდახუთნილა განერნენ, ესრეთ აღიკოცნენ და, რომელნიც ახალციხესა შინა პირველნი ანუ ჩინებულნი კაცნი იყუნენ, ფაშანი ანუ ბეგნი, სრულიად მოსწყდნენ, და ეგრეთვე დაღესტნის ჩინებულნი და თავნი, რ-ლნიც[რომელნიც]?მუნ იყოფოდნენ, ისინიც აღიხოცნენ.

შ-დ[შემდგომად] ამისა მტრის მამულში ჯარი გაუუსივეთ და მრავალი პირუტყვი და სახლის ავეჯულობა იშოვეს. და მუნით წარმოსრულნი ტფილისს მივედით ამ მიზეზითა, რომ მისის დიდებულების ბძანებით ჯარი მოსასვლელი იყო, და ღრაფისაც არ ვიცოდით იმ დროს, სად იყო; და რადგანც ეს საქმენი ასე გვეგულეობდა, ამისთვის მოვედით ქალაქად ჩვენდა, რათა მივსცეთ ამათ რიგი დგომისა, სურსათისა და აღლაშქრებისა.

ვინათგან ჩემდა თანამდებობად ვიცოდი თქვენისა ბრწყინვალეებისადმი ამ ამბისა მოხსენება, ამისთვის მოვსწერე ბრწყინვალეებასა თქვენსა და რ-ლიცა[რომელიცა] ფ-დ[ფრიად] სასურველად ვიცი ჩემ მიერ თქვენდამი წიგნის მორთმევად და ვსასოებ ღ-ისაგან[ღმრთისაგან] და მოველით თქვენის ბრწყინვალეებისაგან, რათა დაუვიწყებლნი ვიყუნეთ და მე მარადის უმწვერვალესა სურვილსა და ერთგულებასა შ-ა[შინა] ვვიე.

მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი.“

მრეკლე II-ის მიერ ეკატერინე II-სადმი
ბაგზავნილი ხელშეკრულების პროექტი,
რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო
შესაძლებლად მიიჩნევა რუსეთის
მზარველობაში შესვლას (1771 წ.)^[140]

„ყოვლად უგანათლებულესსა, უმპყრობელესსა, დიდსა კელმწიფესა, იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევნას, თვითმპყრობელსა სრულიად რუსეთისასა, ყოვლად უმოწყალესსა კელმწიფესა!

რომელიც არის უკაზებითა ყოვლად მოწყალითა კელმწიფობისა თქვენისათა ბრძანებული მოწყალებით მიღება თქვენისა დიდებულებისა მფარველობასა შინა და ჩვენად განსაძლიერებლდ ჯარის ბოძება საქართველოებში.

ამ ზემოხსენებულის მოწყალების სიმდაბლით მმადლობელნი ამასაც მთხოველ ვართ, რომ აწვე გამოგვიყვანოს მოწყალებამან დიდებულებისა თქვენისაგან წარმართთაგან: და გეებოდოს ჯარი, რიცხვითი ოთხი ათასი, გასწავლებული, და თუ სულ გასწავლებული არ იყოს, ნახევარი გაუსწავლებელი იყოს და ნახევარი გასწავლებული, საკუთრად ჩვენს მხარეს, რათამცა საერთოდ ვებრძოლოთ ოსმალთა, რადგანაც უწინდელს ჯარს ჩვენ კერძო არა აქუს მოცალეობა, და ვინც ჯარის თავი იქნება, ჩვენის შეძლებით, როგორც რჩევას იმას დაუჯერებდეთ, ეგრეთვე ისიც ჩვენს რჩევას მიიღებდეს და დაიჯერებდეს, ვინადაგან ვართ აქაურთა საქმეთა შინა მყოფნი და მეცნიერნი ამისთვის.

კუალად, ვითაც ძველად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ თქვენისა დიდებულების მოწყალებისა გამო ეგრეთვე საუკუნოდ უცვალეებლად ეგოს მორჩილებასა ქუძმშე დიდებულებისა თქვენისასა იმ მსახურებითა, რომელიცა ქვემოთ აღიწერება.

მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად. ვინადათგან ღ-ითა[ღმრთითა] და ბედნიერობითა თქვენისა დიდებულებისათა ყირიმიდან ეგოდენნი ჩუენის ქვეყნის კაცნი გამოიხსნენ, წყალობას ვითხოვთ ყოვლად დიდებულებისაგან თქვენისა, რათამცა იმათ თავისუფლება მიეცესთ თავიანთ ქვეყანაში მოსვლისა.

და როდესაც თქვენის იმპერატორების დიდებულების ჯარი ამ ქვეყანაში მოვა და ჩვენ და ისინი, საერთოდ, მტერს ჩვენს წართ-

მეუღს ქვეყნებს რომ წავართმევთ, – რაც კორპუსზედ ხაზინა დაიხარჯება, ამ დაჭერილს ქვეყნებიდამ რამდენსამე წელიწადში ისევ უნდა ხაზინაში მოგართვათ.

დალათუ არამედ ამაზედ თავის წყენისათვის მოვერიდებით ყოვლად ღიღებულებასა ჰელმწიფებისა თქვენისასა, მაგრამ, რადგან ამ საქმეზედ რამდენჯერმე ჯარების შეყრა მოგვიხდა, ჩვენთვის კმა-საყოფელი ხარჯები დაგვემართა და კიდემ გზებზედ ჯარისა და ბარგის გარდმოტანისთვის ბევრი დაიხარჯა, და თუ რამ დაგუჭირდეს რა, ერთიც ვითხოვთ ვედრებით, რომ ხაზინიდან სესხად ჩვენის ჯარისათვისაც თეთრი გვებოძოს და ისევ მიირთვას ყოვლად ღიღებულებამან თქვენმან.

და ამ წყალობებისათვის, რომელიც ზემორე აღიწერა, მივართმევთ ძესა ჩვენსა რომელსამე და ეგრეთვე რაოდენსამე კნიაზსა თქვენს ყოვლად ღიღებულსა ჰელმწიფესა და აზნაურთაცა შეძლებსისაებრ ჩვენისა.

დღეს ჩვენ ქვეყანაში რომლისაც ნივთის მადანი არის და ან გამოჩნდება, იქიდან სარგებელი მოიპოება, ნახევარი თქვენის ღიღებულების ხაზინას მიერთმეოდეს.

და კიდევ, რაც ჩვენს მორჩილებას ქვეშ კაცნი არიან, ყოველწლივ ამათგან კვამლზედ თოთხმეტი შაური სახელმწიფოთ აიღებოდეს და მოგერთმეოდესთ.

რაც ამ ქვეყანაში რჩეული ცხენი იშობება, თოთხმეტი ცხენი ნიადაგ წელიწადს ყოვლად ღიღებულებასა თქვენსა მიერთმეოდეს.

როდესაც სპარსთ რომ ვეჭვირენით მძლავრებით და ხან ოსმალსა, სპარსნი ჩვენს სამეფოს ორს წელიწადში ერთხელ წაართმევენ ცხრას ტყვეს და კვამლზედ თოთხმეტს შაურს, და ამასაც იმ ტყვეების მოსამზადებელის ხარჯისათვის; და კიდემ ორმოცდაათს საპალნეს რჩეულს ღვინოს თავისის ხარჯით თუთ წაიღებდნენ საკელმწიფოთ: და ახლა ჩვენ ამ ღვინოს, რიცხვით ორი ათას ვედრას, რომელიც ჩვენ ქვეყანაში რჩეული ღვინო იშობება, ყიზლარს¹ ჩვენის ხარჯით მივიტანთ საკელმწიფოთა.

¹ ყიზლარი – ქალაქი დაღესტანში, წყაროებში იხსენიება 1609 წლიდან. 1735 წელს ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში გამგზავრებულმა ქართველებმა ყიზლარში საფუძველი ჩაუყარეს ქართულ კოლონიას.

როდესაც დიდებულის კელმწიფის ჯარი მოვა ჩვენს ქვეყანაში, იმათის შემწობით სხვის ქვეყნების დაპყრობამდის ჩვენის ქვეყნიდამ, რომელიც ქვეყანა დღეს გვიჭირავს, ეს ზემონსენებულნი აღთქმულნი მივართვათ უდიდებულესსა კელმწიფებასა თქვენსა; და როდესაც სხვებს ქვეყნებს დავიპყრობთ თქვენის დიდებულების ძალით, მაშინ იმ ადგილებიდან, როგორ ქვემოთ მოიხსენება, იმ სახით ვამსახურებთ.

როდესაც ძალითა და შეწევნითა თქვენისა დიდებულებისა კორპუსისათა რაც ოსმალთაგან წართმეული მამულები გვაქუს და იმ ადგილებს დავიჭერთ, იმათ მოგართვან ხარჯი თქვენ ყოვლად დიდებულსა კელმწიფესა, რაც რომ რუსეთის იმპერიაში თავადის ყმა აძლევს იმის ნახევარი ხარჯი.

თუ რომ კახეთის წართმეული ადგილები დავიჭირეთ, ბედნიერობითა თქვენის დიდებულებისათა, ამასაც, როგორც ზემორე დავიწიერია, იმ სახით ვამსახურებთ: კომლზე თოთხმეტს შაურს წელიწადში, და იმავე ადგილებიდან წელიწადში აბრეშუმს ორას ფუთსა იმ ქვეყნიდან, და, თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულობასა თქვენსა.

კუალად ვედრებით მოვახსენებთ თქვენს ყოვლად მოწყალეებასა, რათა ამავე გაზაფხულსა არ უტეონ დაუპყრობელად ქვეყანა ახალციხისა; და უკეთუ შერიგება მოხდეს თქვენის დიდებულებისა სულტანისა, მაშინც გარეთ არ დარჩეს ქვეყანა ახალციხისა, ვინაჲდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუსთ და მრავალნი ქრისტიანნი არიან იმათში და სხუანიცა ახალნი გარდაქცეულნი არიან მაჰმადიანობაზედ.

როდესაც დიდებულის კელმწიფის ბედნიერობით წარმართთაგან განთავისუფლდება და დამშვიდდება ჩვენი ქვეყანა, მაშინ ჩვენის ძველად ქონებულის სამეფოდამაც და ახლად დაჭერილის ქვეყნებიდამაც მოვართმევთ თქვენს იმპერატორობის დიდებულებას, რაც რუსეთის იმპერიაში სულზედ სალდათი აძეს, ჩვენ იმდენს კვამლზედ მივართმევთ სალდათს თქვენს დიდებულებასა.

უკეთუ ლ~თითა[ლმითა] და ბედნიერობითა თქვენითა, რომელიც სხვა მტერის ქვეყანა თქვენის დიდებულის კორპუსის ძალით დავიჭიროთ, იმისი სრულიადი ნება თქვენის დიდებულებისა არის.

ჩვენ რაც რამ სამსახურის აღაქმა შეგვეძლო და წყალობის კედრება გვეჭირებოდა, ის მოვასხენეთ თქვენის იმპერატორების დიდებულებას და, როგორც თქვენი, ყოვლად მოწყალის კელმწიფის ნება იყოს, ეგრეთ დედობრივითა მოწყალებითა განაგოს ყოვლად მოწყალებამან დიდებულებისა თქუენისამან.

ყოვლად დიდებულებისა თქვენისა უმდაბლესი მონა მეფე ერეკლე-დაიწერა ქალაქსა ტფილისს, დეკემბერს 30 დღესა. წელსა 1771.“

მრეკლე მემორიასა და სოლომონ პირველს შორის
დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება,
რომელიც გაეფაჩა რუსეთის კანცლერ
ნ. პანინს იმპერატორისათვის გადასაცემად
(1773 წ.) ^[140]

„ბრწყინვალეო ღრაფო,¹

ჩემო მოწყალევე ხელმწიფევე!

ვითარცა გვაქვს უმეტესი მორჩილება და უგულსმოდგინესი ს-დ[სრულიად] ყმობისა მოცემულობა ს-დ[სრულიად]? უგანათლებულის დიდის ხელმწიფისა ჩვენის იმპერატორიკას ეკატერინა ალექსის ასულის და თვითმპყრობელის ს-დ?[სრულიად]? რუსეთისას, ჩვენ, საქართველოსა და კახეთის მეფე ირაკლი და ს-დ[სრულიად]? იმერეთის მეფე სოლომონ, ს-დ[სრულიად]? უგანათლებულის მათის იმპერატორობის დიდებულობის დედობრივის ბრძანებით ამ ვალდებულობისა ჩვენის ხელწერილობით ურთიერთთა შორის მეგობრობისა პირდაუფერებლობით დადგინებულობას ვაწესებთ: საერთოსა შურის მაძიებლის ქრისტიანეთა მტერთა ზედა მოქმედებად და ვალდებულებისამებრ ურთიერთთა შორის გულს მოდგინებით შესაწევნელად, როგორც ამ ქვემოთე პუნქტებში ვრცელად აცხადებს:

1. ყოველნი, რომელნი ამას წინათ ურთიერთთა შორის გულნაკლულეკანება ერთმანერთში გვქონდა, საუკუნოდ დაუტევებთ.

¹ ივლისხმება ნიკიტა ივანეს ძე პანინი (1718-1783 წწ.) – გრაფი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელი 1763-1781 წწ.

2. პირდაპირ შურის მეძიებელის ს-დ[სრულიად]? რუსეთის იმპერიის და ს-დ?[სრულიად]? ქრისტიანეთა მტერთა ზედა, რომელ არს ურუმისა, და ყოველთა, რომელნიც იმათნი შემწენი არიან, რაც უნდა ხალხი იყოს, რომელსაც ჩვენ მოვსწუდებოდეთ და შეიძლებოდეს ყოველისფრით ჩვენის შეძლებით და ძალით სწორესა ჩვენის სიმაართლით, იმათზე მტერობით ვიმოქმედოთ.

3. ვინიცობა არის, რასაც დროს ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანერთს მსწრაფლად ჯარით მივეშველნეთ და ყოველისფრით, რაც კი შეიძლებოდეს გავისარჯნეთ.

4. როდესაც ჯარი ვისზე ჩვენში ერთმანერთს დასჭირდეს და რომელმანც მეპატრონემ ჯარი შესაწვევლად ერთმანერთს სთხოოს, იმ დროს, ვისიც ქვეყანა იყოს, იმ ქვეყნის მეპატრონემ იმ ჯარის სურსათი მისცეს და გააძლებინოს; და ვინიცობა არის, ჩვენ ორნივე მეპატრონენი ჯარებით მტრის ქვეყანაში შევიდეთ, იმ ჟამს ყოველმან მეპატრონემან თავთავის ჯარს სურსათით, თუ სხვით რითმე თვითან ჩვენ ჩვენის შეძლებით გავაძლებინოთ.

5. დღეის იქით დამნაშავე ჩვენზედა, რაც უნდა რიგი კაცი იყოს ჩვენნი ყმანი, თავადნი თუ აზნაურნი, ერთი ერთმანერთს, თვინიერნებით გარდასახლებულნი ორსავ მკრიდამ, გლეხი, თუ სხვა, დაუყოვნებლივ მივსცეთ.

6. ვინიცობა არის, რომლისაგან მარადის ღ-თნ?[ღმერთმან]? დაგვიცვას სწორედ, ჩვენსავე ქვეყანაში ერთი ერთმანერთისაგან შუოთი აღიძრას, ვისგანც უნდა იყოს, მაშინვე ერთმანერთს მივეშველნეთ და, რითაც კი შეიძლებოდეს, ისე დავაწყნაროთ, თუ გინდა ჩვენი ძმაცა და შვილიც იყოს, თუ უსამართლოდ იყოს, ისინიც დავაწყნაროთ და ავად მოვეპყრათ, ამისათვის, რომ ის უბედურობა იმ ქვეყნისაგან ამოიგდოს და აღარ მოძრაობდეს.

7. დასასრულსა ამისასა, ვინათგან ყოველივე საქმენი დროსა და სწორესა ჟამსა წინაშე საერთოსა მტრის ვალდებულობისამებრ შემწეობით უნდა წინუძღვეთ, ამისათვის, რომ ამ დროს რიცხვით ჯარის განწესება ჯერ არ შეგვიძლიან და ამა ყოველსა დაუჭევებთ მომავალსა მშვიდობისა და კეთილის დრომდის; და უნდა ვეცადნეთ, რათა ჟამითი ჟამად ერთი ერთმანერთის სიყვარულობით და ერთობით,

სწორესა და პირდაუფერებლობის, კაის რიგით აღვასრულოთ და მივსცეთ კეთილი რიგი; და ს-დ?[სრულიად]? ესე ზემოხსენებულნი პუნქტები სწორესა ჩვენის ქვეყნის მშვიდობისათვის, არათუ ჩვენს ამ ქვეყნის მოვლასა და მეპატრონობისა ჟამსა შინა იმოქმედოს. ა-დ[არამედ] ვამტკიცებთ, რათა ჩამომავლობამანცა ჩვენმან უთუოდ და უცვალებელად ეს პუნქტები კეთილად აღასრულონ; და არც უნდა ერთმანერთს ასე საქმე გაუჭიროთ, რომ იმის მიზეზით ის პუნქტები დაირღვას, რომელსა შინა შეგვეწვევის ჩვენ ღ-თი?[ღმერთი] უფალიცა.

და რათა ძალნი ესე და მოქმედებანი, რომელნი დაგვიდგინებინან ურთიერთთა შორის მეგობრობისა და სიყვარულობისა შესაწევნელნი პუნქტები, ჩვენ, ყოველმან, და ჩამომავლობამანცა ჩვენმან უნდა უკეთესისა და სწორის საქმიითა ყოველსა შინა დაურღვეველად დაიცვან და ამა განწესებულობისა რიგითა გულსმოდგინებით იქცეოდნენ და ირჯებოდნენ.

ყ-დ[ყოველად] უმდაბლესად ვითხოვთ ჩვენ თქვენის მაღლის ღრაფობის ბრწყინვალეებისაგან, რომ ეს პუნქტები მის დროს მათს იმპერატორობის დიდებულობის და ჩვენს დიდებულს მფარველს ს-დ?[სრულიად]? უმაღლესის გასასინჯავად უმდაბლესის მირთმევით ღირს გვყოთ, რომელი ჩვენ ესე ჟამსა აქ ჩვენთან ვეჭილი მათის იმპერატორობის დიდებულობის საქმესა შინა ლეიბ ღვარდიის უფლის – კაპიტანის ღვოვის¹ ყოფნასა შინა ჩვენის ბეჭდით დავბეჭდეთ და სწორედ ჩვენი კელი მოვაწერეთ, და წარმოსაგზავნელად თქვენის მაღლის ღრაფობის ბრწყინვალეების წინა ამას მივართვით. ივლისს დღესა კზ (27) (1773), ჩლოგ წელსა, სანგარსა შინა, სიახლოესა სოფლისა მადარასა.

მეფე ქართლისა და კახეთისა
ერეკლე

სრულიად იმერეთის მეფე
სოლომონ²

¹ ივანე ლავრენტის ძე ლევი – XVIII ს-ის II ნახევრის რუსი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, კაპიტან-პორუჩიკი; 1775 წლიდან რუსეთის ელჩი ერეკლე II-ის კარზე.

ნაწყვეტი რუსეთსა და ოსმალეთს შორის
ქუჩუკ-კაინარჯში დადებული ზავიდან,
რომელიც იმერეთის სამეფოს შეეხება (1774წ.) [140]

Артикул двадцать третей

В части Грузии и Мингрелии находящиеся крепости Багдадчи,¹ Кутатис и Шегербан,² российским оружием завоеванныя, будут Россиею признаны принадлежащими тем, кому они издревле принадлежали, так что ежели подлинно оные города издревле, или с давного времени были под владением блистательной Порты,³ то будут признаны ей принадлежащими; а по размене настоящего трактата во условленное время российский войска выйдут из помянутых провинций Грузии и Мингрелии. Блистательная же Порта с своей стороны обязывается, в сходственность с содержанием перваго артикула, дозволить совершенную амнистию всем тем, которые в том краю в течение настоящей войны каким ни есть образом ее оскорбили. Торжественно и навсегда отказывается она требовать дани отроками и отроковницами и всякаго рода других податей; обязывается не почитать между ими никого за своих подданных кроме тех, которыя издревле ей принадлежали. Все замки и укрепленные места, бывшия у грузинцов и мингрельцов во владении, оставить паки под собственную их стражею и правлением, так как и не притеснять никоим образом веру, монастыри и церкви и не препятствовать поправлению старых и созидание новых, и да не будет притесняемы какими-либо требованиями от губернатора Чилдискаго⁴ и от прочих начальников, и офицеров к лишению их имений. Но как помянутыя народы находятся поданными / блиста-

¹ ბაღდადი.

² შორაპანი.

³ ბრწყინვალე პორტა — ოსმალეთის იმპერია.

⁴ ჩილდირის გუბერნატორი — ახალციხის ფაშა.

тельской Порты, то Российская империя не имеет совсем попредь в оныя вмешиватся, ни же притеснять их.“

ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე
ერეკლე II-სა და ქარიმ-ხანს შორის
დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1774
წ.)^[132]

„ჰსცნა რა მეფემან ირაკლი მომავლობა ქარიმ-ხანისა, არა მცირედ მწუხარე იქმნა ვინაღდან იმედუელმან რუსეთისა მფარველობისამან არა რიდა ბრძოლად ზვანთქრისა და არცაღა ჰმორჩილებდა მოადგილესა ყაენისასა და ამჯამად დაშორებულ იყო მფარველობა და მხედრობა რუსეთისა. გარნა გამბედავმან და გამოცდილმან ირაკლი წარგზავნა ორნი სანდონი გუამნი, კარისკაცი თვისნი, თავადი ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივანბეგი¹ და თავადი თარხნიშვილი ზაზა ყორიასაულბაში დესპანად და აცნობა ყოველივე ერთგულება და მხნეობა თვისი, თუ ვითარ ჰბრძოდა ოსმალთა და აქენდა ოსმალთაგან შეწუხებაი. ხოლო მივიდნენ რა ესე წარგზავნილნი თავადნი თავრიზს ქარიმ-ხანთან, რომელიცა მზად იყო წარმოსასვლელად და ბრძოლად მეფის ირაკლისად, მაშინ მისრულთა ამათ თავადთა მრავლითა ლაპარაკითა და ღონისძიებითა, ვითარცა აქენდათ დაბარება მეფისა ირაკლისაგან, ეგრეთ მოამშვიდეს ქარიმ-ხან, რომელ უკუნ-იქცა თავრიზით.“

თეიმურაზ ბაგრატიონი ოსმალეთთან ერეკლე II-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1776-78 წწ.)^[141]

„განვრცნა რა ხდომეაჲ შორის ქართლისა და ახალციხისა და იქმნენ ორნივე კერძონი შემჭირებულ ფრიად, ამაღ ზავ ჰყვეს ურთიერთარს და წარგზავნა მეფემან ირაკლიმ კარსა ზედა სულტანისასა

¹ ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი (გარდ. 1792 წ.) – ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი და მწერალი.

სტანბოლს დესპანი თვისი ორგზის მირზა გურგინაჲ ენაკოლოფაშვილი,¹ რომელსაცა მოერთვა სულთანი საგან აჰმადისა ორგზისკე ქურქი, ხმალი, აღკაზმული ოქროთა, ჰუნეჲ² და უმეტეს ათორმეტი ათასისა ოქროი, ხოლო ვეზირისაგან საათი ძვირფასი მოვაჭვილი.“

ერეკლე II-ის წერილი „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორ იოზეფ II-სადმი
(1782 წ.)^[142]

„ყოვლად უგანათლებულესსა, უდიდებულესსა და უთვითმპყრობელესსა უმაღლესსა ყოვლად მოწყალესა დიდსა იოსებ კეისარს!

სამსახური არა გვაქვს-რა წინაშე დიდებულებისა თქვენისა, რომ ესე კადნიერება იმისგან მოვიღოთ, და არც სიშორისაგან შეიძლება, რომ ჩვენი სრული ერთგულობა გამოვანიხოთ, და არც დრო გვქონებია აქამომდე, რომ ჩვენის გეამის გარჯილობით სამსახური, რომელიც არ შეიძლებოდა ჩვენ თავ იმასაც არ დავარიღოთ სისხლადმდე.

და მაშა რომლითაღამე გზით უნდა გაწყინოთ თავი და კადნიერება ვიხმაროთ თქვენისა უმაღლესობისადმი, მაგრამე გვაქვს ორი მიზეზი: პირველად — ერთი ოდენ ქრისტიანობა და მეორედ დამჭირნება ჩვენი, რომელი ესე ვით არ გვაქვს, უკეთუ ყოვლად დიდებულებასა თქვენსა არ მოვახსენოთ და არ გამოუცხადოთ უმძიმესა საწყინელსა ანუ განსაცდელსა არამცა ოდესმე მივეცეთ და ამისთვის ყვაეთ კადნიერება ესე ყოვლად დიდებულო და ყოვლად მოწყალეო კეისარო!

წინაპართა ჩვენთა ნათესავთაცა სურვილი აქენდათ რათამაც თქვენისა მიმართ უმაღლესისა ტახტისა, ნიადგ თვისთა საჭიროთა შესაბამთა საქმეთა მოახსენებდნენ, მაგრამ დიდთა მიზეზებთა და მძლავრთა მეზობელთაგან მაჰმადიანთა მოაქამომდე ვერსადმე იპოვნეს თავისუფლება მოხსენებისა, და აწ დროსა ამას წარმოადგინა ჟამი ჩვენთვის,

¹ ენაკოლოფაშვილი გურგენა — XVIII ს-ის II ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ერეკლე II-ის საგანგებო ელჩი ოსმალეთში 1776-1778 წწ.

² ჰუნეჲ — ცხენი (ძვ. ქართ.).

ზეგარდმომან მადლმან და მოწყალებამან, და მივიღეთ თავისუფლება, და აღგვისრულდა ჩვენთა ჩამომავლობათა ძველნი მათისა სასურველისა საქმისა წადილნი.

და აწ შემდგომად მდაბლად ხელვჰყოფთ კადნიერებასა უდიდესისა ვედრებითა, რათამცა უუმაღლესობამან ყოვლად მოწყალისა კეისრობისა თქვენისამან ისმინოს ჩვენი ესე ვედრება, რომელიც მოგვიხსენებთ: ისმინე ლუთისათვის ჰოა დიდო, ყოვლად მოწყალეო კეისარო და წყალობა ჰყავ ესოდენთა ქრისტიანეთა ზედა, ვინათგან უიჭველად რწამს ზედ მიწვევით ყოვლად უგანათლებულესსა წმინდასა გონებასა თქვენსა, რომ ესევითარნი მოწყალებანი შეწუხებულთა ქრისტიანეთა ზედა მრჩობლისა ცხოვრებისა თქვენისა წარსამართებელნი არიან.

რომელნიცა ჰაზრნი და სიტყვანი წერილითაც და ზეპირადაც დაბარებული აქვს ამ პატრი მავროსს, ამისგან მოგხსენდებათ სრულიად, თქვენი ყოვლად დიდებულება ერწმუნოს, რომელიც ამან მოახსენოს დიდებულებასა თქვენსა.

უწინარეს ამისსა წარსულსა წელიწადსა წარმოვეზავნეთ პატრი დომენიკა ტფილისისა შინა მყოფი და გამოვატანეთ წინაშე დიდებულებისა თქვენისა არზი ერთი, რომ იმ არზაში არა დაედევითრა აზრნი, მაგრამ ზეპირ დაბარდა სიტყვანი მოსახსენებელნი და იმ პატრს დომენიკას გზასა ზედა ხორციელისა ცხოვრებისა დასასრული მიეღო.

და ეს იყო დაბარებულობა მისი, რომელიც მოგეხსენებათ ამ მოხსენებაში: რადგანაც წარსრულს წელიწადებში ამ ჩვენის მხრის აზიის ქვეყნებში ამბავი მოდიოდა, რომ თქვენს უმაღლესობასა და უდიდებულესობასა თურქის სულთანზე საფარი აქვსო, ამ სასიხარულო ამბავმა ჩემს გონებასა შინა მყოფი ერთგულება განაღვიდა და სიხარულად აღძრა, და ის პატრი ამისთვის გამოვეზავნეთ, რომ ეგება თქვენის უმაღლესობის საკადრის სამსახურს ველირსნეთ.

აზიაში რაც რომ სახელმწიფო ტახტი არის, ისინი სრულ მოშლილნი არიან და რაც კიდევ უფროსნი ვინმე არიან იმ ქვეყნებში, სულ ერთმანეთის მტრები არიან, და ყოვლის საომრის ძალისაგან მოკლებულნი არიან და წამხლარნი და თქვენის დიდებულებისაგან

თურქის სულტანზე თუ აღდგომა იქნებოდა, და იქნება: მე ეს ვიცოდი ზედმიწევნით და კიდევ ვიცი, რომ თურქის სულტნის შეწევნა აზი-ილამ არც მაშინ იქნება და ეს იყო ჩემი მაშინდელი მოხსენება.

ყოვლად დიდებულ მოწყალეო ხელმწიფევე დავასრულებ ამდენს თავის წყენას თქვენის დიდებულებისას და მოვითხოვ ბოდიშს ამლონის თქვენის თავის შეწყენისას, ვითხოვ წყალობასა თქვენის დიდებულებისაგან, რომ ეს ჩვენი მოხსენება თქვენს უგანათლებულესს გონებას არ შესწყინდეს.“

ბეორბინეჰის ტრაქტატი (1783 წ. 24 ივლისი) [143]

„სახელითა ღ-თისა [ღმრთისა] ყოვლისა-შემძლებელისა ერთისა სამ-წმინდაობასა შინა დიდებულისათა

ადრითგან ერთ-მორწმუნობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართულსთამან მსახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინა-აღმდგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქუშშე შემვრდომ იყვნეს იგინი მეზობელთაგან თუსთა. მფარულობამან ყოვლისა რუსეთისა თვითმპყრობელთამან მეფეთა მიმართ საქართულო-სათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან, გამოიყუანა მოკიდულებაჲ იგი უკანასკნელთა ამათ პირულთა მათგან, რომელიცა უფროსლა ირუმნების რუსეთის საიმპერატოროსა ტიტლოსაგან.

აწ ბედნიერად მძეგობმან იმპერატორებისა მისისა დიდებულებამან ცხად უყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარხოებითი თუსი კეთილ-ნებობაჲ და დიდ-სულობითი შზრუნულობაჲ კეთილობისათუს მათისა თუსითა ძლიერიითა მეცადინეობისა დართუთა განთავისუფლებისათუს მათისა უღლისაგან მონებისა და საყუედრელისაგან ტყვედ მიქდისა ვაჟთა და ქალთსა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს და განაგრძებლეს თუსსა მონარხოებითსა მოხედუასა მფლობელთა მათდამი. ჰაზრითა ამით სიმდაბლედ შთამოსრულმან თხოვასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მიღებულ-იქმნა

ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა მენაცულითა თუსითა და ყოვლითა სამეფოეთა და სამფლობელოეთა თუსითა მონარხობითა მფლობელობასა ქუშშე მისისა დიდებულებისასა და მაღალთა მემკვიდრეთა მისთა და მოსაყდრეთა უზენაეს კელმწიფვდ აღსარებითა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთა მეფეთა ზედა ქართულთა და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალებობით ინება აღდგინება და დამტკიცებაჲ მეგობრობითისა პირობისა ჰხსენებულისადმი უგანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთ კერძო უგანათლებულესობა მისი სახელითა თუსითა და თუსითა მენაცულეთათა აღიარებს უზენაესსა კელმწიფებასა და მფარულლობასა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა და მაღალთა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოეთა ქართლისა და კახეთისათა და სხვათა სამფლობელოთა შესაბამთა მათდამი, რათა დანიშნულ ყოს (სამეფოეთა) დღესასწაულობითა და ნამდვილითა ხატითა შეკრულებაჲ თუსი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა; ხოლო მეორით კერძო დიდებულებაჲ იმპერატორებისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ყოს დღესასწაულობით, თუ ვითარი აღმატებულებაჲ და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯუშნისაგან მისისა ჰქსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა: დასამტკიცებელად ესე ვითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპერატორებისა მისისამან სრულისა ძალისა ქონებად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა რომაულისა გრიგორი ალექსანდროვიჩი პოტემკინი,¹ მხედართა თუსთა ღენერალ-ანშეჭი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა გასწავლულისა და გაუსწავლებელისა და სხუთა მრავალთა სამკედროთა ძალთა, სენატორი, საკელმწიფოეთა სამკედროეთა კოლლეგიის ვიცე-პრეზიდენტი, ასტარხნისა და სარათოვისა, აზოვისა და ნოვაროსნიისა, მოადგილე კელმწიფისა, ღენერალ-ატუტანტი თუსი და დეისტვიტელნი კამერლერი, კავალერ-ღვარდიისა კორპუსისა პორუთნიკი, ლეიბ-ღვარდიისა პრეობრაჟენის პოლკისა პოდპოლკოვნიკი, უპირულესი მთავარი პალატისა საჭურულთაჲსა კელოვნებისა, კავალერი ორდენთა: წმიდ-

¹ გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინი (1739-1791 წწ.) – რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი, გენერალ-ფელდმარშალი, ეკატერინე II-ის ფავორიტი.

ისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევესკისა, სამკედროსა წმინდ-
ისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმინდისა, მოციქულთა ჰსწორისა
ელადიმირისა დიდთა ჯუართა, კოროლთა პრუსიისა შაეისა და პოლ-
შისა თეთრისა არწივისა, და წმინდისა სტანისლავისა, შუშციისა
სერაფიმთა, დატსკისა სპილომასა და ღოლსტინიისა წმინდისა ანნა-
სი, ესევეითართა კელმწიფეებითა, რათა არყოფასა მუნ თუსსა აღირ-
ჩიოსმცა ნებითა თუსითა სრულისა ძალისა მქონებლად, ვისიცა კეთი-
ლად განსაჯოს მან, რომელმან რომლისათუს აღირჩია და სრულისა
ძალისა მქონებელ ჰყო მაღალ-მსულებელი უფალი მისის იმპერატორ-
ების დიდებულების არმიისა ღენერალ-პორუტჩიკი, ასტარხნის ღუ-
ბერნიის მკედრობისა მოკამანდე, მისის იმპერატორების დიდებულებ-
ისა დეისტვიტელნი კამერლერი და ორდენტა რუსეთისათა წმიდისა
ალექსანდრე ნევესკისა, სამხედროსა დიდის მოწამის და ძღვევა-შემო-
სილის გიორგის და ღოლსტინიის წმიდის ანნას კავალერი პავლე
სერგიევიჩი პოტემკინი.¹

ხოლო უგანათლებულესობამან ქართლისა და კახეთისა მეფისა
ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულისა ძალისა ჰყუნა
კერძოთ თუსით ბრწყინუალენი სამკედროსა თუსისა მემარცხენე
სპასპეტი კნიაზი თავადი იოანე კოსტანტინევიჩი ბაგრატიონი² და
მისის უგანათლებულესობისა თავადი გარსევან ჭავჭავაძე³ მანდატურთ-
უხუცესი.

ჰქსენებულთა მათ, სრულისა ძალისა მქონებელთა და შეწევნითა
ღ-ისათა საქმისა მიმართ მიწევნულთა, ურთიერთარს ნაცულის-მგე-
ბელთა სრულისა ძალისა მქონებელობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა,
დაადგინეს და დაამტკიცეს, და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა
ანუ წევრთა:

¹ პავლე სერგის ძე პოტემკინი (1747-1809 წწ.) - რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი, გენერალ-პორუჩიკი, კავკასიაში განლაგებული ჯარების სარდალი (1782 წლიდან).

² იოანე (მუხრანბატონი) (1755-1800 წწ.) - ქართლ-კახეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II-ის სიძე (ქეთევანის მეუღლე).

³ გარსევან ჭავჭავაძე (1757-1811 წწ.) - ქართლ-კახეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, ქართლ-კახეთის ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრ-რეზიდენტი რუსეთის საიმპერატორო კარზე 1784-1801 წწ.

არტიკული პირველი

უგანათლებულესობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელთა თვისთა, მემკვიდრეთა და მენაცულეთა თვისთა დღესასწაულობით უკუნსთქუამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდულებისა სპარსთასა, ანუ სხუათა მპყრობელთასა და ამით ცხად-ჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმედ არა შერაცხს იგი თვს ზედა და მენაცულეთა თვსთა ზედა სხუასა თვითმპყრობელსა თვნიერ უზენაესისა კელმწიფებისა და მფარულეობისა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვიდრეთა და მენაცულეთა საიმპერატორომსა ტახტისა ყოვლისა რუსეთისა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზა-ყოფისა შეწევნისათვს სარგებელისა საკელმწიფომსა (რუსეთისა) ყოველსა შინა შემთხუშვასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

არტიკული მეორე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა მიმღებელი უგანათლებულესობისაგან მისისა ესოდენისა უზაკუშლისა აღთქმისა, აღსთქუამს თანასწორადულს და იმედულ ჰყოფს იმპერატორებრითა სიტყვითა თვისთა თვისისათვს და მოსაყდრეთა თვსთათვს, ვითარმედ მოწყალება და მფარულეობა თვისი უგანათლებულესთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა არაოდეს მიეღების, რომლისაცა დასამტკიცებელად დიდებულება მისი აძლევს იმპერატორებრსა თავს-მდებობასა თვსსა მართლად (და დაუკლებელად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს განვრცელებასა ესევეითარისა თავს-მდებობისასა ესე გუარსა ზედა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევეითითა ხატიითა შესაბამად სამფლობელომსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელომსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

არტიკული მისაემ

განცხადებასა შინა ამის უზაკუსლობისასა ვითარითაცა ხატიოთ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარუსლობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა განიწესების, ვითარმედ: ქსენებულნი იგი მეფენი ოდეს-იგი მიიწვიან მემკუდრობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრაფლ აუწყებდენ ამისთვის კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდენ დესპანთა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისსა იმპერატორებსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა (ესე იგი არს) ბოვრაცი ანუ დროშა ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თვისსა ჰხსენებულთა სამეფოთა ღერბისა, კრმალი, კუსრთხი საბრძანებელი, მანგია ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ დესპანთა ერწმუნების, ანუ მესამზღურეთა მთავართა ძლით მიიწვევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა მუნ დასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა თანა-მდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულებისათვის და გულს-მოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხვასათვს კელმწიფებისა და მფარუსლობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა ესევითარითა ხატიოთ, ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათ თანა, წესი ესე თანა-ამს აღსრულებად ყოვლად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ირაკლის თეიმურაზოვიჩისა.

არტიკული მეოთხე

დამტკიცებისათვს ვითარმედ ჰაზრი მისისა უგანათლებულესობისა განსჯითა ესოდენ მჭირისისა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა და აღსარებისათვს უზენაესისა კელმწიფებისა ყოვლად უბრწყინუალესის ამის იმპერიისა მფლობელთასა, ვითარმედ არიან უზაკუსლ, აღსთქუამს უგანათლებულესობაჲ მისი, რათა უწინარეს თანხმობისა უპირუშლესისას მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მისის იმპერატორების დიდებულებისა ჰრწმუნებულისა არა აქუნდეს მიწერ-მოწერაჲ გარემოთა მფლობელთა მიმართ, ხოლო

ოდეს იგი მოვალნ მათ მიერ დესპანნი ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირუსლესისა მიმართ მესამზღურისა მთავრისა და მინისტრისა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა უკუნ ქცევისათჳს დესპანთასა და შესაფერისათჳს სიტყვს-გებისა მფლობელთა მათ მიერ.

არტიკული მესამე

რათა აღვლად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროდ მიწერ-მოწერად და თანქმობად რუსეთისა საიმპერატოროდსა კარისა თანა, ჰსურს ამისთჳს უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყუსმცა წინაშე კარისა მის მინისტრი ანუ რეზიდენტი, ხოლო დიდებულება იმპერატორებისა მისისა მოწყალებით მიმღებელი მისი აღსთქუამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქმნების რიცხუსა შინა სხუათა მფლობელთა მინისტრთა თანა თანა-ჰსწორითა ნიშნითა თჳსითა, და გარდა ამისსა ჰნებაეს, რათა კერძოდთჳცა თჳსით ჰყუსმცა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგანათლებულესობისა.

არტიკული მესამე

დიდებულება იმპერატორებისა მისისა, მიმღებელი კეთილ-ნებებით აღსარებისა უზენაესისა კელმწიფებისა და მფარუსლობისა სამეფოთა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართუსლოდსათა, აღსთქუამს სახელითა თჳსითა და მოსაყდრეთა თჳსითათა: პირველად, ერთ მის სამეფოდსათა შერაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებით თანაჰმად იმპერიისა თანა თჳსისა. მაშასადამე, მტერთაჳცა მათთა შეჰრაცხს მტრად თჳსსა, რომლისათჳსცა პორტის ათამანისა თანა (ესე იგი ხონთქრისა), ანუ სპარსეთისა, ანუ სხუათა მპყრობელთა და სამფლობელოთა თანა მშვიდობად დამტკიცებული სათანადო არს, რათა განგრძელდეს დიდებულებისა მისისა და საფარუსლოთა ერთაჳცა ამათ ზედა; მეორედ, უგანათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩ-

სა და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და მენაცულებთა და ტომთა დაიცავს უცუალებელად სამეფოთა ზედა ქართლისათ და კახეთისათ; მესამედ, შინაგანსა კელმწიფებისა მმართველობასა თანა შეუღლებილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა და დააყენებს მთავართა სამკედროსა და სამოქალაქოსათა აღრევად, ვითარიცაღა იყო განწესებაჲ ერთა მათ ჰქსენებულთა.

არტიკული მეშვიდე

მისი იგი უგანათლებულესობა მეფე, ღირს-თანამდებობითთა კრძალულებითა მიძღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპერატორების დიდებულებისა, აღსთქუამს თავსა თვისისა და ტომთა თვისთაჲს: პირუშლად, რათა იყოს ნიადაგ მზაჲ სამსახურსა ზედა მისისა დიდებულებისასა მკედრობითა თვისითა; მეორედ, მთავართადმი რუსეთისათა, რათა იქცეოდესმცა სამარადისოჲთა მიწერმოწერითა, რაჲცაღა თვის-ეყვს მისისა იმპერატორების დიდებულებისა სამსახურსა და კმა ჰყოფდეს თხოვათა მათთა და ყმათა მისის დიდებულებისათა სცუდეს ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწრებათა; მესამედ, განწესებასა შინაკაცთასა (თვისისა სამეფოჲსათა) ადგილთა ზედა აღყუანებასა ზედა მათსა ხარისხთა შინა ანუ აღსავალთა, რომელთამე, რათა უსაკუთრესად აჩუშნოსმცა უდიდესობაჲ მსახურებისათვის რუსეთის იმპერიისა, ესე-ვითარსა პატივის-ცემასა ზედა მოკიდულ არს განსუშნება და ბედნიერობა ქართლისა და კახეთისა სამეფოჲსა.

არტიკული მერვე

დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილ-ნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა ამათ ერთმორწმუნეთა ერთა

თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაჲ, ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა, რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღუდელთ-მთავართასა მერუმსა შინა ხარისხსა, ესე იგი არს შემდგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალებოთ მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩვენობისასა. ხოლო მართებისათჳს საქართუშლოჲსა ეკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი, ამისთჳს უკუშ დაიწერების სხუა არტიკული.

არტიკული მეცხრა

განვრცელებისათჳს მოწყალებისა თჳსისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათჳს, განაწესებს დიდებულება იმპერატორებისა მისისა, ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქმნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირუშლესობითა და სარგებელითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა, ხოლო უგანათლებულესობა მისი მიიღებს მადლობით ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით შთამოსლუასა და შეიკრუს წარგზავნად კარისადმი მისისა დიდებულებისა ნუსხასა კეთილ-შობილთა გუართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობად ნამდვილი ზედმიწევნილებაჲ, თუ რომელსა ვითარიმე შესაბამების სამართალი.

არტიკული მათე

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლისა და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახლებად და კჳალად უკუნ-ქცევადვე დაუყოვნებელად; ხოლო ტყჳშნი, უკეთუ საჭჳრჳშლითა ანუ გამოქსნითა რომლითამე თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხუათა ერთგან განთავისუფლდენ, რათა განტყევებულ იქმნენ ქჳშყანასა თჳსსა წადილისაებრ თჳსისა. მაგრა რაჲცაღა-იგი წარგებულ არს გამოქსნასა და მოყვანებასა ზედა მათსა, გარდაიქაღონ

იგი; თუთ უკუშ ამასვე უგანათლებულესობამცა მისი მეფე აღსთქუამს წმიდად აღსრულებად განჰსჯითა რუსთა ტყუქმთათყს, რომელნიცა დატყვევებულ იქმნენ მეზობელთაგან.

არტიკული მათერთმეტი

ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისასა აქუს თავისუფლებამ, რათა განავაჭროს სავაჭრომ თვისი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითუშ სამართლითა და პატივის-ცემითა, რომლითაცა მკვდრნი რუსეთისანი სარგებლობენ; ნაცუღლადუშ მისსა აღსთქუამს მეფემცა განწესებად თაუთ მთავართა მესამზღურეთა ანუ მინისტრთა მისისა დიდებულებისათა ყოვლითა ძალითა აღსუბუქებად ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თყსთა, ანუ მგზავრ განმეღელთა რუსთა ვაჭრობისათყს სხუათა შინა ადგილთა. ამისთყს რომელ გარდა ესე-გუარისა ნამდყლისა განწესებისა და ზავისა სარგებელთაოყს ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს (ესე იგი არს, სხუაგუარ ვაჭრობად შეუძლებელ არს).

არტიკული მათორმეტი

ზავი უკუშ ესე ანუ პირობა იქმნების საუკუნოდ, მაგრა, უკეთუ განხილულ იქმნეს რამე საჭიროდ შეცუალებად, ანუ დართუად ურთიერთისათყს სარგებელისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანქობისა.

არტიკული მათსამეტი

კმა ყოფისათყს აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო არს ურთიერთარს შეცუალებულ-ყოფამ ექუსთა თთუშთა შინა კელის-მოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფლეს შესაძლებელ იყოს.

რომლისა დასარწმუნებელად ქუშმო მომწერელთა, სრულისა ძალისა

მქონებელთა, მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თუსნიცა დასხნეს ბეჭედნი. თჳმსა იჴლისსა, დღესა 24, წელსა 1783. წმიდის გიორგის კრებოსტი.

Павел Потемкин
თავადი იოანე ბაგრატიონი
თავადი გარსევან ჭავჭავაძე

სეპარატული მუსლები

სეპარატნი ანუ მზანი არტიკულნი

სეპარატისა არტიკული პირუბლი

ჰაზრი მტკიცე მისის იმპერატორების დიდებულებისა, რათა ერთ-მორწმუნენიცა ერისა მისისანი ესოდენ მჭირსით საკრუშლითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა ეგნენ ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულისა თანქმობასა საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყუღელად შეერთებულთა ძალითა მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლებასა, განსვენებასა და კეთილდღეობასა მათსა, რომლისათვის უკუშ აღიძრვის დიდებულება მისი. მისისა უგანათლებულესობისადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა და განზრახვისა (ესე იგი რჩევისა) დაცუსათვის მეგობრობისა და კეთილისა თანქმობისა უგანათლებულესისა მეფისა მიმართ იმერთასა სოლომონისა განწესებისათვის ყოვლისა მის რააცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერ-ყოფად, წინათვე ჰსწრობად ყოვლისა ვერ გულისქმის საყოფელისა, აღსთქუამს იმპერატორებრითა სიტყვითა თუსითა არა თუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა თუსითა ყოფისათუს ესოდენ სასარგებლოდას ამის საქმისა, არამედ ამას ესე ვითარსა ზედა მშვიდობასა და თანქმობასა მისცემს თუსსა თავს-მდებობასა.

უგანათლებულესობა მისი მეფე ირაკლი, მიმღებელი თანამდებობითა მადლობითა დიდსულობასა მისისა დიდებულობისა ზრუნვისასა დაცვისათვის მეგობრობისა ერთა შორის ერთ-გუარათა და ერთ-სჯულთა, და უმაღლესსა თავსმდებობასა მისსა აღიარებს ამით, ვითარმედ ურთიერთთ საქმეთა შინა მათთა უგანათლებულესისაადმი მეფისა სოლომონისა აწ და შემდგომად შერაცხს მისისა იმპერატორებისა დიდებულებასა სრულიად მეშუამავლედ და განაგდებს მისისა მიერ უზენაესისა განჩინებისა ანუ განჩენისა ვერ გულისკმის-საყოფელთა შფოთთა შორის ერთა ამათ მფლობელთა უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

არტიკული მეორე სეპარატისა

დაცვისათვის სამფლობელოთა ქართლისა და კახეთისათა ყოვლით კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მკედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქვამს შენახუად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალიონსა ქუსითსა ოთხითა ზარბაზნითა, როელთაცა პრავიანტი და საჭმელი უსიტყუთა ზარისხისაებრ მკედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუთა სყიდულ იქმნების ნაყოფი ძლით ქუსიანისა თანკმობითა მისის უგანათლებულესობისათა თავისა თანა მესამზღერისა მთავრისა დადებულითა ფასითა.

არტიკული მესამე სეპარატისა

დროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღერე მისისა იმპერატორების დიდებულებისა კერძოთ ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ეთანკმოსცა და დასდუას ჰაზრი შეწევნისათუს თქმულთა მათ ქუსიანათა და წინა-აღმდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არა სსწმბრ, არამედ ვითარცა საერ-

თოდ მტრად შერაცხუად სათანადო არს. ამას თანა განიწესების
ესეცა, ვითარმედ: უკეთუ რაოდენიმე მკედრობა ქართლისა და კახეთი-
სა კმარებულ იქმნეს სამსახურისათჳს მისისა იმპერატორების დიდებ-
ბულებისა გარეგან საზღუართა მათთა, მაშინ განიჩინების მათთჳს
შესანახავი სრული, თანასწორი მისისა დიდებულებისა მკედართა.

არტიკული მეოთხე სეპარატისა

დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქუამს, რათა დროსა
ბრძოლისასა იკმაროსმცა ყოველი შემძლებლობაჲ მეცადინობისა
ღონითა საჭურჭლისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა
მიერ უკმო-ქცევისათჳს ქუშყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებ-
ულთა და ძუშლადვე სამეფოჲსა მიმართ ქართლისა და კახეთისა
შერაცხილათა, ესენი უკუშ დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა
მეფეთა საფუძუშლსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქუნენ
მფარულობისათჳს და უზენაესისა ხელმწიფებისა ყოველისა რუსე-
თისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატის არტიკულთა აქუსთ ესევეითარივე ძალი, ვი-
თარმცა თჳთ ზემო წერილნი იგი ტრაქტატნი ზემო წერილისაებრ
ლექსითი-ლექსად შემოყუანილ-ქმნილ იყუნენ, რომლისათჳსცა სრულ-
ყოფასა ამისსა, იგივე პაემანი აქუს შეცუალებასა ზედა ანუ დართ-
ქასა.

რომლისა დასარწმუნებელად ქუშმო მომწერელთა სრულისა
ძალისა მქონებელთა, მეგრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობისა მათი-
სა, მოაწერეს არტიკულთა ამათ ზედა და ამას თანა თჳსნიცა დაჰ-
სხნეს ბეჭდნი. თუშსა იულისსა, დღესსა 24, წელსა 1783. წმიდის
გიორგის კრეპოსტი.

Павел Потемкин

თავადი იოანე ბაგრატიონი
თავადი გარსევან ჭავჭავაძე

(ერეკლეს ზიცის ნიშუში)

სახე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულობასა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა თუითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა მფარჴსლობისა უზენაესისა კელმწიფებისა იმპერატორთსა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა.

მე უკჴმ ქჴმმო ჰქსენებული აღჴსთქჴამ და ვფიცავ ამას ყოვლისა-შემძლებელითა ღ-ითა, წინამე წმიდისა სახარებისა მისისა, ვითარმედ მნებაეს და თანა-მდებცა ვარ მისისა იმპერატორების დიდებულებისა ყოვლად უბრწყინვალესისა და უმპყრობელესისა დიდისა კელმწიფისა იმპერატრიცაჲსა და თუითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა ეკატერინა ალექსიენაჲსა და მისისა ყოვლად საყჴარელისა ძისა, ყოვლად უბრწყინჴალესისა კელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდისა კნიაზისა პავლე პეტროვიჩისა,¹ ყოვლისა რუსეთისა საიმპერატოროჲსა ტახტისა სჯულიერისა მემკვიდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ სარწმუნო და კეთილის-მწადნელ, აღუარებ სახელითა ჩემითა, მემკვდრეთა და მენაცჴელეთა ჩემთა და ყოველთა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარჴსლობასა და უზენაესსა კელმწიფებასა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მისთსა ჩემ ზედა და მოსაყდრეთა ჩემთა ქართლისა და კახეთისა მეფეთა ზედა, რომლისაცა შედგომითა განვაგდებ ყოველსა ჩემ ზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა, ვითართამე მისაღებელთა ტიტლოთა ანუ წინადადებათა ვითარისამე უფლებისა ანუ კელმწიფების სხვათა კელმწიფეთა და მპყრობელთასა, და უარ-ვეყოფ მფარჴსლობასა მათსა, შევიკრვი წმინდითა ქრისტიანებრითა სუნიდისითა ჩემითა, ვითარმედ მტერთა რუსეთისა სა კელმწიფოჲსათა ვრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა, ვითარმედ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა, სადაცა სახმარ ვიყო მსახურებასა შინა მისისა იმპერატორ-

¹ იგულისხმება პეტრე III-ისა და ეკატერინე II-ის ვაჟი, რუსეთის იმპერატორი პავლე I (1796-1801 წწ.).

ების დიდებულებისასა და ყოვლისა რუსეთისა სახელმწიფოაჲსასა, და ამას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე ჩემი ვიდრე უკანასკნელ წუშთადმდე სისხლისა, სამხედროთა და სამოქალაქოთა მისისა დიდებულებისა მთავართა მიმართ და მსახურთა ვიქცეოდე უმწუშრალესითა თანკობითა. და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებელისა და დიდებისა მისისა დიდებულებისა და მისის იმპერიისა ვჰსცნა საქმეჲ ანუ ჰაზრი, მყის განვაცხადო იგი. მოკლედ უკუშ ვიტყყ: ესრეთ ვიქცეოდე, ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთდმი და შეკრულებისა ძლით ჩემისა განჰსჯითა მფარუშლობისა და უზენაესისა ხელმწიფებისა მისის იმპერატორების დიდებულებისათა შესაბამ და თანამდებობით. ხოლო დასასრულ ჩემისა ამის ფიცისა ამბორს-უყოფ სიტყჟასა და ჯჟარსა მაცხოვრისა ჩემისასა, ამინ.

მსახურებს სახე ესე ყოფადთაცა შ-ა[შინა] შემდგომთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა ყოფისათჳს ფიცითისა აღთქმისა მეფობად მომავალთა, ოდეს-იგი მიიღებენ დამტკიცებითსა წიგნსა, დროშათა და ინვესტიტურთა, ბოძებულთა რუსეთისა საიმპერატოროაჲსაგან კარისა.

რომლისაცა დასარწმუნებელად ქუშმო მომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა, მეგრ ძალისა სრულ-ძალ-მქონებლობითა მოვაწერეთ სახესა ამათ ზედა და დავბეჭდეთ ბეჭედითა ჩუშნითა. თუშსა იულისსა, დღესა 24, წელსა 1783. წმიდის გიორგის კრეპოსტი.

Павел Потемкин

თავადი იოანე ბაგრატიონი
თავადი გარსევან ჭავჭავაძე

უმასრულებელი არტიკული

ვინათგან მეფენი ქართლისა და კახეთისანი ძუსლით დროთგან იგ-
ვრგუნოსნებიან სამეფოთ გვრგვინითა და იცხებულებიან სამეფოსა ზედა
წმიდითა მირონითა, ამისთვის მისი იმპერატორების დიდებულება
სახელითა თვისითა და მონაცულებითა თვისისა საიმპერატოროსა ტახტი-
სათა, არა ოდენ ყოვლად უმოწყალებით ნებაჰსცემს მოქსენებულთა
მეფეთა ემარებასა ამის სამღუდელოსა წესისასა, არამედ კვალად უმეტ-
ესსა დამტკიცებასა უსაკუთრესისა თვისისა კეთილ-ნებობისასა უბოძებს
მათ, გარდა სხუათა ნიშანთა იმპერატორულთა ინვენსტიტურათა სამე-
ფოთა პირობათა შინა დადებულთა ჩუშულებითისაცა სამეფოსა გვრგუნსა
რომელსაცა ვითარცა მისი სიმაღლე აწ მფლობელი მეფე ირაკლი მეორე
ქნარებულ ჰყოფს, ეგრეთვე უგანათლებულესნიცა მონაცულებნი მისნი
სათანადო არიან გვრგუნოსნებად. მისი სიმაღლე მეფე ირაკლი ამას
უმაღლესსა მოწყალებასა მისი იმპერატორების დიდებულებისასა ღირს
თანა-მდებობითთა კეთილ-ნებობითა და ძაღლობითა მიძღვებელი აღჰსთქუაჰს
სახელითა თვისითა და მენაცულებითა თვისითა, რომელ წესსა ამას
სამღუდელოსა მენაცულებითა მათ თვისისა სამეფოსათა გვრგუნოსნებასა
და ცხებასა არა უწინარეს სრულ-ჰყოფენ, ვიდრემდის არა ჰყონ ტრაკ-
ტატით განწესებული ფიცი ერთგულებასა ზედა ყოვლისა რუსეთის
საიმპერატოროს ტახტისასა და არ მიიღონ დასატკიცებელი იმპერა-
ტორული წერილი და ინვენსტიტური.

არტიკულნი ესე შესარაცხუელ არიან ყოფად შესაბამად რიცხვსადმი
სხუათა ტრაკტატსა შინა მდებარეთასა, რომლისაცა დასამტკიცე-
ბელად სრულის ძალის მქონებელთა დამტკიცებისადმი ტრაკტატისა
მის, მოცემულითა მათდა სრულ-ძალ-მქონებლობითა მოაწერეს და
ბეჭდებითა თვისითა დაამტკიცეს სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, იანუ-
არს 24 დღესა, 1783 წელსა.

Павел Потемкин

თავადი იოანე ბაგრატიონი
თავადი გარსევან ჭავჭავაძე
409

სოლომონ I-ის სიბედი ბრიგოლ
პოტიომკინისადმი იმპერატორის სამეფოს რუსეთის
მმართველობაში მიღების შესახებ (1784 წ.) [144]

„მათს უგანათლებულესობას სიმდაბლით ეკადროს!

ვინადგან მათისა უყოვლადმოწყალესისა და უდიდებულესისა მაღლის ხელმწიფისა მიერისის ბრძანებით ჩვენ ზედა და ჩვენსა ქვეყანასა ზედა მფარველობა და მეურვეობა აქუს უგანათლებულესობასა თქვენსა;

ამისთვის ვიკადრებთ და ვედრებით ვითხოვთ, რომ ყოველივე საჭირო და საზრუნავი ჩვენი აღთქმისაებრ და ბრძანებულისა თქვენისა უდიდებულესისა ხელმწიფისა მიერ აღგვისრულოთ და თანამემწე გვექმნეთ თხოასაზედა ჩვენსა და ვედრებასა;

რომელნიცა მათისა ყოვლად მოწყალეებისაგან მფარველობისა თქვენისა ქვეშე მოიმედეთ დადგრომილნი ვართ და მათის ბრძანებისაებრ ყოვლისავე ჩვენისა ვედრებისა აღმსარებელნი და მომხსენებელნი;

რომელთაცა ერთობით უმზურვალესად სავედრებელი ჩვენი საქმე ყოველივე უნაკლულოდ განგვიცხადებია წინაშე უდიდებულესისა ტახტისა და ერთობით ყოვლისავე ქვეყნისა ჩვენისა საჭირონი თხოვანი თქვენსა უგანათლებულესობასა მოერთმევა და მოხსენდება;

და რადგან თქვენის წყალობის მოიმედენი ვართ, ჯერ არს, რათა თქვენი უგანათლებულესობა ჩვენთვის და ესეოდენთა მართლმადიდებელთა ქრისტიანეთათვის და წმინდათა ეკლესიათათვის მზრუნველ და გულმტკიცენულ იქმნეს და ჯეროანის გარჯით იღვაწოთ და შემწე გვექმნეთ წინაშე დიდებულისა იმპერატორობისა, რომელიცა ყოველთათვის ქრისტიანეთა სწორად დედობრივის მოწყალეებით იღუწის და ყოველთა დაერდომილთა აღმართებად მზა არს წყალობად განმარტებული მარჯვენე მათისა დიდებულისა ხელმწიფობისა;

და მოველით თქვენის უგანათლებულესობისაგან, რომ მხოლოდ არც ჩვენ დაგვიტეოთ და არა უგულუბელს გუყენეთ და ვითარ ყოველითურთ თქვენნი მონდობილნი ვართ, ეგრეთცა იზრუნოთ ჩვენთვის და ჩვენისა ქვეყნისათვის და ყოველივე ერთობითა აღწერილისაგან ჩვენისა და ჩვენისა ქვეყნისაგან თხოვაჲ აღგვისრულდეს და ექმნას ძლიერი მარჯვენე მაღლისა ხელმწიფისა მფარველ და აღმამრთებელ და თანააღმრაცხელ დიდისა სახელმწიფოაჲსა რუსეთისა და ყოველთა

მემკვიდრეთა და თვითმპყრობელთა, რათა აღარავის აქუნდეს ჩვენ ზედა ზელმწიფობა და არცაღა ოდესმე შეეზოს ქვეყანასა ჩვენსა ზელნი შემაგინებელთა და ტყვემყოფელთა უსჯულოთა აგარიანთა და საუკუნოდ სამფლობელოდ დიდისა რუსეთისა აღმოსჩნდეთ;

რომლისათვისცა საზრუნავისა ჩვენისა ჩვენგან მორთმეულის სავედრებელის პირი ყოველივე უნაკლოდ თქვენს უგანათლებულესობას მოერთმევა და გვაქუს იმედი, რომ უფლის პოლკოვნიკის თამარას მიერცა მოხსენდეს წერილითცა და სიტყვით ჭეშმარიტით და გულსავსე იქმნას უგანათლებულესობა თქვენი ჩვენ ზედა და ჩვენსა ამას ყოველსავე საქმესა ზედა;

რომელსაცა დიდად მზურვალედ ვითხოვთ, რათამცა აღსრულება და სავსება საქმისა ჩვენისა გრძლად არა მიეცეს დაყოვნებასა და ადრე გვებრძანოს ყოველივე მოწყალება უდიდებულესისა კარისაგან მსგავსად მისსა, რომელიცა მფარველობა, მფლობელობა და წყალობა მოივლინა ქართლისა და კახეთისა მემკვიდრეთა უგანათლებულესთა ზედა.

თქვენის უგანათლებულესობის მარადის მოიმედე მეგობარი და თანამძა თქვენი, ყოვლისა იმერეთისა მეფე სოლომონ.“

**ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი
მრეკლე II-ის სამეფო კარზე იმერეთის სამეფოს
შემოერთების საკითხის განხილვის შესახებ
(1789 წ.)^[145]**

„შემდგომად გარდაცვალებისა მეფისა სოლომონ პირველისა, ოდეს გამეფდა იმერეთს დავით,¹ მოვიდნენ იმერეთით ეკთიმი გენათელი,² დოსითეოს ქუთათელი,³ სარდალი ქაიხოსრო წერეთელი,⁴ პაატა

¹ დავით II – იმერეთის მეფე 1784-1789 წწ., სოლომონ I-ის ბიძაშვილი.

² ექვთიმე გენათელი.

³ დოსითეოს ქუთათელი (წერეთელი) – აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს გამგებელი 1795-1814 წლებში, ქუთაისის ეპისკოპოსი მიტროპოლიტის წოდებით 1781-1820 წლებში.

⁴ ქაიხოსრო პაატას ძე წერეთელი (გარდ. 1828 წ.) – იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, XVIII ს-ის 90-იანი წლებისა და XIX ს-ის I მეოთხედის ზემო იმერეთის უკანასკნელი სარდალი, სოლომონ II-ის პოლიტიკის მიმდევარი.

მიქელაძე, სალთ-ხუცესი ზურაბ წერეთელი,¹ სეხნია წულუკიძე,² იოანე აბაშიძე, იოანე აგიაშვილი, ქაიხოსრო ჯიჯავაძე და ფიცისკაცნი – ლორთქიფანიძე, იოსელიანი, ავალიანი და სხვანი. ესენი ითხოვდნენ, რადგანაც არა-ჰსურს მეფესა ირაკლის მეფე დავით, მიტაცებული ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თვისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთ მთავრობისა დროთა. დესპანნი იმერეთისანი არწმუნებდნენ მეფესა, რომელ ყოვლადია სამეფო იმერეთისა მოელის სიქადულითა და მხიარულებით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას ჰსურთ და ჰსწყურიანთ ესე მცხოვრებთა გლეხთაცა იციან ესე და უხარისთ ბატონობა თქვენი იმერეთსა, მტერთაგან ჯვარისა გაოხრებულსა. მეფემან უგდო ყური და ნაცვლად პასუხისა პირად ბრძანა იქმნას რჩევა საქმისა. დანიშნულსა დღესა კათოლიკოზი, მღვდელ-მთავარნი, თავადნი, სარდალნი, სალთ-ხუცესნი, მდივან-ბეგნი ქართლ-კახეთისა, შეიკრიბნენ სამეფოსა პალატში და შევიდნენ განჰსჯასა. პირველი და ძრიელი ხმა ერთობისათვის იყო ჭაბუა ორბელიანისა.³ მას შეუდგნენ კათოლიკოზი ანტონი,⁴ სარდალი დავით ყაფლანის-შვილი,⁵ სოლომონ ლიონიძე,⁶ ზაქარია მოურავი ქიზიყისა ანდრონიკაშვილი,⁷ ჯარდან ჩოლაყა-

¹ ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთელი (1747-1823 წწ.) – იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი; სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის სახლთუხუცესი – პირველი ვეზირი.

² სეხნია წულუკიძე (გარდ. 1846 წ.) – იმერეთის სამეფოს XVIII ს-ის მიწურულისა და XIX ს-ის დასაწყისის პოლიტიკური მოღვაწე, ერთ ხანს სოლომონ II-ის ერთერთი უახლოესი ვეზირი, მდივანბეგი.

³ შუჭაბუკ (ჭაბუა) ორბელიანი (გარდ. 1795 წ.) – ქართველი პოეტი, მწიგნობარი, ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგი.

⁴ კათალიკოზი ანტონი – აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II (1788-1811 წწ.). ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ვაჟი.

⁵ დავით რევაზის ძე ორბელიანი, ყაფლანიშვილი (გარდ. 1796 წ.) – XVIII ს-ის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, სახლთუხუცესი (1768-1796 წწ.), მეწინავე სადროშოს სარდალი (1772 წლიდან).

⁶ სოლომონ ანდრიას ძე ლიონიძე (1750/54-1811 წწ.) – გამორჩენილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, მჭერმეტყველი; მდივანბეგი, მსაჯული ერეკლე II-ის სამეფო კარზე; მსაჯული, მდივანბეგი და მოურავი სოლომონ II-ის სამეფო კარზე.

⁷ ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილი (დაახლოებით 1740-1800 წწ.) – ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, ქიზიყის მოურავი (1780 წლიდან), სიმაძაცის გამო ცნობილი იყო „მიწის მგლის“ მეტსახელით.

შვილი, იოსებ ბარათა-შვილი და სხვანი. მეფე ჰსდუმებდა და ბრძენი ჭაბუა ასმენდა ქუხილისა სიტყვებითა დიდსა საქვეყნოსა სარგებლობასა; აკურთხევედა ჰაზრთა ამით, ზეგარდამო შთავონებულთა დესპანთადმი და იმერთა ერისა. ნუ ჰყოენი მეფეო! იტყოდა ჭაბუა; მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა. ვითარ ეტყვის მეფე უარსა? რისათვის არ მიიღებს თხოვნასა? ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო! ვითარ მოულო მეფობა შვილის-შვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამლუპავი ქვეყნისა. — ვითარ მოელო მეფობა ქართლისა, ქართლისა მეფეთა და რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოულო მეამბოხეთა არაგვისა ერისთავთა საერისთავო არაგვი? ვითარ მოელო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბღნიერობა ერისა ითხოვს ერთობასა. ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირებისა. — „ბატონო მეფეე, მოახსენა წერეთელმან, უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისათვის და მეფობისა თქვენისათვის, — მაშინ დატყვევთ იმერეთისა მეფობა, მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნება იყოლონ თვისად მეფე თვისი. ამითი არა დამავდება რა. ჰსცადეთ რა შეუდგება, მიიღეთ გვირგვინი ჩვენიცა, განძლიერდით ჩვენით და განგვაძლიერეთ თქვენით. — ირწმუნეთ, მეფეე ბატონო, ხომ ჰსცნობს ამას მტერი და მიეცემა შიშსა და მორიდებასა“. შემდეგ ღუმილისა მეფისაგან, მუხრანის ბატონმან იოანემ მოახსენა კრებასა: დაკავშირება იმერეთისა დიახო ძნელია. ჩვენ ქართველთა ვერ მოგვივლია ჩვენთვის, ვითარ მოვუაროთ იმერეთსა? რათ ვექმნად პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილის-შვილი მეფისა? — სარდალმან დავით განრისხებულმან წარმოსთქვა სიტყვა: მართლად აღიარებს მუხრანბატონი, რომ ვერ მოუვლის იგი დღეს ქვეყანასა თვისის ხრმლითა და ბაირალითა, მოვა დრო და მოჰსცემს ღმერთი სხვასა მუხრანის-ბატონსა, რომლისა ხრმალი უფრო მჭრელი იქმნება. — სიტყვამან ამან დაბადა ამბოხი, აწყინა მეფესა და წყინებ-

¹ იგულისხმება XVIII ს-ის 60-იან წლებში ერეკლე II-ის მიერ არაგვისა და ქსნის საერისთავოების გაუქმება.

² იგულისხმება იმერეთის მეფე სოლომონ II.

ული მეფე წამოდგა და შევიდა სხვასა ოთახსა. დაიშალა შეკრებილება პირველი.

ჰსცნო დედოფალმან დარეჯან¹ საუბარი ესე ყოველი, განრისხნა და მიაწერა ჰაზრი ესე მეფის-ძეს გიორგის, რადგანაც სარდალი დავითი იყო დისწული მისი საყვარელი და მეტოქი მუხრანის-ბატონისა. დაიბარა ჭაბუა და მრისხანედ უბრძანა ყვედრებითა სიტყვითა. არა! ბატონო დედოფალო, ვერ შევიქმნები ორგული, იტყოდა ჭაბუა: მეფისა და სამეფოსისა, ჰაზრი ჩემი დარჩება უცვალებელად, მტკიცედ და უკეთუ არა აღსრულდება, ჰმთავიჯან თან საფლავსა. რად მიბრძანებთ — არ ვიყო ერთგული მეფისა და ქვეყნისა. ვიცი რასაც ვიტყვი. არ ვხედავ კეთილად საქმესა და ესრე ვარჩევ. ვიყო და მერქვას მრჩეველი მეფისა და ვურჩევდე რასმე ბოროტსა? — ვკვონებ იქმნება საქმე ეშმაკისა, ბოროტისა კაცისა და ქვეყნის მტრისა. მამაპაპათა სისხლი დაუღვრიათ ქვეყნისათვის და მეფეთათვის. ვარ შვილი ქვეყნისა და ერთგული მეფისა. ამისთვის გაბედვით ვიტყვი და უშიშრად მოვახსენებ მეფესა ჩემსა და თქვენ ბატონსა ჩემსა დედოფალსა სიტყვათა ამათ.

მეფის-ძე გიორგი, მორიდებული მამისა და დედი-ნაცვლისა, არ ინახვინებდა არცა დესპანთა და არცა კარისკაცთა, რათა არა წარმოჰსთქვან რაიმე სიტყვა და არა მივიდეს ჰაზრი რაიმე ახალი მეფისადმი მას-ზედ გაიჭვიანებულისა.

ქუთათული და გენათული, აბაშიძე და სხვანი დესპანნი მიუთხრობდეს დედოფალსა იმერეთისა მდგომარეობასა და სრულიად დაღუპვასა, უკეთუ არ მოხდება ერთობა ქართველთა თანა. დედოფალი ბრძანებდა უარსა და იტყოდა ვერ გამოწირვასა იმერეთისა გვირგვინსა შვილის-შვილისა ხელთაგან.

დღესა მესამესა, შემდეგ პირველისა, იყო შეკრებილება მეორე. ჭაბუა კვალად იტყოდა მასვე; კათოლიკოზი ანტონი ამტკიცებდა მათსა ჰაზრსა. მაშინ მეფემან უბრძანა მეფის-ძეს გიორგის; რას იტყვი გიორგი, შენ? — „ხელმწიფეო ჩემო! სიტყვა ჩემი ვითარცა ვხედავ, იქმნება მრავალთათვის წინააღმდეგი და მაინც გაწუბედავ

¹ დარეჯან დედოფალი (დაახლოებით 1726-1807 წწ.) — ქართლ-კახეთის სამეფოს დედოფალი, ერეკლე II-ის მეუღლე, სამეგრელოს მთავრის კაცია I დადიანის ასული.

მოგახსენო: შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა; თუ გნებავსთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან, უნდა იქმნას ერთობა. რა არს უკეთილეს, რა არს მშვენიერ ვითარ ერთობა ძმათა, — იტყვის წინასწარმეტყველი დავით. სამეფო ისრაილთა დაეცა მაშინ, როდესაც განსქდა ორად მეფობა სოლომონისა. დაეცა საბერძნეთი, ოდეს განიყო ორად და სამად. მეფობა განყოფილი არა დაადგრეს, ბრძანებს მაცხოვარი“. სიტყვანი ესენი მოიწონეს შეკრებულთა მსაჯულთა. ჭაბუამ კვალად აღამაღლა ხმა და მოსთხოვა მდაბლად, რათა თანახმა იქმნეს მეფე ერთობისა ჰაზრისათვის და აღასრულოს თხოვნა იმერეთისა დესპანთა. მაშინ მეფე აღსდგა და ბრძანა: „თხოვასა ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა; ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილის-შვილი ჩემი იმერთა ტახტისათვის განმზადებული. — დესპანო, წარვედით და იმერთა ერსა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილის-შვილსა ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავითთვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა“. ესრეთ დაბლოვდა დესპანობა და ჰაზრი ერთობისა.“

საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება (1790 წ.)¹¹⁴⁶

„ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებულნი საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა ტფილისს წელს 1790.

ვინაითგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა შ-ა[შინა] ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქუსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთის, კათოლიკისა ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქუსთ მავასხებლობითიცა სიყვარული ე-ა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთისა შ-ს[შორის].

ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყ-დ[ყოვლად] ძლიერისა ღ-თისათა[ღმერთისათა] აღვისთქვამთ მტკი-

ცესა ამას ერთობასა, რ-იც[რომელიც] თითოეულად შემდგომთა შ-ა[შინა] აზრთა ცხად იქნების:

უფლისა იესო ქ-ეს[ქრისტეს] მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ ყ-ისა[ყოველისა] საიმერეთოსა მეფეს, შვილის-შვილთა ჩემსა სო-ლომონს,¹ მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთასა დადიანს გრიგოლს,² და მთავარსა გურიისა სვიმონს,³ და ერთობით თავადთა და აზნაურთა და ერთა ქვემოისა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი (ანუ არტიკული პირველი) 1

შევრაცხო ყ-ი[ყოველი] მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყ-ისა[ყოველისა] სამეფოსა ჩემისა, და ვიყო მტერი მტრისა და მოყვარე მოყვრისა თქვენისა.

არტიკული 2

მაქენდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყნისა თქვენისა და ყ-ისა[ყოველისა] შეძლებისა ჩემისაებრ ვიყო შემწე თქვენდა და წინამდგე მტერთა თქვენთა.

არტიკული 3

ვიყო მწადნელი ბედნიერობის თქვენისთვის და დაცვად ქეთა იმერეთისათა ვითარცა მამა საზოგადო მათი.

¹ სოლომონი - იმერეთის მეფე სოლომონ II (1789-1810 წწ.), სოლომონ I-ის ძმის - არჩილისა და ერეკლე II-ის ასულის - ელენეს ვაჟი დავით არჩილის ძე, რომელმაც ბიძის პატიოსანებად სახელად სოლომონი დაირქვა.

² გრიგოლ დადიანი - სამეგრელოს მთავარი 1788-1804 წწ.

³ სვიმონ III გურიელი - გურიის მთავარი 1788-1792 წწ.

არტიკული 4

უკეთეს ადსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი, ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვის ძალით, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

არტიკული 5

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, სადაცა და ვითარცა მაქნდეს შეკრულება, ვიყო მწადნელ თქვენდაცა უბედნიერესსა შ-ა[შინა] მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობათა ერთბამად ერთისა უავლუსტესისა კარისათა.

არტიკული 6

აღთქმათა ამათ შ-ა[შინა] ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკრი თანამდებობითა: თვით ძეთა ჩემთა, თავადთა, საქართველოსათა ერთა რჯულ უღებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ქვემოისა ივერისათანა და ვამცნებ ყოველთავე, რ-ა[რამთა] მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შ-ა[შინა] ვ-ა[ვითარცა] რჯულთა ზ-ა[ზედა] ეკლესიურთა, – იყვნენ ესრეთ. ვიცი ვითარ თანამდებობა ჩემი და ვგიე მტკიცედ კელ-მოწერისა ამისაებრ: თვით საკუთარითა კელითა მათის უმაღლესობისათა ვაწერთ ესრეთ:

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე. და ბეჭედიც დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დარია. და ბეჭედიც უწმინდესი კათალიკოსი საქართველოსა მეფის ძე ანტონი.

(2)

ტრაქტატი მეორე - ნაცვლად პირველისა

უფლისა იესო ქ-ეს[ქრისტეს] მონა, მეფე ყ-ისა[ყოვლისა] საიმ-ერეთოსა, შვილიშვილი თქვენი სოლომონ ქრისტიანებრითა ელთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათას, მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთ თქვენთა, თავადთა, კეთილ-შობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი (ანუ არტიკული პირველი) 1

შევრაცხო ყ-ი[ყოვლი] მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყ-ისა[ყოვლისა] ყ-ისა სამეფოსა ჩემისა, და ვიყო მტერი მტრის თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

არტიკული 2

მაქვნდეს ყ-ივე[ყოველივე] შეძლება ჩემი დაუზოგავად და მშვი-დობისათვის ქვეყნისა თქვენისა და ვიყო მზა ნიადაგ წინამდევ მტერ-თა თქუნთა.

არტიკული 3

ვიყო მწადნელი ბედნიერობის თქვენისათვის და უგანათლებულეს-თა ძეთ თქვენთა ვ-ა[ვიითარცა] თანამდები მეფე დისწული მათი.

არტიკული 4

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, მცირე, ანუ ღიდი, მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვითა ძალითა, სიტყვით და საქმით შე-ძლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

არტიკული 5

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, სადაცა და ვითარცა აქენდეს უმაღლესობასა თქვენსა შეკრულება, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანხმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩვენისათვის მფარველობათა ერთბამად ერთისა უაელუსტესისა კარისათა.

არტიკული 6

აღთქმითა ამით შ-ა[შინა] ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკრი თანამდებობითა: თვით თავადთა, ყ-სა[ყოვლსა] იმერეთისთა კეთილშობილთა და საზოგადოთა ერთა რჯულ უღებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებისა ამისი ზემოისა ივერიისათანა და ვამცნობ რ-ა[რამათა] მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შ-ა[შინა] ვ-ა[ვითარცა] რჯულთა ზ-ა[ზედა] ეკლესიურთა, – იყვან ესრეთ. ვიცი ვითარ თანამდებობა ჩემი და ვგიე ქელმოწერის ამის ჩემისამებრ.

თვით საკუთარითა კელითა მათის უმაღლესობისათა ესრეთ:

მეფე ყ-ისა[ყოვლისა] საიმერეთოსა სოლომონ. და ბეჭედიც⁺ დედოფალი ყ-ისა[ყოვლისა] საიმერეთოსა მარიაჲ. და ბეჭედიც⁺

ტრაქტატი მესამე - ნაცვლად პირველისა

უფლისა იესო ქ-ეს[ქრისტეს] მონა, მე მთავარი ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანი გრიგოლ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა, მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

არტიკული 1

შევრაცხო ყ-ი[ყოვლი] მტერი თქვენი მტრად ჩემდა და

ყ-ისა[ყოვლისა] სამთავროისა ჩემისა, და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

არტიკული 2

მაქენდეს ყ-ივე[ყოველივე] შეძლება დაუზოგავად დამშვიდებისათვის ქვეყნისა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინამდგომად მტერთა თქუნთა.

არტიკული 3

ვიყო მწადნელ ბედნიერობისა თქვენისათვის და უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა ვ-ა[ვითარცა] ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

არტიკული 4

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი, ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვისა ძალითა, სიტყვით და საქმით შეძლებისა ჩემისა, მებარა მზა ვიყო შემწვედ თქვენდა.

არტიკული 5

უზენაესისა მიმართ მფარველობასა უმაღლესსა საიმპერატოროსა კარისადმი, სადაც და ვითარცა აქენდეს უმაღლესობასა თქვენს შეკრულება, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანხმობასა უბედნიერესის მდგომარეობასა ჩვენისათვის მფარველობითა თქვენთანა, ერთბამად ერთს უავლუსტესისა კარისათა.

არტიკული 6

აღთქმათა ამათ შ-ა[შინა] ჩემთა ქრისტიანებრითა შევკრი თანამდებობათა თვით სახლის წულთა ჩემთა, თავადთა სამთავროსა ჩემისათა, კეთილშობილთა და ერთა რჯულ უღებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებას ამას ზემოისა ივერიისათანა და ვამცნებ რ-ა[რამათა] მტკიცედ ვგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შ-ა[შინა] ვ-ა[ვითარცა] რჯულთა ზ-ა[ზედა] ეკლესიურთა, – იყვან ესრეთ ვითარ თანამდებობა ჩემი და ვგიე მტკიცედ კელმოწერისა ამის ჩემისამებრ.

საკუთარითა კელითა თერსთა ესრეთ: მთავარი ოდიშისა და სხვათა დადიანი გრიგოლ და ბეჭელიც+

ტრაქტატი მართხე – ნაცვლად პირველისა

მე მთავარი გურიისა სვიმონ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფეს ქართლისა, კახეთისა და სხვათასა, მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

არტიკული 1

შევრაცხო ყ-ი[ყოველი] მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ქვეყნისა ჩემისა და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

არტიკული 2

მაქვნდეს ყ-ივე[ყოველივე] შეძლება ჩემი დაუზოგავად სახმარყოფისათვის სამეფოსა თქვენისა და ვიყო მზა ნიადაგ წინააღმდეგ მტერთა თქვენთა.

არტიკული 3

ვიყო მწადნელ ბედნიერობისა თქვენისათვის და ძეთა თქვენთა ვ-ა[ვითარცა] ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობითა მათთა.

არტიკული 4

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა დიდი ანუ მცირე მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვათა ძალითა, სიტყვით და საქმით შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო სახმარად თქვენდა.

არტიკული 5

უზენაესისა მიმართ მფარველობას უმაღლესის საიმპერატოროსა კარისადმი, სადაცა და ვითარცა აქვენდეს შეკრულება უმაღლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანქმაობისა უბედნიერესის მდგომარეობისა. ჩემისათვის მფარველობათა თქვენთანა ერთბამად ერისა(?) უავლუსტესისა კავშირისასა.

არტიკული 6

აღთქმათა ამათ შ-ა[შინა] ჩემთა ქრისტიანებრითა შევკრი თანამდებობითა თვით სახლის გულთა ჩემთა, თავადთა, აზნაურთა და ერთს სამთავროსა ჩემისათა, რჯულს უღებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ზემოისა ივერიისათანა და ვამცნებ რ-ა[რამათა] მტკიცედ ვგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შ-ა[შინა] ვ-ა[ვითარცა] რჯულთა ზ-ა[ზედა] ეკლესიურთა, — იყავ ესრეთ ვიცი ვითარ თანამდებობა ჩემი და ვგიე მტკიცედ ქელმოწერის ჩემისამებრ.

საკუთარითა ქელითა თუხისათა ესრეთ: მთავარი გურიისა სვიმონ. და ბეჭედიცუ.

ალატონ იოსელიანი პრეკლე II-ის სამეფო
პარუმი ირანის შაჰის - ალა-მაჰმად ხანის
ელჩის დიპლომატიური ვიზიტის შესახებ
(XVIII ს-ის 90-იანი წწ.)¹⁴⁶¹

„წინათ ალა-მაჰმად-ხანის¹ თბილისს, მოვიდა ელჩად ზიათხანი, რომელმანცა მოითხოვა მეფის ირაკლისაგან, რათა წარუვლინოს თვალი ძვირფასი ნადირშაჰისაგან ნაქონი, უკუდგეს რუსეთსა, აღიაროს მფარველად, ვითარცა ძველად სპარსეთი და მისცეს მზევლები. შეჰსწუხნა მეფე ირაკლი მოსუცი. ჰქმნა რჩევა და გამოკითხვა მხლებელთ კარის კაცთა, მეფის ძე გიორგი, ვითარცა მემკვიდრე წარდგა წინაშე მეფისა და მოახსენა: წარავლინოს მზეველად ძე მისი დავით² და თვითცა წარვალს შვილითა უკეთუ ჰსურს; წარდგება ყენთანა, გამოჰსთხოვს წყალობასა, რათა არა წარაზღინოს ქვეყანა. დაუტოვებს შვილსა თვისსა მუნ მასთან მზეველად და თვით უკუიქცევა. ესრეთი ჰაზრი მისი იწყინა დიდად დედოფალმან დარეჯანმან, რომელსაც ეშინოდა არა მოვიდეს სპარსთა ჯარითა და არა გამეფდეს სპარსთა ძალითა ჯერეთ სიცოცხლისავე მისისა მამისა დროსა. მეფემან უბრძანა უარი და სხვათაცა არ მოიწონეს ჰაზრი ესე მეფისა ძისა გიორგისა, ვითარცა წინააღმდეგი რუსეთისა თანა შეკრულისა ტრაქტატისა 1783 წელსა.

მეფემან ბრძანა უარი მასზედა, რაიცა მოახსენა ელჩმან ყენისა, და მიუგეს პასუხად მას ყენისა ელჩსა: „მრავალ ჯერ ვართ მოტყუებული სპარსთაგან, მრავლათ მათგან ტანჯულნი; სარწმუნოება ჩენი ვერ დაგვაკავშირებს სპარსეთსა; მიმიცია სიტყვა და წერილითი პირობა ვიყო კავშირითა მტკიცითა შეკრული რუსეთისა ხელმწიფესთან, რომელიც არის ერთისა სარწმუნოებისა ჩემთანა მექონი, ერთისა ეკლესიისა შვილი, ერთისა ხმითა მადიდებელი ღვთისა. თვით სპარსეთმაც იცის ესე ადრითვე და წინა მოადგილეთა ვექილთა... მე მყავს გვერდით ჯარი ჩემი და ჯარი რუსეთისა. მანამ ერეგნიდამ აქ მოვა ჯარი ყენისა, ჯარი რუსეთისა უფრო ადრე შემოვა თფილისს“. ესრეთ იყო რჩევა და პასუხი მეფისა ელჩისადმი ალა-მაჰმად-ხანისა.“

¹ ალა-მაჰმად-ხანი (1742-1797 წწ.) - ირანის გამგებელი 1794 წლიდან. შაჰი - 1796 წლიდან, ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი.

² დავით ბატონიშვილი, ბაგრატიონი (1767-1819 წწ.) - გიორგი XII-ის უფროსი ვაჟი, კართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი 1800-1801 წწ.

თ ა ვ ი VIII

ქართული დიპლომატია და დიპლომატიური აზრი რუსეთის იმპერიაში. 1801-1917 წლები

სრულიად რუსეთის იმპერატორის 1801 წლის
12 სექტემბრის უმაღლესი მანდიშისტი^[47]

წყალობით ღვთისათა ჩვენ ალექსანდრე პირველი¹ იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა...

განუცხადებთ ყოველთა საქართველომსა სამეფოსა შინა მყოფთა ვისდამიცა სათანადო არს ცნობად მისთვის.

მფარველობა და უზენაესი ხელმწიფება რუსეთისა იმპერიისა სამეფოსა ზედა ქართველთასა, სდებენ მარადის ერთ მთავართა ზედა როსიელთასა, ვალსაცა ხელის აპყრობისასა. ჩღჟ² წელსა პირისპირ ძლიერად დაცემისა თქვენზედა აღა-მაჰმად-ხანისა³ ღვთისადმი განსვენებულმან დიდმან ხელმწიფემ იმპერატრიცა ეკატერინა ალექსიევანა⁴ წარგზავნა ნაწილი მხედრობათ თვისთა. ესე ოდენი წარმართებაჲ, მაშინ არა თუ ოდენ განარინებდა საქართველომსა სამეფოსა, არამედ ბედნიერებითი დაპყრობა ყოველთა სამფლობელოთა და ერთა კიდურსა ზედა კასპიის ზღვისასა მდებარეთა ვიდრე მტკვრად და არეზად-მდე,⁵ შეგზღუდვიდენ თქვენ ყოველთა საშიშოთა გამო; დაშთებოდა ოდენ შინაგანითა კეთილ დაწესებითა დამყარება კეთილდღეობისა თქვენისა საუკუნოდ. გარნა მეყვსეულად მსწრაფლ მოწვევითმან გამოსვლამან რუსეთისა მხედრობისამან სპარსეთით, სომხითით და საზღვრით გამო თქვენთ აღმოფხვრეს სამართლიანი ლოდინი თქვენი. შემდგომად ყოველმან თქვენ მიერ მოთმენილმან განსაცდელმან მოს-

¹ ალექსანდრე I - (1777-1825) - რუსეთის იმპერატორი (1801-1825).

² ჩღჟ - ქართული წელთაღრიცხვით შესაბამება 1796 წელს.

³ აღა მაჰმად-ხანი (1742-1797) - ირანის გამგებელი და შაჰი (1794-1797). ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი.

⁴ ეკატერინე II (1729-1796) - რუსეთის იმპერატორი (1762-1796).

⁵ არეზი - მდ. არაქსის სინონიმი.

ვლამან სხვათა სარწმუნოებისა ერთამან, დაქცევამან ქალაქთა და შენობათა, და მონებამან და წარზიდვამან მამათა, ღელათ, ცოლთა და შვილთა თქვენთა; უკანასკნელ უთანხმოებამან მეფისთა სქესთამან და განაყოფმან ერთა სხვათა და სხვათა მეფობისა ღირსებისა მეძიებელთა შორის მიგზიდნეს თქვენ ურთიერთისა საბრძოლველად. გარემოსნი თქვენნი წარმტაცნი ერნი იყვნენ შუა დაცემად სამეფოსა ზედა თქვენსა და დაუსჯელად განგლეჯად დაშთომილთა მისთა. შეერთებითა ყოვლისა მის ბოროტებისათა არა თუ ოდენ ერი, არამედ თითქმის სახელითა ქართლოსანთა პირველვე გულოვნობით დიდებული ყოვლისა აზიასა შინა, აღიფხვრებოდაცა პირისაგან ქვეყნისა, მდომელნი უფსკრულსა ამას შინა არა ერთგზის უწოდდით თქვენ მფარველობასა როსიისასა. შესვლამან სპათა ჩვენთა და დაწყევამან ომარ-ხან ავარიისა¹ დააყენეს წარწყმენდა თქვენი. შეაძრწუნნა ყოველნი წარმტაცნი კავკასიის მთათა აღმავსებელნი, და იგინიცა რომელნიცა, კრებენ სამფლობელოსა სპარსეთისა და დიდისა სომხითისასა; დამყუდრდა შორის თქვენსა მიმგვირობა და თქვენ ყოველთაცა ერთსულობითა და დღესასწაულებითა ღაღადჰყავით, რათა ხელმწიფება რუსეთისა გმართებდესთ თქვენ უსაშვალოდ. ჩვენ აღსრულთა ყოვლისა რუსეთისა საყდარსა ზედა ვჰპოეთ სამეფო საქართველოჲსა, შეერთებული რუსეთისადმი, რომლისთვისცა გამოცხადება იყო უკვე იანვრის იმ დღესა წელსა ჩყა,² საყოველთაოდ ცნობისა; მიმწთომან მდგომარეობისა თქვენისა, და მხილველმან ვითარმედ ღონიერება და ყოფნა რუსეთისა მხედრობათა საქართველოსა შინა იპყრობს მხოლოდ იგი დათხევასა ჩვენთა ერთსარწმუნოთასა სისხლისა და ნამდვილსა წაწყმედასა განმზადებულსა თქვენთვის სხვათა ნათესავთა მესაზღვრეთა თქვენთა ერთაგან, — და ვისურვეთ ჩვენ გამოცდა. ვალად არს შეძლება აღდგინებად პირველისა მმართებელობისა მფარველობასა ქვეშე ჩვენსა და მით დაცვად თქვენდა უშიშრებასა და განსვენებასა შინა. — გარნა უახლოესმან გამოძიებამან ამისმან მიგვიზიდნეს ჩვენ ვითარმედ პირად პირადი ნაწილი საქართველოს ერისა, თანასწორ

¹ ომარ ხან ავარიელი (გ. 1801) — ავარიის სახანოს გამგებელი. 1785-1799 წლებში რამდენჯერმე შეპყრობა ქართლ-კახეთის სამეფოს.

² იანვრის იმ დღესა, წელსა ჩყა — ქართული წელთაღრიცხვით, შეესაბამება 1801 წლის 18 იანვარს.

უძვირფასესი ჩვენთვის კაცობრიობისა ძლით, იშიშვის სამართლად დევნულებისა და ნაცვალგებისა მის, რომელიცა მეძიებელი მეფობისა ღირსებისა შეიძლებდაცა მიწდომასა ხელმწიფებისა მისისა; ვინაიდგან პირისპირ ყოველთა მათ უფროსმან ნაწილმან ერთაგან ესოდენ ცხად ჰყო თავი თვისი; მხოლო მან ეჭვმან და შიშმან შესადგომელთ ამათ ჰჴვა განუსვენებლობა, და უცილობელად იქმნებოდაცა წყაროდ ურთიერთისა შორის სისხლთ მთხვეველობისა; გარდა ამისა მმართებლობამანცა მეფობასა შინა მეფის ირაკლისასა,¹ რომელმანცა სულითა და ღირსებითა თვისითა შეაერთა ყოველი ხელმწიფებასა ქვეშე თვისსა, ვერ ხელიეწიფა დამტკიცება ვერცა გარეგანისა და ვერცა შინაგანისა უშიშროებისა. პირისპირ ესოდენ გზის მიგზიდნათ თქვენ ფსკერსა შინა ბოროტებისასა, რომლისა კიდურსა ზედაცა დღეს სდგეხართ თქვენ, და რომელსა შინაცა ყოველთა გამო ხატვათამებრ გშეენისთ თქვენ, და შთაცვივნა, უკეთუ ძლიერი ხელი მართლისა ხელმწიფებისა არა შევიპყრობსთ თქვენ დაცემისა ამისაგან. ძალმან გარემოებათა ამათ, ზოგად ამის ძლით გრძნობამან თქვენმან და ხმამან საქართველოჲსა ერისამან, მოგვზიდნეს ჩვენ, არად დაუტეოთ და არა მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა ზედრისა თვისისა დიდ სულისა რუსეთსა საფარველისადმი. განღვიბებული იმედი თქვენი არა იქმნების მოტყუებული ამ არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნიეთათვის, არა განვრცელები-სათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებელობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმართოსა ვალსა. მსმენმან ვნებულთა ვედრებისა განსადევნელად შეჭირვებათა მათთა დავაწესო საქართველოსა შინა მმართებლობა, რომელსაც ეძლოსცა დამყარება მართალმსაჯულები-სა, ნიეთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითოეულისა დაცვა სჯულისა. ხოლო ამისათვის გამოძრჩეველმან ჩვენისა ღენერ-ალ-ლეიტენანტისა კნორრინდისა,² რათა იყოს უპირატეს მმართე-

¹ მეფე ირაკლი - ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798).

² კარლ კნორინგი (გ. 1805) - გენერალ-ლეიტენანტი. კავკასიის ზაზის სარდალი და სამოქალაქო საქმეთა მმართველი (1801-1805).

ბელად თქვენ შორის, მივეციოთ ჩვენ მას სრული მოძღვრება გამოაცხადოს მმართველობა ესე საკუთრად სახელითა ჩვენიოთა და მოიყვანოს ძალსა და მოქმედებასა შინა ჩვენ მიერ დათხოზული განწყებაჲ რომლისა სრული საყოფელადცა უზიარებთ თქვენ მიერ ღირსებათა და საზოგადოდ ნდობათამებრ გამორჩეულთა ვსასოებთ, ვითარმედ თქვენ მორწმუნენი მმართველობისა ამის უეჭველად სიგრილისა ქვეშე მის დასაბამსავე მოიპოვებთ განსვენებასა და უშიშროებასა შემდგომად, კეთილდღეობასა და უხეებასა.

ქალაქნაურის ტრაქტატი^[148]

„მუკლნი სათხოვრისანი“ ყოვლად უმონაესად წარსადგენლნი ყოვლად უმაღლესისათვის დამტკიცებისა

ა. მე, სოლომონ,¹ გუარისაგან ბაგრატიონთა, მეფე ყოვლისა იმერეთისა და სჯულიერი იმერეთისა სამეფოისა მფლობელი, დიდგან ამა დადგინების ქვემოწერისა და შემდგომად ფიცითისა აღტქმისა აღსრულებისა წესისამებრ. მივსცემ თავსა ჩემსა ყოვლისა ჩემისა სჯულიერისა შთამომავლობისა თანა და ყოვლისა ჩემისა სამეფოითა საუკუნოსა და ერთგულსა მონებასა და ქვეშევრდომობასა შინა უმაღლესსა ყოვლისა რუსეთის კელმწიფებასა, აწ ბედნიერად მეფედმყოფსა ყოვლად უგანათლებულესსა, უმპყრობელესსა დიდსა კელმწიფესა იმპერატორსა ალექსანდრეს პავლეს ძესა, თვითმპყრობელსა ყოვლისა რუსეთისასა და მაღალთა მისთა მენაცულეთა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

ბ. სახიერებითა მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებლისათა ნებად მოცემულ მექმნას მე და შვილთა ჩემთა, ხოლო უკეთუ ღმერთმან არა სათნო იჩინოს კურთხევა სახლისა ჩემისა მამობრისა სქესისა შთამომავლობითა, მაშინ, შემდგომად ჩემსა, მეფის ძეს კონსტან-

¹ სოლომონ II (1772-1815) – იმერეთის მეფე (1789-1810).

ტინეს დავითის ძეს¹ და მისსა შთამომავლობასა უფროსისა მუკლისა მიერ სარგებლობა სამართალთა და უპირატესობათა იმერეთის მეფისათა ყოველთა შეკრულებათურთ ერთგულ ქვეშევრდომისა მონისათა ყოვლისა რუსეთის კელმწიფისა იმპერატორისა, ვითარცა უზენაესისა ჩემისა და მენაცულეთა ჩემთა დიდისა კელმწიფისა და მბრძანებლისა; ესევეთარისა უკვე ღირსებისათვის განბედნიერებულცა ვიქმნე მე უმაღლესისა მისისა იმპერატორების დიდებულების ღრამოტითა, და ესევეთარვე მენაცულენიცა ჩემნი ყოვლისა ახლად სამეფოისა ტახტსა შესულისა ჟამსა დამტკიცებულ იქმნებოდენ ამისა მზგავსთა უმაღლესთავე ღრამოტითა მიერ, განცხადებისა თანა, რომელ გურია² დამოკიდებულ არს იმერეთსა ზედა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

გ. მოწყალებითა მისისა იმპერატორების დიდებულებისა ყოველად უმოწყალესისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებლისათა მოცემულ იქმნან ნებად ჩემდა და ჩემთა მენაცულეთა მსჯავრი და სამართლობა სამეფოსა შინა ჩემსა და ყოვლისა რუსეთის მონაობასა შინა მყოფსა; ხოლო ვინადგან საქართველოს უპირატესს მმართველისა ღენერალისა ინფანტერიითგან და კავალეროსანისა თავადისა ციციანოვისა³ მიერ გამოცხადებულ მექმნა მე, რომელ ყოვლისა რუსეთის მონაობისა შინა არამოსათმენელ არს სიკუდილით დასჯა, ანუ ასოთა (წევრთა) რაიმეთა მოკლება, ამისთვის მოცემულ მექმნან მე ბრძანებისამებრ მისისა იმპერატორების დიდებულებისა ყოველად უმოწყ-

¹ კონსტანტინე დავითის ძე – იმერეთის მეფის დავით II-ის (1784-1789) ვაჟი, ალექსანდრე V-ის (იმერეთის მეფე – 1721-1752) ძმის გიორგის შვილიშვილი. ელაზნაურის შეთანხმების მიხედვით, თუ სოლომონ II-ს არ ყოვლებოდა მეპყიდრე ვაჟიშვილი, ტახტი გადაედიოდა კონსტანტინე ბატონიშვილის ხელში.

² გურიის სამთავრო – პოლიტიკური ერთეული დასავლეთ საქართველოში XV ს-ის II ნახევრიდან 1829 წლამდე. ელაზნაურის შეთანხმებით რუსეთის იმპერია შეეცადა იმერეთის სამეფოსთან ერთად გურიის სამთავროზეც გაეგრცელებინა თავისი მფარველობა, თუმცა უშედეგოდ. 1810 წ. მამია გურიელმა მიიღო რუსეთის მფარველობა. 1829 წელს გაუქმდა გურიის სამთავრო და დაწესდა დროებითი მმართველობა. 1840 წლიდან გურია, ოზურგეთის მაზრის სახით შევიდა ქუთაისის გუბერნიაში.

³ პაულე ციციანოვი (1754-1806) – რუსი სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი. საქართველოს მთავარმართებელი (1802-1806). მისი მეოხებით იმერეთის სამეფო და სამეგრელოს სამთავრო შევიდა რუსეთის იმპერიის მფარველობაში.

აღესისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებელისა სჯულნი სჯულნი, რომელთაცა მიერ გამოცემულ მექმნებოდინ დასჯანი კაცის მკულელობისათვის, ტყვეთ მსყიდუშლობისათვის, ქურდობისა და ავაზაკობისათვის, ვიდრემდის უკვე გამოცემულ იქმნებოდენ ესე უმაღლესნი სჯულნი, ნებადართულ მექმნას განვაგრძო დასჯა მებრ უწინარესისა, რათა აღვირშესხმულ იქმნან ბოროტმოქმედებანი, რომელთაცა ძალუცსთ განმრავლება ერთა უჩვევარობისა გამო წყნარისადმი განმგებელობისა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

დ. ძალითა მაღალდიდებულისა საჭურუშლისა მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებლისათა შეზღუდულ იქმნას იმერეთი, ვითარცა, ყოვლისა რუსეთის მონაობასა შინა მყოფი; და დანიშნულ იქმნას, რათა მას შინა რომელიმე ნაწილი ყოვლისა რუსეთის მქედრობისა საუკუნოდ იმყოფებოდეს დასაცუმლად გარეშეთა მტერთა და მბრძოლთაგან, და ეგრეთვე თვით იმერეთისა სამეფოსაცა შორის განსუშნებისა და მყუდროების დასამყარებლად.

მეფე იმერეთისა სოლომონ

ე. უხუშბათაგან მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა ჩემისა ხელმწიფისა და მბრძანებელისათა არა დაგდებულ ვიქმნა მე რომელიმესა ნაწილითა შემოსავლისათა, უკეთუ პოვნილ და მუშავებულ იქმნან სამეფოსა შინა იმერეთისასა მაღანნი ოქროჲსა, ვეცხლისა და ანუ სხვისა რაიმესანი.

მეფე იმერეთისა სოლომონ

ვ. უკეთუმცა ოდესმე აღდგინებულ იქმნას ახალი რაიმე ქალაქი სამეფოსა შინა იმერეთისასა ყოვლისა რუსეთის მონაობასა, სახიერებისამებრ მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალესისა ჩემისა ხელმწიფისა და მბრძანებელისა ვისარგებლო მეცა რომელიმესა ნაწილითა მისგან შემოსავლისათა, უკეთუ ყოვლისა რუსეთის იმპერიასა შევალს სასაზინაოდ შემოსავალი რაიმე ქალაქთაგან.

მეფე იმერეთისა სოლომონ

ზ. სამაგიეროდ ზემოთქმულთა ჩემთა ამათ ვედრებათა მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებელისადმი, მე, ქვემოკელმომწერი, მენაცულებთა ჩემთათურთ შევიკრუი, რათა კელმწიფებათა დადგინებულთა მისისა იმპერატორებითის დიდებულებისაგან, ესე იგი საქართუშლოს უპირატესს მმართველსა დავემორჩილებოდეს ყოველსა შინა. ვითარცა ერთგული მონა ყოვლისა რუსეთის ხელმწიფისა იმპერატორისა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

შ. შევიკრუი მე მენაცულებთა ჩემთათურთ, რათა მაღალდიდებულთა ყოვლისა რუსეთის მხედრობათა აღნიშნულთა სამყოფელად სამეფოსა შინა იმერეთისასა, ყოვლისა რუსეთის მონაობასა შინა მყოფსა აღუშენოთ სახლნი და გათბობისათვის მათთასა მივცეთცა ჩემთა მონათა მიერ შეშა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

თ. შევიკრუი მე მენაცულებთა ჩემთათურთ, რათა მხედრობათა ჰათ ვაძლიოთ ხორბალი და ღომი, ანუ ბრინჯი, ეგრეთვე ქერი და თივა, ანუ ბზე ზომიერისა და არა ძვირისა ფასითა ვიმეცადინავოთ ყოვლისა ღონისძიებათა ყოვლად უმონაესისა გულსმოდგინებისამებრ, რათა არაოდეს არა ექმნებოდესთ ნაკლულევანება რაიმე.

მეფე იმერეთისა სოლომონ

ი. შევიკრუი მე მენაცულებთა ჩემთათურთ, რათა ოდესცა პოვნილ და მუშაებულ იქმნან მაღანნი რუსეთის ხელოსანთა მიერ ჰივცემდეთ საჭიროსა რიცხუსა მუშათა ფასითა მაღანთ-მთავართაგან კანსაწესებელითა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

ია. უკეთუ ტყეთა შინა იმერეთისა სამეფოისათა პოვნილ იქმნან საკმარნი ხეები ხომალდთ აღსაშენებლად შავის ზღუის რუსეთის

სამკედრო ხომალდთათვის, მაშინ ვითარცა ერთგულსა მონასა მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებელისასა, მე და მენაცულებთა ჩემთა არა ძალგვიცს ხეებისათვის მის ძიება არცა უმცირესისა ფასისა, და დაუშლელ ექმნასთ რუსეთის ზღუის აფიცრეთა (მოხელეთა), რომელ ხეები იგი დანიშნონ დალითა მისთვის, რათამცა ნუ ვინმე იმერეთისა მონათაგანმან იკადნიეროს მოჭრა მათი, ხოლო მოჭრისათვის ხეთა მათ და მათისა მიტანისათვის ზღუის ნავთსაყუდელად ბრძანებულ ექმნას საკუთრისა მოწყალებისა მიერ მისისა იმპერატორობითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა ხელმწიფისა და მბრძანებლისა, რათა მიეცემოდესთ მუშათა ზომიერი და არა ძვირი ფასი, რათამცა არა შეწყუხებულ ექმნას მით ხალხი.

მეფე იმერეთისა სოლომონ

იბ. ყოველნი ტყვენი თავადისა დადიანისა სამფლობელოიდგან წარმოყვანილნი უკუნვაქციოთ, და ეგრეთვე ციხეებიცა აღებულნი ოდიშსა და ლეჩხუმსა შინა მათთა გარშემოთათურ დაცვალო, და არაოდესმე არღა ვდავობდე მათ და მოკლედ ვსთქვა, არცა მე და არცა მენაცულებთა ჩემთა თავადისა დადიანის სამფლობელოისადმი არაოდეს არა რაიმე ძიება გუაქუნდეს.

მეფე იმერეთისა სოლომონ

იგ. შევიკრუი მე მენაცულებთა ჩემთათურთ, რათა გზა საქართველოისა საზღურიდგან ვახანზედ¹ მდებარე ქუთაისადმდე და მუნით ოდიშისა ფოთისაკენ გავაწმენდინოთ და გავაკეთებინოთ საურმო გზად და ვიქონიოთ იგი ყოველთვის სრულისა წარმართვითა და ეგრეთვე პასუხის გამცემ ვიყუნეთ სიმართლისა და უვნებელობისათვის გზათა მათ ზედა გამგლელთა ქარავანთა სხვა და სხვა ხარისხისა კაცთა და უფროლა სამხედრო მოსამსახურეთა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

¹ ვახანი - აბუ. სოფ. ვახანი (ხარაგაულის რ-ნი)

იდ. რაიცა შეხუდებოდა მეფის ძესა კონსტანტინე დავითის ძეს მამული, ესე იგი საბატონიშვილო, სრულიად და დაუკლებელად ესრედ, ვითარცა უწყიან იგი ყოველთა ჩინებულთა იმერეთისა კეთილ-შობილთა, ყოველსა მას დაუთმობ მე უგანათლებულესსა მეფის ძეს კონსტანტინეს, რათა აქუნდეს უსაშუალოდ განმგებლობასა შინა, თავისად მისთა შემოსავალთაგან საცხოვრებელად.

მეფე იმერეთისა სოლომონ

იე. სამაგიეროდ ამისა ჩემ-მიერ კეთილნებიერისა დათმობისა მეფის ძე კონსტანტინე დავითის ძე იმყოფებოდეს საქართველოსა, ანუ რუსეთსა შინა, ვიდრე უკანასკნელთა ჩემთა დღეთადმდე, რათა არა შემთხუშულ იქმნას განხეთქილება რაიმე ხელმწიფებისა ჩემისა, რათამცა მიიღოს შესაფერი ხარისხისა მისისა აღზრდილება საფარველსა და შეწვენასა ქვეშე მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა, ყოველად უმოწყალესისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებლისასა, და რათამცა არა აღრეულ იქმნას განმგებლობა ჩემი მისისა აქ ყოფნითა არა კეთილმოაზრეთა კაცთაგან იმერეთსა შინა მყოფთა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

ივ. საქონელთაგან, რომელნიცა გატარებულ იქმნებიან იმერეთზედ ზღვის ნავთსაყუდელთაგან საქართველოდ და საქართველოიდგან მათდამი, და ეგრეთვე თავადისა დადიანისა სამფლობელოთადმი და მათგანცა მე მენაცულებნი ჩემნი განსავრცელებლად ვაჭრობისა არა უნდა ავიღებდეთ ბაჟსა. ხოლო ამისა სამაგიეროდ განწესებულ მექმნას მე უხუშბათაგან მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოველად უმოწყალესისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებელისათა საბაჟოთა რუსეთის შემოსავალთაგან, რომელიმე ნაწილი, სამაგიეროსა საჯილდოდ დანაკლისთათვის.

მეფე იმერეთისა სოლომონ

იზ. საქართველო¹ და იმერეთი რადგანაც იქმნების თანასწორსა ჰინაობასა შინა ყოვლისა რუსეთის მპყრობელობისასა, ამისთვის დღიდგან

¹ საქართველო - აქ: ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფო.

დადგინებისა ამის მოწერისა არა ვისმე ექმნების ნება იმერეთიდგან საქართუშლოს გარდავიდეს დასასახლებელად თვინიერ ცნობისა და ნებისა ჩემისა და ეგრეთვე არცა ვისმე აქუნდების ნება საქართუშლოდგან იმერეთს გარდმოვიდეს დასასახლებელად თვინიერ საქართველოს უპირატესს მმართველის ნებისა. აქამოდღე უკვე გარდმოსრულნი საქართველოდგან იმერეთს და იმერეთიდგან საქართველოს გარდასრულნი დაშთებიან მუნ, სადაცა აწ იგინი იმყოფებიან. ამისთვის რომელ იმერეთსა და საქართველოს აქუნდათ რა სხვა და სხვა მთავრობა ძალედუათ და თანამდებცა იყუნენ შემწეობად და მფარველობად უცხოთა ქუშყნით გარდმოსრულთა კაცთა, ვითარცა ეს მიღებულ არს ესრედ ყოველთა განათლებულთა კემწიფობათაცა შინა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

დასასრულად ყოვლისა ამის მე, გვამისათვის ჩემისა და ყოველთა ჩემთა მენაცულებათავისცა დავამტკიცებ ამას ჩემსა ყოვლად უმონაესსა ვედრებასა მისისა იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უმოწყალებისა ჩემისა კელმწიფისა და მბრძანებლისადმი საკუთრისა ჩემისა კელის მოწერიითა და დაბეჭუდითა სახელისა ჩემის ბეჭდითა თვითოეულსა მუკლსა ქვეშე და შეუვრდენ ყოველსა ამას მისსა იმპერატორებითსა დიდებულებასა ყოვლად უმოწყალებსა ჩემსა კემწიფესა და მბრძანებელსა ყოვლად უმაღლესისათვის კეთილგანხილვისა და დამტკიცებისა.

მეფე იმერეთისა სოლომონ

შესრულებულ ქვემოწერილ არს წელთა განკორციელებიდან ქრისტესსა ჩყდ-სა აპრილის კე-სა დღესა იმერეთისა საზღვარზედ ელაზნაურს.

მისი უდიდებულესობის ფრანგთა
იმპერატორისა და იტალიის მეფისადმი
მიმართული საქართველოს მეფის წერილის
თარგმანი⁽¹⁴⁹⁾

ხელმწიფევ,

როგორც მზე პორიზონტზე გამოჩენისთანავე ანათებს და ათბობს დედამიწას, ასევე თქვენმა უდიდებულესობამ¹ ტახტზე ასვლისთანავე გამოიწვია პატივისცემა და აღტაცება. მისი კეთილმოსურნეობის სხივებმა აანთო იმედის ცეცხლი ყველაზე უფრო შორეული ერების გულშიც კი. მათ დაინახეს თქვენს უდიდებულესობაში თავიანთი გაჭირვების დასაყრდენი და შემწე თავიანთ უბედურებაში. ჩემი გული აღიჭურვა იგივე გრძნობებით და საფრანგეთის საიმპერიო ტახტზე თქვენი უდიდებულესობის ასვლისთანავე ვისწრაფე მისთვის მიმემართა ჩემი პატივითა და კეთილსურვილებით და დაბეჯითებით მეთხოვა მისი უმაღლესი და უძლიერესი მფარველობა. მაგრამ, ვარ კვლავ მწარე გაურკვეველობაში, მიაღწია თუ არა ჩემმა პატივმა თქვენამდე და ჩემმა წერილებმა მის ტახტამდე.

ხელმწიფევ, განგებამ მოგავლინათ თქვენ ამ ქვეყნად, რათა გაუადვილოთ, დაეხმაროთ და მფარველობა გაუწიოთ კაცობრიობას, ყველაზე უფრო შორეულ ხალხებს იგივე უფლება აქვთ, რაც მათ, რომლებსაც აქვთ ბედნიერება იყვნენ თქვენი მეზობლები იგრძნონ თქვენი სიდიადისა და თქვენი ძლიერების ზემოქმედება.

ჩემი ოჯახი 1200 წელია მეფობს ხალხებზე, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობ, ჩემი სამეფო უწინ გადაჭიმული იყო შავ ზღვამდე. მე ჯერ კიდევ შემედლო აქ მშვიდობიანად სიამოვნება, რუსეთის ამ ბარბაროსული² სახელმწიფოს, სიხარბეს რომ მასში არ გაეღვიძებინა პროექტი ჩემი სიმშვიდის დარღვევისა და გამოეწვია უცხო ომები, რათა უფრო იოლად დაუფლებოდა ჩემს სამფლობელოებს, დამუქრებოდა ჩემს არსებობასაც კი. ეს ომები დიდ სისხლისღვრას მოითხ-

¹ ნაპოლეონ ბონაპარტი (1769-1821) - საფრანგეთის იმპერატორი (1804-1815) და იტალიის მეფე.

² ეს სიტყვა არ მოიპოვება სოლომონის ქართულად შედგენილ წერილში და ჩამატებულია თარგმანში

ოვენ, მაგრამ ჩვენ უმაღლეს სისხლისღვრას ვარჩევთ, ვიდრე დავემორჩილოთ რუსეთს. მე რომ იმედი არ მქონდეს გავიმარჯვო და დავემარცხო ჩემი მტერი,¹ ამაოდ არ დავემყარებდი იმედს შველასზე მონარქისაგან, რომელსაც ახასიათებს თავისი მართლმსაჯულობით და სულის სიძლიერით სუსტის წამოყენება და დაჩაგრულისადმი დახმარება.

თქვენს უდიდებულესობას ვანდობ ჩემს ბედს. მის სიდიადეს ვთხოვ მისივე შესაფერის მფარველობას, დახმარებას და მხარდაჭერას. ყველაფერმა ხელი შეუწყო თქვენს წამოწყებებს, ხელმწიფე, და ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ შეაჩერებს თქვენს წინსვლას. თვითონ ღმერთისაგან გაქვთ მომადლებული ძალაუფლება, რომელსაც თქვენ ახორციელებთ და გაკვირებული მსოფლიო აღტაცებაში მოჰყავს თქვენი ხასიათის სიძლიერეს. თუ თქვენი მხარდაჭერა მომაკლდება, მე შევიქნები მსხვერპლი რუსეთის ამბიციისა. საშუალებები არ დააკლდება თქვენს უდიდებულესობას, რათა დამიხსნას მისი უღლისაგან. გავაკეთებ ყველაფერს, რასაც თქვენი უდიდებულესობა მოითხოვს ჩემგან და შევასრულებ მის ბრძანებებს უერთგულესად.

გბედავ ვიმედოვნო, რომ თქვენი უდიდებულესობა მიიღებს მხედველობაში ჩემს თხოვნას, არ უკუაგდებს სურვილებს ხალხისას, რომელსაც სურს თქვენი მძლავრი მკლავის მფარველობის ქვეშ ყოფნა, ელოდება შეინარჩუნოს თავისი არსებობა და თავისუფლება, მხოლოდ თქვენი უდიდებულესობის წყალობით დააღწიო თავი მჩაგვრელ ტირანიას.

მე ვევედრები თქვენს უდიდებულესობას პატივი დამდოს და პასუხით მანუგეშოს, რომ მან ჩემი თხოვნა შეიწყნარა და ჩემი იმედები განხორციელდება.

მსახური თქვენი უდიდებულესობისა, სოლომონი მეფე
საქართველოსი.²
აპისკა,³ 1810 წლის 20 ოქტომბერი

¹ ეს წინადადება არ მოიპოვება სოლომონის ქართულად შედგენილ წერილში და ჩამატებულია თარგმანში.

² სოლომონის წერილის ქართულ დედანში წერია: „მეფე სრულიად იმერეთისა“.

³ ახალციხის სახელწოდება თურქულად.

მისი უდიდებულესობა იმპერატორისადმი¹ მიუხედავად
სოლომონის მიერ ქართულ მნაწე მიმართული
წერილის თურქული ვერსიის თარგმანი [150]

მის საიმპერატორო უდიდებულესობას, უმაღლესობას, უდიდესს, უძლიერეს მონარქს, დიდი რომის იმპერატორს ფრანგთა კეისარს, ნაპოლეონს, მთელი დასავლეთის დიდ მბრძანებელს – უგულმონყაალებს იმპერატორს.

უავგუსტოესო, უგულმონყაალებსო იმპერატორო, ღმერთის შემდეგ მეფეთა-მეფეო.

მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის ერთსულოვანმა სურვილმა მოგიწოდებდა თქვენ საფრანგეთის საიმპერატორო კეთილშობილური გვირგვინისაკენ, ჩვენ ვიჩქარეთ წარმოგიდგინოთ თქვენ რამდენიმე უმორჩილესი თხოვნა.

ჩვენ ამ თხოვნაში წარმოუდგენდით თქვენს უდიდებულესობას, როგორც ქრისტიანობის უმაღლეს მეთაურს, რომ მოსკოვის იმპერატორმა ჩვენ უსამართლოდ და უკანონოდ ჩამოგვართვა ჩვენი სამეფო ხელისუფლება; ამ იმპერატორს არ ჰქონდა ამის არავითარი უფლება. რაც შეგეხება ჩვენ არ გაგვაჩნია არც ძალა წინააღმდეგობის გასაწევად იარაღით ხელში ჩვენი სამფლობელოების დამპყრობისადმი, არც საშუალებები კანონიერად დაგვებრუნებინა ისინი უზურპატორისაგან. ეს ორმაგი უძლურება საკმარისია ჩვენი უმოქმედობის გასამართლებლად; მხოლოდ საჭიროა თქვენმა საიმპერატორო უდიდებულესობამ იცოდეს უფლების ჩამორთმევის იმ შეუბრალებელი აქტის შესახებ, რაც ჩაიდინა ჩვენს მიმართ მოსკოვის ზემოხსენებულმა იმპერატორმა, რამდენადაც ღვთის წყალობით თქვენმა საიმპერატორო უდიდებულესობამ ბუნებრივად და საკაცობრიო კანონების თანახმად გააერთიანა თავის ხელში მიწის ყველა მბრძანებელთა ხელისუფლება, ძალა და ავტორიტეტი, შემქმნელ ღვთაებამ მხოლოდ იმისათვის მოგავლინათ ქვეყანაზე და აღგჭურვათ ყველა სიკეთით, რომ დაამყაროთ წესრიგი ძლიერებითა და სამართლიანო-

¹ იგულისხმება საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ I (1804-1815).

ბით, ამიტომაც თქვენ ბრძანდებით უმაღლესი გამრიგებელი ყველა მბრძანებლისა. შესაძლებელია ჩვენი მიმართვა თქვენი კანონიერი ხელისუფლებისადმი არ იქნას დაშვებული და მიღებული? ვინაიდან, ვიდრე ჩვენ ყველა ვართ მზის ქვეშ მბრძანებელი – ვადიარებთ მხოლოდ თქვენს საიმპერატორო უდიდებულებას. იგი მოაწესრიგებს ჩვენს სასურველ მოთხოვნებს და მფარველობას გაუწევს სუსტს ძლიერის წინააღმდეგ.

სწორედ ამასთან დაკავშირებითა, ჩემო უკვეუსტოესო, უძლიერესო იმპერატორო და შეუდარებელო მბრძანებელო, მე უმორჩილესად ვემხობი თქვენი საიმპერატორო უდიდებულებების წინაშე. დაე, დღითიდღე, საათობით იზრდებოდეს მისი დიდება და ბედნიერება! რათა მან მიუმატოს თავის დიდებულ ტიტულებს აზიის იმპერატორის ტიტულს! მაგრამ, დაე, მან ინებოს გამათავისუფლოს მილიონ ქრისტიან სულთან ერთად მოსკოვის იმპერატორის შეუბრალებელი უღლისაგან; ან მისი მაღალი შუამავლობით, ან მისი ყოვლისშემძლე მარჯვენის ძალით და მან მომათავსოს მფარველობაში მისი მეთაურობით არსებულ ჩრდილქვეშ!

მიიღეთ დადასტურება ჩემი მუდმივი ლოცვისა და ღრმა პატივისცემისა, რომლითაც მე ვიმყოფები.

უმოწყალესო, მეტად უხვო იმპერატორო
თქვენი საიმპერატორო უდიდებულებების
საბრალო მსახური.
იმერეთისა და მისი მხარეთა მეფე.

დაწერილია 1811 წლის 6 იანვარს. ბეჭდის
ლეგენდა: იმერეთის მეფე სოლომონი.

თარგმნილია თურქული ვერსიიდან, ჩემს მიერ ქვემოხელისმომწერი, საელჩოს მრჩეველი, ოტომანის პორტასთან პერაში, მისი უდიდებულებების ფრანგთა იმპერატორის, იტალიის მეფისა და ა. შ. და ა. შ. ყოფილი საქმეებში რწმუნებული.

კონსტანტინოპოლი, 1811 წლის 28 ივნისი.
ხელმოწერილია: რიუფენი.

მუხლი III: მისი უდიდებულესობა ირანის შაჰი¹ მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორის² მიმართ გულწრფელი კეთილგანწყობის ნიშნად თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით, საზეიმოდ ცნობს რუსეთის იმპერიის საკუთრებაში: ყარაბაღის და განჯის სახანოებს, რომელსაც ახლა ელიზავეტპოლი ეწოდება; აგრეთვე შაქის, შირვანის, დერბენდის, ყუბის, ბაქოს, თალიშის სახანოებს. ამასთან ერთად მთელ დაღესტანს, საქართველოს შურაგელის პროვინციით, იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს და ყველა იმ მიწას, რომელიც მდებარეობს ამჟამად დადგენილ საზღვარსა (ირან-რუსეთის) და „კაკასიის ხაზს“ შორის.

მუხლი IV: ომის დროს ან მშვიდობიანი მოსახლეობისგან ორივე მხრიდან ტყვედ ჩაგარდნილები, ქრისტიანები თუ სხვა რელიგიის აღმსარებელნი, უნდა გათავისუფლდნენ ტრაქტატის ხელმოწერიდან 3 თვეში. განთავისუფლებულებს უნდა მიეცეთ სურსათი და გზის ხარჯი ყარაკილისამდე,³ სადაც ტყვეების მისაღებად სასაზღვრო ხელმძღვანელობა შეთანხმებულად იმოქმედებს. დეზერტირებს და დამნაშავეებს მიეცეთ სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების ნება. მათ გამოეცხადოთ ამნისტია და შეწყალება.

ადრიანოპოლის ტრაქტატი^[152]

მუხლი IV: საქართველო, იმერეთი, სამეგრელო, გურია და მრავალი სხვა ოლქი ამიერკავკასიისა დიდი ხნის წინ სამუდამოდ შეუერთდა რუსეთის იმპერიას. თურქმანჩაის ტრაქტატით, რომელიც 1828 წლის 10 თებერვალს დაიდო,⁴ რუსეთის იმპერიას გადაეცა ერევნის და ნახჩევანის სახანოები. ამიტომ ორივე მაღალმა ხელშემკვრელმა

¹ ირანის შაჰი ფეთჰ-ალი-შაჰი (1797-1834).

² რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I (1801-1825).

³ ყარაკილისი — ეზმიაძინი.

⁴ თურქმანჩაის ტრაქტატი — რუსეთ-ირანის საზავო ხელშეკრულება, დადებული 1828 წლის 10 (22) თებერვალს სოფ. თურქმანჩაიში (თავრიზის ახლოს). ამ ტრაქტატით დასრულდა ირან-რუსეთის 1826-1828 წლების ომი.

მხარემ აუცილებლად მიიჩნია საზღვრის განსაზღვრა, რათა მომავალში ყველანაირი გაუგებრობა თავიდან იქნას აცილებული. აზიასში, რუსეთის საიმპერატორო კარის და ოსმალეთის ბრწყინვალე პორტას შორის საზღვარი გაივლოს გურიის ამჟამინდელ საზღვარზე, შავი ზღვიდან იმერეთამდე. იმერეთის საზღვრიდან პირდაპირ გაივლის იმ პუნქტამდე, სადაც ახალციხის და ყარსის საფაშოების საზღვარი უერთდება საქართველოს. იმგვარად, რომ ქალაქი ახალციხე და ახალქალაქის ციხე-სიმაგრე აღმოჩნდეს სასაზღვრო ხაზიდან ორი საათის სავალზე ჩრდილოეთით.

ყველა მიწა, რომელიც აღნიშნულის სამხრეთით და დასავლეთით მდებარეობს, ყარსის და ტრაპიზონის საფაშოების მხარეს, ახალციხის საფაშოს უმეტეს ნაწილთან ერთად რჩება ბრწყინვალე პორტას სამუდამო მფლობელობაში. ყველა მიწა, რომელიც სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით მდებარეობს, საქართველოს და იმერეთის მხარეს, აგრეთვე მთლიანი სანაპირო შავი ზღვისა, ყუბანის შესართავიდან წმინდა ნიკოლოზის სავანის ჩათვლით დარჩეს რუსეთის იმპერიის მფლობელობაში.

რუსეთის საიმპერატორო კარი უბრუნებს ბრწყინვალე პორტას ახალციხის საფაშოს დანარჩენ ნაწილს, ქალაქ ყარსს საფაშოთი, ქალაქ ბაიაზეთს საფაშოთი, ქალაქ არზრუმს საფაშოთი და ყველა ადგილს, რომელიც რუსეთის ჯარებმა დაიკავეს და არ იხსენიება ზემოთაღწერილ საზღვრებში.

მუხლი XIII: მაღალი ხელშემკვერი მხარეები განაახლებენ გულწრფელ მეგობრობას, ანიჭებენ საყოველთაო შეწყალებას და სრულ ამნისტიას თავიანთ ქვეშევრდომებს, მიუხედავად წოდებისა, რომლებიც ომის დროს მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში ან გამოხატავდნენ თავიანთ აზრს რომელიმე მხარის სასარგებლოდ. არცერთი ასეთი ადამიანი არ უნდა განიცდიდეს ღვენას არც პიროვნული და არც მატერიალური თვალსაზრისით. თითოეულს შეუძლია კვლავ დაეპატრონოს თავის საკუთრებას და კანონის მფარველობით ისარგებლოს ან ყოველგვარი შევიწროების გარეშე გაყიდოს 18 თვეში ქონება, და თუკი მოისურვებს თავისი ოჯახით და მოძრავი ქონებით გადავიდეს მეორე მხარეს. ამას გარდა ორმხრივ ქვეშევრდომებს, მცხოვრებთ ტერიტორიაზე, რომელიც დაუბრუნდა ბრწყინვალე პორ-

ტას ან დაეთმო რუსეთის საიმპერატორო კარს, ეძლევათ რატიფიკაციიდან 18 თვე, რათა თუ საჭიროდ ჩათვლიან განკარგონ, ომამდე თუ ომის შემდგომ შექმნილი ქონება და თავისი ქონებით გადავიდნენ მეორე მხარეს.

მუხლი XIV: ორივე მხარეს მყოფი ნებისმიერი ეროვნების, წოდების და სქესის სამხედრო ტყვე დაუყოვნებლივ, ამ ხელშეკრულების რატიფიკირებისთანავე, უნდა დაბრუნდეს ყოველგვარი გამოსასყიდის გარეშე. გამონაკლისს წარმოადგენენ ქრისტიანები, რომელთაც ბრწყინვალე პორტას ტერიტორიაზე ნებაყოფლობით მიიღეს მაჰმადიანობა და მაჰმადიანები, რომელთაც აგრეთვე ნებაყოფლობით მიიღეს ქრისტიანობა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

ამგვარადვე მოექცევიან რუსეთის ქვეშევრდომთ, რომლებიც ამ ხელშეკრულების დადების მომენტში რაიმე მიზეზით ტყვედ ჩავარდნენ და იმყოფებიან ბრწყინვალე პორტას ტერიტორიაზე, რუსეთის საიმპერატორო კარი ამასვე აღუთქვამს ბრწყინვალე პორტას ქვეშევრდომთა მიმართ.

ტყვეების შენახვისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება არ მოხდება არცერთი მხრისგან. ტყვეები, თითოეული მხარისგან მიიღებენ გზის ხარჯებს ვიდრე საზღვრამდე მისვლისთვის, სადაც გაიცვლებიან ორივე მხარის კომისრების მიერ.

სან-სტივანოს წინასწარი საზავო ხელშეკრულება^[154]

მუხლი 19: სამხედრო კონტრიბუცია და ზარალის ანაზღაურება, რასაც მოითხოვს სრულიად რუსეთის იმპერატორი¹ და რასაც აღუთქვამს ბრწყინვალე პორტა, მოიცავს:

ა) 900 მილიონი რუბლი სამხედრო ხარჯი (არმიის შენახვა, სამხედრო დაკვეთები).

ბ) 400 მილიონი რუბლი ზარალის ანაზღაურება, რაც განიცადეს რუსეთის სამხრეთ სასაზღვრო მხარეებმა, ვაჭრობა – მრეწველობამ, რკინიგზამ.

¹ სრულიად რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II (1818-1881). იმპერატორი 1855 წლიდან.

გ) 100 მილიონი რუბლი ზარალის ანაზღაურება, რაც კავკასიის მხარეში განიცადა.

დ) 10 მილიონი რუბლი თურქეთში რუსეთის ქვეშევრდომთა და დაწესებულებათა ზარალის კომპენსაცია.

სულ: 1 410 მილიონი რუბლი

სრულიად რუსეთის იმპერატორი ითვალისწინებს თურქეთის ფინანსურ პრობლემებს და მისი უდიდებულესობა სულთნის¹ სურვილით თანხმობას აცხადებს შეიცვალოს დიდი ნაწილი აღნიშნული თანხისა შემდეგი ტერიტორიული დათმობებით:

1) არდაგანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზიდი, ვიდრე საღანლუღამდე. საზღვარი შავი ზღვის სანაპიროდან გაივლის მდ. ზოფის და ჭოროხის წყალგამყოფ ქედზე, გაუყვება მათა სისტემას ართვინის სამხრეთით მდ. ჭოროხამდე, სოფელ ალათასა და ბეშაგეთთან. შემდეგ საზღვარი გაივლის დერვენიკ-გეკის, ხორჩეზორის და ბეჯილინ-დაღის მდლობებზე. აქედან თორთომის და ჭოროხის გამყოფ ქედზე იალი-ვიზინის მთამდე, სოფელ ვიზინ-ქილისესთან. ნარიმანის სამხრეთით აქედან საზღვარი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით ზივინის დასავლეთით სოფელ არდოსტსა და ხორასანზე ვიდრე საღანლუღის მთარეხილამდე, სოფელ გილიჩმანამდე, შემდეგ აღწევს შარიან-დაღის ქედამდე ხამურის სამხრეთით 10 ვერსზე, სადაც მურადჩაის ხეობაა. აქედან საზღვარი გაივლის ალა-დაღის ქედის გასწვრივ ხორის და ტანდურეკის მდლობებზე. შემდეგ ბაიაზიდის დაბლობის სამხრეთით საზღვარი გაივლის თურქეთ-სპარსეთის ძველ საზღვარზე, ყაზლი-გიოლის სამხრეთით.

რუსეთის დაზუსტებული საზღვარი, რომელიც ხელშეკრულებაზე თანდართულ რუკაზეა მოცემული, დადგინდება რუსი და ოსმალთა დელეგატებისაგან შემდგარი კომისიის მიერ. კომისია გაითვალისწინებს როგორც ადგილობრივ ტოპოგრაფიას, ასევე ქვეყნის სიმშვიდისა და კარგი აღმინისტრაციის შესაქმნელად აუცილებელ პირობებს.

2) ზემოთ აღნიშნული ტერიტორია დაეთმობა რუსეთს 1100 მილიონი რუბლის სანაცვლოდ. დანარჩენი თანხიდან 300 მილიონი რუბლის გადახდის პირობებს განსაზღვრავს შემდგომი შეთანხმება რუსეთის საიმპერატორო და სულთნის მთავრობებს შორის

¹ ოსმალეთის იმპერიის სულთანი აბდულ-ჰამიდ II (1876-1909).

3) 10 მილიონი რუბლი, რომელიც გათვალისწინებულია თურქეთში რუსეთის დაწესებულებების და ქვეშევრდომების საკომპენსაციოდ, გადაიხდება მოთხოვნების განხილვის შესაბამისად და კონსტანტინოპოლის რუსეთის საელჩო აცნობებს ბრწყინვალე პორტას.

მუხლი 21: რუსეთისადმი დათმობილ ტერიტორიაზე მცხოვრებით შეუძლიათ 3 წლის განმავლობაში გაყიდონ უძრავი ქონება და გადასახლდნენ იმპერიის ფარგლებს გარეთ. ვინც 3 წლის ვადაში არ დატოვებს ტერიტორიას და არ გაყიდის ქონებას დარჩება რუსეთის ქვეშევრდომობაში.

მუხლი 28: წინასწარი საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისთანავე სამხედრო ტყვეები გაიცვლებიან ორივე მხრიდან დანიშნული კომისრების მონაწილეობით, რომლებიც გაემგზავრებიან ოდესასა და სევასტოპოლში.

ბერლინის ტრაქტატი¹⁵⁵¹

მუხლი 18: ბრწყინვალე პორტა¹ რუსეთის იმპერიას აზიაში უთმობს არდაგანის, ყარსის და ბათუმის ტერიტორიებს, ბათუმის ნავსადგურით.

ახალი საზღვარი შავი ზღვიდან, თანახმად სან-სტეფანოს ხელშეკრულებისა, მიემართება ხორდის ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ართვინის სამხრეთით. მიუყვება ზუსტად მდ. ჭოროხს, შემდეგ გადალახავს მას და აშშმშენის აღმოსავლეთით პირდაპირი ხაზით სამხრეთისაკენ უერთდება რუსეთის საზღვარს, ნარიმანის სამხრეთით. ქალაქი ოლთისი რუსეთის ფარგლებშია. საზღვარი უხვევს აღმოსავლეთით, გაივლის თებრენეკზე (რომელიც რუსეთშია) და აღწევს პენეკ-ჩაიმდე.

პენეკ-ჩაიზე² საზღვარი მიდის ბარდუზამდე, რომელიც იონიკიოსთან ერთად რუსეთის შემადგენლობაშია. აქედან საზღვარი გაივლის ყარაუგანის დასავლეთით მეჯინკერტზე, შემდეგ პირდაპირი მიმართულებით ყარადაღის მთებამდე და მიუყვება არაქსის შენაკადის

¹ ბრწყინვალე პორტა - ოსმალეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების - სულთნის სამეფო კარის აღმნიშვნელი საერთაშორისო ტერმინი.

² მდ. პენეკ-ჩაი - ქართული ისტორიული სახელწოდება ბანასწყალი.

წყალგამყოფს ჩრდილოეთით და მურად-სუს, სამხრეთით ძველ საზღვრამდე.

მუხლი 59: მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი აცხადებს, რომ მისი განზრახვაა – ბათუმის პორტო-ფრანკო¹ ძირითადად კომერციული განდეს.

მუხლი 62: ოსმალეთის იმპერიის ყველა მხარეში აღმსარებლობის მიუხედავად არ შეიძლება შეიზღუდოს პიროვნების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები: სამოხელეო და სამსახურეობრივი საქმიანობა, თავისუფალი მუშაობა და რეწვა.

ნებისმიერი აღმსარებლობის პიროვნება დაიშვება სასამართლოში მოწმედ.

ყველა ეროვნების სასულიერო პირი, ბერები, მოძღოცველნი (მოკალმასენი), ვინც თურქეთის აზიურ ან ევროპულ ნაწილში იმყოფება სარგებლობს ერთნაირი უფლებებითა და პრივილეგიებით.

მათზე და სასულიერო უწყებებზე ოფიციალური მფარველობა ეკისრება თურქეთში არსებულ სახელმწიფოთა დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებს.

ათონის მთის ბერ-მონაზვნები სარგებლობენ სრული პიროვნული და ქონებრივი თანასწორობით სხვებთან ერთად.

**საქართველოს კეტიცია საერთაშორისო
კონვენციისადმი კააგაში 1907 წ. (შედგენილი
პარლამ ჩერქეზიშვილის² მიერ)^[155]**

სამართლისა და საერთაშორისო კანონის სახელით ჩვენ, უუძველესი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოს, საქართველოს მოქალაქენი, მიემართავთ განათლებულ ევროპის ერებს, მათი დელეგატების სახით საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე კააგაში.³

¹ ბათუმის პორტო-ფრანკო – ხელშეკრულების ეს პუნქტი გაუქმდა 1886 წელს.

² ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925) – ქართული და საერთაშორისო ანარქიზმის ლიდერი. დიდი თეორეტიკოსი.

³ კააგის II საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია – გაიმართა პოლანდის ქ. კააგაში 1907 წ. მონაწილეობდა 44 სახელმწიფო, მიიღეს 13 კონვენცია ომის კანონების და ჩვეულებათა შესახებ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ხმა გამოიწვევს თქვენს ყურადღებას და თანაგრძნობას. თუ ჩვენ გადმოგცემთ ჩვენ სამართლიან და ლეგალურ მოთხოვნილებებს რუსეთის იმპერიული მთავრობის მიმართ იმ საერთაშორისო ხელშეკრულების ლოიალური დაცვის შესახებ, რომელიც დაიღო დამოუკიდებელ საქართველოსა და რუსეთის იმპერიულ მთავრობას შორის და დამტკიცებულ იქმნა ორივე მხრივ. ხოლო სისტემატურად დარღვეული უკანასკნელის მიერ.

1783 წელში, აგვისტოს 20-ს¹ საქართველოს მეფე ირაკლი მეორემ ხელშეკრულება დასდო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორესთან, რომლითაც საქართველომ დააყენა თავისი თავი, რუსეთის იმპერიის მფარველობაში. თავის მხრივ, იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ, მისი საკუთარი და მისივე მემკვიდრეთა სახელით, ზემოთ აღგვითქვა დაცვა საქართველოს ავტონომიური მთავრობისა, ეროვნული კანონმდებლობისა, საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესიისა, სამართლისა ქართულ ენაზე, ეროვნული სამხედრო სისტემისა და ქართული ფულის მოჭრისა.

ხელშეკრულება დამტკიცებულ იქმნა სექტემბრის 30-ს იმავე წელს 1783 და მისი ტექსტი ჩართულია რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში, ტომი 21.

ამ საერთაშორისო, დამტკიცებულ ხელშეკრულების მეთორმეტე მუხლი ამბობს შემდეგს:

„ეს ხელშეკრულება დადებულია სამუდამოდ, მაგრამ თუ აუცილებელი საჭირო გახდა ორივე მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულებაში რაიმე შესწორების შეტანა, ეს შესწორებანი უნდა შესრულდნენ მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.“

15 წლის შემდეგ ამ მეთორმეტე მუხლის მიხედვით დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის იმპერატორ პავლე პირველის² და ერეკლეს მემკვიდრე, მეფე გიორგის³ შორის, ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. მოხდა შეთანხმება იმაზე, რომ საქართველოს სამეფო შეიქმ-

¹ 1783 წლის 20 აგვისტო – გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. დაიღო 1783 წლის 24 ივლისს.

² პავლე I (1754-1801) – რუსეთის იმპერატორი (1796-1801).

³ გიორგი XII (1746-1800) – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798-1800).

ნებოდა რუსეთის იმპერიის ნაწილი, მაგრამ შეინარჩუნებდა ყველა ავტონომიურ და ეროვნულ უფლებებს, რომელნიც ჩამოთვლილი არიან მფარველობის ხელშეკრულებაში 1783 წ.

იანვრის 18-ს, 1801 წ. იმპერატორ პავლეს მანიფესტი¹ საქართველოს ანექსიის შესახებ გაკრულ იქმნა სანკტ-პეტერბურგის ქუჩებში და მასში იყო ნათქვამი:

„ამით, ჩვენ ვაცხადებთ, ჩვენი იმპერატორული სიტყვით, რომ საქართველოს კავშირის გულისათვის... ყველა უფლება და უპირატესობა... დაცული იქმნება სრული სიმთელით“ და სხვა (იმპერატორ პავლეს მანიფესტი).

მაგრამ ამ ახალ ხელშეკრულებაზე ხელი არასოდეს არ ყოფილა მოწერილი, ვინაიდან მეფე გიორგი და იმპერატორი პავლე სწორედ მისი დამტკიცების წინ გარდაიცვალნენ.

ამის მიუხედავად, იმპერატორ პავლეს მეშვეობით, ალექსანდრე პირველმა 1801 წლის 12 სექტემბრით დათარიღებულ მანიფესტში გამოაცხადა:

„აგებდნით რა ტახტზე, ვინილეთ საქართველოს სამეფო შერტუბული რუსეთის იმპერიასთან, როგორც ეს ზემოთ იყო გამოცხადებული იანვრის 18-ს, 1801 წ.“

საქართველოს ელჩებმა რუსეთის სასახლეში, პროტესტი განაცხადეს ამ მანიფესტის წინააღმდეგ და დასტოვეს სანკტ-პეტერბურგი.

ალექსანდრე პირველის მანიფესტმა 1801 წ. სექტემბრის 12-სა კიდევ დადასტურა საქართველოს ავტონომია მისი არჩეული შინაური მთავრობით; და საქართველოს შინაური მთავრობის სტატუსი, რომელზეც ხელი მოწერილი იქმნა იმავე დღეს, აცხადებდა:

„საქართველოს უმაღლესი მთავრობის (შემდგარ ოთხი დეპარტამენტისაგან) საერთო კრება ხმის უმრავლესობით სწყვეტს მთავრობის საქმეებს საბოლოოდ“.

თუმცა საქართველოს ავტონომია დადასტურებულ იქმნა, ქართველები მუდამ უყურებდნენ იმპერატორ ალექსანდრეს მანიფესტს, როგორც

¹ 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტი – პავლე I-ის მანიფესტი, რომლის ძალით ქართლ-კახეთი ცხადდებოდა რუსეთის იმპერიის ნაწილად. ძალაში არ შესულა პავლე I-ის მკვლელობის გამო 1801 წლის მარტში.

არა კანონიერს და როგორც დარღვევას იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულ იქმნა ეკატერინე მეორესთან და რომელიც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ რაიმე ცვლილების შეტანა ხელშეკრულებაში შესაძლებელი იქმნებოდა მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით.

ამ წუთიდან რუსეთის მთავრობა სისტემატურად არღვევდა ხელშეკრულების მუხლებს.

არჩეული (დანიშნული) უმაღლესი საქართველოს მთავრობა მოსპობილ იქმნა ნელ-ნელა, და მაგიერად დამყარებულ იქმნა სამხედრო წესწყობილება, და ახლა უმაღლეს ადმინისტრაციაში და მეფის მოადგილის საბჭოში¹ არის მხოლოდ ერთადერთი ქართველი მოხელე თარჯიმანი.

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართული ენა გაძევებული იქმნა სასამართლოდან. სამართალი ხდება გლეხებისა და მუშებისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე. რომელნიც ამგვარად მოქალაქეობის ყველაზე უფრო ელემენტარულ უფლებას არიან მოკლებული.

ჩვენი ეროვნული სამხედრო სისტემა, ხელშეკრულებით დაცული, შეცვლილი იქმნა რუსული სავალდებულო ბეგარით; და ჩვენი ახალგაზრდები სამსახურში იგზავნებიან ჩვენი თბილი ჰავიდან ჩრდილოეთ რუსეთს და ციმბირს. რომლის შედეგად სამხედრო ექიმების თქმით, ქართველ ჯარისკაცში ასზე ორმოცდაშვიდი კვდება ან ავადმყოფდება ჰავის სისასტიკის გამო.

ძალდატანებითი რუსიფიკაციის პოლიტიკამ ჩვენი ერის ეკონომიური დაღუპვა გამოიწვია. ჩვენს ეკლესიას ერთ უძველეს, დამოუკიდებელ ქრისტიანულ ეკლესიას წაერთვა დამოუკიდებლობა და ქონება, უბრალოდ, ადმინისტრაციული განკარგულებით. ჩვენი ისტორიული შენობანი და ტაძრები, მრავალი მათგანი საშუალო საუკუნეთა ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში და ჩვენი ქართული ხელოვნების ნაყოფი მიტოვებულ იქმნენ უპატრონოდ, დასანგრევად; და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საღსარი აღვადგინოთ ისინი. ვინაიდან ჩვენ ეკლესიათა ქონების შემოსავალი 2, 400, 000 მანეთი წელიწადში,

¹ მეფის მოადგილის საბჭო — მეფისნაცვლის საბჭო წარმოადგენდა კავკასიის მხარის მმართველობის უმაღლეს ორგანოს.

მითვისებულ იქმნა რუსეთის საიმპერიო ხაზინის მიერ. კიდევ მეტი, ყველა ქართული ეროვნული მიწაწყალი მითვისებულ იქმნა რუსეთის მთავრობის მიერ, გამოცხადებული რუსეთის სახელმწიფო ქონებად. ამ ადგილებზე რუსების მთელი სოფლები და უცხოელ კოლონისტებისა მთავრობის მიერ დასახლებულ იქმნა. თვითოეულ დასახლებულ რუსს მთავრობა აძლევს 30, 40 და ხან 100 აკრს მიწას; მაშინ, როცა საშუალოდ ქართველ გლეხს აქვს მხოლოდ სამიდან ხუთ აკრამდე მიწა. საქართველოს მრავალ მხარეში მთავრობამ აუკრძალა კიდევ ქართველ გლეხებს მიწის შექმნა ეგრეთ წოდებულ საიმპერიო მაძულეებში. ამ ზომის წყალობით ქართველი გლეხობა იტანჯებოდა ნამდვილი „მიწის შიმშილით“ განსაკუთრებით დასავლეთ პროვინციებში. სადაც, ზოგიერთ ადგილში, დესიატინის (2,7 აკრი)¹ ფასია ასიდან ორას გირვანქა სტერლინგამდე და ჩვენი გლეხები იძულებული არიან მიწა არშინობით² იყიდონ.

ბატონყმობის გადაგდების გარდა არც ერთი რეფორმა, რომელიც რუსეთმა შემოიღო მეცხრამეტე საუკუნეში, საქართველოს არ ღირსება; დღემდე ჩვენ არ გვაქვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არც ერობა; არ გვეყვანან არც არჩეული მსაჯულნი. უნივერსიტეტზე და უმაღლეს სკოლებზე მუდმივ უარს გვეუბნებიან, თუმცა მთავრობას მრავალჯერ სთხოვდენ.

თვით ახლახან შემოღებული კონსტიტუციური წესწყობილება არის ჩვენი ერისთვის სავალალო დაცინვა. ვინაიდან მთელ საქართველოს, მის ორმილიონნახევრიან მცხოვრებით, ჰყავს მხოლოდ შვიდი წარმომადგენელი სახელმწიფო დუმაში.³

მაგრამ იმას გარდა, რომ ჩვენ მოკლებული ვართ ჩვენს უფლებებს, სხვა უდიდესი საშინელება დაატყდა ჩვენს ერს.

¹ დესიატინა - მიწის საზომი ერთეული რუსეთის იმპერიაში, დაახლ. 1,09 ჰექტარი. აკრი - მიწის ფართობის საზომი ინგლისური ერთეული, დაახლ. 4046 მ².

² არშინი - სივრცის საზომი ერთეული რუსეთში XV ს-დან, დაახლ. 72 სმ.

³ რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (დუმა) - რუსეთის იმპერიის წარმომადგენლობითი საკანონმდებლო დაწესებულება, შეზღუდული უფლებებით არსებობდა 1906-1917 წლებში. I და II სათათბიროში საქართველოს 8 დეპუტატი ჰყავდა, III და IV სათათბიროში მხოლოდ 3.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მძვინვარებდა საალყო წესები საქართველოში და ერი მიუგდეს ჯარისა და ყაზახთა¹ სიმხცის საშინელებას. ჩვენი გაფურჩქნილი პროვინციები: გურია, სამეგრელო, იმერეთი და შუა საქართველო დასწვეს და დაანგრეს, ბალები და ვენახები სავსებით გაანადგურეს, საკუთრება (განსაკუთრებით გლეხების) დააზიანეს და გასცარცვეს. ქალაქები: ქუთაისი, ოზურგეთი, ყვირილა, ხონი, ჭიათურა და 104 სოფელი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასწვეს, გადაბუგეს და ნანგრევებად აქციეს. ქართველები ასობით დაღუპეს; ქალები და ბავშვები ვერ გადაურჩნენ გაუპატიურებას, როგორც ეს მოხსენებული იყო ქართველ ქალთა მოწოდებაში განათლებულ ქვეყნების ქალთა მიმართ. გაპარტახებული და შიშით თავზარდაცემული სოფლები გაიხიზნენ მთებში და ტყეებში, სადაც მრავალი, განსაკუთრებით ბავშვები, დაიღუპნენ.

თვით ტფილისშიაც,² ჩვენს დედაქალაქში, მეფის მოადგილისა და უმაღლეს მოხელეთა თვალ-წინ და მათივე თანხმობით მოწყობილ „პოგრომებს“³ ჰქონდა ადგილი.

აგვისტოს 29-ს (ახალი სტილით სექტემბრის 11-ს), ოქტომბრის 22-ს, (ახალი სტილით იანვრის 3-ს, 1906 წ.) ქალები და ბავშვები გაუღეტილ იქმნენ პირდაპირ მეფის მოადგილის სასახლის წინ.

ჩვენი ერის სისტემატური დევნა-წამება გაიზარდა ისეთ ღონემდე, რომ ჩვენ აკრძალული გვქონდა დახმარება გაგვეწია მიტოვებულ ხალხისათვის დანგრეულ დასავლეთ პროვინციებში.

როდესაც ქართველ ქალთა საზოგადოებამ შეაგროვა თანხა გურიის მშიერ გლეხებისათვის დასახმარებლად, მეფის მოადგილემ, ვორონცოვ-დაშკოვმა³ აკრძალა იგი, თქმით: „მთავრობას არ შეუძლიან ნება მოგცეთ თქვენ, შეუმსუბუქოთ გაჭირება მათ, ვინც მან დასაჯაო.“

როდესაც ამ წლის გაზაფხულზე გავრცელდა მინინგიტი კახეთში, საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციაში, ქართველ ქალთა საზოგადოებას კვლავ აღუკრძალეს გაეგზავნა მედიკური დახმარება.

¹ ყაზახები — რუსეთის რევლარული არმიის ნაწილები, რომლებიც ძირითადად სადამსჯელო ღონისძიებებისთვის გამოიყენებოდა.

² 1936 წლამდე თბილისს ერქვა ტფილისი.

³ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი (1837-1916) — გრაფი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე-კაეკასიის მეუისნაცვალი (1905-1915).

ხოლო რამოდენიმე კვირის წინად ამავე საზოგადოებას სურდა გაეგზავნა ამცრელები შუა საქართველოში, რათა ხელი შეეშალათ ყვავილის გავრცელებისათვის; არც იმის ნება დართეს.

ასობით, თუ ათასობით არა, ქართველები გამომწყვდეული არიან საპყრობილებებში გაუსამართლებლად, და უცდინად ადმინისტრაციული წესით გადასახლებას ციხიბრს ან ჩრდილო რუსეთს. უკანასკნელი წლის განმავლობაში 333-ზე მეტი კაცი, უმთავრესად ქართველები, სიკვდილით დასჯილ იქმნენ სამხედრო სასამართლოთა მიერ კავკასიაში. ათასობით გლეხები და მუშები გადაყრილ იქმნენ ციხიბრს და ჩრდილო პროვინციებში. ევროპის პრესამ საერთოდ გაიგო უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში მომხდარ მხეცურ დასჯათა შესახებ რუსეთში. რუსეთის დამოუკიდებელი პრესა გადმოგვცემდა, რომ 40000 მსხვერპლი დაეცა და ცნობილია, რომ ბალტიის პროვინციების შემდეგ საქართველო ყველაზე მეტად დაისაჯა.

ასეთი დამცირება და ჩაგვრა უცნობია ჩვენს ისტორიაში თემურ ლენგის შემოსევის შემდეგ.

და თუ ჩვენ ვბედავთ აღვიმადლოთ ხმა ჩვენ ეროვნულ უფლებათა დაცვის გულისათვის, თუ ჩვენ ვბედავთ აღვნიშნოთ საერთაშორისო ხელშეკრულება, ჩვენ გვატუსაღებენ, გვსჯიან და ხშირად გვემუქებიან გადასახლებით და გაჟლეტით.

ასეთ აუტანელ პირობებში, ღუმისა და მეფისადმი საერთო თხოვნის უფლებას მოკლებული, ქართველი ერი სწყვეტს წარადგინოს განათლებული მსოფლიოს წინაშე თავისი საჩივარი რუსეთის საიმპერიო მთავრობის არაკანონიერ მოქმედებათა შესახებ, შეუსრულებლობაზე საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულ იქმნა ყველა ლეგალურ ფორმალობათა მიხედვით, რაც მიღებულია განათლებულ სახელმწიფოთა მიერ, — ხელშეკრულება, რომელიც ჩვენის მხრივ არასოდეს ყოფილა დარღვეული.

ევროპის მოქმედებით, ნახევრად ბარბაროსული და დაჩაგრული ოსმალეთის ბალკანური პროვინციები გადაიქცნენ კონსტიტუციურ, აყვავებულ სერბეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის სახელმწიფოებად.

ჩვენი ქვეყანა კი, მრავალ საუკუნეთა დამოუკიდებელ-პოლიტიკურ ცხოვრებისა და ქრისტიანული ცივილიზაციის შემდეგ, რაც იგი

შეუერთდა ნებით რუსეთის იმპერიას იმ იმედით, რომ განათლებულ ევროპას დაახლოებოდა, იმის მაგივრად, რომ მოეპოვებინა წინსვლა და მშვიდობიანი განვითარება, არის ახლა დანგრეული; ჩვენი ეროვნული, პოლიტიკური და გონებრივი ცხოვრება სისტემატიურად გაჭყლექტილი და ჩვენი მისწრაფებანი უწყალოდ მოსპობილი.

ასეთი არის მდგომარეობა შექმნილი საიმპერიო მთავრობის მიერ წინააღმდეგ ყველა წმიდა ხელშეკრულებისა, რომელთაც ჩვენ ვარდგენთ განათლებულ მსოფლიოს სახელმწიფოთა წინაშე; შეკრებილთ ბრწყინვალე კონფერენციაზე, რათა მოიპოვონ კანონი და სამართალი, იმ იმედით, რომ ჩვენ საკითხში თქვენი თანაგრძნობის გამოწვევა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქმნენ 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისათვის და ეროვნულ ავტონომიისათვის რუსეთის იმპერიის მფარველობაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის შემთავსება ოსმალეთთან 1914 წელს^[156]

I. ოსმალეთის მთავრობამ უნდა სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა და უდავო უფლება მის ისტორიულ-რეალურ ტერიტორიაზე, რომელიც შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს საზღვრებს. შავ ზღვაზე დაკოვსკიდან პირდაპირის ხაზით აბიშირამდე და შემდეგ პირდაპირის ხაზით იალბუზამდე, რომელიც შედის საქართველოს მფლობელობაში. იალბუზიდან პირდაპირის ხაზით ბალთამდე და შემდეგ ასაკოვამდე. ასაკოვიდან დაღესტნის საზღვრამდე და ჩამოვა სალაგათამდე. სალაგათიდან პირდაპირ გოქჩამდე,¹ რომლის ჩრდილოეთის მხარე საქართველოსი იქნება. გოქჩიდან პირდაპირ ჩილდირამდე, ჩილდირიდან ბალვანამდე, ბალვანიდან არტანუჯამდე, რომელიც შედის საქართველოს საზღვარში. არტანუჯიდან ოსმალეთის და რუსეთის 1914 წლის საზღვრამდე იქ, სადაც ჩამოდის მდინარე ჭოროხი.

¹ გოქჩა - ამჟამად: სევანის ტბა.

ქალაქები: განჯა, ალექსანდრეპოლი, ერევანი, ყარსი და არღან-განი რჩებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ.

II. ოსმალეთის მთავრობა არავითარ დაბრკოლებას არ აღმოუჩენს საქართველოს დროებით მთავრობის შედგენას საქართველოს ტერიტორიის პირველ რაიონში, რომელიც კი იქნება განთავისუფლებული რუსეთის ჯარისაგან. ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის კომიტეტს, თუკი კომიტეტი საჭიროდ სცნობს, დროებითი მთავრობის გამოცხადებას ჭოროხის მარცხენა მხარეზედ, თუმცა ეს მხარე რჩება ოსმალეთს.

III. გამოცხადდება თუ არა საქართველოს დამოუკიდებელი მთავრობა, ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და იღებს მის წარმომადგენელს.

IV. ოსმალეთის მთავრობა არ ეძებს უფლებას რუსეთის სახელმწიფოს წარმოებაზე ან ქონებაზე, რომელიც საქართველოში არის. ეს ქონება ითვლება საქართველოს სახელმწიფო ქონებად, როგორც ანაზღაური დანაკლისისა, რომელიც ჰქონდა ქართველ ერს ერთ საუკუნეზე მეტის მონობაში.

V. ოსმალეთის ჯარის ყოფნის დროს საქართველოს ტერიტორიაზე, ოსმალეთის მთავრობა არ აიღებს ქართველებისაგან არავითარ კონტრიბუციას და გადასახადს.

VI. ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის რუსეთ-ოსმალეთის ომის გათავებამდე ოსმალეთის ტერიტორიაზე იარაღის და სხვა სამხედრო მასალის გატარებას, პირიქით, დახმარებას აღმოუჩენს.

VII. ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომ მან შეადგინოს ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონი და ჰპირდება გაუადვილოს საქმე.

ლეგიონი შედგება სამი კატეგორიის პირთაგან:

1. სამხედრო ტყვეები მოხვედრილნი ოსმალეთსა, გერმანიასა და ავსტრიაში.

2. ქართველი ემიგრანტები, რომელნიც გადავიდნენ ოსმალეთში ომის დროს.

3. ის პირნი, რომელნიც გადმოვიდნენ საქართველოდან, სამხედრო პირნი თუ მოქალაქენი.

VIII. ყველა ოფიცრებს და ლეგიონის კომანდირსაც ნიშნავს კომიტეტი. რაც შეეხება საქართველოს ჯარის ორგანიზაციას და მის საერთო მოქმედებას ოსმალეთის არმიასთან, ორთავე მხარეები აღგენენ შემდეგს:

1. შინაგანი საქმეები საქართველოს ლაშქრისა სულ მთლიანად საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შედის.

2. ისე როგორც ოფიცრებს და უმაღლეს კომანდის შემადგენლობას, აგრეთვე სამხედრო შტაბს და უფროს კომანდირს ნიშნავს და ითხოვს საქართველოს დროებითი მთავრობა. ლეგიონის კომანდირთა კომიტეტისაგან უნდა იყოს დანიშნული ისეთი პირი, რომელსაც ოსმალეთის მთავრობა ენდობა.

3. თუ ვინცობაა ქართულ ლეგიონის კომანდირს დააკლდა ოფიცრები, მას აქვს უფლება მოსთხოვოს ოსმალეთის მთავრობას ოფიცრები კადრის შესავსებად.

უმთავრესი კომანდა, ერთად მყოფ ოსმალურ და ქართულ ლაშქრისა, ეკუთვნის ოსმალეთის არმიის კომანდირს კავკასიის ფრონტზე. გენერალური შტაბი ოსმალეთის კავკასიის არმიისა აწესრიგებს ქართული ლეგიონის მონაწილეობით სამხედრო ოპერაციებს, რათა დაცულ იქნას სტრატეგიული გეგმის მთლიანობა; ამავე დროს ლეგიონის უფლებაა იბრძოდეს მარტო საქართველოს საზღვრებთან, რათა შეძლება ჰქონდეს დროებითი მთავრობის გამოცხადებისა ხალხის აჯანყებისათვის.

ოსმალეთის მთავრობა ეხმარება საქართველოს ჯარს ყოველივე დარგში, რასაც კი ომიანობა გამოიწვევს: იარაღის გადმოტანაში და სხვა. ეხმარება თუკი საჭირო დარჩება, ფულითაც, რომელიც შემდეგში ჩაეთვლება საქართველოს სახელმწიფო ვალათ.

IX. როდესაც შერიგება მოხდება, ოსმალეთის მთავრობას დაუყოვნებლივ გაჰყავს თავისი ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან.

ოსმალეთის მთავრობას ექნება შემდეგი უფლებანი:

1. ომიანობის დროს რკინის გზით და სხვა გზებით ისარგებლებს.

2. რეკვიზიცია ჯარის საჭიროებისათვის, მხოლოდ ქართული მთავრობის საშუალებით.

3. იურისდიქცია, სადაც საჭიროა სამხედრო კანონები. საერთო იურისდიქცია სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაცია ეკუთვნის ქართულ დროებით მთავრობას.

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი ვალდებულებას იღებს:

1. დაეხმაროს ოსმალეთის ჯარს ყველანაირად რამდენადაც კი შესაძლოა.

2. გასწიოს პროპაგანდა ოსმალეთის სასარგებლოდ რუსეთის წინააღმდეგ.

3. ეცადოს, რომ ოსმალს ჯარი მეგობრულად იყოს მიღებული საქართველოში.

4. გააცნოს ოსმალეთის ჯარს რუსეთის ფრონტის მდგომარეობა.

5. გაუადვილოს ოსმალს ჯარს მისვლა-მოსვლა და გადაჯგუფება სამხედრო ოპერაციებისათვის.

6. ყველა პირობები, რომელნიც არიან და იქნებიან შეკრულნი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან, გადავა საქართველოს დროებით მთავრობაზე, როდესაც იგი ამგვარად გამოცხადდება.

თ ა ვ ი IX

ქართული დიპლომატია და დიპლომატიური აზრი XX საუკუნეში

ა) ქართული დიპლომატია 1917-1918 წლებში

ბანკარბულმა ამიერკავკასიის კომისარიატის
შემქმნაჯე ^[157]

პოლიტიკური მომენტის გარემოებათა გათვალისწინებით და ცენტრალური ხელისუფლების არარსებობის პირობებში ჩვენ ქვემოთხელისმომწერნი, წვერნი ამიერკავკასიის კომისარიატისა ვაცხადებთ, ჩვენი ვალდებულებების და სრული სახელისუფლო ძალაუფლების შესახებ ამიერკავკასიის მხარის ფარგლებში, ყველა სახელისუფლო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა უშუალო დაქვემდებარებით.

ყველა დაწესებულებასა და კერძო პირს სამსახურეობრივი საქმეებისათვის მოუწოდებთ მიმართონ ამიერკავკასიის კომისარიატს.

კომისარიატის თავმჯდომარე, შრომის სამინისტროს და უცხოეთთან ურთიერთობის საქმეთა კომისარი: ე. გეგეჭკორი¹

შინაგან საქმეთა სამინისტროს კომისარი: ა. ჩხენკელი²

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სამინისტროს კომისარი: დ. ღონსკოი
ფინანსების საქმეთა სამინისტროს კომისარი: ხ. კარჩიციანი

სახალხო განათლების საქმეთა სამინისტროს კომისარი, იუსტიციის საქმეთა კომისარი: შ. ალექსი-მესხიშვილი³

¹ ეგეჩი გეგეჭკორი (1881-1954) — სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. რუსეთის III სახელმწიფო სათათბიროს (1907-1912) წევრი. ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის მთავრობის თავმჯდომარე (1917-1918). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918-1921).

² აკაკი ჩხენკელი (1874-1959) — სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს (1912-1917) წევრი. დროებითი მთავრობის ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის — „ოზაკომის“ თავმჯდომარე (1917). ა.კ. კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი (1917-1918), ა.კ. სეიმის მთავრობის თავმჯდომარე (1918). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918), საქართველოს ელჩი საფრანგეთში (1918-1933).

³ შალვა ალექსი-მესხიშვილი (1884-1960) — საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტ-თა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1918-1919).

ვაჭრობის და მრეწველობის საქმეთა სამინისტროს კომისარი: მ. ჯაფაროვი

გზათა სამინისტროს კომისარი: ხ. მელიქ-ასლანოვი

მიწათმოქმედების საქმეთა სამინისტროს კომისარი: ა. ნერუჩევი

სასურსათო საქმეთა სამინისტროს კომისარი: გ. ტერ-გაზარიანი

საზოგადოებრივი მეთვალყურეობის საქმეთა სამინისტროს კომისარი: ა. ოგანჯანიანი

სახელმწიფო კონტროლის საქმეთა კომისარი: ხ-ბ. ხას-მამელოვი
თბილისი 15 (28) ნოემბერი

ამიერკავკასიის მთავრობის მიწვევა

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე^[158]

არზრუმი. კავკასიის არმიის მთავარსარდალს მის აღმატებულება გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძეს.

ჩემდამი მონიჭებული უფლებამოსილებით მაქვს პატივი გთხოვოთ, რათა აცნობოთ ამიერკავკასიის მთავრობას, რომ ბრესტ-ლიტოვსკში შეკრებილ შუამავალ სახელმწიფოთა დელეგატები მზად არიან ცნონ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. ამიერკავკასიის მთავრობას, სრულიად დარწმუნებულს თავის წარმატებაში, შეუძლია გაგზავნოს თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლები ბრესტ-ლიტოვსკში. გთხოვთ მიიღოთ ჩემგან გულწრფელი სურვილები პატივისცემის ნიშნად.

ფერიკ-ვეჰბ-შეჰმედი.

გამოგზავნილია 1918 წლის 3 (16) იანვარს. თბილისში მიღებულია 1 (14) თებერვალს.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული „ზავის ძირითადი დებულებები“^[159]

1. ამიერკავკასიის სეიმი შექმნილ ვითარებაში თავს თვლის უფლებამოსილად დადოს ზავი თურქეთთან.

2. ამიერკავკასიის სეიმის მიზანია თურქეთთან საბოლოო ზავის დადება.

3. სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველად უნდა იქცეს ომის დაწყებისას, 1914 წლისთვის არსებული რუსეთ-თურქეთის საზღვრის აღდგენა.

4. დელეგაცია შეეცდება უფლების მოპოვებას აღმოსავლეთ ანატოლიის თვითგამორკვევისათვის, კერძოდ თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში თურქეთის სომხეთის ავტონომიის ცნობა.

სეიმმა მიიღო ერთხმად 1918 წლის 16 თებერვალს (1 მარტს)

ამიერკავკასიის მთავრობის პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკების მოქმედების გამო ^[159]

ბრესტ-ლიტოვსკი – სამშვიდობო კონფერენციას; პეტროგრადში-სახკომსაბჭოს; ლონდონს, პარიზს, ვაშინგტონს, რომს, ტოკიოს, კონსტანტინოპოლს, ბერლინს, ვენას – საგარეო საქმეთა სამინისტროს; კიევი – ცენტრალურ რადას; ოდესა – დეპუტატთა საბჭოს.

ამიერკავკასიის მთავრობა, თანახმად სეიმის გადაწყვეტილებისა, ყველანაირ ხელშეკრულებას, რომელიც შეეხება ამიერკავკასიის და მის საზღვრებს და დაიდება მასთან შეთანხმების და თანხმობის გარეშე, ჩათვლის საერთაშორისო მნიშვნელობას მოკლებულად და თავისთვის არა სავალდებულოდ. ამასთან ვაცნობებთ ყველას, რომ ამიერკავკასიის სეიმმა უკვე აირჩია სამშვიდობო დელეგაცია, რომელიც თურქეთთან წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე ემზადება ტრაპიზონში გასამგზავრებლად, რათა თურქეთთან დაიდოს საბოლოო ზავი.

ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე გეგეჭკორი

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ჩხეიძე¹

ტფილისი, 17 თებერვალი (2 მარტი), 1918 წელი.

¹ კარლო (ნიკოლოზ) ჩხეიძე – 1864-1926 – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. რუსეთის III და IV სახელმწიფო სათათბიროს (1907-1917) წევრი და სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე. ამიერკავკასიის სეიმის (1918) და საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) თავმჯდომარე.

ვეპიზ-ფაშას რადიოდეკამუა კავკასიაში
რუსეთის არმიის მთავარსარდალს გენერალ
ლეჰედინსკის! ^[159]

თქვენო აღმატებულება!

რუსეთის რესპუბლიკა დათანხმდა ბათუმის, ყარსის და არდაგანის ოლქების ევაკუაციას და ამასთან დაკავშირებით ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას. ამის შედეგად მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მივიღე ჩემი გენერალისიმუსის ბრძანება, რათა გთხოვოთ უმოკლეს ვადებში მოახდინოთ აღნიშნული ოლქებიდან ევაკუაცია.

თქვენი პასუხის მომლოდინე გარწმუნებთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას.

ვეპიზ-მეჰმედი, 25 თებერვალი (10 მარტი), 1918.

რუსეთ-თურქეთის დამატებითი შეთანხმება
ბრესტ-ლიტოვსკში, რომელიც დაერთვის
რუსეთ-გერმანიის ზავს ^[158]

მუხლი 1: მიღებული დადგენილებები მოაწესრიგებს ევაკუაციის დეტალებს და ტერიტორიების დაბრუნების საკითხს, რაზეც საუბარია კოლექტიური საზავო ხელშეკრულების IV მუხლის მეორე აბზაცში.

1) რუსეთის რესპუბლიკა კისრულობს თავისი ყველანაირი სამხედრო ძალის გაყვანას ომამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის თავის მხარეს, 6-8 კვირის ვადაში.

2) აზიის ფრონტის რუსეთის და თურქეთის მოქმედი არმიების მთავარსარდლები განსაზღვრავენ 1 პუნქტით გათვალისწინებულ რუსული არმიის ევაკუაციის პირობებს და უსაფრთხოებას.

3) ევაკუაციის დროს უსაფრთხოებას ვიდრე თურქეთის ჯარების მიერ ტერიტორიის სრულად დაკავებამდე უზრუნველყოფს რუსეთის რესპუბლიკა. რუსეთის მხარე არ დაუშვებს შურისძიების, ძარცვის და სხვა სახის დამნაშავეობის ფაქტებს. რათა აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული სამხედრო და სამოქალაქო ქონება, შენობები,

მოწყობილობა, ავეჯი გადარჩეს უვნებლად. ყველა მნიშვნელოვან საკითხს ორივე მხარის სარდლობა გადაწყვეტს ადგილზე.

ევაკუირებულ ტერიტორიაზე ხელუსლებლად დარჩება ყველა სარკინიგზო მაგისტრალი, ნაგებობა, შემადგენლობა, ხიდები, სამხედრო ნაგებობები.

4) რუსეთის რესპუბლიკა საზღვრის 150 კმ-ის დასაცავად გამოიყენებს ერთ დივიზიას, მოახდენს დანარჩენი არმიის მობილიზებას ქვეყნის შიგნით.

5) რუსეთის რესპუბლიკა მოახდენს სომხური შენაერთების დემობილიზებას, რომლებიც შედგება რუსეთის და ოსმალეთის ქვეშევრდომთაგან, მღებარეობს როგორც რუსეთში, ისე ოკუპირებულ თურქულ პროვინციებში.

6) მხარეები დადებენ შეთანხმებას წესრიგის აღდგენამდე ხსენებული პროვინციების მოსახლეობის გამოკვების თაობაზე.

7) რუსეთის რესპუბლიკა თავის საზღვრებთან ან კავკასიაში არ მოუყრის თავს ერთ დივიზიაზე მეტს, თუნდაც სასწავლო მიზნით – ვიდრე საყოველთაო ზავის დადებამდე.

თუკი ასეთი კონცენტრაცია აუცილებელი გახდება რუსეთის საშინაო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ამის თაობაზე საჭიროა „ოთხთა კავშირის“ სახელმწიფოთა წინასწარი გაფრთხილება.

ამის საპირისპიროდ, თურქეთს შეუძლია ომის გაგრძელების შემთხვევაში სხვა მოწინააღმდეგეებთან საომრად არმია სამხედრო მდგომარეობაში ჰყავდეს.

მუხლი 2: მხარეები რატიფიკაციიდან 3 თვეში შექმნიან 2 შერეულ კომისიას. პირველი კომისიის ამოცანაა რუსეთ-თურქეთის სასაზღვრო ზოლის აღდგენა რუსეთ-თურქეთ-ირანის საზღვართა დამაკავშირებელი წერტილიდან ვიდრე სამი სანჯაყის (ყარსი, არდაგანი, ბათუმი) საზღვრამდე. ამ მონაკვეთზე აღდგება ომამდელი საზღვარი. იქ სადაც სასაზღვრო ნიშნები დაკარგულია, გამოიყენებენ რუკებს და 1880 წლის სადემარკაციო კომისიის პროტოკოლებს.

მეორე კომისიას ევალება რუსეთის და 3 სანჯაყის საზღვრის აღდგენა, თანახმად საზავო კოლექტიური ხელშეკრულების IV მუხლის მეორე აბზაცისა. აქ საზღვარი აღდგება იმ სახით, როგორც ეს

არსებობდა 1877-1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომამდე.

მუხლი 15: დამატებითი ხელშეკრულება ძალაში შედის 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელმოწერილ კოლექტიურ საზავო ხელშეკრულებასთან ერთად, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ეს ხელშეკრულება. ორივე ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები გაიცვლება ბერლინში.

ორივე მხარის წარმომადგენლობის რწმუნებები დადასტურებულია ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით.

გიორგი სოკოლნიკოვი, რუსეთის ცაკ-ის წევრი.

გრიგორი პეტროვსკი, რუსეთის შინაგან საქმეთა სახკომი.

გიორგი ჩიჩერინი, რუსეთის საგარეო საქმეთა სახკომის თანაშემწე-ლევ კარახანი, რუსეთის ცაკ-ის წევრი.

იბრაჰიმ ჰაკი ფაშა, სენატორი, სულთნის ელჩი გერმანიაში.

ზეკი ფაშა, სულთნის ადიუტანტი, კავალერიის გენერალი.

ბრესტ-ლიტოვსკი, 3 მარტი, 1918.

საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და „ოთხთა კავშირს“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) შორის⁽¹⁵⁸⁾

მუხლი 4: რუსეთი შეეცდება ყველაფერს, რათა უზრუნველყოს აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებიდან სწრაფად გამოსვლა და მოწესრიგებულად გადაცემა თურქეთისათვის. არდაგანის, ბათუმის და ყარსის ოკრუგები ასევე დაუყოვნებლივ გაიწმინდება რუსეთის ჯარისაგან. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოკრუგების საერთაშორისო და სახელმწიფო-სამართლებრივ ურთიერთობებში, და მოსახლეობას მიეცემა საშუალება შექმნას ახალი წყობა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობებით.

ბრესტ-ლიტოვსკი, 3 მარტი, 1918.

ოსმალეთის დელეგაციის პასუხი ამიერკავკასიის დელეგაციის მოთხოვნისადმი^[59]

ჩვენ მოვისმინეთ ამიერკავკასიის დელეგაციის განცხადება და ვაპროტესტებთ იმ პუნქტს, რომელიც ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობას წარმოადგენს. ჩვენ ამ დეკლარაციას ვაცხადებთ შეუთავსებლად იმ მიზანთან, რომელიც დაუსახავს ამ დელეგაციას და გულისხმობს ჩვენთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას. ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ ჩვენი მთავრობის დეკლარაციას და უმოკლეს ვადაში ველოდებით მასზე ამიერკავკასიის დელეგაციის პასუხს:

„ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობამ დადო ზავი ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთის რესპუბლიკის მთავრობასთან. ხელშეკრულება სავალდებულოა რუსეთის მთელი ტერიტორიისთვის. მხედველობაშია მისაღები, რომ კავკასიის მთავრობა იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და ამჟამად მისი სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა გაურკვეველია. თუმცა მან მიზნად დაისახა რესპუბლიკური კონფედერაციის შექმნა, თითოეული ერისთვის თვითგამორკვევის უფლებით. ამასთან ამ მთავრობას არ მიუღია აღიარება. ოსმალეთის დელეგაცია მიესალმება ამ რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნას და მზადაა მასთან მოილაპარაკოს ხელშეკრულების დასადავად. ეს არ დაარღვევს ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობის და რუსეთის ურთიერთ ვალდებულებებს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა აღიარა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. თუმცა კავკასიის რესპუბლიკის ოფიციალური და საბოლოო აღიარება მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდგომ გახდება შესაძლებელი.

მოლაპარაკებების დაწყება ამ საკითხზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბათუმის, არდაგანის და ყარსის სანჯაყებზე ყოველგვარი პრეტენზიის უარყოფის შემდგომ. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება სავალდებულოა ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოსთვის და კავკასიის დელეგაციას არ აქვს რაიმეს უარყოფის უფლება. ეს საერთაშორისო აქტი ოსმალეთის იმპერიას აძლევს უფლებას სამ ზემონხენებულ სანჯაყში დაამყაროს ახალი წესრიგი... ოსმალეთის დელეგაცია აცხადებს, რომ მისი მთავრობა ყველაფერს გააკეთებს,

რომ ამ ტერიტორიას და კავკასიის ტერიტორიას შორის დაშვარდეს ორმხრივი ეკონომიკური შეღავათები.

8 (21) მარტი. 1918 წელი.

**ამიერკავკასიის დელეგაციის თანხმობა
თურქეთის ულტიმატუმზე^[59]**

6 აპრილის ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარის წერილის პასუხად ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციას აქვს პატივი განაცხადოს, რომ იღებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და მზად არის შემდგომი მოლაპარაკებანი წარმართოს მასზე დაყრდნობით.

ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარე,
საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჩხენკელი.
ტრაპიზონი, 1918 წლის 10 აპრილი.

**ვეკიზ-ფაშას დეკლარაცია ამიერკავკასიის
დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ^[59]**

მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი:

1. ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობამ ცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ამის თაობაზე აცნობა თავის მოკავშირეებს;
2. ოსმალეთის დელეგაცია რამდენიმე დღეში გამოვა სტამბოლიდან, მისი აღმატებულება იუსტიციის მინისტრის ხალილ-ბეის და ჩემი მონაწილეობით;
3. თქვენი სურვილის თანახმად ჩვენი დელეგაცია მოლაპარაკებების ადგილად ირჩევს ბათუმს;
4. ჩრდილოეთ კავკასიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და სულთნის მთავრობის და სხვა ქვეყნების წინაშე მოახდინა ამის ნოტიფიცირება. სტამბოლში მყოფი ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატები ბათუმში გაემართნენ ოსმალეთის დელეგაციასთან ერთად და მიიღებენ ყველა ზომას მათი ქვეყნის ამიერკავკასიასთან შესაერთებლად.

გთხოვთ ბატონო თავმჯდომარე, მიიღოთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა და შეუერთდეთ იმ კმაყოფილებას, რასაც მე განვიცდი მოლაპარაკებების მოსალოდნელი საპატიო, ბედნიერი და პერსპექტიული შედეგებით, ორივე ქვეყნისათვის.

ვეკიბ-მეჰმედი, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი.
15 (28) აპრილი, 1918 წელი.

ამიერკავკასიის დელეგაციის I მემორანდუმი ბათუმის საჯავო კონფერენციაზე ^[160]

გაეცნო რა „ზავის და მეგობრობის ხელშეკრულების პროექტს ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობასა და ამიერკავკასიის კონფედერაციულ რესპუბლიკას შორის“, რომელიც ბათუმის კონფერენციის პირველ პლენარულ სხდომაზე წარმოადგინა ოსმალეთის დელეგაციამ, როგორც საფუძველი მომავალი მუშაობისათვის, ამიერკავკასიის დელეგაციას აქვს პატივი ჩამოაყალიბოს შემდეგი წინადადებები:

პუნქტი 1: ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით მეგობრობის ხელშეკრულება, 1918 წლის 13 აპრილის ოსმალეთის დელეგაციის დეკლარაციის თანახმად, უნდა დაიდოს ოთხთა კავშირსა და ამიერკავკასიის შორის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე.

პუნქტი 2: ძირითად ხელშეკრულებას უნდა დაერთოს დამატებითი კონვენცია, რომელიც განსაზღვრავს ხელმომწერ მხარეებს შორის შეთანხმებას საერთო ომის დამთავრებამდე.

პუნქტი 3: ოსმალეთის იმპერიასა და ამიერკავკასიის რესპუბლიკას შორის ეკონომიკის, სამართლებრივი ურთიერთობების და სხვა სფეროებში კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება მოხდება განსაკუთრებული შეთანხმებების საფუძველზე.

ავსტრია-უნგრეთის და ბულგარეთის წარმომადგენელთა ამჟამინდელი არყოფნა არ შეიძლება იქცეს ხელისშემშლელად დაწყებული მოლაპარაკებისათვის.

ამიერკავკასიის დელეგაციის აზრით ამგვარი განრიგი ყველა

დაინტერესებული მხარისათვის იქნება მისაღები და კონფერენციის ყველა პრობლემას გადაჭრის, რომელიც სწრაფ მოგვარებას საჭიროებს.

ბათუმი, 1918 წლის 13 მაისი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს
გადაწყვეტილება გერმანიის მთავრობისათვის
დახმარების და მფარველობის თხოვნით
მიმართვის შესახებ¹⁵⁹⁾

1. ეცნობოს გერმანიის სამშვიდობო დელეგაციის მეთაურს, გენ. ლოსოვს,¹ რომ საქართველოს ეროვნული საბჭო გამოხატავს სურვილს და თხოვნას, რომ გერმანიამ ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა გერმანიის ჯარებმა განაგრძონ სულა ჩრდილო კავკასიაში და მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათთან კონტაქტის დამყარება და საქართველოს დაცვა გარე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ტყვე ქართველებს, სამხედრო-ორგანიზებული წესით, რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდნენ სამშობლოში.

4. ეთხოვოს გენ. ლოსოვს, სანამ ამის გაკეთება შესაძლებელია, დაიტოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და დაავალოს მათ სამხედრო ძალის ორგანიზება, რათა საქართველოს მთავრობას ჰქონდეს ამ ჯარების გამოყენების შესაძლებლობა საშინაო წესრიგის დასამყარებლად და ანარქიასთან საბრძოლველად.

ტფილისი, 1918 წლის 14 მაისი.

¹ გენერალი ოტო ფონ ლოსოვი (1868-1938). გერმანიის სამხედრო რწმუნებული კონსტანტინოპოლში. 1918 წ. გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელი ბათუმის კონფერენციაზე. ა. ჩხენკელთან ერთად ხელი მოაწერა 28 მაისს ფოთში დადებულ საქართველო-გერმანიის ხელშეკრულებას.

გენერალ ფონ-ლოსოვის ნოტა ამიერკავკასიის დელეგაციას¹⁵⁹¹

გაცნობებთ, რომ დეპეშის თანახმად, რომელიც კონსტანტინოპოლში გერმანიის ელჩმა გამომიგზავნა 18 მაისს, ბატონმა ჩიჩერინმა¹ განუცხადა გრაფ მირბახს,² რომ რუსეთის მთავრობა სიამოვნებით მიიღებს გერმანიის შუამავლობას რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის, რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ცნობასთან დაკავშირებით.

19 მაისს გრაფმა ბერნსტორფმა გადმომცა საერთაშორისო საქმეებში იმპერატორის სტატუს-მდივნის მიერ გერმანიის მთავარი შტაბისადმი გაგზავნილი დეპეშა:

„მირბახის დეპეშის მიხედვით რუსეთის მთავრობა ჩივის, ამიერკავკასიის მიერ აფხაზეთის დაკავების თაობაზე, რომლის მოსახლეობაც საბჭოების ერთგულია. თუ გერმანიის ხელისუფლება არ ჩაერევა, რუსეთი იძულებული იქნება მიიღოს აუცილებელი ზომები.“

მე ვუპასუხე მოსკოვში გერმანიის წარმომადგენელს, რომ თუ რუსულ პრესას ვერწმუნები, რუსეთი აპირებს სოხუმის და ბაქოს მხრიდან თავდასხმას ამიერკავკასიაზე. გერმანიის მხრიდან ჩარევის არავითარი საფუძველი არ არსებობს, პირიქით საიმპერატორო მთავრობა დაბეჯითებით ურჩევს რუსეთის მთავრობას არ შეუტეოს ამიერკავკასიას. ბოლშევიკებმა უნდა შეწყვიტონ სამხედრო მოქმედებები ჩრდილო კავკასიის წინააღმდეგ და საჩქაროდ შეუდგნენ ამიერკავკასიასთან საზავო მოლაპარაკებას.

ბათუმი, 21 მაისი, 1918 წელი.

¹ გიორგი ჩიჩერინი (1872-1936) – რუსეთის და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918-1930).

² გრაფი მირბახი – გერმანიის ელჩი რუსეთში.

თურქეთის ულტიმატუმი აზიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს [159]

სინანულით ავნიშნავ, რომ ორი კვირის განმავლობაში არ მიველია არავითარი კონკრეტული პასუხი წინადადებაზე, რომელიც 11 მაისს ბათუმის კონფერენციის პირველ სხდომაზე გადაეცით ამიერკავკასიის დელეგაციას. მითუმეტეს, რომ თქვენს აღმატებულებას კარგად მოეხსენება კავკასიის მდგომარეობის კრიტიკულობა და შემდგომი ორჭოფობის მიუღებლობა.

ასეულ ათასობით თურქსა და მუსლიმს ბაქოსა და მის მიდამოებში მოელის სისხლიანი ანგარიშსწორება უმოწყალო ბანდიტების, ე. წ. რევოლუციონერებისაგან. კავკასიის სხვა მხარეებშიც თურქების და მუსლიმების ბედი შემაშფოთებელია და მოითხოვს სერიოზულ ყურადღებას. ბატონო თავმჯდომარე, დამეთანხმებით რომ ვერცერთი ღირსეული ხელისუფლება ვერ შეხედავს გულგრილად ამგვარი დანაშაულობების დაუსჯეულ ზრდას თავის მოსაზღვრე ქვეყნის ტერიტორიაზე. თქვენ გესმით კავკასიაში მიმდინარე ანარქიისადმი ოსმალეთის საიმპერატორო ხელისუფლების დამოკიდებულება, ვინაიდან საკითხი ეთნიკურად და რელიგიურად ჩვენი მონათესავე ხალხის უსაფრთხოებას ეხება. მეორე მხრივ მსოფლიო ომის მოთხოვნები სულთნის მთავრობას აიძულებს კავკასიაში ჯარების თავისუფალ გადაადგილებას რკინიგზით, რათა ისინი რაც შეიძლება სწრაფად გავიდნენ სხვა ფრონტზე. ესეც მოითხოვს არსებულ სიტუაციაში ზღვარი დაედოს ორაზროვნებას. ამ მიზეზთა გამო ოსმალეთის მთავრობა მოითხოვს დაუყოვნებლივ პასუხს, როგორც ძველ წინადადებაზე, ასევე საზღვრის შესწორებასთან დაკავშირებულ ახალ წინადადებაზეც, რომლის ტექსტსაც წარმოვუდგენთ თქვენს აღმატებულებას.

ამრიგად ჩემი მთავრობა მიიჩნევს, რომ მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ამ წინადადებათა მიღება არის სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტია მთელი კავკასიისათვის და მუსლიმი მოსახლეობის სიმშვიდისათვის. ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას 72 საათის განმავლობაში, დაწყებული

დღეს საღამოს 8 საათიდან, გვაცნობოთ იღებთ თუ არა ოსმალეთის წინადადებებს...

ხალილი,¹ ბათუმი, 1918 წლის 26 მაისი.

მიმართვა მსოფლიო სახელმწიფოებს ^[159]

ბერლინი, კონსტანტინოპოლი, პარიზი, ვენა, ლონდონი, რომი, ვაშინგტონი, მოსკოვი, სოფია, ტოკიო, ბუქარესტი, თეირანი, მადრიდი, ჰააგა, კიევი, სტოკჰოლმი, ქრისტიანია, კოპენჰაგენი – საგარეო საქმეთა მინისტრებს.

26 მაისს, დღის 3 საათზე ამიერკავკასიის სეიმის მიერ დაშლილად გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, შედეგად სეიმმა თავი გამოაცხადა გაუქმებულად და მოიხსნა რწმუნებანი. ვთხოვთ თქვენს აღმატებულებას აღნიშნული უწყება აცნობოთ თქვენს მთავრობას.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარე ჩხეიძე,
1918 წლის 26 მაისი.

ბ) ქართული დიპლომატიის 1918-1921 წლებში

აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა ^[162]

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა როგორც თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

XVIII საუკუნის მიწურულში მტერთაგან მიერ ყოველის მხრით გარსშემორტყმული და მეტად შევიწროებული საქართველო რუსეთს შეუერთდა იმ პირობით, რომ რუსეთი მას გარეშე მტერთაგან დაიცავდა.

რუსეთის დიდი რევოლუციის განვითარების დროს ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომლის შედეგიც ბრძოლის მთელი ფრონტის დარღვევა და რუსის ჯარის მიერ ამიერკავკასიის მიტოვება იყო.

¹ ხალილ-ბეი – ოსმალეთის არმიის მთავარსარდალი კავკასიის ფრონტზე.

საკუთარ ძალების ამარა შეთნიღმა საქართველომ და მასთან ერთად მთელმა ამიერკავკასიამ თვით მოჰკიდეს ხელი საკუთარ ბედის მოწყობას და საჭირო ორგანოებიც შეჰქმნეს; ხოლო გარეშე ძალთა გავლენამ კავშირი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხებს აერთებდა, დაარღვია და მისი პოლიტიკური მთლიანობა დაშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოს საკუთარ სახელმწიფოს შექმნის აუცილებელ საჭიროებას გადაჭრით უკარნახებს, რათა მტრულ ძალთა დამონებისაგან თავი გადაირჩინოს და თავისუფალ განვითარებას მძლავრი საფუძველი ჩაუყაროს.

ითვალისწინებს რა ზემოდჩამოთვლილს პირობებს საქართველოს ეროვნული საბჭო, ამორჩეული საქართველოს ეროვნული კრების მიერ 22 გიორგობითვეს 1917 წ., დღეს საქვეყნოდ აცხადებს:

1 – დღეიდან ქართველი ერი სუვერენულ უფლებებით აღჭურვილი ერია და საქართველო – სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

2 – დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკურ წყობილების სახეა დემოკრატიული რესპუბლიკა.

3 – საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია.

4 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ესწრაფვის ყოველ ხალხთან და განსაკუთრებით მეზობელ ერებთან მეგობრული განწყობილობა იქონიოს.

5 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის მიწა-წყალზე ყოველი მოქალაქის, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სქესისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკურსა და მოქალაქურს უფლებებს უზრუნველყოფს.

6 – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მის ტერიტორიაზედ მცხოვრებს ყოველს ერს თავისუფალი განვითარების ფართო ასპარეზს მიანიჭებს.

7 – დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით შევსებული ეროვნული საბჭო და ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი დროებითი მთავრობა სრულიად საქართველოს მმართველობის სათავეში სდგანან.

ღამატეპა I

საქართველოს ბაგრატიდთა დიდი სამეფოს დანაწილების შემდეგ, სხვადასხვა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა, რომელთაგანაც საქართველო შესდგებოდა, უცვლელად დაიცვეს როგორც მთლიანობა სარწმუნოებისა და საერთო ცივილიზაცია, აგრეთვე ის საერთო პოლიტიკური მისწრაფება, რომელიც მათ ევროპისაკენ მიიზიდავდა. საქართველოს ნაწილებმა ბევრი ფიქრისა, ცდისა და ყოყმანის შემდეგ რუსეთთან დასდვეს მთელი რიგი პოლიტიკურ ხელშეკრულებებისა, რომელთა შორის უპირველესი და უმთავრესი 1783 წლის ხელშეკრულება იყო და რომლის ძალითაც აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შედიოდა. სხვა ხელშეკრულებათა მიზანიც იგივე იყო – ავტონომია საქართველოს ქვეყნებისა შინაგან საქმეებში და რუსეთის პროტექტორატი მათ საგარეო განწყობილებებში; ხოლო ეს რეჟიმი, განმტკიცებული რუსეთის იმპერატორთა საჯარო დაპირებით, მეტათ ხანმოკლე იყო. რუსეთის იმპერიის ცალმხრივმა აქტებმა 1801 წლიდან 1861 წლამდე რუსეთთან საქართველოს შეერთებით საქართველოს ნაწილების ავტონომია, დამყარებული საერთაშორისო ხელშეკრულებაზედ, მოსპეს ისე, რომ პოლიტიკური ხელშეკრულებანი, დადებულნი რუსეთისა და საქართველოს ქვეყნებს შორის, ფორმალურად გაუქმებულნი არ იყვნენ.

დღიდან საქართველოს ანექსიისა ქართველ პატრიოტთა ოცნებას თავისუფალი დამოუკიდებელი საქართველო შეადგენდა. ამ მიმართულების მრავალრიცხოვანი გამომჟღავნება XIX საუკუნეში ყოველ ეჭვს გარეშე ჰყოფს საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას. XX საუკუნის დასაწყისშივე შესდგა პარიზში ქართველთა კომიტეტი, რომლის ორგანო „საქართველო“ განთავისუფლებულ და დამოუკიდებელ საქართველოს იდეას ემსახურებოდა. რუსეთის 1905-6 წლების კონსტიტუციის ხანამ მოქმედება რამდენადმე გააადვილა და ყოველგან – სახალხო კრებებზე, ქალაქის თვითმმართველობებში, თავად-აზნაურების ორგანიზაციებში თუ სხვაგან, აგრეთვე როგორც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ. 1907 წელს ქართველმა ერმა ჰააგის მშვიდობიანობის

კონფერენციას პეტიციით მიმართა და სთხოვდა საქართველოს კანონიერი უფლებები აღედგინა.¹ ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი ერი მთლიან და განუყოფელ საქართველოს აღდგენას მოითხოვდა; თვით რუსეთის საჯარო სამართალიც, რადგან მან მიანიჭა რუსეთის იმპერატორს საქართველოს ხელმწიფის ტიტული და მისი ღერბი, მხოლოდ ერთ საქართველოს არსებობას გულისხმობდა.

II

1917 წლის რევოლუციამ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ისევე როგორც მთელ რუსეთში, ძირიანად შესცვალა. შეუდრეკელი სურვილი დარღვეულ, მაგრამ გარდაუსვლელი უფლებების აღდგენისა მთელ საქართველოში საყოველთაო იყო. უკვე 1917 წლის მარტში სამღვდელოების და მორწმუნეთა კრებულმა რუსეთის სინოდალურ ეკლესიასთან 1811 წლიდან ძალით შეერთებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინა და ივერიის ეკლესიამ რუსეთის ბატონობის დროს მოსპობილ თავისი კანონიერი პრეროგატივებით სარგებლობა დაიწყო. ქართული ავტოკეფალური ეკლესია დღეს მხოლოდ ხალხის მიერ ამორჩეულ ყოველ ქართველთა კათალიკოს-პატრიარქს ემორჩილება. ამრიგადვე რუსეთის ავტოკრატიის მიერ მოსპობილი საქართველოს პოლიტიკური უფლებანი კვლავ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. 1917 წლის მარტში ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ, მართებლობის უფლებით მოსილ კომიტეტის შექმნით საქართველოს ავტონომიის აღდგენისაკენ უკვე ერთი პრაქტიკული ნაბიჯი იყო გადადგმული – საქართველოს ჰმართავდა არა პეტროგრადი, არამედ საკუთარი დედაქალაქი თბილისი ზემოდ ხსენებულ განსაკუთრებულ კომიტეტის სახით, რომელშიაც ხალხის ნდობით მოსილი პოლიტიკური მოღვაწენი შედიოდნენ.

¹ საქართველოს ავტონომიის საკითხი რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების წინაშე პირველად დააყენა ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის საკრებულომ 1905 წ. მოგვიანებით, 1912 წლის 13 დეკემბერს რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატმა ვარლამ გელოვანმა კვლავ დააყენა ეს საკითხი. 1907 წ. კი ვარლამ ჩერქეზიშვილმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა ქართველი ერის სურვილი (იხ. აქვე, VIII თავი).

III

ამიერკავკასიის ხალხები ბოლშევიკების 1917 წლის გიორგობისთვის რევოლუციას არ მიუდგნენ და მათი მთავრობა, უკვე რევოლუციის პირველივე ხანებში დეცენტრალისტური, ფაქტიურად დამოუკიდებელი შეიქმნა. როდესაც რუსეთის დამფუძნებელი კრება გარეკეს. თბილისში ამიერ-კავკასიის სეიმი დაარსდა და ამ სეიმმა 22 აპრილს 1918 წელს ამ ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც უცხო ქვეყნებსაც ამცნო. ამასთანავე ამიერკავკასიის სხვა და სხვა ნაწილები პოლიტიკური ერთეულების შექმნას შეუდგნენ. საქართველოს ეროვნული ყრილობა შეიკრიბა (გიორგობისთვის 1917 წელს) და დააარსა ეროვნული საბჭო,¹ რომელსაც საქართველოს ეროვნული საქმეების ხელმძღვანელობა დაევალა. საქართველოს ეროვნული საბჭო ამიერ-კავკასიის სეიმს და მთავრობას მჭიდროდ ეკავშირებოდა. ამიერ-კავკასიის სეიმის² ქართული სექცია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სრულუფლებიანი წევრი იყო.

IV

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აქტის ფორმალური გამოცხადების დროს (22 აპრილს 1918 წელს) ნაგულისხმები იყო არსებობა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელიც ამიერ-კავკასიის დანარჩენ ხალხებთან კონფედერატიულ კავშირში შედიოდა. ამ კავშირის უმთავრეს დებულებებს უკვე იმუშავებდნენ. ამ დროს შექმნილმა პირობებმა საქართველოს და ამიერ-კავკასიის დან-

¹ ეროვნული საბჭო - შედგა თბილისში 1917 წლის 19 ნოემბერს გამართულ ეროვნულ ყრილობაზე. დაკომპლექტდა ძირითადად პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა და დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ასრულებდა საქართველოს პარლამენტის ფუნქციას.

² ამიერკავკასიის სეიმი - საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიაში. 1918 წლის 10 (23) თებერვალს მოიწვია ამიერკავკასიის კომისარიატმა (მთავრობამ). იგი შედგა რუსეთის გაძევებული დამფუძნებელი კრების დეპუტატებისგან (24 მენშევიკი, 24 დაშნაკი, 30 მუსავატელი, 3 სოციალისტ-ფედერალისტი, 5 ესერი, 2 კადეტი). 1918 წ. 9 აპრილს გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

არჩენ ხალხებისათვის ცხადჰყვეს, რომ საჭირო იყო შეცვლა მიღებული პოლიტიკურ გეზისა და ამიერ-კავკასიის შემადგენელ ელემენტებისაგან შემზადება ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც მომავალში ამიერ-კავკასიას და შეიძლება მთელ კავკასიასაც კონფედერაციად გარდაქმნიდა. ოსმალეთის ჯარმა, წინააღმდეგ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობისა, ბათუმისა, ყარსისა და არდაღანის პროვინციები, რუსეთის სომხეთი და აზერბეიჯანი დაიპყრო. ამ მოვლენამ ამიერ-კავკასიის სეიმი იძულებული ჰყო ამიერ-კავკასიის სეიმის დაშლა ერთხმად დაედგინა. ამ გარეგან ძალთა და ზემოდმოყვანილ პირობათა გავლენით საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს აქტი 1918 წელს 26 მაისს მოხდა.

V

ამ მომენტში, ისევე როგორც უკვე 22 აპრილის დეკლარაციის დროს, საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში აღარ არსებობდა არც ერთი ისეთი მთავრობა, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც რუსეთთან, ანუ დიდი რუსეთის ბოლშევიკურ რესპუბლიკასთან, რომლის შეიარაღებული ძალებიც ამიერ-კავკასიიდან სავსებით გაყვანილ იქმნენ, რაიმე დამოკიდებულობა ჰქონოდა.

ზემოდმოხსენებულიდან ორი უმთავრესი დასკვნა გამომდინარეობს: ერთი — უკვე კარგა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო ამიერ-კავკასიას სრულიად მოშორდა; ამიერ-კავკასია რუსეთის ნაწილს აღარ შეადგენდა და მასთან არაფრით აღარ იყო დაკავშირებული. მეორე — ამიერ-კავკასია Res Nullius-ს არაფრით არ ემსგავსებოდა, პირიქით, ამის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა მოხდა: რუსეთის ყოფილმა პროვინციამ — ამიერ-კავკასიამ დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნა და შემდეგში ამ ქვეყნის ერთმა ნაწილმა — საქართველომ თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. საქართველოს მაგალითის რუსეთის სასომხეთი და აზერბეიჯანი მიჰყვნენ, რაც საზოგადოებრივ აზრის და ამიერ-კავკასიის პარლამენტის მიერ მიღებულ ფედერალისტურ კონცეფციას ეთანხმებოდა.

VI

ამრიგად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს საქართველოში რუსეთის სახელმწიფო აღარ იყო და ამიტომ ეს დეკლარაცია რუსეთის წინააღმდეგ არ მომხდარა. საქართველოში მისი დამოუკიდებლობის დეკლარაციამდე უკვე განმტკიცებული სახელმწიფო რეჟიმი არსებობდა და ეს რუსეთის სახელმწიფო არ იყო. რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის შემუშავებულ საარჩევნო კანონის მიხედვით ამორჩეულმა საქართველოს ეროვნულ ცხოვრების ორგანომ – საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, გარდაიქმნა რა იგი საქართველოს წარმომადგენელთა კრებულად, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა შექმნა. დამყარებული ასეთს მტკიცე საფუძველზე საქართველოს მთავრობა ცნობილი უნდა იქმნას, როგორც ეროვნული მთავრობა, რომლის ავტორიტეტი და უფლება ყოველ ეჭვს გარეშეა, ისევე როგორც საქართველოს ეროვნული საბჭო უნაკლო და ნამდვილი წარმომადგენლობა არის.

VII

რეზიუმე ზემოდმოყვანილისა შემდეგია: შეერთებული რუსეთთან საქართველოს მეფეთა მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებით საქართველო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა რუსეთის იარაღის ძალით დაპყრობილი,¹ განაგრძობდა თვით რუსეთის ერთ საუკუნის ბატონობის დროსაც კი ეროვნულ ცოცხალ ორგანიზმის არსებობას და მხოლოდ ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა აღედგინა თავისი გარდაუსვლელი ეროვნული უფლებანი და საკუთარი პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებანი განეხორციელებინა.

დიდი ომის განმავლობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავამდის, რუსეთის ერთგულ საქართველოს აღარ შეეძლო უმოქმედოდ დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც რუსეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით

¹ ეს ფრაზაც და მთლიანად ტექსტის ფრთხილი შინაარსი ასახავს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრორუსულ ორიენტაციას და პოზიციას საქართველოს დამოუკიდებლობისადმი, როგორც ტაქტიკური აუცილებლობით გამოწვეული მოვლენისადმი.

მტერს საზღვრები გაუღო და ხელშეკრულებით საქართველოს პრინციპები დაუთმო. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიიდან რუსეთის სახელმწიფო სრულიად გაჰქრა და საქართველომ დაინახა, რომ საკუთარ ძალების ამარა არის მიტოვებული, ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებაში მიიღო მონაწილეობა და შემდეგ გარემოებათა ძალით რუსეთთან (რომლის მთავრობამაც გარდა ყველა ამ მოსაზრებისა ოფიციალურ დეკრეტებით მიიღო პრინციპები — რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოირჩიოს ისეთი პოლიტიკური რეჟიმი, როგორც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს თუ ამას მოისურვებს) ყოველ ხელშეკრულობათაგან სრულიად განთავისუფლებული საკუთარ სახელმწიფოს შექმნას შეუდგა.

ამრიგად ქართველ ერს, აღიდგინა რა რუსეთის ბატონობის მიერ დარღვეული უფლებანი, სურს თავისუფლად შექმნას თავისი სახელმწიფო და მოაწყოს თავისი საერთაშორისო დამოკიდებულობა, რათა შესძლოს როგორც მის, აგრეთვე კავკასიის საკეთილდღეობთ ხანგრძლივად და უზრუნველყოფით ისარგებლოს თავის აღდგენილი უფლებებით.

საქართველოს ეროვნული საბჭო, ყოფილი
მეფისნაცვლის სასახლის ყვითელი დარბაზი.
ტფილისი 1918 წლის 26 მაისი.

წინასწარი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის

ერთი მხრივ, გერმანიის საიმპერატორო მთავრობას, წარმოდგენილს სამეფო გენერალ-მაიორ ფონ ლოსოვით, და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობას შორის, რომელსაც წარმოადგენს საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი, ორ ერს შორის ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების მიზნით შედგა შემდეგი შეთანხმება:

თავი 1. საქართველოს მთავრობა ცნობს 1918 წლის 3 მარტის

საზავო ხელშეკრულებას ერთი მხრივ, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, საბერძნეთს, ბულგარეთსა და თურქეთს და მეორე მხრივ, რუსეთს შორის, იმ საფუძვლად, რომელიც გერმანიასთან ურთიერთობის დამყარების საშუალება იქნება. შესაბამისად, მთავარი ხელშეკრულების მეორე განყოფილების დებულებები გერმანიასთან მიმართებაში მისაღებია.

თავი 2. ომის მთელი მიმდინარეობის მანძილზე საქართველოს მთავრობა ნებას რთავს ოთხ მოკავშირე სახელმწიფოს, გამოიყენოს საქართველოს ფარგლებში რკინიგზის ქსელი ჯარებისა და სამხედრო მასალების გადასატანად. ამ მიზნით ტფილისში იქმნება სამხედრო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით, რომელიც საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით თავისთავზე აიღებს სარკინიგზო მიმოსვლის მოწესრიგებას, ამ კომისიაში შესვლა შეუძლიათ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლებს. რკინიგზის სადგურებს, ასევე ფოთის პორტს გერმანელი კომენდანტები დაიკავენ.

თავი 3. საქართველოს მთავრობასთან დაფუძნდება გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლობა, ასევე საქართველოს წარმომადგენლობა ბერლინში.

თავი 4. საქართველოს მთავრობა ნებას რთავს, დაინიშნონ გერმანელი კონსულები საქართველოს სახელმწიფოს იმ ადგილებში, სადაც გერმანიის საიმპერატორო მთავრობა სასურველად მიიჩნევს მათ დანიშვნას. გერმანიის მთავრობა კისრულობს, მიანიჭოს საქართველოს კონსულებს შესაბამისი უფლებები.

თავი 5. წინამდებარე წინასწარი შეთანხმება, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან, შესაძლო უმოკლეს ვადაში შეიცვლება მხარეებს შორის სახელმწიფო შეთანხმებით, რომელიც განსაზღვრავს გერმანიის და საქართველოს ურთიერთობებს, რამდენადაც წინამდებარე ხელშეკრულების ზოგიერთი ნაწილი არ შეიცვლება საერთო შეთანხმებით ერთი მხრივ, ოთხ მოკავშირე სახელმწიფოს და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობას შორის.

ხელშეკრულებას პირადი ხელმოწერით ამოწმებენ რწმუნებულები
ა. ჩხენკელი

ფონ-ლოსოვი
ფოთი, 1918 წლის 28 მაისი.

გერმანიის დელეგაციის ნოტა ბათუმის რაფერენდუმის გამო¹

მის აღმატებულებას ბ-ნ რამიშილს¹ – შინაგან საქმეთა მინისტრს.

ბატონო მინისტრო, 2 კვირის წინ თქვენი აღმატებულების მიერ ჩვენი მთავრობისადმი მიმართული დეკლარაციის პასუხად, რომელიც შეეხებოდა ოსმალეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების §4-ის მიხედვით ბათუმში გამართულ რეფერენდუმს, გაცნობებთ საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპუტის შინაარსს. გერმანიის იმპერიის ელჩმა კონსტანტინოპოლში მიიღო შემდეგი მითითება ოსმალეთის მთავრობისათვის გადასაცემად:

„ის ფაქტი, რომ ოსმალეთის მთავრობამ, დამოუკიდებლად, დასწრეთა მონაწილეობის გარეშე, 14 ივლისს ბათუმში მოაწყო პლენისციტი, არ შეესაბამება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების §4-ს, რომლის მიხედვით, სამ ოლქში (ბათუმი, ყარსი და არდაგანი) ვითარება უნდა მოწესრიგდეს მოსახლეობის მიერ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. შედეგად თუ რომელი ამ სახელმწიფოთაგანი განაცხადებდა პროტესტს ოსმალეთის მთავრობის ამგვარი ქმედების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობას არ შეეძლო ამგვარი პროტესტი ჩაეთვალა საფუძველს მოკლებულად.“

ვაცნობებთ თქვენს აღმატებულებას ზემოთქმულს, ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას.

ბარონი ფონ-კრესი.²
ტფილისი, 28 ივლისი, 1918 წელი.

¹ ნოე რამიშილი – (1881-1930) – ქართველი სოციალ-დემოკრატების ერთერთი ლიდერი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის თავმჯდომარე (1918), შინაგან საქმეთა მინისტრი, განათლების და სამხედრო საქმეთა მინისტრი (1919-1921).

² ბარონი კრეს ფონ კრესენშტაინი – (1870-1948) – გენერალი, გერმანიის სამხედრო-დოქტორინის მისიის ხელმძღვანელი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918 წ.).

ქ. სოჭის მოქალაქეთა საზოგადოებრივი თავყრილობის რეზოლუცია^[159]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და ეროვნული საბჭოს წევრის ევგენი გეგეჭკორის მოხსენების საფუძველზე ქ. სოჭის მოქალაქეთა საზოგადოებრივმა თავყრილობამ, რომელიც შეიკრიბა სოციალისტური პარტიების გაერთიანებული საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოს და სათათბიროს ხმოსნების ინიციატივით, მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

1. ყოფილი რუსეთის სახელმწიფოს ერთადერთი ნაწილი, სადაც არა მარტო აღიარეს, არამედ კანონმდებლობითაც განამტკიცეს ხალხის სისხლით მოპოვებული რესპუბლიკური წყობა, არის საქართველოს რესპუბლიკა.

2. ჩვენი ამოცანაა რუსეთის სხვადასხვა ნაწილების გაერთიანება მძლავრ დემოკრატიულ რესპუბლიკად, ხალხის ძალაუფლების დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა.

3. თუმცა ეკონომიკური ურთიერთობა ყუბანის ოლქთან სასურველია, ყრილობა მიიჩნევს, რომ სოჭის ოკრუგის შეერთება ყუბანის ოლქთან გააფართოვებს სამხედრო დიქტატურის გავლენის სფეროს და მოსახლეობას დატოვებს დემოკრატიული უფლებების გარეშე.

4. ოკრუგის ცხოვრების პროგრესი, სახალხო მმართველობის და თვითმმართველობის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრება, მიწის რეფორმის გატარება, კლასობრივი ბრძოლის კულტურული ფორმების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სოჭის ოკრუგის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთების პირობებში. ზემოთქმულის საფუძველზე ქ. სოჭის მოქალაქეთა თავყრილობა გამოთქვამს სურვილს, რომ საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ, საგანგებო დეკრეტით გააფორმოს სოჭის ოკრუგის დროებითი მიერთება რესპუბლიკასთან.

ყრილობის თავმჯდომარე: პეტრე იზმაილოვი
სოჭი, 20 სექტემბერი, 1918 წელი.

საქართველოს მთავრობის ნოტა გერმანიის მისიის თავმჯდომარეს [159]

„თქვენო აღმატებულებავ,

№1168 თქვენი წერილის პასუხად მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: მე არასდროს განვიხილავდი საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას, როგორც სრული ნეიტრალიტეტის მქონეს, ვინაიდან ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებენ. ამდენად მე ვეთანხმები თქვენულ განსაზღვრებას: „სახელმწიფო, რომელიც იცავს შეზღუდულ ნეიტრალიტეტს“.

გამომდინარე ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების შემფასებელი ამ განსაზღვრებიდან, მსურს გითხრათ, რომ მიუხედავად ჩვენი ნეიტრალიტეტის შეზღუდულობისა, რა მასშტაბისაც არ უნდა იყოს, იგი წარმოადგენს რეალობას. თუკი ჩვენ იარაღით ხელში შევუერთდებით რომელიმე მეომარ სახელმწიფოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა თუნდაც შეზღუდულ ნეიტრალიტეტზე საუბარი. რა თქმა უნდა, შეზღუდული ნეიტრალიტეტი არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ დავიცავთ ყველა შესაძლებელი საშუალებით ჩვენს დამოუკიდებლობას და არ ვიბრძობებთ საგარეო საფრთხის წინააღმდეგ, პირიქით ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა — დავიცვათ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა ყოველგვარი ხელყოფისაგან, იმ ძალებთან თანხმობით რომლებიც ჩვენს მხარეზე იქნებიან ამ ბრძოლაში.

თქვენი ღრმა პატივისმცემელი
მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანია,¹
ტფილისი 15 ოქტომბერი, 1918 წელი.

¹ ნოე ჟორდანია (1868-1953) — ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918-1921).

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე.
გეგეჭკორის დეკლარაცია სომხეთის საგარეო საქმე-
თა მინისტრს ტიბრანთან^[159]

„თქვენგან ჩვენ მივიღეთ მხოლოდ ერთი დეკლარაცია (№6913). ჩვენმა მთავრობამ გააკეთა ყველაფერი სადაო საკითხების შეთანხმებით მოსაგვარებლად. როდესაც საერთო კავკასიური კონფერენცია თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა, საქართველოს მთავრობამ ერთი თვის წინ გადმოგვა შემხვედრი ნაბიჯი და შემოგთავაზათ წინასწარი სომხურ-ქართული მოლაპარაკებები. ის რომ ჩვენი დელეგატები დღემდე ვერ შეხვდნენ ერთმანეთს, არ არის საქართველოს მთავრობის ბრალი. ჩვენი მთავრობა მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, რომ მისი ყველა მცდელობა, ბოლო მოღებოდა ძმათამკვლელ შეტაკებას, ფუჭი აღმოჩნდა სომხეთის მთავრობის მხრიდან გაუგებარი დროის გაყვანის წყალობით. იმ მოსალოდნელი საფრთხის წინაშე, რაც შეიძლება მოჰყვეს ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ძმათამკვლელ ომს და მისგან გამომდინარე შედეგებს, საქართველოს მთავრობა დაბეჯითებით აცხადებს, რომ არ არსებობს ორ მოძმე ხალხს შორის ისეთი საკითხი, რომელიც არ მოგვარდება მშვიდობიანი გზით. საქართველოს მთავრობა კიდევ ერთხელ მოუწოდებს საომარ მოქმედებათა შეწყვეტისაკენ და 13 დეკემბრის (№5599) დეკლარაციის დასტურად აცხადებს, რომ არავითარ გამოსვლას ჩვენი მხრიდან (რასაც თქვენ №912 რადიოგრამაში ახსენებთ) არ ჰქონია ადგილი 13 დეკემბრამდე, როდესაც იძულებულნი გავხდით მიგველო თავდაცვითი ზომები 9 დეკემბრიდან დაწყებული სომხეთის საჯარისო ნაწილების აგრესიის შესაჩერებლად. საქართველოს მთავრობა ადასტურებს თავის წინადადებას, შეწყდეს საომარი მოქმედებები, აღდგეს ძველი საზღვარი და მოწვეულ იქნეს სომხურ-ქართული კონფერენცია სადაო საკითხების შეთანხმების გზით მოსაგვარებლად. შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი – არბიტრაჟის მეშვეობით წინააღმდეგ შემთხვევაში სომხეთის ხელისუფლებას დაეკისრება პასუხისმგებლობა ორივე რესპუბლიკისათვის დამღუპველი მოსალოდნელი შედეგებისათვის.“

ე. გეგეჭკორი, ტფილისი, 15
დეკემბერი, 1918 წელი.

სომხეთის პრემიერ-მინისტრ კოვანეს
ქაჯაზუნის ფირილი საქართველოს საგარეო
საქმეთა მინისტრ ნომ რამიშვილს^[59]

თქვენი დეპეშის პასუხად, რომელიც ერევანში 25 ოქტომბერს 23 საათზე მივიღეთ, გატყობინებთ, რომ ჩვენს ჯარს მივეციტო მკაცრი განკარგულება დაიკავონ მხოლოდ თურქებისაგან მიტოვებული საგუშაგოები. კერძოდ წათურ-ქორინჯის დაკავება არის გაუგებრობის შედეგი ან მოხდა თავდაცვის მიზნით და უკვე გაიცა განკარგულება მისი დატოვების შესახებ. თქვენი მხრივ, გთხოვთ გასცეთ განკარგულება შეწყდეს ქართული არმიის გამოძევევი მოქმედებები და სახიფათო გადაადგილება. სასაზღვრო დავის მშვიდობიანად გადაჭრისათვის გთავაზობთ სომხურ-ქართული კონფერენციის მოწვევას.

მინისტრ-თავმჯდომარე ქაჯაზუნნი!
ერევანი, 27 ოქტომბერი, 1918 წელი.

საქართველოს მთავრობის ნოტა კონფერენციის
მოწვევის თაობაზე სომხეთის, აზერბაიჯანის
და ჩრდილოეთ კავკასიის მთიულთა კავშირის
დიპლომატიურ კორკუსებს^[59]

მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება და უეჭველია უახლოეს ხანებში მსოფლიო კონგრესზე გადაწყდება ზოგადად ხალხების ბედი, კონკრეტულად კი ყოფილი რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილთა. ამ კონგრესის წინაშე კავკასიის და ამიერკავკასიის ხალხები სოლიდარული წარდგომისათვის უნდა იყვნენ მზად, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება წონა და მნიშვნელობა მათი, როგორც მცირე ერების და ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სიტყვას.

ამიტომ აუცილებელია ამიერკავკასიის და კავკასიის სახელმწიფოთა მთავრობებმა მოილაპარაკონ როგორც ერთობლივი მოქმედების, ისე ურთიერთხელსაყრელი და კეთილმეზობლური თანაცხოვრების

¹ პოპიეს ქაჯაზუნნი - სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაური (1918-1919).

პირობებზე, რაც ურთიერთდახმარებასა და ნდობაზე იქნება დამყარებული.

ამ მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სთავაზობს სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა მთავრობებს, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მთიულ ხალხთა კავშირის მთავრობას შეკრებას კონფერენციაზე, ტფილისში 3 ნოემბერს, დღის 12 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში (ერმოლოვის 9). თითოეულმა მხარემ კონფერენციაზე უნდა გამოგზავნოს კანონიერი რწმუნებებით აღჭურვილი 2 დელეგატი .

ამასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა კონფერენციაზე განსახილველად დასვას შემდეგი საკითხები: 1. მოწვეული მთავრობების მიერ ურთიერთდამოუკიდებლობის ცნობა. 2. ყველა სადაო საკითხის, მათ შორის სასაზღვრო პრობლემების, გადაჭრა დაინტერესებული სახელმწიფოების შეთანხმებით, ხოლო ამგვარი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში – არბიტრაჟის საშუალებით. 3. კონფერენციაში მონაწილე ყველა სახელმწიფომ უნდა ივალდებულოს, არ დადოს ისეთი შეთანხმება რომელიმე უცხო სახელმწიფოსთან, რომელიც ზიანს მოუტანს კონფერენციის მონაწილე რომელიმე ერს. 4. მსოფლიო კონგრესზე ურთიერთ მხარდაჭერა და სოლიდარული გამოსვლა ურთიერთ დამოუკიდებლობის ცნობის და ინტერესების დაცვის მიზნით.

გთხოვთ პასუხი მაცნობოთ დროულად

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი:

ნ. რამიშვილი

კანცელარიის დირექტორი: ლორთქიფანიძე
ტფილისი, 1918 წლის 27 ოქტომბერი

საქართველოს მთავრობის დადგენილება^[159]

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა მასსა და შემთანხმებელი კომისიის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებებს და ერევნის მთავრობისადმი გასაგზავნი დეპეშის საფუძველზე საქართველოს მთავრობამ დაადგინა:

1. საქართველოს მთავრობა სიამოვნებით იღებს მოკავშირეთა წარმომადგენლების ინიციატივას საქართველო-სომხეთის ძმათაშვილური ომის დასრულებასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს მთავრობა კმაყოფილებით იღებს შემოთავაზებულ ტექსტს, შემდეგი ცვლილებებით: ა) სამხედრო მოქმედებების შეწყვეტაზე ბრძანებას საქართველოს სამხედრო ძალების მიმართ გასცემს საქართველოს მთავრობა. ბ) ცეცხლის შეწყვეტისთანავე სომხეთის მთავრობამ უნდა გაწმინდოს სამხედროთაგან ბორჩალოს მაზრის პოზიციები, იმ პირობით, რომ დაუბრუნდებიან ომამდე არსებულ პოზიციებს. ამდენად ორივე მუომარი მხარისათვის ამოქმედდება პრინციპი status quo ante bellum.¹ ამავე დროს საქართველოს მთავრობა ივალდებულებს მთელი მოსახლეობის პირად და ქონებრივი უსაფრთხოების გარანტიას. გ) დეპეშაში პროექტირებულმა შერეულმა კომისიამ სხვა საკითხებთან ერთად უნდა დაადგინოს ომის ინიციატორი მხარე. რათა მან, როგორც დამნაშავემ, დაზარალებულ მხარეს აუნაზღაუროს ყველა ზარალი და თავდაცვისას გაწეული ხარჯი.

ტფილისი, 21 დეკემბერი, 1918 წელი.

იზგლისის მისიის ნოტა

ბატონ მინისტრს საქართველოს პრეზიდენტს¹⁵⁹¹

თქვენო აღმატებულებაჲ, გენერალ ტომსონის, ბაქოში მოკავშირეთა ჯარების სარდლისაგან მიღებული ინსტრუქციების თანახმად, ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, გამოყოს ადგილი ქვეითთა ერთი ბრიგადის, არტილერიის ერთი ბრიგადის და 1800 ცხენოსნისათვის, ასევე შესაფერისი ადგილი შტაბისათვის.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მაქვს პატივი, გაცნობთ, რომ მოკავშირეთა ჯარების შემოსვლა თქვენს დედაქალაქში

¹ status quo ante bellum. – „ომის წინ არსებული ვითარება“ (ლათ).

ხდება საერთაშორისო მშვიდობისა და წესრიგის საერთო სქემის თანახმად, რაც ამჟამად ყველა მეომარი ქვეყნის სურვილია, და მოკავშირე ქვეყნების მთავარ მისწრაფებას. კავკასიაში წესრიგის და ცხოვრების ნორმალური პირობების აღდგენას წარმოადგენს.

შემიძლია დავარწმუნო თქვენი აღმატებულება, რომ ჩვენ არ ჩავერევით თქვენს საშინაო პოლიტიკაში, ასევე არ დავარღვევთ თქვენი ხალხის თავისუფლებას.

ყველა საკითხი გადაწყდება პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.

მე მჯერა, რომ ჩემი თხოვნა შესრულდება და ყოველმხრივ შეუწყობთ ხელს მოკავშირეთა ჯარების შემოსვლას. მაღლობელი ვიქნები, თუ ხვალ გამოძიგზავნით ავტომობილსა და ოფიცერს, რომელიც მიჩვენებს თქვენს მიერ მოკავშირეთა ჯარებისათვის გამოყოფილ ადგილს.

ჯორჯანი¹
23 დეკემბერი, 1918 წელი.

საქართველოს მთავრობის ნოტა ინგლისის მისიის მეთაურს კოლკოვნიკ ჯორჯანს⁽¹⁹¹⁸⁾

თქვენო აღმატებულებავ, 23 დეკემბრის თქვენი წერილის პასუხად მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ საქართველოს მთავრობა არ მიიჩნევს მიზანშეწონილად უცხო ქვეყნის ჯარების ყოფნას საქართველოში წესრიგის და სიმშვიდის დამყარების მიზნით, ვინაიდან ჩვენს მთავრობას თავად შეუძლია ამის გაკეთება.

მეორეს მხრივ, თქვენი განცხადებიდან გამომდინარე, ტფილისში დისლოცირებული არმია ე. ი. ქვეითთა ბრიგადა, არტილერიის ბრიგადა და 1800 ცხენი, წარმოადგენს შემთანხმებელ სახელმწიფოთა ერთიანი გეგმის ნაწილს. საქართველოს მთავრობა, რომელსაც სურს მოკავშირეებთან თანამშრომლობა, მათ მიერ გამოცხადებული საზართლიანობის პრინციპის განხორციელების საქმეში, აცხადებს თანხ-

¹ ჯორჯანი - დიდი ბრიტანეთის მისიის ხელმძღვანელი სერ-ში.

მობას ამ რაოდენობის ჯარის შემოყვანაზე და ყველა ზომას მიიღებს მათ განსაღებლად.

გარწმუნებთ თქვენდამი ღრმა პატივისცემას
საგარეო საქმეთა მინისტრი: გეგეჭკორი
კანცელარიის დირექტორი: ლორთქიფანიძე
24 დეკემბერი, 1918 წელი.

**შერეული კომისიის მიმართვა სომხეთის და
საქართველოს შეიარაღებული ძალების
სარდლობისადმი⁽¹⁵⁹⁾**

1918 წლის 25 დეკემბერს შეთანხმდით გენერალ-მაიორი სერ უილიამ რაიკროფტი და კავკასიაში საფრანგეთის მისიის ხელმძღვანელი პოლკოვნიკი შარდინი საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის ბატონ ჟორდანიას თანდასწრებით და დავადგინეთ:

საქართველოსა და სომხეთს შორის სამხედრო მოქმედებები დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და ბრიტანელი, ფრანგი ოფიცრებისაგან, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთაგან შექმნილმა შერეულმა კომისიამ უნდა მიაშუროს ფრონტს, სადაც დააზუსტებს შეთანხმების დეტალებს და გააკონტროლებს მის შესრულებას.

წინამდებარე დეპეშა იგზავნება ერევანში.

ხელი მოეწერა ტფილისში 1918 წლის 25 დეკემბერს
გენერალ-მაიორი რაიკროფტი, თავმჯდომარე ჟორდანია, პოლკოვნიკი შარდინი.

ტექსტი გადაითარგმნება ფრანგულ და რუსულ ენებზე. თარგმანის თითო ეგზემპლარს მოეწერება ხელი.

P. S. ბატონი ჯამალიანი¹ არ ეთანხმება საქართველოს მიერ ახალქალაქის მაზრის დაკავებას

რაიკროფტი, შარდინი.
31 დეკემბერი, 1918 წელი.

¹ არშაკ ჯამალიანი - სომხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ბენერალ მილნის განცხადება ინგლისის
ჯარების მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის
შესახებ^[61]

რადგან ინგლისის ჯარებმა მოახდინეს ამიერკავკასიის ოკუპაცია, იმისათვის რათა : 1) უზრუნველყოთ მოკავშირეებსა და თურქეთს შორის დაზავების პირობების შესრულება; 2) დავიცვათ კანონი და წესრიგი ამჟამინდელი საზავო კონფერენციის მიერ ტერიტორიული საკითხების საბოლოო გადაწყვეტამდე, მე, ქვემოთ ხელის მომწერი, ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალი, ვაცხადებ:

მოსახლეობა ვალდებულია, მოიქცეს სრულიად მშვიდად და თუ შესაძლებელია, დაკავდეს თავისი საქმით. რამდენადაც ისინი ასე მოიქცევიან და თავს შეიკავებენ ინგლისის და მოკავშირეთა ძალების წინააღმდეგ ყოველგვარი მავნე მოქმედებებისაგან, ისინი არ აგებენ არავითარ პასუხს ინგლისის სამხედრო ხელისუფლების წინაშე, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება, პატივს სცემენ მათ საკუთარებას და თავისუფლებას. მაგრამ თუ ისინი თავს აარიდებენ საკუთარი მოვალეობის შესრულებას ამ თვალსაზრისით, მაშინ საომარი პერიოდის საჭიროება ყველაზე სამაგალითო სასჯელს გამოიწვევს, სახელდობრ:

ნებისმიერი პირი, რომელიც ჩაიდენს, ან შეეცდება ჩაიდინოს ინგლისის ან მოკავშირეთა ძალების, ან ამ ძალების წარმომადგენელთა წინააღმდეგ მავნე ან მტრულ ან ისეთ ქმედებას, რომელიც მათი მტრებისათვის სასარგებლო იქნება, მათ შორის რკინიგზის, გზების, შენობების, სამხედრო საწყობების დაზიანება და ა. შ. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ისინი — გადაეცემა სამხედრო სასამართლოს და დაისჯება სიკვდილით, ან რაიმე უფრო მცირე სასჯელით, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე.

ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების
მთავარსარდალი გენ. გ. ფ. მილნი.
7 მარტი, 1919 წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო
კონფერენციას [163]

1. ისტორიული ცნობა. საქართველოს საკითხი, იმაში მდგომარეობს, რომ აღიარებენ თუ არა საქართველოს რესპუბლიკას დიდი სახელმწიფოები და მიიღებს თუ არა იგი საერთაშორისო მხარდაჭერას ხალხის მიერ უკვე გამოცხადებულ და ორგანიზებულ დამოუკიდებლობაში.

საკითხის ამგვარად დასმა რუსეთის იმპერიის დაცემისა და ქართველი ხალხის ეროვნული, დემოკრატიული იდეების განვითარების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს.

თავისუფლებას საქართველოში ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილს მხოლოდ ხანმოკლე პერიოდში (1801-1917 წ.წ.) წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, საქართველოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა საბერძნეთსა და წინა აზიის უდიდეს ცივილიზაციებთან. მისმა პირველმა ყლორტებმა აქ ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში იხარეს.

თანდათან ჩამოყალიბდა ბიზანტიის ცივილიზაციასთან, აღმოსავლეთ არაბეთისა და ირანის კულტურებთან შერწყმული უნიკალური კულტურის საზოგადოება. ძლიერი ეროვნული სული თანდათან გამოვლინდა სახელმწიფოს ეკლესიისაგან დამოუკიდებლად განვითარებისას, აგრეთვე ხელოვნებასა და ლიტერატურაში, რომელიც სწრაფად თავისუფლდებოდა ეკლესიის გავლენისაგან და წმინდა საერო იდეალებით იმსჭვალებოდა.

საქართველოს სახელმწიფომ ამავე ეპოქაში მიადწია პოლიტიკურ ერთიანობას და X-XIII საუკუნეებისთვის კულტურის სრულ აყვავებას, რომლის მრავალრიცხოვანი კვალი შემორჩა ლიტერატურულ ძეგლებს, სადაც ხალხის ცოცხალი ტრადიციებია შემონახული.

ერის ძლიერი და ჰარმონიული განვითარება, რომელმაც შუა საუკუნეებში ესოდენ ძლიერი სახელმწიფო შექმნა, XIII-XIV საუკუნეებში მონღოლების კატასტროფული შემოსევისას შეწყდა. ერთიანი

საქართველო ცალკეულ ნაწილებად დაიშალა და მისი ცივილიზაციის თანაზომიერი განვითარება დიდი ხნით შეფერხდა.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემამ, საქართველოს მრავალი საუკუნით დააკარგვინა კავშირი დასავლეთ ევროპასთან; მას ბედმა ორ მძლავრ მუსლიმურ იმპერიებთან – თურქეთთან და ირანთან მეზობლობა არგუნა. ისინი ყოველთვის ცნობილნი იყვნენ რელიგიური შეუწყნარებლობით და თავისი პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოების წყურვილით. თითქოს დაფლეთილი, პოლიტიკურად განცალკევებული და ქრისტიანული სახელმწიფოებისგან გეოგრაფიულად იზოლირებული საქართველო პირისაგან მიწისა უნდა აღგვილიყო და თურქთა და სპარსთა გაუთავებელი თარეშის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით იპყრობდნენ მის ოლქებს. მაგრამ მიუხედავად დიდი და უთანასწორო იძულებითი ბრძოლებისა, ქართველი ხალხი უდიდესი მსხვერპლის ფასად გადარჩა, და არა მარტო ფიზიკურად გადარჩა, არამედ XIX საუკუნემდე შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ასეთი უჩვეულო გამძლეობა საუკუნეებით გამოწრთობილი ხალხის სასიცოცხლო ძალით და ქართველი ხალხის დაუმორჩილებელი, გაუტეხელი ეროვნული სულით შეიძლება აიხსნას, არც ერთი წამით არ ჩამქრალა მასში სურვილი, თავი გამოეხსნა ისლამური სამყაროსაგან და დასავლეთ ევროპის კულტურისაკენ გაეკვალა გზა.

მაგრამ თურქეთის გამგებლობა ამ გზას გაუმტარი კედლით ღობავდა. საქართველო იძულებული იყო ჩრდილოეთისათვის მიემართა, რომელიც მისთვის შედარებით მისაწვდომი იყო და, გარდა ამისა, რუსეთის სახელმწიფო მომძლავრებული და გაზრდილი, სწრაფი ნაბიჯებით უახლოვდებოდა შავ ზღვას. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურები, თაობების მანძილზე მთელ თავის საქმიანობას იქითკენ წარმართავდნენ, რომ რუსეთის მხარდაჭერით საქართველო არა მარტო თავისუფლებით, არამედ შიდა განვითარების შესაძლებლობითაც უზრუნველყოთ. პირველი შეთანხმება საქართველოსა და რუსეთს შორის 1783 წ. დაიდო. თავდაპირველად რუსეთის უბრალო პროტექტორატის ფორმით აღმოსავლეთ საქართველოზე; იგი ერეკლე II-სა და ეკატერინე II-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას ემყარებოდა. მოგვი-

ანებით რუსეთმა ასეთივე ხელშეკრულებები საქართველოს სხვა სამთავროებთანაც დადო, მაგრამ მალე ეს პროტექტორატი მთლიან მიერთებად გადაიქცა და ამას სახელმწიფოს ყოველგვარი ავტონომიის სრული განადგურება მოჰყვა.

II. საქართველო რუსეთის იმპერიის ძალაუფლების ქვეშ. ალექსანდრე I-მა გააუქმა პროტექტორატი და 1801 წელს ოფიციალურად გამოაქვეყნა მანიფესტი აღმოსავლეთ საქართველოს შემოერთებაზე, რომელსაც მოჰყვა სრულიად თვითნებური და ცალმხრივი ანალოგიური აქტების სერია საქართველოს სხვა დარჩენილი ოლქების მიმართ.

რუსეთის გამგებლობის პირველი 10 წლის მანძილზე ხალხი, დაღლილი თავისი მრავალსაუკუნოვანი განცდებით, გაოგნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ერთდროულად ორი ამოცანა ხორციელდებოდა: თანდათანობითი ასიმილაცია, ცხოვრების ახალი ფორმების შემოღება და უძველესი სტრუქტურის განადგურება.

გაქრა ფეოდალური და მონარქიული საქართველოს უკანასკნელი კვალი და ამ ფერფლიდან დაიბადა ახალი საქართველო იმ კულტურული და დემოკრატიული იდეებით მოცული, რომლებიც მთელ ევროპას აღაფრთოვანებდნენ. მიუხედავად იმ მძიმე მარწუხებისა, რომელიც იმპერიის რეჟიმმა დაადო მის განაპირა მცხოვრებ ყველა არარუსი ხალხის თავისუფლებასა და განვითარებას, საქართველომ XIX ს-ის ბოლოს შეძლო არა მარტო მნიშვნელოვანი პროგრესის განხორციელება ეკონომიკაში, არამედ მთელი კავკასიის მთავარი პოლიტიკური ბირთვი გახდა.

რუსეთის 1905-07 წლების პირველი რევოლუციის დროს, საქართველოს დემოკრატიის ძალა, მისი მოწიფულობა და დისციპლინა, სრულად და აშკარად გამოვლინდა.

ქართველი ხალხი იბრძოდა რა რუსული დემოკრატიის მხარდამხარ, ეხმარებოდა რუს ხალხს ცარიზმის დამხობაში და დემოკრატიის დამყარებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხების ეკონომიკურ განვითარებას და ეროვნულ უფლებებს.

III. საქართველო და მსოფლიო ომი. 1914-1918 წ.წ. მსოფლიო კატასტროფამ ძირეულად შეძრა საქართველო, რომელიც გვირუკად

მონაწილეობდა ომში. 200 000 ქართველმა, რომელიც რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მხარდამხარ იბრძოდა ბალტიისპირეთიდან მესოპოტამიამდე, მოიხადა თავისი მხედრული ვალი და სიცოცხლე გაწირა ამ ომში. აზიის ფრონტზე ქართველ მოხალისეთა სპეციალური ქვედანაყოფები იბრძოდნენ.

როდესაც რუსეთის რევოლუციის საათმა დაჰკრა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების უდიდესი ნაწილი კავკასიისა და რუსეთის მმართველობაში ჩააბეს.

ყოველთვის და ყველა გარემოებაში ეს ადამიანები და ის მასები, რომლებიც მათ მიჰყვებოდნენ, ძალღონეს არ იშურებდნენ რუსეთის რევოლუციის სამხედრო ფრონტის გაძლიერებისთვის გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც რუსეთში საყოველთაოდ ცნობილი მდგომარეობის გამო, მაქსიმალიზმმა გაიმარჯვა, არმიამ, სახელმწიფო მექანიზმმა და ეკონომიკამ თანდათანობით დაიწყო რღვევა. ქართულმა დემოკრატია უარი თქვა ეცნო პეტროგრადული უზურპატორები. მან ხელში აიღო ინიციატივა, დაეცვა მთელი ამიერკავკასიის როგორც ეროვნული, ისე სამხედრო ინტერესები და რუსეთისგან გამოყოფილი აღმოჩნდა.

ამგვარად, გახდა რა მთავარი მამოძრავებელი ძალა ამიერკავკასიის ცხოვრებაში, ქართულმა დემოკრატია სომხების მხარდაჭერით მთელი ძალები მოახმარა თურქეთისაგან კავკასიის დაცვას.

საუბედუროდ, ამიერკავკასიის სამხედრო ძალები დეზორგანიზებული აღმოჩნდა.

როდესაც 1918 წლის მარტში ბოლშევიკებმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, ბათუმი, ყარსი და არდაგანი თურქეთს დაუთმეს, ამიერკავკასიის მთავრობამ მრისხანე პროტესტი გამოთქვა ამ მართლაც შემზარავი აქტის გამო და მიიღო გადაწყვეტილება იარაღით ხელში დაეცვა ამიერკავკასიის ტერიტორია თურქეთისაგან.

ეს ამოცანა არ განხორციელდა ფრონტის მთლიანად დაშლის, რუსეთის არმიის უწესრიგო უკანდახვევისა და ეროვნული არმიის სწრაფად ფორმირების გამო, რომელსაც უნდა შეეცვალა ძალაგამოლეული რუსები და ახალი მტკიცე ფრონტი შეექმნა.

1918 წლის გაზაფხულზე თურქეთის იერიში, რომელმაც აიძულა

რუსები უწესრიგოდ დაეხიათ უკან, ამიერკავკასიის ხალხების პოლიტიკური სოლიდარობის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა.

IV. ამიერკავკასიის რესპუბლიკა და დამოუკიდებელი საქართველო. ამიერკავკასიის რესპუბლიკა, რომლის დამოუკიდებლობა 1918 წ. 22 აპრილს ამიერკავკასიის დამფუძნებელი კრების მიერ ოფიციალურად გამოცხადდა, ეფემერული აღმოჩნდა და ძალიან მალე საქართველო, არა მარტო ბათუმისა და არდაგანის, არამედ ახალციხისა და ახალქალაქის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. იგი იძულებული იყო შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს გამოყოფა მეზობელი თურქეთის აშკარა მტრული დამოკიდებულების გამო გარდაუვალი გახდა და როგორც მოსალოდნელი იყო, მან მთელი ამიერკავკასიის მუსლიმური პარტიების მტრული დამოკიდებულება გამოიწვია.

1918 წ. 26 მაისს, თბილისის ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საქართველოს მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგა თურქების იერიშის მოგერიებას.

ჯარისაგან განადგურებული და მოკავშირე სახელმწიფოებისგან მთლიანად მოწყვეტილი საქართველო პირისპირ აღმოჩნდა გამარჯვებულ თურქეთთან, რომელსაც მისი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი (ოზურგეთი) უკვე დაპყრობილი ჰქონდა, და გადმოცემული ულტიმატუმით მთელ საქართველოს თურქეთის ჯარებით დაპყრობას უქადდა. საქართველო ამ მძიმე მდგომარეობაში იძულებული გახდა, გერმანიის დახმარება მიეღო, რომელმაც შესთავაზა, რომ შეაჩერებდა თურქეთის შეტევას და აიძულებდა მას ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიერ განსაზღვრული საზღვრიდან დაეხიათ.

საქართველოს მთავრობამ შეძლო თავი დაეღწია თურქების გარდაუვალი შემოჭრის საშიშროებისაგან და ხალხის მხარდაჭერით აღკვეთა ბოლშევიკური ბუნტის ცდები, რომელიც ნაწილობრივ რუსეთის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცების, ნაწილობრივ კი თურქეთის აგენტების მიერ იყო პროვოცირებული, მაგრამ საბედნიეროდ, მათ მოსახლეობას შორის სათანადო ნიადაგი ვერ ჰპოვეს.

ყოველივე ამის გამო, საქართველოს მთავრობა სწრაფად გაუსწორდა ბოლშევიკურ რაზმებს, რომლებიც ჩრდილოეთის საზღვრებიდან საქართველოში დამკვიდრებას ცდილობდნენ.

წესრიგი მალე აღდგა და ამ დროიდან ქვეყნის არც ერთ კუთხეში არაერთი უწესრიგობა არ მომხდარა.

V. საქართველოს რესპუბლიკა. საქართველოში სახელმწიფო ძალაუფლებას თავიდანვე ძალიან უბრალო, ძალიან მკაფიო სტრუქტურა ჰქონდა.

სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს, რომელიც ხალხის ნებას გამოხატავს, პარლამენტი წარმოადგენს.

მისი შემადგენლობა დაფუძნებულია საყოველთაო არჩევნების შედეგზე, რომელიც საქართველოში 1917 წ. ჩატარდა, ამ დროს კი, რუსეთში დამფუძნებელ კრებას ირჩევდნენ. შემსრულებელ ორგანოს პარლამენტის ანგარიშვალდებული მინისტრთა საბჭო წარმოადგენს.

პარლამენტსა და მთავრობაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატიების პარტია წარმოადგენს, რომელსაც მხარს უჭერენ ქვეყნის არა მარტო მუშები, არამედ გლეხებიც.

ამგვარი მტკიცე საძირკვლის გამო, რომელიც სტაბილურობის გარანტიას იძლევა, საქართველოს მთავრობას, რომლის ზოგიერთი წევრი ჯერ კიდევ ამიერკავკასიის მთავრობის სათავეში იდგა, მისი დაარსებიდან ხელში ჰქონდა ძალაუფლება.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონისამებრ ახლახან ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც საყოველთაო არჩევნებზე იყო დამყარებული. ეს ახალი საკრებულო წარმოადგენს ხალხის ძალაუფლების ორგანოს, რომელიც თავისი დანიშნულებით მთავრობაზე წინ დგას და პარლამენტს ექვემდებარება (საქართველოს დამფუძნებელი კრება შეიკრიბა თბილისში 1919 წ. 12 მარტს და გააგრძელა საორგანიზაციო მუშაობა).

საქართველომ ასეთი პოლიტიკური დისციპლინის წყალობით, თავი დააღწია სამოქალაქო ომის საშინელებას, და ყოფილ რუსეთის იმპერიაში მშვიდი, ნორმალური ცხოვრების ოაზისი შექმნა.

რევოლუციამ სახელმწიფო არ დაანგრია. პირიქით, მან შექმნა სუფთა დემოკრატიულ საფუძველზე აღმოცენებული სახელმწიფო — ახალი წესებისა და რევოლუციური პრინციპების განსახიერება.

ქართულმა დემოკრატიამ ასეთ მძიმე, ტრაგიკულ მდგომარეობაში შეძლო პარლამენტისათვის და მთავრობისათვის მყარი ორგანიზაცი-

ის შექმნა და მთელი ადმინისტრაციული სტრუქტურის განახლება. საყოველთაო არჩევნების შედეგად შეიქმნა თვითმმართველობის საქალაქო ორგანოები, იმ კანონების შესაბამისად, რომლებიც პარლამენტმა მიიღო და დაიცვა იდეალური სიზუსტით, ხელმოკლე უმიწო გლეხებს ურიგდებოდათ მიწები, ჩატარდა მართლმსაჯულების წარმოქმნისა და ორგანიზაციის რეფორმა, ბიუროკრატიული უწყებები ჩახშობის მანქანიდან დაწესებულებებად გადაიქცნენ. ისინი ემსახურებოდნენ ხალხს, რომლებსაც სჯეროდათ მათი. ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით, სოფლებში აღდგენილი იყო საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო ქსელები, თავის პოსტებზე იმყოფებოდა სახალხო არმიის ბაზები, რომლებსაც გამოცდილი, საკადრო ოფიცრები განაგებდნენ.

საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაციაში, რომელიც ასე ძლიერად და ღრმად იყო შეძრწუნებული ომითა და რევოლუციით, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები იყო. სავსებით იზოლირებული ეკონომიკურ ავადმყოფობას განიცდიდა, რომელიც სახელმწიფოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფულის მიმოქცევაში გამოიხატა.

და მაინც, საერთო შთაბეჭდილება ნათელია: ეს იყო ახალგაზრდა დემოკრატია, წარმოქმნილი ხალხის უძველესი ცივილიზაციის სიღრმიდან, რომელმაც თავის პოლიტიკურ წყობაში გვიჩვენა დემოკრატიის წრფელი ერთგულება და სალი აზროვნების შესაძლებლობა.

VI. საქართველოს პოლიტიკური მოთხოვნები. 1918 წლის 26 მაისს მთელ მსოფლიოს გამოუცხადა რა თავისი დამოუკიდებლობა, საქართველომ ყველა სახელმწიფოს მიმართა თხოვნით— ეცნოთ იგი. დაედოთ მასთან საერთაშორისო შეთანხმება.

საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას პატივი აქვს ამ დამოუკიდებულების აღიარების შესახებ იშუამდგომლოს საზავო კონფერენციაზე შეკრებილი დიდი სახელმწიფოების წინაშე.

დელეგაცია სახელმწიფოების ყურადღებას მიაქცევს სწორედ ამ მოთხოვნების ღრმა სახალხო ხასიათს, რომლებიც მათ დასარწმუნებლადაა წარმოდგენილი.

ქართველი ხალხის ნება ამ საკითხში ნათლად და სრულად იყო

წარმოდგენილი. საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე რეალობაა, რომელიც სახელმწიფოების მიერ მის ფორმალურ მოწონებას ელის.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული დასაბუთება ნათელია. საქართველოს თავისუფალი დემოკრატია XX საუკუნეში კვლავ დაადგა ეროვნული განვითარების გზას, რომლის დასაწყისიც შორეულ წარსულში იკარგება და თვით XIX საუკუნის დასაწყისამდე არ შეწყვეტილა, მაშინაც კი, როდესაც აყვავებისა და სიძლიერის ხანგრძლივი ეპოქის შემდეგ, დაცემისა და დაშლის გზას დაადგა.

ეს გზა XIX საუკუნეში შეწყდა რუსეთის ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ დღეს საქართველოს დემოკრატიულმა სახელმწიფომ აღადგინა.

ქართველი ხალხის ეროვნული და ეთნიკური ინდივიდუალობა კარგადაა ცნობილი. ამიტომ, ჩვენ მხოლოდ მოკლედ შეგვიძლია აღვნიშნოთ მისი უძველესი ლიტერატურული ტრადიციების, მაღალი კულტურის, ენის, განათლებული ადამიანების შესახებ, რომლებიც კომპეტენტური არიან სახელმწიფოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, საქართველო საკმაოდ მდიდარ ეკონომიკურ რესურსებს ფლობს.

მმართველობის ძველი სისტემა ხელს უშლიდა მის განვითარებას, ამუხრუჭებდა ხალხის ენერგიას, ვერ იყენებდა წიაღისეულ სიმდიდრეებს.

ამჟამად, საქართველოში ვითარდება სოფლის მეურნეობა, მუშავდება მალაროები, ყალიბდება კრედიტი, კომერცია და კოოპერატივები: ქალაქების გაზრდა-განვითარება ყოველდღიურად ზრდის ბაზარს.

მისი ტყეების სიმდიდრე, მინერალური ნედლეულის სიუხვე, მდინარეები, მრავალმხრივი ჰავა, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების მნიშვნელობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება დასავლეთის კავშირი სპარსეთთან და ცენტრალურ აზიასთან, წარმოადგენენ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური მომავლის საუკეთესო გარანტიას.

საქართველოს დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შუამდგომლო-

ბისათვის, ვალდებულებად მიიჩნევს განსაზღვროს სახელმწიფოების წინაშე თავისი სახელმწიფოს ტერიტორიალური შემადგენლობა.

განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხს და, რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამავე დროს, სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხება.

საქართველო არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომელიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა. უარს ამბობს იმ ტერიტორიებზეც, რომლებიც მას 1801 წელს რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა და, რომლებიც მეზობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მეორეს მხრივ რუსეთმა ივალდებულა 1783 წლის ხელშეკრულებით საქართველოსათვის თურქეთის მიერ უკანასკნელ მეფეთა მეფობის ხანაში დაპყრობილი ზოგიერთი ტერიტორია დაებრუნებინა. თურქეთმა ეს ტერიტორიები დაუბრუნა რუსეთს ადრიანოპოლში (1829) და ბერლინში (1878) დადებული ხელშეკრულებების თანახმად და დღეს საქართველოს თავისი სამშობლოს ამ ნაწილზე უფლება აქვს.

გარდა ამისა, როდესაც სომხეთის საზღვარი თურქეთის ძველ ტერიტორიაზე გაივლება, საქართველო დაჟინებით მოითხოვს დაუბრუნდეს მას ამჟამად თურქეთის კუთვნილი ლაზეთის ტერიტორია, ასევე მოითხოვს, საზღვრის რეგულირებას ზემო ჭოროხის რაიონში, რადგან არავის არა აქვს უფლება ოდითგანვე ქართულ მიწებს ფლობდეს.

გამოდის რა ამ საერთო მოსაზრებიდან და გარკვეული ადმინისტრაციული შესაძლებლობებიდან, საქართველოს დელეგაცია ამტკიცებს, რომ საქართველოს ტერიტორიამ უნდა მოიცავს: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის, ზაქათალის და ბათუმის ოლქები, ორი ოლქი ყარსის დასავლეთით (ოლთისი და არდაგანი) და შავი ზღვისპირეთის ოლქის რამდენიმე ნაწილი, აგრეთვე ტრაპეზუნდის ვილაიათი (ტრებიზონი). რუკას განმარტებებით ვთავაზობთ კონფერენციას.

ამ ტერიტორიაზე, რომელიც მხოლოდ ქართულ მიწებს მოიცავს,

მოსახლეობის დაახლოებით 75 პროცენტს ქართველები წარმოადგენენ. ეთნიკური და ისტორიული თვალსაზრისით, აგრეთვე ეკონომიკურადაც იგი არის მთლიანი, გამორჩეული მაღალი ერთგვაროვნებითა და შეურევლობით ყველა აღმოსავლეთ ქრისტიანულ სახელმწიფოებს შორის.

მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური წყობის გათვალისწინებით, საქართველოს დამოუკიდებლობა, ბუნებრივი საზღვრით კავკასიის მთავარი ქედით დაცული და შესაბამისი საერთაშორისო აქტით განმტკიცებული, იქნება არა მარტო გარანტია საქართველოს ბუნებრივი უფლებებისა და სამართლიანობისა, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ სფეროს შორისაც, რომლებიც მუდმივად მზად არიან კონფლიქტებისათვის აღმოსავლეთში.

ამიერკავკასიის უდიდესი მისია, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, გზას გაუხსნის ევროპის ცენტრალურ და წინააზიის ქვეყნებთან ეკონომიკურ და სულიერ კავშირს.

ქართული დემოკრატია მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ოფიციალური აღიარება და მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტია გადაჭრით განამტკიცებს თავისუფლების ახალი კერის სოციალურ სამართლიანობას. დამოუკიდებელი საქართველო გახდება დიდი სახელმწიფოების მიერ შექმნილი საერთაშორისო ერთიანობის მაღალორგანიზებული წევრი ხმელთაშუა ზღვით დაწყებული და კავკასიონის მწვერვალებით დამთავრებული მთელი ცივილიზებული ხალხების, კაცობრიობის ინტერესების გათვალისწინებით.

იმედებით და რწმენით სავსე ქართული დემოკრატია, თავის თავისუფლებასა და მომავალს ანდობს მათ, ვინც მოწოდებულია გადაწყვიტოს ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბედი.

პარიზი, 1919 წ. 14 მარტი

დანართი

საქართველოს საზღვრები

ა. აღწერა. საქართველოს სახმელეთო საზღვარი იწყება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, პატარა მდინარე მაკოპსეს შესართავთან, რომელიც მდებარეობს ქალაქ ტუაფსეს სამხრეთ აღმოსავლეთით 14 კილომეტრის დაშორებით.

მიყვება რა მდინარე მაკოპსეს ზემო ღინებას, საზღვარი გადის პსეუშკოს მთაზე, რომლიდანაც ეს მდინარე ჩამოედინება და იქიდან გრძელდება ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ მთის თხემის გასწვრივ, რომელიც ცილდება დიდი კავკასიონის მთავარ ქედს და ქმნის წყალგამყოფს შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების ტუაფსესა და აშეს აუზებს შორის.

ჩრდილოეთით საქართველოს საზღვარი კავკასიონის ქედის გასწვრივ გადის, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით თითქმის ადაი-კოხის მასივამდე არ წყდება.

ადაი-კოხის უკან საზღვარი კვეთს მდინარე არღონს კასარის ხეობასთან (ტაზანტის სახელით ცნობილ წყაროსთან ახლოს) და გრძელდება აღმოსავლეთით (არზონის მასივი) და ყაზბეგის მთების მწვერვალებზე.

ამ სიმაღლეზე საზღვარი მიემართება ჩრდილოეთით, ჩადის ჩასკოხისა და კაიჯანის მთებზე და კვეთს მდინარე თერგს სადგურ ლარსიდან ჩრდილოეთით 5 კილომეტრში, პატარა სოფელ ოზმის გასწვრივ, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზე საზღვარი გადის მდინარე არკმეხის — თერგის პატარა შენაკადის გასწვრივ, სოფელ ლიადჟამდე. აქ საზღვარი მიდის სამხრეთით, გაივლის მდინარე არზმის (არკმეხის შენაკადი) მარჯვენა ნაპირის მაღლობს მაღჩოჩე კორტის მთამდე.

აქედან საზღვარი გრძელდება აღმოსავლეთისაკენ დიდი კავკასიონის ქედზე ყარა-კაიას მთამდე, გადის ერთი მხრივ, უძველეს საზღვარზე თბილისის რაიონში, მეორე მხრივ, თერგისა და დაღესტნის ტერიტორიებზე.

შემდგომ საქართველოს საზღვარი მიემართება ზაქათალის ოლქსა

და ქალაქ ნუხის რაიონის უძველეს საზღვრებზე, უხვევს სამხრეთით და მიჰყვება მდინარე ყარა-ჩაის ღინებას მდინარე ალაზანთან შეერთებამდე.

შემდგომ საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთით მდინარე ალაზანზე მდინარე მტკვრამდე, საიდანაც ის ისევ მალღლება და იღებს მიმართულებას ჩრდილო დასავლეთისაკენ მდინარე ხრამთან შეერთებამდე. შემდეგ საქართველოს საზღვარი გადის ბორჩალოს (თბილისის გუბერნია) და ყაზახის (ელიზავეტოპოლის გუბერნია) რაიონების ძველი საზღვრების გასწვრივ. გადის მოწინავე კავკასიონის მთების ჯაჭვზე, რომელიც წარმოადგენს წყალ-გამყოფ ხაზს მდინარეების დებედა-ჩაისა და აღსტაფას (ზაქათალის მთა, ჩიტინდაგის მთა, სოუკ-ბულაგის მთა) აუზებს შორის და შემდეგ უფრო შორს ჩრდილო-სამხრეთის შეშკეჩემას მთამდე.

აქედან საზღვარი გადის თბილისისა და ერევნის გუბერნიების ძველი საზღვრების გასწვრივ ჩრდილო-დასავლეთით და გადაკვეთს მდინარე ბამბაკს ჩაგალისა და კარალის სადგურებს შორის; შემდეგ გრძელდება ბესობდალის ქედზე კარგაჩისა და დელიდაგის მთებზე ჩრდილო-დასავლეთით სველი მთების თხემამდე.

დელიდაგიდან საზღვარი მიემართება დასავლეთისკენ მადათაფის მთებზე, მადათაფას ტბიდან დასავლეთით, შემდეგ გრძელდება უჩთარაფანამდე, საიდანაც უხვევს სამხრეთით ჩილდირის ტბის შემოვლით, გადის აჩკ-ბაბისა და კისირდაგის მწვერვალებზე, და შემდეგ არდაგანისა და ყარსის ტერიტორიების საზღვრებს შორის.

კისირ-დაგადან საქართველოს საზღვარი მიემართება სამხრეთ დასავლეთისაკენ მდინარეების მტკვრისა (საქართველოს ტერიტორია) და არაქსის (სომხეთის ტერიტორია) აუზების წყალგამყოფ ხაზზე. იგი გადის ბუგათაფას, კაბახთაფას და კოპის მთებზე, შემდეგ გაივლის რა სოლანლულის ქედს, რომელიც ყოფს მდინარეების ჭოროხის და არაქსის აუზებს, გადის რუსეთ-თურქეთის ძველ საზღვარზე.

თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვარი გადის სამხრეთ-დასავლეთით, გაივლის ჩახირ-ბაბას ქედს, რომელიც წყალგამყოფია მდინარეების არაქსისა და ოლთიჩაის (მდ. ჭოროხის შენაკადი) ზემო წელის აუზებს შორის.

ოსკანის მთიდან საზღვარი მიემართება დასავლეთით, დუშლუდაგ-ის, კახანბაჩის, და კორტიკდაგის ქედებზე, შემოუვლის ჩრდილოეთიდან ჭოროხის ზემო წელს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ რჩება, მაღლა აუყვება ისპირს. კილისაკალეს მონასტრის ცოტა დასავლეთით სოფელ მადნამდე.

ჭოროხის მარცხენა ნაპირზე საზღვარი კვლავ მიდის ჩრდილოეთით, მთების თხემებზე, რომლებიც ლაზისტანის პონტოს ქედის განშტოებას (კეშიშკაის მთა) წარმოადგენენ. იგი გადის პონტოს ქედთან. რამდენიმე ხანს მიიწევს დასავლეთისაკენ, კირკლიარის მთების რაიონში ლაზისტანის სანჯაყის (თურქეთის ტერიტორია) საზღვრის ხაზით. მიემართება ჩრდილოეთით მდინარე კალაპოტამოსის სათავისაკენ, რიზესა და ოფომს შორის შავ ზღვაზე, რომელიც გარს ერტყმის საქართველოს დასავლეთით მაკოპსეს სათავემდე.

ბ. განმარტებანი. მიწები, რომლებიც უნდა შევიდნენ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენლობაში, შეიძლება სამკატეგორიად დაიყოს:

1. მიწები, რომლებიც 1801 წელს საქართველოს რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ პროვინციებად (ოლქებად) იქცა.

2. ქართული მიწები, რომლებიც თურქეთმა მისცა რუსეთს ადრიანოპოლის (1829 წ.) და ბერლინის (1878 წ.) შეთანხმებების საფუძველზე;

3. ზოგიერთი მიწები, რომლებიც ოსმანური იმპერიის მფლობელობაშია.

როგორც ისტორიული, ასევე ეთნიკური თვალსაზრისით, სრულიად უდავოა, რომ მე-2 და მე-3 პუნქტებში აღნიშნული მიწები ქართველ ხალხს ეკუთვნის. ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს ნაწილს წარმოადგენენ. შემდეგში კი თურქეთმა დაიპყრო და დაიმონა. ისლამზე მოქცეულმა ქართველებმა შეინარჩუნეს ეთნიკური იერი და წმინდა ქართველებად დარჩნენ.

ამ ტერიტორიების ერთიანობა ბუნებრივად განაპირობებს საქართველოს საზღვრების საერთო ხაზს. მხოლოდ რამდენიმე პუნქტში საზღვრების ამორჩევა პრაქტიკული მიზნებითაა ნაკარნახევი.

საქართველოს ოლქები, რომლებმაც შეინარჩუნა თავისი პოლი-

ტიკური დამოუკიდებლობა რუსეთთან შეერთებამდე, არიან: ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო, და ასევე რამდენიმე მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ოლქი.

ქართლ-კახეთის სამეფო (ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების გარეშე) მოგვიანებით, თბილისის გუბერნიად გადაიქცა. დანარჩენი ტერიტორიები კი ქუთაისის გუბერნიაში გაერთიანდა.

რაც შეეხება საქართველოს იმ მიწებს, რომლებმაც 1801 წლამდე უკვე დაკარგეს დამოუკიდებლობა, 1783 წლის საქართველოს და რუსეთს შორის დადებული ტრაქტატით ოსმანური იმპერიის ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდნენ. რუსეთი პირობას დებდა, დაებრუნებინა საქართველოსათვის მიწები, თუ კი შეძლებდა მათ მიღებას თურქეთისაგან. ამ მიწების ნაწილი, კერძოდ კი ახალქალაქის და ახალციხის მაზრები, რომლებიც თურქეთმა 1829 წელს გადასცა, შემდეგ შეუერთეს თბილისის გუბერნიას. მეორე ნაწილი ბათუმი-ყარსის გუბერნიის, არდაგანისა და ოლთის ოლქებით 1878 წელს რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

თბილისის გუბერნიას მიუერთეს ზაქათალის მაზრა, რომელიც ყოველთვის იყო კახეთის სამეფოს ნაწილი, მაგრამ XVII საუკუნეში სპარსეთთან ომის შედეგად, მოწყდა მას და აქ სხვადასხვა ეროვნებისა და ტერიტორიების წარმომადგენლები დასახლდნენ.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ საქართველოსთან მიერთებულია მიწები, რომლებიც მეფის რეჟიმის დროს ელიზავეტოპოლისა და ერევნის გუბერნიებს ყოფდა, ყაზახის მაზრას და ალექსანდროპოლის მაზრის ნაწილს წარმოადგენდა. ახლა კი სომხეთსა და თურქეთს შორის გამყოფ საზღვარს წარმოადგენს.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს ემატება სოხუმის ოლქის, ქუთაისის გუბერნიის, თბილისის გუბერნიის, ზაქათალის ოლქის, არდაგანისა და ოლთის (ყარსის რ-ნი), ოლქების ადმინისტრაციული საზღვრები. ამ შემადგენელი ნაწილების მიღებისათვის, საკმარისია ჩრდილოეთით, დიდი კავკასიის რაიონში, სოხუმის ოლქის, ჩრდილო საზღვრების ხაზები გავაგრძელოთ აგრეთვე თბილისის და ქუთაისის გუბერნიების, ზაქათალის

ოლქის აღმოსავლეთი საზღვარი და ხაზი, რომელიც სამხრეთში ყოფს ძველი თბილისის გუბერნიას, ელიზავეტოპოლისა და ერევნის გუბერნიებიდან სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, დასავლეთის ორ მხარას შორის (არდაგანი და ოლთი) და ორ აღმოსავლეთ ოლქს (ყარსი და კალიზმანი) ყარსის რაიონს შორის ამ ხაზის თურქეთის საზღვართან გადაკვეთამდე.

საქართველოს მთავრობის აზრით, ეს დასახული სქემა მთელ თავის მანძილზე პრაქტიკული ხასიათის უმნიშვნელო შესწორებებს მოითხოვს მამისონის უღელტეხილის რაიონში, სადაც საზღვრების დაზუსტება, მხოლოდ ოროგრაფიული წესის გათვალისწინებას მოითხოვს. ანდა სამხრეთით, თურქეთის საზღვართან, სადაც მტკვარი ქმნის ბუნებრივ საზღვარს სახელმწიფოებს შორის, საზღვარმა უნდა გაიაროს იმ მხარეს, სადაც მდინარე მტკვარი მდინარე ალაზანში ჩაედინება იმიტომ, რომ ძველი საზღვრები თბილისისა და ელიზავეტოპოლის გუბერნიებს შორის ამ მდინარის (ალაზანი) პარალელურად გადიოდა.

საქართველოს საზღვრების ზოგიერთი მონაკვეთები საჭიროებს სპეციალურ განმარტებებს. ეს ერთის მხრივ, საზღვარი გადის დიდი კავკასიონის ქედსა და შავი ზღვის სანაპიროს შორის, (ყოფილი შავიზღვისპირეთის გუბერნიის საზღვრებში) და მეორეს მხრივ, საზღვარის ნაწილია რუსეთ-თურქეთის (1878 წლის შემდეგ), ყოფილ ხაზსა და შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გადაკვეთის წერტილში, ტრაპეზონდის ვილაიეთის ფარგლებში.

რაც შეეხება საზღვრის პირველ უბანს, რომელიც მდინარე მაკოპსემ ჩამოაყალიბა და ხაზი მისივე სათავიდან იწყება, აღმინის-ტრაციის თვალსაზრისით, ამ საზღვრის მოხერხებულობითაა ნაკარნახევი. ეთნოგრაფიული თვალთახედვით, მდინარეების მაკოპსესა და მზიმთას შორის არსებული ტერიტორიის საქართველოსთან მიერთებამ, რომელიც წარსულში მას ეკუთვნოდა, არ შეიძლება წინააღმდეგობა გამოიწვიოს, XIX საუკუნეში ადგილობრივი კავკასიური ტომების აქედან იძულებითი გადასახლების შემდეგ, ამ მხარეს განსაზღვრული ეთნოგრაფიული ხასიათი უკვე არ გააჩნია.

თურქეთში გაყვანილი მთიელების სამშობლოში დაბრუნების ან ჩრდილო

კავკასიის სახელმწიფოსათვის შავიზღვისპირეთის სანაპიროს მიერთების საკითხი რომ დამდგარიყო, ბუნებრივია საქართველო წინააღმდეგი არ იქნებოდა, რომ შემოთავაზებული ხაზი შეცვლილიყო სხვა ხაზით, რომელიც მდინარეების მაკოპსესა და მზიმთას შორის გაივლის.

რაც შეეხება საქართველოს საზღვრის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სანჯაკისა და ლაზისტანის შეყვანას და აგრეთვე ერზრუმის ვილაიეთის ნაწილის მიერთებას (მღ. ჭოროხის რაიონი) ითვალისწინებს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიას ჩვენ განვიხილავთ, როგორც თურქების მიერ საქართველოსთვის წართმეულ უძველეს ქართულ მიწებს, რომლებმაც მიუხედავად მოსახლეობის გამუსულმანებისა, თავისი ეთნიკური ხასიათი შეინარჩუნეს.

თავმჯდომარე: ნოე ჟორდანია

მინისტრები: გიორგი ჟურული, ნოე რამიშვილი,
ვეკენი გეგეჭკორი, ივანე ლორთქიფანიძე, შალვა მესხიშვილი,
გრიგოლ გიორგაძე.

მინისტრების ამხანაგები: კალე საბახტარაშვილი,
პეტრე გელეიშვილი, შ. ერამე, კონსტანტინე კანდელაკი.

სახელმწიფო კონტროლიორი: ფილიპე გოგიჩაიშვილი.

გასაგზავნი დელეგაციის წევრები: კარლო ჩხეიძე,
ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ რცხილაძე,

მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმასრულებელი: ა. ჯაფარიძე.

მდივანი: გრიგოლ რობაქიძე.

6. ს. ჩხეიძის ფირილი ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს და კრებას^[166]

მეთანხმება ერთა ლიგის შესახებ, რომლის რატიფიცირება სამშვიდობო კონფერენციამ ახლახანს მოახდინა, საუკეთესო პერსპექტივას უსახავს იმ ხალხებს, რომელთაც მშვიდობიანი შრომა სურთ და სამართლიანობაზე დამყარებულ საერთაშორისო წესრიგზე ზრუნავენ. იმ ერებისთვის, რომლებიც მსოფლიო ომის ან მისგან წარმოქმნილი

რეკოლუციების შედეგად გათავისუფლდნენ და ახლახანს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდნენ, ამ აქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; ეს აძლევს მათ საუკეთესო და ყველაზე ქმედით გარანტიას, მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველს.

ამ ერებთან ერთად ქართველ ხალხს, რომელიც კვლავ თავისუფალი გახდა, იმედი აქვს, რომ მის ხელახლა მოპოვებულ დამოუკიდებლობას ერთა ლიგა დაიცავს.

1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს – საქართველოს დროებითი პარლამენტის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობა 1919 წლის 12 მარტის აქტით საზიგოდ და ერთხმად დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც საყოველთაო კენჭისყრით პროპორციულ საფუძველზე აირჩიეს. საკუთარი ხალხის ნებით შექმნილი საქართველოს რესპუბლიკა ემყარება ხალხის ერთიან და მტკიცე ნებას, რომელმაც დემოკრატიის ორგანიზებაში ყველა დაბრკოლების და სიძნელეების მიუხედავად, შეძლო, აღეჭურვა სახელმწიფო ყველა აუცილებელი ორგანოებით და ის დღემდე მოეტანა, რათა მოკავშირე სახელმწიფოთა ტრიბუნალის წინაშე მოეთხოვა მისი საერთაშორისო აღიარება.

ქართველი ხალხი დამოუკიდებელ ერს წარმოადგენდა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, როცა საქართველოს სხვადასხვა ნაწილები რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცნენ და საქართველო მალე უბრალო გუბერნიად გადაიქცა.

ქართველმა ხალხმა, რომელიც რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ კვლავ თავისუფალი გახდა, აირჩია საკუთარი მთავრობა და შექმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკა იმ ტერიტორიების ფარგლებში, რომლებიც ყოველთვის საქართველოს ეკავა.

ამ რესპუბლიკამ აშკარად დაადასტურა თავისი სიცოცხლისუნარიანობა: ქვეყანაში დამყარებულია საზოგადოებრივი წესრიგი, სამხედრო, ფინანსური, ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები დემოკრატიულ საფუძველებზეა შექმნილი, რის შედეგადაც სხვა ადგილებში გამეფებული ანარქია, რომელიც საქართველოში გარედან შეღწევას ცდილობდა, ყოველთვის მარცხდებოდა.

ეთნიკურად თვითმყოფადმა, საკუთარი ენისა და უძველესი კულ-

ტურის, რესურსებით მდიდარი 100.000 კვ. კმ-ის და 3 მილიონამდე ადამიანით დასახლებული ტერიტორიის მქონე ქართველმა ხალხმა არა მხოლოდ დამოუკიდებლობის ნება გამოავლინა, არამედ დაამტკიცა, რომ შეუძლია გახდეს და დარჩეს დამოუკიდებელი, რაც საკმარისად არის დადასტურებული საქართველოს მთავრობის სწორი ფუნქციონირებით, ძალიან მდგრადი და ავტორიტეტული, ნაყოფიერი და რეფორმატორული მოღვაწეობის დამფუძნებელი კრებით, რომლის წინამორბედი იყო დამფუძნებელი კრება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იქიდან გამომდინარე, რომ იმპერიალიზმისაგან თავისუფალი საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების მომავალი მხოლოდ ერთა ლიგამ შეიძლება უზრუნველყოს, და, რომ ხალხთა თავისუფლების ძირითადი პრინციპები, საერთაშორისო სოციალური ურთიერაობის სამართლიანობა, რაც ქართული დემოკრატიის ფუნდამენტს წარმოადგენს, იმავდროულად ერთა ლიგის შექმნის შესახებ ხელშეკრულების ქვაკუთხედაა, საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას ქართველი ხალხისა და მთავრობის სახელით აქვს პატივი, იშუამდგომლოს ერთა ლიგაში საქართველოს დაშვების შესახებ, 1919 წლის 28 აპრილის ხელშეკრულების შესაბამისად.

საქართველოს დელეგაციის მეთაური
პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე
ჩხეიძე. 21 მაისი, 1919 წელი.

საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა შორის შეთანხმების აქტი ^[167]

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ერთის მხრით, წარმოდგენილი გარეშე საქმეთა მინისტრის გეგეჭკორის, სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრის რამიშვილის, სამხედრო მინისტრის ამხანაგის გენერალ გედევანიშვილის, სამხედრო საბჭოს წევრის გენერალ ოდიშელიძისგან;

და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა მეორეს მხრით, წარ-

მოდგენილი გარეშე საქმეთა მინისტრის ჯაფაროვის, სამხედრო მინისტრის მეხმანდაროვისა და გენერალურ შტაბის უფროსის გენერალ სულკევიჩისაგან.

გაეცნენ რა რწმუნებულებას და სცნეს იგი სათანადო ფორმითა და სახით შედგენილად.

იმ სერიოზულ საფრთხის გამო, რომელიც მოელის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას, დასდეს შეთანხმება ესე შემდეგ საფუძველზე:

1. ამ შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ერთად გამოვიდნენ ყველა თავის შეიარაღებული ძალებით და სამხედრო საშუალებით ყოველგვარ თავდასხმის წინააღმდეგ, რომელიც ემუქრება შეთანხმების მონაწილე ერთს ან ორსავე რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ან ტერიტორიალურ ხელშეუხებლობას.

შენიშვნა. პარაგრაფი ესე არ ვრცელდება კონფლიქტებზე, რომელიც შესაძლოა ასტყდეს საზღვრების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ გამიჯვნის ნიადაგზე.

2. უკეთუ რომელიმე მეზობელი სახელმწიფო, უკვე დაწყებულ, პირველ პარაგრაფით ნაგულისხმევ, სამხედრო მოქმედების დროს, თავს დაესხმის ერთს ან ორივე მოკავშირეს საზღვრის გამო დავის იარაღით გადაჭრის მიზნით, ასეთი სახელმწიფო მეომარ მხარეთ ჩაითვლება.

3. ამ შეთანხმებას აქვს მარტოოდენ თავდაცვის ხასიათი და უკეთუ ერთი მხარეთაგანი თავის ინიციატივით, წინასწარ შეუთანხმებლად, ომს გამოაცხადებს ან სამხედრო მოქმედებას დაიწყებს, ამ შეთანხმების დამდები მეორე მხარე ვალდებული არ არის მონაწილეობა მიიღოს ამ სამხედრო მოქმედებაში.

4. ამ შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებულნი არიან ყოველი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა ჩამოვარდეს მათ შორის საზღვრების გამო, შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტონ და ეს გადაწყვეტილება უნდა მიჩნეულ იქნეს საბოლოოდ და სავალდებულოდ ორივე მხარისათვის.

5. შეთანხმება ესე დადებულია სამი წლის ვადით. ერთი წლით ადრე, ამ ვადის გასვლამდე, შეთანხმების დამდებ თითოეულ მხარეს

უფლება ენიჭება, განაცხადოს თავისი სურვილი შეთანხმების განგრძობისა ახალი ვადით, ან შეთანხმებაზე უარის თქმისა. უკანასკნელ შემთხვევაში შეთანხმება ჰკარგავს ძალას მხოლოდ დადებული ვადის გასვლისას.

6. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სოლიდარულად გამოვიდნენ და აწარმოონ დიპლომატიური მოლაპარაკება, მიმართული ორივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენულ უფლებათა დაცვისათვის.

7. უკეთუ პირველსა და მეორე პარაგრაფებში აღნიშნული პირობები შეიქმნა, შეთანხმების დამდები სახელმწიფონი ვალდებული არიან სეპარატული ზავი არ შეჰკრან.

8. შეთანხმების დამდები მხარენი ვალდებული არიან სხვა სახელმწიფოსთან სამხედრო კონვენციები არ შეჰკრან მოკავშირესთან წინასწარ შეუთანხმებლად.

9. უკეთუ მეხუთე პარაგრაფში აღნიშნულ ვადის გასვლამდე დაარსდა ხალხთა ლიგა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მის მონაწილე სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და საზღვრების ხელშეუხებლობას, იმ მომენტიდან, როდესაც ამ შეთანხმების დამდები რესპუბლიკები შევლენ ხალხთა ლიგაში, ეს შეთანხმება ჰკარგავს ძალას.

10. ამიერკავკასიის მესამე რესპუბლიკას – სომხეთს უფლება ენიჭება, ორი კვირის განმავლობაში, ამ შეთანხმების ოფიციალურად შეტყობინების დღიდან, განაცხადოს, რომ თანახმაა ამ შეთანხმებას შემოუერთდეს.

11. რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ქალაქ ბაქოში ორი კვირის განმავლობაში დღიდან ხელის მოწერისა.

12. ეს შეთანხმება შედგენილია ორ დედნად.

საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი. სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი. სამხედრო მინისტრის ამხანაგი

გენერალ-მაიორი გედევანიშვილი. გენერალი ი. ოდიშელიძე.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრი

მ. ი. ჯაფაროვი. სამხედრო მინისტრი გენერალი მეხმანდაროვი.

გენერალურ შტაბის უფროსი გენერალი სულკევიჩი

ქალაქი ტფილისი. 1919 წლის 16 ივნისი.
რუსულ დედანთან სწორა:

საქართველოს დამფუძნებელ კრების იურიდიული კომისიის
თავმჯდომარე რ. არსენიძე.
დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1919 წლის 22 ივნისს.

**საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების
მთავრობათა შორის დადებული ხელშეკრულება
ტრანზიტის შესახებ ¹¹⁶⁷**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა შინა-
გან საქმეთა და სამხედრო მინისტრის ნოე ბესარიონის ძე რამიშვი-
ლის და საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხ-
ანაგის სვიმონ გურგენის ძე მდივნის მიერ — ერთის მხრით, და
სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ, წარმოდგენილმა სტეფანე გრიგ-
ოლის ძე მამიკონიანისა და სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის
წევრის სუმბათ არტემის ძე ხაჩატურიანის მიერ — მეორეს მხრით,
— გაეცნენ რა ურთიერთის რწმუნებულობას და სცნეს იგი ჯეროვან
ფორმით და სახით შედგენილად. — შემდეგი ხელშეკრულება დას-
დევს:

1. დაწესდეს თავისუფალი ტრანზიტი, ე. ი. უგადასახადო ტრან-
ზიტი, — იმ ტვირთისათვის, რომელიც იგზავნება სომხეთის რკინის
გზით სომხეთის საზღვარს გარეშე ადგილებიდან საქართველოში, ან
საქართველოდან სომხეთის საზღვარს გარეშე ადგილებში, და აგრეთვე
იმ ტვირთისათვის, რომელიც იგზავნება საქართველოს რკინის გზით,
საქართველოს საზღვარს გარეშე ადგილებიდან სომხეთში, ან სომხ-
ეთიდან საქართველოს საზღვრის გარეშე ადგილებში.

2. ეს ხელშეკრულება დადებულია სამის წლის ვადით, გარნა
მისი დამტკიცების დღიდან ერთის წლის გასვლის შემდეგ, თვი-
თეულს, ხელშეკრულებაში მონაწილეს, უფლება აქვს მისი გადასინ-
ჯვა მოითხოვოს, და ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში რჩება
ექვს თვეს თვით განცხადების დღიდან. თუ ამ ვადის განმავლობაში

მონაწილენი გადასინჯვის შესახებ ვერ შეთანხმდნენ, ხელშეკრულება ძალას ჰკარგავს.

3. ამ ხელშეკრულების რატიფიკაციათა გაცვლა უნდა მოხდეს ქ. ტფილისში ორი კვირის განმავლობაში.

4. ხელშეკრულება ესე ორ ცალად არის შედგენილი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი სვ. მდივანი.¹

ს. მამიკონიანი. სომხეთის პარლამენტის წევრი ს. ხაჩატურიანი. ქალაქი ტფილისი.

1919 წელი, 3 ნოემბერი. რუსულ დედანთან სწორვა: საქართველოს დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი რ. არსენიძე.² დამტკიცებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 14 ნოემბერს.

საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის
ხელშეკრულება [166]

რწმუნებულება

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის შეთანხმების შესაბამისად, რომ დაიდოს მეგობრობის ხელშეკრულება, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნული ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკების წარმოების რწმუნებულებანი მიანიჭა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეს ლევ მიხეილის ძე კარახანს, რომელიც უფლებამო-

¹ სვიმონ მდივანი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სომხეთში.

² რაფელ არსენიძე (1880-1965) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, მენშევიკების ცკ-ის მდივანი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის იუსტიციის მინისტრი, დამფუძნებელი კრების წევრი.

სილია იმათთან, ვისაც საამისო რწმუნებებს მიანიჭებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხელი მოაწეროს ამ მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ ხელშეკრულებას, რომელიც რუსეთისათვის სავალდებულო იქნება უკვე ხელმოწერის ძალით, საგანგებო რატიფიკაციის გარეშე.

ამის დასადასტურებლად რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ხელი მოაწერა ამ რწმუნებულებას და ბრძანა დამტკიცდეს იგი შესაბამისი ბეჭდით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)
საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი
გიორგი ჩიჩერინი

ოქმი

ქვემოთ ხელისმომწერებმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრმა გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძემ და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ლევ მიხეილის ძე კარახანმა, ხელი მოაწერეს რომ აღნიშნულ დღეს თავიანთი მთავრობების რწმუნებულებათა საფუძველზე ამა წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულ საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულებას, თავიანთი მთავრობებისაგან მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, თითოეულმა მიიღო აღნიშნული ხელშეკრულების თითო დედანი ოქმი თავისი მთავრობისათვის გადასაცემად.

ამასთან, ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ დღეს ხელმოწერილ ხელშეკრულებას ორივე ხელშემკვრელი მხარე დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს მთლიანად, გარდა V მუხლის მე-10 პუნქტისა, რომელიც ხელმოწერის დღიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ გამოქვეყნდება.

ამის დასადასტურებლად ქვემოთ ხელისმომწერებმა შეადგინეს ეს ოქმი და დაამტკიცეს თავიანთი ბეჭდებით.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთი მხრივ და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრივ, ხელმძღვანელობენ რა საერთო სურვილით, დაამყარონ ორ ქვეყანას შორის მტკიცე და მშვიდობიანი თანაცხოვრება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, გადაწყვიტეს გააფორმონ საგანგებო ხელშეკრულება და ამისთვის თავის რწმუნებულად დანიშნეს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი.

რწმუნებულები, რომლებმაც ერთმანეთს გააცნეს თავისი უფლებამოსილებანი და რომელთაც უფლება აქვთ, ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას, შეთანხმდნენ შემდეგ მუხლებზე:

მუხლი I

რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ გამოცხადებული ხალხთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც იმ სახელმწიფოსაგან სრულ გამოყოფასაც კი გულისხმობს, რომლის შემადგენლობაშიც ისინი შედიან, რუსეთი უსიტყვოდ ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველმხრივ სუვერენულ უფლებებზე, რომლებიც რუსეთს ქართველი ხალხის და მიწის მიმართ ჰქონდა.

მუხლი II

ხელშეკრულების I მუხლში გამოცხადებული პრინციპებიდან გამომდინარე, რუსეთი უარს ამბობს საქართველოს საშინაო საქმეებში ყოველგვარ ჩარევაზე.

მუხლი III

1. საქართველოს და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვარი გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გასწვრივ ახაჩხას მთამდე, ახაჩხას და აგანეთის მთებიდან და შავი ზღვის, ქუთაისის და ტფილისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვრის გასწვრივ ზაქათალის ოლქამდე, ამ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრის გასწვრივ სომხეთის საზღვრამდე.

2. ყველა უღელტეხილი აღნიშნულ სასაზღვრო ზოლზე ათას ცხრაას ოცდაორი წლის პირველ ივნისამდე ნეიტრალური იქნება. ისინი არ უნდა დაიკავონ და არ გააძლიერონ არცერთი მხარის ჯარებმა.

3. დარიალის უღელტეხილზე ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობის მონაკვეთის გაყოლებაზე, მაშისონის უღელტეხილზე ზარამაგიდან ონამდე. ყველა სხვა უღელტეხილზე საზღვრის ორივე მხრიდან 5-5 კმ-ის დაცილებით.

4. სახელმწიფო საზღვრის ზუსტად დაფიქსირება ორივე ხელშემკვერელ მხარეს შორის მოხდება განსაკუთრებული შერეული სასაზღვრო კომისიის მიერ, რომელშიც შევლენ ორივე მხრიდან თანაბარი რაოდენობით წევრები. კომისიის მუშაობის შედეგები დამტკიცდება ხელშემკვერელ მხარეებს შორის საგანგებო ხელშეკრულებით.

მუხლი IV

1. რუსეთი უსიტყვოდ აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ხელშეკრულების III მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შავი ზღვის გუბერნიის გარდა, ყოფილი რუსეთის იმპერიის შემდეგ გუბერნიებს და ოლქებს: ტფილისს, ქუთაისს და ბათუმს თავისი მაზრებით და ოლქებით, ასევე ზაქათალის და ბათუმის ოლქებს.

2. შემდგომში, საქართველოსა და სხვა (რუსეთის გარდა) სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გარკვევის შემდეგ, რომლებიც

საქართველოს საზღვრებთან არსებობენ და მომავალში იარსებებენ, რუსეთი მზად არის, აღიაროს საქართველოს შემადგენლობაში ყოფილი კავკასიის მეფისნაცვლის ის ოლქები, რომლებიც საქართველოს გადაეცემა ამ სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი V

აღიარებს რა რუსეთის მიერ ამიერიდან საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი სამხედრო ოპერაციების, სამხედრო ძალების ყოფნის, ან ისეთი მოქმედებების დაუშვებლობას, რომელთაც საქართველოს ტერიტორიაზე შეუძლიათ შექმნან პირობები, რომლებიც მის დამოუკიდებლობას დაემუქრება ან საქართველოს ტერიტორიას გადააქცევს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების და იქ დამყარებული სახელმწიფო მართლწესრიგის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციების ბაზად, საქართველო იღებს ვალდებულებას:

1. დაუყოვნებლივ განაიარალოს და მოახდინოს საკონცენტრაციო ბანაკებში ინტერნირება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი, თუ ასეთები არსებობენ ან მომავალში მისი საზღვრების გადაკვეთას დააპირებენ, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ნაწილების, გუნდების და ჯგუფებისა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის წარმომადგენლის როლზე, ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობის წარმომადგენლის როლზე, ასევე იმ წარმომადგენლობებისა და თანამდებობების პირების, ორგანიზაციებისა და ჯგუფების, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის ან მის მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების დამხობას.

2. დაუყოვნებლივ განაიარალოს და მოახდინოს ინტერნირება საქართველოს პორტებში მყოფი ყველა იმ ხომალდებისა, რომლებიც ამ მუხლის 1-ლ პუნქტში ნახსენებ სამხედრო-საზღვაო ძალებს, ორგანიზაციებს და ჯგუფებს მიეკუთვნებიან. ამ ხომალდების ეკიპაჟების მიმართ მთლიანად გამოიყენება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დადგენილება.

3. გადასცეს რუსეთს უსასყიდლოდ და არ მოითხოვოს ამისათვის არავითარი საზღაური, უკლებლივ მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, ფასეულობა, ფულადი თანხები, რომლებიც ამ მუხლის 1-ლ პუნქტში ნახსენები ორგანიზაციების და ჯგუფების მფლობელობაში, სარგებლობაში ან განკარგულებაში იქნება და ამავე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად საქართველოს განკარგულებაში გადავა.

სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონებაში ამ პუნქტის მიხედვით იგულისხმება: ხომალდები და სხვა მცურავი საშუალებები, ასევე საარტილერიო, საინტენდანტო, საინჟინრო და საავიაციო მობარაგების ყველა საგნები.

4. გადასცეს რუსეთს მათი განიარაღების შემდეგ ორგანიზაციები, ჯგუფები და ხომალდის ეკიპაჟები, რომლებიც ამ მუხლის 1-ლ პუნქტშია ნახსენები. რუსეთი კისრულობს, სიცოცხლე შეუნარჩუნოს ამ მუხლით მისთვის გადაცემულ ყველა პირს.

5. მიიღოს ზომები საქართველოს ტერიტორიიდან (იმ საზღვრებში, რომლებიც ხელშეკრულების IV მუხლით არის განსაზღვრული) ყოველგვარი სახის ჯარების და სამხედრო რაზმების გასაყვანად, რომლებიც არ შედიან საქართველოს სამთავრობო ჯარების შემადგენლობაში.

6. მიიღოს ზომები, რათა ამიერიდან არ დაუშვას საქართველოს ტერიტორიაზე ჯარებისა და სამხედრო რაზმების ყოფნა, რომლებიც ამ მუხლის მე-5 პუნქტშია ჩამოთვლილი.

7. იმ პირებს, რომლებიც ამ მუხლის 1-ლ და მე-5 პუნქტებში ჩამოთვლილ ნაწილებს, ორგანიზაციებს და ჯგუფებს მიეკუთვნებიან, აეკრძალოთ რაიმე სახით, მათ შორის მოხალისედ შესვლა საქართველოს სამთავრობო ჯარებში. ვინაიდან ეს პირები არ არიან ეროვნებით ქართველები.

8. ამიერიდან არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ხელშეკრულების IV მუხლით დადგენილ საზღვრებში ისეთი ორგანიზაციებისა და ჯგუფების შექმნა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ან რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობის როლზე. ასევე არ დაუშვას წარმომადგენლობები და თანამდებობის პირები, ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებიც მიზნად

ისახავენ რუსეთის მთავრობის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობების დამხობას. საქართველო ასევე იღებს ვალდებულებას, არ დაუშვას მითითებული ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს ტერიტორიის გავლით ყველა იმ საგნების გადატანა, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას რუსეთზე ან მის მოკავშირე სახელმწიფოზე თავდასხმისათვის, ასევე აკრძალოს თავის პორტებში და წყლებში ასეთი ორგანიზაციების ხომალდებისა და სხვა მცურავი საშუალებების ყოფნა, იმ გამონაკლისის გარდა, რომელსაც საერთაშორისო სამართალი აწესებს კატასტროფაში მოყოლილი ხომალდებისათვის.

9. იმ შემთხვევაში, თუ მე-8 პუნქტში ჩამოთვლილი ორგანიზაციები, ჯგუფები, წარმომადგენლობები და თანამდებობის პირები შეეცდებიან დაარღვიონ ზემოაღნიშნულ მე-8 პუნქტში განსაზღვრული აკრძალვა, იმ პირებისა და ქონების მიმართ, რომლებსაც საქართველოს მთავრობა დააკავებს ამ მუხლის მე-8 პუნქტში აღებული ვალდებულების თანახმად, მიიღება ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები.

10. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ზომები უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე. საქართველო კისრულობს, ეს უმოკლეს ვადაში შეასრულოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭირო გახდება ძალის გამოყენება.

მუხლი VI

რუსეთი იღებს ვალდებულებას, არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე იმ ჯგუფებისა და ორგანიზაციების ყოფნა და მოღვაწეობა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს ან მისი ნაწილის მთავრობის როლზე. ასევე ის ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ საქართველოს მთავრობის დამხობას. რუსეთი იღებს ვალდებულებას, გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა თავის მოკავშირე სახელმწიფოებზე მათ ტერიტორიაზე ამ მუხლში მითითებული ჯგუფებისა და ორგანიზაციების არდაშვების მიზნით.

მუხლი VII

შესაძლო გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების V მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესრულებისას საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილებზე, რომლებიც მის შემადგენლობაში შევლენ ხელშეკრულების IV მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოსა და რუსეთის გარდა სხვა მის მოსაზღვრე ქვეყნებს შორის საზღვრის დადგენისას, საქართველოს ამ ტერიტორიებზე უმაღლესი სახელმწიფოებრიობის ფორმალურად განხორციელების შემდეგ მის მიერ უმოკლეს ვადაში იქნება მიღებული აუცილებელი გამაფრთხილებელი ზომები.

მუხლი VIII

ამ ხელშეკრულების V და VI მუხლების შესრულებაზე სამეთვალყურეოდ, აღნიშნული მუხლების მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული პირებისა და ქონების ჩასაბარებლად და მისაღებად იქმნება შერეული კომისია ორივე მხარის წარმომადგენლებისგან თითოეული მხარისაგან წევრთა ერთნაირი რაოდენობით.

კომისიის მუშაობის წესებს თავად კომისია განსაზღვრავს, ხელშეკრულების V მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში ნახსენები პირებისა და ქონების ჩაბარება და მიღება უნდა დასრულდეს ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ორი თვის ვადაში.

მუხლი IX

1. ქართული წარმოშობის პირებს, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და 18 წლის ასაკს მიაღწიეს, უფლება აქვთ მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. ასევე არაქართული წარმოშობის პირებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მითითებულ ასაკს მიაღწიეს, უფლება აქვთ მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა.

2. ამ მუხლის შესრულების წესის დეტალები შეიძლება გაფორმდეს ხელშემკვრელი მხარეების საგანგებო შეთანხმებით.

3. ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებული უფლებით, ვალდებული არიან შეასრულონ აუცილებელი ფორმალობები ამ მუხლის მე-9 პუნქტში ნახსენები შეთანხმების ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში.

მუხლი X

საქართველო იღებს ვალდებულებას, გაათავისუფლოს სასჯელისა და შემდგომი სასამართლო ან ადმინისტრაციული დევნისაგან ყველა ის პირი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ასეთ დევნას განიცდის რუსეთის სოციალისტურ ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლოდ ჩადენილი ქმედებისათვის.

შენიშვნა: საქართველო იღებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ის პირები, რომლებიც პატიმრობაში იმყოფებიან ზემოაღნიშნულ ქმედებების გამო.

მუხლი XI

თითოეული ხელშემკვრელი მხარე იღებს ვალდებულებას, აღიაროს და პატივი სცეს მეორე მხარის დროშას და გერბს, როგორც მეგობარი სახელმწიფოს ემბლემებს. დროშისა და გერბის ნიშნები და მასში შეტანილი ცვლილებები, თუკი ასეთები იქნება, მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობენ დიპლომატიური არსებით.

მუხლი XII

ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ხელშემკვრელ მხარეებს შორის სავაჭრო ხელშეკრულების ხელმოწერამდე, რისთვისაც აუცილებელი ზომები

შესაძლებლობის ფარგლებში სწრაფად უნდა იქნეს მიღებული, ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი დებულებები:

1. ხელშემკვრელი მხარეები ურთიერთშორის სავაჭრო ურთიერთობებს საფუძვლად უდებენ უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს.

2. საქონელი, რომელიც მოძრაობს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარიდან ან მისი მიმართულებით, არ უნდა დაიბეგროს მეორე მხარის მიერ არავითარი სატრანზიტო გადასახადით ან მოსაკრებლებით.

მუხლი XIII

ხელშეკრულების XII მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დადგენილებები საფუძვლად უნდა დაედოს სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე XII მუხლის ძალით ხელშემკვრელ მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს.

მუხლი XIV

დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის დამყარდება შესაძლო უმოკლეს ვადაში. ხელშემკვრელ მხარეებს შორის კონსულთა შესახებ საგანგებო შეთანხმების ხელმოწერამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ზომები, მათი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება დღემდე არსებული, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მიერ დადგენილი კანონებით.

მუხლი XV

საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი საკითხები, რომლებიც ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეებს შორის წარმოიქმნება, ასევე ორივე სახელმწიფოს შორის ცალკეული საკითხები მოწესრიგდება საგანგებო შერეული ქართულ-რუსული კომისიის მიერ, რომელიც შეიქმნება ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან უმოკლეს

ვდაში. ამ კომისიების შემადგენლობა, უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება თითოეული კომისიისთვის დაწესებული საგანგებო ინსტრუქციებით, რომლებსაც ხელშემკვრელი მხარეები დააწესებენ შეთანხმებით.

სხვა საკითხებთან ერთად ამ კომისიებს დაევალება:

1. სავაჭრო ხელშეკრულების და ეკონომიკური ხასიათის სხვა ხელშეკრულებების შედგენა.

2. ყოფილ ცენტრალურ დაწესებულებებში არქივებსა და საქმის წარმოების, სასამართლო და ადმინისტრაციული დეპოზიტების, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფის საკითხების მოგვარება.

3. ბათუმი-ბაქოს ნავთობსადენის სარგებლობის, მფლობელობისა და განკარგვის წესის საკითხის განსაზღვრა, მის იმ ნაწილში, რომელიც ამ ხელშეკრულების IV მუხლის ძალით საქართველოს ტერიტორიაზე იქნება. ეს საკითხი შემდგომში მოწესრიგდება ხელშემკვრელ მხარეებს შორის საგანგებო შეთანხმებით.

მუხლი XVI

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და არ ექვემდებარება საგანგებო რატიფიკაციას. ორივე მხარის რწმუნებულები პირადად აწერენ ხელს ხელშეკრულებას და თან ურთავენ საკუთარ ბეჭედს. ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად მოსკოვში, შვიდ მაისს, ათას ცხრაას ოც წელს.

გ. ურატაძე

ლ. კარახანი

ა. რუსეთ - საქართველოს 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება

ქვემოთ ხელისმომწერნი, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მთავრობამ მიიღო აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის წინასწარი თანხმობა ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებზე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I: საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარსა და ზაქათლის ოლქში სადავო დასახლებების საკითხი გადაეცემა შერეულ კომისიას, რომელიც თანაბრად დაკომპლექტდება აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლებით და რსფსრ-ის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის ყველა გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებისათვის.

მუხლი II: საქართველო და აზერბაიჯანი კომისიის მიერ იმ საკითხების გადაწყვეტამდე, რომელიც ამ შეთანხმების I მუხლშია აღნიშნული, არ შეიყვანენ ზაქათლის ოლქში დამატებით ჯარებს, გარდა ამ შეთანხმების მომენტში იქ მყოფი ძალებისა.

მუხლი III: ეს დამატებითი შეთანხმება განხილული იქნება, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. მითითებული ხელშეკრულების მსგავსად ის ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და არ ექვემდებარება საგანგებო რატიფიკაციას.

ამის დასამოწმებლად ქვემოთ ხელისმომწერნი პირადად აწერენ ხელს შეთანხმებას და ამოწმებენ თავისი ბეჭდით.

ხელმოწერილია მოსკოვში ორ ვებჰმპლარად, 1920 წლის 12 მაისს.

გრ. ურატაძე¹

ლ. კარახანი²

¹ ურატაძე გრიგოლ (1879-1950) - ქართველი სოციალ-დემოკრატი. ა/კ სეიძის და ხდრ დამფუძნებელი კრების წევრი. ხელი მოაწერა საქართველო-რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულებას 1920 წლის 7 და 12 მაისს.

² კარახანი ლევ (1889-1937) - საბჭოთა დიპლომატი. ბრესტის საზავო მოლაპარაკებებზე საბჭოთა დელეგაციის მდივანი (1918), რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე (1918-1920).

ბ. რუსეთ-საქართველის ხელშეკრულების განსაკუთრებული საიდუმლო დამატება.

მუხლი I: საქართველო იღებს ვალდებულებას, მიანიჭოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ კომუნისტურ ორგანიზაციებს თავისუფალი არსებობის და მოღვაწეობის უფლება, ასევე კრებების თავისუფლად მოწყობის და თავისუფალი გამოცემების (მათ შორის ბეჭდვითი ორგანოების) უფლება.

ნებისმიერ შემთხვევაში, კომუნისტური პროპაგანდის და აგიტაციისათვის არ გატარდება არც სასამართლო და არც ადმინისტრაციული ხასიათის რეპრესიები კერძო პირების მიმართ.

მუხლი II: ეს საიდუმლო დამატება ამავე რიცხვში რუსეთსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და აღნიშნულ ხელშეკრულებასთან ერთად ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან, შემდგომი რატიფიკაციის გარეშე.

ხელმოწერილია მოსკოვში ორ ეგზემპლარად, 1920 წლის 7 მაისს.

გრ. ურატაძე

ლ. კარახანი

ზურაბ ავალიშვილის¹ ანგარიში საქართველოს
მთავრობას საქართველოს ერთა ლიგაში
მიღების საკითხზე¹⁶⁶

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას

ერთა ლიგის² საერთო კრებაზე საკითხის დაყენება მომზადდა უნევაში ერთა ლიგის სამდივნოსთან მოლაპარაკების და მიმოწერის გზით და ლონდონში, სადაც სამდივნო იმყოფებოდა 1920 წლის 1 ნოემბრამდე. მემორანდუმი საქართველოს ერთა ლიგაში მიღების შესახებ სხვა

¹ ზურაბ ავალიშვილი (1876-1944) — იურისტი და ისტორიკოსი. 1918-1921 წლებში საქართველოს სამთავრობო დელეგაციების წევრი ბათუმის და პარიზის საზაო კონფერენციებზე.

² ერთა ლიგა — სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია 1919-1946 წლებში. ერთა ლიგაში თავდაპირველად შედიოდა 44 ქვეყანა.

უნიშვნელოვანეს დოკუმენტებთან ერთად სამდივნოს დროულად წარედგინა, შემდეგ კი დაიბეჭდა (ფრანგულ და ინგლისურ ენებზე) საერთო კრების წევრებისათვის დასარიგებლად და პროპაგანდის მიზნით. ერთა ლიგაში წარდგინება დამატებით, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოაშზადა, მივიღეთ ძალიან გვიან და მისი კუთვნილების შესახებ ინფორმაცია აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა.

თავის მხრივ სამდივნომ საერთო კრებისათვის მოაშზადა მემორანდუმი საქართველოს საკითხზე ჩვენი მასალების საფუძველზე და დაბეჭდა ძირითადი შუამდგომლობის ტექსტი.

ლიგის შემადგენლობაში ახალი წევრების მიღების საკითხების განსახილველად ჟენევაში შეიქმნა საგანგებო (მეხუთე) კომისია 36 წევრისაგან ჩილელი დელეგატის, ბ-ნ ანტონიო გუნელუსის თავმჯდომარეობით. სხვადასხვა შუამდგომლობები ლიგაში მიღების შესახებ სამ ქვეკომისიას შორის გადანაწილდა.

საქართველოს საკითხი (აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინასა და კოსტა-რიკასთან ერთად) განსახილველად გადაეცა მე-3 ქვეკომისიას (თავმჯდომარე ფ. ნანსენი,¹ წევრები: პროფ. იონესკუ (რუმინეთი), ე. მილენი (ავსტრია), ნ. პალასიოსი (ესპანეთი), ნ. პოლიტიისი (საბერძნეთი), სპალაიკოვიჩი (სერბია, ზორვატია, სლოვენია) და ძან-ძაი-ჟუ (ჩინეთი)

ქვეკომისიას დაეკისრა: შეესწავლა საქართველოსა და ბალტიის 3 სახელმწიფოს მდგომარეობა. დავალემა იმაში მდგომარეობდა, რომ გადაეკადებინათ ამ სახელმწიფოთა მიღება ერთა ლიგაში, მაგრამ იმედროულად ხელი არ ეკრათ მათთვის და ახლავე დაეწყოს ლიგასთან მათი პრაქტიკული თანამშრომლობა.

ეს ფორმულა მიიღო მე-5 კომისიამ შემდეგი საბოლოო სახით: „კომისია რეკომენდაციას აძლევს კრებას, რათა აცნობოს საქართველოს მთავრობას:

ა) მისი შუამდგომლობა განიხილეს კეთილგანწყობით, მაგრამ გარემოებები საშუალებას არ აძლევს კრებას, გამოიტანოს საბოლოო დადგენილება.

ბ) ამიერიდან კრების შემდგომ გადაწყვეტილებებამდე, სახელმ-

¹ ფრიტიოფ ნანსენი (1861-1930) — ნორვეგიელი მეცნიერი, მოგზაური და საზოგადო მოღვაწე. მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი.

წიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის ტექნიკურ ორგანიზაციებში, საერთო ინტერესების გათვალისწინებით.“

(მომყავს მხოლოდ ძირითადი პუნქტი).

ეს დასკვნა შეიტანეს ასამბლეაზე განსახილველად. ბალტიის სახელმწიფოებისა და საქართველოს ლიგაში მიღების საკითხი კრებამ 16 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე განიხილა. იმავე დღეს დილით სომხეთის მიღებაზე უარი თქვეს 21 ხმით 8-ის წინააღმდეგ (მას შემდეგ, რაც მიიღეს აესტრია, ბულგარეთი, კოსტა-რიკა, ფინეთი და ლუქსემბურგი).

ბალტიის სახელმწიფოებისა და საქართველოს საკითხზე კენჭისყრას წინ უძღოდა გაცხოველებული კამათი. კოლუმბიის დელეგატი რესტრეპო კომისიის დასკვნას აპროტესტებდა. „ეს სახელმწიფოები – განაცხადა მან, – აკმაყოფილებენ ახალი წევრების მიმართ წაყენებულ ყველა მოთხოვნას, თავად კომისია აღიარებს ამას. ის იმიზეზებს რაღაც „გარემოებებს“, რომლებიც ხელს უშლის ამ კანდიდატების მიღებას, მაგრამ ლიგის წესდებით არ არის დაშვებული მიღებაზე უარის თქმა „გარემოებების“ გამო. მათი არმიღება ლიგის სისუსტის დამადასტურებელი იქნება.“

პორტუგალიელი შაგასი მოითხოვდა მიღებას დათქმით, რომ თითოეული სახელმწიფო, როცა მოისურვებს, მაშინ ცნობს ახალ წევრებს „დე იურე“ დამოუკიდებლად.

სპარსეთის დელეგატი ზოკა-ედ-დოულე ძალიან ენერგიულად მოითხოვდა განსაკუთრებით საქართველოს მიღებას.

პადრევსკის სიტყვით, პოლონეთის სიმპატიები, რა თქმა უნდა, ამ კანდიდატების მიღების მხარეზეა, მაგრამ პოლონეთმა იცის, ვის უნდა უმადლოდეს თავის დამოუკიდებლობას და ხედავს, რომ ახალი წევრების მიღება ნაადრევია. ამდენად პოლონეთი იძულებულია, თავი შეიკავოს. ანალოგიური პოზიცია დაიკავა რუმინეთის დელეგატმა ნონესკუმ. ვივიანიმ (საფრანგეთი) ენერგიულად წარმოაჩინა რუსეთთან დაკავშირებული საკითხების ნაწილობრივ გადაჭრის უხერხულობა და ის სიძნელები, რომლებიც ლიგის ხელშეკრულების მე-10 მუხლის თანახმად, ლიგის მიერ ახალი წევრების ტერიტორიის თავდასხმისაგან დაცვას უკავშირდება. ბრანტინგს (შვეიცია) მხედ-

ველობაში ჰქონდა იგივე სიძნელები, როცა ის ღრმა სიმპატიებს გამოხატავდა ბალტიის სახელმწიფოთა მიმართ, მაგრამ მაინც მათი მიღების საკითხის მომდევნო კრებამდე გადადებას სთავაზობდა.

შემდგომი კენჭისყრით საქართველოს საკითხი რ. სესილის (სამხრეთ აფრიკა) და ფ. ნანსენის (ნორვეგია) წინადადებით ცალკე გამოიყო.

კენჭისყრის შედეგები

ვოტუმში მონაწილეობდნენ	მიღებისათვის აუცილებელი ხმების რაოდენობა	კენჭი უყარეს	
		მომხრე	მოწინააღმდეგე
ესტონეთი 32	22	5	27
ლატვია 29	20	5	24
ლიტვა 29	20	5	24

ამრიგად, ეს სახელმწიფოები ლიგაში არ მიიღეს. ამის შემდეგ საქართველოს მიღებაზე მზნებარე სიტყვა წარმოთქვა ნანსენმა, რომელმაც შესაფერი პატივისცემით მოიხსენია ქართველი ხალხი და მიუთითა, რომ საქართველოს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ თავად ლიგისთვის. ამ ემოციურმა გამოსვლამ ინგლისურ ენაზე, რომელიც იქვე შესანიშნავად ითარგმნა ფრანგულად, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნანსენის შემდეგ ამავე აზრის მხარდასაჭერად გამოვიდა ლორდი რობერტ სესილი, რომელმაც კრების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლიგაში საქართველოს მიღების მნიშვნელობას, იმ ვალდებულებათა თვალსაზრისით, რომლებიც ლიგამ სომხეთთან დაკავშირებით აიღო.

ამ ორი გამოსვლისთანავე სიტყვა აიღო ფიშერმა (დიდი ბრიტანეთი), რომელმაც განაცხადა, რომ ნანსენისა და სესილის მტკიცებები სავსებით სწორია, მაგრამ საქართველოს დაცვის სიძნელე სიძნელედ რჩება და რომ არ არსებობს საქართველოს საკითხის ბალტიის

სახელმწიფოებისგან გამოყოფის საფუძველი, რომ საჭიროა ისეთი მსჯელობა, როგორც პასუხისმგებელ სახელმწიფო პირებს შეეფერებათ და ა. შ.

მთელი დარბაზის დაძაბული ყურადღების, გადაჭედული ტრიბუნების პირობებში დაიწყო კენჭისყრა. აი მისი შედეგები.

სულ ხმა მისცა	ასარჩევად საჭირო იყო	მომხრე	წინააღმდეგი
24 სახელმწიფომ	16	10	14

ასე რომ საქართველო ლიგის წევრად არ აირჩიეს. საქართველოს მიღებას ხმა მისცეს: სამხრეთ აფრიკამ, ბოლივიამ, კოლუმბიამ, იტალიამ, ნორვეგიამ, პარაგვაიმ, სპარსეთმა, პორტუგალიამ, შვეიცარიამ და ჩილემ. წინააღმდეგ ხმა მისცეს: ავსტრალიამ, კანადამ, კუბამ, დიდმა ბრიტანეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, ინდოეთმა, ახალმა ზელანდიამ, ნიდერლანდმა, იუგოსლავიამ, ჩეხოსლოვაკიამ და დანიამ.

საქართველომ ორჯერ მეტი ხმა მიიღო ვიდრე ბალტიის რესპუბლიკებმა. მისი მიღების წინააღმდეგ გაცილებით ნაკლები ხმა მისცეს, რაც იმით აიხსნება, რომ თავი შეიკავა გაცილებით მეტმა (ლიგის რეგლამენტის მიხედვით, თავის შეკავება არყოფნას უთანაბრდება). თავი შეიკავეს: ბელგიამ, პოლონეთმა, შვეციამ, რუმინეთმა.

ინგლისის და საფრანგეთის პოზიციამ საქართველოს არჩევა არსებითად შეუძლებელი გახადა. მოცემულ პირობებში კენჭისყრის შედეგები შეიძლება წარმატებადაც კი ჩაითვალოს (სხვათა შორის, ასეთია შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტის გ. მოტას აზრი). ხოლო იმ განსაკუთრებულმა ყურადღებამ, რომელიც საქართველოს შესახებ კამათს დაეთმო და რომელსაც თვალს ადევნებდნენ ყველა კონტინენტის 40 სახელმწიფოს, ასევე მთელი მსოფლიოს პრესის წარმომადგენლები, უეჭველად გამოიწვია ის, რასაც ველოდით: საქართველოს კანდიდატურა ერთა ლიგაში საქართველოს დამოუკიდებლობის პროპაგანდის მძლავრი, შეუდარებელი იარაღი აღმოჩნდა. ეს იდეა სამყაროს

ორივე ნაწილის პოლიტიკურ ჰორიზონტში საბოლოოდ იმკვიდრებს ადგილს და ამ შედეგის გათვალისწინებით, ლიგაში საქართველოს მიღების გადავადების ფაქტი მნიშვნელობას კარგავს.

დასასრულს, აუცილებლად მიმაჩნია, აღვნიშნო: 1) 16 დეკემბრის ვოტუმი კრებამ გაიაზრა, როგორც საბოლოო გადაწყვეტილების მხოლოდ გადავადება; 2) ლიგის კრების მომდევნო სესია შეიკრიბება 1921 წლის 1 სექტემბერს, ე. ი. 9-10 თვის შემდეგ; 3) საქართველოს, თუ სურვილი აქვს, ახლავე შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგასთან არსებულ პრაქტიკულ ორგანიზაციებში (კონფერენციები და კომიტეტები: ფინანსურ და ეკონომიკურ, საერთაშორისო სანიტარიის და ჰიგიენის, საერთაშორისო მიმოსვლის და ტრანზიტის საკითხებზე; შრომის ბიუროში). ამასთან ის ამ ორგანიზაციებში მონაწილეობას მიიღებს ლიგის წევრ-სახელმწიფოებთან თანაბარ პირობებში (ამ თვალსაზრისით მიიღეს მე-5 კომისიის თავდაპირველი წინადადებების შესწორება 16 დეკემბრის სხდომაზე).

ზურაბ ავალიშვილი

პარიზი, 20 დეკემბერი, 1920.

P. S. ყველა მასალა, ანგარიში, ოქმები და სხვ., რომელიც ერთა ლიგასთან არის დაკავშირებული, დაუყოვნებლივ გამოვ ზავნილია ტფილისში. ზემოაღნიშნული მხოლოდ მოკლე თემატურ მიმოხილვას წარმოადგენს. მრავალი არსებითი წვრილმანის გამოტოვება მომიხდა.

რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს
ინფორმაცია საქართველოს მენშევიკური
მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს
რსფსრ-სთან დადებული ხელშეკრულების
პირობების დარღვევის შესახებ ¹¹⁶⁴

ტფილისი. 1921 წლის 18 იანვარი. — საქართველოს მთავრობის მიერ 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევა, მისი უარი ყველაზე ძვირფასი რუსული ხომალდების დაბრუნებაზე, რომლებიც ვრანგელის ხელშია და ქართულ პორტებში შევიდა, მიღწეული შეთანხმე-

ბებისა და ელემენტარული პრინციპების დარღვევა წარმომადგენლობის თანამშრომელთა რეპრესიების საკითხში, რომელთაგან ზოგიერთი ქუთაისის კატორღაშია დამწყვედელი, კომუნისტების გათავისუფლების შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევა და მათი დევნა მხოლოდ და მხოლოდ ამ პარტიისადმი კუთვნილების გამო, რუსული დროშის შეურაცხყოფა ბათუმში ქართული ხელისუფლების მიერ, იქვე ჩვენი მისიის კურიერის გაძარცვა და დამნაშავეთა დაუსჯელობა – ასეთია რუსეთისა და აზერბაიჯანის მიერ საქართველოში ნაეთობის მიწოდების შეწყვეტის მიზეზები.

17-ში დილით განსაკუთრებული რაზმის ჩინოსნებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორდერით დალუქეს ცენტროსოიუზის საწყობები, საღარო, დააპატიმრეს რსფსრ და ასსრ ყველა საქონელი. დაპატიმრება და დალუქვა მოხდა საქართველოს მთავრობის 15 იანვრის დადგენილების საფუძველზე, სადაც აღნიშნულია: „აზერბაიჯანში საქართველოს სამარშრუტო მატარებლების დაკავებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ დაადგინა რსფსრ და ასსრ-ს საქართველოში არსებული ქონების დაყადაღება.“

ბ) ქართული დიალოგატიური აზრი 1921-1990 წლებში

**საკვაჭრო შეთანხმება დიდი ბრიტანეთის
მთავრობასა და რუსეთის სოციალისტურ
ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის
მთავრობას შორის ^[168]**

შეთანხმება განპირობებულია შემდეგი პირობების შესრულებით:

ა) თითოეულმა მხარემ თავი უნდა შეიკავოს მტრული მოქმედების ან ღონისძიებებისაგან მეორე მხარის წინააღმდეგ, ისევე როგორც საკუთარ საზღვრებს გარეთ რაიმე ოფიციალური პირდაპირი ან ირიბი პროპაგანდისაგან ბრიტანეთის იმპერიის ან რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ორგანოების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ თავი უნდა შეიკა-

ვოს სამხედრო, დიპლომატიური ან ზემოქმედების სხვა საშუალები და პროპაგანდის გამოყენებისაგან აზიის რომელიმე ხალხთან მიმართებაში, რაც ბრიტანეთის ინტერესების საწინააღმდეგო იქნება. განსაკუთრებით ინდოეთში, და ავღანეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ბრიტანეთის მთავრობა იღებს ანალოგიურ განსაკუთრებულ ვალდებულებას, იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდნენ და ამჟამად დამოუკიდებელნი გახდნენ.

ლონდონი, 1921 წლის 16 მარტი.

რ. ს. ჰორნი,
ლეონიდ კრასინი¹

საქართველოს მთავრობის მემორანდუმი უცხო
სახელმწიფოების მთავრობებისადმი საბჭოთა
რუსეთის ჯარების საქართველოში
თავდასხმის შესახებ ^[166]

1921 წლის 19 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელმაც ხელისუფლება მიიღო ხალხის ნება-სურვილით, რამაც გამოხატულება ჰპოვა საყოველთაო არჩევნებში, იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა.

ამგვარი ვითარება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ და ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფეხქვეშ გათლევამ, რამაც კანონიერ მთავრობას მოუსპო მშობლიურ მიწა-წყალზე თავისი ფუნქციების შესრულების საშუალება.

ქვემოთ მოცემულია მოკლე აღწერა იმ ამბებისა, რომლებიც წინ უსწრებდნენ მტრის მიერ საქართველოს ოკუპაციას. თავისი არსებობის პირველი დღიდანვე საქართველოს რესპუბლიკა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შეენარჩუნებინა მშვიდობიანი ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან.

¹ ლეონიდ კრასინი (1870-1926) – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე. რუსეთის ულჩი დიდ ბრიტანეთში და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი (1920-1923).

საკუთარი სახელმწიფოს ორგანიზაციის საქმე ხალხმა მიანდო იმ პირებს, რომლებიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე სათავეში ედგნენ საქართველოს პოლიტიკურ მოძრაობას და წარმოადგენდნენ მას რუსეთის იმპერიის ოთხ სათათბიროში.

ხალხის ნდობა, რომლითაც საქართველოს მთავრობა სარგებლობდა (დამფუძნებელ კრებაში მას ადგილების უმრავლესობა, 80%-ზე მეტი, ეკავა), იცავდა საქართველოს რესპუბლიკას ქვეყნის შიდა კრიზისებისაგან, რომლებიც პარტიებს შორის ბრძოლას შეეძლო გამოეწვია.

ქვეყნის ამგვარი უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო ფართო რეფორმების წყალობით, რომლებიც გატარებული იქნა ხალხის ერთ-სულოვანი ნების შესაბამისად.

შექმნილ ვითარებაში რესპუბლიკის არსებობას შეიძლება დამუქრებოდა მხოლოდ გარეშე ძალები, რაც საქართველოს მთავრობას ავალებდა გამოეჩინა განსაკუთრებული სიფრთხილე საგარეო პოლიტიკაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაახლოება მეზობელ ქვეყნებთან, ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის განმტკიცება – ასეთი იყო მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი.

მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ერთგული იყო მასზე დაკისრებული მოვალეობისა – დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, ვერ დაუშვებდა იმას, რომ რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს საქართველოსთვის მოეხვია თავს საკუთარი ნება, კანონები და ეკარნახა მისთვის, თუ როგორი პოლიტიკა უნდა განეხორციელებინა მას ევროპის ქვეყნის მიმართ.

ამგვარი ვითარების შედეგმა, ცხადია, არ დააყოვნა. მოსკოვის მთავრობა სიძულვილით განიმსჭვალა საქართველოს მიმართ. მას სურდა გაბატონებულიყო მთელს ამიერკავკასიაში და იგი საკუთარი სარგებლობისათვის პოლიტიკურ იარაღად ექცია. როდესაც ბოლშევიკებმა საქართველოს მთავრობისაგან კატეგორიული უარი მიიღეს იმის თაობაზე, რომ საქართველო მოსკოვის აგენტი გამხდარიყო და ჩამდგარიყო საბჭოთა რუსეთის ავანტიურისტულ იმპერიალისტური პოლიტიკის ფარგატერში, მათ საქართველოს მთავრობა ანტანტის აგენტად გამოაცხადეს.

საქართველოს „გასაბჭოება“ ბოლშევიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა წინა აზიაში.

მოსკოვის ემისრების მიერ მოწყობილი აჯანყების, შეთქმულებებისა თუ მოსყიდვის არაერთი ამო მცდელობის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად 1920 წლის 7 მაისს საქართველოსთან დადებული საზავო ხელშეკრულებისა, გადაწყვიტა დაეპყრო ეს ქვეყანა იარაღით.

1920 წლის დეკემბერში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის სარდალს, ჰეკერს დაევალა მოხსენება წარედგინა რუსეთის მთავრობისათვის, თუ რა ოდენობის შეიარაღებული ძალები იყო საჭირო საქართველოს დასაპყრობად.

თავის დაწერილებით მოხსენებაში სარდალი ამტკიცებდა, რომ მისი არმია, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებდა საქართველოს დაპყრობაში წარმატების მიღწევას, თუ ანგორას მთავრობა კეთილგანწყობას გამოიჩინდა ამ წამოწყების მიმართ, ამის გამო ბოლშევიკები იძულებული გახდნენ დროებით გადაედოთ საქართველოზე თავდასხმა, მაგრამ იმ დღიდანვე დაიწყეს ჯარების თავმოყრა საქართველოს საზღვრებთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა პროტესტი უგულებელყოფილ იქნა.

კარზე მომდგარი ომის თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობა შეეცადა გაერკვია, თუ რა მიზნები ამოძრავებდა რუსეთის მთავრობას ამიერკავკასიაში. ამისთვის მას მონაწილეობა უნდა მიეღო რუსეთ-თურქეთის კონფერენციაში, რომელიც მოსკოვში უნდა გამართულიყო ამ წლის (იგულისხმება 1921 წელი, რედ.) თებერვლის თვეში, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ეს წინადადებაც უპასუხოდ დატოვა.

საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები – როგორმე თავიდან აეცილებინა იმ დროისათვის უკვე გასაბჭოებული სომხეთის მხრიდან მოსალოდნელი გართულებები, უშედეგო აღმოჩნდა. ერევნის მთავრობამ თანხმობა განაცხადა, მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ ამ ორ რესპუბლიკას შორის არსებული სადავო საკითხები და მოეწვიათ სომხეთ-საქართველოს კონფერენცია. იგი უნდა შემდგარიყო თბილის-

ში 15 თებერვალს მაგრამ ამ დროს, 11 თებერვალს, რუსეთის მე-11 არმიის სამხედრო ნაწილები შემოესივნენ საქართველოს სომხეთის მხრიდან.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა საქართველოში ბატონმა შენმანმა – საქართველოს მთავრობას განუცხადა, რომ რუსეთმა არაფერი იცოდა ამ თავდასხმის შესახებ, რომ თავდამსხმელი იყო სომხეთის მთავრობა. იმავედროულად საქართველოს მთავრობამ საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლის – ბატონ შავერდოვისაგან მიიღო არანაკლები კატეგორიული განცხადება, რომ სომხეთის მთავრობას არაფერი კავშირი არ ჰქონდა საქართველოზე ამ თავდასხმასთან.

ფაქტები კი იმაზე მეტყველებენ, რომ ამ ორი განცხადებიდან ბატონი შავერდოვის მტკიცება იყო მართალი: თბილისის მისადგომებთან გაჩაღებული ბრძოლის დროს ქართველმა სამხედრო ნაწილებმა ხელთ იგდეს მრავალი ტყვე. როგორც დაკითხვებმა ცხადყო, უკლებლივ ყველა ტყვე ჯარისკაცი რუსეთის ცენტრალური პროვინციებიდან იყო. სწორედ ისინი ქმნიდნენ მოსკოვის ჯარების რეგულარულ შენაერთებს. ამდენად სომხეთი კი არა, არამედ საბჭოთა რუსეთის ჯარები შეესია საქართველოს 11 თებერვალს სომხეთიდან.

15 თებერვალს აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს თავს დაესხა მე-11-არმიის ახალი ქვედანაყოფები, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა ცხენოსანთა შენაერთები.

საქართველოს მთავრობამ მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე დამპყრობლის უკუსაგდებად, შეეცადა დიპლომატიური გზებით შეჩერებინა ომი.

16 თებერვალს საქართველოს მთავრობის მეთაურმა სცადა დაკავშირებოდა მოსკოვის ტელეგრაფის პირდაპირი ხაზით, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ ბატონმა კარახანმა – უარი თქვა საქართველოს პრეზიდენტთან დალაპარაკებაზე, თუმცა აპარატის წინ იდგა.

მეორე დღეს თბილისის ტელეგრაფის სადგურმა მიიღო შეტყობინება, რომელშიც ჩიჩერინი ფარისევლურად ირწმუნებოდა, თითქოს არაფერი იცოდა რუსეთის ჯარის საქართველოზე თავდასხმის შესახებ და საქართველოს მთავრობას უზიარებდა თავის მოსაზრებებს ამ-

იერკაკასიის სხვა რესპუბლიკებისა და საქართველოს უროთიერთობების თაობაზე.

თუმცა საქართველოს მთავრობა არ იქმნიდა არავითარ ილუზიას ჩიჩერინის გულწრფელობისას, მაინც განუცხადა, რომ იმ პირობით მიიღებდა მის წინადადებას, თუ რუსეთის მთავრობა გაიყვანდა თავის ჯარებს საქართველოს ტერიტორიიდან.

ამასობაში მოვლენები შემდეგნაირად ვითარდებოდა: ქართველი ხალხი გმირულად იგერიებდა მტრის დარტყმებს, რომლებიც ორი მხრიდან იყო თბილისზე მიმართული. ქართულმა ჯარმა და სახალხო ლაშქარმა მოიგერია მტრის ყველა შემოტევა, თუმცა კი მტერს ჩამორჩებოდა როგორც რიცხობრივად, ასევე შეიარაღებითაც.

21 თებერვალს საქართველოს მთავრობის მეთაურმა რადიოგრამა გაუგზავნა ჩიჩერინს, რომელშიც ითხოვდა განემარტათ მისთვის ის მიზეზები, რომელთაც განაპირობებს რუსეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ. რადგან არავის უპასუხია, 22 თებერვალს, ნ. ჟორდანიამ¹ მიმართა ლენინს² და ტროცკის³ და მოსთხოვა მათ შეეწყვიტათ ომი, რომლის იმპერიალისტური და აგრესიული ხასიათი არავითარ ეჭვს არ იწვევდა.

ამის პასუხად საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გააძლიერა შეტევა საქართველოს წინააღმდეგ სამი ახალი მიმართულებით: საქართველოს სამხედრო გზაზე, ვლადიკავკაზის მხრიდან, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისის მიმართულებით და შავი ზღვის სანაპიროზე სოჭის მხრიდან.

საქართველოს ყოველი მხრიდან ესხმოდნენ თავს რუსეთის მე-11 არმია, აგრეთვე მე-8, მე-9 და მე-13 არმიების შენაერთები, რომ არაფერი ვთქვათ ბუდიონისა⁴ და ჟლობას ცხენოსანთა რაზმებზე.

¹ ნოე ჟორდანია (1868-1953) – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918-1921).

² ვლადიმერ (ულიანოვი) ლენინი (1870-1924) – რუსული სოციალ-დემოკრატიის ბელადი. საბჭოთა რუსეთის შემქმნელი და ხელმძღვანელი (1917-1922).

³ ლევ ტროცკი (დავით ბრონშტეინი) (1879-1940) – საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწე. სამხედრო მინისტრი. ი. სტალინის მთავარი მოწინააღმდეგე ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

⁴ სემიონ ბუდიონი (1883-1973) – რუსი საბჭოთა მხედართმთავარი. მარშალი, საბჭოთა კავალერიის შემქმნელი, I ცხენოსანი არმიის მეთაური (1919-1921).

ქართველი ხალხის აღტყინებამ და მოხალისეთა მოძალებამ საქართველოს მთავრობას საშუალება მისცა გაეძლიერებინა წინააღმდეგობა, მაგრამ თოფების უკმარისობა ხელს უშლიდა იმ ადამიანთა შეიარაღებას, რომელნიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის: ორი წლის მანძილზე საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები ევროპაში ამაოდ ცდილობდნენ მიეღოთ ევროპის ძღვევამოსილი სახელმწიფოებისაგან შეიარაღება და ტექნიკური საშუალება, რათა უზრუნველყოთ სამშობლოს დაცვა, — ბოლოს მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ გამოთქვა თანხმობა, რომ გაეცა საქართველოსათვის იარაღის გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების მიღება დიდი დავიანებით მოხდა.

სამაგიეროდ ბოლშევიკებმა, ისარგებლეს რა ყირიმის ამოუწურავი საბრძოლო იარაღით, საქართველოს შეუსიეს ყველა სახის თანამედროვე იარაღით აღჭურვილი ახალ-ახალი ჯარის ნაწილები.

22 თებერვალს ბოლშევიკებს გამოუჩნდათ ახალი მამველი ჯარები. ანგორას მთავრობამ¹ საქართველოს მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც ითხოვდა ქართული ჯარების გაყვანას ქალაქ არდაგანიდან და ართვინიდან.

საქართველოს მთავრობას არ შეეძლო საკმარისი სამხედრო ძალით წინ აღდგომოდა თურქეთის აგრესიას ახალ ფრონტზე, რის გამოც იძულებული გახდა ამ ქალაქებიდან გაეყვანა თავის ჯარის ნაწილები, თუმცა კი განაცხადა, რომ ეს სადაო საკითხი ჯარების იძულებით გაყვანის გამო, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩათვლილიყო მოგვარებულად და რომ მისი მოგვარება შეიძლებოდა მხოლოდ შეთანხმების ან საერთაშორისო არბიტრაჟის გზით. ამასობაში საქართველოს სამხედრო მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. რესპუბლიკას, რომელსაც თავს ესხმოდნენ ხუთი მხრიდან, იძულებულს ხდიდნენ საომარი ძალები გაეფანტა სხვადასხვა ფრონტზე, ბრძოლის წარმართვა უხდებოდა არათანასწორ პირობებში. ქართულ ჯარს ალყაში მოქცევა და გარდაუვალი სრული განადგურება ემუქრებოდა.

¹ ანგორას მთავრობა — ქ. ანკარაში მყოფი თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის პირობითი სახელწოდება.

მაშინ საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა თბილისიდან გაეყვანა ჯარები. უკანდახევითა და გამაგრებულ პოზიციებზე მათი თავმოყვრით აპირებდა იგი თავდაცვას რუსეთის ჯარებისაგან.

საჯარისო შენაერთებმა ყველა ფრონტზე მიიღეს ბრძანება ბრძოლით დაეხიათ უკან რიონის მარცხენა ნაპირისაკენ. გადაწყვეტილი იყო, ბათუმი გადაექციათ სამხედრო ბაზად.

25 თებერვალს ქართულმა ჯარებმა დატოვეს თბილისი და იწყეს უკანდახევა მთავარსარდლობის მიერ მითითებული მიმართულებით. ბრძოლები გაგრძელდა კიდევ სამ კვირას.

ამ ტრაგიკულ დღეებში ქართველმა ხალხმა, როგორც ყოველთვის, გამოიჩინა დარაზმულობა და სიმტკიცე თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ბოლშევიკების აგენტთა მიერ ქართულ ჯარში ამბოხების პროვოცირების ყოველი ცდა მარცხით დამთავრდა.

მაგრამ საომარ საშუალებათა ნაკლებობის ვითარებაში იზოლაციაში მყოფ, მარტოდ დარჩენილ პატარა საქართველოს, რომელსაც არც მოკავშირეები ჰყავდა და არც არსაიდან ელოდა შევლას, არ შესწევდა ძალა ხანგრძლივი წინააღმდეგობა გაეწია უზარმაზარი რუსეთისათვის.

ანგორას მთავრობის პოლიტიკამ კი წელში გატეხა ქართველების სიმტკიცე. საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც ქემალის მთავრობამ ხელთ იგდო არდაგანი და ართვინი, საქართველოს მთავრობას განუცხადა: ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს, ახლა საჭიროა ერთად შევეუშალოთ ხელი ბოლშევიკების საჯარისო შენაერთთა ბათუმის რაიონში შეჭრასო. მან თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა მას წინააღმდეგობა არ გაეწია ბათუმის რაიონში თურქეთის ჯარების შესვლისათვის, რომლებსაც, როგორც აღნიშნავდა თურქეთის მთავრობა, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ბოლშევიკების არმიისაგან ამ რეგიონის დასაცავად.

16 მარტს როგორც კი თურქები შევიდნენ ბათუმში, საქართველოს მთავრობას განუცხადეს, რომ ანგორას დიდ ეროვნულ სათათბიროს ქალაქ ბათუმის და მისი რაიონის თურქეთთან შეერთება

ჰქონდა გადაწყვეტილი და სცადეს ძალით დაეკავებინათ ქალაქის საზოგადოებრივი დაწესებულებები და გამაგრებული ადგილები. იმავდროულად მათ საქართველოს მთავრობას წარუდგინეს ულტიმატუმი, რომელშიც მოითხოვდნენ განეიარაღებინათ ბათუმში მყოფი ქართული ჯარები. იქვე გაჩაღდა ბრძოლა ქართველებსა და თურქებს შორის. თურქები განდევნილ იქნენ ბათუმიდან; ამიერიდან საქართველოს გაეხსნა ახალი ფრონტი ზუსტად იქ, სადაც იგი იმედოვნებდა ჰქონოდა საიმედო სამხედრო ბაზა. ორი ძლევამოსილი მილიტარისტული სახელმწიფოს – საბჭოთა რუსეთის და თურქეთის არმიებით ორი მხრიდან ალყაში მომწყვდეული საქართველოს ჯარები განწირული იყვნენ დასაღუპავად. წარმატების იმედის ნიშან-წყალიც კი არსად ჩანდა.

17 მარტს საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა შეეწყვიტა ბრძოლა რიონის ნაპირებზე და დაეთხოვა თავისი ჯარები.

არმიის დათხოვნამ ბოლშევიკების ჯარების ნაწილებს გზა გაუხსნა ბათუმისაკენ, მთელი რესპუბლიკის ტერიტორიის ბატონ-პატრონად აქცია ისინი, რასაც გარდაუვალ შედეგად მოჰყვა საქართველოს მთავრობის მიერ მტრისაგან ოკუპირებული ტერიტორიის დატოვება. საქართველოს კანონიერი მთავრობისათვის ეს იყო ერთადერთი გზა თავიდან აეცილებინა რაიმე პოლიტიკური ურთიერთობა დამპყრობლებთან.

წითელი არმიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა დაამყარეს სამხედრო ხელისუფლება, რომელსაც უწოდეს, „რევოლუციური კომიტეტი“. საქართველოს კანონიერმა მთავრობამ მშობელი ხალხისადმი მოწოდებაში ზუსტად განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება ამ ხელისუფლებისადმი. საქართველოს კანონიერმა მთავრობამ განაცხადა, რომ უზურპატორთა კომიტეტმა ხელთ იგდო ხელისუფლება არა ქართველი ხალხის ნებით, არამედ რუსული ხიმტებით და რომ ეს კომიტეტი, მტრის ჯართან ერთად საქართველოში მოსულ პირთაგან შემდგარი, „მთავრობად“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული.

საქართველოს კანონიერი მთავრობა აცხადებდა რა პროტესტს ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთის მთავრობამ

გამოიჩინა ქართველი ხალხის მიმართ, გამოთქვამდა რწმენას, რომ იგი ყველგან და ყველა ვითარებაში ერთგული იქნებოდა თავისი მოვალეობისა, დაიცავდა თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ამგვარად, ზემოთ მოტანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ:

1. ქართველი ხალხის ნება-სურვილით დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილება არა ქვეყნის შიგნით არსებულმა ხალხის უმცირესობამ, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ საბჭოთა რუსეთის წეს-წყობილების თარგზე გამოჭრილმა მმართველობა შეცვალა.

2. ქართველი ხალხი თავის კანონიერ მთავრობასთან შეკავშირებულ-დარაზმული გმირულად ებრძოდა მტერს და დანებდა მას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურა წინააღმდეგობის გაწევის ყველა შესაძლებლობა.

3. ბოლშევიკების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც იძულებულია დატოვოს მშობლიური მიწა, ინარჩუნებს დამფუძნებელი კრების მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, განაგრძობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და იცავს თავისი ხალხის ინტერესებს ძლევაგამოსილ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

ყარსის ხელშეპრულება [169]

სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან

მთავრობანი სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა, აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა ერთის მხრივ, და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა მეორეს მხრივ, ინაწილებენ რა ერთა ძმობის პრინციპს, და სცნობენ რა ყოველი ხალხისათვის, თვითგამორკვევის უფლებას, გამსჭვალულნი სურ-

ვილით, რომ მათ შორის დადგენილ იქნეს მუდმივი მეგობრული ურთიერთობა, და განუწყვეტლივი გულწრფელი მეგობრობა, დამყარებული ურთიერთ ინტერესებზე, შეუდგნენ მოლაპარაკებას, რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით, რათა დასდონ ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთ რწმუნებულად:

სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ასკანაზ მრავიანი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, და პოლოს მაკინციანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ბეკბუთ შახტახტინსკი, მუშათა ინსპექციის სახალხო კომისარი;

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: შალვა ელიავა,¹ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, და ალექსანდრე სვანიძე,² გარეშე საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარი;

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ: კიაზიმ ყარა ბეკირ-ფაშა, ადრიანოპოლის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში, აღმოსავლეთ ფრონტის სარდალი.

ველი-ბეი, ბურდურის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში; მუხთარ-ბეი, საზოგადო სამუშაოთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი, მემხუდ-შევეკეთ-ბეი, ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბაიჯანში;

რუსეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: იაკობ გენცკი, რ. ს. ფ. ს. რ.-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში, რომელნიც უფლებამოსილობის საბუთების გაცვლის შემდეგ, რაც სათანადო და კანონიერი ფორმით შესრულებულად იქნა ცნობილი, შეთანხმდნენ შემდეგში:

¹ შალვა ელიავა (1883-1937) – ქართველი ბოლშევიკი. რუსეთის ელჩი ოსმალეთსა და ირანში (1920), საქართველოს სსრ სამხედრო-საზღვაო საქმეთა კომისარი (1921-1923), საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე (1923-1927), ამიერკავკასიის სფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე (1927-1930).

² ალექსანდრე სვანიძე (1886-1942) – ქართველი ისტორიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა, განათლების და ფინანსთა სახალხო კომისარი (1921-1924)

მუხლი 1

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა და სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობანი ცნობენ გაბათილებულად და ძალა დაკარგულად ყველა ხელშეკრულებებს, რომელიც დადებული იყო იმ მთავრობათ მიერ, რომელნიც წინათ ახორციელებდნენ სუვერენიტეტს ხელშემკერეელი მხარეების ტერიტორიაზე, და რომელი ხელშეკრულებანიც ეხებოდა ხსენებულ ტერიტორიებს; აგრეთვე იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებული იყო მესამე სახელმწიფოებთან და შეეხებინან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს.

აღიარებულია, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1921 წლის 16 მარტს, ამ მუხლის მოქმედებას არ ექვემდებარება.

მუხლი 2

ხელშემკერეელი მხარეები თანხმდებიან არ ცნონ არავითარი საზავო ხელშეკრულება, ან სხვა საერთაშორისო აქტი; უკეთუ მის მიღებას ძალით აიძულებენ რომელსამე ხელშემკერელ მხარეს.

ამის ძალით სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა მთავრობანი თანხმდებიან, არ ცნონ არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ოსმალეთს შეეხებიან, და არ არიან ცნობილნი ოსმალეთის ეროვნული მთავრობის მიერ, რომელსაც ამ ჟამად მისი ეროვნული ყრილობა წარმოადგენს.

ამ ხელშეკრულებაში ოსმალეთად იგულისხმება ტერიტორიები განსაზღვრული 1921 წლის 28 იანვრის ოსმალეთის ეროვნულ შეთანხმებაში, რომელიც შემუშავებული და გამოცხადებული იყო ოტომანთა დეპუტატების პალატაში კონსტანტინოპოლში და რომელიც ეცნობა პრესას და ყველა სახელმწიფოებს.

თავის მხრით ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ არ ცნოს არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ეხებიან სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს, და არ არიან ცნობილნი

ამ რესპუბლიკათა სათანადო მთავრობათა მიერ, რომელთაც დღეს სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს საბჭოთა მთავრობანი წარმოადგენენ.

მუხლი 3

სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ, რომ კაპიტულაციის რეჟიმი არ შეეფერება არცერთი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ განვითარებას და აგრეთვე მის სუვერენული უფლებების განხორციელებას და ძალა დაკარგულად და გაუქმებულად მიანნიათ ყოველგვარი მოქმედებანი და უფლებანი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ამ რეჟიმთან:

მუხლი 4

თურქეთის ჩრდილო – აღმოსავლეთის საზღვარი (რუსეთის გენერალური შტაბის რუქით 1/210.000 5 ვერსი ერთ დიუმზე) განისაზღვრება ხაზით, რომელიც იწყება შავი ზღვის პირას მდებარე სოფელ სარფთან, გაივლის მთა ხედის-მთაზე, წყალთა გამყოფი ხაზით. მთაშავეშეთი – მთა კანნი-დალი, იგი მოჰყვება შემდეგ წინანდელ ჩრდილოეთ-აღმინისტრაციულ საზღვარს არტანის და ყარსის ოლქებისას – მდინარე არფა ჩაისა და არაქსის ტალღეზე ჰქვემო ყარა-სუს შესართავამდე (დაწვრილებითი აღწერა საზღვრისა და მასთან დაკავშირებული კითხვები განსაზღვრულია დანართებში I და II, და თან დართულ რუქაზე, რომელიც ხელმოწერილია ორივე ხელშემკვერელი მხარეებისაგან. უკეთუ ხელშეკრულების ტექსტსა და რუქას შუა აღმოჩნდება განსხვავება, ხელშეკრულების ტექსტს ეძლევა რუქის წინაშე უპირატესობა, შერეულ სასაზღვრო კომისიას, რომელიც შემდგარი იქნება წევრების თანაბარი რიცხვებისაგან რ. ს. ფ. ს. რ.-ის წარმომადგენლის მონაწილეობით, ევალება გაარკვიოს დაწვრილებით და ადგილობრივ გაატაროს სახელმწიფოს საზღვარი და აგრეთვე დასდგას მიჯნები.

მუსლი 5

ოსმალეთის მთავრობა და აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობანი თანხმდებიან, რომ ნახიჩევანის მხარე, იმ საზღვრებში, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მე-III დანართში, შეადგენს ავტონომიურ ტერიტორიას აზერბეიჯანის მფარველობის ქვეშ.

მუსლი 6

ოსმალეთი თანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათუმის ნავთსადგურსა და ქალაქზე, და იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლში ნაჩვენები საზღვრის ჩრდილოეთით და რომელიც შედიოდა ბათუმის ოლქში, იმ პირობით, რომ 1) მოსახლეობა ამ ადგილებისა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლში, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრაციულის მხრით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურულ და სარწმუნოებრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება დაადგინოს ისეთი საადგილ-მამულო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს; 2) ოსმალეთს მიეცემა თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარი საქონლის, რომელიც იგზავნება ოსმალეთში ან ოსმალეთიდან ბათუმის ნავსადგურის გზით უბაჟოთ, რაიმე ხარჯებით დაუბეგრავად, და ოსმალეთს მიეცემა უფლება ისარგებლოს ბათუმის ნავთსადგურით სპეციალური ხარჯების გადაუხდელად.

ამ მუხლის ცხოვებაში გასატარებლად, ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ შესდგება კომისია ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენელთაგან.

მუსლი 7

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ვალდებულებას ღებულობენ გაუადვილონ მოსაზღვრე ოლქების მცხოვრებლებს

საზღვარზე გადასვლა იმ პირობით, რომ დაცული იქნება შეღავათიანი საბაჟო, საპოლიციო და სანიტარული წესები, რომელთაც ამ საგნისათვის შეიმუშავენ შერეული კომისია.

მუხლი 8

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა, იღებენ რა მხედველობაში, რომ ორივე მხარის სანაპირო ოლქების მცხოვრებთათვის აუცილებელია საზაფხულო და საზამთრო საძოვრები, რომლებიც საზღვრის მეორე მხარეზე იმყოფება, თანხმდებიან მიანიჭოს ამ მცხოვრებლებს საზღვარს იქით მათი პირუტყვის გარეკვის და ჩვეულებრივი საძოვრებით სარგებლობის უფლება. საბაჟო ფორმალობა, პოლიციური, სანიტარული, და სხვა წესები, რომლების დაცვაც საჭიროა საზღვარზე გადასვლის დროს, შემუშავებულ იქნება შერეული კომისიის მიერ.

მუხლი 9

რომ უზრუნველყოფილი იქნეს სრუტეების გახსნა და მათში ყველა ზღვების თავისუფალი მიმოსვლა სავაჭრო ურთიერთობებისათვის – ოსმალეთი და საქართველო თანხმდებიან შავი ზღვისა და სრუტეების საერთაშორისო სტატუსის საბოლოო გამომუშავება გადასცენ სანაპირო ქვეყნების დელეგატებისაგან შემდგარ კონფერენციას, იმ პირობით, რომ მისგან გამოტანილი გადაწყვეტილებანი არ მიაყენებს დანაკლისს ოსმალეთის სრულ სუვერენიტეტს და აგრეთვე ოსმალეთისა და მისი სატახტო ქალაქის კონსტანტინოპოლის უშიშროებას.

მუხლი 10

ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან თავის ტერიტორიაზე არ მისცენ შედგენის ან ყოფნის უფლება ისეთ ორგანიზაციებს, რომლებსაც თავი მოაქვთ ხელშემკვრელ მეორე ქვეყნის ან მისი ტერი-

ტორიის ნაწილის მთავრობად, არც ისეთ ჯგუფებს, რომლებსაც მიზნად აქვთ ხელშემკვრელ მხარესთან ბრძოლა.

გამორკვეულად ითვლება, ამ მუხლში ხსენებულ ოსმალეთის ტერიტორიად იგულისხმება ტერიტორია, რომელიც იმყოფება ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის უშუალო სამხედრო და სამოქალაქო გამგებლობაში.

მუხლი 11

ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეებზე, როცა ისინი მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, ვრცელდება ყველა უფლებანი და ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ იმ ქვეყნის კანონებიდან, სადაც ისინი იმყოფებიან. იმ გამონაკლისით, რომ ისინი თავისუფალი არიან ეროვნული თავდაცვის ვალდებულებებიდან. ამ მუხლის დადგენილებიდან გამონაკლისს შეადგენენ აგრეთვე კითხვები, რომლებიც შეეხებიან ხელშემკვრელ მხარეების მოქალაქეთა საოჯახო უფლებას, სამკვიდრეო უფლებას და ამავე მოქალაქეობის უფლება-მოსილებას. ეს საკითხები გადაიჭრება განსაკუთრებული შეთანხმებით.

მუხლი 12

ხელშემკვრელი მხარეები თითოეული მხარის მოქალაქეთ, რომელნიც მეორე მხარის ტერიტორიაზე იმყოფებიან, აყენებენ ყველაზე უფრო კეთილგანწყობილ ერის რეჟიმის პირობებში.

ამ მუხლს მხედველობაში არ აქვს ის უფლებები, რომლებსაც საბჭოთა რესპუბლიკები თავის ტერიტორიაზე ანიჭებენ ნაცვალგებით სხვა მოკავშირე, საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე ის უფლებები, რომლებსაც ოსმალეთი ანიჭებს თავის მოკავშირე სამუსულმანო სახელმწიფოთა მოქალაქეთ.

მუხლი 13

ყოველ მცხოვრებს იმ ტერიტორიისას, რომელიც 1919 წლამდე რუსეთის ნაწილს შეადგენდა და რომელზედაც ოსმალეთის სუვერენიტეტია ცნობილი, მიეცემა საშუალება, თუ კი მოისურვებს, გამოვიდეს ოსმალეთის მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს ოსმალეთი და წაიღოს თან თავისი ნივთები და თავისი ქონება ან მათი ღირებულება.

აგრეთვე ყოველ მცხოვრებს ამ ტერიტორიისას, რომელზედაც სუვერენიტეტი ოსმალეთმა საქართველოს დაუთმო, საშუალება მიეცემა უკეთუ მოისურვებს, გამოვიდეს საქართველოს მოქალაქეობიდან, თავისუფლად დასტოვოს საქართველოს ტერიტორია და წაიღოს თავისი ნივთები, ქონება ან მათი ღირებულება.

ზემოხსენებულ მცხოვრებთ სამხედრო ბეგარის მოხდის ვადა გადაედებათ ერთი თვით იმ დღიდან, როდესაც დადგენილი წესით შეიტანენ განცხადებას, რომ მათ სურთ დასტოვონ ხსენებული ტერიტორია.

მუხლი 14

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებული არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, ექვსი თვის განმავლობაში, შეკრან სპეციალური შეთანხმება 1918-1921 წლების ომების ლტოლვილთა შესახებ.

მუხლი 15

თითოეული ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს მეორე მხარის მოქალაქეთა სრული ამნისტია იმ დანაშაულობათათვის, რომელიც ჩადენილია კავკასიის ფრონტზე ომების გამო.

მუხლი 16

ხელშემკვრელი მხარეები თანახმანი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ორი თვის განმავლობაში ნაცვალგებით დააბრუნონ სამშობლოში ის სამხედრო და სამოქალაქო ტყვეები, რომლებიც დარჩენილი არიან ერთ-ერთ ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 17

თავიანთ ქვეყნებს შორის მიმოსვლის და ცნობების მოწოდების განუწყვეტლობის უზრუნველსაყოფად ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულიებას კისრულობენ ურთიერთშორის შეთანხმებით მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ შენარჩუნებულ და განვითარებულ იქნეს რკინის გზის, ტელეგრაფის და საერთოდ ურთიერთობის სხვა საშუალებანი. აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ხელშემკვრელ მხარეთა შორის ხალხის და საქონლის მოძრაობა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. მაგრამ ამასთანავე მიღებულია, რომ როგორც მგზავრების მოძრაობის, ან ერთი ქვეყნიდან მეორეში შესვლის და უკან დაბრუნების, ისე საქონლის გატანა-გამოტანის შესახებ, სავსებით დაცული იქნება ის წესები, რომლებიც ამის შესახებ დადგენილია ამა თუ იმ ქვეყანაში.

მუხლი 18

კომერციული დამოკიდებულების მოსაწყობად და ეკონომიკური, ფინანსიური და სხვა საკითხების მოსაწყესრიგებლად, რაც საჭიროა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა შორის მეგობრული განწყობილების განსამტკიცებლად, ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნება მოწვეული თბილისში კომისია დაინტერესებული ქვეყნების წარმომადგენელთაგან.

მუხლი 19

ხელშეკრული მხარეები ვალდებულნი არიან ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ სამი თვის განმავლობაში დასდონ საკონსულო კონვენციები.

მუხლი 20

ეს ხელშეკრულება, ოსმალეთის, სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს მთავრობას შორის დადებული, საჭიროებს რატიფიკაციას.

რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლა მოხდება ერევანში, რამდენადაც შესაძლებელია, ახლო მომავალში.

ეს ხელშეკრულება შევა ძალაში სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ, გარდა 6, 14, 15, 16, 18 და 19 მუხლებისა, რომლებიც დაუყოვნებლივ შედიან ძალაში ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

ზემოხსენებულის დასადასტურებლად ხსენებულმა რწმუნებულებმა ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და თავისი ბეჭდებით განამტკიცეს.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ქალაქ ყარსში, 5 ეგზემპლარად, 13 ოქტომბერს 1921 წ. (1337 წ.).

დანართი I

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი ოსმალეთისა დადგენილია შემდეგნაირად (თანახმად რუსეთის გენერალური შტაბის რუკით მას-შტაბით 1/210. 000-5 ვერსტი¹ დუიმზე²).

სოფელი სარფი შავ ზღვაზე — მთა ყარაშალვარი (5. 014), შემდეგ წყალთა გამყოფზე რ. ც.-სთან (.....), რომელიც მდებარეობს სოფელ ზემო მარდასის ჩრდილოეთით, გადაჭრის მდინარე ჭოროხს სოფელ ზემო მარდასის ჩრდილოეთით და შემდეგ მისდევს

¹ ვერსი — რუსული სიგრძის საზომი ერთეული, 1,0668 კმ.

² დიუმი — ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული (2, 54 სმ).

სოფელ საბაურის ჩრდილოეთით, მთა ხედის მთა (7. 052) – მთა ქვაკიბე –სოფელ ქავთარეთ – წყალთა გამყოფი ხაზი მთა მეძიბნა – მთა გერათკესუნი (6. 467) – მისდევს შემდეგ მთა კოდრას (7. 910) წყალთა გამყოფ ხაზს და შავშეთის ქედის დასავლეთი შტოთი გამოდის ყოფილი ართვინის ოლქის ძველ ადმინისტრაციულ საზღვარზე, მისდევს შავშეთის ქედს, გამოდის მთაზე სარი-ჩაი (ყარა-ისსალ) (8.473) – ყვირილის უღელტეხილი, ხოლო აქედან გამოდის ყოფილი არტაანის ოლქის ძველ ადმინისტრაციულ საზღვრებზე მთა კანნი-დალთან, აქედან მიემართება რა ჩრდილოეთით, მიდის მთასთან ოლილი (გრმანი) (8357), მისდევს რა არტაანის ოლქის წინანდელ ჩრდილო აღმოსავლეთით მდინარესთან ფოცხოვ-ჩაი და მისდევს ამ მდინარეს სამხრეთისაკენ სოფელ ჩანჩხარის პუნქტამდე, აქ სტოვებს ამ მდინარეს და მიდის რა წყალთა გამყოფზე, გამოდის მთაზე აირილიანბაში (8512), გასდევს მთებზე კელლე-თაფა (8463) – მთა ხარმან-თაფა (9709), მიადწევს მთამდე კარსის სერი (9681) და მისდევს მდინარეს კარზამეთ-ჩაის ვიდრე მდინარე მტკვრამდე, აქედან მისდევს მდინარე მტკვრის ტალღეებს პუნქტამდე სოფ. კართანაკევის აღმოსავლეთით სადაც შორდება მდ. მტკვარს, გასდევს რა ტბა ყარა ოლღის (7259) წყალთა გამყოფ ხაზს, საიდანაც სჭრის ორ ნაწილად ტბა ხოზაფინს, გამოდის მწვერვალზე 7500 (7560), ხოლო აქედან მთაზე გეკ-დალი (9. 152) მიდის მთებზე უჩ-თაფალარი (9783), სადაც თავდება საზღვარი საქართველოსთან და იწყება საზღვარი სომხეთთან; მთა ტაიყალა (9. 716) – მწვერვალი 9. 065 – სადაც სტოვებს არტაანის ოლქის წინანდელ საზღვარს და მიდის მთაზე დიდი ალბაბა (9963 ან 9973) – და შემდეგ პირდაპირ ხაზით მწვერვალზე 7.518, გადის რა სოფელ იბიშის აღმოსავლეთით, და შემდეგ მთაზე ყიზილდაში (7.439 ანუ 7440 ან 7490). სოფელი ახალი ყიზილდაში – აქედან მისდევს მდინარეს, რომელიც მიმდინარეობს ახალ ყიზილდაშზე, მის მოსაბრუნამდე, რომელიც არის ყარა მამედის ჩრდილო-დასავლეთით, შემდეგ მიდის წყალ-გამყოფზე და გამოდის მდ. ჯამუშბე-ჩაიზე (რომლებიც მდებარეობს სოფლების: დელავერის, დიდი ქმლის და თიხნისის აღმოსავლეთით); სოფლებზე გართანლი და შურაგელი, მისდევს აღნიშნულ მდინარეს და გამოდის

მდინარე არფა-ჩაიზე სოფელ ქიალიალის, ანუ ქალაღის ჩრდილოეთით, საიდანაც მისდევს მდინარე არფა-ჩაის ტალღეებს, გამოღის მდინარე არაქსზე, მისდევს არაქსის ტალღეებს ვიდრე სოფელ ურმიაძდე, სადაც თავდება საზღვარი სომხეთთან და იწყება საზღვარი აზერბეიჯანთან, და შემდეგ ხელახლა მისდევს არაქსის ტალღეებს ვიდრე ქვემო ყარა-სუს შესართავამდე, სადაც თავდება საზღვარი უკანასკნელ სახელმწიფოსთან.

იგულისხმება რომ საზღვარი გასდევს წყალთ-გამყოფ ხაზზე ნაჩვენებ მწვერვალებს.

დანართი II

მიღებულია რა მხედველობაში, რომ სასაზღვრო ხაზი, როგორც ეს ნაჩვენებია I დანართში, მისდევს მდინარეების არფა-ჩაის და არაქსის ტალღეებს, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულებას გადასწიოს ხაზი ბლოკჰაუზებისა 8 ვერსის მანძილზე ალექსანდროპოლ-ერევნის რკინის გზიდან ეხლანდელის მოხაზულობით არფა-ჩაის რაიონში, და 4 ვერსის მანძილზე ზემოაღნიშნული რკინის გზის ხაზიდან არაქსის რაიონში, ხაზი, რომელიც შემოსაზღვრავს ზემოთხსენებულ რაიონებს, ნაჩვენებია — ქვემო არფა-ჩაის ზონისათვის § 1-ის პუნქტებში და არაქსის ზონისათვის § 5-ში (სახელწოდება ჯამუშუ-ჩაი არ არის ნაჩვენები 1899 წლის გამოცემის რუქაზე).

§1. არფა-ჩაის ზონა

სამხრეთ-აღმოსავლეთით ვართანდილიდან, აღმოსავლეთით უზუნქილისადან, მთზე მოზური (5.086) — 5082-5047 — აღმოსავლეთით კარმირ-ვანქურ-თაფადან (6578 ანუ 5578), აღმოსავლეთით არაზოლიდან, აღმოსავლეთით ანიდან, მიაღწევს არფა-ჩაის ენიქეის დასავლეთით.

შორდება არფა-ჩაის აღმოსავლეთით მწვერვალიდან 5019, მიღის პირდაპირ მწვერვალზე 5481 — 1/2 ვერსტით აღმოსავლეთით ყიზილ-

ყულადან, 2 ვერსტით აღმოსავლეთით ბოჯაფიდან, შემდეგ მდინარე დიგორ-ჩაი მისდევს ამ მდინარის გასწვრივ ვიდრე სოფლამდე დუზქუჩუტი, მიდის პირდაპირ ყარაბახის ნანგრევების ჩრდილოეთით და გამოდის არფა-ჩაიზე.

§2. არაქსის ზონა

პირდაპირი ხაზი ხარაბა ალიჯანსა და სოფ. სოლეიმანდიზას შუა.

ზონაში რომელიც ერთის მხრით განისაზღვრება ალექსანდროპოლ-ერევნის რკინიგზის ხაზით, და მეორე მხრით, ხაზით, რომელიც მდებარეობს 8 და 4 ვერსტის მანძილზე ზემოთ ნაჩვენებ რკინის გზის ხაზიდან. ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ღებულობს ვალდებულებას არ აავოს არაერთარი ფორტიფიკაციული სიმაგრეები (მანძილთა ეს ხაზები იმყოფება ზემონაჩვენებ ზონების გარეშე), და არ იყოლიოს მასში რეგულარული ჯარი, მაგრამ ამასთანავე იტოვებს უფლებას იყოლიოს ზემოაღნიშნულ ზონებში ჯარი, საჭირო წესიერების დასაცველად და უშიშროებისათვის, და ადმინისტრაციულ საჭიროებისათვის.

დანართი III

ტირიტორია ნახიჩევანისა

სოფელი ურმია, შემდეგ პირდაპირი ხაზი სადგ. არაზდიაზე (შემოდის სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში), შემდეგ პირდაპირი ხაზი მთაზე დასავლეთი დაშბურუნი (3242) და შემდეგ წყალთა-გამყოფით მთაზე აღმოსავლეთი დაშბურუნი (4103), გადასჭრის მდინარეს ჯაანამ-დარასი, სამხრეთით წარწერისა „.....“ (სამხრეთი), მიდის წყალთა-გამყოფ მთაზე ბაგარსისი (6.607 ანუ 6 587), შემდეგ ყოფილ ადმინისტრაციულ საზღვარზე ერევნის და შარურ-დარალგეზის მაზრებისა, 6629-ზე გავლით მთამდე კემურულ-ლალი (6839 ანუ 6930) და შემდეგ მწვერვალზე 3080 –საიათ-დალი

(7868) სოფელი კურტ-კულადი (კურტ-კულავი) მთა გამესურ დალი (8160) – მწვერვალი 8022 – (10282) და აღმოსავლეთ ადმინისტრაციული საზღვარი ყოფილი ნახიჩევანის მაზრის.

საქართველოს დესკანის ფირილი ბენუის
კონფერენციის¹ თავმჯდომარეს ლუიჯი
ფაქტას საბჭოთა რუსეთის კალმომრეობისაგან
საქართველოს დაცვის თხოვნით ^[170]

ბატონო თავმჯდომარე,

თავდასხმა, რომელიც საქართველომ განიცადა 1921 წელს საბჭოთა ჯარების მიერ მისი ტერიტორიის დაკავების დროს, რომლებიც მის სამხედრო ოკუპაციას ახდენენ დღემდე, მეზობელ სახელმწიფოზე თავდასხმის გასაოცარ მაგალითს წარმოადგენს. სწორედ ასეთი თავდასხმებისაგან ცდილობენ ყველა სახელმწიფოს დაცვას გენუაში შეკრებილი სახელმწიფოები იმ პაქტის ხელმოწერით, რომელსაც „თავდაუსხმელობის“ პაქტი ეწოდება და რომლის პირობებსაც ამჟამად კონფერენციის წევრები განიხილავენ.

ასე რომ, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა, თუ ზემოაღნიშნული პაქტის პროექტის შედგენისას სახელმწიფოებმა, რომლებიც ხალხთა შორის მშვიდობისა და სამართლიანობის დამყარებას ცდილობენ, და კერძოდ, იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც თავის დროზე ცნეს ამჟამად სამხედრო გზით ოკუპირებული საქართველოს მთავრობა, გამოიყენონ ეს შემთხვევა იმისათვის, რათა პატივი სცენ ქართველი ხალხის უფლებებს და ბოლო მოუღონ საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოში დამყარებულ საოკუპაციო რეჟიმსა და ჩაგვრას.

როგორ შეიძლება თავდასხმის წინააღმდეგ სერიოზული გარანტიების შექმნა, თუ მათი განსაზღვრისას დუმილით აუვლით გვერდს

¹ გენუის კონფერენცია – საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე, მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილი -19 მაისი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. გენუის კონფერენციის მიზანი იყო რუსეთის იმპერიის საგარეო ვალეები დაეკისრებინათ საბჭოთა რუსეთისთვის ამ ქვეყნის დე-ურე ცნობის სანაცვლოდ. გენუის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა.

დამოუკიდებელი და აღიარებული რესპუბლიკის ბედს, რომელიც აშკარა და მთელი მსოფლიოს მიერ დაგმობილი თავდასხმის მსხვერპლი გახდა.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობას, აქვს პატივი, სთხოვოს კონფერენციას:

1) თავდაუსხმელობის პაქტის პროექტის მიღებისას გაითვალისწინოს იმ რეჟიმის შეწყვეტის აუცილებლობა, რომელიც 1921 წელს საქართველოზე თავდასხმას მოჰყვა.

2) საბჭოთა მთავრობის ოფიციალურად ცნობის და ზემოაღნიშნული პაქტის ხელმოსაწერად მისი დაშვების საკითხი დამოკიდებული გახადოს საქართველოს პრობლემის გადაჭრაზე.

3) ჩაერიოს საქართველოსთვის საგანგებოდ დათქმული და უზრუნველყოფილი გეგმის წარსადგენად, რაც შემდგომში აღნიშნული პაქტისათვის შეერთებას გაითვალისწინებს.

3 მაისი, 1922 წ.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის¹ მიმართვა გენუის კონფერენციას^[171]

ცივილიზებულ კაცობრიობას, რომელიც გენუის კონფერენციაზეა წარმოდგენილი, ღვთის სახელით თავის მისალმებას უგზავნის მონაღვთისა ამბროსი, სრულიად საქართველოს სულიერი მოძღვარი და პატრიარქი.

ჯერ კიდევ წინაისტორიული დროიდან კავკასიაში, შავ და კასპიის ზღვებს შორის ქართველური წარმოშობის ზოგიერთმა ტომებმა შექმნეს სახელმწიფო, მოცულობით მცირე, მაგრამ მტკიცე ნებითა და შემოქმედებითი მონაცემებით ძლიერი, რომელიც ისტორიაში ცნობილია საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეების განმავლობაში წინა აზიაში ქრისტიანული ცივილიზაციისა და ჰუმანური ევროპული

¹ ამბროსი (1861-1927) – ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1921-1927 წლებში. 1995 წ. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შერაცხა წმინდანად.

პრინციპების ერთადერთ პიონერს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის დასასრულს გარეშე მტრებთან ბრძოლაში დასუსტებული ქართველი ერი ნებაყოფლობით შევიდა ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში — იმ იმედით, რომ ეს მფარველობა მას ეროვნული და პოლიტიკური არსებობის შენარჩუნებაში დაეხმარებოდა. ეს მოტივები აშკარად ჩანს ხელშეკრულებაში, რომელიც 1783 წელს დაიდო ქართველთა მეფე ერეკლესა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინეს შორის.

მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ იმედები გაგვიცრუვდა და 117 წლის განმავლობაში რუსული ბიუროკრატიის მხრიდან მძვინვარე დესპოტიზმისა და აუტანელი ჩაგვრის მსხვერპლი გავხდით.

სწორედ ამიტომ, 1917 წელს, რუსული იმპერიის ხელოვნური ერთიანობის დაშლის შემდეგ ქართველმა ხალხმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაუყოვნებლივ დაიწყო პოლიტიკური, ეროვნული და სულიერი არსებობის აღდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ სამუშაოს დიდი სიძნელეები ახლდა გარეშე და შინაური მტრების მხრიდან, ქართველმა ერმა დაამტკიცა თავისი შემოქმედებითი მონაცემები, რაც იმაში გამოიხატა, რომ სამი წლის შემდეგ ცივილიზებულმა ევროპამ აღიარა ის და თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოების შემადგენლობაში შეიყვანა.

ცხადია, ამას არ მოითმენდა რუსეთი, საქართველოს ყოფილი მბრძანებელი და მცირე ხალხების მჩაგვრელი.

მან საქართველოს საზღვრებისაკენ ჯარები გამოგზავნა, რომლებიც შემოიჭრნენ ოკუპაციის მიზნით. 1921 წლის 25 თებერვალისთვის სისხლისაგან დაცლილ, პატარა საქართველოს კვლავ მონობის დამამცირებელი უღელი დაადგა, რომლის მსგავსი მას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არ გადაუტანია.

ფაქტია, რომ მოძალადეები ცდილობენ, დაუმტკიცონ ყველას, როგორც შინ, ისე უცხოეთში, რომ მათ გაათავისუფლეს ქართველი ერი და კეთილი საქმე გაუკეთეს მას. მაგრამ ჩვენ, მისი სულიერი მამა და ერთადერთი მისი ჭეშმარიტი მოძღვარი, რომლის ხელში თავმოყრილია მისი ეროვნული მისწრაფებების ყველაზე წმინდა ძაფები და ვისთანაც უშუალოდ მიდის ყველა მისი ცრემლი და საჩივარი, ჩვენ ვიცით, როგორი ბედნიერიც არის ის.

ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამტკიცოთ, რომ ექსპერიმენტები, რომელიც უკანასკნელი წლის განმავლობაში ქართველ ერს ჩაუტარეს, მას ფიზიკურ და მორალურ გადაშენებამდე მიიყვანს.

ხალხს ართმევენ მათი წინაპრების სისხლით მორწყულ და ძელებით ნაკურთხ ქონებას: იგივე მოძალადეები ხალხს სისხლითა და ოფლით მოპოვებულ არსებობის საშუალებებს ართმევენ და საზღვარგარეთ გზავნიან. ხდება ხალხის მშობლიური ენის პროფანაცია, მახინჯდება წინაპართა მიერ შექმნილი ეროვნული კულტურა, შეურაცხყოფენ იმასაც კი, რაც ხალხისათვის ყველაზე ძვირფასია – მის რწმენას და სინდისის თავისუფლების ცრუ ნიღბით უკრძალავენ თავისი რელიგიური მოთხოვნილებების თავისუფლად დაკმაყოფილებას.

სამღვდელოებას უმოწყალოდ სდევნიან. ეკლესია, რომელიც ამდენი საუკუნის მანძილზე კვლავაც ქართული სახელმწიფოს დიდებისა და ძლიერების მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, წართმეული აქვს, ყველა უფლება, იმდენად, რომ მიუხედავად მისი შრომისა, მოკლებულია საარსებო საშუალებების მოპოვების შესაძლებლობას.

ერთი სიტყვით, ერი გმინავს, ერი ჩივის. მას ხმის ამოღებაც არ შეუძლია ისე, როგორც საჭიროა.

ასეთ ვითარებაში ჩვენ თავს მოვალედ ვთვლით, მთელი ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე განვაცხადოთ შემდეგი:

ჩვენ, ღვთის ეკლესიის წარმომადგენლის სახით, არ ვერევიტ პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ფორმის განხილვასა და შედარებით შეფასებაში, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, არ მივისწრაფოდეთ ჩვენი ერისათვის ისეთი პირობების შექმნისაკენ, რომელიც ხელს შეუწყობს მის მატერიალურ აღორძინებას და სულიერ განვითარებას. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ:

1. დაუყოვნებლივ იქნას გაყვანილი საქართველოს ტერიტორიიდან რუსული საოკუპაციო ჯარები და საქართველოს საკუთრება დაცული იყოს ყოველგვარი ძალადობის, იძულებითი შეფასების და უცხოთა მიერ დატაცებისაგან.

2. ქართველ ხალხს მიეცეს უფლება, თავისუფლად მოაწყოს

თავისი ცხოვრება ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლის. განამტკიცოს თავისი პოლიტიკური და სოციალური არსებობის ის ფორმები, რომლებიც უკეთესად მიესადაგება მის სულს, მისწრაფებებს, ჩვეულებებს და მის ეროვნულ კულტურას.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელმაც ამოცანად დაისახა კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი პრობლემების მოგვარება და ამ სამყაროში სამართლიანობისა და თავისუფლების აღდგენა, არ უგულვებელყოფს საქართველოს არსებით მოთხოვნებს, რომლებიც ჩვენ აქ ჩამოვყალიბეთ, და გაათავისუფლებს მას დამამცირებელი მონობისა და ძალადობისაგან, რომლის მსხვერპლსაც ის წარმოადგენს. ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ, თქვენი დიდსულოვანი მიზნები და შრომა.

მორჩილი ამბროსი,
სრულიად საქართველოს პატრიარქი.

მიმართვა ერთა ლიგას!

**ასლი: ყველა ძვენი სოციალისტურ პარტიებს,
ამსტერდამის ინტერნაციონალს და ყველა
ძვენი სახელმწიფო მთავრობებს! ¹⁴⁷**

ქართველი ერის სახელით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი,¹ რომლის გარშემო ადგილობრივ შემოკრებილია დღეს მრავალტანჯული ქართველი ერი, მიმართავს ერთა ლიგას და მისი საშუალებით მთელ განათლებულ კაცობრიობას და აუწყებს მათ ქართველი ერის დღევანდელ უბედურ მდგომარეობას.

ჩვენს მიერ აღწერილი სურათი ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობისა იქნება მკრთალი, რადგან შეუძლებელია სიტყვით

¹ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი – ეროვნულ-გამათვისუფლებელი მოძრაობის მაკოორდინებელი პოლიტიკურ პარტიათა პარიტეტულ საწყისებზე შედგენილი კომიტეტი, 1922-1924 წლებში. ხელმძღვანელობდა 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებას საქართველოში.

გადმოცემა იმ ვაების, იმ წამებისა, რომელსაც დღეს განიცდის საქართველო...

1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი მოულოდნელად შემოესია ჩვენს საქართველოს... რუსეთმა ის კვლავ დაიპყრო. დღეს საქართველო კვლავ რუსეთის ოკუპაციის ქვეშაა. ეს ოკუპაცია – დაპყრობა არ შეედრება არც ერთ ისტორიაში არსებულ ეროვნულ ძალდატანებას და დაპყრობას... საქართველოში გამეფდა უსამინელესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. დღეს საქართველოს განაგებს რუსეთის ჩეკა და დამსჯელი რაზმები... საქართველო სასაკლაოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი. ვფიქრობთ, რომ ერთა ლიგა აიმაღლებს თავის ავტორიტეტულ ხმას ამ ბარბაროსობის წინააღმდეგ...

რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ამ ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია. ამ ორი თვის წინათ გურია, საქართველოს ეს საუკეთესო და კულტურული ნაწილი, სამხედრო ექსპედიციებმა მთლად გაანადგურეს. აქ ჩეკამ გაგზავნა დამსჯელი რაზმების მეთაურად ყოფილი ყაჩაღი, ახლა ბოლშევიკი ობოლადქობოლადქმე გადასწვა მთელი სოფლები, დახვრიტა უდანაშაულო ხალხი, ცეცხლში დაწვა ახალგაზრდა უდანაშაულო 15 წლის ვაჟი. ეს ვერაგი მოკლეს და ამ მკვლელობას დამპყრობლებმა იმით უპასუხეს, რომ ერთ ღამეში 92 კაცი გამოიყვანეს თბილისის ციხიდან და დახვრიტეს, მათ შორის 15 პოლიტიკური მოღვაწე, მასწავლებლები, სტუდენტები, კოოპერატორები, მუშები, გლეხები...

ამა წლის 20 მაისს რუსეთის ჩეკამ გაუსამართლებლად დახვრიტა 15 ქართველი მხედარი. ქართველი მხედრობის ხელმძღვანელები – გენერლები, შტაბის ოფიცრები, სახელგანთქმული მეთომრები და პოლიტიკური მოღვაწენი...

ისპობა და ნიაგდება საუკუნეობით შექმნილი კულტურული ნაშთები. საქართველოში არ გაისმის არა თუ თავისუფალი სიტყვა და აზრი, მორწმუნე ხალხს ლოცვაც აღარ შეუძლია. ბოლშევიკურმა რუსეთმა დაანგრია და გაანადგურა ეკლესია-მონასტრები... საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია არარაა იმ წამებასთან, რომელსაც ოკუპან-

ტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს... მაგრამ ქართველი ერი შეგნებულად ებრძვის დამპყრობელთ და იცავს თავის კულტურას და დამოუკიდებლობას.

ერთა ლიგისადმი მიმართვა ქართველი ერისათვის არის ერთი ამ საშუალებათაგანი... ისმინეთ ხმა კულტურული პატარა ერისა. ეს ერი იჟლიტება ფიზიკურად, ისპობა მისი კულტურა, ინგრევა მისი კულტურული კერა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს იმედი აქვს, რომ ერთა ლიგა — ეს სამართლიანობის უაღრესი ორგანო, მიიღებს ყოველგვარ ზომებს ქართველი ერის გადასარჩენად და მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი,
26 მაისი, 1923 წ.

საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთის
ოფიციალური აგენტი ნოტა სსრკ საგარეო
საქმეთა სახალხო კომისარს ბ. ვ. ჩიჩერინს ^[172]

სერ,

იმ ინსტრუქციების თანახმად, რომელიც მე საგარეო საქმეთა მინისტრისაგან მივიღე, მაქვს პატივი, გადმოგცეთ მისი უდიდებულესობის მთავრობის ცნობა:

ჩემი მთავრობის დავალებით მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა ცნობს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას დე-იურე ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ცნობენ მის ხელისუფლებას.

რ. მ. ხოჯსონი
1 თებერვალი, 1924

სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის
ბ. ვ. ჩიჩერინის განცხადება საქართველოს
შესახებ ერთა ლიგის რეჟოლუციასთან
დაკავშირებით ^[172]

ე. წ. ერთა ლიგის წმინდა აგიტაციური გამოსვლა და წმინდა ბუტაფორიული ე. წ. აჯანყება საქართველოში ერთი და იგივე გეგმის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. უიმედო, სრულიად დეკორატიული აფეთქება საქართველოში შეკვეთილია მათ მიერ, ვინც მას შემდგომში საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული სააგიტაციო კამპანიის, და კერძოდ, მასთან შეთანხმებების წინააღმდეგ იყენებდა. მთელი რიგი დოკუმენტები დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ უიმედო ქართული აფეთქება შეკვეთილი, მომზადებული და მხარდაჭერილი იყო ბურჟუაზიული მთავრობების მიერ. ერთა ლიგის სრულიად დაუშვებელმა რეზოლუციამ, რომელიც კავშირის საშინაო საქმეში უხეშ ჩარევას წარმოადგენს, საბოლოოდ გახსნა ჩვენს მოწინააღმდეგეთა კარტები. ისინი განგებ ცდილობენ, შექმნან ცრუ აჯანყება იმისთვის, რათა გამოიყენონ ის თითქოსდა მრავალრიცხოვან სახელმწიფოთა აგიტაციური გამოსვლებისათვის და დარტყმა მიაყენონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, მოახდინონ მისი დისკრედიტაცია და იზოლირება. სამთავრობო სოციალისტი პოლ ბონკური,¹ რომელმაც ერთა ლიგის სესიაზე რეზოლუცია შეიტანა, მოჩვენებითი გულუბრყვილობით ამტკიცებდა, რომ ეს რეზოლუცია არ შეიცავს არაფერს, რაც შეიძლება საწყენი იყოს ორივე დანტერესებული მხარის – რუსეთისა და საქართველოსათვის, რადგან ერთა ლიგა ომის შეწყვეტას ცდილობს. ძნელია, შეაფასო ეს გამოხდომა, ამ ბატონის თავხედობა იმდენად უსაზღვროა, რომ შეუძლებელია მისი შეფასება. საცოდავ აფეთქებას, რომლის ლიკვიდაცია რამდენიმე დღეში მოხდა, ზოგან კი – რამდენიმე საათში, ის უკვე არა აჯანყებას, არამედ ომს უწოდებს. ბანდიტურ ბრბოს,

¹ ეოზუ პოლ-ბონკური – ფრანგი სოციალისტი. საფრანგეთის პარლამენტის დელეგატი და ერთა ლიგაში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი (1919-1928).

რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს ქვეყანაში, რომლის ცრუ წარმატება რამდენიმე სოფლის აღებაში მდგომარეობდა, სახელმწიფოს უწოდებს და ის საქართველოში ემლება.

ბატონი ბონკურების მიერ ინსცენირებული და შემდეგ მათი ნაქები პუტჩი ამტკიცებს, რომ საქართველო — ეს მუშურ-გლეხური წითელი საბჭოთა საქართველოა, მუშურ — გლეხურ რესპუბლიკათა კავშირის თავისუფალი და ნებაყოფლობითი წევრი და საქართველოს წინააღმდეგ, ქართველი ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ მიმართული იყო ქართველი ხალხის მტრების ჯგუფის დანაშაულებრივი მცდელობა, მოწყობილი იმპერიალისტი მტრების და მათი დავალების შემსრულებელი ბატონი ბონკურების მიერ. ეს უკანასკნელნი რეკლამას უკეთებენ მათ მიერ მოწყობილ ცრუ ამბოხებას, იმ დროს როდესაც მათი ე. წ. ერთა ლიგა არაფერს ამბობს იმაზე, რა ხდება ინდოეთში, სირიაში, სუდანში, ჩინეთში და ა. შ., სადაც ჩაგრული ხალხების გმირული ძალისხმევა — არ არის ცრუ და ბუტაფორიული. ამასთან ბატონმა ბონკურებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ინსურგენტის გამოცხადება მეომარ მხარედ და მთავრობად მტრული აქტია ნამდვილი მთავრობის წინააღმდეგ. სინამდვილეში ერთა ლიგის რეზოლუცია საქართველოს შესახებ წარმოადგენს მტრულ აქტს ნამდვილი საქართველოს და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ეს არის პროვოკაცია, რომელიც საბოლოო ჯამში თვალს აუხელს ფართო მასებს დანაშაულებრივი ქართული პუტჩისა და მისი ჭეშმარიტი სულისჩამდგმელების სამარცხენო მოქმედებებზე.

21 სექტემბერი 1924 წ.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირსა და საზრანგეთის რესპუბლიკას
შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება ⁽¹⁷³⁾**

მუხლი V: მაღალი ხელშემკვრელი მხარეებიდან თითოეული კისრულობს, პატივი სცეს მეორე მხარის სუვერენიტეტს ან ბატონობას მის ტერიტორიებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ ხე-

ლშეკრულების I მუხლით; არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოს მის საშინაო საქმეებში, კერძოდ, თავი შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელიც იხრება რაიმე აგიტაციის, პროპაგანდის, ან ინტერვენციის მცდელობის წაქეზებისაკენ, რომელიც მიზნად ისახავს მეორე მხარის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, ან მისი მთელი ტერიტორიის, ან ნაწილის პოლიტიკური ან სოციალური წყობის ძალით შეცვლას.

თითოეული მალალი ხელშემკვრელი მხარე კისრულობს, არ შექმნას, მხარი არ დაუჭიროს, არ მოამარაგოს, არ მოახდინოს სუბსიდირება და არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე არც სამხედრო ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ მეორე მხარის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას, არც ორგანიზაციები, რომლებიც მისი ტერიტორიების ან მათი ნაწილების მთავრობის სახელს ან წარმომადგენლობას იჩემებენ.

ვ. დოვგალევსკი¹ ე. ერიო²
29 ნოემბერი, 1932

მოწოდება ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობისადმი ^[174]

ქართველო მხედრებო! ბედნიერად ვთვლით თავს, მოგესალმით ქართული შტაბის სახელით და გისურვოთ გამარჯვება.

ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, განვიმარტოთ ქართული შტაბის დაარსების ისტორია, მისი მოქმედების მიზანი და ამოცანები. ამასთანავე ერთად გვინდა გაგაცნოთ შტაბის მიერ უკვე ჩატარებული სამუშაო.

როგორც მოგეხსენებათ, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეულად ცხოვრობდა და ცხოვრობს მცირერიცხოვანი ქართული ემიგრაცია. მისი უმრავლესობა შედგება მათგან, რომლებიც უცხოეთში გადმოიხვეწნენ 1921 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრო-

¹ ვალერიან დოვგალევსკი (1885-1934) - საბჭოთა დიპლომატი. საბჭოთა კავშირის ვიჩი საფრანგეთში (1928-1934).

² ელჟარდ ერიო (1872-1957) - საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი (1924-1925, 1932).

ბის დროს. ქართული ემიგრაციის რიცხვი 1921 წლიდან თანდათან იზრდებოდა, მას ემატებოდნენ საქართველოდან არალეგალურად გადმოსულნი, ბოლშევიკებისაგან დევნილი ქართველი პოლიტიკური მებრძოლნი.

უცხოეთში მყოფი ქართველობა მთელი თავისი ძალღონითა და ყველა საშუალებით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს ბრძოლა არ წარმოებდა ერთი, საერთო გეგმით. ამაში ბრალი მიუძღოდა არამარტო უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას, არამედ იმ საერთო პოლიტიკურ პირობებს, თუ კერძო მდგომარეობას, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ ქართველობას უხდებოდა ცხოვრება და მოქმედება. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ეს რამდენიმე ჯგუფად თუ წრედ დაყოფილი ქართველობა, რომელიც ხშირად ერთმანეთს ექიშპებოდა, მაინც ერთი საერთო სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და ერთი საერთო მიზანი ჰქონდა დასახული – ეს იყო ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ და საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის აღდგენა. ამიტომ იყო, რომ ჩვენ ყველანი ალტაცებით შევხვდით 1941 წლის 22 ივნისს, როცა ძლევამოსილმა გერმანულმა ჯარებმა გადალახეს საბჭოთა კავშირის საზღვრები და თავიანთ მოკავშირეებთან ერთად სამკედრო-სასიცოცხლო ომი გააჩაღეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

მთელ ჩვენს იმედებს ვამყარებდით და ვამყარებთ დღეს კომუნისტურ-ბოლშევიკურ რუსეთთან ომში ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის გამარჯვებაზე. უცხოეთში მყოფი ყველა ქართველი, განურჩევლად ჯგუფისა თუ წრისა, მიემხრო გერმანიას და მისი ბრძოლა გამოაცხადა თავის ბრძოლად როგორც რუსეთის, ისე გერმანიის სხვა მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ქართველების პოლიტიკური თუ სამხედრო თანამშრომლობა გერმანელებთან არ ხდებოდა ერთი რომელიმე საერთო და გარკვეული პროგრამით, არამედ დაკავშირება ხდებოდა ინდივიდუალური ინიციატივით სხვადასხვა გერმანულ პოლიტიკურ თუ სამხედრო უწყებასთან. ამას ხელს უწყობდა ზემოთ აღნიშნული დაქსაქსვა ქართველებისა ჯგუფებად, წრეებად...

ომის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე გერმანელთა მხარეზე მოხვდა ნებაყოფლობით გადმოსული თუ ტყვედ ჩავარდნილი ქართვე-

ლი ახალგაზრდობა, რომელიც საბჭოთა ჯარის რიგებში ძალით, საკუთარი ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ იყო მოქცეული. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და იზრდება დღესაც. ამ ქართველთაგან ათასობით ახალგაზრდამ გამოაცხადა სურვილი, ებრძოლა გერმანულ ჯართან ერთად სამშობლოს დამპყრობთაგან გათავისუფლებისათვის. მალე მოხდა შეხვედრა ძველი ემიგრაციისა გერმანულ სფეროში და ამ ახლადმოხვედრილ ქართველებთან. დაიწყო მუშაობა ყველა ქართული ძალების თავმოყრისა და დარაზმვისათვის. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ბევრი რამ ხელს უშლიდა ამ დიდ ეროვნულ საქმეს და აუცილებელი ამოცანის დამაკმაყოფილებელ შესრულებას. ერთი მხრივ, ხშირად ხდებოდა გაუგებრობა ზოგიერთი ჩვენი გერმანელი მეგობრისაგან ქართულ საკითხებში, მეორე მხრივ გვაბრკოლებდა ჩვენი დაქსაქსულობა, ერთი ეროვნული ორგანოსა და ორგანიზაციის უქონლობა.

თითქმის ორი წლის წინათ დაიწყო ცდა ასეთი ქართული ცენტრალური ორგანოს დაარსებისა. მოლაპარაკებებში გერმანიის სათანადო უწყებებიც იღებდნენ მონაწილეობას. იყო რამდენიმე წამოწყება, მათ შორის მნიშვნელოვანი და საიმედო გამოდგა ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ. მიხ. წერეთლის¹ მიერ დაარსებული ეროვნული კომიტეტი, რომელმაც ერთგვარი მუშაობაც კი გასწია სათანადო განმარტება მიეცა გერმანელთათვის ქართული საკითხების ირგვლივ.

სხვადასხვა, წმინდა ქართული თუ გარეშე მიზეზების გამო, რომელთაც აქ არ შევეხებით, ეს კომიტეტი ოთხი თვის წინათ დაიშალა. მდგომარეობა გვიკარნახებდა ჩვენი საქმიანობის ერთ ქართულ ცენტრში თავმოყრის აუცილებლობას. ამის საჭიროებას გერმანელებიც ხედავდნენ. ამიტომ გასული წლის 26 ოქტომბერს გერმანიის აღმოსავლეთის საქმეების სამინისტროს, გერმანიის უმაღლესი სარდლობის, საპროპაგანდო განყოფილების, აღმოსავლეთის ჯარების გენერლისა და რაიხის უშიშროების მთავარი უწყების თანხმობით დაარსდა

¹ მიხაკო წერეთელი (1878-1965) — ქართველი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. ანარქისტი. II მსოფლიო ომის დროს ეკავა პროგერმანული ორიენტაცია. „თეთრი გიორგის“ წევრი.

ქართული საკავშირო შტაბი, რომელშიც წვერებად შედიან: ობერლეიტენანტი გივი გაბლიანი¹ – ქართველ ლეგიონერთა წარმომადგენელი, ბ-ნი მიხეილ ალშიბაია,² ბ-ნი მიხ. კედია³ და ბ-ნი გიორგი მალალაშვილი.⁴ მთავრობის ბრძანებით საკავშირო შტაბს ეძლევა უფლება როგორც ერთადერთ წარმომადგენლობას ქართველობისას და ზრუნავს, მუშაობს შემდეგ დარგებში: 1. ქართველი ლეგიონერებისა და მუშათა ათსეულების პოლიტიკური აღზრდა; 2. თანამშრომლობა გერმანელებთან გერმანიაში მომუშავე ქართველთა მოვლა-პატრონობაში; 3. ქართველ ტყვეთათვის სულიერი და მატერიალური მზრუნველობა; 4. პოლიტიკური ხელმძღვანელობა ქართულ ემიგრაციაზე.

მართალია, ქართულ შტაბს ომთან დაკავშირებული მიზეზებისა და სხვა ტექნიკური დაბრკოლებების გადალახვა დასჭირდა, მაგრამ მისმა მუშაობამ უკვე გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგები, რომელსაც მოკლედ ჩამოვთვლით: 1. ყველა ქართველი და მათთან ერთად სხვა კავკასიელი გამოყვანილი იქნებიან ე. წ. „აღმოსავლეთის მუშების“ („ოსტარბაიტერის“) პირობებიდან და იმუშაებენ ისე, როგორც უცხოელი მუშები; 2. ქართული პრესა, რომელიც შესდგება ორი პერიოდული გამოცემისაგან, გაერთიანდა შტაბის ხელმძღვანელობით; 3. ქართველი ჯარისკაცები სიმამაცისა და საბრძოლო დამსახურებისათვის მიიღებენ ყველა სახის გერმანულ ჯილდოს. ბრძანება უკვე გამოცემულია: 4. ქართველი ჯარისკაცები სავსებით გათანაბრებული არიან გერმანულ ჯარისკაცებთან – ყველანი ატარებენ გერმანულ ფორმას, განმასხვავებელ ნიშნებს; 5. სწარმოებს მუშაობა ქართველი ტყვეების სრული რეგისტრაციისათვის, რომლებიც გაფანტული არიან სხვადასხვა ბანაკებში მათი თანდათან გათავისუფლებისათვის.

¹ გივი გაბლიანი – ვერმანტის დაქვემდებარებაში მყოფი ქართული საკავშირო შტაბის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელი. კავკასიური საბჭოს წევრი.

² მიხეილ ალშიბაია – ქართული საკავშირო შტაბის ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელი.

³ მიხეილ კედია – პროგერმანულად განწყობილი და ვერმანტთან მოთანამშრომლე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერი.

⁴ გიორგი მალალაშვილი – ქართველთა ეროვნული კომიტეტის ჟურნალის „ქართველი ერის“ (1943-1944) რედაქტორი, კავკასიური საბჭოს წევრი.

ჩვენი მუშაობა ერთობ რთული, ძნელი და პასუხსაგებია. ჩვენ ვიცით, რომ ამ მძიმე ტვირთს ვერ ვატარებთ და ჩვენს საერთო დიად მიზანს ვერ მივაღწევთ, თუ ვერ მოვახერხებთ ჩვენი ძალების წარმატებით დაჭიმვას. ჩვენ, თქვენმა წარმომადგენლებმა, და თქვენ, ქართველნი მებრძოლნი, უნდა ვიქონიოთ მტკიცე და უშუალო სულიერი კავშირი, გამსჭვალული უნდა ვიყოთ ერთი გრძობით, ერთი სულისკვეთებითა და უაღრესი ნდობით ერთმანეთისადმი. მხოლოდ ასეთი ურთიერთობა მოგვიტანს გამარჯვებას. ეს კავშირი უნდა განმტკიცდეს ჩვენი მეგობრობის სასიხარულოდ, მტრების თავზარდასაცემად, გჭონდეთ იმის ღრმა რწმენა, რომ ჩვენც ჩვენს სადარაჯოზე მუდამ შევეცდებით, ვიდრე ძალ-ღონე შეგვწევს, პირნათლად დავიცვათ ქართველი ერისა და კერძოდ, თქვენი ინტერესები. დღევანდელ ბუმბერაზ ბრძოლას, რომელსაც გერმანია და მისი მოკავშირეები აწარმოებენ რუსეთის წინააღმდეგ, აქვს თავისი ღრმა მიზეზი, რომლის გაგება და შეგნება თვითოეული მებრძოლისათვის საჭიროა.

დღეს წყდება ევროპის, გერმანიისა და მასთან ერთად ჩვენი სამშობლოს ბედიც. თუ ამ ომში გაიმარჯვა ბოლშევიზმმა, მაშინ წარინოცება ევროპის ათასწლოვანი კულტურა და სამუდამოდ დაიდრევა საფუძველი ევროპის ერთა ცხოვრებისა, შემოქმედებისა და ურთიერთობისა.

თუ გადავავლებთ თვალს ქართველი ერის ისტორიას და შევიცნობთ მის ხშირად ამკარა, ხშირად იღუმალ მისწრაფებებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ საქართველო მუდამ ილტვოდა, დაკავშირებოდა ევროპის ერებს. ამის დამადასტურებელ საერთო ელემენტებს კვხვებით ჩვენი ერის შემოქმედების ყველა დარგში, ეროვნული ფსიქოლოგიის განვითარებაში, ეკონომიურ, სოციალურ და ოჯახურ ურთიერთობაში. ოდესღაც ევროპას გამოსახავდა საბერძნეთი, რომი, შემდეგ ბიზანტია, იტალია, გერმანია, სათრანგეთი. ყველა ამ სახელმწიფოებთან და ერებთან ქართველებს ჰქონდათ მჭიდრო ან შორეული ურთიერთობა.

მე-18 საუკუნიდან დაწყებული გერმანიის ძლიერი კულტურა და ცივილიზაცია ახდენდა გავლენას ჩვენს განვითარებაზე. მე-20 საუკუნის დასაწყისში პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანია უკვე აქტი-

ურად ჩაერია საქართველოს პოლიტიკურ ბედ-იღბალში. 1918 წლის 26 მაისს, მხოლოდ გერმანელების დახმარებით აღვადგინეთ ჩვენ ასი წლის დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მეგობრობა და დახმარება, რომელიც 1918 წელს გერმანელებმა გაგვიწიეს, ქართველი ერისთვის მარად დაუვიწყარი იქნება. აწ იჭედება ახალი ევროპის მომავალი სისხლით, ცრემლითა და ოფლით... და ჩვენ მხოლოდ მსხვერპლით, უდიდესი მსხვერპლით შეგვიძლია მოვიპოვოთ ბედნიერი მომავალი. ქართველობისათვის ისტორიას უმსხვერპლოდ არაფერი მოუცია და ვერც დღეს მისცემს. ამ ბრძოლაში ჩვენ ქართველები, როგორც მთელი ერი, ისე ცალკეული პიროვნებანი, დანაკარგს ვერ გავექცევით. ვერც ერთი ქართველი ვერ მოიპოვებს შევებას თავისიანთა გარეშე, რადგან არარსებობს ბედნიერება და შევება გარეშე საკუთარი ერისა.

ჩვენს მუშაობასა და ბრძოლას ჩვენ ვუძღვნით სამშობლოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. ჩვენ ვიბრძვით ქართული ოჯახის, ზნე-ჩვეულებისა და ადამის აღდგენისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის, გლეხკაცობის განთავისუფლებისათვის საკოლმეურნეო მონობისაგან და მათთვის საკუთარი მიწის მინიჭებისათვის, თავისუფალი აზრისა და შემოქმედებისათვის, ქართველი ერის დაცვისა და გაკეთილშობილებისათვის.

ნება გვიბოძეთ მოწოდებას დავურთოთ სიტყვები, რომლითაც ჩვენ მივმართეთ გერმანიის არმიის მთავარსარდლობას: „ქართველი ჯარისკაცები, რომლებიც დღეს გერმანიის ჯარში იმყოფებიან, გერმანელ ჯარისკაცთა მხარდამხარ ათსობით დგანან ევროპისა და გერმანიის მტრებთან ყველა ფრონტზე ბრძოლაში, საქართველოს მომავალს წარმოადგენენ. ისინი გაიცნობენ გერმანიას და გერმანელ ერს, მათი დიდი ნაწილი შეისწავლის გერმანულ ენას. ისინი იქნებიან საუკეთესო გარანტიები გერმანული გავლენისათვის საქართველოში, რომელიც თავის მდებარეობით, არის კავკასიის ქვაკუთხედი. ქართულ საკავშირო შტაბს თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია იზრუნოს გერმანელებთან ერთად, იარაღქვეშ მყოფი ახალგაზრდა ქართული თაობის სწორი აღზრდისა და ხელმძღვანელობისათვის.

ჩვენ ურყევად გვწამს გერმანიისა და ჩვენი გამარჯვება. მთელი ჩვენი ძალღონით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიმუშავებთ და ვიბრძოლებთ გერმანიასთან ერთად.

გაუმარჯოს საქართველოს!

გაუმარჯოს ჩვენი ხალხის დიდ მოკავშირეს – გერმანიას, მისი და ახალი ევროპის ბელადს, რომელსაც თქვენ შეჰფიცეთ, ადოლფ ჰიტლერს!

ქართული საკავშირო შტაბი.

უ რ ყ ვ ი ვ ი რ ფ მ ე ნ ი თ ^[173]

როგორც გერმანიის, ისე უცხოეთის პრესაში ბევრი იწერებოდა იმ დიდი შეტევეითი ბრძოლების მომზადებისა და დაწყების შესახებ, რომელსაც საბჭოები აწარმოებენ, დაწყებული 12 იანვრიდან. მრავალი „წინასწარმეტყველება“ გამართლდა, მაგრამ მრავალი გაცრუვდა, ისტორიას ჩაბარდა. როგორც ყოველთვის, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე წარმოებული ბრძოლების ანალიზი გვიჩვენებს და მიმდინარე ომმაც ეს დაგვიმტკიცა, რომ ყველა დიდი შემოტევები, აღწევენ რა თავისი განვითარების კულმინაციურ წერტილს, ჰკარგავენ ძალას და ეშვებიან უკან, დასაწყისისაკენ. სტალინის მიერ წარმოებული გრანდიოზული შემოტევა სწორედ ასე განვითარდა. მან მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს, მაგრამ უმაღლეს მიზანს კი – ვერავითარ შემთხვევაში. ჩვენი მტრები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ ომის მსვლელობაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს იალტაში ეხლახანს დამთავრებული სამთა კონფერენცია,²

¹ ადოლფ ჰიტლერი (შვიკარგუბერი) (1889-1945) – გერმანიის კანცლერი და III რაიხის ფიურერი (1933-1945). გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის ბელადი.

² იალტის კონფერენცია – II მსოფლიო ომის ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერების (ი. სტალინი, ფ. რუზეველტი, უ. ჩერჩილი) შეხვედრა ყირიმის ნ/კ-ის ქ. იალტაში. 1945 წლის 4-11 თებერვალს. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია „განთავისუფლებული ევროპის შესახებ“. განიხილეს გერმანიის მომავალი მოწყობის და გაეროს შექმნის საკითხი.

ისე, როგორც ამას თეირანის კონფერენციამ¹ ვერ მიაღწია. სტალინს,² ჩერჩილსა³ და რუზველტს⁴ შეუძლიათ მრავალი დადგენილება გამოიტანონ, მაგრამ ჩვენი რწმენა და მისწრაფება სულ სხვაა და ვერაუთარ შემთხვევაში მათ სურვილებს ვერ შეურიგდება.

მალე მესამე წელი შესრულდება, რაც კავკასიის ერების: ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელებისა და ჩრდილოკავკასიელების მოხალისეთა შედგენილი ლეგიონები უდიდეს დახმარებას უწევენ გერმანელებს ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში და მათთან ერთად, მხარდამხარ იბრძვიან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ჩვენ გვწამს, რომ გავიმარჯვებთ! ეს რწმენა არ არის ფანატიკური, არამედ მრავალმხრივ გამოცდილ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა. ისე, როგორც წარსულში, კავკასიის ერები გაჭირვებისა და დალხინების დროს ერთმანეთს მხარში უდგნენ, დღესაც როდესაც ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმე საფრთხეში ჩავარდა, კავკასიის მიწის შვილებმა გადასწყვიტეს ერთიმეორესთან ხელიხელჩაკიდებულმა და მტკიცე კავშირში იბრძოლონ ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ამ მიზნის წარმატებით შესრულებისათვის გასულ წელს კავკასიის ერების საკავშირო შტაბების წარმომადგენელთა მიერ შექმნილ იქნა სპეციალური დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ხელმძღვანელობა გაეწია საერთო კავკასიური საქმისთვის კავკასიური კომიტეტის ჩამოყალიბებამდე.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ცნობას აღნიშნული კომიტეტის შექმნის შესახებ, რაც უთუოდ უაღრესად პრო-

¹ თეირანის კონფერენცია — II მსოფლიო ომში მონაწილე ანტიფაშისტური კოალიციის 3 ქვეყნის ლიდერების (სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი) კონფერენცია თეირანში 1943 წ. 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი. კონფერენციამ განამტკიცა კოალიციის წევრი-ქვეყნების თანამშრომლობა, მიიღეს გადაწყვეტილება დასავლეთის ფრონტის გახსნის და ომისშემდგომი მოწესრიგების შესახებ. თ. კ. მიიღო სპეციალური დეკლარაცია.

² იოსებ სტალინი (ჯულაშვილი) — (1879-1953) — საბჭოთა კავშირის კ. კ. გენერალური მდივანი (1922-1953). საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელი (1941-53). ანტიფაშისტური კოალიციის ლიდერი.

³ უინსტონ ლენონარდ სპენსერ ჩერჩილი (1874-1965) — დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური მოღვაწე. პრემიერ-მინისტრი (1940-1945, 1951-1955). ანტიფაშისტური კოალიციის ლიდერი. ნობელის პრემიის ლაურეატი (1953).

⁴ ფრანკლინ დელანო რუზველტი (1882-1945) — აშშ პრეზიდენტი (1933-1945). ანტიფაშისტური კოალიციის ლიდერი.

გრესული ნაბიჯია ჩვენს მუშაობაში და აშკარად ლაპარაკობს იმ დიდ მონღოლებზე და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის სურვილზე, რომელიც დღევანდელი დღის სირთულემ კი არ შეასუსტა, არამედ ერთიანად გაზარდა. ყველა ქართველი, აზერბაიჯანელი თუ სომეხი, ღრმად დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მზაკვრულ მტერზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიმარჯვებთ, თუ: საამისოდ ყოველგვარ საშუალებას გამოვიყენებთ და ყველა ძალებს დავძაბავთ ამ მიზნის მისაღწევად. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ იმარჯვებს მხოლოდ ის, ვისაც ნერვები მტკიცე აქვს და გამარჯვებაში დარწმუნებულია. წარსულში ეს თვისება ჩვენს მამა-პაპათ საუკეთესოდ ახასიათებდა, დღეს ჩვენც შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა გვავალებს გავაერთიანოთ ყველა ჩვენი ძალები, განვამტკიცოთ ჩვენი რიგები და გერმანიასთან მჭიდრო კავშირში მოვუპოვოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

კავკასიის ერების ერთიანობისათვის

აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საკავშირო შტაბებმა და ჩრდილო-კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ აღნიშნული ერების ერთადერთ და სრულუფლებიან წარმომადგენლებს, გადაწყვიტეს დააარსონ კავკასიური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

აზერბაიჯანის საკავშირო შტაბიდან:

1. ალიბეკოვი
2. მაიორი დუდანგინსკი
3. დასახელებული იქნება მომავალში;

საქართველოს საკავშირო შტაბიდან:

1. მიხეილ კელია
2. გიორგი მაღალაშვილი
3. კაპიტანი გივი გაბლიანი

სომხეთის საკავშირო შტაბიდან:

1. ჯამალიანი

2. პოლკოვნიკი სარქისიანი
3. პოლკოვნიკი ტიგრისი

ჩრდილოკავკასიის ნაციონალური კომიტეტიდან:

1. კანტემირი
2. მაგომა
3. დასახელებული იქნება მომავალში;

კავკასიური კომიტეტის მიზანია: გაერთიანება, კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მთელი ამ საქმიანობისა, რომელსაც დღეს აწარმოებენ კავკასიის ერების წარმომადგენლები, რათა ამ გზით უფრო ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარონ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების, აღდგენისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

„დიდი სამეფლის“ (საბჭოთა კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი) კოტსდამის კონფერენცია¹ (174)

1945 წლის 22 ივლისი. 17 საათი (სალამოს სხდომა)

მეორე საკითხი – თურქეთი. ინგლისის დელეგაციას აქვს წინადადება.

ჩერჩილი: თავს უფლებას მივცემ, გენერალისიმუსის ყურადღება მივაქციო თუ რამდენად მნიშვნელოვანია არ შევაშინოთ თურქეთი. თურქეთი უდაოდ შემფოთებულია საბჭოთა და ბულგარეთის არმიების კონცენტრაციით ბულგარეთში, აგრეთვე საბჭოთა პრესის და რადიოს გამუდმებული თავდასხმებით. აგრეთვე თურქეთის ელჩის ბატონ მოლოტოვთან² მოლაპარაკებით, რომლის დროსაც ნახსენები იყო თურქეთის აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილება და სრუტეში საბჭოთა ბაზა.

¹ პოტსდამის კონფერენცია – II მსოფლიო ომის ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი-ქვეყნების ლიდერთა (ი. სტალინი, პ. ტრუმენი, უ. ჩერჩილი, 28 ივლისიდან – კ. ეტლი, დიდი ბრიტანეთის ახალი პრემიერი) შეხვედრა ბერლინთან ახლომდებარე ქ. პოტსდამში 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე. პოტსდამის კონფერენციამ განიხილა გერმანიის მომავალი მოწყობის საკითხები, სათავე დაუდო გაეროს შექმნას.

² ვიანესლავ მოლოტოვი (სკრიპინი) (1890-1986) – სსრკ პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი. სსრკ სახკომსაბჭოს (მინისტრთა კაბინეტის) თავმჯდომარე (1930-1941). სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი (1939-1949, 1953-1956).

მე მესმის, რომ ეს არის საბჭოთა მთავრობის პრეტენზიები თურქეთისადმი, მაგრამ ვინაიდან თურქეთმა დასვა სსრკ-სთან ხელშეკრულების დადების საკითხი, ამ უკანასკნელმა წამოაყენა ამგვარი სახელშეკრულებო პირობები. ჩემთვის სრულებით ნათელია, რომ ვინაიდან თურქეთი ითხოვს ამ ხელშეკრულებას, საბჭოთა მთავრობას ეძლევა საშუალება, განაცხადოს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების პირობების შესახებ. თუმცა თურქეთი შეაფოთა წამოყენებულმა პირობებმა. მე არ ვიცი რა მოხდა მოლაპარაკებების შემდეგ და მსურს გავიგო ამ საკითხზე საბჭოთა მთავრობის პოზიცია.

სტალინი: გთხოვთ სიტყვა მივცეთ მოლოტოვს.

მოლოტოვი: სრუტეების საკითხზე წერილობით წარმოგიდგენთ დოკუმენტს, შესრულებულს რუსულ და ინგლისურ ენებზე. მაგრამ მანამდე გავიმარტავთ საკითხის წინაისტორიას.

თურქეთის მთავრობის ინიციატივით დადგა საბჭოთა მთავრობასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საკითხი, ჯერ ანკარაში ჩვენს ელჩთან, ხოლო მაისის ბოლოს თურქეთის ელჩის მეშვეობით მოსკოვში.

ივნისის დასაწყისში ორჯერ ვესაუბრე ელჩ სარფერს.¹ მივეცი თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, გარკვეული პირობით. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ურთიერთპრეტენზიები.

ჩვენ გვაქვს 2 საკითხი. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გულისხმობს საზღვრის ერთობლივ კონტროლს, მაგრამ ზოგიერთ უბანზე სსრკ-თურქეთის საზღვარს მივიჩნევთ უსამართლოდ. მართლაც 1921 წელს თურქეთმა საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა სომხეთს ჩამოაჭრა ყარსის, ართვინის და არდაგანის ოლქები (წარმოადგენს რუკას). ამიტომ განვაცხადე, რომ ხელშეკრულების დასადაბად აუცილებელია საკითხის მოგვარება. დაუბრუნდეს მათ ეს ტერიტორიები.

VII სხდომა. 23 ივლისი. 1945 წ. 17 საათი.

¹ სელიმ სარფერი (1899-1968) - თურქი დიპლომატი. თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში (1944-1946). საგარეო საქმეთა მინისტრი (1960-1962).

ტრუმენი:¹ დღის წესრიგის. პირველი საკითხია თურქეთი და შავი ზღვის სრუტეები. გუშინ დისკუსია შეწყდა, როდესაც პრემიერ-მინისტრი აკეთებდა განცხადებას.

ჩერჩილი: მე გუშინ დავასრულე გამოსვლა. განვმარტე, რომ ვერ დავეუჭვრ მხარს სრუტეებში რუსული სამხედრო ბაზის შექმნას და არა მგონია, თურქეთი დაეთანხმოს ამგვარ წინადადებას.

სტალინი: გუშინ ბ-ნი ჩერჩილი ამტკიცებდა, რომ რუსებმა შეაშინეს თურქები. ამის მთავარი მიზეზი კი ყოფილა რუსული და ბულგარული არმიების კონცენტრაცია ბულგარეთში. ბ-ნ ჩერჩილის დასამშვიდებლად მოგაწვდით ინფორმაციას ამ საკითხზე. მე არ ვიცი რა ინფორმაცია მიაწოდეს მას თურქებმა, მაგრამ მე მოვალე ვარ გითხრათ, რომ ბულგარეთში ჩვენ გვყავს ორი დივიზია. ბ-ნი ჩერჩილი თურქებმა შეაშინეს.

ჩერჩილი: თქვენი აზრით რამდენი ბრიტანული შენაერთია საბერძნეთში?

სტალინი: არანაკლებ ხუთი.

ჩერჩილი: მხოლოდ ორი დივიზია გვყავს იქ.

სტალინი: ეს დაახლოებით რამდენი ათასია?

ჩერჩილი: დაახლოებით 40 000.

სტალინი: ჩვენ, ბულგარეთში უფრო ნაკლები გვყავს 30 000.

ჩერჩილი: აქ იმყოფება ფელდმარშალი ალექსანდერი. მას შეუძლია ზუსტი ციფრის დასახელება.

სტალინი: მე ვენდობი ბ-ნ ჩერჩილის განცხადებას ასი პროცენტით. თუ საჭიროა წითელი არმიის გენშტაბის უფროსს, გენერალ ანტონოვს შეუძლია ზუსტი ცნობების მოწოდება. კონსტანტინოპოლის რაიონში თურქებს ჰყავთ 20 დივიზიაზე მეტი, შეიძლება 23 ან 24. გარწმუნებთ ბულგარეთის ჯარს არ შეუშინებია თურქები. შეიძლება თურქები შეაშინა საზღვრის შესწორების წინადადება? აქ საუბარი იყო I მსოფლიო ომამდე არსებული საზღვრის აღდგენაზე. მხედველობაში მაქვს ყარსის რაიონი, რომელიც ომამდე იყო სომხეთის შემადგენლობაში და არდაგანის რაიონი, რომელიც ომამდე

¹ პარი ტრუმენი (1884-1972) - აშშ პრეზიდენტი (1945-1953).

საქართველოს ეკუთვნოდა. ძველი საზღვრის აღდგენის საკითხი არ წამოიჭრებოდა, თურქებს რომ სსრკ-თურქეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების საკითხი არ დაეყენებინათ. ეს კავშირი კი ნიშნავს, რომ ჩვენ ვკისრულობთ თურქეთის, ისევე როგორც თურქები ჩვენი, საზღვრის დაცვას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყარსის და არდაგანის რაიონში საზღვარი უმართებულოა და თურქებს განვუცხადეთ, რომ ჩვენთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში საზღვარი უნდა გასწორდეს. თუ თურქეთს არ სურს საზღვრის შესწორება, ხელშეკრულების დადების საკითხი იხსნება.

თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ ^[17]

განმათავისუფლებელი ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ გამარჯვებული დემოკრატია ირაზმება, როგორც მშვიდობიანობისა და უშიშროების დასაყრდენი. ამ ორგანიზაციაში¹ თავისუფლების მოყვარე ხალხებს სურთ დაიკავონ მათი შესაფერისი ადგილი, ისინი ეძებენ თავიანთ სანუკვარ მისწრაფებათა განხორციელებას.

ქართველმა ხალხმაც, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში უფლება მოიპოვა წარადგინოს თავისი კანონიერი მოთხოვნები.

ჩვენ მიემართავთ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს თურქეთის მიერ წართმეული ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის შესახებ. საქმე ეხება არა უმნიშვნელო ტერიტორიულ შევიწროებას, არამედ ჩვენი ხალხის ინდივიდუალობის აკვანს, ჩვენგან მიტაცებულს, დანაშაულს, რომელმაც ორად გაჰკვეთა ცოცხალი ეროვნული სხეული.

საქმე ეხება ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ბრძოლის საგანს — ჩვენი ძველისძველი მიწა-წყლის დაბრუნებას. ქართველი ხალხი ძველთაგანვე ცხოვრობდა, შრომობდა და იბრძოდა თავის ამ მკვიდრ ტერიტორიაზე დიდი ტავრიდან მოკიდებული დიდ კავკასიამდე. ჰქმნიდა რა თავის ცივილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის ახალ-

¹ იგულისხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

ახალ ცენტრებს, ქართველმა ხალხმა ცხადყო სიცოცხლისა და შემოქმედების იშვიათი უნარი, მშობლიური მიწა-წყლის მტკიცე სიყვარული, ურყევი ნებისყოფა – დაეცვა ის, რაც მას ეკუთვნის...

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანელ დამპყრობთა მხარეზე რჩებოდა, კვლავ შურის თვალით შემოჰყურებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამის შესახებ აშკარად სწერდა თურქული პრესა. თურქეთი ერთხელ კიდევ ნებაყოფლობით დადგა იმპერიალისტური გერმანიის სამსახურში და ზიანს აყენებდა ანტიჰიტლერულ კოალიციას.

ჩვენ კი? განა საჭიროა გავახსენოთ მსოფლიოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართველმა ხალხმა გაერთიანებული ერების წმიდათა-წმიდა საქმეში?

ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდეს თავისი მიწა-წყალი, რომელზეც არასოდეს უთქვამს უარი და ვერც იტყვის. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმშიშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი, ტრაპზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით, ე. ი. საქართველოსათვის წართმეული ტერიტორიების მხოლოდ ნაწილი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრკ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: სიმონ ჯანაშია¹

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: ნიკო ბერძენიშვილი²

¹ სიმონ ჯანაშია (1900-1947) – დიდი ქართველი ისტორიკოსი. ენიშკის ლირექტორი (1936-1941). ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ლირექტორი (1941-1947), თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1935-1947). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1941-1947). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1943).

² ნიკო ბერძენიშვილი (1894-1965) – დიდი ქართველი ისტორიკოსი. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ლირექტორი (1948-1965), თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1947-1956). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951-1957).

დ) საქართველოს დიპლომატია 1992-2002 წლებში

ალექსანდრე ჩიკვაძემ: „ბოროტსა სკლია
კმთილმან, არსება მისი ბრკელია!“¹ 1178

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო გენერალურო მდივანო,² ქალბატონებო და ბატონებო,

დღეს 1992 წლის 31 ივლისს, საქართველოს რესპუბლიკის ხელმეორედ დაბადების დღეა. როგორც ყველა ჩველი, ყრმა თავის დედაენაზე აიდგამს ხოლმე ენას, ასევე მეც თავს უფლებას ვაძლევ – პირველი სიტყვები გაეროში, მსოფლიო თანამეგობრობის უმაღლეს ფორუმზე, ჩემს მშობლიურ ენაზე, ქართულად წარმოვთქვა.

შარშან საქართველოს რესპუბლიკა კელავ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. და თუ მაშინ მისი დაბადების დღე იყო, ახლა, როდესაც იგი ერთა ოჯახში შედის, მისი ნათლობაა. ამიტომ მივეცი თავს უფლება, ჩემი ერისთვის ამ საამაყო დღეს ჩემი გამოსვლის პირველი სიტყვები უძველეს და უნიკალურ ქართულ ენაზე აჟღერებულებო, იმ ენაზე, რომლის შემორჩენილი უადრესი წერილობითი ძეგლი მე-5 საუკუნითაა დათარიღებული.

ჩემთვის თქვენს წინაშე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი წარმომადგენლის სტატუსით გამოსვლა განსაკუთრებული პატივი და ღირსებაა. განუზომელი სიხარულით და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შეხვდა ჩემი ხალხი და მთავრობა უშიშროების საბჭოს³ გადაწყვეტილებას, რეკომენდაცია მიეცა გენ-

¹ ალექსანდრე ჩიკვაძე (დ. 1932) – ქართველი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. სსრკ გენერალური კონსული სან-ფრანცისკოში (1979-1983). სსრკ ელჩი კენიაში (1983-1985), სსრკ ელჩი პოლანდიაში (1989-1992), საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი (1992-1995), საქართველოს ელჩი საბერძნეთში (1995-2002), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მეიკიკოსის კონფედერაციასა და წმინდა საყდართან (2002 წლიდან).

² გაეროს გენერალური მდივანი – გაეროს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი. ინიშნება გენერალური ასამბლეის მიერ, 5 წლის ვადით (განმეორებითი არჩევის უფლებით) უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

³ გაეროს უშიშროების საბჭო – გაეროს მუდმივმოქმედი პოლიტიკური ორგანო, რომელსაც ევალება მსოფლიოში მშვიდობის და უშიშროების შენარჩუნება. მასში შედის 5 მუდმივი წევრი ვეტოს უფლებით (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) და 10 არამუდმივი წევრი (2 წლის ვადით, გეოგრაფიული წარმომადგენლობის საფუძველზე ირჩევა გაეროს გენერალური ასამბლეა).

ერალური ასამბლეისათვის,¹ გაეწევიანებინა საქართველოს რესპუბლიკა ერთა თანამეგობრობაში.

ქვეყანათა უმეტესობას ცივილიზებული განვითარების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა ეძლევა, პირველის ხელიდან გაშვების შემდეგ ძალზე იშვიათად აქვთ მეორე შესაძლებლობა.

1920-იან წლებში, გარეშე ძალთა შეიარაღებული აგრესიის შედეგად, საქართველომ დაკარგა პირველი შესაძლებლობა, მაშინ მას პრაქტიკულად არავინ დახმარებია.

დღევანდელი გადასახედიდან ეს გასაგებიცაა. იმ პერიოდში არც კი არსებობდა ისეთი ცნება, როგორცაა „მსოფლიო თანამეგობრობა“. პირველი საერთაშორისო ორგანიზაციები კი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს ამყარებდნენ, რათა საერთაშორისო სისტემაში თავიანთი ადგილი მოეძებნათ.

დღეს, საუკუნის მიწურულს, საქართველოს მიეცა დემოკრატიული განვითარების მეორე, უიშვიათესი შესაძლებლობა.

მაგრამ, როგორც საქართველოს, ისე სხვა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ძალისხმევა ამაოდ ჩაივლის, თუ დახმარების ხელს არ გამოგვიწოდებს დემოკრატიის სიკეთეს ნაზიარები დანარჩენი სამყარო.

ჩვენ გულითად მადლობას ვუხდით ყველა იმ ქვეყანას და ორგანიზაციას, რომლებმაც გასული რამოდენიმე თვის მანძილზე ჩემს ქვეყანას მეტად საჭირო ჰუმანიტარული დახმარება გაუწიეს. მაგრამ ვშიშობ, რომ ეს ზღვაში წვეთია, უკეთეს შემთხვევაში კი მხოლოდ სულის მოთქმის საშუალებას მოგვცემს.

მე ვლაპარაკობ მთავარი და მყარი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნისაკენ მიმართული ახალი სახის თანამშრომლობის უდიდეს მნიშვნელობაზე. ეს კი თავის მხრივ დიდად დაგვეხმარება დემოკრატიულ ცვლილებათა შეუქცევადობის უზრუნველყოფაში. ჩვენ არ ვითხოვთ, ჩვენი საქმე სხვამ გააკეთოს. სავსებით გვესმის რომ ქვეყანაში დემოკრატიის შენების წარმატება უპირველესად თვითონ საქართველოზეა დამოკიდებული.

¹ გაეროს გენერალური ასამბლეა — გაეროს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, სადაც ყველა წევრ სახელმწიფოს თანაბარი, 1 ხმის უფლება აქვს. გ. გ. ა-ის სამუშაო ენებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, რუსული, ჩინური, არაბული.

ჩვენ თავმოსაწონი არაფერი გაგვანჩია არც ეკონომიკურ და არც სოციალურ მემკვიდრეობაში. ერთი, რაც რეალურად გვაქვს, არის მტკიცე გადაწყვეტილება, გავხდეთ მყარი, აყვავებული და დემოკრატიული საზოგადოება, რომელიც მსოფლიოში ნდობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

რა შეიძლება ამ მხრივ შესთავაზოს დანარჩენ მსოფლიოს ძრავალ-საუკუნოვანი ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანამ – საქართველომ, რომელმაც ქრისტიანობა მეოთხე საუკუნის დასაწყისში მიიღო?

უპირველეს ყოვლისა, იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა საერთაშორისო საქმეებში მნიშვნელოვან დადებით ფაქტორად აქციოს. ეს ასპექტი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, რადგან საქართველო არა მარტო ევროპასა და აზიას, არამედ ჩრდილოეთსა და სამხრეთსაც აკავშირებდა. ეს უკანასკნელი კი წარმმართველი ტიპის ურთიერთობა შეიძლება გახდეს თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრებაში. ეს მსოფლიო თანამეგობრობის ეს ახალი პოლიტიკური რეალობაა.

საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების მიერ საჯაროდ გაცხადებული ოფიციალური კურსი ჩვენი პოლიტიკური რესურსის ჭეშმარიტი კვინტესენციაა. მისი ძირითადი დებულებები:

საქართველოს რესპუბლიკა იხელმძღვანელებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის, პელსინკის საბოლოო დოკუმენტსა და პარიზის ქარტიაში მოცემული ვალდებულებებით, რომლებიც ეხება დემოკრატიულ ინსტიტუტთა განვითარებასა და ადამიანის უფლებებს;

საქართველოს რესპუბლიკა, რომელსაც სურს, წვლილი შეიტანოს საერთაშორისო სტაბილურობაში, შეუერთდება საერთაშორისო შეთანხმებებს განიარაღების თაობაზე;

საქართველოს რესპუბლიკა თათბირის პროცესის შეთანხმების საფუძველზე დაიცავს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებებს.

გაეროს დაუღალავი მოღვაწეობის ერთ-ერთი პრობლემა უეჭველია, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის აუცილებლობაა, მაგრამ ეს არ შეიძლება და არც უნდა ხდებოდეს ძირძველი მოსახლეობის ხარჯზე, რის ტენდენციაც, სამწუხაროდ, სწრაფი ტემპით იზრდება.

მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებაზე თანაბრად პასუხისმგებელია ყველა, მიუხედავად, თუ რა სტატუსი აქვს: ეროვნული უმცირესობისა, თუ ძირძველი მოსახლეობის. სასიამოვნოა რომ ამ პრობლემას გაეროს დადებითი გამოძახილი მოჰყვა. მისმა აღმატებულებამ, ლოქტორმა ბუტროს გალიმ¹ პირველი ივლისის გამოსვლაში აღნიშნა, „თუ ყოველი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი მოითხოვს დამოუკიდებლობას, მაშინ დასასრული არ ექნება დაქუცმაცებას და მშვიდობის, უშიშროებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა ყველასათვის გაცილებით გაძნელებია“.

ეს სიტყვები ფრიად ღროულია, რადგან ეროვნული უმცირესობებისა და ეთნიკური ჯგუფების მოთხოვნები ბიოლოგიური ნაციონალიზმის დამანგრეველი ძალების ხელში საშიში იარაღი ხდება.

ბევრ თქვენგანს, ალბათ, სმენია იმ სისხლიან კონფლიქტზე, რომელიც წინა სისტემამ თავს მოახვია ქართველებსა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობას –ოსებს.

უკვე ორი კვირაა, იმ მხარეში მშვიდობა დამკვიდრდა და სამი წლის მანძილზე პირველად აღარ იღვრება სისხლი, ცხოვრება ნელ-ნელა უბრუნდება ჩვეულ რიტმს.

უფრო მეტიც, როგორც ჩანს, ამ კონფლიქტის გადასაჭრელად ჩვენს მიერ შემუშავებული ფორმულა შეიძლება მომავალი ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტების გადასაწყვეტად გამოდგეს. წლეულს, 17 ივლისს ზალხისადმი თავის მიმართვაში სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ² განაცხადა, რომ „... თუ ამ კონფლიქტის გადაჭრა გეგმის მიხედვით განხორციელდა, ამით საქართველო მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეთნოკონფლიქტების მოგვარების საერთაშორისო პრაქტიკაში რუსეთთან ერთად.“

ჩვენ გვწამს, რომ ეს მოდელი გაეროში გაწვერიანების აუცილებელი და შესაფერისი საწყისი შენატანია.

¹ ბუტროს ბუტროს გალი – გაეროს გენერალური მდივანი (1992-1996). ეგვიპტელი კოპტი.

² ედუარდ შევარდნაძე (დ. 1928) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი (1965-1972), კ კ-ის პირველი მდივანი (1972-1985), სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-1991). სახელმწიფო საბჭოს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (1992-1995), საქართველოს პრეზიდენტი (1995-2003).

საქართველოს რესპუბლიკა აღიარებს საზღვრების ურღვევობას, რომლებიც მხოლოდ მშვიდობიანი გზით და დაინტერესებულ მხარეთა ერთსულოვანი თანხმობით შეიძლება შეიცვალოს. სახელმწიფოებრიობის ორ ათასწლეულს აღმატებული ისტორიის მანძილზე საქართველოს არასოდეს მიუტაცნია სხვა ხალხთა მიწები და ამას არც მომავალში აპირებს. ჩვენ ეს დავადასტურებთ ჰელსინკის ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. უბრალოდ რომ ვთქვათ, საქართველოში არაქართული მიწის ერთი გოჯიც კი არ არის და ჩვენ გადაჭრით აღვეკვეთთ ქართულ მიწაზე ყოველგვარ პრეტენზიას.

ახალი მსოფლიოს მოთხოვნებისადმი ამ პრინციპების სრული მისადაგების მიზნით, ჯერ სტამბოლის შავი ზღვის კონფერენციაზე, შემდეგ კი ჰელსინკის ევრო-თათბირის შეხვედრაზე, ჩვენ ხაზი გავუსვით პოლიტიკური მართვის არსებული მექანიზმების მოდერნიზებისა და ახლის შექმნის აუცილებლობას.

ეს ძირითადი იდეა გულისხმობს განსაკუთრებულ ხაზგასმას რეგიონული თანამშრომლობის კომპონენტზე, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს ამიერკავკასიის, შავი ზღვის აუზის, ან შუა აზიის მექანიზმების შექმნასთან.

ევროპული პროცესებისათვის შეიძლება განახლების მნიშვნელოვანი ელემენტი გამხდარიყო ეროვნული უმცირესობების მიერ თავიანთ ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებასა და სტაბილურობაზე გაზიარებული პასუხისმგებლობის პრინციპის დაწესება და ამ მიზნით შესაბამისი ინსტიტუტების შექმნა.

ამას მჭიდროდ უკავშირდება ჩვეულებრივი შეიარაღების გავრცელების, განსაკუთრებით კი ნაციონალისტური ძალების ხელში მათი მოხვედრის პრობლემა.

ჩვენს განზრახვას, რომ აქტიურად და ეფექტიანად ვიღვაწოთ საერთაშორისო ასპარეზზე, ადასტურებს ჩვენი მოქმედება: მხარს ვუჭერთ ჰელსინკის პროცესის¹ ფარგლებში ევროპის უსაფრთხოე-

¹ ჰელსინკის ევროპის და უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი 33 ევროპული სახელმწიფოს, კანადის და აშშ-ის სახელმწიფოს მეთაურთა მიერ 1975 წლის 1 აგვისტოს იქნა მიღებული.

ბას რეგიონული სისტემების მეშვეობით; ხელი მოვაწეროთ სტამბოლის დეკლარაციის შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობაზე¹ და მათ უკვე შევთავაზეთ პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტებით გაგვეფართოებინა ეს ეკონომიკური თანამშრომლობა.

ნახევარი საუკუნის წინათ პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის თაოსნობით შექმნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დღეს ახალი ამოცანების წინაშე დგას. მათ შორისაა დემოკრატიისაკენ რთული და ხანდახან საკამათო გზით მიმავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მხარდაჭერა და აგრესიისაგან დაცვა. ჩვენ გვწამს, რომ გაეროში საქართველოს გაწევრიანებით ჩვენს წინააღმდეგ აშკარა აგრესიის შესაძლებლობა დიდად შემცირდება. მაგრამ არის სხვა სახის, კერძოდ, შინაგანი აგრესიაც, რომელიც მიმართულია ჩამოყალიბებადი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ეკონომიკური რეფორმების წინააღმდეგ.

გაეროს, როგორც უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის მოქმედება, სრულიად გამართლებულია, როცა თანაბრად ებრძვის ნებისმიერ აგრესიას, როგორც გარეშე ძალის მიერ, ისე შიგნიდან ინსპირირებულს.

გაეროს 179-ე წევრად საქართველოს მიღება ქვეყნის საერთაშორისო აღიარების გვირგვინია. ეს ციფრი, თუმცა მას რაიმე სიმბოლური მნიშვნელობა არ გააჩნია, მაინც მიგვანიშნებს, რომ საქართველო გვიან შეუერთდა ერთა ოჯახს. ჩვენ ამას დიდ პატივად მივიჩნევთ და ვკისრულობთ იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას ახლავს.

იქნებ ის დღეც დადგეს, როცა საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოსთვისაც გამოძებნის ადგილს და რამდენიმე სხვა პატარა ქვეყნის მსგავსად, რომელსაც ის ეყრდნობა, მასაც უწილადებს ერებს შორის კონფლიქტების მოგვარების პასუხისმგებლობას. საქართველოსაც შეუძლია გახდეს ასეთი ქვეყანა.

¹ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC) დაფუძნდა 1992 წლის 25 ივნისს სტამბოლის სამიტზე.

ბატონებო და ქალბატონებო!

იქნებ ჩემი ქვეყნისადმი სიყვარულმა, მის მომავალზე ზრუნვამ მაიძულა გადაჭარბებული ემოციურობით მელაპარაკა და საქართველოს მომავალი როლი მსოფლიოში მეტისმეტად გაშეიდეალებინა, მაგრამ იმედისთვის ნუ დამძრახავთ.

ჩვენ თბილი და გულღია ხალხი ვართ. ჩვენი დედაქალაქის სახელი თბილს ნიშნავს ქართულად. ვინც არასდროს ყოფილხართ ჩემს მშობლიურ ქალაქში, უნდა დამიჯეროთ, რომ იგი ნამდვილად თბილი და სტუმართმოყვარეა.

მსურს, გულითადი მადლობა გითხრათ ყველას, ვინც მხარი დაუჭირა საქართველოს მისწრაფებას, გამხდარიყო გაეროს წევრი, ყველას, ვინც დასაწყისიდანვე თავს ამ მსოფლიო ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად გვაგრძნობინებდა.

ჩემი ქვეყნისა და პირადად ჩემთვის ამ ღირსსახსოვარ დღეს არ შემიძლია არ გავიხსენო აღორძინების ხანის დიდი ქართველი პოეტის შოთა რუსთველის სიტყვები, რომელმაც თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ თქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. დაე, ეს სიტყვები მუდამ უღერდეს ამ ორგანიზაციის კედლებში.

ჩემი გამოსვლის დასასრულს ნება მიბოძეთ, რუსთველის სიტყვები ქართულადაც გავიმეორო: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

დიდი მადლობა.

მემორანდუმი

საქართველოს რესპუბლიკისა და
გაერთიანებული ერების განათლების,
მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის
თანამშრომლობის შესახებ ^[19]

საქართველოს რესპუბლიკა და იუნესკო¹ ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას უერთგულონ ერთა შორის თანამშრომლობის იდეალებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კავშირურთიერთობის მეშვეობით სამართლიანობისადმი საყოველთაო პატივისცემის, კანონის უზენაესობის, ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების განსამტკიცებლად.

საქართველომ განაეითარა ახალი სახელმწიფო პოლიტიკა ცვალებადი საერთაშორისო გარემოს შესაბამისად. ეს პოლიტიკა შეიცავს თანამშრომლობას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. საქართველოს რესპუბლიკას სურს განამტკიცოს იუნესკოს თავისი ეროვნული კომისიის ეფექტიანობა, ყველა დონეზე: ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და ამ მიზნით ისწრაფვის მიიღოს იუნესკოს ადამიანების ტექნიკური და მატერიალური, მოკლევადიანი დახმარება და სასწავლო პროგრამები, იუნესკოს შეხვედრებსა და საქმიანობაში, რეგულარულ ინფორმაციის მიღებისა და იუნესკოს პროფესიულ და სამეცნიერო ქსელებში მონაწილეობის გაძლიერების საშუალებით.

იუნესკოს მანდატი, შექმნას თავისი კომპეტენციის სფეროებში ინტელექტუალური თანამშრომლობის მეშვეობით მშვიდობისა და ტოლერანტობის კლიმატი, საქართველოს მთავრობას მიაჩნია ქვეყნისათვის დიდი პოტენციური სარგებლობის წყაროდ. ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლება ცდილობს იუნესკოსგან მიიღოს პრიორიტეტული დახმარება იმ პროგრამების ხელშესაწყობად, რომლებიც აძლიერებენ ეროვნულ ძალისხმევას შემრიგებლობის, რეაბილიტაციისა და სოციალური ჰარმონიისათვის.

¹ იუნესკო - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია - სპეციალიზებული სამთავრობათშორისო ორგანიზაცია, დაფუძნდა 1945 წ. იუნესკოს აღმასრულებელი ორგანო შედგება 51 წევრისაგან, საზღივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი.

თავის მხრივ, იუნესკო მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოსთან თანამშრომლობის გაძლიერებას კულტურის, მეცნიერების, განათლების, კომუნიკაციის, ინფორმაციისა და ინფორმატიკის სფეროებში და რესურსების თავმოყრას იმ პრიორიტეტულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მთავრობას განსაზღვრული აქვს შემდეგნაირად:

განათლება

1. საქართველოს რესპუბლიკა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, განათლების სფეროშიც განიცდის კრიზისსა და საგანგებო მოვლენების პერიოდს, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვს წინასწარ გრძელვადიან დაგეგმვას. ცვალებადი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაანალიზებისას, იგი ისწრაფვის წარმოაჩინოს პრიორიტეტები რეფორმისათვის, გამოაეღინოს განვითარების პერსპექტივები და წარმატებით მიიყვანოს ბოლომდე ტრანსფორმაციის პროცესი.

2. როგორც წვლილი: 1994 წლის ნოემბერში შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გასაადვილებლად, როცა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მთავარი კომპიუტერული ცენტრი ხანძარმა გაანადგურა, იუნესკომ სამინისტრო მოამარაგა კომპიუტერული აღჭურვილობით და დაეხმარა მას საიმედო და ეფექტიანი საგანმანათლებლო მართვის ინფორმაციული სისტემის დაარსებაში.

3. იუნესკო გაეროს სისტემის სხვა ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით განაგრძობს ღონისძიებებს ხელშეწყობას, რათა მათ საქართველოს განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ განათლების სფეროში, ამასთან მიაწოდონ უმნიშვნელოვანეს სასკოლო სახელმძღვანელოების დაბეჭდვისთვის აუცილებელი ქაღალდიც.

4. გრძელვადიანი რეფორმის პერსპექტივაში, იუნესკო კვლავაც გაუწევს კონსულტაციებს და დაეხმარება საქართველოს განათლების სისტემას 1995-96 წლებისათვის დაგეგმილი რეფორმის შესახებ მრგვალი მაგიდის მომზადებაში.

5. იუნესკო გაუადვილებს საქართველოს სპეციალისტებსა და

დაწესებულებებს განათლების სისტემის განვითარების შესახებ უახლესი ინფორმაციის მიღებას და ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას იუნესკოს პროგრამებსა და პროექტებში, კერძოდ, ისეთ სფეროებში, როგორცაა: საბაზო განათლება, მასწავლებელთა სტაჟირება, სპეციალური განათლება, პროფილაქტიკური განათლება (ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება), სახელმძღვანელოების დამუშავებასა და გამოშვებაში თანამშრომლობა (მონაწილეობა შესაბამის პროგრამულ საქმიანობაში), ტექნიკური და პროფესიული განათლება (იუნივერსიტეტის პროექტი), განათლება გარემოს სფეროში (დისციპლინათმორისი და სააგენტოთაშორისი თანამშრომლობის პროექტი: გარემო და მოსახლეობის განათლება და ინფორმირება ადამიანის განვითარებისათვის).

6. უმაღლესი განათლების სფეროში: იუნესკოს გარემოს შემსწავლელ მეცნიერებათა და მართვის კათედრა დაარსდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და დახმარება-კონსულტაციები ასევე ხელმისაწვდომი გახდება უმაღლესი განათლების რეფორმისთვისაც სწავლების, დიპლომებისა და ხარისხების აღიარება; ხარისხის შეფასება და აკრედიტაცია; განათლება და ინფორმეტიკა (1996 წლისათვის დაგეგმილი განათლებისა და ინფორმეტიკის შესახებ მეორე კონგრესის მომზადებასა და გამართვაში მონაწილეობის ჩათვლით).

7. საქართველო გააძლიერებს თავის მონაწილეობას იუნესკოს გაერთიანებული სკოლების პროექტში ახალი სკოლების მიერთებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტებში მათი ჩართვის საშუალებით დემოკრატიული მოქალაქეობისა და გარემოს სფეროში განათლებისათვის.

მეცნიერება და ტექნოლოგია

1. საქართველოს რესპუბლიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებას, რომელშიც მას ტრადიციულად უპირატესობა აქვს რეგიონში.

იუნესკო და საქართველო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სხვა კვლევითი და

საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით განავითარებენ თანამშრომლობას ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა სფეროში.

2. მიიღო რა მხედველობაში ენერჯის წარმოებისათვის მინიჭებული პრიორიტეტი, საქართველოს რესპუბლიკამ, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენერჯის განახლებადი წყაროების შექმნის სამუშაოს, ამ სფეროში დააარსა ხელოვნების ცენტრი. იუნესკო გააგრძელებს საერთაშორისო ენერგეტიკული ცენტრისათვის დახმარებას, რათა საშუალება მისცეს მას კოორდინაცია გაუწიოს და ხელი შეუწყოს პროფესიულ კავშირებს შორის კვლევითა და სასწავლო საქმიანობას და მოამზადოს დისციპლინათშორისი საცდელი პროექტი, რომელიც აკავშირებს ალტერნატიული ენერჯის წარმოებას გარემოს დაცვის საკითხებთან და ადამიანის დასახლების დაგეგმვასთან. იუნესკო აგრეთვე ეცდება დამატებითი საბიუჯეტო წყაროების მობილიზებას, რომლებიც გამიზნულია განახლებადი ენერგეტიკული წყაროების ოპტიმალური ინტეგრაციისათვის ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში.

3. თანამშრომლობის სხვა სფეროები მოიცავენ ბიოლოგიასა და ბიოტექნოლოგიას (ბოტანიკა 2000 და გენომის პროგრამის ფარგლებში) და დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებს (სეისმურ უბედურებათა საშიშროება) და საერთაშორისო გეოლოგიური კორელაციის პროგრამაში ჩართვას (IGCP).

4. საქართველომ ჩამოაყალიბა სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც იხილავს საკითხებსა და პროგრამებს ადამიანისა და ბიოსფეროს შესახებ (MAB), ამასთან დაკავშირებით იუნესკო დახმარებას გაუწევს მეცნიერებათა აკადემიას მამის სუბრეგიონული სემინარის გამართვაში. გარდა ამისა, საქართველოს ამ დარგის მეცნიერები და სპეციალისტები მიწვეული იქნებიან მამის ეროვნული კომიტეტის საერთო-ევროპულ რეგიონულ კონფერენციაზე (ევრომაბი-V. 1995 წლის სექტემბერი).

5. უფრო გაფართოვდება თანამშრომლობა ზღვის შემსწავლელ მეცნიერებათა დარგში იუნესკოს სამთავრობათშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის შავი ზღვის (IOC) მეშვეობით. საქართველო განაგრ-

ძობს მონაწილეობას რეგიონული ოკეანოგრაფიული კომისიის შავი ზღვის თანამშრომლობის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს სისტემატურ დაკვირვებას და თავის წვლილს შეიტანს რეგიონული პროგრამების შემდგომ განვითარებაში, იმ საგანგებო ექსპერიმენტული პროექტების ჩათვლით, რომლებიც შავი ზღვის ძირითად დინებებს ეხება.

6. იუნესკო დაეხმარება საქართველოს საერთაშორისო ჰიდროლოგიური პროგრამის (IHP) სახელმწიფო კომიტეტის ჩამოყალიბებაში, ტექნიკურ დახმარებას გაუწევს სახელმწიფო წყლის რესურსებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, აგრეთვე ქართველი სპეციალისტებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციისა და უახლესი ინფორმაციის მიწოდებაში.

კულტურა

1. საქართველომ, როგორც მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის თაობაზე კონვენციის მონაწილემ (1972 წ.), მიაღწია მის ტერიტორიაზე მდებარე ორი ისტორიული ადგილის, კერძოდ ქალაქ-მუზეუმ მცხეთის, ბაგრატიის ტაძრისა და გელათის მონასტრის რეგისტრირებას მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალში (WHL) 1994 წლის დეკემბერში. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას ამ ძეგლების მოვლა-პატრონობისათვის და ზემოხსენებულ ჩამონათვალში (WHL) აღნიშნული ქართული ძეგლების ექსპოზიციის მოწყობას იუნესკოს შტაბ-ბინაში. გარდა ამისა, იუნესკოს ექსპერტები ადგილობრივ სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით სისტემატურ ზედამხედველობას გაუწივეს საქართველოს ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობას.

2. საქართველოს ისტორიის ასახვისათვის 1995 წლის სექტემბერში იუნესკოს ეგიდით მოეწეობა საქართველოს გაერთიანებისა და ქუთაისის სატახტო ქალაქად გამოცხადების ათასი წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

3. იუნესკოს დახმარება გათვალისწინებულია აგრეთვე ისტორი-

ულ ქალაქ მცხეთისათვის, მისი კოორდინირებული განვითარებისათვის.

4. იუნესკო ხელს უწყობს საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობას რეგიონულ სემინარში, რომელსაც იუნესკო გამართავს შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის კონვენციის¹ და, კერძოდ, მისი განახლების წინადადებებთან დაკავშირებით.

5. იუნესკოს რეკომენდაციებსა და დახმარებებს მოითხოვს აგრეთვე კულტურის სფერო, მისი მენეჯმენტი და ისეთი საქმიანობა, როგორცაა საჭირო სემინარების მოპოვების სტრატეგია, საგამოფენო მენეჯმენტი და ხელოვნების დარგის მარკეტინგი, ასევე დახმარებას საჭიროებს გალერეების, მუზეუმებისა და კულტურის სხვა ინსტიტუტებში მომუშავე პერსონალის მომზადება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, დახმარება რესტავრაციისა და მოვლა-პატრონობის უახლესი ტექნიკისა და კოლექციათა აღრიცხვისა და მენეჯმენტის კომპიუტერიზებული მეთოდების დაუფლებაში. გარდა ზემოხსენებულისა, ხელშეწყობას საჭიროებს საბალეტო ხელოვნება, კერძოდ ვ. ჭაბუკიანის ფონდთან ერთად სემინარის მოწყობის მეშვეობით.

კომუნიკაციები. ინფორმაცია და ინფორმატიკა

1. საქართველოს მოთხოვნილებათა საპასუხოდ, მისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურების მოდერნიზაციისათვის საერთაშორისო კომუნიკაციების განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიზნით, იუნესკო უზრუნველყოფს მოკლევადიან საკონსულტაციო მომსახურებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რეფორმებთან დაკავშირებით, ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროფესიულ კავ-

¹ პაგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის შესახებ – მიიღეს პაგის კონფერენციაზე (1954 წლის 21. IV-14. V), ცნობილი რუსი მხატვრის „ნიკოლოზ რერინის პაქტის“ საფუძველზე. კონვენცია მასში მონაწილე მხარეებს ავალდებულებს დაიცვან და პატივი სცენ კულტურულ მემკვიდრეობებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს. იკრძალება ოკუპირებული ტერიტორიიდან კულტურულ მემკვიდრეობათა გატანა.

შირს, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამშრომელთა ურთიერთგაცვლასა და მონაწილეობას სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში. იუნესკო, გარდა ამისა, თავის წვლილს შეიტანს მშვიდობის კულტურისა და ტოლერანტობის განმტკიცებაში რეგიონული და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა შორის ურთიერთობისა და დიალოგის განვითარების ხელშეწყობის მეშვეობით.

2. იუნესკოს შეიძლება ეთხოვოს დახმარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მოთხოვნილებათა განსაზღვრაში, შესაბამისი პროექტების ფორმულირებაში საერთაშორისო კომუნიკაციათა განვითარების პროგრამაში (ICDP) წარდგენის ან სხვა დამატებითი საბიუჯეტო წყაროებისათვის იუნესკოს ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიის მიხედვით.

3. იუნესკოს სამთავრობათშორისო ინფორმაციული პროგრამა უზრუნველყოფს ინფორმაციულ და ტექნიკურ დახმარებას კომპიუტერის გამოყენებისა, ინფორმაციის სფეროში განვითარებისა და განათლებისათვის. საქართველოსთან თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები განხილული იქნება „რეგიონული ინფორმაციული ქსელი აღმოსავლეთ ევროპისათვის“ ფარგლებში.

4. იუნესკოს გენერალური ინფორმაციული პროგრამა საბიბლიოთეკო და საარქივო განვითარების შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფს საქართველოს შესაბამის დაწესებულებებს, საქართველო ასევე ასოცირებული იქნება იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების პროგრამასთან.

5. იუნესკო დახმარებას გაუწევს ორგანიზაციებს სასწავლო სემინარებში, ტექნიკური ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში იუნესკო CDS/ISIS პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში და ასევე CDR-OM ტექნოლოგიის გამოყენებაში საქართველოს ბიბლიოთეკებს, არქივებს, მუზეუმებსა და სხვა დაინტერესებულ სააგენტოებს.

საზოგადოებრივი და კუმანიტარული მეცნიერებები

1. იმის გათვალისწინებით, რომ კუმანიტარული მეცნიერებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაში, საქართველომ და იუნესკომ უნდა გააძლიერონ თავიანთი თანამშრომლობა ამ სფეროში იმ საქმიანობის გათვალისწინებით, რომელიც ეხება ახალგაზრდობას, ქალებს და ქვეყანაში მცხოვრებ უმცირესობათა ინტერესებს. საქართველოს მონაწილეობა სოციალური ტრანსფორმაციის მართვის პროგრამაში მიზნად ისახავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სასწავლო პროგრამების განვითარებას და პროფესიული სტაჟირების ორგანიზაციას ტექნიკური და მმართველობითი შტატების ჩათვლით.

2. იუნესკო მიესალმება დასავლეთისა და აღმოსავლეთის სწავლების ცენტრის დაარსებას, რომელიც 1994 წელს შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან. იგი ასევე მიესალმება მის მიზანს შეისწავლოს კავკასიაში და საერთაშორისო მასშტაბით კულტურული და ეთნიკური ურთიერთობანი.

3. საქართველომ და იუნესკომ ერთობლივად დაიწყეს საერთაშორისო ფორუმის „სოლიდარობა შეურიგებლობის წინააღმდეგ და დიალოგი კულტურისათვის“ მზადება, რომელიც გაიმართება თბილისში 13-15 ივლისს და თავს მოუყრის საერთაშორისო ინტელექტუალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებიც მოწოდებული არიან მოახდინონ გავლენა მშვიდობის კულტურის დამყარებაზე, ტოლერანტობასა და კულტურათაშორის დიალოგზე.

4. სურს რა ითანამშრომლოს საზოგადოებრივ და კუმანიტარულ მეცნიერებებში ყველა რეგიონის ქვეყნებთან, საქართველო სთხოვს იუნესკოს ითანამშრომლოს კავკასიის პოლიტიკური მეცნიერების ცენტრის შექმნაში.

5. იუნესკო დახმარებას გაუწევს საქართველოს ახალგაზრდობის დასაქმების განვითარებაში სპორტული ღონისძიებების ჩათვლით, გაეროს სისტემის სხვა ორგანიზაციებთან, შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარებაში. ამ კონტექსტით საქართველოს ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერებისათვის

მოეწეობა ეროვნული სასწავლო სემინარი, რომლისთვისაც იუნესკო ეცდება გამოეყოს დამატებითი საბიუჯეტო ფონდები.

6. იუნესკოსა და საქართველოს მთავრობას მიაჩნიათ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტებმა უნდა გაიცნობიერონ მშვიდობის კულტურის, ტოლერანტობისა და დემოკრატიული პრინციპების დიალოგი. ამიტომ იუნესკო მხარს დაუჭერს მთავრობის იმ პროექტს, რომ თბილისის მახლობლად დაარსდეს საერთაშორისო ცენტრი კულტურათა დიალოგისათვის, მშვიდობისა და ტოლერანტობისათვის ქალაქ თბილისის, აღორძინებისა და დემოკრატიის ფონდისა და ქართველ სკაუტთა ორგანიზაციის ეგიდით, რათა განხორციელდეს მეცნიერული კვლევა მშვიდობის კულტურის, ტოლერანტობისა და დემოკრატიის პრობლემებზე და უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდული ჯგუფების ლიდერთა სწავლება დემოკრატიული საზოგადოების სულისკვეთებით.

7. იუნესკო შეასრულებს წინამდებარე მემორანდუმში ჩამოთვლილ ვალდებულებებს საქართველოს იუნესკოს კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

8. შესრულებულია თბილისში 1995 წლის 12 ივლისს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით
ედუარდ შევარდნაძე
გაერთიანებული ერების განათლების,
მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის სახელით
ფედერიკო მაიორი.¹

კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა
და თანამშრომლობის დეკლარაცია ^[180]

XX საუკუნის ბოლო ათწლეული საერთაშორისო ურთიერთობაში ფუნდამენტური ძვრებით აღინიშნა. ისტორიული ნაბიჯები გადაიდგა, რათა მომხდარიყო ძირეული გადასვლა ცივი ომის მდგომარეობიდან

¹ ფედერიკო მაიორი სარაგოსა (დ.1934) – ესპანელი ბიოლოგი და პოლიტიკოსი. იუნესკოს გენერალური მდივანი (1982-1999).

ყველგან დემოკრატიის პრინციპის დამკვიდრებაზე, საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებისათვის უალტერნატივო თანამშრომლობის გაცნობიერებაზე.

ტოტალიტარული რეჟიმის მეშვეობით განაპირობა რეგიონის გადაქცევა უღმობელი დაპირისპირების, აგრესიული სეპარატიზმისა და ნაციონალიზმის ასპარეზად, რასაც შეიარაღებული კონფლიქტები მოჰყვა. უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვა, ეთნიკური წმენდა, ასიათასობით მოქალაქის ლტოლვილად გადაქცევა მშობლიურ მიწაზე, უზარმაზარ ფასეულობათა და ქონების განადგურება, ეკონომიკის მოშლა გახდა ამ კონფლიქტების უძძიმესი შედეგები. დესტაბილიზაციის მუხტი საშიშ დამანგრეველ ძალას შეიცავს. შემდგომ ესკალაციას შეიძლება ფართო მასშტაბის კატასტროფა მოჰყვეს.

ამავე დროს კავკასიაში ძლიერია ტოლერანტობის, ურთიერთ თავდებობის ტრადიციები, საუკუნეთა განმავლობაში უბედურების წაშლადამიანები მუდამ მზად იყვნენ ერთმანეთის დასახმარებლად, მიუხედავად ეთნიკური თუ კონფესიური განსხვავებისა.

ბუნებრივი და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით კავკასია პლანეტის უმდიდრესი მხარეა. პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზაცია, ერთმანეთისადმი ნდობის აღდგენა, ხანგრძლივი მშვიდობის, სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ქმედუნარიანი მექანიზმების შექმნა აუცილებელი წინამძღვრებია იმისათვის, რომ ეს სიმდიდრენი ჩადგეს ყველა ხალხის, ჩვენი რეგიონის ყველა მცხოვრების სამსახურში, მაქსიმალური ეფექტიანობით იყოს გამოყენებული უაღრესად ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული პირობები.

დეკლარაციის მონაწილე სახელმწიფოები, გამოხატავენ რა თავის მტკიცე ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპებისადმი და ისწრაფვიან დაიცვან და განამტკიცონ ტრადიციულად მჭიდრო, მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობანი რეგიონში, აცხადებენ, რომ თავიანთი ურთიერთობის საფუძველად მიაჩნიათ:

ურთგულონ რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უშიშროების განმტკიცების მიზნებს;

უზრუნველყონ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობა და არ დაუშვან მათი ხელყოფა;

თანამიმდევრულად დაიცვან და პატივი სცენ სუვერენიტეტის პრინციპებს, უარი თქვან ძალით დამუქრებაზე ან მის გამოყენებაზე, არ ჩაერიონ ერთმანეთის საშინაო საქმეებში;

უერთგულონ ყოველგვარი დავისა და შეიარაღებული კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას რეგიონის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, ტერიტორიული მთლიანობის განუხრელი და უპირობო დაცვის, სახელმწიფოთა საზღვრების შეუვალობის საფუძველზე;

უზრუნველყონ იმ ვალდებულებათა შესრულება, რომ არ შექმნან და მხარი არ დაუჭირონ სეპარატისტულ მოძრაობებს, აგრეთვე სეპარატისტულ რეჟიმებს; არ დაუშვან არავითარი ფორმისა და გამოვლინების ტერორიზმის პრაქტიკა და მეთოდები;

აღიარონ ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა ისტორიულ აუცილებლობად; თანდათანობით დაუახლოონ რეგიონის ქვეყნები ევროპაში თანამშრომლობის ვრცელ სივრცეს და უზრუნველყონ ეტაპობრივი, თანამიმდევრული ინტეგრაცია ღია საერთაშორისო სისტემაში, რაც ეკონომიკის აყვავების, სამართლიანობისა და დემოკრატიული საზოგადოების შექმნის აუცილებელი პირობაა.

ამ პრინციპებისა და მიზნების განსახორციელებლად საჭიროა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევა. რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის, ნდობისა და უშიშროების დასამყარებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

1. სახელმწიფოთა სუვერენიტეტის აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, მათი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ლტოლვილთა უსაფრთხო და გარანტირებული დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში;

2. ყოველთვის და ყველგან ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის იმ პირთა უფლებების პატივისცემა, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან;

3. თანამშრომლობა სატრანსპორტო და სხვა კომუნიკაციათა შემდგომი განვითარებისა და მათი უსაფრთხოების სფეროში;

4. ყოველმხრივი თანამშრომლობა კავკასიის უნიკალური ბუნების დაცვის საკითხებში, ტექნოგენური და სტიქიური უბედურებებისა და

შეიარაღებული კონფლიქტების შედეგების ლიკვიდაციაში, საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაში;

5. ეთნიკური და კონფესიური შემწყნარებლობა; კავკასიის – მსოფლიოს უდიდესი ნაკრძალის კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნებისადმი სათუთი, პატივსადები დამოკიდებულება;

6. საერთაშორისო პროექტის აქტიური მხარდაჭერა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და წახალისება.

ამ დეკლარაციის მიზნები და ამოცანები მიიღწევა, თუ რეგიონის ყველა სახელმწიფო უთუოდ და ერთგულად დაიცავს ყველა ჩამოთვლილ ურთიერთდაკავშირებულ უნივერსალურ პირინციპებს.

ეს დეკლარაცია ღიაა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ხელმოწერისათვის, რომლებიც აღიარებენ მის დებულებებს.

შედგენილია თბილისში 1996 წლის 8 მარტს აზერბაიჯანულ, ქართულ და რუსულ ენებზე, თანაც სამივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

საქართველოს პრეზიდენტი
ელუარდ შევარდნაძე

აზერბაიჯანის რესპუბლიკის
პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი¹

მუთო-ს სამიტის დეკლარაცია XXI საუკუნის
ევროპისათვის უშიშროების სამართო მოდელის
შესახებ ^[181]

პუნქტი 20: ჩვენ კვლავაც ვადასტურებთ სრულ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ჩვენ ვგმობთ აფხაზეთში „ეთნიკურ წმენდას“, რასაც მოჰყვა ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურება და იძულებითი განდევნა, სეპარატისტების დესტრუქციული აქტები, კერძოდ ლტოლვილებისა

¹ ჰეიდარ ალიევი (1923-2003) – აზერბაიჯანის კ კ. | მღვანი (1969-1982), სსკპ ჯინისტრა საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე (1982-1987). ნახიჩევანის ასსრ პარლამენტის თავმჯდომარე (1990-1993), აზერბაიჯანის პრეზიდენტი (1993-2003).

და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნებისათვის ხელის შეშლა და გადაწყვეტილება: გაიმართოს არჩევნები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) ძირს უთხრის პოზიტიურ მცდელობას ამ კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების მიზნით. გვწამს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ, გაერომ და ეუთომ,¹ რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობის მონაწილეობით უნდა განაგრძონ აქტიური წვლილის შეტანა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიების საქმეში.

აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვისა და
უკრაინის პრეზიდენტთა შიშვედრის
ერთობლივი კომუნიკე (180)

1997 წლის 10 ოქტომბერს აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პრეზიდენტებმა გამართეს ერთობლივი შეხვედრა, რომელზეც განიხილეს მათთვის საინტერესო საკითხები. მათ შორის, ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობის, ევროპისა და რეგიონული უშიშროების, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.

შეხვედრის დროს პრეზიდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ოთხი სახელმწიფოს თანამშრომლობას ევრაზიის ტრანსკავკასიური სატრანსპორტო დერეფნის შექმნაში. ამ მიმართულებით ურთიერთქმედება მიიჩნიეს მეგობრობისა და თანამშრომლობის, კეთილშეზობლური ურთიერთობის განვითარებისა და არსებულ ეკონომიკურ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციის კარგ საფუძვლად.

ამავე კონტექსტით აღინიშნა, რომ უნდა გამოიყენონ სხვა რეგიონული ორგანიზაციებისა და ინიციატივების შესაძლებლობანი. პრეზიდენტებმა მხარი დაუჭირეს უკრაინის ინიციატივას, რომ 1999 წელს ყირიმში გაიმართოს შავი ზღვისა და ბალტიის რეგიონების სახელმწიფოთა კონფერენცია.

პრეზიდენტებმა ხაზი გაუსვეს ოთხმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების აუცილებლობას სტაბილური უსაფრთხო ევროპის შექმ-

¹ ეუთო - დაფუძნდა ქელსინის დასკვნით თათბირზე 1975 წლის 1 აგვისტოს ევროპის 33 ქვეყნის, აშშ და კანადის მიერ. საქართველო გაწევრიანდა 1992 წლიდან.

ნის მიზნით, რომელშიც სახელმძღვანელო პრინციპები იქნება სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის დაცვა, ურთიერთპატივისცემა, თანამშრომლობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა.

ოთხი სახელმწიფოს ლიდერები ერთსულოვანი იყვნენ, როცა შეფასეს როგორც ევროპის, ისე რეგიონული უშიშროებისადმი არსებული საფრთხე და რისკი. ისინი დაეთანხმნენ იმ აზრს, რომ ტრანსატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესმა შეიძლება მნიშვნელოვანწილად შეამციროს ეს საფრთხე და რისკი.

ამ კონტექსტით აღინიშნა ოთხი ქვეყნის თანამშრომლობის პერსპექტივა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში, სხვა ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის, ამას წინათ შექმნილ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში და ნატოს პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“.

ოთხი სახელმწიფოს პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ ასეთი თანამშრომლობა, აგრეთვე, განსაკუთრებული პარტნიორობის გაფართოება, ნატოსა და უკრაინის განსაკუთრებული პარტნიორობის შესახებ ქარტიის მსგავსად, შეიძლება გახდეს სტაბილურობის განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ელემენტი და ნატოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საფუძველი.

აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ერთად იმოქმედებენ იმ სიძნელეთა დასაძლევად, რომლებსაც ევროპა აწყდება ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე.

გამოხატეს რა შეშოთება ევროპაში გაჭიანურებული კონფლიქტების გამო, ოთხი სახელმწიფოს მეთაურებმა მხარი დაუჭირეს გადასაჭრელი პრობლემების მშვიდობიანი გზით უსწრაფეს მოწესრიგებას.

პრეზიდენტებმა ერთსულოვნად გაიზიარეს ის აზრი, რომ საჭიროა ბრძოლა აგრესიული ნაციონალიზმის, სეპარატიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ.

პრეზიდენტები შეთანხმდნენ, განაგრძონ ზემოთ ნახსენებ საკითხებზე ორმხრივი დიალოგი სხვადასხვა დონეზე.

სტრასბურგი, 1997 წლის 10 ოქტომბერი.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1998 წლის
30 ივლისის რეზოლუცია (№1187)

უშიშროების საბჭომ, რომელიც კვლავ ადასტურებს თავის ყველა შესაბამის რეზოლუციას, განსაკუთრებით კი 1998 წლის 30 იანვრის რეზოლუციას 1150 (1998), იხსენებს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის 1998 წლის 28 მაისის განცხადებას (S/PRST/1998), ასევე იხსენებს საბჭოს თავმჯდომარის 1998 წლის 10 ივლისის წერილს გენერალური მდივნისადმი (S/1998/633), განიხილა გენერალური მდივნის 1998 წლის 14 ივლისის მოხსენება (S/1998/647 და add), იგი ღრმად შემფოთებულია მიმდინარე დაძაბული და კონფრონტაციული სიტუაციით ზუგდიდისა და გალის რაიონებში და ბრძოლის განახლების საშიშროებით.

ასევე ღრმად შემფოთებულია ორივე მხარის მოუნდომებლობით ხელი აიღონ ძალადობაზე და სერიოზულად განიხილონ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზები.

მხარს უჭერს გენერალური მდივნის და მისი საგანგებო წარმომადგენლის აქტიურ ძალისხმევას, რუსეთის ფედერაციის როგორც ხელშემწყობის, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის, და ეუთოს დახმარებით, რათა არ დაუშვან საომარი მოქმედებების განახლება და ახალი იმპულსი მისცენ მოლაპარაკებებს გაეროს ეგიდით წარმართული სამშვიდობო პროცესის ფარგლებში. უშიშროების საბჭო მიესალმება ამ კონტექსტში, 1998 წლის 23-25 ივლისს ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე მხარეების მიერ საბოლოო განცხადების მიღებას და გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის მიერ დართულ განცხადებას (S/1998/647/ add.1).

ხელახლა ადასტურებს მხარეების მიერ აღამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობას, გამოხატავს თავის მხარდაჭერას გენერალური მდივნის ძალისხმევისადმი, გამოინახოს გზები იმ მოთხოვნების შესრულების სრულყოფისათვის, როგორც ყოველმხრივი პოლიტიკური მოწესრიგებისათვის მუშაობის განუყოფელი ნაწილისა, და აღნიშნავს გაეროს აღამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის მუშაობის განვითარებას აფხაზეთში (საქართველო).

მიესალმება საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების როლს, როგორც სტაბილიზაციის ფაქტორს კონფლიქტის ზონაში, აღნიშნავს მათი შესაბამისი მანდატების შესრულებაში მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობას.

1. მიესალმება გენერალური მდივნის 1998 წლის 14 ივლისის ანგარიშს.

2. კვლავ გამოთქვამს თავის ღრმა შეშფოთებას საომარი მოქმედების განახლების გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1998 წლის მაისში, და მოუწოდებს მხარეებს, მკაცრად დაიცვან მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთ დაშორიშორების შესახებ (S/1994/583 annex 1), და ასევე 1998 წლის 25 მაისის ოქმი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, და ასევე შეასრულონ თავიანთი ვალდებულება თავი შეიკავონ ძალის გამოყენებისაგან და გადაწყვიტონ სადაო საკითხები მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

3. გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ლტოლვილთა მნიშვნელოვანი ნაკადის გამო, რაც ამასწინანდელმა საომარმა მოქმედებებმა გამოიწვია, კვლავ ადასტურებს ყველა ლტოლვილისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს უსაფრთხო პირობებში, თანახმად საერთაშორისო სამართლისა და, როგორც ეს აღნიშნულია 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივ ხელშეკრულებაში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ (S/1994/397 annex II), მოუწოდებს ორივე მხარეს შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, ამასთან დაკავშირებით, და მოითხოვს განსაკუთრებით, რომ აფხაზურმა მხარემ საშუალება მისცეს 1998 წლის მაისის საომარი მოქმედებების შედეგად გადაადგილებული ყველა პირის უპირობო და დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

4. გმობს აფხაზთა ძალების მიერ სახლების განზრახ განადგურებას, იმ აშკარა მოტივით, რომ განედევნა ხალხი მშობლიური ადგილსამყოფელიდან.

5. იმოწმებს ეუთოს ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილებებს (S/1997/57/ annex), აფხაზეთში, საქართველოს სიტუაციასთან დაკავ-

შირებით, და კვლავ ადასტურებს კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას.

6. გამოხატავს ღრმა შეშფოთებას გალის რაიონიდან გადაადგილებულ პირთა, ასევე აქ დარჩენილი პირების უკიდურესად მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის გამო, და ასევე იმ ნეგატიური გავლენის გამო, რაც ამასწინანდელმა მოვლენებმა გალის რაიონში საერთაშორისო ჰუმანიტარულ ძალისხმევაზე იქონია.

7. კვლავ აღნიშნავს, რომ მშვიდობის მიღწევისათვის მთავარი პასუხისმგებლობა თვით მხარეებს აკისრიათ და შეახსენებს მათ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის შემდგომი მზადყოფნა დაეხმაროს მათ, დამოკიდებულია ამ მიმართებით მათ მიერ მიღწეულ პროგრესზე.

8. მოუწოდებს მხარეებს, გადაუდებლად გამოავლინონ აუცილებელი პოლიტიკური ნება მოლაპარაკებების საკვანძო საკითხებზე მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრული პატივისცემით, გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ფარგლებში და პირდაპირი დიალოგის მეშვეობით, და სრულად ითანამშრომლონ გენერალურ მდივანთან და მის საგანგებო წარმომადგენელთან, რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობის, გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის და ეუთოს დახმარებით.

9. მიესალმება 1998 წლის 23-25 ივლისს ჟენევაში გამართულ მხარეთა შეხვედრას და მოუწოდებს მათ, განაგრძონ და გააძლიერონ აქტიური მონაწილეობა გენერალური მდივნის ინიციატივით დაწყებულ ამ პროცესში, რომელიც ყოველისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისაკენ არის მიმართული.

10. შეახსენებს მხარეებს მათ ვალდებულებებს, მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა და მოახდინონ ძალისხმევის კოორდინაცია, რათა უზრუნველყონ საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხოება და დაცვა. და მოუწოდებს მათ, რათა სრულიად და გადაუდებლად შეასრულონ ეს ვალდებულებანი ერთობლივი ისეთი მექანიზმის ჩათვლით, რომელიც აწარმოებს გამოძიებას და თავიდან აიცილებს მოქმედებას, რომელიც წარმოადგენს მოსკოვის შეთანხმების დარღვევას, და ტერორისტულ აქტებს კონფლიქტის ზონაში.

11. გმობს ძალადობის აქტებს გაეროს დამკვირვებელთა მისიის წინააღმდეგ, დანაღმვის განახლებას გალის რაიონში და აგრეთვე, გალის რაიონში მდინარე ენგურის ქართული მხრიდან მოქმედი შეიარაღებული ჯგუფების თავდასხმებს, დსთ-ს სამშვიდობო ძალებზე და მოითხოვს, რომ მხარეებმა, განსაკუთრებით საქართველოს ხელისუფლებამ, მიიღონ გადამწყვეტი ზომები ისეთი აქტების შეჩერებისათვის, რომლებიც სამშვიდობო პროცესის ჩაშლისაკენ არის მიმართული.

12. კვლავ გამოხატავს თავის შეშფოთებას გაეროს დამკვირვებელთა მისიის უსაფრთხოების გამო, მიესალმება უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ზომებს, რომლებმაც მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს დამკვირვებელთა მისიის მიმართ საფრთხე და შექმნას პირობები მისი მანდატით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად, ხაზს უსვამს ამ სფეროში შემდგომი ძალისხმევის გაგრძელების აუცილებლობას, ასევე მიესალმება გენერალური მდივნის ინსტრუქციას, რომ გაეროს დამკვირვებელთა მისიის უსაფრთხოება მუდმივად იყოს განხილული და მოუწოდებს ორივე მხარეს ხელი შეუწყონ ამ განხილვის შედეგად შემუშავებული პრაქტიკული ზომების განხორციელებას.

13. გამოხატავს თავის შეშფოთებას აფხაზეთში, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კამპანიის და გაეროს დამკვირვებელთა მისიის შეურაცხყოფის აქტების გამო, და მოუწოდებს აფხაზურ მხარეს შეწყვიტოს ეს აქტები.

14. ადგენს გააგრძელოს გაეროს დამკვირვებელთა მისიის მანდატი ახალი პერიოდით, რომელიც 1999 წლის 31 იანვარს მთავრდება. და ეს მანდატი ექვემდებარება საბჭოს მიერ გადახედვას, იმ შემთხვევაში. თუკი ცვლილებები იჩნება შეტანილი დსთ სამშვიდობო ძალების მანდატში ან მათი ყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში.

15. სთხოვს გენერალურ მდივანს გააგრძელოს საბჭოს რეგულარული ინფორმირება. რეზოლუციის მიღების თარიღიდან სამი თვის შემდეგ მოახსენოს საბჭოს აფხაზეთში, საქართველოს სიტუაციის შესახებ გაეროს დამკვირვებელთა მისიის ოპერაციის დახასიათების ჩათვლით, და გამოხატავს თავის განზრახვას, განიხილოს მისიის

საქმიანობა გენერალური მდივნის მოხსენების ფონზე. განსაკუთრებით მხარეთა მიერ მისიისთვის უსაფრთხო პირობების შექმნისა და პოლიტიკური მოწესრიგების სფეროში მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით.

16. ადგენს აქტიურად ადევნოს თვალყური აღნიშნულ საკითხს.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
ზურაბ ჟვანიას¹ სიტყვა ევროსაბჭოს
საპარლამენტო ასამბლეის² სხდომაზე 1999
წლის 27 იანვარს, საქართველოს ევროსაბჭოში
მიღებასთან დაკავშირებით¹⁸³**

საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სამშობლო იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, განუმეორებელი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. საქართველოს ხალხმა წარმოუდგენელი სიმძლეეები და განსაცდელი გამოიარა და, ალბათ, თქვენ გესმით ჩემი და საქართველოს დელეგაციის თითოეული წევრის მღელვარება დღევანდელ ისტორიულ დღეს, როდესაც თქვენ საქართველოს გზა დაულოცეთ ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად. მე ბედნიერი და ამაყი ვარ იმით, რომ სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად პატივი აქ, ევროპის სასახლის ტრიბუნიდან წარმოეთქვა ქართულად ეს რამდენიმე სიტყვა: მე ვარ ქართველი, მამასადამე, მე ვარ ევროპელი.

პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, ახალი ევროპული არქიტექტურის მშენებლობაში დიდი წვლილი შეიტანა, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ დიდი ევროპის პერსპექტივებზე. ედუარდ შევარდნაძის დამსახურებამ და თავდადებამ, საქართველო ამ ახალი

¹ ზურაბ ჟვანია (დ. 1963) – მწვანეთა პარტიის და სახელისუფლო პარტიის – მოქალაქეთა კავშირის ლიდერი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (1995-2001). პრემიერ-მინისტრი (2004-დან).

² ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა – ევროსაბჭოში შემავალ სახელმწიფოთა საპარლამენტო თანამშრომლობის ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია ეროვნული პარლამენტების წარმომადგენელთაგან. ასამბლეა იკრიბება წელიწადში სამჯერ.

არქიტექტურის ნაწილად აქცია. ედუარდ შევარდნაძე არის ის აღამიანი, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა ევროპის ახალი არქიტექტურის შექმნაში, რომელიც დღეს ამ დარბაზში მსხდომთ საშუალებას აძლევს იფიქრონ და იღვაწონ იმ დიდი ევროპის შექმნისათვის, სადაც აღარ იარსებებს გაყოფისა და დაპირისპირების ხაზები. ამიტომ თქვენთვის ცხადია მისი პირადი სწრაფვა, უფრო მეტიც, თავგანწირვა, რომ საკუთარი ქვეყანა – საქართველო ექცია ერთიანი ევროპული შენობის განუყოფელ ნაწილად, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ პრეზიდენტის სწრაფვა ევროპისაკენ. ეს არის თითოეული ქართველის მისწრაფება, ვინაიდან სამშობლოს მომავალს ჩვენ ვუკავშირებთ დაბრუნებას ჩვენს ერთადერთ ნაცსაყუდელში – ევროპის თავისუფალ ერთა ერთიან ოჯახში“

რომის პაპის იოანე პავლე II და მისი უწმინდესობა
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის²
მართობლივი მიმართვა ^[182]

მისი უწმინდესობა, რომის პაპი იოანე პავლე II და მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქალაქ თბილისში ძმური შეხვედრის დროს, შესთხოვენ რა მშვიდობის მეუფეს – იესო ქრისტეს, მშვიდობის მიმართვას უგზავნიან ქვეყნების მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რელიგიურ ლიდერებსა და კეთილი ნების ყველა ადამიანს.

ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში. ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპასა და აზიას, დასავლურ და აღმოსავლურ კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. აფხ-

¹ იოანე პავლე II (კაროლ ვოიტილა) (დ. 1920) – რომის პაპი (1978 წლიდან).

² ილია II (ირაკლი ლუდუშაური-შიოლაშვილი) (დ. 1933) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1977 წლიდან).

აზეთში, მთიან ყარაბაღსა და ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა ხიფათს უქმნის მსოფლიოში მშვიდობას და მოითხოვს გადამჭრელ ზომებს კაცობრიობის მხრიდან.

მშვიდობა უზენაესი წყალობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლის არსებობა და შემდგომი განვითარება. ადამიანის გული ესწრაფვის ამ უმაღლეს მადლს და ხალხებს სურთ თანხმობაში ცხოვრება. დღევანდელი მსოფლიო ერთი ორგანიზმია, ამიტომაც არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ერთ რომელიმე ლოკალურ ადგილზე წარმოშობილ კონფლიქტში ჩათრეულ იქნან სხვა ქვეყნებიც, რაც ქმნის ახალი ომების საშიშროებას.

ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია, მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ტერორიზმიც ახალ და რეალურ საფრთხედ იქცა მსოფლიო მშვიდობისათვის. მაშასადამე, აუცილებელია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება.

ამიტომ, მოვეუწოდებთ ყველას, ვინც ისმენს ჩვენს მიმართვას, გამოიჩინოს სიბრძნე და ნებისყოფა, რათა ვიხსნათ დედამიწა ომის საფრთხისაგან და მესამე ათასწლეულისათვის შევქმნათ პირობები იმისა, რომ სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“.

რომის პაპი იოანე-პავლე II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ნიუ-იორკის მანკეტენის ტრაგედიიდან 6 თვის
შემდეგ, 2002 წლის 11 მარტს თეთრი სახლის
წინ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის¹ გამოსვლიდან ¹¹⁸³

საქართველოში ტერორისტები „ალ-ყაიდასთან“ მჭიდრო კავშირ-
ში მოქმედებენ პანკისის ხეობაში, რუსეთის საზღვართან. პრეზიდენტ
შევარდნაძის თხოვნით შეერთებულ შტატებს დაგეგმილი აქვს, გაგ-
ზავნოს 150-მდე სამხედრო ინსტრუქტორი ქართველი ჯარისკაცების
მოსამზადებლად და კონტროლის აღსადგენად ამ რეგიონში, სადაც
უკანონობა სუფევს. ეს დროებითი დახმარება შეესაბამება ჩვენი ორი
ქვეყნის ინტერესებს.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაეროს,
ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს,
ნატოსა და საქართველოს მემობარო
ქვეყნებისადმი¹¹⁸⁴

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის² 2002 წლის 11 სექტემ-
ბრის განცხადებამ ცხადყო, რომ საქართველო რუსეთის მხრიდან
მორიგი აგრესიის საფრთხის წინაშე დგას.

რუსეთის პრეზიდენტმა გენერალურ შტაბს, თავდაცვის სამინის-
ტროს, უშიშროებისა და საზღვრის დაცვის ფედერალურ სამსახ-
ურებს დაავალა საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი
სამხედრო ოპერაციის მომზადება.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფის ამ
აშკარა მუქარას საფუძვლად დაედო გაეროს წესდების 51-ე მუხლსა
და სხვა დოკუმენტების არაადეკვატური ინტერპრეტაცია – თითქოს
რუსეთი თავს იცავს საქართველოს მხრიდან სამხედრო აგრესიისა-
გან.

ამგვარი განცხადება გაკეთდა 11 სექტემბერს – სწორედ იმ

¹ ჯორჯ უოკერ ბუში – უმცროსი (დ. 1946) – აშშ პრეზიდენტი (2001 წლიდან).

² ვლადიმერ პუტინი (დ. 1952) – რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი (2000 წლიდან).

დღეს, რომელიც აღიქმება ტერორიზმისა და ძალადობის წინააღმდეგ პროგრესული კაცობრიობის გაერთიანების სიმბოლოდ, და წარმოადგენს ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით ფაქტობრივი ანექსიის შენიღბვის მცდელობას.

ეს განცხადება არის წინა ეტაპი საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო ინტერვენციისა და იგი მიზანმიმართულად მზადდებოდა რუსეთის ოფიციალური წრეების განცხადებებით, დეზინფორმაციის გავრცელებითა და პერმანენტული საჰაერო დაბომბვებით, რომლებსაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვა.

რუსეთის ხელისუფლება განუწყვეტლივ ცდილობს, საკუთარი მოსახლეობა და მსოფლიო თანამეგობრობა შეიყვანოს შეცდომაში — თითქოს საქართველო ხელს უშლის მას ტერორიზმთან ბრძოლაში. არადა, ტერორიზმის სათავე თავად რუსეთის ტერიტორიაზეა და ამ პრობლემის მოგვარების უუნარობას იგი სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელების საბაბად იყენებს.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადების უსაფუძვლობაზე მეტყველებს ისიც, რომ სწორედ რუსეთიდან მომდინარე ტერორიზმით, რომელსაც აშკარად მფარველობდა რუსეთის ხელისუფლება, ყველაზე მეტად საქართველო დაზარალდა, რასაც მოჰყვა სეპარატიზმის გაღვივება და შედეგად — ტერიტორიების (აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის) დაკარგვა, დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და ასეულათსობით მოქალაქის განდევნა საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან.

რუსეთის აგრესიულ ზრახვებს მოწმობს აგრეთვე ის, რომ აღნიშნული განცხადება გაკეთდა მაშინ, როდესაც რუსეთის მიერ პროვოცირებული პრობლემის გადასაწყვეტად საქართველო საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ფარგლებში და მისი მხარდაჭერით კონკრეტულ, რადიკალურ მოქმედებებს ახორციელებს.

საქართველოს პარლამენტმა არაერთგზის მიმართა რუსეთის ფედერაციის როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას, გამოეხატა თავისი მზადყოფნა პრობლემის კონსტრუქციული გზით მოგვარებისათვის და ამ მიმართულებით გადადგა შესაბამ-

ისი ნაბიჯები, თუმცა, მათ, სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან რადიკალურად საპირისპირო საპასუხო მოქმედებები მოჰყვა.

საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობას და აცხადებს, რომ ყოველმხრივ უწყობს ხელს საქართველოში მიმდინარე ანტიკრიმინალური ოპერაციის უმოკლეს დროში და რეალური შედეგებით დასრულებას და საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნულ პროცესებზე საერთაშორისო მონიტორინგის გაძლიერებას. ამასთან, იგი მზად არის, ორ ქვეყანას შორის არსებული ყველა პრობლემა გადაწყვიტოს პოლიტიკური გზით, პარლამენტაშორისი კონსულტაციებით, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედებების დაგეგმვით რუსეთი უგულვებელყოფს ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპებს, რითაც არა მხოლოდ უპირისპირდება საქართველოს, არამედ საფრთხეს უქმნის კავკასიის რეგიონს და მსოფლიო მართლწესრიგს.

საქართველოს პარლამენტი აცხადებს, რომ საქართველო წინ აღუდგება რუსეთის მხრიდან მორიგი აგრესიის და ანექსიის მცდელობას, ამასთან, მიმართავს მსოფლიო თანამეგობრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიიღონ ქმედითი ზომები და არ დაუშვან რეგიონში საომარი მოქმედებების ესკალაცია.

კომენტარები

1. იხ. გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი გაერთიანებები, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

2. მეფე მენუას წარწერა ამოკვეთილია დღევანდელ იაზილიტაშში (არზრუმის რაიონი, თურქეთი) კლდეზე. იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990.

3. მეფე არგიშთი I-ის წარწერა ამოკვეთილია ვანში (დღევანდ. თურქეთი), სურბ საჰაკის ეკლესიის სტელაზე. იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ., 1990.

4. ჰეროდოტე (ძვ. წ. 484-425 წწ.) – ძველი ბერძენი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ისტორია“. იხ. ჰეროდოტე, „ისტორია“, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1975.

5. ქსენოფონტე (ძვ. წ. 444-354 წწ.) – ძველი ბერძენი სამხედრო მოღვაწე, ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ანაბაზისი“. იხ. თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი“, თბ., 1967.

6. ლეონტი მროველი – XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი, რუილის ეპისკოპოსი; ავტორი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი თხზულებისა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

7. სტრაბონი (ძვ. წ. 64-ახ. წ. 24 წწ.) – ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, ავტორი თხზულებისა „გეოგრაფია“. იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

8. დიონ კასიოსი (155-235 წწ.) – რომაელი ისტორიკოსი. იხ. დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბ., 1966.

9. კორნელიუს ტაციტუსი (დაახლ. 55-117 წწ.) – რომაელი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებებისა „ისტორია“ და „ანალები“. იხ.

ა. გამყრელიძე, ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1973.

10. რომის იმპერატორ ვესპასიანეს (69-79 წწ.) ბერძნულენოვანი წარწერა ქართლის მეფე მითრიდატესათვის „კედლის გამაგრების“, ე. ი. დედაქალაქის გალაგნის შეკეთების შესახებ. აღმოჩნდა 1867 წელს მცხეთის მახლობლად. იხ. გ. წერეთელი, ვესპასიანეს ხანის ბერძნული წარწერა მცხეთიდან, თბ., 1958; თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წარწერები, თბ., 1976.

11. ჯუანშური – XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი. ავტორი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შექმავალი თხზულებისა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

12. ლაზარე ფარპეცი – V-ს-ის სომეხი ისტორიკოსი; ავტორი თხზულებისა „სომხეთის ისტორია“. იხ. ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

13. პრისკე პანიონელი – V ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი. ავტორი თხზულებისა „გუთების ისტორია“. იხ. „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1961.

14. პროკოპი კესარიელი (დაახლ. 490/507-562 წ. შემდეგ), ბიზანტიელი ისტორიკოსი, მხედართმთავარ ველისარიუსის მრჩეველი, საიმპერატორო კარის ისტორიკოსი. პროკოპი კესარიელს ეკუთვნის „იმპერატორ იუსტინიანეს ომები“ (8 წიგნად) და „საიდუმლო ისტორია“. იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. II, ტფ., 1934.

15. თეოფანე ჟამთააღმწერელი, თეოფანე აღმსარებელი (760-818 წწ.) ბიზანტიელი ისტორიკოსი, ავტორი საისტორიო თხზულებისა „ქრონოგრაფია“. იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1941.

16. აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ.) – ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „რუსტინიანეს მეფობისათვის.“ იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. III, თბ., 1936.

17. მენანდრე პროტიქტორი – VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი. იხ. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. III, თბ., 1936.

18. უხტანესი – X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან.“ იხ. უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975.

19. „ეპისტოლეთა წიგნი“ – კრებული, რომელშიც დაცულია VII ს-ის დამდეგის სომეხ და ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა მიმოწერა რელიგიურ საკითხებზე. იხ. ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1968.

20. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ იხ.: ო. ცქიტიშვილი. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში. – „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, თბ., 1976; ე. სიხარულიძე, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდისეული ვარიანტი, თბ., 2001.

21. იოანე ზონარა – XI საუკუნის მიწურულისა და XII ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი, მისი თხზულება შეიცავს ამბებს ქვეყნის დასაბამიდან 1118 წლამდე. იხ. იოანე ზონარა, ისტორია, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მ. კახაძემ, „გეორგიკა“, ტ. VI, თბ., 1966.

22. დოკუმენტი არაბი სარდლის ჯარაჰის მიერ 654 წ. „დაცვის სიგელის“ განახლების შესახებ (729/30 წწ.). იხ. ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (არაბული „დაცვის

სიგელები“), თსუ შრომები, ტ. 73, თბ., 1959; ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში (არაბული ცნობების მიხედვით), თბ., 1991.

23. „მატიანე ქართლისაჲ“ – XI ს-ის ქართველი ანონიმი ავტორის თხზულება. შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, მოიცავს ამბებს VIII ს-ის II ნახევრიდან XI ს-ის 70-იან წლებამდე. იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

24. იოანე საბანის ძე – VIII საუკუნის ქართველი მწერალი. იხ. იოანე საბანისძე, აბო ტფილელის მარტვილობა, ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1963.

25. იოანე დრასხანაკერტელი – IX-X სს. სომეხი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „სომხეთის ისტორია“ (მოიცავს თხრობას დასაბამიდან 925 წლამდე). იხ. იოანე დრასხანაკერტელი, „სომხეთის ისტორია“, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965.

26. ნიკოლოზ მისტიკოსი – კონსტანტინოპოლის პატრიარქი 901-907, 912-925 წწ. იხ. „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და კომენტარები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952.

27. თეოფანეს გამგრძელებელი – X ს. შუა ხანების ბიზანტიელი ანონიმი ისტორიკოსი. იხ. „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. 2, თბ., 1952.

28. კონსტანტინე VII პორფიროგენეტი – ბიზანტიის იმპერატორი 913-959 წწ. კონსტანტინე პორფიროგენეტს ეკუთვნის რამდენიმე ტრაქტატი: „იმპერიის მმართველობის შესახებ“, „თემების შესახებ“, რომლებშიც მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ. იხ. „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952.

29. გიორგი მთაწმინდელი (1009-1065 წწ.) – დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწე, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი; ავტორია იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა. იხ. გიორგი მთაწმინდელი, იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება, წგნ.: ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1963.

30. აბუ ლ-ფარაჯ იაჰია იბნ საიდ იბნ იაჰია ალ-ანტაჟი (იაჰია ანტიოქიელი) (973-1066 წწ.) – არაბი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „თარიხ აზ-ზაილი“ (მოიცავს 937-1066 წწ. ამბებს), სადაც დაცულია ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XI ს-ის I ნახევარში. იხ. ბ. სილაგაძე, იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XI ს-ის I მეოთხედში, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. VI, თბ., 1985; ო. ცქიტიშვილი, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის პერიოდში, „მაცნე“ (ისტორიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია), თბ., 1968, №4.

31. არისტაკეს ლასტივერტეცი – XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ისტორია“ (მოიცავს ამბებს XI ს-ის დამდეგიდან 1071 წლამდე). იხ. არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1974.

32. სუმბატ დავითის ძე – XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი. ავტორი თხზულებისა „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, რომელიც შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. იხ. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფ., 1890; ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ., 1990.

33. გიორგი კედრენე – XI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი;

ავტორი თხზულებისა „ქრონოგრაფია“. იხ. გიორგი კედრენე, ქრონოგრაფია, „გეორგია“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. V, თბ., 1963.

34. გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) – XI ს-ის ქართველი სასულიერო მოღვაწე, მწერალი, გიორგი მთაწმინდელის მოწაფე, მოღვაწეობდა ათონის ქართველთა მონასტერში; ავტორია ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებისა „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“. იხ. გიორგი ხუცესმონაზონი, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, წგნ.: ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. I, თბ., 1963.

35. აღ-ფაკიპი – XI ს-ის არაბი ისტორიკოსი. იხ. ზ. პაპასქირი, შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე (საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს-ის 60-80-იან წლებში), თბ., 1991.

36. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი – XII ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ცხოვრებად მეფეთმეფისა დავითისი“, რომელიც შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. იხ. ცხოვრებად მეფეთმეფისა დავითისი, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; ცხოვრებად მეფეთმეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ, თბ., 1990.

37. იხ. მცირე ქრონიკები (კინკლოსები, ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1968.

38. ანსელუსის აღნიშნული წერილი ინახება საფრანგეთის სახელმწიფო არქივის მუზეუმში. იხ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), პარიზი, 1929; თბილისი, 1989.

39. პავლე ალექსეელი (1627-1669 წწ.) – XVII ს-ის საეკლესიო მოღვაწე, არქიდიაკონი, ანტიოქიის პატრიარქის მაკარიოსის ვაჟი. მამასთან ერთად ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში. მოეპოვება XVII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს აღწერილობა, რომელიც

ძვირფას წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის. იხ. ნ. ასათიანი, მასალები XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973; რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986.

40. იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (1768-1830 წწ.) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელი-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ვაჟი; ავტორი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებისა „კალმასობა“. იხ. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1-2, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1936-1948; შ. მესხია, „ძღვევაჲ საკვირველი“, თბ., 1972; რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი თბ., 1986.

41. მათეოს ურჰაეცი, მათეოს ედესელი – XI-XII სს-ის სომეხი ისტორიკოსი. ავტორი თხზულებისა „ჟამთააღმწერლობა“ (მოიცავს 952-1136 წწ. ამბების აღწერას). იხ. ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966; ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973.

42. აჰმად იბნ იუსუფ იბნ ალი იბნ ალ-აზრაკ ალ-ფარიკი – XII ს-ის არაბი ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „თარისულ-მაიაფარიკინა“ („მაიაფარიკინის ისტორია“), სადაც თავმოყრილია მის მიერ მოგზაურობების (მათ შორის 1153/54 წწ. საქართველოში) დროს შეგროვებული მასალები. იხ. ვლ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII ს-ის თბილისის შესახებ, „ენიმკის მოამბე“, ტ. XIII, თბ., 1942; ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973; ე. სიხარულიძე, ალ-ფარიკი საქართველოში, „სემიტოლოგიური ძიებანი“, ტ. II, თბ., 1985.

43. სიბტ-იბნ ალ-ჯაუზი (1186-1257 წწ.) – არაბი ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „მირათ აზ-ზამან ფით არიხულ-აიან“ („ეპოქის სარკე გამოჩენილ პირთა ისტორიაში“), სადაც აღწერილია ამბები ქვეყნის გაჩენიდან 1256 წლამდე. იხ. ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, ტ. 118, თბ., 1967; ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973.

44. გოტიე – XII ს-ის მოღვაწე, ჯვაროსნული ომების მონაწი-

ილე, ანტიოქიის ჯვაროსნული სამთავროს კანცლერი. ავტორია თხზულებისა „ანტიოქიის ომები“, რომელშიც გადმოცემულია ანტიოქიის სამთავროს ისტორია 1119-1126 წწ. იხ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), პარიზი, 1929; თბილისი, 1989; ქ. ჩხატარაიშვილი, ი. შაიშმელაშვილი, დიდგორის ბრძოლა თბ., 1973.

45. ვარდან არეველცი (1200/10-1271 წწ.) – სომეხი ისტორიკოსი; ავტორია თხზულებისა „მსოფლიო ისტორია“, რომელშიც აღწერილია ამბები ქვეყნის დასაბამიდან 1267 წლამდე. იხ. ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ, თბ., 2002.

46. „იპატის მატიანე“ – შუასაუკუნეების რუსული საისტორიო ქრონიკა. იხ. ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956; რ. მეტრეველი, და მოვიდეს ვარანგნი..., ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები. თბ., 1988.

47. მხითარ გომი – XII ს-ის სომეხი სასულიერო მოღვაწე, ისტორიკოსი; ავტორია თხზულებისა „ალბანეთის ქრონიკა“, რომელშიც მოთხრობილია 1139-1162 წლების ისტორია. იხ. ლ. დავლიანიძე, მხითარ გომის „ალბანეთის ქრონიკა“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. II, თბ., 1968.

48. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ – XIII ს-ის ანონიმი ქართველი ისტორიკოსის თხზულება, რომელიც მიძღვნილია თამარ მეფისა და დავით სოსლანის მოღვაწეობისადმი. იგი შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. იხ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის გამოც., თბ., 1941; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

49. დავით ქობაირელი – XII ს-ის სომეხი სასულიერო მოღვაწე, ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „მოსახსენებელი“. იხ. დავით ქობაირელი, „მოსახსენებელი“, გ. მაისურაძის გამოც., კრებ.: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966.

50. თამარ მეფის წერილი ეგვიპტის აიუბიანთა სახელმწიფოს სულთნის სალაჰ ად-დინისადმი (სალადინი, 1171-1193 წწ.). ინახება ჰაჯ ჰოსეინ ნახჩევანის ხელნაწერთა კოლექციაში (თავრიზი, ირანი) დაცულ კრებულში „თარასოლ“ („მიმოწერა“). იხ. მ. თოდუა, ორი წერილი (თამარ მეფის წერილი სალაჰ ად-დინისადმი), ჟურნ. „საუნჯე“, თბ., 1975, №4; ქართულ-სპარსული ეტიუდები, ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაგალი თოდუამ, ტ. III, თბ., 1979.

51. ბასილი ეზოსმოდღარი – XII-XIII სს. ქართველი ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, რომელიც შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოც., „ენიშკის მოამბე“, ტ. XIV, თბ., 1944; ბასილი ეზოსმოდღარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, წგნ.: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

52. მიქელ პანარეტოსი – XV ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „ტრაპიზონის ქრონიკა“, სადაც გადმოცემულია ტრაპიზონის სამეფოს ისტორია 1204 წლიდან 1426 წლამდე, იხ. მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, ბერძული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებით და საძიებლებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი), ნაკვ. 33, თბ., 1960; „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. VII, თბ., 1967.

53. ფრანგი რაინდის დე ბუას წერილის დედანი ინახება პარიზის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში. პუბლიკაცია იხ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, ოთხი საისტორიო ნარკვევი, თბ., 1989.

54. იაკობ დე ვიტრი, აკრის ეპისკოპოსი, მოგვიანებით კარდინალი. გარდაიცვალა 1240 წელს. მისი ცნობის პუბლიკაცია იხ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

55. ვენსან (ვენსენტე) დე ბოვე (1190-1264 წწ.) ჩვენთვის საინ-

ტერესო მონაკვეთის პუბლიკაცია. იხ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

56. მიმართვის ეს ფორმა შემონახულია ჰაჯ ჰოსეინ ნახჩევანის ხელნაწერთა კოლექციაში (ქ. თავრიზი, ირანი) დაცულ კრებულში „თარასოლი“ ანუ „მიმოწერა“. (გადაწ. 1219 წ.), იხ. ქართულ-სპარსული ეტიუდები, ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მაგალი თოდუამ, ტ. III, თბ., 1979.

57. იბნ ალ-ასირი, არაბი ისტორიკოსი (1160-1234), ავტორია თხზულებისა „თარიხუ ლ-ქამილი“ („დასრულებული ისტორია“), რომელიც მოიცავს ამბებს სამყაროს გაჩენიდან 1231 წლამდე. იხ. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში, თბ., 1995.

58. რუსუდან დედოფლისა და რომის პაპის ჰონორიუს III-ს (რომის პაპი 1216-1227. იყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზატორი) მიმოწერა, იხ. ილ. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984.

59. ალ-ბაღდადი ამიდ ალ-ლატიფი (გარდ. 1231 წ.) - XII ს-ის II ნახევრისა და XIII ს-ის I მესამედის არაბი ისტორიკოსი. იხ. გ. ჯაფარიძე, ახალი არაბული წყარო XIII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის, ჟურნ. „ციცქარი“, თბ., №1, 1980.

60. ჟამთააღმწერელი - XIV საუკუნის ქართველი ანონიმი ისტორიკოსი. ეკუთვნის საისტორიო თხზულება, რომელიც მოიცავს საქართველოს ერთსაუკუნოვან პერიოდს - XIII ს-ის 10-იანი წლებიდან - XIV ს-ის 10-იან წლებამდე (ამიტომ ამ ნაშრომებს ზოგიერთი მკვლევარი „ასწლოვან მატთანეს“ უწოდებს). იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959; ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987.

61. რომის პაპის გიორგი IX-ის (1227-1241 წწ.) წერილის პუბლიკაცია. იხ. ილ. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984.

62. გრიგოლ აკანელი, XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი. მას

ეკუთვნის ამიერკავკასიაში მონღოლთა შემოსევისა და მათი გაბატონების ამსახველი თხზულება — „მოისართა ტომის ისტორია“. იხ. გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1961.

63. პლანო კარპინი (1182-1252 წწ.). ფრანცისკელი ბერი, რომის პაპის ინოკენტი IV-ის ელჩი მონღოლებთან XIII ს-ის 40-იან წლებში. იხ. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, გ. ქიქოძის თარგმანი, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკი), ნაკვ. II, თბ., 1942.

64. სიმონ დე სენ-კვენტინი — XIII ს-ის მოღვაწე, რომის პაპის ინოკენტი IV-ის მიერ 1245 წელს მონღოლებთან გაგზავნილი ელჩობის წევრი. იხ. Simon de Saint-Quentin. Histoire des Tartares. Publique par Jean richard, Paris, 1965. წინამდებარე თარგმანი ეკუთვნის დ. ნინიძეს.

65. მარკო პოლო (დაახლ. 1254-1324 წწ.), ვენეციელი ვაჭარი და მოგზაური. მან თავისი მოგზაურობის ამსახველი მასალა უკარნახა ლიტერატორსა და გადამწერს რუსტიჩანას. იხ. Книга Марко Поло, Перевод старофранцузского текста И. П. Миннаева, редакция и вступительная статья И. П. Маридовича, М., 1956.

66. ნიკოლოზ IV (ჯიროლამო მასკი), რომის პაპი 1288-1292 წწ. მისი წერილის ადრესატია დემეტრე II თავდადებული, მაგრამ საქართველოს მეფე 1289 წ. აწამეს და პაპის ეპისტოლე უნდა ძიელო დავით ნარინის ძეს ვახტანგ II (1289-1292 წწ.) ან დასაეღეთ საქართველოს (ლიხთიქეთის) მეფეს დავით VI ნარინს (1247-1293 წწ.). მ. თამარაშვილი ათარიღებს 1291 წლით. უნდა იყოს 1292 წელი, რადგან წერილი პაპის აღსაყდრების მე-4 წელსაა გამოგზავნილი. პუბლიკაცია იხ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

67. „წესი და განგებაჲ მეფეთ კურთხევისა“ — ამ ძეგლის XVII ს. ნუსხურ-ხუცურით დაწერილი პირი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S-352). მკვლევართა უმრავლესობა ამ ძეგლის შედგენის თარიღად XIII ს-ის II ნახ. მიიჩნევენ. იხ.

ქართული სამართლის ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

68. ძეგლი ერისთავთა — ქსნის ერისთავთა საგვარეულო ქრონიკა. შედგენილი უნდა იყოს XV საუკუნის დასაწყისში. იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965.

69. რომის პაპის იოანე XXII-ის (ერისკ. ჟაკ დ'ოსა). პაპი 1316-1334 წწ. გიორგი V ბრწყინვალესადმი და თბილისში კათოლიკეთა საეპისკოპოსოს შექმნის შესახებ წერილების პუბლიკაცია იხ. ილ. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984.

70. ალ-უმარი (1301-1340 წწ.) — არაბი ენციკლოპედისტი, ავტორი ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებისა „მალალი ტერმინოლოგიის განმარტება“, იხ. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988.

71. რომის პაპის იოანე XXII-ის (1316-1334 წწ.) წერილის პუბლიკაცია იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902. მ. თამარაშვილი ამ წერილს ათარიღებს 1328 წლით. უნდა იყოს 1329 წელი, რადგან იგი პაპის აღსაყდრების მე-13 წელსაა გამოგზავნილი.

72. საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასადმი (1328-1350 წწ.) გიორგი V ბრწყინვალის წერილის (XIV ს-ის 30-იანი წწ.) პუბლიკაცია იხ. ვ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები, ჟურნ. „მნათობი“, თბ., 1983, №4.

73. მიმოწერის წესი დაცულია არაბი ენციკლოპედისტის იბნ ნაზირ ალ-ჯაიშის (გარდ. 1384 წ.) თხზულებაში, რომელიც ინახება რუსეთის მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. იხ. XIV-XV ს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988. ქრესტომათიაში შესული თარგმანი თხზულების კრიტიკული გამოცემის (Ibn Nazir al-Gays, Kitab tatqif

al-ta rif bil-mustalan al-sarif, Edition critique par R. Vesely, Institut français d' Archeologie Orientale du Caire, 1987.) საფუძველზე შესრულებულია გ. ჯაფარიძის მიერ.

74. თოვმა მეწოფელი – XIV-XV სს. სომეხი ისტორიკოსი, ავტორი ნაწარმოებისა „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. იხ. თოვმა მეწოფელი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ., 1987.

75. ფარსადან გორგიჯანიძე (დაახლ. 1626-1696 წწ.), XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი. მისი თხზულება – „საქართველოს ისტორია“ XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს, თუმცაღა, მასში ჩართულია წინა საუკუნეების ამბებიც. იხ. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, წ. II, თბ., 1925.

76. ბერი ეგნატაშვილი (გარდ. XVIII ს-ის 60-იანი წწ. დასაწყისში), XVIII ს. ქართველი ისტორიკოსი, ვახტანგ VI-ის მიერ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების („ახალი ქართლის ცხოვრება“) დასაწყერად შედგენილი „სწავლულ კაცთა კომისიის“ წევრი. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ბერი ეგნატაშვილი ამ კომისიის საერთო ხელმძღვანელიც იყო. იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959.

77. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე და მესამე ტექსტი წარმოადგენს ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილი სწავლულ კაცთა (ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით) კომისიის მიერ დაწერილ „ახალი ქართლის ცხოვრების“ ორ გვიანდელ გადამუშავებულ ვარიანტს. იხ. „ახალი ქართლის ცხოვრება“, მეორე და მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959.

78. შარაფ-ად-დინ ალი იეზდი – XIV-XV სს. სპარსელი ისტორიკოსი; ავტორი თხზულებისა „ზაფარ-ნამე“, რომელშიც აღწერილია თემურ-ლენგის ცხოვრება და მოღვაწეობა. იხ. დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975.

79. ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757 წწ.), გეოგრაფი, ისტორიკოსი. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი. მას ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომი – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

80. სილვესტროს სიროპულოსი – XV საუკუნის საეკლესიო მოღვაწე, დიდი ეკლესიარზი. მას ეკუთვნის მემუარული ჟანრის ნაწარმოები „ბერძნებისა და ლათინების უმართებულო გაერთიანების მართალი ისტორია. იხ. ო. ყუყუნაძე, XV ს-ის I ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრებ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1970.

81. ანდრეა დი სანტა კროჩე – XV ს-ის საეკლესიო მოღვაწე, რომის პაპის პროტონოტარიუსი. მის მიერაა შედგენილი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების აქტების კრებული (ოქმი იწერებოდა უშუალოდ კრების მსვლელობის დროს და მოგვიანებით, 1638 წ. შევსებულია ვატიკანის ბიბლიოთეკარის ჰორაციო ჯუსტინიანის მიერ). იხ. ილ. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984.

82. ეგვიპტის სულტნის ჯაკმაკის (1438-1453 წწ.) წერილი, ინახება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, იხ. გ. ჯაფარიძე, დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XV ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით, კრებ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. I, თბ., 1994.

83. გიორგი სფრანძესი (დაახლ. 1401-1478 წწ.), ბიზანტიელი ისტორიკოსი და დიპლომატი. ეკავა დიდი ლოგოთეტის თანამდებობა. მისი თხზულება „მცირე ქრონიკა“ შეიცავს არაერთ საინტერესო ცნობას საქართველოს შესახებ. იხ. გიორგი სფრანძესი, „მცირე ქრონიკა“, „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970.

84. რომის პაპის კალიქსტო III-ის წერილი (1455-1458 წწ. ერისკაცობაში – ალონსო დე ბორჯა) ინახება ლუდოვიკო ბოლონიელის საოჯახო არქივში, იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989.

85. ყვარყვარე II-ის წერილის პუბლიკაცია იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.

86. ყვარყვარე II-ის წერილი, ინახება მილანის არქივში. პუბლიკაცია იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989.

87. ყვარყვარე II-სადმი ფლორენციის რესპუბლიკის სენიორთა წერილის პუბლიკაცია იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989.

88. ანტიოსმალური კოალიციის წევრების, რომის პაპის პიუს II-სადმი (1458-1464 წწ.) მოხსენების პუბლიკაცია იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989.

89. რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის ფრიდრიხ III-ის (1452-1493 წწ.) წერილი (ინახება ავსტრიის ფინანსთა სამინისტროს არქივში). პუბლიკაცია იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989.

90. ქ. გენტის (ბელგია) ქრონიკის ცნობები იხ. დ. პაიჭაძე, ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბ., 1989.

91. ამბროჯიო (ამბროჯო) კონტარინი (გარდ. 1499 წ.) – იტალიელი (ვენეციელი) მოგზაური და დიპლომატი. 1474-1477 წწ. დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა თეორბატკნიან (აყ-ყოიუნლუ) თურქმანთა სახელმწიფოს შაჰთან უზუნ-ჰასანთან. ავტორია თხზულებისა „მოგზაურობა სპარსეთში“. იხ. ალ. ჭყონია, იტალიელი მოგზაურები საქართველოში, თურნ. „მოამბე“, ტ. XI, თბ., 1894; ი. დავითაშვილი, XV ს-ის II ნახ. იტალიელი მოგზაურები საქართველოს შესახებ (ამბროჯო კონტარინი), კრებ. „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, ტ. I, თბ., 1994.

92. აღნიშნული მისიის შესახებ იხ. ი. ტაბაღუა, პირველი საქართველო

ლო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX ს-ის მეოთხედი), ტ. III, თბ., 1987.

93. იოსაფატ (ჯოსაფატ) ბარბარო (1413-1494 წწ.) – იტალიელი (ვენეციელი) მოგზაური და დიპლომატი. 1473-1479 წწ. დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა თურბატკინიან (აყ-ყოიუნლუ) თურქმანთა სახელმწიფოს შაჰის უზუნ-ჰასანის კარზე. ავტორია თხზულებებისა „მოგზაურობა ტანაში“ და „მოგზაურობა სპარსეთში“. იხ. XV ს-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. მამისტვალიშვილმა, თბ., 1981.

94. ჰასან რუმლუ (1531/2-70-იანი წწ.) – ირანელი ისტორიკოსი; ავტორია თხზულებისა „აჰსან ალ-თავარიზ“ („უმშვენიერესი ისტორიათაგანი“). იხ. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1966.

95. ესპანეთის დედოფალ ისაბელ კასტილიელისადმი (1474-1504 წწ.) კონსტანტინე II-ის (საქართველოს მეფე 1466-1478 წწ. ქართლის მეფე 1478-1505 წწ.) წერილის პუბლიკაცია იხ. ე. ხინთიბიძე, ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, ჟურნ. „ცისკარი“, თბ., 1986, №3.

96. კონსტანტინე II-სადმი ესპანეთის მეფე ფერდინანდ II არაგონელისა (1479-1516 წწ.) და დედოფალ ისაბელ კასტილიელის წერილის პუბლიკაცია იხ. ე. ხინთიბიძე, ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ, ჟურნ. „ცისკარი“, თბ., 1986, №3.

97. რომის პაპის ალექსანდრე VI-ის (1492-1503 წწ.) წერილი ინახება ვატიკანის საიდუმლო არქივში. იხ. ილ. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984.

98. რომის პაპის ალექსანდრე VI-ის (1492-1503 წწ.) მიერ გაცემული სამოგზაურო სიგელი ინახება ვატიკანის საიდუმლო არქივში. იხ. ილ. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. I, თბ., 1984.

99. კატერინო ძენო, XV-XVI სს. ვენეციელი მოგზაური და

დიპლომატი. XV ს-ის მიწურულსა და XVI ს-ის დამდეგს როგორც ვენეციის ელჩი, იმყოფებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. იმოგზაურა საქართველოშიც, რის შემდეგაც გამოაქვეყნა თავისი საქმიანობის აღწერილობა. იხ. XV ს-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა, თბ., 1981.

100. აჰმედ იბნ ლუთფულაჰი (მუნეჯიმ-ბაში) – XVII ს-ის II ნახევრის ოსმალთა ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „ჯამი აღდუვალ“ („დინასტიათა კრებული“). იხ. ნ. შენგელია, ოსმალთა ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა-მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, კრებ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. II, თბ., 1968.

101. იბრაჰიმ ფერევი (1574-1650 წწ.) – ოსმალთა ისტორიკოსი; ავტორია თხზულებისა „ისტორია“, რომელიც შეიცავს 1520-1640 წწ. ამბების აღწერას. იხ. იბრაჰიმ ფერევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.

102. მუსტაფა სელანიჩი – XVI ს-ის ოსმალთა ისტორიკოსი; ავტორია თხზულებისა „ისტორია“, რომელიც შეიცავს 1564-1599 წწ. ამბების აღწერას. იხ. მუსტაფა სელანიჩის ცნობები საქართველოს შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. ფუთურიძემ, თსუ შრომები, ტ. 91, 1960.

103. 1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფე ალექსანდრე II-ემ საჯაროდ დაიფიცა რუსეთის მეფის თევდორე ივანეს ძის (1584-1598 წწ.) ერთგულებაზე. „ფიცის წიგნის“ პუბლიკაცია იხ. С. Белокуров, Сношения России с Кавказом (1578-1613 гг.), М., 1889.

104. ესპანეთის მეფე ფილიპე II (1556-1598 წწ.)-სადმი სიმონ I-ის წერილის პუბლიკაცია იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის (XIII-XIX სს.), ტფ., 1902; ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), ტ. I თბ., 1984.

105. რომის პაპის კლემენტ VIII-ის მიერ ქართლის მეფე სიმონ I-სადმი გაგზავნილი წერილის პუბლიკაცია იხ. ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., ტ. I, 1984.

106. ბართლომე დე სალინია – XVI ს-ის იტალიელი მოგზაური; ავტორი თხზულებისა „იერუსალიმში მიმოსვლა“. იხ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის (XIII-XIX სს.), ტფ., 1902.

107. ნიკოლოზ რაძივილის ცნობის პუბლიკაცია იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის (XIII- XIX სს.), ტფ., 1902.

108. იოანე კოტოვიჩის ცნობების პუბლიკაცია იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის (XIII- XIX სს.), ტფ., 1902.

109. ისქანდერ მუნში, XVI-XVII სს. ისტორიკოსი, მოღვაწეობდა სეფიან შაჰების კარზე. ერთხანს მსახურებდა სახელმწიფო დივანის მუნშის (მდივანის) თანამდებობაზე. თავისი ვრცელი საისტორიო ნაწარმოები „თარიხ-ე ალამ-არა-მეაბბასი“ დაასრულა 1629 წ. იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969.

110. ამბროზიო დუშ-ანკუში ქეთევანის წამების დროს შირაზში იმყოფებოდა. მისი უშუალო მეცადინეობით წმ. ქეთევანის ცხედარი ამოთხარეს და ჯერ შირაზის ეკლესიაში, ხოლო შემდეგ ისპაჰანში გადაასვენეს. მას ეკუთვნის ამ მოვლენების ამსახველი ნაწარმოები: „ნამდვილი ცნობები უბრწყინვალესი ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ სპარსეთის სამეფოს დედაქალაქ შირაზში შაჰ აბასის ბრძანებით, 1624 წლის 22 სექტემბერს“. აღნიშნული ნაწარმოები ინახება ლისაბონის ტორე დე ტომბოს ბიბლიოთეკაში. იხ. რ. გულბენკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ, ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბალუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბ., 1987.

111. არაქელ დავრიჟეცი, XVII-ის სომეხი სასულიერო პირი,

ისტორიკოსი. მის „ისტორიაში“ დაცულია ცნობები XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ, იხ. Аракел Даврижеци, Книга Истории, перевод с армянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян, М., 1973. საქართველოს შესახებ ცნობები თარგმნილია კ. კუციას მიერ. იხ. არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი, თბ., 1974.

112. XVII საუკუნის ცნობილ ფრანგ მოგზაურს ჟან შარდენს მეტად ძვირფასი ცნობები აქვს შემონახული XVII ს-ის საქართველოს შესახებ. მან 1672-1673 წწ. იმოგზაურა საქართველოში, თუმცა და უფრო ადრეული ხანის არა ერთი საყურადღებო ცნობა აქვს დაცული. იხ. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1975.

113. მუსტაფა ნაიმა XVII-XVIII სს. დასაწყისის ოსმალური ისტორიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენელია. მას სხვადასხვა დროს ეკავა დივანის ეფენდისა და ანალოლიის საფინანსო-სააღრიცხვო უწყებაში მაღალი თანამდებობები. მის ექვსტომიან თხზულებას ეწოდება „აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო ამბები ჰუსეინის ბაღებზე“ ამ ნაწარმოებებში შემონახულია XVII ს-ის I ნახ-ის საქართველოს შესახებ უძვირფასესი ინფორმაცია. იხ. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ. თბ., 1979.

114. თურქეთის სულთანის შურად IV (1623-1640) სიგელი გიორგი სააკაძისადმი, შესულია ახმედ ფერიდუნ ბეგისა და მის გამგრძელებელთა მიერ შედგენილ „სულთანთა ეპისტოლეების კრებულში.“ იხ. ს. ჯიქია, ზონთქარის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943.

115. ესპანეთის მეფის ფილიპე IV (1605-1665)-ისადმი გაგზავნილი თეიმურაზ I წერილის რამდენიმე პუბლიკაციაა ცნობილი (ი.

ტაბალუა, ჯ. ვათეიშვილი, თ. ტივაძე). წინამდებარე გამოცემაში ჩვენ ვსარგებლობთ თ. ტივაძის გამოცემით. იხ. თ. ტივაძე, თეიმურაზ პირველის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1990.

116. წერილი დაწერილია ლათინურად და ინახება ფიდეს არქივში. იხ. ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. II, თბ., 1986.

117. წერილის პუბლიკაცია იხ. ი. ტაბალუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, ტ. III, თბ., 1987.

118. ქათიბ ჩელიბი (1609-1657) – ოსმალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. იგი მეცნიერების მრავალ დარგში მოღვაწეობდა. ქათიბ ჩელიბი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას სამხედრო ექსპედიციებში. იხ. ქათიბ ჩელიბის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978.

119. იტალიელი მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი თეათინელთა ორდენს ეკუთვნოდა. იგი 1631 წ. ჩამოვიდა ქართლში და ერთხანს გორში ცხოვრობდა. 1633 წ. იგი სამეგრელოში ჩავიდა და იქ განაგრძო მოღვაწეობა. მას შემონახული აქვს უძვირფასესი ცნობები XVII ს-ის საქართველოს შესახებ. იხ. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII საუკუნე, იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964.

120. დონ არქანჯელო ლამბერტი წარმოშობით იტალიელი იყო, ნეაპოლიდან. იგი საქართველოს ეწვია 1626 წ. 1633 წ. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელთან ერთად გადავიდა სამოღვაწეოდ სამეგრელოში. იხ. დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.

121. აღნიშნული წერილი გამოცემულია მ. თამარაშვილის მიერ. იხ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, წინამდებარე გამოცემისას ვსარგებლობდით ილ. ანთელავასეული გამოცემით. იხ. ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1990.

122. ტოლჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970.

123. ი. ცინცაძე, ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1965.

124. М. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 г. СПб., 1861.

125. ვახტანგ V-ის წერილი პოლონეთის მეფის იოანე კაზიმირ-ისადმი მოტანილი აქვს ჟან შარდენს. იხ. ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975.

126. ცნობილი ფრანგი მოგზაურ-ბოტანიკოსის ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორის (1656-1708) თხზულება „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა. 1701 წ. იგი ეწვია საქართველოს. მის თხზულებას დართული აქვს გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ტურნეფორის თანმხლები მხატვრის ობრიეს მიერ უნდა იყოს შესრულებული. იხ. ჟ. პ. დე ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988.

127. იხ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

128. მიმართვის ეს ტექსტი პირველად გამოაქვეყნა მ. ბროსემ. წინამდებარე გამოცემა ეყრდნობა მ. თამარაშვილისეულ პუბლიკაციას. იხ. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995. არსებობს ამ მიმართვის ილ. ტაბალუასეული რედაქცია, იხ. ი. ტაბალუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბ., 1972.

129. ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ტექსტი გაშლისა ცემად მოამზადა, ვარიანტები, საძიებელი და შენიშვნები დაურთო რ. ბარამიძემ, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1959.

130. ესაია ჰასან ჯალალიანცი, სომხეთის კათალიკოსი 1702-1728 წწ. სომხური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარ-

მომადგენელი. იხ. ესაია ჰასან ჯალალიანცი, აღვანთა ქვეყნის მოკლე ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა და კომენტარები დაურთო კარლო კუციაძე, თბ., 1971.

131. აღნიშნული ხელშეკრულების ტექსტი ქრესტომათიაში შეტანილია ვ. ჩოჩიევის გამოცემის მიხედვით. იხ. ვ. ჩოჩიევი, ირანის საერთაშორისო მდგომარეობა ირან-ოსმალეთის 1727 წლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV, თბ. 1965.

132. ომან ხერხეულიძე – XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „მეფობა ირაკლი მეორისა“, რომელშიც აღწერს 1722-1787 წწ. ამბებს. იხ. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989.

133. პაპუნა ორბელიანი – XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა „ამბავი ქართლისანი“, რომელშიც აღწერს 1739-1758 წწ. ამბებს. იხ. პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

134. ელისაბედ I-სადმი (1741-1762 წწ.) თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წერილის პუბლიკაცია იხ. ი. ცინცაძე, ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, ტ. VI, თბ., 1952.

135. იმერეთის მეფის სოლომონ I-სადმი (1752-1784 წწ.) დასავლეთ საქართველოს დიდებულების „პირობის წიგნის“ პუბლიკაცია იხ. გურამ მეტრეველი, ჟამი ბრძოლისა და თანადგომისა, თბ., 1983.

136. ელისაბედ I-სადმი თეიმურაზ II-ის მიერ გაგზავნილი სიგელი დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (АВПР). პუბლიკაცია იხ. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. II (თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში), თბ., 1968.

137. სოლომონ I-ის სიგელი ეკატერინე II-სადმი (1762-1796 წწ.) დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (АВПР). პუბლიკაცია იხ. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს-ის მეორე

ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. I, თბ., 1988.

138. რომის პაპის კლემენტ XIV-ის ერეკლე II-სათვის გამოგზავნილი წერილის პუბლიკაცია იხ. მიხეილ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ., 1902.

139. შარლ დე გრაი დე ფუა – XVIII ს-ის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი, 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს საქართველოში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის გენერლის ტოტლებენის ადიუტანტი, ეროვნებით ფრანგი. ფელდმარშალ გრაფ კირილე გრიგოლის ძე რაზუმოვსკისადმი (1728-1803 წწ.) განკუთვნილი მისი რელაცია ამჟამად დაცულია პარიზში, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. პუბლიკაცია იხ. დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1985.

140. ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბ., 1997.

141. თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846 წწ.) – ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ვაჟი, ისტორიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი; ავტორია თხზულებისა „ახალი ისტორია“. იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1983.

142. იმპერატორ იოზეფ II-სადმი (1765-1790 წწ.) ერეკლე II-ის მიერ გაგზავნილი წერილი დაცულია ვენაში, ავსტრიის სახელმწიფო არქივში. პუბლიკაცია იხ. ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს-ის II ნახევარში, თბ., 1979.

143 ჩრდილო კავკასიაში გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოებს შორის გაფორმებული ტრაქტატის დედანი დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში

(АВІР). პუბლიკაცია იხ. ვ. მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი, თბ., 1983.

144. სოლომონ I-ის სიგელი გამოჩენილი რუსი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწისადმი-გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინისადმი (1739-1791 წწ.). დაცულია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში. პუბლიკაცია იხ. ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968.

145. პლატონ იოსელიანი (1809-1875 წწ.) – ქართველი ისტორიკოსი. ავტორია თხზულებისა „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. იხ. პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1895; პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელისა რედაქციით, თბ., 1936.

146. „ივერიელ მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ტრაქტატი“-ს დედანი ინახება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში (АВІР). პუბლიკაცია იხ. ვ. მაჭარაძე, ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება, კრებ. „ქართული დიპლომატია“ (წელიწდეული), ტ. 2, თბ., 1995.

147. პუბლიკაცია იხ: აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბ., 1990.

148. ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის დაიდო 1804 წლის 25 აპრილს სოფ. ელაზნაურში (ამჟ. სოფ. ვახანთან, ხარაგაულის რ-ნი). ხელი მოაწერეს გენერალმა პავლე ციციანოვმა და იმერეთის მეფე სოლომონ II-მ. „მუხლნი სათხოვრისანი“ იმერეთის მეფის თხოვნით 1804 წლის 4 ივლისს სპეციალური სიგელით დაამტკიცა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა.

პუბლიკაცია იხ: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.

149. იმერეთის დევნილი მეფის სოლომონ II-ის წერილი ნაპოლეონისადმი. პუბლიკაცია იხ: ილია ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მიწურული – XIX ს. დასაწყისი). თბ., 1974.

150. ეს წერილი დაიწერა ქართულად, ითარგმნა თურქულად,

ხოლო შემდეგ ფრანგულად. პუბლიკაცია იხ: ილია ტაბაღა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVIII ს. მიწურული – XIX ს. დასაწყისი). თბ., 1974.

151. რუსეთ-ირანის ხელშეკრულება, დადებული 1813 წლის 12 (24) ოქტომბერს სოფ. გულისტანში (ყარაბაღი). ამ ზავმა დაასრულა რუსეთ-ირანის 1804-1813 წლის ომი. ხელშეკრულება შედგება 11 მუხლისაგან. ამ ხელშეკრულებით ირანმა ცნო აღმოსავლეთ საქართველოს, დაღესტნის და ჩრდ. აზერბაიჯანის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში. პუბლიკაცია იხ: ლუიზა შენგელია. გულისთანის ზავი. „ქართული დიპლომატია“, ტ. 5, თბ., 1998.

152. რუსეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება დაიდო 1829 წლის 2 (14) სექტემბერს ქ. ადრიანოპოლში (ამჟ. ედირნე, თურქეთის რესპუბლიკა). ამ ხელშეკრულებით დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომი. ხელშეკრულება შედგება 16 მუხლისაგან მოლდოვა-ვლახეთის უფლებების განმსაზღვრელი აქტისაგან. რუსეთმა მოიპოვა დუნაიზე, შავ ზღვასა და სრუტეებში თავისუფალი ნაოსნობის უფლება. პუბლიკაცია იხ: Договоры России с Востоком С.-П., 1869 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

153. პრელიმინარული (წინასწარი) საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი. დაიდო 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტი) სან-სტეფანოში (სტამბოლის მახლობლად). ხელი მოაწერეს: ნ. იგნატიევა, ა. ნელიდოვა, სავფეთ-ფაშამ (ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) და სადულა ბეიმ (ოსმალეთის ელჩი გერმანიაში).

პუბლიკაცია იხ: Сборник договоров России с другими государствами 1856-1917 гг. М., 1952 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

154. ბერლინში მოწვეულმა საერთაშორისო კონგრესმა გადასინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები და 1878 წლის 1 (13) ივლისს მიიღო ბერლინის ტრაქტატი, რომელმაც ორი მესამედით შეამცირა რუსეთის მონაპოვარი. თუმცა ეს დანაკარგი არ შეხებია ისტორიულ ქართულ ტერიტორიებს.

პუბლიკაცია იხ: Сборник договоров России с другими

государствами 1856-1917 г. М., 1952 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

155. პუბლიკაცია იხ: დიმიტრი შველიძე. აი ვინ იყო ქართველნი, ვარლამ ჩერქეზიშვილი! თბ. 2001.

156. პუბლიკაცია იხ: რევზ გრძელიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.). თბ., 1995.

157. ამიერკავკასიის პირველი მთავრობა (1917 წლის 15 ნოემბრიდან 1918 წლის 9 აპრილამდე), შეიქმნა 1917 წლის 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ. მიზნად ისახავდა მხარის მართვას რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. პრესტის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთმა მოთხოვა კომისარიატს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. კომისარიატმა უფლებამოსილება გადასცა ახალ მთავრობას, რომელმაც გამოაცხადა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა.

პუბლიკაცია იხ: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тиф. 1919 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

158. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება დაიდო საბჭოთა რუსეთსა და „ოთხთა კავშირის“ წევრ-ქვეყნებს (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი) შორის 1918 წლის 3 მარტს. 15 მარტს რატიფიცირება მოახდინა რე საბჭოების IV საგანგებო ყრილობამ, 22 მარტს გერმანიის რეიხსტაგმა. 1918 წლის 13 ნოემბერს რუსეთის ცაკ-მა მოახდინა ამ ზავის პირობების ანულირება. ბრესტის ზავის ძირითადი ტექსტი შედგებოდა 14 მუხლისაგან და დამატებითი პუნქტებისაგან. I მუხლის მიხედვით რუსეთის იმპერიის ტერიტორიული დანაკარგები აღწევდა I მლნ კვ. კმ. გარდა ძირითადი ხელშეკრულებისა დაიდო ცალკე ხელშეკრულებები „ოთხთა კავშირის“ ქვეყნებსა და რუსეთს შორის.

პუბლიკაცია იხ: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тиф. 1919 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

159. პუბლიკაცია იხ: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тиф. 1919 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

160. ბათუმის საზავო კონფერენციაზე დაიღო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და თურქეთს შორის (1918 წლის 4 ივნისი). თურქეთს გადაეცა ბათუმის და ყარსის ოლქები, ახალციხის და ახალქალაქის მაზრები (11381 კვ. კმ; 250 ათასი მცხოვრებით). ბათუმის ხელშეკრულება გაუქმდა 1918 წლის ნოემბერში, I მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ.

პუბლიკაცია იხ: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тиф. 1919 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

161. პუბლიკაცია იხ: Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тиф. 1919 (ირინა თევდორაშვილის თარგმანი).

162. იბეჭდება სრული ვარიანტი. პუბლიკაცია იხ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. თბ., 1990.

163. პუბლიკაცია იხ: გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წელს. დოკუმენტების და მასალების კრებული შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა მ. გაბრიჩიძემ, თბ., 1942.

164. პუბლიკაცია იხ: Борьба за победу советской власти в Грузии, Документы и материалы. Тб., 1958 (ირინა თევდორაშვილის თარგმანი).

165. ამ მოხსენების ტექსტი შემუშავდა საქართველოს მთავრობის სხდომაზე 1918 წლის 21 ნოემბერს და გათვალისწინებული იყო პარიზის (ვერსალის) სამშვიდობო კონფერენციისათვის წარსადგენად. მოხსენებას ერთვოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და საქართველოს რუკა, რომლის აღწერილობაც და ტერიტორიული პრეტენზიები ჩამოყალიბებულია მოხსენების დასკვნით ნაწილში.

პუბლიკაცია იხ: აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე. საქართველოს ისტორია 1783-1990. თბ., 1991.

166. პუბლიკაცია იხ: საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. დოკუმენტების და მასალების კრებული (შემდგ. ავთანდილ მენთუშაშვილი, რედ. აკაკი სურგულაძე). თბ., 1990 (რუსულ ენაზე).

167. პუბლიკაცია იხ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-

ლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921). (შემდგენელი ე. გურგენიძე, სპეცრედაქტორი ვიქტორ შარაშენიძე) თბ., 1990.

168. პუბლიკაცია იხ: *Документы внешней политики СССР*, т. III. М., 1959 (იბეჭდება შემოკლებით). (ირინა თევდორაშვილის თარგმანი).

169. ყარსის ხელშეკრულება – დაიდო 1921 წლის 13 ოქტომბერს ქ. ყარსში, ოსმალეთსა და ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის. ყარსის ხელშეკრულება ეფუძნებოდა 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებას. სარატ-იფიკაციო სიგელები გაიცვალა ერევანში 1922 წლის 11 სექტემბერს.

პუბლიკაცია იხ: ლევან ალექსიძე, დავით კობახიძე. ყარსის ხელშეკრულება (საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზი). „ქართული დიპლომატია.“ ტ. 4 თბ., 1994.

170. პუბლიკაცია იხ: ლევან თოიძე, ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებით გასაბჭოება, ფაქტობრივი ანექსია. თბ., 1991.

171. ეს მიმართვა ემიგრაციაში საქართველოს საელჩომ გადასცა კონფერენციას. გამოქვეყნდა გენუის გაზეთ „აკფარაში“ 1922 წლის 5 მაისს. ქართული თარგმანის პუბლიკაცია იხ: საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. დოკუმენტების და მასალების კრებული (შემდგენელი: ავთანდილ მენტუშაშვილი, რედ. აკაკი სურგულაძე). თბ., 1990.

172. პუბლიკაცია იხ: *Документы внешней политики СССР*, т. 7. М., 1963. პირველად გამოქვეყნდა გაზ. „იზვესტიაში“, №216, 21 სექტემბერი, 1924 წ. (ირინა თევდორაშვილის თარგმანი).

173. პუბლიკაცია იხ: *Документы внешней политики СССР*, т. 15 (ირინა თევდორაშვილის თარგმანი).

174. გერმანიის ვერმახტთან არსებული ქართული ლეგიონის შტაბის მოწოდება ტყვედ ჩავარდნილი ქართველი საბჭოთა მებრძოლებისადმი. დაიბეჭდა ქართული ლეგიონის ყოველკვირეულ გაზეთში „საქართველო“, № 16 (93). 1944 წლის 18 აპრილი.

პუბლიკაცია იხ: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. ვიქტორ რცხილაძის რედაქციით და წინასიტყვაობით. თბ., 1994.

175. გამოქვეყნდა ქართველ მოხალისეთა გაზეთში: „საქართველო“

№7 (135). ბერლინი, 1945 წლის 19 თებერვალი. პუბლიკაცია იხ: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. ვიქტორ რცხილაძის რედაქციით და წინასიტყვაობით თბ., 1994.

176. პუბლიკაცია იხ: Советский союз на международных конференциях периода великой отечественной войны 1941-1945 гг. т. VI. Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав СССР, США и Великобритании (17 июля – 2 августа 1945 г). Сборник документов. М., 1980 (ბონდო კუპატაძის თარგმანი).

177. სტატია გამოქვეყნდა ქართულ ენაზე გაზ. „კომუნისტში“ (1945 წლის 14 დეკემბერი), რუსულ ენაზე გაზ. „პრავდაში.“ იბეჭდება შემოკლებით.

178. სიტყვა წარმოთქმულია გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე 1992 წლის 31 ივლისს გაეროს 179-ე წევრად საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით. პუბლიკაცია იხ: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992 წლის 1 აგვისტო.

179. შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და იუნესკოს შორის დაიდო თბილისში 1995 წლის 12 ივლისს. მემორანდუმის ტექსტის პუბლიკაცია იხ: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1995 წ. 15 ივლისი.

180. პუბლიკაცია იხ: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996. 10 მარტი. ამ დეკლარაციას ჰქონდა ფუძემდებლური მნიშვნელობა საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის განვითარებაში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსის... ნავთობსადენების და სხვა საერთაშორისო პროექტებისთვის ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა. ჰეიდარ ალიევმა ამ დეკლარაციას ხატოვნად „თბილისის დოკუმენტი“ უწოდა.

181. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის შეხვედრაზე 1996 წლის 2 დეკემბერს ქ. ლისაბონში მიღებულმა დეკლარაციამ, ისევე როგორც თავის დროზე ჰელსინკის დასკვნითმა აქტმა, სათავე დაუდო მომავალი საერთაშორისო ურთიერთობების ევროპულ კურსს.

პუბლიკაცია იხ: „ქართული დიპლომატია.“ წელიწდეული. ტ.4. თბ., 1997.

182. საქართველოს, აზერბაიჯანის, უკრაინის და მოლდოვას პრეზიდენტების (ედუარდ შევარდნაძე, ჰეიდარ ალიევი, ლეონიდ კუჩმა, პეტრე ლუჩინსკი) შეხვედრაზე ქ. სტრასბურგში 1997 წლის 10 ოქტომბერს საფუძველი ჩაეყარა სუამ-ის ორგანიზაციას. ამ რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციას შემდგომ შეუერთდა უზბეკეთიც. პუბლიკაცია იხ: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1997. 12. X.

183. 1999 წლის 27 იანვარს საქართველო გახდა ევროსაბჭოს 47-ე წევრი-ქვეყანა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ფვანიას გამოსვლის ტექსტის პუბლიკაცია იხ: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1999 წ. 31 იანვარი.

184. ეს მიმართვა შედგა თბილისში 1999 წლის 8-9 ნოემბერს რომის პაპის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში. რომის პაპი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს. მიმართვა მიიღეს 8 ნოემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

პუბლიკაცია იხ: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1999 წ. 10. ნოემბერი.

185. 2001 წ. 11 სექტემბერს ნიუ-იორკის „თვინის“ შენობაზე, სადაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია იყო განლაგებული, მუსლიმი ტერორისტების მიერ განხორციელებული ტერაქტის შემდგომ აშშ მთავრობამ მსოფლიო მასშტაბით ჩაატარა ანტიტერორისტული ღონისძიებები (ავღანეთში, ერაყში,...). მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე, პანკისის ხეობაში საქართველოს ხელისუფლების დახმარების პროგრამით ჩატარდა ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ოპერაცია „ალ-ყაიდას“ და სხვა მუსლიმი ფუნდამენტალისტური ტერორისტებისაგან ტერიტორიის გაწმენდის მიზნით.

186. პუბლიკაცია იხ: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2002 წ. 13. ნოემბერი.

შინაარსი

თავი I	3
ქართული აოლიტიკური სამყარო საქართვეორისო არენაზე უკველესი დროიდან ახ. წ. III საუკუნის ჩათვლით	3
ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-ის „წარწერა პრიზმაზე“ დაიანის ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. 1112 წ.) [1]..	3
ურარტუს მეფე მენუას წარწერა დიაოხში ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. IX-VIII სს. მიჯნა) [2].....	4
ურარტუს მეფე არგიშთი I-ის წარწერა დიაოხში ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. VIII ს. I ნახ.) [3]	5
ურარტუს მეფე სარდური II-ის წარწერა კოლხაში ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. VIII ს. 50-იანი წლები) [3]	6
ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე კოლხეთისა და აქემენიდური ირანის ურთიერთობის შესახებ (ძვ. წ. V ს.) [4].....	7
ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე მოსინიკებსა და ბერძნებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკების შესახებ (ძვ. წ. V ს.) [5].....	7
ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე მაკრონებსა და ბერძნებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკების შესახებ (ძვ. წ. V ს.) [5].....	9
ლეონტი მროველი ფარნავაზის დიპლომატიური კონტაქტების შესახებ (ძვ. წ. IV-III სს. მიჯნა) [6]	10
ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი ქართლის სამეფოს სოციალური ფენების შესახებ (ძვ. წ. I ს.) [7].....	11
რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიოსი პომპეუსის ქართლის სამე- ფოში ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. 65 წ.) [8].....	12
რომაელი ისტორიკოსი კორნელიუს ტაციტუსი ქართლის მეფის ფარსმან I-ის მოღვაწეობის შესახებ (ახ. წ. I ს.) [9].....	13
იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა რომისა და ქართლის ურთიერ- ობის შესახებ (ახ. წ. 75 წ.) [10]	18
რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიოსი ფარსმან II ქველის რომში ვიზიტის შესახებ (II ს. I ნახ.) [8].....	18
ლეონტი მროველი მირიანის ქართლში გამეფების შესახებ (III ს. II ნახ.) [6].....	19

თავი II	22
ქართლისა და ებრისის სამეფოების საბარემო კოლიტიკა და დიალომატია ახ. წ-ის IV-V საუკუნეებში	22
ლეონტი მროველი ქართლის გაქრისტიანებისა და რომის იმპერატორ კონსტანტინე I-თან დიალომატიური ურთიერთობების შესახებ (IV ს. I ნახ.) [6]	22
ლეონტი მროველი ქართლის სამეფოსა და სასანიდურ ირანს შორის ურთიერთობის შესახებ (IV ს. II ნახ.) [6]	28
ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის გამეფებისა და სასანიდურ ირანთან ქართლის სამეფოს ურთიერთობის შესახებ (V ს. I ნახ.) [11]	29
სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი ირანის შაჰის კარზე ამიერკავკასიელი დიდებულების ვიზიტის შესახებ (449 წ.) [12]	30
ბიზანტიელი ისტორიკოსი პრისკე პანიონელი კონსტანტინოპოლში ეგრისის მეფის გუბაზ I-ის ვიზიტის შესახებ (465 წ.) [13]	34
სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპეცი სასანიდური ირანის წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის აჯანყების შესახებ (482-484 წ.წ.) [12]	36
თავი III	41
ქართლისა და ებრისის საბარემო-კოლიტიკური მდგომარეობა და დიალომატია VI-VII ს-ის I ნახევარში	41
ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი სასანიდური ირანის წინააღმდეგ ქართლის მეფე გურგენის აჯანყების შესახებ (523 წ.) [14]	41
ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი სასანიდურ ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული „უვადო ზავის შესახებ“ (532 წ.) [14]	42
ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ეგრისის სამეფოს ურთიერთობის შესახებ ბიზანტიასა და სასანიდურ ირანთან (532-542 წწ.) [14]	43

ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთაღმწერელი ქართლის მეფის ძამანარძეს კონსტანტინოპოლში ვიზიტის შესახებ (535წ.) [15].....	47
ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ბიზანტიელი სარდლების მიერ ეგრისის მეფის გუბაზ II-ის მკვლელობის შესახებ (554 წ.) [16].....	48
ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ეგრისის მეფის გუბაზ II-ის მკვლელობის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ეგრისელთა საიდუმლო თათბირი. აიეტისა და ფარტაზის სიტყვები. ეგრისელთა ელჩობა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-თან (554 წ.) [16].....	51
აიეტის სიტყვა	52
ფარტაზის სიტყვა	56
ბიზანტიელი ისტორიკოსი მენანდრე სასანიდურ ირანსა და ბიზანტიას შორის დადებული ზავის შესახებ ქ. დარაში. სვანეთის საკითხი ირან-ბიზანტიის საზავო მოლაპარაკებაზე (VI ს. 60-იანი წწ.) [17].....	64
ჯუანშერი ქართლში ერისმთავრობის დაწესების შესახებ (VI ს-ის 70-იანი წწ.) [11].....	71
სომეხი ისტორიკოსი უხტანესი ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შესახებ (605-608 წწ.) [18].....	73
„ეპისტოლეა წიგნი“ ქართლისა და სომხეთის კათალიკოსების მიმოწერის შესახებ (605-608 წწ.) [19].....	74
თაზო IV	80
ქართული პოლიტიკური სამყარო სამართავმორისო ურთიერთობებში VII ს-ის II ნახევრიდან X ს-ის II ნახევრამდე	80
ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული „დაცვის სიგელი“ თბილისის მოსახლეობისადმი (654 წ.) [20].....	80
ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა აბაზგიაში (აფხაზეთში) ბიზანტიის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ (VII ს. II ნახ.) [21].....	82
ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთაღმწერელი ეგრისის არაბთა მფარველობაში შესვლის შესახებ (697 წ.) [15].....	83

ლოკუმენტი არაბი სარდლის ჯარაპის მიერ 654 წ. „დაცვის სიგელის“ განახლების შესახებ (729/30 წწ.) [22]	83
ჯუანშერი ქართლის ერისმთავრების და აფხაზეთის ერისთავის მიერ კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მისიის გაგზავნის შესახებ (VIII ს. I ნახ.) [11]	84
„მატიანე ქართლისაჲ“	85
ხაზართა ხაკანის მიერ ქართლში ელჩების გამოგზავნისა და ხაზართა მიერ ქართლის დალაშქერის შესახებ (VIII ს. შუა ხანები) [23].....	85
იოვანე საბანისძე ნერსე ქართლის ერისმთავრის დიპლომატიურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ (VIII ს. II ნახ.) [24].....	86
„მატიანე ქართლისა“ აფხაზეთის სამეფოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ (IX ს. II ნახ.) [23]	88
სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი ადარნასე კურაპალატის მიერ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მიღების შესახებ (888 წ) [25].....	89
„მატიანე ქართლისაჲ“	90
აბულ კასიმის კახეთში ლაშქრობისა და კვირიკე ქორეპისკოპოსის დიპლომატიური მისიის შესახებ (914 წ.) [23].....	90
„მატიანე ქართლისა“ ჰერეთის მეფესთან კახეთის ქორეპისკოპოსისა და აფხაზთა მეფის დიპლომატიური მოლაპარაკების შესახებ (X ს. დასაწყ.) [23].....	90
„მატიანე ქართლისა“ აფხაზთა მეფის გიორგი II-სა და კახეთის ქორეპისკოპოსის კვირიკე II-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (X ს. I ნახ.) [23].....	91
კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილი აფხაზეთის მეფისადმი (Xს. I ნახ.) [26].....	93
ბიზანტიელი უცნობი ავტორი (თოფანეს გამგრძელებელი) „იბერთა კურაპალატის“ კონსტანტინოპოლში ვიზიტის შესახებ (X ს. I ნახ.) [27].....	94
ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი ქართველ მეფე-მთავრებისადმი ბიზანტიის დიპლომატიური ეტიკეტით გათვალისწინებული მიმართვის შესახებ (X ს. I ნახ.) [28].....	95

ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი ადგილი სამართაშორისო არმენაჴმ.
 ქართული დიპლომატია XI-XII სს-ში 96

„მატიანე ქართლისა“ ივანე მარუშის ძის დიპლომატიური ინიციატივისა და ბაგრატ უფლისწულის ქართლის მმართველად გამოცხადების შესახებ (975 წ.) [23] 96

„მატიანე ქართლისა“ დავით III კურაპალატისა და კახეთის სამთავროს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (975 წ.) [23] 97

„მატიანე ქართლისა“ ივანე მარუშის ძის ახალი ინიციატივისა და ბაგრატ უფლისწულის „აფხაზთა სამეფოში“ გამეფების შესახებ (978 წ.) [23] 98

გიორგი მთაწმინდელის „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ თორნიკე ერისთავისა და დავით III კურაპალატის ბიზანტიის ხელისუფლებასთან დიპლომატიური კონტაქტების შესახებ (976-979 წწ.) [29] 98

არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი ბარდა ფოკას აჯანყების და დავით III კურაპალატისა და ბასილი II-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (987 წ.) [30] 102

„მატიანე ქართლისა“ რატი ბაღვაშის სამფლობელოების ირგვლივ ატეხილი კონფლიქტისა და მისი დიპლომატიური გზით მოგვარების შესახებ (989 წ.) [23] 104

სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი დავით III კურაპალატის მკვლელობისა და ქართულ-ბიზანტიური დიპლომატიური კონტაქტების შესახებ (1001 წ.) [31] 105

სუმბატ დავითის ძე ბაგრატ III-ისა და „მეფეთ-მეფე“ გურგენის ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-თან დიპლომატიური მოლაპარაკებების შესახებ (1001 წ.) [32] 106

ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე ქართულ-ბიზანტიური დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1001 წ.) [33] 106

„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ III-სა და კახეთის მთავარ დავითს შორის გამართული დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და ბაგრატ III-ის მიერ კახეთ-ჰერეთის შემოერთების შესახებ (1008-1010 წწ.) [23] 107

„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ III-ის განმა-არანში გალაშქრებისა და ამირა ფადლონთან დადებული ზავის შესახებ (1010-1014 წწ.) [23].....	108
სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი გიორგი I-ისა და ბასილი II-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1014-1015 წწ.) [31].....	109
სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი ანისის სამეფოსთან გიორგი I-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1017-1018 წწ.) [31].....	110
სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტეცი ბიზანტია – საქართველოს ომის, მათ შორის მიმდინარე დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და დადებული საზავო ხელშეკრულების შესახებ (1021-1022 წწ.) [31].....	111
სუმბატ დავითის ძე გიორგი I-სა და ბასილი II-ს შორის მიმდინარე საზავო მოლაპარაკებების (1021-1022 წწ.), საქართველო-ბიზანტიის ზავის (1022 წ.), უფლისწულ ბაგრატის ბიზანტიაში მძევლად გაგზავნისა და ამ უკანასკნელის საქართველოში გამომგზავრების დიპლომატიური ასპექტების შესახებ (1025 წ.)[32].....	114
ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე ნიკიფორე ქსიფიასის და ნიკიფორე ფოკას აჯანყების, გიორგი I-სა და ბასილი II-ეს შორის დადებული ზავის შესახებ (1021-1022 წწ.) [33].....	116
არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი ბიზანტია-საქართველოს, გიორგი I-სა და ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1018-1022 წწ.) [30].....	117
არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი ბაგრატ IV-ისა და ბიზანტიელთა სარდლის ნიკოლოზ პარაკიმანოსის დაზავების შესახებ (1028 წ.) [30].....	119
არაბი ისტორიკოსი იაკობ ანტიოქიელი მარიამ დედოფლის დიპლომატიური მისიით კონსტანტინოპოლში გამგზავრებისა და ბიზანტიასთან დაზავების შესახებ (1029-1030 წწ.) [30].....	120
„მატიანე ქართლისა“ მარიამ დედოფლის კონსტანტინოპოლში დიპლომატიური ვიზიტისა და ბიზანტიის	

იმპერიასთან საზავო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ (1029-1030 წწ.) [23].....	121
„მატიანე ქართლისა“ გიორგი I-ის ვაჟის – დემეტრე უფლისწუ- ლის მიერ ბიზანტიელთათვის ანაკოფიის ციხის გადაცემის შესახებ (1032 წ.) [23].....	121
ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე გიორგი I-ის მეუღლე აღდესა და უფლისწულ დემეტრეს მიერ ბიზანტიელთათვის ანაკოფიის ციხის გადაცემის შესახებ (1032 წ.) [33].....	122
„მატიანე ქართლისა“ სომეხ დიდებულთა დიპლომატიური მისიისა და ბაგრატ IV-ის მიერ ანისის დაკავების შესახებ (1044 წ.) [23].....	122
„მატიანე ქართლისა“ „ტფილელ ბერთა“ მიერ ბაგრატ IV-ის მოწვევისა და მისი თბილისში შესვლის, კახეთის მეფის პატივსაცემად მოწყობილი დარბაზობის შესახებ (1045 წ.) [23].....	123
„მატიანე ქართლისა“ „ვარანგთა“ რაზმის საქართველოში ყოფნის შესახებ (1046/47 წწ.) [23].....	124
„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში დიპლომატიური ვიზიტისა და მისი საქართველოში დაბრუნების შესახებ (1051-1054 წწ.) [23].....	124
ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში დიპლომატიური ვიზიტისა და ლიპარიტ ბაღვაშთან დადებული ზავის შესახებ (1051-1054 წწ.) [33].....	125
გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) ბაგრატ IV-ის ასულის – მართას (მარიამის) კონსტანტინოპოლში ყოფნის შესახებ (1055-1056 წწ.) [34].....	126
გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) გიორგი მთაწმინდელის მიერ ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსი III-ის წინაშე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიური უფლებების დაცვის შესახებ (1057 წ.) [34].....	127
არაბი ისტორიკოსი ალ-ფაკიბი ბაგრატ IV-ის მიერ თბილისის დაკავების შესახებ (1062 წ.) [35].....	130

გიორგი მცირე (ხუცესმონაზონი) ბიზანტიაში უფლისწულ მარიამის (მართა) გათხოვებასთან დაკავშირებით გაგზავნილი დიპლომატიური მისიის შესახებ (XI ს. 60-იანი წწ.) [34].....	130
„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-სა და სულტან ალფ-არსლანს შორის წარმოებული მოლაპარაკებების, თურქ-სელჩუკთა მიერ ანისის დაპყრობის შესახებ (1064 წ.) [23].....	131
„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-სა და ტაშირ-ძორაკეტის მეფე კვირიკეს შორის გამართული მოლაპარაკებების, ბაგრატ IV-ის მიერ ლორე-ტაშირის დამორჩილების შესახებ (XI ს. 60-იანი წწ.) [23].....	132
„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-ის მიერ განძის დალაშქვრის, საქართველოს სამეფო კარზე ოსთა მეფის დორდოლელის ოფიციალური ვიზიტის შესახებ (XI ს. 60-იანი წწ.) [23].....	132
„მატიანე ქართლისა“ ბაგრატ IV-სა და სულტან ალფ-არსლანს შორის დიპლომატიური კონტაქტების შესახებ (XI ს. 60-70-იანი წწ. მიჯნა) [23].....	133
დავითის ისტორიკოსი საქართველოს მეფე გიორგი II-ის ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებთან დიპლომატიური ურთიერთობების, „დიდი თურქობის“, კახეთ-ქერეთის სამეფოს შემოერთების უშუალო მცდელობის შესახებ (XI ს. 70-80-იანი წწ.) [36].....	134
კინკლოსური ცნობა გიორგი II-ის სულტან მალიქ-შაჰთან ისპაჰანში ჩასვლის შესახებ (1083 წ.) [37].....	137
დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის მიერ თურქ-სელჩუკებისათვის ხარკის ძღვევის შეწყვეტის, კახეთ-ქერეთისა და კლდეკარის საერისთავოს შემოერთების შესახებ (1099-1103/4 წწ.) [36].....	137
დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის სამხედრო-დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ 1110-1118 წლებში (ქვემო ქართლის ციხეების, ტაოს შემოერთება, შირვანთან და ბიზანტიასთან დინასტიური ქორწინებებით დაკავშირება) [36].....	138
დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ (1118 წ.) [36].....	141

დავითის ისტორიკოსი დიდგორის ბრძოლის წინა პერიოდისა და მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრის შექმნის შესახებ (1121 წ.) [36].....	142
დავითის ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის მიერ სულტან მაჰმუდ მუჰამედის ძის დამარცხების, შირვანისა და ანისის შემოერთების შესახებ (1123-1124 წწ.) [36].....	143
იერუსალიმელი მეფსალმუნის ანსელუსის წერილი ეპისკოპოს გალონისადმი დავით აღმაშენებლის ნაქონი ჯვრის შექმნისა და პარიზში გაგზავნის შესახებ (1108 წ.) [38].....	147
პავლე ალექოელი დავით აღმაშენებელსა და კიევის რუსეთის მთავარ ვლადიმირ მონომახს შორის არსებული დიპლომატიუ- რი ურთიერთობების შესახებ (XII ს. 10-იან წწ.) [39].....	149
იოანე ბატონიშვილი უცხოეთის სახელმწიფოებთან საქართველოს სამეფო კარის დიპლომატი- ური კონტაქტების შესახებ (1119 წ.) [40].....	149
სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი დიდგორის ბრძოლის, დავით აღმაშენებლის მიერ თბილისისა და ანისის შემოერთების შესახებ (1121-1124 წწ.) [41].....	150
არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი თბილისელ მუსლიმთა მიმართ დავით აღმაშენებლის პოლიტიკის შესახებ (1122 წ.) [42].....	153
არაბი ისტორიკოსი ალ-ჯაუზი თბილისის მუსლიმი მოსახლეო- ბისადმი დავით აღმაშენებლის დამოკიდებულების შესახებ (XII ს-ის 20-იანი წწ.) [43].....	154
ანტიოქიის სამთავროს კანცლერი გოტიე დიდგორის ბრძოლის შესახებ (1121 წ.) [44].....	155
სომეხი ისტორიკოსი მათეოს ურჰაეცი დემეტრე I-ის მიერ ქ. ანისის მისი ძველი მფლობელისათვის გადაცემის შესახებ (1125 წ.) [41].....	156
სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი დემეტრე I-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1125-1130 წწ.) [45].....	157
არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი დემეტრე I-ის მიერ არზრუმის გამგებლის იზზ ად-დინ სალთუკისა და სზვა მუსლიმი მფლო-	

ბელების შეპყრობისა და დიდძალი გამოსასყიდის ფასად მათი გათავისუფლების შესახებ (1154 წ.) [42].....	158
არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი თბილისის მაჰმადიანი მოსახლეობისადმი დემეტრე I-ის დამოკიდებულების შესახებ (1153/54 წწ.) [42].....	159
არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი დემეტრე I-ისა და დარუბანდის ამირას შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1153/54 წწ.) [42].....	159
ძველი რუსული ქრონიკა („იპატის მატიანე“) კიევის მთავარ იზიასლავ მსტისლავის ძის დემეტრე I-ის ასულზე დაქორ- წინების შესახებ (1154 წ.) [46].....	160
სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი დავით V-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის, მისი მკვლელობის შესახებ (1155-1156 წწ.) [45].....	160
სომეხი ისტორიკოსი მხითარ გოში დავით V-ის დიპლომატიის, მისი მკვლელობის შესახებ (1155-1156 წწ.) [47].....	161
„ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“ გიორგი III-ის სამეფო კარზე ანდრონიკე კომნენოსის ვიზიტის შესახებ (XII ს. 60-იანი წწ.) [48].....	162
სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი გიორგი III-ის მიერ ანისის შემოერთების, დემნა უფლისწულისა და ივანე ორბელის აჯანყების შესახებ (1174-1178 წწ.) [45].....	163
სომეხი ისტორიკოსი დავით ქობარიელი გიორგი III-ის წინააღმდეგ დემნა უფლისწულისა და ამირ-სპასალარ ივანე ორბელის აჯანყების შესახებ (1177-1178 წწ.) [49].....	164
თამარ მეფის წერილი ეგვიპტის სულთან სალაჰ ად-დინისადმი (1185 წ. ახლო ხანები) [50].....	166
„ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ (1184) [48].....	167
„ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“ თამარ მეფისა და გიორგი რუსის ქორწინებასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ (1185 წ.) [48].....	169
„ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი“ საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური კონტაქტების შესახებ (XII ს. 80-იანი წწ.) [48].....	170

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ შამქორის ბრძოლის წინ საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიური კონტაქტების (ამირ-მირმანისა და შირვანშაჰ ალსართანის ვიზიტი საქართველოში), შამქორის ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ (1194-1195 წწ.) [48].....	173
„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ რუმის სულთნის რუქ ად-დინის ელჩის საქართველოს სამეფო კარზე დიპლომატიური ვიზიტის შესახებ (1202 წ.) [48].....	179
ბასილი ეზოსმოდღვარი თამარ მეფის მიერ უცხოეთის ქართულ საყენებზე ზრუნვის, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ (1204 წ.) [51].....	180
ბერძენი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ (1204 წ.) [52].....	182
სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი თამარ მეფის, ზაქარია და ივანე მხარგრძელების მოღვაწეობის შესახებ (XII ს. მიწურული – XIII ს. დასაწყისი) [45].....	182
თავი VI	184
საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატია XIII-XV სს-ში.184	
ფრანგი რაინდის დე ბუას წერილი ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამედე დე ტრემლესადმი (1211 წ.) [53].....	184
აკრის ეპისკოპოსის იაკობ დე ვიტრის ცნობა ქართველების ურთიერთობების შესახებ მუსლიმებთან და მათ უფლებრივ პრივილეგიებზე წმინდა მიწაზე (XIII ს. I მეოთხედი) [54]	185
ვენსან (ვინსენტ) დე ბოვეს ცნობა საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობის შესახებ (XIII ს. პირველი მეოთხედი) [55].....	186
აღმოსავლეთის მაჰმადიან მბრძანებელთა მიმართვის ფორმა საქართველოს მეფე ლაშა-გიორგისადმი [56].....	187
არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირი ქართველთა მიერ ანტიმონღოლური კოალიციის შექმნის შესახებ (XIII ს. 20-იანი წწ.) [57].....	188
რუსუდან დედოფლის წერილი რომის პაპს ჰონორიუს III-სადმი (1223) [58].....	189

პაპი ჰონორიუს III-ის საპასუხო წერილი რუსუდან დედოფალს (1224 წ.) [58].....	191
არაბი ისტორიკოსი ალ-ბალდადი ჯალალ ად-დინის ელჩის საქართველოში მოსვლისა და ხვარაზმელთა ლაშქრობის შესახებ (1225/26 წწ.) [59].....	193
ჟამთააღმწერელი გარნიისის ბრძოლის შემდეგ, ჯალალ ად-დინისა და ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარის შეხვედრის შესახებ (1225/26 წ.) [60].....	193
პაპი გრიგოლ IX-ის წერილი რუსუდან დედოფალსა და მის შვილს – დავით მეფეს (1240 წ.) [61].....	195
ჟამთააღმწერელი ავაგ ათაბაგის ბათო ყაენთან ელჩობის შესახებ (XIII ს. 30-40-იანი წწ. მიჯნა) [60].....	197
სომეხი ისტორიკოსი გრიგოლ აკანელი ქართველთა უფლისწულის დავით ლაშას ძის სამშობლოში დაბრუნებისა და გამეფების შესახებ (XIII ს. 40-იანი წლების შუა ხანები) [62].....	199
პლანო კარპინი მონღოლთა მიერ უცხო სახელმწიფოებთან ზავის დადების შესახებ[63].....	200
პლანო კარპინი მონღოლთა დიდი ყაენის კარზე ორი დავითის (დავით ულუ და დავით ნარინის) სამეფო ტახტისათვის პაექრობის შესახებ[63].....	201
სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები მონღოლთა დიპლომატიური ეტიკეტის შესახებ (XIII ს. I ნახ.) [64].....	202
მარკო პოლოს ცნობები საქართველოსა და მისი მეფეების შესახებ (XIII ს. II ნახევარი) [65].....	203
ჟამთააღმწერელი დავით VII ულუსა და ბათო ყაენის ურთიერთობისა და დიპლომატიური ეტიკეტიდან ზოგიერთი წესის შესახებ (XIII ს. 50-იანი წწ.) [60].....	204
ჟამთააღმწერელი დავით ულუსა და სარგის ჯაყელის ჰულაგუ ყაენის კარზე ყოფნის შესახებ[60].....	205
რომის პაპის ნიკოლოზ IV-ის წერილი საქართველოს მეფე დემეტრე II თავდადებულს (1292 წ.) [66].....	208
წესი და განგებაა მეფეთ კურთხევისა (XIII ს.) [67].....	209
„ძეგლი ერისთავთა“ გიორგი V ბრწყინვალის მიერ ეგვიპტეში პიპაა ქვენიფნეველის დიპლომატიური მისიის გავზავნის შესახებ (1316/17 წწ.) [68].....	213

პაპი იოანე XXII-ის წერილი გიორგი V ბრწყინვალისადმი (1322 წ.) [69].....	214
არაბი ენციკლოპედისტი ალ-უმარი (1301-1349) გიორგი ბრწყინვალისა და ჩობან-ნოინის ურთიერთობის შესახებ (XIV ს. I მეოთხედი) [70].....	216
პაპი იოანე XXII-ის წერილი სმირნის საეპისკოპოსო კათედრის თბილისში გადმოტანის შესახებ (1329 წ) [71].....	217
პაპი იოანე XXII-ის წერილი თბილისში კათოლიკეთა საეპისკოპოსოს შექმნის შესახებ (1330 წ.) [69].....	218
გიორგი V ბრწყინვალეს წერილი საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასადმი [72].....	219
არაბი ენციკლოპედისტი ალ-უმარი გიორგი V ბრწყინვალისადმი მაჰმადიან მბრძანებელთა მიმართვის ფორმისა და შინაარსის შესახებ [70].....	220
არაბი ენციკლოპედისტი იბნ ნაზირ ალ-ჯაიში (ალ-მუჰიბიბი) ქართველ მეფე-მთავრებთან ეგვიპტის სულტნების მიმოწერის წესის შესახებ [73].....	220
სომეხი ისტორიკოსი თოვმა მეწოფელი თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ (1386-1387 წწ.) [74].....	221
ქართველი ისტორიკოსები გიორგი VII-სა და თემურ-ლენგის დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ (XIV-XV სს. მიჯნა).....	222
ცნობები თემურ-ლენგთან კონსტანტინე ბატონიშვილის ელჩობის შესახებ (1401 წ.).....	224
ბერი ეგნატაშვილი თემურ-ლენგთან თავადი ესაიას დიპლომატიური მისიის შესახებ (1403წ) [76].....	224
ფარსადან გორგიჯანიძე თემურ-ლენგის ბოლო, მე-8 შემოსევის წინ, გიორგი VII სამეფო კარის დიპლომატიური ნაბიჯების შესახებ [75].....	226
ფარსადან გორგიჯანიძე თემურ-ლენგსა და საქართველოს სამეფო კარს შორის დადებული ზავის შესახებ (1403 წ.) [75].....	227
ვახუშტი ბატონიშვილი ალექსანდრე I დიდის მიერ თემურ-ლენგის ჩამომავლის, ჩაღათაელთა მბრძანებლის – შაჰროჰის კარზე	

მისი ძის-დიმიტრი ბატონიშვილის ხელმძღვანელობით წარგზავნილი ელჩობის შესახებ (1435 წ.) [78].....	228
სილვესტროს სიროპულოსი ბიზანტიის იმპერატორის ელჩის ანდრონიკე იაგრინის ელჩობის, ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართული დელეგაციის შემადგენლობისა და საეკლესიო კრებაზე მათი მოღვაწეობის შესახებ (1438-1439 წწ.) [80].....	229
სილვესტროს სიროპულოსი რომის პაპისა და იბერიის მეფის ელჩის („თავადი-ერისკაცი“) პირადი შეხვედრისა და საუბრის შესახებ (1438-1439 წწ.) [80].....	230
ანდრეა დი სანტა კროჩე მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიისა და ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438-1439 წწ.) იბერიის (საქართველოს) მეფის ელჩის საპატიო სტატუსის შესახებ[81].....	231
სილვესტროს სიროპულოსი ფერარა-ფლორენციის კრებაზე უქმე დღის საზეიმო ღოცვაზე ქართველი ელჩის რეაქციის შესახებ (1438-1439 წწ.) [80].....	233
ეგვიპტის სულტნის ჯაკმაკის წერილი ქართველთა მეფისადმი (1440 წ.) [82].....	233
თომა მეწოფელი ჯაკან-შაჰის საქართველოში ლაშქრობის შესახებ (1440 წ.) [74].....	237
გიორგი სფრანძესი საქართველოში გიორგი VIII-ის სამეფო კარზე მისი ელჩობის შესახებ (1449-1451 წწ.) [83].....	238
რომის პაპის კალიქსტოს III-ის საპასუხო წერილი ყვარყვარე II ათაბაგისადმი (1457 წ.) [84].....	239
ყვარყვარე II ათაბაგის წერილი ბურგუნდიის ჰერცოგ ფილიპე კეთილისადმი (1459 წ.) [85].....	240
ყვარყვარე II ათაბაგის ელჩის – ფარსადან ქარციხელის (ახალციხელის) მიერ ვენეციის დოჟისადმი წარდგენილი წერილი (1460) [86].....	243
ფლორენციის რესპუბლიკის სენიორთა წერილი „საქართველოში ქარციხის ბატონს“ ყვარყვარე II ათაბაგს (1460 წ.) [87]..	245
ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად ევროპაში მოწყობილი ელჩობის მოხსენება პაპ პიუს II-ისადმი (1460 წ.) [88].....	245
რომის საღვთო იმპერიის იმპერატორ ფრიდრიხ III-ის წერილი მეფე გიორგი VIII-სადმი (1460 წ.) [89].....	246

ქ. გენტის ქრონიკის ცნობები ქართველთა ელჩობის შესახებ (1461 წ.) [90].....	247
ქ. გენტის ქრონიკის ცნობები გენტში ქართველთა ელჩობის ოთხდღიანი სტუმრობის შესახებ (1461 წ.) [90].....	248
იტალიელი მოგზაური და დიპლომატი ამბროჯიო კონტარინი მეფე ბაგრატ VI-თან შეხვედრის შესახებ (1474 წ.) [91].....	249
მოსულის ვეზირის – გამალ-ელ-დინის ელჩის – ეპისკოპოსი მაფიანის მისია გიორგი VIII-ის კარზე (1476 წ.) [92].....	250
იტალიელი მოგზაური და დიპლომატი იოსაფატ ბარბარო უზუნ-ჰასანის საქართველოში ლაშქრობის, ბაგრატ VI-თან და სამცხის ათაბაგ ყვარყვარესთან დადებული ზავის შესახებ (1477 წ.) [93].....	251
ჰასან რუმლუ ყვარყვარე II ათაბაგის მიერ იაყუბ-ყაენის კარზე ზავის სათხოვნელად თავისი ვაჟის ელჩად გაგზავნის შესახებ (1483 წ.) [94].....	252
კონსტანტინე II-ის სიგელი ესპანეთის დედოფალ ისაბელასადმი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ (1495 წ.) [95].....	253
ესპანეთის მეფის ფერდინანდისა და დედოფალ ისაბელას წერილი კონსტანტინე II-სადმი (1495 წ.) [96].....	256
რომის პაპის ალექსანდრე VI-ის წერილი ქართლის მეფე კონსტანტინესადმი (1496 წ.) [97].....	257
რომის პაპის ალექსანდრე VI-ის წერილი – სამოგზაურო სიგელი თავისი საბრძანებლის მთავრებსა და ევროპის სხვა ხელისუფალთ, რომელთა სამფლობელოებზეც უნდა გაეკლო კონსტანტინე II-ის ელჩს – ნილო მღვდელ-მონაზონს საქართველოში დაბრუნებისას (1496) [98].....	259
თაზო VII	261
ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XVI-XVIII სს-ში.....	261
ვახუშტი ბაგრატიონი კახეთის მეფე ალექსანდრე I-სა და ირანის შაჰ ისმაილ I-ს შორის დიპლომატიური კონტაქტების შესახებ (1500 წ.) [79].....	261

ვენეციელი მოგზაური და დიპლომატი კატერინო ძენო საქართველოს სამეფო სამთავროებსა (კახეთი, ქართლი, სამცხე-საათაბაგო) და შაჰ ისმაილ I-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1503 წ.) [99].....	261
ვენეციელი მოგზაური და დიპლომატი კატერინო ძენო მზეჭაბუკ ათაბაგის მონაწილეობით ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ (1514-1515 წწ.) [99].....	263
ვახუშტი ბაგრატიონი ქართლის მეფე დავით X-სა და შაჰ ისმაილ I-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1518 წ.) [79].....	264
ბერი ეგნატაშვილი ირანსა და ოსმალეთს შორის ქ. ამასიაში დადებული საზავო ხელშეკრულების პირობების შესახებ (1555 წ.) [76].....	264
ვახუშტი ბაგრატიონი ლევან კახთა მეფისა და რუსეთის მეფე ივანე IV მრისხანეს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (XVI ს. 50-60-იან წწ. მიჯნა) [79].....	265
ოსმალთა ისტორიკოსი მუნეჯიმ-ბაში მანუჩარ II ჯაყელისა და ლალა მუსტაფა ფაშას შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1578 წ.) [100].....	265
ოსმალთა ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის ლალა-მუსტაფა ფაშასთან შეხვედრისა და მისი შედეგების შესახებ (1578 წ.) [101].....	266
ოსმალთა ისტორიკოსი მუსტაფა სელიანიქი ოსმალეთთან ქართლის მეფე დავით XI (დაუთხანის) დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1584 წ.) [102].....	267
კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ რუსეთის მეფე თევდორე ივანეს ძისადმი მიცემული „ფიცის წიგნი“ (1587 წ.) [103].....	267
ქართლის მეფის სიმონ I-ის წერილი ესპანეთის მეფეს ფილიპე II- ს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ (1596 წ.) [104].....	269
რომის პაპის კლემენტ VIII-ის წერილი სიმონ I-ისადმი (1598 წ.) [105].....	271

იტალიელი მოგზაური ბართლომე დე სალინიაგო ქართველებისა და წმინდა მიწაზე მათი პრივილეგიების შესახებ (XVI ს.) [106]	272
იტალიელი მოგზაური ნიკოლოზ რაძივილი წმინდა მიწაზე ქართველთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ (XVI ს-ის 80-იანი წწ.) [107]	273
მოგზაური იოანე კოტოვიჩის ცნობა ქართველებისა და წმინდა მიწაზე მათი პრივილეგიების შესახებ (1598 წ.) [108]	274
სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში შაჰ აბას I-თან ალექსანდრე II-ის ელჩობის შესახებ (1603 წ.) [109]	275
სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში თეიმურაზ I-ის გამეფების შესახებ (1606 წ.) [109]	277
სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ირან-ოსმალეთის 1612 წლის ზავის პირობების შესახებ [109]	279
წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერი ამბროზიო დუშ ანჟუში ქეთევან დედოფლის შაჰ-აბას I-თან ელჩობისა და მისი დაპატიმრების შესახებ (1613 წ.) [110]	280
სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი ქართველ მეფეებთან შაჰ-აბას I-ის მიმოწერის შესახებ (1613 წ.) [111]	283
სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი ლუარსაბ II-ის შაჰ-აბას I-თან მისვლის შესახებ (1614 წ.) [111]	285
ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ლუარსაბ II-ის სიკვდილის შესახებ (1622 წ.) [112]	289
ვახუშტი ბატონიშვილი თეიმურაზ I-ის ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ (XVII ს-ის 10-20 იანი წწ.) [79]	290
წმ. ავგუსტინეს ორდენის ბერის ამბროზიო დუშ ანჟუში უბრწყინვალესი დედოფლის ქეთევანის წამების მიზეზის შესახებ (1624 წ.) [110]	291
ბერი ეგნატაშვილი ქეთევან დედოფლის წამების შესახებ (1624 წ.) [76]	293
ბერი ეგნატაშვილი მარტყოფის აჯანყების შესახებ (1625 წ.) [76]	294
თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა მარტყოფის ბრძოლის შესახებ (1625წ) [113]	296

სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში გიორგი სააკაძის მიერ ოსმალეთში ელჩობის გაგზავნის შესახებ (1625 წ.) [109].....	299
თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი გიორგი სააკაძის ელჩების ოსმალეთის დიდ ეეზირთან ჩასვლის შესახებ (1625 წ.) [101].....	299
ოსმალეთის სულთნის მურად IV-ის მიერ გიორგი სააკაძისადმი გაგზავნილი წერილი (1624 წ.) [114].....	302
ვახუშტი სტამბოლში მანუჩარ III-ის ელჩობის შესახებ (XVII ს-ის 20-იანი წწ.) [79].....	304
თეიმურაზ I-ის წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სადმი (1626 წ.) [115].....	305
თეიმურაზ მეფის წერილი ურბან VIII-ს (1626 წ.) [116].....	307
მეფე თეიმურაზ I-ის წერილი წმინდა კონგრეგაცია და პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს (1629) [117].....	307
თურქი ისტორიკოსი ქათბი ჩელიბი ხოსრო-ფაშას მიერ გიორგი სააკაძის ვერაგულად მოკვლის შესახებ (1629 წ.) [118].....	309
კათოლიკე მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი დადიანის და როსტომის დამოყვრების შესახებ (1633 წ.) [119].....	310
კათოლიკე მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტი ლევან დადიანის ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ (XVII ს-ის 40-იანი წ.) [120].....	311
კათოლიკე მისიონერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი ლევან დადიანის ოსმალეთთან დამოკიდებულების შესახებ (40-50-იანი წწ.) [119].....	313
ლევან II დადიანის წერილი რომის პაპ ურბან VIII-სადმი (1643 წ.) [121].....	314
კახეთის მეფის თეიმურაზ I წერილი რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი (1649 წ. 13. 08) [122].....	315
იმერეთის მეფის ალექსანდრე III წერილი რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი (1649 წ. 13 აგვისტო) [122].....	317
ტოლჩანოვისა და იევლევის მიღება ალექსანდრე III-ის მიერ (1651 წ.) [122].....	318

რუსი ელჩების ტოლჩანოვისა და იევლევის ელჩობა. ალექსანდრე III-ის დაფიცება რუსეთის მეფის ერთგულებაზე (1651 წ.) [122].....	326
1651 წ. თეიმურაზ I-ის ელჩობა ლევან II დადიანთან[122].....	329
არსენი სუხანოვის ელჩობა საქართველოში და როსტომ-ხანის დიპლომატია (1653 წ.) [123].....	330
ვახუშტი თეიმურაზ I-ის რუსეთთან ურთიერთობის შესახებ (XVII ს-ის 50-იანი წწ.) [79].....	332
თუშ-ფშავ ხევსურების „ფიცის წიგნი“ რუსეთის მეფისადმი (1657 წ.) [123].....	333
ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი შაჰნავაზის მიერ არჩილის იმერეთის ტახტზე დასმისა და ოსმალეთის პროტესტის გამო მისი გამოწვევის შესახებ[112].....	334
ვახტანგ V-ის წერილი პოლონეთის მეფისადმი[125].....	335
ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ვახტანგ V-სთან აუდიენციის შესახებ (1672 წ.) [112].....	337
მეფე არჩილის წერილი იოანე ალექსის ძესა და პეტრე ალექსის ძესთან (1692 წ. 17 აგვისტო) [124].....	340
ტურნეფორის ცნობები საქართველოს შესახებ (1701 წ.) [126].....	342
სულხან-საბა ორბელიანის მისია ევროპაში (1613-1615 წწ.)	342
რომის პაპის წერილი სულხან-საბა ორბელიანისადმი (1715 წ.) [127].....	351
ვახტანგ VI-ის სიგელი პეტრე I-სადმი (1722 წ.) [124].....	352
ვახტანგ VI-ის სიგელი პეტრე I-სადმი (1722 წ.) [124].....	353
ვახტანგ VI-ის სიგელი პეტრე I-სადმი (1723 წ.) [124].....	355
ვახტანგ VI-ის სიგელი პეტრე I-სადმი (1724 წ.) [124].....	356
ესაია ჰასან ჯალალიანცი ქართველთა განჯაზე ლაშქრობის, ვახტანგ VI-სა და პეტრე I-ს შორის ურთიერთობის შესახებ.....	356
ირან-ოსმალეთის 1727 წლის საზავო ხელშეკრულება[131].....	361
კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის სიგელი რუსეთის იმპერატრიცა ანა ივანეს ასულისადმი (1736 წ.) [124].....	362

ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე ნადირ-შაჰის კარზე ერეკლე II-ის ყოფნის შესახებ (1737-1739 წწ.) [132].....	364
ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე ნადირ-შაჰის კარზე თამარ დედოფლის დიპლომატიური მისიის შესახებ (1740-1743 წწ.) [132].....	366
ქართველი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი ნადირ-შაჰის მიერ თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ქართლისა და კახეთის მეფეებად დადგინების შესახებ (1744 წ.) [133].....	367
თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წერილი რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ I-სადმი, საქართველოს მეზობელ მაჰმადიან მფლობელთა ძალმომრეობისაგან დასაცავად დახმარების აღმოჩენის შესახებ (1752 წ.) [134].....	367
დასავლეთ საქართველოს დიდებულების „პირობის წიგნი“ იმერეთის მეფე სოლომონ I-სადმი ტყვის სყიდვის აკრძალვის შესახებ (1759 წ.) [135].....	369
ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე ერეკლე II-ისა და ქერიმ ხანის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1760 წ.) [132].....	370
თეიმურაზ II-ის წერილი რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ I-სადმი სამხედრო ძალით დახმარების აღმოჩენისა და ირანში ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის შესახებ (1761 წ.) [136].....	371
იმერეთის მეფის სოლომონ I-ის სიგელი რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-სადმი იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების შესახებ (1768 წ.) [137].....	373
რომის პაპის კლემენტ XIV-ის წერილი ერეკლე II-სადმი ქართლ- კახეთის სამეფოში მოღვაწე კათოლიკე ბერებისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ (1769 წ.) [138].....	374
დე გრაი დე ფუა ერეკლე II-ისა და გენერალ ტოტლენის შეხვედრის შესახებ (1769 წ.) [139].....	375
ერეკლე II-ის წერილი ვიცე-კანცლერ ა. გოლიცინისადმი ტოტლენის მიერ აწყურიდან უმიზეზოდ დაბრუნებისა და ერეკლეს მიერ ასპინძასთან თურქ-ლეკთა ჯარების დამარცხების შესახებ (1770 წ. 10 მაისი) [140].....	379

ერეკლე II-ის მიერ ეკატერინე II-სადმი გაგზავნილი ხელშეკრულების პროექტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო შესაძლებლად მიიჩნევდა რუსეთის მფარველობაში შესვლას (1771 წ.) [140].....	385
ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს შორის დადებული სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელიც გაეგზავნა რუსეთის კანცლერ ნ. პანინს იმპერატორისათვის გადასაცემად (1773 წ.) [140].....	388
ნაწყვეტი რუსეთსა და ოსმალეთს შორის ქუჩუკ-კაინარჯში დადებული ზავიდან, რომელიც იმერეთის სამეფოს შეეხება (1774წ.) [140].....	391
ქართველი ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე ერეკლე II-სა და ქერიმ-ხანს შორის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1774 წ.) [132].....	392
თეიმურაზ ბაგრატიონი ოსმალეთთან ერეკლე II-ის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ (1776-78 წწ.) [141].....	392
ერეკლე II-ის წერილი „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორ იოზეფ II-სადმი (1782 წ.) [142].....	393
გეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ. 24 ივლისი) [143].....	395
სოლომონ I-ის სიგელი გრიგოლ პოტიომკინისადმი იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ (1784 წ.) [144].....	410
ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ერეკლე II-ის სამეფო კარზე იმერეთის სამეფოს შემოერთების საკითხის განხილვის შესახებ (1789 წ.) [145].....	411
საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება (1790 წ.) [146].....	415
პლატონ იოსელიანი ერეკლე II-ის სამეფო კარზე ირანის შაჰის – ალა-შაჰმად ხანის ელჩის დიპლომატიური ვიზიტის შესახებ (XVIII ს-ის 90-იანი წწ.) [146].....	423
თავი VIII	424
ქართული დიპლომატია და დიპლომატიური აზრი რუსეთის იმპერიაში 1801-1917 წლები.....	424
სრულიად რუსეთის იმპერატორის 1801 წლის 12 სექტემბრის უმაღლესი მანიფესტი[147].....	424

ელაზნაურის ტრაქტატი[148].....	427
მისი უდიდებულესობის ფრანგთა იმპერატორისა და იტალიის მეფისადმი მიმართული საქართველოს მეფის წერილის თარგმანი[149]..	434
მისი უდიდებულესობა იმპერატორისადმი მეფე სოლომონის მიერ ქართულ ენაზე მიმართული წერილის თურქული ვერსიის თარგმანი [150].....	436
გულისთანის ტრაქტატი[151].....	438
ადრიანოპოლის ტრაქტატი[152].....	438
სან-სტეფანოს წინასწარი საზავო ხელშეკრულება[154].....	440
ბერლინის ტრაქტატი[155].....	442
საქართველოს პეტიცია საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში 1907 წ.	
(შედგენილი ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ) [155].....	443
საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის შეთანხმება ოსმალეთთან 1914 წელს[156].....	450
თავი IX	454
ქართული დიპლომატია და დიპლომატიური აზრი XX საუკუნეში	454
ა) ქართული დიპლომატია 1917-1918 წლებში.....	454
განკარგულება ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნაზე [157].....	454
ამიერკავკასიის მთავრობის მიწვევა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციაზე[158].....	455
ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული „ზავის ძირითადი დებულებები“ [159].....	455
ამიერკავკასიის მთავრობის პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკების მოქმედების გამო [159].....	456
ეპიბ-ფაშას რადიოდებეშა კავკასიაში რუსეთის არმიის მთავარ- სარდალს გენერალ ლებედინსკის! [159].....	457
რუსეთ-თურქეთის დამატებითი შეთანხმება ბრესტ-ლიტოვსკში, რომელიც დაერთვის რუსეთ-გერმანიის ზავს [158].....	457
საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და „ოთხთა კავშირს“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) შორის.....	459
ოსმალეთის დელეგაციის პასუხი ამიერკავკასიის დელეგაციის მოთხოვნისადმი[159].....	460

ამიერკავკასიის დელეგაციის თანხმობა თურქეთის ულტიმა- ტუმზე[159].....	461
ვეპიბ-ფაშას დეპეშა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ [159].....	461
ამიერკავკასიის დელეგაციის I მემორანდუმი ბათუმის საზავო კონფერენციაზე [160].....	462
საქართველოს ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილება გერმანიის მთავრობისათვის დახმარების და მფარველობის თხოვნით მიმართვის შესახებ[159].....	463
გენერალ ფონ-ლოსოვის ნოტა ამიერკავკასიის დელეგაციას [159].....	464
თურქეთის ულტიმატუმში ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯ- დომარეს [159].....	465
მიმართვა მსოფლიო სახელმწიფოებს [159].....	466
ბ) ქართული დიპლომატია 1918-1921 წლებში.....	466
აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა [162].....	466
დამატება.....	468
წინასწარი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის.....	473
გერმანიის დელეგაციის ნოტა ბათუმის რეფერენდუმის გამო[159].....	475
ქ. სოჭის მოქალაქეთა საზოგადოებრივი თავყრილობის რეზოლუცია[159].....	476
საქართველოს მთავრობის ნოტა გერმანიის მისიის თავმჯდომარეს [159].....	477
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის დეპეშა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ტიგრანიანს[159].....	478
სომხეთის პრემიერ-მინისტრ ჰოვანეს ქაჯაზნუნის წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ნოე რამიშვილს[159].....	479
საქართველოს მთავრობის ნოტა კონფერენციის მოწვევის თაობაზე სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირის დიპლომატიურ კორპუსებს[159].....	479
საქართველოს მთავრობის დადგენილება[159].....	480

ინგლისის მისიის ნოტა.....	481
ბატონ მინისტრს საქართველოს პრეზიდენტს[159].....	481
საქართველოს მთავრობის ნოტა ინგლისის მისიის მეთაურს პოლკოვნიკ ჯორდანს[159].....	482
შერეული კომისიის მიმართვა სომხეთის და საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობისადმი[159].....	483
გენერალ მილნის განცხადება ინგლისის ჯარების მიერ ამ- იერკავკასიის ოკუპაციის შესახებ[161].....	484
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება პარიზის საზავო კონფერენციას [165].....	485
დანართი.....	495
საქართველოს საზღვრები.....	495
ნ. ს. ჩხეიძის წერილი ერთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს და კრებას[166].....	500
საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა შორის შეთანხმე- ბის აქტი [167].....	502
საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების მთავრობათა შორის დადებული ხელშეკრულება ტრანზიტის შესახებ [167].....	505
საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება [166].....	506
ზურაბ ავალიშვილის ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხზე [166].....	518
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს ინფორმაცია საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ 1920 წლის 7 მაისს რსფსრ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ [164].....	523
გ) ქართული დიპლომატიური აზრი 1921-1930 წლებში.....	524
სავაჭრო შეთანხმება დიდი ბრიტანეთის მთავრობასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას შორის [168].....	524
საქართველოს მთავრობის მემორანდუმი უცხო სახელმწიფოების მთავრობებისადმი საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოზე თავდასხმის შესახებ [166].....	525
ყარსის ხელშეკრულება [169].....	533

დანართები	542
საქართველოს დესპანის წერილი გენუის კონფერენციის თავმჯდომარეს ლუიჯი ფაქტას საბჭოთა რუსეთის ძალმომრეო- ბისაგან საქართველოს დაცვის თხოვნით [170].....	546
საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის მიმართვა გენუის კონფერენციას [171]	547
მიმართვა ერთა ღიბას!	550
ასლი: ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, ამსტერდამის ინტერნაციონალს და ყველა ქვეყნის სახელმწიფო მთავრობებს! [147]	550
საბჭოთა კავშირში დიდი ბრიტანეთის ოფიციალური აგენტის ნოტა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ვ. ჩიჩერინს [172]	552
სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის გ. ვ. ჩიჩერინის განცხადება საქართველოს შესახებ ერთა ლიგის რეზოლუცია- სთან დაკავშირებით [172]	553
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და საფრანგე- თის რესპუბლიკას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება [173].....	554
მოწოდება ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობისადმი [174]	555
ურყევი რწმენით [175].....	561
„დიდი სამეულის“ (საბჭოთა კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი) პოტსდამის კონფერენცია [174]	564
თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ [117].....	567
დ) საქართველოს დიპლომატია 1992-2002 წლებში	569
ალ. ჩიკვაძე: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა“	569
საქართველოს რესპუბლიკისა და გაერთიანებული ერების გა- ნათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის თანამშრომლობის შესახებ [179].....	576
განათლება	577
მეცნიერება და ტექნოლოგია	578
კულტურა	580
კომუნიკაციები, ინფორმაცია და ინფორმატიკა	581

საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებები.....	583
კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის დეკლარაცია [180].....	584
ეუთო-ს სამიტის დეკლარაცია XXI საუკუნის ევროპისათვის უშიშროების საერთო მოდელის შესახებ [181].....	587
აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პრეზიდენტთა შეხვედრის ერთობლივი კომუნიკე [180].....	588
გაეროს უშიშროების საბჭოს 1998 წლის 30 ივლისის რეზოლუცია (№1187)	590
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სიტყვა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე 1999 წლის 27 იანვარს, საქართველოს ევროსაბჭოში მიღებასთან დაკავშირებით [183].....	594
რომის პაპის იოანე პავლე მეორისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ერთობლივი მიმართვა [182]	595
ნიუ-იორკის მანჰეტენის ტრაგედიიდან 6 თვის შემდეგ, 2002 წლის 11 მარტს თეთრი სახლის წინ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გამოსვლიდან [183].....	597
საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნებისადმი[186].....	597
კომენტარები	600

გამომცემლობის რედაქტორი მ. ინასარიძე
ტექ.რედაქტორი კ. რუსიძე
კორექტორი ნ. ვაშაკიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.03.04
საბეჭდი ქაღალდი 60X84 1/16
პირ. ნაბ. თაბახი 41
სააღრ.-საგამომც. თაბახი 33,22

შეკვეთა №82 · ტირაჟი 500

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 112